

780/3
1994

345

ISSN 0134-9843



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს გამომცემი

საგარეო ურთიერთობები





ქურნალის სკოხსორია
ბატონი მურმან ომანიძე

საუნჯე

1994 / 1-2
 პერიოდული
 ილუსტრირებული
 ჟურნალი

(13/86)

აპრილი



შინაარსი პროზა, პოეზია

ნარტინ ლუთარ კინები, ბიუზარდეთ თაძვენი მტრები, თარგმნა დავით გუგუშიძემ	3
იოსან ვოლფგანგ გოეთე, სულთა ნათესაობა, დასაწყისი, გერმანულიდან თარგმნა ლია თაკვარელიამ	10
ამერიკული პოეზია, თარგმნა დარეჯან კაპანაძემ	95
გიგელ დე უნაშუნო, დონ სანდალიოს — მოტაღრაპის ნოვმელა, ესპანურიდან თარგმნა შერი ტიტუნიძემ	100
ანდროს ბირსი, მუღბარი ცაზი, ინგლისურიდან თარგმნა მაია ჩხიკვაძემ	124
უილიამ უორდსუორთი, ლმსნები, ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარგრძელმა	129
ჯაკომო კაჯანოვა, ჩემი თავბადასაგბელი, დასაწყისი, ფრანგულიდან თარგმნა ნანა თარგამაძემ	188

წერილები

დალი ფანჯიკიძე, მხატვრული თავგზანის არსი	241
ნამა სერგეი გულგაკოვი, პიროვნები და მოსაზრებობა, თარგმნა ზეინაბ სარაძემ	247
ლემნარდ კოტრალი, ცივილიზაციის სამხედლო, ინგლისურიდან თარგმნა მაია გაბაშვილმა	258
ვირჯინია ვულფი, მრი ესე, ინგლისურიდან თარგმნა ინგა პაპავამ	302

საქართველოს მწერალთა კავშირი
სსრკ-ის ლიტერატურის ერთიანი ფონდი



ქართული
ლიტერატურა

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1994 № 1—2
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

შთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე

პიპი ქველაძე
(შთავარი რედაქტორის მოადგილე)

ნანა ღარბია
(პასუხისმგებელი მდივანი)

ხარედაქციო კოლეგია:
ჯეჰალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეზვაძე
გურამ გობიაშვილი
ნოდარ გურაშვილი
ვახაღი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გენოზი ნიშნიანიძე
დავით შანჯიყია
ნიკო შინაგაშვილი
დავით შერეშინანი

მხატვარი ავთანდილ ვარტაგვამ. ტექნიკური რედაქტორი ნანა ბარტაია.

წიგნი მიხამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: შთავარი რედაქტორის 93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

ცდ. წარ. 22. 10. 93 წ. ხელმოწ. დასაბუთდა 24. 05. 94 წ. ქალაქი თბილისი 70X108/10
საღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. ტარ. 1500. წყ. № 1553.

შპს 100000 კუპონი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლოს“ სტამბა,
250609, თბილისი, შ. კოსტავას 14.

მარტინ ლუთარ კინგი

მარტინ ლუთარ კინგი



მეოცე საუკუნე ბოროტების, ძალადობის, სიძულვილის კატეგორიების ვაჭარობის მანქანაა. ამიტომ უკანასკნელ წლებში არაძალადობის ფილოსოფიისადმი, ბოროტების მოღვაწის გაუწველობის ეთიკისადმი ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. ამ კონცეფციებია თეორეტიკოსები არიან: ანერიკელი ფილოსოფოსი და მწერალი პენრი დევიდ ტარო, რუსი მოაზროვნე და მწერალი ლევ ტოლსტოი, ინდოელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური მოღვაწე მოტიმედ კარამჩანდ განდი, ამერიკელი მასტიხტი პრესვიტერი და საზოგადო მოღვაწე მარტინ ლუთარ კინგი.

მარტინ ლუთარ კინგი სამართლიანად ითვლება არაძალადობის თეორიის კლასიკოსად. ბოროტებასთან ძალმომრეობით ბრძოლაზე უარის თქმის დასაბუთება კინგის, როგორც რელიგიური მოძღვრისა და მოაზროვნის, ცხოვრების მიზანს წარმოადგენდა. იგი სწორედ ამ ზნეობრივი კატეგორიის ცხოვრებაში განხორციელებასთვის ბრძოლაში დაიღუპა.

მთარგმნელი

გიყვარდეთ თქვენი მტრები

თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: „გიყვარე მოყვასი შენი და შეიძულე მტერი შენი. მე კი გეუბნებით: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყვერები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გაეწროებთ და გაეცხიან, რათა იყოთ თქვენი ზეციური მამის ძენი...“

სახარება მათეხი 5, 43-48.

25 289

მცნება „გიყვარდეთ თქვენი მტრები“ ქრისტეს მცნებებს შორის, მართლაც, ყოველთვის ყველაზე რთული იყო. ზოგიერთ ადამიანს გულწრფელად სწამდა, რომ რეალურ ცხოვრებაში მისი განხორციელება შეუძლებელია. ადვილია ინათი საყვარელი, ვისაც შენ უყვარხარ, მაგრამ როგორ შეიძლება გიყვარდეს ის, ვინც ფარულად ან აშკარად შენზე გაბატონებას ცდილობს? ზოგი ფილოსოფოსი, მაგალითად ნიცშე, ამტკიცებდა, იესოს მოწოდება — გიყვარდეთ თქვენი მტრები — იმას აღასტურებს, რომ ქრისტიანული ზნეობა მშიშრებისა და სუსტების ზვედრია და არა მამაცებისა და ძლიერების, ესეც რეალურ ცხოვრებას მოწვევითი იდეალისტიკაა.

მწვავე კითხვებისა და მუდმივი დავის მიუხედავად, იესოს ეს მცნება ჩვენთვის კიდევ მეტ მნიშვნელობას იძენს. უწესრიგობებისა და აჯანყებების მთელმა წყებაში შეგვახსენა, რომ თანამედროვე ადამიანი იმ გზისკენ მიემართება, რომლის სახელია სიძულვილი, რასაც ჩვენ სიკვდილისა და განკითხვისაკენ, მუდმივი ტანჯვისაკენ მივსავართ. მცნება „გიყვარდეთ თქვენი მტრები“ არ არის მეოცნება უტოპისტის ღვთისნიერი წადილი, იგი ჩვენი გადარჩენის აბსოლუტური პირობაა. სიყვარულს მტრისადმიც კი — აი, ჩვენს სამყაროში არსებული ყველა პრობლემის გადაწყვეტის გასაღები.

იესო ცხოვრებას მოწვევითი იდეალისტიკა კი არ არის, არამედ ფხიზელი რეალისტიკა.

მე დარწმუნებული ვარ, იესოს ესმოდა მთელი სირთულე, რაც მისი მცნების პრაქტიკულ განხორციელებასთან იყო დაკავშირებული. ის არ მიეკუთვნებოდა მოლაყბებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, თუ რა ადვილია ზნეობრივი საფუძვლების დაცვა. მან კარგად იცოდა, რომ სიყვარულის გრძნობის გამოხატვა ვარდნობოდა ღმერთისადმი სრულ და უსიბუჯო მორჩილებას. ამიტომ, როცა ამბობდა, გიყვარდეთ თქვენი მტრები, სწამდა რომ ეს მცნება უდავოა და, მიუხედავად ყოველივესი, მაინც ამისაკენ მოუწოდებდა. ჩვენი, როგორც ქრისტიანის, პასუხისმგებლობა ის გახლავთ, რომ ავხსნათ ამ აღთქმის არსი და მოვიძიოთ ჩვენს თავში ძალები, რათა ყოველდღიურად მივსდეთ მას.



I

მოდით ვიყოთ რეალისტები და ვიკითხოთ: როგორ შევძლებთ ჩვენი მტრები?

ჯერ ერთი, ჩვენ ჩვენში უნდა განვავითაროთ მიტევების უნარი. მიტევების ძალას მოკლებული სიყვარულის ძალასაც მოკლებულნი ვართ. ჩვენს გულში არ მოიძებნება ადგილი მტრებისადმი იოტისოდენა სიყვარულისთვისაც კი, თუ ჩვენ ვერ გავაცნობიერებთ, რა აუცილებელია ვისწავლოთ შეწყნარება, კვლავ და კვლავ იმათი პატიება, ვისაც უბედურება და ტანჯვა მოაქვს ჩვენთვის. ამასთანავე საჭიროა მივხვდეთ, რომ უნდა მიუტევოს ყოველთვის დაზარალებულმა, ტკივილისა და ტანჯვის განმცდელმა, აუტანელი უსამართლობის მსხვერპლმა, დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა. შეურაცხყოფელს შეუძლია პატიების თხოვნა. მას ისღა ძალუძს, გონი მოეგოს და უძღები შეიღვივოს იაროს მტვრიანი გზებით, მორთოლვარე გულით. პატიებას რომაა მოწყურებული. მაგრამ მიტევება შეუძლია მხოლოდ თქვენს მოყვასს, რომელმაც შესვა ტანჯვის ფიალა, ან მაშას, მიტოვებულს სახლში, საყვარელი შვილის დაბრუნებას რომ ელოდება.

ყოვლისმიტევება — არ არის იმის იგნორირება, რაც გაკეთდა, არც ბოროტების სიკეთედ წარმოდგენა. ის ნიშნავს, რომ ჩადენილი ბოროტება არ წარმოადგენს დაბრკოლებას ურთიერთობის დასამყარებლად. ყოვლისმიტევება კატალიზატორია, რომელიც ქმნის ატმოსფეროს, ახალი ნაბიჯების, ახალი ცხოვრების დაწყებისათვის რომაა აუცილებელი. ყოვლისმიტევება არაა მოვალეობისაგან ან ტვირთისაგან განთავისუფლება. სიტყვებს: „მე გაპატიებთ თქვენ, მაგრამ არასოდეს არ დავივიწყებ, რაც თქვენ გააკეთეთ“ — არ შეუძლიათ მიტევების ნამდვილი ბუნების ახსნა. დიახ, ადამიანს არ შეუძლია დავიწყება, თუკი დავიწყება იმას ნიშნავს, რომ წარსული მთლიანად იშლება მესხიერებიდან. როდესაც ჩვენ მივუტევებთ, ვავიწყებთ იმ აზრით, რომ ბოროტება უკვე აღარ წარმოადგენს ფსიქოლოგიურ დაბრკოლებას ახალ ურთიერთობათა დამყარებისათვის. ზუსტად ასევე არ შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ: „მე მოგიტევებ შენ, მაგრამ დღეიდან აღარ მინდა გიცნობდე“. მიტევება ნიშნავს შერიგებას, ხელახალ შერწყმას. ამის გარეშე არცერთ ადამიანს არ შეუძლია თავისი მტრების შეყვარება. მიტევების ხარისხი განსაზღვრავს ჩვენი მტრებისადმი ჩვენი სიყვარულის ხარისხს.

მეორეც, ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ბოროტება, ჩადენილი ჩვენი მოყვასის მტრის მიერ, მიზეზი ჩვენი ტანჯვისა, არასოდეს არ ასახავს ამ ადამიანის მთელ არსებას. სიკეთის ნიშნების პოვნა შეიძლება ყველაზე უბოროტესი მტრის ხასიათშიც. ჩვენ ყველანი რაღაცით ვგავართ შიზოფრენიით დაავადებულებს, გაორებულ პიროვნებებსა და ხასიათის ადამიანებს, თითოეული ჩვენგანის შიგნით მძვინვარებს უკიდურესად სამოქალაქო ომი. რაღაც შინაგანი ჩვენც გვაიძულებს რომელიმე პროტესტის ოვიდიუსის მსგავსად აღმოგვხვდეს: „მე სიკეთის მომხრე ვარ. მაგრამ ქცევებში ბოროტებით ვხელმძღვანელობ“, ან დავეთანხმეთ პლატონს, რომელიც ამბობდა, რომ ადამიანური ხასიათი ეს არის მეეტლე, რომელიც ორ ცხენს მართავს და ორთავენი თავთავიანთ მხარეს ეწევიან. ან მოციქულ პავლესთან ერთად გავიმეოროთ: „არა რომელი იგი მნებავს კეთილი, მას ვპყობ, არამედ რომელი იგი არა მნებავს ბოროტი, მას ვიქმ“.

უბრალოდ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენთაგან ყველაზე ცუდშიც არის სიკეთის



ნაწილი. ასევე საუკეთესოშიც არის ბოროტების ნაწილი. როდესაც ამას ვაცნობიერებთ, ჩვენ უფრო მიმტევებლები ვხდებით ჩვენი მტრების მიმართ და ნაკლებად გვძულს ისინი. როდესაც უფრო ღრმად ვიხედებით პრობლემის არსში, ვეძებთ ბოროტი გულისწადილით ჩადენილის მიზეზს. ვეუფლებით ჩვენს მოყვასში — მტერში სიკეთის ნიშნებს და ვხვდებით, რომ მისი ქმედების მანკიერება და ბოროტგანზრახულობა არ გვიქმნის სრულ წარმოდგენას ამ ადამიანზე. ჩვენ ვუყურობთ მას ახალი თვალით. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მისი სიძულვილი შეშის, ქედმაღლობის, უვიცობის, გაუკუღმართებული რწმენის ანდა ურთიერთგაგების უქონლობის შედეგია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვიცით, რომ ყოველი ადამიანი სულის სიღრმეში ღვთიურ ანაბეჭდს ატარებს და ჩვენ ვიწყებთ ჩვენი მტრების შეყვარებას, რაკი გვესმის, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მთლად ხელიდან წასულნი და ღმერთის ყოვლისმხსნელი სიყვარული შეიძლება მათაც შეეხოს.

მესამე. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ ჩვენი მტრის არა დამარცხებასა ან დამცირებას, არამედ მასთან მეგობრობასა და ურთიერთგაგებას. ხდება ხოლმე, ჩვენ შეგვწევს ძალა დავამციროთ ჩვენი უბოროტესი მტერი. გარდუვალად მოდის დრო, როდესაც მისი სისუსტე ვლინდება და ჩვენ გვეძლევა საშუალება ჩავცეთ მას გამარჯვების მახვილი. მაგრამ ეს არ უნდა გავაკეთოთ. თითოეული თქმული სიტყვა და გადადგმული ნაბიჯი ურთიერთგაგების საძირკველში აგურის ნატეხად უნდა გადაიქცეს, რათა მან გაათავისუფლოს სიკეთის ის უდიდესი მარაგი, სიძულვილის შეუღწევად კედელში რომ იყო დაფლული.

სიყვარულის არსი არ შეიძლება გავაიგივეოთ გრძნობათა სანტიმენტალურ გაზიარებასთან. სიყვარული უფრო ღრმაა, ვიდრე ემოციური ლაყობა. შეიძლება ამ საკითხებში ბერძნულმა ენამ შეიტანოს სინათლე. ახალი აღთქმის ბერძნული ტექსტი სიყვარულის აღსანიშნავად სამ სიტყვას ხმარობს. „ეროსი“ არის ესთეტიკური, რომანტიკული სიყვარული. პლატონის დიალოგებში „ეროსი“ გულისხმობს სულის ღვთაებრივ ლტოლვას. მეორე სიტყვა „ფილია“ ნიშნავს ურთიერთსიყვარულს, სულიერმოყვარულობას, მეგობართა სიახლოვესს. გვიყვარს ისინი, ვისაც ჩვენ ვუყვარვართ, და გვიყვარს იმიტომ, რომ იმათაც ვუყვარვართ. მესამე სიტყვა „აპარე“ კი ნიშნავს თანხმობასა და ყველა ადამიანს შორის ღვთიურ, ყოვლისმომტევებლურ გულისხმიერებას. უსაზღვრო, ღვარად მოდენილ უანგარო გრძნობას. „აპარე“ ადამიანთა გულებში არსებული ღვთაებრივი სიყვარულია: ჩვენ იმიტომ კი არ გვიყვარს ადამიანები, რომ ისინი ან მათი მოქმედებანი მოგვწონს, არც იმიტომ, რომ მათში ღვთიური ნაპერწკალია; ჩვენ თითოეული ადამიანი გვიყვარს იმიტომ, რომ იგი ღმერთს უყვარს. ჩვენ გვიყვარს ადამიანი, რომელიც ჩადის ბოროტებას, თუმცადა გვძულს მისი ნამოქმედარი.

ახლა ჩვენ გვესმის რას გულისხმობდა იესო, როცა ამბობდა: „ვიყვარდეთ თქვენი მტერი“. ჩვენ კმაყოფილი უნდა ვიყოთ, რომ მან არ თქვა: მტერს სიმპათიით და გულისხმიერებით მოეპყარიოთ. ზოგიერთი ადამიანის მიმართ უბრალოდ შეუძლებელია სიმპათიისა და გულისხმიერების განცდა. გულისხმიერება სანტიმენტალური და ფაქიზი სიტყვაა. შეუძლებელია სიმპათია გვექონდეს იმ ადამიანების მიმართ, რომელიც არ მალავს თავის განზრახვას — მოგვსპოს ჩვენ და მოფინოს ჩვენი გზა სიძულეებით და დაბრკოლებებით. შეუძლებელია ჩვენ მოგვწონდეს ადამიანი, რომელიც ჩვენი ბავ-

შეების სიციხის ხელმოწერა და ჩვენი საცხოვრებლის დამანგრეველია-
 ეს შეუძლებელია, მაგრამ იესომ გაიანჯრა, რომ „სიყვარული“ უფრო მეტია
 ვიდრე „გულისხმობა“ და „სიმბათია“. გვიბრძანებს რა, რომ გვიყვარდეს
 ჩვენი მტრები, იესოს არა აქვს მხედველობაში „ეროსი“ ამ უმცლესი იგი
 ლაპარაკის „აპარეს“ — თანხმობისა და ყველა ადამიანს უმცლესი იგი
 რივი ყოვლისმიტევებლური გულკეთილობის შესახებ. მხოლოდ ამ ვხვით
 მხოლოდ ასეთი სიყვარულით შევიძლია ჩვენ ჩვენი მამის შვილები გავხდეთ.

გადვიდეთ ახლა პრაქტიკული „როგორიდან“ თეორიულ „რატომზე“:
 რატომ უნდა გვიყვარდეს ჩვენ ჩვენი მტრები? პირველი მიზეზი ნათელია.
 სიძულვილზე სიძულვილით პასუხი მხოლოდ ამრავლებს სიძულვილს, ამუქ-
 ებს ღამეულ წყვილად ცაზე. წყვილად არ შეუძლია წყვილადზე გამარჯ-
 ვება; მხოლოდ სინათლეს შესწევს ამის ძალა. სიძულვილს არ შეუძლია სიძ-
 ულვილზე გამარჯვება; სიძულვილი ამრავლებს სიძულვილს, ძალადობა ამ-
 რავლებს ძალადობას და სისასტიკე ამრავლებს სისასტიკეს. ეხვევა რა ნგრევე-
 ის ჯოჯოხეთურ სვეულებში. ამიტომ, როდესაც იესო ამბობს: „გვიყვარდეთ
 თქვენი მტრები“, იგი გვიტოვებს გულში ჩამწვდომ და აბსოლუტურად გარ-
 დაუვალ მცნებას. განა ჩვენ, ადამიანები, არ მოვექცით იმ ჩიხში, რომლიდ-
 ანაც გამოსავალი მხოლოდ მტრების სიყვარულშია? — სხვანაირად ბოროტ-
 ების ჯაჭვური რეაქცია ვაგრძელებს, სიძულვილი დაბადებს სიძულვილს,
 ომები დაბადებენ ახალ ომებს, და, თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, ყველანი
 ურთაერთგანადგურების შავბნელ უფსკრულში ჩავცვივდებით.

კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ უნდა შევიყვაროთ ჩვენი
 მტრები: სიძულვილი ტოვებს ნაპარევს გულზე და ამახინჯებს ადამიანის
 პიროვნებას. რაკი გვახსოვს, რომ სიძულვილი ბოროტების ძალაა და ამიტომ
 საშიშია, ჩვენ ძალიან ხშირად ვფიქრობთ იმაზე, თუ რა მოაქვს მას ადამიანი-
 სათვის, რომლისკენაც ის არის მიმართული. ეს არც ისე ძნელი გასაგებია,
 რადგან სიძულვილი თავის მსხვერპლს აუხანაურებელ ზარალს აყენებს.
 ჩვენ სიძულვილის კომპარული შედეგები ვახილეთ ექვსი მილიონი ებრაე-
 ლის სიკვდილში, რომლებიც აწამეს სიძულვილით შეპყრობილი შეშლილი
 პიტლერის სახელით; სიძულვილის ტალღაში, შავკანიანებს რომ დაატყდათ,
 სიძულვილით გამძვინვარებულ, აისხლმოწყურებული ბრბოს რისხვად; ომე-
 ბის შავბნელ კომპარებში. უსინდისო მჩაგვრელების მიერ მილიონობით
 ღვთის შვილთა თავზარდამცემ დამცირებაში, უსამართლობაა და დანაშაულში.

მაგრამ არსებობს საკითხის კიდევ ერთი მხარე, რომელიც არავითარ შე-
 მთხვევაში არ უნდა გამოგვჩვენს მხედველობიდან — სიძულვილი არანაკლებ
 მომაკვდინებელია იმისთვისაც. ვისაც სძულს, როგორც შეუმეცნებელი კი-
 ბოსეული სიმსივნე — სიძულვილი არღვევს ადამიანის პიროვნებას და უკ-
 არგავს მას ობიექტურად აზროვნების უნარს. იგი აიძულებს მას, მშვენიერს
 საზარელი უწოდოს, ხოლო საზარელს მშვენიერა, ქეშმარიტება საცრუედ
 მიიღოს, ხოლო სიცრუე ქეშმარიტებად.

დოქტორ ე.ფრანკლინ ფრეზერს თავის მეტად საინტერესო წიგნში „რა-
 სობრივ ცრურწმენათა პათოლოგია“ მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, როდეს-
 ეც თეთრები, სხვა თეთრებთან ყოველდღიურ ურთიერთობებში ნორმალუ-
 რი, კაცთმოყვარე და რბილი ადამიანები, კარგადნენ ლოგიკას ან გამოდი-
 ოდნენ წონასწორობიდან, როგორც კი საკითხი შეეხებოდა შავკანიანებისთ-
 ვის თანაბარი უფლებების მინიჭებას ანდა რასობრივი უსამართლობის საკ-

ითხება. ეს ხდება მაშინ, როდესაც ჩვენს გულებში სიძულვილი დაისადგურებს. ფსიქიატრები სიძულვილში ჩვენს ქვეცნობიერებაში მიმდინარე მოაგაღლა საიდუმლოებით მოცული პროცესის, ჩვენი მრავალი შინაგანი კონფლიქტის მიზეზს ხედავენ. ისინი ამბობენ: „ისწავლეთ სიყვარული და იღიბეთ“. თანამედროვე ფსიქოლოგია სცნობს იმას, რომ სიძულვილი ასეული წლის წინათ გვასწავლიდა: სიძულვილი ანგრევს პიროვნებას, ხოლო სიყვარული, მიუხედავად ყველაფრისა, აუცილებლად ამთლიანებს მას.

სიყვარული ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია მტერი მოყვარად გადააქციოს. ესაა მესამე მიზეზი, რომლის გამოც ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი მტრები. ჩვენ ვერასოდეს ვერ დავიხსნით თავს მტრებისაგან, თუ სიძულვილს სიძულვილითვე ვუპასუხებთ. ვძლევთ რა მტრობის გრძნობას, ჩვენ თავს დავიხსნით მტრებისაგან. თავისი ბუნებით სიძულვილი სპობს და ანგრევს, თავისი ბუნებით სიყვარული აშენებს და ქმნის.

ლინკოლნი შეიმეცნა სიყვარულია ძალა და კაცობრიობის ისტორიას დაუტოვა შერიგების გასაოცარი დრამა. აშშ პრეზიდენტის პოსტზე წინასაარჩევნო ბრძოლის დროს მისი ერთ-ერთი უბოროტესი მტერი იყო ვინმე სტენტონი. რაღაც მიზეზი აიძულებდა სტენტონს სძულებოდა ლინკოლნი. იგი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ლინკოლნი საზოგადოებრიობის თვალში დაემცირობინა. ლინკოლნისადმი მისი სიძულვილი იმდენად დიდი იყო, რომ სტენტონი თავის ყველა გამოსვლაში აბუჩად იგდებდა მის გარეგნობას და ცხარედ ადანაშაულებდა მას სხვადასხვა მანკიერებებში. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ლინკოლნი არჩეულ იქნა პრეზიდენტის პოსტზე. შემდეგ დადგა დრო მინისტრთა კაბინეტის წევრთა დანიშვნისა, რომელშიც უნდა შესულიყვნენ არჩევნებში მონაწილე ლინკოლნის უახლოესი თანამოაზრენი. დაიწყო თანამდებობებზე დანიშვნა. ბოლოს დადგა დღე, როცა ლინკოლნს უნდა დაესახელებინა კანდიდატურა სამხედრო მინისტრის მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე. როგორ ფიქრობთ თქვენ, ვინ დანიშნა ლინკოლნი ამ პოსტზე? თვით სტენტონი. როგორც კი ეს ამბავი ცნობილი გახდა, პრეზიდენტის უახლოესი თანამებრძოლნი მოიცილა უკმაყოფილებამ და მღელვარებამ. რას აღარ ეუბნებოდნენ ლინკოლნს: „ბატონო პრეზიდენტო, თქვენ შეცდომასა უშვებთ! იცით თუ არა თქვენ, რა კაცია ეს სტენტონი? გსმენიათ თუ არა, რა სიბილწეებს ლაპარაკობდა იგი თქვენ შესახებ? იგი ჩვენი მტერია და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ჩაშალოს თქვენი პროგრამის შესრულება. გაითვალისწინეთ თუ არა ყოველივე ეს თქვენ, ბატონო პრეზიდენტო?“ ლინკოლნის პასუხი მეტად ლაკონური იყო: „დიახ, მე ვიცნობ ბატონ სტენტონს. მე შესმოდა ყველაფერი, რასაც იგი ჩემზე ამბობდა, მაგრამ ამერიკელებიდან ყველაზე მეტად იგი ესადაგება ამ თანამდებობას“. ასე გახდა სტენტონი ლინკოლნის მთავრობაში სამხედრო მინისტრი და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ხალხს და თავის პრეზიდენტს. რამდენიმე წლის შემდეგ ლინკოლნი მოკლეს. ბევრი კეთილი სიტყვა იყო ნათქვამი პრეზიდენტის შესახებ, ჩვენს დროშიც მილიონობით ადამიანი თვლის მას უდიდეს ამერიკელად. ჰერბერტ უელსი ასახელებდა მას კაცობრიობის ისტორიის ექვს უდიდეს მოღვაწეთა შორის. მაგრამ ყველა ბრწყინვალე სიტყვათა შორის, რომელიც ითქვა აბრაამ ლინკოლნის შესახებ, სტენტონის წარმოთქმულ სიტყვას განსაკუთრებული ადგილი უკავია. სტენტონი იღვრა იმ ადამიანის ცხედრის წინაშე, როდესაც რომ სძულდა, და მას დედამიწაზე

მცხოვრებ ადამიანთა შორის ერთ-ერთი უდიდესი უწოდა. „იგი ახლა მარადისობას ეკუთვნის“ — განაცხადა სტენტონმა. ლინკოლნს რომ გაეგრძელებინა სტენტონის სიძულვილი, მაშინ ორივენი შეურიგებელ მტრებად ჩავიდოდნენ საფლავში. მაგრამ ლინკოლნმა, მოუხმო რა სიყვარულის ძალა, მტერი მეგობრად გადააქცია. ამავე ცხოვრებისეულმა პოზიციამ სწავლია მისცა ლინკოლნს სამოქალაქო ომის უმძიმეს დღეებში სამხრეთელების მისამართით კეთილი სურვილები გამოეთქვა. გაოგნებულა მსმენელი ქალის დასმულ კითხვაზე ლინკოლნმა უპასუხა: „მადამ, განა მე არ ვსპობ ჩემს მტრებს, როცა მათ ჩემს მეგობრებად გადავაქცევ?“ სწორედ ეს არის სიყვარულის ძალა.

მაგრამ ჩვენ ახლაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არ არის მთავარი მიზეზები, რის გამოც ჩვენ ჩვენი მტრები უნდა გვიყვარდეს. უფრო ღრმა მიზეზი პირდაპირაა გამოთქმული ქრისტეს სიტყვებში: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, რათა იყვეთ თქვენი ზეციერი მამის ძენი“. მამაზეციერი მოგვიწოდებს დავადგეთ ამ რთულ გზას იმისათვის, რომ ღმერთთან განსაკუთრებული დამოკიდებულება დავამყაროთ. ჩვენ ყველას შეგვიძლია მამაზეციერის შეილება გავხდეთ სიყვარულის საშუალებით, რომელიც შეუმჩნეველად იქცევა სინამდვილედ. ჩვენ ჩვენი მტრები იმიტომ უნდა გვიყვარდეს, რომ მხოლოდ სიყვარულის საშუალებით შეგვიძლია ღმერთის წვდომა და მისი სიწმინდის, მწვენიერების განცდა.

რასობრივ ურთიერთობათა კრიზისის მიზეზების გასაგებად ჩემ მიერ ნათქვამის მნიშვნელობა ნათელია. რასობრივი პრობლემა არასოდეს არ იქნება გადაწყვეტილი, თუ დაჩაგრულები არ ისწავლიან თავიანთი მტრების სიყვარულს. რასობრივი სეგრეგაციის წყველადის განდევნა მხოლოდ ყოველდღე შემწყნარებელ სიყვარულს შეუძლია. აი უკვე სამი ასეული წელია, რაც ამერიკელი ზანგები იტანჯებიან ჩაგვრის რკინისებურ უღელქვეშ, დათრგუნულები დისკრიმინაციის მახინჯ ტვირთქვეშ, სასოწარკვეთილებამდე მიყვანილები დღისით, ამაოდ ცდილობენ ღამით თავიანთ კითხვებზე პასუხის პოვნას. იძულებული რომ ვართ ვიცხოვროთ ასეთ სამარცხვინო პირობებში, ჩვენდაუნებურად ვსასტიკდებით და მივუზღავთ სამაგიეროს, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა შემდეგშიც, მაშინ ახალი წესრიგი, რომლისკენაც მივსწრაფვით, მხოლოდ ცოტათი თუ იქნება განსხვავებული უწინდელისაგან. ჩვენ უდრეკად და თავმდაბლად უნდა შევხედეთ სიძულვილს სიყვარულით.

რასაკვირველია, ეს არაპრაქტიკულია. ცხოვრება ხომ ანგარიშსწორებაა, საპასუხო დარტყმების მიყენებაა, ურთიერთობაა, რომელიც ეფუძნება კანონს „ადამიანი ადამიანისათვის მგელია“. მე ვამბობ, რომ იესომ გვიანდერძა გვიყვარდეს ისინი, რომლებიც გვტანჯავენ და გეჩაგრავენ ჩვენ. ვგავარ მე მოციქულთა უმრავლესობას, რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილ იდეალისტებს? შეიძლება შორეულ მომავალში, ამბობთ თქვენ, უტოპიის ქვეყანაში, ეს იდეა ცხოვრებაში განხორციელდეს, მაგრამ არა ამ მკაცრსა და ცივ სამყაროში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ჩემო მეგობრებო! ჩვენ უკვე დიდი ხანია მივდივართ ევრეთ წოდებული პრაქტიკული გზით, რამაც გარდუვალად მიგვიყვანა უწესრიგობამდე და ქაოსამდე. ისტორია სავსეა დაღუპული ცივილიზაციების მაგალითებით, რომლებმაც ნებაზე მიუშვეს სიძულვილი და ძალადობა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარი ვთქვათ სამართლიან ბრძოლაზე. ჩვენს განკარგულებაში მყოფი ყველა ძალა, მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა მივმართოთ ჩვენი ხალხის

სეგრეგაციის, საშინელი უღლისაგან განთავისუფლებისაკენ. მაგრამ ბრძოლის დროს ჩვენ არასდროს არ ვატყვიოთ უარს სიყვარულისადმი ჩვენს პრვილეგიასა და მოვალეობაზე. გვძულს რა რასობრივი სეგრეგაცია, ჩვენი გვეყვარება ისინი, ვინც მის უკახ დგას. ეს არის სიყვარულის საზოგადოებრივი შექმნის ერთადერთი გზა.

ჩვენ ვეტყვიოთ ჩვენს ყველაზე მეტად შეუბრუნებელ მტრებს: ჩვენ და ვუპირისპირებთ თქვენს უნარს — მიაყენოთ ტანჯვა, ჩვენს უნარს — ავიტანოთ ტანჯვა. ვაგვიკეთეთ, რაც გინდათ, ჩვენ მაინც ვვეყვარებით თქვენ. ჩვენ არასოდეს დავემოტრიალებით თქვენს უსამართლო კანონებს, რამეთუ ბოროტებისადმი დაუნიორჩილებლობა ისეთივე მორალური მოვალეობაა, როგორც სიკეთისათვის ხელის შეწყობა. ჩავყვარებთ ციხეებში, ჩვენ კი ძველებურად გვეყვარებით. დაანგრიეთ ჩვენი საცხოვრებელი და დაემუქრეთ ჩვენი ბავშვების სიცოცხლეს, შეებნელ ღამეებში გამოაგზავნეთ ნიღბიანი მკვლელები და მოძალადეები ჩვენს სახლებში, რომ ცემით მიგვასიკვდილონ, ჩვენ კი მაინც ვვეყვარებით თქვენ, მაგრამ გჯეროდეთ, ჩვენ გავიმარჯვებთ თქვენზე ჩვენი უნარით — ავიტანოთ ტანჯვა, და მოვა დღე, როდესაც ჩვენ მოვიპოვებთ თავისუფლებას, მაგრამ ეს იქნება თავისუფლება არა მხოლოდ ჩვენთვის. ჩვენ ისე შევუვადრებით თქვენს გულს და გონებას, რომ მათ ჩვენს მხარეზე გადმოვიყვანოთ და ჩვენი გამარჯვებაც ორმაგ გამარჯვებად გადაიქცევა.

სიყვარული სამყაროში ყველაზე მარადიული ძალაა. ეს შემოქმედებითი ძალა, რომლის შესანიშნავ მაგალითად გვევლინება იესო ქრისტეს ცხოვრება, კაცობრიობის ხელში წარმოადგენს მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლის საშუალებას. ამბობენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტემ, ომის უდიდესმა გენოსმა, იხსენებდა რა წარსულს, თქვა: „ალექსანდრე მაკედონელმა, იულიუს ცეზარმა, კარლოს დიდმა და მე შევქმენით უდიდესი იმპერიები, მაგრამ რას ეფუძნებოდნენ ისინი? ისინი ეფუძნებოდნენ ძალას. საუკუნეების წინ კი იესომ თავისი სამეფოს შექმნა დაიწყო, რომელიც სიყვარულს ეფუძნებოდა, და დღესაც მილიონები მზად არიან მოკვდნენ მისთვის“. ძნელიც არ დაეთანხმო ამ სიტყვებს. აღარ არიან უკვე წარსულის დიდი მხედართმთავრები და მათი იმპერიებიც ფერფლად იქცა. მხოლოდ იესოს სამეფო, ეფუძნება რა სიყვარულს, ძველებურად ხელთუქმნელია და დიდებულად დგას. იგი დაიწყო ხელდასმულთა მცირერიცხოვანი ჯგუფით, რომელმაც ელმერთის წყალობით შეძლო შეერყია რომის იმპერიის საფუძვლები და იესოს მოძღვრება მთელი კაცობრიობის საკუთრებად გადაეცა. ქრისტეს სამეფო დედამიწაზე დღეს — ეს არის ყველა ერისა და ეროვნების 900 000 000 ადამიანი.

იესო ყოველთვის მართალია ისტორიის მინდვრები გადათეთრებულია ხალხთა ძვლებით, რომლებმაც უარი თქვეს, მოესმინათ მისთვის. ჩვენ, მეოცე საუკუნის ადამიანებმა, სანამ გვიან არ არის, უნდა შევისმინოთ მისი და მის კვალს გავყვეთ. მთელი პასუხისმგებლობით უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ჩვენი ზეციური მამის შეილები, თუ არ შევიყვარებთ ჩვენს მტრებს და არ ვილოცებთ იმათთვის, რომლებიც ჩვენ გვღივნიან.



იოჰან ვოლფგანგ გოეთე

სულთა ნათესაობა

გერმანულიდან

თარგმნა და შენიშვნები დაურთო ლია თაყვარელიძე



ნაწილი პირველი

თავი პირველი

ელუარდი — ასე ეძახდნენ მამაკაცის ჩინებულ ასაკში მეოფე მდიდარ ბარონს, — აპრილის ერთ მშვენიერ საღამოს მთელი საათი ხალისიანად ტრიალებდა თავის სახერგეში, ვაზის ხედლ სამარეზე ნორნ ლერწს ამყნობდა. ის იყო, საქმე ბოლომდე მიიყვანა, ხელსაწყოები ჩალთა-ბუდეში შეინახა და ნახელავი კმაყოფილებით შეათვალა, რომ თავს შებაღე დაადგა, რომელსაც უზომოდ ეამა ბატონის ესოდენ დაუზარელი შრომა.

„ჩემი ცოლი ხომ არ განახავს?“ — ჰკითხა შებაღეს ელუარდმა და წასახვლელად მოემზადა.

„პარკის ახალ მშენებლობაზე, — მიუგო შებაღემ, — დღეს ის ხაესის ქოხი უნდათ დაამთავრონ, ქალბატონი კლდის ძირას, სასახლის პირდაპირ რომ ამყნებს. ვფიქრობ, ყველაფერი სამაგალითოდ გამოვიდა. თქვენს მოწყობებს, დარწმუნებული ვარ, უთუოდ, მოეწონება, მართლაც რომ შესანიშნავი სანახაობა მოჩანს იქიდან. ქვემოთ სოფელია, ოღნაე ხელმარჯენივ-ეკლესია, რომლი გუმბათსაც კაცი თვალს ვერ აუწვდენს, ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს ხეებში ჩაფლული ციხე-დარბაზი მოჩანს.“

„პო, მართლა, — თქვა ელუარდმა, — აქეთკენ რომ მოვდიოდი, დავინახე, რა თავდადებით მუშაობდნენ“.

„მარჯენივ ველია გადამლილი, — განაგრძო შებაღემ, — წარაფებს იქით უღრუბლო შორეთი მოჩანს. კლდეებში ბაღიკები ისე ლამაზადაა ჩახვეული, კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს იხილავს. ამ საქმის ავან-ჩავანი ჩვენი ღვთისნიერი ქალბატონი გახლავთ. ღმერთმანა, კაცი მიხთვის თავს არ დაზოგავს“.

„ახლავე წადი და ქალბატონს სთხოვე, იქ დამელოდოს, — მიმართა ელუარდმა შებაღეს. — შენი ახალი ქმნილების ხილვა და გულის გაზარება მინდა-თქო“.

შებაღე მყისვე გაეშურა ქალბატონისაკენ. მალე ელუარდმაც უკან მისდია. იგი პარკის ტერასებს გაჰყვა, გზადაგზა ორახვერეებსა და კვალსაობურებს ათვალა, მერე დეღეზე გაღებულ ბოვირზე გადავიდა და ზუსტად იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც ახლად გაშენებული პარკისაკენ მიშავალი ბილიკი ორ შტოდ იყოფოდა. მაგრამ მოკლე ბილიკს კი არ დაადგა, სასაფლაოს გავლით პირდაპირ კლდის ძირას რომ მიიყვანდა, არამედ მეორე არჩია, ზემოთკენ, ოღნაე მარცხნივ, ძლივს შესაძინევად რომ მიიკლაკნებოდა ბუჩქებში. იმ ადგილას, სადაც ბილიკის ორი შტო ერთმანეთს ხვდებოდა, გზის პირად მარჯვედ ჩადგმულ სკამზე წამით სულის მოსაბრუნებლად ჩამოჯდა, მერე ისევ

საცალფეხი გზას დაადგა, კლდეში ამოტეხილ კიბის საფეხურებს აუყვია და სწორედ ამ ვიწრო, ხოვან ციციბოი, ხოვან დაფურდებულმა გზამ კიბის რამდენიმე საფეხურის ავლით ბოლოს ხავსის ქიხთან მიიყვანა.

ქიხის წინ შარლოტე შემოხვდა მეუღლეს, ქიხში შეიყვანა და ასეთნაირად დასვა, რომ ვალდებული კარ-ფანჯრებიდან თვალის ვრთა მისკენ და მისკენ ბაშად დაენახა ის ნაირფეროვანი სანახაობა, რომელიც თითქოსდა ხარხიში ჩასმულ ფერად-ფერად სურათებად გაღამილიყო მის წინ. სიხარულით ფროთა-შესხმული ეღუარდა ფიქრობდა, გაზაფხული მალე ყველაფერს ხელს ჩაუდგამს და უფრო დიდებულს გახდისო.

„იცი, ეს ქიხი რაღაც ვაწრო მგონია“ — თქვა მან.

„ჩვენ ორისთვის საკმარისია, დიდიც კია,“ — მიუგო შარლოტემ.

„იქნებ აქ შესამისთვისაც მოიძებნოს ადგილი“, — თქვა ეღუარდმა.

„რატომაც არა, — უპასუხა შარლოტემ, — ასე გასინჯე, მეოთხისთვისაც უფრო მრავალრიცხოვან სტუმრებს ვი სხვა ადგილს მიუჩენო“.

„რაკი მარტონი დაურჩით და ხელს არაფერს ვკაშლის, — დაიწყო ეღუარდმა, — თან მშვიდ და მხიარულ გუნებაზე ვართ, უნდა გამოვიტყდე და გაიხრა, რაც კარგა ხანია გულში მაქვს და ვერაფრით ვერ გამინდვია“.

„შეგატყვე“.

„მართალი ვითხრა, — განაგრძო ეღუარდმა, — ფოსტა რომ არ მაჩქარებდეს, ხვალ სისხამ დილით წერილი არ იყოს გასაგზავნი და ამის გამო დღესვე გადაწყვეტილების მიღება, აღბათ კიდევ დიდხანს ვერას გეტყოდით“.

„ნეტა, ასეთი რა არას?“ — გულითადად ჩაჰკითხა შარლოტემ.

„საქმე კაპიტანს ეხება, ჩვენს მეგობარს“, — მიუგო ეღუარდმა, — „ხომ იცი, რა სავალალო ყოფამია იგი ჩავარდნილი და, როგორც ხშირადაც სრულიად უდანაშაულოდ. აბა, წარმოიდგინე, რა მტანჯველი უნდა იყოს უსაქმოდ დარჩენა მისი ცოდნის, ნიჭისა და ჩვევების კაცისთვის. სიტყვას აღარ გავაგრძელებ და გულახდილად გეტყვი, რაც მინდა მისთვის გაუაკეთო: იქნებ ერთხანს ჩვენთან გადმოგვეყვანა საცხოურებლად.“

„ამას ჯეროვანი დაფიქრება და ყოველმხრივ აწონ-დაწონვა უნდა“.

„მინდა ამასთან დაკავშირებით ჩემი აზრი გავიზიარო, — განაგრძო ეღუარდმა, — მის ბოლო წერილში იგრძნობა ჩუქრ, მაგრამ ღრმა გულიანტკივილი, იმატომ კი არა, რომ ხელმოკლეობას განიცდის, მან შესანიშნავად იცის, როგორ შემოიხლეულოს თავი და ამასში სხვებს როდი ჰგავს. იგი არ ითაკალებს ჩემს დახმარებას, რადგან მთელი სიცოცხლის მანძილზე იმდენჯერ ვყოფილვართ დავალებული ერთმანეთისაგან, კრედიტისა და დებეტის დაანგარიშება კიდევაც გვიჭირს. ოღონდ თავისი შესაფერი საქმე რომ ვერ იმყოფა, სწორედ ეს ტანჯავს. მისთვის ერთადერთი სიამოვნება, იქნებ ვნებაც მარტოოდენ ისია, განუწყვეტლივ, დღედაღამ სხვებს ემსახუროს, სხვებს მოახმაროს თავისი მრავალმხრივი ცოდნა და განათლება, ხოლო გულხელდაკრეფილი ჯდომია ანდა სწავლის გაგრძელება ანუ ისეთი ახალი უნარის გამოძევა, რაც არ სჭირდება და რასაც ისედაც სრულყოფილად ფლობს, ეს ყველაფერი, ძვირფასო ბავშვო, მძიმე ხვედრია, მისი მარტოობა კიდევ უფრო რომ ამძაფრებს“.

„მე რატომღაც მეგონა, — თქვა შარლოტემ, — რომ უკვე შესთავაზეს რაღა-რაღაცეები, ჩემი მხრივ მეც გავისარჯე, ერთ-ორ ჩემს დაქალსა და მე-

ვობარს ვაცნობე მისი მდგომარეობა, რამაც, უფიქრობ, გარკვეული შედეგაც გამოიღო.“

„კეთილი და პატიოსანი, — მიუგო ელუარდმა, — მაგრამ იცოდე, სწორედ ეს სხვადასხვა შემთხვევები და წინადადებებია, ახალ სატკივარს და მშფოთვარებას რომ უქადის მას. არც ერთი მათგანი არ სთავაზობს მსახურს საქმეს. შეუფერებელი სამსახური კი იმას ხიშნავს, რომ კვლავაც უსაქმოდ დარჩეს, მსხვერპლად გაიღოს თავი, გაფლანგოს დრო, უარი თქვას საკუთარ მრწამსსა და ცხოვრების წესზე. რაც უფრო მეტად ვუფიქრდები ამას, მით უფრო მწვავედ განვიცდი მეგობრის ბედს, არ მასვენებს სურვილი მისი ჩვენსა ხილვისა“.

„უთუოდ კეთილი და მისასალმებელია, ასე ახლოს რომ მიგაქვს გულთან მეგობრის ტკივილი, დიდად რომ ზრუნავ მის სვებედზე, მაგრამ ნება მომეცი გთხოვო, საკუთარ თავზეც იფიქრო და ჩვენზედაც“.

„უკვე ვიფიქრე, — მიუგო ელუარდმა, — მასთან სიახლოვე ბევრს კარგს გვპირდება, გვარგებს და სიამესაც მოგვეკვრის. ხარჯებზე კი ლაპარაკიც არ ღირს, რადგან ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, როგორც კი ჩვენთან გადმოვა საცხოვრებლად. მით უმეტეს, იმასაც თუ გაუითვალისწინებთ, რომ კაპიტანი ისეთი ბუნებისაა, ოდნავადაც არ შეგვაწუხებს. იგი ციხე-დარბაზის მარჯვენა ფლიგელში დაიდებს ბინას, სხვა დანარჩენი თავისთავად მოეწყობა. რა დიდ რამედ ეღირება ეს მისთვის, თან ჩვენთვისაც ზედმიწევნით საამის და, ასე გასინჯე, სასარგებლოც იქნება. რამდენი ხანია, რაც ჩვენი ადგილ-მამულის და საერთოდ მთელი არე-მიდამოს საფუძვლიანი გაზომვა მიწდა. მას შეუძლია თავი დაადგას ამ საქმეს და ჭკვიანურად წარმართოს. შენ ხომ გინდოდა წლეულს მოიჯარადებთან კონტრაქტების ვადის ჩათავებისთანავე თვითონვე გეთავა ადგილ-მამულის მმართველობა. იცი, ძნელია ამ საქმისთვის ხელის მოკიდება, ის კი ამ მხრივ ფრიად მომზადებულია და მისი განსწავლულობა ჩვენ ერთობ გვარგებს. ვგრძნობდი, სწორედ ამნაირი კაცი მიწდა ახლოს მყოფოდა, მაგრამ არ მყავდა. ვლუხებს ამ საქმისა საკმარისად გაუგებათ, მაგრამ დალაგებულად ვერ აგიხსნიან, თან პატიოსნებაშიც სცოდავენ. ქალაქებისა და აკადემიების სწავლული მეცნიერები დალაგებულნი და მოწესრიგებულნი, იცოცხლენ არიან, მაგრამ მათ მოვლენათა არსში უშუალო წვდომა უჭირთ. ჩვენს მეგობარს ორივე ეს თვისება — განსწავლულობაც და წესრიგიანობაც — ერთდროულად ამკობს. ამას გარდა კიდევ ათასი სხვა გარემოებაც იჩენს თავს, რომელთა შესახებ ფიქრიც კი სიამეს მგვრის. ზოგი რამ, აქედან გამომდინარე, შენც გეხება, ჩემო კარგო, და ყველა ამისგან მხოლოდ სიკეთეს თუ მოელი. ნება მომეცი, მადლობა ვითხრა, გულისყურით რომ მომისმინე. ახლა კი შენი ჯერია, ილაპარაკე გულახდილად, მითხარი ყველაფერი, სატყვას არ შეგაწყვეტინებ.“

„კეთილი, — მიუგო შარლოტემ, — მხოლოდ მიწდა ერთი ზოგადი შენიშვნით დავიწყო. მამაკაცები მეტწილად კონკრეტულზე, აწმყოზე ფიქრობთ და ეს გასაგებიცაა, თქვენ ხომ შექმნისთვის, მოქმედებისთვის ხართ გაჩენილნი. ქალები კი, თქვენგან განსხვავებით, უფრო ცხოვრებასთან დამაკავშირებელ ძაფებს ეძებთ: თავის მხრივ ამასაც მოეძებნება გამართლება, რადგან ჩვენი პირადი ბედი, ბედი ჩვენი ოჯახებისა ამ ურთიერთობებს ემყარება. სწორედ ასეთ ურთიერთობებს მოითხოვენ უმთავრესად ქალისაგან, ხილი აქედან გამომდინარე, თუ თვალს გადავაკვლებთ დღევანდელ ყოფას, განვლილ გზას, უთუოდ

დამეთანხმები, რომ კაპიტანის მოწვევა არც ისე შეესატყვისება ჩვენს ზრახვებსა და გეგმებს, ცხოვრების ყაიდას.

რა სიამით მევსება გული, ადრეულ წარსულს რომ ვიხსენებ, ჩვენ ხომ სიყმაწვილეში გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ დაგვაშორეს. ქონებას დახარბებულმა მამაშენმა ასაკით შენზე ბევრად უფროს ქალზე დაგაქორწინა. ვეღვი ვანსაკუთრებული პერსპექტივების არმქონე, ცოლად გაეყვია კაცს, რომელიც არ მიყვარდა, თუმცა შეძლებული და ღირსეული პიროვნება კი იყო. მერე კვლავ გავთავისუფლდით. შენ უფრო ადრე გადაიგდე უღელი, რადგან შენი დედის ძალი ძალე მიიბარა უფალმა და მეშვეობით მისგან დიდძალი განძი დაგროხა, მე კი მოგვიანებით გამოვეხსენი უხალისო ყოფას, სწორედ იმ ხანებში, როცა შენ ის-ის იყო მოგზაურობიდან დაბრუნდი. ასე ვიპოვეთ ხელახლა ერთმანეთი. ვხარობდით წარსულის მოგონებებით, გვიყვარდა ძველის გახსენება, ჩვენს ერთად ყოფნას ხელს აღარაეინ უშლიდა. შენ დაიყინე, ვიქორწინოთო, თორემ ჩემთვის აღვილი არ იყო თანხმობა მღოჭვა ამაზე. ერთხანს ვყოყმანობდი. ჩვენ ხომ თითქმის ერთი ხნისანი ვართ და მე, როგორც ქალი, უფრო ხნიერი მოვჩანდი, შენ კი ასაკთან შედარებით ბევრად ახალგაზრდად გამოიყურებოდი. ბოლოს და ბოლოს უარი ვეღარ გითხარი, რადგან ეს ქორწინება შენთვის ბედნიერებას ნიშნავდა, თანაც ერთადერთს. გინდოდა ჩემთან სიახლოვით განრიდებოდი მშფოთვარე ცხოვრებას, რომელიც სასახლეში, სამხედრო სამსახურში, მოგზაურობისას გენახა და განგეცადა, გინდოდა დაგესვენა, სული მოგეთქვა, თღონდ მხოლოდ და მხოლოდ ჩემთან ერთად. ერთადერთი ასული პანსიონში გავეზავნე, სადაც იგი ბევრად უფრო მრავალმხრივ განათლებას მიიღებს, ვიდრე ეს ჩვენს სოფლურ ყოფაშია შესაძლებელი, თანაც პანსიონში მარტო კი არ გაუშვია, არამედ ჩემს საყვარელ ძმისწულთან — ოტილიესთან ერთად, რომელიც შინ რომ დამეტოვებინა და საოჯახო საქმეებში თვითონვე გამეწაფა, ჩემთვის ურიგო არ იქნებოდა. ყველაფერი შენი თანხმობით მოხდა, მარტოოდენ იმიტომ, რომ მშვიდად გვეცხოვრა, ერთურთის გული გვეხარებინა, რომ შეგვძლებოდა ბედნიერებით ტკბობა, რაც ოდესღაც ასე ვნებით გვიწადა, მაგრამ ძალიან გვიან გვეღირსა. აქედან მოყოლებული დაიწყო ჩვენი სოფლური ცხოვრება. მე უფრო შინაურ საქმეებს განვაგებდი, შენ — საგარეოს და საერთოდ მთელს მამულს, ვცდილობდი ყველგან მხარში ამოგდგომოდი, მარტოოდენ შენთვის მეცხოვრა. მოდი თუნდაც ცოტა ხნით ესინჯოთ, რამდენ ხანს ვასტანს ასე, როდემდე ვაუძლიობ მხოლოდ ერთმანეთით.“

„თუკი ეს ცხოვრებისეული ურთიერთობები, როგორც შენ ამბობ, საკუთრივ ქალების სტიქიაა, — შეეპასუხა ედუარდი, — მაშინ რაღად გვინდა ამ ლოგიკურად დასაბუთებული სუბრის მოსმენა, ბარემ ვაგამართლო და ის იქნება. აკი დღემდე მართალიც ვიყავი, სამირკველი, რაზეც აქამდე ჩვენი ყოფა იყო დაფუძნებული, უთუოდ მყარია, თღონდ მე მხოლოდ ის მაინტერესებს, დავაშენებთ თუ არა ზედ რაიმე ახალს, განვაკითვარებთ თუ არა მას. თუ ჩვენი ჯახირი პარკსა თუ ბაღში მხოლოდ მეუდაბნოეთა წიღხვედრია.“

„კი ბატონო, — მიუგო შარლოტემ, — ძალიანაა კარგი. მღვ ეს მინდა. თღონდ ნუ შემოიჭრება ჩვენს ცხოვრებაში უცხო და შემაშფოთებელი რამ. კარგად იცოდე, ვართობაც კი ამ ყოფაში მხოლოდ და მხოლოდ მე და შენს ურთიერთობას უნდა ითვალისწინებდეს. რამდენი რამა გვაქვს საკეთებელი ერთად. ჯერ ერთი, სადაც წესია, შენი მოგზაურობის დღიურები უნდა გეჩვენებინა ჩემთვის,

საამისოდ კი ნაწერები უნდა მოგეწესრიგებინა, ჩემთან ერთად დაგელოვებინა ზოგი ფასდაუდებელი, მაგრამ არუელდარეული ფურცლები და რეკლამები. იმასაც ხომ დაგპირდი, გადაწერასაც ვიშველი-მეთქი, ჰოდა, შესაძლებლობა გვექნებოდა ასე ტკბილად, მყუდროდ და მზიარულად ფიქრებსა და მსჯელობებში მოგვევლო მთელი მსოფლიო, რომელიც განგებას ძალიან ერთად ვერ ვახილეთ. დასაწყისისათვის ეს ცოტა როდია, ვარდა ამისა საღამოხანობით შენ ფლეიტას მოუჯდებოდი და ფორტეპიანოზე აკომპანიმენტს გამიწევდი, არცთუ იშვიათად მუხობელ თავადებთანაც ვაყვლიდით სტუმრად, მათაც ხშირად მოვიწვევდით. ყოველივე ამან სიცოცხლეში პირველად მაფიქრებინა მართლაც მზიარული ზაფხული მომეწყო“.

„აი ყურს ვუგღებ შენს მიმზიდველსა და ჭკვიანურ ლაპარაკს და მაინც მგონია, — თქვა ელუარდმა, — რომ კაპიტნის აქ ყოფნა ხელს არაფერს შეუშლის, პირაქით, წინ წასწევს და ახალ გზას მიხედვს საქმეს. ერთხანს იგი ჩემთან ერთად მოგზაურობდა, ბევრი საინტერესო დეტალი დაიმახსოვრა, თანაც ნემგან განსხვავებული სულ სხვა კუთხით. ჩვენ ამ დეტალებს ერთად გამოვიყენებთ და საუცხოო მთლიანობას შევქმნით“.

„ახლა კი ნება მომეცი, გამოვიტყუდე, რისიც მეშინია, — ერთგვარი შემოთებით წარმოთქვა შარლოტემ, — შენს ამ განზრახვას ჩემი გული ეწინააღმდეგება, იგი კარგს არას შეუბნება, ცუდი წინათგრძნობა მაქვს“.

„ასეთები ხართ ქალები და ეს გაძლევი ძალას. ჯერ არის და, ისეთ კეთილკონიერებას იჩენთ, კაცი ვერ გაბედავს საწინააღმდეგო ვითხრათ რამე, თან ასეთი მომხიბვლელები ხართ, თქვენთვის სიკვდილი ღებენა გვგონია, იმისთანა ემოცია იცით, ნუ იტყვი, ოდნავი წყენინებაც ვერ შეგვიბედავს თქვენთვის, ბოლოს კიდევ ისეთი წინათგრძნობებით ხართ აღსავსე, შიშით ღამის გული გაგვისცდეს.“

„მე ცრუმორწმუნე არ გახლავართ, — მიუგო შარლოტემ, — და ბნელ იმბულსებს ყურადღებას არ ვაქცევ, თუ მათ ძიღმა მართლაც რაიმე საშაში არ დავინახე, მაგრამ ხომ არსებობს გაუკვნილობიერებელი შემთხვევები ცხოვრებაში, რასაც ბედნიერი თუ უბედური შედეგება მოჰყოლია და რაც საკუთარი თუ სხვისი გამოცდილებებით ვაგვიცნობიერებია, რაგინდარა შემთხვევაში ყოველთვის და ყოველ დროს ყველაზე სიხიფათო იყო და არის შესამე პიროვნების შემოგრა. მე მინახავს მეგობრები, დება და ძმები, მიჯსურება, ცოლები და ქმრები, რომელთა ცხოვრება ძირულსეიანად შეცვლილა, არსებითად სხვაგვარად შეტრიალებულა, როგორც კი მათ ცხოვრებაში ნებისა თუ უნებლიეთი ახალი პიროვნება შემოსულა.“

„ეს შეიძლება მხოლოდ იმ ადამიანებს მოუვიდეთ, — შეესიტყვა ელუარდი, — სტიქიურად რომ ცხოვრობენ, და არა ისეთებს, რომელთაც არც გამოცდილება აკლიათ, არც განათლება და ყველაფერს აცნობიერებენ“.

„ცნობიერება, ჩემო კარგო, — მიუგო შარლოტემ, — ფუფე საშუალებაა, მისი გრნახით ყოველთვის ვერ მიპყვები ცხოვრებას, აქედან გამომდინარე მე მგონია, რომ არ უნდა აუჩქარდეთ. მთლი, მაჩუქე კიდევ რამდენიმე დღე მოსაფიქრებლად, ასე უცბად ნუ გადავწყვეტთ“.

„რალაც ისე სჩანს, — მიუგო ელუარდმა, — რამდენიმე დღის შემდეგაც ასევე დაგვემართება, განსჯას მოვევებით და კვლავ აჩქარება მოგვიწევს, საფუძ-

ველი კი საკითხის დადებითად თუ უარყოფითად გადასატრულად ყოველთვის შეიძლება გაჩნდეს. გადაწყვეტილების მიღება, ვატყობ, გაჭირდება, ამიტომაც ყველაფერს სჯობია, კენჭი ვყაროთ.“

„ვიცი, ორჭოფულ შემთხვევაში შენ გიყვარს კენჭისყრა ან ხანძარს დადება, მაგრამ ასეთ სერიოზულ რამესთან დაკავშირებით მე ეს სწავლული მიმაჩნია.“

„აბა რა შეკუთვალე კაპიტანს, — მოუიმენლად წამოიძახა ელუარდმა, — მე ხომ ახლაც უნდა გადავწყვიტო და ბარათი მივწერო“.

„მისწერე წყნარი, გონიერული, დამაშოშმინებელი ბარათი“. — ურჩია შარლოტემ.

„ეს იმას ნიშნავს, სულაც არაფერი არ მიეწერო“.

„რას იზამ, ხანდახან ასეც ხდება, — უბახუხა შარლოტემ, — მეგობრის უცილობელი მოვალეობა გიბიძგებს აგრერივად მოიქცე: სულ არაფერს უმნიშვნელო რაღაც მაინც მიხწერო“.

თავი პირეპი

ელუარდი თავის ოთახში გახმარტოვდა. მისი მგზნებარე სული საამოდ აღელვა შარლოტეს ნათქვამმა, ხელახლა განაცდევინა თავისი განუღილი ცხოვრება, თავისი ბედი, დააფიქრა მათ ურთიერთობებზე, სამყრმისი ზრახვებზე. ელუარდი შარლოტეს სიახლოვეს თავს ისე ბედნიერად გრძნობდა, რომ მზად იყო მისი სურვილის თანახმად კაპიტანისათვის მართლაც თბილი, თანამგრძობელი, მშვიდი და სულაც არაფრისმოქმედი ბარათი მიეწერა, მაგრამ როგორც კი მიუახლოვდა საწერ მაგიდას და წერას შეუდგა, ხილი მერე კი დაწერილი გადაიკითხა, კვლავ თვალწინ დაუდგა ამ დიდებული კაცის მწუხარე ყოფა, კვლავ გაიღვიძეს გრძნობებმა, ამ ბოლო ხანებში მოსკვნებას რომ არ აძლევდნენ, და მეგობრის ასეთ მძიმე განსაცდელში მიტოვება შეუძლებლად ჩათვალა.

ელუარდი არ იყო ჩვეული ვულის წადილზე უარის თქმას. ერთადერთ აზრად გაზრდილ შეიღს მდიდარმა მშობლებმა უკნაური, მაგრამ ერთობ მოძუებისანი ქორწინება ჩააგონეს ასაკით ბევრად უფროს ქალზე. ქალიც თავის მხრივ სულში იძვრებდა ქმარს და კარვად მოპყრობას დაუზოგავი ხელგამლილითი პასუხობდა. ხილი ცოლის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ იგი საკუთარი თავის სრული ბატონ-პატრონი გახდა. თავისუფლებას დახარბებული, მოგზაურობის წლებში ყველანაირი დროსტარებისა და შეცვლა-გადახალისების მიმდევარი, არაფერს წრეგადასულს არ მოითხოვდა, მაგრამ ბევრისა და მრავალფერის მნდომელი კი იყო, წრუელი, ქველმოქმედი, სანდომიანი, საჭიროების შემთხვევაში მამაციც და აბა, რა დაუდგებოდა წინ მის ნება-სურვილს ამ ქვეყანაზე.

დღემდე ყველაფერი მართლაც მისი ნებასურვილისამებრ ხდებოდა. ბოლოს და ბოლოს შარლოტე დაითანხმა ცოლობაზე, ეს ბედნიერება ვიუტი, მართლაცადა რომანტიკული ერთგულების წყალობით მოიპოვა. ახლა კი სიცოცხლეში პირველად წააწყდა წინააღმდეგობას, პირველად შეაკვიცეს ფრთები და თანაც მაშინ, როდესაც სიჭაბუკისუამინდელი მეგობრის თავისკენ მოზადვა განიზრახა, რათა ამ გზით საბოლოოდ ისე სრულყო თავისი ცხოვრება, რო-

გორც მას ეწადა. გუნებაგაფუჭებულს მოთმინება არ ყოფნიდა, რამდენჯერმე აიღო კალამი ხელში და ისევ მაგიდაზე დადო, რადგან ჯერ ვერ გადაეწყვიტა, რა მიეწერა. არ უნდოდა წინ აღდგომოდა ცოლის სურვილს, არადა, მისი მოთხოვნის თანახმად მოქცევაც ეძნელებოდა. თვითონ გულმშფუჟვარეს ღმრთობა, უშფოთველი ბარათი როგორ დაეწერა. ეს მართლაც არ ეძნელებოდა, უფრო ეძნელებოდა ეს საქმე სხვა დროისათვის გადაედო. და აი ორიოდ სიტყვით მეგობარს პატიება სთხოვა წერილის დაგვიანებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ დაწვრილებით ვერ აუწყებს სათქმელს და უახლოეს ხანებში უფრო შინაარსიანი, დამამშვიდებელი წერილი დაპირდა.

მეორე დღეს იმავე მიდამოებში სეირნობისას შარლოტემ მოხერხებულად გამოიყენა ვითარება და კვლავ განაახლა გუშინდელი საუბარი, იქნებ იმ იმედითაც, რომ ყველაზე საიმედო იარაღი სხვისი განზრახვის შესასუსტებლად წამდაუწუმ იმაზე ლაპარაკია. არც ეღუარდა იყო წინააღმდეგი საუბრის განახლებისა, პირიქით, ძალიანაც უნდოდა დაბრუნებოდა ამ თემას. იგი ლაპარაკობდა ჩვეული გულითადობით და მიმზიდველობით. თავისი შთამბეჭდავი ხასიათის წყალობით ეღუარდა ადვილად ენთუბოდა ხოლმე და ხშირად მისი აკვიატებული სურვილი ისე მომაბეზრებელი ხდებოდა, რომ ამ სიჯიუტეს მოსაუბრე მოთმინებიდან გამოჰყავდა, თუმცა მისი გულახდილობა უზადო დელიკატურობის წყალობით ისე საოცრად მოაღბობდა ხოლმე მოსაუბრეს, რომ, სიჯიუტის მიუხედავად მაინც ნახატრი, ყველასთვის საამური ვინმე რჩებოდა.

სწორედ ამნაირი ქცევით შარლოტე ჯერ მხიარულ გუნებაზე დააყენა, მერე კი საუბრის სხვა თემაზე ოსტატურად გადატანით ისე აუშლვრია ტვინი, რომ აღელვებულმა ქალმა ბოლოს ხმამაღლა შეჰყვირა.

„უატყობ, შენ გინდა სატრფოს აღკუთქვა ის, რაზეც ქმარს უარი ვუთხარი. მაგრამ ნუ გგონია, ჩემო კარვო, — განაგრძო მან, — არ მაღელვებდეს და გულვრილს მტოვებდეს შენი წადილი და ის მოკრძალებული გულფიცხობა, რითაც სათქმელს გამოხატავ. სწორედ შენ მაიძულე გული გადავიშალი. იცო, დღემდე გიძალავდი, მაგრამ ახლა კი გეტყვი, რომ მეც შენს დღეში ვარ, მაგრამ როგორღაც თავს მოვერიე. ამასვე მოვითხოვ შენგანაც“.

„სიამოვნებით ვისმენ, — თქვა ეღუარდმა, — ასე მგონია, ცილ-ქმარს შორის შეკამათება ხანდახან საჭიროც კია, რათა რაღაც ახალი შეიტყონ ერთმანეთზე“.

„პოდა, იკოლდე, — თქვა შარლოტემ, — მეც იგივე მჭირს ოტილიეს მიმართ, რაც შენ — კაპიტანისადმი. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს საყვარელი ბავშვი პანსიონში გაკვაგზავნე, სადაც სულიერად ასე იტანჯება. ჩემი ასული — ლუციანე ძალად საზოგადოებაში ტრიალისთქვისაა დაბადებული და აკი კიდევაც ამზადებენ ამისთვის, როცა ენებს, ისტორიას ასწავლიან და კიდევ მეცნიერებაზე გარკვეულ წარმოდგენას აძლევენ. იგი ყველაფერს ადვილად ითვისებს, როგორც სანოტო ფურცლებიდან მუსიკალურ გამებსა და ვარააცოებს ხელად რომ აიტაცებს ხოლმე. თავის ცოცხალი ბუნებისა და შესანიშნავი მეხსიერების წყალობით, შეიძლება ითქვას, ყველაფერს მყისვე იხსენებს და ასევე მყისვე ივიწყებს. იგი უშუალოდ, გრაციოზული ცეკვებით, მომხიბვლელი საუბრით ყველასაგან გამოირჩევა და ბუნებისაგან მომადლებული ნიჭის წყალობით სხვათა მბრძანებლობას ელტვის და კიდევაც დედოფლობს თავის პატარა წრეში. სასწავლებლის

უფროსისათვის ის პაწია ღვთაებაა, რომელსაც მოძავალში კიდევე მეტი აღზუ-
 ვება მოელის. ეს კი პატივსა და დიდებას მიაგებს მის სასწავლებელს, ნდობას
 მოუპოვებს და სხვა გოგონების ნაკადსაც მოიზიდავს. თუკი სასწავლებლის უფ-
 როსი ჩემდამი მოწერილი წერილებისა და ყოველთვიური ანგარიშების, პირველ
 ფურცლებზე მუდამ აქებ-ადიდებს ლუციანეს სხვებთან შედარებით, რასაც მე
 ჩემებური პროზით უთარგმნი, სულ სხვას ამბობს ოტილიეზე. პატივსა პატი-
 ებაზე მოხივს და დიდი ბოდიშით მაცნობებს, რომ სხვა მხრივ ყველაფრით ასე
 ბრწყინვალე გოგო, არ ვითარდება, არანაირ ნიჭსა და მიდრეკილებას არ ამუ-
 ლავენებს. იცი, ძვირფასო, ყველაფერი, რასაც იგი ოტილიეზე მატყობინებს,
 სულაც არ არის ჩემთვის ამოუხსნელი გამოცანა, რადგან ამ საყვარელ ბავშვში
 მე კარგად ვხედავ მისი განსვენებული დედის — ჩემი უძვირფასესი მეგობრისა
 და თანატოლის ხასიათს. მე მისგან უთუოდ მშვენიერ არსებას შეექმნა, მისი
 აღმზრდელი და ზედამხედველი რომ ვყოფილიყავი.

მაგრამ ამას ხომ ჩვენი გეგმები არ ითვალისწინებს. ან კი რა საჭიროა დღე-
 ნიადაგ ვიცვალათ ცხოვრების ყაიდა რაღაც ახლის შეტანით, რაც ჩვენს ცხოვ-
 რებისეულ ურთიერთობებს ვერც რას შემატებს. ამიტომაც შევურიგდი ასეთ
 ყოფას, როგორღაც მოვთოკე უსიამო განცდა, გამოწვეული, რომ ჩემი თაუნება
 ასული, რომელმაც ძალიან კარგად იცის, საწყალ ოტილიეს ჩვენ მეტი რომ
 არაფერა ჰყავს და მხოლოდ ჩვენზეა მონდობილი, მედიდურობს მის წინაშე თა-
 ვისი აღმატებით და ამნაირი უხიაკი ქცევით წყალში გვიყრის მთელ სიკეთეს.

მაგრამ სად ნახავ ისეთ ღვთისნიერ ადამიანს, ღიახაც რომ არ ისარგებლოს
 თავისი უპირატესობებით. ეინ ამალღებულა ისე, ხანდახან რომ ამგვარი სული-
 ერი დაბეჩავეების ატანა არ მოუხდეს. ასეთი მწარე განცდები კიდევე უფრო ზრდი-
 და ოტილიეს ღირსებას. მისი ჯოჯოხეთური ყოფის ამკარად მხილველმა, რის
 ვაივაგლახით შევეცადე სხვა პანსიონში გადამეყვანა იგი.

ახლა კი ყოველ წუთს ველოდები პასუხს და, როგორც კი მივიღებ, ჭკობიან-
 საც აღარ მოვყვები, განზრახვას უმაღლ შევასრულებ. ასეა, ძვირფასო. ხომ ხე-
 დავ, რა ერთნაირ სატკივარს ვზიდავთ ორივენი მეგობრისადმი ღრმა ერთგუ-
 ლების ნიშნად. მოდი, ერთად ვატაროთ ეს მძიმე ტვირთი, რაკი მისგან თავის
 დაღწევა არ შეგვიძლია“.

„უცნაური ადამიანები ვართ მე და შენ, — ღიმილათ უთხრა ელუარდმა. —
 თუ საზრუნავი ვინმე გვერდით არა გყავს და შორსაა ჩვენგან, გვეგონია, რომ
 საქმე მოგვაკლდა, ზოგადად, იცოცხლე, შეგვიძლია მსხვერპლის გაღება, ხოლო
 კონკრეტულ შემთხვევაში თავგანწირვა იშვიათად გამოგვდის. ასე იყო დედა-
 ჩემიც. ბავშვობისა და სიჭაბუკის წლებში, ვიდრე ერთად ვცხოვრობდით, დღე-
 ნიადაგ ჩემზე უფოთავდა. თუკი ცხენით ნავარდის დროს შინ მობრუნება შემაგ-
 ვიანდებოდა, უეჭველად უბედურებას იწინასწარმეტყველებდა, კოკისპირულ წვი-
 მაში თუ გავილუმპებოდი, ციებ-ცხელება შეეყრებო, წუხდა, მაგრამ სამოგზა-
 უროდ როცა წავედი და მისგან შორს ვიყავი, თითქოს აღარც ვარსებობდი მის-
 თვის. აბა, ღრმად დაუკვირდი ჩვენს საქციელს—განაგრძო ელაურდმა. — ამკა-
 რად უგულოდ და წინდაუხედავად ვიქცევით, როცა ამ ორ უძვირფასეს არსე-
 ბას, ასე სათუთად რომ გვიჩის სულში, ტანჯვასა და განსაცდელში ვტოვებთ და
 ამას მხოლოდ იმიტომ ჩავდივართ, რომ საფრთხეს თავი ავარიდოთ. მითხარი,
 რა ჰქვია ამას, თუ არა თავმოთხეობა. მოკიდე ხელი ოტილიეს, მე კიდევე დამა-
 ნებე კაპიტანი და ღმერთი მოგვცემს ღზენას.“

5
8
2
5
2



„საფრთხე რომ ჩვენ ორს გვემუქრებოდეს, — დაეჭვებით თქვა შარლოტემ, — კიდევ პო, ვაზბუდავი, მაგრამ აბა იფიქრე, არის თუ არა მარტინშეწონილი ოჯახის წევრად გავუხადოთ ოტილიეს კაპიტანი, დაახლოებით შენი ხნის კაცი. ეს ის ასაკია, როცა მამაკაცს, მე ამ ქათანაურს პიტიუმიტისა და სხვა მკვებებში, სიყვარულის ნიჭი უძმაფრდება და ღირსიც ხდება ამ სიყვარულისა. მეორეს მხრივ კი, ოტილიე ხომ ყველანაირი ღირსებით შემკული გოგონაა.“

„ვერ გამოგია, — შეესიტყვა ელუარდი, — რატომ ანიჭებ ასეთ დიდ უპირატესობას ოტილიეს. ალბათ იმიტომ, რომ შენს გულში ოტილიემ დაისაკუთრა მისი გარდაცვლილი დედის ადგილი. კარგი გოგო კი არის, განა ცუდს ვამბობ. აი, ახლა მახსენდება, მოგზაურობიდან რომ დავბრუნდი, შენს დეიდასთან შევხდით მას და კაპიტანმა მითხრა, გულისყური მიაბყარიო. პო, კარგი გოგოა, ვანსაკუთრებით თვალემა აქვს ღამაში. მაგრამ ისეთი არაფერი, რომ გულში ჩამკარდნოდა“.

„მიხარია, ასე რომ ამბობ, — თქვა შარლოტემ, — მეც ხომ აქვე ვიყავი, შენი მეგობარი ქალი და თუმც იგი ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა, მაინც ვერ მოვხიბლა მისმა კოკორიკით ჯერაც გაუფურჩქნებლმა, მაგრამ მრავლისაღმთქმელმა სიღამაზემ. ასეთი რომ ხარ, ამიტომაც მიხარია შენს გვერდით ყოფნა“.

ერთის შეხედვით შარლოტე თავის გულწრფელი იყო, მაგრამ ელუარდს მაინც დაუმაღა ის ამბავი, რომ მოგზაურობიდან დაბრუნებულს განზრახ შეახვედრა ოტილიე. რათა თავისი საყვარელი შეილობილისათვის რიგიანი პარტია შეეთავაზებინა. თვითონ კი ელუარდზე უკვე აღარც ფიქრობდა. კაპიტანიც გააფრთხილა, ელუარდს ოტილიეზე ყურადღება გაუმახვილეო. მაგრამ ელუარდს ისე ჩარჩენოდა გულში შარლოტეს ტრფიალი, მისთვის ამქვეყნად სხვა არაფერს არსებობდა, მხოლოდ ამ გრძნობით ხარობდა, რომ ახლა შეუძლო კვლავ მოეპოვებინა ის საუნჯე, რასაც ოდესღაც ასე აღტყისებით ელტვოდა და რაც სხვადასხვა გარემოებათა გამო რატომღაც სამუდამოდ დაკარგული ვგონა.

ცოლ-ქმარი ის-ის იყო ახალი პარკის გავლით ციხე-დარბაზისაკენ მიმავალ გზას უნდა დადგმოდნენ, რომ მოულოდნელად მათგან გამალებით მოძვეალი მსახური დაინახეს, რომლის მხიარული ხმა ჯერ კიდევ ქვემოდან შემოესმათ:

„ჩქარა, ჩქარა წამობრძანდით, თქვენო მოწყალეებავ, ბატონი მიტლერი ცხენით შემოჯირითდა ციხე-დარბაზის ეზოში, მსახურებს მოგვიხმო და თქვენზე გვითხრა, მოსძებნეთ და ჰკითხეთ, ხომ არ ვჭირდებით, და თუკი ვჭირდება, უთხარით, იჩქარონ მობრძანებაო“

„აი სასაცილო კაცი, — შესძახა ელუარდმა, — ისე, სულზე კი მოგვისწრო, არა, შარლოტე? ჩქარა გაბრუნდი უკან, — უბრძანა მსახურს, — უთხარი გვჭირდება, ძალიან გვჭირდება-თქო. მოაცილევინეთ. ცხენს მოუარეთ, თვითონ კი დარბაზში შეაბრძანეთ, ასაუზმეთ და ჩვენც ძალიან მოვალთ. მოდი, მოკლე გზით წავიდეთ“, — უთხრა მეუღლეს და სასაფლაოსკენ გავლით ციხე-დარბაზისკენ მიმავალ ბილიკს გაჰყენენ. ამ გზით სიარულს ელუარდი ჩვეულებრივ თავს არიდებდა. მაგრამ როგორ გაოცდა, როცა ნახა, რომ შარლოტეს აქაც არ დაეკლო ხელი და გულისყური აქაურობის მოვლა-პატრონობისათვის, ისე სათუთად მიუხედავს, ისე გაფრთხილებია ძველ ქანდაკებებს, ისე მოუწყვია და მოუწყვსრიგებია ასინი, რომ ახლა ეს ადგილი საამო სანახაობად ქცეულიყო და მნახველსაც თვალს მოსტაცებდა.



არც უძველესი საფლავის ქვებისათვის დაუკლია მას პატივი. ისინი გაღვივების გაყოლებაზე ჩამწკრივებულიყვნენ წლებსდა მიხედვით, თან ეკლესიის მაღალ ხეობრკველსაც მრავალფერად ამკობდნენ. ეღუარდა მუცოდრე მამინ აღელდა, როცა სასაფლაოს პატარა ჭიშკარი გამოაღო. მან შარლოტეს ხელზე ხელი მოუჭირა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

ეს ცრემლი ეღუარდა უმაღ შეჰმრა, როგორც კი შერეკილი სტუმარი იხილა. ცხე-ღარბაზში მიტლერს რა რთახვენებდა. აი, დაითხებით მოაჭენა ცხენი სასაფლაოს კარიბჭემდე, მერე შეჩერა და შემოდხვდარ მეგობრებს შესძახა.

„იცოდეთ, არ მომატყუოთ. თუკა მართლა ვჭირდებით, დავრჩება სადილად, თუ არადა, ვამიშვით ჩემს გზაზე. ნუ დამაყოენებთ, დღეს თავზე საყრელადა მაქვს საქმეები.“ „რაკი ესოდენ გაისარჯეთ და აქამდე მოხვედით, — შესძახა ეღუარდმა, — ბარემ შიგაც შემთაჭენეთ ცხენი, ცოტა ხანს შეეჩერდეთ აქ, ვიყით ერთად ამ სამწუხარო ადგილას. ვნახით, რა დიდებულად მორთო და გაამშვენებთ შარლოტემ ეს ვლივის სამყოფელი“.

„როგორ თუ მანდ მოვადე? — იყვირა მხედარმა, — ამას როგორ მაკადრებთ. მანდ მომსვლელი არც ცხენითა ვარ, არც კარუტით და არც ფეხით. დე, მცკვალელებულეებმა მშვიდად იძინონ, მე მათთან არაფერი მესაქმება. აი, როცა ფეხებგაჭიშულს მომეორევენ აქ, მაშინ რაღა ჩარაა, ბედს დავმორჩილდები. თქვენ ხუმრობთ თუ მართლა ვჭირდებით ჩემი შველა“.

„მართლა გეჭირდება, — მიამახა შარლოტემ, — მართლა ეს პირველად გუკვაჭირდა ახალ დაქორწინებულებს, თავგზა აგვებნა და გამოსავალი ვერ ვეიპოვია.“

„რაღაც არ გეტყობათ, — მიუგო მიტლერმა, — მაგრამ მზადა ვარ დაგიჯეროთ. თუ პატყუებთ, ვაი თქვენი ბრალი, სხვა დროს ჩემს დახმარებას ვერ ეღირსებთ. ჩქარა მომყევით, ცხენი დავასვენო.“

მაღე სამივენი ღარბაზში ისხდნენ. საუზმე მოიტანეს, და მიტლერი ცოლქმარს თავის დღევანდელ საქმეებსა და გეგმებზე მოუთხრობდა. ეს უცნაური კაცი ადრე სასულიერო პარი ვახლდათ, თავის დაუღალავ სამსახურეობრივ საქმიანობაში იმით გამოირჩეოდა, რადგან ოსტატურად შეეძლო მოერიგებინა და დაემოშმინებინა ოჯახური თუ მეზობლური ჩხუბი და შეხლა-შემოხლა, როგორც ცალკეულ მეზობლებს, ასევე თემებსა და მემამულეებს შორისაც. ვიდრემდე იგი ამ საქმეს ემსახურებოდა, არც ერთი ცოლ-ქმარი არ განქორწინებულა, არც ერთ ადგილობრივ მოსამართლეს თავი არ შეუწუხებია დავა-უთანხმოებებისა და სჩიურების გამო. იგი დროულად მიხვდა, რაოდენ საჭირო იყო მისთვის სამართალმცოდნეობის შესწავლა, და მალე ისე ღრმად შეისწავლა იურისპრუდენცია, რომ ახლა უკვე საუკეთესო ადვოკატსაც ტოლს არ დაუდებდა, მისი სამოღვაწეო ასპარეზი ისე უჩვეულოდ გაიზარდა, რომ უკვე რეზიდენციამიც კი იწვევდნენ, რათა ზემდგომ ინსტანციებში დაეგვირგვინებინა ქვემოდან დაწყებული საქმე. ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, ლატარიის თვალსაჩინო მოგება ერგო წილად. იყიდა პატარა მამული, იჯარად გასცა, მერე კი ერთბაშად ყველას ყურადღებას ცენტრში მოექცა თავისი ახირებული საქციელის გამო: ძველი ჩვეულებისა და მიდრეკილებების თანახმად, არასგზით არ დაყოვნდებოდა ხოლმე იმ სახლში, სადაც არ იყო საქმე მოსაწესრიგებელი. ის ადამიანები, რომელთაც ბრმად სჯეროდათ გვარისა და ჩამომავლობის უპირა-

ტესობა, ამტკიცებდნენ, საკუთარი გვარის — „მიტლერის“ — შესატყვისი მნიშვნელობა აიძულებს მას ასეთი უცნაური გადაწყვეტილების მიღებას.

როგორც კი ივახშმეს, სტუმარმა სერიოზულად გააფრთხილა მასპინძლები, დროზე თქვით სათქმელი, თორემ ყავას დავლევ თუ არა, მაშინვე უნდა წავიდეთ. ცოლ-ქმარმა დაწვრილებით უაძბო მიტლერს თავიანთი განხატვის და როცა მან საქმის ვითარება გაარკვია, გაჯავრებული წამოხტა ადგილიდან, მივარდა ფანჯარას და მსახურს გადასძახა, ჩქარა ცხენი შემიგაზმეთო.

„ან კარგად არ მიცნობთ, — იყვირა მან, — და საერთოდ ვერ გაგიგიათ ჩემი ხასიათი ანდა ძალიან ბოროტი ხალხი ხართ. სადაური ჩხუბი ეს არის, ანკირა დახმარება გჭირდებათ, ნეტავი. ამქვეყნად იმისთვის კი არ მოვსულვარ, ხალხს რჩევა-დარიგებები ვაძლიო. ამაზე სულელური ხელობა არც არსებობს. დაე, ყველამ საკუთარ თავს თვითონ ურჩიოს და ის აკეთოს, რაც მოეპრიანება. მე რას დავეძებ. კარგად გამოუვა საქმე და ღმერთმა გაახაროს, არ გაუმართლებს და მეც აგერ ვარ. ვისაც უბედურებაში დახმარება სჭირდება, იმან შესანიშნავდა იცის, რაც უნდა. ვისაც იმაზე მეტი უნდა, რაცა აქვს, აი, იმას კი თვალზე ლიბრი გადაკვრია. ჰო, ჰო, შეგიძლიათ იცინოთ. უკეთესის მდომი კაცი კუკუმაღულობას თამაშობს, იქნებ შიაგნოს კიდევ, ვისაც ეძებს, მაგრამ მერე რა. რაც გინდათ, ის ქენით, რაც არ უნდა გააკეთოთ, მაინც ყველაფერი სულერთია, გინდ მოიწვიეთ მეგობრები და გინდ არა, ყველაფერს მაინც ერთი ფასი აქვს. მე ისიც მინახავს, როგორ ჩაფლავებულა ყველაზე გონივრული განზინება და ისიც, როგორ კარგად გამოსულა უგუნური საქმე. თავს ნუ იტყვით ზედმეტი ფიქრით და, თუკი საქმე ცუდად წავივიდეთ, არ შეშინდეთ, დაძიდახეთ და უმაღლესთან გაუჩნდები საშველად. ახლა კი, მანამ ნახვამდის, ვიდრე ნაძღვილად არ დაგჭირდებათ თქვენი მონა-მორჩილი“. — ესა თქვა და ცხენს სწრაფად მოახტა, ყავისათვის არც დაუცლია, ისე გაფრინდა შურდულივით.

„აი ხომ ხედავ, — თქვა შარლოტემ, — რა არაფრის მაქნისია მესამე კაცის ჩარევა, როცა ორ უახლოეს ადამიანს ერთმანეთთან უთანხმოება აქვს. მგონი, აღრინდელზე უფრო მეტად აგვიბნა გზა-კვალი და გაბედულებაც დავკარგეთ.“

ცოლ-ქმარი კიდევ დიდხანს იორჭოფებდა, რომ მოულოდნელად კაპიტნის პასუხი არ მოსულიყო ედუარდის ბოლო წერილზე. იგი ედუარდს ატყობინებდა საკუთარ გადაწყვეტილებაზე ერთ-ერთი შემოთავაზებული წინადადების თაობაზე. თუმცა სამუშაო შესაფერისად არ მიაჩნდა, რადგან ეს ახალი ადგილი მას უქადდა უხალისო ყოფას წარჩინებულ და მდიდარ ადამიანებს შორის, რომლებიც აიძულებდნენ, ეგ ნალველი მალე გაგივლისო.

ედუარდმა ცხადად დაინახა კაპიტნის მძიმე მღვთმარეობა და კიდევაც გამოხატა ეს მძაფრად.

„განა შეიძლება მეგობარი ამგვარ სატანჯველში მიატოვო? ნუ იქნები სასტიკი, შარლოტე!“

„უცნაური კაცია ჩვენი მიტლერი. — მიუგო შარლოტემ, — მაგრამ რას ერჩი, სიმართლე კი თქვა. მსგავსი წამოწყებები ყოველთვის სახიფათო ჩანს. რისგან რა გამოვა, არავინ იცის. ახალ ურთიერთობებს წარმატება მოჰყვება თუ მარცხი, ეს არც ერთ შემთხვევაში არ იქნება არც ჩვენი დამსახურება და არც დანაშაული. მაგრამ დამდალა შენთან ბრძოლამ. მოდი, რაც იქნება-იქნება, ვცადოთ. მხოლოდ იმას გთხოვ, ნუ დავაყოვნებთ საქმეს, რაც შეიძლება მალე მოვაგვაროთ იგი. ამასთანავე ნება მომეცი, უფრო აქტიურად ვიმოქმე-

დო, მაქსიმალურად გამოვიყენო ჩემი ვავლენიანი ნაცნობ-მეგობრები, და იქნებ კაპიტანს მანამდე თავისი შესაფერი სამუშაოც გამოვუნახოთ“.

ედუარდმა ცხოვლად გადაუხადა შარლოტეს მადლობა, შვება იგრძნო და სიხარულით აცნობა მეგობარს ყოველივე წერილობით. შარლოტემ მის წინააღმდეგობის ნიშნად, იქვე ქმრის წერილზე საკუთარი ხელით მეგობრულად მინაწერი გააკეთა, სადაც გულდიად იზიარებდა ედუარდის თხოვნას. შარლოტე მისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქით წერდა, უშუალო და თავაზიან კილოზე, თუმცა თანაც ვაკრული ხელით, რასაც ჩვეული არ იყო, ისე რომ, ბოლოს ქაღალდზე მელანი დააწვეთა. შარლოტეს ძალზე ეწყინა ეს, დალაქული ადგილის ამოფხეკას შეეცადა, მაგრამ ამაოდ, ლაქა კიდევ უფრო მკვეთრად დააჩნდა ფურცელს.

ამაზე ედუარდმა კიდევ წაიხუმრა: რაკი წერილზე კიდევ დარჩა ადგილი, ბარემ მეორე მინაწერსაც გაეკეთებო. იგი მეგობარს თხოვდა: ეს მელნის წვეთი სწორედ იმ მოუთმენლობის და მღელვარების ბრალია, ჩვენს მოლოდინს რომ ახლავსო, და სწრაფად უნდა გამოემკვზაუროს.

წერილი მსახურს გაატანეს ფოსტაში. ედუარდს ეგონა, რომ თავის მადლიერებას შარლოტესადმი სრულად ვერ გამოხატავდა, თუ კვლავაც არ დაუფინებდა, პანსიონიდან ოტილიე დაუყოვნებლივ გამოიყვანო.

შარლოტემ ამ საქმის გადასაწყვეტად დრო ითხოვა, მანამდე კი ედუარდს მუსიკაში წამეცადინების ხალისი გაუღვიძა. შარლოტე შესანიშნავად უკრავდა ფორტეპიანოზე. ედუარდი კი ფლეიტას არცთუ ისე ოსტატურად ფლობდა, თუმცა ხანდახან თავს ძალას ატანდა ხოლმე სამეცადინოდ, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ჰყოფნიდა გამძლეობა და მოთმინება, რაც ასე აუცილებელია ნიჭის განსავითარებლად.

ამიტომაც ეს მუსიკალური პარტიაც ედუარდს არათანაბრად მიჰყავდა, ზოგ ადგილებში კარგად გამოსდიოდა, თუმც მუტისმუტი აჩქარებით კი უკრავდა, ზოგან ტემპს ანელებდა, რადგან ის ადგილი კარგად არ იცოდა, საერთოდ კი ედუარდთან დუეტის შესრულება ყოველთვის ძნელი იყო. მაგრამ შარლოტე მაინც ახერხებდა მის აყოლას.

შარლოტე ხან ანელებდა, ხანაც აჩქარებდა ტემპს და გამოცდილი კაპელმაისტერის და ჭკვიანი დიასახლისის ორწილ ტვირთს ეზიდებოდა. საერთოდ კი ზომიერებას ინარჩუნებდა, მაგრამ ცალკეული პასაჟები ტაქტში ყოველთვის არ ჯდებოდა.

თავი მესამე

კაპიტანი ჩამოვიდა. ჩამოსვლამდე კი წინასწარ უადრესად ჭკვიანური წერილი გამოგზავნა, რამაც შარლოტე ძალზე დაამშვიდა. კაპიტანის მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეხედულება საკუთარ თავზე, მეტისმეტად ნათელი წარმოდგენა თავისი თუ მეგობრების გარშემო შექმნილ ვითარებაზე ცოლ-ქმარს მომაველში ლალ და უჭირველ ყოფას ჰპირდებოდა.

პირველი შეხვედრების დროს საუბრები, როგორც ეს, ჩვეულებრივ დიდი ხნის უნახავ მეგობრებს შორის ჩნდება ხოლმე, ერთობ ცხარედ მიდიოდა, ასე გასინჯეთ, მომქანცველადაც. სადამოხანს შარლოტემ მეგობრები პარკის ახალ მშენებლობაზე წაიყვანა. კაპიტანმა ამ მიდამოებში თავი შესანიშნავად იგრძნო,

მეის შეამჩნია ის საღამაზე, რომელიც თითქოს სწორედ ამ ახალმა გზებმა უფრო გამოაჩინა. კაპიტანს მახვილი თვალი აქონდა. წუნიაც არ იყო, შექმნილი არსებულს დასჯერებოდა, მართალია, კარგად იცოდა, რა იყო სასურველი, მაგრამ უღმობელი ხუმრობით, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, ეჭვებს უფუჭებდა ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი სახლის კარი უშუალოდ გასულეს და გულაღად გამოიტანეს სამხეობე მთელი კუთვნილი ავლადიდება, რაც კი გააჩნდათ. იგი არ მოითხოვდა იმანე მეტს, ვიდრე ამის უფლებას შექმნილი ვითარება აძლევდა, არ ახსენებდა რაიმე უფრო სრულქმნილს, რაც სხვაგან ენახა.

როცა ხავსის ქობთანაც მივიდნენ, სახეს, რა უცნაურად მოურთო შარლოტეს იგი ხელოვნური ყვავილებითა და ზამთრის მწვანეთი, რასაც შიგადაშიგ ბუნებრივი მცენარეებიც გამოერეოდა, იმნაირად მოეკაზმა ქობი ხორბლისა თუ სხვა მარცვლეულთა თაყთაყებათა თუ მიწის ყვავილებისა და ხეხილის კონებით, რომ ყველაფერი ეს ერთად აღებული ამ მშვენიერებათა ავტორის ხელოვანისეულ სულზე დაღადავდა.

„ჩემს ქმარს არ უყვარს თავისი დაბადების თუ სახელის დღეობათა ზეიმით აღნიშვნა, მაგრამ ახლა ხუ გამოაჩინა, თუ ამ ყვავილწნულს დღევანდელ სამგზის დღესასწაულს მიუძღვნა.“

„რა სამგზის, ვერ გავიგე“, — შესძახა ედუარდმა.

„ჰო, სამგზის დღესასწაულს, — მოუგო შარლოტემ, — ჯერ ერთი, ჩვენი მეგობრის ჩამოსვლას, ბუნებრივია, დღესასწაულად მივიჩნევ. გარდა ამისა, მგონი, არც ერთს აღარ გახსოვთ, რომ დღეს თქვენა სახელის დღეობაა. თქვენ ხომ ორივეს ოტო გქვიათ.“

მეგობრებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

„იცი, შენ მომაგონე სიყრმის ამბავი, — თქვა ედუარდმა, — ბავშვობაში მართლაც ორივეს ერთი სახელი გვერქვა, მაგრამ პანსიონშიც რომ ერთად მოვხვდით, გაურკვევლობის თავიდან ასაცალებლად ნებაყოფლობით დაუთმე მას ეს მშვენიერი და ლაკონური სახელი.“

„ეს დათმობა დიდსულოვნებით არ მოგსვლია, — თქვა კაპიტანმა, — კარგად მახსოვს, რომ სახელი „ედუარდი“ შენ გამოირჩევით მოგწონდა. იგი ხომ არაჩვეულებრივად კეთილხმოვანია. მით უმეტეს, როცა საყვარელი ბავშვები წარმოთქვამენ“. ახლა ისინი სამნი შემოსხდიმოდნენ იმ მაგიდას, რომელთანაც ამ რამდენიმე დღის წინ შარლოტე თავგამოდებით ეურჩებოდა ქმარს სტუმრის მოწვევაზე. ახლა ედუარდი ისე გულშეჯერებული იყო, რომ არ უნდოდა ცოლისათვის კვლავ შეეხსენებინა ეს უსიამოვნო ამბავი. ბოლოს თავი მაინც ვერ შეიკავა, რომ არ ეთქვა:

„მეოთხისთვისაც დარჩა ადგილი, რომ იცოდე.“

სწორედ ამ წუთში ციხე-დარბაზიდან გაისმა მონადირეთა ბუკის ხმები, რომლებმაც თითქოს უმაღლ დაადასტურეს და განამტკიცეს ერთად თავშეყრილი მეგობრების კეთილი ზრახვები და სურვილები. ისინი მდუმარედ, საკუთარ ფიქრებში ჩაძირულნი უსმენდნენ ამ ხმებს და ორწილ განიცდიდნენ მათი ურთიერთკავშირით გამოწვეულ ნეტარებას.

პირველად ედუარდმა დაარღვია დუმბილი, წამოდგა და ქობიდან გარეთ გამოვიდა.

„მოდე, მეგობარი ყველაზე მაღალ ბეჭობზე ავიყვანოთ. — უთხრა მან შარლოტეს, — არ ვგონოს, რომ მხოლოდ ეს მომცრო დაბლობია ჩვენი მამული და

სამკვიდრებელი. როცა მთის მწვერვალზე დგახარ, კაცს თვალსაწიერი ვიფართოვდება და გულიც ლაღად ვიძგერს“.

„თუმცა ამჯერად კვლავ უწინდელი ციცაბო ბილიკით აუწყვებით მალისკენ მიმავალ გზას, — შეესიტყვა შარლოტე, მაგრამ სულ მალე იძმედი მაქვს, რომ მიერ გაკეთებული საფეხურები და საცალფეხო გზები უფრო მეტად უწყობენ ვიყვანს მწვერვალზე“.

კლდეების, ბუჩქნარებისა და ჯაგნარების გავლით, როგორც იქნა, ბოლო მწვერვალს მიაღწიეს, რომელიც ტაფაჭალოვან ადგილს კი არა, მარად მწვანეთი დაფარულ, პოხიერნიადაგიან მთის ქედს წარმოადგენდა. აქედან აღარც ციხე-დარბაზი ჩანდა და აღარც სოფელი, დაბლობზე მოჩანდა მხოლოდ ვრცელი ტბორები, გაღმა—მწვანე ბაღებით აბიბინებული ბორცვები, რომელთა გასწვრივ ეს ტბორები გადაჭიმულიყვნენ. ციცაბო კლდეები მკვეთრად ესაზღვრებოდნენ წყლის სარკისებურ ზედაპირს, რაშიც ბუნების დიდებული სანახები ირეკლებოდა. ხევში, იმ ადგილას, სადაც მკვირცხლი ნაკადული გუბურებში ჩაედინებოდა, წისქვილი მიმალულიყო და მყუდრო დასასვენებელ სამყოფელს ქმნიდა. ნაირფერად იმზირებოდნენ ნახევარწრეების მსგავსი დაბლობები და ხეობები; ბუჩქნარები და ტყეები, რომელთა ახლად აბიბინებული სიმწვანე სიუხვით სავსე სანახაობას გპირდებოდა მერმისში. მნახველთა თვალს იზიდავდა აგრეთვე სხვადასხვა ჯიშის ხეთა კორომები. მეტადრე გამოარჩევდით მეგობართა ფერხითი შუა გუბურის განაპირას შეჯგუფულ ალვის ხეებსა და ჭადრებს, ამაყად რომ აღმართულიყვნენ — ტანმალაღნი, ქორფა და საღნი, ცაში ატყორცნილნი და ფართოდ გაშლილნი. მეგობრები გატაცებით შეჰყურებდნენ ამ მშვენიერ მიდამოებს.

ედუარდმა საგანგებო ყურადღება მიაქცევინა მეგობარს ამ სანახაობაზე. „ესენი ჩემი ხელით დავრგე სიყმაწვილეში. უწინ ეს ქორფა ბაყილოები მე გადავარჩინე მაშინ, როცა მამაჩემმა ციხე-სიმაგრის უზარმაზარი ბაღის ერთი ნაწილის გასაშენებლად კაპანაქება ზაფხულში მათი ამოძირკვა ბრძანა. წლეულსაც რომ გამოისხეს ახალი ყლორტები, ესეც ჩემი დამსახურებაა.“

კმაყოფილნი და მზიარულნი გამობრუნდნენ უკან. სტუმარს ციხე-დარბაზის მარჯვენა ფლიგელში მყუდრო, ფართო ოთახი მიუჩინეს. აქ მან მეტად სწრაფად დააღაგა წიგნები, ქაღალდები და საჭირო ხელსაწყოები, რომ მისი ჩვეული საქმიანობა სტუმრად ყოფნისასაც გაეგრძელებინა. პირველ ხანებში ედუარდი მეგობარს მოსვენებას არ აძლევდა. ყველგან დაჰყავდა ხან ცხენით, ხან ფეხით, აცნობდა ადვილ-გარემოს, მამულს, თანაც თავისი დიდი ხნის სურვილიც აუწყა — შენთან უკეთ დაახლოვება და შენი შესანიშნავი ცოდნა-გამოცდილების გამოყენება კარგა ხანია გულში მქონდაო.

„პირველი, რაც უნდა გავაკეთო, — თქვა კაპიტანმა, — ეს არის ამ ადგილის ფოტოგრაფირება მაგნიტური ისრის საშუალებით. ეს მეტად ადვილი და სახალისო საქმეა. სიზუსტე ეგებ ზედმიწევნით ვერ დავიცვათ და შეცდომაც გავუპაროს, მაგრამ დასაწყისისათვის მეტად სასარგებლო და საჭიროა ამის გაკეთება. თან ისიცაა, საამისოდ ბევრი მომხმარე არ დაგვჭირდება, ხოლო თუ ოდესმე ზუსტი გაზომვა იქნება საჭირო, რაღაცას კიდევ მოვიფიქრებო.“

გადაღებებში კაპიტანი ფრიად გამოცდილი იყო. მან საჭირო ხელსაწყოები მოიტანა და საქმეს მაშინვე შეუდგა. მერე რაღაც-რაღაცები აუხსნა ედუარდს, რამდენიმე ეგერსა და გლეხს, რომლებიც გაზომვაში უნდა მოხმარებოდნენ.

დღეები შრომასა და გარჯაში ილუიდა, საღამოობათ და აღრე დილით კაპიტანი ხაზვასა და შტრიხვას უნდებოდა. მალე ყველა ნახაზი დატუშა და გააფერადა, და აი, ელუარდმა თითქოს პირველად დაინახა ქალაღზე ასე ნათლად და ცხადად თავისი ადგილ-მამული, როგორც სრულიად ახალი, უცხო რამ ქმნილება. ეგონა, დღეს გაიცნო იგი პირველად, დღეს გახდა ეს ადგილმამულმსახური.

ამან კი საბაბი მისცა მეგობრებს საღბარი აქაური მხარის, მხარის პარკის შესახებ ჩამოეგდოთ, რასაც მათი გეგმა უფრო უკეთ შეასხამდა ხორცს, ვიდრე შემთხვევითი შთაბეჭდილებებისა და ბუნების ბრმად მიყოლა.

„ეს აზრი ჩემს ცილს კარგად უნდა აუეხსნათ, თორემ სხვაგვარად არ გამოვა.“

„არ არის საჭირო“, — მიუგო კაპიტანმა, რომელსაც არ უყვარდა, როცა სხვათა შეხედულებებს უპირისპირდებოდა. გამოცდილებით იცოდა, რამდენი კაციცაა სამყაროში, იმდენი სხვადასხვა შეხედულება არსებობს და ძალიანაც რომ ეცადო, მათ ერთ წერტილში თავს ვერ მოუყრი.

„გირჩეენია, არაფერი უთხრა, — გადაჭრით თქვა მან, — თორემ შარლოტეს მთლად აებნევა გზა-კვალი. იგი იმ ყაიდის ადამიანია, ხელოვნებისადმი სიყვარულს რომ ჩემულობს და ამიტომაც მისდევს ამნაირ საქმეს. ასეთი ადამიანებისთვის მთავარია ზოგადად აკეთონ რამე, ვიდრე სრულქმნას შიადწიონ და საქმე ბოლომდე მიიყვანონ. ასეთი ადამიანი ხელით ეხება ბუნებას, ამოიჩემებს რომელიღაც ადგილს, მაგრამ ვერ ახერხებს დაბრკოლებათა გადალახვას, ვერ არის იმზომ გაბედული, რომ მსხვერპლი გაიღოს. წინასწარ ვერ საზღვრავს, რა გამოვა აქედან. იგი, უბრალოდ, ცდას აკეთებს, ზოგჯერ ეს ცდა წარმატებული გამოუდის, ზოგჯერ წარუმატებელი, ისეთ საგანს უცვლის ხოლმე სახეს, რომლის უცვლელად დატოვება უფრო იყო საჭირო, ხოლო უცვლელად ტოვებს იმას, რაც უნდა შეცვლილიყო. ბოლოს და ბოლოს კი გეთავაზობს ისეთ დაუსრულებელ ფრაგმენტულ ნამუშევარს, რაც, მართალია, მოგწონს, ვიზიდავს, მაგრამ ბოლომდე მაინც არა.“

„გულზე ხელი დაიდუ და მითხარი, — ჰკითხა ელუარდმა, — ხომ არ მოგწონს ეს ახლად გაშენებული პარკი?“

„შესრულება რომ ჩანაფიქრს შეესატყვისებოდეს, არაფერი მექნებოდა სათქმელი. არადა ჩანაფიქრი უთუოდ კარგია. შარლოტემ, ეტყობა, დიდი წვალუბის წილ გააკეთა კლდეებს შუა გზა და ახლა თვითონ აწვალუბს ყველას, ვინც კი მასზე ასვლას მოინდომებს. საქმე ისაა, რომ ვერასგზით თავისუფლად ვერ მიხვალ ადგილზე. ვერც გვერდს აუვლი, ვერც ფეხს გადაადგამ, როგორც გინდა, ყოველ წუთს გერღვევა ნაბიჯთა რიტმი. სხვა მხრივ კი, აბა, რა გითხრა.“

„სხვაგვარად თუ შეიძლებოდა ეს ყველაფერი გაკეთებულიყო?“ — ჰკითხა ელუარდმა.

„ძალიან ადვილად, — მიუგო კაპიტანმა, — საჭირო იყო კლდის ერთი კუთხის ჩამოტეხვა. იგი უშნოდ იმზირება და მთლად დაფშვნილია. გამოვიდოდა მთაზე ასასვლელი კოხტა მოსახვევი, თანაც არც ქვების ნაკლებობა იქნებოდა, ვიწრო და მოუხერხებელ გზებზე ადგილებს ქვებით ამოვაშენებდით. მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენ შორის საიდუმლოდ უნდა დარჩეს, ნუ შეაშფოთებ და გააღიზიანებ მას ამეუბის თქმით. რაც გაკეთებულია, დარჩეს ხელუხლებლად. მომავალში კი, თუკი ფულსა და ენერგიას არ დაიმურებთ, ქოხის ზევით თვით მწვერვალზეც რაღაც ახალი მოვიფიქროთ, უკეთესი რამე გავაკეთოთ.“

მეგობრებს ყოველდღიურად უამრავი საქმე ჰქონდათ, თუმც არც წარბუღს ივიწყებდნენ, რაშიც შარლოტეს ცხოველ მონაწილეობას იღებდა. გარდა ამისა წესად შემოიღეს დაწყებული სამუშაოს შესრულებამდე მოგზაურობის ჩანაწერთა კითხვა და ამით წარსულის გახსენება.

სხვათა შორის ედუარდი ახლა უკვე იშვიათად რჩებოდა შარლოტესთან მართლ, მეტადრე მას შემდეგ, რაც კაპიტანმა მის მიერ გაშენებულ პარკს წუნი დასდო. ედუარდს სამართლიანად მიაჩნდა კაპიტანის შენიშვნა და გულით აწუხებდა ეს ამბავი. დიდხანს დუმდა იგი იმაზე, რაც კაპიტანმა გაანდო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი ცოლი კვლავ შეუდგა ხავსის ქიხიდან მოყოლებული მწვერვალისაკენ მიმავალი ბილიკებისა და საფეხურების აყვანას, ბოლოს და ბოლოს თავი ველარ შეიკავა და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მიახალა თავისი შეხედულება ამის თაობაზე.

შარლოტე საგონებელში ჩავარდა. იგი საკმაოდ ჭკვიანი იყო საიმისოდ, რომ ვერ მიწხვდარიყო კაპიტანის მიერ აღმოჩენილი ხარვეზის მართებულობას. მაგრამ უკვე გაკეთებული საქმე იძულებულს ხდოდა ფარ-ხმალი არ დაეყარა. მას გულით მოსწონდა თავისი ნაცოდვილარი, მისი ცალკეული წვრილმანი, იქამდე, რომ ბოლომდე მიმზიდველი ეჩვენებოდა ისიც, რაც შენიშვნას იმსახურებდა. წინააღმდეგობას უწევდა სხვების მოსაზრებებს, ბოლომდე თავკამოდებით იცავდა თავის პატარა ნაღვაწს, კიცხავდა მამაკაცებს, რომლებიც ასე ხელაღებით წამოიწყებენ ხოლმე უზარმაზარსა და რთულ საქმეს, ხოლო სახუმაროსა და თავშესაქცევს უძალე დიდ ამბად აქეუვენ, არ ფიქრობენ იმ ხარჯებზე, დიდ-დიდი გეგმების ხორცშესხმა რომ მოითხოვს. იგი განაწყენდა, გაჯავრდა, გაგულისდა. არც ძველი ეთობოდა, არც ახლის სავსებით უარყოფა ძალუძდა. მაგრამ მაინც ჭკვიანი ქალი იყო და სწრაფად შეაჩერა მუშაობა, დრო მოითხოვა მოფიქრებისათვის, უნდოდა ფიქრისათვის მომწიფება ეცლია.

მამაკაცები აქტიურად და ხალისით ჩაებნენ საქმიანობაში. განსაკუთრებული სიბეჯითით მოჰკიდეს ხელი მინის სათბურებისა და ხელოვნური ბაღების მოწყობას, თანაც სარაინდო წვრთნასაც განაგრძობდნენ ჩვეულებისამებრ, იქნებოდა ეს ნადირობა, ცხენების ყიდვა-გაყიდვა, გაცვლა-გამოცვლა, გახედნა თუ ჭენება. შარლოტე ამასობაში მთლად ჩამოშორდა თავის ყოველდღიურ ფაციფუსს, განმარტოვდა, იგი უმთავრესად წერილებს წერდა, ცდილობდა კაპიტანისათვის შესაფერისი სამუშაო ეშოვა, თუმცა მოწყენილობა თავს მაინც არ ანებებდა. ასეთ სევდიან ყოფაში სასიამოვნო და თავშესაქცევ ამბად ექცა ამბები, პანსიონიდან რომ მოდიოდა.

მაგრამ სასწავლებლის უფროსის ვრცელ წერილს, რომელიც ჩვეულებისამებრ დიდის ამბით აუწყებდა შარლოტეს მისი ასულის წარმატებებს, თან მოკლე მინაწერიც ახლდა. ჩვენ ვთავაზობთ ამ მინაწერს და აგრეთვე მისი მამაკაცი თანაშემწის ხელით დაწერილ პატარა ბარათსაც.

სასწავლებლის უფროსის მინაწერი:

„ოტილიეს შესახებ, ჩემო მოწყალეო ქალბატონო, იგივეს გავიმეორებ, რაც წინა წერილებშიც არაერთხელ მითქვამს. მე არ ვკილაჲ, მაგრამ არც კმაყოფილი ვარ მისით. იგი დღესაც წინანდებურად მოკრძალებული და ხათრიანია. მაგრამ მისი ეს ჩრდილში დგომა და საკუთარი თავის უგულებელყოფა, მართალი ვითხრათ, არ მომწონს. თქვენმა მოწყალეობამ ხომ გამოუგზავნა მას ფული და ნაირ-ნაირი საკაბუები, მაგრამ ფულისთვის ხელიც არ უხლია, არც საკაბე-

ები შეუკერავს, სათუთად ინახავს კარადაში, შეკერვაზე არც კი ფიქრობს. მე არც ჭამა-სმაში მისი თავშეკავება მომწონს, მართალია, აღსაზრდელებს საჭმელი თავზე საყრელად არა აქვთ, მაგრამ უზომოდ მახარებს, როცა ბავშვები გემრიელად შეექცევიან გამოცდილი მზარეულების მიერ საუცხოოდ შემზადებულ კერძებს. სუფრაზე მოტანილი საჭმელი ბავშვმა მაღიანად უნდა მიიწიოს, უტილიეს ამას ვინ გააკეთებინებს. მაინცდამაინც ჭამის დროს გამოიგონებს საქმეს, მაშინ გაახსენდება მსახურის მიერ დაუდევრად შესრულებული სამუშაოს გამოსწორება და ამას მხოლოდ იმიტომ სჩადის, როგორმე თავი აარიდოს რომელიმე კერძს, ან და დესერტს. გარდა ამისა, იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ მარცხენა თავის ქალაში ტკივილები აწუხებს, ეს ამბავი სულ ახლახანს გავიგე. ტკივილები თუმც დიდხანს არ გრძელდება, მაგრამ ძალიან კი ტანჯავს. აი, ყველაფერი, რასი თქმაც მინდოდა, სხვა მხრივ ეგოდენ საყვარელ და მომხიბვლელ ბავშვზე."

თანაშემწის ბარათი

„ჩვენი პატივცემული სასწავლებლის უფროსი, ჩვეულებრივ, წასაკითხად მამლევს ხოლმე წერილებს, რომლებშიც იგი აღსაზრდელებზე თავისი დაკვირვებების შესახებ აუწყებს მშობლებსა და მეურვეებს. თქვენი მოწყალებისადმი მიწერილ ბარათს მე სავანგებო ყურადღებით, ორწილი სიამოვნებით ვკითხულობ, რადგან, ჩემი აზრით, თუკი შეიძლება, როგორც დედას, მოგილოცოთ თქვენი ასულის ყოველად ბრწყინვალე წარმატებები, რაიც მას ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს მაღალ საზოგადოებაში, ასევე არანაკლები ბედნიერება უნდა იყოს თქვენთვის. ქება-დიდება შეილობილისა, ვისაც დედის მაგივრობას უწევთ და ვინც სხვათა სიკეთის ქმნისა და გახარებისთვის და, რაღა თქმა უნდა, აგრეთვე საკუთარი ბედნიერებისთვისაც მოვლენილი არსებაა ამქვეყნად. ოტილიე ერთადერთი აღსაზრდელია, ვისზეც არ შემძლია გავიზიარო ჩვენი პატივცემული უფროსის აზრი. მე, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ვიცხავ ამ საქმიან ქალს, როცა იგი მოითხოვს — მისი შრომის ნაყოფი ამკარა და ყველას დასახანად გამოჩნდეს, მაგრამ ხომ არსებობს ისეთი ნაყოფიც, ჩვენგან რომ დაფარულია, მაგრამ უფრო ჯანსაღიცაა და ადრე თუ გვიან ლამაზ სიცოცხლედ განვითარდება. სწორედ ასეთი ვინმეა თქვენი შეილობილი. იქიდან მოყოლებული, რაც მას ვასწავლი, ყოველთვის ვამჩნევდი, რარიც თანაბრად, ნელ-ნელა მიიწევს მხოლოდ წინ. მას არასოდეს ჩვევია უკან დახევა, თუკი ბავშვისთვის აუცილებელია სწავლების თავიდან დაწყება, უთუოდ მისთვისაა საჭირო, თუ წინიდან არ გამოძინარეობს, იგი ახსნილს ვერ გაივებს. უმწეოა, ჩიბში მოექცევა ხოლმე უბრალო ამოცანის ამოხსნისას, როცა ამოცანა არაფერს უკავშირდება. მაგრამ საკმარისია გასადეხი მოსძებნოს, იპოვოს დამაკავშირებელი რგოლი და ურთულეს ამოცანასაც გაივებს და წარმატებით ამოხსნის.“

ასეთი ნელი წინსვლის გამო იგი ყოველთვის ჩამორჩება თანაკლასელებს, რომლებიც სხვანაირ ნიჭსა და უნარს ამჟღავნებენ, იმათ არანაირი დამაკავშირებელი რგოლები არ სჭირდებათ, ყველაფერს ადვილად ითვისებენ, ადვილად იმახსოვრებენ და მარჯვედ იყენებენ, ოტილიე კი ვერ ითვისებს, თუ მასწავ-

ლებელი მასალას შეტისმეტად სწრაფა ტემპით ხსნის, ასეთი რამ კი ხშირად ხდება გაკვეთილზე, რომლებსაც შესანიშნავი, მაგრამ ფიცხი და მოუთმენელი მასწავლებლები ატარებენ. მას ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ ცუდი ხელწერა აქვს და გრამატიკის წესებს ძნელად ითვისებს. მე კარგად შევისწავლე, რა არის ამის მიზეზი, მართალია, იგი ხელა და როგორღაც დასწავლეს წერს, მაგრამ არცთუ დუნედ და უგვახოდ. მან აღვიღად გაიგო ერთხელ ფრანგული ენის გაკვეთილზე ჩემს მიერ ახსნილი მასალა, ფრანგულს საერთოდ მე არც კი ვასწავლი, ამ დღეს შემთხვევით შევედი კლასში გაკვეთილის ჩასატარებლად. ფრთად უცნაურია, რომ მას ძალიან ბევრა იცის და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ შეკითხვის დროს თავი ისე უჭირავს, თითქოს არაფერიც არ იცოდეს.

თუ ნებას მომცემთ, წერილს ბოგადა შენიშვნით დავაშთავრებ და ეს იქნება ჩემი დასკვნა, შემოთქმულიდან გამომდინარე, იგი სწავლობს არა როგორც აღსაზრდელი ვაჟონა, არამედ როგორც პიროვნება, რომელიც თვით უნდა იყოს მომავალში აღსაზრდელი. იქნებ თქვენს მოწყალებას ეს განცხადება უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ მე, როგორც აღსაზრდელი, უფრო დიდ ქება-დიდებას არც მოვისურვებ ვინმესაგან, ვიდრე იმას, რომ საკუთარ თავს შემადაროს. თქვენი შორმსჭერუტელობა, დრმა ცოდნა აღაზიანებისა და ძალიან საზოგადოების ბუნებისა, იმედი მაქვს, მოგებმარებათ ჩემი მოკრძალებული და კეთილისმსურველი შენიშვნებისაგან სწორი დასკვნა გამოიტანოთ. თქვენ დარწმუნდებით, რომ ამ პაუზისაგან შეიძლება სასიხარულო შედეგს ველოდეთ. მე ვთხოვ თქვენს მოწყალებას გულისფერით წაიკითხოთ ჩემი ბარათი და ნება დაბრთით, კვლავაც მოგწეროთ, თუკი რაიმე არსებითი და სასიხარულო სიახლე განხდება“.

შარლოტე გაახარა ამ სტრიქონებში, რომლის შინაარსი სავსებით დაემთხვა ოტილიეზე მის შეხედულებას. ამასთანავე დიდიხელეც ვერ შეაკავა მასწავლებლის შედმეტ გულახდილობაზე, რაც უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე ჩვეულებრივ კმაყოფილებას მოწაფის გამო. ჭკვიან, ცრურწმენისაგან თავისუფალ შარლოტას შეეძლო დაეშვა სხვა რამეების გვერდით ასეთი განწყობილების არსებობაც. ამ ხლად მოაზროვნე კაცის ხიშპათიას ოტილიესადმი იგი პატივისცემის ღირსად თვლიდა. ცხოვრებამ ასწავლა, რომ ჭკმმარიტი მიდრეკილების დაფასება უთუოდ საჭიროა ამ განუკითხაობათა და უსიფვარულობით სავსე ქვეყანაში.

მალე მზად იყო ტომოგრაფიული რუკა, რომელზეც ელუარდის ადგილ-მამული თავისი შემოვარებით საკმაოდ დიდი მასშტაბით სრულიად ნათლად და გამოკვეთილად აღიბეჭდა კალმით მოხაზული მტრიხებისა და საღებავების საშუალებით, რასაც კაპიტანმა ტრიგონომეტრიული განზომილების სიზუსტე მასცა. ყველაფერი ასე ხელდახელ იმიტომაც გაკეთდა, რომ არავის დღე-ღამეში ისე ცოტა ხანს არ ეძინა, როგორც ამ გამრჯე კაცს. მთელი დღის მანძილზე ხომ გამუდმებით საქმეებში იყო თავნარგული, საღამოობითაც სულ მუდამ რაღაცას უკირკიტებდა, სამუშაოს გარკვეულ ნაწილს ამთავრებდა.

„ახლა სხვა რამეებსაც მივხედოთ, — უთხრა მან მეგობარს, — კერძოდ ადგილ-მამულის აღწერა მოვახდინოთ. შენ ალბათ წინასწარ საკმაო ცნობებს მოამზადებდი, რომელია წყალობით ცალკეულ ნაკვეთთა საოჯახო შეფასებებს და აგრეთვე სხვა მონაცემებსაც გაუიგებთ, ოღონდ ძალიან ვთხოვ, ერთ საკითხში შევთანხმდეთ. ნუ აურევ ერთმანეთში საქმესა და ცხოვრებას, მკვეთრად განასხვავე ისინი ერთმანეთისაგან. იცოდეთ, საქმე სერიოზულობასა და სიმკაცრეს მოითხოვს, ცხოვრება კი — თვითნებობას. საქმე სრულ თანმიმდევ-

რობას საჭიროებს, ხოლო ცხოვრებას ხშირად არათანმიმდევრულობა კშვენის, რაც ზოგჯერ სანატრელსა და გასახარელს ხდის მას. რაც უფრო ხალდი ხარ საქმეში, მით უფრო ლაღად გრძნობ თავს ცხოვრებაში. საკმარისია ესენი ერთმანეთში აირიოს და სილაღეც უმაღ მინავლდება ფეხებზე დასრდება.“

ეს სიტყვები ეღუარდს ფარულ საყვედურად ერგვნა. ~~ხუმარა~~ უწესრიგო არ იყო, მაინც ვერა და ვერ დააყენა საშველი თავისი ქაღალდები და ნივთები წესრიგში მოეყვანა. ეს ქაღალდები კი, სხვებს ეხებოდა ისინი თუ საკუთრივ მას, არეულ-დარეული ეყარა, ვერ იქნა და ვერ გამოიჯნა ერთმანეთისაგან, ერთის მხრივ, საქმე და სამუშაო, ხოლო, მეორეს მხრივ, შექცევა-დროსტარება და ძალების დაქსაქსვა. ახლა კი ერთობ შევებით ამოისუნთქა, რაკი მეგობარმა იღო თავს ამის მოგვარება. მეორე „მე“-მ მოახერხა ამ ერთმანეთში აბნეული მასალების გადარჩევა-გადალაგება, რაც პირველ „მე“-ს ყოველთვის უჭირდა.

კაპიტნის ფლიგელში მათ მოაწყვეს თაროები. წარსულისა და მიმდინარე საარქივო მასალების საცაიცი დააღაგეს, კარადებსა და ყუთებში დაძებნეს და ოთახში შემოიზიდეს დოკუმენტები, საბუთებია, ცნობები და ძალე ეს დაზვავებელი ქაღალდები სამაგალითოდ მოაწესრიგეს. ყველაფერი დარგების მიხედვით დაჰყვეს რუბრიკებად, თან წარწერები გაუკეთეს. რასაც კი მოასურვებდი, უმაღ იპოვიდი, რაზედაც აქამდე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ამაში მათ დიდი დახმარება აღმოუჩინათ საქმის ძველმა მწარმოებელმა, ვისზეც ეღუარდა გამუდმებით საყვედურობდა. იგი მთელი დღეების განმავლობაში, ზოგჯერ ღამითაც კი არ სცილდებოდა იქაურობას.

„ველარ ვცნობ მას, — უთხრა ეღუარდმა მეგობარს, — ხედავ, როგორ ივარგა“.

„ახუა, — მიუგო კაპიტანმა — ვადრე ძალთა შესატყვისად ძველ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანს, მანამ ახალს ხელს არ ვაკიდებინებთ და აი, შედეგმაც არ დააყოვნა. საკმარისია ოღნავ შეეშალოს ხელი და ველარაფერსაც ველარ გააკეთებს“. ასე ატარებდნენ დღეებს ერთად მეგობრები, თუმც არც შარლოტეს მონახულება ავიწყდებოდათ საღამოობით, თუკი ამ დროს მასთან მეზობელი სოფლებიდან და მამულებიდან ჩამოსული სტუმრები არ იმყოფებოდნენ. ეს ხშირად ხდებოდა ხოლმე, მაშინ ისეთ საგნებზე საუბრობდნენ და ისეთ წიგნებს კითხულობდნენ, ბიურგერული ყოფისათვის სიკეთე, სიამე და სარგებლობა რომ მოჰქონდა.

შარლოტეს ისედაც ჩვეოდა აწყობითი შემოზღუდვა და ახლა, როცა თავის ქმარს გულსავსეს ხედავდა, თვითთონაც მშვიდად იყო. მან სწორედ კაპიტნის შემწეობით განახორციელა ათასი შინაურული საქმე, რისთვისაც კარგა ხანია უნდოდა თავი მოეხა, მაგრამ აქამდე ვერაფრით მოეხერხებინა. შარლოტემ წიგნებში წაკითხულისა და მოსმენილის მიხედვით ამოკრიბა და შეავსო საოჯახო აფთიაქი, რომელშიც აქამდე თითო-ორილა წამალი თუ ინახებოდა. ახლა მას შესაძლებლობა ჰქონდა უფრო აქტიურად, ნაყოფიერად დახმარებოდა სხვებს საჭირო წამლებით.

ჩხუდველობიდან მათ არც უბედური შემთხვევები გამორჩენიათ, რაც ასე ჩვეულებრივი ამბავი იყო ამ მხარეში და ხშირად ატყდებოდა ხოლმე თავს აღარაჩებს. მოიძარაგეს წყალწაღებულთა გადასარჩენად საჭირო წამლებიც და სხვა რამ საშუალებებიც, რადგან ამ ადგილებში ბლომად იყო გუბურე-

ბი, ტბორები, მდინარეები და უბედური შემთხვევებიც წარამარა ხლებოდა, კაპიტანი საგულდაგულოდ მოეკიდა ამ რუბრიკას. ელუარდს ანაზღად წამოსცდა, რომ ერთი შემთხვევა ფრიად არახვეულებრივ მოვლენად იქცა მისი მეგობრების ცხოვრებაში. კაპიტანმა დუმილით აუარა გვერდი ელუარდის ნათქვამს, ეტყობა, არ უნდოდა სევდიანა ამბების გახსენება და ელუარდმაც ხეივანულად გააგრძელა. შარლოტეც დუმდა, მან უკვე იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ საჭიროდ აღარ ჩათვალა აპყლოლოდა ქმრის მიერ წამოწყებულ საუბარს.

„მოვლილი ადგილები იქნებ ურიგოდ არ გამოიყურებოდეს და შექებასაც იმსახურებდეს. — თქვა ერთ საღამოს კაპიტანმა, — მაგრამ მაინც სჯობდა ვინმე გამჭრიახი ჭკუა-გონების კაცი გამოგვეჩვენა, ვინც ყველაფერ ამას უკვე ითვლიდა და უბატრონებდა. მე შემძლია პოლკის ერთი ცნობილი ქირურგის კანდიდატურა შემოგთავაზოთ. იგი ახლა ისეთ დღეშია ჩავარდნილი, შესაძლოა მცირე ხელფასსაც დაგჯერდეთ. თღონდ ესაა, თავისი საქმის ბრწყინვალე სპეციალისტია, ჩემთვისაც არაერთხელ აღმოუჩენია დახმარება მძიმე ავადმყოფობის დროს და, ვგონებ, უფრო უკეთაც, ვიდრე სახელგანთქმულ ექიმებს. სასწრაფო დახმარება კი ყველაზე მეტად სჭირდება ადამიანს მითუმეტეს სოფლის პირობებში, სადაც იგი ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ.“

ქირურგი დაუყოვნებლივ მოიწვიეს და ცოლ-ქმარი გახარებული იყო, რომ ეგზომ საჭირო საქმეს მოხმარდა ის თანხა, რაც სხვა დროს ფუქსავატურად ეხარებოდათ.

შარლოტემ კაპიტანის ცოდნა და გამოცდილება თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ამიტომაც ძალზე კმაყოფილი იყო მისი შათთან ყოფნით. აგი წასიწარ ემზადებოდა რა შეკითხვები მიეცა მისთვის. მას სიცოცხლე უყვარდა, ამიტომ, მუდამ ცდილობდა ყველაფერი, რაც სიკვდილს მოავგონებდა, თავიდან მოეშორებინა. მას ცოტა თავსატეხს როდი უჩენდა თიხის ქოთნებზე გახენილი ტყვიის სარკალა ანდა სპაღეტის ჭურჭლებზე მოდებული ფანგარო.

ამის გამოძწვევ მიზეზებს ეკითხებოდა კაპიტანს, რომელიც, რა თქმა უნდა, ფიზიკისა და ქიმიის ძირითად კანონს იშველიებდა, რათა შარლოტესათვის დასაბუთებული პასუხი გაეცა.

ასეთ თემებზე საუბრისას მოულოდნელ, მაგრამ მუდამ სასურველ ეფექტს ქმნიდა ელუარდის მიდრეკილება დეკლამაციისადმი. მას რბილი, სასიამოვნო ხმა ჰქონდა. სიტყვებისას მსმენელთა შორის სახელი გაითქვა პოეტური და ირატორული ხელოვნების ნიმუშთა უბადლო და გრძნებით აღსავსე კითხვით. მაგრამ ამჯერად სულ სხვა რამ იზიდავდა, სხვა ხასიათის წიგნებს ეტანებოდა, უკანასკნელ ხანებში კი უფრო შრომებს — ფიზიკის, ქიმიის, ტექნიკის დარგებში.

ამასთანავე ერთი ჩვეულება ჰქონდა, იქნებ ეს ჩვეულება სხვებისთვისაც იყოს დამახასიათებელი. ვერ იტანდა, როცა კითხვის დროს ვინმე მის წიგნში თავს ჩარგავდა. ყმაწვილკაცობაში ლექსების, დრამების და მოთხრობების მხატვრული კითხვისას მისეული დეკლამაცია ცხოველყოფი წადილის თითქოსდა ბუნებრივ გამოვლენად ჩანდა, რასაც წამკითხველი უთუოდ პოეტის, მსახიობის, მოთხრობელის დონემდე აჰყავდა, იგი ანცვიფრებდა მსმენელებს, აღიზიანებდა მათი მოლოდინის გრძნობას ხანგრძლივი პაუზებით, ქმნიდა დამაბულ სიტუაციას. ეს ეფექტი კი, თავისთავად ცხადია, ირღვევა, როცა წაკითხვის

პროცესში ვინმე წიგნში ჩაიხედეს ამბის წინასწარი ვაგების მიზნით. ამიტომაც ეღუარდა ეოველსონის იხილ-იროდ ჯაღებოდა, რომ მის ზურგს უკან არავის მოეკალათა. ახლა კი, როცა მხოლოდ ხაშნი იყვნენ, ასეთ ლიურთხილს აზროვებდნენ. გარდა ამისა, ეღუარდს უკვე აღარ სჭირდებოდა სხვების კრძნობებზე ზემოქმედების მოხდენა. ფინტაზიის აღგზნება მრავალმხრივად აღარც ურთხილობდა.

მაგრამ ერთ სადამოს ვითხუიას ეღუარდა მოულოდნელად დაინახა, რომ შარლოტემ მის წიგნში ჩაიხედა. ამაზე იგი კვლავ ძველებურად განერვიულდა და საკმაოდ უკმეხად შენაშნა ცილს:

„ნუთუ არ შეგიძლია ერთხელ და სამუდამოდ გადაეჩვიო ამ უმსგავსობას. რაც სხვა უწესრიგობებისა არ იყოს, ასე მომაბეზრებელია საზოგადოებაში. როცა ხმაძალდა ვითხუილობ განა ეს იგივე არ არის, თითქოს ზეპირად ვამბობდე სათქმელს. დაწერილია თუ დაბეჭდილი ტექსტი ჩემი აზრებისა და კრძნობების გამოხატულებაა და როგორ შეიძლება ტვიხისა და გულში ფანჯარა გავიკეთო და ამ დროს, როცა მსმენელებს თანდათანობით, ნელინულ ვაქციობ ჩემეულ ფიქრებსა და განწყობალებებს, ვინმემ წინასწარ გაიგოს, რისი თქმაც მიხდა. როცა ვინმე ჩემ მიერ გადაშლილ წიგნში ცხვირს ჰყოფს, ასე მგონია, შუაზე გამხლიჩეს“.

შარლოტე, ვისაც თავისი საზრუნოობით და მიხვედრილობით ძალიან საზოგადოების ვიწრო წრეებში აღვიღად შეეძლო ყველანაირი უსიამოვნო, მძაფრი, ზოგჯერ კიდევ უბრალოდ ცოცხალი გამათის თავიდან აცილება, გაჭიანურებული საუბრების შეწყვეტა, აგრეთვე შეწყვეტილი სჯა-ბაასის განახლება, ამჯერადაც იხსნა ამ ბედნიერმა ჩიჭმა.

„შენ უთუოდ მაპატიებ ამ შეცდომას, თუ აგახსნა, რაც ამ წუთში მომივიღა. მე ყური მოვკარ, „ნათესაობას“ ახსენებდი და უმაღლე ჩემი ბიძაშვილები მომავონდნენ, რომლებიც ამხანად განსაცდელში არიან ჩაუარდნილი და ჩემგან შეველას მოელიან. ამიტომ ყურადღება გამეფანტა და ვერ გავიგე, რაზე იყო ლაპარაკი. უფრო დავიგდე და ამჯერად სრულიად უსული საგნებზე ლაპარაკობდი. წიგნში იმისთვის ჩავიხედე, რომ გამერკვია, რა ხდებოდა. მინდოდა აზრზე მოვსულიყავი.“

„ეტყობა, შეცდომაში შევიღვანა და თავგზა ავიბნია შედარებამ, — უთხრა მას ეღუარდა, — აქ უბრალოდ ლაპარაკი ნიადეგებსა და მინერალებზე იყო. მაგრამ აღმოჩნდა ხომ პარწავარდნილი ნარცისია, ყველგან თავის თავს წრის, ყველაფერში თავისი თავის ანარეკლს ხედავს. იგი ჯილჯილასავითაა — მზად არის მოედს დედამაწას ზედ დაეფინოს“.

„რა თქმა უნდა, — განაგრძო კაპიტანმა, — სწორედ ამ მიმართებაშია იგი ყველაფერთან, რაც მის ვარჯთ არსებობს: თავის საბრძნეს თუ სიბრიყვეს, ნელისა თუ თეიანებობას იგი ცხიყელებს, მღენარეებს, სტიქიურ სულებსა და დემონებს აბრალებს.“

„სულაც არ მინდა, — თქვა შარლოტემ, — საუბრის სხვა თემაზე გადატანა. ყურადღება გავიფანტოთ, მაგრამ იქნებ მოკლედ აგეხსნათ, რა არის ნათესაობა, რას გულისხმობთ ამ ცნებაში“.

„დიდი სიამოვნებით შევეცდები, — თქვა კაპიტანმა, ვისაც ის ჰკითხა შარლოტემ, — იღონდ, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად ანუ ისე, როგორადაც ამ ეთი წლის წინათ მასწავლეს ანდა წიგნებიდან ამოვიციოთ: თავს ვერ

ვადებ იმის განსჯას, ახლა როგორ განიხილავენ ამ საკითხს მეცნიერულ სამკაროში, შეესატყვისება თუ არა იმეამინდელი ნასწავლი ამ ცნების თანატოლულ, ახლებურ გააზრებას“.

„აი, სწორედ ეს არის ცუდი, — თქვა ელუარდმა, — ახლა კაცი ვეროფერს ისე ვერ ისწავლი, მთელი სიცოცხლის მანძილზე გაგწვდეს. ჩვენი ცხოვრების დასასრულამდე მყოფნიდათ სიტყაბუკეში შექმნილი ცოდნა. ხვენი კიდევ ყოველ ხუთ წელიწადში ხელახლა სწავლა გვჭირდება, რათა როგორც მოდიდან არ გამოვიდეთ“.

„ქალები, — თქვა შარლოტემ, — სიზუსტეების დაცვაზე თავს მაინცდამაინც არ ვიკვივებთ. მართალი ვითხრათ, მე მხოლოდ საკითხის ფილოლოგიური მხარე მაინტერესებს, რადგან არაფერი ისე სასაცილოდ არ მოჩანს საზოგადოებაში, როგორც უცხოური ან მეცნიერული ტერმინების ყალბი ხმარება. მე მხოლოდ ის მინდა ვიცოდე, რა გავებით იხმარება ეს გამოთქმა ამდგვარ შემთხვევებში. ხოლო თუ რას ნიშნავს იგი მეცნიერულად, ამაზე თვითონ მეცნიერებმა იმტერიონ თავი. მე კიდევ მგონია, რომ ერთიანი თქალსაზრისის შემუშავება მათაც გაუჭირდებათ“.

„რითი დავიწყეთ, რომ სწრაფად გავარკვიოთ საკითხის არსი?“ — იკითხა ელუარდმა, რადგან კაპიტანი დიდხანს ღუძღა, მერე კი ასე უპასუხა: — „თუ ნებას მომცემთ, ერთი შეხედვით შორიდან მოკუეული, რათა ხელდახელ მივაღვე მკვლევარს“.

„ერწმუნეთ, რომ სულგანაბული ვისმენთ, — თქვა შარლოტემ და ხელსაქმე გვერდზე გადადო.“

კაპიტანმა დაიწყო:

„მკვლავური, რასაც კი ბუნებაში მოვიხილაეთ, უწინარეს ყოვლისა, გარკვეულწილად თავის თავთან მიმართებაში არსებობს. იქნებ უცნაურაც იყოს იმის თქმა, რაც თავისთავადაც ცხადია, მაგრამ მაინც მინდა ვითხრათ, რომ შეცნობილის მხოლოდ სრული გაცნობიერების შემდგომაა შესაძლებელი შეუცნობელზე გადასვლა.“

„მე მგონია, — სიტყვა შეაწყვეტინა მას ელუარდმა, — უმჯობესი იქნებოდა თუ ამ ახსნა-განმარტებებს მაგალითების მოხმობით გავხდით საჩინოს. აი წარმოიდგინე წყალი, ხეთი და ვერცხლისწყალი და აშკარად დაინახავ, რომ ამათი შემადგენელი ნაწილები მთლიანობას ურთიერთკავშირში ქმნიან. ამ ერთიანობას ისინი მანამ ინარჩუნებენ, ვიდრე გარეშე ძალის ზემოქმედება ან კიდევ სხვა რამ ერთმანეთისაგან არ განაცალკევენ. როგორც კი ეს გარეშე ძალა მოიხპობა, მათი შემადგენელი ნაწილები კვლავ გაერთიანდება.“

„უდავოდ ასეა, — დაუდასტურა შარლოტემ, — წვიმის წვეთებიც ხომ სწრაფად ერთიანდებიან ნაკადებად, ბავშვობაში, როცა ვერცხლის წყლით უთაშაშობდით, ძალიან გვიკვირდა, რანაირად ვწყვეტდით მას და ექცევდით ბუროულებად, მერე კი კვლავ ერთმანეთს ვუერთებდით.“

„აქ უაღვილო არ იქნება, — დაუმატა კაპიტანმა, — თუ გზადგზა ერთ საყურადღებო მოვლენასაც გავიხსენებდით, სახელდობრ იმას, რომ ეს აშკარად სუფთა, მხოლოდ თხევად მდგომარეობაში მყოფი ნივთიერება მუდამ სფეროსებური ფორმისაა. მიწაზე დაცემული წვიმის წვეთიც ხომ მრგვალია. ვერცხლისწყლის ბურთულებზე აკერ ახლა არ გაქონდათ ლაპარაკი. იქამდე, რომ გამდნარი ტყვიაც კი, თუ ვარდნის პროცესში მოასწრებს გამკვრივებას მიწაზე დაცემის მომენტში ბურთულის ფორმას იღებს“.

„ნება მომეცით, წინასწარ გაუწყოთ, — თქვა შარლოტემ, — მგონი, უხვლები კიდევ, რისი თქმაც გინდათ. ყველა საგანი თავისთავთან მიმართებაში როგორც იმყოფება, ასეთადვე უნდა დარჩეს სხვებთან მიმართებაშიც“.

„ეს პროცესი სხვადასხვა ნივთიერებებში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, — აჩქარებით განაგრძო ედუარდმა, — ზოგჯერ ისინი ძველი ქვეყნებისა და ნაცნობების ხელებიან ერთმანეთს, არ უჭირთ ერთმანეთთან დაახლოება და შერწყმა, თან ისიცაა, რომ ამგვარი შენივთების მოელ პროცესში უცვლელნი რჩებიან ერთმანეთში არეული წყლისა და ღვინის მსგავსად. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ერთმანეთს მიმართ სრულად უცხო ნივთიერებები, არც მექანიკურად და არც ხაზუნით, ერთმანეთს არასეზით არ უერთდებიან. აი, ვთქვათ წყალი და ზეთი რაგინდ ძლიერ არ აუთქვიფოთ და — ვაჯანჯღაროთ, სულ ერთია, მაინც არ შეერთდებიან.“

„ამ მარტივ ფორმებში, — თქვა შარლოტემ, ღამის ჩვენი მახლობელი ადამიანების სახეები ამოვიცნო. მეტადრე საზოგადოების ის წრეები მაგონდება, რომლებშიც ჩვენ გვიხდება ტრიალი. ამ უსულო საგნებს ამკარად ემსგავსებიან ერთმანეთთან მკვეთრად და პირისპირებული წოდებები თუ პროფესიები, თავადაზნაურობა და მესამე წოდება, ჯარისკაცები და მოქალაქეები“.

„მაგრამ საგულისხმო ის არის, — შენიშნა ედუარდმა, — როგორც ამ სხვადასხვა ჯურის ადამიანებს აკავშირებს ერთმანეთთან კანონები და ზნე-ჩვეულებები, ასევე ჩვენს ქიმიურ სამყაროშიც არსებობს ე. წ. შემაერთებელი საშუალებები თუ რგოლები, რომლებიც ამ ერთურთისუარმყოფელ ნივთიერებებს ერთმანეთში აერთიანებთ“.

„ასე ვაკავშირებთ — დაუმატა კაპიტანმა, — ზეთს წყალთან კალაქვის საშუალებით“.

მაინცდამაინც ნუ აჩქარდებით, — თქვა შარლოტემ, — მაგრამ ის კი მინდა გკითხოთ, ეს იმას დასტურია, რა გულისყურითაც ვისმენთ და ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვყვებით: განა არ მივუღებთ ნათესაობის ცნებას“.

„ხეხვებით სწორი ბრძანებით, — მიუგო კაპიტანმა, — აი, ახლა კი სრულად და ზუსტად გეტყვით ამაზე. იმ არსებებს, რომლებიც პირველი ნახეისთანავე სწრაფად შეიცნობენ და განსაზღვრავენ ერთმანეთს, ნათესაურს ვეძახით. მეტადრე თუ ღმრისაღმია ტუტებისა და მჭავეთა ნათესაობა. ისინი მკვეთრი და პირისპირებულობის მიუხედავად და იქნებ სულაც იმის გამოც, რომ ასე და პირისპირებულები არიან, სულ უფრო მძაფრად ეძიებენ და ერწყმიან ერთმანეთს, ამ ერთქმნაში კი სახეს იკვლიან და წარმოშობენ ახალ სხეულებს. გავიხსენით კირი, რომელიც ყველანაირი მჭავისაღმი ძლიერ მიდრეკილებას იჩენს და მასთან შეერთებას ესწრაფვის, აი, ქიმიური კაბინეტი როგორც კი გვექმნება, იქ ვნახავთ სხვადასხვა საინტერესო ცდებს, რომლებიც გაცილებით უკეთეს წარმოდგენას შეგიქმნით ყველაფერ ამაზე, ვიდრე სიტყვები, სახელწოდებები და ტერმინები“.

„ნება მომეცით, კალიარო, — თქვა შარლოტემ, — როდესაც ამ უცნაურ არსებებს ნათესაურს უწოდებთ, მგონია, რომ მათ ერთმანეთთან აერთებს არა ამდენად სისხლით ნათესაობა, რამდენადაც სულისა და გრძნობის თვისობა, აწორედ ამ გზით თუ აღმოცენდება ადამიანებს შორის ჭეშმარიტად ღრმა გულისწირობა და ეს იმიტომ, რომ დაპირისპირებული თვისებები შესაძლებელს ხდის შინაგან ერთქმნას. მზად ვარ დაველოდო ამ იღუმალი მოვლენების თვალ-“

ნათლივ ხილვას. ამის მეტად ხელს აღარ შეგიშლი, — მიმართა მან ელუარდს, — ხმაძალდა კითხვის დროს და ყურადღებით მოვისმენ, რადგან ახლა უკვე გავრკვევ ასეთ ფაქიზ ნიუანსებში“.

„რაკი ასეთი გამომწვევი ლაპარაკი წამოიწყო, — მიუგო ელუარდმა, — კერძო გეგმები: ნუ გგონია, რომ ადვილად გახვალ ფონს. იცოდე, ინტერესო ასეთ ურთიერთობებში სწორედ რთული, ჩახლართული შემთხვევებია. სწორედ ეს გართულებული სიტუაციები გამცნობს ღრმად ნათესაობის არსს, სულს, ურღვევ და ძლიერ დამოკიდებულებებს, შორეულსა და სუსტ კავშირებს. ნათესაობა მაშინაა ინტერესის აღმძვრელი, თუ იგი გაყრის, დაშორების მიზეზი ხდება“.

„განა ბუნებისმეტყველებაშიც მოიპოვება ეს უნუგეშო სიტყვა, ასე წამდაუნუმ რომ გაისმის მიწიერ სამყაროში?“ — წამოიძახა შარლოტემ.

„რა თქმა უნდა, — მიუგო ელუარდმა, — ერთ დროს ტყუილად კი არ ერქვა ქიმიას ეს საპატიო სახელი — „გაყრათა ხელოვნება“.

„კიდევ კარგი, რომ ამგვარად უკვე აღარ უწოდებენ, — მიუგო შარლოტემ, — და ეს ძალიანაც მომწონს. ერთქმნა-შეერთებაა დიდი ხელოვნება და დიდი პატივი, თორემ დაცილება-განცალკევებას რა უნდა. ერთქმნის ხელოვნებაა სასურველი და საწადელი მთელი სამყაროს, რომელიც გნებავთ, სფეროში, თუ შეიძლება დამისახელეთ, რაკი უკვე აჩარტში შეხვედით, რამდენიმე მსგავსი შემთხვევა“.

„ამისათვის კვლავ დაუბრუნდეთ, — თქვა კაპიტანმა, — ზემოთ დასახელებულ და განხილულ მაგალითებს, ვთქვათ, აი, იმას, რასაც კირქვას ვეძახით, ავი წარმოადგენს მეტნაკლებად სუფთა კირის მიწას, რომელიც მთელი სიძლიერით უერთდება სუსტ მჟავას, რასაც აირისებური ფორმით ვიცნობთ, თუ კირქვის ნატებს ვოვირდმჟავას ხსნარში მოვათავსებთ, ეს უკანასკნელი, შეუერთდება რა კირს, წარმოშობს თაბაშირს, ხოლო სუსტი აირისებური მჟავა აღორქვდება. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დაშორებას ანუ ახალი ნაერთის წარმოშობას და ამ მომენტს ჩვენ სრულიად სამართლიანად სულელების ნათესავად არჩევას ვეძახით, რადგან, კაცმა რომ თქვას, ეს ნიშნავს, რომ ერთ ნაერთს მეტი უპირატესობა აქვს მეორესთან შედარებით, და ერთი მათგანი შეკნებულად ირჩევს მეორეს“.

„მაპატიეთ, — თქვა შარლოტემ, — და თქვენი სახით მაპატიოს აგრეთვე ბუნების მკვლევარმაც, მაგრამ ამაში მე არჩევას ვერასოდეს დავინახავდი, ეს უფრო ბუნების გარდუვალი კანონი მგონია და შესაძლოა ესეც არა. ბოლოს და ბოლოს ეს სულაც მხოლოდ შემთხვევის ამბავი უნდა იყოს. შემთხვევა თანაფარდობას ქმნის, მსგავსად იმისა, როგორც ქურდებს წარმოშობს ხოლმე, ხოლო რაც შეეხება თქვენეულ ბუნებისმიერ სხეულებს, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ შერჩევა ქიმიკოსის ხელით უნდა მოხდეს, როცა იგი ამ სხეულებს ერთმანეთთან შეაერთებს და როცა ისინი შეერთდებიან, დაე, ღმერთი იყოს ამათი შემწე. თქვენს მიერ მოტანილ მაგალითში მე მხოლოდ საწყალი აქროლადი მჟავის ბედი მაწუხებს, რომელიც კიდევ დიდხანს უგზო-უკვლოდ ახეტიალებს უსასრულობაში“.

„რატომ? ამჯერად მას სულ სხვა ფუნქცია დაეკისრება, — შეეპასუხა კაპიტანი, — წყალთან ერთქმნით იგი მიხერალურ წყაროს წარმოშობს, რომელიც მაცოცხლებელ ძალად მოევლინება როგორც ჯან-ღონით სავსე ადამიანებს, ასევე სნეულთაც“.

„თაბაშირს კი რა უჭირს, — თქვა შარლოტემ, — მას ყველაფერი რიგზე აქვს. იგი სხეული გახდა. იგი უზრუნველყოფილია, მაგრამ სულ ხხვა დღეში ჩაკარდა ჩივთიერება, რომელიც განიდექნა. მან კიდეც ბევრი ტანჯვა უნდა აიტანოს, ვიდრე სამკვიდრებელს იპოვიდეს“.

„ან დიდად ვცდები, თქვა სიცლით ედუარდმა, — მანდა მენს ნათქვამში რაღაც ქარაგმა იმალება. გამოტყდი, რომ ეშმაკობ. ბოლოს და ბოლოს შენს თვალში მე გამოვდივარ კირი, რომელიც გოგირდმჟავას ანუ კაპიტანს უერთდება, შენს ბრწყინვალე საზოგადოებას განრიდებული და დაუდგრომელ თაბაშირად ქცეული“.

„თუ სინდისი ამნაირ აზრებს გიკარნახებს, — მიუგო შარლოტემ, — მაშინ შემიძლია უშფოთველად ვიყო. ეს ქარაგმული თქმები საინტერესო და მიმზიდველია და ერთობ სასიამოვნოც კი არის მსგავსი შედარებებით თავის შექცევა. მაგრამ ადამიანი ასეთ რამეებზე გახუზომლად მალლა დგას. ხომ ხედავ, მან არ დაიშურა ლამაზი სიტყვები „არჩევა“, „სულთა ნათესაჲად არჩევა“, მისთვის არც ის უნდა იყოს ურიგო, ერთ მშვენიერ დღეს კვლავ ჩაუღრმაედეს საკუთარ თავს და ჯეროვნად განსაჯოს ამნაირი გამოთქმების მნიშვნელობა. სამწუხაროდ, მე საკმაოდ ვიცი ისეთი შემთხვევები, როცა ორი არსების ვითომდა წრფელი, ურღვევი კავშირი მესამე პიროვნების მოულოდნელი შემოჭრით გაწყვეტილა და ერთ-ერთი არსება, ეგზომ დიდებულად რომ იყო შეუღლებული თავის მეწყვილესთან, რგოლიდან ამოვარდნილა“.

„ქაშიკოსები ამ შემთხვევაში ფრიად გაღანტურნი არიან, — თქვა ედუარდმა, — ისინი მუთხესაც შემოიფრთებენ, რათა არც ერთი მათგანი მეწყვილის გარეშე არ დარჩეს“.

„რა თქმა უნდა, ეს ასეა — მიუგო კაპიტანმა, — ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო უთუოდ ის შემთხვევებია, როცა ემპირიულ სინამდვილეში აკვირდები ამ მიზიდულობას, ამ ნათესაობას, ამ განშორებას, ამ თითქოსდა ჯვარედინ ერთქმნას, როცა ოთხი არსება, ადრე ორ-ორად დაწყვილებული, როგორღაც ეხებიან ერთმანეთს, ანგრევენ თავდაპირველ კავშირებს და ახლებურად წყვილდებიან. სწორედ ამ განცალკევებასა და შეერთებაში, ამ გაქცევასა და ერთ-ერთის მიებაში ვლინდება უზენაესი ნება. სწორედ ამნაირ არსებებს მოეპოვებათ უმაღლეს განძად სურვილ-ნების, არჩევის ნიჭი და ამ გაგებით ტერმინი „სულთა ნათესაობა“ ხედგამოჭრილად მიჩანს. იგი სრულად ამართლებს თავის არსს“.

„თუ შეიძლება ამიწერეთ ასეთი შემთხვევები“, — თხოვა მას შარლოტემ.

„ასეთი რამ, — მიუგო კაპიტანმა, — სიტყვებით არ გამოითქმის, აი, როცა ჩემივე ხელით გიჩვენებთ ექსპერიმენტებს, ადრეც ხომ ვითხარით ამაზე, მაშინ ყველაფერი ცხადი გახდება და საინტერესო, ახლა კი იძულებული ვარ მოსაწყენი ტერმინებით გადავღალოთ, თუმც, სულ ერთია, მაინც ვერ შეგექმნებათ ზუსტი წარმოდგენა საკითხის არსზე, საჭიროა საკუთარი თვალთ დაინახო დინამიკაში ეს თითქოსდა უსულო, მაგრამ შინაგანად მაინც მუდამ გარდაქმნადი არსებები. უნდა ნახოთ, რარიგ ეძიებენ, იზიდავენ, მოიცავენ, ნთქავენ ისინი ერთმანეთს და უეცარ ფერისცვალებას განიცდიან, მოულოდნელი ფორმით გვევლინებიან. აი, მაშინ კი მზადა ხარ კაცი უთუოდ აღიარო მათი მარადიული ყოფა. გრძნობა და აზრი, აგრეთვე საკუთარი ინტუიციისა და გონის უკმარისობა ხაზმისოდ, რათა როგორც ჯერ არს ისე ჩასწვდე მათ ბუნებას“.

„არც იმის უარყოფა შეიძლება, — თქვა ედუარდმა, — რომ ასეთი ურთიერთ-

დამოკიდებულებები ძნელი აღსაქმელია ადამიანისთვის, რომელიც მეცნიერულ ტერმინებს თვალსაჩინოების ვხით კი არ ვაეცნო, არამედ ცნებებით და ასეთ ადამიანს იქნებ სასაცილოდაც კი მოეჩვენოს ყველაფერი ეს ამიტომაც ხვობია ის მიმართება, რაზეც აქ იყო ლაპარაკი, ანბანით აღვნიშნოთ“.

„თუკი ამას პედანტიზად არ ჩამოვლით, — თქვა კაპიტანმა. მისი მსგავსებით ჩამოყვალბებული სათქმელს ნიშნების ენით. წარმოიდგინეთ, რომელიც „ბანთან“ არის ურღვევი კავშირით შეუღლებული და ვერაფერი ძალა მას ვერ დააშორებს. ან კიდევ „განი“, რომელიც მსგავს დამოკიდებულებაშია „დონთან“. ორივე წყვილი მოიფიქრეთ შეხებაში ერთმანეთთან. თქვენ დაინახაეთ, რომ „ანი“ მიიღრიალება „განისაკენ“, ხოლო „ბანი“ — „დონისაკენ“, თან ისეთნაირად, რომ ვერ იტყვი, ვერ გაარჩევ, ვინ ვის ტოვებს, ვინ ვის ეწყვილება პირველად“.

„აი, რა, — სიტყვა შეაწყვეტინა კაპიტანს ედუარდმა, — ვიდრემდე ჩვენივე თვლით არ გვიხილავს ყველაფერი, რაც აქ ითქვა, მანამ ეს ფორმულა ქარაგმდ დაჩნეს და აქედან ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მივხედოთ საქმეს. შარლოტე, შენ „ანი“ ხარ, მე კიდევ — შენი „ბანი“, რადგან მთლად შენზე ვარ ჩამოკიდებული და მოგყვები, როგორც „ანი“ ხანს“, „განი“, რაღა თქმა უნდა, კაპიტანია, რომელიც ამ სიტუაციაში, მგონი, ჩემს თავს გართმევს პოდა. უსასრულობაში რომ არ გადახვიდე, იცი, რას გირჩევ: იზრუნე ვინმე „დონზე“, რომლის აქ ყოფნა უთუოდ საჭიროა და გამართლებულიც. ეს „დონი“, თავისთავად ცხადია, ძვირფასი გოგონა იტოლიეა და შენც აღარ უნდა დააყოვნო მისი აქ ჩამოყვანა“.

„კი ბატონო, — მიუგო შარლოტემ, — თუმც ეს მაგალითი, ჩემის ფიქრით, ჩვენს მზაკს სულაც არ შეესიტყვება, მაინც ბედნიერი შემთხვევაა, რადგან ბოლოს და ბოლოს სწორედ დღეს დაემთხვა ერთმანეთს სრულად და ზედმიწევნით ჩვენი შეხედულებები, ხოლო ბუნებისა და სულის ნათესაობამ ის გააკეთა, რომ ჩვენ შორის დამყარებულ იდუმალ ურთიერთობებს გზად და ხილად დაედო. და აი, აღარც გიძალავთ, დღეს უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე იტილიეს ჩამოყვან. რადგან ჩემი ერთგული მეკუჭნავე გათხოვდა და ჩვენი სახლი ძალე უნდა დატოვოს. აი, რა მაიძულებს ამ ნაბიჯის გადადგმას და ამას მხოლოდ საკუთარი სარგებლობისათვის ვჩადი. ხოლო იტილიესათვის რასაც ნიშნავს ეს, ამას თვითონვე წაიკითხავთ წერილში. შიში ნუ გექნება, თავს ნაწერში არ ჩავყოფ, რადგან მისი შინაარსი უკვე ვიცი. აბა, წაიკითხე“. — ეს თქვა, ბარათი ჯიბიდან ამოიღო და ედუარდს გაუწოდა.

თავი ეხუთე

სასწავლებლის უფროსის წერილი

„თქვენი მოწყალეობა ალბათ მომიტყევეს, თუ დღეს ძალიან მოკლედ გაუწყებთ სათქმელს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ეს-ესაა დამთავრდა კლასიდან კლასში გადასაყვანი საჯარო გამოცდები და მოკალე ვარ უკლებლივ ყველა მშობელსა და მეურვეს წვრილად ვაცნობო, რა წარმატებებს მიაღწიეს წლეუანდელ წელს ჩვენი სასწავლებლის აღსაზრდელებმა, თავს ნებას ვაძლევ მოკლედ მოგწეროთ აგრეთვე იმის გამოც, რომ რატომღაც მგონია, მოკლედ ნათქვამში დიდი შინაარსის სათქმელს ჩავლებ. თქვენმა ასულმა ყველა საგანში უმაღლესი შეფა-

სება დაიმსახურა და კვლავაც თავისი პირველობა დაადასტურა. ჩემს წერილს თან ერთვის მოწმობა და მისი ხელით დაწერილი ბარათი თქვენდამი, სადაც იგი თავის მიღებულ ჯილდოებს აღწერს და ამავე დროს იმაზე ლაპარაკობს, რა სიხარულს ანიჭებს მას ეს ბრწყინვალე გამარჯვება, რაც უთუოდ თქვენც დაგამშვიდებთ და გულსაც გაგიხარებთ. ჩემს სიხარულს კი იმის წინასწარი შეგრძნება აქარწყლებს, რომ ეგზომ წარმატებული გოგონა სასწავლებელში ალბათ კარგა ხანს აღარ გვეყოლება, ახლა კი ვემშვიდობები თქვენს მოწყალებას და თავს უფლებას ვაძლევ უახლოეს ხანში შეგატყობინოთ ჩემი აზრი იმის თაობაზე, რისი კეთებაც, მგონი, უფრო სასარგებლო იქნება მისი მომავალი ცხოვრებისათვის. ოტილიეს შესახებ კი ჩემი ერთგული თანაშემწე მოგახსენებთ“.

თანაშემწის წერილი

„ჩვენმა პატივცემულმა უფროსმა ძალიან მთხოვა ოტილიეს შეამბნა თქვენთვის, რადგან მისთვის ერთობ უსიამოა გაცნობით ის, რისი უთქმელობა არაფრით არ იქნება, მეტადრე რომ იგი თვითონ საჭიროებს ამ შემთხვევაში შენდობას და ამის გამო უმჯობესად ჩათვალა მისი სათქმელი მე გაუწყლოთ.“

ჩემთვის ხომ შესანიშნავადაა ცნობილი, რაოდენ უჭირს ძვირფას ოტილიეს სამხეობზე გამოიტანოს თავისი ნიჭი და ცოდნა და საერთოდ ყველაფერი, რისი შნო აქვს. მეც ჭეშმარიტად შიშის კანკალი მიტანდა საჯარო გამოცდების გამო, მით უმეტეს, რომ მსგავს შემთხვევებში წინასწარი მომზადება არ შეიძლება და კიდევ რომ შეიძლებოდეს, დარწმუნებული ვარ, ოტილიე საკუთარი თავის გამოსაჩინებლად თითსაც არ გაანძრევდა. გამოცდების შედეგებმა ჩემი შიში დაადასტურა და გაამართლა. მან ვერც ერთი ჯილდო ვერ დაიმსახურა და იმათ შორის აღმოჩნდა, ვინც კლასის დამთავრების მოწმობაც ვერ მიიღო. აბა, რაღა უნდა ვითხრაოთ. არა მგონია, ვინმეს მასზე ლამაზი ხელწერა ჰქონოდა. მაგრამ სხვებს ბევრად უფრო თავისუფლად გამოდიოდა ასოების გამოყვანა, ანგარიშიც სხვებს უფრო სწრაფად შეეძლოთ, ხოლო როდესაც ამოცანებამდე, რასაც იგი უკეთ ხსნის ხოლმე, საქმე არც კი მისულა. ფრანგულშიც სხვები სჯობდნენ გასხებილ ლაპარაკსა და თარგმანშიც. ისტორიაშიც გაუძნელდა სახელების და თარიღების ხელდახელ გახსენება, გეოგრაფიაში ყურადღება არ ეყო პოლიტიკური საზღვრების გასარკვევად. რაც შეეხება მუსიკას, მისი მოკრძალებული მელოდიების შესასრულებლად არც დრო იყო და არც მშვიდი გარემო. ხატვაში, ალბათ, უთუოდ მიიღებდა ჯილდოს, რადგან მისი ნახატი სუფთად, მუყაითად და საზრიანად იყო შესრულებული, მაგრამ ძალიან მცირე მონაკვეთში ვერ მოასწრო.

როცა მოწაფეები წინ წავიდნენ, გამომცდელები ერთად შეიკრიბნენ და თათბირი გამართეს გამოცდების თაობაზე. თათბირზე მასწავლებლებმაც გამოთქვეს აზრი და გარკვეული შენიშვნები გააკეთეს. პედაგოგთა სჯა-ბაასის დროს ამკარად შევამჩნიე, რომ ოტილიესზე ან სულ არაფერს ლაპარაკობდნენ, ანდა თუკი იტყოდნენ რასმე, თუმცა ლანძღვა-გინებით არ მოიხსენიებდნენ, მაგრამ რაღაცნაირ გულგრილ განწყობას კი ამჟღავნებდნენ მისდამი. შევიცადე სულ ცოტათი მაინც ვანშეწყო ისინი კეთილად ოტილიეს მიმართ და შეკრებილთ კულდიად დავეუხატე მისი ხასიათი. ამ ამოცანის შესრულებას ხალისით იმიტომ შევეუდექი, რომ საკუთარი ცხოვრების გზა მათქმევინებდა ამას და სრული რწმენით შემეძლო განმეცხადებინა გულში ნადები. სიჭაბუკის წლებში თვითონაც

მქონდა განცდილი მსგავსი გულისმომწყველი შემთხვევა. ყველამ დიდი ყურადღებით მომისმინა. დავამთავრე თუ არა აზრის გამოთქმა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, თუმც თავაზანად, მაგრამ ლაკონურად მომიჭრა: „ნიჭი და უნარი წინა პირობაა, რამაც გარკვეული შედეგი უნდა მოგვცეს. ეს არის სწავლის წესების უპირველესი დანიშნულება, რასაც მშობლები და მეურვეები ყველანაირად გონად, შკაფიოდ გამოხატავენ, ხოლო ბავშვი კი ამას ნახევრად გაუცნობიერებლად, უჩუმრად გრძნობს. ამაში მდგომარეობს გამოცდის კონკრეტული მიზანიც, რომლის შედეგი მჭერმეტყველურად ადასტურებს არა მხოლოდ მოწაფის, არამედ მასწავლებლის წარმატებასა თუ მარცხს. თქვენგან რაც მოვისმინე ამ ბავშვის მიმართ, იმედს აღვიძრავს და თქვენის მხრივ, საქებარია ის ფაქტი, რომ მოწაფის ამ დაფარულ უნარს გულიწყური მიაპყართ. ეს ნიჭი ერთი წლის განმავლობაში ჩვეუად აქციეთ და ქებასაც არ დავნიშურებთ არა მხოლოდ თქვენი მოწაფის, არამედ პირადად თქვენს მიმართაც“.

ამ ფაქტს თავისთავად შევურიგდი, ვიცოდი, რასაც მოასწავებდა იგი, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ ამას უარესიც მოჰყვა. ჩვენმა გულმომწყველ უფროსმა, ვისაც კეთილი მწყემსის დარად არ სურს თუნდაც ერთი ცხვარი დააკლდეს თავის სამწყსოს და ვისაც, ჩვეულებრივ, არ უყვარს მოვლენების შელამაზება, ვერ დაფარა თავისი სამღურაუი ოტილიესადმი და როცა ბატონი გამომცდელები წავიდ-წამოვიდნენ, ასე მიმართა გოგონას, რომელიც წყნარად, თავისთვის იდგა ფანჯარასთან და უცქერდა, როგორ ხარობდნენ სხვა გოგონები მიღებული ჯილდოებით: „ღვთის გულისათვის, მიიხარი, რად ახდენ ყვეების შთაბეჭდილებას, როცა სულაც არა ხარ ასეთი“. ოტილიემ ამაზე სრულიად მშვიდად მიუგო: „მაპატიეთ ძვირფასო დედავ, მაინცდამაინც დღეს ამტკივდა თავი, რამაც გვარიანად შემაწუხა“.

„ვის შეუძლია იცოდეს ეს?“ – ვაგულისებით შენიშნა სხვა დროს ყოველთვის გულისხმიერმა უფროსმა და გულმოსული გასცილდა იქაურობას.

იგი მართალი იყო, აბა, ვის შეუძლია ეს სცოდნოდა, როცა ოტილიეს სახის გამომეტყველება არასოდეს შეცვლია და ჩემს დღეში არ შემინიშნავს, ერთხელ მაინც მიედოს ხელი საფეთქლებზე.

მაგრამ იმ დღეს მართლაც ეს უსიამოვნო ამბავი არ მომხდარა. მოხდა უფრო უარესიც. თქვენი ასული, მოწყვალეო ქალბატონო, მუდამ სიცოცხლით სავსე და უშუალო, იმდღევანდელი წარმატების გამო სიხარულით ხომ მთლად ცას ეწეოდა, გორიზად და კაღნიერად ეჭირა თავი, ოთახიდან ოთახში დაფრინავდა თავისი ჯილდოებითა და ქების სიგელებით, მერე ესენი ოტილიეს ცხვირწინ აუფრიალა და მიახალა: „ხომ ჩაფლავდი დღეს“. ოტილიემ მასაც სრულიად მშვიდად მიუგო: „ეს ხომ ბოლო გამოცდა არ არის“.

„შენთვის სულ ერთია, მაინც მაჩ ნჩალა დარჩები“, – იყვირა გოგონამ და ოთახში გავარდა.

გარეშე თვალს ოტილიე ერთი შეხედვით მშვიდი მოეჩვენებოდა, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ ასე არ იყო. უსიამო, ამაღელვებელი, არცთუ იშვიათი სულიერი განცდები სახის უცნაური აფერადებით მუღავნებოდა: მარცხენა ღოყას უეცარი სიწითლე გადაჰკრაუდა, ხოლო მარჯვენაზე მკვდრისფერი დაედებოდა ხოლმე. ამ წუთში ამკარად დავინახე მისი სახის ეს ცვლილება და განა შემიძლო არ თანამეგრძნო მისი წუხილისათვის. ჩვენი უფროსი გვერდზე გავიხმე და სრულიად სერიოზულად დაველაპარაკე ამის თაობაზე. ამ ბრწყინვალე ქალმა აღიარა თავისი შეცდომა. ჩვენ დიდხანს ვიკამათეთ ამასთან დაკავშირებით და

რომ სიტყვა არ გამიგრძელდეს, თქვენს ბრწყინვალეობას ამთავითვე ვაცნობებ, რაც გადავწყვიტეთ: ორივენი ვთხოვთ ოტილიე დაუყოვნებლივ მან წაიყვანოს და ერთხანს თქვენსას იყოლიოს. ამის მიზეზს, ვიცი, შესანიშნავად მიხედვით. თუკი ამაზე თანახმა ბრძანდებით, დაწვრილებთ მოგწერო, ერთხელ უნდა მოექცეთ ამ სანატრელ ბავშვს. როგორც კი თქვენი ასული სასწაულებრივად ამთავრებს და პანსიონს დასტოვებს, ჩვენ სიხარულით დავიბრუნებთ უკან ოტილიეს.

ერთსაც შევნიშნავ, რადგან მეშინია არ გადამაყიწყდეს. არასოდეს მინახავს ოტილიეს რამე ენატროს ანდა ოდესმე თუნდაც უბრალოდ ვისმეს რამეზე შეხვეწნოდეს. მას იშვიათად უხდება უარის თქმა სათხოვარზე და, თუკი ეს მოხდება, ამას ისე მიმზიდველად აკეთებს, რომ გამოუთქმელ გრძნობას ბაღებს ყველაში, ვისაც თუ ცოტა რამე მაინც გაეგება მშვენიერებისა. ამ დროს იგი წინ გამოწვდილ ხელისგულებს მაღლა ასწევს, ძერე გულზე მიიღებს, თვითონ ოდნავ წინ გადაიხრება და ისეთი თვალებით შეხუდავს თანამოსაუბრეს, რომ ეს უკანასკნელი მზად არის ყველაფერზე ხელი აიღოს. თუკი ახლი ურთიერთობისას ამ ეესტს შენიშნავთ, მოწყალეო ქალბატონო, გაიხსენეთ ჩემი ნათქვამი და იყავით შემწყნარებელი მისადმი“.

ედუარდმა ხმაძაღლა წაიკითხა ეს ბარათი. კითხვისას შიგადაშიგ ღიმილს ვერ იკავებდა ანდა თავს გადააქნევდა ხოლმე, არც შენიშვნები დაუკლია ცალკეული პიროვნებებისა თუ საქმას ვითარების გამო.

„კმარა, — იყვირა მან ბოლოს, — გადაწყდა. იგი მოდის. აი, ხომ ხედავ, გვეშველა, ჩემო კარგო, მომხმარე ჩამოგდის. ჩვენ კიდევ ჩვენსას ვიტყვი, რა გვემებიცა გააქვს. იცი, სჯობს მე კაპიტანთან დავბინავდე მარჯვენა ფლიგელში, ჩვენ ხომ მეტწილად ადრე დილით და საღამოხანს ემუშაობთ ხოლმე. შენ და ოტილიეს კი კარგა დიდი ადგალი დავრჩებით პირადი საქმეების მოსაგვარებლად“.

შარლოტემ კვერა დაუკრა მეუღლეს. ედუარდმა თავისი მომავალი ცხოვრების ყაიდა აუწყა მას. სხვათა შორის ასეთი რამ წამოისროლა:

„შენს ძმისწულს რომ თავი მარცხენა მხარეს ტკივა, ეს მეტად საყურადღებო და სანიშნებელია, ძვირფასო, ხანდახან მე მარჯვენა მხარეს ვგრძნობ ტკივილს და ერთად როცა მოვხვდებით, ერთმანეთის პირისპირ დავსხდებით, მე მარჯვენა იდაყვს დავეყრდნობი, ის კიდევ — მარცხენას, თავებს საპირისპირო მხარეზე გადავხრით და ხელებში ჩაურგავთ. იცი, რა დიდებული კონტრასტი იქნება“.

კაპიტანს ედუარდის ეს სიტყვები სახიფათოდ მოეჩვენა და ენიშნა, მაგრამ მოულოდნელად ედუარდმა კვლავ წამოიძახა:

„ძვირფასო მეგობარო, უფროსილდი „განს“, აბა, რა ჰქნას „ბანმა“, თუკი „დონს“ წაართმევენ...“

„მგონი, ეს საკითხავი არც არის“ — მიუვო შარლოტემ.

„რა თქმა უნდა, — წამოიძახა ედუარდმა, — იგი დაუბრუნდება თავის „ანს“, თავის „ანსა“ და „ჰაეს“. — ეს თქვა, მყისვე ადგილიდან წამოიხტა და შარლოტე გულში ჩაიკრა.

თავი მეექვსე

ოტილიე კარეგით ჩამოვიდა. შარლოტე მიეგება გოგონას. სანუკვარი არსება მსწრაფლ ეახლა მას, დაიჩოქა და მუხლებზე მოეხვია.

„რად გინდა ასეთი დამდაბლება,“ — უთხრა მას შარლოტემ როგორღაც დარცხვენით და მისი წამოყენება დააპირა.

ეს არ არის დამდაბლება, — ოტილიე არც ცდილა წამომდგარიყო. — მე ას-
ლა ის ნეტარი დრო მაგონდება, პატარა რომ ვიყავ და მუხლამდე ძლიერ ვწვდი
ხოლით. მაშინაც ვიცოდი, რომ გიყვარდიო“.

ამის თქმისთანავე იგი წამოდგა და შარლოტე გულწრფელად მოეხვია მას,
ძერე სტუმარი გააცნო მამაკაცებს, რომლებიც უსაზღვრო კრძალვით განეწყ-
ვნენ მისადმი. სილამაზე ოდითგანვე სასურველი სტუმარი ყოფილა ყველგან და
ასე იყო ამჯერადაც. მეგობრების საუბარს ოტილიე თითქოს ყურადღებით უს-
მენდა, ოღონდ ეს იყო, არ მონაწილეობდა ამ საუბარში.

მეორე დღით ეღუარდმა შარლოტეს უთხრა:

„რა მშვენიერი გოგონაა, თანაც რა ამოდ მოუბარი.“

„მოუბარი? — ღიმილით მოუგო შარლოტემ — მას ხომ ხმაც არ ამოუღია“.

„ჰოი?“ — უპასუხა ეღუარდმა, თითქოს იმის გახსენება უნდოდა, მართლა
ასე იყო თუ არა. — „ეს ხომ საოცარია“.

შარლოტემ მხოლოდ ორიოდ სიტყვით მიანიშნა ახალჩამოსულს, როგორ
მოეგვარებინა საოჯახო საქმეები. ოტილიემ არა თუ სწრაფად აითვისა ოჯა-
ხური ცხოვრების კანონ-წესები, არამედ შეიგრძნო კიდევ, რაც უკვე ძალიან
ბევრს ნიშნავდა. მან ადვილად გაიგო, რა უნდა გაუკეთოს ყველას და თითოეულს.
ოჯახში წესისა და რიგის მიხედვით კედებოდა ყოველი საქმე ოტილიეს ძა-
ლუძდა ბრძანების მიუცემლად დაედგა თავი ყველაფრისათვის და თუკი ვინმე
რაიმეს გაკეთებას დაიზარებდა, თვითონვე მიიყვანდა ბოლომდე დაწყებულ საქ-
მეს. როცა შეამჩნია, რაოდენ ბევრი თავისუფალი დრო რჩებოდა, შარლოტეს
თხოვა დღის განრიგი შემოეგინეო, რასაც შემდეგში ზუსტად იცავდა, მინდო-
ბილ საკეთებელს დიდი გულისყურით ასრულებდა, შარლოტემაც თავის მხრივ
კარგად აუღო ალღო გოგონას თვისებებს, რაზეც თანაშემწე აუწყებდა. ოტილიე
თავისი თავის სრული მეუფე გახდა. მას საშუალება მისცეს ლაღად გაეშალა
ფრთები. შარლოტე მხოლოდ ხანდახან თუ შეაგულიანებდა, რაიმეს კეთებაზე.
მაგალითად, მან რამდენჯერმე გამოუცვალა ოტილიეს ბლავი კალმები, რათა იგი
თავისუფალ ხელწერას დაუფლებოდა, ხოლო ოტილიეს წყალობით ამიერიდან
კალმები მუდამ წვერწამახული იყო.

ქალები შეთანხმდნენ, თუკი მარტონი დარჩებოდნენ, ფრანგულად ელაპარა-
კათ. შარლოტე აშკარად ამჩნევდა, რომ ოტილიე უცხო ენაში ბევრად უფრო
გაწაფული ხდებოდა, რაკი ენის ვარჯიში სავალდებულოდ მიიჩნდა. ამ დროს
იგი იმაზე მეტსაც ამბობდა, ვიდრე ამის სურვილი ჰქონდა. შარლოტეს მეტად
ართობდა მისი მონაყოლი შემთხვევით, თუმცაღა ზუსტსა და უბოროტო ამბებზე
პანსიონის ცხოვრებიდან.

შარლოტესათვის ოტილიე სასიამოვნო თანამოსაუბრედ იქცა და მალე იმის
რწმენაც გაუჩნდა, ოდესმე ჩემი კეთილსაიმედო მეგობარი გახდებაო.

ამასობაში შარლოტემ გადაათვალიერა ის ძველი წერილები, ოტილიეს რომ
შეეხებოდა. უნდოდა გაეხსენებინა, რას ატყობინებდნენ ამ სათნო ბავშვზე სას-
წავლებლის უფროსი და მისი თანაშემწე. შარლოტეს უნდოდა მათი აზრები
თვით ოტილიეს პიროვნებასთან შეედარებინა. მისი აზრით, უთუოდ საჭირო
იყო იმ ადამიანის ხასიათის გაცნობა, ვისთანაც ერთ ჭერქვეშ მოგიხდება მერმოს-
ში ცხოვრება. უნდა შეიტყო რა არის მისგან მოსალოდნელი, რა შეიძლება აღ-

ზარდი მასში, რას უნდა შეურიგდე ერთხელ და სამუდამოდ და რა უნდა მიუტევო მას.

თუმცა ამ ძიებისას ახალი არაფერი აღმოუჩენია, მაგრამ ^{სოციალური} უკვე მათგან შენიშნული თვისება ამჯერად მისთვის უფრო მნიშვნელოვანი და თვალში საცემი გახდა. თუნდაც ის, რომ კვლავაც დიდად აწუხებდა, ^{მნიშვნელოვან} თავშეკაცვებული იყო ოტილიე ჭამაში.

შემდეგი საზრუნავი გახლდათ ჩაცმა-დახურვა, რითაც მეტისმეტად იყვნენ დაკავებული მანდილოსნები, შარლოტე მოითხოვდა ოტილიეს მდიდრული და გემოვნებით შეკერილი კაბები ჩაეცვა სათნო და გამრჯე გოგონამ თვითონვე გამოჭრა შარლოტეს მიერ წინათ ნაჩუქარი საკაბეები და მალე, თითქმის სხვების დაუხმარებლად, ფრიად მოხდენილი კაბები შეიკვრა. ახალ მოდურ სამოსში ოტილიე უფრო ტანმალალი გამოჩნდა. ასეა ხოლმე, როცა პიროვნების შინაგან ხიბლს გარეგნული იერი გაასხვოსნებს, მით უფრო მაშინ, თუ ახალ გარემოში მოხვედრილი მშვენება მისი სულისა ირგვლივ ნათელს ჰფენს. ამ დროს მთელი მისი არსება თითქოს ფერისცვალებას განიცდის და კიდევ უფრო მშვენიერი ხდება.

აი, რატომ გახდა ოტილიე ჩამოსვლის პირველი დღიდანვე ორივე მამაკაცისათვის, ზუსტად რომ ეთქვათ, მართლა ღებენა და სიზარული. თუკი ზურმუხტის მშვენიერი ფერი კეთილ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის მხედველობაზე, იქამდე რომ საღბუნადაც შეიძლება დაედოს ფიზიკურ და სულიერ შეგრძნებებს, ვინც კი ოტილიეს თვალს შეაუღებდა, სიავის ნატამალიც არ გაეკარებოდა, სრულ ქარმონიას იგრძნობდა როგორც საკუთარ თავსა, ასევე მთელ სამყაროსთანაც.

ოტილიეს ჩამოსვლამ დიდად არგო მეგობრების საკრებულოს. კაპიტანი და ედუარდი ახლა უფრო ზუსტად იცავდნენ ერთად თავშეყრის საათებს, ასე გასინჯეთ, წუთებსაც კი. ახლა ისინი დიდხანს როდი აცდევინებდნენ ერთმანეთს სადილობის, საუზმის თუ სასეირნოდ წასვლის დროს. მეტადრე საღამოხანობით არ ჩქარობდნენ სუფრის დატოვებას. შარლოტემ კარგად შეამჩნია ეს ცვლილება და გაფაციცებით აღევენებდა თვალს მამაკაცებს. ცდილობდა გაერკვია, ვინ უფრო მეტ საბაბს იძლეოდა ამისათვის, თუმცა მათ ქცევებში ერთურთის განმასხვავებელი რაიმე ნიშანი ვერა და ვერ იპოვა. საერთოდ, ორივე მამაკაცი საგრძნობლად გამოცოცხლდა. ისინი სასაუბროდ ისეთ თემას აირჩევდნენ ხოლმე, ოტილიეს ცოდნასა და შეხედულებებს რომ ესადაგებოდა, უნდოდათ მასაც გაადვილებოდა საერთო საუბარში ჩაბმა. მანამ არ გააგრძელებდნენ ამბის თხრობას თუ წიგნების კითხვას, ვიდრე ოთახში რაიმე საქმის მოსაგვარებლად გარეთ გასული ოტილიე არ დაბრუნდებოდა. მამაკაცები უფრო ნაზი და მიმნდობი გახდნენ.

ამის კვალობაზე ოტილიეს მოშურნეობამაც დიდად იმატა, რაც უფრო კარგად ეცნობოდა ოტილიე სახლს, ადამიანებს, ურთიერთობებს, მით უფრო ცოცხლად გამოსდიოდა საქმე, მით უფრო სწრაფად სწვდებოდა ყოველი გამოხედვის, ყოველი მოძრაობის, ნახევარი სიტყვისა თუ ბგერის მნიშვნელობასაც კი. მას არასოდეს ღალატობდა არც მშვიდი გულისყური და არც აღუშფოთველი სიხალისე. ეს ეტყობოდა მის დაჯდომას, ადგომას, წასვლას, მოტანა-წალეობას, კვლავ დაჯდომას. ყოველივე ამას გუნების ამღვრევის ნასახიც არ აჩნდა. ეს იყო მარადი ფერისცვალება, ტანის თანხლებული საამო რხევა. ისე ღადიოდა, ნაბიჯების ხმასაც ვერ გაიგონებდი.

შარლოტეს მეტიხმეტად ახარებდა ვოგონას ესოდენი მუყაითობა. მხოლოდ ერთი რამ არ მოუვიდა თავალში, მიუღებლად ჩათვალა და არც დაუძალავს, კიდევ უთხრა ერთ დღეს.

„უთუოდ საქებია შენი თავაზიანობა — მაშინვე რომ დასწვდებამ ჩემს მსაქმელებად, როცა ვინმეს მოულოდნელად ხელიდან გაუვარდება. ჩემი მსაქმეების სახური გაუწიო სხვებს — ეს ადამიანური ვალდებულებაა. ოღონდ ისიც უნდა გაითვალისწინო, ვის მიაგებენ მაღალ საზოგადოებაში ასეთ პატივს. ქალებთან დაკავშირებით ამ თვალსაზრისით არც მინდა რაიმე ახალი კანონი შემოვიღო. შენ ყმაწვილი ხარ და უნდა იცოდე, რომ ასაკითა და რანგით შენზე უფროსებთან ამნაირი ქცევა სავალდებულოცაა, თანატოლებთან იგი ზრდილობას ნიშნავს, ხოლო უმცროსებთან და შენზე დაბლა მდგომებთან — ადამიანურობისა და სიკეთის მაუწყებელია. მხოლოდ ეს არის — მამაკაცებისადმი ქალიშვილს არ მართებს გამოიჩინოს ასეთი თავმოძრევა და მსახურება“.

„ვეცდები გადავეჩვიო, — მიუგო ოტილიემ, — მაგრამ თქვენ ალბათ მაპატიებთ ამ უგერგილობას, თუ გეტყვით, რატომ ვიქცევი ასე. პანსიონში ისტორიას ვვასწავლიდნენ. იქ ბევრი არაფერი მისწავლია და ეს არცთუ მოსაწონია. საჭირო იყო უფრო ბევრი მესწავლა. აბა, რა ვიცოდი, თუ ოდესმე იქ ნასწავლი დამჭირდებოდა, მხოლოდ ცალკეული ეპიზოდები დამახსოვდა. ერთ მათგანს ახლავე ვიამბობთ.“

თურმე ერთხელ ინგლისის მეფე კარლოს პირველს, თავისი ეგრეთწოდებული მსაჯულების წინაშე მდგარს, ძირს დაუვარდა ხელკეტზე მიმაგრებული ოქროს ბუნიკი. ასეთ შემთხვევაში მისთვის მუდამ სხვები ირჯებოდნენ, იგი შეჩვეული იყო ამას, მაგრამ რა დაინახა, ყურაც არავინ გაიბარტყუნაო, თვითონვე დაიხარა ბუნიკის ასაღებად. ჩემზე ამ ამბავმა ისე მტკივნეულად იმოქმედა, რომ მას შემდეგ ყოველთვის, როგორც კი ვინმეს ხელიდან რაიმე გაუვარდება, თავლის დახამხამებაში დავიხრები ხოლმე ნივთის ასაღებად, არც ვიცი, რამდენად არის მართებული ამნაირი ქცევა. ეტყობა, ასე აღარ ივარგებს, რადგან სულ მუდამ ხომ არ მოყვები ამ ჩვენს ამბავს. ამიტომაც განვიზრახე ამიერიდან სხვანაირად მოვიქცე“.

ამასობაში შეუწელებლად გრძელდებოდა ის სასარგებლო წამოწყებები, რითაც ორივე მეგობარი იყო გატაცებული. დიახ, ისინი ყოველდღე პოულობდნენ საიმისო საბაბს, რაიმე ახალი მოუფიქრებინათ და გაეკეთებინათ.

და აი, ერთხელ, როდესაც სოფლის გავლით მიდიოდნენ, უსიამოდ მოხვდათ თავალში, როდენ ჩამორჩებოდა მათი სოფელი სხვა სოფლებს, რომელთა ბინადართ სიერცის უკმარისობა აიძულებდათ დაეცვათ წესრიგი და სისუფთავე.

„გახსოვს, — თქვა კაპიტანმა, — შვეიცარიაში მოგზაურობის რა სურვილი აგვეკვიპათა? გვინდოდა რომელიმე გლეხურ დასახლებაზე ლამაზი სოფელი გავუშენებინა, მაგრამ შვეიცარულ არქიტექტურულ სტილს კი არ გამოვედევნებოდიო, არამედ შვეიცარულ წესრიგსა და სისუფთავეს, რაც ასე აუცილებელია ადამიანის ცხოვრებაში“.

„ჩვენს მხარეში ეს მართლა მისწრება იქნება, — მიუგო ედუარდმა, — ციხე-დარბაზის მთა წინგამოშვერილი კუთხით არის დაქანებული, სოფელი კი იმის მოპირდაპირე მხარეს, საკმაოდ დიდ ნახევარწრედაა გაშენებული. ამათ შორის ნაკადული ჩამორბის და წყალდიდობისას, ვინ იცის, რა ხდება. რას არ წამოავლებენ ხელს თავის დასაცავად; ქვებსა თუ ბოძებს, მორებს და ფიცრებს. მეზობელი მეზობელს ვერ შველის, პირიქით, ზიანსაც აყენებენ ერთმა-

ნეთს, ამას კი დიდი ხარალი მოაქვს. გზა ოღროწოდ მიემართება, ხან ქვე-
მოთ, ხან კიდევ წყალში გადის, ხანაც ქვებზე. თუკი სოფლის ბინადარი ხელს
გამოიღებენ, დიდი ხარჯი არ დასჭირდება კედლის ნახევარწოდ ამოყენას. მე-
რე კი გზას სახლების სიმაღლეზე ავიყვანთ და ამ მშენიერ კუთხეს მოვასუფ-
თავებდით. ამ გრანდიოზული წამოწყებით ერთხელ და სამუდამოდ მოქმედობ-
დით წვრილმან და თავმოუდგმელ ყველა სადარდელს“.

„მოდი, ვცადოთ, რა გამოვა“, — თქვა კაპიტანმა და, დაუფიქრდა რა შექმნილ
ვითარებას, სწრაფად განჭვრიტა მისი არსი.

„არ მიყვარს გლეხებთან და ქალაქელებთან საქმის დაჭერა, თუკი ბრძანების
საშუალება არ მექნება“, — შენიშნა ელუარდმა.

„შენ მართალს ამბობ, — მიუგო კაპიტანმა, — თავის დროზე სისხლი გა-
მიშრო ასეთმა საქმეებმა. ადამიანს უჭირს იმის სწორად განჭვრეტა, რისი შემბ-
ლეა ანდა რა უნდა გაიღოს მსხვერპლად. ძნელია ისე მიაღწიო მიზანს, რომ არ
უგულველყო მის მისაღწევად საჭირო საშუალება. ბევრი ერთმანეთში ურევს
მიზანს და საშუალებას, ხარობენ პირველით, ხოლო მეორეს ივიწყებენ. ყველა-
ნაირი მანკი პირველი გამოჩენისთანავე, ადგილზევე უნდათ აღკვეთონ, იმას კი
არ დაგიდევენ, საიდან გამოტყვრა, როგორ განვითარდა იგი. ამიტომაც ძნელია
რჩევის მიცემა, მეტადრე ბრბოსთვის, რომელიც შესანიშნავად ერკვევა ყოველ-
დღიურ ამბებში, ხოლო ხვალისდღელი დღის იქით იშვიათად იყურება. ხოლო თუ
რაიმე საქმეში ერთი მოგებას პოულობს, ხოლო მეორე — ხარალს, მაშინ ფიქ-
რიც აღარ შეიძლება ინტერესთა მორიგებაზე, ყოველმა ერთობლივმა სიკეთემ
შეუზღუდავი ხელისუფლების ძალისხმევით უნდა ეძიოს მხარდაჭერა.“

როცა ასე იდგნენ და საუბრობდნენ, ვიღაც კაცი მოწყალების სათხოვნელად
მოადგათ. იგი უფრო თავხედი ჩანდა, ვიდრე უპოვარი. ელუარდი მუდამ ბრახ-
ლებოდა, როცა საუბარში ხელს შეუშლიდნენ. ჯერ მშვიდად უთხრა უარი, ხოლო
შემდეგ, როცა გლახაკი აღარ მოეშვა, წონასწორობა დაკარგა და კარგა ლახა-
თიანად გამოლანძღა. მათხოვარი ბუზღუნით და ლამის გაგულისებითაც მოცილ-
და იქაურობას, თან გლახაკის უფლებას იმოწმებდა: შეიძლება მოწყალებაზე
უარი უთხრა, მაგრამ არამც და არამც არ უნდა შეურაცხყო, რადგან მათხოვა-
რიც ვითარცა ყველა სულდგმული ამ ქვეყანაზე, ღეთისა და ხელისუფლების
მფარველობის ქვეშააო.

დასამშვიდებლად კაპიტანმა ელუარდს ასეთი რამ შესთავაზა:

„მოდი, ეს შემთხვევა საბაბად გამოვიყენოთ და ჩვენი სოფლის პოლიცია ამ
თვალსაზრისითაც გავსარჯოთ. მოწყალების გაღება უთუოდ საჭიროა, ოღონდ
აჯობებდა, თუ შენ თვითონ არ გააკეთებდი ამას, თანაც საკუთარ სახლში. კე-
თილქმედებას თავისი ზიმა და წონა აქვს. უხვი საბოძვრის გაცემა ფეხს კი არ
ამთაკვეთინებს მათხოვარს, კიდევ უფრო მოიზიდავს აქეთკენ. მხოლოდ მოგზა-
ურობის დროს თუა სასიხარულო, უეცარ ბედნიერებად მოევიწიო გლახაკს და
წყალობა მისცე, როცა გვერდით ჩაუვლი სამათხოვროდ ხელგამვერილს. ციხე-
დარბაზისა და სოფლის ხელსაყრელი მდებარეობის წყალობით ამ საქმეს ადვი-
ლად მოეწელება. ამაზე სხვა დროსაც არაერთხელ მიფიქრია. სოფლის ერთ ბო-
ლოში აქ სასტუმრო დგას, მეორე ბოლოში კეთილი მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვ-
რობს. ჩვენ გვმართებს ორივე ადგილას გარკვეული თანხა დავდოთ, რომელიც
სოფელში შემოსულმა კი არ უნდა მიიღოს, არამედ სოფლიდან გასულმა და რა-
კი ორივე შენობა სასახლისაკენ მიმავალი გზის პირას დგას, ამიტომ ყველა,

ვინც იქ მისვლას მოისურვებს, უთუოდ იმ გზით უნდა გაივზავნოს, სადაც ფული ინახება“.

„მოდი, ახლავე მივხედოთ ამ საქმეს, — თქვა ელუარდმა. — წერილმანების/ გათვალისწინებას მერეც წავასწრებთ“.

სასტუმროს პატრონიც ინახულეს, მიხუცი ცილ-ქმარიც და მოავკარეს.

„საკმაოდ კარგად ვიცი, — თქვა ელუარდმა უკან მობრუნებისას, სასახლის მთას რომ აუყვებენ, — რომ ყველაფერი ამქვეყნიად ჭკვიანურ იდეასა და გაუტყუხელ ნებაზეა დამოკიდებული. შენ მართალი იყავ, როცა ჩემი ცილის მიერ გაშენებულ პარკს წუნი დასდეს, აკა მისი უკეთ ამენების გზაც აპოვე. არ დაგიძალავ და უკვე ვუთხარი კიდევ ამის შესახებ“.

„ახეც ვიცოდი, — მიუგო კაპიტანმა, — მაგრამ საქციელს ვერ მოვიწონებ, ამით შენ მხოლოდ შეაშფოთე იგი. მან კი დაწყებულ საქმეს თავი მიაწება, თუმცა ხელ ერთია, მაინც არ დაგეთანხმა. იგი გაურბის ამაზე ლაბარაკს და აღარც გვიწვევს თავის ქოხში, თვითონ კი რამდენჯერმე დავინახე იქ ოტილიესთან ერთად“.

„ამან არ უნდა შეგვაკრიტოს, — მიუგო ელუარდმა, — თუკი ვირწმუნე რაიმე სიკეთის ქმნა და მისი საჭიროება, მანამ არ მოვასვენებ, ვიდრე საქმეს ბოლომდე არ ჩავსდევ და საწადელს არ ვეწევი. ჩვეულებრივ ხომ ასეა მუდამ, მხოლოდ საქმის დაწყებისთვის გვეყოფნის ჭკუა. მოდი, წავიკითხოთ სალამოს ჩვენეული საუბრებისას ინგლისური პარკების სია, ენახოთ მათი გრაფიურები, მერე კი იმ მამულის რუკას მივხედოთ, შენ რომ შეადგახე. ჯერ ამ თემას ვითომ ხუმრობით პრობლემურ ხასიათს მივცემთ, მერე კი ყველაფერი სერიოზულად აეწყობა“.

ამ დათქმის შემდეგ გადაშალეს წიგნები, რომლებშიც იპოვეს ადგილმდებარეობის, ლანდშაფტის თავდაპირველი, ხელუყოფელი მონახაზი საესეებით ბუნებრივი სახით. სხვა გვერდებზე კი წარმოდგენილი იყო ის გადასახელები, რაც ბუნებაზე ხელოვნების ზემოქმედების წყალობით ხდება, რათა ყოველი მისი სიკეთე ჯეროვნად ამრავლოს და მოიხმაროს. ამჯერად უკვე გაადვილდა საკუთარი ადგილ-მამულისა და მისი შემოგარენის გარკვეული კუთხით დანახვა და იმის გააზრება, რა უნდა მოემთქმელათ შემდგომში.

კაპიტანის მიერ შედგენილი რუკა კარგ წამოწყებას უყრიდა საფუძველს, თღონდ თავდაპირველად ვერაფრით ვერ შესძლეს უარი ეთქვათ იმ იდეაზე, შარლოტე რომ ხელმძღვანელობდა. მერე კი მაინც მოიფიქრეს, როგორ გაეადვილებინათ მწვერვალზე ასასვლელი გზა, ზემო ფერდობზე მშვენიერი ქარაფის წინ ფანჩატურის გაკეთება ინდომეს და ადგილიც ისე შეარჩიეს, რომ იგი სასახლის ფანჯრებიდან გამოსწილიყო, ხოლო ფანჩატურიდან კი — სასახლე და ბაღები.

კაპიტანმა კარგად მოიფიქრა და აწონ-დაწონა ყველაფერი და ხელახლა ჩამოავდო საუბარი სოფლას გზაზე, ნაკადულის პირად აღმართულ კედელსა და იმ მიდამოებში უხვად დაერილ ქვებზე. მთაში მოხერხებულ გზას რომ გაეჭრი, ზუსტად იმდენ ქვას მოვზიდავ, რამდენიც კედლის ამენებისთვის დამჭირდება. როცა ერთი საქმე მეორეს ერწყმის, მაშინ ორივე უფრო სწრაფად და იაფად კეთდება“.

„აი, უკვე ჩემი საზრუნავიც გამოჩნდა, — თქვა შარლოტემ, — საჭიროა გასავალი თანხის ზუსტი დაანგარიშება. როცა წინასწარ იცი, რამდენი თანხაა საჭირო ასეთი სამუშაოსათვის, მაშინ შეიძლება დაიანგარიშო ყოველთვიური, ყო-

ველკვირეული დანახარჯიც, სალაროს გასაღები ჩემთან იქნება, თვითონვე გადავიხდი ჩანაწერების მიხედვით თანხას და ანგარიშსაც მევე ვავარდლებ“.

„შენ, მგონი რაღაც არ გვენდობი,“ — უთხრა ცოლს ედუარდმა.

„თვითნებურ საქმეებში სწორედ რომ არა, — მიუგო მარლოტემ, — თვითნებობის ალაგმვა მამაკაცებზე უფრო ქალებს გვემარჯვება.“

განკარგულებები გასცეს. სამუშაოს სწრაფად დაადგეს თავი. კაპიტანი თავად ადევნებდა თვალყურს დაწყებულ საქმეს. შარლოტეს თითქმის ყოველდღიური მოწმე ხდებოდა მისი სიღარბაისლისა და გამჭრიახი ჭკუისა. თავის მხრივ, კაპიტანიც დაუახლოვდა შარლოტეს და ამ სიახლოვით კიდევ უფრო გაუადვილდათ შრომა და ჩანაფიქრის ხორცშესხმა.

საქმე ცეკვასავითაა: ადამიანები, რომლებიც ნაბიჯს შეუწყობენ ერთმანეთს, აუცალებელი ხდებიან ერთმანეთისთვის, ამ დროს მათ შორის უთუოდ ჩნდება ურთიერთსიმპათია, და შარლოტე რომ დაახლოვებისთანავე კაპიტანისადმი მართლაც კეთილად განეწყო, ამის აშკარა დასტური იყო, მშვიდად რომ დათანხმდა იმ კოპწია საჩრდილობლის დანგრევაზე, რომელსაც განსაკუთრებით გამოარჩევდა მისეულ პარკში სამუშაოს დაწყების პირველი დღეებიდანვე და მუდამ მის გალამაზებაზე ზრუნავდა. თანაც ეს ყოველგვარი უსიამოვნო შეგრძნების გარეშე გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტანს სურდა ასე, თუმცა მის ჩანაფიქრს კი არ ესადაგებოდა.

თავი მეხვინა

შარლოტესა და კაპიტანის ერთობლივი გარჯილობის შედეგად ედუარდიც სულ უფრო მეტად მიიდრიკა ოტილიესაკენ. ედუარდს რა ხანია აღეძრა წყნარი, თბილი გრძნობა ოტილიესადმი, ეს კია, ოტილიე ედუარდისადმი მეტისმეტ კრძალვას იჩენდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ედუარდს ასე სჯეროდა. მხოლოდ ის კი მართლა შეამჩნია, რა კერძები უყვარდა ედუარდს. ყურადღების მიღმა არ დარჩენია, რამდენ ნატეხ შაქარს იყრიდა ჩაიში და ათასი სხვა წვრილმანი. განსაკუთრებით იმაზე ზრუნავდა, როგორმე გამკრავი ქარი აეცილებინა მისთვის, რადგან ედუარდი გადამეტებულ მგრძნობიარებას იჩენდა ამ მხრივ და ზოგჯერ შეკამათებაც მოსდიოდა ცოლთან, რომელსაც ჩვეულებრივ არასოდეს ყოფნიდა ჰაერი. ასევე შესანიშნავად იცოდა ოტილიემ, რა უნდა ეკეთებინა პარკსა და ბაღში. რასაც კი ედუარდი მოიწადინებდა, გოგონას უმაღლ სურდა შეესრულებინა, ცდილობდა თავიდან აეცილებინა მისთვის ყველაფერი, რაც აღიზიანებდა, ისე რომ ოტილიე ედუარდის მფარველი ანგელოზი გახდა ამ მხრივ. ედუარდი უკვე დიდად განიცდიდა ოტილიეს მოშორებით ყოფნას. გარდა ამისა, ისიც აშკარა იყო, რომ ედუარდი უფრო გულახდილი და ტკბილმოუბარი ხდებოდა, როცა ისინი მარტონი რჩებოდნენ.

ედუარდს ასაკთან ერთად რაღაც ბავშვურიც ემატებოდა, რაც ოტილიეს სიყმაწვილეს დიდად შვენოდა. ისინი სიხარულით იხსენებდნენ იმ ადრეულ წლებს, როცა ერთმანეთი პირველად ნახეს. ეს მოგონებები ედუარდისა და შარლოტეს პირველი გულმიდრეკის ხანაძღე აღწევდა. საოცარია და, ოტილიეს რატომღაც უნდოდა დაეჯერებინა, თითქოს ედუარდი და შარლოტე ახსოვდა, როგორც სასახლის მშვენიერი წყვილი. და როცა ედუარდმა შორს დაიჭირა ამისგან თავი, როგორ შეიძლება ეგზომ შორეული წარსული გახსოვდესო, გოგონა

მოჰყვა მტკიცებას, რანაირად დაამახსოვრდა ერთი განსაკუთრებული შემთხვევა. როცა ერთხელ ეღუარდი ოთახში მოულოდნელად შემოსულა, ოტილიეს თავი შარლოტეს კალთაში ჩაურგავს, მაგრამ არა შიშის, არამედ ბავშვური გაოცების გამო. ისიც თქვა — ჩემზე მაშინ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინე, რადგან ძალიან მომეწონეთ.

ასეთ ვითარებაში რამდენადმე შეეფიქრა მეგობრების წინანდელი საქმიანობა, ამიტომ გადაწყვიტეს ხელახლა გადაეხედათ ბევრი რამისთვის, შეედგინათ ხარჯების ნუსხა, დაეწერათ წერილები. მიაკითხეს კანცელარიას და იქ მოხუცი გადამწერი უსაქმოდ ნახეს. შეუდგნენ ნუშაობას, მაგრამ შეუმჩნევლად ისევ მოხუცს გადააბარეს საქმეები, რასაც ადრე, ჩვეულებრივ, თვითონ აკეთებდნენ ხოლმე. პირველივე ხარჯთა ნუსხა კაპიტანს არ გამოუვიდა, ეღუარდმა კი წერილას დაწერას ვერ მოაბა თავი. ერთხანს ასე წვალობდნენ გადაწერასა თუ დაკონსპექტებაზე, ვიდრე ეღუარდმა, რომელსაც განსაკუთრებით უჭირდა, არ იკითხა, რადროლო.

სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ კაპიტანს დაეწეებოდა თავისი ქრონომეტრიული საათის მომართვა, რაც პირველად მოხდა მრავალი წლის მანძილზე, და ორივემ გულის ხილრმეში იგრძნო, რომ დროის შეგრძნება სრულიად დაჰკარგეს. რამდენადაც მამაკაცების საქმიანობა მეტნაკლებად შენედა, იმდენად იმატა მანდილოსნების გარჯილობამ. საერთოდ კი, ოჯახური ცხოვრების ჩვეულებრივი წესი, რომელიც გარკვეულ პიროვნებებსა და გარემოებებზეა დამოკიდებული, საკუთარ სისხლსა და წერვში კპოულობს უჩვეულო გულისთქმასა და სულის დამამკვიდრებელ ვნებას; გაივლის საკმაო ხანი და ეს ახლად მოვლენილი სიკეთის ნასახი საგრძნობ შშფოთვარებას მოკვიტანს და მშხეფარედ გადასცდება ნაპირს.

მეგობრების გულში განიხილი ურთიერთსიმპატია საამურ ზემოქმედებას ახდენდა მათზე. სულელები ერთმანეთში იხსნებოდა, ხოლო საყოველთაო კეთილმოსურნეობა განსაკუთრებული ძალით მეღავენდებოდა. თითოეული მათგანი თავს ბედნიერად გრძნობდა და ამ ბედნიერებას საკუთარ თავს კი არა, მეორეს უმაღლოდა. ასეთი ვითარება აღამიანს სულით აღამალლებს და სიცოცხლის ხალისით ავსებს. ამ დროს ყველაფერი, რასაც იგი ფიქრობს და აკეთებს, უსასრულო და უსაზღვრო ჩანს. მეგობრებსაც გული შინ არ უდგებოდათ. ისინი შორეულ გასვირნებას აწყობდნენ. თუ ეღუარდი და ოტილიე წინ გარბოდნენ და გზის გასაკვალავ ბილიკს ეძებდნენ, დანჯ საუბარში გართული კაპიტანი და შარლოტე მშვიდად მიუყვებოდნენ ფეხმარდი თანამგზავრების კვალს და აღტაცებას ვერ ფარავდნენ ამ მშვენიერი ხედების შემყურე, თვალწინ რომ თითქოს პირველად გადაეშალათ ახალ სანახაობად დღეს.

ერთხელ სეირნობისას, სასახლის მარჯვენა ფლიგელის კარიბჭიდან გამოსულელები, სასტუმროსკენ გაემართნენ და ხიდის გადავლით გუბურამდე მივიდნენ. ვერ დაუბრკოლებლად მიდიოდნენ, მერე გზა წყლის პირას თანდათან გაუვალი გახდა, იგი დაბუნქულ ბორცვებსა და კლდეებს ჩაეხერგა.

ეღუარდმა ეს მიდამო კარგად იცოდა, რადგან ადრე სანადიროდ ეოფილა აქ, აი, იქ, აბიბინებული ბილიკის გაყოლებით, აქვე ახლო კლდეებში მიმალული ძველი წისკვილი ეგულებოდა. მაგრამ ბილიკი ძალე დაიკარგა და ისინი გზადანეული აღმოჩნდნენ ხშირი ბუნქებით დაფარულ ხავსიანი კლდის ქანებს შორის, თუმცა არცთუ ისე დიდხანს, წისკვილის ბორბლების ხმაურმა სწრაფად უწყა მათ სიახლოვე იმ ადგილისა, რომელსაც დაეძებდნენ. როცა ფრიადლოზე ავი-

დნენ, ციცაბო კლდეებითა და ტანმადლი ხეებით მოხრდილული შავი ფერის საოცრად მკვლე ხის ნაკვეთი დაინახეს. ივაქრეს, სკობს მოკლე გზით და სწვილობიანად აქედან პირდაპირ ქვემოთ დავეშვათ ხავსიან კლდეთა ჩამონატეხებზე გადავლიათ.

ელუარდი წან მიდიოდა, უკან რომ მოიხედავდა, ეჩვენებოდა ქვედა კარგა მოშორებით. იგი ღალად და უშიშრად მსუბუქი ნაბიჯებით მიჰყვებოდა მის კვალს, მოხდენილად ახტებოდა მთის ქანებს და აულელვებლად იცავდა წინასწარიობას. ელუარდს ევონა, ჩემ ზემოთ ციური არსება დაქრისო. როცა გაუვალ ადგილებში ოტილიე ხანდახან ელუარდის გამოწვდილ ხელს ჩაეჭიდებოდა, ანდა სულაც მის მხრებს მიენდობოდა, იმ წუთებში ელუარდს არ შეეძლო თავს არ გამოტყდომოდა, რომ თავის სიცოცხლეში არ შეხებოდა ოტილიეზე ნაზ არსებას, თითქოს კიდევაც უნდოდა ოტილიეს ყუები დასცდენოდა ან წაებორძიკა. აი მაშინ ხომ ეჩნებოდა შესაძლებლობა, მოხვეოდა და მკერდზე მიეკრა ეს უნაზესი ქმნილება. მაგრამ არა, ამას იგი არაფრით არ დაუშვებდა, თანაც რაღაც ერთი მიზეზის გამო კი არა. მას ეშინოდა, არ შეეღახა მისი ღირსება და ამასთან უნებლიედ არაფერი ევნო. ხილო რა ევნო, ამას ახლავე გაუწყებთ.

როგორც კი ელუარდი ოტილიესთან ერთად მიუბიდან ძირს დაეშვა და სოფელში ჩამოვიდნენ, ორივენი მადალი ხეებით მოხრდილულ მაგიდას შემოუსხდნენ, ელუარდმა მეწისქვილის ერთგული ცოლი რძეზე გაგზავნა, ხილო თვითონ მეწისქვილე — შარლოტესა და კაპიტანთან შესაგებებლად, ცოტა ხანს ხმავერ ამოიღო, მერე კი გოგონას უთხრა:

„თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს, ძვირფასო ოტილიე. თუკი უარს მეტყვით, მაშინ გთხოვთ მაპატიოთ. თქვენ არ მალავთ, ანკი რა დასამალია, რომ ტანსაცმლის ქვეშ, გულთან ახლოს მინიატურულ სურათს ატარებთ. ეს არის სურათი მამათქვენის, შესანიშნავი კაცის, ვისაც თითქმის არც იცნობდით და ვინც ღირსია თქვენა სიყვარულისა. მაგრამ მაპატიეთ და უნდა გითხრათ, რომ სურათი მეტიმეტად დიდი ზომისაა, ხილო ღითონში ჩასმული ეს მინა, ათასნაირ შიშს აღმიძრავს. რა იცა, რა მოხდება, როცა ხელში ბავშვი აგყავთ, ანდა რაღაც გიჭირავთ, როცა კარგა ირწყევა ანდა ბუჩქებში გზას მოიკვლევთ, როგორც ახლახანს იყო, კლდის ქანებზე რომ დავეშვით. მაფიქრებს ყოველი მოულოდნელი ბიძგი, დაცემა, იქამდე, რომ ხელით შეხებაც კი შეიძლება საშიში, სულაც დამლუპველიც აღმოჩნდეს თქვენთვის, გამიწიეთ ხათრი, ძალიან გთხოვთ, მოიშორეთ ეს სურათი, ოღონდ არა ხსოვნიდან, პირიქით, თქვენს საძინებელ ოთახში საპატიო ადგილიც კი მიუჩინეთ მას, ოღონდ მკერდიდან ჩამოიხსენით ეს საშიში საგანი, თუმცა, რა ვიცა, იქნებ ჩემი შიში გაზვადებულიც იყოს.“

ვიდრე ელუარდი ამას ამბობდა, ოტილიე ღუძმა, თავი არ აუღია, მერე უფრო ცას შეხედა, ვიდრე ელუარდს, მშვიდად, უშფოთველად გახსნა მეწკვი, იქიდან პორტრეტი ამოიღო, შუბლზე მიიღო იგი, მერე მეგობარს გაუწოდა და უთხრა:

„ვიდრე შინ დაებრუნდებოდეთ, შეინახეთ იგი. ამაზე უკეთ მე ვერ დაგიდასტურებთ, რა დიდად ვაფასებ თქვენს მეგობრულ თანაგრძნობას.“

ელუარდმა ვერ გაბედა ბავიი შეხებოდა სურათს, სამაგიეროდ ოტილიეს ხელს ხელი ჩააქლო და თვალვითონ ფრთხილად მიიტანა. არა მგონია, ოდესმე ვინმეს ერთად ეხილა ორი ესოდენ მშვენიერი ხელი. ელუარდს გულზე მოეშვა, თითქოსდა მასა და ოტილიეს შორის წყალგამყოფი ზღვარი მოიშალა.

მეწისქვილემ შარლოტე და კაპიტანს უფრო მისამხარ ბილიკზე გამოიყვა-

ნა. მეგობრები მხიარულად მიეგებნენ ერთმანეთს, დანაყრდნენ და შინ სხვა გზით ნობრუნება ინდომეს. ედუარდმა თანამგზავრებს ნაკადულის მეორე მხრიდან კლდოვანი ბილიკით შემოვლა შესთავაზა, რახან აქედან კარგად მონახდა ტბის რები. მერე ნაირფერად მობიბინე ჭალა გადასერეს. შორიდან გამოჩნდა სოფლები, დასახლებები, ამწვანებული, ნაყოფით უზვად დახუნძლული კარ-მიდამხრებნი ახლოს, შუა ჭალაში, მოძალლო ადგილას მკეტად მოკრძალებულად მსხინკმსხინკ ხუტორი. ამ ადგილის მთელი ბარაქიანობა მაშინ გამოჩნდა, როცა წყნარად და შეუმჩნეველად ავიდნენ მწვერვალზე, საიდანაც გზა ლაღად გაშლილი ჭალაკით კლდეზე გადმოდიოდა, რომლის პირდაპირ სასახლე იდგა.

როგორ გაიხარეს, როცა ასე მოულოდნელად ამ ადგილას მოვიდნენ. ვიდრე აქ მოვიდოდნენ, თითქოს პატარა სამყარო მოიარეს. ახლა კი იმ მოედანზე იდგნენ, სადაც ახალი შენობა უნდა აღეშართათ, თითქოსდა წინასწარ შეიხედეს მოძავალი საცხოვრებელი ბინის ფანჯრებში.

მერე ხავსის ქობს მიაღვნენ და პირველად მიუსხდნენ მაგიდას. არაფერი უფრო ბუნებრივი არ იყო, ვიდრე ერთი კლოუნად გამოთქმული სურვილი — დღევანდელი გზა, ასე ნელა და დაუღალავად რომ გალიეს, ისეთნაირად გაეყვანათ, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მისი მშვიდად, ხალისიანად გავლა ამდენი დროისა და ამხელა ჯაფის დაუხარჯაევად.

თითოეულმა თავისი წინადადება წამოაყენა, მაგრამ ბოლოს ყველანი ერთში შეთანხმდნენ — თუ გზას მოასწორებდნენ, რომლის გავლას ადრე რამდენიმე საათი სჭირდებოდა, შესაძლო იქნებოდა სულ რაღაც ერთ საათში სასახლეამდე მიხელა. წისქვილის ქვემოთ, იმ ადგილას, სადაც ნაკადული გუბურას უერთდება, თავიანთ ფიქრში უკვე ააგეს კიდეც გზის შემამოკლებელი და ბუნების დამამშვენებელი პატარა ბოგირი. ამ გაცხოველებულ სჯა-ბაასში იყვნენ, როცა მოულოდნელად შარლოტამ ლაგამი მოსდო ნათი ფანტაზიის მოზღვაკებას, როდესაც ეს ხარჯები შეახსენა, ამ წამოწყებას რომ უთუოდ დასჭირდებოდა.

„ამასაც მოეკლება, — შენიშნა ედუარდმა, — ნამდვილად ღირს სწორედ ამ მიხნებისათვის გაყვიდოთ ტყეში მდებარე ჩვენი ხუტორი, რომელსაც, მართალია, ერთობ ლამაზი მდებარეობა აქვს, მაგრამ ძალზე ცოტა მოგება მოაქვს. მისგან მონაგარი თანხა, სჯობდა ამ საქმისთვის მოგვეხმარა. გარდა იმისა, რომ გონივრულად გამოვიყენებდით ფულს, შესანიშნავი სანაჯარლოც მოგვეკრიდა სიამეს, თან მოგებული პროცენტებითაც ვისარგებლებდით. წლის ბოლოს ხომ მუდამ ვწუხვართ ხოლმე მისგან მიღებულ მცირე შემოსავალზე“.

შარლოტე კარგი მეოჯახე იყო და ამ აზრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. მსგავსი იდეა ადრეც გასჩენიათ. კაპიტანმა წინადადება შემოიტანა შეედგინათ გეგმა, რომლის მიხედვითაც განაწილდებოდა მიწის ნაკვეთები ტყეში ბინადარ კლესთა შორის, მაგრამ ედუარდს ადვილად და მოკლე გზით უნდოდა საქმის მოგვარება, ანუ, ხუტორი ამჟამინდელ არენდატორთათვის მიეცათ, თანხა განსაზღვრულ ვადებში ნაწილ-ნაწილ გადაეხადათ და ასევე განსზღვრულ ვადებში ნაკვეთ-ნაკვეთ ეწარმოებინათ გზის გასაყვანი სამუშაოები.

ასეთმა ფხიზელმა და კეთილგონივრულმა წინადადებამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. თითოეული მათგანი უკვე წინასწარ ხედავდა დაკლაკნილ გზებს, რომელთა გასწვრივ, იმედია, ახალი, ძველებურზე უფრო წარმტაცი კუთხეები და პეიზაჟები გადაიშლებოდა.

ყოველი წვრილმანი რომ გაეაზრებინათ, მეგობრებმა საღამოთი შინ მობრუნებისთანავე გაშალეს მამულის რუკა. თვალი გადაავლეს განვლილ გზას

და იმის შესაძლებლობაც განსაზღვრეს, როგორ მიეცემოდა სასარგებლო მიმართება მათ ჩანაფიქრს. ადრე წამოყენებული წინადადებები, კვლავ ახალი თვალსაზრისით განიხილეს, კვლავ მოიწონეს სასახლის პირდაპირ მდებარე ის ადგილი, სადაც ახალი სახლი უნდა აეშენებინათ და საბოლოოდ დადგინეს გზათა მაგისტრალიები.

ერეკნული

ამ ხნის მანძილზე ოტილიეს ხმა არ ამოუღია, მერე ეღუპრებოდა მთუწია ის გვეგმა, მანამდე შარლოტეს რომ ელა წინ, და სთხოვა, შენი აზრი გეთხარა ამის თაობაზე. როცა იგი წამით შეყოვნდა, ეღუარდმა ნაზად გაამხნევა, ურჩია, თქვი, ხომ ჯერაც ყველაფერი არ არის გარკვეული, აი, სწორედ ახლა ეაზუსტებო.

„მე ამ ადგილას ვისურვებდი სახლის აშენებას, — თქვა ოტილიემ და საჩვენებელი თითით ძალად ბორცვებზე ანიშნა. — თუმცა აქედან სასახლე არ მოჩანს, მას ტყეება ფარავს, მაგრამ აქ თავს სულ სხვა ახალ სამყაროში იგრძნობ, როცა სოფლები და დასახლებები არ გამოჩნდებიან, ხოლო გუბურები, წისკვილი, ბორცვები და მთების ხედები უჩვეულოდ მშვენიერია. ეს სიმშვენიერე ჯერაც მაშინ შევნიშნე, გვერდით რომ ჩაუყარე მათ.“

„ის მართალია, — შესძახა ეღუარდმა, — ან კი ჩვენ როგორ არ მოგვაფიქრდა. კო, ოტილიე“. მან ფანქარი ღილი და გამოკვეთილად მიხაზა მწვერვალზე თიხკუთხედი.

კაპიტანს გულზე მოხვდა ეს ამბავი, არ ეამა ბეჯითად და სუფთად დახაზული გვეგმა რომ დაუთხუპნეს, მაგრამ წყენა დამალა, მხოლოდ შენიშვნა გააკეთა და მხარი დაუჭირა ახლად გამოთქმულ აზრს.

„ოტილიე მართალია, — თქვა მან, სეირნობებსაც ხომ იმისათვის ვაწყობთ. სუფთა ჰაერზე დაუღლით ყავა, მიეირთვათ თევზი, სახლში კი ეს ყველაფერი არ გამოდის, გემოს ვერახდროს ჩაატან ჭამას. ჩვენ მრავალფეროვნება და უცხო საკვები გვხიბლავს ხოლმე. წინაპრები ჭკვიანურად მოქცეულან, როცა სასახლე სწორედ ამ ადგილას აუშენებიათ. იგი ქარებისგანაცაა დაცული და ყოველდღიური მოთხოვნების საგნებიც ახლოსაა. ხოლო შენობა, რომელიც არა იმდენად საცხოვრებლად, რამდენადც მზიარული დროსტარებისათვისაა გათვალისწინებული, დარჩეს ისე ხელუხლებლად, როგორც არის. მჯერა, არაერთ სისიამოვნო წუთს გავატარებთ იქ ზაფხულობით.“

რაც უფრო დიდხანს განიხილავდნენ გვეგმას, მათ უფრო ხელსაყრელი მოჩანდა იგი და ეღუარდიც არ ძალავდა თავის აღფრთოვანებას, რომ ოტილიეს საკუთარი აზრი აღმოჩნდა. ისე ამაყობდა ამით, თითქოს ეს აზრი თვითონ მას მოუვიდა თავში.

თავი მერვე

მეორე დღეს კაპიტანმა სისხამ დილითვე დაკვირვებით შეაქლო თვალი მოედანს, სადაც ახალი სახლი უნდა აეგოთ. მერე შენობის ჯერ ნაჩქარევა ესკიზი მოხაზა, ხოლო მას შემდეგ, რაც ადგილზე მოსულმა მეგობრებმა კვლავ დაუდასტურეს გუშინდელი განზრახვა, უფრო ზუსტი პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შეადგინა, თან სხვა საჭიროებებიც გაითვალისწინა. აღარაფერი აკლდა მოსამზადებელი აუცილებელი სამუშაოების დაწყებასაც. კვლავ წამოიჭრა საკითხი ხუტორის გაყიდვაზე. მამაკაცებს ახალი საქმიანობის დასაწყებად საბაბი მიეცათ.

კაპიტანმა ეღუარდს შეახსენა, შარლოტეს დაბადების დღე ახლოვდება და უბრალო თავაზიანობა კი არა, მოვალეობაცაა ამ დღესასწაულის აღნიშვნა ახალი

შენობისათვის საძირკველის ჩაყრას დაუკავშიროთო, ახლა უკვე ძნელი აღარ იყო გადაელახათ მსგავსი დღესასწაულებისადმი ეღუარდის ანტიპათია რადგან მალე ახლოვდებოდა ოტილიეს დღეც, რომლის ზარ-ზეიმით გადახდამაც სწრაფად გაუელვა ფიქრში.

შარლოტე, რომელსაც ახალი მშენებლობები და მასთან დაკავშირებული მოწყობები უაღრესად მნიშვნელოვან, ღამის სარისკო საქმედ ესახებოდა, უმთავრესად ხარჯთაღრიცხვაში, თანხების განაწილებასა და სამუშაოთა შესრულების ვადების დადგენაში ჩაეფლო. დროის განმავლობაში ამ ოთხ მეგობარს იშვიათად თუ დაინახავდით ერთად, სამაგიეროდ დიდი ხალისით ხვდებოდნენ ერთმანეთს საღამოობით.

ამასობაში ოტილიემ სავსებით გაითავისა საოჯახო საქმეები. სხვანაირად არც კი შეეძლო ამ მშვიდი და თვინიერი ბუნების პატრონს. მისი გრძნობებისა და აზრების საწიერი უფრო სახლსა და ოჯახურ ყოფას ეგუებოდა, ვიდრე მაღალ საზოგადოებასა და ღია ცის ქვეშ ცხოვრებას. ეღუარდმა მალე შეამჩნია, რომ გასასეირნებლად, ასე ვთქვათ, მხოლოდ ზრდილობისათვის თუ მიჰყვებოდათ იგი. მხოლოდ მოვალეობის გულისათვის იმყოფებოდა სხვებთან ერთად ბუნების წილში და ხშირად მოიმიზნებდა ხოლმე საოჯახო საქმეებს, რათა კვლავ შინ დაბრუნებულიყო. ამიტომ ეღუარდი ისეთნაირად აწყობდა გასეირნებებს, რომ მეგობრები შინ ოტილიეს სურვილისამებრ, მზის ჩასვლამდე დაბრუნებულიყვნენ. მას უნდოდა კვლავ აღედგინა ლექსების დეკლამაციით კითხვის ტრადიცია, რასაც კარგა ხანია თავი მიაწება. განაახლა რა ძველი ჩვევა, იგი უფრო ისეთი ხასიათის ლექსებს ეტანებოდა, წმინდა, მაგრამ თავდავიწყებულ სიყვარულზე რომ ღალატდნენ.

საღამოხანობით ისინი, ჩვეულებრივ, პატარა მაგიდას შემოუსხდებოდნენ სვანგებოდ შერჩეულ ადგილებზე. შარლოტე დივანზე მოკალათდებოდა, ოტილიე სავარძელში ჯდებოდა, მამაკაცები კი იმათ შორის ჩასხდებოდნენ. ოტილიე ეღუარდის ხელმარჯვნივ იჯდა, კითხვისას მას გვერდზე სანთელი ედგა. ამას გარდა ისიც შეიმჩნეოდა, რომ ოტილიე სხვებზე უფრო ახლო მიუცუცქდებოდა ხოლმე ეღუარდს, რათა წიგნებში ჩახედვის საშუალება ჰქონოდა, რადგან იგი საკუთარ თვალებს უფრო უჯერებდა, ვიდრე უცხო ბაგეებით წარმოთქმულს, ეღუარდიც, თავის მხრივ, ოტილიესაკენ დახრიდა თავს, რათა მას უფრო მოხერხებულად ჩაეხედა წიგნში. ხშირად იგი უფრო გრძელ პაუზას აკეთებდა, ვიდრე საჭირო იყო, არ უნდოდა მანამ გადაეშალა ფურცელი, სანამ ოტილიე ბოლომდე წაკითხვას მოასწრებდა.

შარლოტემ და კაპიტანმა კარგად შეამჩნიეს მათი ქცევის ეს ნიუანსი და ხანდახან ერთმანეთს ღიმილით გადახედავდნენ ხოლმე. მეტადრე გააოცა ისინი ერთმა შემთხვევამ, რამაც უნებლიეთ ოტილიეს დაფარული ნიჭი გამოავლინა.

ერთ საღამოს, წავიდა თუ არა მომადებრებელი სტუმარი, ვინაც მეგობართა ამ მცირე საკრებულოს თავი შეაწყენა, ეღუარდმა მეგობრებს სთხოვა, ერთხანს კვლავ ერთად ვიყოთო. მას ფლეიტაზე დაკვრა მოესურვა, რაც კარგა ხანია მივიწყებული ჰქონდა. შარლოტემ მოიკითხა სონატა, რასაც, ჩვეულებრივ, ისინი ერთად ასრულებდნენ ხოლმე, მაგრამ ვერსად იპოვა. ოტილიე მცირე ხანს შეყოვნდა, მერე კი განაცხადა, სონატა ჩემს ოთახში შევიტანეო.

„ნუთუ გინდათ, ნუთუ შეგიძლიათ აკომპანიმენტი გამოწიოთ როიალზე? — შესძახა ეღუარდმა და სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

„ვკონებ, რომ შეეძლებს, — მიუგო ოტილიემ. მან ნოტები შემოიტანა და

როიანს მიუჯდა. მსმენელები სულგანაბული უსმენდნენ. ისინი განცვიფრდნენ, — რა სრულქმნილად შეესწავლა ოტილიეს მარტო, ყველას დაუხმარებლად ეს მუსიკალური ნაწარმოები. მათი გაოცება უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ ოტილიე კარგად შეეწყო ელუარდისეული შესრულების მანერას „კარვად შეეწყო“ — არ არის ზუსტი გამოთქმა, რადგან თუ ელუარდისეული შესრულების ოსტატობასა და კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული ტემპის დაჩქარება, ანუ შენელება ქმრის სასარგებლოდ, რაკი ელუარდს ტემპში დაკვრა არ გამოსდიოდა, ოტილიე, რომელმაც სულ რამდენჯერმე მოისმინა მათი შესრულება, იმ გაგებით შეისწავლა იგი, რომ მხოლოდ ელუარდისათვის და სხვა არავისთვის გაეწია აკომპანიმენტი. ოტილიემ იმნაირად გაითავისა ხარუეზები ელუარდის შესრულებაში, რომ სწორედ ამ არასწორი განსახიერებით შექმნა თავისებური ცოცხალი მთლიანობა, რაც ტაქტში თუმცა თანაბრად არ ჰიდიოდა, სამაგიეროდ ერთობ საამოდ და გულწამტანად უღერდა, ის კი არადა, თუთონ კომპოზიტორსაც უთუოდ სიხარულს მიანიჭებდა საკუთარი ქმნილებას ესოდენ სასურველი ფერისცვალება.

ამ უცნაურ და მოულოდნელ შემთხვევას კაპიტანი და შარლოტე წყნარად დუმდნენ შეხედნენ, თან იმის შეგრძნებაც გაუჩნდათ, ხშირად ბავშვური ქცევა რომ იწვევს, რაც თავისი სერიოზული შედეგების გამო თუმცა მოწონებას არ იმსახურებს, მაგრამ არც მისი გაკიცხვა შეიძლება, პირიქით, იქნებ შურიც კი გაგინდეს მისდამი. კაპიტნისა და შარლოტეს ერთმანეთისადმი სწრაფვაც ისევე იზრდებოდა, როგორც ელუარდისა და ოტილიესა, და, ვკონებ, კიდევ უფრო სახიფათო იყო ეს ურთიერთლტოლება, მაგრამ ამათ უფრო დარბაისლურად და მტკიცედ დაეჭირათ თავი.

კაპიტანმა თანდათან იგრძნო, შარლოტესთან ყოფნას რომ მიეჩვია და ეს სამუდამოდ მასთან მიჯაჭვით ემუქრებოდა. კაპიტანი მოერია საკუთარ თავს და იგი პარკიდან სწორედ იმ საათებში გადიოდა, როცა, ჩვეულებისამებრ, შარლოტეს იქ გამოჩენა იყო მოსალოდნელი. ამიტომ უთენია ღგებოდა, რათა ყოველფერი აღიონზე მოესწრო, მერე კი თავის ფლიგელში ბრუნდებოდა სამუშაოდ. პირველ ხანებში შარლოტე ამას შემთხვევითობას აბრალებდა, იგი კაპიტანს ისეთ ადგილებში ეძებდა, სადაც საფიქრალი იყო მისი ყოფნა. მერე კი მიხვდა იმნაირი გაუჩინარების მიზეზს და კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განიმსჭვალა მისდამი.

რაც უფრო გაურბოდა შარლოტესთან განმარტოებას, მით უფრო ბეჯითოდ ცდილობდა კაპიტანი სამუშაოების დაჩქარებას და საბოლოოდ გასრულებას ბრწყინვალე დღესასწაულზე — შარლოტეს დაბადების დღეს, რომელიც უკვე ახლოვდებოდა. მან სოფლის უკან, ქვემიდან ზემოთ გაიყვანა მისადგომი გზა, მერე ქვის ჩამოტეხვის აუცილებლობა მოიწინაშე და ასეთივე გზა ზემოდან ქვემოთკენ გამოიყვანა და ყველაფერი ისე მოაწყო და მოისაზრა, რომ გზის ორივე ნაწილი სწორედ დაბადების დღის ბოლო დამეს შეხვედროდა ერთმანეთს. ახლა სახლთან ზემოთ კლდეში კი არ ამოთხარეს, არამედ ამოკვეთეს ღვინის სარდაფი და თაროებიანი და ქვისფილებიანი ლამაზი დედაბოძი აავგეს.

ეს გარეგნული ფუსფუსი და საქმიანობა, ეს იდეალური ზრახვები, შინაგანად ცოტა თუ ბევრად შებოჭილი განცდები, მეგობრების საუბრებს ნაკლებ კახიფელმყოფელს ხდიდა, როცა ისინი ერთად შეიყრიდნენ თავს. ასე რომ, ერთ სადამოს ელუარდმა, რომელსაც რაღაც უკმარისობის გრძნობა დაეუფლა, კაპიტანს სთხოვა — ვიოლინო გამოიტანე და შარლოტეს აკომპანიმენტით რაიმე მუსიკალური

პარტია შეასრულეო. კაპიტანმა უარი ვერ თქვა საერთო თხოვნაზე და დიდი გრძნებით, ღალად და ნეტარებით შეასრულეს ერთად ურთულესი მუსიკალური პიესა, რამაც თვითონ შემსრულებლებს და მათ რა მსმენელსაც უზამო საიმედო მიანიჭა, ერთმანეთს აღუთქვეს კვლავაც ბევრჯერ შეესრულებინათ ერთად მუსიკალური ნაწარმოებები და ვარჯიშიც არ მიეტოვებინათ.

„ამათ უკეთ გამოსდით, ვიდრე ჩვენ, ოტილიე, — თქვა ელუარდმა მხრეებზე უნდა გაგვიტაცოს იმათმა შესრულებამ, მაგრამ ნურც საკუთარი სიხარული დაგვავიწყდება, ერთმანეთიც ხომ უნდა გავახაროთ“.

თავი მეცხრე

დადგა შარლოტეს დაბადების დღეც და ყველა საქმეც მოთაედა. უკვე მზად იყო კედელი, რომელიც სოფლის გზა-შარას მდინარის გაყოლებაზე გალავნად ეკვროდა და ფუძეს უმაღლებდა. დასრულდა ის გზაც, ეკლესიას გვერდს რომ ჩაუვლიდა, მერე კი ერთხანს შარლოტეს მიერ გაყვანილ ბილიკზე მიემართებოდა, ხოლო შემდეგ კლდეებს აღმა გრეხილებად აუყვებოდა, მარცხნიდან ზემოთკენ უკან ჩამოიტოვებდა ხავსის ქოხს და ისევ მარცხნიდან ქვემოთ ციცაბო მოსახვევით თანდათანობით თვით მწვერვალამდე მიდიოდა.

ამ დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული, საგანგებოდ თავშეყრილი სტუმრები ნელი ნაბიჯით გაემართნენ ეკლესიისაკენ. წირვის შემდეგ გზას წინ ბავშვები, ყმაწვილები და მამაკაცები გაუიფნენ, შემდეგ მობრძანდებოდა თავადაზნაურობა, სტუმრებისა და ამაღლის თანხლებით, პროცესიას ბოლოში გოგონები, ქალიშვილები, მოწიფული ქალები მოსდევდნენ.

გზის ასახვევთან მომალლო ბორცვზე მოედანი აევით. სწორედ ამ ადგილას შესთავაზა კაპიტანმა შარლოტესა და სტუმრებს შეჩერება და ჩამოსვენება. აქედან ხელისგულივით მოჩანდა მთელი გზა, ზემოთკენ ამაველი მამაკაცების ჯარი, სწორედ ახლახან გვერდით ჩავლილი მოსეირნე ქალები. მზიან ამინდში ამ ადგილთან საოცრად მშვენიერი გადასახედი იშლებოდა. შარლოტე მოხიბლული და აღელვებული იყო სანახაობით. მან აღტაცება ვერ დაფარა და კაპიტანს ხელზე ხელი მოუჭირა.

დაიხვენეს თუ არა, ისინი მშვიდად გაჰყვნენ წინ წასულ ხალხს, რომელმაც მომავალი სახლის სადგომს წრე შემოარტყა. ზუსტად იმ ადგილას, სადაც მიწის სიღრმეში ჩასაშვებად გამზადებული, ცალ გვერდზე დაყრდნობილი საძირკველი იღო, მოიწვიეს ამშენებელი, მისი თანმხლები პირები და წარჩინებული სტუმრები. საზეიმოდ ჩაცმული-დახურულმა კალატოზმა, რომელსაც ერთ ხელში ჩამჩა ეჭირა, ხოლო მეორეში ჩაქუჩი, ლექსად წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვაობი, რომლის პროზად გადმოვიქმა სრულყოფილი არ იქნება.

„შენებისას, — დაიწყო მან, — სამი რამაა მთავარი: ადგილის სწორად შერჩევა, მყარი საძირკველი და ძირიან-ფესვიანი სრულქმნა. პირველი — საკუთრივ სახლის მფლობელზეა დამოკიდებული. თუკი ქალაქად მონარქი ანდა სათემო სწყვეტს, სახელდობრ, სად უნდა აღმართოს შენობა, სოფლად მამულის მფლობელს ეკუთვნის უფლება თქმისა, აი, ამა და ამ ადგილზე მინდა ჩემი საცხოვრისის აშენება და სხვაგან არსადო“.

ამ სიტყვებზე ელუარდმა და ოტილიემ ვერ გაბედეს შეეხედათ ერთმანეთისათვის, თუმცა გვირდიგვერდ კი იდგნენ.

„მესამე — მშენებლობის დასრულება — მრავალნაირი ხელობის მქონე კა-

ცის საზრუნავია. ვინ არ არის ჩართული ამ სამუშაოში. ხოლო მეორე — საძირკველის ჩაყრა, ეს უკვე კალატოზის საქმეა და ამაყად მინდა განვაცხადო, რომ სწორედ ეს არის უმთავრესი მომენტი მთელი ამ წამოწევისა. ეს მეტად სერიოზული ამბავია და ჩვენი მოწვევაც უთუოდ ამიტომაც მნიშვნელოვანი. ეს საზეიმო აქტი ხომ მიწის სიღრმეში უნდა მოხდეს და სწორედ ამ ვიწროდ ამოთხრილ ალაგას მოგვაგებენ სტუმრები პატივს, ვითარცა მოწმეები ჩვენი იდეალებით აღსავსე საქმიანობისა. ახლავე ჩაუშვებთ მიწის სიღრმეში კარგად გათლილ ქვას და მალე დიდებული და ღირსეული პიროვნებების მიერ მდიდრულად შემკული მიწის კედლები აღარ იარსებებს, იგი მიწითვე დაიფარება.

ეს საძირკველი, რომლის მარჯვენა კიდე შენობის მარჯვენა კუთხეს აღნიშნავს, ხოლო მისი მართკუთხედობა ამ საძირკველის სწორად აგებას მოახსენებს, პორიზონტალური და შეკრული ხაზები კი კედლებისა და გალავნების სისწორეს, სწორედ ეს ქვაკუთხედი შეგვეძლო უბრალოდ ძირს დაგვედო, რახან იგი კარგად უძლებს თავის წონას. მაგრამ ნურც კირი და ნურც შეღუდაბების საშუალებები დაგვავიწყდება. რადგან ქვებაც ბუნებით ერთმანეთისადმი მიდრეკილი ადამიანებით არიან, კიდევ უფრო მეტად რომ ეგუებიან ერთმანეთს, თუკი განონი ცემენტით შეაღუდაბებს მათ, მსგავსი ფორმისანი კიდევ უფრო უკეთ ერთიანდებიან ამ დამაკავშირებელი ძალების წყალობით და რაკი შეუფერებელია უსაქმოდ ყოფნა გამრჯე კაციასათვის, თქვენც არ ითაკილოთ და გახდით ჩვენი შრომა-გარჯის თანაზიარი და მოჭირნახულე“.

ეს თქვა და ნიჩაბი შარლოტეს გადააწოდა, ვინც კირი ბალავრის ქვეშ მოაბნია. სხვებმაც მიბაძეს შარლოტეს და ბალავარიც სწრაფად ჩაეშვა მიწის სიღრმეში, ამის შემდეგ შარლოტესა და დანარჩენებსაც ჩაქუჩი გადააწოდეს, რათა იმათ სამჯერ დარტყმით დიდი გრძნობით დაელოცათ ქვისა და მიწის ურთიერთკავშირი.

„კალატოზის შრომა მაინც იდეალებითაა მოცული, — განაგრძო ორატორმა, — თუმცა ამჯერად იგი ღია ცის ქვეშ ხდება და საიდუმლო თითქოს არც უნდა იყოს. სწორად ჩაყრილ საძირკველს მალე მიწა მიეყრება და ეს ჩვენ მიერ აღმართული კედლებიც, არა მგონია, ვინმეს ჩვენს თავს გაახსენებდეს. ქვისმთლილისა და მოქანდაკის შრომა უფროა თვალში საცემი და ჩვენც ბოლოს და ბოლოს კურივლებით ამ ფაქტს, რაკი მებათქაშე ჩვენი ნაშრომის კვალს სრულად აქრობს და აშკარად მიითვისებს ხოლმე ჩვენეულ ნაღვაწსა და ნაწვალებს, როცა ქვის ხედაპირს ზომავს, ასწორებს და ღებავს.

მაგრამ ვის უნდა მიაგო, თუ არა კალატოზს პატიოსნად შესრულებული შრომის საზღაური. სხვა კიდევ აბა ვისა აქვს იმის უნარი, საკუთარი თვითშეგნება ასაზრდოოს, როცა სახლი აღიმართება, იატაკი დაიგება, მოშანდაკდება, გარე კედლები ორნამენტებით დაიფარება, იგი ყველა გარსაბურის გავლით მუდამ შიგნიდან იხილავს სახილველს და კვლავ ამოიცნობს ამ სწორ და გულმოდგინედ გაკეთებულ ღარებს, რასაც მთლიანად ეს ნაგებობა თავის არსებობასა და გამძლეობას უმაღლის.

მაგრამ მსგავსად იმ ადამიანისა, ვინც ბოროტმოქმედებას სჩადის, და ვისაც დამალვის მცდელობის მიუხედავად, მაინც უნდა ეშინოდეს, რომ ბოლოს და ბოლოს მისი აუცი გამოაშკარავდება, ასევე კეთილის ჩუმად ჩამდენი კაციც უნდა ელოდოს, რომ თავისი ნების საპირისპიროდ მისი კეთილი საქმეც გამოჩნდება. ამიტომაც გვიჩნდა, რომ ეს ქვაკუთხედი ამავე დროს მომავლის ქვაც იყოს. აქ, ამ მრავალსახოვნად ამოკვეთილ ჩაღრმავებებში გვიჩნდა ჩაუშვით სხვადასხვა საგნები შორეული შთამომავლობისათვის იმის დასტურად, რომ ეს მეტალის

დარჩილული კაპარჭები წერილობით ცნობებსაც შეიცავენ. მეტალის ამ ფორმებში ზევი დირსშესანიშნავი ნივთია ჩაძარხული. მინის ამ ლამაზ ბოთლებში შენახულია საუკეთესო ძველი ღვინო, მისი დაბადების წელის აღნიშვნით, არც ერთი ნაირნაირი მონეტები აკლია თვალს, წლეულს რომ ამოუტვიფრავთ. ზევი ღვინო და ღვინო სიკეთე გვერგო ჩვენი ხელგაშლილი მასპინძლის წყალობით. თუმცა აქ კიდევ მოიპოვება ადგილი, თუკი ვინმე სტუმარი ან დამსწრე მოიწადინებს რაიმე საინტერესო უსახსოვროს შთამომავლობას“.

ქარვალმა მცირე პაუზა გააკეთა და იქაურობას თვალი მოაულო. მაგრამ როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, წინასწარ არავინ იყო მომზადებული, ასეთი შემთავაზება ყველას მოულოდნელი ეჩვენა. ბოლოს ერთმა მხიარულმა ახალგაზრდა ოფიცერმა დაარღვია სიჩუმე და წარმოთქვა:

„თუკი მეც უნდა შევიტანო ჩემი წვლილი და საგანძურს ახალი ნივთი შევმატო, მაშინ იმას გავაკეთებ, რომ საკუთარ მუნდირს მოვაჭრი ორიოდ დილს. ეს დილები იმხომ ძვირფასია, შთამომავლობისათვის მისი ბოძება საპატიოც კი იქნება“.

თქვა და კიდევ შეასრულა. სხვებაც ასევე მოიქცნენ. მანდილოსნებმაც არ დააყოვნეს და პაწია საეარცხლები ჩააგდეს შიგ. არც სუნამოს შუშები ან სხვა რამ სამკაულები დაიშურეს. მხოლოდ ოტილიემ ცოტათი დაახანა, ვიდრე ეღუარდმა აღერსიანად არ მიმართა და თხრილში ჩაყრილ ნივთების თვალიერებას თავი არ დაანება. მან ჩამოიხსნა ყელზე ჩამოკიდებული ძეწკვი, რომლის კულონში მამის სურათი ჰქონდა შენახული და მსუბუქი მოძრაობით მისი სახუკვარი განძი სხვა ძვირფასეულობებს შეემატა. ხოლო ეღუარდმა სასწრაფოდ უბრძანა მომუშავეებს კარვად მორგებული სახურავის დაშვება და ჩაცემენტება.

ახალგაზრდა კალატოზმა, ვინც ამ დროს მეტისმეტად მონდომებული ჩანდა, კვლავ ორატორობა მოისურვა და განაგრძო:

„ამ დედაბოძს სამარადისოდ ვდებთ მიწაში ახლანდელი და მერმინდელი სახლის ბატონ-პატრონთა მუდამ გასახარად. მაგრამ ვიდრემდე განძეულს დაუმარხავდეთ და ამით ყველაზე მთავარს ვიქმოდეთ, მანამ ერთი წუთით ყველანაირ ადამიანურ ღვაწლზე დაფიქრებაც გეშართებს. თან ისიც გვაფიქრებს, რომ შესაძლოა ეს მაგრად თავდაცული სახურავი კვლავ აიხადოს, რაც მანამდე არ მოხდება, ვიდრე მთლიანად არ აღიგვება პირისაგან მიწისა ყოველივე და მათ შორის შენობა, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობს.“

მაგრამ თუკი საქმე და შენება გვინდა, თავი მივანებოთ მერმისზე ფიქრს და მხოლოდ ამჟამინდელი საზრუნავით შემოვიზღუდოთ, მოდით, დღევანდელი ზეიში იმით დავამთავროთ, რომ მუხლჩაუხრელი შრომა გავაჩალოთ, რომ არცერთი სახელოსნო, რაც კი ჩვენს მიწაზეა გამართული, უსაქმოდ არ დარჩეს, რომ ნაგებობა სასწრაფოდ აღიმართოს და საბოლოოდ გასრულდეს. მე მინდა ამ ჯერაც არარსებულ ფანჯრებთან, საიდანაც სახლის პატრონი თავისიანებისა და სტუმრების თანხლებით იმედიანად და მხიარულად გასცქერას თავის მომავალ ადგილსამყოფელს, ყველა აქ თავშეყრილის სადღეგრძელო შეესვა.“

და მან ერთი გადაკვრით გამოსცალა ღვინით სავსე ნატიფად გათლილი მინის თასი და მერე ჰაერში მოისროლა. ასეთია წესი. მოზღვავებული სიხარული გამსხვრევიანებს იმ ჭურჭელს, რომელიც მოლხენის ქამს გემსახურება. მაგრამ ახლა ასე არ მოხდა. თასი მიწაზე არ დავარდნილა, თუმცა რა სასწაულით, ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. სწორედ იმ მომენტში, — მშენებლობის წინ წაწევის მიზნით მოპირდაპირე კუთხეში საძირკველი ჩაყარეს და ბარემ კედლების ამოშენებაც დაიწყეს, ბოლოს კი ძალადი ჩონჩხედი ააგეს. ამ ჩონჩხედის ასაგებად

მშენებლებმა თავიანთ სასარგებლოდ, და მეტადრე საზეიმო დღის აღსანიშნავად, ფიცრები დაალაგეს და დამთვალეირებელთა მოელი ჯამაათი ეზოში შემოუშვეს. ზეატყორცნილი სასმისი სწორედ ამ ჩონჩხედს გადასცდა, მერე კი იგი დაიჭირა იმან, ვინც ეს შემთხვევა თავისთვის ბედნიერ ნიშნად ჩათვლიდა, მან თასი მალლა ასწია და ხელიდან არ გაუშვა. ყველამ ცხადად დაინახა თასზე ნატიფი ხლართით ამოტვიფრული ასოები: „ე“ და „ო“. ეს იყო იმ თასთაგანი, რომელიც სიჭაბუკის წლებში ედუარდისათვის შეეკვეთათ. ჩონჩხედები კვლავ დაცარიელდა და სტუმართა შორის ყველაზე მსუბუქი წონისა ზემოთ აფორთხდა, რათა მიდამო დაეთვალეირებინა, მაგრამ ვერ შესძლო საკადრისად შეემკო ის მშვენიერი ხედი, რომელიც ყოველი მხრიდან მოჩანდა. რას არ აღმოაჩენს კაცის თვალი, როცა ამალღებულ ადგილზე, თუნდაც ერთი სართულის სიმაღლეზე მოხვდება. რაც უფრო ღრმად შეუყვებოდი სოფლის გზას, უფრო მეტი ახალი დასახლება მოჩანდა. მდინარის ვერცხლისფერ ზოლსაც ნათლად შეამჩნევდი. ერთი იმასაც კი ამბობდა, თვით დედაქალაქის კოშკებსაც ვხედავო. მოპირდაპირე მხარეზე, ტყიანი ბორცვების უკან შორეული მთების ლურჯი მწვერვალები აღმართულიყო. თვალი ვერ ძღებოდა ახლომანლო მდებარე ამ მშვენიერი მიდამოების ცქერით.

„ოღონდ ეს სამი გუბურა რომ ერთ დიდ ტბად გადაგვექცია, — წამოიძახა ვიღაცამ — მაშინ ამაზე დიდებულსა და საოცრად მშვენიერს ვერ ნახავდა კაცის თვალი“.

„ამის გაკეთება შეიძლება, — თქვა კაპიტანმა, — ოღესღაც ხომ ეს სამი გუბურა მთის ერთი ტბა იყო“.

„ძალიან გთხოვთ, ჩემს ჭადრებსა და ალვის ხეებს არა დაუშავოთ რა, — თქვა ედუარდმა, — შეხედეთ, რა ლამაზად დგანან ისინი შუა გუბურაზე. — მიუბრუნდა იგი ოტილიეს, რომელსაც ორიოდ ნაბიჯით წინ გაესწრო — ეს ხეები ჩემი ხელით დავრგე“.

„რამდენი ხანია, რაც ისინი დარგეთ?“ — იკითხა ოტილიემ.

„ისინი იმდენი წლისანი არიან, რამდენი ხნისაც შენა ხარ, ძვირფასო ბავშვო. მე ისინი მაშინ დავრგე, როცა შენ ჯერაც აკვანში იწექ“.

მეგობრები კვლავ სასახლეში დაბრუნდნენ. სადილის შემდეგ სტუმრები სოფელში გასასეირნებლად მიიწვიეს, რომ იქაც თვალნათლივ ეხილათ, რა სიახლეები შექმნეს მეგობრებმა მშენებლობისას. კაპიტანის თხოვნით თავიანთი ეზო-კარმიდამოს წინ შეგროვილი სოფლის მაცხოვრებლები უხერხულად, რიგებად კი არ განლაგდნენ, არამედ ოჯახის წევრებთან ერთად ბუნებრივად შეჯგუფდნენ. ერთნი ჩვეულებრივ საქმიანობდნენ, მეორენი კი ახლად დადგმულ სკამებზე ჩამომსხდარიყვნენ დასასვენებლად. დღეიდან სოფლის მუშაკთ სასიამოვნო მოვალეობა დაეკისრათ. ყოველ კვირას და ყოველ დღესასწაულზე გამუდმებით დაეცვათ წესრიგი და სისუფთავე, რაც ამჯერად ასე იგრძნობოდა გარშემო.

სტუმრების ჩამოსვლა უსიამოდ არღვევდა ხოლმე იმ გულითად დამოკიდებულებას, რაც მეგობრებს შორის დამყარდა. ახლა კი ოთხივე კმაყოფილი დარჩა, დიდ დარბაზში რომ მარტონი აღმოჩნდნენ. მაგრამ მათი ოჯახური სიმყუდროვე დაარღვია წერილმა, რომელიც ედუარდს გადასცეს. წერილი სახვალისოდ ახალი სტუმრების ჩამოსვლას იუწყებოდა.

„ასეც ვიცოდი, — უთხრა ედუარდს შარლოტემ, — გრაფი არ აყოვნებს და ხვალვე ჩამოდის“.

„ეს იმას ნიშნავს, რომ არც ბარონესაა შორს“, — მიუვო შარლოტემ.

„რა თქმა უნდა, — თქვა ედუარდმა, — ისიც ხვალ აპირებს გამოჩენას. ღამის გათევას გვთხოვენ, ზეგ კი ერთად მიემგზავრებიან“.

„რაკი ასეა, დროულად უნდა შევუდგეთ სამზადისს, ოტილიე“. — თქვა შარლოტემ.

„როგორ მიბრძანებთ, სად დავაბინავო ისინი?“ — ჰკითხა ოტილიემ.

შარლოტემ მიუთითა, რაც უნდა გაეკეთებინა და ოტილიეც ოთახიდან გავიდა.

კაპიტანმა იკითხა, რა ურთიერთობა აქვთ ამ ადამიანებს ერთმანეთთანო, — რადგან მათ შესახებ ყურმოკვრით იცოდა მხოლოდ. გრაფსა და ბარონესას კარგა ხანია მთელი ვატაცებით შეუყვარდათ ერთმანეთი, თუმცა არც ერთი არ იყო თავისუფალი, ამ ჩახლართულმა ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ორივეს უნდოდა განქორწინება. ბარონესამ შეძლო ამის მიღწევა, გრაფმა კი — ვერა. ისინი ვითომ კი დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათი დამოკიდებულება სინამდვილეში უცვლელი დარჩა. თუკი ზაპტრობით ერთ რეზიდენციაში ვერ იყვნენ, სამაგიეროდ ზაფხულობით ინაზღაურებდნენ დაკარგულ დროს სამხიარულო მოგზაურობებში და აბაზანებზე დასვენებით. ისინი ცოტათი უფროსები იყვნენ შარლოტესა და ედუარდზე და ჯერაც სასახლეში ცხოვრების წლებშივე დაუმეგობრდნენ მათ. მუდმივად შეინარჩუნეს კარგი ურთიერთდამოკიდებულება, თუმცა ერთმანეთისა ყველაფერი არ მოსწონდათ. მხოლოდ ამჯერად შარლოტეს რატომღაც არ ეჭაშნიკა მათი ჩამოსვლა და, თუკი ამის მიზეზს კარგად ჩაუკვირდებოდა, მიხვდებოდა, რომ მიზეზი მხოლოდ ოტილიე იყო. შარლოტეს ჯერ ნადრევად მიაჩნდა ამნაირი მაგალითების ჩვენება ოტილიესნაირი წმინდა, კეთილი და შეურყენელი სულის ბავშვისათვის.

„რამდენიმე დღით გვიან მაინც ჩამოსულიყვნენ, — თქვა ედუარდმა, როცა ოთახში ოტილიე შემოვიდა — იქნებ აგარაკის გაყადვა მოგვესწრო. თხზულება მზადაა, მხოლოდ მეორე პირი აკლია, მაგრამ ჩვენი მოხუცი გადამწერი მაინც-დამაინც დღეს გახდა ავად“.

კაპიტანმა შესთავაზა ედუარდს, გადაწერაში გიმეველიო, ასევე მოიქცა შარლოტეც, მაგრამ ედუარდი ვერ დაითანხმა.

„მაშინ მე გადავწერ ქალაღს“, — აჩქარებით წამოიძახა ოტილიემ.

„შენ ვერ მოასწრებ გადაწერას“, — უთხრა შარლოტემ.

„რა თქმა უნდა, ვერ მოასწრებ, ზეგ დილით მეორე პირი უკვე მზად უნდა მქონდეს, ესეც არ იყოს, ბევრია გადასაწერი“. — თქვა ედუარდმა.

„ხომ გითხარით, მზად მექნება-მეთქი“. — თქვა ოტილიემ და ფურცელი უკვე ხელში ეჭირა.

მეორე დღით, როცა მეგობრები ზედა სართულზე სტუმრებს ელოდებოდნენ, იმის შიშით, მათი გამოჩენა და თავის დროზე შეგებება არ გამოგვეპაროსო, ედუარდმა წამოიძახა:

„ასე ნელა, ნეტა, ვინ მოდის ცხენით?“

კაპიტანმა ზუსტად აღწერა მხედრის აღნაგობა.

„ის ყოფილა და ეგ არის, — თქვა ედუარდმა, — რახან ის წერილმანი, რასაც შენ ჩემზე უკეთ ხედავ, ზედმიწევნით შეესატყვისება იმ საერთო იერს, მეც რომ საკმაოდ კარგად ვარჩევ, ეგ კაცი მიტლერი უნდა იყოს. მაგრამ რა მოუვიდა, ასე ნელა რომ მოჰყავს ცხენი“.

აი, თანდათან მოახლოვდა შორს მომავალი კაცი. იგი მართლაც მიტლერი გამოდგა. კიბეებზე ნელინელ ამოსულს გულითადად შეხვდნენ მეგობრები.

„რატომ გუშინ არ მობრძანდით?“ — ჰკითხა მას ედუარდმა.

„ხმაურიანი დღესასწაულები არ მიყვარს, — მიუგო მან, — დღეს მოვედი,

რომ ჩემს მეგობარ ქალს დაბადების დღე მივულოცო და თქვენთან ერთად მშვიდად მოვილხინო“.

„კი მაგრამ, დრო როგორ გამოიმეტე ამისთვის“, —  კვითხა ელუარდმა.

„ჩემი აქ მოსვლის მიზეზი, თუკი ამ მოსვლას თქვენს რეკლამაში ფასი აქვს, არის ის აზრი, გუშინ რომ გამიჩნდა. ნახევარ დღეს ვსწავლობდი, მაგრამ ჩემდა გასახარად ერთ ოჯახში ხავი ჩამოვაგდე, მერე კი ყური მოვკარი, თქვენსას დაბადების დღეს შეიმობენო. გულში ვიფიქრე, განა ეგოიზმი არ ჰქვია ამას, როცა მარტო იმასთან გიხარია ყოფნა, ვისთანაც მშვიდობიანობა დაამყარე. აბა, რა დააშავეს იმ ადამიანებმა, რომლებიც უჩემოდაც მშვიდობიანად ცხოვრობენ-მეთქი. ვთქვი და შევასრულე კიდევ სიტყვა და აი, მეც აქა ვარ, გუშინდელი განაზრახვის თანახმად“.

„გუშინ აქ დიდძალ ხალხს იხილავდით, დღეს კი მცირე წრეს შეეყრებით, — თქვა შარლოტემ, — აგერ საცაა გრაფსა და ბარონესას შეხედებით. ისე მაგათ ცოტა ხიფათს როდი გადაგვეყარეს“.

უცნაური კაცი, რომელიც ოჯახის ორ წევრს შორის იჯდა, მოულოდნელად რაღაცნაირი პირქუში იერთო ადგილიდან მკვირცხლად წამოიჭრა და უნალქულსა და ცხენის მათრახს დაუწყო ძებნა.

„რა ბედი მაქვს, არ ვიცი. საკმარისია სული მოვათქვა, სიკეთის ქმნა მოვინდომო და მუდამ ბედი მიმტყუნებს ხოლმე. რად ვლაღატობ ამ ჩემს ბუნებას, ვერ გამიგია. ნუ მოვიდოდი და არც გუდა-ნაბადის აკვრა დამჭირდებოდა ასე სწრაფად. მე ხომ მაგათთან ერთ ჭერქვეშ ვაძლებო არ შემიძლია. თქვენც იცოდეთ, ისინი დავიდარაბას თუ გადაგყრიან, თორემ სიკეთეს არა. მაჭიკავით არიან, ყველას გადასდებენ ხოლმე თავიანთი გასაჭირს“.

მეგობრები ყველანაირი ხერხით შეეცადნენ მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ.

„ვინც ქორწინების ხელყოფას მოიწადინებს, — შესძახა მან, — ვინც მარტო სიტყვით კი არა, საქმიანაც ასამარებს საზოგადოების მორალურ კანონს, იმას ჩემთან ექნება საქმე. ხოლო თუკი ეერას გავხდები მასთან ბრძოლაში, მაშინ თავი დამანებოს და ჯანდაბამდის გზა ჰქონია. მაგათი დანახვაც არ მინდა. ქორწინება საკაცობრიო კულტურის საწყისიცაა და მწვერვალიც. იგი უხეშს სათნოდ აქცევს, ხოლო უგანათლებულესი უკეთეს სავანეს სად ჰპოვებს, თავისი სათუთი ბუნების გამოსავლენად. ქორწინება არ უნდა დაირღვეს, მას იმოდენა ბედნიერება მოაქვს, ცალკეული მწუხარე შემთხვევები რა სახსენებელია ან კი რაზეა ლაპარაკი. ეს მწუხარება კი არა, უბრალოდ სულსწრაფობაა, რაც ადამიანს დროდადრო თავს დაატყდება ხოლმე. და მერე თავის უბედობაზე წუწუნს მოჰყვება. სწორედ იმ მძიმე წუთებში უნდა მას თავი უბედურად ჩათვალოს, მაგრამ როგორც კი ეს უიმედობის წუთი გაივლის, თავს ბედნიერად იგრძნობს ხოლმე, რომ ყველაფერი შეუცვლელი დარჩა. განქორწინებას არ შეიძლება ჰქონდეს გამართლება, ადამიანი სიხარულისა და მწუხარების შამს იმდენად მალალი არსებაა, რომ აშკარად შეუძლებელია იმის აღნუსხვა, რამდენი ცოლ-ქმარია დაუალებული ერთმანეთისაგან, ქორწინება უსასრულო ვალდებულების ტვირთია, რომელიც საუკუნოდ უნდა ზიდო. ზოგჯერ ქორწინება, არ დაუფარავ და, იქნებ საჩოთიროც გამოჩნდეს, მაგრამ რას იზამ, ეს ასეც უნდა იყოს, განა ასევე არ ვქორწინდებით სინდისზე, რისგანაც ხშირად გვიხდა თავის დახსნა და განა ეს ჩვენეული სწრაფვა სინდისისაგან თავის დაღწევისა იმაზე უფრო მეტ უხერხულობაში არ გვაგდება, ვიდრე ცოლი და ქმარი ერთმანეთს.“

ასე ვაცხარებით ლაპარაკობდა იგი და კიდევ დიდხანს გაავრძელებდა, რომ

საფოსტო ბუკის ხმას სტუმრების ჩამოსვლა არ ეუწყებინა. ისინი, შეთანხმებით, სამცხრ, ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მხრიდან ამოვიდნენ სასახლის კარში. სანამ მასპინძლები სტუმრებს ეგებებოდნენ, აატლერა დაიძალა, მერე ბრძანა სასტუმრომდე მისასვლელად ცხენი მომგვარეთო, და გუნებაწამხდა და წაიშალა ვაჭქუსლა.

თავი მათი

სტუმრებს მიეგებნენ და შინ შეიწვიეს. ისინი ხალისით შევიდნენ სახლში, ამ თთახში, რომელიც კარგა ხანია არ ეხახათ და საღაც წინათ არაერთი კარგი დღე გაუტარებიათ. მეგობრებმაც შეტად გაახარეს ამ შეხვედრით. გრაფი და ბარონესა ისეთი ღამაში და წარმოსადეგი გარეგნობით გამოირჩეოდნენ, რაიც, მგონი, საშუალო ასაკში მიმზიდველი ხდება, ეიდრე სიყმაწვილის ეამს. ასეა ხოლმე, უკვე გარდასული სიჭაბუკის ასხივება კიდევ უფრო ცხოვლად აღძრავს ნდობასა და კეთილგანწყობას. თახაც ამ შესანიშნავ წყვალს ერთობ ღალად ეჭირათ თავი. მათი შეუბოჭავი აზრება ცხოვრებისეულ საკითხებზე, ხალისი და მონვეებითი უშუალოება უმაღლ გადაედებოდა ხოლმე ყველას, ხოლო ჭეშმარიტი აღზრდილობა ყველაფერს ისეთნაირად აწონასწორებდა, რომ მათ ქცევაში ოდნავაც არ შეიმჩნეოდა ნაძალადეობა.

სტუმრების ამნაირი ზემოქმედება მალე საგრძნობი გახდა მეგობართა წრეში. ახლჩამოსულებმა, სულ ახლახანს რომ დაეტოვებინათ ძალაღი საზოგადოება, რასაც მათი ჩაცმულობა, ბარგი და საერთოდ მთელი გარემომცველი სინამდვილე ადასტურებდა, გარკვეული კონტრასტი შექმნეს მეგობრების სოფლურ ცხოვრებასა და მათ იდუმალად ვნებთან სულიერ სამყაროსთან. მაგრამ ეს კონტრასტი მალე გაქრა, რადგან წარსულის მოგონებები და მოძავლის ინტერესები ერთმანეთში გადაიხლართა და სწრაფად გაბმულმა ცხოველმა ბაასმა ყველა ერთმანეთს დააკავშირა.

დიდი ხანი არ გასულა, რაც მეგობრებს შორის თითქოს რაღაც განცალკევება წარმოიშვა. მანდილოსნები ფლიგელში წავიდნენ და ერთმანეთს უამბეს ახალი ამბები, თან ბოლო დროის მოღება, საზამთრო კაბები და ქუდები დაათვალიერეს. მამაკაცებმა კი ახალი სამგზავრო ეკიბაუები და მეჯინიბეების მიერ თავლიდან გამოყვანილი ცხენები შეამოწმეს, მათ გაცვლა-გაყიდვაზე იწყეს შეთანხმება. მხოლოდ სადილობისას შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. ამ დროისათვის ყველამ გამოიცვალა ტანისამოსი და ჩამოსულმა წყვილმა ჩაცმულობაშიც გამოავლინა თავისი უპირატესობა. ყველაფერი, რაც კი მათ ტანთ ემოსათ, ახალი და თითქოს ჯერაც ჩაუცმელი, ამავე დროს ხმარებისთვის გამოსადეგი და მოხერხებულებიც იყო, მათი ცოცხალი საუბარი სწრაფად გადადიოდა ერთი თემიდან მეორეზე, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე იმ ადამიანებში, რომელთაც ერთდროულად აინტერესებთ ყველაფერიც და არაფერიც. ისინი ფრანგულად საუბრობდნენ, რომ იქ მეოფ მსახურებს ვერა გაეგოთ რა და ანცი სიმსუბუქით ეხებოდნენ ძალაღი და საშუალო საზოგადოების ურთიერთობებს. ერთხელ საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა ბაასი რაღაც თემაზე. შარლოტემ თავისი სიყმაწვილის დროინდელი მეგობარი ქალის შესახებ ახალი ამბავი შეიტყო, სახელდობრ, ის, რომ მას უახლოეს ხანში განქორწინება ელოდა, და თავისი გაოცება ვერ დაფარა.

„რა სამწუხაროა, — თქვა შარლოტემ, — ფიქრობ, მეგობრები, რომლებიც კარგა ხანია თვალს მიეფარნენ, ბედნიერად ცხოვრობენ, და გვონია შენი საყვა-

რელი დაქალი ბედს ეწიას, მაგრამ მოხედვას ვერ მოასწრებ და შეიტყობ, რომ მისი ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალებულა. მას კვლავ ახალი ცხოვრება მოეწოდება, ანდა, ვინ იცის, ეგებ სულაც უიმედობის ბილიც დაადგეს“.

„სინამდვილეში, ჩემი ძვირფასო, — მიუგო გრაფმა, — ჩვენთვის ბრალია, თუკი მსგავსი რამ ჩვენთვის მოულოდნელად ხდება. გვინდა ყველაზე უფრო მოწიერი მოვლენა, მეტადრე ქორწინებითი კავშირი, მყარი იყოს, სიამოვნებით ავეყვებით ხოლმე იღუპიას, მაგრამ გვაცდუნებენ კომედიები, რომლებიც ხშირად მეორდებათ და არაფერი საერთო სინამდვილესთან არ აქვთ. კომედიაში ქორწინება ტანჯვით აღსავსე მრავალაქტიან სურვილის უკანასკნელი მიზანია და რაწამს ამას მივალწევთ, ფარდაც ძირს ეშვება და ჩვენც მამის კმაყოფილების გრძნობას განვიცდით. ცხოვრებაში კი სულ სხვაგვარად ხდება. თამაში სცენაზე გრძელდება და როცა ფარდა აიხდება, უკვე აღარაფრის თავა აღარა გვაქვს. არ გვინდა არაფრის არც დანახვა, არც მოსმენა“.

„ეს რად უნდა იყოს ცუდი, — თქვა დამილით შარლოტემ, — თუკი ის ადამიანები, რომლებმაც თამაში დაამთავრეს, კვლავ სიამოვნებით მოისურვებენ მის გაგრძელებას“.

„ამაში გეთანხმებით, — თქვა გრაფმა, — ახალი როლის შესრულება მართლაც სასიამოვნო რამაა და, თუკი ძალად საზოგადოებას იცნობ, კარგად მიხვდები, რომ ქორწინება წინასწარდადგენილი მარადიული უცვლელობაა სამყაროს უაღრესად ცვალებად მოვლენათა შორის და სადღაც უხერხულობასაც ქმნის. მეგობარი მყავდა, რომელიც ერთხელ იმ გუნებაზე იყო, ახალი კანონპროექტის შეთხზვა მოიწადინა. იგი ამტკიცებდა, ყოველი ქორწინება ხუთი წლის ვადით უნდა მოხდესო. იგი ამბობდა: „ხუთი“ მშვენიერი და წმინდა კენტი რიცხვია, დროის რაღაც მონაკვეთი, რომელიც კმარა იმისთვის, დაქორწინებულმა წყვილმა ერთმანეთი გაიცნოს, რამდენიმე ბავშვი გააჩინოს, იჩხუბოს და რაც ყველაზე მშვენიერია, კვლავ შეურიგდეს ერთმანეთსო. ო, რა ნეტარად გაივლის დრო პირველ ხანებში, — აღტაცებით წამოიძახებდა ხოლმე იგი, ორი-სამი წელი ხომ დიდებულად გავა. ერთ-ერთი მხარე ალბათ მოისურვებს ურთიერთობის გაგრძელებას და ცოლ-ქმარს შორის მით უფრო გაიზრდება კრძალვა, რაც უფრო მოახლოვდება დრო მათი შეთანხმების გაუქმებისა. ამნაირი საქციელი ღმობიერებას შესძენდა, სიმშვიდეს მიაგებდა გულგრილსა და უკმაყოფილო მხარეს და, როგორც კეთილგანწყობილ მეგობართა წრეში გეკარგება დროის შეგრძნება, ასევე ცოლ-ქმარსაც ავიწყდება იგი, პოდა, სასიამოვნო განცვიფრებას განიცდი, როცა გონს მოხვალ და გაიგებ, ხანა კი გასულა, მაგრამ შეთანხმების ვადა ორივეს უსიტყვო თანხმობით გაგრძელებულა“.

თუმცა ყოველივე ეს საამოდ და მამზიდველად ეღერდა, შარლოტეც ნათლად გრძნობდა, რაზომ ღრმა ხსეობრივი მინიმუმბა ჰქონდა ხუმრობას, და მაინც უამურ ფაქტად მიიჩნევდა ამნაირი შეხედულებების ხმამაღლა გამოთქმას უმთავრესად ოტილიეს გამო. მან შესანიშნავად იცოდა, რომ არაფერი უფრო სახიფათო არ არის, ვიდრე მეტისმეტად თამამი საუბარი საძრახის თუ ნახევრად საძრახის მოვლენაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, წესად მიღებულ, ასე გასინჯეთ, საქებურ ფაქტად განიხილება. სწორედ ასეთ ფაქტად ითვლებოდა, მისი შეხედულებით, ქორწინების კავშირის დარღვევა. ამიტომაც შარლოტე მისთვის ჩვეული ტაქტით ცდილობდა საუბრის სხვა თემაზე გადატანას, ძალიან სწუხდა, როცა ამას ვერ ახერხებდა, რადგან ოტილიე ისე ბრწყინვალედ ართმევდა თავს ყველაფერს, აბა, რა საგანგებო დავალება უნდა მიეცა, რით დაესაქმებინა? წყნარი

და ყურადღებიანი გოგონა თვალთა თუ ხელით შორიდან ანიშნებდა მსახური-
უფროსებს, რისი გაკეთებაც იყო საჭირო, და ყველაფერი იმხამ ლაზართანად
კეთდებოდა, უკეთეს ვერც ინატრებდა, თუმცა მსახურთა შორის თითო-ერთი
დონდლი ლაქია მაინც გამოერეოდა ხოლმე.

გრაფი კი, რომელმაც ვერ შეამჩნია შარლოტეს მცდელობა ზნეობის
ვალა სასაუბრო თემა, კვლავ განაგრძობდა იმავე საკითხზე აზრის გამოთქმას.
თუმცა მას მომაბეზრებელი საუბარი არასოდეს ჩვეოდა, მაგრამ ეს ამბავი მეტის-
მეტად ახლოს მიჰქონდა გულთან, აღიზიანებდა ის სიძნელეები, რაც ხელს უშ-
ლიდა ცოლთან განქორწინებას, და ამიტომაც მწარედ აღიქვამდა ყველაფერს,
რაც ქორწინებას შეეხებოდა, და რასაც ასე ესწრაფვოდა ბარონესა.

„იმ ჩემმა მეგობარმა, — განაგრძობდა გრაფი, — კიდევ ერთი კანონპროექტი
შემავგოთავაზა. მისი აზრით, ქორწინება მხოლოდ მაშინ არის ურღვევი, როცა
ორივე მხარე ანდა უკიდურეს შემთხვევაში ერთ-ერთი მაინც მესამედია დაქორ-
წინებული, რადგან მხოლოდ ეს ფაქტი თუ შეიძლება იყოს უდავო დასტური
იმისა, რომ ორთაგან ერთი ქორწინებას აუცილებლად მიიჩნევს. ამავე დროს ის-
იც ნათელი უნდა იყოს, როგორ ეჭირათ იმათ თავი წარსულში, ხომ არ გამო-
ირჩეოდა რომელიმე მათგანი ახირებულობით, რაც ხშირად უფრო დიდ მიზეზს
იძლევა განსაქორწინებლად, ვიდრე ცუდი თვისებები. ასე რომ, აუცილებელი
ხდება ერთმანეთის გაცნობა, დაკვირვება როგორც უცოლისა და გაუცხოვარზე,
ასევე დაქორწინებულზეც, რა იცი რა ხდება მერმისს“.

„ყოველივე ეს, — თქვა ელუარდმა, — ჩვენდამიც გაზრდის ინტერესს, რადგან
დაქორწინებულები, მართალი ვითხრათ, ვიჩაგრებით, არავინ ჩვენს აუ-კარგს არ
კითხულობს, სათნონი ვართ თუ ბოროტნი“.

„ასე რომ, ჩვენმა ძვირფასმა მასპინძლებმა, — დიმილით ჩაერთა საუბარმა
ბარონესა, — ბედნიერად განვლეს ცხოვრების ორი საფეხური და ახლა მესამის
თვის ემზადებიან“.

„ამათ გაუძარბოდათ, — თქვა გრაფმა, სიკვდილმა ნებაყოფლობით აღასრუ-
ლა ის საქმე, რასაც კონსისტორია უსიამოდ ჰკიდებს ხელს“.

„მოვასვენოთ მკვდრები საფლავში“, — თქვა შარლოტემ ნახევრად სერიო-
ზული გამომეტყველებით.

„რატომ? — მიუგო გრაფმა, — რად არ უნდა მოვიხსენიოთ გარდაცვლილები
პატივისცემით? ისინი საკმაოდ მოკრძალებული აღმოჩნდნენ და მხოლოდ რამ-
დენიმე წლის სიცოცხლეს დასჯერდნენ, თავის შემდეგ კი ამდენი სიკეთე დატო-
ვეს“.

„ოღონდ ცუდი ის არის, — შეკავებული თხვრით თქვა ბარონესამ, — თქვენი
საუკეთესო წლები შეეწირა მსხვერპლად ამას“.

„დაახ, — მიუგო გრაფმა, — კაცს გული გაუტყდებოდა ბოლოს და ბოლოს,
იმედები რომ ასე იშუაათად სრულდებოდეს. ბავშვები დანაპირებს არ ასრულე-
ბენ, ხოლო ახალგაზრდები — ათასში ერთხელ, ხოლო თუკი სიტყვის პატრონები
გამოდგებიან, სულ ერთია, ძალადი საზოგადოება მაინც შეუშლის ხელს“.

შარლოტე გახარებული იყო, რაკი საუბარი სხვა მიმართულებით წარიმარ-
თა, და მხიარულად თქვა:

„მერე რა. ჩვენ ხომ უამისოდაც შეჩვეული ვართ, სიკეთე რომ მხოლოდ ათ-
ასში ერთხელ თუ გამოკრთება ცხოვრებაში და ისიც არასრულად“.

„რაც მართალია, მართალია, — თქვა გრაფმა, — თქვენ წარსულშიც არ და-
ჩაგრულხართ, საკმაოდ კარგი ხვედრი გერგოთ. მაგონდება ის დრო, როცა შენ

და ეღუარდი სასახლის მშვენიერი წყვილი იყავათ. ახლა აბა ვინდა/ფხსენებს იმ შესანიშნავ დღეებს, იმ გაბრწყინებულ სახეებს, როცა ერთად ცველებდა, ყველა თქვენ შემოგყურებდათ, ერთმანეთს გარდა სხვა აღარაეინ გახსოვდათ, თითქოსდა სარკეში უცქერდით ერთმანეთს“.

„მას შემდეგ ისე შეიცვალა ყველაფერი, — თქვა შარლოტემ, — ახლა მოკრძალება გვეყოფნის მშვიდად მოვისმინოთ ეს ქებათა ქება“.

„მე კი ეღუარდს ჩუმიად იმიტომ ვკაცხავდი, — თქვა გრაფმა, — რომ მან არ ვამოიხინა შეუპოვრება. რა იცი, იქნებ მშობლებს უარი ეთქვათ უცნაურ განზრახვაზე. სიჭაბუკის ათი წელი ხუმრობა რიღია“.

„მე ეღუარდს არ ვამტყუნებ, — ჩაერია საუბარში ბარონესა, — ამაში შარლოტესაც მიუძღვის ბრალი. არც ის იყო უცოდველი, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თუმცა ეღუარდი გულით უყვარდა და ძალუღლად თავის საქმროდ მიაჩნდა. მე ამის მოწამეც ვყოფილვარ, როგორ გაუტანჯავს იგი, ეღუარდსაც აღვიღად: მიუღია გადაწვეტილება წასულიყო სამოგზაუროდ, ჩამოშორებოდა მას, გადაჩვეოდა“.

ეღუარდმა თავი დაუქნია ბარონესას, აქაოდა, თანაგრძნობისათვის ძაღლი-ბული ვარო.

„კიდევ ერთ რამეში მინდა გამოვექომაგო შარლოტეს, — განავრძო ბარონესამ, — კაცი, რომელიც იმხანად მის ხელს ითხოვდა, შარლოტეს მხურვალედ სცემდა თავვანს, რაც ყველამ უკვე იცოდა, ვინც იმას ახლოს იცნობდა და ყველა ბევრად უფრო სასიამოვნო ადამიანად მიიჩნევდა, ვიდრე თქვენ გკონიათ“.

„ჩემო ძვირფასო, — თქვა გრაფმა რალაცნაირი გამოცოცხლებით, — გამოტყდით, რომ არც თქვენ ყოფილხართ გულგრილი ძისადმი და შარლოტეს თქვენი შიში უფრო ჰქონდა, ვიდრე სხვა ვინმესი. ჩემი აზრით, ქალებს ერთი შესანიშნავი თვისება აქვთ: ისინი დიდხანს ინარჩუნებენ მამაკაცისადმი სიყვარულსა და გულმიდრეკას, და არანაირ განშორებას არ ძაღუძს მოსპოს და ამოძირკვოს ეს სიყვარული“.

„ეს კარგი თვისება, მგონი, მამაკაცებს უფრო მეტად გწვევიათ, — შეეპასუხა გრაფს ბარონესა, — იცით, რას გეტყვით, ძვირფასო გრაფო, კარგად ვხედავ, რომ არაეინ ისეთ ზემოქმედებას არ ახდენს თქვენზე, ვიდრე ის ქალი, ვისთანაც წარსულში ურთიერთობა გქონიათ. სრულიად აშკარაა, წინათ რომ გყავდათ, იმ ქალბატონს თქვენ გაცილებით მეტი გულისყურით უსრულებთ იხოვნას, ვიდრე ამჟამინდელ მეგობარ ქალს“.

„როგორმე მოვიტმენ ამ საყვედურს, — მიუგო გრაფმა, — მაგრამ რომ არ ეთქვა, არც ის იქნება. შარლოტეს პირველ ქმარს რაც შეეხება, მე მას მხოლოდ იმიტომ ვერ ვიტანდი, რომ ეს მშვენიერი წყვილი ერთმანეთს დააშორა, ეს მართლაც განგებით ერთმანეთისათვის შექმნილი წყვილი, რომელიც არც ხუთი წლის ლოდინს დაგიდევდათ არად და არც მეორე, ასე გასინჯეთ მესამე ქორწინებასაც მოერიდებოდა“.

„შევეცდებით სამაგიერო მივუხლოთ დაკარგულს“. — თქვა შარლოტემ.

„ახეც უნდა ქნათ, — თქვა გრაფმა და მერე რალაცნაირი გამძაფრებით განავრძო, — თქვენი პირველი ქორწინება, მართალი გათხრათ, რალაც საზიზღარი ქორწინება იყო. ასე კი მომიტევეთ, უკმეხი თქმისათვის და, ქორწინებაში საერთოდ ნამდვილად არის რალაც ტლანქი. ქორწინება აფუჭებს ყველაზე ნაზ დამოკიდებულებებს, ეს არის რალაც უხერხული თვითდარწმუნება, თვითნუგეში, ყოველ შემთხვევაში, ცოლ-ქმარს შორის ერთ-ერთს მაინც უთუოდ აქვს ეს გან-

წყობილება. ყველაფერი თავისთავად გასაგებია და როგორც ჩანს, ორი ადამიანი მხოლოდ იმიტომ თუ შეკავშირდა, რომ თითოეულს შესძლებოდა საკუთარი გზით სიარული“.

შარლოტეს ძალიან უნდოდა ერთხელ და სამუდამოდ შეეწვიოდა ეს საუბარი, სიტყვის მოულოდნელი შეტრიალებით მოიწადინა შეეცვალა მისი მამართლები და ეს კიდევ გამოუვიდა. ერთბაშად დაწყებული ზოგადი ხასიათის საუბარი ის-ნაირად წარიმართა, რომ ყველა აღაპარაკდა, ცოლ-ქმარიც და კაპიტანიც, ასე განსაჯეთ, ოტილიემ კი ჩაერთო მასლაათში, ვახშამმა ყველას შესანიშნავი გუნება-განწყობილება შეუქმნა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღოდა უთვალავი ხილვულით სავსე მოხდენილ კალათებს, აურაცხელ ყვავილებს, ნაირ-ნაირ ფერებად რომ ანათებდნენ დიდებულ ღარნაკებში.

საუბარი ჩამოვარდა ახალ პარკზე, რომელსაც სადილობის შემდეგ ეწვივნენ. ოტილიემ საოჯახო საქმეები მოიმიხეზა და სეირნობაში მონაწილეობა არ ძაღლია. სულმოუთქმელად ეშურებოდა ოქმის გადაწერას. გრაფმა კაპიტანი საუბარში ჩაითრია, მოგვიანებით შარლოტეც შემოუერთდა. ყველაზე მაღალ ადგილას იყვნენ ასულნი, როცა კაპიტანი თავაჯიანად გამობრუნდა უკან, რათა სასწრაფოდ მოეტანა მამულის გეგმა, ამ დროს გრაფმა შარლოტეს უთხრა: „ეს კაცი ძალიან მომწონს. იგი ბრწყინვალე და მრავალმხრივ განათლებას ავლენს, რასაც კი აკეთებს, ყველაფერი საფუძვლიანია და საზრიანი. თქვენს მამულში მის საქმიანობას მაღალ წრეებში დიდად წიიწონებდნენ“.

შარლოტემ კაპიტნის შექება შინაგანი კმაყოფილებით მოისმინა, მაგრამ თავი არ გაუცია და გრაფის ნათქვამს წყნარად და თავშეკავებულად დაუკრა კვერი. და როგორ გაოცდა, როცა გრაფმა უთხრა:

„მისი გაცნობა მართლაც რომ მისწრებაა ჩემთვის. მე ვიცი ერთი ადგილი, სადაც იგი ზედგამოჭრილი იქნება და თუ ჩემის მხრივ რეკომენდაციას არ დავიშურებ, გარდა იმისა, რომ სიკეთეს გაუაკეთებ, დიდად ვარგებ ერთ ჩემს მეგობარს, მაღალი წრის კაცს“.

ეს სიტყვები მების გაკარდნასავით იყო შარლოტესათვის. გრაფს კი მისი შეცბუნება სულაც არ შეუმჩნევია, რადგან თავშეკავებას ჩვეულ ქალებს ყოველად განსაკუთრებულ შემთხვევაშიც კი ძალუბთ გულდამშვიდებულად მოაჩვენონ თავი. მას უკვე აღარ ესმოდა გრაფის სიტყვები. გრაფი კი განაგრძობდა:

„როცა რაიმეში დარწმუნებული ვარ, საქმეც მსწრაფლ გაიჩარხება ხილვით. ვინაობაში უკვე მოვხაზე წერილი და ვერ მოვისვენებ, ვიდრე არ დავწერ. თქვენ ალბათ ამბის მიმტანსაც მიშოვნით. ამ საღამოსვე გაგზავნით“.

შარლოტეს ღამის გული გაუსკდა. ამ წინადადებად თავზარი დასცა და არ ძაღუძდა ხმა ამოეღო. გრაფი კი, საბედნიეროდ, ჯერას ამჩნეულა და კვლავ განაგრძობდა საუბარს თავის გეგმებზე კაპიტანთან დაკავშირებით, კაპიტნისათვის ამ გეგმების ხელსაყრელობა შარლოტემაც კარგად შეამჩნია.

ამ დროს თვითონ კაპიტანიც შემოვიდა ოთახში და გრაფს თავისი ნახაზი გადაუშალა, შარლოტემ ახლა სულ სხვა თვალთ შეხედა მეგობარს, რომლის დაკარგვის საფრთხე აშკარად დაინახა. მან ნაძალადივად დაუკრა თავი ლეკობრებს და ხავსის ქიხს მიაშურა. ნახევარი გზა არ ჰქონდა გავლილი, რომ თვალთავან ცრემლები წასკდა. იგი თავის ვიწრო, პატარა სენაკში განმარტოვდა, რათა მთლიანად მისცემოდა თავის ვნებასა და სასოწარკვეთას, რომელთა არსებობას ამ ცოტა ხნის წინ ვერც წარმოიდგენდა.

მეორე ნაპირზე კი ეღუარდი ბარიონესასთან ერთად გუბურების ვარშემო

დასვირნობდა. ჭკვიანმა ქალმა, ვისაც ეგზომ უყვარდა სხვათა ამბების გავება, ფრთხილად განაგრძო საუბარი და ძალე შეამჩნია, რომ ეღუარდი მეტისმეტად აქებდა ოტილიეს. მან სრულიად ბუნებრივად და ადვილად შესძლო, რომ ეღუარდს მისთვის გული გადაეშალა და ახლა უკვე ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ჰქონდა არა ახლახან აღძრულ, არამედ უკვე აღძრულ ვნებასთან.

სიზღორობა

გათხოვილი ქალემა, რაგინდ ერთმანეთი არ უყვარდეთ, მაინც უსიტყვო სი-ახლოვეს არჩევენ ერთმანეთთან და მით უფრო ახალგაზრდა გოგონებთან. მსგავსი ურთიერთობების შედეგები კარგად აწონ-დაწონა ძალადი საზოგადოების შესა-ნიშნავად მცნობმა ბარონესას გულმა. ვარდა ამისა ბარონესა ადრე დილითაც დაეღაპარაქა შარლოტეს ოტილიეს შესახებ. ამ წყნარი და მოკრძალებული ბავ-შვის შინ დარჩენა მან მიზანშეწონილად არ ჩათვალა და წინადადებაც მისცა შარ-ლოტეს ოტილიე ქალაქში, თავის მეგობარ ქალთან წაეყვანა, რომელიც ერთობ ხრუნავდა თავისი ერთადერთი ასულის აღზრდაზე და უარს არც მეორის ყოლა-ზე იტყოდა. შარლოტე დაჰპირდა ბარონესას, მოვიფიქრებო.

ახლა, როცა ბარონესამ ეღუარდის სულში ჩაიხედა, მტკიცედ გადაწყვიტა თავისი განზრახვის ხორცშესხმა. და რაც უფრო ესწრაფვოდა ამას, მით უფრო მეტად ეპირფერებოდა გარეგნულად ეღუარდის სურვილებს. ამ ქალზე მეტად არავის შეეძლო საკუთარი თავის მოთოკვა. ეს თვითდაუფლება მხოლოდ განსა-კუთრებულ შემთხვევაში თუ გამოჩნდება, თორემ ჩვეულებრივ ვითარებაში თავის მოკატუნებას გვაჩვენებს. ადამიანს, ვისაც ასეთი მეუფება ძალუმს საკუთარ თავზე, იმის სურვილიც უჩნდება, ეს მეუფება სხვებზედაც შესძლოს იმნაირად, რომ შინაგანი ნაკლოვანების გამო ფუფე, გარეგნული წარმატებებით მოიწონოს თავი.

ამ განწყობილებას უმთავრესად ჩუმი ნიშნის მოგება ერთვის სხვათა სიბრ-მავესა და გაუცხოობიერებლობაზე, რის წყალობითაც ისინი მახეში ებმებიან ხილ-მე. ჩვენ ვხარობთ არა მხოლოდ ამდღევანდელი წარმატებებით, არამედ აწ გან-საცდელი მოულოდნელი კდემითაც. ბარონესა იმზომ ვერავი ქალი იყო, რომ ეღუარდა და შარლოტე თავის მამულში რთველზე მიიპატიჯა, ხოლო ეღუარდის შეკითხვაზე, შეიძლება თუ არა ოტილიეც თან წამოვიყვანოთო, ისეთნაირად უპა-სუხა, ეღუარდს შეეძლო მისი პასუხი თავის სასარგებლოდ ჩეთვალა.

ეღუარდა უმაღ ალტაცებით აღაპარაკდა მშვენიერ მხარეზე, დიდ მდინარე-ზე, ბორცვებზე, კლდეებზე და ვინახებზე, ძველისძველ ციხე-დარბაზებზე, ნა-ვეებით სვირნობაზე, რთველის დღესასწაულზე, საწნახელებზე. გულიდან ამომსკდა-რი უბიწოებით წინასწარ ხარობდა იმ შთაბეჭდილებებით, რასაც ეს დიდებული სანახაობები მოახდენდა ოტილიეს ხორს სულზე. ამ დროს გამოჩნდა ოტილიე, რომელიც მათყენ გამოემართა. ბარონესამ მოასწრო გადაღაპარაკებოდა ეღუარდს, ამ შემოდგომის გასვირნებაზე ჯერ სიტყვა არ დაძრა, რა იცი, რა ხდება, ხში-რად წარუმატებლად მოავრდება ის საქმე, რითაც წინასწარ ვხარობითო. ეღუარ-დით დაჰპირდა, თქვენი სურვილისამებრ მოვიქცევით. მერე კი სწრაფად მიუგე-ბა მისკენ მოძავალ ძვირფას არსებას. გულიდან მოხეთქილმა სიხარულმა თავს არ დამადა, მთელი ძალით იფეთქა. იგი ოტილიეს ხელზე ეამბორა, მერე გზა-ში დაკრფილი მინდურის ყვაკილთა თაიგული მიართვა. ამის შემყურე ბარონე-სას შურისაგან ლამის გული გაუხკდა. მას არამცთუ შეეძლო მოეწონებინა ცუ-დი და გასაკიცხი მხარე ამ გატაცებისა, არც მისი მშვენიერი და მხიბლავი არ-

სის დანახვა სურდა. ამხელა უპირატესობას იგი არაფრით აპატიებდა ამ უმნიშვნელო და უწვრთნელ გოგოს.

როცა ვახშამზე კვლავ ერთად მოიყარეს თავი, მათ შორის სრულიად სხვა განწყობა დამყარდა. გრაფს, რომელსაც უკვე მოესწრო წერილის დაწერაც და მისი გავზავნაც, გვერდით მოესვა კაპიტანი და წყნარი და გონივრული საუბარი გაება. მას არ ეცალა არც თავის მარჯვენა მხარეს მჯდარ ბარონესასთვის, არც ელუარდისთვის, რომელიც წყურვილისა და აგრეთვე მღელვარების გამო ღვინოს ეტანებოდა და ერთობ ცხარედ ებაახებოდა ოტილიეს. მას გოგონა თავისკენ მოეხიდა, ხოლო შარლოტე მოპირდაპირე მხარეს იჯდა კაპიტნის გვერდით და ლამის ევლარც მალავდა თავის სულიერ მღელვარებას.

ამასობაში ბარონესას საკმაო დრო ჰქონდა მოვლენებს დაკვირვებოდა. მან კარგად შეამჩნია შარლოტეს შემფოთება. რაკი ოტილიესა და ელუარდის ურთიერთდამოკიდებულება უკვე იცოდა, ადვილად ირწმუნა, რომ ქმრის საქციელის გამო იყო შარლოტე ამ საღამოს ნაწყენი და უგუნებო, და იმაზე იმტვრევედა თავს, როგორმე ჩქარა აღესრულებანა თავისი ჩანაფიქრი.

მეგობართა შორის შინაგანი უთანხმოება ვახშამის შემდეგაც გაგრძელდა. გრაფმა, რომელსაც კაპიტნის გამოცნობა ეწადა, მრავალნაირი ხერხი იხმარა, რათა გაეგო, რა სურდა ამ წყნარ, თავმდაბალ, მაგრამ საერთოდ კი სიტყვაძუნწ კაცს. ისინი ბოლთას სცემდნენ დარბაზის ერთ კუთხეში, ხოლო შეზარხოშებული და იმედით აღვსილი ელუარდი ფანჯარასთან იდგა და ოტილიესთან ოხუნჯობდა. შარლოტე და ბარონესა მდუმარედ მაღი-მოდიოდნენ დარბაზის მეორე კიდეზე. მათი ღუმილი და უსაქმო ხეტიალი დანარჩენების თვალში დისონანსს ქმნიდა. მერე ქალები ფლიგელში დაბრუნდნენ, მამაკაცები კი თავიანთ ოთახებში განმარტოვდნენ და დღეც თითქოს მიიღია.

თავი მეთერთმეტე

ელუარდმა გრაფი თავის ოთახამდე მიაცილა და საუბარში გართულმა რამდენსამე ხანს მასთან დარჩენა ისურვა. გრაფი წარსულის მოგონებებმა გაიტაცა, ცხოვლად იხსენებდა შარლოტეს სიღამაზე, რომლის მნახველიც იყო და გზნებით მაღიდებელიც.

„ღამაში ფეხები ბუნების დიდი წყალობაა. ეს გაუცვეთელი მშვენიერებაა. სწორედ დღეს ვაკვირდებოდი, როგორ დადიოდა. ახლა კი მინდა ფეხსამოსს ემთხვიო მისას და ამით გავიმეორო სარმატების საღვაც ველური, მაგრამ ღრმად განცდილი ჩვეულება. თავვანებისა, რომლის თანახმადაც არაფერია იმაზე უკეთესი, ვიდრე ძვირფასი და ღირსსაცნობი ქალის სადღეგრძელოს შესმა მისივე ფეხსაცმლით“.

არა მხოლოდ ღამაში ფეხები იყო ამ ორი მამაკაცის მიერ შარლოტეს ცამდე აყვანილი შესხმა-შემკობის მიზეზი. შარლოტეს პიროვნების განდადებით დაიწყეს და წარსულის ძველი ამბები და ავანტიურებიც გაიხსენოს, მოიგონეს ის მეფერხებები, რაც ოდესღაც ამ ორ მიჯნურს გადახდომია თავს სატრფოსთან შესახვედრად, რა დიდი წვალება განუადიათ, რა გზისთვის არ მოუმართავთ, რა ფანდი არ გამოუძებნიათ, რომ მიჯნურისთვის ხვამიადი გაემხილათ.

„ხომ გახსოვს, — განაგრძო გრაფმა. — რა ფათურაკები არ გადაგვხდა თავს, როცა ჩვენმა უავგუსტოესმა მბრძანებლებმა ბიძასთან სტუმრობა ინებეს და მის

უზარმაზარ ციხე-სიმაგრეს ეწვივნენ. მთელი დღე ქეიფსა და დროსტარებაში გაატარეთ ხალხსაწყული ტანსაცმლით მოხილებმა, გვინდოდა დამით ცოტა ხანს მაინც ვყოფილიყავით სატრფოსთან და გულითადი საუბარი გაგვება მათთან“.

„სახსხლის ბანოვანთა ადვილსამყოფლებსაკენ მიმავარდნივეს“ — შესანიშნავად დაეძინა ხსოვნით, — თქვა ელუარდმა, — და მშვიდი ძიებით ჩემს სატრფოსთან“.

„ჩემი გულის ვარდი კი, — მიუგო გრაფმა, — უფრო სრდილობას წესის დაცვაზე იტყვივებდა თავს, ვიდრე ჩემს ბუნებურებაზე.“

მას თავისთან დაეტოვებინა ერთი უსახური თანმხლები დედაკაცი და, ვიდრე ჩვენ ნაზი შემოხედუებითა და ტკბილი მასლაათით ვართობდით ერთმანეთს, უსიამოვნო ამბავიც შეგვემთხვა.

„სწორედ გუშინ მოვიგონეთ მე და შარლოტემ ეს ამბავი, — მიუგო ელუარდმა, — მეტადრე ჩვენი უკან დაბრუნება. გზა აგვიტანა და გვერდითა შემოსასვლელ დარბაზში მოვხვდით, რახან გვეგონა, გზას აქეთ უფრო ადვილად გავიგნებთ და დამის დარაჯებსაც თავს იილად დავადწევით, მაგრამ რა დიდი იყო ჩვენი განცვიფრება, კარი რომ გავაღეთ. მთელ გზაზე ლეიბები დაეფინათ, ლეიბებზე კი მიჯრიყე გაშოლტილ გოლიათებს ფეხები გაეჭიმათ და გემრიელად ეძინათ. ერთადერთი ფხიზელი დარაჯი გაოცებით გვიცქერდა. ჩვენ კი ისე მხნელ, სრულიად მშვიდად და უტყურად გადავაბიჯეთ გოლიათთა გამონხურის ჩექმებს, რომ არც ერთი მხვრინავი ბუმბერაზი არ გაგვიღვიძებია“.

„ძალიან კი მინდოდა, — თქვა გრაფმა, — რაიმეზე ფეხი წამომეკრა და რითმე ხმაური გამომეწვია, მაშინ გენახა, რა დავიდარაბაც ატყდებოდა“.

ამ საუბარში აყვნენ გართული, როცა საათმა თორმეტი ჩამოჰკრა.

„შუაღამე წამოსულა, — დიმილით თქვა გრაფმა. — ახლა კი დროა შევაწუხოთ, ძვირფასო ბარონო, ვახოეთ სამსახური გამიწიოთ. მიმიყვანოთ ჩემს სატრფოსთან, როგორც მაშინ მე გაწვიეთ თქვენი გულის მაჯნურს. ბარონესას შეეპირდი, დღესვე ვინახულებ-მეთქი. მთელი დღე მარტონი არ ვყოფილვართ, რამდენი ხანია ერთმანეთს არ გვინახავს, ხოლო არაფერი უფრო ბუნებრივი არ არის. ვიდრე ოცნება ერთად თავშეყრის საზეტარო წუთებზე. მჩვენეთ ბარონესასთან მისახვლელი გზა, უკან დასაბრუნებელს თვითონ გავიგნებ. ნუ გეშინია, ჩექმებს ფეხს არ წამოვკრავ“.

„სიამოვნებით გაგაწვეთ ამ სამსახურს, როგორც სახლის პატრონი, — მიუგო ელუარდმა, — მხოლოდ ესაა, ჩვენი ქალბატონები თავის ფლიგელში ერთად არიან. და ჩვენმა მასვლამ ვაითუ უცნაური შთაბეჭდილება მოახდინოს მათზე“.

„ამაზე ნუ სწუხართ, — უთხრა გრაფმა, — ბარონესა რომ ჩამდვილად შელოდება, ეს აშკარად ვიცი, ახლა იგი უეჭველად თავის ოთახში იქნება“.

„ადვილი სამსახურია, — მიუგო ელუარდმა, ხელში სანთელი აიღო და გრაფს გაუჩინა საიდუმლო კიბე, რომელიც გრძელ დერეფანში გამოდიოდა. კიბის ბოლოში პაწია კარი გამოაღო. ისინი მერე ისევ ხრახნილი კიბით ავიდნენ და ელუარდმა გრაფს ხეში ვიწრო ფიციარნაგზე მიუთითა, თან სანთელი გადააწოდა. შემდეგ მარჯვენა მხარეს მდებარე შპალერგაკრული კარი ხელის ერთი მიწილით შეღო და გრაფი ოთახში შეუშვა, თვითონ კი სიბნელეში მარტო დარჩა.

მარჯვნივ, მეორე კარი შარლოტეს საძინებელი ოთახისაკენ მიდიოდა. უცებ ლაპარაკი შეძიეს და ყური მჩუგდო. შარლოტე მოახლეს ეკითხებოდა:

„დაიძინა ოტილიემ?“

„არა, — მიუგო მოახლემ, — იგი ქვემოთ ზის და წერს“.

„მაშინ ღამის ღამაა ჩააქრე და წადი, უკვე გვიანაა. ტანთ მე თვითონ გაქეხდი და სანთელსაც შევე ჩავაქრობ“.

ედუარდმა აღფრთოვანება ვერ დამალა, როცა გაიგონა, ოტილიე კვლავ წერსო.

„იგი ჩემთვის ირჯება“, — აღტაცებით გაიფიქრა. სიბნელით გარემოცულს და საკუთარ ფიქრებში ჩაძირულს თვალწინ დაუდგა, როგორ მიჯდომილა ოტილიე მაგიდას და როგორ წერდა მისთვის. კვლავ მის გვერდით ყოფნის დაუძლეველი სურვილი იგრძნო, მაგრამ აქედან ვერ შეაღწევდა ანტრესოლში, სადაც გოგონა ცხოვრობდა, ახლა იგი თავისი ცოლის კართან იდგა და აი, მის სულს რაღაც უცნაური ფორიაქი დაეუფლა. სცადა კარის შეღება, მაგრამ დაკეტილი დაუხვდა. წყნარად დააკაკუნა. შარლოტე კი გვერდით დიდ ოთახში აღელვებული ბოლთას სცემდა და კვლავ და კვლავ იხსენებდა ყველაფერს, რისი გააზრებაც მოესწრო მას შემდეგ, რაც გრაფმა ის მოულოდნელი წინადადება წამოაყენა. თვალწინ კაპიტნის სახება ედგა, რომელიც ჯერაც ავსებდა ამ სახლს, სიცოცხლეს ანიჭებდა მათ გასეირნებებს, ახლა კი ძაღვ უნდა დატოვოს აქაურობა, უიმილოდ უნდა დაცარიელდეს ირგვლივ ყველაფერი. შარლოტეს ყველაფრის თქმა უნდოდა, რისი თქმაც ეგების. დიახ, იგი წინასწარ ჭკრეტდა იმ უღლეურ ნუგეშსაც, ყველანაირ ტკივილს დრო ჰკურნავსო. წყევლიდა იმ დროს, რომელიც ტკივილის შესამსუბუქებლად არსებობს, წყევლიდა ტკივილის განმაქარვებელ ამ მომაკვდინებელ დროს.

ბოლოს და ბოლოს შარლოტეს თავშესაფარი ცრემლები იყო და მით უფრო სასურველი, რამდენადაც იშვიათად ეძიებდა მას. მერე დიუანზე დაემხო და მთლიანად მიეცა თავის დარდს. ედუარდი ამ ხნის მანძილზე კარს არ მოსცილებია, მან კვლავ დააკაკუნა, შესამედ უფრო ძლიერადაც და შარლოტემ ღამის სიჩუმეში კაკუნი გაიგონა. შეშინებული წამოვარდა. პირველად გაიფიქრა, უთუოდ კაპიტანიაო. მერე კი დაასკვნა, ასეთი რამ შეუძლებელიაო. თავი დაარწმუნა, რომ მოეჩვენა, მაგრამ ხმა ხომ აშკარად გაიგონა. სურდა დაეჯერებინა, თანაც ეშინოდა. იგი საძინებელ ოთახში შევიდა, წყნარად მიუახლოვდა ჩარაზულ კარს. გულში თავის თავს კიცხავდა ამ შიშის გამო. შეიძლება ბარონესას დასჭირდარი რაიმე, ჩაილაპარაკა და მშვიდად იკითხა:

„ვინ არის.“

ხმამ წყნარად უპასუხა:

„მე ვარ“.

„ვინ?“ — კვლავ იკითხა შარლოტემ, რომელმაც ხმა ვერ იცნო. მოეჩვენა, რომ კართან კაპიტანი იდგა. ხმამ ოდნავ ხმამაღლა უპასუხა:

„ედუარდი“.

შარლოტემ კარი გაუღო და თავისი ქმარი იხილა. ედუარდი მხიარულად მიესალმა ცოლს. მანაც როგორღაც შესძლო ასევე ეპასუხა. თავისი იღუმალი სტუმრობა ედუარდმა იღუმალადვე ახსნა:

„იცი, რატომ მოვედი? უნდა გავიმხილო, რომ ამ საღამოს ალთქმა დავდე შენს ფეხსაცმელს ვემთხვიო“.

„რა ხანია ასეთი რამ არ გავიკეთებია“, — თქვა შარლოტემ.

„მით უფრო ცუდი“, — მიუგო ედუარდმა.

„და მით უფრო კარგიც“.

შარლოტე საუარძელში ჩაჯდა, უნდოდა თავისი მსუბუქი საღამური ჩაცმუ-

ლობა მეუღლის მზერისთვის მოერიდებინა. ედუარდი მის წინაშე მუხლებზე და-
 ეცა და შარლოტეს არ შეეძლო კოცნის ნება აღეკვეთა მისთვის. ედუარდმა შარ-
 ლოტეს შეხსაცმელი ერთხანს ხელში დააყოვნა, მერე კი მისი ფეხი ნაზად მიიკ-
 რა მკერდზე. შარლოტე დარბაისლური ბუნების ქალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა,
 ქორწინების შემდეგაც თავი რომ შეეყვარებულეით ეჭირა და ამას იგი სრულიად
 ბუნებრივად და ძალდაუტანებლად აკეთებდა. იგი არასოდეს აღიზიანებდა ქმარს,
 თავშეკავებით უსრულებდა სურვილს, ოღონდ ცივი და ტლანქი სიმკაცრით არ
 ექცეოდა. იგი ყოველთვის სიყვარულით აღსაქსე პატარძალს გაედა, ვისთვისაც
 ნებადართულიც კი შინაგან კრძალვას იწვევს. ამნაირი გაორებული გრძნობით
 წარსდგა იგი ამ საღამოს ედუარდის წინაშე. რა ნეტარებით ისურვებდა ამ წუთ-
 ში ქმრის აქ არყოფნას, მეგობრის აჩრდილი თითქოს სამდურავს ეუბნებოდა
 ამის გამო. მაგრამ რისთვისაც ედუარდი უნდა განრიდებოდა ცოლს, სწორედ ეს
 მიიზიდავდა მისკენ. ეტყობა, იგი ამკარად დელავდა. შარლოტეს ნამტირალევი
 სახე ჰქონდა. თუკი ცრემლები სუსტ პიროვნებას მიმზიდველობას უკარგავს, სა-
 მაგიეროდ, ძლიერი და გაუტეხელი ხასიათის ქალებს, პირიქით, უსასრულო
 ხიბლს მატებს. ედუარდი ისე თვალხშიერი, ალერსიანი და ჯიუტი იყო, შარლო-
 ტეს სთხოვა — დარჩენის ნება მომეციო. იგი არაფერს მოითხოვდა, მხოლოდ
 ცოლის დაყოლიება სურდა ხან სერიოზულად, ხანაც ხუმრობით. არც უფიქრია,
 რომ ამის უფლება ჰქონდა. ბოლოს კი ანცად ჩააქრო სახსელი.

ახლა, როცა ღამის ღამმა ბუნდოვნად აღიცლიცდა, სინამდვილე შინაგანმა
 ლტოლვამ, ფანტაზიამ გადაძალა. ედუარდი ეხვეოდა ოტილიეს, ხოლო შარლო-
 ტეს სულის შორიახლო კაპიტანის აჩრდილი მიმოდოდა. არარსებული კი უც-
 ნაურად და მიმზიდველად შერწყმოდა ამჟამინდელს.

და მაინც დღევანდელობას ვერ წაართმევ თავის დიდ უპირატესობას. ღამის
 ერთი ნაწილი საუბარსა და ხუმრობაში გაატარეს, ასეთი რამ მით უფრო იოლია,
 რაც უფრო ნაკლებ იღებს გულის დვთაებრივი ფეთქვა მასში მონაწილეობას.
 თუმცა მეორე დღით, როცა ედუარდს ცოლთან ჩახუტებულს გაეღვიძა, ასე ეგო-
 ნა, რომ დღის სინათლე რაღაც ავის მომასწავებლად იმზირებოდა ფანჯარაში,
 ხოლო მზე შეცოდებას ჰფენდა ნათელს. იგი უხმაუროდ აღგა და წავიდა, ხოლო
 როცა შარლოტემ გაიღვიძა, მისდა გასაოცრად თავი მარტოდ იხილა.

თავი მეორეაქტი

როცა საუხმისას მასპინძლებმა და სტუმრებმა თავი მოიყარეს, დაკვირვებუ-
 ლი შეთვალეურე ადვილად მიხვდებოდა, რაოდენ განსხვავდებოდა ერთმანეთი-
 საგან თითოეულის განწყობილებები და ქცევები. გრაფი და ბარონესა იმ ღა-
 ლი სიმსუბუქით შეხვდნენ ერთმანეთს, შეყვარებული წყვილი რომ განიცდის და
 ხანგრძლივი განშორების შემდეგ კვლავაც ერთმანეთისადმი ურთიერთსიმპათიას
 აღმოაჩენს. შარლოტე და ედუარდი თითქოს სირცხვილსა და სინანულის გრძნო-
 ბას შეეპყროთ კაპიტანისა და ოტილიეს წინაშე, და ყველაფერი ეს სიყვარულის
 ბრალი იყო, ასეთია მისი ბუნება. იგი მარტოოდენ საკუთრივ უფლებასა სცნობს,
 სხვათა უფლებები მისთვის არ არსებობს. ოტილიე ბავშვურად უჭირველი იყო
 და მიმნდობელი. კაპიტანი დიახაც დაფიქრებული ჩანდა. გრაფის საუბარმა კვლავ
 გააღვიძა მის არსებაში ერთხანს მიჩუმებული და მიძინებული ძარღვი და აგრძ-
 ნობინა, რომ მეგობრების სახლში იგი ვერ სდევდა თავისი მოწოდების ხმას და

თავის ამ ნახევრად საქმიან უმიზნო ყოფაში, კაცმა რომ თქვას, დროს უფრო მეტად უქმად ფლანგავდა.

ის იყო გრაფი და ბარონესა გაემგზავრნენ, რომ მეგობრებს კვლავ ახალი სტუმრები ეწვივნენ შარლოტეს გულგასახარად, რადგან იმას საკუთარი თავისგან დაღწევა და განფანტვა უნდოდა, ხოლო ედუარდს მოსულება უხერხულთა უქმნეს, რადგან იგი ორკაცი ღტოლვით ესწრაფვოდა ოტილიესთან საუბარს. არც ოტილიესათვის იყო სასურველი ეს სტუმრიაობა, რადგან მეორე დღისთვის უცალობლად საჭირო დედნის ასლი ჯერაც მზად არ ჰქონდა. როგორც კი უცხო სტუმრები გვიან ღამით შინისაკენ გაემგზავრნენ, ოტილიემ უმაღლ თავის ოთახს მიაშურა.

მოსაღამოვდა. ედუარდმა, შარლოტემ და კაპიტანმა უცხო სტუმრები გააცილეს და, ვიდრე ისინი კარეტაში ჩასხდებოდნენ, რამდენსამე მანძილზე ფეხით გაუყვნენ გზას, გუბურებზე გავისეირნითო, შეთანხმდნენ. სწორედ ამ დღეს ჩამოიყვანეს ორჩხომელი, რომლის გამოწერა შორეული ქვეყნიდან საკმაოდ ძვირი დაუჯდა ედუარდს. უნდოდათ შეემოწმებინათ, ადვილი იყო თუ ძნელი მისი მართვა და ამოძრავება.

ორჩხომელი შუა გუბურის ნაპირას ბებური მუხის ხეებთან ახლოს მიაბეს, სადაც ახალი პარკი უნდა გაეშენებინათ. ნავმისადგომიც იქვე უნდა აეგოთ, ხოლო ხეების ძირას — დასასვენებელი პავილიონი, საიდანაც მენავეებს ტბაში გადასვლა შეეძლებოდათ.

„მგონი, გაღმა სოფელი სჯობია ნავმისადგომად, — იკითხა ედუარდმა, — ის ადვილი, ჩემი ჭადრები რომ დგანან“.

„ისინი მეტისმეტად შორს არიან მარჯვენა მხრიდან, — მიუგო კაპიტანმა, — როცა ქვემოდან მოადგები ნაპირს, მაშინ უფრო ახლოს ხარ სასახლესთან, მაგრამ ამაზე კიდევ უნდა ვიფიქროთ“.

კაპიტანი უკვე ნავის კიჩოზე იდგა და საჭეს ჩასჭიდებოდა. შარლოტე ნავზე ავიდა, მას ფეხდაფეხ მიჰყვა ედუარდიც და მეორე საჭეს დასწვდა. მაგრამ ის იყო ნიჩაბი უნდა მოექნია, რომ ოტილიე გაახსენდა, ეს გასეირნება დამაგვიანებს და ვინ იცის, უკან როდის მოვბრუნდებითო, გაიფიქრა და მაშინვე გადაწყვიტა აღარ წასულიყო, ნავიდან სწრაფად ჩამოხტა, კაპიტანს მეორე ნიჩაბი გადააწოდა, ნაუცბათევეად ბოდიში მოიხადა და შინისკენ გაეშურა.

იქ შეიტყო, რომ ოთახში ჩაკეტილი ოტილიე გამალებული წერდა. იმ სასიამოვნო განცდასთან ერთად, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ოტილიე მისი გულისთვის ირჯებოდა, ედუარდს მწვავე უკმარისობის გრძნობაც დაეუფლა, რადგან ოტილიე ახლოს არ ჰყავდა. მისი მოუთმენლობა სულ უფრო გაიზარდა. აი, იგი ბოლთას სცემს დარბაზში და ცდილობს ხან რა გააკეთოს და ხან რა, მაგრამ თავს ვერ იოკებს, არ ძალუძს სხვა რამეზე გადაიტანოს ყურადღება. მას ოტილიეს ნახვა უნდა, მხოლოდ ნახვა და ეს მანამდე უნდა მოასწროს, სანამ შარლოტე დაბრუნდებოდეს კაპიტანთან ერთად. დაღამდა. სანთლები აანთეს.

მერე ოთახში ოტილიე შემოვიდა, სახენათელა და მშვენიერი. იმის შეგრძნებამ, რომ მეგობრისთვის დაშურა, საკუთარ თვალში აღამაღლა, მან ორიგინალი და ასლი ედუარდის წინ, მაგიდაზე დასდო.

„ხომ არ შევადარო დედანი ასლს?“ — უთხრა ღიმილით.

ედუარდმა არ იცოდა, რა ექნა. მხოლოდ შეხედა ოტილიეს. მერე ასლი გადაათვალიერა. პირველ ფურცლებს უდიდესი რუდუნება ეტყობოდა, ნაზი ქალური ხელით იყო ნაწერი. მერე თითქოს ხელწერა შეიცვალა, უფრო ღალი და მსუბუ-

ქი გახდა. მაგრამ როგორ გაიგო იგი, როცა ბოლო ფურცლები ჩაათვალიერა.

„ღვთის გულიანობის. — წამოიძახა მან, — რა არის ეს ხომ ხუბტად ჩუმი ხელწერა“ — მან ოტილიეს შეხედა, მერე კვლავ ფურცლებს დააკვირდა. მეტადრე ბოლო ფურცელი მოხვდა თვალში, თითქოს იგი სწრაფად დაეწეროს. ოტილიე დუმდა. უდიდესი გულშეჯერებით შესცქეროდა ეღუარდს თვალებში. ეღუარდმა ხელები მალლა ალაპყრო:

„შენ გიყვარვარ, ოტილიე“, შესძახა მან, — „პო, გიყვარვარ“, და ისინი ერთმანეთს ჩაეკონხენ. ვინ ვის მოეხვია პირველად, ძნელი იყო ამის გარჩევა.

ამ წუთიდან მოყოლებული ეღუარდისათვის სამყარო შეიცვალა. სამყარო უკვე ის აღარ იყო, რაც ადრე გახლდათ. ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ეღუარდს ოტილიეს ხელები ეჭირა, თვალებში უცქერდნენ ერთმანეთს და კვლავ და კვლავ ეწადათ გულში ჩაეკრათ ერთმანეთი.

ოთახში შარლოტე და კაპიტანი შემოვიდნენ. დიდი ხნით დაგვიანებისათვის მოიბოდიშეს. ეღუარდმა ღიმილით შეხედა მათ, გულში კი გაიფიქრა, ნეტა, რა კვირებოდათო.

ვახშამს მიუსხდნენ. მეგობრებმა ამღვებელი სტუმრების კრიტიკული განსჯა დაიწყეს. ეღუარდი, სიყვარულით ეგზომ შეძრული, ყველა მათგანზე მხოლოდ კარგს ამბობდა, დამთმობი იყო და იმიტომ, ზოგჯერ კი აღტაცებასაც გამოხატავდა. შარლოტე მის აზრს არ იზიარებდა, გაუკვირდა კიდევაც ქმრის ეს განწყობილება, კიდევ გაიხუმრა, სულ რომ კილავედი და აბუნად იგდებდი, დღეს რაღა მოგივიდა, ასე ღმობიერი და შემწყნარე რამ გაგხადაო.

ეღუარდმა აღტკინებით და წრფელი შეგონებით წამოიძახა:

„საკმარისია ერთი ვინმე გიყვარდეს სულით ხორცამდე, რომ სხვებიც სიყვარულის ღირსად მოგეჩვენოს“.

ოტილიემ თვალები დახარა. შარლოტემ უხილავი მხერით შეხედა მას. კაპიტანმაც მიაშველა სიტყვა და ასე დაუჭირა მხარი ეღუარდის წარმოთქმულ სენტენციას.

„რაღაც მსგავსება არსებობს სხვების პატივისცემისა და თავიანთების გრძობასთან დაკავშირებითაც. ღირსსაქებარის ცნობას ამქვეყნად მხოლოდ მას შემდეგ იწყებ, რაც ვინმე ერთის ჯეროვნად დაფასებას ისწავლი“.

შარლოტე ჩქარობდა საძინებელ ოთახში წასვლას, რათა თავიდან გაეხსენებინა და გაეცნობიერებინა, რაც ამ საღამოს მასა და კაპიტანს შორის მოხდა.

როცა ეღუარდი ნაპირზე ჩამოხტა, ნავს ხელი უბიძგა, ცოლი და მეგობარი კი დაუდგრომელი სტიქიის ამარა დასტოვა, შარლოტე მარტოდმარტო დარჩა იმ მამაკაცთან, ვისთვისაც მალულად ამდენი ტანჯვა გადაიტანა. კაპიტანი ბინდბუნდში შარლოტეს ახლოს იჯდა საჭესთან, ხელი ორივე ნიჩბისთვის ჩაეკლო და ნავი საითაც უნდოდა, იქით მიჰყავდა. შარლოტე ღრმა, გაუსაძლის სევდას შეეპყრო. ყველაფერი, რაც მის გარშემო ხდებოდა, ამ უსასრულო სიჩუმეში სიზმარეულ მოღანდებას ჰგავდა, ნავის რწევა იყო ეს თუ ნიჩბების ტლაშუნი, ნიავის ქრილა, ხანდახან რომ აალიველივებდა წყლის ზედაპირს თუ ღერწმების შრიალი, დაგვიანებული ჩიტების აფრთხილება თუ ეარსკეკლავების ბრწყინვა და მათი ათინათი წყალზე. მოეჩვენა, რომ მეგობარს საღაც მიუვალ კუნძულზე მიჰყავს, იქ გადმოსვამს და მარტოს დასტოვებს. უცნაურ ღელვას შეეპყრო მისი სული, მაგრამ ტირილი არ ძალუბდა. კაპიტანი კი მოჰყვა იმის აღწერას, როგორი იქნებოდა, მისი აზრით, პარკი ახლი მომავალში, მას მოსწონდა ნავის

ერთი კარგი თვისება, მისი ადგილიდან დაძვრა და წაყვანა ნიბების მოსმით, ერთი კაცი რომ თავისუფლად შეძლებდა. შარლოტეს თვითონაც შეუძლია არ წავლოს ნავის წაყვანა. ერთობ სასიამოვნო გრძნობაა ზოგჯერ მდინარეზე ნავით მარტო გასეირნება, ამბობდა, ერთიდაიმავე დროს შესაჭეც იყო და მებრუნეც.

კაპიტანის ამ ნათქვამმა შარლოტეს აგრძნობინა, თუ რა განსაცდელს მისცემდა ტანდა მეგობრის განშორება, და გული დაუმძამდა. „ამას განზრახ ხომ არ ამბობს, — გაიფიქრა თავისთვის, — იცის ვითომ რაიმე ამის თაობაზე, რაღაცას ხედება თუ რა არის? ან იქნებ სულაც შემთხვევით ამბობს ამას და თვითონაც ვერ მიმხედარა, ისე გაუცნობიერებლად მამცნობს ჩემს ხვედრს“.

შარლოტეს დიდი წუხილი და მოუთმენლობა დაეუფლა და მეგობარს დაეინებით სთხოვა, როგორმე ჩქარა გაეიდეთ ნაპირზე, სასახლეში დაებრუნდეთ.

კაპიტანი დღეს პირველად მგზავრობდა ნავით გუბურებზე და, თუმცა ზოგადად კი ჰქონდა შესწავლილი მათი სიღრმე, ცალკეულ ადგილებს მაინც კარგად არ იცნობდა. ბინდბუნდმა თანდათან იძალა. მან იქითკენ წაიყვანა ნავი, საითაც, მისი ვარაუდით, უფრო მისამხარი იქნებოდა მინაპირება, იქვე ბილიციც ეგულეობდა, სასახლემდე რომ მიიყვანდათ. მაგრამ რატომღაც მხარი აექცა და შარლოტემაც კვლავ გაუმეორა თხოვნა ნაპირზე ჩამოვიდეთო. მან ძალა მოიკრიბა და შეეცადა ნაპირს მიახლოვებოდა, მაგრამ ნავი რატომღაც ნაპირიდან კარგა მოშორებით გაჩერდა. იქნებ როგორმე კვლავ ავამოძრაოთ, ბევრი იჯახირა, მაგრამ ამოდ, რა უნდა ედონა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა, მეჩხერ წყალში ფეხი ჩაედგა და მეგობარი ქალი ხელში ატატებული მიეყვანა ნაპირამდე. მან ფრთხილად აიყვანა და წაიღო ძვირფასი ტვირთი ნაპირისაკენ. საკმაოდ ძლიერი იყო იმისათვის, რომ წონასწორობა არ დაეკარგა და ქალისთვის არა დაეშავებინა რა. მაგრამ შარლოტემ მაინც შიშით მოჰხვია ყელზე მკლავები. კაპიტანს სათუთად მიეკრა იგი მკერდზე. ბოლოს აღელვებულმა და თავგზააბნეულმა ბალახზე დასვა, მაგრამ ქალი ხელს მაინც არ უშვებდა, კაცი ანახდად მოეხვია და მხურვალედ აკოცა ტუჩებში. მერე შეცბა და იმწამსვე მუხლებზე დაეცა მის წინაშე, ხელზე ემთხვია და უთხრა:

„მაპატიებთ ამას, შარლოტე?“

შარლოტე გონს მოიყვანა კოცნამ, რომელიც მეგობარმა შეჰბუდა და რახაც ლამის თვითონაც უპასუხა, შარლოტე მის ხელს ჩაებლაუჭა, მერე დაიხარა, მხრებზე ხელი დაადო და წარმოთქვა:

„აი, ახლა, ამ წუთას ჩვენს ყოფას უჩვეულო შამი დაუდგა და მის მდინარეზას ხელს ნუ შეუშლით. ჩვენ უნდა შევძლოთ ღირსეულად განველოთ ეს შამი. ძვირფასო, ჩვენ უნდა დაეშორდეთ ერთმანეთს, განგების ნებას ვერ გადაუვალთ. გრავს სურს უკეთესი ყოფა შეგიქმნათ. მე ეს მახარებს და კიდევ მადონებს. არ მინდოდა სიტყვა დამეძრა, ვიდრე საბოლოოდ არ გადაწყდებოდა, მაგრამ ამ წუთმა საიდუმლო გამათქმევინა. სწორედ ამიტომ გაპატიებთ და საკუთარ თავსაც ვაპატიებ. თუ სიბრძნე გეყოფა, შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება, გრძნობების შეცვლა კი აბა, ვის შეუძლია“.

მან წამოაყენა კაპიტანი, მის მკლავს დაეყრდნო და ასე მღუპარედ გაუყვინს სასახლისაკენ მიმავალ გზას.

და აი, ახლა იგი თავის საძინებელ ოთახში დგას და უნდა თავი ეღუარდის ცოლად წარმოიდგინოს და შეიცნოს. შემწედ ისეუ თავისი ძლიერი, ცხოვრების ქურაში მრავალჯერ ნაწრთობი ხასიათი მოეკლინება. მან შესანიშნავად იცოდა საკუთარი თავის დაოკება და არც ახლა გასჭირვებია სასურველი წონასწორობა.

ბისათვის მიეღწია. მერე ალბათ საკუთარ თავზე გაეცინება. როცა ეს უცნაური ღამის სტუმრობა გაახსენდება, მაგრამ მალე საოცარმა წინააღმდეგობამ და სასიხარულო და შიშნეულმა თრთოლვამ მოიცვა და ეს წინათგრძნობა ღვისმოსავ სურვილებსა და იმედებში გაიფანტა. აღელვებული დაეცა მუხლებზე და იმეორებდა ფიცს. ედუარდს რომ მისცა საქორწინო საკურთხეველობის, შეკრობის, გულმოდრეკის, თვითადკვეთის ნათელი ხატებანი დაუდგა თვალწინ და სული განკურნებულად იგრძნო. მალე ტკბილმა მოთხთილობამ მოიცვა და წყნარად ჩაიძინა.

თავი მესამე

ედუარდი კი სულ სხვა გუნება-განწყობილებაზეა. ძილი არც ახსოვს და ფიქრადაც არ მოსდის, ტანთ გაიხალოს, მეათასედ ჰკოცნის საბუთის ასლს, ოტილიეს ბავშვური, მთრთოლვარე ხელით ნაწერს. მის დასაწყის სტრიქონებს, საბუთის ბოლო ნაწილს კოცნაც ვერ შეჰბუდა, საკუთარი ხელნაწერი ჰგონია. „რა იქნება, რომ ეს უბრალო საბუთი კი არა, სულ სხვა რამ იყოს“, — თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა, მაგრამ ეს საბუთიც ხომ უმშვენიერესი დასტურია იმისა, რომ მისი ზენარი სურვილი აღსრულდა. ეს ფურცელი მასთან არ დარჩება? განა ყოველთვის გულზე არ მიიკრავს? მერე რა ვუყოთ, ვინმე მესამეს ხელმოწერა თუ შერყვნის და წაახდენს ასე სათუთად შესანახს.

მიმქრალი მთვარე ტყვეს თავზე გადმოადგება. თბილი ღამე ედუარდს სუფთა ჰაერზე სასეირნოდ ეპატიჟება, აი, იგი დაეხეტება სასახლის გარშემო. იგი ხომ ყველაზე დაუდევარი და ყველაზე ბედნიერი კაცია მოკვდავთა შორის, ბალებს მიუყვება და ბალები ეიწრო ეჩვენება, მინდორში გარბის და მინდორი ზედმეტად განიერია მისთვის, იქაც სულს ვერ იოკებს. ისევე სასახლეში ბრუნდება. უნებლიეთ ოტილიეს სენაკის ფანჯრებთან ამოჰყოფს თავს. აქვე, ტერასის კიბეზე ჩამოჯდება.

„კედლები და საკეტურები თუ გვაშორებს, თორემ ჩვენი გულები მაინც ერთად არიან, აბა მაგათ სად შეუძლიათ ჩვენი დაშორება. ახლა რომ ახლოს მყავდე, აქვე პირისპირ იდგე, მკერდზე მიგიკრავდი, შენც მომენდობოდი და ასე გულდაჯერებულთ სხვა რაღა გვინდოდა“.

ნიაუის ჩქამიც არ ისმოდა, ისეთი სიწყნარე იყო ირგვლივ, სამარისებურ სიჩუმეში გაიგონა, როგორ ჩიჩქნიდნენ მიწას გამრჯე ცხოველები. იმათთვის ხომ დღე და ღამე არ არსებობს. ედუარდი სულთ ხორცამდე მინებდა ნეტარ ოცნებას, ბოლოს ჩაიძინა და მანამ არ გაღვიძებია, ვიდრე მზე არ აღმობრწყინდა თავისი კაშკაშა ნათელით და დილის ნისლი არ მიჰფანტ-მოჰფანტა.

ედუარდს პირველს გაეღვიძა თავის ადგილ-მამულში. მოეჩვენა, რომ მუშები მოსვლას აგვიანებდნენ. აი, ისინიც მოვიდნენ. თვალში ეცოტაუა მუშების ოდენობა და დღეისთვის განკუთვნილი სამუშაოც. ბევრი მუშა-ხელი მოითხოვა. შეპირდნენ, მოუმატებთო, და დღის განმავლობაში კიდევ შეასრულეს დანაპირები. მაგრამ მომავალი ჩანაფიქრის ხორცშესახემლად არც ეს ჩათვალა საკმარისად. შემოქმედების პროცესი უკვე აღარ ანიჭებდა სიხარულს. უნდოდა ხორცშესხმული ეხილა ყოველი და განა ვისთვის? მხოლოდ და მხოლოდ ოტილიესათვის. სასწრაფოდ გავიყვანოთ გზები, რომ ოტილიემ მარჯვედ გაიაროს ამ გზებზეო, სკამებიც აქვე იდგეს, გზადაგზა ოტილიემ რომ ჩამოისვენოსო. ახა-

ლი სახლის აშენებისთვისაც იღწვის თავდაუზოგავად. ეღუარდმა ზომა და წონა არ იცის გრძნობებსა და ქცევებში. უსაზღვროა და უსასრულო იმის შეგრძნება, რომ თვითონაც უყვარს და ისიც უყვართ. როგორ შეიცვალა მისთვის ეს ოთახები, ეს მადამოები, თითქოს საკუთარ სახლში არც იყოს. ოტილიეს აქ ყოფნა ყველაფერს შთანთქავს. იგი მთლიანად ოტილიეს სულში დაინთქა, განაზღვდა, სხვა არაფრის ფიქრი არა აქვს. სინდისიც არას ჩაავიწყებს. ყველა პოტენციალს, რაც კი იმის ბუნებაში მოთრგუნული იყო, ძლიერად ამოხეთქა. იგი მთელი არსებით ოტილიესაკენ ილტვის.

კაპიტანი თვალს ადევნებს მის თავდავიწყებულ საქმიანობას, ფრთხილობს მოსალოდნელ სავალალო შედეგებზე. ეს მშენებლობები, რაც ახლა ცალმხრივად და უკიდურესი სისწრაფით მიმდინარეობს, კაპიტანს შეგობრულ გარემოცვაში მშვიდი ერთად ყოფნისათვის ჰქონდა გათვალისწინებული, აგარაკის გაყიდვაც ხომ მანვე განახორციელდა, თანხის ერთი ნაწილი კიდევ მიიღეს და შარლოტემ იგი შეთანხმებისამებრ სალაროში შეინახა. მაგრამ საჭირო იყო განსაკუთრებული წინდახედულება, მოთმინება, ყაირათიანობა გამოეჩინა შარლოტეს, ხომ შეიძლებოდა ამ ფაქტურში დაგროვილი თანხა ერთბაშად შექმნილიყო და დიდხანს ვერ გაწვდომოდა ხარჯებს.

ბევრ რამეს დაადგეს თავი, ბევრიც გასაკეთებელი დარჩა. როგორ დაეტოვებინა შარლოტე ასეთ ვითარებაში. მოითათბირეს და შეთანხმდნენ, თვითონვე დაექარებინათ სამუშაოები, ფულის საქმეც მოეგვარებინათ. გადახდის ვადები დაენიშნათ, რაც გაყიდული აგარაკის ფულად გადასახადებსაც შეეხებოდა. ყველაფერი ეს თითქმის უდანაკარგოდ გაკეთდებოდა პრავილეგიათა დათმობის გზით. თითქოს ამით ხელ-ფეხი გაეხსნათ და, რაკი ყველაფერი აეწყო და მუშახელიც საკმარისად ჰყავდათ, მიზნის სწრაფად მიღწევაც შეიძლებოდა. ეღუარდი ხალისით დათანხმდა ცოლისა და კაპიტნის მიერ შემოთავაზებულ ამ წინადადებას, რადგან იგი სავსებით ესადაგებოდა მისეულ ზრახვებს.

შარლოტეს კი სულის სიღრმეძღე სწადს იღვეს თავის უწინდელ მოსაზრებაზე და აკი მტკიცედ დგას კიდევ. მეგობარს ვაჟკაცურად ამოსდგომია გვერდში და მის განზრახვას მხარს უჭერს. მათ შორის ვულგანდობა კიდევ უფრო გაიზარდა. ისინი ერთმანეთს უზიარებენ აზრებს ეღუარდის ამ გატაცების გამო. თათბირობენ, როგორ მოვიქცეთო. შარლოტე ოტილიეს ახლოს იყოლიებს, მეთვალყურეობას გაუწევს. და რაც უფრო ღრმად ჩასწვდება მისი მზერა გოგონას გულს, მით უფრო ნათლად დაინახავს საკუთარ თავსაც. გამოსავალს მხოლოდ იმაში ხედავს, რაც შეიძლება ჩქარა მოიშოროს თავიდან ეს ბავშვი. მას ბედის წყალობად მიაჩნია, ლუციანემ რომ წარჩინებით დაამთავრა ლიცეუმი და ქების გამოხმაურებები მიიღო. ამას აცნობებს გარე-ბებია. მას უნდა გოგონა თავისთან ჰყავდეს, რათა მაღალ საზოგადოებაში გამოიყვანოს. ოტილიეს შეუძლია პანსიონში დაბრუნება. კაპიტანიც მოსცილდება მათ ოჯახს, უჭირველი ცხოვრების კაცი გახდება და ყველაფერი ძველებური დინებით წავა, აღსდგება ის ყოფა, ამ რამდენიმე თვის წინათ რომ იყო, პირიქით, უკეთესიც გახდება სიცოცხლე. შარლოტეს იმედა აქვს, რომ მალე განაახლებს თავის დამოკიდებულებას ეღუარდთან, თავის ფიქრში ყველაფერი კარგად მოისაზრა და იმის ილუზიაც გაუჩნდა, რომ შესძლებდა ადრინდელ შეზღუდულ ვითარებებს დაბრუნებოდა, ხოლო ყოვლისმპყრობელი თავდახსნილობა კვლავ ძველ ჩარჩოებში მოექცია.

ეღუარდი მძაფრად აღიქვამს წინააღმდეგობებს, რაც გზაზე ეღობება. მალე შეამჩნევს, რომ მასა და ოტილიეს ერთმანეთს აშორებენ, ამნელებენ მათ განმარ-

ტოებით დარჩენას და საუბარს, უბრალოდ შეხვედრასაც კი, თუკი ეს სხვათა თანდასწრებით არ ხდება. გავულისებულა და ბრაზობს. თუკი წაძიერატი ოტილიეს შეხუდება სადმე სალაპარაკოდ, გარდა იმისა, რომ უმაღლ თხვის სიყვარულს ეფიცება, ცოლსა და კაპიტანზე საყვედურებსაც ეუბნება. ვერ კრძნობს, რომ მისმა დაუთრგუნავმა ფაციფუსმა მიიყვანა სალაროს სახსრები და მისთვის იგი მწარედ კიცხავს შარლოტესა და კაპიტანს; თავდაპირველად შეთანხმების საწინააღმდეგოდ იქცევიანო, მაგრამ თვითონვე არ ისურვავა მეორე შეთანხმების დადება. დიახ, ეს თვითონ მან დაუშვა და საჭაროდ სცნო იგი.

სიძულვილმა გადაბირება იცის, მაგრამ სიყვარულმა კიდევ მეტად. ოტილიეს თავის მხრივ როგორღაც გაუუცხოვდა შარლოტესა და კაპიტანს. ერთხელ, როცა ედუარდმა შესჩივლა, შექმნილ ვითარებაში კაპიტანი არცთუ წრფელად იქცევა ჩემ მიმართო, ოტილიემ დაუფიქრებლად მიუგო:

„კარგა ხანია ვამჩნევ და არ მომწონს, რომ იგი გულწრფელი არ არის თქვენდამი. ერთხელ ყურიც კი მოვკარი, შარლოტეს როგორ უთხრა: რა კარგი იქნება, ედუარდი ფლეიტის წრიპინს თავს რომ დაანებებდეს, მისგან მუსიკოსი არასოდეს დადგება, არადა, მსმენელებს გულს უწერილებსო. ხომ წარმოგიდგენიათ როგორ მეტკინებოდა გული ამის გაგონებაზე. მე კი როგორ მიხარია თქვენთან, ერთად დაკვრა“.

ოტილიემ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ შინაგანმა ხმამ უჩურჩულა, სჯობდა სულაც არაფერი გეთქვაო. მაგრამ უკვე გვიანდა იყო. ედუარდს საზე შეეშალა. თავის სიცოცხლეში ამაზე მეტად არაფერი სწყენია, უხეშად მოეპყრნენ მის საყვარელ გულისთქმას, ბავშვურ ლტოლვას, რასაც მედიდურობის ნატამალიც არ აჩნდა. მეგობრისაგან უფრო ფრთხილ, სათუთ მოპყრობას ელოდა. ეს პატარა გატაცება ხომ გულს უხალისებდა, სიხარულს ანიჭებდა. აბა რას იფიქრებდა, რომ მისი მოსმენა სხვისთვის მძიმე ასატანი იქნებოდა, თუ სხვის სმენას ეს არცთუ დიდი ნიჭი შეურაცხყოფდა. იგი გულნატკენი იყო, გამძვინვარებული, მიუტყვებელი. მან თავი ყველა ვალდებულებისაგან განთავისუფლებულად იგრძნო.

ედუარდისათვის სულ უფრო აუცილებელი გახდა ოტილიესთან ყოფნა, მისი ხილვა, მისთვის რაიმეს განდობა, რაღაცის ჩაჩურჩულება. განიზრახა საიდუმლო მიწერ-მოწერა გაება მასთან. აი, ქალაღდის ნაგლეჯი, რომელზედაც საკმაოდ ლაკონურად მოხაზა სათქმელი, საწერ მაგიდაზე დევს, იგი ორპირმა ქარმა გადააფრიალა, როცა ოთახში შემოვიდა კამერდინერი, მისთვის თმა რომ დაეხვია. რკინის სიმბურვალე რომ შეემოწმებინა, კამერდინერი ჩვეულებრივ, ძირს იხრებოდა ხოლმე ნაგლეჯი ქალაღდის ასაღებად. ამჯერადაც დასწვდა ნაგლეჯს. ხელში სასწრაფოდ მოჭმუჭნა და ის იყო ცეცხლში უნდა ჩაეგდო, რომ ამ დროს ედუარდმა შეამჩნია და ხელიდან გამოგლიჯა ფურცელი. მერე კვლავ მაგიდას მიუჯდა წერილის ხელახლად დასაწერად. მაგრამ ამჯერად კალამი ვეღარ დაიმორჩილა. ეჭვი გაუჩნდა, ჭირმაც თავი არ დამალა, მაგრამ მაინც გადალახა სიძნელე. აი, დაწერა და როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცა, ფურცელი ოტილიეს ჩაუდო ხელში. ოტილიემაც არ დააყოვნა პასუხი. ედუარდმა წაუკითხავად ჩაიღო ოტილიეს ხელით დაწერილი ფურცელი ახალმიდურად შეკერილი მოკლე ფილეტის ჯიბეში. ფურცელი ჯიბეს ასცდა, გადმოცურდა და მისდა შეუმჩნევლად იატაკზე დავარდა. შარლოტემ აიღო ძირს დავარდნილი ფურცელი, გადაათვალიერა და ედუარდს გაუწოდა.

„აქ რაღაც შენი ხელით სწერია, — თევა მან, — ალბათ არ ვინდა მისი დაკარგვა“.

ედუარდი გაოგნდა.

„თავს ხომ არ იკატუნებს. — გაიფიქრა, — გაივლო კი ჩანაწერის შეფუთვას და აქნებ ხელწერის საოცარმა მსგავსებამ შეიყვანა შეცდომაში. ვერაფერს ვიკითხებ“.

იმედი მიეცა, რომ შარლოტე ხელწერის მსგავსებამ მოატყუა. იგი გაფრთხილდა, ორწილ გაფრთხილდა, მაგრამ მის ვნებას ვერ აკმაყოფილებდა ეს უცნაური, შემთხვევითად მოხაზული ნიშნები, რისი საშუალებითაც ზენარი არსება თითქოს ესაუბრებოდა. როცა ედუარდს ვნებათა ღელვა გაიტაცებდა, იმ შეზღუდვებსაც უფრო მძაფრად გრძნობდა, რაშიც იგი მოექცა და რაც მეტად უამური განსაცდელი იყო მისთვის. მან დაკარგა მეგობრული თანახიარობის გრძნობა. მისი გული ჩაიხურა. თუ ზოგჯერ აუცილებელი ხდებოდა ცოლთან და მეგობართან ერთად ყოფნა, ვერაფრით ვერ ახერხებდა თავის გულში მაინც გაეცოცხლებინა ადრინდელი დამოკიდებულება მათთან. ამის გამო წყნარად უსაყვედურებდა თავის თავს და რაკი ეს საყვედურები უსიამო იყო, ზოგჯერ იუმორსაც იშველიებდა, მაგრამ არც იუმორი შველოდა, უსიყვარულოდ იგი ხომ ჩვეულ ნიბლს კარგავს.

ამნაირი განცდების დამღევაში შარლოტეს მწედ მოეველინა თავისი ძლიერა ხსიათი. მან მთელი არსებით შეიგნო, რასაც ნიშნაუდა ამ ლამაზი და კეთილშობილური ტრფიალის დათმობა.

შარლოტეს ძალიან უნდა თავის ორ მეგობარსაც მოუძებნოს ხსნა და საშუალება. იგი კარგად გრძნობს, რომ ამნაირი ჭირის განსაკურნავად განშორება არ კმარა. სურს დაეღობარაკოს ამის თაობაზე ამ სათნო გოგონას. მაგრამ საამისოდ ძალა არ შესწევს. საკუთარი სასუსტე აგონდება კაპიტნის მიმართ და ხელს ეს უშლის. ცდილობს ზოგადად თქვას სათქმელი, მაგრამ ეს ზოგადაც საკუთარ მდგომარეობას ახსენებს და თქმას უფრთხის. სურს ოტილიეს მითითება მისცეს, მაგრამ ისევ საკუთარ გულს უბრუნდება. უნდა გააფრთხილოს ოტილიე, მაგრამ გრძნობს, თვითონაც რაოდენ სჭირდება ეს გაფრთხილება.

ამიტომაც იგი დუმილს ამჯობინებს, შეეყვარებულებზე ძალულად უჭირავს თვალა, მაგრამ ვერც ეს შეულის საქმეს. წუთიერი მინიმუმები, რაც ზოგჯერ წამოცდება ხილბე, ოტილიეზე ზემოქმედებას ვერ ახდენს. ეს იმიტომ, რომ ედუარდმა დაარწმუნა იგი, შარლოტესა და კაპიტანსაც უყვართ ერთმანეთი, თვითონ შარლოტეს სწადია განქორწინება, რის მიღწევასაც იგი შეძლებისდაგვარად კადეც ცდილობს.

ოტილიე თავისი უმწიკველი გრძნობითაა ატანილი და ნანატრი ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე მარტო ედუარდისათვის ცოცხლობს. ამ სიყვარულის წყალობით იგი ყველასათვის სიკეთეს ცდილობს, ნეტარებით აღასრულებს რა ედუარდისთვის ყველაფერს, ყველასთან გულგახსნილია და თავს მიწიურ სამოთხეში გრძნობს.

ასე მიდის ყოველდღიური ცხოვრება დღიდან დღემდე თითოეულისთვის თავისებურად, იმის მიუხედავად, დაფიქრებულა თუ არა თითოეული მათგანი საკუთარ ბედზე. ყველაფერი თითქოსდა ჩვეულებრივად მიედინება, ისევე როგორც ისეთ ყოველად უჩვეულო ვითარებაშიც კი, როცა სიცოცხლე საფრთხეშია, მაგრამ ცხოვრება მაინც ძველებურად გრძელდება, თითქოსდა არაფერიც არ მომხდარა.

თავი მეორე

ამასობაში კაპიტანმა გრაფისაგან წერილი მიიღო, უფრო სწორად ორი წერილი: ერთი სხვებისთვის წასაკითხად განკუთვნილი, რომელშიაც შორეული მომავლის ღამაზე პერსპექტივები იშლებოდა, და მეორე — რომელიც ამჟამინდელ გარკვეულ წინადადებებს შეიცავდა. გრაფი კაპიტანს თვალსაჩინო თანამდებობას სთავაზობდა სასახლეში მაიორის ჩანით, დიდი ხელფასით და სხვა უპირატესობით, და ყველაფერი ეს კაპიტანს სრულიად განსაკუთრებულ გარემოებათა გამო საიდუმლოდ უნდა შეენახა.

ამიტომაც კაპიტანმა მეგობრებს მხოლოდ მომავლის პერსპექტივები გაანდო და აშკარად დაუმალა, რომ ეს ბედნიერება მას უახლოეს დღეებში ელოდა. ამავე დროს მან ცოცხლად განაგრძო დაწყებული სამუშაოები, წყნარად მიიღო ზომები საიმისოდ, რომ მისი არყოფნისას ყველაფერი დაუბრკოლებლივ წარმართულიყო. ახლა მანაც სასურველად მიიჩნია, ყველა საქმე რამდენადმე დაჩქარებით მოეგვარებინათ და ყველაფერი ოტილიეს დაბადების დღისთვის დაემთავრებინათ. და აი, ორი მეგობარი ნებსით თუ უნებლიეთ ერთდროულად მოქმედებს. ედუარდი კმაყოფილი დარჩა, რომ სესხის წყალობით სალარო შეივსო. საქმე სწრაფად წავიდა წინ.

კაპიტანი ახლა დაჟინებით ურჩევს მეგობარს ხელი აიღოს სამი გუბურის ერთ ტბად გადაქცევის იდეაზე. ქვემო კამხალი გასამაგრებელია, შუა — მოსამლელი, ხოლო მოელი ეს საქმე ათასნაირი მოსახრებით რთული და საფრთხილოა. ორივე სამუშაო ერთმანეთთან იყო დაკავშირებული და ერთდროულად დაიწყეს, თანაც დროულად ჩამოვიდა ახალგაზრდა არქიტექტორი — კაპიტანის ყოფილი აღზრდილი, ვინც თავგამოდებით მოინდომა მშენებლობის წინ წაწევა, ერთის მხრივ, ჭკვიანი ოსტატები დაანიშნინა, ხოლო მეორეს მხრივ, დაწყებული სამუშაო ნარდად ვასცა და სადაც ეს შეიძლებოდა, ყველგან უცვეთ და გამძლე ნამუშევრებს ვეპირდებოდა. გარდა ამისა, კაპიტანს გულში ჩუმად უხაროდა, რომ მისი აქედან წასვლა მტკიცეული არ გახდებოდა, რადგან შეუვალად იცავდა პრინციპს — მანამ არ მიეტოვებინა დაუსრულებელი საქმე, ეიდრე იმას ღირსეული გამგრძელებელი არ გამოუჩნდებოდა. მას ჭირის დღესავით სძულდა ისეთები, თავიანთ წასვლას რომ განზრახ შესამჩნევს ხდიან, განგებ შეაქვთ დაბნეულობა და უწვრთნელი ეგოისტების მსგავსად ყველაფრის დანგრევა უნდათ, რაკი მომავალში მათ ამ თვალსაზრისით აღარაფერი მოეკითხებათ.

მეგობრები ძალებს არ ზოგავდნენ, რათა ოტილიეს დაბადების დღე საზეიმოდ აღნიშნულიყო, თანაც ამაზე კრინტიც არაქცის დასცდენია, არც რამე ეთქვათ უშუალოდ. შარლოტეს კი, მისი უშურველი განწყობილებების მიუხედავად, არ სურდა ეს დღე რითიმე ღირსშესანიშნავ დღესასწაულს დამსგავსებოდა.

ოტილიეს თავისი სინორჩე, ამჟამინდელი ბედნიერი განწყობა, შარლოტეს ოჯახისადმი დამოკიდებულება ნებას არ აძლევდა დღესასწაულის დედოფალი გამხდარიყო. ედუარდსაც არ უნდა ამაზე ხმის ამოღება, რადგან, მისი ფიქრით, ყველაფერი თავისთავად, ჰოულოდნულად, ბუნებრივად, სადაც, გასახარისად უნდა გამოსულიყო.

ყველა უთქმელად შეთანხმდა იმაში, რომ დღესასწაულზე ხალხისა და მეგობრების თავშეყრის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ საზამთრო სახლის მშენებლობის დამთავრება და არა ოტილიეს დაბადების დღე იქნებოდა.

ედუარდის სიყვარული უსაზღვრო იყო. მას სწყუროდა ოტილიეს თავისად

დავუღვება და ამისათვის არაფერს იშურებდა, ზომა და რწევა არ ჰქონდა მის თავდადებას, საჩუქრებს, დაპირებებს. ერთობ მწირი ეჩვენებოდა ის საჩუქრები, რასაც შარლოტე თავაზობდა ოტილიეს. იგი მოელაპარაკა კამერდინერს, რომელიც მის გარდერობს განაგებდა და მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა ვაჭრებთან და ცნობილ სოვდაგრებთან. კამერდინერი შესანიშნავად ერკვეოდა, როგორც საჩუქარი იქნებოდა ყველაზე საამის და მშვენიერი და სწორედ იმან ურჩია, ქალაქში შეუკვეთეთ ულამაზესი კილობანი წითელი ტარსაკონით მოფარდავული და ფოლადის მიხაკებით მოჭედილი, უთვალავი საჩუქრებით პირამდე ავსებული, ამ დიდებული სათავისის საკადრისი.

კამერდინერმა ეღუარდს სხვა რამეც გაახსენა. ოჯახში რომ ჰქონდათ ერთი პატარა ფოიერვერკი, რომლის ასანთებლად ვერასოდეს იცლიდნენ. მისი შევსება და განლიერება არც ისე ძნელი იყო. ეღუარდი მოეჭიდა ამ აზრს და კამერდინერიც დაპირდა ყველაფერს მე მოვაგვარებო. ეს შეთანხმება კი საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო.

ამასობაში კაპიტანმა, რაკი ეს დღე მოახლოვდა, წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული ის ღონისძიებებიც ჩაატარა, რისი გაკეთება უთუოდ აუცილებლად მიაჩნდა. ამ დღეს ხომ უამრავი ხალხი მოიყრიდა თავს და სიფრთხილედ საჭირო იყო. მან წინასწარი ზომები მიიღო მათხოვრების თუ მსგავსი უხერხული ვითარების თავიდან ასაცილებლად, რაც დღესასწაულის ღამაზე ჩატარებას ხელს შეუშლიდა.

ეღუარდი და მისი მესაიდუმლე უმთავრესად ფოიერვერკს უტრიალებდნენ. იგი შუა გუბურაზე უნდა დაედგათ, მუხის დადი ხეების წინ. ჭადრების ძირში შეკრებილ ხალხს კი მოპირდაპირე მხრიდან უნდა ეცქირა მისთვის, გარკვეული სიმორიდან ეხილათ წყალში ფოიერვერკის ათასხაირი ანარეკლი, წყლის ზედაპირზე მოცეკვავე ცეცხლის ალები.

რადაცის მომიხეხებით ეღუარდმა ბრძანა — ჭადრების გარშემო ადგილი მოვასუფთაოთ, ბუჩქები, ბალახები და ხავსი მოვაცილოთ, და აი, მაშინ სრულად გამოჩნდა ხეთა ნაყარის სიმშვენიერე გასუფთავებულ მიწაზე.

ეღუარდმა უსახლეროდ გაიხარა ამით.

„ეს ხეები ხომ წელიწადის ამ დროს დაერკე. ნეტა რამდენი წლის წინათ მოხდა ეს?“ — ჩაილაპარაკა თავისთვის. როგორც კი შინ მივიდა, უმაღლ ძველი დღიურები გადაათვალიერა, მამამისი რომ დიდი სიზუსტით, გულმოდგინეთ ადგენდა, მეტადრე სოფლად ცხოვრების ხანს. თუმცა ხეთა დარგვის ამბავი დღიურში მოხსენიებული არ იყო, სამაგიეროდ მეორე მნიშვნელოვანი საოჯახო მოვლენაც ამ დღეს მოხდა, რაც ეღუარდმა კარგად გაიხსენა და მისი დღიურში მოხსენებლობა არ შეიძლებოდა.

ეღუარდმა დღიურის სხვა ტომებიც გადაშალა და ბოლოს და ბოლოს იპოვა ამ გარემოების აღმნიშვნელი დრო და ადგილი, და როგორ გაოცდა, როგორ გაიხარა, როცა ამნაირი საოცარი დამთხვევა შენიშნა: იმ ჭადართა დარგვის დღე და წელი ოტილიეს დაბადების დღე და წელი აღმოჩნდა.

თავი მეთხუთმეტი

როგორც იქნა, ეღუარდს გაუთენდა ნანატრი დილა. ნელ-ნელა უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. მოწვევები ხომ შორეულ ადგილებშიც დაავხავნეს. ზოგიერთები წინათ ვერ მოხვდნენ საძირკველის ჩაყრის ზეიმზე, რის შესახებაც

ათასნაირ მშვენიერ ამბავს ჰყვებოდნენ და ახლა უნდოდათ ამ მეორე დღესასწაულს მაინც დასწრებოდნენ.

სადილობის წინ სასახლის ეზოში მუსიკალური საკრავების თანხლებით მოვიდნენ ხუროები, ხელში მდიდრული გვირგვინები ეჭირათ, ლამაზად რომ ირხეოდნენ ფოთლებისა და ყვავილების სალტეებად შეკრულნი, მერე მსალტება წარმოთქვეს და მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს თხოვეს ჩვეულების თანახმად გვირგვინთა შესამკობლად აბრეშუმის ბაფთები და მანდილები მოგვაწოდეთო. ვიდრემდე ბატონები სადილობდნენ, ხუროებმა მხიარული სვლით გზა განაგრძეს და ერთხანს სოფლად შეისვენეს, გოგონებს და ქალებს ბაფთები გამოართვეს, მერე კი დიდძალ ხალხთან ერთად ავიდნენ ძაღალ ბორცვზე, სადაც სახლი იდგა და უმრავლესობას უკვე იქ მოეყარა თავი.

ნასადილევს შარლოტემ საზოგადოება რაღაცნაირად დააყოვნა. საზეიმო პროცესია იმას არ აინტერესებდა, სტუმრები კი ჯგუფ-ჯგუფად მშვიდად აუყვნიენ მწვერვალზე ამავალ გზას, არც წოდებისა და ჩინის მიხედვით დაწყობილან, და არც წესრიგი დაუცავთ. შარლოტე წასვლას აჭიანურებდა, ოტილიეს განგებ დაასაქმა, მაგრამ ამით ვერაფერს მიაღწია. მოსახლენი მაინც მოხდა. თუმცა ოტილიე ზეიმზე ყველაზე ბოლოს გამოჩნდა, მაინც ისე გამოვიდა, თითქოს დაფი და ნაღარა მხოლოდ მის გამოჩენას ელოდა და დღესასწაულიც დაიწყო.

სახლისადმი პირველყოფილი თაყვანების მისაგებად კაპიტნის მითითებებისამებრ იგი არქიტექტორულ სტილში მორთეს მწვანე ტოტებითა და ყვავილებით. კაპიტანმა არც იცოდა, ისე დაავალა ელუარდმა არქიტექტორს ლავგარდანზე ყვავილებით ამოეხლართა დღესასწაულის თარიღი. ეს კიდევ არაფერი, სხვა უფრო საშიში რამ იყო მოსალოდნელი: ფრონტონზე სადაცაა გაჩნდებოდა ოტილიეს სახელი, მაგრამ კაპიტანმა დროზე მოუსწრო და მარჯვედ აიცდინა ეს უხერხულობა, ყვავილებით ამოწნული უკვე გამზადებული ასოები გვერდზე გასწია.

გვირგვინი ჭოკზე აღმართეს და ახლა მისი ხილვა ყოველი მხრიდან შეიძლებოდა. პაერში ფრიალებდნენ ჭრელ-ჭრელი ბაფთები და მანდილები. წარმოთქვეს მოკლე მისასალმებელი სიტყვა, რომელიც ქარმა გაფანტა და იგი არავის მოუსმენია. ზეიმი დამთავრდა. სახლის წინ მდებარე მოსწორებულ და ფანჩატურებით შემორტყმულ პატარა მოედანზე ცეკვა დაიწყო. საგანგებოდ გამოპრანჭულმა ყმაწვილმა ხურომ ელუარდს ცეკვის მეწყვილედ გლეხის ცქვიტი გოგო მოჰკვარა, თვითონ კი საცეკვაოდ ოტილიე გამოიწვია, რომელიც იქვე შორიანლო იდგა. მათ სხვა მოცეკვავეებმაც აუბეს მხარი. მალე ელუარდმა თავისი მეწყვილე გაუცვალა ხუროს, თვითონ კი ოტილიესთან ერთად ცეკვით შემოუარა მოედანს გარშემო. ყმაწვილებიც მხიარულად აჰყენენ ცეკვაში დანარჩენებს, ხნიერნი კი მოცეკვავეებს უცქერდნენ.

მოსეირნენი ვიდრე დაიფანტებოდნენ, მანამ შეთანხმდნენ, მზის ჩასვლამდე კვლავ ჭადრებთან შეკგროვდეთო, ელუარდი თვითონ მოვიდა პირველი, ყველაფერი მოაწესრიგა და კამერდინერს მოელაპარაკა, რომელსაც მეორე ნაპირზე ფოიერვერკის მხიარული სანახაობები უნდა ეჩვენებინა ხალხისთვის.

კაპიტანს არ ეჭამნიკა ამ შემთხვევასთან დაკავშირებული სამზადისი. უნდოდა ელუარდი გაეფრთხილებინა, თუ რა შეიძლება მოჰყოლოდა მაყურებელთა ამ შეყრას, მაგრამ ელუარდმა ყური არ ათხოვა — თავი დამანებე, დღესასწაულის ამ ნაწილს თვითონვე მივხედავო.

ხალხი საგუბრის ზემოთ ამადლებულ, ბალახით მოფენილ იმ ფერდობზე

შეგროვდა, რომლის ნიადაგს არამყარი და უსწორმასწორო ზედაპირი ჰქონდა. მზე ჩავიდა, ჩამობნელდა. ვიდრე უფრო ჩამოლამდებოდა, ხალხი ჭადრებს ქვეშ გამაგრებელი წყლებით ირთობდა თავს. ეს ადგილი ყველას შეუდარებლად უჩვენა, გუნებაში ხარობდნენ კიდევ, ფართოდ და მრავალფერად გამხრისტმ ცხვარს ახალი ხელით დატკობის შესაძლებლობა რომ ექნებოდათ ახლო მხმტუნსმსმსმსმს

წყნარი საღამო, სრულიად უქარი ამინდი ყველას ღამის დღესასწაულზე დიდ სიამოვნებას ჰპირდებოდა. უეცრად საშინელი ყვირილი გაისმა. საგუბარს მიწის უზარმაზარი ბელტები მოსწყდა და ყველან აშკარად დაინახა, როგორ ჩაცვივდა წყალში რამდენიმე კაცი. ეტყობა, ნიადაგმა ვერ გაუძლო ერთბაშად მოზეკეებული ხალხის სიმძიმეს. თითოეულს უშიშარ ადგილას სურდა გაჩერება, მაგრამ განძრევა აღარ შეიძლებოდა. ვერც წინ დგამდნენ ნაბიჯს და ვერც უკან. მერე წამობტნენ, მიიხედ-მოიხედეს, დავინახით მაინც, რა შეიძლება გავაკეთოთ, რით ვუშველოთ წყალში ჩაცვენილებსო, მაგრამ შეველა კი არადა, დახარალებულებს სიახლოვესაც ვერ გაეკარებოდი. კაპიტანი რამდენიმე გაბეღული ვაჟკაცის თანხლებით საგუბარისაკენ გამოემართა, ხალხი ქვემო ნაპირისაკენ გამოირეკა, რომ გულშეუდრეკელებს თავისუფალი სივრცე დარჩენილათ სამოქმედოდ, რომლებიც თავგანწირულად ღამობდნენ დასახრჩობად განწირულებს მიშველებოდნენ.

და აი, როგორც იქნა, ვინ საკუთარი ძალით, ვინ კიდევ სხვების დახმარებით, ნაპირზე გამოადწიეს. მხოლოდ ერთი ბიჭი, ეტყობა, შიშმა აიტანა და იმის მაგივრად, რომ ნაპირს მოახლოვებოდა, კიდევ უფრო შორდებოდა მას. როგორც ჩანს, ბიჭს ძალა გამოეღია და სადაცაა ფსკერისაკენ დაეშუქებოდა, მხოლოდ აქა-იქ თუ გამოჩნდებოდა წყლის ზედაპირზე მისი ხელ-ფეხი. საუბედუროდ, ნაუიც გაღმა ნაპირას იდგა, ფოიერვერკით დატვირთული. იმის გადმოტვირთვას დრო სჭირდებოდა. საქმე კი გვიანდებოდა. კაპიტანს ბევრი არც უფიქრია, სასწრაფოდ გაიხადა ზედა ტანსაცმელი. ყველამ მას მიაპყრო მზერა. მისი ღონიერი, ძლიერი სხეული უნებლიეთ რწმენას ადგიმრავლათ. როცა წყალში გადაეშვა, ხალხს გაოცების შექაზილი აღმოჩნდა. იგი დაოსტატებული მცურავი იყო და ყველამ აშკარად დაინახა, როგორ მიაღწია ცურვა-ცურვით თითქმის ცოცხალმკვდარ ბიჭთან და საგუბარისაკენ გამოათრია.

ამასობაში ნაუიც მოადგა ნაპირს და კაპიტანი ნაუზე ავიდა, თან კარგად გამოჰკითხა იქ მყოფთ, ყველა გადარჩა თუ არაო. ქირურგსაც არ დაუყოვნებია მოსვლა, ვისაც ჩააბარეს ბავშვი, ყველას რომ დამზრჩვალე ეგონა. შარლოტე მიუახლოვდა კაპიტანს და სთხოვა, საკუთარ თავზეც იფიქრეთ, არაფერი აგიტყდეთ, სასახლეში დაბრუნდით და ტანსაცმელი გამოიცვალეთ. კაპიტანი მანამ ყოყმანობდა, ვიდრე იქ მყოფმა კაცებმა, თვითონაც რომ უძღვოდით წვლილი ბავშვის გადარჩენაში, ფიცით არ დაუდასტურეს, ყველანა გადარჩნენო. შარლოტე ხელავდა, როგორ მიუყვებოდა კაპიტანი სასახლისაკენ მიმავალ გზას. რა იცი, რა დაჭირდეს, გაიფიქრა მან. ღვინო, ჩაი და სხვა აუცილებელი საგნები ხომ ჩაკეტილია, ასეთ დროს ადამიანი დაბნეულია და იქნებ ვერც მიავნოსო. იგი მოიჭრა დაფანტულ ხალხთან, ჯერაც ჭადრების ძირში რომ მიდი-მოდიოდა ეღუარდი კი მხოლოდ იმით იყო ვართული, დარჩენილები დაერწმუნებინა, ადგილიდან არ დაიძრათ, ჩქარა ნიშანს მიხედნენ და ფოიერვერკიც დაიწყებლი. შარლოტე ეღუარდთან მივიდა და უთხრა, გადადე ეს ვართობა სხვა დროისთვის, ახლა იგი სრულიად უადგილია და სიამოვნებას არაფის მიანიჭებსო. იხიც შეა

ხსენა ელუარდს ოჯახის წევრთა მოვალეობა, ვალდებული ვართ ვიფიქროთ ვა-
დარჩენილებსა და გადამრჩენელებზეთ.

„ქირურგი თავის საქმეს ისედაც გააკეთებს, — მიუგო ელუარდმა, — მას
ხომ, რაც საჭიროა, ყველაფერი აქვს და ჩვენი მოძაბებრებული წარუვა ხელსაც
კი შეუძლის“.

შარლოტე კი თავისას გაიძახოდა, ანიშნებდა კიდევ ~~მეტი~~ ^{მეტი} ~~საქმე~~ ^{საქმე} ~~და~~ ^{და} ~~ოტილიეს~~ ^{ოტილიეს},
და ოტილიეს უმაღ მზად იყო წასასვლელად ამ დროს ელუარდმა ჩასჭადა ხელი
და თრთილვით უთხრა:

„არ შეიძლება ეს დღე საავადმყოფოში გაეატაროთ. მოწყალეების დები რომ
ვიყოთ, კიდევ პო, პირიქით, დიდი პატივიც იქნება, მაგრამ ახლა ჩვენ რა შუაში
ვართ. უჩვენიდაც გაიღვიძებს ვითომ მიცვალებული და არც ცოცხლებს გაუჭირ-
დებათ სველი ტანისამოსის გაშრობა.“

შარლოტეს ხმა არ ამოუღია, ისე წავიდა. ზოგიერთები მას გაჰყვნენ. ზო-
გნი კი ელუარდთან დარჩნენ და, რაკი არავის უნდოდა სხვებს ჩამორჩენილი,
ბოლოს და ბოლოს ისე მოხდა, რომ ყველანი დაიფანტნენ. ელუარდი და ოტილიე
მარტონი აღმოჩნდნენ ჭადრების ძირში. ელუარდი დაჟინებით თხოვდა, დარჩიო,
შეშინებული ოტილიე კი ეხვეწებოდა, სასახლეში დავბრუნდეთო.

„არა, ოტილიე, — წამოიძახა მან — განსაცვიფრებელი და ჯერარგაციონილი
არაფერი ხდება ფიანდახად დაფენილ ჩვეულებრივ გზაზე ეს უცაბედი შემთხვე-
ვა კიდევ უფრო გვაახლოებს ერთმანეთთან. შენ ჩემი ხარ. მე ხომ არაერთხელ
მიიქვამს ეს სიტყვები შენთვის და ფიცითაც დამიდასტურებია, ან კი რაღად
კინდა თქმა და ფიცი, დროა აღსრულდეს ყოველი.“

ნაპირს ნავი მოაღვა. ეს კამერდინერი აყო, დარცხვენით რომ ჰკითხა ელ-
უარდს, ახლა რა ეუფოთ ამ ფოიერვერკსო.

„აანთეთ იგი, — შიამხა ელუარდმა, — ეგ ფოიერვერკი ხომ მარტო შენთ-
ვის მინდოდა, ოტილიე. შენი გულისთვის შეუქვეყნეთ იგი და ახლა მარტომ მინ-
და იხილო, ნება მომეცი შენს სიახლოვეს ვიყო და ერთად ვნახოთ მისი ნათება.
მინდა ერთად ვინეტაროთ იმისი ხილვით.“

და ნახი რიდით აღესილი, ოტილიეს ფერხით დაუჯდა, თუმცა ხულაც არ
შეხებია მას.

ხმაურით აიტყორცნენ რაკეტები, იქუხეს ზარბაზნებმა, აინთნენ სანთლები,
დასკდნენ და დაიგრიხნენ შუშხუნები, ბორბლებმა იწყეს ტრიალი ჯერ ცალ-
ცალკე, მერე წვვილწვვილად, შემდეგ ყველამ ერთად აიშვა თავი ძალუმად და
შეუწყვეტლივ მისდევდნენ და უსწრებდნენ ერთმანეთს.

ელუარდს გული გზნებით ავსებოდა, ცხოველი სიამით აღევნებდა თავს
ამ ცეცხლოვან სანახაობებს, ხოლო ოტილიეს ნახ, მღელვარე ხულს ტკბობაზე
მეტად უფრო აფრთხობდა რაკეტების ეს ხმაურიანი და აბრწყინებული ნათება
და ქრობა. იგი დამფრთხალი მიეკრა ელუარდს მკერდზე. ამ სიახლოვემ, ამ მინ-
ლობამ ელუარდს უჩვეულო გრძობა აღუძრა, მან ოტილიე მთლიანად თავისად
დაიგულვა, უძვირფასეს საუნჯედ აღიქვა.

ღამემ ძლივს მოასწრო თავის უფლებებში შესვლა, მთვარე რომ ამოვიდა
და ორივეს უკან დასაბრუნებელი ბილიკი გაუნათა. უეტრად გზაზე ვიდაც შე-
მოხვდათ ქუდით ხელში, იმ ვილაცამ მოწყალეობა ითხოვა, რაკი დღევანდელ ზე-
იმზე მოსვლა დაავიანდა. მთვარემ გაანათა უცნობის სახე და ელუარდმა იცნო
ის აბეზარი მათხოვარი. მაგრამ ახლა იმზომ ბედნიერი იყო, გაბრაზება არ შე-
ეძლო. აღარც კი გაახსენდა, დღევანდელ დღეს სასტიკად რომ იყო აკრძალუ-
ლი მოწყალეების თხოვნა. ჯახე მოიქეჯა და გლახაკს ოქროს მონეტა უწყალობა.

ყველას გაბედნიერება ეწადა, რახან საკუთარი ბედნიერება უსახლვრო ეგონა, სასახლეში კი ამ დროს მოვლენები სასურველად წარიმართა. ქირურგის ბედნიერობამ, საჭირო წამლებმა, შარლოტეს გულისხმიერებამ უსიამო შემთხვევა ისე შეატრიალა, რომ ბიჭს სიცოცხლის ნიშნები დაეტყო. სტუმრები დაიფანტნენ, ზოგს უნდოდა ფოიერვერკი ენახა, ზოგს კიდევ მოსვენება ერჩივნა ამ მშვენიერ რე დღის დასასრულს.

კაპიტანმა სასწრაფოდ გამოიციკალა ტანისამოსი და აქტიური მონაწილეობა მიიღო ბიჭის გადარჩენისათვის. და აი ორომტრიალი ჩაცხრა და იგი შარლოტესთან მარტო დარჩა. მან მეგობრული გულმინდობით აუწყა შარლოტეს უახლოეს დღეებში თავისი გამგზავრების შესახებ. შარლოტემ ეს საღამო ისე განიცადა, რომ ამ ახალ ამბავს მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მან დაინახა, როგორი მსხვერპლი გაიღო მეგობარმა, როგორ გადარჩინა განსაცდელში ჩავარდნილები და თვითონაც როგორ დააღწია თავი საშიშროებას. ახლახან მომხდარი ეს საოცარი მოვლენები მას თითქოს მნიშვნელოვან, მაგრამ არცთუ ისე ბედნიერ მომავალს უქადდნენ.

კაპიტნის მოსალოდნელ გამგზავრებაზე ოთახში ოტილიესთან ერთად შემოსულ ელუარდსაც უმაღ აცნობეს. მას ეჭვიც კი შეეპარა, ნუთუ ამის თაობაზე შარლოტემ ადრე არაფერი იცოდაო, მაგრამ ისე იყო ჩაფლული საკუთარ თავსა და ფიქრებში, რომ წყენაც არ უგრძნია პირიქით, გულისფურათ და კმაყოფილებით მოისმინა ცნობა იმაზე, თუ რა მშვენიერი და საპატიო მღვთმარეობა ელოდა კაპიტანს. მისი იღუმალი სურვილები მთელი გზებით უსწრებდა წინ მოვლენებს. იგი შარლოტეს უკვე კაპიტნის ცოლად ხედავდა, ხოლო თვითონ ოტილიეს ქმრად ესახებოდა თავი. ამაზე უკეთესი საჩუქარი რა უნდა მოეტანა ამ დღესასწაულს.

ოტილიე კი დიდად გაოცდა, როცა თავის ოთახში შევიდა და იქ მაგიდაზე დადებული ძვირფასი პატარა ზარდახშა იხილა დაუეოვნებლივ გახსნა, იქ ყველაფერი ისე ლამაზად და სათუთად იყო ჩაწყობილი, რომ ვერც გაბედა არამცთუ რაიმეს ამოღება, უბრალოდ, ხელით შეხებაც კი. მუსლინი, ბატისტი, აბრეშუმი, შალი და არშია ერთმანეთს სინაზით, მოხდენილობით და სიძვირფასით უწევდნენ მეტოქეობას. არც ნაირ-ნაირი მოკაზმულობები დავიწყებია ამის მბოძებელს. ოტილიე მშვენივრად მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს ყოველივე. მის მბოძებელს ეწადა იგი ამ უძვირფასესი ჩასაცმელით ბეკრჯერ შემოსილიყო, მაგრამ ყველაფერი ისე იშვიათი და უცხო იყო, ოტილიეს ფიქრადაც არ მოსვლია თავისად მიეჩნია ეს შეუდარებელი საჩუქარი.

თავი მეთექვსმეტი

კაპიტანი მეორე დღით გაუჩინარდა, მეგობრებს კი მადლიერების გამოძახატველი ბარათი დაუტოვა. ის და შარლოტე წინა საღამოს ნახჩარევად და სიტყვაძუნწად დაემშვიდობნენ ერთმანეთს. შარლოტე გრძნობდა, რომ სამუდამოდ შორდებოდა სატრფოს და ბედს შეურიგდა. გრაფის მეორე წერილში, კაპიტანმა ბოლოხანს რომ აჩვენა, ლაპარაკი იყო რომელიღაც მომგებიანი ქორწინების პერსპექტივაზე და თუმცა კაპიტანს წერილის ამ ნაწილისათვის ყურადღება არ მიუქცევია, შარლოტემ მაინც დაიჯერა ამ ქორწინების ამბავი და საბოლოოდ ხელი აიღო მასზე. სამაგიეროდ თავს უფლებამოსილად თვლიდა სხვებისგანაც იგივე მოეთხოვა, რაც თვითონ ძლიერი განცდების წილ შეძლო. მან შეძლო

დიდი ძალისხმევით თვითდასაკება და სხვებსაც უნდა გამოეჩინა საამისოდ ძალა და ღონე. ამ განწყობილებით დაიწყო მან საუბარი ქმართან, თანაც ამბობდა წრფელად და შენდობით, რომ აშკარად იგრძნობოდა იმის აუცილებლობა — ერთხელ და სამუდამოდ დაესვა წერტილი ამ ამბებსსათვის.

„მეგობარი წავიდა, — თქვა მან, — ჩვენ უწინდელივე მარტონი დაკრძალა და ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, დაუბრუნდებით თუ არა მველ ცხოვრებას.“

ელუარდს, ვინც ყრუ იყო ყველაფერ იმის მიმართ, რაც მის ვნებათა ღელვას არ ესაღბუნებოდა, ეგონა, ამ სიტყვებით შარლოტემ იმ დროზე გადამიკრა სიტყვა, როცა ქვრივი იყო და რაღაცნაირი ბუნდოვანი მინიშნებით განქორწინების იმედსაც შთაძაგონებდა. ამიტომ დიმილით მიუგო:

„რატომაც არა, თლინდ საჭიროა მოვრავდეთ ერთმანეთს შორის.“

მაგრამ დიახაც მოტყუვდა, რადგან შარლოტემ ასეთი პასუხი მიაგება:

„ოტილიეს ბუდიც და მის ცხოვრებაში მოსახდენი ცვლილებებიც ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ წინაშე დგას ორი შესაძლებლობა მისდა საკეთილდღეოდ მომავალში. ჯერ ერთი, მას შეუძლია პანსიონში დაბრუნება, რაკი ჩემი ქალიშვილი უკვე ამთავრებს და იქიდან ბებიასთან მიემგზავრება. მეორე კიდევ ის არის, რომ მისთვის დიახ ერთი საპატიეცვნილო ოჯახის კარი. ამ სახლში იგი ოჯახის ერთადერთ ქალშვილთან ერთად საკადრის აღზრდა-განათლებას მიიღებს.“

„კი მაგრამ, — საკმაოდ მტკიცედ შეესიტყვა ცოლს ელუარდი, — ჩვენს თბილ და მეგობრულ წრეში ოტილიეს ისე ვანებიერებდით, არა მგონია, სხვა გარემოთ იოლი ასატანი ვახდეს მისთვის“.

„რას იზამ, ჩვენც გვანებიერებდნენ და სხვაზე ნაკლებად არც შენა ხარ განებიერებული. მაგრამ უკვე გონზე მოხვლის დროც დადგა. საჭიროა ხერხი უფლად ვიფიქროთ ჩვენი პატარა საკრებულის ყველა წევრის კეთილდღეობაზე და აქნებ პატარა მსხვერპლის გაღებაც დაგვჭარდეს“.

„მე მარტო იმის თქმა მინდა, რომ უსამართლობად მიმაჩნია ოტილიეს მსხვერპლად შეწირვა, — მიუგო ელუარდმა, — არადა, ეს აუცილებლად მოხდება, რაკი იმას უცხო ადამიანებში მოუწევს ტრიალი. კაპიტანმა ხომ ჩვენსა პლოვა თავისი ბუდი და იღბალი. ამიტომაც გავუშვით იგი მშვიდად და კმაყოფილების გრძნობითაც, მაგრამ რა იცი, რა დაემართება ოტილიეს? რა მოეღის მას? ვერ გამიგია, რა საჭიროა წინ ვაგუსწროთ მოვლენებს“.

„ოტილიესი არ ვიცი და ჩვენ რაც მოგველის, სრულიად აშკარაა, — მიუგო შარლოტემ არცთუ აუღელვებლად და რაკი ვანიზრახა, ერთხელ და სამუდამოდ გაერკვია ყველაფერი, განაგრძო:

„შენ გიყვარს ოტილიე, შეეჩვიე მას, მასაც თავის მხრივ გაუჩნდა შენდამი ვნება და გულმიდრეკა. რატომ არ უნდა გამოვთქვათ სიტყვებით ის, რაც ყოველ წუთს მუდავნდება და მტკიცდება. ხუთუ ჩვენი ხნის ხალხს არ უნდა გვეყოს სიფრთხილის გრძნობა, რომ საკუთარ თავს ვკითხოთ, რას გვაქადის ეს ყველაფერი.“

„თუკი ამაზე პასუხის გაცემას ამ წუთშივე ვერ ვახერხებთ და ახლავე ვერ ვიტყვით რა გამოუა ამ საქმისაგან, — მიუგო ელუარდმა, მოიკრიბა რა ძალი, — მაშინ მით უმეტეს არ გვმართებს აჩქარება, რახან არ ვიცით, რას გვიმზადებს მომავალი.“

„მომავლის წინასწარ განსაჭვრეტად ამ შემთხვევაში დიდი ჭკუის გამოჩენა არ არის საჭირო. რაც არ უნდა იყოს, იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ არც ერთი ჩვენთაგანი უკვე აღარ არის იმხომ ახალგაზრდა, ბრძალ წავიდეს იქითკენ,

საითკენაც არ მართებს წასვლა, ვინღა იზრუნებს უკვე ჩვენს ბედზე. თვითონვე უნდა ვიყოთ საკუთარი თავის მოკეთეც და მოძღვარიც. უკიდურესობებში ვარდნას ვინ გვაპატიებს და ამას არც არავინ მოელის ჩვენგან. არც ის ვარა, ვინმეს დაცინვა და გაკიცხვა დავიძსახუროთ“.

„არ ვიცი, რად მიჯავრდები, — მიუგო ედუარდმა, ვისაც ძალზე გაუჭირდა მეუღლის შეუვალი და ნათელი საუბრის მოსმენა და იმაზე პასუხის გაცემა, — რატომ მძრახავ იმისათვის, რომ ოტილიეს ბედნიერება გულთან მიმაქვს და არა მხოლოდ მოძავალი ბედნიერება, რომელიც, ღმერთმა იცის, როგორ წარიმართება, მაგას წინასწარ ვინ განჭვრიტავს, არამედ ახლანდელიც აბა იფიქრე, წრფელად და თავისმოუტყუებლად, რას უქადის ოტილიეს ჩვენი გარემოსაგან მოწყვეტა და უცხო ადამიანების ხელში ჩავარდნა. მართალი ვითხრა, სხვა რომ არაფერი, ეს უკვე დიდი გულღრმობაა. ვერაფრით ვერ ვიქნებოდი იმხომ სასტიკი, რომ ასეთნაირად შემეცვალა მისი ცხოვრება.“

შარლოტემ ამკარად დაინახა ქმრის მოჩვენებითი თავის მოკატუნების მიღმა მტკიცე და შეუვალი განზრახვაც. მხოლოდ ახლა იგრძნო, რამდენად დაშორდა ქმარს, და აღელვებულმა თქვა:

„ნუთუ ოტილიე ბედნიერი იქნება, თუ ჩვენ ერთმანეთს დაგვაშორებს. მე ქმარს წამართმევს, ხოლო მის შვილებს — ძამას“

„ჩვენს შვილებს, ეკონებ, შესაშფოთებელი არაფერი სჭირთ“, — ცივი დიმილით თქვა ედუარდმა, მერე კი უფრო აღერსიანად დასძინა:

„რა საჭიროა აქედანვე უკიდურესობებზე ვიფიქროთ“,

„საჭიროა, რადგან ყველაზე მეტად ენებები გვიბიძგებს უკიდურესობებისაკენ—შენიშნა შარლოტემ,—შენ კი, ვიდრე გვიან არ არის, ნუ იტყვი უარს კეთილჩვევაზე. შემოთავაზებული დახმარება კაცმა არ უნდა უარყოს. იმ ვითარებაში, ორ ადამიანს შორის რომ გაჩენილა, იმან უნდა გამოინახოს გზა და იმოქმედოს, ვინც უფრო ნათლად ხედავს. ამ შემთხვევაში ნათლად მხედი მე ვარ, ძვირფასო. რა იქნება შენდო, ჩემო ედუარდ. ნუთუ გგონია, ეგრე ადვილად ვიტყვი უარს მოპოვებულ ბედნიერებაზე, ჩემს ძვირადღირებულ უფლებებზე, შენზე“.

„ვინ ამბობს ამას?“ — მიუგო ედუარდმა რალაცნაირი შეცბუნებით.

„შენ თვითონ, — უთხრა შარლოტემ, — ოტილიეს აქ დარჩენა რომ გინდა, განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანახმა ხარ ყველაფერზე, რაც ამის შედეგად მოხდება. მე ძალას არ დავატან. ისე მოიქეცი, როგორც გინდოდეს, მაგრამ აბა დაფიქრდი, რამდენ ხანს შეიძლება მოატყუო საკუთარი თავი, თუკი ვერაფრით დაგიოკებია იგი“.

ედუარდმა იგრძნო, რომ ცოლი მართალი იყო. ნათქვამი სიტყვა სახიფათოა, თუ იგი ერთბაშად გამოხატავს იმას, რასაც გული დიდი ხანია გეუბნება.

ედუარდი წამით შეყოვნდა, ვერაფერი თქვა, მერე კი ჩაილაპარაკა:

„მე ხომ არ ვიცი, რა განვიზრახავს, რასი გაკეთება გინდა?“.

„მინდა შენთან ერთად განვიხილო შემოთავაზებული წინადადებები. ორივე მათგანი რიგიანია. ალბათ პანსიონი ყველაზე შესაფერი ადგილი იქნება ოტილიესნაირი გოგონასათვის. ხოლო ის მეორე შესაძლებლობა უფრო ფართოა და ბურის აღმოქმედი, და ოტილიეს მოძავლისათვის, ეკონებ, უკეთესიც იყოს“.

მან დაწვრილებით აუწყა ქმარს ორივე ვითარება, მერე კი სათქმელი ასე დაასრულა:

„მე კი, ჩემი მხრივ, პანსიონზე მეტად იმ ქალბატონის სახლს ვამჯობინებდი, რადგან არ მინდა განვითარდეს ის ვნება თუ გულმიდრეკა, რაც პანსიონის უფროსის ახალგაზრდა თანაშემწეს აქვს ოტილიესადმი.“

ელუარდი მხოლოდ იმიტომ დაეთანხმა ცოლს, რომ მოსაფიქრებლად დრო ჰქონოდა. შარლოტემ, იმოქმედა რა მტკიცედ, უმაღლესად, ელუარდმა რომ ჯიქურ არ გაუწია წინააღმდეგობა და მეორე დღესვე გადაწყვიტა ოტილიეს გამგზავრება, რისთვისაც აქამდე ჩუმად ემზადებოდა.

ელუარდი შეძრწუნდა. მან თავი მოტყუებულად ჩათვალა ცოლის ალერსიან სიტყვებში პირფერობა, მოჩვენებითობა და ხელმწიფობა. მიმართული იქითკენ, რომ სამუდამოდ წარეტაცა მისთვის ბედნიერება. ელუარდი გარეგნულად თითქოს დაჰყვა მის ნებას. თავისთვის კი მტკიცედ განიზრახა თავიდან აეცილებინა მოახლოებული უსაზღვრო სატკივარი — ოტილიეს განშორება, და თითქოს სულიც მოითქვა. მან საბოლოოდ გადაწყვიტა საკუთარი სახლის მიტოვება, თანაც ისე, რომ შარლოტეს ამაზე ეჭვი არ აღძვროდა, იმას უნდა ერწმუნა, რომ ელუარდს არ სურს დაესწროს ოტილიეს გამგზავრებას და საერთოდ დღეის იქით მეტად აღარც უნდა მისი დანახვა. შარლოტეს კი ეგონა, ჩემსას მივალწიეო, და ყველაფერში დაეთანხმა ქმარს. ელუარდმა ცხენები დაუკვეთა, კამერდინერს საჭირო მითითებები მისცა, თუ როგორ მოეგვარებინა წასვლის ამბავი, გამგზავრების წინ კი შარლოტეს ასეთი შინაარსის ბარათი დაუტოვა.

ელუარდი შარლოტას

არ ვიცი, განიკურნება თუ არა ხენი, ჩვენ რომ შეგვეყარა, მაგრამ, ძვირფასო, არ შემძლია თავი დავაღწიო სასოწარკვეთას და სულის მოთქმა ვაცალო როგორც ჩემს თავს, ასევე თვითვე ჩვენი აგანსაც. ვიღებ რა მსხვერპლს, უფლებას ვიძენ მოვითხოვო ვტოვებ ჩვენს სახლს და მხოლოდ მაშინ დაებრუნდები, როცა უფრო მშვიდი, სასიამოვნო ვითარების ჟამი დადგება. შენ უნდა წარუძღვე ოჯახს, ოღონდ ოტილიესთან ერთად. მე მიხდა იგი შენთან იყოს და არა უცხო ადამიანებთან. იზრუნე მასზე, იყავი მისთვის ისეთი, როგორიც წინათ ყოფილხარ, ის კი არაა, კიდევ უფრო ალერსიანი, ნაზი და თბილი, ვიდრე ოდესმე ჩემი მხრივ კი იმას აღვითქვამ, რომ არ ვეძიებ ფარულ ურთიერთობას მასთან. უმჯობესი იქნება, თუ არაფერი მეცოდინება, როგორ ცხოვრობო. ვიმედოვნებ, რომ ძალზე გარგად იქნები. სურც მე დამივიწყებო, ჩემზეც იფიქრეთ, მხოლოდ იმას გევედრები, სულით და გულით, უსაზღვრო დაჟინებით, ნუ შეეცდები ოტილიეს სხვაგან მოწყობას. არ შეეცვალო მისი ცხოვრება, შენი სახლის, შენი პარკის საზღვრებს იქათ, უცხო ადამიანთა გარემოცვაში მოხვედრილი, იგი ჩემი გახდება. დამერწმუნე, მე შეეძლებ ამას. პატივი დადე ჩემს სიყვარულს, ჩემს წადილს, ჩემს ტკივილს. თუ მოუფონებ ჩემულ უგონო ოცნებას, ჩემს სასოებას, მაშინ უარს არ ვიტყვი განკურნებაზე, როცა კი ამის დრო დადგება.“

ბოლო ფრაზა გულგარეშედ იყო ნათქვამი, მხოლოდ კალმის უგვანო მინაწერი და მეტი არაფერი. როგორც კი ქალაღზე დაწერილი ეს ფრაზა იხილა, მწარედ ატირდა. ასეა თუ ისე, მან უარი უნდა თქვას ბედნიერებაზე, უფრო სწორად, უბედურებაზე—ოტილიეს სიყვარულზე. მხოლოდ ახლა იგრძნო, რასაც აკეთებდა. მიემგზავრება, მაგრამ თვითონაც არ იცის, რას უქადის ამ ნაბიჯის გადადგმა, ყოველ შემთხვევაში, ახლა, გამგზავრების წინ იგი ვერ ნახავს მას და, ვინ იცის, ნახავს კი ოდესმე? წერილი მზად არის. ცხენები ელოდებიან. სულ ეშინია, სადმე ოტილიეს არ გადაეყვაროს, და თუ მას იხილავს, უმაღლესად უფლად იქცევა მისი ზრახვა. მან თავი მოსოკა და გაიფიქრა, ახლა ყოველწუთს ჩემზეა დამოკიდებული, განუშორდები თუ დავუბრუნდები ოტილიეს, ვინ იცის,

იქნებ კიდევ უუახლოვედ საკუთარი სურვილების აღსრულებას. მერე გაიაზრა, რომ თუკი შინ დარჩებოდა, ოტილიეს გააცლიდნენ იქაურობას. წერილი სასწრაფოდ დალუქა, კიბეზე დაეშვა და ცხენს მოახტა.

როცა სასტუმროს გვერდით ჩაუარა, დაინახა მათხოვარი, წინა ღამით რომ გულუხვად დაასაჩუქრა. იგი მშვიდად სადილობდა ტალანში. ეღუარდნენ მისი მხარე ინახა, პატივისცემით, მოკრძალებითაც მიესალმა. ეს ხომ გუშინ იყო, ოტილიეს რომ მიჰყვებოდა ხელკავით, და ეს კაციც მაშინ ნახა. მწარედ გაახსენდა თავისი ცხოვრების ეს უნეტარესი წამი და გაასკვეცდა ტანჯვა. აუტანელი იყო იმის განცდა, რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. კვლავ შეხედა გლაზაკს. „როგორ არ შემშურდეს შენი, — წამოიძახა მან, — შენ გუშინდელი ნაწყალობებით ცხოვრობ. ჩემთვის კი გუშინდელი ბედნიერება უკვე აღარ არსებობს“.

თავი ანჰვიღმება

შემოესმა თუ არა ცხენის თქარათქური, ოტილიე ფანჯარასთან მივიდა. ცხენზე ამხედრებული ეღუარდის ზურგს მოჰკრა თვალი. უცნაურად ეჩვენა ეღუარდის სახლიდან გასვლა მის უნახავად, დილა მშვიდობის უსურვებლად. მოუსვენრობა და ფიქრები მოეძალა. მერე შარლოტემ შორეულ მანძილზე გასეირნება შესთავაზა და გზაში რაზე არ ესაუბრა, ოღონდ ქმრის სახელი ერთხელაც არ უხსენებია. ოტილიე ყველაზე მეტად იმან გააცოცა, რომ შინ დაბრუნებისას მხოლოდ ორ კაცზე გაწყობილი სუფრა დაუხვდა.

უმნიშვნელო ჩვეულებების დაკარგვა თათქო უსიამოდ გვაკლია თვალში, მაგრამ მტკივნეულად განვიცდით რაღაც არსებითის წართმევას. ეღუარდი და კაპიტანი უკვე შინ აღარ იყვნენ, შარლოტემ დიდი ხნის შემდეგ პირველად თვითონვე მოაწესრიგა სადილის საქმე და ოტილიეს მოეჩვენა, რომ სამსახურიდან დაითხოვეს. და აი, ეს ორი ქალი ერთმანეთის პირისპირ დგას და საუბრობს. შარლოტე სრულიად უბრალოდ ამბობს, კაპიტანმა ახალი სამსახური იშოვა და აღარც კი მჯერა, თუ ოდესმე კიდევ ვნახავთ. ოტილიეს თავში გაუელვებს, ალბათ ეღუარდი მეგობარს დიდ მანძილზე აცილებს და ცხენით დადევნებაც მიტომ დასჭირდაო. ამის გაფიქრებამ სიმშვიდე მოჰგვარა.

მაგრამ სადილობის შემდეგ ქვემოთ ფანჯრებთან ეღუარდის სამგზავრო კარეტა დაინახეს. შარლოტემ ოდნავი შეშფოთებით იკითხა, აქ საიდან გაჩნდაო, მსახურებმა უპასუხეს, კამერდინერი ჩამოვიდა, რადგან ეღუარდს რაღაც ნივთები დაუიწყნია და კამერდინერს სთხოვა იმათი წამოღებაო. ოტილიემ ძლივს მოახერხა, რომ თავისი უსაზღვრო გაოცება და ტკივილი დაეფარა.

ოთახში კამერდინერი შემოვიდა, შარლოტეს მიუბრუნდა, ეღუარდის ფინჯანი, ვერცხლის კოვზი და სხვა ასეთები მინდა წავიღოო. ოტილიე უძალ მიხვდა, ეღუარდი ხანგრძლივ მოგზაურობაში მიდის და კარგა ხანს ვერც ვნახავო. შარლოტემ სრულიად გულგრილად უთხრა უარი კამერდინერს თხოვნაზე. ვერ გამოგია, ყველაფერი ხომ თვითონვე აქვს ეღუარდს შენახული, მე რა შუაში ვარო. მარჯვე და მიხვედრილი კაცი, ვისაც, ეტყობა, ეღუარდის დავალებით ოტილიესთან მარტო დარჩენა და ლაპარაკი უნდოდა, რაღაც საბაბს ეძებდა ოთახიდან მის გამოსახმობლად, მობოდიშებით შესძლო მიზეზის მოგონება, მერე კვლავ გაიმეორა თხოვნა, რისი შესრულებაც ოტილიეს გულით უნდოდა, მაგრამ შარლოტემ საჭიროდ არ ჩათვალა და კამერდინერიც იძულებული გახდა იქაურობას გასცლოდა. კარეტა წარიხინდა.

ეს იყო საშინელი წუთი ოტილიესათვის. ვერაფრით ვერ აეხსნა, რა მოხდა, მაგრამ ეღუარდი რომ კარგა ხნით წარსტაცეს, ეს შესანიშნავად იგრძნო. შარლოტემ თანაუგრძნო მის წუხილს და მარტო დასტოვა ვერ შეეძლო ავწერო ოტილიეს ტკივილი, მისი ტრემლები. უსაზღვრო იყო მისი დარდი. დმერთს მხოლოდ იმას ევედრებოდა, შემწეობა აღმოეჩინა და ეს დღე როგორმე გადაეტანა. მან განვლო ეს მძიმე დღე და როცა მეორე დღით გაიღვიძა, თავი სწრაფად ვინმე ეგონა.

ოტილიემ ვერაფრით დაიოკა თავი, ბედს ვერ დამორჩილდა. ამზომ დიდი დანაკარგის განმცდელს უარესისაც ეშინოდა. როგორც კი გონს მოვიდა, თავში იმ აზრმა გაუელვა, რომ ახლა, მამაკაცების გამგზავრების შემდეგ, მასაც მოაშორებდნენ, წაიყვანდნენ აქედან. არ იცოდა ეღუარდის მუქარა, უზრუნველყოფილი რომ გახდა შარლოტეს გვერდით მისი ყოფნა. თვითონ შარლოტეს ქცევა კი რალაცნაირად სიმშვიდეს მიაგებდა. შარლოტე მუდამ ცდილობდა ეს სათნო არსება უსაქმოდ არ გაეჩერებინა, ყოველთვის თავის სიახლოვეს ჰყოლოდა, იშვიათად თუ მოხდებოდა, რომ ოტილიე მასთან არ იყო და ეს არყოფნაც უსიამოდ რჩებოდა გულში. თუმცა შარლოტემ შესანიშნავად იცოდა, მარტოდენ სიტყვებით ძლიერ ვნებაზე ზემოქმედებას რომ ვერ მოახდენდა. მაინც კარგად სჭკრეტდა შეგონების, დამცნევის ძალას. ამიტომ ხშირად იბმებოდა ხოლმე მათ შორის თბილი და გულისხმიერი საუბარი.

ოტილიესათვის დიდი ნუგეში იყო, როცა შარლოტე რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებით წინასწარგანზრახულად, გააზრებულად გამოთქვამდა ბრძნულ აზრებს.

„რა უზომოა მადლიერება იმ ადამიანისა, — თქვა ერთხელ, — ვისაც ჩვენი სიმშვიდით ვშველით ვნებების დაძლევაში. მოდი, მხნედ და ხალისიანად განვაგრძოთ ჩვენი მამაკაცების დაუმთავრებელი საქმე. ამით უკეთ შევქმნით მათი უკან დაბრუნების მშვენიერ პერსპექტივას და ჩვენეული სიღარბაისლით მოვიპოვებთ და მხარს დაუჭერთ იმას, რისი განადგურებისათვის მზად არის მათი ბოხოქარი და მოუთმენარე ბუნება“.

„რაკი სიღარბაისლე ახსენეთ, ძვირფასო და დედის მაგიერო, — მიუგო ოტილიემ — ვერც მე დავმალავ, რა აზრი გამიჩნდა მამაკაცთა თავშეუკავებლობაზე, მეტადრე ღვინოსთან დაკავშირებით. რა ხშირად განმიცდია შიში და წუხილი, როცა დამინახავს, რაზომ გამქრალა საათების განმავლობაში ჭკუა, გონება, სხვათა მიმართ მოკრძალება, თავაზიანობა, უბრალო ზრდილობაც კი და ჩინებულ კაცს სიკეთის ნაცვლად დარდი და არეულობა მოუტანია. რა ადვილად შეიძლება ყოველივე ამის გამო კაცმა სახიფათო რამ განიზრახოს.“

შარლოტემ კვერი დაუკრა ოტილიეს ნათქვამს, ოღონდ საუბარი აღარ გაუგრძელებია. იგი შესანიშნავად მიხვდა, რომ ამ შემთხვევაში ოტილიე მხოლოდ და მხოლოდ ეღუარდს გულისხმობდა, ვისაც, თუმც მუდამ არა, მაგრამ სასურველზე უფრო საკმაოდ ხშირად ჩვეოდა ხოლმე სიმთვრალისას ძლიერად გამოემყდევნებინა თავისი სიხარული, ენამრავლობა, ენერგიის მოზღვაება.

თუ შარლოტეს მიერ გამოთქმული აზრები ოტილიეს მამაკაცების, მეტადრე კი ეღუარდის, უკან დაბრუნების იმედს შთააგონებდა, სამაგიეროდ, როცა შარლოტე კაპიტანის მომავალ ქორწინებაზე, როგორც სავსებით ცნობილ და უეჭველ ამბავზე ჩამოადგებდა სიტყვას, ყველაფერი სულ სხვანაირად შეტრიალდებოდა, ვიდრე ეს ეღუარდის ადრინდელი შეხედულებების მიხედვით ჰქონდა წარმოდგენილი, ამიტომაც ოტილიე მეტი გულისყურით ეკიდებოდა შარლოტეს ყო-

ველ შენიშვნას, ყოველ მინიშვნას, ყოველ ქცევას, მის ყოველ ნაბიჯს, თავის დაუნებურად იგი ბრძენი, საზრიანი, მიუნდობელი გახდა.

ამასობაში შარლოტემ მახვილი თვალით განჭვრიტა გარემომცველი მოუღნების ცალკეული მხარეები და ყველაფერს მისთვის ჩვეული მკაცრობით განაგებდა. იგი ოტილიესაც აიძულებდა გამუდმებით მიეღწა მონაწილეობა ყველანაირ საქმიანობაში. შარლოტე არ შეუშინდა ოჯახური საქმეების შეზღუდვას. როცა მან ყველაფერი ზუსტად აწონ-დაწონა, თავის ქმარსა და ოტილიეს შორის დიდი გატაცებაც ბედნიერ ხვედრად ჩათვალა. რადგან ძველებური გზით სიარული ადვილად მოჰგვრიდა უსაზღვრო სურვილებს და სოფლის სიამოვნება სვებედნიერი განმცდელის ბრწყინვალე მდგომარეობა უანგარისო და მფლანგველი ცხოვრების წყალობით უეჭველად გამოიწვევდა მოელი ავლა-დიდების თუ დაღუპვას არა, გარკვეულწილად დაზიანებას მაინც.

მას ხელი არ შეუშლია პარკში მიმდინარე სამუშაოებისათვის. პირიქით, იმათი გაგრძელებაც კი მოითხოვდა. ეს განახლებული საქმიანობა საფუძვლად უნდა დაედებოდა მომავალ სრულქმნას და ახლა მხოლოდ ამით შემოიზღუდნენ. ამას გარდა შინ დაბრუნებული მეუღლე სხვა ბევრ გულგასახარსაც ნახავდა გაკეთებულს.

ამ სამუშაოთა და ჩანაფიქრთა შორის მას არ შეეძლო ქებით არ მოეხსენებინა არქიტექტორის ცდები. მათ წინაშე მოკლე ხანში გადაიშალა ტბა ახლად ნარგავი ნაირფერი მცენარეებით და ხავსათ მოფენილი სანაპიროებით. დასრულდა აგრეთვე ახალ სახლთან დაკავშირებული ყველანაირი შავი საბუშაო. სახლი საერთოდ მოვლილი და მისაღებად მზად იყო. შემდეგ მხოლოდ ისეთი სამუშაოები დაიწყეს, გზადაგზა ხელახლა რომ სიამოვნებით მიუბრუნდნენ. ალბათ ამიტომ იყო შარლოტე მშვიდი და ხალისიანი, ყოველ შემთხვევაში, ოტილიეს იგი ასე ეჩვენებოდა, რადგან ყველაფერში ედუარდის დაბრუნებისა თუ არდაბრუნების ნიშნებს ეძებდა, ამაზე მეტად ქვეყნად არაფერი ეინტერესებდა.

ამიტომაც ეამა ოტილიეს ერთი ახალი წამოწყება, რომლის მიზანიც საკმაოდ მოზრდილ პარკში სანაქებო სისუფთაის დაცვა იყო და რისთვისაც გლეხის ბიჭთა მთელი რაზმი შეკრიბეს. ეს აზრი ადრე ედუარდს დაეხატა. ბიჭებს რაღაც ფარაჯისნაირი შეუკერეს, ისეთი, კარგად დაბანალ-გასუფთავებული ყმაწვილები საღამოობით რომ იცვამდნენ ხოლმე. გარდერობი სასახლეში მოაწყვეს, მისი მეთვალყურეობა ყველაზე გონიერ და მოსაზრებულ ყმაწვილს დაეკისრა. მთელ ამ საქმიანობას კი არქიტექტორი მეთაურობდა. სანამ სხვები თადარიგს აჭერდნენ, მანამ ბიჭები გარკვეულწილად წვრთნას გადიოდნენ და ამათი გაწაფულობა ნაწილობრივ მანევრირებას წააგაუდა. და მართლაც ერთ რამედ ღირდა მათი შემოსვლა ეზოში — რკინის ბრებით, სახელურიანი დანების ფლარუნით, ფოცხებით, პაწია ნიჩბებით და წერატლებით, მარაოსებური ცოცხებით. ამას მოჰყვებოდნენ სხვებიც კალათებით ხელში, სარეველა ბალახებისა და ქვების მოააცილებლად და ასაკრებად, ზოგს კიდევ ხელთ მაღალი, რკინის დიდი საგლინავი ეჭირა. სწორედ რომ მშვენიერი და მხიარული სანახავი იყო ბიჭების ეს კრიამული და სიჩაუქე. აი, მაშინ ჩაიხატა არქიტექტორმა არაერთი პოზა და მოძრაობა, რაც ბაღის პავილიონში ასაშენებლად ჩაფიქრებული ფრიზისათვის სჭირდებოდა. ოტილიე კი ყველა ამ სანახაობას უყურებდა როგორც აღლუმს, რომელიც ალბათ სახლის პატრონის ჩქარა დაბრუნებას მოასწავებდა.

ოტილიეს სიმხნე და ხალისი დაეუფლა, უნდოდა ედუარდის დაბრუნებისათვის რაღაც ღირსშესანიშნავი შეექმნა. სასახლეში ადრეც აგულიანებდნენ სოფლის ვოგონებს კერვის, ქსოვის, დართვის და სხვა ქალური ხელსაქმეების

შესასწავლად, მათი სიქველე კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მომეტე-
ბულად დაეშურნენ სოფლის კეთილმოწყობას და გამშვენებებს.

მაშინ ოტილიემაც წაახალისა ისინი თავისი მონაწილეობით, ოღონდ ეს
იშვიათად ხდებოდა, როცა ამის საშუალება და სურვილი გარეგნულად ხოლმე.
ახლა კი მტკიცედ განიზრახა ამ საქმეში მეტა მონაწილეობით და თანმიმდევრუ-
ლად ჩაბმულიყო. მაგრამ გოგონათა რაზმის შედგენა ვაცისლებით ძნელი გამო-
დგა, ვიდრე ბიჭუნებისა. თუმცა უტყუარი აღლითი თვითონაც არ იცოდა ისე
შთაავონებდა გოგონებს თავიანთი ოჯახის, მშობლების, და-ძმების სიყვარულს.

ბევრ მათგანთან სასურველ შედეგსაც მიაღწია, ოღონდ ერთ პატარა, ცო-
ცხალ გოგონაზე გამუდმებით საყვედურობდნენ. უკერვილო და არაფრის მაქსი-
სიაო. ოტილიეს არ შეეძლო ცუდად მოქცეოდა მას, რადგან გოგონა მისადმი
განსაკუთრებულ სიბოის გრძობდა. ხშირად მიუცუცქდებოდა ოტილიეს, სულ
მასთან დაცუნცულებდა, სულ კუდში დასდევდა, თუკი ამის ნებას ღართავდნენ,
ოტილიეს სიახლოვეს იგი მოძრავი, მხნე, დაუღლედი ხდებოდა. მშვენიერ ქალ-
ბატონთან ურთიერთობა ბავშვს მოთხოვნილებად ექცა. ოტილიე ჯერ უბრალოდ
ითმენდა ბავშვის თანხლებას. მერე თანდათან თვითონაც შეუყვარდა.
განუყრელნი გახდნენ, ნანი ყველგან თან ახლდა თავის ქალბატონს.

ოტილიე ხშირად გაუყვებოდა ხოლმე ბაღისაკენ მიმავალ ვზას და აყვავი-
ბული წალკოტის მშვენიერებით ტკბებოდა. მარწყვი და ალუბალი უკვე მოლე-
ული იყო, მაგრამ ნანი მაინც სიამოვნებით იტკბარუნებდა პირს აქა-იქ ტოტებ-
ზე შერჩენილი გადამწიფებული ალუბლებით. სხვა დანარჩენი ხეხილი კი შემოდ-
გომისათვის პირდებოდათ მდიდარ მოსავალს და მებაღესაც გამუდმებით ეძლე-
ოდა საბაბი ბატონის მოსაგონებლად. სიტყვას ისე არ იტყვოდა, რომ მისი კვლავ
დაბრუნების სურვილი არ გამოეთქვა. ოტილიეს უყვარდა მოხუცთან საუბარი.
მებაღე თავისი საქმის ჩინებული ოსტატი იყო. იგი სულ ეღუარდს ახსენებდა,
როცა ოტილიემ თავისი სიხარული გამოთქვა, ამ გაზაფხულის სანამყენებმა რა
ბრწყინვალედ გაიხარესო, მებაღემ დაფიქრებით მიუგო:

„მე მხოლოდ ის მინდოდა, ჩვენს კეთილ ბატონს გაეხარა მათი სიკეთით.
ამ შემოდგომას რომ აქ ბრძანებულყო, ხომ დაინახაედა, რა შესანიშნავი ჯიშის
ხეები იზრდებიან ძველი სასახლის ბაღში მამამისის დროიდან მოყოლებული.
ახლანდელი ხეხილის მებაღეები თავიანთი კარტუზიანელი მამებივით სანდონი
როდი არიან. რამდენ სახელგანთქმული ჯიშის ხეებს აღმოაჩენ კატალოგებში,
დაამყნობ, გაზრდი ხეს და ბოლოს და ბოლოს, ნაყოფს რომ გამოიხსამს, მიხვ-
დები, აღარც კი ღირებულა ბაღში მისი მოშენება.“

როცა კი ოტილიეს შეხედებოდა, ერთგული მსახური თითქმის ყოველთვის
პკითხავდა ხოლმე, ბატონი როდის ჩამობრძანდებაო. ოტილიემ, ცხადია, არ იცო-
და მისი ჩამოსვლის დღე და კეთილი მოხუციც არცთუ წყნარი ნალველის გა-
რეშე შენიშნავდა, ეტყობა, აღარ მენდობითო. ოტილიეს ტანჯავდა ეს არცოდნა,
რასაც ასეთი დაყინებით მოაგონებდნენ. მაგრამ მაინც ვერ შორდებოდა ამ ყვა-
ვილნარებს, მის კვლებსა და მწკრივებს. ყველაფერი, რისი დარგვა და თესვაც
ეღუარდის აქ ყოფნისას მოასწრეს, უკვე ჰყვავოდა. მის მოვლა აღარ სჭირდებოდა,
ხოლო ნანი დიდი სიბეჯითით რწყავდა ნარგავებს. რა გრძნობით უცქერდა ოტი-
ლიე ჯერაც გაუშლელ ყვავილებს, მთელი თავისი ბრწყინვალეობით რომ უნდა
გაფურჩქნულიყვნენ ეღუარდის დაბადების დღეზე. ეს ყვავილები ხომ სიყვა-
რულისა და მადლიერების გრძნობას გამოხატავდა, ზოგჯერ იმედიც უჩნდებო-

და, ეგებ ეს დღესასწაული ერთად ეიხილოთო, მაგრამ ყოველთვის როდი ააბობ-
და იმედის სხივი, ეჭვი და სევდა მუდამ თანსდევდა სათხო გოგონას სულს.

ოტილიეს თანდათან გაუჭირდა შარლოტესთან შეთანხმებულად ცხოვრება.
რადგან ამ ორი ქალის მდგომარეობა ერთობ განსხვავებული იყო. თუკი ცხოვრებ-
ფერი ძველებურად დარჩებოდა, თუკი ცხოვრება უწინდელ კალაპოტს ედგურებოდა,
შარლოტესათვის ეს უკეთესიც იყო, სადღეისოდაც უზრუნველყოფილი
ექნებოდა ბედნიერება და სამერძისოდაც, სამაგიეროდ ოტილიე ჰკარგავდა ყვე-
ლაფერს. მან ხომ სიცოცხლეში პირველად ეღუარდათან ჰპოვა ნეტარება და სი-
ხარული და თავის ამყამინდელ ყოფაში მხოლოდღა უსასრულო სიცარიელეს
გრძნობდა, რასაც ადრე ვერც კი წარმოიდგენდა. ამას მიზეზი კი ესეც გახლავთ:
გული, რომელიც ეძიებს, გრძნობს, რომ რაღაც აკლია, ხოლო დაკარგვის განმ-
ცდელი გული გუმანით ხვდება, რაც დაჰკარგა. სევდა უვუნებობად და მოუთმენ-
ლობად იქცევა ხოლმე ქალის ბუნება, ლოდინი და დათმენა რომ ჩვევია, მზად
არის ამოუარდეს თავისი კალაპოტიდან, მოძრავი და მოქმედი გახდეს და თავისი
ბედნიერებისათვის რაღაც აკეთოს.

ოტილიემ ვერ აღმოკვეთა თავისი გულიდან ეღუარდა, ან კი როგორ შეემ-
ლო ეს გაეკეთებინა. თუმცა შარლოტე საკმაოდ ჰკვიანურად, საკუთარი რწმენის
საპირისპიროდ, აღსარებდა და დაბეჯითებით ვარაუდობდა, რომ ქმარსა და ოტი-
ლიეს შორის შესაძლებელია წყნარი, მშვიდობიანი მეგობრობა. მაგრამ რამდენ-
ჯერ მომხდარა, რომ ღამით თავის ოთახში განმარტოვებული ოტილიე სახურავ-
ახსნილი ზარდახშის წინ მუხლებზე დაცემულა და თვალი მიუბყრია იმ დაბადე-
ბის დღისათვის მორთმეული საჩუქრებისათვის, რომელთა შორის არც ერთი არ
მოუხმარია, არც ერთი საკაბე არ დაუჭრია და არ შეუკერავს. რამდენჯერ მომ-
ხდარა, რომ საჩუქარი არსება სისხამ დილით გამოსულა სახლიდან, ადრე რომ
ნეტარ ადგილად მიაჩნდა და მინდვრად გაჭრილა ახლომახლო მიდამოებში. წი-
ნათ ხომ ასეთი რამ ფიქრადაც არ მოსვლია ახლა მიწაზე გული არ უდგებოდა.
დროდრო ტბას მიაშურებდა, ნავში ჯდებოდა, ნიჩბით მიაპობდა მის ტალღებს,
საიდანღაც ამოამკრუნდა წიგნს, მოგზაურობის აღწერებს რომ ეზებოდა, კით-
ხვისას მღელვარე ტალღების რწევას აჰყვებოდა, ოცნებებით შორეულ ქვეყანას
იყო, იქ მუდამ ხვდებოდა სატრფოს, რომელიც ძველებურად იკრავდა გულში და
სატრფოც მისდამი უნეტარესი გრძნობით იყო აღვსილი.

თავი მეთორმეტი

მიტლერმა, ამ უცნაურმა, ენერგიულმა, ჩვენთვის უკვე ნაცნობმა კაცმა, მას
შემდეგ, რაც მეგობრებზე თავსდატეხილი უბედურება შეიტყო, თუმც არც ერთ
მათგანს მისთვის დახმარება არ უთხოვია, მაინც ისურვა, როგორც ამნაირ ამ-
ბებში ჩვეოდა ხოლმე, თავისი მეგობრული თანადგომა, მისებური ოსტატობა
გამოეველინა. მაგრამ ჯერ დაყოვნება არჩია, რადგან კარგად იცოდა, რომ ბევრად
უფრო ძნელია ზნეობრივი გაურკვევლობისას შემწეობა აღმოუჩინო განათლებულ
ადამიანებს, ვიდრე გაუნათლებლებს. ამიტომაც ერთხანს თავის ნებაზე მიუშვა
მეგობრები, არ ჩაერია მათ საქმეებში. ბოლოს კი ვეღარ მოითმინა და გაფაცი-
ცებით შეუდგა ეღუარდის ძებნას. მალე მის კვალსაც მიაგნო.

გზად მიმავალი იგი მიაღწა ერთ მშვენიერ ველს, რომლის მინდვრებისა და
ჭალების მიმხიდველ სიმწვანეში ხან მიიკლაკნებოდა, ხანაც ქვებს ეხეთქებოდა
მკვირცხლი და წყალუხვი ნაკადული. წყნარ გორაკებზე ბარაქიან მინდვრებსა და
თვალუწვდენელ ხეხილის ბაღებს გაეშალათ მხრები, სოფლები ერთმანეთს და ში-

რიშორ იყვნენ, მთელ არემარეზე სიმშვიდე და სიჩუმე სუფიევდა, ხოლო თუ ცალკეული ადგილი მხატვრის ფუნჯისათვის შექმნილი არ იყო, საცხოვრებლად უკეთესს მაინც ვერ ინატრებდა.

დიდხანს გზაზე მავალს ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ავალში მოხვდა ერთი კეთილმოწყობილი ხუტორი, სადაც მყუდრო და მშვენიერ ტყეებით გარშემორტყმული სახლი იდგა. გუნებაში გაიფიქრა, სწორედ ეს იქნება ელუარდის ამჟამინდელი ადგილსამყოფელიო, და არც შემცდარა.

ჩვენს ეულ მეგობარზე კი მხოლოდ იმას გეტყვიან, რომ იგი მთელი არსებით მინებდა ვნებათა დღევას, თანაც ფიქრებში ათასნაირ გეგმებს ახზავდა, ათასნაირი იმედებით იკვებებოდა. არც იმის უარყოფა შეეძლო, რომ ოტილიეს ზილვა, მისი ამ ახალ სამკვიდრებელში მოყვანა, მოზიდვა უნდოდა. ვინ მოთვლის, რამდენი უნებართვო თუ ნებადართული აზრები ირეოდა მის თავში. რას არ იღონებდა მისი წარმოსახვის ძალა. თუკი ელუარდს არ ეწყრა სწორედ აქ, ამ სახლში დაუფლებოდა ოტილიეს სჯულიერად, მაშინ ისდა დარჩენია, ეს მამული ოტილიეს მიაგოს სამკვიდროდ, ვინმელო იმან აქ კპოვოს სავანე, აქ იცხოვროს წყნარად, თავისთვის, განმარტოებით. დაე იყოს ბედნიერი და, თუ ვინიცობაა ელუარდს თვითნაკვეში ფანტაზიის ძალა უფრო შორსაც წააყვანს, დაე იყოს ოტილიე ბედნიერი სხვა მამაკაცთან ერთად.

და ასე რბოდნენ მისი დღეები. მუდმივა ორჭოფობა და გაურკვეველობა სდევდა სასოებასა და წუხილს, ცრემლსა და ღხენას, სურვილებსა და მათ ასახდენად საჭირო სამზადისს. მიტლერის გამოჩენა ელუარდს არ გაჰკვირვებია. კარგა ხანია ელოდა მის ჩამოსვლას და თითქოს კიდევ გაეხარდა მისი დანახვა. თუ იგი შარლოტეს გამოგზავნილი იქნებოდა, ელუარდს მზად ჰქონდა ყოველგვარი ჯურის თავის მართლებანი, გაჭაანურებები, ასე ვასინჯეთ, საბოლოო წინადადებებიც კი. ხოლო თუკი განგება ოტილიეზე რაიმეს შეტყობას აღირსებს, მაშინ მიტლერი მისთვის ნანატრი, ზეცისაგან წარმოგზავნილი მოციქული იქნება.

ამიტომაც ნაწყენი და გუნებაწამხდარი დარჩა, როცა გაიგო, რომ მიტლერი იმათი დაჟინებით კი არა, საკუთარი სურვილით მოყიდა გული დაეხურა და თავდაპირველად საუბარი ვერც აეწყო. მაგრამ მიტლერმა შესანიშნავად იცოდა, სიყვარულით ატანილ არსებას რომ მუდამ ჩვევია გულში ნადების ხმამაღლა გაჟელავნება. ამიტომაც ერთხანს ილაპარაკა ამ ცისა და ბარისა. მერე კი თავისი როლიდან გამოსვლა განიზრახა და შუამავლას ნაცულად ელუარდის გულის შესაიდუმლედ იქცა. როცა მიტლერმა მეგობრულად გაკენწლა, ეს რა განდევილის ცხოვრება მოგიწყვიათ, იმან მიუგო:

„მე არ ვიცი, უფრო ნეტარად როდის გავლევდი დღეებს. სულ ერთთავად ოტილიეთი ვარ შეპყრობილი, სულ მის სიახლოვეს ვგრძნობ თავს. ამნაირ ყოფას ის ფასდაუდებელი უპირატესობა აქვს, რომ ყოველ წუთს შემძლია წარმოვიდგინო, თუ სად იმყოფება ახლა ოტილიე, სად დამდგარა, სად შეჩერებულია. ჩამოუსვენებია. ვხედავ, ჩვეულებებისამებრ როგორ დაფუსფუსებს და რაღაცას აკეთებს. ვხედავ, რას სჩადის ანდა რას აპირებს, ეს კი, რაღა თქმა უნდა, გულზე მაღამოდ მედება. განა ყველაფერი ეს არ კმარა, რომ ბედნიერი ვიყო. მაგრამ აბა როგორ ვიქნები ბედნიერი, როცა ასე შორსა ვარ მისგან. და აი, ჩემი ფანტაზია ამოქმედებას იწყებს და ცდილობს გამოიცნოს რა უნდა ჰქნას ოტილიემ ჩემთან მოსაახლოებლად. მე ვწერ მისი სახელით ჩემდამი მომართულ ტკბილ, მიმნდობელ ბარათებს. საპასუხო ბარათებსაც მევე ვადგენ და ნაწერებს სათუთად ვინახავ. მე აღთქმა დავდე, ნაბიჯი არ გადავდგა მისკენ და

კდევაც ერთგულად ვიცავ დანაპირებს. მაგრამ ის გაძვირებულია, თვითონ იგი რა ძალამ შებოჭა ისე, რომ ჩემსკენ პირს არ მოაბრუნებს. ნუთუ ამაში ბრალი შარლოტეს სისასტიკეს მიუძღვის? ალბად, იმან ჩამოართვა ფიცი, თავის დღეს არ მომწეროს ბარათი, არაფერი მამცნოს თავის შესახებ, გაუგონლად და აუტანლად მიმანია ფაქტი, რაგინდ ბუნებრივი და ჩამდვილიც არ უნდა იყოს. თუკი იმას ვუყვარვარ, რაიც ასე ძლიერ მჯერა და ვიცა, რად არ განიზრახავს, რად ვერ გაბედავს ჩემთან გამოიქცეს და გულში ჩამეკონოს. ხანდახან მგონია, რომ მას ძალუმს გადადგას ეს ნაბიჯი და რაღად აყოვნებს, არ ვიცი. წინა ეზოში როცა რაიმე გაიფაჩუნებს, გული შემოქანდება და უმაღ კარს მივაპყრობ ხოლმე მზერას. რაღაც მგონია და მჯერა, რომ ავი ოთახში შემოვა. ო, ღმერთო ძლიერო. შესაძლებელიც რომ შეუძლებელი გამხდარა, ისიც წარმომიდგენია, როგორ უნდა იქცეს შეუძლებელი შესაძლებლად? როცა დამდამობით გამომეღვიძება ხოლმე, ხაძინებელი ოთახის ნათურის მკრთალ შუქზე ჩემ თვალწინ მასი სახეა დგას, მისი სული, მასზე წინათგრძნობა მიტანს. აი, იგი შემოდის ჩემთან, წამით ხელს შემახებს, თითქოს უნდა დამარწმუნოს, ჩემზე რომ ფიქრობს, ჩემი რომ არის.

მხოლოდ ერთადერთი სიხარული დამრჩენია. წინათ მასთან ახლოს ვიყავი და სიზმარში ერთხელაც არ მენახა, ახლა კი, მისგან შორს მყოფს, სულ იგი მეცხადება ძილში. სიზმარში სულ ერთად ვართ. საოცარია, როცა მეზობლად მცხოვრებ სასიამოვნო ადამიანებს ვეცნობი, სწორედ მაშინ გამომეცხადება ხოლმე მისი ხატი სიზმრად, თითქოს მეუბნება, რამდენიც არ უნდა აღეცო თვალები აქეთიქით, სულერთია, ჩემებრ მშვენიერსა და სანატრელს ვერავის ნახავო. და ასე ტრიალებს იგი ყოველ ჩემს სიზმარში ყველაფერი, რაც კი გზად მხვდება მისი თანხლებით, იმასვე ერწყმის და მასშივე აღირევა. აი, ხელს ვაწერ კონტრაქტს. ავერ მისი ხელნაწერიც და ჩემიც, მისი სახელიც და ჩემიც. ჩვენ ვშთანთქავთ და შევიწოვთ ერთმანეთს. მაგრამ კანა უმტკივნეულოდ მოდის ფანტაზიის ეს ნეტარებით აღსავსე საოცრება? ხანდახან სიზმარში ოტილიე იზნაირად გარდაისახება, რომ ეს გარდასახვა შეურაცხყოფს ჩემს იდეალურ წარმოდგენას მასზე. აი, სწორედ მაშინ ვგრძნობ ყველაზე ცხადად, რაზომ მიყვარს იგი და ერთ უთქმელი სევდა მიპყრობს. ხანდახან იგი მტანჯავს და მაწვალებს, ეს კი სულაც არ არის მისი ბუნება. ამ დროს უეცრად იერი შეეცვლება, მრგვალი ანკვლოსის პირისახე დაუგრძელდება, იგი უკვე ოტილიე უ არადა, სულ სხვა ვინმეა, მე კი ამით გატანჯული, შეწუხებული და შეძრული ვარ.

ნუ გაიცინებ ამაზე, ძვირფასო მიტლერ, ანდა გაიცინე, თუ გინდა! მე არ მრცხვენია ამის ანდა, თუ გნებავს, ამ უგონო, მძვინვარე ვნების! აქამდე ხომ სიცოცხლეში არავინ მყვარებია და მხოლოდ ახლა შევიცან, რა არის სიყვარული. ვიდრე მას არ გავიცნობდი, ვიდრე სულით ხორცამდე არ შევიყვარებდი, დღემდე, რაც კი ჩემს ცხოვრებაში მომხდარა, მხოლოდ წინა საფეხური, მხოლოდ დაყოვნება, მხოლოდ დროის გაყვანა, მხოლოდ დროის უმიზნო კარგვა ყოფილა და სხვა არაფერი. ხშირად უსაყვედურნიათ, თუმც არა ჯიქურ, არამედ ზურგს უკან, ყველაფერს ზერეღედ ეკიდები და საერთოდ ცუდად მუშაობი. რა გასაკვირია, ასე ყოფილიყო. მე ხომ ჯერაც ვერ მეპოვნა ის დვრიტა, ჭეშმარიტ ოსტატად რომ შემქმნიდა, ამიერიდან კი აბა ვნახოთ, ვინ მაჯობებს სიყვარულის ნიჭში.

თუმც ეს არის ტანჯვით, ტკვილითა და ცრემლებით გამოზრდილი ნიჭი, მაგრამ იმზომ ლაღად და თვითმყოფადად შემოვიდა ჩემში, ვიცი, გამძნელებდა მისგან თავდახსნა“.

ელუარდს გულზე მოემვა ამ ცოცხალი, წრფელი აღსარების წარმოთქმისას,

ამასთანავე, ერთბაშად ისე ნათლად გამოიკვეთა მისი საიცარო მდგომარეობის ყოველი ცალკეული ნაწილი, მტანჯველ შემოტევას ვეღარ გაუძლო და ცრემლებად დაიღვარა. მეგობარს რომ საიდუმლო გაუმხილა, სწორედ მან აუჩვილა გული.

მიტლერი, ვისაც ნაკლებ ძალუძდა ჩაეკლა თავისი ^{ერქვეული} ცხოვრების ყოველი განსჯის დაუნდობელი ძალა, ეღუარდის ვნებათა მოწამეობრივმა აფეთქებამ აიძულა უარი ეთქვა თავისი მოსვლის ნამდვილ მხეხზე და მკეახედ და პირუთვნელად მიახალა, ეგ რა ვაჟკაცის საქციელიაო. მისი გაგებით, ეღუარდს თავი უნდა მოეთიკა, მამაკაცურ ღირსებაზე ეფიქრა, გაეხსენებინა, რომ ადამიანის უპირველესი ვალია გაუმაგრდეს განსაცდელს, მედგრად და მამაცად აიტანოს სატკივარი, ეს ის უნარია, რისთვისაც ღირსეცნობთ და პატივს მივაგებთ ადამიანს, სხვებისთვის სამაგალითოდ ვსახავთ.

უძძიმესი გრძნობებით შეპყრობილ ეღუარდს არ შეეძლო მიტლერის ეს განცხადება ცარიელ და არაფრისმთქმელ ლიტონ სიტყვებად არ ჩაეთვალა.

მან მიტლერს სიტყვა შეაწყვეტინა.

„ბედნიერ ადამიანს რა უჭირს, ლაპარაკის გუნებაზეა, მაგრამ აბა სხვისი იკითხოს. ალბათ სირცხვილით დაიწვება, როცა მიხვდება, რაოდენ აუტანელია ეს საუბარი იმ კაცისთვის, ვინც გატანჯულია. თვითკმაყოფილი ბედნიერი სხვეზისაგან უსაზღვრო მოთმინებას ითხოვს, მაგრამ სხვისი უსაზღვრო ტანჯვა ვერაფრით შეუცვნია. ხანდახან ადამიანს იმნაირი მეხი დაატყდება, რომ ყოველი ნუგეშისცემა სიმდაბლედ გეჩვენება და მხოლოდ და მხოლოდ სასოწარკვეთა გექცევა მოვალეობად. განა კეთილშობილი ბერძენი, ვინც გმირობის ჯეროვანი გამოხატვაც იცის, თავილობს მტირალი გეჩვენოს უკიდურესი ტანჯვის წუთებში. ანდაზაც ხომ გვეუბნება, კაცი თუ ცრემლებით მდიდარია, სიკეთითაც მდიდარი იქნებაო. შორს ჩემგან ყველა, ვისაც უცრემლო გული და უცრემლო თვალი აქვს. ვწყევლი იმ ბედნიერ ადამიანს, ვისთვისაც უბედური არსება მხოლოდ გასართობ სპექტაკლად ქცეულა. ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის საშინელ წუთებშიც მან სათნო იერი უნდა შეინარჩუნოს, რათა ამით მოწონება დაიმსახუროს და გლადიატორის მსგავსად ღირსეულად აღმოხდეს სული ყველას თვალწინ, ხოლო აღსასრულის ჟამს კვლავ ტაშით დაჯილდოვდეს. მადლობელი ვარ მობრძანებისათვის, ძვირფასო მიტლერ, მაგრამ დიდად დამავალეობთ, თუ ცოტა ხანს ბაღში ან ბაღს გარეთ გაიხეირნებთ. ჩვენ კვლავ შეეხვდებით ერთმანეთს, შევეცდები ძალა მოვიკრიბო და როგორმე თქვენი მსგავსი გავხდე.“

მიტლერმა გადაწყვიტა დათმობაზე წასულიყო, ოღონდ არ გაეწყვიტა საუბარი, რომლის ხელახლა გაბმა არცთუ ისე იოლი იქნებოდა. შესაბამისად ეღუარდსაც სავსებით ხელს აძლევდა საუბრის ვაგრძელება, რომელიც მიზანსწრაფულად წარმართა.

„რა თქმა უნდა, — დასძინა ეღუარდმა, — ეს განსჯება და ტვინის ჭყლეტები, დაუა და მითქმა-მოთქმები ვერაფერს გვიშველის, მაგრამ ამ ჩვენი საუბრის წყალობით პირველად მივხვდი და ვიგრძენი, რაც უნდა გავაკეთო და ამას ვიზამ კიდევ. ჩემ წინაშე ხელისგულიყითაა გადაშლილი ჩემი აწმყოც და მომავალიც. ორთაგან ერთი უნდა ვარჩიო, ან ჭირი ან შვება. მომიწყვე, ძვირფასო, განქორწინება, რაც ესოდენ მჭირდება და რაც სინამდვილეში კიდევაც მოხდა. დაითანხმეთ შარლოტე არ მინდა ბოლომდე ვითხრაო, რატომ მგონია, რომ განქორწინებას შეიძლება მიაღწიოს კაცმა. წადით აქ, ჩემს მამულში, ძვირფასო, ნახეთ შარლოტე და სიმშვიდე მოგვაგე, გვაბედნიერე.“

მიტლერი საგონებელში ჩავარდა. ეღუარდმა კი განაგრძო:

„ჩემი და ოტილიეს ბედი განუყოფელია და ჩვენ სიკვდილი არ გვაწერია. ნახეთ ეს სასმისი. მასზე ჩვენი სახელებია ამოტვიფრული, სიხარულია და ჩემის ჟამს იგი ჰაერში ისროლეს და ვინღა დაღუვდა შემდგომ იმ სასმისიდან, მოცემენტებულ იატაკზე დაცემით ნამსხვრევებად თუ იქცეოდა. მაგრამ ჩვენ უკვე მოხდა. სასმისი ხელით დაიჭარეს. დიდ ფასად კვლავ შევიძინე ეს სასმისი და ახლა ყოველდღე ამით ვსვამ წყალს. მინდა ვირწმუნო, რომ ვერავითარი ძალა ვერ დაარღვევს იმ კავშირს, რაიც განგებითაა გარდაწვეული“.

„ვაი ჩემი ბრალი, — წამოიძახა მიტლერმა, — რა მოთმინება უნდა მქონდეს, რომ ამნაირ შეგობრებთან ურთიერთობას გაუძლო. კვლავ ცრურწმენას შევეჩხვებ, ჭირის დღესავე რომ მძავს, ვითარცა უდიდესი ბოროტება ჩვენ ვეთამაშებით წინასწარმეტყველებს, წინათვრძნობებს, სიზმრებს და ამით ვხდით მნიშვნელოვანს ყოველდღიურ ცხოვრებას, ამ დროს კი, თვითონ ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანია, როცა გარშემო ყველაფერი დუღს და მღელვარებს. სწორედ ეს აჩრდილებია, კიდევ უფრო სამინელს რომ ხდის თავს დატეხილ მუხსა და ავდარს“.

„ო, ეს საწყალი გული გქონდეს მარტო, — შესძახა მან, — ამ უმეტარ ცხოვრებაში იმედსა და განსაცდელს შუა მანათობელ ვარსკვლავად, რომლის საკუთარ ნებაზე მიშვება თუ არა, შორიდან თვალთუყალი მაინც შეიძლება“.

„მე ამაზე თანახმა ვიქნები, — მიუგო მიტლერმა, — თუკი აქედან რაიმე კანონზომიერების ამედი შექნება. მაგრამ საქმე ის არის, რომ გამაფრთხილებელ ნიშნებს კაციშვილი ყურად არ იღებს. მიუღია გულისყურით მხოლოდ იმას ვებრობით, ვინც პირფერობითა და ცრუ დაპირებებით გვხაბლავს, ჩვენი რწმენა მხოლოდ პირმოთხეთა მიმართაა ცხოველი“.

როცა მიტლერმა დაინახა, რომ საუბარი ბუნდოვანი გახდა, რომლის დროსაც თავს ყოველთვის უგუნებოდ ვრძნობდა, ხალისით დათანხმდა შეესრულებინა ედუარდის სურვილი და შინ სწვეოდა შარლოტეს, განა ღირდა ასეთ წუთებში ედუარდის წყენინება. მას მხოლოდ ისღა დარჩენიდა, დრო არ დაეკარგა და რაც შეიძლება ჩქარა შეეტყო, რას აკეთებდნენ ქალები, რა დღეში იყვნენ ისინი.

მიტლერი სასწრაფოდ გაემურა შარლოტესთან და გაიხარა, რომ ჩვეულებისამებრ იგი მშვიდი და ხალისიანი დახვდა. შარლოტემ სიამოვნებით უამბო მიტლერს ყველაფერი, რაც მოხდა. მაგრამ ხომ შეეძლებოდა ედუარდის დანაბარების აღსასრულებლად მიტლერს ზემოქმედების ძალა წართმეოდა. თავის მხრივ იგი ფრთხილად მიუდგა საკითხს, მაგრამ ვერ შეძლო გაკვრით მაინც რომ არ ეხსენებინა სიტყვა „განქორწინება“ და როგორ გაოცდა, ის კი არა და, გაიხარა კიდევ, როცა შარლოტემ ამდენი უსიამოვნებების შემდეგ ბოლოს განაცხადა:

„მე უნდა მჯეროდეს და მწამდეს, რომ ყველაფერი კვლავ ძველებურად დარჩება და ედუარდი დაბრუნდება. ანკი სხეანაირად როგორ იქნება, როცა მადლიანის ამ სასიხარულო წუთებს განვიცდი“.

„სწორედ გაიგეთ თუ არა?“ — ჰკითხა მიტლერმა.

„სავსებით,“ — მიუგო შარლოტემ.

„ათასჯერ გლოცავთ ამის თქმისათვის, — წამოიძახა მიტლერმა და სიხარულით ხელი ხელს შემოჰკრა. — მე ვიცი, რაოდენ ზემოქმედებას ახდენს ეს ძლიერი საბუთი მამაკაცის სულზე. რამდენი ქორწინება მინახავს ამით დაწყებული, განმტკიცებული, ხელახლა აღდგენილი. ათას სიტყვაზე უფრო მეტად სჭრის ეს მადლიანი იმედი, მართლაც ყველაზე მადლიანი, რაც კი შესაძლოა იყ-

ოს დედამაწაზე, ხოლო პირადად მე რაც შემეხება, — განაგრძო მან, — ყველანაირი მიზეზი მქონდა განაწყენებისა. ახლა კი აშკარად ვხედავ, ამიტომ კი არ მოხდა ასე, რომ ჩემს თავმოყვარეობას ეპირფერებით, თორემ ჩემი/საქციელი მადლიერი არ დარჩებოდი. ერთი მეგობარი ექსიმით შემართება, ყველანაირი მკურნალობა რომ კარგად გამოსდიოდა, როცა, ღვიის წყალობით, მხოლოდ დარბთათვის გაირჯებოდა, მაგრამ იშვიათად შეეძლო განკურვსა მდიდრისა, რომელიც დიდძალ გასამრჯელოს სთავაზობდა. საბედნიეროდ, აქ საქმე თავისთავად გამოდის, თორემ ჩემი ცდა, ჩემი შეგონება ფუჭად ჩაივლიდა“.

ახლა შარლოტემ სთხოვა მიტლერს ეს ამბავი ეღუარდს აუწყე, თანაც ჩემკან წერილი გადაეცი, თვითონვე ნახე, რისი გაკეთებაა საჭირო ურთიერთობას აღსადგენადო. მიტლერმა შარლოტეს ამ თხოვნაზე უარი განაცხადა

„მე ჩემი უკვე გავაკეთე, — თქვა მან, — მისწერეთ ბარათი. შიკრიკობას ჩემზე ნაკლებ არც სხვა ვინმე გასწევს. მე კი ძალები დაუზოგო მინდა, თავი შევინახო იმათთვის, ვისაც უფრო მეტად დავჭირდები. მხოლოდ ნათლობაზე გეწვევით ბედნიერების მოსალოცად“.

შარლოტე, როგორც არაერთხელ მომხდარა სხვა დროსაც, ახლაც უკმაყოფილო დარჩა მიტლერის. მისი ფიცხი ხალათი ხშირად სიკეთის მომტანი კი იყო, მაგრამ აჩქარება რომ ჩვეოდა, ეს არცთუ იშვიათად ვნებდა საქმეს. მიტლერზე მეტად არავის შეეძლო ადვილად წამოგებოდა უნებლიეთ წამოჭრილ აკვიატებული შეხედულების ანკესს.

და აი, შარლოტეს მოციქული ეახლა ეღუარდს, რომელსაც ღამის შევშინდა მისი ხილვის წერილი ალბათ არც „მო“-ს ამბობს და არც არასო, გაიფიქრა, დიდხანს ვერ გაბედა მისი გახსნა და როგორ გაოგნდა, როცა ბოლომდე ჩაიკითხა იგი. ცოცხალ-მკვდარივით გახდა ბოლო სტრიქონების წაკითხვისას.

„მოიგონე ის ჟამი, როცა გვიან ღამით ეწვიე შენს ცოლს თავგადასავლებით მოსურნე სატრფოსავით და დაუოკებელი გზნებით მოიხიდე იგი, ვითარცა სანატრელი სასძლო და გულში ჩაიკარ-მოდი, ეს უცნაური შემთხვევა ჩავთვალოთ ზეცის წყალობად, რაიც ჩვენი ურთიერთობის ახალი ძალით განმტკიცებას ემუშურება იმ დროს, როცა ჩვენი ცხოვრების ბედნიერებას ნგრევა და მოსპობა ემუქრება“.

მხელია აღწერო, რაც ამ წუთას ეღუარდის სულში მოხდა. მსგავსი სულიერი ძვრების წუთებში ბოლოს და ბოლოს თავს შეგახსენებს ძველი ჩვევები, ძველი მიდრეკილებები, რომ დრო მოკლა და ცხოვრების სიცარიელე რითიმე შეაფსო. ასეთ დროს წარჩინებული გვარის კაცს შემწვდ ყოველთვის ომი და ნადირობა გამოუჩნდება. ეღუარდი გარედან თავსდატეხილ ფაიერაკს ნატრობდა, რადგან სიცოცხლე აუტანელ ყოფას პირდებოდა. მისთვის დიდი ნუგეში იყო იმის გაფიქრება, რომ ამ ქვეყნიდან წასვლით სატრფოს და მეგობრებს ბედნიერს გახდიდა. მის სურვილს წინ არავინ ეღობებოდა, რადგან ამ განზრახვას საიდუმლოდ ინახავდა. ყველანაირი ფორმალობის დაცვით ანდერძი დაწერა და ტკბილი გრძნობა დაეუფლა, ოტილიეს რომ მამული უანდერძა. არავინ დაუტოვებია გულნაკლული ყველას თავისი მიუზლი: შარლოტეს, ჯერაც გაუჩენელ ბავშვს, კაპიტანს, მსახურებს. ხელახლა ამტკდარი ომი გზად და ხიდად ეღებოდა მის ზრახვებს. სიჭაბუკეში სამხედრო ცხოვრება დიდად არ ეპიტნაუებოდა. ამიტომაც მიატოვა სამხედრო სამსახური. ახლა კი დიდებული გრძნობა გასჩენოდა იმის გამო, რომ ღაშქრად იმ სადარდელთან ერთად მიდიოდა, ვისზეც იტყოდნენ: თუმც მისი ბელადობით ბრძოლის ველზე სიკვდილს ვერ ასცდები, მაგრამ გამარჯვება კი უთუოდ შენს მხარეზე იქნებაო.

როცა ოტილიემ შარლოტეს საიდუმლო შეიტყო, ედუარდის მსგავსად გა-
ოხნდა, ის კი არადა, ედუარდზე უფრო მეტადაც და მალად ჩაიკეტა თავის თა-
ვში. მას უკვე აღარაფერი ჰქონდა სათქმელი. არ შეეძლო იმედი ჰქონოდა, არც
სურვილის უფლება გააჩნდა მის სულში ჩახედვა მხოლოდ მისსავე დღიურე-
ბის საშუალებით შეიძლება. ამ დღიურების ამონაწერებს კი ვხვდავართ ჩვენს
დღით.



შ ე ნ ი შ ვ ე ბ ა ო :

„სულთა ნათესაობა“ გოეთეს თავდაპირველად „ვილჰელმ მაისტერში“ ჩართულ ერთ-ერთ
ნოველად ჰქონდა ნოფიქრებული. 1807 წელს მას კიდევაც მოუხაზავს კონტურები „ნოვზაურთ-
ბისა“, რომელშიც სხვა ნოველებთან ერთად „სულთა ნათესაობაც“ მოიხსენიება. მაგრამ შემო-
ქმედებითა მუშაობია პროცესში იგი ნოველის სახელებს გასცდა და ცალკე რომანად ჩამოყა-
ლაზდა.

საკუთრივ ამ ნაწარმოებში წერა გოეთემ 1803 წლის პირველ მაისს დაიწყო. მეტი კარ-
ლსბადში სწრაფად აეწყო მუშაობა და ერთ წელაწადში რომანი კიდევ დაასრულა.

1830 წელს მოხუცი გოეთე „ეცერმანთან საუბარში“ ამბობს, რომ ამ ნაწარმოებში ვერც
ერთ სტრიქონს ვერ ნახევ, მის მიერ ცხოვრებაში განცდილს რომ არ გამოხატავენ, თანაც
არც ერთი სტრიქონი იმგვარად არ დაუწერია, როგორაც მან განიცადა.

პრობლემატკითაც „სულთა ნათესაობა“ „ვილჰელმ მაისტერს“ ენათესავება, როცა ნაწარ-
მოების უმთავრესი პრობლემა „რეზინაცია“-თვითაღკვეთია. „ვილჰელმ მაისტერს“ მეორე ნა-
წილსაც ხომ ქვესათაურად „თვითაღკვეთილი“ („Die Entsagenden“) ჰქვია.

ამ რომანის შექმნაში დიდა როლი ითამაშა გოეთეს პირადულ განცდათა მოტივებში. სახელ-
დობრ, სატრფილო ურთიერთობამ მინპერ პერულბთან (წიგნებით ნოვაქრე ფრომანის შეილო-
ბლთან), მაგრამ მხოლოდ ეს ინტიმი არ ყოფილა ამ რომანის შექმნის წყარო და მიზეზი, თუმ-
ცა გოეთეს ცხოვრების ეს საინტერესო ეპიზოდები ეთუოდ დიდა მნამუშევრობისაა ამ თვალა-
ზრანით.

საქმე ის არის, რომ 1796 წელს გოეთეს იენაში დაუბლოცდა ცნობილი გერმანელი ფილო-
სოფთა ფრ დრ ა შელანგი, ვისაც შწერალი გატაცებით უზიარებდა აზრებს ბუნებისა და გო-
ნის ურთიერთმიმართებას აკიობებზე. შელანგის ნატურფილოსოფიის კვალი მკვეთრად აღი-
ბეჭდა ამ რომანში. ამაა ნახსიშნებს გოეთეს წინასწარმეტყველურა განცხადება ამ ნაწარმოების
გარშემო, რომელაც 1809 წელს ოთხ სექტემბერს გამოაქვეყნა Morgenblatt-ში: „ავტორს რომ-
ანის ეს უცნაურა სათაურა ჩაგონა თავიათვე შრომებზე თაზიკალურ მოკლენებზე. მას სურ-
და შეემჩნია, რომ ბუნებისმეტყველებაში ძალიან ხშირად მიმართავენ ეთიკურ იგავენს, რათა
ადამიანურა ცოდნის სახელებში ვერდატყულო შორეული ცსებები როგორაც უფრო ძლო-
დან დაიანთნ. ასევე სურდა მას აგრეთვე ზნეობრივ ასპექტში გახებოდა ქნილრა იგავენის სუ-
ლიერი საწყისებაც. ნით უნეტყვას რომ ყველგან მხოლოდ ბუნება მოიხილება, თნაც
თაერუფალი გონის ღალი სამყარო განუწყვეტლავ იარუტანს და იასისლხორცებს მღერე და
ცხოველი ადვილებლობია ნაშან-კვალო, რომლებიც საესებით გამჭრალან და იქნებ არც კი არ-
სებობდნენ ანკვეყნაურ ცხოვრებაში“.

გერმანულმა საზოგადოებრობამ ეს ნაწარმოებია იენაადად აღიქვა, ისევე როგორც თავის
დროზე „ვეროურა“ (1774), იგი ეპოქის მოღურ ნაწარმოებად იქცა და ამის მიზეზი იყო რომა-
ნი მკვეთრად წარმოქნული საბუნებისმეტყველო — ქნილრა ფონი. თერთონ გოეთეს კი სულ
არ აკმაყოფილება თავისი რომანის ესოდენი წარმატება. იგი საკმაოდ ირონიული ტონით წერს
ნარანე ფონ ვიზენბერგას: „ანტამად თავგადაკლულად გმუშაობ ფერთა მოძღვრების ისტორი-
აზე, ზემო ძეარფასა მიწათმოქმედები კი ამასობაში ერთობ მოწადინებულა არან ნათესაურა
დამოკიდებულება ჰქონდეთ „სულთა ნათესაობასთან“, მაგრამ არც კი იცნან, როგორ უწონ ამ
საქმეს“.

1. „კაბიტანშია ამ მიდამოებში თავი შესანიშნავად იგროსო“ (გვ. 241) (Der Hausmann
gefiel sich sehr in der Gegend“) მე-18 საუკუნისათვის დამახასიათებელი ჰუმორი სეროთ გა-
ნწყობილებებისა და ხასიათის გადმოსაყვამად.

2. კრედიტი და დებეტი — Haben und Soll, Guthaben und Schuld. როცა სხვას შენი
კალა აქვს და პირიქით, როცა სხვის წინაშე ვალდებულა სარ.

3. კადრები, ზეთი ჩგუფება — რომანის სიმბოლური მოტივი.
4. თავის ტყვილები — ედუარდისა და ოტილიეს სულთა ნათესაობის დამახასიათებელი ნიშანი.
5. ხელწერა — რომანი პირველი ნ.წ.ლ.ს ლატიმოტივი.
6. ნარცისი — ბერანდელა თქმულების მიხედვით ღამისი ყმაწვილი, რომელიც ეცნაურად დაააჯა, რაკა ნიშნა ეხოს სიყვარულს არ უპასუხა. ეს უცნაური სიმბოლო ნდგომობდა, რომ მან შეიყვარა საკუთარი თავის ანარცელი, რომელიც მტკიცებით ანარმა თუთშეყვარებამ კაბუჯი დაღუპვის კარამდე ნიოყვანა.
7. ჩილჩილა — გარაჟი (Folie) — სადგარი ძვირფასა ქვებისა და სარკეებისათვის. გადატანითი მნიშვნელობით ეს რაიმეზე ასევე ელფერას ნიყვმა.
8. ცეცხლგამძლე თაბაშირა (refraktärer Gips) — მცენარეებზე სიუკუნის საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის ნიხედვით გამოიქმა „ცეცხლგამძლე“ (refraktärer) აღნიშნავს რეაქციებს ლიმოერა პროცესებია დროს, გამოწვევა კრისიგამ განსხვავებით თაბაშირი წყალზე ღუნად რეაგირებს. თაბაშირა, რომელიც მეთანეტადაა გამომწვერა ანუ დაღსანსაა პიერში, სავსებით კარგავს თავიანი ზენოქმედებას ძალას.
9. ზურმუხტისა და სხვა მწვანე ძვირფას ქვებსა სიმეტრიული ძალა მქონდათ ნიუდელობისათვის.
10. კარლოს პირველი — დიდა პრიტანეთისა და ირლანდიის მეფე 1625 წლადან ვისკე ინგლისის რეკოლუციის დროს 1649 წლის 25 იანვარს 135 წევრისაგან შეძლარმა სამეფო სავამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, ხოლო 22 იანვარს თავი მოპყვეთეს.
11. კონსისტორია — ლათ. consistorium — შერების ადგილი კათოლიკურ ეკლესიაში კარდინალთა თათბირი რომის პაპის მეთაურობით. სამეცნიერო და მმართველობითი უწყება-დაწესებულება ევანგელისტურ ეკლესიაში.
12. სარმატები — მონთაბარე ხალხის მონათესავე ტომები ძველ დროში შავი ზღვის ჩრდილოეთით. რომანში აღწერილი ჩვეულება პოლონური წარმოშობისაა.
13. რომანის პირველი ხაწილის მეტრე თავში გოეთე წერს: „სახე-მოდ ჩაცმულ-დისერულმა კლატოზმა, რომელსაც ერთ ხელში ჩამოიკვირა, ხოლო მეორეში ჩაქუჩი, ლექსად წარმოთქვა შეაინიშნავი სატყვები, რომლას პროზად გადმოცემა არაფრით სრულქმნილი არ იქნება“ (გვ. 82) გოეთე ამ რომანში კატეგორიულად უარყოფს ჩართულ ლექსებს, მის სხვა რომანებში კი, პირიქით, ჩართული ლექსები ძალიან ხშირად გვხვდება.
14. ენაქის შვილები (Enakskinder) — ზღაპრული ბუმბერაზი ხალხი, რომელიც სამსრუტ ქანახში ცხოვრობდა.
15. კარტხიანელები — კარტხიანელ ნდვდელია ორდენი, რომელიც ფლობდა მებაღეობის ცნობილ სკოლას პარიზში.
16. გვიანდელი ყვავილები — ატრები, არაერთხელ მეორდება რომანში, როგორც ლატიმოტივი. ლატიმოტივი ქვეთი განწყობილებებისა და მოქმედების შემდგომი მსკლელობის გვიანდელი მრავალგზისი განმეორებების მნიშვნელოვან ლატერატურულ მოტივს.
17. კვალ-ღობილი ბერძენი — იგულისხმება პოსტროსი.

გავრჩელები შემდეგ სომერში *

აპერიკული პოეზია

თარგმანი ლარსონის კაპანავაძის

ლენგსტონი პიუზი



ზაფხულის ღამე

ზაფხულის ღამე ამთავრებს როკვას,
 უკანასკნელი იღვევა ბოთლი,
 პარლემის ყელი აღარ ხმიანობს,
 ზურავენ დაღლილ ფორტეპიანოს
 და უადგილო აკორდით წყდება
 „ჩაზ ბოი ბლუზის“ ნაცნობი ჰანგი.
 ბოლოს იძინებს მტირალა ბავშვიც
 და ღამე ხდება ისეთი ჩუმი,
 როგორც დაქრილი გულის გოდება.
 მივდივარ, გზა კი არ მაგონდება,
 კვებები ბნელი ქუჩების ქსელში
 და ხეტიალით მეცლება ძალა.
 დაცარიელდა ნატანჯი სული.
 სიცარიელე წყლულივით მტკივა,
 ვერ მომინახავს თავშესაფარი.
 ზეცაში კრთება მთვარის ლამპარი
 და უსასრულო ღამეულ გზებზე
 არვინ არ მხვდება წყვდიადის გარდა,
 მალე ცისკიდურს გაცრეცავს დილა,
 ხსლში გამოშვრთალ მზის პირველ
 სხივებს.

წევხვდები ასე მიუსაფარი
 და არვინ მეტყვის, მაინც სად არი
 ის, რაღაც მარად მიუწვდომელი,
 ას, ვიღაც სულის ჩემის სადარა.

შავი მარიამი*

მე მგონია, შავი მარიამია
 მტკრიანი სარკმლის შიღმა რომ მოჩანს.
 პო, ახლა უფრო თვალნათლივ ვხედავ
 გაძალღებული აქეთ რომ მოჭრის —
 არ წამიყვანდეს ამაღამ, ნეტავ!..
 მესმის დაღლილი საკრავის ხმები.

* ასე ჰქვია ამერიკულ ვარგონზე პოლიციის
 ავტომობილს, რომლითაც ტუსაღები გადაყავთ.

მეც დავიღალე მუდამ სიფხიზლით
 და დარდისაგან დღითიდღე ვხმები,
 მაგრამ ოდითგან ნაცნობი ხმები
 ისევ მიძღვნიან საამო ჰანგებს.
 ჩემო ძვირფასო, თუ დაგინახავს,
 როგორ აწითლებს ღრუბლებს აისი
 და გესალმება თითქოს ხალისით?
 მითხარ, ოდესმე თუ შეგინიშნავს,
 როგორ სავსეა დილა ხალისით,
 ან თუ მიმხვდარხარ, რომ განთიადი
 არის ყოველთვის მწუხრის საწყისი?
 დღეს შავ მარიამს გადავრჩი, ალბათ,
 დავეწაფები სიცოცხლეს ხარბად —
 შევიცნობ ცისკრის ანარეკლს ცაზე:
 ყოველი დილა იწყება ასე
 და მასთან ერთად იწყება მწუხრიც.

მწუხარი ბლუზი

ტყვედქმნილი გრძნობა საკანში ვერ
 ძლებს,

ცარიელ ბარში გაცრეცილ კვდლებს
 უმღერის ზანგი-
 ლენოქსის ქუჩას განცხრომით სძინავს.
 ღამის საფარქვეშ ეხვევა მინას
 ფაქიზი ჰანგი...

ფაქიზი ჰანგი
 გულშიჩამწვდომი მწუხარე ბლუზის.
 ზანგის თითები ჩამოქნილს არ ჰგავს,
 მაგრამ საოცრად აუღერებს საკრავს.
 ო, ტკბილი ბლუზი!
 ვნების ტალღებად იღვრება რეგი,
 სიყვარულივით ნაზი და შლევვი.
 ო, ტკბილი ბლუზი!
 გაშიშვლებულა ეული სული —
 ო, ტკბილი ბლუზი!
 ზის მუსიკოსი მორყეულ სკამზე

და პიანინოს ჩივილით ავსებს:
„ვერსად ვიპოვე ნანატრი სითბო;
სადაც წავედი სულ მარცხი მღევდა.
მარტო ვიყავ და არავინ მაძმო.
ვუღს ლოდად მაძევს უსაზღვრო
სევდა“.

ხელი აგროვებს შეწყობილ ნოტებს
და გაბზარული ხმა ისევ ჰგოდებს:
„ჩემი შვებაა მწუხარე ბლუზი,
რადგან არაფერს არა აქვს გემო;

ჩემი შვებაა მწუხარე ბლუზი,
რადგან ცხოვრებამ დაკარგა გემო;
თუ განაშორებ ამ წუთისოცელს,
მადლობას გიძღვნი, უთალო ჩემო“.
გაღეულ მთვარეს ლოდივლავ ნასკვავს,
წყდება ზეცაში ვარსკვლავი ვარსკვლავს.
ცარიელ ბარში სიმღერაც წყდება.
სღუმს კლავიშების კრიალა წყება
და შიშველ კედლებს ეხლება ექო.

ალან ბინზბერგი



ღურჯია აღმება ფრიალებენ საჩუქრის აღში.
მუხლის ტკივილი, მოუთმენელი შიმშილის გრძნობა
გონგის ლოდინში — კარტოფილი და სალაფავი!

შუ-ს მოლანდება ნაპრალივით ვიწრო სარკმელში:
ჩანგლების ღრქენა ცარიელი თევზების ძირზე.



ნუთუ არასდროს შეგიმჩნევიათ, ყველა თქვენგანი
გამომწყვდეული რომ იმყოფება თავის ქალაში
და ამ საყნიდან უმოქმედოდ შესცქერს სამყაროს?



სახურავებქვეშ
ათასობით ადამიანი
ზის და აზველებს,
ცხვირს იხოცავს,
ან აცემინებს,
ტიანსაცმლიანად წეება ლოგინში.
ნერწყვის ჩაყლაპვით იოკებს წუთრვადს
და უსმენს...

სასამართლო

როცა მსაჯულის მოლოდინში სუნთქვა შეიკრეს
ბრალდებულებმა, მოწმეებმა და პოლიციამ,
სტენოგრაფისტმა დაამოქნარა ზრდილობიანად.

სუპერმარკეტი კალიფორნიაში

დღეს შენზე ფიქრი ამეკვიატა, ჩემო უოლტ უიტმენ, როცა სალამოს ^{ეროვნული} კრიული ქუჩის ბინდ-ბუნდში მომქონდა თავის მწარე ტკივილი და შეცდომილი/ტოტების ქსელში მწერივით გაბმულ პირსავსე მოვარეს.

მშიერს და დაღლილს მათრდა მეც და სამოთხის ხილი ^{შეჭრის} გაჩაჩახებულ სუპერმარკეტში.

სავსე დახლიდან შემომანათა ატმების გროვამ. თურმე რამდენი თჯახი იძენს პროდუქტებს ღამით! ქმრები იცდიან და მოთმინებით შესცქერენ ცოლებს; ცოლები ამ დროს არჩევენ მწიფე ავოკადოებს; ბავშვებს კა მოსწონთ გაწითლებული პომიდვრის ცქერა, მაგრამ, ნეტავი, რას დაეძებდა საჯანთოტებში ესოდენი გულმოდგინებით გარსია ღორკა?

შენც იქ გიხილე, ჩემო უოლტ უიტმენ, მხრებში მოხრილი როცა დაძრწოლი ნაცივრებს შორის და შეუმჩნევლად უთვალთუვლებდი თეთრწინსაფრს ან ახოვან ყაბებს.

ყური მოგკარი, როგორ იკითხე მორიდებულად: „ჩემო ძვირფასო, ერთი ნიუხარი ეს საკატლეტე ნაჭერი რა ღირს?“

მე დაგყვებოდი, როგორც აჩრდილი, ყველა სექციის ლაბირინთებში და კვრძნობდი, როგორ მოგვსდევდა უკან უნივერსალის ზედამხედველი.

ჩვენ დავდიოდით კორიდორებში, თვალთ ესინჯავდით მრავალ საქონელს და საბოლოოდ ვარჩევდით ჩვენთვის ხელნიუწვდომელ დელიკატესებს.

ახლა კი საით, ჩემო უოლტ უიტმენ, საით გავწიოთ? ერთ საათში ხომ მოგვეტყვიან ზურგს უკან კარებს.

(ხალში მიჭირავს შენი ლექსების ძველი კრებული, ვოცნებობ ამ ჩვენს ოდისეაზე და ვგრძნობ, რომ იგი არის აბსურდი).

გარეთ გავიდეთ და კვლავ ქუჩებში ვიხეტივლოთ? მაგრამ ხომ ხედავ, რა დაუვალი განხდარა ბინდი: ყველა სარკმელი უსიერ ქვაბულს დამსგავსებია — აქ ორნი ერთად ვიქნებით მაინც მარტოსულები.

თუ შინ წავიდეთ, განმარტოებულ მყუდრო კოტეჯში — შორს მოლაბლიპე ავტომობილთა ქარავნებიაგან და დავუბრუნდეთ მოგონებებით იმ ამერიკას, რომელიც უკვე რა ხანია აღარ არსებობს?

ბრძენო მოძღვარო, ჭაღარა მამაც — ჩვენო აღმზრდელი, ნეტავ როგორი ჩანდა ქვეყანა იმ ნაპირიდან, სადაც ქარონმა გადაგიყვანა სამარადეამოდ და ვაატანა შენი ფიქრები ამღვრეულ ლეთას?

ალან ლევერტონი

ქალაქური ფსალმუნი

ისევ მკვლევლობა.

ცოდვათა ჯაჭვი გენეტიკური ბაზივით მოგვსდევს, უსამართლობა უცილოდ მართავს თავის საუფლოს და გვახრჩობს ჩვენზე გაცრუებული იმედის მტვერში მივყვები ქუჩას

დაბეჩავებულ გამვლელთა გვერდით.

ეღრიალებს რკინა,
 უხილავ გრდემლზე ურტყამენ უროს,
 არეკლილ სხივებს
 სატანურ აღში გაუხვევიათ ავტოსადგომი
 და მე კი ამ დროს
 უსულო ყოფის შემადრწუნებელ ნანგრევებს
 ანაზღად შევხვდი გულმოწყალების მწუხარე აჩრდილს
 და შევიგრძენი დავიწყებული ღიმილის სიბოლო...
 რა შეიცვალა?
 განა სიყალბეს მოელო ბოლო,
 ან გაიფანტა ადამიანთა მარადი სევდა?
 განა სიკვდილმა გადადო ცელი?
 მაგრამ უეცრად, ცოდვილ მიწაზე
 მე დავინახე სასუფეველი.



ჯეიმს ღიკი

გამოღვიძება

იღვიძებს ლოთი
 და არც კი იცის,
 რომ ტროტუარზე გუბეში ვდია,
 ან რომ ბალიშად ქვა უდევს მხოლოდ.
 იღვიძებს ლოთი
 გაკავებული გვერდების სრესით
 და დაბინდული ცნობიერების უკუნ
 სიღრმეში
 კრთება იმედი.

ლოთი მოცოცავს
 ბურანის თბილი ორმოდან ზემოთ,
 შიშველ მიწაზე;
 ქრისტეშობის დღეს გაღვიძებული
 ბავშვავით ელის
 ბედის საჩუქარს.

სინათლეს ელის
 მიტოვებული სიზმრების ფასად;
 მაგრამ არ უწყის, თვალს რომ გაახელს
 ვის შეიძლება გადაეყაროს.
 ზოგჯერ ეს მხოლოდ მანეკენია —
 ცვილის ფიგურა
 მოურგებელი ტანსაცმლით ტანზე,
 ცივ ვიტრინაში.

ეს რა ბედი აქვს!
 რაც არ უნდოდა, ისევ ის ერგო...
 ვერ დააღწია თავი
 ქალაქის მტაცებელ კლანტებს,
 რომ ლობის მიღმა
 მიუწვდომელი ვარდების ბაღში
 გაშოტილიყო,
 თუნდაც მიწაზე,
 თვალმინაბული ნაგაზის გვერდით.

ან ერთხელ მაინც (თუნდაც ამჯერად)
 რატომ არ მოხვდა წმინდა საყდარში —
 არა მიცვლილი,
 გამოტედილი ოთხ ფიცარს შუა —
 არამედ ხატთან მუხლმოყრით მდგომი,
 ხელში სანთლებით.

რატომაც არა?
 სასწაული ხომ ყოველდღე ხდება!

და ლოთიც ელის გამოღვიძებას
 ისეთ გრძნობით,
 როგორც მოკვდავი
 საიქიოში მკვდრეთით აღდგომას;
 როგორც ახალი, გამოუცდელი
 ყოფის დასაწყისს.

არაფერია შეუძლებელი:
არც წყალზე გავლა,
არც სამარიდან ამობიჯება,
არც ის, რომ დილით
თბილი ბალიში არ გადაიქცეს გაყინულ
ლოდად

და სინანული არ შემოგაწვეს სინათლის

ხილვის.



იღვიძებს ლოთი
და ტროტუარზე გუბეში
გდნის მუცელი
ბიზნიფისეკა

ირვინ სტატნარი

მოგზაურობა

ო, გაიღვიძო ვენეციაში,
სინგაპურში;
ო, გაიღვიძო ათენში
ტკბილი ანისის ღვინით ნაბახუსევმა;
ო, გაიღვიძო გენუელი ლამაზმანების
ვარდისფერი ნამცხვარით საამო
ბუდეში;

ო, გაიღვიძო ლონდონში, სტამბოლში,
კარაკასში,
ბომბეიში;

ო, გაიღვიძო უცხო ფრინველის
კვერცხით ლურჯი
ვეგოსის ფათარაყრილი ტალღების
ქაფში.

ო, გაიღვიძო პირველად
რომში;

გაიღვიძო, წამოხტე და მიირბინო
გისოსებიან სარკმელთან
კამშრალ ტუჩებზე ათრთოლებული
ახალი ლექსის
დაუწერელი უბადლო სტროფით.

ო, გაიღვიძო შეყვარებულმა
ლენინგრადში;

ო, გაიღვიძო პარიზში
პარიზზე შეყვარებულმა,
ახეტიალო მის ქუჩებში ღამის
სათარქვეშ

და ასე შეხვდე განთიადის
ცად ამადლებას.

ო, გაიღვიძო
დიდ მწვანე ველზე
და შეისრუტო ბალახებიდან
ცინცხალი ნამის ტკბილი წვეთები,
თავი ასწიო და შეხვდე მზერით
მზეს, ცაზე შეკრულს ოქროსფერ
მუშტად;

ან
შუალამისას
ძილი დაგიფრთხოს სატრფოს ქვითინმა
და დაკარგულმა სიყვარულმა
გიჩურჩულოს მწარე სათქმელი.

ო, გაიღვიძო
და შეაქკერდე უსაზღვროდ ლურჯი
მარადიული ზეცის თალიდან
ვარსკვლავთა დასის ჩამოღვრილ
სხივებს.

და/ან
ო, გაიღვიძო ტიმბუქტუში, ტაილანდში
ტიბეტის მარად მშვიდ ფერღობებზე,
თეთრი შროშანის პაწია ყურით
შეისმინო საბრალო ბაღების კვნესა,
შეიწყალო მიუსაფარნი
და

სპილოს ბრძნული თვალთ შეხედო
ღერძის გარშემო მბრუნავ სამყაროს,
როგორც ყვავილის გაუშლელ კოკორას;
მთელ ამქვეყნიურ ამოცებას;
ფელაპთა ცეკვას ხნულის ბელტებზე
და მათ მიამიტ, გულღია სიცილს.

□

მიგელ და უნამუნო

ღონ სანდალიოს, მოჭადრაკის ნოველა

ესპანურიდან

თარგმნა მერი ტიტვინიძე



„მაშინ მათს სულში განვითარდა ფრიად დასანანი თვისება, როცა სისულელეს დაინახავდნენ, არ მოეთმინათ“.

(გ. ფლობერი, „ბუვარი და ბეკიუშე“)

პროლოგი

მას წინათ ერთი ჩემი უცნობი მკითხველისაგან ბარათი მივიღე. მცირე ხანს არ გაუვლია და ახლა თავისი მეგობრის წერილების ასლებიც (ნაწვევებები) გამომიგზავნა; მასთან თურმე მიწერ-მოწერა ჰქონდა და მეგობარი წვრილად მოუთხრობდა, როგორ გაიცნო ვინმე ღონ სანდალიო. მოჭადრაკე და ასევე წვრილად უხასიათებდა მას.

„კარგად მომეხსენება, — მწერდა ჩემი უცნობი მკითხველი, — რომ სულ თემებისა და სიუჟეტების ძებნაში ხართ თქვენი ნოველებისა თუ ნივთებისთვის და ეგებ ამ წერილებშიც მიაგნოთ რაიმე საგულისხმოს. თავადვე ნახავთ, რომ მათში წაშლილია მოქმედების ადგილთა სახელები, ხოლო რაც შეეხება დროს. თუ მაინც გაინტერესებთ, გეტყვით, ეს აზბავი ხდებოდა 1910 წლის შემოდგომაზე და ზამთარში, თუმცა ისიც კარგად ვიცი, თქვენ ის კაცი არა ხართ, ვისაც სულ იმაზე უჭირავს თვალი, როგორმე ფაქტები დროსა და ადგილს დაუუკავშიროს და, ჩემი აზრით, თქვენ უფრო მართალი ბრძანდებით.

კიდევ ბევრს მწერდა, მაგრამ არ მინდა თავი შეგაწყინოთ, რადგან აპერატივისა არ იყოს, პროლოგმაც მეტიმეტად არ უნდა შეგვიყოლიოს.

I

31 აგვისტო, 1910

ძვირფასო ფილიპე, უკვე აქ ვარ, სანაპიროს ამ მყუდრო კუთხეში, მთის ძირას, ზღვას რომ გაჰყურებს, აქა ვარ და ღმერთსა მადლი, არც არავის ღიჯნობ და არც არავინ მიცნობს. მოგეხსენება, რამაც ჩამომიყვანა ამ მხარეში, ევრეთ წოდებულ მოწყასთა და ჩემივ მსგავსთა საზოგადოებას გამოვექეცი, მარტოდენ ზღვის ტალღებისა და ხეთა ფოთლების სიახლოვეს ველტვოდი, ფოთლებისა, უკვე რომ ცვივა და მალე ტალღებად გადაეწვლება მიწას.

ისიც იცი, მიზანთრობიის ახალი შეტევა რომ მომივიდა, უფრო სწორად, ანთროპოფობიისა, რადგან ადამიანები ისე არა მძულს, როგორადაც მეშინია მათი და ვგრძნობ, როგორ იზრდება ჩემში ის დასანანი თვისება, ფლობერის გმირების, ბუვარისა და ბეკიუშეს სულს რომ დაეუფლა — როცა დაინახავდნენ

ესპ. novela ნიშნავს რომანსაც და ნოველასაც, მიგელ და უნამუნომ ერთ-ერთ თავის წიგნს — „ბურუსი“ — უწოდა ნოველა და იქვე განმარტა, რომ მან გამოიგონა ასევე ეს სიტყვა, რომელსაც უწოდებს ნივთსაც, ე. ი. რომანს (novela).

ადამიანთა სისულელეს, არ მოეთმინათ. თუმცა, მე რომ მკითხო, უფრო მართებული იქნებოდა ეთქვა — „გაიგონებდნენ“ და არა „დაინახავდნენ“, როგორც სულელეს — კი არ ხედავ, არამედ გესმის და გესმის ყოველ ციხეში. სისულელეებს ხომ პირდაპირ აფრქვევენ ახალგაზრდებიცა და მასწავლებლებიცა და ჭკვიანებიც; იმ ხალხზე მოგახსენებ, ვისაც ჭკვიანად მოაქვს თავი და აკი სწორედ ისინი ამბობენ და სჩადიან კიდევ სისულელეებს. ვიცო, შეგიძლია ჩიხში მიმიმწყევდიო ჩემივე სიტყვების გამო, რამეთუ მე თვითონ არა ერთხელ მითქვამს, სულელთა შორის ყველაზე დიდი სულელი ისაა, ვისაც თავის ცხოვრებაში სისულელე არც უთქვამს და არც ჩაუდენია-მეთქი.

აქ მე დავემსგავსე რობინზონ კრუზოს, მარტოსულს, თუმცა კი დროდადრო გზაზე მაინც მხვდებიან ხოლმე ადამიანთა ლანდები. ხომ გახსოვს, ერთხელ მე და შენ „რობინზონიდან“ ერთ პასაჟს რომ ეკითხულობდით, იმ შემადრწუნებელ პასაჟს, სადაც აღწერილია, როგორ გაემართა ერთ დღეს რობინზონი სანაპიროსკენ თავისი ნავის დასახელად და გაოცებულმა სილაში ადამიანის ფეხის ნაკვალევი შეამჩნია; მეხდაცემულივით გაშეშდა, თითქოს ელვამ დააბრმავაო — thundertruck — ანდა მოჩვენება გამოეცხადაო. მიაყურა, მიმოიხედა, მაგრამ ვერც ვერაფერი გაიგონა და ვერც ვერაფერი დაინახა, მთელი სანაპირო შემოირბინა, მაგრამ ამაოდ! მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაფეხური, ფეხის ანაბეჭდი, თითების, ქუსლის, მთლიანი ტერფის ანაბეჭდი. თავზარდაცემული რობინზონი მიტრიალდა და კისრისტეხით გაიქცა თავისი გამოქვაბულისკენ, თავისი ციხე-სიმაგრისკენ; გარბოდა და თან ყოველ ნაბიჯზე ჩერდებოდა, აქეთ-იქით იყურებოდა, ყოველი ხე და ბუჩქი აფრთხობდა, შორიდან, ადამიანებად ეჩვენებოდა, ვერაგ, ბოროტი ზრახვებით აღსავსე ადამიანებად.

რა კარგად ვხედავ რობინზონს! აკი მეც მასავით გავრბივარ, მაგრამ ადამიანის შიშველი ფეხის ნაკვალევისგან კი არა, თვითონ ადამიანებისგან, მათი სულიდან ამონთხეული სიტყვებისგან, სიყვეყნეში ჩანთქმული მათი სულისაგან გავრბივარ, ოღონდ კი როგორმე თავი გავარიდო და არ შევეფეთო მათს სისულელეს. და მეც მივდივარ სანაპიროზე და ყურს ვუგდებ ზღვის მოქცევას, ავდივარ მთაზე და ვუსმენ ხეთა ფოთლებში მოხუზუნე ქარს. მთელს არემარეზე იცაო არ ჭაჭანებს! არც ქალი, რასაკვირველია! ხანდახან მარტო ბავშვს თუ გადავეყრები სადმე და ისიც ისე პატარას, რომ ჯერ ლაპარაკიც კი არ იცის რიგიანად და არც იმ სისულელეების გამეორება შეუძლია, შინ რომ თუთიყუშებივით აზუბირებინებენ მშობლები.

II

5 სექტემბერი

გუშინ ტყეში დავეხეტებოდი და ხეებს ვეჩურჩულებოდი. მაგრამ სულ ამაოდ ვცდილობ თავი ავარიდო ადამიანებს, სულ ერთია, მაინც ყველგან მხვდებიან; ჩემი ხეებაც ლამის გაადამიანურებულები არიან! არა, იმიტომ კი არა, რომ ადამიანებმა დარგეს და გაზარდეს, არამედ კიდევ სხვა მიზეზის გამოც, აკი ისინიც მოთვინიერებული და მოშინაურებული ხეები გახლავთ.

ერთ ბებერ მუხას მეტადრე დავუშეგობრდი. ნეტავ კი გაჩვენა, ფელიპე. ნეტავ კი გაჩვენა, რა გოლიათია! ეტყობა უკვე ძალიან ბებერია, სანახევროდ მკვლარიც კი, კარგად გამიგე, სანახევროდ-მეთქი, მოლიანად კი არა! ტანზე ღრმა ჭრილობა აქვს და მთელი ვულ-გეამი მოუჩანს; მაგრამ ჩაჰხედავ და სიყვარულის მეტს ვერას დაინახავ. ეს უნდა იყოს მისი გული, თუმცა ბოტანიკის ჩვენი ზერელე ცოდნის მიხედვით, მისი ნამდვილი გული აქ სულაც არ არის;

წვენი კი მერქნის ცილასა და ქერქს შორის მიედინება. ნეტავ იცოდე, რარი-
 ვად მაფორიაქებს მისი უკვე ნაწიბურებგადაქსილი ღრმა ჭრილობა, ფულუროში
 ქარი დათარეშობს და ანიავებს; აქ ვინმე ყარიბს ავდარში თავიც კი შეუძლია
 შეაფაროს, ანდა ვინმე განდევილმა, ტყის დიოგენმა ნახოს საყუდარო და მაინც
 წვენი მიედინება ქერქსა და მერქანს შორის; სასიცოცხლო ძალებს მზე-
 ზე მწვანედ მოხასხასე ფოთლებს, მწვანეს მანამდე, სანამ გაყვითლდება და
 დაჭკნება, მერე კი მიწას დაეფინება, ამ გოლიათის ძირშივე დაღებება, მის დახ-
 ლართულ ფესვებს ჩაეხვევა, ნეშომპალად გადაიქცევა და გაზაფხულზე კვლავ
 ამოყრდილი ფოთლების საზრდო გახდება. ნეტავ გაჩვენა, როგორაა გადაჭლობილ-
 გადახლართული ერთმანეთში მისი ფესვები, როგორაა მიწაში განტოტვილი და
 ღრმად გადგმული და თან ისევე ებლაუჭება მიწას, როგორც მისი გვირგვინი-
 ეპოტინება ცას.

აღბათ ფიქრობ, შემოდგომაზე ბებერი მუხა მთლად გაშიშვლდება. და და-
 მუნჯდებათ: არა, ასე არაა, რადგან მასავით გამძლე სურო გარს ეხვევა მის
 ზემოთ ამოყრდილ ფესვებსა და ტანს, რგოლებად ეკლება და ერთიანად ჰმოსავს
 ხასხასა, მარადმწვანე ფოთლებით. ხოლო როცა მუხის ფოთოლი მიწას დაეფი-
 ნება, ქარი მას ზამთრის სიმღერას უმღერებს, ჩურჩულით ჩამოურბენს სუროს
 ფოთლებს და თითქოს უკვე უსიცოცხლო მუხა კვლავ ახასხასდება მზეზე, ეგებ
 ფუტკრის გუნდმაც მიაგნოს და მის შუაზე გაპობილ სტომაქში დაიბუღოს.

არ ვიცი, ჩემო კარგო ფელიპე, როგორ მოხდა, მაგრამ ამ ბებერმა მუხამ
 ლამის შემარიგა ადამიანებთან, თანაც, გამოგიტყდები, კარგა ხანია არც სისუ-
 ლელე რაიმე გამოგონია! მაგრამ შენ წარმოიდგინე, თურმე უამისოდ ცხოვრებაც
 არ ყოფილა იოლი. უკვე შეშინია, არ დაემარცხდე.

III

10 სექტემბერი

აკი გეუბნებოდი, ფელიპე, დავმარცხდები-მეთქი; ჰოდა, კიდევ დავმარცხდი!
 კაზინოს ხშირი სტუმარი ვაზხდი, თუმცა უფრო მაყურებელი გახლავარ, ვინემ
 მსმენელი; ეს კი სულ იმ პირველი წვიმების წყალობაა; ავდარში ხომ ვერც სა-
 ნაპიროზე გაივლი და ვერც მთებში იხეტიალებ კაცი; ოტელში გამოკეტილს აბა
 რითი უნდა შემექცია თავი? მთელი დღეები კითხვა და წაკითხულის ხელახლა
 გადაკითხვა კი შეუძლებელია; ამას ნამდვილად ვერ გავუძლებდი. აი, ასე და
 ამგვარად შევეჩვიე კაზინოს.

ჯერ სამკითხველო დარბაზში შევივლი ხოლმე, სადაც გაზეთებზე მეტად
 მკითხველების თვალიერება მიზიდავს; გაზეთები განზე მრჩება, მათში უფრო
 მეტ სისულელეს ამოიკითხავ, ვინემ მათი დაშწერისაგან გაიგონებ. რა თქმა
 უნდა, ისეთებიც გამოერევათ, სისულელის თქმის გარკვეული ნიჭი რომ გააჩნიათ,
 მაგრამ როგორც კი დაწერენ... შენს მტერს! რაც შეეხება მკითხველს, უნდა ნახო,
 კარიკატურებზე რომ იცინიან, თავად რა სანახავეები არიან, აი, ამას ჰქვია, თუ
 ჰქვია, ცოცხალი კარიკატურა!

მერე დარბაზს ვტოვებ, ადამიანთა თავყრილობის ამ ბუდეს და მივიპარები;
 მათი საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტ აღწევს ჩემს ყურამდე და ჭრილობას კიდევ
 უფრო მიარჯლებს. მე კი აქეთ, ზღვის სანაპიროსა და მთისკენ სწორედ განკურ-
 ნების იმედით მოვეშურებოდი. არა, არა, ადამიანთა სისულელეს ვერ გავუძლებ.
 ამიტომ დიდის მოთმინებით აღვიჭურვე და მოწინებული მაყურებლის როლი
 ვარჩიე; ასე ვადევნებ თვალს ტრესილიოს, ტუტეს, ანდა მუსის პარტიებს. რაც
 არ უნდა იყოს, ამ ხალხმა უსიტყვო ურთიერთობის რაღაც გარკვეულ საშუალებ-

ბას მაინც მიავსო და მე მახსენდება ფსევდოპესიმისტ შოპენჰაუერის უმაღლესი სისულელე, ვითომ სულელებმა, რაკი აზრი არ გააჩნდათ, მის მაგივრად დახატული მუყაოს ქაღალდების გაცვლა-გამოცემა დაიწყეს და ამას ბანქო დარქვესო. მაგრამ თუ სულელებმა ბანქო მაინც გამოიგონეს, მაშინ არც რსუტნი სულელები ყოფილან, რადგან თვითონ შოპენჰაუერმა ესეც ვერ გამოიგონა, ვინებრისი აბდაუბდის რაღაც სისტემა გამოიგონა, ამ აზრების დასტას პესიმისმა დაარქვა, ხოლო მასში ყველაზე უარეს ქაღალდს ტანჯვა უწოდა, თითქოს მას გარდა აღარ არსებობდეს ისეთი სეკდა თუ მოწყენილობა, ანდა სხვა რამ ისეთი, ბანქოს თამაშით რომ გაიქარწყლებდნენ მოთამაშენი.

IV

14 სექტემბერი

თანდათან კაზინოს სხვა ხშირი სტუმრები გავიცანი, ასე ვთქვათ, ჩემი თანამეინახეები, რამეთუ მეც ხშირი სტუმარი გახლავარ, თუნდაც დროებითი და, ცხადია, ჯერ მხოლოდ მაყურებელი. მე უფრო იმით ვერთობი, რომ აქეთ-იქით დავდივარ და ჩემთვის წარმოვიდგენ ხოლმე. რაზე შეიძლება ისინი ფიქრობდნენ, რა თქმა უნდა, როცა მღუმარედ არიან, თორემ, როცა ლაპარაკობენ, ამის წარმოდგენა ძნელია. თუ ვუყურებ, ისევე ტრესილიოს თამაშს ვუყურებ, ვიდრე მუსისა, რადგან მუსის დროს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ; მათი შემახილები — „ვყიდულობ!“ „ჩავდივარ!“ „კიდევ ხუთს!“ „ათს!“ „ვიღებ!“ — ცოტა ხანს კი მართობს, მაგრამ მერე უკვე მღლის ხოლმე. განსაკუთრებით მომწონს ბასკური სიტყვა „ვიღებ!“ — ერთი მოთამაშე გაფხორილი მამალივით რომ გადასძახებს ხოლმე მეორეს.

ყველაზე მეტად მაინც ჭადრაკი მიზიდავს, თუმცა კი მოგეხსენება, სიყმაწვილეში მეც მოვიხადე საზოგადოებისგან განცალკევებული ორი მოთამაშის ეს სენი, თუკი ამას საზოგადოება ჰქვია. მაგრამ აქ, კაზინოში, ჭადრაკის პარტიას არც ჩუმად თამაშობენ და არც განცალკევებით. მათ მუდამ მაყურებელთა ბრბო ასევია გარს და თითქმის ყველა სულას ხმამაღლა არჩევენ. ის კი არაღა, ზოგჯერ მოთამაშეებსაც არ აცლიან და სულასაც თვითონვე აკეთებენ ხოლმე. ყველაზე სასიერო ერთი სამთო ინჟინრისა და გადამდგარი მოსამართლის თამაშია. გუშინ, მაგალითად, მოსამართლე, რომელსაც, ეტყობა, ცისტითი სჭირს, სულ ცმუკავდა და შფოთავდა, მაგრამ ტუალეტში წასვლაზე მაინც ვერ დაიყოლიეს, არამც და არამც მარტო არ წავალ, თუ ინჟინერი არ გამოძევება, რადგან ძეშინაა, ჩემს არყოფნაში ფიგურები თავის სასარგებლოდ არ გადასვ-გადმოსვასო. ბოლოს ორივე ერთად გაემართა ტუალეტისკენ და სანამ მოსამართლე სითხისაგან თავისუფლდებოდა და ინჟინერი კი მოთმინებით ელოდებოდა, მაყურებლებმა კომპოზიცია მთლად შეცვალეს.

მაგრამ აქ არის კიდევ ერთი ძალზე საწყალი სენიორი, რომელიც განსაკუთრებით იპყრობს ჩემს ყურადღებას. რამდენჯერმე მოკვარი ყური, დონ სანდალიოს რომ ეძახიან და შეიძლება ასეც ჰქვია; თუმცა კი იშვიათად თუ ვინმე მიმართავს. ეტყობა, ჭადრაკი მისი ყველაზე დიდი გატაცებაა. სხვა მისი ცხოვრებისა არაფერი ვიცი და არც მინდა რაიმე გავიგო; მე თვითონვე მინდა წარმოვიდგინო. როგორც ჩანს, კაზინოში მარტო ჭადრაკის სათამაშოდ დადის; მის ხმას ვერ გაიგონებ, სულ შეპყრობილივით თამაშობს, გეგონება, მისთვის ჭადრაკის მეტი ქვეყანაზე არაფერი არსებობსო. კაზინოს ხშირი სტუმრები პატივისცემითა თუ რაღაცნაირი თავაზიანი გულგრილობით ეპყრობიან, მაგრამ ისიც

შეკამჩნე, რომ ამ თავაზიანობაში თანაგრძნობაც გამოსჭვივის. მგონი, სულაც მანიაკად მიაჩნიათ. ამის მიუხედავად, მაინც გამოჩნდება ხოლმე თითო-ორი ღვთისნიერი ადამიანი და ალბათ უფრო სიბრაღელის გამო ერთ პარტიას ქთამაშება.

თამაშის დროს მაყურებელი არასდროს თავზე არ დაადგება წვეწვევს არ უყვარს ცნობისმოყვარე ხალხი და ამიტომ ერიდებათ. მე თვითონ ახლოსაც არ ვეკარები მის მაგიდას, თუმცა კი ფიქრით სულ მის გარშემო ვტრიალებ. ამკარად ვხედავ, დანარჩენებისაგან ძალზე განსხვავდება, ისეა ჩაფლული თავის თავში, ანდა უფრო სწორად, თამაშში, რომ იფიქრებთ, თამაში მისთვის რაღაც წმიდათა წმინდაა, ნამდვილი რელიგიური წესის აღსრულებააო. „ნეტავ როცა არ თამაშობს, რას აკეთებს? — ვკითხები ჩემს თავს, — რა საქმიანობას ეწევა და რითი ცხოვრობს? აქვს თუ არა ოჯახი? უყვარს თუ არა ვინმე? ტანჯვა ან იმედგაცრუება თუ გამოუცდია? სულიერი ტრაგედია თუ გადაუტანია?“

კაზინოდან რომ მიდის, მეც უკან მივყვები, ღამის სახლამდე ვაცილებ და თან გაფაციცებით ვაღეკნებ თვალს, აბა თუ ჭადრაკის ცხენის სელას გააკეთებს, როცა ჭადრაკის დაფასავით კვადრატულად მოკირწყლულ მთვარ მოედანს გადაჭრის-მეთქი. მაგრამ მერე საკუთარი თავისა შემრცხვება ხოლმე და ჩემი გზით მივდივარ.

V

17 სექტემბერი

ვცდილობ როგორმე დავაღწიო თავი კაზინოს ჯადოს, მაგრამ ძალიან მიჭირს; დონ სანდალიოს სახება ყველგან თან დამყვება. ტყეში ჩემი ხეები რომ მიზიდავენ, ჩემი გოლიათი მუხა, გაადამიანურებული, ჩუმი და მწვანე, ეს კაციც სწორედ ასე მიზიდავს; ისიც ისე თამაშობს ჭადრაკს, ხეები რომ ისხამენ ფოთლებს.

ორი დღე ვუკლიდი გარს კაზინოს და როგორც შემქმლი ვუძალიანდებოდი ცდუნებას, არ შევსულიყავი; მივიღოდი კართან და მაშინვე უკან გამოებრუნდებოდი.

გუშინ მთაზე ავედი. გზას რომ დავადექი, — ეს გზა ხომ მონებისა და დაქირავებულ მუშათა ხელითაა მოასფალტებული, ხოლო ბილიკები თავისუფალი ადამიანების (თავისუფალი?) ფეხით გატკეპნილი, — ავჩქარდი, მინდოდა სასწრაფოდ შემეფარებინა ტყეში თავი, ძალე გავცლიდი რეკლამის პლაკატებით დამახინჯებულ ბუნებრივ სიმწვანეს. გზატკეცილის ორივე მხარეზე ჩამწკრივებული ხეებიც კი სარეკლამო ტუმბებად გამოუყენებიათ. დარწმუნებული ვარ, ჩიტებს ამ რეკლამებისა უფრო ეშინიათ, ვიდრე საფრთხობელისა, გლეხები რომ დგამენ ხოლმე ნათესებში. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სანახავია ჯობზე ჩამოცმული ტანსაცმელი. ამ ღვთისაგან გაჩენილ, ნაზ ქმნილებებს რომ ამინებენ და მინდვრებიდან სდევნიან, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკაან, რომელთა არა აქვს საუნჯე, ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ზრდის მათ.

შევეყვი მთას, ღრმად შევედი ტყეში და ძველი შენობის ნანგრევებს მივადექი. მარტო კედლებიღა იდგა და ჩემი ბებერი მუხის მსგავსად მასაც სურო მოსდებოდა. ერთი ჩამონგრეული კედლის მიღმა ნასახლარი ჩანდა, ჩამოქცეული ბუხარი, ოჯახური კერიის ნაკვალევი. ალბათ სადამოობით მთელი ოჯახი მოგიზგიზე ცეცხლს შემოუსხდებოდა ხოლმე. იმ ცეცხლის ჭვარტლი აქამდე შემორჩენილიყო. ახლა კი ამ გაჭვარტლულ ბუხარზე სუროს მწვანე ფოთლები

ხასხასებდა და თავს ჩიტები დასტრიალებდნენ. ეტყობა, შიგ ბუდეები გაეკეთებინათ.

არ ვიცი, რამ გამახსენა დონ სანდალიო, ეს ხალდი ქალაქელი და კაზინოს ხშირი სტუმარი. მაშინ კი ვიფიქრე, ამოდ ვცდილობ ხალხს გავეცე. თავი გაეკრიბო მათს სისულელეებს, ამ ბრიყვულ ცივილიზაციას, სულ ერთია, ვინაა, მათს მოდგმას ვეკუთვნი, გაცილებით მეტად ვარ მასთან მიჯაჭვული, ვიდრე მგონია და მათგან მოშორებით ცხოვრებაც ნამდვილად არ ძალმიძს-მეთქი. დიახ, სწორედ ეს მიზიდავდა და მჭარდებოდა კიდეც! მარტო ეს ამანთებდა!

ვხედავდი, რომ უღონსანდალიოდ სიცოცხლე აღარ შეძებლო, ახლა მხოლოდ მასზე ფიქრს მახულდგამულებდა.

VI

20 სექტემბერი

და აი, რა მოხდა გუშინ! მეტი ვეღარ მოვითმინე. დონ სანდალიოც ჩვეულებრივად დროზე მოვიდა კაზინოში, წუთიც არ გადაუცილებია, ცოტა ადრეუკი; სანქაროდ დალია ყავა და მაშინვე ჭადრაკის დაფას მიაშურა, დააღაგა ფიგურები და პარტნიორს დაუწყო ლოდინი. მაგრამ პარტნიორი არ ჩანდა. იჯდა ასე თავისთვის მოწყენილი და სივრცეს გასცქეროდა. გული შეშეკუმშა, ისე შეშეკოდა, რომ ვეღარ მოვითმინე და მიუუახლოვდი.

— ეტყობა, თქვენი პარტნიორი დღეს მოსვლას არ აპირებს! — ვუთხარი მე.

— ეტყობა! — მომიგო მან.

— თუ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო, ეგებ მის მოსვლამდე ერთი პარტია ჩემთან ვეთამაშათ! დიდი მოჭადრაკე კი არ გახლავართ, მაგრამ საკმაოდ ბევრი მიყურებია თამაშისთვის და იძეღია, გამოუცდელივით თავს ძალიან მაინც არ შეგაწყენთ...

— გმადლობთ! — დამთანხმდა იგი.

რატომღაც მეგონა უარს მეტყოდა და ისევ თავის ძველ პარტნიორს დაელოდებოდა, მაგრამ არ გამაწბილა, დამთანხმდა, თვინდ არ გამცნობია, როგორც წესი და რიგია, არც ჩემთვის უკითხავს ვინაობა. თითქოს სინამდვილეში არც ვარსებობდი, თითქოს მისთვის უკვე ვარკვეული პიროვნება ვიყავი, სამაგიეროდ, ის არსებობდა ჩემთვის... ესე იგი, ჩემს წარმოსახვაში. ერთი შეხედვაც ძლივს მადირსა, დაფისთვის თვალი არ მოუცილებია, ეტყობა, მისთვის ჭადრაკის ფიგურები — პაიკი, კუ, მხედარი, ეტლი, ლაზიერი, მეფე, — უფრო სულიერები იყვნენ, ვიდრე ის, ვინც ამ ფიგურებს გადასვ-გადმოსვამდა. ეგებ მართალიც გახლდათ.

თამაშობს საკმაოდ კარგად, თავდაჯერებულადაც კი, დიდხანს არ ფიქრობს, არც მე შედავება და არც თვითონ აბრუნებს უკან ფიგურებს; მარტო აქა-იქ თუ წამოიძახებს „ქიში“! ამას წინათაც გწერდი, ისე თამაშობს, გეგონება, რაიმე რელიგიურ რიტუალს ასრულებდეს-მეთქი, თუმცა არა, უფრო სწორად, ისე თამაშობს, თითქოს რაღაც უსიტყვო რელიგიურ მუსიკას თხზავდეს. მისი თამაშიც თითქოს მუსიკალურია, ფიგურებს არფის სიმებივით ეხება, ის კი არადა, მომეჩვენა, თითქოს მისმა ცხენმა დაიჭიხვინა კიდეც, მაგრამ არა, როცა მეფეზე თავდასასხმელად დაიძრა, თითქოს მისი მელოდიური ფშვინვა გავიგონე; ნამდვილი ფრთოსანი ცხენია, პეგასი, ანდა კლავილენო; აკი ისიც ხისა იყო. მერედა, რა მოხდენილად ჯდება მისი ცხენი დაფაზე! კი არ გადახტება, არა, პირდაპირ გადაფრინდება ხოლმე. ან ლაზიერს როგორ ეხება! ნამდვილი მუსიკაა!

მომიგო და მომიგო არა იმიტომ, რომ ჩემზე უკეთესად თამაშობს, არამედ იმიტომ, რომ მთლიანად თამაშშია ჩაფლული, მე კი მის ცქერაში სრულიად მეფანტება გულსყური. არ ვიცი, რატომ, მაგრამ წარმოვიდგინე, რომ ეს კაცი შეიძლება დიდი ჭკვიანი არ გახლდეთ, მაგრამ რაც რამ ჭკუა გააჩნია, ანდა უკეთ, სული, მთლად თამაშში სდებს.

რამდენიმე პარტიის შემდეგ შეუთავაზე, ეგებ თამაში დაუამთავროთ-მეთქი, რადგან მას საერთოდ დაღლას ვერ შეატყობ.

— ნეტავ რა შეემთხვა თქვენს პარტნიორს?

— რა ვიცი, — მომიგო მან.

ეტყობოდა კიდევ, რომ ეს სულ არ აფიქრებდა.

კაზინოდან გამოსულმა, ვიფიქრე, სანაპიროზე გავისეირნებ-მეთქი, მაგრამ ფეხი ავითრიე, მინდოდა დაძინახა, ის როდისღა გამოვიდოდა. „ნუთუ ეს კაცი არასდროს არ სეირნობს?“ — ვკითხე ჩემს თავს. ცოტა ხანში ისიც გამოჩნდა, ისე მოდიოდა, თითქოს ვერავის და ვერაფერს ხედავდა. კვალდაკვალ გავყევი, შესახვევამდე ვდიე და დავინახე, რომ ერთ სახლში შევიდა. ალბათ იქ ცხოვრობდა. კვლავ სანაპიროსკენ განვაგრძე გზა, მაგრამ ახლა აღრინდებულად თავს მარტო აღარ ვგრძნობდი, დონ სანდალით გვერდით მომყვებოდა, ჩემი დონ სანდალით. სანამ სანაპიროს მივალწევდი, უეცრად მთისკენ ვიბრუნე პირი, ბებერი მუხის ნახვა მომიხდა, ჩემი გოლიათისა, ძლიერ ტანზე ღრმა ჭრილობა რომ ჰქონდა და ზედ სურო ეხვეოდა. მართალია, სულაც არ ვაკავშირებდი ერთმანეთთან ჩემს მუხასა და მოჭადრაკეს, არა და არა, მაგრამ ორივე ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. მეც რობინზონივით გადავაწყდი ადამიანის სულის შიშველი ფენის ნაკვალევს ჩემი მარტოობის სანაპიროს სილაში; თუმცა ამას არც გავუპვირვებოვარ და არც შევუშინებოვარ, მაგრამ ძალზე კი მიმიზიდა. ნუთუ ესეც ადამიანური სისულელის კვალი იყო? ეგებ ტრაგედიისა? და ნუთუ სისულელე ადამიანის ყველაზე დიდი ტრაგედია არ არის?

VII

25 სექტემბერი

ჩემო ძვირფასო ფელიპე, კვლავაც ისევ ისეთი ძალით მიზიდავს სისულელის, უფრო სწორად, გულუბრყვილობის ტრაგედია. ამ რამდენიმე დღის წინათ სტელში ერთ მეტად თავზარდამცემ საუბარს შევესწარი. ლაპარაკობდნენ ვინმე მომაკვდავ სენიორაზე და მღვდელზე, რომელიც მას აზიარებდა; მღვდელს უთქვამს: „კეთილი, როცა ცათა სასუფეველში ახვალთ და იქ, ალბათ, დედაჩემს შეხვდებით, ნუ დაიზარებთ და გადაეცით, რომ ჩვენ აქ ქრისტიანულად ვცხოვრობთ, რათა მერე მის გვერდით გვეღირსოს ყოფნა“. და რამდენადაც მივხვდი, ამაში ამბობდა მღვდელი, თავისი ღვთისმოსაობით განთქმული და ამბობდა სრულიად სერიოზულად. და რაკი მე ვერაფერს დამაჯერებდა, რომ მღვდელს, ამის მოქმედს, თავადვე სწამდა თავისივე სიტყვებისა, მეც მეტი რაღა დამრჩენოდა, უნდა მეფიქრა მიაშიტობის ტრაგედიაზე, ანდა უკეთ რომ ვთქვათ, მიაშიტობის ბედნიერებაზე, რამეთუ ბედნიერება შეიძლება იყოს ტრაგიკულიც. და მერე ფიქრით კვლავ მივწვდი დონ სანდალით. აი, ის კი ნამდვილად არ ეკუთვნოდა ბედნიერება რიცხვს.

ისევ დონ სანდალით დავუბრუნდეთ. უნდა გითხრა, რომ ჩვენი საჭადრაკო პარტიები კვლავაც გრძელდება. მისი აღრინდელი პარტნიორი, როგორც ჩანს,

ქლაქიდან წავიდა, მაგრამ ეს თვითონ დონ სანდალიოსგან არ გამოვიდოდა. მას ხომ საერთოდ სიტყვა არავიზე დასცდება და არც ცნობისმოყვარეობა ალექსანდრეს ვინ ვარ მე. მისთვის სრულიად საკმარისია, თუ ჩემი სახელი იცის.

შევანჩნიე, რომ მის დაფასთან ახალბედას გამოჩენამ მაინც მშრპქრო შუაში ყურებელთა ყურადღება, რადგან სულ მალე ვარს შემოგვეხვიენენ, დაინტერესდნენ, როგორ ვთამაშობდი, ანდა ეგებ ჩემშიც მეორე დონ სანდალიოს დაინახეს და ასევე უნდოდით განესაჯათ და განესაზღვრათ ჩემი პიროვნებაც. ვანა მეც იფიქვს არ ვაქმოდით მათ მიმართ? მაგრამ როგორღაც მოვახერხე და მივახვედრე, რომ დონ სანდალიოსზე ნაკლებად არც მე მაწუხებდნენ ცნობისმოყვარენი.

გუშინწინ ორი მაყურებელი დაგვადგა თავს: მერედა, როგორი მაყურებელი! მაგრამ ამასაც არ დასჯერდნენ და თამაშის გარჩევა დაგვიწყეს, შემდეგ კი პოლიტიკაზეც წამოიწყეს სჯა-ბაასი. მოთმინება რომ გამოძელია, ვთქვა: „ბოლოს და ბოლოს, როდის განუძღვებით?“ მაშინ კი იკადრეს და თავი დაგვანებეს. ნეტავ ვენახა, რა თვალებით შემომხედა დონ სანდალიომ! რა მადლიერება გამოეხატა მხერამი! მაშინ დაურწმუნდი, რომ მასაც ჩემსავით უჭირდა ადამიანთა სისულელების ატანა.

პარტია დავამთავრეთ და კვლავ სანაპიროსკენ გავწიე, მინდოდა მენახა, როგორ კვდება ტალღა ნაპირზე, სილაში, ამიტომ აღარც დონ სანდალიოს გაუყვი უკან, ალბათ სახლისკენ გაეშურა. მაინც მასზე ვფიქრობდი, ჩემს მოჭადრაკზე, ნეტავ თუ სჯერა, რომ ამქვეყნიური ცხოვრების დასასრულს ცათა სასუფეველში მოხვდება და იქაც, იმ მარადიულ ცხოვრებაშიც ისევ ისე განაგრძობს ჭადრაკის თამაშს ადამიანებთან, თუ ანგელოზებთან.

VIII

30 სექტემბერი

შევატყე, დონ სანდალიოს შეფიქრიანებული ბრძანდებოდა. ალბათ უქეი-ფოდ იყო, მით უმეტეს, რომ მძიმედ სუნთქავდა: ზანდახან მომეჩვენებოდა, საცაა, ოხვრა აღმოხდებოდა. მაგრამ ვანა რამეს ჰკითხავ, გულიც რომ უწუხდებოდეს?

— თუ ვნებავი, დავამთავროთ... — ვუთხარი მე.

— არა, არა, — მიპასუხა მან, — ჩემი გულისთვის ნუ...

„ნამდვილად გმირია!“ — გავიფიქრე, მაგრამ ცოტა ხნის მერე მაინც შევბედე:

— ორიოდუ დღე მაინც დარჩენილიყავით შინ!

— შინ? — გაიმეორა მან, — უარესი იქნებოდა...

მეც მკონია, მისთვის შინ დარჩენა მართლა უარესი იქნებოდა; შინ? მერედა, როგორია მისი სახლი? რა აქვს და ვინ ჰყავს შინ?

რადაც მოვიძიებზე და თამაში შევწყვიტე, მერე ვუთხარი: „გამოჯანმრთელებას ვისურვებთ, დონ სანდალიო!“ „გმადლობთ!“ — მომიგო მან და სახელითაც კი არ მოუძარტავს. ალბათ არც იცოდა.

ჩემი დონ სანდალიო, სულაც არ არის ის, ვინც კაზინოში მარტო ჭადრაკის სათამაშოდ დადის, იგი სულ სხვაა, ჩემი სულის ფსკერზე სადღაც სიღრმეშია მიმაღული, ჩემია, ყველგან რომ თან დამყვება, მეზმანება, ღამის ავადმყოფობად მექცა.

IX

8 ოქტომბერი

იმ დღის შემდეგ, შეუძლოდ რომ იყო, დონ სანდალიო აღარც გამოჩენილა კაზინოში. ეს ისე უჩვეულო იყო, რომ ავფორიაქდი. სამი დღე გავიდა, კი არა და არ ჩანდა, უცხო გრძნობამ შემიპყრო, ჯერ ვიფიქრე, დაფაზე ფიგურებს დავაწყო და დაველოდე-მეთქი მას... ანდა ეგებ სხვას... მერე ვთქვა, იმდენს ვფიქრობ ჩემს დონ სანდალიოზე, ვაითუ ჩემი ორეული გახდა და მეც გაორებული პიროვნებად გადავიქცევი-მეთქი. შემაჟრუჭოლა, განა ერთი არ ვკმაროდი?

სამი დღის შემდეგ კაზინოს ერთმა ხშირმა სტუმარმა მართლ რომ დამინახა და ეტყობა, წარმოიდგინა, მოწყენილობისგან ვიტანჯებოდი, მომიახლოვდა და მითხრა:

- ალბათ გაიგებდით დონ სანდალიოს ამბავს...
- მე? არა, რა დაემართა?!
- ჰოო... ვაჟიშვილი მოუკვდა.
- აჰ, ჰყავდა კი ვაჟიშვილი?!
- დიახ, ჰყავდა, არ იცოდით? მერედა, რა ამბავი გადახდა!..

ვერ გეტყვი, რა დამემართა, მაგრამ ამის გაგონებაზე სიტყვაც არ დავამთავრებინე, იმაზეც არ მიფიქრია, რა წარმოდგენა დარჩებოდა ჩემზე, მაშინვე ავდექი და გავედი. არა, არ მინდოდა ვინმეს მოეთხრო დონ სანდალიოს ვაჟიშვილის ამბავი, არ მინდოდა! რისთვის? რაც არ უნდა მომხდარიყო, მე ჩემი დონ სანდალიო ისეთი მინდოდა შემენარჩუნებინა, როგორც იყო, სუფთა, შეულახავი, ჩემი დონ სანდალიო, ჩემი, ისედაც, მისი შვილის ამბავმა რაღაც თითქოს ავნო. მისმა სიკვდილმა ხომ მოულოდნელად შეგვაწყვეტინა ჭადრაკის თამაში! არა, არა, არავითარი ამბების გაგონება არ მინდოდა. ამბები? როცა ამბები მჭირდება, თავადვე ვთხზავ ხოლმე.

შენ ხომ მაინც იცი, ფელიპე, ჩემთვის არავითარი ამბები რომ არ არსებობს, ჩემი ნოველების გარდა, რასაც მე თვითონვე ვთხზავ, ახლა კი მით უმეტეს, არ მინდა, რომ დონ სანდალიოს, ჩემი მოჭადრაკის ნოველაში კაზინოს მოთამაშეები ჩავრიო.

გამოვედი კაზინოდან, დონ სანდალიო იქ აღარ მეგულებოდა და აბა, რაღა გამაძლებინებდა, გაეწიე მთისკენ, მუხის სანახავად. მის გაშიშვლებულ გულგვამს მზე ანათებდა. ფოთოლცვენა დაწებულიყო, მოწყვეტილი ფოთილი წამით სუროზე ჩერდებოდა.

X

10 ოქტომბერი

დონ სანდალიო დაბრუნდა, დაბრუნდა კაზინოში, ჭადრაკს დაუბრუნდა. დაბრუნდა ადრინდებული, ჩემი, ისეთივე, როგორსაც აქამდე ვიცნობდი. თითქოს არც არაფერი შემთხვევიაო.

— ღრმად თანავიგრძნობთ, დონ სანდალიო, რა უბედურება... — ვუთხარი მე და ვიცრუე.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ! — მომიგო მან.

და მერე დაიწყო თამაში. ასე გეგონებოდათ, მის ოჯახში, მის მეორე ცხოვრებაში სულ არაფერი მომხდარიყო. მაგრამ ჰქონდა კი სხვა ცხოვრება?

მე კი ისევ ჩემებურად ვიფიქრე, სინამდვილეში ხომ არც მე ვარსებობდა მისთვის და არც ის ჩემთვის, და მაინც..

თამაში დავაძთავრეთ და მე კვლავ ხანაპიროს მივაშურე; მაგრამ მოსვენება არ მომცა იმაზე ფიქრმა, — ეგებ სისულელედ კი მოგეჩვენოს, რამდენადც მიცნობ, — ნეტავ დონ სანდალიოს თვალში როგორი ვხანვარ. რას ფიქრობს ჩემზე, როგორი წარმოუდგენივარ-მეთქი, ან საერთოდ ვინ ვარ მისთვის?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XI

12 ოქტომბერი

არ ვიცი, ჩემი ძვირფასო ფელიპე, რა ეშმა შემიჯდა ისეთი, რომ ვიფიქრე. მოდი, დონ სანდალიოს ერთ საჭადრკო ამოცანას შევთავაზებ-მეთქი.

— ამოცანა? — თქვა მან, — ამოცანები რომ სულ არ მაინტერესებს? განა საკმარისი არ არის ის ამოცანები, რასაც თვით თამაში გვთავაზობს? ჩვენ რიდასთვის უნდა გამოვიგონოთ?

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ჩემი დონ სანდალიოსაგან ამდენი სიტყვა ერთად მოვისმინე; და მერე რა სიტყვა! კაზინოს ვერც ერთი სტუმარი ჩემსავით ვერ გაიგებდა ამ სიტყვების აზრს. მაგრამ მე მაინც ხანაპიროსკენ ვავწიე იმ ამოცანების საძებნელად, რასაც ზღვის ტალღები შემომთავაზებდა.

XII

14 ოქტომბერი

ნამდვილად გამოუსწორებელი ვარ, ფელიპე, გამოსწორებელი. გუშინწინ რომ დონ სანდალიოსაგან ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი მივიღე. თითქოს ის არ კმაროდა, ახლა კიდევ კუზიც წამოვუწყე მსჯელობა, ჭადრაკის კუზე, რომლისაც ყველაზე მეტად მეშინია.

აი, ასე დავიწყე, მაგრამ რა დავიწყე, კუს ფრანგები 104-ს ეძახიან, რაც „სულელს“ ნიშნავს, ინგლისელები კი bishop-ს, ესე იგი, ეპისკოპოსს, რაც გვაფიქრებინებს, რომ კუ ვინმე სულელი ეპისკოპოსის სახელს უკავშირდება, რომელიც ალბათ კუსავით გვერდულად დადიოდა თეთრსა და შავ უჯრებზე და მის საკუთარ ფერს სულაც არა აქვს მნიშვნელობა-მეთქი; ასე და ამგვარად ვილაპარაკე თეთრი კუს პოზიციაზე. მხოლოდ თეთრსა და შავ უჯრებზე რომ დადის, მერე შავ კუზე, ასევე თეთრსა და შავ უჯრებზე რომ დადის! ერთი სიტყვით, ვერ ავიწერ, რეები არ მოვჩმახე! ის კი, ჩემი დონ სანდალიო შიშით შემომცქეროდა. ალბათ ასე დამთხვეულ ეპისკოპოსს თუ შეაცქერდებოდა და ჩემგანაც ისევე გაიტყეოდა, როგორც იმ კუსგან. ამას ვლაპარაკობდი იმ შუაღამებში, როცა ფიგურებს ვცვლიდი, თეთრებსა და შავებს და შესაბამისად კი პირველი სვლის უფლებას. ისე მიყურებდა დონ სანდალიო, ბოლოს კიდევ შემრცხვა.

კაზინოდან რომ გამოვედი, მერეღა ვიფიქრე, რამდენად სამართლიანი იყო დონ სანდალიოს მზერა, თუკა იგი გაქად არ მთვლიდა, თუმცა მე თვითონ კი მჩვენებოდა, რაკი ასე რიგად მეშინოდა ადამიანთა სისულელეებთან შეჯახებისა და მოყვასის სულის შიშველი ფეხის ნაკვალევისა; განა მეც კუსავით გვერდულად არ დავდიოდი თეთრსა თუ შავ უჯრებზე?

გეუბნები, ფელიპე, ეს დონ სანდალიო ნამდვილად გამაგიჟებს.

XIII

23/ ოქტომბერი

ჩემი ძვირფასო ფელიპე, მთელი რვა დღეა შენთვის არაფერი მომიწერია. რადგან თავს შეუძლოდ ვგრძნობდი. აუშტ უფრო მეჩვენებოდა, ვითომ ავად ვიყავი. ესეც არ იყო, ძალზე გამიტკბა ლოჯინში ნებივრობა, სადაც უბილად რომ ვიყავი ჩაფუთსული. ჩემი საწოლი ფანჯარასთან მიდგას და პირდაპირ გაუცქერი უახლოეს მთასა და კარგად მესმის პატარა ჩანჩქერის ხმაურიც. გვერდით, მაგიდაზე ჭოგრიტი მიდევს და საათობით ვუყურებ ხოლმე წყლის ვარდნას. მერედა, როგორ იცვლება მთაში, მზის სინათლეზე შუქ-ჩრდილები!

ქალაქში განთქმული ექიმი მოვიწვიე, დოქტორი კასახუევა, რომლის მიზანი თითქოს მარტო ის იყო, რომ, უწინარეს ყოვლისა, ჩემივე მოსაზრებები ჩემსაკვე ავადმყოფობაზე მთლად გაექარწყლებინა, მაგრამ მარტო იმას მიაღწია, რომ კიდევ უფრო გამიფუჭა გუნება-განწყობა, ლამის დამაჯერა, ვითომ ჩემს ავადმყოფობას თავადვე ვუწყობდი ხელს და ვამძლავრებდი კიდევ მთებში ხშირი სიარულით. მერე მირჩია, თამბაქოს თავი დაანებეო და როცა ვუთხარი, ჩემს ცხოვრებაში არ მომიწევია-მეთქი, აღარ იცოდა, რა ეთქვა, ისიც კი ვერ მოიფიქრა, სხვა ექიმი რას ეტყოდა ავადმყოფს ასეთ შემთხვევაში — „რა გაეწყობა, ადექით და წევა დაიწყეთ!“ და ეგებ მართალიც იქნებოდა, რადგან ასეთ დროს მთავარია რეჟიმის შეცვლა.

მთელი ეს დღეები თითქმის ლოჯინში ვაკატარე და ამის მიზეზი მარტო უქეიფობა როდი იყო; ასე უფრო სრულად ვტკბებოდი ჩემი იძულებითი მარტობით. სინამდვილეში რვა დღე უშეტესწილად ვთვლემდი და ამ ძილ-ღვიძილის დროს ვერც ვარჩევდი, როდის მეზმანებოდა მთა, რომელსაც ცხადად ვხედავდი და როდის ვხედავდი ცხადად დონ სანდალიოს, რომელსაც სინამდვილეში ვერ ვხედავდი.

წარმოიდგინე, დონ სანდალიო, ჩემი დონ სანდალიო მეზმანებოდა მთელი ჩემი ავადმყოფობის დროს, ვერა და ვერ მოვიძიორე თავიდან ფიქრი, ვაითუ ამ დღეებში რაიმე შეემთხვა, რადარ შეიცვალა მის ცხოვრებაში და როცა კახინოში დავბრუნდები და კვლავ განვაახლებთ ჩვენი ჭადრაკის პარტიებს, შეიძლება სრულიად სხვა ადამიანად წარმომიდგეს-მეთქ.

ერთხელ შემზარავი რამ მეზმანა — დონ სანდალიო საშინელი შავი ცხენის სახით გამომეცხადა — რასაკვირველია, ჭადრაკის ცხენის სახით, — საიდანღაც ხევიდან გადმოეშვა და ვითომ ჩემი შენთქმა უნდოდა, მე კი ამ დროს საცოდავი თეთრი კუ ვარ, საწყალი დამთხვეული ეპისკოპოსი, თეთრი მეფე უნდა დავიცვა და არ მოვაკვლევინო. როცა გამოვფხიზლდი, უკვე გარიჟრაჟი იწყებოდა, უსიამო სიმძიმე ვიგრძენი მკერდში და ღრმად დავიწყე სუნთქვა, თან მკერდს ვიხეული გულის გასაყარჯიშებლად, რაკი ექიმ კასახუევას მიაჩნია, რომ გაღალღილი მაქვს. მერე ავიღე ჭოგრიტი და ჩემ პირდაპირ, მთას დავუწყე ცქერა, საიდანაც ჩანჩქერი ვარდება და მას შხეფებში ამომავალი მზის სხივები ირეკლება.

XIV

25 ოქტომბერი

ამ ბარათში სულ რამდენიმე სტრიქონს ვაკმარებ. სანაპიროზე ვავედი სასეირნოდ; უკაცრიელი იყო იქაურობა, მაგრამ კიდევ უფრო უკაცრიელი მეჩვენა, რადგან ერთ ყმაწვილ ქალს მაინც მოვკარი თვალი; ხედ ნაპირზე მიდიოდა, ტალ-

ლები ლამის ფეხებში სცემდა და ალბათ უსველებდა. ისე ვადევნებდი თვალს, რომ მას არ დაეცნახე. ამოიღო რაღაც წერილი, წაიკითხა და მკლავები ჩამოუცვივდა, წერილი კი ორივე ხელით ჩაებლუჯა; მერე კვლავ ასწია ხელები, ხელახლა ჩაიკითხა, შემდეგ გულდაკულ რამდენჯერმე დაკეცა და ნაკუნებად აქცია, ისევ განაგრძო გზა, თან მიდიოდა და თან სათითაოდ წერდა ნაკლებებს, ქარი კი ამ დავიწყების პეპლებს ზღვისკენ მიაქანებდა. ამას რომ მივინახე, ამოიღო ცხვირსახოცი და აქვითინდა, თან ცრემლებს იწმენდა. ზღვიდან მონაბერსიო მის სახეზე მათ კვალსაც შლიდა. ეს იყო და ეს.

XV

26 ოქტომბერი

ჩემი ძვირფასო ფელიპე, ისეთი რამ უნდა ვიამბო, ისეთი გაუგონარი და დაუჯერებელი, ყველაზე მოსაზრებულ ნოველისტსაც კი ფიქრად რომ არ მოუვა. კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რამდენად მართალი იყო ჩვენი მეგობარი პეპე, გალისიელს რომ ვეძახდით, როცა სოციოლოგიაზე რაღაც წიგნს თარგმნიდა და გვითხრა: „არ მომწონს სოციოლოგიაზე დაწერილი დღევანდელი წიგნები; სწორედ ახლა ერთ ამისთანა წიგნს ვთარგმნი პირველყოფილი ქორწინების თაობაზე, რომელშიც ავტორი გაუთავებლად მსჯელობს იმაზე, რომ თუკი ალგორკინები ასე და ასე ქორწინდებიან, ჩიპენეზები ისე, კათრები სხვანაირად და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... წინათ წიგნებს სიტყვებით ავსებდნენ, ახლა კი რაღაც ფაქტებითა და დოკუმენტებით. მაგრამ იმას, რასაც აზრი ჰქვია, ველარსად ვხედავ... მე რომ ჩემი მხრივ რაიმე სოციოლოგიური თეორიის შექმნა მომენდომებიანა, ისევ ჩემივე გამოგონილ ფაქტებზე ავაგებდი, რადგან სრულიად დარწმუნებული ვახლავარ, თუნდაც ყველაზე უფრო დაუჯერებელი რამ, თუკი ოდესმე აღამიანს გამოუგონია, ან უკვე მომხდარა, ან ხდება, ან არადა, მომავალში მოხდება“. აი, ხომ ხედავ, რა სწორად სჯიდა ჩვენი კეთილი პეპე!

ახლა მოდი და ფაქტებზე ეილაპარაკოთ, ანდა თუ გნებავს, მოვლენებზე.

როგორც კი ცოტა მოვლონიერდი და ფეხზე წამოვდექი, მაშინვე, ცხადია, კაზინოს მივაშურე, გულიც იქითკენ მიმიწევდა და ადვილი მისახვედრია, ყველაზე მეტად დონ სანდალიოს ნახვა მეჩქარებოდა, ერთი სული მქონდა, სანამ ჩვენს პარტიებს განვაახლებდით. მივედი, მაგრამ ის იქ არ დამიხვდა; ჩვეულებრივად კი ამ დროს აქ უნდა ყოფილიყო. არც ის მინდოდა, რომ ვინმესთვის მეკითხა მისი ამბავი.

ცოტა ხანს დავიცადე, მერე ველარ მოვითმინე, მოვითხოვე ჭადრაკის დაფა, ადევმალე გაზიტი, სადაც საჭადრაკო ამოცანები იყო და ამოხსნას შევუდექი. ამ დროს მომიახლოვდა ერთი მაყურებელი და მკითხა, ეგებ ერთი პარტია ჩემთან ვეთამაშათო. წამით შევეყოყმანდი, უარის თქმა დავაპირე, რადგან ვიფიქრე, ჩემს დონ სანდალიოს ვულაატებ-მეთქი, მაგრამ ბოლოს მაინც დაეთანხმდი.

ეს კაცი, მანამდე მაყურებელი და ახლა ჩემი პარტნიორი, ის მოთამაშე აღმოჩნდა, ვისაც ჩუმად თამაში არ შეუძლია, თავის სვლას აუცილებლად ხმამაღლა გამოაცხადებდა, შენიშვნებს გაუკეთებდა, რაღაც ფრაზებს იმეორებდა, ან არადა, დიღინებდა. ამის გაძლება ნამდვილად შეუძლებელი იყო. მერედა, როგორ განსხვავდებოდა ეს პარტია დონ სანდალიოს სერიოზული, დაფიქრებული და უსიტყვო თამაშისაგან!

(წავიკითხე თუ არა წერილი, ვიფიქრე, ამის ავტორს ეს დღეს, 1930 წელს, რომ დაეწერა, ალბათ დონ სანდალიოს თამაშს მუნჯ კინემატიოგრაფს შეადა-

რებდა-მეთქი, გრაფიკულსა და სანახაობით, ხოლო ამ ახალი პარტნიორის თამაშს — ხმოვან კინემატოგრაფს. და ასე მივიღებდით ხმოვან ანდა ხმაურთან პარტიებსაც!).



საქართველოს
საბჭოთაო კინო

ასე მეგონა, გავარჯარებულ ნაკვერხლებზე ვიჯექი და მაინც ვერა და ვერ წევბედე მეთქვა, გაჩუმებულიყო. არ ვიცო, მიხვდა თუ არა, მაგრამ ორი პარტიის მერე გამომიცხადა, უნდა დაგტოვოთო, გამომშვიდობებისას პირდაპირ მომახალა:

— ალბათ უკვე გაიგებდით დონ სანდალიოს ამბავს...

— არა, რას?

— იმას, რომ ციხეში ჩასვეს.

— ციხეში?! — წამოვიძახე თავზარდაცემულმა.

— დიახ, ციხეში! ახლა გესმით... — დაიწყო მან.

მაგრამ მაშინვე გავაჩუმე:

— არა, არაფერიც არ მესმის!

ავდექი, არც კი დავემშვიდობე და მყისვე დავტოვე იჭაურობა.

„ციხეში! — მივდიოდი და ჩემთვის ვიმეორებდი, — ციხეში! რატომ? მაგრამ ბოლოს და ბოლოს მე რაში მეკითხება? მე არ ვიყავი თვითონ, როცა ვაფიშვილი მოუკვდა, ამბის გაგებაც კი არ ვისურვე? მაშინ არც მაშის დაპატიმრების ამბავი უნდა მაინტერესებდეს, სულ არ მეკითხება! მე მგონია, არც იმას ენალელება დიდად, როგორ შევხვდები ამ ამბავს ან რას ვიფიქრებ მასზე. ამის ნაუხედაჯად, მოულოდნელობისგან სულ ერთიანად ამემღვრა სული და გონება. ვილასთან ვითამაშებ ამიერიდან ჭადრაკს, რომ ადამიანთა ამ უკურნებელ სენს, სასულელეს როგორმე თავი ავარიდო?“

ზოგჯერ ვიფიქრებ, მოდი ვაკითხავ, თუ ცალკე საკანში ზის და მისი ნახვა შეიძლება, მივალ ციხეში, ნებას ვითხოვ, ყოველდღიურად თითო ხელი ვვითამაშონ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ არ დავიწყებ გამოძიებას, როგორ და რა მიზეზით აღმოჩნდა იგი ციხეში, საერთოდ კრინტსაც არ დავძრავ. მაგრამ რა ვიცი, ვგებ რომელიმე პატიმართან უკვე თამაშობს კიდევ ჭადრაკის იმ თავის ყოველდღიურ პარტიებს?

ახლა ხომ შეგიძლია წარმოიდგინო, რარიგად აამღერეკდა ეს ყოველივე ჩემს მეუღლეს მარტოობას.

გავიქეცი კაზინოდან, გავიქეცი ქალაქიდან, თავი გავარიდე ადამიანთა საზოგადოებას, რომელთაც გამოიგონეს ციხეები, და მთავრად მივაშურე; რაც შეიძლებოდა მორიდან შემოვუარე, შარავზას გვერდი ავუქციე, რადგან აქეთ-იქით ჩამწკრივებული სარეკლამო ბოძკინტიბად გადაქცეული საბრალო ხეობიც კი პატიმრობად მქნვენებოდა, ანდა უპატრონოთა სახლის ბინადრებად, თუმცა ეს თითქმის ერთი და იგივეა; ეს სარეკლამო ფარები — რას არ უკეთებენ რეკლამას, ერთნი სასოფლო-სამეურნეო იარაღს, უმეტესნი ლიქიორსა თუ მანქანის საღებავებს. მანქანები ხომ ყველგან დაგრიადლებენ, — და საერთოდ ყოველივე ეს მაგონებს ადამიანთა საზოგადოებას, რომელსაც არ შეუძლია იცხოვროს უხუნდებოდ და

უბორკილებოდ, უჯვებარებოდ და უსაკნებოდ. სხვათა შორის შევნიშნოთ, ზოგიერთ იარაღს სახელად ცოლსა და ჭრიჭინობელასაც კი არქმევენ. საბრჯოლო ჭრიჭინობელები! საბრალე ცოლები!

დავეხეტებოდი მთაში, გვერდს ვუვლიდი ადამიანთა ფეხით გატეპნილ ბილიკებსაც. ვერიდებოდი, თუკი შემეძლო, მათს ნაკვალევს, გამხმარებლობებში მივაბიჯებდი და ვაშრივლებდი — უკვე ცვივა კიდეც — და ზიტოს მიუხედავად ამ ძველი სახლის ნანგრევებს, ამას წინათ რომ გწერდი, იმ ჩამონგრეულ ბუხარს, დღეს რომ სურთ შემოჭვევია და მის ფოთლებში ჩიტებს დაუბუდებიათ. ვინ იცის, ოდესღაც ამ სახლშიც ჩქეფდა სიცოცხლე, როცა ბუხარში ცეცხლი გიზვახებდა და შეშას ტკაცატკუცი გაჰქონდა, ოჯახური შეჭამადი იხარშებოდა, ეგებ კერიასთან გალიაც ეკიდა და პაწაწა, ლამაზი ჩიტბატონა ხანდახან უსტვენდა!

აქ, ამ ნანგრევებში ერთ ოთხკუთხა ქვაზე ჩამოუჯექი და ჩემს ფიქრებში კვლავ წარმოსდგა დონ სანდალიო; ეგებ მასაც ჰქონდა ასეთივე ოჯახური კერა; მაგრამ ჰქონდა კი კერა სახლში, სადაც თავის აწ განსვენებულ ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობდა, ან, ვინ იცის, ეგებ კიდეც სხვასთან, ვინმესთან ერთად, თუნდაც ცოლთან? ნეტავ ცოლი ჰყავს თუ ქვრივია? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის? რაზე ვიმტვრევ თავს, საჭადრაკო ამოცანებისა არ იყოს, ამ ამოცანების ამოხსნაზე, რომელთაც ვაი რომ არ მთავაზობს ჩემი ცხოვრების თამაში?

ააჰ, არ მთავაზობს, არა!.. ხომ იცო ჩემო ფელიბე, რამდენი წელია, მეც მომეშალა ოჯახური კერა; ჩემი კერაც დაინგრა, დაინგრა კი არა, მისი ჭვარტლიც კი გაქრა, ქარმა წაიღო; ისიც კარგად მოგეხსენება, ჩემი კერის დანგრევა გახდა მახეზი სამუდამო სიძულვილი ჩამსახოდა ადამიანური სისულელეებისადმი. მარტოსული იყო რობინზონ კრუსო, მარტოსული იყო გუსტავ ფლობერი, მათსავით მარტოსულად მესახება დონ სანდალიოც, მათსავით მარტოსულად ვარ მეც. და განა ყველა მარტოსული, ფელიბე, ჩემო ფელიბე, პატიმარი არ არის, თავისი მარტოობის საკანში გამომწყვდეული არ არის, თუმცა კი თავისუფალი ჰქვია?

ნეტავ რას იზამს დონ სანდალიო, განა ახლა უფრო მეტად არ განიცდის მარტოობას ციხის საკანში გამომწყვდეული? დაემორჩილება თავის ზვედრს, მოათხოვს ჭადრაკის დოზსა და ამოცანების წიგნს და დაიწყებს მათ ამოხსნას, თუ თავადვე გამოიგონებს ამოცანებსა და თავსატეხებს? მაგრამ თითქმის არ შეპარება იჩქვი, რომ სულაც არ აიტიკივებს თავს იმ ამოცანების ამოხსნაზე, რასაც გამომძიებელი დაუსვამს, — წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ ვერ მიცენია იგი, მე კი მგონია, არა ვცდები და კარგად მესმის ჩემი დონ სანდალიოსი.

აბა, მე რაღა დამრჩენია ამ ქალაქში, როცა დონ სანდალიო ციხეში ზის; აკი აქ იმ იმედით მოვდიოდი, რომ განვაკურნებოდი ამ მოუშორებელი სენისგან ანთროპოფობიისგან! რაღა ვაკეთო ამ სანაპიროზე, მთაში, თუკი დონ სანდალიო აღარა მყავს; ის ხომ ერთადერთი სულიერი იყო, ვინც ადამიანებთან მაკავშირებდა, ადამიანებთან, ასე რიგად რომ მიზიდავენ და თან სიძულვილს მიღვიძებენ? ვთქვათ, დონ სანდალიო კიდეც გამოვიდა ციხიდან, დაბრუნდა კაზინოში, დაუბრუნდა თავის ჭადრაკს, — ანდა სხვა რა უნდა ქნას? — მე როგორ ვეთამაშო ან როგორ შევხედო თვალეებში, როცა ვიცი, ციხეში იჯდა და ღმერთმა უწყის, რისთვის? არა, არა, დონ სანდალიოს, ჩემს დონ სანდალიოს ჩამდვილად დაღუპავს ციხე! ვული მიგრძნობს, ის იქიდან ვეღარ გამოვა, კიდეც რომ გა-

მოვიდეს, მიუღი თავისი დარჩენილი ცხოვრება ხომ ამოცანად უნდა იქცეს! თანაც უკვე ამოხსნილ ამოცანად! ეს შვეულებელია!

შენ ვერ წარმოიდგენ, ფელიპე, რა სულიერი განწყობილება დამეუფლა, როცა იმ ნასახლარიდან წამოვედი. მივდიოდი და თან გზადავს ვეფიქრობდი, ეგებ მერჩივნა, იმ ნანგრევებზე ერთი საკანი ჩემთვისაც ამეშენებინა, ერთი კაცისთვის სამყოფი, მყუდრო საკანი და საკუთარი თავი ჩამემსვენდია? ანდა ეგებ სჯობდა დონ კიხოტივით მეც ხის გალიაში ჩასმული ხარებშებმული ფორნით ქუჩა-ქუჩა ვეტარებინეთ. ჩავუვლიდი მინდვრებს და დავინახავდი კეთილგონიერ ადამიანებს, დღენიადავ რომ ფუსფუსებენ და ჰგონიათ, კეთილგონიერები ვართო, ანდა კეთილგონიერ ადამიანებს, რომელთაც ჰგონიათ თავისუფლება ვართო, თუმცა ეს ხომ ერთი და იგივეა. დონ კიხოტი! ისიც რობინზონივით მარტოსულია, ბუვარისა და ბეკიუმესავით მარტოსული, მარტოსული, ვისაც ვილაც ბლენძმა მღვდელმა, კეთილგონიერების ყოველგვარი სისულელით გაჭყეპილმა, დონ რეგვენსი უწოდა, თან მოურიდებლად სახეში ახალა და უხამსად და უხეშად დაუწყო ჭკუის სწავლება!

რაკი სიტყვა დონ კიხოტზე ჩამოვარდა, უნდა ვითხრა და ამჯერად ამით დავასრულო კიდევ ეს წერილობითი გულის გადახსნა; ჩემთვის წარმოვიდგენ ხოლმე, ვითომ, მას შემდეგ, რაც იგი ბარსელონაში სამსონ კარასკომ დაამარცხა და მერე თავის კერას დაუბრუნდა, მაშინვე არ მომკვდარა-მეთქი; კიდევ კარგა ხანს იცოცხლა, იქამდე, სანამ მისმა კეთილშობილმა, წმინდა სიგიჟემ არ გაუარა, ბოლოს კი მაინც ვეღარ გაუძლო ადამიანთა ბრბოს შემოსევებს, საწყალ იდალგოს მოსვენებას რომ არ აძლევდნენ და ხან რას სთხოვდნენ და ხან რას, ესაო და დაგვეხმარე, გაჭირვებისგან გვიხსენიო, ელაში თვალები გაგვისწორეთ და ვინ იცის, კიდევ რას; და როცა იგი უარით გაისტუმრებდა, ლანძღავდნენ, ფარისევებსა და მოლაღატეს ეძახდნენ; სახლიდან გამოვიდოდნენ და გაიძახოდნენ: „მოლად ბოლო მოეღო!“ ყველაზე მეტად რეპორტიორთა ურდო სძაგდა, კითხვებით გულს რომ უწვრილებდნენ, ანუ როგორც დღეს იტყვიან, ინტერვიუს სთხოვდნენ; წარმომიდგენია, რაებს აღარ ეკითხებოდნენ: „კაბალერო, მაინც როგორ გაითქვით სახელი?“

მაგრამ კმარა, კმარა, კმარა, ადამიანთა სისულელეს ზღვარი არა აქვს.

XVII

30 ოქტომბერი

გაუთვალისწინებელი და არაჩვეულებრივი მოვლენები, უბედურებისა არ აყოს, გეზად მოდიხო, ნათქვამია. ამიტომ ვერც წარმოიდგენ, კიდევ რა მელოდა. და აჰა, აკი სასამართლოში ჩვენების მისაცემად გამომიძახეს. „ჩვენების?“ — აღბათ მკითხავ, ამასვე ვეკითხებოდი ჩემს თავსაც: „ჩვენების? რა ჩვენების?“

მეც რა ძალა მქონდა, აუღვქი და გამოვეცხადე მოსამართლესთან, რომელმაც დამაფიცა, ანუ პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა, რომ სიმართლეს ვილაპარაკებდი, კითხვებზე პასუხს ვაეცემდი, თუკი რამ ვიცოდი, ყველაფერს დავუქვავდი და მაშინვე დამისვა კიდევ კითხვა, იცნობ თუ არა დონ სანდალიოს, მეტსახელად კვადრატულ წრეს რომ ეძახიანო. მე, რაღა თქმა უნდა, ვუთხარი, როგორც ვიცნობდი, რომ ჩემთვის ის მხოლოდ მოჭადრაკე იყო და მხოლოდ თამაშის დროს ვხვდებოდი ხოლმე, მის პირად ცხოვრებაზე კი წარმოდგენაც არა მქონდა. მოსამართლე ამ პასუხს არ დასჯერდა და ისევ თავისი განავრძო,

ეტყობა, იფიქრა, რამეს დაეცდენინებო, მაგრამ რას დამაცდენინებდა, რაც არ ვიცოდი მაინც მკითხა, როდისმე ხომ არ უთქვამს, რა დამოკიდებულება ჰქონდა თავის საძქესთანო; მე, რასაკვირველია, ვუპასუხე, პირველად მესმის, გათხოვილი ქალიშვილი რომ ჰყოლია და არც ის გამოიგონია, კვადრატულ წრეს თუ ეძახიან-მეთქი.

— მაგრამ დონ სანდალიოს, — თუკი მის სიძეს დაუჯერებდა, უნდა თქვენს დაკითხვა გვირჩია, — ერთხელ შინ თქვენზე ულაპარაკია, — მითხრა მოსამართლემ.

— ჩემზე? — წამოვიძახე ძალზე გაკვირვებულმა და შეცბუნებულმა, — მე კი დარწმუნებული ვიყავი, ჩემი სახელიც არ იცოდა, საერთოდ, მისთვის არც ვარსებობდი!

— ცდებით, ჩემო ბატონო! მისი სიძის ჩვენების მიხედვით...

— მაგრამ გარწმუნებთ, ბატონო მოსამართლევ, იმაზე მეტი, რაც უკვე მოგახსენეთ, არაფერი ვიცი დონ სანდალიოზე და არც მინდა ვიცოდე.

ეტყობა, მოსამართლემ ბოლოს, როგორც იქნა დამიჯერა, რომ მართალს ვამბობდი და თავი დამანება, შემდგომი დაკითხვებისგანაც გამანთავისუფლა.

ჩემი დონ სანდალიოს ამბებმა სულ ერთიანად ამიბნია თავგზა. კაზინოში დაბრუნებაზე ფიქრიც არ მინდოდა. აბა, როგორ უნდა მივსულიყავი იქ, როგორ უნდა მომესმინა მოთამაშეთა მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი, როცა ჩემთვის ისინი საშუალო საზოგადოების, საზოგადოების საშუალო არითმეტიკულის განსახიერებანი იყვნენ და მეტი არაფერი. გეუბნები, ფელიპე, აღარ ვიცი, რა ვიღონო.

XVIII

4 ნოემბერი

ახლა კიდევ უფრო განსაცვიფრებელი და თავზარდამცემი ამბავი უნდა გითხრა: დონ სანდალიო ციხეში გარდაიცვალა! კარგად არ ვიცი, როგორ შევიტყვე ეს ამბავი, ალბათ ისევ კაზინოში თუ მოვკარი ყურა; იქ ხომ დიდი მოთქმამოთქმა ჰქონდათ ამის გამო. მათი შენიშვნებისა და ვარაუდების მოსმენა არ შეძებლო და დაუყოვნებლივ გავეცალე იქაურობას, მაშინვე მთას მივაშურე. მთუარეულივით მივფრატუნობდი, არ მესმოდა, რა ხდებოდა ჩემს თავს. ვერც კი შევაძინე, როგორ აღმოვჩნდი მუხასთან, ჩემს ბებურ მუხასთან და რაკი წვიმა იწყებოდა, მის ფულუროში შეეაფარე თავი. ვიჯექი ასე, მოკუნტული ჩემს თავშესაფარში, ვითარცა დიოგენი თავის კასრში, რაღაც ბურანში წახული, ქარი კი გამხმარ ფოთლებში ზუზუნებდა, გაყვითლებული ფოთლები ცვიოდა ჩემს ფერხით, მუხის ძირში.

რა განცდა დამეუფლა იქ? რატომ შემომაწვა გულზე შავი ნალველი და რატომ ავტირდი? გესმის, ფელიპე, ავტირდი, ჩემი დონ სანდალიოს სიკვდილმა გული ამიჩუყა! უსაზღვრო სიცარიელე ვიგრძენი სულში. კაცი, რომელსაც სულ არ აინტერესებდა საჭადრაკო ამოცანების ამოხსნა, — სისტემატურად რომ იბეჭდება ხოლმე ჟურნალ-გაზეთებში რებუსების, შარადებისა და სხვა ამისთანების განყოფილებაში, — კაცი, რომელსაც მოუკვდა ვაჟიშვილი, ჰყავდა და ახლაც ჰყავს ქალიშვილი და სიძე, კაცი, რომელიც ჩასვეს ციხეში და იქვე მოკვდა, მე მომიკვდა! ვედარასოდეს გავიგონებდი მის სიჩუმეს თამაშის დროს, ვერ მოვისმენდი მის ღუმილს, რასაც აქა-იქ არღვევდა მისი ერთადერთი, ზუსტად დროზე და საზეიმოდ წარმოთქმული სიტყვა „ქიში!“ თუმცა უმეტეს შემ-

თხვევაში არც ეს სიტყვა დასცდებოდა, რამეთუ ქიში თუ სახეზეა, მისი ხმა-
მაღლა გამოცხადებაც რაღა საჭიროა.

და ამ კაცს თურმე თავის სახლში ვუხსენებოვარ, თუკი მის სიძეს დაეჯე-
რება. შეუძლებელია! ეს სიძე, ეტყობა, დიდი ცრუპენტელა ვინმეა! ანდა რა უნ-
და ეთქვა, როცა რიგიანად არც კი მიცნობდა! ორიოდე სიტყვით არსებობდას
ერთმანეთისთვის! მაგრამ ვაითუ იმანაც იგივე მოიმოქმედა ჩემ მიმართ, რასაც
მე ვიქმოდი მის მიმართ!

თითქმის დარწმუნებული ვარ, მისმა სიძემ ჩაასმევიანა იგი ციხეში, მაგ-
რამ რისთვის? — ვეკითხებოდი ჩემს თავს; „რისთვის“ და არა „რატომ“ — რად-
განაც კაცი რომ ციხეში ჩაასმევიანო, მთავარი მიზეზი კი არა, მიზეზია! ან მო-
სამართლემ რატომ გამოიძახა მისი კარნახით? იქნებ იფიქრა, ჩემი ჩვენება
გამოადგებოდა დასაცავად... მაგრამ რისგან? იმ ბრალდებისგან ხომ არა, დონ
სანდალიოს რომ წაუყენეს? ნუთუ დონ სანდალიოს, ჩემს დონ სანდალიოს შე-
ეძლო ისეთი რამ ჩაედინა, რომ საციხედ გახდომოდა საქმე? იმ მღუმარე მო-
ჭადრაკის? აკი ჩემს დონ სანდალიოს ჭადრაკის მიმართ რაღაც რელიგიური
დამოკიდებულება ჰქონდა და თუნდაც მარტო ეს დააყენებდა მას კეთილისა და
ბოროტის მიღმა!

მაგრამ ახლა მახსენდება კიდევ დონ სანდალიოს მრავალმნიშვნელოვანი
და ძუნწი სიტყვები: „ამოცანები? ამოცანები სრულიად არ მაინტერესებს, ისიც
კმარა, რასაც თვითონ თამაში გვთავაზობს, ჩვენ რიდასთვის უნდა გამოვიგო-
ნოთ?“ ნუთუ რომელიმე ეს ამოცანა გახდა მიზეზი, რომ იგი ციხეში ჩაესვათ,
ამოცანა, რომელსაც ცხოვრების თამაში გვთავაზობს? მაგრამ ცხოვრობდა კი
ჩემი დონ სანდალიო? თუმცა, რაკი მოკვდა, კიდევ ცხოვრობდა. ხანდახან ეჭვი
შემეპარება ხოლმე, რომ იგი მართლა მოკვდა. დონ სანდალიო და ასეთი სიკვ-
დილი? რანაირად გააკეთა მაინც ასეთი უაზრო სვლა? მისი ციხეში გარდაც-
ვალება რაღაც ოინად შეჩვენება. ეგებ იქ სიკვდილის ჩამწყველვეა უნდოდა, რომ
მერე მკვდრეთით აღმდგარიყო?

XIX

6 ნოემბერი

თანდათან ვრწმუნდები დონ სანდალიოს სიკვდილის ნამდვილობაში, ანდა
შეტი რა გზა მაქვს? მაგრამ კაზინოში დაბრუნება კი მაინც არ მინდა და არა,
ადარ მინდა მშთანთქას თავაზიანი სისულელების ამ მორევმა, ადამიანთა თა-
ნაცხოვრების ყოვლისმომცველი სისულელის ამ ყველაზე უარესმა სახესხვაი-
ბამ, რამეთუ, დამეთანხმები, სწორედ ეს თავაზიანი სისულელე აიძულებს ადა-
მიანებს ერთიმეორეს დაუკავშირდნენ; არ მინდა გავიგონო მათი მითქმა-მოთქმა
დონ სანდალიოს ციხეში იღუმალა გარდაცვალების თაობაზე; განა არსებობს კი
მათთვის საიდუმლო? ბევრი მათგანი ხომ ისე კვდება, რომ ვერც კი გაიგებს,
რა არის საერთოდ საიდუმლო და ბევრიც უკანასკნელ წუთამდე თავის სულელურ
შეხედულებათა ტყვეობაში რჩება; ის კი არადა, სიკვდილის წინ ანდერძადაც
კი გადასცემს თავის შთამომავლებსა და მეძკვიდრეებს ამ თავის შეხედულებებს;
მათი შვილები ხომ მათივე ღირსეული მეძკვიდრეები არიან, სულიერ ცხოვრე-
ბასა და კერას მოკლებულნი.

ტრესილიოს, ტუტეს, თუ მუსის შოთამაშენი, ხანდახან მოჭადრაკეებიც,
იღონდ ისეთები, რელიგიური ჩაღრმავების უნარი რომ არ გააჩნიათ, თამაშის

დროს დაუსრულებლად ყბედობენ და ლაზღანდარობენ, ამით არც ისინი ჩამორჩებიან აბუზარ მაყურებლებს.

ვინ გამოიგონა კაზინოები? რაც არ უნდა იყოს, საზოგადოებრივი კაფე, როცა იქ არ თამაშობენ და არც დომინოს კაკუნი ისმის, როცა შეიძლება თავისუფლად და შშვიდად იმუსაიფო, როგორც იტყვიან, სტენოგრაფიისთვის კი უნდა ყოველი სიტყვა რომ უნდა აწონ-დაწონი, არამედ მართლა თავისუფლად, ასეთ შემთხვევაში კაფე ნამდვილად მოსახერხებელია, თითქოს სულიერადაც კი გახალისებს, ადამიანური სისულელეები აქ თითქოს უფრო იხვეწება და იწმინდება, რადგან თავის თავს დასცინის; ხოლო როცა სისულელეს შეუძლია თავის თავს დასცინოს, უკვე აღარც ისეთი სისულელეა. მოსწრებული სიტყვა, ხუმრობა, ლაზღანდარობა გამოისყიდის და გააუვნებლებს ხოლმე მას.

მაგრამ ეს კაზინოები თავისი წესდებებით, სადაც ასეთ შეურაცხყოფელ პუნქტსაც კი წააწყდები: „რელიგიური და პოლიტიკური დისკუსიები აკრძალულია!“ — მაშ რაღაზე უნდა ილაპარაკო კაცმა! — და თავისი ბიბლიოთეკით, სადაც იმისთანა საკითხავი აქვთ, ეგრეთ წოდებულ სამინელებათა ოთახზე უფრო გამხრწნელად რომ მოქმედებს ადამიანთა ზნეობაზე და სადაც მართლ უცხოელს თუ შეუძლია თავისთვის საჭირო რაიმე ცნობა მოიპოვოს, სადაც ესპანეთის სამეფო აკადემიის ლექსიკონიც მართლ იმისთვის დევს, რომ მოკამათებმა ერთმანეთს დაუმტკიცონ, რომელი სიტყვის რომელი მნიშვნელობა უფრო სწორია და სად უკეთესად გამოიყენება!... მაშინ როცა კაფეები...

ამიტომ ნურც ის შეგაცბუნებს, ჩემო ფელიპე, თუ ახლა მეც ქალაქის რომელიმე კაფეს მივაშურებ, ოღონდ კი დონ სანდალიოს სიკვდილით გამოწვეული ნაღველი გავიქარწყლო. მხოლოდ ერთხელ შევედი აქაურ კაფეში გამაგრილებელი სასმელის დასალევად და ისიც იმ დროს, როცა იქ კაცი არ ჭაჭანებდა. კაფეს კედლებზე ერთმანეთის პირდაპირ ოდნავ დაბინდული სარკეები გამოკრთოდა და მათში ვხედავდი მრავალჯერ არეკლილ საკუთარ თავს, ცოტა მოშორებით — კიდევ უფრო ბუნდოვნად და ასე სევდიან ლანდად ვიკარგებოდი ამ სარკეთა შორეთში; და ყველა ეს სახე, ერთი ორიგინალის ყველა ეს ასლი, მართოსულთა მონასტრის ბინადართა მაგონებდა! უკვე შიში მერეოდა, რომ კაფეში კიდევ ერთი ჩემივე მსგავსი შემოვიდა და როცა დავინახე, როგორ გადაკვეთა მისმა გამრავლებულმა და გამეორებული ლანდივით სახებამ სარკეთა ცარიელ სივრცე, მაშინვე გარეთ გავვარდი.

ახლა უნდა ვიამბო, რა შემემთხვა ერთხელ, როცა მადრიდის რომელიღაც კაფეში ვიჯექი ჩვეულებისამებრ ფიქრებში ჩაფლული და ოთხი კოხტაპრუწა შემოვიდა, შემოვიდა და მყისვე ხარების ბრძოლაზე დაიწყეს კამათი. ვუსმენდი მათს კამათს და ვერთობოდი; ეტყობოდათ, არენაზე ნანახისა დიდი არაფერი გავგებოდათ, ყველაფერი ტავრომაქიის ჟურნალ-გაზეთებიდან ჰქონდათ ამოკითხული. ამ დროს შემოვიდა ერთი კაცი და შირიახლო დაჯდა მაგიდასთან; მოითხოვა ყავა, ამოიღო უბის წიგნაკი და წერა დაიწყო. ეს რომ კოხტაპრუწებმა დაინახეს, შეჩოჩქოლდნენ, ჩაჩუმდნენ და ერთმა მათგანმა ხმამაღლა და გამომწვევად თქვა: „იცით, რას გეტყვით, აი, ის ბიძა, უბის წიგნაკი რომ მოუმარჯვებია და ვითომ თავისთვის რაღაც ამონაგებს ანგარიშობს, სინამდვილეში ერთი იმათგანი ბრძანდება, ვინც კაფეებში იმისთვის დადის, რომ სხვისი ლაპარაკი მოისმინოს და მერე ქვეყნის სამასხაროდ გახადოს იმ თავის ნაჩხაპნებში... საკუთარ ბებიას მოუაროს!...“ აი, ასე განაგრძეს ლაპარაკი, უფრო და უფრო გათამამდნენ, და ბოლოს ოთხივე ისე მისდგა იმ საცოდავს, — ეტყობა, მართლა

ერთი საწყალი რეპორტიორი გახლდათ და მართლა ხარების ბრძოლის შესახებ წერდა, — ისეთ დღეში ჩააგდეს, რომ იძულებული გახდა სასწრაფოდ გაერწულიყო იქიდან. ხარების ბრძოლის ამ მიმოხილველის აღვილზე მასალის მოსაპოვებლად შემოსული ვინმე რეალისტური თუ კონსტუმბრისტული მთხზველი რომ ყოფილიყო, ის კი ნამდვილად ღირსა იქნებოდა ამ მსგავსი გაკეთილისა.

არა, კაფეში სულაც არ შევიხედავ მასალისთვის, არც მით უმეტეს, სარკვევებთან დარბაზებს მივეტანები, რათა თვალი ვადევნო როგორ გავერთიანდებით ლათში მდუმარე და ბუნდოვანი ლანდების გუნდა და როგორ გავიცრიცებთ შორეთში. აღარც კაზინოში დავბრუნდები, არა!

შეიძლება მითხრა, კაზინოც იგივე ბუნდოვან სარკვეთა თავსებურა გაღერება და ჩვენც საკუთარ თავს ვჭვრეტთ იქაცო, მაგრამ... გახსოვს, რამდენჯერ მოგვიყვანია პინდარეს ციტატა, სადაც ამბობს: „იყავ ის, ვინც ხარ!“ მაგრამ ამასთან კიდევ დასძენს — ადამიანი არის ლანდი ჩრდილისაო. კაზინოს მოთამაშეება -- კი ჩრდილის ლანდები კი არა, ლანდის ჩრდილები უფრო არიან, რაც ერთი და იგივე სულაც არ არის. და ღონ სანდალიოში სწორედ ეს ლანდი ვიგრძენი, ამან მიმიზიდა, აკი მას ჭადრაკი ეზმანებოდა, მაშინ როცა სხვები... სხვები ჩემთვის სიზმრისეული ლანდები არიან.

არა, არ დავბრუნდები კაზინოში, არ დავბრუნდები; ამდენი სულელის შემყურე, მეც გავვიფლები.

XX

10 ნოემბერი

მთელი ეს დღეები რომ დავეხეტებოდი, მარტო იმას ვცდილობდი, მოვრიდებოდი ადამიანებს; ახლა უფრო მეტად მეშინოდა მათი სისულელეების გავლენებისა. სანაპიროდან მთისკენ და მთიდან სანაპიროსკენ მივდი-მოვდიოდი, ვუყურებდი ტალღების ზათქს სანაპიროზე და ფოთლების ორომტრიალს მიწაზე, ხან კი ტალღებზეც.

მაგრამ გუშინ, გავიკვირდება, ფელიპე, როგორ გვინია, ვინ გამომეცხადებოდა ოტელში და მოხოვდა, თქვენთან საუბარი მსურსო? სხვა ვინ იქნებოდა, თუ არა ღონ სანდალიოს სიძე?

— გვახელით, რათა ჩემი სიმამრის, ჩემი საცოდავი სიმამრის ამბებში გავარკვიოთ... — დაიწყო მან.

— კმარა, ნუღარ განაგრძობთ, — შევაწყვეტინე სიტყვა, — ნუღარაფერს იტყვიან, არავითარი სურვილი არა მაქვს, მოვისმინო თქვენი ნაამბობი, სულ არ მაინტერესებს ღონ სანდალიოს ამბები და საერთოდ ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სხვათა ამბებს, არც მათს ცხოვრებაში მინდა ჩავიხედო...

— კი მაგრამ, მე რომ მომისმენია თქვენი ამბები ჩემი სიმამრისგან?..

— ჩემი? თანაც თქვენი სიმამრისგან? თქვენი სიმამრი ხომ რივიანად არც კი მიცნობდა... დიახ, მგონი, ღონ სანდალიომ ჩემი სახელიც არ იცოდა...

— ცდებით...

— დაე ვცდებოდე, ეს უფრო მირჩევნია. მაგრამ მე მაინც არა მჯერა, რომ ღონ სანდალიოს ჩემზე რაიმე უთქვა, ის ხომ არასდროს არავიზე და არაფერზე არ ლაპარაკობდა...

— სახლის გარეთ კი...
 — მაგრამ მე არ გამოვივინა, რასაც სახლში ლაპარაკობდა...
 — მე კი, ჩემო ბატონო, — თქვა მან მცირე დუმილის შემდეგ, — რატომ-
 ღაც ველოდი, რომ თანაგრძნობას მაინც გამოიჩენდით, მეტ უფროსებს ვინც
 დავინახავდი დონ სანდალიოს მიმართ...

— დიახ, — ფიცხლად შევაწვევებინე სიტყვა, — კიდევ მაქვს ეს გრძნო-
 ბები, მაგრამ ჩემი დონ სანდალიოს მიმართ, გესმით, იმის მიმართ, ვინც მღუმა-
 რედ შეთამაშებოდა ჭადრაკს და არა თქვენი დონ სანდალიოს, თქვენი სიმამრის
 მიმართ. მე მხოლოდ მღუმარე მოთამაშეები მაინტერესებს, სიმამრებთან საქმე
 არა მაქვს. ამიტომ ვთხოვთ, ნურც ეცდებით, თქვენი დონ სანდალიოს ამბებში
 გამრიოთ, ჩემი დონ სანდალიოსი კი თქვენზე უკეთ მე მომეხსენება.

— ყოველ შემთხვევაში, — შემეპასუხა იგი, — შეგეძლოთ ახალგაზრდა კა-
 ცისტოვის თანაგრძნობა მაინც გამოგეცხადებინათ, უბრალოდ, რჩევის საკითხა-
 ვად მოსული კაცისტოვის...

— რჩევის? ჩემთან? ვერა, მე ვერავითარ რჩევას ვერ მოგცემთ.

— მაშასადამე, უარით მისტუმრებთ...

— დიახ, მტკიცე უარით, არაფრის მოსმენა არ მინდა, სულ ერთია, რაც
 არ უნდა გქონდეთ სათქმელი, ჩემთვის სრულიად საკმარისია ის, რასაც მე თვი-
 თონ ვთხზავ.

დონ სანდალიოს სიძემ ისე შემომხედა, როგორც მისი სიმამრი მიყურებდა
 მაშინ, როცა დამთხვეულ ეპისკოპოსზე, დიაგონალურად მოსიარულე კუზე ვლა-
 პარაკობდი; მერე მხრები აიჩეჩა, გამოემშვიდობა და წავიდა. მართლაც რომ
 დავრჩი, ვიფიქრე, ეგებ დონ სანდალიომ შინ თავის ქალიშვილსა და სიძეს სწო-
 რედ ის ამბავი, კუსა და გადარეული ეპისკოპოსის შესახებ ჩემი ნათქვამი უამბო-
 მეთქი. ვინ იცის...

ახლა უკვე გადავწყვიტე დავტოვო ეს ქალაქი, ზღვისა და მთის ეს კუთხე,
 მაგრამ შევძლებ კი? მაინც როგორ მიმაჯაჭვა აქაურობას დონ სანდალიოზე
 მოგონებებმა? არა, არა, მართლა მამძიმს აქაურობის მიტოვება.

X XI

15 ნოემბერი

ახლა მართლაც მოგონებებილა დამრჩა და მეც ვაცოცხლებ და მეხსიერებაში
 აღვიდგენ იმ ბუნდოვან ხილვებს, რაც კი ჩემს გზაზე შემხვედრია, ლანდებს,
 ჩვენ წინ და ჩვენ მიღმა რომ ჩაუვლიათ, მერე გაცრეცილან, ვითარცა დაბინ-
 დულ სარკეთა გაღერებაში. ერთ საღამოს შინ რომ ვბრუნდებოდი, გზაზე ლანდს
 ვადავეყარე. ამ ხილვამ ჩემი აქამდე მოვლემარე ცნობიერება შეძრა, უცხო-
 გრძნობამ შემიპყრო და მომეჩვენა, თითქოს გვერდით რომ ჩამიარა, განზრახ
 დახარა თავი, არ უნდოდა მეცნო და ვიფიქრე, უთუოდ დონ სანდალიო იქნე-
 ბოდა-მეთქი, მაგრამ სხვა დონ სანდალიო, ის, ვისაც მე არ ვიცნობდი, მოჭად-
 რაკე კი არა, არამედ მამა, ვისაც მოუკვდა ვაჟიშვილი, ჰყავდა სიძე, ვინც
 ჩემზე ილაპარაკა შინ, — თუ მის სიძეს დაეჯერება, — ვინც ციხეში გარდაიც-
 ვალა. ეჭვი არ მეპარება, ჩემთან პირისპირ შეხვედრას მოერიდა, არ უნდოდა
 მეცნო.

მაგრამ, როცა მას შევხვდი, ანდა ახლა მგონია, ვითომ შევხვდი, იმ დაბინ-
 დული სარკიდან გადმოსულ ადამიანის ლანდს, დღეს რომ ესოდენ იღუმალი
 მეჩვენება, წარსულის შორეთში, ნეტავი მეძინა, თუ მეღვიძა? ანდა ის, რაც ახ-

ლა წარსულის მოგონებად წარმოძიდება, — ალბათ გაცანდილი გეჩვენება პარადოქსი, არსებობს მოგონებები მოძავლისა და იმედები წარსულისათვის. ნუთუ ეს მარტოოდენ მონატრებაა იმისი, რაც ვათომ მოხდა? რამეთუ, უნდა გამოვიტყდე, ჩემი ფელიპე, რომ ყოველდღე ვიგონებ ახალ-ახალ შრომებს, ვიგონებ იმას, რაც ვითომ შეძემთხვა, ანდა ჩემ თვალწინ მოხდა. და გეგონებ, არა მჯერა, ვინმემ დარწმუნებით თქვას, რა შეძემთხვა სინამდვილეში და რა შეთხზა მისმა წარმოსახვამ. და ახლა ვშიშობ, რომ სწორედ დონ სანდალიოს სიკვდილმა მიბიძგა შეძემქმნა სხვა დონ სანდალიო, მაგრამ რატომ ამიტანა შიშმა? შიშმა რისმა შიშმა? რატომ?

ეს ლანდი, ახლა რომ წარმოძიდვა, მიღმაა, დროის მიღმაა, ის გზაზე რომ შემომხვდა და განზრახ დახარა თავი — მან დახარა თუ მე? — განა დონ სანდალიოს ლანდი იყო, ვინც მარტო იმისთვის მომეველინა, რომ ჩასწვდომოდა ერთ იმ ამოცანას, ასე ვერაგულად რომ გვთავაზობს ცხოვრების თამაში? ანდა იმ ამოცანას, რამაც იგი ციხეში დაიყვანა და იმ ციხეში კი სიკვდილამდე?

XVII

20 ნოემბერი

ნუ, ნუ იტანჯები, ფელიპე; სულ ტყუილებრადოდ აიკვიატე ეს აზრი. სულაც არ ვაპირებ დონ სანდალიოს ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას და არც მისი სამის ძებნას, რომ გამოვიკითხო, რანაირად მოხდა, რომ მისმა სიმამრმა ციხეში ამოყო თავი ანდა როგორ მოკვდა იქ. მისი ამბები არ მაინტერესებს, არ მივეყვები არც მისი პირადი და არც ოჯახური საქმეების კვლევას. ჩემთვის მისი ნოველაც საკმარისია. დანარჩენი მხოლოდ წარმოსახვას შეიძლება მივანდო.

რაც შეეხება შენს რჩევას, რომ გავიგო და გამოვიძიო ვინ იყო ან ვინ არის დონ სანდალიოს ქალიშვილი ანდა სიძე, — თუ უკვე ან ერთი არ არის ქვრივი ან მეორე, — ან როგორ იქორწინა თუ გათხოვდა, — ამის იმედი ნუ გეჩვენება; ვხედავ საითაც უმიზნებ, ფელიპე, ვხედავ, ჩემს წერილებში შენ ხომ სულ ქალი გაკლდა თვალში და ახლა როგორც კი გამოჩნდა, წარმოიდგინე, რომ ნოველა, რომელსაც ვეძებდი და რომელიც შენთვის უნდა მომეძღვნა, უკვე აფუჭდაო. ქალი! ქალი ძველი ზღაპრებიდან! დიახ, მოძებსენება ეგ თქვენი „ქალი!“ მაგრამ მაინც არ ვფიქრობ არც დონ სანდალიოს ქალიშვილის ძებნას და არც სხვა ქალისას, ვისთანაც მას რაიმე დამოკიდებულება შეიძლება ჰქონოდა. ჩემის აზრით, დონ სანდალიოსთვის ჭადრაკის დედოფლის გარდა ქალი არ არსებობდა, დედოფლისა, რომელიც ეტლივით პირდაპირ დადის თეთრსა და შავ უჯრებზე და შავსა და თეთრ უჯრებზე და დამთხვეული ეპისკოპოსივით თუ კუსავით — ირიბად, თეთრსა და შავზე და შავსა და თეთრზე. დედოფალი კი მბრძანებლობს დაფაზე, მაგრამ მის უდიდებულესობას შეიძლება წამოეწიოს უბრალო პაიკი, თუ წინ გაიჭრება. დარწმუნებული ვაზღავარ, ეს დედოფალი იყო მისი ფიქრების ერთადერთი მპყრობელი.

არ მაგონდება სექსის პრობლემებზე გადარეულ მწერალთაგან რომელმაც თქვა, ქალი არის სფინქსი იღუმალების გარეშე; შეიძლება ასეცაა, მაგრამ ნოველის ყველაზე უფრო ღრმა ამოცანა, რასაც ჩვენი ყოფიერების თამაში გვთავაზობს, არ არის სექსის საკითხი, ისევე როგორც არ არის კუჭის საკითხი; ჩვენი ნოველის ყველაზე ღრმა პრობლემა, — შენი, ფელიპე, ჩემი, დონ სანდალიოსი, — არის პიროვნულობის პრობლემა, ყოფნა-არყოფნის პრობლემა და არა

ის, მაძღარი ვართ თუ მშვიერი, გვიყვარს თუ ვუყვარვართ; ჩვენი ნოველა, ყოველი ჩვენთაგანის ნოველა ის უნდა იყოს, რომ გავხდეთ იმაზე მეტი, ვიდრე ჭადრაკის მოთამაშენი ანდა ტრესილიოსი, თუ ტუტესი, ვიდრე კაზინოს სტუმრები ანდა... ანდა, თუ ვნებავს, იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ მოგვაცდევს. ხალხში ჩვენი პროფესია, საქმიანობა, რელიგია თუ გართობა და ეს ნოველი ჩვენთვის უნდა იქონიებოდეს, რომ სრულვქმნათ ჩვენივე საკუთარი თავი, მივაღწიოთ იმ საუკეთესო სახეს, რომელიც ასე თუ ისე დაგვაკმაყოფილებდა ანდა რაღაც ნუგეშს მაინც მოგვცემდა. ეგებ არსებობს კიდევ სფინქსი იდუმალების გარეშე, მაგრამ ის ალბათ კაზინოს სტუმრებს უფრო მოეწონებათ, წარმოსახვის უნარს მოკლებულთ; თუმცა არსებობს კიდევ იდუმალებაც სფინქსის გარეშე, ჭადრაკის დედოფალს არც მკერდი გააჩნია და არც თუძოები, მაგრამ იდუმალება კი ნამდვილად აქვს. დონ სანდალიოს ქალიშვილი შეიძლება სულაც არ ჰგვანებოდა სფინქსს და ოჯახური ტრადიციის მიზეზი კი გამხდარიყო, მაგრამ არა მგონია, იდუმალება რაიმე ჰქონოდა. დონ სანდალიოს ფიქრთა მპყრობელი დედოფალი ნამდვილად არის იდუმალი, თუმცა სფინქსს არა ჰგავს და არც უდაბნოს ქვიშაშია მზეზე წამოწოლილი, მარტო ჭადრაკის დაფაზე დადის ერთი ბოლოდან მეორეში, ხან პირდაპირ და ხანაც გვერდულად. აბა, თუ მოგაწონებ ასეთ ნოველას!

XXIII

28 ნოემბერი

ვერა, ვერ მოგაწონე! ახლა მოხოვ, ნამდვილი ნოველა დაწერეო, ნამდვილი ნოველა დონ სანდალიოზე, მოჭადრაკეზე. ჯობდა კი შენ თვითონ დაგეწერა, უკვე ამდენი რამ იცი, ჩემს გამოგზავნილ წერილებში უოქმელი მგონია აღარაფერი დამრჩა, მაგრამ თუ გულს მაინც გეთანადრება, მაშინ თავადვე გამოიგონე რაიმე ჩვენი პეპე გალისიელისა არ იყოს. ნუთუ არ კმარა, რაც გიამბუ? ლამის უკვე მზამზარეული ნოველაა და თუ ვანმე ამასაც არ დასჯერდება, კეთილ ინებოს და საკუთარი წარმოსახვით შეავსოს და გაასრულოს. ჩემს გამოგზავნილ წერილებში მოჭადრაკის ლამის მთელი ნოველაა, ჩემი მოჭადრაკის მთელი ნოველა, მე სხვა არ ვიცი.

ჩემგან მეტს ნულარაფერს მოელი. თუ არადა, შენ თვითონ მოძებნე შენს ქალაქში, თუ შენს მამულში ერთი ასეთივე განმარტოებული კაფე, სადაც დაბინდული სარკეები იქნება ერთმანეთის პირდაპირ, დაჯექი შუა დარბაზში მაგიდასთან, დაიწყე ოცნება, ესაუბრე საკუთარ თავს და ეჭვი არ შეპარება, ერთ მშვენიერ დღეს შენც აღმოაჩენ შენს დონ სანდალიოს. ის ხომ ჩემი აღარ იქნება? შერე რა მოხდა! მოჭადრაკე არ იქნება? მაშინ ბილიარდის მოთამაშე იყოს ან ფეხბურთელი ანდა ვინც შენ გინდა, თუნდაც ნოველისტი! და სანამ ასე იქნები ოცნებაში წასული თუ მასთან საუბარში გართული, კიდევ გახდები ნოველისტი. მაშ ასე, ჩემო ფელიპე, შენ თვითონ გახდები ნოველისტი და შერე აღარც სხვისი ნოველების კითხვა მოგიანდება. ნოველისტი სხვის ნოველებს აღარ კითხულობს, თუმცა ბლასკო იბანიესი გვარწმუნებს, ნოველების მეტი არაფერი წამიკითხავსო.

და თუ, საერთოდ, ნოველების თხზვა, როგორც პროფესია, მაინც გაფრთხილებს, პირდაპირ გეტყვი, რაც არ უნდა იყოს, პროფესიონალ მკითხველს. მარტო ის რად ღირს, ამერიკული ყაიდის ფაბრიკები სერიულად რომ უშვებენ საკითხავს; შერედა, როგორ ნთქავენ ამ ფაბრიკული მარკის ნაწარმს!

და ახლა, ჩემი წერილებით რომ თავი აღარ შეგაწყინო, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, ხვალ დილით დაუტოვო აქაურობა, თორემ დონ სანდალიოს, ამ იდუმალი მოჭადრაკის აწრდილი მოსვენებას არ მძძღევს, ასე რომ კვლავ დაუბრუნდები იქ, სადაც მე და შენ უკვე ბარათები კი არა, ცოცხალი ვარაუდობით ჩვენს დიალოგს ამ ნოველის ირგვლივ.

მაშ, ნახვამდის, უკანასკნელად გეხვევი წერილობით, შენი მეგობარი.

აკილოპი

ჩემი უცნობი მკითხველის წერილებს რომ ვათვალიერებდი, უნებურად თავიდან ვკითხულობდი და რაც უფრო მეტად ვულრმაუდებოდი წაკითხულს, მით უფრო მიძლიერდებოდა ეჭვი, — თუმცა კი ჯერ ბუნდოვანი, — რომ ეს წერილები ფიქტია იყო და უცნობი ავტორი შენიღბულად გვიამბობდა საკუთარ ბიოგრაფიას. ადვილი მოსალოდნელია, ამ წერილების ავტორი სულაც თავად დონ სანდალიო გახლდათ და თავის თავს გარეშე მაყურებლის თვალთ გვიხატავდა, თან მიუკერძოებელი რომ ყოფილიყო და თან არც ავტორი გამოეაშკარაებინა და არც სინამდვილე. თუმცა ასეთ შემთხვევაში, ცხადია, ვერ მოგვითხრობდა საკუთარი სიკვდილისა და თავისი სიძის საუბრის ამბავს ვინმე კორესპონდენტ ფელიპესთან, ვითომ პირადად მასთან. მაგრამ შეიძლება ესეც მწერლური ხერხის მეტი არც არაფერი იყოს.

ანდა ხომ შეიძლება ვიფიქტოთ, რომ დონ სანდალიო, ჩემი დონ სანდალიო, ამ მიწერ-მოწერის გმირი, თავადვე გახლდეს „ჩემი ძვირფასი ფელიპე“, ეს წერილებიც იმავე ფელიპეს, ვითომ ამ წერილების ადრესატის რომანიზებული ბიოგრაფია იყოს, მე კი უცნობ მკითხველად მაცნობდეს თავს? წერილების ავტორი! ფელიპე! დონ სანდალიო, მოჭადრაკე! გაღერეის დაბინდულ სარკეთა შორეთში გატრეცილი სახეები!

სხვათა შორის, ცნობილია, რომ ყოველი ბიოგრაფია, ისტორიული იქნება თუ რომანიზებული, — რაც ხშირად ერთი და იგივეა, — მუდამ ავტობიოგრაფიულია. ყოველი ავტორი, რომელიც ვითომ სხვათა ამბავს გვიყვება, სინამდვილეში გვიყვება საკუთარს, ოღონდ ეგ არის, თავად სრულიად განსხვავდება იმ თავისი თავისგან, როგორც სინამდვილეშია ანდა ჰგონია, რომ ასეთია. ყოველი დიდი ისტორიკოსი მოხზველი იყო და ყოველთვის თავისი თავი გამოჰყავდა ხოლმე თავასსავე შეთხზულ ისტორიაში.

თავის მხრივ, ყოველი ავტობიოგრაფია სხვა არა არის რა, თუ არა ნოველა, ნოველაა ყოველი აღსარება, მოყოლებული წმინდა აკუსტინედან, მათ შორის ჟან ჟაკ რუსოს ნოველაცა და გოეთეს „პოეზია და სინამდვილეც“, თუმცა უკვე სათაურშივე, რომელიც მან თავის შემუარებს უწოდა, ოლიმპიური ნათელმზილველობით განჭვრიტა, რომ არ არსებობს იმაზე უფრო დიდი სინამდვილე, ვინემ პოეტური და არ არსებობს იმაზე ნამდვილი ისტორია, ვინემ გამონაგონი.

ყოველი პოეტი, ყოველი შემოქმედი, თუ მოხზველი, — თხზვა კი იგივე ქმნაა, — როდესაც ქმნის თავის გმირებს, მათთან ერთად ქმნის საკუთარ თავსაც და თუ ისინი მკვდრადშობილები არიან, მაშინ თავადაც მკვდარი ყოფილა. ყოველი პოეტი, გეუბნებით, ყოველი შემოქმედი, თვით უზენაესი პოეტიც კა. მარადიული პოეტი, თვით უფალი, რადესაც ქმნიდა თავის უმაღლეს ქმნილებას

— ამ სამყაროს და ქმნიდა მას მარად, ვითარცა უსასრულო პოემას, მასთან ერთად ქმნიდა საკუთარ თავსაც ამ თავის პოემაში, ამ თავის ღვთაებრივ ნოველაში.

ყველაფერი, ყველაფერი და, მაინც ძალზე მაწუხებს, თავიდან არ მძივრდება იმაზე ფიქრი, რომ ამ წერილების ავტორი, ვითომ დონე კაჩინდულოქი, მოჭადრაკის ამბავს რომ გვიყვება, თავად დონ სანდალიო გახლავთ, ამ ქმნიდა და გზაკვალს გვიბნევს და საკუთარი საკუდილისა და სხვა ისეთ ამბებს გვიყვება, რაც მერე უნდა მომხდარიყო.

მე მაინც მგონია, და ვფიქრობ, არ უნდა ვეღებოდე, რომ ყველაფრის მიუხედავად, უთუოდ გამოჩნდება მკითხველი მატერიალისტი, ვისაც არ ჰყოფნის მატერიალურა დრო, — მატერიალური დრო! რა მომაკვდინებელი გამოთქმაა! — ვინც ცხოვრების თამაშის ყველაზე უფრო ღრმა პრობლემებს დაუწყებს ძიებას, ვისაც მიაჩნია, რომ მე უნდა გამომეძია ამ წერილებში მოყვანილი ფაქტები, დამეწერა ნოველა დონ სანდალიოზე, გამომეძებნა მისი ცხოვრების ადრეული პრობლემების გასაღები და შემექმნა ისეთი ნოველა, რასაც ჰქვია მართლა ნოველა. მაგრამ მე, რაკი მაინც სულიერ ეპოქაში ვცხოვრობ, ვცადე დამეწერა ნოველის ნოველა, იგივე, რაც არს ლანდი ლანდისა, არა ნოველისტის ნოველა, არამედ ნოველის ნოველა და მიმეძღვნა ჩემი მკითხველისთვის, იმ მკითხველისთვის, რომელსაც მე ვქმნი ჩემს წარმოსახვაში და არა იმათთვის, ვინც ვითომ ამასვე იქმნ ჩემს მიმართ. არც მე და არც ჩემს მკითხველებს სხვა არაფერი გვაინტერესებს; ჩემი მკითხველები, ჩემებრ არც ელტვიან იმ სამყაროს, რომელსაც რაიმე კავშირი ექნებოდა ეგრეთ წოდებულ რეალისტურ ნოველებთან, — განა ასე არ არის, ჩემო მკითხველო? — ჩემმა მკითხველებმა, ჩემებმა, ისიც იციან, რომ სიუჟეტი მართლოდენ საბაბია ნოველის შექმნისა და რომ ნოველა ვაცდლებით უფრო მოიგებს მთლიანობაში, ამასთან უფრო წმინდაა და საინტერესო, უფრო ნამდვილია, როცა სიუჟეტი არა აქვს. ესეც არ იყოს, ჩემთვის უფრო საჭირო ჩემივე მკითხველები არიან, ისეთი მკითხველები, როგორც ის უცნობი იყო, ფელიპეს წერილები რომ გამოუგზავნა, — ჩემები, რომლებიც თავადვე მთავაზობენ სიუჟეტებს ჩემივე ნოველებისთვის; მეცა და, დარწმუნებული ვარ, ჩემს მკითხველებსაც, ვაცდლებით უფრო გვირჩევნია, რომ ნოველებმა მეტი გასაქანი მისცეს მათს წარმოსახვას და მეტი საზრდო მათს ფანტაზიას. ჩემი მკითხველები სულაც არ ეკუთვნიან იმათ რიცხვს, ვინც თპერის მოსასმენად ან კინოფილმის საყურებლად მიდის — ხმოვანი იქნება თუ მუნჯი — და წინასწარ ყიდულობს ბუკლეტს, სადაც მისი შინაარსია გადმოცემული, ოღონდ კი თავი არ შეიწუხოს ფიქრით.

სალამანკა, დეკემბერი, 1930



აპროზ ბირსი

მხედარი ცაზე

ინგლისურიდან

თარგმნა მასია ჩხიკვაძე



I

1861 წლის შემოდგომაზე, ერთ მზიან ნაშუადღევს გზის ახლოს, დასავლეთ ვირჯინიის შტატში ერთი ჯარისკაცი დაფნარში პირქვე გართხმულიყო, ფეხის წვერებით მიწაზე დაბჯენილს თავი წარცხენა მკლავზე ჩამოედო. განზე გაშლილი მარჯვენა უღონოდ წაეგლო თოფისთვის. უძრავი სხეულის კიდურები და ზურგზე, ჭამარს დაკიდებული პატრონტაშის ოდნავი რიტმული რწევა კაცს აფიქრებინებდა, მომკვდარიყო. ჯარისკაცს საგუშაგოზე ჩასძინებოდა, თუმცაღა თუ ამხელდნენ, სიკვდილით დასჯიდნენ, რაც სამართლიანი და კანონიერი განაჩენი იქნებოდა ამისთანა დანაშაულისთვის.

ის დაფნარი, დამნაშავე რომ იწვა, გზის პირას ხარობდა. გზა ჯერ სამხრეთით აღიოდა, მერე ციცაბო აღმართად იქცეოდა, უცბად დასავლეთით უხვევდა და იქიდან საიარღეზე გასდევდა მწვერვალებს, იმ ადგილიდან კი ისევ სამხრეთისკენ მიუყვებოდა და დაბლა ტყეებში მიიკლაკნებოდა. გზის მეორე მხარეს ვეებერთელა ლოდი, ჩრდილოეთით ამოზიდული, ღრმა ხეობას გადმოჰყურებდა, საიდანაც გზა მაღლივ აღიოდა. ლოდი მაღალ კლდეს გადმომხობოდა და მის კიდეს მოსხლეტილი ქვა ათასი ფუტიდან ქვემოთ, პირდაპირ ფიჭვთა კენწეროებს დაასკდებოდა. გზისპირი, გუშაგი რომ იწვა, ამ კლდის მეორე განტოტებაზე იყო. რომ არ სძინებოდა, მარტო ამ გზის მონაკვეთს და პირდაპირ მდგარი კლდის წვეროს კი არა, მართლაც რომ თავბრუდამხვევი სიმაღლის მთელ კლდესაც დაინახავდა ქვემოთ.

ეს მხარე მთლიანად ტყიანი იყო, ხეობის ძირის გარდა. იქ პატარა მდელი ბიბინებდა, სადაც წვრილი დელე მიედინებოდა, ხეობის პირებიდან ძლივს რომ მოჩანდა. ის ღია მდელი ჩვეულებრივ ეზოზე ოდნავ უფრო დიდი გვეგონებოდა, არადა, რამდენიმე აკრის სიგრძისა იყო. მისი მწვანე უფრო მეტად ხასხასა ჩანდა, ვიდრე გარეშემო ტყეებისა. შორს, მათ გადაღმა, გიგანტური კლდეები ამართულიყვნენ, მგვანნი იმ მწვერვალებისა, საიდანაც ჩვენ ახლა დავყურებთ ხეობას და სადაც გზა ზემოთკენ მიიკლაკნებოდა. ხეობა ისეთ ადგილას მოქცეულიყო, რომ ზემოდან ყოველი მხრივ ჩაკეტილი ჩანდა, და მნახველი გაოცებული დარჩებოდა, ან როგორ პოულობდა გზა იქიდან გამოსავალს, ან შიგ როგორღა აღწევდა, ანდა საიდან შემოედინებოდა და საით შეედინებოდნენ პატარა მდინარის წყლები, ათასი ფუტით დაბლა რომ ხეობას სერავდნენ.

არა მხარე არ იქნება ველური და გაუსაძლისი, თუ რომ კაცნი არ აქცევდნენ მას ომის თეატრად. ტყეში შემალულ იმ საომო ხაფანგის უკან, სადაც ორმოცდაათიოდე შეიარაღებული ადამიანიც კი სულ იოლად ააძულდება მთელ არმიას დამორჩილებოდა, ფედერალური ქვეითი ჯარის პოლკი იდგა. მთელი დღე-ღამე ევლოთ და ახლა ისვენებდნენ. დაღამდებოდა და

გზას ისე დაადგებოდნენ, ავიდოდნენ იქ, სადაც გუშაგს მოლაღატურად ჩას-
ძინებოდა, მერე შუალამისას მეორე ფერდზე დაეშვებოდნენ და მტრის ბან-
აკს მოულოდნელად დაეცემოდნენ. იმედი ჰქონდათ უცაბედი თავდასხმით
მტერს თავგზას აუბნევდნენ, რადგან გზა მათ მტრის ზურგში მიიყვანდა.
არადა, მარცხისთვის განწირულები იყვნენ, უკეთეს რაიმე შექმნიდნენ, ან
ვისიმე სიფხიზლის წყალობით მტერი გაფრთხილებული იქნებოდა.

II

ის გუშაგი, დაფნარში რომ ეძინა, ახალგაზრდა ვირჯინიელი იყო, სახელ-
ად კარტერ დრუსი, მდიდარი მშობლების ერთადერთი შვილი, ლაღად ნაზ-
არდი, განათლებული წარჩინებულთა კვალობაზე, როგორც დახვეწილი გე-
მოვნებს მდიდარს მართებს ვირჯინიის მივარდნილ მთიან მხარეში. ახლა
რომ იწვა, იმ ადგილიდან თავის სახლამდე თრიოდე მილი აშორებდა. ერთ
დიღას საუზმისას სუფრიდან წამოდგა და ხმადაბლა, მაგრამ გადაწყვეტით
თქვა: „გრაფტონში შეერთებული არმიის პოლკი ჩამოვიდა, მამა, მე ნას შე-
ვეერთდები“.

მამამ ლომივით თავი ასწია, ერთხანს ვაჟს მღუმარედ უცქერდა და მე-
რე თქვა, „კარგი, სერ, წადი. იომე, მაგრამ მუდამ ერთგული იყავი შენი ვა-
ლისა. ვირჯინია, შენ რომ ღალატობ, უშენოდაც უნდა გადარჩეს. თუ ცოც-
ხალი დაერჩით ორივენი ომის ბოლომდე, სათქმელს მერე ვატყვით. დედა-
შენი, ეჭიმვაც ასე გაახრა, მძიმედაა ავად, ვინ იცის, იწნებ ჩვენთან ყოფნა
თრიოდე კვირაც აღარ დასცალდეს. ისე რომ, ყოველი წუთი ძვირფასია, უმ-
ჯობესია, არ შეაწუხო“.

კარტერ დრუსმა თავი კრძალვით დაუკრა მამას, რომელმაც დარდი გუ-
ლში ჩაიკლა და თავაზიანი მედიდურობით გამოეთხოვა ვაჟს. მან კი ყრმობ-
ას სახლი დატოვა და საომრად წავიდა. სუფთა სინდისისა და გაბედულების,
საქმეში ერთგულების და შეუპოვრობის გამო თანამებრძოლებისა და უფრ-
თსი ოფიცრების წინაშე მალე თავი ისახელა. ამ თვისების წყალობითა და
კიდევ ამიტომ, რომ იქაურ მიდამოებს კარგად იცნობდა, სწორედ იგი გაგ-
ზავნეს სახიფათო დავალებით განაპირა საგუშაგოზე. მაგრამ მტკიცე ნებას
მიუხედავად, დაღლამ მაინც სძლია და ჩაეძინა. კაცმა არ იცის, რომელი კე-
თალი თუ ბორბლი ანგელოსი მოუფრინდა სიზმრად, ცოდვის ძილიდან
რომ გამოეღვიძებინა. შუალამის გარინდებულ სიჩუმეში უმოძრაოდ და უხ-
მოდ ბედის უხილავმა მაცნემ უხილავი თითი შეახო მისი ცნობიერების თვა-
ლებს, სულას ყურს კი გამოსაფხიზებლად იღუმალი სიტყვები ჩასჩურჩუ-
ლა. არც ერთ მოკვდავს რომ არასოდეს დასცდენია და არც ერთი მოკვდავის
გონებას რომ არ ახსოვს. მან მკლავზე ჩამოდებული შუბლი ნელა ასწია, ჩა-
მოფარებული დაფნის ტოტებიდან გამოიჭვრიტა და მარჯვენა ინსტრუქტურ-
ად თოფს სტაცა.

პირველად ხელოვანი კაცის აღფრთოვანება დაეუფლა. თავზე გადმოშ-
ხობილი კლდის კიდეზე, ლოდის ვეებერთელა კვარცხლბეკზე, ცაზე მკაფი-
ოდ ამოტვიფრული-შთამავგონებელი სიამაყის მხედროს ჭანდაკება იდგა. წე-
ლში გამართული მეომრის დარად იგი ცხენზე გადამჯდარიყო. ვით ბერძნუ-
ლი ღმერთი, ლაღი და შეუბოჭავი, თუმც მარმარილოსგან საძრაობაწართმე-

ული. მისი რუხი ფერის სანოსა ცის ფონს ერწყმოდა. რკინის აღჭურვილობასა და ცხენის აღკაზმულობას ჩრდილები არბილებდა და აფერქრთალებდა. ცხოველის სხეულს არა სხივი არ დანათობდა. კარაბინი, თითქოს უცნაურად დაბატარავეებული, უნაგარის კოტის გარდიგარდმო ედო და მხედარს მისთვის მარჯვენა ჩაეჭიდა. მარცხენა, აღვირი რომ მოეხიდა, მარჯვენა მხარეს, სილუეტზე ცხენის პროფილი ქამეოსავით იკვეთებოდა. იგი მხედარს დაბლა, კლდეებს გადმოჰყურებდა. მხედარს სახე შეებრუნებინა; მხოლოდ საფეთქლისა და წვერის კონტურები უჩანდა. იგი ხეობის ფსკერს ჩაჰყურებდა.

ცად ამადლებული მხედრის ხილვამ და მებრძოლის აღლომ, თუ რაოდენ საშიშია ახლოს მოსული მტერი, ჯარისკაც-გააოგნა და ქვის ანსამბლი კიდევ უფრო პეროიკული, უზარმაზარი ეჩვენა.

ერთ წამს დრუსი იმ უცნაურმა, ნახევრად გაურკვეველმა გრძნობამ შეიპყრო, თითქოს ომის დამთავრებამდე ეძინა და ახლა ხელოვნების დიდებულ ქმნილებას ხედავდა. პეროიკული წარსულის მოსაგონრად აღმართულს, რომლის უსახელო მონაწილე თვით იყო. ეს გრძნობა ქვის ანსამბლის ოდნავმა შეტოკებამ გაუქრო. ცხენმა ფეხის გაუნძრევლად ტანი კიდიდან ცოტა უკან დასწია, მხედარი კი არც შერბეულა. ეს ისე ცხადი იყო, დრუსი საბოლოოდ გამოერკვა. თოფის კონდახი ღოყასთან მიიტანა, ლულა ბუჩქებში ფრთხილად გააძვრინა, თოფი ჩაბმანზე შეაყენა, სამიზნეში გახედა და მხედრის მკერდს დაუმიზნა, ყველაზე საბედისწერო ადგილს. სასხლეტზე ოდნავი შეხება და კარტერ დრუსისთვის ყველაფერი საკეთილოდ დამთავრდებოდა. უცბად მხედარმა თავი მოაბრუნა და ბუჩქებში შემალულ მტრისაკენ გაიხედა, თითქოს მის სახეს, მის თვალებს, მის, გაბედულ, თანაგრძნობით სავსე გულს ჩახედა.

განა ასე ძნელია ომში მტერი მოკლა, მტერი, რომელმაც ის საიდუმლო შეიტყო, მისი და მის მეგობრებას სიცოცხლე რომ ეკადა, მტერი, მისი წარმოდგენით, ამის გამო ბევრად უფრო საშიში, ვიდრე მრავალრიცხოვანი ჯარი? კარტერ დრუსი გაფითრდა, მთელი სხეულით აკანკალდა და ზარდაცემულმა დაინახა, როგორ ამოძრავდნენ რაღაც სტატისტიკური შავი ფიგურები: როგორ ეცემოდნენ, დგებოდნენ, აღმოდებულ თალებში უწესრიგოდ ტოკავდნენ. იარაღს ჩავლებული ხელი დასწია, თავი ხელა დახარა და სახე ბუჩქების ფოთლებში ჩამალა. მამაც ჯელტმენსა და ჯარისკაცს მოძალებულმა ემოციებმა ლამის ცნობა წაართვა.

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. წამიც და სახე ისევ ასწია, ხელი მისდათვად ისევ ოთვს წაეტანა, საჩვენებელი თითით სასხლეტს დაუწყო ძებნა. მის თვალებში კვლავ ნათელი ჩადგა. მისი სინდისი და გონება კვლავ საღად სჯიდა. იმედი არ ჰქონდა, მტერს რომ შეიპყრობდა, ხოლო თუ დაფრთხობდა, იგი შურდულივით გაქანდებოდა და თავის ბანაკში მათ დამლუპველ ცნობას მიიტანდა. ჯარისკაცის ვალი ნათელა იყო, მხედარი უნდა მოეკლა — არც კი გაეფრთხილებინა, წუთითაც არ ეცლია სულიერად შემზადება. ველარც ლოცვის თქმა სახელდახელოდ. მაგრამ ამასთან იმედმაც გაუელვა, იქნებ არც არაფერი იცისო, იქნებ პეიზაჟის დიდებულებამ მოხიბლაო. იქნებ მობრუნებულყო და თავისიანებასაკენ ცხენი უდარდელად გაექანებინა. მართლაც რომ რამე ეახრა, ხომ უმალ მიხვდებოდა ყველაფერს. არა, აღბათ ყურადღებით რაღაცას აკვირდებოდა. დრუსმა თავი იქით მიაბრუნა და ცის სიღრმე-დან ქვემოთ ჩაიხედა, თითქოს ზღვის კამკამა ფსკერს ჩახე-

დაო. იქ აღამიანები და ცხენები დაინახა, უსწორმასწორო ზოლებად მწვანე მდელოზე რომ გახლართულიყვნენ. ვიდაც მეთაურს თავისი ესკადრონისთვის ნება დაერთო ცხენები წყლის დასალევად ღია, გაშლილ ადგილზე მიეშვა. მაღალი მწვერვალებიდანაც რომ თვალნათლავ ჩანდა. დრუსმა ხეობას თვალი მოაშორა და სამიზნეში კვლავ მხედრისა და ცხენის მარჯვენა მხედარი ცახე. ახლა იგი ცხენს უმიზნებდა. ვანშორებისას მამის დამხმარებელი სწავლებლები ღვთის ნაბრძანებებით რეკდა მის ყურში: „იომე და გახსოვდეს მუდამ, შენი ვალის ერთგული რომ უნდა დარჩე“. ახლა უკვე დამშვიდდა. კბილი კბილს მაგრად დააჭირა. ნერვები მძინარე ბავშვივით მშვიდი გაუხდა — არც ერთი კუნთი აღარ უთრთოდა, რომ დაუმიზნა, სუნთქვა უკვე მთლად დაუნეღდა. მოვალეობამ გაიმარჯვა. სულმა სხეულს უთხრა — „წყნარად, დამშვიდდი“, და მან გაისროლა.

III

ფედერალური არმიის ოფიცერს ფათურაყების ძიებისა თუ ცნობების მოპოვების წადილმა საფარი მიატოვებინა და იგი კლდის ძირას გაშლილ პატარა ტაფობისაკენ ალაღბედზე დაუყვა გზას. მისი ფიქრით, აზრი აღარ კჭონდა ადგილმდებარეობის დაზვერვა. კადევაც რომ გაეგრძელებინა. მისგან მეოთხედი მიღის მოშორებით, თუმცაღა გეგონებოდა. ორიოდ ფეხის ნაბიჯზეო, ფიჭვების ჩარჩოდან კლდის გიგანტური ქვაში ამომართულიყო. თავბრუ დაეხვა, როცა აიხედა და ცახე გამოკვეთილი კლდის კბოდეები დაინახა. ლურჯი ცის კაბადონზე შვეული პროფალი მკაფიოდ ისახებოდა, ციდან ნახევრამდე ჩამოშვებული ცახე უფრო ლურჯი ფერის მთებისა და მათ ძირზე ამოზრდილი ხეების კენწეროებისკენ. მწვერვალის თავბრუდამხვევ სიმაღლეს რომ შეხედა, ოფიცერი საოცარმა სანახაობამ გააოგნა — ასე ეგონა, მხედარი ციდან მოაქროლებსო ცხენს. სწორად, გამართულად იჭდა უნაგირზე, ვაკაცურად და შეუდრეკლად, აღვირს ახლოს ზიდავდა, ცხენის სიფიცხის დასაოკებლად. შიშველ თავზე გრძელი თმა ფრთებივით გაშლოდა. ხელებს ცხენის აშლილი ფაფარი უმაღავდა. ცხოველის ტანი პორიზონტალურად მოქროდა, თითქოსდა ფლოქვებს მიწას ურტყამდა. მოქროდა ვიცივით მერე ოფიცერმა დაინახა, როგორ შეწყდა გაცური ქროლვა, ცხენმა ტორები წინ წამოხიდა და თავქვე გადმოეშვა. თითქოსდა გადმოფრინდაო!

განცვიფრდა და შიშმა შეიპყრო ოფიცერი. ამ მეომარ-მხედრის ცახე ხალვისას ლამის ირწმუნა, რომ თავად იყო რომელიღაც ახალი აპოკალიფსის რჩეული ავტორი. მოძალებული გრძნობებისგან ფეხებმა უმტყუნა და დაეცა. იმავ წამს ხეებში მკვახე ხმა გაიგონა — ხმა, რომელიც ეჭოს გარეშე ჩაკვდა — მერე არემარე დადუმდა.

ოფიცერი ფეხზე წამოდგა, კანკალებდა. გადაყვლეფილი მოხლების ნაცნობი ტკივილი იგრძნო ისევ და გონს მოეგო. თავს სძლია და სწრაფად დაეშვა ფერდობზე, კლდის ძირისაკენ. სადაც ის მხედარი ევულებოდა და. რათქმა უნდა, ვერსად ნახა. წამით გაელეებულმა ხალვამ ისე აღუგზნო წარმოსახვა თვისი აშკარა დიდებულებით, მშვენიერებით და სილადით. აზრადაც არ მოსვლია, ცურის მხედარი რომ ქვემოთკენ მოექანებოდა და მას, ვსაც ეძებდა. სწორედ კლდის ძირში იპოვიდა. ნახევარი საათის შემდეგ ისევ ბანაკში დაბრუნდა.

ოფიცერი ჰკვიანი კაცი იყო, კარგად იცოდა, დაუჭერებელი სიმაართლის თქმას სჯობს სულაც არაფერი უთქვა. ამიტომ, რაც ნახა, იმაზე კრინტი არ დაუძრავს. როცა უფროსმა ოფიცერმა ჰკითხა, თუ შეიტყვევო რაიმე სასარგებლო ექსპედიციისათვის, დახვერვაზე წასულმა ასე მიუგო:

„ღიახ, სერ. სამხრეთიდან ხეობაში შემოსასვლელი არ არსებობს. უფროსს გაეღიმა, რადგან თავადაც კარგად იცოდა, რომ ხეობაში შესასვლელი არ შედიოდა.

IV

გასროლის შემდეგ რეგითმა ჯარისკაცმა კარტერ დრუსმა თოფი ისევ დატენა და თვალთვალი განაგრძო. ათმა წუთმაც არ გაიარა, რომ ფედერალური არმიის სერჟანტი ფრობილად მიხონდა მასთან. დრუსი არ მიბრუნებულა, არც შეუხედავს, თითქოს ვერც იცნო, გარინდული იწვა.

„ესროლე?“ ჩურჩულით ჰკითხა სერჟანტმა.

„ჰო“.

„რას?“

„ცხენს, აი, იმ კლდეზე იდგა, გადაღმა, ძალიან შორს. შეხედე, იქ უკვე აღარ დგას, კლდიდან გადმოქანდა“.

ჯარისკაცს სახე გაფითრებოდა, სხვა რამ ნიშანი მღელვარებისა არ დასტყობია. პასუხის შემდეგ თვალი აარიდა სერჟანტს, სხვა არაფერი უთქვამს. სერჟანტი ვერაფერს მიხვდა.

„მისმინე, დრუს,“ უთხრა წუთიერი დღმოსწავლის შემდეგ. „აბა რა აზრი აქვს დამალვას, გიბრძანებ, მომხახსენო, იჯდა ვინმე ცხენზე?“

„ჰო“.

„ვინ?“

„მამაჩემი“.

სერჟანტი წამოდგა და უკანვე გაბრუნდა.

„ღმერთო ჩემო!“ — აღმოხდა მას.

უილიამ უორდსუორთი

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნა თამარ მხარბრძელება



პოეტო, თუკი ზეტა გმოსავს ღვთიური სხივით,
 მაშინ იმ შუქის სიღიადით უნდა ანათო,
 უნდა ანათო, ვიდრე სუნთქავ და ვიდრე ძვლები
 სულს უნაზესს და მგრძნობიარეს გაეყრებოდეს.
 ვარსკვლავებს, ზომით უღიადესო, ნუ დაედრები,
 მიწას რომ მუდამ აღავსებენ ნაცნობ ტრფიალით,
 ზეტას რომ მუდამ ეფინება მათი ნათება,
 ნუ დაედრები ჟამგაცვეთილ უღუთო სინათლეს,
 თორემ გახსოვდეს, ნეტარებას ვერ დაიმკვიდრებ,
 და ყოველივე დღის ჩრდილივით შემოგეცლება,
 და მხოლოდ ვარსკვლავს, შაუბნულ მთაზე სხივმოციაგეს,
 მიაპყარ მზერა და იმედი მომაუალ ყოფნის,
 ან დაუღსგაესე იმ ვარსკვლავებს, ხის ტოტებს შორის
 ფოთლების ნაცვლად რომ გვავსებენ იღუმალებით
 და გაანათე, ვიდრე სუნთქავ და ვიდრე ძვლები
 სულს უნაზესს და მგრძნობიარეს გაეყრებოდეს.

ძილმა დანისლა ჩემში ყოველი

ძილმა დანისლა ჩემში ყოველი,
 გამიქრა შიში ამსოფლიური,
 იმ უჭკნობ ყვავილს აღარ მოველი,
 ახლა რომ სხივი ათოვს ღვთიური.

ღუმელს მოუცავს მისი არსება,
 ვეღარც ესმის და ვეღარცა ხედავს,
 მხოლოდღა მიწა ეალერსება
 სხეულს, ოდესღაც სიცოცხლით
 მფეთქავს.

აკაველას

იყავი ჩემთან, ნუ გაფრინდება,
 თორემ ნაღველით დავიბინდება!

ხომ იცო, გექონდა ბევრი საერთო,
 ჩემი ბავშვობა შენით გაერთო,
 და ნუ დამტოვებ, იყავი ახლოს,
 რომ ის სიმველე კვლავ განვაახლო,
 შენ, მხიარულო, ნახო ქმნილებავე,
 შენ მაგრძნობინებ დროთა დინებას.
 იმ მზაან დღეთა მე ვარ მძებნელი,
 როდესაც სულის საამებელად
 მე და დაიკო ჩემი — ეველინ
 ერთად დაკსდევით ორნი პეპელას.
 მე არ ვიცოდი, დარდი რა იყო
 და ვალაგებდი ახლოს ნადაულებს,
 ეს სითამამე დამ ვერ გაიყო,
 კკითხავდი: „შიშით ფრთებს ხელს რად
 ავლებ?“

ის იყო ლანდი აღვრიოვანების

ის იყო ლანდი აღვრიოვანების,
იმ პირველ ხილვის სრთოლვა მედება,
ულამაზესი ხატოვანების
შემკული იყო ორნამენტებად.
ვარსკელაეებს ჰგავდა მისი თვალები,
ღამეულ ციმციმს მისათვალები,
და მისი თმები, შავად გაშლილი,
ბადებდა სიტყვებს: „ნაზი აჩრდილი.“
სხვა ღანარჩენი იყო ნათელი —
მაისის დღეთა ჩამონათალი.

და უფრო ახლოს მხერა დანებდა
მაწად ნოვლენილ ქალის ზმანებას;
ის იყო მსგავსი მარად ქალწულის
და სინატიფით იყო დაწნული.
ტკბილ ოცნებაში მომელანდება
სახე, იმედით შემობურვილი.
ჰაეროვანი მისი ხატება
უბიწოების იყო მსურველი,
ვერ იგუებდა ცრემლებით ნალეს
წარმავალ გრძნობას — სევდას და
აღერსს.

და თითქოს ახლაც თვალწინ მიდგება
მისი სხეულის ცოცხალი ფეოქვა
და ვაიკი, ზეცა გამირისხლება,
რომ მისი ქება ღირსებით ვერ ვთქვა.
უძანკო იყო და დიდებული
და დავაწყვებს არ ემონება
მისი მარადჟამს ნათელღებული
წინასწარხედვა, აზრი, გონება.
თუმც მიწად ყოფნას ეცადა სული,
ის იყო სხივი, ზეცად ასული.

ჩივილი

ცვლილება მოჰყვა გარდასულ დღეებს,
მახსოვს მათობდა აღერსი შენი,
ახლა მარტო ვარ და მარტოდ შეთენილს
შენი ნათელი არ მათობს მზეებრ,
ჩანჩქერი ვნებად აღარ იღვრება,
მტანჯავს ტრფობისგან გაღარიბება.

ო, რა ნეტარი ვიყავი მაშინ,
აწ იმ კურთხევას ტკივილად გავშლი,
ახლა რა დამშთა იმ ტრფობის ჩაცვლად?
ო, ვველაფერი ქცეულა ნაცრად.
განდა მოვითხოვო რატომ შემს გულს
გმანავს?
ჭა უნუგეშო... ო, კმარა, კმარა!

ჭა სიყვარულის წყლით არის სავსე,
არ არის მშრალი, არ არის მშრალი,
მაგრამ იქ თურმე ბნელეთის შლაში
ჩემს მეუდროებას მე მივამსგავსე,
გარდასულ დღეებს მოჰყვა ცვლილება,
ჩემს ფიქრს ბურუსი დაეწყვილება.

სტრიქონები, უპითსოული
აღრეულ გაზაფხულზე

როდესაც ვიჯექი ჭალაში განცხრომით
მომესმა ფრინველთა შერწყმული
გალობა
და ჩემმა ტკბილმა და საამო განწყობამ
უცებ სევდიანი ფიქრი მიწყალობა.

ბუნება საკუთარ მშვენიერ ქმნალებებს
უხვად სთავაზობდა სულიერ სინათლეს,
გულდამძიმებულმა მე ძლიერ ვინატრე:
კაცთა სიავე ნეტავ მინელდეს.

ფურისულის ბუნქებს და მწვანე
ტალავერს
ზღდ გველის სურთ ეფინა ხვეულებად
და მე ვიწამე ყვაილის გრძნეულობა
გზნება, სურნელის ფრქვევისთანავე.

ფრინველნი ჩემს ირგვლივ ხტოდნენ
და ლაღობდნენ,
ეკაბ ვერ შევიცან მე მათი განცდილი,
მაგრამ ისინი არ ჰგავდნენ დანაღონებს:
მოღბენით ჰქონდათ ფრთები აწვდილი.

რტოები კვირტოვანი შეთრთილდნენ
ნელა
და უხმოდ გაშალეს მათ თვისი მარაო,

თითქოსდა მონატრული შესთხოვდნენ
 ზენას
 სულ დავრჩეთ სინორჩის ამარაო.

სამუელ ტაილორ კოლრიჯი

პაიტაზია

შესდექ, ღვთისა შვილო, მგზავრო
 ქრისტიანო!
 და იგრძენი, ვინც აქ კპოვებს ნეტარ
 ბინას,
 სულნი მომაკვდავნი ასე მიდიანო,
 ო, ილოცე ნაზად, აქ ხომ კოლრიჯს
 სძინავს.

ყოფნა მიწიერი აღსასრულად ექცა
 და სიკვდილი ეგებ სიცოცხლის ხედ
 ექცეს,
 გატანჯული სული შეავედრე ზეცას,
 მან იწამა ქრისტე და ეს ანდო ლექსებს.

ოხვრა

როცა მიხიბლაუდა დღეებს
 სიყმაწვილე,
 სანამ მე ნალველით დიდხანს
 ვიმარტვილე,
 ვიხმე მყუდროება ეულ თანამგზავრად
 და ყველა იმედი ჰყვოდა ღამაზად,
 მაშინ იმ სიხარულს ჰქონდა სულ
 სხვა ფერი,

ჯანგაჯი

შენ ხარ ჩემი სიყვარული, წმინდა ჯენევივი,
 სათნოებად შენ მაპკურე ღვთაებრივი სხივი,
 ეგ თვალები—ვარსკვლავები ბრწყინავს ფერად სირბით
 და შენი ხმა ანთებულა, ვით ხმა სერაფიმის,
 მაგრამ მხოლოდ სიღამაზე არ მატყვევებს ვნებით,
 შენი სულის საგალობლით მე დღითი დღე ედნები.
 შენში ბუდობს ხმა ძლიერი და სიყვარულს ბადებს,
 ის გავალებს, რომ უსმინო მწუხარების ზღაპრებს,
 როცა კაცი ჩაძირული უიმედო ზღვაში

ოუ ზენამ შთააგონა ყველა ქმნილებებს,
 რომ წმინდა არსება მარადვამს ინათებს,
 გულდამძიმებულმა მეც ისევ ვინატრე:
 კაცთა სიავე ნეტავ მინეღდეს ული

სიბჭეოცხეა

ოხვრაც უტკივილო იყო, ჩემო მერი!

როცა მეხლებოდა ტალღად მწუხარება
 და ჩემს დატანჯულ გულს განგება

სწირავდა,

ტკივილს ჩემს არსებას ვერვინ

უქარვებდა,

ბედის მძვინვარებამ ოხვრა მიწილადა,
 დამემსხვრა ოცნება, ზღვათა გადამსერი,
 ოხვრა მტკივნეული იყო, ჩემო მერი.

სულ ძალე ფიქრებმა წინათ უკარება
 გულზე მომაფინა ჩუმი მწუხარება,
 იმედი დამცხრალი სულს ვეღარ
 აღვუნთე,

იქვე ჭკნობის ბაღში ეძებდა საყუდელს,
 ბნელი სამოსელი მერგო ბედისწერით
 და ოხვრა უღონო შენთვის, ჩემო მერი.

ახლა კი, როდესაც ვიქეცი მე მწირად
 და შორ სივრცეებში დიდხანს
 ვისადგურებ,

ეგ შენი ხატება, ასე რომ გამწირა,
 სხივებს მოაღერსეს ნეტავ ვის
 აპკურებს?

ვაცი, რომ ნალველი ისევ მე მომელის
 და ოხვრა უღონო შენთვის, ჩემო მერი.

განწირული ხელს ვერ გიწვდის რომ დაიხსნა, მაშინ
გახსენდება შენ ნაღველი ამ სიცოცხლის დღედი,
მაგრამ მაინც ისეთი ხარ, ვით ნარნარი გედი,
თუმცა შენი ნაზი მკერდი სინანულით ტოკავს.
და მე ისევ ამართლილებ სიყვარულით მბორცავს.

სონეტი

შეპოვების მოვარეს

მუქფრად მოხილო შუალამის სუსტო ნათებავ,
ენების ზმანებებს შენ მიცხადებ თითქოს ამ დამით,
ვხედავ, როგორ ღვრი მკრთალ სინათლეს დამდნარ
ფანტელად

ღრუბლის არეში მოციავე სხივთა კამკამით.
ვიცი, რომ ვხიბლავს ფერმკრთალ დისკოს დაბურუსება
და ამ სიბნელის ცის კიდეზე ისევ მობნევა.
მაგრამ რომ ტოვებ ისევ ღრუბელს, სივრცეს უხერავ,
ზეცის თავანი აინთება, კი არ თბლდება.

სემი იმედიც ასეთია, ცვალებადია,
ხედვიან ხედებს ის დასცქერის სუსტად და კრძალვით,
სასოწარკვეთის ურჩხულები მალლა აღიან,
მაგრამ ვიცი, რომ იმედები მბრწყინავი ძალით
ვაუელეებენ ღრუბლიან გულს, ღრუბლის ბადეა,
თუ არ იელვებს მეტეორი ცეცხლოვან აღით.

□

ჯაკომო კაზანოვა

ჩემი თავგადასავალი

ფრანგულიდან

თარგმნა ნანა თარგამაძემ



ცნობილი ავანტიურისტი ჯაკომო ჯიროლამო კაზანოვა დე სენგალტი დაიბადა ვენეციაში 1725 წელს (სენგალტობა ანუ აზნაურის წოდება მან თვითნებურად მიისაკუთრა). ჯაკომომ განათლება პადუას უნივერსიტეტში მიიღო. შეისწავლა სამართალი და უკვე 17 წლისამ სადოქტორო ხარისხი მოიპოვა. მერე სასულიერო მოღვაწეობისთვის ემზადებოდა, მაგრამ სასიყვარულო ხლართებში გაება და სემინარიიდან გარიცხეს. ბერმა ანაფორა სამხედრო მუნდირზე შეცვალა და მრავალი ქვეყანა მოიარა. 1755 წელს ვენეციაში დაბრუნებული კაზანოვა სიკრუისა და მკრებელობისთვის დააპატიმრეს. ერთი წლისა და სამი თვის თავზე ციხიდან გაიქცა და პარიზში დამკვიდრდა. მაგიის ელნამ და ათასგვარმა თაღლითობამ მაღალი საზოგადოებისკენ გაუკაფა გზა. იგი შეხვედრია ძღვევამოსილ მონარქებს, ცნობილ პოლიტიკოსებს, გამორჩენილ მსახიობებს, მხატვრებსა და მწერლებს. კაზანოვა ბევრს მოგზაურობდა, იყო რუსეთში, თურქეთში, საბერძნეთში, აფრიკაში და ბევრ სხვა ქვეყანაში. 1775 წელს მრავალფაფერაკვამოვლილმა ვენეციაში დაბრუნების უფლება მიიღო და საინკვიზიციო ტრიბუნალის საიდუმლო იგენტად დაიწყო მუშაობა. შემდეგ სასიყვარულო ინტრიგების გამო იძულებული შეიქნა თავშესაფარი ბოქემიაში, გრაფ ვალდშტაინის სასახლეში ეპოვა. გარდაიცვალა 1798 წელს გერმანიაში.

კაზანოვა მრავალმხრივი ნიჭის ადამიანი იყო. რა არ გაუკეთებია ცხოვრებაში, ექიმბაშობდა, წერდა პიესებსა და რომანებს, იტარებდა მაგიისა და კაბალისტის სეანსებს, თაღლითობდა ბანკში, იჩემებდა პიდრავლიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, ალქიმიის, ფიზიკის, სამხედრო და საინჟინრო საქმის ელნას, იცნობდა ანტიკურ ფილოსოფიასა და მწერლობას, იყო აბატი, ჯარისკაცი, მისონი და დამამენი, ენამქვერი მოსაუბრე და მუსიკოსი. თუმცა სახელი სულ სხვა ასპარეზზე გაითქვა: როგორც ქალების ვულთა მპყრობელმა და უბადლო მუსუსმა.

კაზანოვამ „ჩემი თავგადასავალი“ ფრანგულად დაწერა. მისივე თქმით, დღეში ცამეტ საათს მუშაობდა და ეს დრო ცამეტი წუთივით გარბოდა. არსებობს ამ ვრცელი თხზულების (ხელნაწერი პირობითად ათ ტომადაა დაყოფილი) რამდენიმე რედაქცია. ჩვენ ვისარგებლეთ ბრიუსელში 1881 წელს გამოცემული ექვსტომეულით; შევარჩიეთ, ჩვენი აზრით, საინტერესო ისტორიული მასალის შემცველი თავები და ქართველ მკითხველს ვთავაზობთ ჯ. კაზანოვას „ჩემს თავგადასავალს“ ექვს წიგნად.

1725—1734

I

თავი I

ცნობები ჩემს ოჯახზე. — ბავშვობა

დონ ჯაკომო კაზანოვამ, დაბადებულმა არაგონის დედაქალაქ სარაგოსაში, დონ ფრანჩესკოს უკანონოდ შობილმა ვაჟმა, 1428 წელს მონაზუნად ახალაღკვეცილი დონა ანა პალაფოქსი მოიტაცა მონასტრიდან. დონ ჯაკომო მეფე დონ ალფონსის კარის კანცელარიაში მწერლად მუშაობდა. შეყვარებულნი რომში გაიქცნენ და ერთი წლის ხიზნობის შემდეგ პაპმა მარტინ III ეკლესიის მოძღვრისა და ჯაკომოს ბიძის, დონ ფუან კა-

ჩანოვას თავდებით ანას ღვთის წინაშე დადებული ფიცი ახსნა, დალოცა და ჯაკომო კაზანოვაზე ჯვარი დასწერა. ამ ქორწინების შედეგად მობილი ბავშვები უდღეურნი იღუპებოდნენ და მხოლოდ ერთი, დონ ეუანო ვადარნა. 1475 წელს მან ცოლად შეირთო დონა ელეონორა ალბინი, ვისგანაც ვაჟი-შვილი, სახელად მარკ-ანტონიო შეეძინა.

1481 წელს დონ ეუანმა ნეაპოლის მეფის ოფიცერი მოკლა და იძულებული შეიქნა რომიდან გაქცეულიყო. ცოლშვილიანად ჯერ ქალაქ კომოს შეაფარა თავი, შემდეგ კი ბედის საძებრად ქრისტეფორე კოლუმბუს ექსპედიციას გაჰყვა, სადაც 1493 წელს დაიღუპა.

მარკ-ანტონიო კარგი პოეტი დადგა. მისი შთაგონების წყარო მარციალისის¹ დიდებული პოეზია იყო. თუმცა კარდინალ პომპეუს კოდინას სამდივნოში მსახურობდა, ლექსებში იულაუს დე მედინიზე სატირული შენიშვნები შეაპარა და ამის გამო რომიდან ისევ კომოში გაასახლეს. იქ დაოჯახდა და ცოლად ახონდია რეზონიკა შეირთო.

იმავე იულიუს დე მედინიმ, პაპი რომ გახდა და კლიმენტ VII სახელი მიიღო, დანაშაული აპატია და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ისევ რომს გადმოიყვანა. 1526 წელს ეს ქალაქი დაპყრობილი და აოხრებული იქნა იმპერიული ჯარების² მიერ. ამ შავებლობის წამს მარკ-ანტონიოს შავი ჭირი შეეყარა და გარდაიცვალა. ასეთი სიკვდილი ეწერა ამ პოეტს, თორემ ისე შიმშილით ამოხდებოდა სული, რადგან კარლოს V ჯარისკაცებმა ყველაფერი წაართვეს, რაც ებადა. უკვალოდ არ გაძქრალა მისი სახელი. პოეტი ვალერიანს თავის წიგნში De infelicitate litteratorum (უძრაობის ხანის შესახებ ლიტერატურაში) ვრცლად შეეხო მარკ-ანტონიოს ცხოვრებასა და შემოქმედებას.

პოეტის სიკვდილიდან სამი თვის თავზე მის ქვრივს ვაჟიშვილი, ჯაკომო კაზანოვა შეეძინა. იგი ფარნეზეს არმიის პოლკოვნიკი გახდა და ნავარის მეფის, ანრის წინააღმდეგ იბრძოდა. ანრი შემდგომ საფრანგეთის მეფე გახდა, ხოლო ომგადახდილი ჯაკომო საფრანგეთში დასახლდა და ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა. პარმაში მას ვაჟიშვილი ჰყავდა, რომელსაც ტერეზა კონტისთან ქორწინების შემდეგ ბიჭი ეყოლა. სახელად მასაც ჯაკომო დაარქვა. მან ანა როლი შეირთო და ორი შვილი გააჩინა: ჯოვანი-ბატისტა და ვაეტანო-ჯუზეპე-ჯაკომო.

უფროსმა ვაჟიშვილმა პარმა სამუდამოდ დატოვა 1712 წელს, ხოლო უცროსმა, ცხრამეტი წლისამ 1715-ში.

ესაა ყველაფერი, რაც მაძაჩემის ჩანაწერებში ვიპოვე, დანარჩენი კი დედამმა სიტყვიერად შეავსო.

ვაეტანო-ჯუზეპე-ჯაკომო მამისეულ კერას ერთი მსახიობი ქალის ზღვარგადასულმა სიყვარულმა მოაშორა. ქალს ფრაგოლეტა ერქვა და თეატრში მოახლის როლებს თამაშობდა. შეყვარებულმა და უსახსროდ დარჩენილმა ყმაწვილმა კაცმა, თავი რომ ერჩინა და ცხოვრებაში საკუთარი გზა ეპოვა, ცეკვა დაიწყო. ხუთი წლის შემდეგ ერთ წარმოდგენაში მთავარი როლი შეას-

1. მარციალისი. მარკუს ვალერიუსი (დაახლ. 40—102 წწ.) რომაელი პოეტი.

2. 1527 წ. კარლოს V გერმანულ-ესპანური ჯარების შეერთებული ძალით დაპყრო და დაარბია რომი.

რულა და წარმატება მოიპოვა. ეს სპექტაკლი ზნეობის თავისუფლებით უფრო ხიბლავდა მაყურებელს, ვიდრე ნიჭიერებითა და ოსტატობით.

მერყევი ხასიათის ბრალი იყო თუ ეჭვიანობისა, არაეინ იცის, მაგრამ კაზანოვამ ფრანგულეტა მოატოვა და ვენეციაში კომედიურ დასში ჩაირიცხა. ეს დასი სენ-სამიუელის თეატრში გამოდიოდა. იმ სახლის პერდაპირს შეადგენდა კაზანოვა ბინას ქირაობდა. ერთი მეწაღე ცხოვრობდა, სახელად ჯერომო ფარუზი, თავის ცოლ მარსიასა და ერთადერთ, თექვსმეტი წლის ქალიშვილთან ერთად. ზანეტა უჩვეულო სილამაზით გამოირჩეოდა. ახალგაზრდა მოცეკვავემ შეიყვარა გოგონა და იმდენი მოახერხა, ისიც მოიხუსხა, თავბრუ დაახვია და მოტაცებაზეც კი დაითანხმა. მოტაცება ერთადერთი ხერხი იყო მათი შეუღლებისა, რადგან მარსიასა და, მით უფრო, ჯერომოს თვალში მსახიობები საძაგელი და არასახლო ხალხი იყო. სათანადო საბუთებით ხელდამშვენებული შეყვარებულები ორი მოწმის თანხლებით ვენეციის პატრიარქთან გამოცხადდნენ და მისი ლოცვა-კურთხევით ჯვარი დაიწერეს. მარსიამ, ზანეტას დედამ, ვაივიშით გააყრუა იქაურობა, მამამისმა კი დარდისაგან ლამის სული მიაბარა უფალს. ამ ქორწინებიდან ცხრა თვის თავზე, 1725 წლის 2 აპრილს დავიბადე მე, ჯაკომო ჯილორამო კაზანოვა.

ერთი წლისა რომ შევსრულდი, დედაჩემმა თავის მშობლებს მიმბარა. ოჯახმა თვითნებური საქციელი აპატია, რადგან მამაჩემიც შეპირდა, ცოლს მსახიობობას არასოდეს დაეძალებო. ყველა მსახიობი, ვისაც ქალი ბურჟუაზიული ოჯახიდან მოჰყავს, ამგვარ დაპირებას იძლევა, მაგრამ არასოდეს იცავენ სიტყვას, პირის გატეხვის მოთავენი კი თვითონ ქალები არიან. დედაჩემი უსაზღვროდ ბედნიერი იყო, პირველად სცენაზე რომ გამოვიდა, ცხრა წლის შემდეგ კი, როცა დაქვრივდა და ექვსი ობოლი დარჩა ხელზე, მხოლოდ თეატრში შეეძლო ემოვნა საარსებო სახსარი.

1726 წელს მამამ ვენეცია დატოვა და ლონდონის კომედიურ თეატრში დაიწყო მუშაობა. სწორედ ამ დიდი ქალაქის თეატრის სცენაზე გამოვიდა პირველად დედაჩემი და ლონდონშივე 1727 წელს დაიბადა ჩემი ძმა ფრანჩესკო, ცნობილი მხატვარი-პატალისტი. მან ვენაში დაიღო ბინა და 1783 წლიდან იქ მოღვაწეობს.

1728 წლის ბოლოს ჩემი დედ-მამა ვენეციაში დაბრუნდა და დედამ აქაც განაგრძო თეატრის დასში მუშაობა.

1730 წელს მას შეეძინა ვაჟიშვილი ჯოვანი, შემდგომ დრეზდენის სამხატვრო აკადემიის დირექტორი. ჯოვანი 1795 წლის დასასრულს დრეზდენში გარდაიცვალა.

ჯოვანის შემდეგ დედას კიდევ ორი გოგონა ეყოლა; ერთი ადრე მოუკვდა, ხოლო მეორე დრეზდენში გათხოვდა და ახლაც, 1798 წელს, იქ ცხოვრობს. მამის სიკვდილის შემდეგ კიდევ ერთი ძმა შეგვეძინა; იგი მღვდელი იყო და თხუთმეტი წლის წინათ რომში გარდაიცვალა.

თხრობას ჩემი ცხოვრების ადრეული ხანიდან დავიწყებ, იმ დროიდან, როცა უკვე აზროვნება შემეძლო.

მეხსიერებამ მხოლოდ 1733 წლის აგვისტოს თვიდან შემომინახა მოვონებები: მაშინ უკვე რვა წლისა და ოთხი თვის ვიყავი. იქამდე არაფერი მახსოვს. რა ვქნა, ასე მოხდა და ამაში ბრალი მე არ მიმიძღვის.

ოთახის კუთხეში, კედელს მიყრდნობილი ვიდექი. ცალი ხელით თავი მე-

ჭირა და იატაკზე დაღვრილი სისხლის გუბეს დაქერებოდი. ცხვირიდან შეუჩერებლად მდიოდა სისხლი.



ბებიანემი მარსია მოვიდა; კვებნით არ ვიტყვი, მისი უსაყვარლესი შვილი-შვილი ვიყავი. ცივი წყლით დამბანა პირი, მშობლების დაუკითხავად გმწმინდალა-ში ჩამსვა და მიურანში წამიყვანა. ეს მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში ვენციიდან ნახევარი საათის სავალზეა. გონდოლიდან ჩამოსვლისთანავე ერთ ქოხში შევედი. იქ დარიბულ საწოლზე დედაბერი იჯდა და ხელში შავი კატა ეჭირა. კიდევ ხუთი თუ ექვსი კატა გარს უტრიალებდა. ეს ქალი კუდიანი გახლდათ. ორმა დედაბერმა დიდხანს იჩურჩულა, უთუოდ ჩემზე ლაპარაკობდნენ. ფორლურ კილოკავზე ბაასობდნენ. საუბრის დასასრულს კუდიანმა ბებიანემისგან ერთი დუკატი მიიღო, მერე სკივრი გახსნა, ხელში ამიყვანა, შიგ ჩამსვა და ჩამკეტა. თან მითხრა: ნუ გეშინია, ჭკუა თუ გაქვს, ჰაერი გეყოფა და არ დაიბრჩობიო. მაგრამ მე ჭკუა-გონება სულმთლად დამებნა და სკივრის კუთხეში უაზროდ ვაეინაბე. ცხვირიდან ცხვირსახოცი არ მომიშორებია, რადგან სისხლი ისევ მდიოდა. მკაფიოდ აღვიქვამდი გარედან შემოსულ ხმაურს: ხან სიცილი მესმოდა, ხან ტირილი, რაღაც ყვირილი და სიმღერა. მერე სკივრის თავზე ბრახუნი ვავიგონე, მაგრამ ჩემთვის აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა. როგორც იქნა, სკივრიდან ამომიყვანეს. სისხლის დენამ მიკლო. უცნაური დედაბერი დიდხანს მეფერა, მერე ტანთ გამხადა და ლოგინში ჩამაწვინა. რაღაც დაწვა, ფერფლი ტილოს ნაჭერში შეაგროვა, საფენებში გამხვია, შემილოცა, საფენი მომაძრო, ხუთი ტკბილი აბი ჩამიღო პირში, საფეთქლები და ნიკაპი სურნელოვანი მალამოთი დამიზილა და ტანთ ისევ ჩამაცვა. მითხრა, ჰემორაგია (სისხლის დენა) შეუმჩნევლად გაგივლის, ოღონდ არავის მოუყვე, როგორ გიმკურნალე; თუკი საიდუმლოს გაამხელ, სისხლისგან დაიცილები და მოკვდებიო. ამ დარიგების შემდეგ დამპირდა, ღამით მშვენიერი ქალბატონი გესტუმრება და მასზე იქნება დამოკიდებული შენი ბედნიერებაო. ოღონდ არც ეს უნდა გამემხილა სადმე. ეს იყო და ეს. მერე მე და ბებია შინ დაებრუნდით.

დაწოლისთანავე ჩამეძინა. მშვენიერი ქალი არც გამხსენებია, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ გამეღვიძა და არ ვიცი, მართლა იყო თუ მომეჩვენა, ბუხრიდან თვალისმომჭრელი სილამაზის ქალი გამოვიდა.

ზღაპრული კაბა ეცვა, თავზე ძვირფასი ქვებით მოჭედული გვირგვინი ედგა. გზად ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა. ნელი ნაბიჯით მოძიახლოვდა. დიდებული და კეთილი გამოიმეტყველება ჰქონდა. საწოლზე ჩამომიჯდა. ჯიბიდან პატარა კოლოფი ამოიღო, გახსნა და თავზე რაღაც დამაყარა, თან გაურკვეველად ბუტბუტებდა. მერე დიდხანს მელაპარაკა, თუმცა ნათქვამისა ვერაფერი ვავიგე. მაკოცა და ისევ ბუხარში მიიმალა. კვლავ ჩამეძინა.

მეორე დღით ბებიანემი ჩასაცემლად მოვიდა. მის მოახლოებისთანავე გამახსენდა, ჩუბად რომ უნდა ვყოფილიყავი. საიდუმლოს გამხელისთვის ისიც სიკვდილით დამემუქრა. ბებიას ჩემზე დიდი გავლენა ჰქონდა. მიმაჩვია, ბრძაღ დავმორჩილებოდი ყველა მის ბრძანებას, რის გამოც მეხსიერების ყველაზე ფარულ კუნჭულში ვადაუმაღლე ეს ხილვა. თუმცა აქამდე არცა მქონია ცდუნება, ვინმესთვის გამენდო საიდუმლო.

ავადმყოფობამ უხალისო და მოწყენილ ბავშვად მაქცია. ყველას ვეცოდებოდი და არავინ მეკარებოდა. ეგონათ, დიდხანს არ ვიცოცხლებდი, მშობლები საერთოდ არ მელაპარაკებოდნენ.

მიურანში მგზავრობისა და ღამეული სტუმრობის შემდეგ სისხლი მაინც მდიოდა, მაგრამ დღითი დღე სულ უფრო ნაკლებ და ნაკლებ. თანდათან მეხსიერებაც გამოძისწორდა. ერთი თვეც არ გასულა, რომ კითხვა ეისწავლე.

სასაცილო იქნება ჩემი გამოჯანმრთელება მხოლოდ ამ უცნაურ ეიზიტს მივაწეროთ, მაგრამ ვფიქრობ, არც ის იქნება მართებული, სულწაქმსწაქმსით ეს ამბავი. მშვენიერი ფერიის გამოჩენა მუდამ სიზმარი მეგონა, თუმცა ეს მასკარადი უთუოდ განზრახ მომიწყვეს. ჩემთვის ცხადია, ავადმყოფობის წამალი მარტო აფთიაქში როდი იშოვება. დღენიადავ ესა თუ ის მოვლენა ჩვენს უმეტრებაზე მიგვიითიებებს და დარწმუნებული ვარ, არ არსებობს მეცნიერი, ვისი გონებაც სრულიად გამორიცხავს ცრურწმენას; რასაკვირველია, ქვეყნად კუდიანები არ არსებობენ, მაგრამ არც ისაა სიმართლეს მოკლებული, თუ მორწმუნე ხარ, მუდამ აღმოაჩენ ბნელ ძალას, შენზე ზემოქმედების უნარი რომ გააჩნია. *Somnio nocturnos lemures portentaque Yhessalia vides!*

ზოგჯერ რეალურ სახეს იღებს ის, რაც მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს, ამიტომ ბევრი მოვლენა შეიძლება სრულიად არ იყოს სასწაულებრივი. მაგრამ ვინც რწმენას უსაზღვრო ძალას ანიჭებს, სასწაული მისთვის რეალობას იძენს.

კიდევ ერთი ამბავი შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ეს მიურანში გამგზავრებიდან სამი თვის შემდეგ მოხდა და ექვსი კვირით წინ უსწრებდა მამაჩემის სიკვდილს. ამას, ძვირფასო მკითხველო, მხოლოდ იმიტომ გიყვებით, უკეთ რომ გაიგოთ, რა ეითარებაში მიყალიბდებოდა ხასიათი და ხეობა.

შუა ნოემბრის ერთ დღეს მე და ჩემი უმცროსი ძმა ფრანჩესკო მამაჩემის ოთახში ვთამაშობდით. მამა ობტაკით იყო გატაცებული და თავისუფალ დროს ამ საქმეს ანდომებდა. ჩემი ყურადღება მომრგვალებულმა და დაწახნაგებულმა ბროლის ლინზამ მიიპყრო: ხელი გავწიე და ავიღე. მივ რომ ჩავიხედე და ყველა საგანი გამრავლებული დავინახე. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. წამსვე გამიჩნდა სურვილი — ეს განძი ხელში ჩამეგდო; ბევრი აღარ მიფიქრია და ბურთულა უჩუმრად ჯიბეში ჩავიღე. რამდენიმე ხნის შემდეგ მამამ ხელსაწყოების მიღაგება დაიწყო, მაგრამ ლინზა ვერსად იპოვა. რომელიღაც თქვენგანის წადებულიაო, გვიოხრა. ხელი არ მიხლიაო, ირწმუნებოდა ჩემი ძმა და მეც, თუმცა დამნაშავე ვიყავი, იგივე გავიმეორე. ლინზა თავისით რომ არ აღორთქლებოდა, მამაჩემმა ეს კარგად იცოდა და დაგვემუქრა, გაგზირიკავთ და ვისაც კუპოვი, მათრახით ვცემი. თავი მოვაჩვენე, თითქოს ყველა კუთხე-კუნჭული გადავაქოთე და, როგორც ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა, ბროლი ჩემი ძმის ჯიბეში მარჯვედ ჩავაცურე. მაშინვე კი ვინანე, რადგან უმტკივნეულოდ შეიძლებოდა სადმე შეშეგდო და შერე მეპოვა. მაგრამ გვიანდა იყო თითზე კბენანი: ცუდი საქციელი ჩადენილი მქონდა. უშედეგო ძებნამ მამაჩემს მოთმინება დაუკარგა, გაგზირიკა, საბედისწერო ბურთულა ჩემი უდანაშაულო ძმის ჯიბეში აღმოაჩინა და დაპირებული სასჯელიც მიუზღო. სამი თუ ოთხი წლის შემდეგ შეეცდი და ძმას გამოუუტყდი, ასე უშნოდ გავიხუმრე-მეთქი. არ მაპატია და მუდამ ცდილობდა სამაგიერო გადაეხადა ჩემთვის.

აღსარების დროს, როცა ჩემი ცოდვა და აქედან გამომდინარე ყველა ვარემოება ვაღიარე. ერთი სასიამოვნო რამ გავიგე. ჩემმა იეზუიტმა მოძღვარმა

¹ ზოგჯერ გამოეცხადებოდა სიზმრად ღამეული ხელები, საზარელი ხილვები (ლათ.).

მოხრა, რომ ამ საქციელით ჩემი სახელის მნიშვნელობა დაკადასტურე. ებრაულად ჯაკობო ანუ იაკობი, „შემავიწროებელს“ ნიშნავსო. ამის გამო თქვენი პატრიარქს სახელი შეუცვალა და ისრაელი ანუ ნათელმჭვრეტელი უწოდაო.

ამ შემთხვევიდან ექვსი კვირის შემდეგ მამაჩემს თავში სიმსივნე ფლამაჩნდა და რვა დღეში გარდაიცვალა. ექიმმა ზამბელიმ ჯერ კუჭის გახსნის შემდეგ დაუნიშნა, შემდეგ მეცდომის გამოსასწორებლად თაზვის ჭავრილი გამოუწერა. საწყალ მამაჩემს კრუნჩხვები დაეწყო და აუწერელი ტანჯვით გარდაიცვალა. სული განუტევა თუ არა, დაჩირქებული სიმსივნე გასკდა და ყურიდან გადმოინთხა, თითქოს თავისი მოითავა და ტანჯულ სხეულში აღარა ესაქმებოდა რა.

მამა ნიჭისა და ძალ-ღონის გაფურჩქვნის ხანაში გარდაიცვალა. სულ ოცდათექვსმეტი წლისა იყო. იმქვეყნად მაყურებლის სინანული და სიყვარული გაიყოლია. უბრალო ხალხიცა და ძალადი საზოგადოებაც თავვანს სცემდა, როგორც მსახიობს, სამაგალითო მოქალაქეს და მექანიკის დიდ მცოდნეს.

სიკვდილამდე ორი დღით ადრე მამაჩემმა აღსასრულის მოახლოება იგრძნო. ყველანი თავის საწოლთან მიგვიხმო და ჩვენი თავი დედაჩემსა და ღირსეულ კენეციელს, ბატონ გრიმანის ჩააბარა, — თქვენი მფარველობის იმედით ვტოვებო ჩემს შვილებს.

მერე დაგვლოცა და გულმდურად ძტირალ დედაჩემს ფიცი დააღებინა, რომ არც ერთ შვილს მსახიობობას არ დაანებებდა. სიკვდილის წინ აღიარა, თუ არა წყეული სიყვარული, სცენაზე ფეხს არასოდეს დაუდგამდით. დედაჩემმა ფიცი დადო და ჩვენც, სამმა პატრიციმ, დავადასტურეთ, რომ პირიბას არ დავარღვევდით. ჩვენი ცხოვრება ისე აეწყო, მართლაც არავის გაუტეხია ფიცი.

ამ დროს დედაჩემი ექვსი თვის ფეხშიძე გახლდათ და სცენაზე გამოსვლა მხოლოდ აღდგომის შემდეგ შეძლო. ლამაზსა და ახალგაზრდა ქალს ხელის მოხონული ბევრი გამოუჩნდა, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა. განგებას მიენდო და ჩვენი ფეხზე დაყენება ღვთის შეწევნით განიზრახა. შვილებში არასოდეს გამოვურჩევივარ, მაგრამ რადგან სუსტი და აკადემიოფი ვიყავი, ზრუნვა და ყურადღება ჩემზე გადმოიტანა. უფროსები საგონებელში ჩავარდნენ, არ იცოდნენ, სად გაუქმწესებინეთ. ხელიდან არაფერი გამოიმდიოდა, უნარს ვერაფერში ვიჩენდი, უჭმელი, ჩია ბავშვი ვიყავი და, რაც ყველაზე სავალალო იყო, სახეზე მუდამ უგუნური გამომეტყველება დაბთამაშებდა. ექიმებმაც ვერა და ვერ დაადგინეს ჩემი ავადმყოფობის მიზეზი. ერთნი რიტორიკულად კითხულობდნენ: თუ ორგანიზმში თექვსმეტიდან თვრამეტე გირვანქამდე სისხლია, მე კი ყოველ კვირაში ორ გირვანქას ვკარგავ; როგორ შეიძლება ასეთმა უხვმა სისხლის ღენამ არ გამოძფიტოს და, საერთოდ, რა მანქანებით მიდგას სული?! მეორენი ამტკიცებდნენ, ვითომ ჩემს ორგანიზმში არსებული მთელი სითხე სისხლად გარდაიქმნებოდა, შესამენა კი დარწმუნებული იყვნენ, ყოველ ჩასუნთქვაზე ფილტვებში ჩასული ჰაერი თითოეულ ულუფა სისხლს მიმატებდა და საბუთად ისიც მოჰქონდათ, მუდამ პირდაფრენილი ამიტომ არისო. ეს ყველაფერი ექვსი წლის მერე, განსვენებული მამაჩემის, მეგობარმა, ბატონმა ბაფომ მიაგებო.

ამ უანგარო ადამიანმა ჩემი ავადმყოფობის გამო ცნობილ ექიმს მიაკითხა პადუაში. ექიმმა მაკოპმა დასკვნა წერილობით გამოატანა და ეს ქალაქი დღესაც შენახული მაქვს. შიგ ეწერა, რომ სისხლი არის დრეკადი სითხე და უნარი შესწევს სიმკვრივე მოიმატოს ან მოიკლოს, მაგრამ რაოდენობრივად მუდამ

უცვლელია. ამიტომ ჩემი სისხლის ღენის ერთადერთ მიზეზად შეიძლება სისხლის გამკვრივება ანუ შეღებვა ჩათვლილიყო. ბუნებრივია, ასეთ დროს სისხლი გამოსავალს ეძებს და ცდილობს გადმოიღვაროს, რათა ძარღვებში დარჩენილი ბლანტმა სითხემ შემდგომ თავისუფლად იმოძრაოს, ჩემზე წერდა, დიდი ხნის მკვდარი უნდა იყოს, ორგანიზმს გადარჩენისთვის თავად რომ არ შესრულებული სისხლის გასქელების მიზეზად ვენეციის ჰავა მიაჩნდა. ბოლოს ასკენიდა, თუ ჰაერს არ გამოიმცვლიდნენ, ჩემს დაღუპვასაც უნდა შეჰკუებოდნენ. ექიმის აზრით, სახეზე აღბეჭდილი გონებაჩლუნგობა მხოლოდ სისხლის მასის სიმკვრივეით იყო განპირობებული.

სწორედ ბატონი ბაფო, გენიალური პოეტი და აეხორცული პოეზიის უბადლო წარმომადგენელი, მოთავე იყო ჩემი პადუის პანსიონში გამწესებისა და შეიძლება ითქვას, დღეს ცოცხალი რომ ვარ, ესეც მისი დამსახურებაა. აგერ უკვე ოცი წელია, რაც ერთ-ერთი უძველესი პატრიციული ოჯახის ეს უკანასკნელი წარმომადგენელი ჩვენ შორის აღარ არის, მაგრამ მისი ლექსები, ზოგჯერ ბინძური და უხამსი, პოეტის სახელს არასოდეს დაავიწყებენ მოამომავლობას. ვენეციის სახელმწიფო ინკვაზიციამ ღვთისმოსიშობის გამო უნებლიეთ შეუწყო ხელი ბაფოს წარმატებასა და დიდებას. რაკილა მისი ხელნაწერები იღვევებოდა, ხალხმა კიდევ უფრო დააფასა და შეიფვარა. ხელისუფალთ უნდა სცოდნოდეთ: *spreta exoleseunt!*

პროფესორ მაკოპის დიაგნოზი ჩვენს ოჯახში მართებულად მიიჩნიეს და აბატმა გრიმანიმაც მაშინვე ავალდებულა, პადუაში ჩემთვის კარგი პანსიონი მოეძებნა. ამ ქალაქში ერთი კარგი ნაცნობი აღმოაჩნდა, გვარად ოტავიანი, ერთდროულად ქიმიკოსიცა და ანტიკვარიც. პანსიონი მალე გამოიძებნა და 1734 წლის 2 აპრილს, სრული ცხრა წლისა რომ შეეკრულდი, ბრენტას არხით პადუაში გავებზავრეთ. ეივანშემთ თუ არა, საღამოს ამ საათზე უკვე ბურჩიელოში² ვისხედით.

ბურჩიელი პატარა მოცურავე სახლს ჰგავდა. თავსა და ბოლოში თითო-თითო საძინებელი და მომცრო სასტუმრო კაიუტები ჰქონდა, ხოლო გემის ქიმსა და კიბოზე დარაბიანი ფანჯრებით დამშვენებული მეზღვურთა კუბრიკები იყო. რვასაათიანი მოგზაურობა გველოდა. აბატი გრიმანი და ბატონი ბაფო სასტუმროში მოთავსდნენ, ხოლო მე და დუღანემი საძინებელში დავწექით.

იმ დღეს დედა დილაადრიან აძღვარაყო, ჩემი საწოლის გამოსწვრივ ფანჯარა გაეღო და ამომავალი მზის სხივებმაც პირდაპირ სახეში შემომაჭყიტა. თვალი გავახილე. საწოლი ფანჯრის რაფაზე ბევრად დაბლა იდგა, ამიტომ ნაპირს ვერ ვხედავდი: მოჩანდა მხოლოდ მდინარის ჩაყოლებახე აკუნწული ხეების წვეროები. ჩვენი ბურჩიელო ისე დინჯად და თანაბრად მიცურავდა, მის მოძრაობას სრულებით ვერ ვგრძნობდი. ფანჯარაში კი ხეები ქრებოდნენ, ხანაც ისევ ჩნდებოდნენ. თავხარი დამეცა.

— თქ, ჩემო საყვარელო დედიკო, — წამოვიძახე, — რა ხდება? ხეები დადიან!

ამ დროს ჩვენი თანამგზავრებიც შემოვიდნენ და, ასე გაოცებული რომ დამინახეს, მკითხეს, რა მოგივიდაო.

— შეხედეთ, შეხედეთ! — მივუგე აღელვებულმა, — ხეებმა სიარული დაიწყეს!

¹ რაც ყურადღების მიღმა ჩნება, იგი მივიწყებას მიეცემა (ლათ.).

² პატარა გემი (იტალ.).

ორივეს გაეცინა. დედაჩემს ჯერ მწარე თხერა აღმოხდა, შემდეგ კი შესაბრა-
ლისად გადმომხედა და მითხრა:

— ხეები კი არა, ჩვენი გეზი მიდის. ჩაიცვი.

მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა. აქამდე დახშულ გუნებებს უღებ ლაგამი
აეხსნა, შეინაყარდ-შეიკუნტრუშა, ეს აზრი შეითვისა, გადხაშუმსკამტაპი, რა
სიტყვები ამომათქმევინა:

— იქნებ მზეც გაჩერებულია და ჩვენ ვმოძრაობთ დასავლეთიდან აღმოსავ-
ლეთით.

ამ სისულელის გაგონებაზე დედაჩემმა შეჰკივლა. ბატონმა გრიძანიმ შეიც-
ხადა და წაიდუღუნა, ღმერთო, შენ მიუტევე ეს სიბრიყვეო. მე კი, გაოგნებული
და განადგურებული, სატირლად გავემზადე. მაგრამ ბატონმა ბაფომ სასოწარ-
კვეთისაგან მიხსნა. მომეარდა, გულში ჩამიკრა და მითხრა:

— შენ მართალი ხარ, ჩემო პატარავ. მზე არ მოძრაობს! გამხნევდი, ყოველ-
თვის თანამიმდევრულად იმსჯელე, სხეებმა კი დაე, იცინონ!

გაოცებულმა დედაჩემმა იკითხა, განა შეიძლება ბავშვს შეცდომა არ გაუს-
წორო და, პირიქით, კიდევ წააქეზო?

მაგრამ ფილოსოფოსს პასუხი არავისთვის გაუცია. ცდილობდა ეს მოვლენა
ჩემი ასაკისთვის შესაფერი უბრალო სიტყვებით აეხსნა, ჩემს ცხოვრებაში პირ-
ველი დიდი სიხარული იმ დღეს განვიცადე. ბატონი ბაფო რომ არა, აზროვნების
უნარი დამიკნინდებოდა და ყოველი ძალა წამერთმეოდა; გულახდილობის შიში
დაისადგურებდა ჩემში და მავანთა უცოდინრობა დამიბლაგვებდა ნიჭიერების
მახვილს, ამ იარაღის გარეშე კი შორს ვერ წავიდოდი. მხოლოდ ჩემს ნიჭსა
და უნარს უნდა ვუმაღლოდე იმ ბედნიერებას, ზოგჯერ რომ განვიცდი საკუთარ
თავთან მარტო დარჩენილი.

პაღუაში ბატონი ოტავიანს დილაადრიან მივაღექით. მისმა ცოლმა აღერ-
სით ლამის დამახრჩო. ამ ოჯახში ხუთი თუ ექვსი ბავშვი ჰყავდათ; ამათგან
სილაძაზით ორი გოგონა გამოიჩინებოდა. ოტავიანმა იმ სახლში მიგვიყვანა, სა-
დაც უნდა მეცხოვრა. მისი სამოსახლოდან ჩემი ბინა სულ ორმოცდაათი ნაბი-
ჯის საკალზე იყო სენ-მარი დ'ავანსზე, სენ-მიშელის სამრევლოში, ერთ მო-
ხუც სლავ ქალთან. ამ სახლის მეორე სართულს სლავი პოლკოვნიკის ცოლი,
ქალბატონი მიდა ქირაობდა და სწორედ მას ჩამაბარეს. ჩემი პატარა სკივრი
გაუხსნეს და გადასცეს სია ყველაფრისა, რაც შიგ ელაგა. პანსიონის ექვსი თვის
ფული, ექვსი ცეხინიც, წინასწარ გადაუხადეს. ჩემი კვება, სარეცხი და დაბანა,
მეცადინეობაზე თვალყურის მიდევნება, — ყველაფერი ქალბატონ მიდას ევა-
ლებოდა და ამ თანხაში შედიოდა. დედაჩემსა და მის ორ მეგობარს ყურადღება
არ მიუქცევიათ პოლკოვნიკის მეუღლის მორიდებული სიტყვებისათვის, ეს
თანხა საკმარისი არ არისო, — გადამეხვავნენ, გადამკოცნეს, დამარიგეს, ქალ-
ბატონ მიდას დაუჯერეთ, და დამტოვეს. ასე და ამრიგად მომიშორეს თავიდან.

1742—1743

თავი VI



**ბაბიანეში სიკვდილი და მისი უძებნავი. — ბატონი დეკანოზის
ეროვნული კათოლიკოსობის დაკარგვა. — უსახლკაროდ დარჩენა, —
ტინტორეტა. — სეპინარიიში გაგზავნა. — სეპინარიიდან გამობ-
ღვა. — ღაპათიერება.**

ვენეციაში დაბრუნებულს ბებიანეში ავად დამხვდა. ძალიან მიყვარდა და მის მოვლა-პატრონობას დახვეული ყოყავი, მაგრამ ახლა ვცდილობდი არაფრით შემეწუხებინა და უწინდელ ნებივრობაზე ნებაყოფლობით უარი ვთქვი. ერთ წუთს არ ვტოვებდი მარტო და შეიძლება ითქვას, მის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე საწოლს არ მოვშორებივარ. ჩემთვის არაფერი დაუტოვებია: რაც ებადა და შეეძლო, სიცოცხლეშივე მომცა და გამიკეთა. მისმა სიკვდილმა ცხოვრების გეზი ძირუღალად შემაცვლევინა.

ბებია ერთი თვის გარდაცვლილი იყო, როცა დედაჩემისგან წერილი მივიღე, მაუწყებდა, რომ ვენეციაში დაბრუნების შესაძლებლობა არ გააჩნდა და ამიტომ სახლი, სადაც აქამდე ქირით ვცხოვრობდი, უნდა დაგვეტოვებინა. ეს გადაწყვეტილება აბატ გრიმანის უკვე შეატყობინა, მე კი მხოლოდ მისი მითითებით უნდა შემოქმედა. მასვე დაევალა გაეყიდა ჩვენი მოძრავი ქონება, ხოლო ბავშვები კარგ პანსიონებში მოვეთავსებინეთ.

თავი მოვალედ ჩავთვალე აბატ გრიმანისთან გამოეცხადებულისავე, რათა დამერწმუნებინა, რომ მის ყოველ ბრძანებას დავემორჩილებოდი.

ბინის ქირა წლის ბოლომდე გადახდილი გვექონდა, მაგრამ რაკილა გამაფრთხილეს, რომ გაისად უსახლკაროდ უნდა დავრჩენილიყავი და მთელი ავეჯი გაიყიდებოდა, თავს აღარ ვიზღუდავდი და ხელგამლილი ცხოვრება დავიწყე. ჯერ თეთრეული, ნიხები და ფაიფური გავყიდე, შემდეგ ბროლს, ლოჯინს და სხვა ნივთებსაც მივაღექი. არ მეგონა, ეს საქციელი მძიმე ბოროტებად თუ ჩამეტვლებოდა, რადგან ვიცოდი, რომ ამ სახლში ყველაფერი მამაჩემს ეკუთვნოდა და დედას ამ ქონებაზე არავითარი უფლება არ გააჩნდა, რაც შეეხებოდა ჩემს ძმებს, ალბათ, საკმარისი დრო გვექნებოდა ერთმანეთში გაგვერკვა ეს საკითხები.

ოთხი თვის შემდეგ დედაჩემმა ხელახლა მომწერა, ახლა უკვე ვარშავიდან წერილში კიდევ ერთი ბარათი იღო. აი, რას მწერდა დედა:

„ჩემო საყვარელო შვილი, აქ ერთი ფრანცისელი ბერი გავიცანი, ძალიან მცოდნე და ნიჭიერი კაცი. დიდი პატივი დამლო და მესტუმრა. ამ ადამიანის მალაღმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ თქვენზე მაფიქრებინა. ვუთხარი, რომ უკვე ერთი წელია სასულიერო სამსახურისათვის გამზადებო, მაგრამ საშუალება არა მაქვს სამომავლოდ თქვენს სწავლა-განათლებაში ფული გადავიხადო. შემპირდა შევირდად ავიყვანო, ოღონდ დედოფლისთვის უნდა მეთხოვა, რომ მისთვის ეპარქია მიეცა თავის სამშობლოში. საქმე გადაწყვეტილად ჩაითვლება, თუ მისი უმაღლესობა ინებებს და სარეკომენდაციო ბარათს გაუგზავნის თავის ქალიშვილს, ნეაპოლის დედოფალსო.

ღმერთის რწმენით აღსავსე, ფეხებში ჩავუვარდი ბატონ ს. მ.-ს და წყალობა მივიღე. დედოფალმა ინება და ქალიშვილს წერილი გაუგზავნა, ღირსეული პრე-

ლატი კა პაპმა მარტორანოს ეპარქიაში განამწესა. ჩემი შვალი, დაპირებისა-
მებრ იგი გაიხად, ზაფხულის მიწურულს გამოვივლით და თან წავიყვანთ, რად-
გან კალაბრიაში ჩასასვლელად გზად ვენეციაში უნდა გაიაროს. ყველაფერს
თვითონვე გწერთ ამ წერილზე დართულ ბარათში. დაუყოვნებლივ უპასუხეთ,
წერილი ჩემს მისამართზე გამოგზავნეთ, მე კი პირადად გადმავლით. სულ
სიის უმაღლეს საფეხურზე ავიყვანთ და წარმოიდგინეთ, რა ნუგეშისცემა და
ბედნიერება იქნება ჩემთვის, თუ ან თცდაათი წლის შემდეგ, სულ ცოტა ეპის-
კოპოსად ვიხილოთ! მის ჩამოსვლამდე აბატი გრიმანი გაპატრონებო. ვიგზავნი
მშობლიურ ლოცვა-კურთხევას და ა. შ.

ეპისკოპოსის უსტარი ლათინურად იყო შეღვენილი და დედანემის წერა-
ლისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა, მხოლოდ უფრო დათაფლული მოძევენა.
ბოლოს მაფრთხილებდა, ვენეციაში მხოლოდ სამი დღით შევჩერდებიო.

პასუხი სასწრაფოდ გავგზავნე.

ამ ორმა წერილმა თავგზა ამიბნია. მშვიდობით, ვენეცია! დარწმუნებული
ვიყავი, ბედისწერა ბრწყინვალე მომავალს მიქადდა და მოუთმენლად ველოდი
წუთს, როცა ამ მომავლისკენ გადავდგამდა უკვე ისედაც დაგვიანებულ ნაბიჯს.
არ მენანებოდა არაფერი, რასაც სამშობლოში ვტოვებდი, და ასეთი განწყობა
ხალისს მმატებდა. პატივმოყვარეობისა და ამპარტაუნობის ხანა უკან დამრჩა;
თავს ეირწმუნებდი, წინ ყველაფერი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მე-
ლოდება-მეთქი. ბატონმა გრიმანიმ ჩემი არჩევანი ძალზე მოიწონა, შემაქო
და შემპარდა, რომ ზრუნვას არ დაიშურებდა და კარგ პანსიონში მომათავსებდა.
პანსიონში წლის დასაწყისში უნდა შევსულიყავი და იქ დავლოდებოდი ეპისკოპო-
სის მობრძნებას.

ბატონი დე მალიპიერი თავისებურად ბრძენკაცი იყო და ხედავდა, რომ
ვენეციაში, სიამოვნებასა და ფუქსავატურ ცხოვრებაში ჩამირულ ამ ქალაქში
ტყუილებრად ვფლანგავდი ძვირფას დროს. უხაროდა, ჩემი ცხოვრებისეული
მიზნების შესრულებას ზღურბლზე რომ ვიდექი და აქაურობას უნდა გავცლოდი.
მომიწონა წარმოქმნილი მდგომარეობის სწრაფი შეფასება და სწორი გადაწყვე-
ტილების მიღება. ერთი დარიგება მომცა და ეს გაკვეთილი არასოდეს დამვიწ-
ვებია. „Sequere Deum“ შემახსენა მან სტოიკოსების ცნობილი დებულება, რაც
გავრცობილად ნიშნავს, მიუხედავად ბედის არჩევანს, თუ იგი ზიზღს არ იწვევს შენ-
ში“. ეს იყო როგორც მან დაუმატა, სოკრატეს დამთრგუნველი დემონი, soepe
revons, raro impellens¹; სწორედ აქედან მომდინარეობს იმავე სტოიკოსების
მტკიცება: *iata viam inveniunt*².

ასეთი იყო ბატონ დე მალიპიერის სიბრძნე, მეცნიერისა, ვინც ცხოვრებაში
მხოლოდ სულიერების ზნეობრივი მოძღვრების წიგნით ხელმძღვანელობდა. მა-
გრამ, თითქოს იმის საბუთად, რომ ამქვეყნად სრულყოფილი არაფერია და
ყველაფერს კარგი და ცუდი მხარე აქვს, ერთი თვის შემდეგ ისეთი რამ შე-
მემთხვა, რომ თუმცა ამ ცნებებს ვიცავდი, მისი წყრომა მაინც დავიმსახურე
და ვერც ვერაფერი ვისწავლე.

ბატონ სენატორს ეგონა, რომ ბედის რჩეულ მოზარდთა სახეზე განგების
აბსოლუტური ნების ნიშნების ამოცნობა შეუძლო. თუკი ირწმუნებდა, ნიშანს

¹ რომელიც ხშირად აჩერებს და იშვიათად უბრძვებს (ლათ.).

² ბედმა იცის, საით წავიყვანათ (ლათ.).

ვხედავო, ასეთ პიროვნებას იახლოვებდა და ასწავლიდა, თუ როგორ დახმარებოდა საკუთარ ბედს და ჭკვიანურად წარემართა თავისი ცხოვრება. ამასთან დაკავშირებით ამბობდა და ეს ნათქვამიც არ იყო მოკლებული ჭეშმარიტებას: — მედიცინა უვიცის ხელში საწამლაჲია, ხოლო საწამლაჲი ჭკვიანის ხელში წამალია.

იმ ხანობას სამი რჩეული ჰყავდა და სამივეს, აღზრდის თვალსაზრისით, ყველაფერს უკეთებდა, რაც შეეძლო, ჩემ გარდა ესენი იყენენ ტერეზა იმერი და მომღერალ გარდელას ქალიშვილი, ჩემზე სამი წლით უმცროსი, ვისაც ლამაზ სახეზე მართლაც რაღაც ნათელი გადაჰყენოდა. გონებაგამჭრიახი მოხუცი სწორ გზაზე დასაყენებლად გოგონას ცეკვას ასწავლიდა, რადგან, როგორც ამბობდა, შეუძლებელია ბურთის ღუზაში ჩაგდება, თუ არ უბიძგებო. შემდგომ ეს გოგონა ოგიუსტას სახელით შტუტგარტში, ბრწყინავდა და 1754 წელს ჰერცოგ დე ვიურტემბერგის პირველი ტიტულოსანი საყვარელი გახდა. ამ უჩვეულოდ მომხიბვლელ ქალს უკანასკნელად ვენეციაში შევხვდი. სადაც ორი წლის წინათ კიდევ გარდაიცვალა. მისმა ქმარმა, მიშელ დე ლიგატმა, ცოლის სიკვდილიდან ცოტა ხნის შემდეგ თავი მოიწამლა.

ერთ დღეს ყველამ ერთად ვისადილეით და სენატორი დასაძინებლად წავიდა; ნასადილევს ასეთი ჩვეულება ჰქონდა. გარდელას პატარა გოგონას გაკვეთილზე ეჩქარებოდა და იმანაც მალე დაკვტოვა. მე და ტერეზა მარტონი დავრჩით. იგი ყოველთვის მომწონდა, თუმცა არასოდეს გავვარშიყებივარ.

მაგიდასთან გვერდიგვერდ ვისხედით, ზურგი კაბინეტისკენ გვექონდა მიქცეული, სადაც, როგორც გვეგონა, ჩვენს პატრონს ეძინა. უცებ უცნაური სურვილი გაგვიჩნდა — შეგვემოწმებინა განსხვავება ჩვენს აგებულებაში. ყველაზე საინტერესო ადგილას რომ ვიყავით, ბეჭებზე ჯოხის ძლიერი დარტყმა ვიგრძენი, რასაც მეორე, უეჭველად უფრო ძლიერი დარტყმა მოჰყვებოდა, რომ არ ამეცდინა და არ მომეკურცხლა. ასე შეგვაწვევტინეს დაწყებული საქმიანობა. უქულოდ და უპალტოოდ გამოვეარდი გარეთ და ჩემს ოთახში ჩავიკეტე. თხუთმეტი წუთი არ იქნებოდა გასული, რომ ზემოხსენებული ნივთები სენატორის მოხუცი მოსამსახურის ხელით მივიღე. მაშინვე სენატორის ბარათიც გადმომცა, სადაც შკაცრად მაფრთხილებდა — ამიერიდან ფეხი აღარ მიმედგა მისი აღმატებულების სასახლეში. ბევრი არ მიფიქრია და ასე ვუპასუხე:

„თქვენ გაბრაზდით და მცემით. აქედან გამომდინარე, ვერ დაიკვეხნით, რომ ამ დროს გაკვეთილს მიტარებდით ან რაღაცას მასწავლიდით. არ მინდა ის ვისწავლო, რაც ამ გაკვეთილმა მომცა. შემოდგომა მხოლოდ მაშინ გაპატიოთ, თუ დავიეწიყებ, რომ განსწავლული კაცი ბრძანდებით. მე კი ეს არასოდეს დამავიწყდება“.

ბატონი სენატორი აღბათ მართალი იყო, როცა არ მოეწონა ის წარმოდგენა, მე და ტერეზამ რომ მოუუწყვეთ. მაგრამ, თუმცა ხნიერი კაცი გახლდათ, ძალიან წინდაუხედავად მოიქცა, რადგან ჩემი გაგლების მიზეზს ყველა მოსამსახურე მიხვდა და უკვე მეორე დღეს ამ თავგადასავალზე მთელი ქალაქი იცინოდა. სენატორმა ტერეზას საყვედურის თქმაც ვერ გაუბედა. ხანი გამოხდა და თვითონ ტერეზამ მიაშბო ეს ამბავი, თუმცა ჩვენს ჯიარის კეთილგანწყობა უკვე ვეღარ აღსდგა.

ის დროც მოახლოვდა, მამანემის სახლი რომ უხდა დამეტოვებინა. ერთ მშვენიერ დღეს ორმოციოდე წლის კაცი შემოვიდა ჩემთან. თავზე შავი პარიკი

ვეთა, მხრებზე წითელი პალტო მოესხა და ბრინჯაოსფერი, მზით გარუჯული სახე ჰქონდა. მის დანახვაზე ეს სამი ფერი თვალში მეცა. კაცმა ბატონი გრიმანის წერილი გადმოძეა, სადაც ეწერა, რომ სახლის მთელი ავეჯი წერილის მომტანისთვის უნდა გადამებარებინა იმ სიის შესაბამისად, რომელიც მესწავლელთ ჰქონდა. ქონების ნუსხის ასლი ჩემთან ინახებოდა. ავიღე ფურცლები და ნივთები, ნუსხაში რომ იყო შეტანილი და ჯერ ადგილზე იდგა, ვაჩვენე. რაც აკლდა, ვუთხარი, — არ ვიცი, რა იქნა-მეთქი. თავხედმა დამრიგებლის კილოთი გამომიცხადა, ახლავე მომახსენეთ, სად გააქრეთ ეს ყველაფერიო, და ხმას აუწია. საქმის ასეთი შემობრუნება აღარ მომეწონა და ვუპასუხე, მოვალე არა ვარ ანგარიში ჩაგაბაროთ-მეთქი. აქ არ განერდა, ხმას უფრო და უფრო იმაღლებდა და ამიტომ შევთავაზე გარეთ გაბრძანებულოყო, თან ვაგრძნობინე, ჩემს სახლში მე უფრო მეტი ძალა და უფლება მქონდა, ვიდრე მას.

ვალდებულად ჩავთვალე თავი, რაც მოხდა, ბატონი გრიმანისათვის შემეტყობინებინა. ვიცოდი, როდის დგებოდა, და იმ დროს მივედი, მაგრამ შავპარიკიანს უკვე დაესწრო და ყველაფერი ჩაეკაკლა. აბატმა მრისხანე საყვედურები მომეყარა, მე კი, გაჩუმებულს, გულში უნდა ჩამეკლა პირზე მომდგარი სათქმელი. ბოლოს აბატმა გამქრალი ნივთებას ანგარიში მომთხოვა. ვუპასუხე, იძულებული ვიყავი გამეყიდა, ვალები რომ არ დამდებოდა-მეთქი. ამის გაგონებაზე არამზადა მიწოდა. ვინ მოგვა მაგის უფლებათ? — მივევირა და მიბრძანა, ახლავე დამეტოვებინა მისი სახლი, თან მომადახა, ახლა კი ვიცი, რასაც ვიზამო.

ბოლმით გაგიჟებული გავიქეცი, რომ ვინმე ებრაელი მენახა და ყველაფერი, რაც დარჩა, გამეყიდა. მაგრამ შინ მიბრუნებულს კართან სასამართლოს აღმასრულებელი დამხვდა და ყაღალის დაღების ოქმი გადმოძეა. ოქმი წაეკითხე და იქვე აღმოვაჩინე, რომ იგი უკვე აღესრულებინა ანტუან რაზეტას. ბატონი რაზეტა ლოყებლაყდაჟა, ჩახუქებული კაცი იყო. ყველა კარი დალუქული დამხვდა, საკუთარ ოთახშიც კი ვერ შევედი. აღმასრულებელმა წასვლისას მცველები დატოვა. დრო არ დამიკარგავს, მაშინვე ბატონ როსასთან გავიქეცი და ყველაფერი წერილად მოვუყევი. გამომართვა ოქმი, წაიკითხა და მითხრა, ლუქს ხვალვე მოვახსნევენებ, ამასობაში კი რაზეტას სასამართლოში გამოვაძახებინებო. ეს ღამე, ჩემო ძვირფასო, ვინმე აზნანაგთან გაათიეთ; ძალადობა მომხდარა და იგი რაზეტას ძვირად დაუჯდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს კაცი ბატონი გრიმანის ბრძანებით მოქმედებს, ამ საქმის მოთავე გრიმანიაო.

ღამე ჩემს ანგელოზებთან, ორ დასთან¹, გავათიე, დილით კი ლუქები ახსნილი დამხვდა. რაზეტა სასამართლოში არ გამოჩენილა. ბატონმა როსამ ეს საქციელი დანაშაულად ჩათვალა და, თუ მეორე გამოძახებაზე არ გამოცხადდებოდა, მისი დაპატიმრება ბრძანა. მესამე დღეს ბატონმა გრიმანიმ წერილით შემეტყობინა, რომ მიბარებდა. სასწრაფოდ მივედი. დამინახა თუ არა, უკმეზი კილოთი მომახალა, რას აპირებო?

— ძალადობისგან თავი უნდა დავიცვა და კანონის ძალას შევეფარო, — ვუპასუხე, — უნდა ვიბრძოლო იმ კაცის წინააღმდეგ, ვისთანაც ნებით არასოდეს დავიჭერდი საქმეს. მან მაიძულა ღამე უკადრის ადგილას გამეტარებინა.

¹ ნანეტა და მარტონი ქალბატონი თორის თბოლი დისშვილები იყვნენ. კახანოვა თორვე გოგონას შეუყვარდა და იგი დებს ხუმრობით „ორ ანგელოზს“ ეძახდა.

– უკადრის აღვილას?

– დიახ. უკანონოდ რატომ დამიშალეს საკუთარ სახლში შესვლა?

– ამჟამად ხომ თქვენს სახლში ხართ! ახლა მიბრძანდით თქვენს პროკურორთან და უთხარი, შეწყვიტოს პროცესი, რადგან რაზეტა ყველაფერს ტყვეობდნებით აკეთებდა. ალბათ დარჩენილი ნივთების გაყიდვის დაუბრუნებელი ვილი გდრღნიდათ, ეს ჯაფა აგაცილეთ, ყველაფერი უკვე გატანილია. თქვენ კი სენ-ჟან-კრიზოსტომზე, ჩემს საკუთარ სახლში ერთა ოთახი დაგიტოვეთ. მეორე სართულზე მეზობლად ტინტორეტა გვეოლებათ, ჩვენი პრიმა მოცეკვავე მაშ, იჩქარეთ, პირადი ნივთები გადმოიტანეთ და ყოველდღე სადილად ჩემთან შეგინდით მობრძანდეთ. თქვენა დაცა და ძმაც საუკეთესო პანსიონებში მოვათავსე. ასე რომ, ყველაფერი ჩინებულადაა მოგვარებული.

ბატონ როსასთან მიუვლი და ჩვენი საუბარი დაწვრილებით გადავეცი. მიზთხრა, ყველაფერს, რასაც გრიმანი ითხოვს, გააკეთებო. მეც დავეთანხმე, რადგან ასეთი ვითარება ხელს არ შემიშლიდა, აბატთან ძველი ურთიერთობა აღმედგინა. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. გამარჯვებულად ვგრძნობდი თავს, რადგან გრიმანიმ იწება და მასთან სადილობის ნება დამართო. ამ მიზეზთა გარდა ისიც მიხაროდა, რომ ტინტორეტასთან ერთ სახლში უნდა მეცხოვრა. ამ ქალზე ბევრი მოთქმა-მოთქმა იყო ქალაქში და იმასაც ამბობდნენ, პრინცი დე ვალდეკი დიდ ფულს ახარჯავსო.

ეპისკოპოსი იმ ზაფხულს უნდა ჩამოსულიყო, სანამ პონტიფიკატში¹ ამოეყოფდი თავს, ვენეციაში ჩემს გემოზე სანავარდოდ ექვსი თვეა მრჩებოდა. მაგრამ ეს არ მადარდებდა, ყველაფერი ვარდისფერ ფერებში მეხატებოდა, აღზნებულნი გონება შორს, სივრცულ ფარდებს მიღმა ბროლის კოშკებს ლანდავდა და მომავალი უწყველად მიმზიდველი მეჩვენებოდა.

ბატონ გრიმანისთან სადილობისას რაზეტას გვერდით ვიჯექი. უსიამო საზოგადოება იყო და მთელი სადილის განმავლობაში ვცდილობდი ისე დამეჭირა თავი, თითქოს ამ კაცს ვერ ვხედავდი. უკანასკნელად მივაკითხე ჩემს ლამაზ სახლს სენ-სამიუელზე, გონდოლა დავაქირავე და ჩემი ავლა-დიდება ახალ ბინაზე ვადმოეხიდე.

მადმუაზელ ტინტორეტას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრი მქონდა გაგონილი მის ჩვევებსა და ხასიათზე. ეს ქალი საშუალო ნიჭის მოცეკვავე იყო; უმნო არ ეთქმოდა, მაგრამ სილამაზითაც არ გამოირჩეოდა, ჭკუა და გონება კი კარგად უჭრიდა. პრინცი დე ვალდეკი არათუ ფულს არ იშურებდა მისთვის, არამედ მფარველის ყოლასაც არ უშლიდა. ეს მფარველი გახლდათ სამოციოდე წლის კეთილშობილი ვენეციელი – ლინების უძველესი გვარისა, თუმცა კი ეს გვარი დღეს უწინდებურად აღარ ბრწყინავს.

ეს სენიორი მთელ დღეებს ტინტორეტასთან ატარებდა და ჩემი შორეული ნაცნობი აღმოჩნდა. საღამოს შემოვიდა ჩემს ოთახში, მადმუაზელის სახელით მომიკითხა და დღევანდელ მათ შეკრებაზე დაპატიჟება გადმომცა. ისიც დაამატა, რომ ტინტორეტას ძალიან გაეხარდებოდა, თუ მოვიინახულებდი.

მოვუბოდიშე და ავუხსენი ბატონ ლინს, რომ ეს უყურადღებობა კი არ იყო ჩემი მხრივ, არამედ თავის შეკავება, რადგან ბატონ გრიმანის არაფერი უთქვამს ამის თაობაზე. და მაინც თავს მოვალედ ვგრძნობდი, მადმუაზელ ტინტორეტა-

¹ უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების დაწესებულება (ლათ. pontificatus).

სთვის ღრმა თავგანისცემა გამომეთქვა, რადგან აღრეც, სანამ მის მეზობლად გადმოვსახლდებოდი, მოხიბლული ვიყავი მისი ხელოვნებით. ამ მოზრდილების შემდეგ ელჩს თავის საყვარელთან გავეყვი და ნაცნობობაც გაიბა.

ტინტორეტა ნამდვილ პრინცესასავით იქცეოდა. ხელთათმისი წამწარა და ხელი საკოცნელად გამოიჩინა. შემდეგ ხუთ თუ ექვს უცხოელს ჩემი თავი წარუდგინა და მათი გვარები სათითაოდ შემატყობინა. გვერდით მომიხვა. რადგან ნამდვილი ვენეციელი იყო. საჩოთიროდ მეჩვენა, ფრანგულად რომ მელაპარაკებოდა. გულახდილად ვუთხარი, ფრანგული არ გამეგება-მეთქი, და ვთხოვე, იტალიურად დამლაპარაკებოდა. ძალიან გაუკვირდა და შეურაცხყოფილიც კი დარჩა ამ განცხადებით. ყინჩად მომახსენა, სამარცხვინოდ გამოიყურებითო, და დაამატა, რადგან სტუმრებში ბევრი უცხოელი გვირევია, სხვა ენაზე არ ვსაუბრობთო. შევიბრდი, ფრანგულს აუცილებლად ვისწავლა-მეთქი. ერთი საათის შემდეგ პრინცი მოვიდა, ტინტორეტამ ჩემი თავი გააცნო და პრინცმა ყურადღება არ მომაკლო. იტალიურს კარგად ფლობდა და მთელი მეჯლისის განმავლობაში ერთობ თავაზიანად მექცეოდა. ბოლოს ოქროს სათუთუნე მაჩუქა ერთი ძალიან ცუდი სონეტის გამო, იმ საღამოს მშვენიერ გრიზელინის რომ მივუძღვენი. გრიზელინი ტინტორეტას ქალიშვილობის გვარი იყო.

ტინტორეტას ბევრი ისეთი თვისება ჰქონდა, სწორედაც რომ განსწავლული მამაკაცების მოსაჩანგლად გამოდგებოდა. უყვარდა პოეზია და, ეპისკოპოსი რომ არა, რომელსაც მოველოდი, ჩემს გულს დაუფიქრებლად მივუძღვნიდი. თავად ტინტორეტაც გამიჯნურებული გახლდათ. მისი ტრფობის საგანი ერთი ღირსეული ექიმი იყო, გეარად რიგელინი. სულ ახალგაზრდა გარდაიცვალა და რადგანაც კარგად ვიცნობდა, მისმა სიკვდილმა მძიმე დაღი დამასვა.

საკარნავალი დღესასწაულებმა ჩაიარა და დედაჩემმა აბატ გრიმანის მოსწერა, ალბათ საჩოთირო იქნება, ეპისკოპოსმა მოცეკვავის მეზობლად რომ ნახოსო, და აბატმაც ეს ვარაუდი მართებულად სცნო. გადაწყვიტა, ღირსეული და ჩემი მოწოდებისთვის შესაფერისი ადგილსამყოფელი გამოენახა. მღვდელ ტოზელოსთან თათბირის შემდეგ ამ ორმა სენიორმა დაასკვნა, რომ უბრალო იქნებოდა, სემინარიაში გავემწესებინეთ.

ყველაფერი უჩემოდ დაადგინეს და გადაწყვიტეს, მოგვიანებით კი მღვდელმა კეთილინება და სალაპარაკოდ მიმიწვია. ყველა ხერხი იხმარა, რათა დავერწმუნებინე, ჩემი ნებით წავსულიყავი სემინარიაში. განზრახ მშვიდად მესაუბრებოდა და, რომ შევამჩნიე, როგორ მთაფლაუდა, სიცილი წამსკდა. ძალიან გავაკვირე, როცა განუუცხადე, მზადა ვარ ყველგან წავიდე, სადაც საჭიროდ მიგანჩიათ-მეთქი.

სიმართლე უნდა ეადიარო და, ამ ორი სენიორის გადაწყვეტილება მეტად უცნაური იყო. თავშიც არ უნდა მოსვლოდათ ჩემი სემინარიაში გამწესება, რადგან ამ დროს უკვე ჩვიდმეტი წლისა ვიყავი. ყოველთვის სოკრატეს მიმდევარი გახლდით და ამიტომაც მათი მტრობა გულში არ ჩამადევს. პირიქით, ხალისით დაუთანხმდი და მაშინვე მოვიხდომე სემინარიაში მისვლა. ბატონ გრიმანის განუუცხადე, მზადა ვარ ყველა თქვენი მითითება შევასრულო, ოღონდ ერთი პირობით, თუ რაზეცა ჩაერევა-მეთქი. მაგრამ სემინარიაში ჩემი წამოსვლის შემდეგ სიტყვა ვატეხა. ვერც მამინ და ვერც მერე გავარკვიე, აბატი გრიმანა საკუთარი სისულელის გამო ჩანდა კეთილი, თუ სისულელე მისივე საკეთის ნაკლი იყო. თუმცა ეს მღვდლები, ყველანი, ერთი ცომისაგან იყვნენ მოზეული-

ლები. ერთსაც დაემატებ: ყველაზე მზაკვრული ფანდი, რაც შეიძლება ჩრბალ-
მა გონიერ ყმაწვილს დაუგოს, ისაა, რომ სულელი კაცის მფარველობაში მოქ-
ციოს. რამდენიმე დღეში ძღველმა სემინარიელის ფორმა ჩამაცვა, სენ-სიპრიენ
დე მიურანში წამიყვანა და რექტორთან წარმადგინა.

სენ-სიპრიენის საპატრიარქო ეკლესიას ზომასკელი ბერები შემწავლობდნენ.
ეს ორდენი კეთილშობილმა ვენეციელმა, ნეტარმა პიერონ მიანიმ დააარსა.
რექტორმა გულთბილად და აღერსიანად მიმიღო, მაგრამ საუბარში უცებ ისე-
თები შეაპარა, თითქოს დარწმუნებული იყო, სემინარიაში დასასჯელად გამამწე-
სეს და ჩემი წარსული სამარცხვინო ცხოვრებისათვის აქ წერტილი უნდა დაეს-
ვათ. შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და სასწრაფოდ მიუვი:

— მაძაო, ნუ გგონიათ, ვინმეს ჩემი დასჯა ჰქონდეს განზრახული.

— არა, შეიღო ჩემო, არა. მხოლოდ იმის თქმა მინდა, ჩვენთან თავს კარგად
იგრძნობთ.

შემდეგ სამ ოთახში მოფუთფუთე ას ორმოცდაათამდე სემინარიელი დავი-
ნახე. ათი თუ თორმეტი საკლასო ოთახი, დორტუარი, სასადილო და შესვენების
დროს სასეირნოდ გამოყოფილი ბაღები დამათვალიერებინეს. ისე წარმოაჩენ-
დნენ ყოველივეს, თითქოს ეს ადგილი ახალგაზრდა კაცისთვის ბედნიერი ცხოვ-
რების ნამდვილი სავანე იყო და როცა ეპისკოპოსი წასაყვანად მომაკითხავდა,
გულიც კი უნდა დამწყვეტოდა. თან თითქოს მამხნევებდნენ და მეუბნებოდნენ,
სემინარიაში მხოლოდ ხუთიდან ექვს თვემდე მოგიწევს დარჩენაო. მოკლედ, მათი
მჭევრმეტყველება მხოლოდ სიცილს მგვრიდა.

სემინარიაში მარტის დასაწყისში უნდა წავსულიყავი და ერთი დამე ან-
გელოზებთან, ორ დასთან გავატარე. გოგონებმა ცხარე ცრემლით დადულრეს
ბალიშები. ვერ გაეგოთ (ისევე როგორც მათ დეიდასა და კეთილ ბატონ როსას),
რანაირად შეიძლებოდა ჩემნაირი გუნება-განწყობის ახალგაზრდა კაცს ეგზომი
მორჩილება გამოეხატა.

გამგზავრების წინადღეს მთელი ჩემი ქალაქები მაღამ მანზონის გადავეცი
შესანახად. კარგა მოზრდილი დასტა გამოვიდა, — ამ პატივსაცემ ქალს მხოლოდ
თერთმეტი წლის შემდეგ გამოვართვი. ჯერაც ცოცხალია, ოთხმოცდაათი წლისაა,
შენარჩუნებული აქვს კარგი გუნება, საღი აზროვნება და ჯანმრთელობა. მაშინ
იგი სიცილით შემხვდა და მითხრა, სემინარიაში ერთ თვეზე მეტს ვერ გაძლებო.

— ბოდიში, მაღამ, სასწავლებელში სიხარულით მივდივარ და ჩემს ეპის-
კოპოსს იქ დაველოდები.

— ჩემო ძვირფასო, საკუთარ თავს ჯერ არ იცნობთ, არც იმ თქვენს ეპის-
კოპოსს იცნობთ, ვისთანაც, დარწმუნებული ვარ, ასევე ვერ გაჩერდებით.

სემინარიაში მღვდელმა გონდოლით წამიყვანა, მაგრამ სენ-მიშელზე იძუ-
ლებული გავხდით შეეჩვრებულაყავით. ისეთი საშინელი პირლებინება ამიტყდა,
აფთიაქარმა ძლივს შემიჩერა.

ჩემი სისუსტის ბრალი, უეჭველად, სიყვარულის სარეცელზე უზომო ოდე-
ნობით დამწვარი საკმეველი იყო. ვინც შეეყვარებული ყოფილა, იცის, რას განიც-
დის ყმაწვილი კაცი საყვარელი არსების გვერდით, როცა ჰგონია, უკანასკნელად
ვხედავო, ამიტომ თავისუფლად წარმოიდგენთ იმ ბოლო წუთებს, ჩემს ორ ან-
გელოზთან რომ გავატარე. არ გინდა საჩუქარი უკანასკნელი იყოს და არ
ათავებ ძღვენის მიძღვნას, სანამ საკმეველი გამოგიტავდება.

მღვდელმა ჩემი თავი რექტორს ჩააბარა, ბარგი დორტუარში მოათავსეს,

ქუდიცა და პალტოც იქ შემატანინეს. მოზრდილთა კლასში დამსვეს, თუმცა მაღალი კი გახლდით, ასაკით დიდი არ ვიყავი. ღინღლს განზრახ არ ვიპარებოდი, პატივმოყვარეობის ჭია შექჳდომოდა და მეშინოდა, არავის ეფიქრა, პატარააო. ეს საქციელი, უღავოდ, სასაცილოა, მაგრამ, ერთი მითხარით, ნეტა რომელ კლასში არ ამოყოფს თავს მამაკაცი სასეირო მდგომარეობაში?! უფრო იოლად ნაკლს აღმოიფხვრის, ვიდრე სასაცილო თვისებებს. აქაურმა ტირანიამ ამჯერად ძალაუფლებით არ ისარგებლა და არ მაიძულა გაპარსვა. მისი შემწყნარებლობა მხოლოდ ამ შემთხვევით შემიიფარგლა.

— რომელ კლასში გნებავთ შესვლა? — მკითხა რექტორმა.

— დოკმატიკის, ჩემი ყოვლად ღირსო მამაო. მინდა ეკლესიის ისტორია შევისწავლო.

— ახლავე გამომცდელთან მივიყვანო.

— მე დოქტორის ხარისხი მაქვს, ყოვლად ღირსო, და არ მინდა გამოცდა ჩამიტარონ.

— ეს აუცილებელია, შვილო ჩემო, წავიდეთ.

ეს აუცილებლობა პირად შეურაცხყოფად მივიჩნიე. რასაკვირველია, ყველაფერი გაკაზვიადე, მაგრამ შურისგების გრძნობით შეპყრობილმა მათი გამახხრება გადაწყვიტე და ამ აზრმა კარგ ვუნებაზე დამაყენა, გამომცდელი ლათინურად მეკითხებოდა. ისე ცუდად ვპასუხობდი და იმდენი შეცდომა მომივიდა, თავი ვაღდებულად ჩათვალა, რომ დაბალ კლასში, გრამატიკის განყოფილებაზე გავეგზავნე. ჩემდა გასახარად, სულ რამდენიმე წუთში ათი წლის პატარა ბიჭუნებში აღმოვჩნდი. გაიგეს თუ არა, დოქტორად რომ გამოეცახადე თავი, გამოჯავრება და დაციხვა დამიწყეს: *Accipiamus pecuniam et mittamus asinum in patriam suam.*¹

განსაკუთრებით შესვენებები მახალისებდა და მართობდა. ჩემი დორტუარის ამხანაგების უმრავლესობა ფილოსოფიას სწავლობდა და, როცა ერთმანეთში უმაღლეს მატერიებზე კამათობდნენ, ზიზღნარევი უპირატესობით მიყურებდნენ, დამცინოდნენ, თუკი მათ საუბარს მივაყურადებდი, რადგან ეგონათ, ბაიბურში არ არისო. თავის გამომქდაცნება არც მიფიქრია, მაგრამ ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ ნიღაბი ამხალა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს რექტორს მამა ბარბარიჯო ესტუმრა. იგი ვენეციის ხსნის მონასტერში მოღვაწეობდა, ბუნებისმეტყველების დიდებულ ლექციებს კითხულობდა და მე მისი გულმოდგინე მსმენელი ვიყავი. წირვიდან ახალგამოსული დამინახა და სიყვარულით მომიკითხა. დაინტერესდა, რომელ მეცნიერებას ვეუფლებოდი. გრამატიკას ვსწავლობ-მეთქი, რომ მიუუგე, ნათქვამი ხუმრობად ჩამითვალა. საუბრისას რექტორი შემოგვესწრო, სასწრაფოდ დავემშვიდობე და კლასში შევედი. საათიც არ იყო გასული, რექტორმა გამომიძახა:

— უვიცობა რატომ გაითამაშეთ გამოცდაზე? — ეუბნებოდა მკითხა.

— უსამართლოდ რატომ ჩამიტარეთ გამოცდა? — ვუპასუხე.

განრისხებულმა შემიყვანა დოკმატიკის კლასში. დორტუარის ამხანაგები

¹ თექვსმეტი წლის კახანოვის სპირობულია დოქტორის ხარისხი მიანიჭეს. თვითონ კახანოვა მოკლედ ამის შესახებ: „პილდვაში ჩიეედი აადაც მომანიჭეს დოქტორის ხარისხი (დაახლ. „ერთხმად“).

² გადავიხედოთ ფული და ვარი. თავის ქვეყანაში გვეგზავნოთ (ლათ.).

განცვიფრებულნი დარჩნენ. ნაშუადღევს, შესვენებაზე, ყველანი გარს შემო-
მერთყნენ, თავიანთ წრეში ჩამრიეს, მეგობრობა შემომთაყაზეს და კარგ გუნე-
ბაზე დამაყენეს.

ერთმა მათგანმა, თხუთმეტი წლის ბიჭმა, გამაოცა თავისი გარეგნობითა
და ნიჭიერებით და დამეგობრების ცხოველი სურვილი აღმიძრა. შემდეგ იგი
ეპისკოპოსი გახდა და ამჟამად, ვერ გეტყვით, ცოცხალია თუ არა. შესვენების
დროს, ნაცვლად იმისა, სხვებთან ერთად კეგლი გკუთამაშა, ესეირნობლით და
პოეზიაზე ვსაუბრობდით. ვტკბებოდით პორაციუსის საუკეთესო ოდებით, არი-
ოსტოს კი ტასოს ვამჯობინებდით. მთელი ჩვენი თავვანისცემა პეტრარკას ეკ-
უთვნოდა, ხოლო სიმულვალა — ტასონისა და მურატორის, რაკი დიდებული
პოეტი გააკრიტიკეს და მის წინააღმდეგ ვალაშქრება გაბედეს. ითხ დღეში ისე
დავძმაკაცდით, რომ ერთმანეთზე ვეჭვიანობდით. რომელიმე ჩვენგანი თუ
სხვასთან გაისეირნებდა, შეყვარებულელებით ვიბუტებოდით.

ღორტუარში ერთი ბერი მეთვალყურედ გვედგა. წესრიგის დაცვა ევალე-
ბოდა და ამიტომ პრეფექტს ეძახდნენ. ვახშმის შემდეგ, ვისაც ერთ ღორტუარში
გვეძინა, დაგვამწკრივებდნენ და ბერის წინამძღოლობით დასაძინებლად მივდი-
ოდით. თითოეულს საწოლთან ხმადაბლა უნდა ელოცა, გაეხადა და წყნარად
დაწოლილიყო. ყველა მოწაფე დაწვებოდა თუ არა, პრეფექტიც თავის საწოლს
ძიაშურებდა. პარალელოგრამის მსგავსად წაგრბელებულ ოთახში (ოთხმოცი ნა-
ბიჯი ათზე) საწოლები ერთმანეთისგან ტოლი მანძილით დაეშორებინათ. სა-
წოლთან თარო ეკიდა, გვერდით სკამი იდგა; იქვე სემინარიელის სამგზავრო
სკივრიც იყო ჩაკეხებული. ჩემი მეგობრის საწოლი პირდაპირ იდგა და ჩვენ
შორის ფარანი ეკიდა.

პრეფექტს ერთი საზრუნავი ჰქონდა, — თვალი სჭეროდა ვინმე მოსწავლე
ბეორესთან არ ჩაწოლილიყო, რადგან ვერ წარმოედგინათ, ამ სტუმრობას უცოდვე-
ლი ხასიათი ჰქონოდა. ეს სასტიკ დანაშაულად ითვლებოდა: საწოლი მეგობრებ-
თან სალაზღანდაროდ კი არა, დასაძინებლად იყო განკუთვნილი. ორი აზრი არ
არსებობდა: თუ სემინარიელი ვინმეს ჩაუწვებოდა, მხოლოდ ქვენა გრძნობები
ამოდრავებდა. ბოლოს ის მიხდა შევნიშნო, რომ საკუთარ ლოჯინში მშვიდად
და თავის ნებაზე მწოლიარე მოსწავლეს შეეძლო ის ეკეთებინა, რაც მოეპრია-
ნებოდა. მით უარესი, თუ მონიჭებული თავისუფლებით სარგებლობდა. გერმანი-
აში შეამჩნიეს: იმ სასწავლებლებში, სადაც დირექტორები ღონეს არ იშურებ-
დნენ ონანიზმის აღმოსაფხვრელად, სწორედ იქ გაიდგა მძლავრად ფესვი ამ
უზნეობამ.

აკრძალვათა ავტორები უვიცები და სულელები არიან. არც ბუნების კანონ-
ები იციან და არც ზნეობისა. ბუნებას ისეთი მოთხოვნილებები აქვს, რაც აუ-
ცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს. ეს ცდომილება უკიდურესად იშვიათი გახდე-
ბოდა, დირექტორები ფრთხილი და ჭკვიანი ადამიანები რომ ყოფილიყვნენ და
უბრალო რამ დიდის მეცადინეობით საგანგებო აკრძალვის საგნად არ ექციათ;
ცნობილია, ურჩობა ახალგაზრდებში სიამოვნების გრძნობას იწვევს და ისინი
უფროსების ჯიბრით განზრახ ივდებენ თავს საფრთხეში. თუმცა, გონივრულად
თუ განვსჯით, ადამიდან და ევადან მოყოლებული, ეს მიდრეკილება ყველა
მამაკაცისათვის სრულიად ბუნებრივია.

ჩემი სემინარიაში ყოფნის მეცხრე თუ მეათე დამე იყო. უცებ ვივრძენი,
ლოჯინში ვიდაც ჩამიწვა, ხელი ჩამჭიდა და ჩემი სახელი წაიხურჩულა. ძლივს

შევიკავე თავი, ხმამაღლა რომ არ გამეცინა: ჩემი მეგობარი იყო. შემთხვევით გაღვიძებოდა და, რაკი შუქი ჩამქრალი ყოფილა, ჩემთან სტუმრობა იუხირე-
ლია. რამდენიმე წუთის შემდეგ ვახოვე წასულიყო. ეცოდინებოდა, რომ
გაღვიძებოდა, შავ დღეში ჩავვარდებოდი, რადგან რაღაც სახიზრობას დაგ-
ვაბრალდებდნენ. ამ სასარგებლო რჩევის მიცემა დამთავრებულად მქონდა, ნა-
ბიჯების ხმა შემოგვესმა და ბერიც გამოჩნდა. ამას სხეულის დაცემის ხმა და
პრეფექტის გამყინაყი ყვირილი მოჰყვა: პოი, არამზადავ, ხვალ ვაგისწორდები,
ხვალ! ბერი ფარანთან მილასლასდა, აანთო და დასაძინებლად წავიდა.

მეორე დღეს, ზარამდე (ზარი ადგომის იმჟამი იყო), რექტორი
პრეფექტის თანხლებით შემოვიდა დორტუარში და გვითხრა:

— სმენა იყოს და გაგონება! გეცოდინებათ ალბათ წუხანდელი უწესრიგობის
ამბავი, ორი თქვენგანი ამ დანაშაულის მოთავეა. მინდა მათი შეცდომა შევიწ-
ყნარო, მათ ღირსებას გავუფრთხილდე და ამიტომ, პირობას გაძლევთ, არავის
გავუმხელ მათ გვარებს. შესვენების წინ ყველანი ჩემთან მოხვალთ აღსარები-
სათვის.

ეს თქვა და ოთახიდან გავიდა. სადილის შემდეგ, ბრძანების შესაბამისად,
ყველანი აღსარების სათქმელად ვეახელით, შემდეგ კა ჰაერის ჩასაყლაპად ბაღ-
ში გავედით. სეირნობისას მეგობარი გამეჩლო, შემთხვევით, პრეფექტს დავეჯახე
და საჭიროდ მივიჩნიე მისი წაქცევაო. ყველაფერი ეს იმიტომ ჩაიძინა, დრო
რომ ჰქონოდა ლოგინში ჩასაწოლად და არეულობაში პრეფექტს არ ეცნო.

— ახლა, როცა გულახდილად აღიარეთ თქვენი შეცდომა, დარწმუნებული
ხართ, რომ დანაშაულს გაპატიებენ? — ვკითხე მეგობარს.

— მეხუმრებით ალბათ, — მიპასუხა, — ჩვენმა რექტორმა რაც აქამდე იცო-
და, იმაზე მეტი არც ახლა იცის. ჩემი სტუმრობა მართლაც დანაშაულებრივი
რომ ყოფილიყო, მაშინ მით უფრო არაფერს ვიტყვოდი.

— თქვენი აღსარება მაინც ყალბი იყო, რადგან დაუძორჩილებლობაც ხომ
დანაშაულია?

— შეიძლება ასეცაა, მაგრამ რექტორმა ყველაფერი მხოლოდ თავის თავს
უნდა დააბრალოს, რადგანაც აღსარება ძალად გვათქმევინა.

— ჩემო ძვირფასო, ჩინებულად მსჯელობთ. ამჟამად ყოველად ღირსმა ერთი
რამ უნდა შეიგნოს: ჩვენი ოთახის ბანადარნი მასზე ბევრად ჭკვიანები არიან.

ამ ამბავს აქ წერტილი დაესმებოდა, რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთვის
ხუმტურს რომ არ წამოეველო და მეგობრისთვის ვალის დაბრუნება არ გადამეწ-
ყვიტა. ნაშუაღამევს საჭიროებისთვის გავედი და, როცა პრეფექტის გაბმული
ხვრინვა გავიგონე, ფარანი სასწრაფოდ ჩავაქრე და მეგობარს ლოგინში ჩა-
ვუგორდი. მიცნო და გაეხარდა. ყურები დაცქვეტილი გვექონდა. უცებ ხვრინვა
შეწყდა. მოსალოდნელმა საფრთხემ სიმხსვევე შემმატა, წამოვხტი და თვალის
დახამხამებაში უკვე ჩემს საწოლში ვიწექი, მაგრამ სავალალო სიურპრიზი სწო-
რედ აქ დამხვდა: ვიგრძენი, ჩემს გვერდით ვიღაც იწვა, და მაშინვე შორიახლოს
პერანგის ამარა პრეფექტიც დავლახდე. ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, სემი-
ნარიელთა საწოლებს შორის ნელ-ნელა მოაბიჯებდა და აქეთ-იქით იჭკნეულად
იცქირებოდა. კი ბატონო, შეეძლო ერთ წამში სანთელი მოეძებნა და აენთო, მაგ-
რამ როგორ მერწმუნა ის, რასაც საკუთარი თვალით ვხედავდი? ჩვენი ერთი
ამხანაგი ჩემკენ ზურგშექცეული იწვა და ღრმად ეძინა. ნაჩქარევი და წინდაუ-
ხედავი რამ გადავწყვიტე: თავი მოვიმძინარე. ორი თუ სამი წამის შემდეგ პრე-

ფექტმა შემაჯანჯღარა. ვითომ გავიღვიძე. ამხანაგმაც გაახილა თვალი. გაოცებული დარჩა, ჩემს ლოგინში რომ აღმოჩნდა, და ბოდიში მომიხვდა. შეძემა-ლაო, — მითხრა, — საჭიროების აღვილიდან სიბნელეში რომ მოვბრუნდი, თქვენი საწოლი ცარიელი იყო, ჩემი შეგონა და შიგ ჩავწექიო. *ერქენული*

— ალბათ მართლაც ასე იყო, — უპასუხე, — რადგან მეც *მეც* — *საჭიროების* ვაყავი ამდგარი.

— კი მაგრამ, — გაიკვირვა პრეფექტმა, — რატომ არაფერი თქვით, აღვილი დაკავებული რომ დაგზვდათ, ან რატომ არ იფიქრეთ, რომ საწოლები აგერიათ.

— არ შეიძლება ამრეოდა, რადგან ჩემს საწოლთან ჯვარცმა დგას. კვარცხ-ლბეკი ხელისფათურით ვაპოვე და ამიტომაც ეჭვი არ შემპარვია. რაც შეეხება ამ მოსწავლეს, მართალი გაითხრაო, ვერც შევამჩნიე.

— თქვენი ნათქვამი სიმართლეს არ ჰგავს, — წარმოთქვა არგუსმა¹ და ფარნისკენ გაემართა.

— პატრუკი ჩაძირულია, ბატონებო! ფარანი თავისით არ ჩამქრალა. თქვენ ორში ერთ-ერთმა ჩააქრეთ. ყველაფერს ხვალ გამოვარკვევთ.

ჩემი შტერი ამხანაგი თავის ლოგინში ჩაწვა. პრეფექტმა ფარანი ისევ აან-თო და დასაძინებლად წავიდა. ამ შემთხვევამ მთელი ოთახი გააღვიძა და ააფო-რიაქა. მე კი რექტორის გამოჩენამდე მშვიდად და უდრტვინველად მე-ძინა. მზე ჯერ კარგად ამოწვერილა არ იყო, როცა განრისხებული რექტორი პრეფექტის თანხლებით შემოიჭრა დორტუარში, აღვილზე შეამოწმა ყველა-ფერი. და ორივეს ხანგრძლივი დაკითხვა მოგვიწყო. ჩემს თანადამნაშავეს, ბუნებრივია, მეტი ბრალი ედებოდა, მე კი, აბა, ვინ რას დამტყუებდა. ბოლოს გვიბრძანა, ჩავვიცვა და ეკლესიაში წირვის მოსასმენად წავსულიყავით. გავკმ-ხადეთ თუ არა, უკანვე მობრუნდა და ახლა უკვე დათაფლულ კილოზე გაგვიბა საუბარი:

— ორივენი სამარცხვინო კავშირში ხართ მხილებული. ეს რომ არა, ფა-რანს განზრახ არ ჩააქრობდით. მინდა ვირწმუნო, ამ უწესრიგობის მიზეზს, გინდაც ეს მიზეზი თავისთავად უწყინარი ყოფილიყო, მხოლოდ დაუფიქრებელი ფუქსავატობა ედო საფუძვლად და სხვა არაფერი. მაგრამ სემინარიელები შე-რცხვენილი არიან, წესრიგი შერყეულია და სასწავლებლის ღირსების დამც-ველები ამ მდგომარეობის გამოსწორებას მოითხოვენ. მიბრძანდით.

უხმოდ დავემორჩილეთ, მაგრამ კარს მიუუახლოვდით თუ არა, ოთხმა მსა-ხურმა გაგვაკავა. ხელები ზურგს უკან შეგვიკრეს, დარბაზში შეგვიყვანეს და დიდი ჯვარცმის წინ დაგვაჩოქეს. რექტორმა ბრძანა და მისმა დამქაშებმა, ასე გაკოჭილებს და დაჩოქილებს, შვიდჯერ თუ რვაჯერ გადაგვიჭირეს მათრახი, — არ ვიცი, შეიძლება წნელიც კი იყო. სმა არ გამიღია, არც ჩემს სულელ ამხა-ნავს დაუწუწუნია. ხელები გაგვიხსნეს თუ არა, ვთხოვე რექტორს, ორი სტრი-ქონის დაწერის უფლება მოეცა ჩემთვის, რათა ეს ბარათი ჯვარცმის ფერხითი დამედო. მაშინვე მომიტანეს პელანი, ქალაღი და მეც დაწერე:

„უფიცავ ამ ღმერთს, არასოდეს ხმაც კი არ გამიცია იმ სემინარიელისთვის, ვინც ჩემს საწოლში იპოვეს. უდანაშაულო ვარ და სამართალს ვითხოვ. აქედან გამომდინარე, სამარცხვინო ძალმომრეობის გამო პროტესტით მინდა მივმართო მონსენიორ პატრიარქს“.

¹ არგუსი — ასთვლიანი მითოლოგიური არსება.

ჩემი ტანჯვის მოზიარემ, იმ სულელმა ბიჭმაც მოაწერა ხელი ამ პროტესტს. შემდეგ დამსწრე სემინარიელებს ხმაძალდა წაუკეთხე სწერი და ვთხოვე, ან დაედასტურებინათ ჩემი სიძართლე, ან საწინააღმდეგო სტკიცებით დანაშაულში ვემხილებინეთ. ყველამ ერთხმად აღიარა: არავიჭყრუფულქ ვუნახივარ ამ ბიჭთან დალაპარაკებული და არავინ იცოდა, ვინ ~~შაქრის~~ ~~სტკიცანი~~.

შერცხვენილი და დაბნეული რექტორი სტკევით გააცილეს.

მაინც ციხეში, მეხუთე სართულზე აგვიყვანეს და ცალ-ცალკე საკნებში მოგვათავსეს. ერთი საათის შემდეგ სკივრი, ლოგინი და მთელი ჩემი ხაბაკ-ხუბაკი ამომიტანეს. შიმშილით არ მოვუკლევართ: საჭმელი ჩვეული განრიგით შემოჰქონდათ. მეოთხე დღეს მღვდელმა ტოხელიმ მომაკითხა. ნაბრძანები ჰქონდა, ისევ ვენეციაში წავეყვანე. ვკითხე, თუ გაიგეთ, თავს რაც გადამხდა-მეთქი. თურმე ერთი სემინარიელისთვის გამოუკითხავს ყველაფერი. მითხრა, მჯერა, უდანაშაულო ხარ, მაგრამ რექტორს არ უნდა ყველას თვალში გამტყუნდეს და ასეთი განაჩენი ამიტომ გამოგიტანათო.

გავიხადე და ძირს დავანარცხე სემინარიელის ფორმა, ისევ იმ ტანისამოსით შევიმოსე, ვენეციაში რაც მეცვა, და სანამ ბარგს ნავში გადაიტანდნენ, ბატონი გრიმანის გონდოლაში ავედი. მღვდელი ჩემ წასაყვანად ამ გონდოლით იყო ჩამოსული და, როცა გზას გაკუდექით, მენიჩბეს უთხრა, ბარგი გრიმანის სასახლეში შეეტანათ. აბატს ერთი-ორი სიტყვა ჩემთანაც დაებარებინა: თუ უტიფრობა ეყოფა და მომაკითხავს, მსახურებისთვის ნაბრძანები მაქვს, მაშინვე გააგდონო.

იეზუიტების მოედანზე ჩამომსვეს. ჯიბეში გროშიც არ მქონდა და რაც ზედ მეცვა, მხოლოდ ეს იყო ჩემი აკლადიდება.

სადილად მაღამ მანზონისთან მივედი. გულით იცინა, მისი წინასწარმეტყველება ასე უცებ რომ ახდა. სადილის შემდეგ ბატონი როსა მოვიწახულე, ყველაფერი ვუამბე და ვკითხე, ტირანიის წინააღმდეგ სამართლებრივი გზით როგორ მებრძოლა. მითხრა: ამ საღამოს მაღამ ორიოსთან დამელოდე. ვეცდები, სასამართლოს სხდომის მოუწვევლად შევადგინო სათანადო საბუთი და იქ მოგიტანო.

მივდიოდი მაღამ ორიოსთან და მიმიხაროდა. ო, როგორ გაოცდებოდნენ და გახალისდებოდნენ ჩემი ანგელოზები! მართლაც, უსაზღვროდ გაილაღეს, მაგრამ იმ ამბავმა, რაც თავს გადამხდა, ორიუნი ჩემს გამოჩენაზე არანაკლებ გააკვირვა. ბატონმა როსამ დაპირებული საბუთი მომიტანა, მაგრამ დროის სიმცირის გამო ნოტარიუსთან დამოწმება ვეღარ მოესწრო. ამ საქმესაც ხვალ დილით მოვაგვარებო, — მითხრა და ასე დავშორდით ერთმანეთს.

სავახშმოდ ჩემს ძმასთან, ფრანჩესკოსთან წავედი. მხატვარ გუარდის პანსიონში ცხოვრობდა. ტირანია და უუფლებობა ჩემსავით სტანჯავდა და აღუუთქვი, აქედან გამოვიხსნი-მეთქი. შუალამისას იმ ჩემს ორ ტურფა დაიკოს მივაკითხე. სულმოუთქმელად მელოდნენ და მთელი გულწრფელობით უნდა ვაღიარო: თურმე დარდი, გულს ასე რომ მიღრღნიდა, სიყვარულზე ძლიერი ყოფილა. თხუთმეტი დღის თავშეკავების მიუხედავად, უწინდელი შემართება გამიქრა და ჩემი წუხილი გოგონებსაც ანაღვლიანებდა. დავამშვიდე, ყველაფერი გაივლის და ამ დაკარგულ დროს კიდევ მრავალგზის ავინაზღაურებთ-მეთქი.

არ ვიცოდი, საით წავსულიყავი. ჯიბეში გროში არ მედო. ალაღბედზე სენ-მარკის ბიბლიოთეკას მივადექი, შევედი და შუადღემდე იქ დავრჩი. სადი-

ლად მადამ მანზონისთან წასვლას ვფიქრობდი, მაგრამ ბიბლიოთეკიდან გამოსვლისას, ზედ კართან, ვიღაც ჯარისკაცი მომიახლოვდა და მითხრა, რომ ერთ პიროვნებას ჩემთან საუბარი სურდა, და გონდოლაზე მიძითითა. ვუპასუხე, თუ ვინმეს ჩემთან ლაპარაკი უნდა, მოვიდეს და აქ ძელაპარაკოს-მეთქი. მან მშვიდად ამიხსნა, რომ დამხმარე ჰყავდა და ძალით მიმიყვანდნენ დანიშნულების ადგილზე. უყოყმანოდ გავეყვი. მეზიზღებოდა საჯაროდ აყალბაყალბის ატეხვა. იოლად გავუმკლავდებოდი, რადგან ჯარისკაცები უიარაღონი იყვნენ და ვერ შემიპყრობდნენ. ვენეციაში დაპატიმრების ასეთი წესი კანონით არ იყო დაწესებული, მაგრამ მაშინ ამაზე აღარ მიფიქრია. თანაც sequere Deum¹ მუდამ მახსოვდა და რატომღაც წინააღმდეგობის სურვილს არა ვგრძნობდი. ვაჟკაცის ცხოვრებაში დგება ხოლმე ისეთი წუთები, როცა იგი მორჩილი ხდება და საკუთარ სიმამაცეზე გადაბიჯების სურვილი უჩნდება.

აკვდი გონდოლაზე; ვიცანი — გონდოლა ბატონი გრიმანისა იყო, ფარდა გადასწიეს და ვის ვხედავ... ჩემს ბოროტ სულად მოვლენილ რაზეტას ვიღაც ოფიცრის თანხლებით. ჩემი მიმყვანი ის ორი ჯარისკაცი ნავის ქიმზე მოკალათდა. გონდოლა ნაპირს გამორდა და ლიდოსკენ გაემართა. მთელი გზა ამ ორ პიროვნებას, სიტყვა რა არის, ისიც არ უთქვამს ჩემთვის და არც მე მიცდია ამ ერთ დუმილის დარღვევა. ნახევარ საათში გონდოლა ადრიატიკის ზღვის შესართავთან მდებარე სენტ-ანდრეს ციხის პატარა ყურეში შევიდა, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამალღების დღეს ბიუსანდორი² ჩერდება და დოჟი ზღვასთან ქორწინებას ზეიმობს.

გუშავმა კაპრალი გამოიძახა. ნაპირზე ჩამოვედით. რაზეტას თანხლებმა ოფიცერმა ვიღაც მაიორს ჩემი ვინაობა მოახსენა და წერილი გადასცა. წერილი წაიკითხა თუ არა, მაიორმა თავის ადიუტანტს, ბატონ ზენს უბრძანა, პატიმარივით შევეყვანე საყარაულო შენობაში. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი გამყოლები წავიდნენ და გონდოლამ ცხვირი ზღვას მისცა. ბატონმა ზენმა სამნახევარი ლივრი გადმომცა და მითხრა, ამ თანხას ყოველ კვირაში მიიღებთო. ასეთი აყო უბრალო ჯარისკაცის ხელფასი.

არა, არ გავბრაზებულვარ. უძირო და უსამართ ალმფოთებამ მომიცვა. საღამო ხანს, შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავი, რაღაც საჭმელი ვაყიდინე, შემდეგ ჯარისკაცებით გამოტეხილ ოთახში საკვლე საწოლზე გავიშხლართე, მაგრამ მთელი ღამე ოვალი ვერ მოვხუჭე, რადგან ეს სლაკები გაუთაყებლად მდებოდნენ, ნიორს ჭამდნენ, პაერს აყროლებული თამბაქოთი სწამლაედნენ და ძელანივით შავ სლაკურ ღვინოს სვამდნენ. მგონი, ამ ღვინოს დაღვევა მხოლოდ ამ ხალხს შეუძლია.

მეორე დღეს დილაადრიან, მაიორმა პელოდორომ (ამ გვარისა იყო ციხის უფროსი) გამოიძახა და ამიხსნა, საგუშავოში იმიტომ გაგატარებინე ღამე, ვენეციიდან უფროსობამ ასეთი ბრძანება გამომიგზავნაო.

— ამჟამად, ბატონო მღვდელი, ასეთი მითითება მაქვს მიღებული: პატიმრობაში მყავდეთ და ყოველ თქვენს მოქმედებაზე პირადად ვაგო პასუხი. ციხედ იგულეთ მთელი ეს ციხე-სიმაგრე, კარგ ოთახს გამოგიყოფთ, თქვენს ღოგინსა

¹ მიჰყევ განგებას (ლათ.)

² საზეიმო ხომალდი. ამალღების დღეს ამ ხომალდზე აღიოდა დოჟი, რათა ზღვასთან თავისი სიმბოლური ქორწინება აღეწინა.

და ბარვს შივ შეკატანინებ. სადაც გუნებოთ, იქ ისეირნეთ, მაგრამ ერთი რამ გახსოვდეთ: გაპარვას თუ მოინდომებთ, დაძლუპავთ. მწყინს, დღემდე არ სუხე მეტს რომ ვერ ვიხდით: ამიკრძალებს. ჩემი მხრივ, აი, რას შემოვთავაზებდით: კენეციაში თუ ისეთი მეგობრები გვევლებათ, ვინც ფულს გამოვიგზავნიოთ, მისწერეთ და მე მომანდეთ ეს საქმე. წერილები რომ არ დაიკარგვს, იმყოფავს გადავავზავნი. ახლა, თუკი დაღლილი ხართ, წაბრბანდით და დაისვენეთ.

ჩემს ოთახში მიმიყვანეს. ხალკათი ოთახი იყო, მეორე სართულზე. ფანჯრიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა. კვლავ სიამოვნებით ვიხილე ჩემი სკივრი, — გახადება თან მქონდა და ამიტომ არ გაეხსნათ. მაიორი ისე ყურადღებიანი გამოდგა, მაგიდაზე საწერი მოწყობილობა და ქაღალდებიც კი დამახვედრა. სლავი ჯარისკაცი მოსამსახურედ დამიდგა და თანადგომა ასეთი სიტყვებით გამოხატა:

— ფული როცა გექნებათ, მერე გადამიხადეთ, ახლა ყველამ ვიცით, ჩვენსავეთ ათ სუს რომ იღებთ.

ერთი მათლაფა წვნიანი ამოვატანინე, შემდეგ ლოკინში ჩაეწეკა და მთელი ცხრა საათი არ გაუნძრეულვარ, ისე მეძინა. ვაკვივითე თუ არა, მაიორმა ვახშმად დამპატიფა, ვიფიქრე, საქმე არც ისე ცუდად არის-მეთქი. ავედი ამ ღვთისნიერ კაცთან და ვხედავ, სასტუმროში ხალხმრავლობაა. ჯერ ცოლი გამაცნო, შემდეგ კი ყველა სტუმარს წარუდგინა ჩემი თავი. ოფიცრების გარდა აქვე იყვნენ ციხის სამხედრო მღვდელი, სენ-მარკის ეკლესიის მუსიკოსი პაოლი ვიდა თავის ლამაზ ცოლთან ერთად, მაიორის ცოლისდა, რომელსაც ქმარი ეჭვიანობის გამო ციხე-სიმაგრეში აცხოვრებდა, და საშუალო ასაკის რამდენიმე ქალბატონი. ისინი ისე კეთილად მეპყრობოდნენ, ცოცხანში ლამაზებადაც კი მომეჩვენენ.

ბუნებით მხაარული ადამიანი ვარ და ამ ღირსეულმა საზოგადოებამ მშვენიერ გუნებაზე დამაყენა. ყველას აინტერესებდა, რატომ დამამწყვდია ციხეში ბატონმა გრიშანიმ და მეც გულახდილად მოვეყვი, რაც თავს გადამხდა ბებია-ჩემის სიკვდილის შემდეგ. სამი საათი შეუსვენებლად ვლაპარაკობდი, ბევრ რამეს ხუმრობით ვკმაზავდი, ვინაიდან ჩემი თავგადასავლის ზოგი ამბავი სერიოზულად რომ მეამბნა, ალბათ თანაგრძნობის მაგიერად გაკიცხვას დავიმსახურებდი. კმაყოფილმა საზოგადოებამ ჩემ მიმართ დიდი ყურადღება გამოიჩინა. ყველამ მეგობრობა და დახმარება შემომთავაზა. უნდა ვაღიარო, სანამ ორმოცდაათი წლისა ვავხდებოდი, მსმენელთა სრული ნდობისა და სიყვარულის მოპოვების ბედნიერება არ მომკლებია. რაც უნდა სასოწარკვეთილი ვყოფილიყავი, თუკი კარგ საზოგადოებაში მოვხვდებოდი და ვინმე ჩემი უბედურებით დაინტერესდებოდა. დაუზარებლად ვვკებოდი ჩემს თავგადასავალს, საბასუხოდ კი მუდამ სამეგობროდ ვახსნილ გულებს მთავაზობდნენ. ჩემი ბედით მათი დაინტერესება ხელსაყრელი იყო ჩემთვის, რადგან საბოლოოდ ეს ნაცნობობა საჭირო და სასარგებლო აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ჩემს თხრობას საფუძვლად ერთი ნაცადი ჭეშმარიტება ედო: უბრალოდ ვვკებოდი ყველაფერს, რაც თავს გადამხდა, არც თავმოყვარეობის დამამცირებელ ფათერაკებს ვმალავდი. ამ საიდუმლოს ყველა როდი ფლობს, რადგან ადამიანთა მოღვმის უმეტესი ნაწილი მატყუარებია, ხოლო სიმართლის თქმას ვაუკაცობა სჭირდება. გამოცდილებამ მასწავლა: სიმართლე თილისმია, მისი ხიბლი კი უტყუარია, თუმცა ზოგ არამზადაზე ეს ჯადოც არა სჭრის. დარწმუნებული ვარ, ის დამნაშავე, უანგარო მოსამართლეს სიმართლეს რომ ეუბნება, მეტი სიამოვნ-

ნებით იქნება შეწყალებული, ვიდრე უღანასკულო კაცო, ვინც სამართლეს თავს არიდებს. ბოლოს ისიც მინდა მოგახსენოთ, რომ მოხრობელი ახალგაზრდა უნდა იყოს ან მწიფობაში შესული, რამეთუ მოხუცებულს მთელი ქვეყანა მტრად ეკიდება.



მაიორმა სემინარიელთა დამეულ ურთიერთსტუმრობაზე ბევრჯერ ჩხუბნახდნენ და წახუმრა, რისთვისაც მღვდლისა და მისი მეუღლის ტუქსვზ მტრისა მსხვერპლად ბოლოს შემოძთავაზა, ჩემი თავგადასავალი დამეწერა და საგანმანათლებლო უწყების მრჩევლისთვის გამეგზავნა. დამპირდა, ხელნაწერს პირადად გადავცემო, თანაც დამარწმუნა, მრჩეველი ყოველად განსწავლული ადამიანია და აუცილებლად ვიპატრონებითო, იქ დამსწრე ქალბატონს მამაც მხარი აუბეს და მოხივეს, ეს რჩევა დამეჯერებინა.

1744-1745. კორფუ – კონსტანტინეპოლი

თავი XIV

სასაცილო შეხვედრა ორსარში. მოგზაურობა კორფუსა.
ჩასვლა კონსტანტინეპოლში. ბონვალი. ღაბრუნება კორფუსა. მალამ ფ.-ი. თვითმარქვია უფლისწული. გააცემა კორფუდან. მშაპობა კუნძულ კაზოპოზე. დაკატიმრება კორფუსა. ჩხარი ბათავის უფლება და ჯეიში. ჩემი წარმატება მალამ ფ.-სთან.

ვფიქრობ, სულელი მოახლე უფრო საშიშარ, ვიდრე უხეირო და უხაზიათო. პატრონისათვის სულელი მოახლე უსარგებლოა, ზედმეტი ბარგია, თ. ნაც უფრო ძვირი შესანახო. სიივესა და ბორბტებას შეიძლება გაერიდო, სისულელესთან კი უძლური ხარ. ბორბტს დასჯი, სულელს ვერა. ბოლოს მხოლოდ ერთი რამ შევიძლია გააკეთო: გაავდო, თავიდან მოიცილო. სხვას თუ აიყვან, შეცვლა სკილასა და ქარიბდას მონაცვლეობას დაემსგავსება.

ეს ორი მოძღვენი თავი დასრულებული მქონდა. დაწვრილებით აღვწერე ყველაფერი, რაც ახლა თავიდან დასაწერი გამიხდა, რადგან იმ ბრიყვმა კომბიომ ჩემი ხელნაწერი რადაციის გასახვევად იხმარა, თავისი საქციელის გასამართლებლად კი თქვა, რომ ქალაქლები დასვრილი იყო, დაწერილი და გადაიხაპნილი, ამიტომ, ცხადია, სახმარად დასვრილი ამჯობინა, რადგან სუფთა უფრო გამომადგებოდა. საბრალო არსებას კეთილი განზრახვა ამოძრავებდა, საზრიანობის ნატამალი კი არ გააჩნდა. ცნობილია, რომ გაბრაზებულ ადამიანს განსჯის უნარი უჩლუნგდება, რადგან ბრაზი და აზროვნება სხვადასხვა წარმომავლობისა არიან. საბედნიეროდ, დიდხანს არ ვიცი გაბრაზება: irasci, celerem tamen et placabilem esse.¹ ტყუილად დაკვარგე დრო მის გასათათხად, საბრალომ მაინც ვერაფერი გაიგო; სულ ამასდ ვუმტკიცე, რომ შტერი იყო და რეგვენო; ვინდ კედლისთვის შემეყარა ცერცვი, — კომბიომ პირი მოკუმა და კრინტი არ დაუძრავს. ამგვარად, მთელი დასაბუთებული მოსაზრებანი წყალში ჩამიყარა. დრო

¹ ვინც სწრაფად ცხარდება, ადვილად მშვიდდებათ (ლათ.).

ტყუილუბრალოდ აღარ დაკკარგე და საქმეს თავიდან შევუდექი. უგუნებოდ ვიყავი და, რასაკვირველია, ნაწერი სულ სხვა გამომივიდა, ვიდრე მამჩნდელი იყო, როცა კარგ გუნებაზე გახლდით. მაგრამ რას იზამ, მკითხველი ამითაც უნდა დაკმაყოფილდეს. ასეა მექანაკაშიც: მეტ ძალას რომ ხარჯავ, დროში იგებ.

ამგვარად, ორსარწო ჩამოვედიო. ჩვენი გემი მეტისმეტად მსუბუქი იყო და წონასწორობისათვის ბალასტით უნდა დაეჭვირათათ, დატვირთვის ძოლოდინში შევამჩნიე, რომ ვიღაც კაცი ყურადღებით მათვალისწინებდა და კეთილად მიღიმოდა. დარწმუნებული ვიყავი, კრედიტორი არ იყო. ვიფიქრე, ჩემმა გარეგნობამ მოხიბლა-მეთქი, რაც შეურაცხმყოფელად არ ჩავთვალე და გზა განვაგრძე. უცნობი დამეწია და გამაჩერა.

— კაპიტანო, თუ ნებას დამრთავთ, ერთი შეკითხვა მაქვს: პირველად ბრძანდებით ამ ქალაქში?

— არა, ბატონო, აქ უკვე მეორედ ვიმყოფები.

— შარშან ხომ არ ბრძანდებოდით?

— დიახ, სწორედ შარშან გახლდით.

— მაგრამ მაშინ სამხედრო ტანისამოსი გეცვათ.

— მართალია, მაგრამ თქვენი შეკითხვები უკვე თავაზიანობის ზღვარს სცილდება.

— მაპატიეთ, ბატონო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემი ცნობისმოყვარეობა თქვენდამი უდიდესმა მადლიერებამ წარმოშვა. თქვენგან უზომოდ ვარ დავალებული. და ვფიქრობ, განგებამ აქ მეორედ ჩამოგიყვანათ, რათა თქვენი უფრო დიდი მოვალე გამხადოს.

— მითხარიო, რა გავიკეთეთ ასეთი და რით შემძლია გემსახუროთ? მაპატიეთ, მაგრამ ვერ ვიტანით.

— ძალიან გთხოვთ საუზმეზე მეწვიოთ. აგერაა ჩემი სახლი. მინდა ჩემი შესანიშნავი რეფოსკო¹ გაგასინჯოთ, მე კი მოკლედ ვიამბობთ, როგორ გახდით ჩემი კეთილისმყოფელი და რატომ მაქვს იმედი, რომ თქვენი ჩამობრძანება კვლავაც კეთილდღეობას განმიმტკიცებს.

უცნობი თითქოს ვიქს არ ჰგავდა, მაგრამ რადგან საუბრიდან ვერაფერი გავიგე, ვიფიქრე, ღვინის შემოსაღება უნდა-მეთქი, და გავყევი. ოთახში შემიყვანა და მარტო დამტოვა, რათა საუზმის თადარიგი დაეჭირა. ირგულივ ნაირგვარი ქირურგიული იარაღი ეწყო, რამაც მაფიქრებინა, რომ ჩემი მასპინძელი ექიმი იყო. შემოვიდა თუ არა, ვკითხე:

— ქირურგი ხომ არა ბრძანდებით?

— დიახ, კაპიტანო, უკვე ოცი წელიწადია, ამ ქალაქში ვცხოვრობ და ექიმობას მივსდექ. მუდამ სიღარიბეში მხდებოდა სული. ხან იყო და აკადემიოს სისხლს გამოვეუშვებდი, ქოთაშებს დავაყრიდი, ზოგჯერ ჭრილობას გადავუხვევდი, ან ნაღრძობ ფეხს ვუმკურნალებდი. ეს იყო და ეს. გასამრჯელო საჭმელზეც არა გვეოფნიდა. მაგრამ შარშან ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა. ფული იმდენი ვიშოვე, რომ მომგებიან საქმეში დავაბანდე და ამას მხოლოდ თქვენ, კაპიტანო, ღმერთმა დაგლოცით და გადღეგრძელოთ, უნდა გამადლოდეთ.

— ეგ როგორ?

¹ ფრიულის ნაქები ღვინო.

— ახლავე მოგახსენებთ. თქვენ სასიყვარულო სახსოვარი დაუტოვეთ დონ უერომოს გუვერნიორ ქალს; მან თავის მხრივ, იგი თავის მეგობარს გადსცა, იმან კი — საკუთარ ცოლს. ამ ქალმაც ვალში დარჩენა არ ისურვა და თავისი სენი ერთ ცნობილ მუსუსს უძღვნა. ამან ისე გულუხვად დაარიგა სახსოვარი, რომ თვეც არ გასულა და ორმოცდაათამდე კლიენტმა მომაკითხა. შემდეგ თვეები კიდევ უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდა. უარი არავისთვის მოთქვამს, ყველას ვპყრნალობდი და გასამრჯელოც კარგი მქონდა. რამდენიმე ავადმყოფი კიდევ შემომრჩა, მაგრამ ძალე აღარავინ ძეყოლება, რადგან სენი გაქრა. თქვენ, ალბათ, ხვდებით, ასე რატომ გამიხარდა თქვენი დანახვა. სიკეთის მაცნე ბრძანდებით ჩემთვის. იმედი მაქვს, რამდენიმე დღეს დაყოფთ ჩვენთან, რათა შემოსავლის წყარო ისევ გამიჩინოთ.

მისმა ნაამბობმა ბევრი მაცინა, ერთობ გავანაწყენე, როცა ვუთხარი, ამჟამად სრულიად ჯანმრთელი ვარ-მეთქი. გამაფრთხილა, რომ დაბრუნებისას იგივეს ვერ დავიკვირებდი, რადგან ქვეყანაში, სადაც მე მივემგზავრებოდი, ეს სენი ფრიად მოდებული ყოფილა, მისნაირი მკურნალობა კი თურმე არავის ცოდნია. მოხიზვა, მხოლოდ მისი იმედი მქონოდა და არ მიმეძარტა თაღლითებისთვის, რომლებიც ეცდებოდნენ თავიანთი უხეირო წამლები შემოეთავაზებინათ ჩემთვის. ყველაფერს შეეპირდი, მაღლობა გადავუხადე და გემზე დავბრუნდი. ეს ამბავი ვუამბე ბატონ დოლფინს, რომელმაც ბევრი იცინა. მეორე დღეს დავიძარიან და ოთხი დღის შემდეგ, გაურზოლასთან, საშინელ ღელვაში მოვეყვით. ამ ღელვისას კინაღამ დავიღუპე და აი, როგორ მოხდა ეს:

ერთმა სლაჟმა მღვდელმა, ჩვენს გემზე კაპელანად რომ მსახურობდა, უგუნურმა და უხეშმა ადამიანმა, სრულიად სამართლიანად შემაძულა, რადგან ხელსაყრელ შემთხვევას არ ვუშვებდი და დავცინოდი ხოლმე. ნუ იტყვით, თურმე რამდენი ღვარძლი შეუძლია დაიტოს ღვთისმოსავი ადამიანის გულმა! ქარიზხლის ყველაზე ძლიერი შემოტევისას იგი გემბანზე დადგა, ხელში „კურთხევანი“ დაიჭირა და ავი სულეების განდევნას შეუდგა. ამ ავ სულეებს თითქოს ღრუბლებში ხედავდა და მეზღვაურებსაც აჩვენებდა. შემინებულ მეზღვაურებს ეგონათ, ვიღუპებითო, თავი ანებეს გემის მართვას და ტირილი მორთეს. ამის გამო კი სულ ადვილად შეიძლებოდა გემის ორივე მხარეს ამოწვერილ წყალქვეშა კედლებს დავჯახებოდით.

საშიშროებას ვგრძნობდი და იმ შედეგსაც, სულეების განდევნას რომ შეაძლება მოჰყოლოდა. უმეცარი მღვდელი, გამხნივების ნაცვლად, სასოწარკვეთაში ავღებდა ხალხს. და მეც გადავწყვიტე წინდაუხედავად ჩავრეულიყავი. გემსართავზე ავძვერი და მეზღვაურებს დაულაღავა შრომისკენ მოუწოდე. ვთქვი არავითარი ბოროტი სულეები არ არსებობს და მღვდელი კი, ვინც ამ სულეებს ხედავს, გაეია-მეთქი. ბევრი ვილაპარაკე, რათა დაძერწმუნებინა მეზღვაურები, რომ თავიანთი საქმე ეკეთებინათ. ჩემმა მჭევრმეტყველებამ ხელი არ შეუშალა მღვდელს ერწმუნოდ გამოვეცხადებინე და ხალხის დიდი ნაწილი ჩემ წინააღმდეგ აემხედრებინა. ქარი მეორე და მესამე დღესაც არ ჩამდგარა. გემი მოსახვით ტალღებს ებრძოდა. ამ ჭკუათხელმა მღვდელმა კი დაარწმუნა თავის მხარეზე გადაბირებული მეზღვაურები, რომ უბედურების მიზეზი მე ვიყავი. და სანამ გემზე ვიმყოფებოდი, ქარიშხალი არ ჩადგებოდა. ჰოდა, გემის ბორტთან ზურგშექცეული რომ ვიდექი, ერთმა მეზღვაურმა, მღვდლის სურვილისამებრ, ისე მძლავრად მომარტყა თოკი, თავი ვერ შევიკავე და ზღვაში გადავვარდი. ტანისამოსით

ლუხის თათს რომ არ გამოვლებოდი, აბოტქრებული ზღვა უთუოდ შთანთქავდა, ასე რომ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ჩემი გადამრჩენელ ლუხა იყო. მერე ადამიანებიც დამეხმარნენ და გემზე ამიყვანეს. ერთმა კაპრალმა ჩემს დაძლეულ მეზღვაურზე მიამითითა. იმ კაპრალს კერძო გამოკვლევის ხელიდან და გამეტებით დავუხვე მეზღვაურს. მის ყვირილზე სხვა მეზღვაურებმაც მოიბრახნეს და, გააფორებული მღვდლის თაოსნობით, უსათუოდ მომკლავდნენ, ჯარისკაცებს რომ ჩემი მხარე არ დაეჭირათ. გემის კაპიტანი და ბატონი დოლოფინიც მოვიდნენ, მღვდელს მოუსმინეს და იმ არამზადას დასამშვიდებლად შეპარდნენ, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე გემიდან ჩამომსვამდნენ. ეს მღვდელს არ მოეწონა. მოათხოვა, მიმეცა მისთვის პერგამენტი, რომელიც ერთმა ბერძენმა ძალაძოვოდან გამოსვლამდე მომყიდა. ამ პერგამენტის არსებობა აღარც მახსოვდა. გამეცინა და მაშინვე ჩავაბარე პერგამენტი ბატონ დოლოფინს, მან კი მღვდელს გადასცა, მღვდელი გამარჯვებას შეიშობდა. სამხარეულოდან მყალი მოატანა მეზღვაურს და ჩემს საბუთს აუტოლაფე მოუწყო. სანამ უბედური პერგამენტი ბოლომდე ჩაიფერფლებოდა, ნახევარი საათი გავიდა და მღვდელმა ეს გარემოებაც გამოიყენა, რათა დაერწმუნებინა მეზღვაურები, რომ ნაშვილად ეშმაკისეული წიგნი იყო.

გამყიდველი ირწმუნებოდა: პერგამენტი ყველა ქალს თქვენდამი ხიყვარულს აღუძრავსო. იმედი მაქვს, კეთილი მკითხველი დამიჯერებს, რომ თილისმების, ავგაროზებისა და ბანგების არასოდეს მჯეროდა და ის პერგამენტიც სახუმაროდ კიყიდე.

იტალიაში, საბერძნეთში და საერთოდ ყველგან მოსახლეობის დიდი ნაწილი უმეცარია. ბერძნები, ებრაელები, ჯადოქრები და ასტროლოგები სარგებლობენ მათი სიბრყვიით და სულელებზე ასაღებენ რაღაც ბუფლმანსა და ქაღალდებს, ვითომ ზებუნებრივი ძალა რომ აქვთ. ჰყიდიან თილისმას, ყველა უბედურებიდან რომ დაგაცავს, რაღაც საზიზღრობით სავსე პარკებს, ვითომ ბოროტი სულების განსადევნად, და ათას ამგვარ სისულელეს. ასეთ საქონელს არავითარი ფასი არა აქვს საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში, საერთოდ — ჩრდილოეთის ქვეყნებში, სამაგიეროდ, აქ დიდი გასაყალი აქვს სხვა გასართობს — ფილოსოფიურ ქვას ეძებენ და პოვნის იმედს არ კარგავენ.

ქარიშხალი ზუსტად იმ ნახევარი საათის განმავლობაში ჩადგა, როცა ჩემს უღანამაულს პერგამენტს წვავდნენ. და რადგან შეთქმულებმა ეშმაკი დამარცხებულად ჩათვალეს, მეც დამანებეს თავი. რვადღიანი ბედნიერი მოგზაურობის შემდეგ კორფუს ჩავადწიეთ. მოვეწვეე თუ არა, მის აღმატებულება გენერალ-პროვედიტორსა¹ და ყველა საზღვაო ოფიცერს ვეახლე სარეკომენდაციო წერილებს გადასაცემად. შემდეგ ვესტუმრე და პატივისცემა დავუდასტურე პოლკოვნიკსა და ჩემი ნაწილის ყველა ოფიცერს. ამით მოვალეობა მოხდილად მივიჩნე და გადავწვიტე დრო მეტარებინა კავალერ ვენიეს ჩამოსვლამდე, რომელსაც კონსტანტინოპოლში უნდა გავყოლოდი. იგი ივნისის შუა რიცხვებში ჩამოვიდა, იქამდე კი ბასეტის თამაშს გადავეევი და, რაც ფული მებადა, წავაგე. მერე ძვირფასეულიც ვაყიდე, ნაწილი კი დავავირავე.

ასეთია ყველა ადამიანის ხედრა, ვინც აზარტულ თამაშს ეტრფის. კარგია, როცა შეგწევს ძალა ვნებათაღელვა საღ ანგარიშს და გონებას დაუძორჩილო,

¹ თანამდებობა პირი ვენეციის რესპუბლიკაში; ინსპექციისა და მართვის უფლება მქონდა.

მაშინ ბედი ვაკვირებებს და მხარში ამოვიდგება. ვინაერ მოთამაშეს, ვინც ან
 ორ ძვირფას თვისებას ითავსებს, თაღლითობა აღარ დასჯირდება.

ის თვე, კავალერ ვენიეს ჩამოსვლამდე კორფუზე რომ დაჯდა, ისე გავუ-
 ტარე, რომ არც ბუნებით და არც აქაური ზნე-ჩვეულებებით დავინტერესებულნი
 ვარ. როცა საყარაულოდ არ გაუდიოდი, დროს ყავახანაში ვატარებდით და ფრანკ-
 ონს ვთამაშობდი. რასაკვირველია, ამგვარად გავიათვეცე ვასატორი, თუმცა
 მედგრად ვუძალიანდებოდი. შინ არც ერთხელ მოკებულა ო დავბრუნებულვარ
 და თამაშიც უკანასკნელი მონეტის წაგებამდე არასოდეს მიმიტოვებია. ესაა,
 სულელურ კმაყოფილებას განვიცდიდი, როცა მოსაგებ კარტს გადამიტრიდნენ
 და მებანკე შემაქებდა, „მშვენიერი მოთამაშე“ ხარო.

ამ საუაღალო მდგომარეობაში მყოფი თათქოს მკვდრეთით აღვსდექი, რო-
 ცა ზარბაზნის გასროლამ ბალიოს¹ ჩამოსვლა გვაუწყა. „ევროპა“, რომლითაც
 იგი ჩამობრძანდა, სამხედრო გემი იყო. ამ სამოცდათორმეტ ზარბაზნიანმა გემ-
 მა მანძილი ვენეციიდან კორფუმდე სულ რვა დღეში დაფარა. დედა ჩაუშვეს
 თუ არა, გემზე რესპუბლიკის სამხედრო ძალების სარდლის დროს აღმართეს,
 გენერალ-პროვედიტორმა კი თავისი ალაში დაეშვა. ოტომანის პორტაში²
 ვენეციის რესპუბლიკას ბალიოზე აღალი საზღვაო წოდება არ გააჩნია. ბატონ
 ვენიეს გამორჩეული და ბრწყინვალე ამაღა აქლდა. აქ იყვნენ გრეცი გამბერა და
 გრაფი შარლ ზენობიო, ორივე ღირსეული ენციკელი, აგრეთვე ბრიზანელი მარ-
 კიზი დ ანშეტი. ისინი კონსტანტინოპოლის დასათვალიერებლად წამოიყვლიდნენ
 ბალიოს. რვა დღის განმავლობაში, რაც ბალიო და მისი თანხლები პირნი კორ-
 ფუზე იყვნენ, საზღვაო ოფიცრებმა მათ საბატვისაცემოდ რიგ-რიგობით წვეუ-
 ლებები და მეჯლისები გამართეს. როგორც კი ჩემი თავი წარუდგინეს, მისმა
 აღმატებულებამ მითხრა, რომ უკვე ელაპარაკა გენერალ-პროვედიტორს და
 ექვსი თვის შვებულება მოაცემინა, რათა ადიუტანტის ჩინით მოგზაურობაში
 გავყოლოდი. გავთავისუფლდი თუ არა, ჩემი მცირე ბარგი ვემზე გადავიტანე.
 მეორე დღესვე ავწიეთ ღუზა და გაეშორდით ნაპირს. აფრები თავიდან-
 ვე აუუშვით და, რადგან ზურგის ქარი ქროდა, ეჭვს დღეში ცერიგოს მივალ-
 წიეთ, სადაც ღუზა ჩაუშვით და სასმელი წყლის ძარავი შევივსეთ. მოვისურვე
 მენახა ანტიკური კუნძული კათერა, ნებართვა მივიღე და ექვსი მეზღვაურის
 თანხლებით ნაპირზე გადავედი. ჯობდა გემზე დავრჩესილიყავი, რადგან კუნ-
 ძულზე ცუდ ხალხს გადავეყარე. ერთი კაპიტანი მახლდა, ვარნიზონის მეთაური.

ჩმელეთზე ფეხი დავდგით თუ არა, ორი საეჭვო შესახედაობის მაწანწალა
 მოგვადგა და მოწყალება გვთხოვეს, ვკითხე, ვინა ხართ-მეთქი, და ერთ-ერთმა,
 უფრო ყოჩაღმა, ასე მიპასუხა:

— ჩვენ ორს და კიდევ ორმოც ადამიანს ათეულის საბჭომ³ აქ ცხოვრება
 მოგვისაჯა და აღბათ აქვე დავიხიციებით. ჩვენ კი ვველანი რესპუბლიკის ქვე-
 შევრდომებად დავიბადეთ. ჩვენი ვითომდე დანაშაული დანაშაულად არ ჩაითვ-
 ლება, უბრალოდ, ცხოვრების განსხვავებული წესი გვქონდა, — ყოველგვარი ეჭ-
 ვიანობის გარეშე ვუთმობდით ერთმანეთს საყვარლებს. ის მეგობრები, ვისაც
 ჩვენი ქალები მოსწონდა, ცხადია, ჩვენი თანხმობით, დაუბრკოლებლად ტკბე-

¹ კონსტანტინოპოლში წარგზავნილი ვენეციელი წარმომადგენლის წოდება.

² თურქეთისა და სულთნის კარის ოფიციალური სახელწოდება.

³ ვენეციის რესპუბლიკის მმართველობის უზენაესი ორგანო.

ბოდნენ მათი მშვენიერებით. რადგან ღარიბები ვიყავით, არც სარგებელს ვთავი-
ლობდით ხოლმე. ჩვენი საქმიანობა უკანონოდ მიიჩნის და აქ გადმოგვასახლეს.
დღეში ხურდა ფულთ ათ კოლონიურ სოლდოს გვაძლევდნ და mangiaparioni¹-
ის გვეძახიან. გაღერების მონებზე უარესად ეცხოვრობთ: მოწყვნილობა გვტან-
ჯავს და შიმშილი გვკლავს. ჩემი სახელია ანტონიო პოჩინი, პაღვლევი ანტონიო
გახლავართ, დედაჩემი კი წარმოშობით ცნობილი კამპო სან-პიეტრის გვარისაა.

ჩვენ მოწყვლება გავიღეთ, შემდეგ კუნძული შემოვიარეთ, ვნახეთ ციხე-
სიმაგრე და გემზე დავბრუნდით. ამ პოჩინის შესახებ კიდევ მექნება საუბარი.

ქარი ისევ სასურველი მიმართულებით ჰქროდა და რვა-ათი დღის შემდეგ
დარდახელს მივადწიეთ; იქ თურქეთის ნავებმა მოგვაკითხეს და კონსტანტინო-
პოლში გადაგვიყვანეს. ერთი ღიეს მანძილიდან ეს ქალაქი გასაოცარი საცქერია,
ქვეყნად უკეთესი სანახაობა არ არსებობს. მისი მშვენიერება გახდა მიზეზი რომის
იმპერიის დაცემის და ბიზანტიის დაბადებისა. კონსტანტინე დიდმა კონსტანტი-
ნოპოლი ზღვიდან რომ დაინახა, ქალაქის მშვენიერებით მოხიბლულმა წამოი-
ბახა: „აი, მსოფლიო იმპერიის დედაქალაქი!“ საკუთარი წინასწარმეტყველების
გასამართლებლად რომი მიატოვა და აქ დასახლდა. იმპერატორს პორაციუსის წი-
ნასწარმეტყველება რომ წაეკითხა და პოეტის სიტყვა დაეჯერებინა, არასოდეს
ჩაიდუნდა ამ სისულელეს. აი, რას წერდა პოეტი: რომის იმპერია მაშინ დაიწ-
ყებს დაშლას, როცა აფგუსტუსის ერთ-ერთი მემკვიდრე იმპერიის დედაქალაქის
რომიდან თავისი დაბადების ადგილზე გადატანას გადაწყვეტსო. ტროა კი, მო-
გვხსენებათ, არც ისე შორსაა თრაკიიდან.

პერაში, ვენეციის სასახლეში, ივლისის შუა რიცხვებში ჩავედით. ჩვენს ბე-
დად, ამ დროს კონსტანტინეპოლში შავი ჭირი არ მძვინვარებდა, რაც დიდი იშ-
ვიათობა იყო. ყველანი ძალიან კარვად დაგვაბინავეს. მაგრამ აუტანელმა სიცხემ
აიძულა ჩემი უფროსობა, ბაღიო ღონას მიერ ქალაქგარეთ დაქირავებულ აგარაკ-
ზე დასახლებულიყო. იქ გაცილებით გრილოდა. აგარაკი ბიუვდერში მდებარეობ-
და. უპირველესად მიბრძანეს, ბაღიოს უნებართვოდ არსად გავსულიყავი და
მცველად ერთი იანიჩარი დამიყენეს. ბრძანებას პირნათლად ვასრულებდი. იმ-
ხანად რუსებს ჯერ არა ჰყავდათ მოთვინიერებული თავხედი თურქები; ახლა,
ამბობენ, უცხოელებს თავისუფლად შეუძლიათ ყველგან იარონ, სადაც კი
მოისურვებენ, და არავითარი საფრთხე არ ემუქრებათო.

ჩამოსვლის შემდეგ, მეორე დღესვე ოსმან ფაშა კარამანიელთან მიყვანა
ვიბხოვე. ეს სახელი დაირქვა გრაფმა დე ბონევალმა მას შემდეგ, რაც სარწ-
მუნოება შეიცვალა.

ჩემი სარეკომენდაციო წერილის მიღებისთანავე შემიყვანეს პირველ სარ-
თულზე, ფრანგული სტილით მოწყობილ დარბაზში. იქ ფრანგულ ტანისამოსში
გამოწყობილი გრუზათშიანი, ხანში შესული კაცი დაბზვდა. შევედი თუ არა, წა-
მოდგა და ჩემ შესახვედრად გამოემართა. სიცლით მკითხა, რით შეეძლო დახ-
მარებოდა კონსტანტინოპოლში რომაულ ეკლესიის კარდინალის რეკომენდა-
ციით ჩამოსულ ადამიანს, მე ხომ რომაულ ეკლესიას უკვე დედას ვედარ ვუ-
წოდებო. პასუხის მაგივრად წერილად ვუამბე, თუ რამ მაირულა, სულიერი სა-
სოწარკვეთის უამს, ეს წერილი კარდინალისთვის მეთხოვა; რაკიღა წერილი
ხელთ მქონდა, თავს ვაღდეებულად ვივლიდი, დანიშნულების ადგილზე მიმეტანა.

¹ წაბლისმკამელი; გადატანითი მნიშვნელობით — ოღრაში.

გამოდის, რომ სხვა შემთხვევაში აქ არ მოხვიდოდითო, — მითხრა, — ესე იგი, მეც არაფერში გჭირდებითო.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ თავს ბედნიერად ვთვლი, მიზნები რომ/ქონდა თქვენი უდიდებულესობა გამეცნო,—პიროვნება, ვისზეც მთელი გულსი ლაპარაკობდა, ლაპარაკობს და კიდევ დიდხანს ილაპარაკებს.

ერთხანს იმის თაობაზე იმსჯელა, თუ რაოდენ ბედნიერია ჩემნაირი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არც დარდი აწუხებს, არც წინასწარი გეგმა აქვს ან დასახული მიზანი, ვინც ბედს მანდობილია და არ იცის, რაა შიში და ყოყმანი. ზერე დასძინა, რომ კარდინალ აკვაივას წერილი ავალდებულებდა რაიმე გაკეთებინა ჩემთვის და ამის გამო სურჯა გაეცნო სამი-ოთხი თურქი მეგობარი, რომლებთანაც საინტერესო ურთიერთობის დამყარებას შევძლებდი. ყოველ ხუთშაბათ დღეს სადილად დამპატიეა, დამპირდა იანიხარის გამოგზავნას, რათა თავი უარამზადებისგან დავეცავი და ქალაქის ყველა ღირსშესანიშნაობის დასათვალიერებლად გამეყოლოდა. კარდინალის წერილში ნათქვამი იყო, რომ მწერალი ვიყავი; ფაშა წამოდგა, ჩემი ბიბლიოთეკა უნდა გაჩვენო. გავეყვი. გადავჭყრიეთ ბაღი და შვედით ოთახში, სადაც გისოსებიანი კარადები იყო ჩამწკრივებული, ცხაურს იქით ფარდები მოჩანდა. ფარდებს უკან წიგნები უნდა ყოფილიყო.

ფაშამ გასაღები ამოიღო და გისოსიანი კარი გაღო და რა დაეინახე: თაროებზე, წიგნების ნაცკლად, საუკეთესო ღვინოებით სავსე ბოთლები იყო ჩამწკრივებული! ორივეს სიცილი წაგვსკდა და კარგა ხანს ვიცინეთ.

— ეს ჩემი ბიბლიოთეკაა და ჰარამხანაც. მოხუც კაცს ქალები წუთისოფელს შემომიკლებენ, დალოცვილი ღვინო კი სიცოცხლეს თუ არ გამიხანგრძლივებს, უფრო საამურს ხომ მაინც გამიხდის.

— იმედია, თქვენს უდიდებულესობას მუფთის ნებართვა აქვს.

— ცდებით, ახალგაზრდავ! თურქ პაპს იმდენი ძალაუფლება როდი აქვს, რაც თქვენსას. მას არ შეუძლია იმის ნება დაგვართოს, რაც ყურანითაა აკრძალული. თუმცა არც ესაა დაბრკოლება. ყოველ ადამიანს აქვს უფლება საკუთარი სულის წაწყმედისა, თუ ამის სურვილი გაუჩნდება. ღვთისმოსიშ თურქებს ებრალლებათ გარყვნილნი, და არც ღვენიან მათ. თურქეთში არ არის ინკვიზიცია. რელიგიურ ცნებათა დამრღვევნი, ამბობენ ისინი, ისედაც სამუდამოდ გაიტანჯებიან იმქვეყნად და ამქვეყნად მათი გაწვადება აღარ არის საჭირო. ერთადერთი, რაც ვითხოვე და დაუყოვნებელი თანხმობა მივიღე, წინადაცვეთის თავიდან არიდება იყო; თუმცა წინადაცვეთაც მიღად ის არ არის, რაც ჩვენ გვგონია, მაგრამ ჩემს ასაკში ეს პროცედურა მაინც საშიშე იქნებოდა. ჩვეულებრივ ამ წესს იტავენ, ხოლმე, მაგრამ გამოჩაკლისაც დასაშვებია.

მასთან ორი საათი დავყავა. ამ დროის განმავლობაში წვრილად გამომკითხა თავისი ენეციელი მეგობრების ასაველ-დასაყალი. განსაკუთრებით ბატონი მარკანტონიო დიეტოს ამბავი აინტერესებდა. დავარწმუნე, რომ ყველას ძველებურად უყვარდა, მაგრამ სინანულით აღნიშნავდნენ მის განდგომას. მიპასუხა, ახლა ისეთივე თურქი ვარ, როგორც უწინ ქრისტიანი ვიყავი და ყურანი ისე ვიცი, როგორც ადრე სახარება ვიცოდით.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა მან, — უფრო მშვიდად მოვკვდები და ახლაც უფრო ბედნიერად ვცხოვრობ, ვიდრე პრინცი ეფენი. უნდა შეთქვა მხოლოდ, რომ ღმერთი არის ღმერთი და მუჰამედი წინასწარმეტყველია მისი. მე ეს წარ-

მოვთქვი და თურქებს სულაც არ ადარდებდათ, მართლა ასე ვფიქრობ თუ არა, მართალია, თავზე დოღბანდი ხურავს მაგრამ ჯარისკაცი ვალდებულია თავისი მეთაურის უნიფორმა გვეს. ჩემი ხელობა სამხედრო საქმეა და ფადიშის სამსახურში გენერალ-ლეიტენანტის ჩინით მხოლოდ მაშინ ჩავლექი, როცა საარსებო სახსარი აღარ გამანდა. ვენეციიდან წამოსვლამდე ყველა საშუალება ამოვწურე, — ჩემს ჯამს უკვე ძირი გავარდა; ებრაელებს რომ ეთქვათ, რომოცდათი ათასი ჯარისკაცი ჩაიბარეო, იერუსალიმს შემოვარტყამდი ალყას.

ლამაზი კაცი იყო, თლონდ ზომაზე მეტად მსუქანი. ჭიპს ქვემოთ ხმლის ნაჭრილობევი აჩნდა და იძულებული იყო ბანდავი ეტარებინა, ზედ მიმაგრებული ვერცხლის ფირფიტით. ერთი პირობა აზიაში გადაასახლეს, მაგრამ მცირე ხნით; მისი სიტყვით, თურქეთში ინტრიგები ისე დიდხანს არ გრძელდება, როგორც ევროპაში, განსაკუთრებით კი ვენის კარზე. გამომშვიდობებისას შითხრა, რაც თურქი გავხდი, ასეთი სასიამოვნო ორი საათი, თქვენ გვერდით რომ გავატარე, არა მქონიაო, და მოხოვა ორივე ბალიოსათვის გულითადი მოკითხვა გადამეცა.

ბატონმა ბალიო დონამ, რომელიც ფაშას ჯერ კიდევ ვენეციიდან იცნობდა, თავის მზრივ მოხოვა, მომეკითხა და სასიამოვნო სიტყვები გადამეცა მისთვის, ხოლო ბატონმა ვენაემ დიდი სინასული გამოთქვა, რადგან ვერ მოახერხა პირადად გასცნობოდა.

ჩემი პირველი სტუმრობის შემდეგ ერთი დღე გავიდა და ჩუთშაბათიც დადგა. ფაშამ, დაპირებისამებრ, იანიჩარი გამომიგზავნა. თერთმეტი საათი იქნებოდა, რომ მომაკითხა და სასახლემდე მიმაცილა. ამჯერად ფაშა თურქულ ტახისამოსში გამოწყობილი დამხვდა. სტუმრებმაც არ დააყოვნეს მოსვლა და ყველანი სუფრას შემოვესხედით. რვანი ვიყავით. მზიარულ, სასიამოვნო გუნებაზე გახლდით. სადილი ფრანგულ ყაიდაზე წარიმართა: კერძებიც ფრანგული იყო და სუფრის წესიც. მსახურთუხუცესი და მზარეული ფრანგები იყვნენ, თუმცა რჯული მათაც გამოცვლილი ჰქონდათ.

ფაშამ ჩემი თავი ყველას გააცნო და ცალკეული სტუმრები წარმომიდგინა, მაგრამ სადილის ბოლომდე სიტყვის თქმის უფლება არ მოუცია. ყველანი იტალიურად საუბრობდნენ; მთელი საღამოს განმავლობაში არ შემიმჩნევია, რომ თურქებს ერთმანეთშიც თურქულად ეთქვათ რამე, თითოეულს მარჯვენა მზარეს ედგა ბოთლი, რომელშიც ალბათ თეთრი ღვინო ესხა ან თაფლუჭი. სხვისი არ ვიცი და თავად ბატონი ბონევალი, ჩემგან მარჯვნივ რომ იჯდა, დიდებულ თეთრ ბურგუნდიულს მიართმევდა.

მე ვენეციის ამბებს მეკითხებოდნენ, უფრო მეტად კი როზისას, რის გამოც საუბარი რელიგიაზე გადაერთო; არა თვით მოძღვრებაზე, არამედ ღვთისმოსაობასა და ლიტურგიკულ წეს-ჩვეულებებზე. ერთმა სტუმარმა, ეფენდის რომ ეძახდნენ, რადგან საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, თქვა, რომმა მეგობარი მყავს — ვენეციის საულჩოშიო. ამ ელჩს დიდი ხოტბით მოიხსენიებდა. მე ვუთხარი, სწორედ ამ ელჩმა გამომატანა წერილი თავის მაჰმადიან მეგობართან, ვისაც ასევე ძალიან აქებს-მეთქი. ყველანი დაინტერესდნენ, ვინ იყო ის მაჰმადიანი. გვარი ვერ გავიხსენე, ჯიბიდან საფულე ამოვიღე, წერილი მოუნახე და გვარი წავიკითხე. აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ ადამიანს ვესაუბრებოდი, ვისთვისაც წერილი უნდა გადამეცა. იგი ძალზე კმაყოფილი დარჩა, წერილი გამომართვა, წაიკითხა, ელჩის ხელმოწერას ემოხვია, წამოდგა და მეც გრძნობამორეული გადამეხვია. ამ სანა-

ხალხმ სიამოვნება მოჰგვარა ბატონ ბონვალსა და მთელ საზოგადოებას. ეფენდიმ, რომელსაც ხახელად იხმაილი ერქვა, მე და ოსმან ფაშა სადილოდ დაგვბატოქა და დღეც დაგვითქვა.

მიუხედავად ეფენდის თავაზიანობისა, ამ მეტად სასიამოვნო საქმედ დროს ჩემი ყურადღება უფრო მეტად სხვა პიროვნებამ მიიპყრო. ეს იყო ლაშაზი გარეგნობის სამოციოდე წლის თურქი. მის მშვენიერ სახეზე გონიერება და სათნოებაც აღბეჭდილიყო. ორი წლის შემდეგ ასეთი სახის ადამიანი კიდევ შემხვდა, — ბატონი დე ბრიგადინი. იგი ვენეციელი სენატორი იყო და როცა საჭირო იქნება, მის ამბავსაც მოგახსენებთ. დარბაისელი თურქი დიდი გულიყურით უსმენდა ყოველ ჩემს ნათქვამს, თავად კი სიტყვა არ დასცდენია. მაღალი საზოგადოების ადამიანი, ვინც გარეგნობითა და თავდაჭერილობით გამოირჩევა, ვინც თქვენთვის უცნობია და ერთ სუფრასთან კი იმყოფებით, უნებურად თავისი დუმილით ცნობისმოყვარეობის საღერღელს აგიშლით. სასადილო დარბაზიდან რომ გამოვდიოდით, ბატონ დე ბონვალს ვკითხუ, ის კაცი ვინ იყო-მეთქი. იბასუხა, მდიდარი და ბრძენი ადამიანია, საყოველთაოდ ცნობილი თავისი კეთილშობილებით, მისი ხნეობა რწმენისადმი მისივე უსაზღვრო ერთგულებას უტოლდებაო. მასპინძელმა მირჩია, უფრო ახლოს გამეცნო იგი, თუკი თავადაც გამოსთქვამდა დაახლოების სურვილს.

ეს რჩევა სიამოვნებით მოვისმინე და, როცა დაჩრდილულ ხეივანში სეირნობის შემდეგ, სასტუმრო ოთახში მიგვიბატოქეს, იუსუფ ალის გვერდით დაჯექი; იმ თურქს ასე ერქვა. მაშინვე თავისი ყალიონი შემომთავაზა, მაგრამ თავაზიანი უარი ვუთხარი და ბატონი ბონვალის მსახურის შემოთავაზებული ჩიბუხი ავიღე. მწვეველთა საზოგადოებაში აუცილებლად უნდა მოსწიოთ, ან უნდა წახვიდეთ, თორემ გგონია — სხეების ამონახუნთქ ბოლს ყლაპავ. ეს მართლაც ასეა, რის გამო უკმაყოფილო რჩები და ამბოხების სურვილი ვიჩნდება. ამიტომაც ვერაფერი გამიგია მშვენიერი გერმანელი ქალებისა, რომელთაც შეუძლიათ უდრტვინველად ყლაპონ მწვეველთა მთელი ჯგუფისგან შემხუთველი ბოლი.

იუსუფი კმაყოფილი ჩანდა, გვერდით რომ დაუჯექი, და სუფრასთან დაწყებული საუბრის თემას შეეხო. განსაკუთრებით აინტერესებდა, რატომ გავცვალე ეკლესიის მსახურის მშვიდი ცხოვრება სამხედრო სამსახურზე. მისი ცნობისმოყვარეობა რომ დამეკმაყოფილებინა და ცუდად არ მეჩინა თავი, აუცილებლად ჩავთვალე მოკლედ მომეთხრო ჩემი თავგადასავალი. მსურდა თავად დარწმუნებულიყო, რომ ღვთის მსახურის წმიხდა გზას ჩემი სულიერი მოწოდებით არ შევეწინააღმდეგე. ჩემი შენიშვნები ესიამოვნა, რადგან თავისუფლად შეძლო მათი გაქარწყლება.

უეჭველი იყო, ამ ღირსეული მაჰმადიანის თვალში მოწონება დავიმსახურე, რადგან პატივი დამდო და ისურვა თავის მოწაფედ გავეხადე. ცხრამეტი წლის გზააბნეულ, ცრურწმენათა ტყვეობაში მყოფ ყმაწვილს, ცხადია, შეგირდობა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მასწავლებლობა.

მთელი ერთი საათი მესაუბრა ჩემს შეხედულებებზე და თან მმოწმდებოდა. ჩემი აღსარება რომ მოისმინა, გამოაცხადა, ჭეშმარიტების დახადგენად ხარ შექმნილიო. მისი აზრით ჭეშმარიტებისკენ ვისწრაფოდი, მაგრამ არჩეული გზის სისწორეში დარწმუნებული არ ვიყავ. სტუმრად დამბატოქა, მთელი დღით მობრძანდითო, და დაასახელა კვირის დღეები, როცა უსათუოდ შინ დამხვდებოდა.

— ვიდრე მობრძანდებოდეთ, — დაუმატა, — ოსმან ფაშას დაეკითხეთ.

უპასუხე, რომ უკვე ბევრი რამ ვიცოდი მისი ღირსების შესახებ, რაც ძალიან ესიამოვნა. შევბირდი, ამა და ამ დღეს გესტუმრებით-მეთქი, და ერთმანეთს დავშორდით.

ყოველივე ეს ბატონ დე ბონვალს ეუბნებოდა. გაეხარდა, ყველაფერს კარგად რომ აუწყო, და მითხრა, იანიჩარი მუდამდღე ვენეციაში იქნება, რათა თქვენი განკარგულება შესრულოსო.

ამ სტუმრობის ამბავი ორივე ბაღიოს მოუუყვი და ორთავენი კმაყოფილნი დარჩნენ. კავალერმა ვენიემ ბრძანა, ამგვარი ნაცნობობა ძალიან საჭიროა ამ ქვეყანაში, რადგან უცხოელთათვის აქაური მოწყვნილობა გაცილებით საშიშია, ვიდრე შავი ჭირიო.

დათქმულ დღეს, დილაადრიან, მიკადეჩი იუსუფს, მაგრამ წასული დამხვდა. პატრონს მებაღე გაეფრთხილებინა და ისიც ყურადღებას არ მაკლებდა. ორი საათი ბაღში მართობდა, ბევრი რამ მანვესა. მე განსაკუთრებით ყვავილები მოუწონებოდა. ეს მებაღე ნებაყოფილი გახლდათ და უკვე ოცდაათი წელი იყო, რაც იუსუფთან ცხოვრობდა. მისმა ქცევამ მაფიქრებინა, რომ განათლებულ და ღირსეულ ადამიანთან მქონდა საქმე, თუმცა გულახდილად გამოძიებდა, წერა-კითხვა არ ვიცოდა. მეზღვარი ყოფილა, ტყვედ ჩაგარდნილა და იუსუფ აღისთან ასე მოხვედრილა. იუსუფის სამსახურში ისე ბედნიერად გრძნობდა თავს, რომ თავისუფლებას დიდ სასჯელად ჩათვლიდა. მისი პატრონის საქმიანობაზე საუბარს მოვერიდე, რადგან შევატყვე, თავშეკავებული კაცი იყო, ჩემს შეკითხვას უთუოდ უპასუხოდ დატოვებდა და ცნობისმოყვარეობის გამო თავს შევირცხვინდი.

მერე ცხენზე ამხედრებული იუსუფიც გამოჩნდა. მივესალმეთ ერთმანეთს და ორივენი ფანიატურში დავსხედით სადილად. აქედან ზღვა მოჩანდა, ჰქროდა ნიაკი და საკმაოდ გრილოდა. ქარი აქ ყოველდღე ერთსა და იმავე დროს, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ჰქრის და „მისტრალი“ ჰქვია. გემრიელად ვისადილეთ, თუმცა მომზადებული კერძებიდან მხოლოდ ყაურმა მივირთვიოთ. თაფლუჭსა და წყალს ვსვამდი და მასპინძელს ვარწმუნებდი, წყალი ღვინოს მირჩევნია-მეთქი. იმხანად ღვინოს იშვიათად გეახლებოდით. თაფლუჭი შეკუქე და დავძინე, რომ მაშმადიანი, ვინც კახონს არღვევს და ღვინოს სვამს, შეწყნარებას არ იმსახურებს, რადგან სწორედ იმიტომ ეტანება ღვინოს, აკრძალული რომ არის-მეთქი. იუსუფმა მითხრა, რომ ბევრს ღვინოს დაღვევა ცოდვა არა ჰგონია, რადგან წამლად მიიხნევენ; ღვინით მკურნალობა თვით ფადიშაჰის პირადმა ექიმმა მოიგონა, კიდევაც ძალზე გამდიდრდა ამ საშუალებით და პატრონის კეთილგანწყობა დაიმსახურა, რომელიც მართლაც სულ ავადმყოფობდა, ოღონდ იმიტომ, რომ მუდამ მთვრალი იყო. იუსუფს გაუკვირდა, როცა ვუთხარი, ჩვენში ღვინობა იშვიათია და ეს მანკი მხოლოდ საზოგადოების დაბალ ფენაში გვხვდება-მეთქი. მას ვერ ვაუგო, რატომ არ კრძალავდნენ სხვა რელიგიათა ინსტიტუტები ღვინოს სმას, რაკი ღვინო ადამიანს გონებას ართმევს. მე უპასუხე, რომ ღვინოს უზომო ხმარებას ყველა რელიგია კრძალავს და ცოდვა მხოლოდ უზომოდ სმანა. ამაზე დამეთანხმა. შემდეგ დავარწმუნე, რომ მის რელიგიას ოპიუმიც უნდა აკრძალა, რადგან იგი ღვინოზე უფრო ძლიერად მოქმედებს ადამიანის გონებაზე, მითხრა, ჯერ არც ოპიუმი მომიწევია და არც ღვინო გამისინჯავსო.

სადილის შემდეგ ყალიონები და თამბაქო მოგვართვეს. ყალიონები თავად დავტყენეთ. იმხანად თამბაქოს ვეწუოდი და დიდი სიამოვნებითაც, მაგრამ ერთი

ცუდი ჩვეულება დაძნედა — ზოგჯერ ვიპურტყებოდი ხოლმე. იუსუფი თურქულად ეწეოდა, ანუ არ აპურტყებდა.

— თამბაქო, თქვენ რომ ეწევით, უძაღლესი ხარისხისაა და სულ ურევია. ვფიქრობ, ცდებით, როცა ნერწყვითან ერთად ბაღჩამს არეკვლევთ.

— გეთანხმებით. ყალიონი ნამდვილ სიამოვნებას მანიჭებს ჩემთვის თამბაქო კარგია.

— რასაკვირველია, — მიპასუხა. — მოწვევისგან სიამოვნება რომ მიიღო, კარგი თამბაქო აუცილებელია. მაგრამ ესეც არაა მთავარი, კარგი თამბაქო მხოლოდ გრძნობად სიამოვნებას გვანიჭებს. ჭეშმარიტი სიამოვნება კი გრძნობის ორგანოებზე არ არის დამოკიდებული და მხოლოდ სულიერი ხემოქმედების შედეგია.

— ძვირფასო იუსუფ, ვერ წარმომიდგენია ისეთი სიამოვნება, მხოლოდ სულს რომ აამებს და ჩვენს შეგრძნებებს არ შეეხება.

— მისძინე! გრძნობ თუ არა სიამოვნებას, როცა ყალიონს ტენი?

— დიახ.

— მერედა, რომელ გრძნობას მიეკუთვნება ეგ სიამოვნება, თუ არა სულს? განუაგრძოთ მსჯელობა: სიამოვნებას ბოლომდე მხოლოდ მაშინა გრძნობ, როცა მოწვევას დაამთავრებ და ყალიონს გვერდზე გადადებ. ასე არაა? კმაყოფილებას შეიგრძნობ იმის გამო, რომ ყალიონში ფერფლია დარჩა.

— დიახ, ასეა.

— აი, უკვე დაგისახელე ორი სიამოვნება, შენი შეგრძნების ორგანოების გარეშე რომ განიცდი. ახლა კი, ჩემო კარგო, გამოიცანი შესამე და მთავარი სიამოვნება.

— მთავარი? თამბაქოს სურნელება.

— სულაც არა. სურნელება ყნოსვის დატკობაა — და ამიტომ შეგრძნებადია.

— ვერ გამოვიცანი.

— მაშ, ყური დამიგდე. ყალიონის მოწვევით გამოწვეული მთავარი სიამოვნება კვამლის ცქერით ტკობაა. შენ ვერასოდეს დაინახავ, როგორ გამოდის ბოლი ყალიონიდან, მაგრამ ხედავ მთელ კვამლს, როცა გარკვეული დროის შემდეგ პირიდან გამოუშვებ. ჭეშმარიტად უმთავრესი სიამოვნება ესაა. არ შემხვედრია ბრმა თამბაქოს რომ ეწეოდეს. აბა, სინჯე და ჩაბნელებულ ოთახში მოწიე. ყალიონის გაღვივებას ვერ მოახწრებ, რომ მოწვევა აღარ მოგინდება.

— სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებ, მაგრამ, მაპატიე, უამრავი სიამე, რაც ჩემი გრძნობის ორგანოებს ატკობს, მირჩევნია სულიერ ტკობას.

— ორმოცი წლის წინათ მეც ასე ვფიქრობდი. თუ ჩემს ასაკს მიღწეული სიბრძნის შეთვისებას შეძლებ, შენც ჩემსავით დაიწყებ ფიქრს. ვნებათაღელვის გამომწვევი სიამენი სულის სიმშვიდეს არღვევენ და ამიტომ, ძვირფასო შეილო, ჭეშმარიტი სიამოვნების ცნებას სრულად არ მოიცავენ.

— მე კი მგონია, რომ სიამოვნება ისაა, რაც თავისთავად გსიამოვნებს.

— გეთანხმები, მაგრამ, თუ სიამოვნების მიღების შემდეგ თავს ძალას დაატან და განსჯი, დაასკვნი, რომ ამგვარი სიამოვნება სიწმინდესა და სიფაქიზეს მოკლებულია.

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ რად დავატანო თავს ძალა მხოლოდ იმისთვის, რომ მიღებული სიამოვნება დავაკნინო?

— მოვა დრო და განსჯისაგან მეტ სიამოვნებას მიიღებ, ვიდრე თვით სიამოვნებისგან.

— ძვირფასო მამავ, მეჩვენება, რომ სიყმაწვილეს ხანდაზმულობა გირჩევნია.

— თამამად თქვი — მოხუცებულობა.

— შენმა ნათქვამმა გამაოცა. იგი მაფიქრებინებს, რომ სიყმაწვილეს უბედური იყავი. ასეა განა?

— სულაც არა! მუდამ ჯანმრთელი და ბედნიერი ვიყავი, არც ვნებათაღელვის მსხვერპლად ვქცეულვარ ოდესმე, მაგრამ თანატოლებზე დაკვირვებამ ბევრი რამ შემძინა: ადამიანის გაგება ვისწავლე და ბედნიერებისკენ მიმავალ გზას დავადექი. ბედნიერი ის კი არ არის, ვისაც მეტი გართობა და სიამოვნება აქვს, არამედ ის, ვისაც სიამეთაგან უდიდესთა ამორჩევის უნარი შესწევს. უდიდესი სიამე კი, ვიმეორებ, მხოლოდ ისაა, ვნებათაღელვას გვერდს რომ აუკლის და სულიერ სიმშვიდეს მიანიჭებს ადამიანს.

— ესაა ის სიამე, შენ რომ „წმინდას“ ეძახი?

— დიახ. ამგვარი სიამოვნება დიდა, ხასხასა მდელის ხილვაა. მწვანე ფერი, ჩვენმა ღვთიურმა წინასწარმეტყველმა ქებათა-ქება რომ შეასხა, ჩემს მზერას აოცებს და ასეთ წუთებში ვგრძნობ, როგორ იძირება ნეტარ სიმშვიდეში ჩემი სული, თითქოს ყოვლის შემქმნელს ვუახლოვდები. ასეთივე სიმშვიდესა და ნეტარებას ვგრძნობ, როცა მდინარის პირას ვზივარ და წყლის დინებას ვუმზერ. მუდამ მოძრავი წყალი ჩემს მზერას არ გაურბის, განუწყვეტელი დინება არაფერს აკლებს მის მჭვირვალებას, წყალი თითქოს ცხოვრების ხატია და ის სიმშვიდეა, რომლის მოპოვება მსურს. მდინარე სიცოცხლეს ჰგავს, უხილავია მისი ბოლო სამანი და მხოლოდ მოძრაობის შეწყვეტაა მისი დასასრული.

ასე მსჯელობდა ეს თურქი. სასიამოვნო საუბარში ოთხი საათი გავატარეთ. იუსუფს ორი ცოლი ჰყავდა, მათგან ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი დარჩენოდა. უფროს ვაჟს თავისი წილი მიუღო, სალონიკში გადასულიყო საცხოვრებლად და იქ ვაჭრობით გამდიდრებულიყო. უმცროსი — სულთნის სასახლეში მსახურობდა და მის წილ ქონებას მეურვე განაგებდა. თხუთმეტი წლის ქალიშვილი, სახელად ზელმი, მთელი დანარჩენი ქონების მემკვიდრე იყო. მამამ მას საუკეთესო განათლება მისცა, რათა ბედნიერება მოეტანა იმისთვის, ვისაც ღმერთი საქმროდ გამოუგზავნიდა. ამ ქალიშვილზე სულ მალე კიდევ ვისაუბრებთ. იუსუფს ორივე ცოლი გარდაცვლიდა და ხუთი წლის წინათ ერთი ახალგაზრდა, უჩვეულოდ ლამაზი ქიოსელი ქალი შეერთო. ხანდაზმულობის გამო შვილის შეძენის იმედი აღარა ჰქონდა, — უკვე სამოცს იყო გადაცილებული. განშორებისას სიტყვა ჩამომართვა, რომ კვირაში ერთხელ მაინც ვინახულებდი.

ვახშმობისას ორივე ბალიოს ვუამბე, როგორ გავატარე დღე, და დაასკვნეს, რომ ბედმა გამიღიმა, რადგან საშუალება მომეცა სამი თვის განმავლობაში სასიამოვნოდ მეტარებინა დრო, ისინი კი, — უცხო ქვეყნის წარმომადგენლები, — მოწყენილობისგან უნდა დაზოცილიყვნენ.

სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ბატონმა დე ბონვალმა ისმაილთან წამიყვანა სადილად. აქ ჩემს მზერას აზიური ფუფუნების დიდებული სურათი გადაეშალა. მრავალრიცხოვანი სტუმრები მხოლოდ თურქულად ლაპარაკობდნენ. ძალიან მომწყინდა და მომეჩვენა, თითქოს ბატონი ბონვალიც არ იყო გუნებაზე. ეს ისმაილმა შეამჩნია და წასვლისას მთხოვა, ხშირად მივსულიყავი მასთან ვახშმად, რითაც, მისი თქმით, დიდ სიამოვნებას მივგვრიდი. პირობა მიუეცი და მართ-

ლაც ათი თორმეტი დღის შემდეგ ვესტუმრე. ამის შესახებ მოგვიანებით ვიამბობთ. ახლა კი, ძვირფასო მკითხველო, იუსუფს დაუბრუნდები. უნდა ვითხროთ, რომ მეორე ეიზიტის დროს დიდი პატივისცემით გავიმსჭვალე მისდამი და ძალიან დაუუახლოვდი.

უწინდელივით მარტონი ვისხელით, ესადილობდით და ხელოვნებას ვესაუბრობდით. სიტყვამ მოიტანა და ყურანის ერთ სურას შევეხე, რომელიც ოტომანის პორტას ქვეშევრდომთ მხატვრობისა და ზოქანდაკეების ქმნილებებით ტკობას უკრძალავს. მან მიპასუხა, რომ მუჰამედს, ვითარცა ჭეშმარიტ კანონმდებელსა და ბრძენს, სურდა მაჰმადიანთა მზერა ყოველნაირი გამოსახულებისგან განერიდებინა.

— გაიხსენე, შვილო ჩემო, ყველა ხალხი, ვისაც ჩვენმა უდიდესმა წინასწარმეტყველმა ღმერთი შეაცნობინა, კერპთაყვანისმცემელი იყო. ადამიანები სუსტნი ვართ, — გამოსახული საგნების დანახვისას სულ იოლად შევცდებით უწინდელივით.

— მე კი, ძვირფასო ძამავ, მგონია, რომ არც ერთი ერი არასოდეს არ ეთაყვანებოდა უბრალო გამოსახულებას, სათაყვანებელი მხოლოდ ღვთიური ხატება იყო.

— დაგიჯერებდი, მაგრამ ღმერთი უხორცოა და მდაბიოთა თავიდან უნდა აღმოიფხვრას აზრი, რომ ღვთაებას შეიძლება სხეული გააჩნდეს. ღვთის ხილვის იმედი მხოლოდ ქრისტიანებსა გაქვთ.

— ჭეშმარიტად ასუა, ჩვენ გვჯერა ამისა, და ვითხოვთ არ დაივიწყოთ, რომ ამ იმედს რწმენა გვაძლევს.

— ვიცო, მაგრამ ეს როდი ანელებს თქვენს კერპთაყვანისმცემლობას, რადგან, რასაც ხედავთ — მატერიაა მხოლოდ. თქვენი სიმტკიცე ამ საკითხში უზალოა; თუმცა შენ არ ამბობ, რომ რწმენა ამცირებს წარმოდგენას იმაზე, რაც ჩანს.

— ღმერთმა დამიფაროს ამგვარი სიტყვებისგან, ვინაიდან ყველაფერი პირიქითაა, ჩვენს სიმტკიცეს რწმენა აძლიერებს.

— ჩვენ, დიდება უფალს, ამგვარი ილუზიები არა გვჭირდება და ვერც ერთი ფილოსოფოსი ამ ქვეყანაზე ვერ დამიმტკიცებს მათ აუცილებლობას.

— ეს საკითხი, ძვირფასო ძამავ, ღვთისმეტყველებას უფრო ეკუთვნის, ვიდრე ფილოსოფიას. ღვთისმეტყველება კი ბევრად აღემატება ამ მეცნიერებას,

— შენ ჩვენი ღვთისმეტყველებით მსჯელობ. ისინი თქვენებისგან იმით განსხვავდებიან, რომ მეცნიერებას ჭეშმარიტების მისაჩქმალად კი არ იყენებენ, არამედ მის ასახსნელად.

— გაითვალისწინე, ძვირფასო იუსუფ, საქმე დიდ იღუმალებას ეხება.

— ღვთის არსებობა თავისთავად უდიდესი იღუმალებაა, ადამიანებმა არ უნდა გაბედონ და რამე დაუმატონ მას. ღმერთი შეიძლება ცხადლივი იყოს მხოლოდ, და სწორედ ასეთი ღმერთი გამოგვიცხადა წინასწარმეტყველმა. დამეთანხმე, მის არსობას ისევე ვერაფერს დაუმატებ, რომ სიცხადე არ დაარღვიო. ჩვენ ვამბობთ: ღმერთი ერთია და ესაა ცხადლივი ხატი. თქვენ აცხადებთ, რომ ღმერთი ერთია და ამავე დროს სამებაცაა. ეს განსაზღვრება წინააღმდეგობრივია, აბსურდული და მკრეხელური.

— ეს იღუმალებაა.

— ღმერთი თუ განსაზღვრება? მე განსაზღვრებაზე ვლაპარაკობ. იგი იღუმალი არ უნდა იყოს. გონებამ არ უნდა უარყოს იგი. საღმა აზრმა, ძვირფასო

შვილი, კადნიერად უნდა ჩათვალოს დებულება, თუ მასში ჩადებული აზრი აბსურდულია. დამძიმდები, რომ სამი ერთზე მეტი არ არის, ან თუნდაც მისი ტოლია და ახლავე გავქრისტიანდები.

— ჩემი რწმენა მავალებს — ვირწმუნო და არ ვიძინებ იუსუფ, და იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ მსჯელობის საფუძველზე შეიძლება სარწმუნოება უარყო. ჯერ უნდა დავრწმუნდე, ჩემი ძვირფასი მამა თუ ცდებოდა. მითხარი, განა შემიძლია მე, ვინც უსაზღვრო პატივსა ვცემ მის ხსოვნას, იმდენად თვითდაჯერებული ვიყო, რომ გავბედო და მსაჯულად მოვევლინო, განა ჩენი გამოვუტანო მას?

ამ გულწრფელმა შეგონებამ ღირსეული იუსუფი აღელვა, რამდენიმე წუთი ხმა არ ამოუღია და მერე მითხრა:

— შვილო ჩემო, შენსავით მოაზროვნე ადამიანი არ შეიძლება ღმერთისათვის სასურველი არ იყოს და უეჭველია, მისი რჩეული იქნება. თუკი რამეში ცდები, მხოლოდ უფალს შეუძლია სწორ გზაზე დაგაყენოს; არ შეგულება ადამიანი, ვინც შენს გრძნობას არ გაიზიარებს.

შემდეგ ათას სხვა საკითხზე მეგობრულად ვისაუბრეთ და შუალამისას, დიდი ურთიერთნდობით გამსჭვალულნი, დავშორდით ერთმანეთს.

შინ დაბრუნებისას ფიქრით ისევ ჩვენს კამათს ვუტრიალებდი. იმ დასკვნამდე მივედი, რომ ის, რაც იუსუფმა ღვთაებრივ ბუნებაზე თქვა, იქნებ მართალიც იყო. ზეარსი ყოველი არსებულისა არ შეიძლება თავისი ბუნებით არსთა შორის ყველაზე ცხადლივი არ ყოფილიყო. ცხადია, ქრისტიანული რელიგიის ხარვეზების გამო ჩემს თვალსაზრისს არ დაეთმობდი და თურქულ სარწმუნოებას არ ვადიარებდი. მაჰმადიანობას ალბათ ერთობ მართებული შეხედულება აქვს ღმერთზე, მაგრამ მართლ იმიტომაც ვერ ვენდობიოდა, რომ ეს მოძღვრება გამორჩეულმა თაღლითმა და მატყუარამ ჩამოაყალიბა. არ მჯეროდა, რომ იუსუფს ჩემი მოქცევა ჰქონდა განზრახული.

მესამე სადილის დროს ჩვენი საუბარი ისევ სარწმუნოებას შეეხო:

— დარწმუნებული ხარ, ძვირფასო მამავ, — ვკითხე, — შენი რელიგია ერთადერთია, ადამიანის ხსნა რომ შეუძლია?

— არა, ჩემო ძვირფასო შვილო, ამაში დარწმუნებული არა ვარ და არც ვინმე სულიერმა შეიძლება აცოდეს ეს. მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ქრისტიანული რელიგია მცდარია და ვერასოდეს გახდება საყოველთაო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩვენი პლანეტის ორმა მესამედმა არ იჯის, რა არის პური და ღვინო... ყურანი კი ყველგან გამოდგება.

აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა, და თვალთმაქციობა არ დამიწყია.

— თუ ღმერთი ხორციელი არაა, მაშ იგი სული უნდა იყოს? — ვკითხე.

— ჩვენ ვიცით, როგორი არ არის ღმერთი, მაგრამ არ ვიცით — როგორია იგი. ადამიანს არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ ღმერთი სულია, რადგან ღმერთი ჩვენთვის მხოლოდ აბსტრაქციაა. ღმერთი უსახელოა, — სულ ესაა, რაც გაგვეგება და არც არასოდეს გვეცოდინება ამაზე მეტი.

ამ სიტყვებმა პლატონი გამახსენა, მაგრამ იუსუფს, ეჭვი არ მეპარება, პლატონი წაკითხული არ ექნებოდა.

იმავე დღეს მითხრა, რომ ღმერთის არსებობა სარგებლის მიმცემი მხოლოდ იმათვისაა, ვისაც ეჭვი არ ეპარება მის სუფიევამი და აქედან გამომდინარე, მოკ-

ვლავთაგან ყველაზე უბედურნი ათეისტები არიან. ღმერთმა ადამიანი თავ-თავისი გვარისდა მიხედვით შექმნა, რათა სხვა არსებათა შორის ისეთი ცხოველიყო, ვინც შეძლებდა ხოტბა შეესხა მისთვის. ადამიანი რომ არ ყოფილიყო, ღმერთს თავის დიად საქმეთა მოწმე არ ეყოლებოდა. აქედან გამომდინარე უფლებამოსილი უნდა შეიგნოს თავისი უპირატესი მოვალეობა: სამართლიანობის ქმნა და დაცვა იგი და მიენდოს განგებას.

— დაუკვირდი, — დაუმატა მან. — ღმერთი აროდეს ივაწყებს იმას, ვინც გაჭირვების ჟამს მუხლმოდრევით მოწყალებას შესთხოვს, იმას კი დახალუბად იმეტებს, ვისაც ღოცვა ფუჭ საქმედ მიაჩნია

— თუმცა ბედნიერი ათეისტებიც არსებობენ.

— მართალია, და თუმცა მათ სულში სიმშვიდე სუფევს, მე მაინც მგონია, რომ სიბრაღულის ღირსნი არიან, რადგან ამქვეყნიური ცხოვრების შემდეგ აღარაფრის იმედი აქვთ და არც ისა სჯერათ, პირუტყვზე აღმატებულნი რომ არიან. მათ შორის ფილოსოფოსნიც უცალობლად უშეცრების მორევში ეფლობიან, ხოლო ვინც არაფერს ფიქრობს, იმას ხსნის იმედი არ გააჩნია. დაბოლოს ღმერთმა ისე შექმნა ადამიანი, მას არ შეუძლია ბედნიერი იყოს, თუ თავისი ღვთიურა წარმომავლობისა არა სჯერა. რა სოციალურ ფენასაც უნდა განეკუთვნებოდეს, ადამიანს აქვს მოთხოვნა — იწამოს იგი, ეს მოთხოვნაა რომ არა, ღმერთს ყოველი არსებულის შემქმნელად არ წარმოესახავდით.

— ერთი ეს გამაგებინე, რატომ არსებობს ათეიზმი მხოლოდ ცალკეული მეცნიერის მოძღვრების სახით და არა გვაქვს ერთი მაგალითი იმისა, რომ იგი მთელი ერის მსოფლმხედველობა ყოფილიყო?

იმითომ, რომ ღატაკმა მდიდარზე უკეთ იცის, რა სჭირდება. ჩვენში მრავლად მოიძებნებიან უღმერთონი, მორწმუნეებს რომ დასცინიან, მთელი იმედი მექაში მიმლოცველობაზე აქვთო. უბედურნი! მათ ღირსეული პატივი უნდა მიაგონ ძეგლებს, ღვთისმოსაობას რომ აღაგზნებენ მორწმუნეთა გულელებში, რელიგიურ მოთხოვნას აკმაყოფილებენ და გასაჭირში ძალას მატებენ. ამგვარი საღბუნის გარეშე ხალხი სასოწარკვეთაში ჩავარდებოდა.

იუსუფს სიამოვნებდა, ყურადღებით რომ ვუსმენდი, და თანდათან მეტიც მგზნებარებით მიმოდვრავდა. მეც, ჩემი მხრივ, მოხიბლული ეაყავი იუსუფით, რადგან კეთილშობილება მუდამ იზიდავს ადამიანს. უკვე დაუპატიჟებლად ვესტუმრებოდი ხოლმე და მასთან მთელი დღით ვრჩებოდი. ჩვენა ურთიერთობა სამდვილ მეგობრობაში გადაიზარდა.

ერთ დღეს ჩემს იანიჩარს ვუბრძანე, ისმეილ ეფენდისთან მივეცილებინე, რადგან შეპირებული ვიყავი, საუზმეზე ვწვეოდი. მან ძალზე გულთბილად და ღირსეულად მიმიღო. ჰაერზე გასეირნება შემომთავაზა. ფანჩატურში რომ შევედით, უცნაური ანცობა დაიწყო, რაც სრულიად არ მეჭამნიკა. ბოლოს უხეშად მოვიგერიე მისი ალერსი, წამოვხტი და გარეთ გამოვედი. მაშინ თურქმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს გარკვეულწილად შეაფასა ჩემი უკმაყოფილება და, ვიხუმრეო, ასე მითხრა. ცოტა ხნის შემდეგ გამოვემშვიდობე, თან მტკიცედ გადავწყვიტე, რომ აქ აღარასოდეს შემოვდგამდი ფეხს. მაგრამ იძულებული გავხდი ერთხელ კიდევ ვსტუმრებოდი, რაზეც მოგვიანებით ვიამბობთ.

გრაფ დე ბონვალს პირველი შეხვედრისას მოუყევი რაც შემემთხვა, მან ამიხსნა, თურმე თურქული ადათის მიხედვით ისმეილმა მეგობრული კეთილ-

განწყობა გამოხატა, რის უტყუარი საბუთი აღერსი უნდა ყოფილიყო, ამერიიდან ისმაილი არასოდეს მთავაზობდა ხოლმე ამნაირ გასართობს, რადგან დირსეული ადამიანი განლდათ და მთელ თურქეთში სილაძაზით განთქმული მონები ჰყავდა.

ჩვენი დამეგობრებდან ხუთი თუ ექვსი კვირის შემდეგ დასუფმა მკითხა, ცოლი თუ გყავსო. ვუბასუხე, უცოლი ვარ-მეთქი, და უხეხი წაუბარი ზნეობის სხუადასხვა საკითხზე გადავიტანეთ. მერე უბიწობაზე დავიწყეთ ლაპარაკი. იუსუფს მიაჩნდა, რომ უბიწობა დირსებაა, როცა თავშეკაკუების შედეგია. თუმცა, წესით, ღმერთს არ უნდა მოსწონდეს უბიწობა, რადგან ირღვევა ღვთის მიერ ადამიანისთვის მიცემული პირველი ცნებაო.

— ვერ გამიგია, — თქვა მან, — რას უნდა ნიშნავდეს უბიწობა თქვენი მალტიის ორდენის რაინდთათვის? ისინი უბიწობის აღთქმას დებენ, მაგრამ ეს სულაც არ გამორიცხავს ხორციელ სიყვარულს და მხოლოდ ქორწინების უარყოფას ნიშნავს. მათი უბიწობა, ანუ უბიწობა საერთოდ მხოლოდ ქორწინებით შეიძლება შეიღახოს; მაგრამ, როგორც ვიცი, თქვენი სარწმუნოებით ქორწინება ერთ-ერთი იდეალურებაა. აქედან გამომდინარე, ეს ვაჟბატონები მხოლოდ იმას გვპირდებიან, რომ ხორციელ შეცოდებას არ ჩაიდენენ იმ ვითარებაში, რომელიც ღმერთის მიერ ნებადართული და დაკანონებულია; ამავე დროს მრავალგზის შეუძლიათ სცოდონ უკანონოდ, ქორწინების გარეშე, ეს უზნეობა იქამდე მიდის, რომ უფლება აქვთ თავისად სცნონ ბავშვები კანონის ორმაგი დარღვევის შედეგად რომ ჩნდებიან. კიდევ უფრო ის ძალშფოთებს, რომ ამ უცოდველ ბავშვებს ისინი „ცოდვის შვილებს“ და „ბუნებრივებს“ ეძახიან, თითქოს ლოცვა-კურთხევით ნებადართული კავშირის შედეგად შობილნი „არაბუნებრივები“ იყვნენ. და ბოლოს, ჩემო ძვირფასო შვილო, უბიწობის აღთქმა არც ღმერთს, არც საზოგადოებას და არც ფიცის დამდებს არაფერს არგებს. ხოლო, რაც ყველაფერს ეწინააღმდეგება, უსათუოდ დანაშაულია.

ამის შემდეგ კვლავ მკითხა, ცოლი მყავდა თუ არა. უწინდელ პასუხს ის დაუმატე, იმედი მაქვს, არასოდეს დავიდგამ ამ უღელს-მეთქი.

— ეგ როგორ? — გაკვირვებით წამოიძახა, — ნუ მაფიქრებინებ, რომ რაღაც ფიზიკური ნაკლი მაქვს, ან გადაგიწყვეტია მარადიულად შეჩვენებული იქნე, თუ, რა თქმა უნდა, მართლა ქრისტიანი ხარ და თავი მორწმუნე ადამიანად არ მოგაქვს.

— არავითარი მაგნაირი ნაკლი არა მაქვს და ნამდვილი ქრისტიანიც ვარ. მეტსაც გეტყვი: ვეთაყვანები მშვენიერ სქესს და არავითარი სურვილი არა მაქვს უარი ვთქვა სიყვარულზე — ჩემთვის უნეტარეს სიამოვნებაზე.

— შენი რწმენიდან გამომდინარე, სამუდამოდ შეჩვენებული იქნები.

— დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება, რადგან ჩვენ ვინანიებთ ხოლმე ჩვენს ცოდვებს. ქრისტიანი მღვდლები ვალდებულნი არიან მოგვიტევეონ.

— ვიცი, მაგრამ დამეთანხმე: სიბრიყვეა იფიქრო, ვათომ ღმერთი გაბატონებს შეცოდებას, რომელიც შეიძლება არც ჩაგედინა, დარწმუნებული თუ არ იქნები, რომ მღვდელი, ვინც შენსავით ადამიანია, აღსარებისას შევიწინდობს. ღმერთი მხოლოდ შეისმენს მონანიებას.

— უეჭველია, აღსარება მონანიებას გულისხმობს. თუ ცოდვებს არ მოინანიებ, მიტევენ დაღა არა აქვს.

— თქვენთან მასტურბაციაც ცოდვად ითვლება?

— უფრო დიდ ცოდვად, ვიდრე უკანონო კავშირია.

— ვიცი და ეს მაოცებს ყველაზე მეტად. სულელია კანონდებელი, ვინც ისეთ კანონს გამოსცემს, რომლის შესრულება შეუძლებელია. ჯანმრთელი მაქაცო, ქალი თუ არა ჰყავს, უთუოდ ეწევა მასტურბაციას, რადგან შბრძანებელი ბუნება ამის აუცილებლობას უქმნის; ის კი, ვინც ნებისყოფას ძალას დაატახტა და სულის წარწყმედის შიშით თავს შეიკავებს, შეიძლება დაავადდეს და დაიღუპოს დილის პირასაც მივიდეს.

— ჩვენთან საპირისპირო დამოკიდებულებაა. ითვლება, რომ ყმაწვილი, ვინც ამ საქმით ერთობა, კარგავს მამაკაცობას და სიცოცხლეს იმოკლებს. ბევრ თემში ახალგაზრდებს ფხიზლად ადევნებენ თეატრებს, რომ თავიანთ თავს არ ავნონ.

— თქვენი ზედამხედველები ბრიყვები და უვიცები არიან; ვინც მათ ფულს უხდის, ისინი ორმაგად ბრიყვებია, რადგან თვით აკრძალვა აღძრავს ბუნების საწინააღმდეგო ტირანული კანონის დარღვევის სურვილს.

— მე მაინც მგონია, გადაჭარბებული ონანიზმა ადამიანს ძალას აცლის, ტვინს უხშობს და ჯანმრთელობას უფუჭებს.

— გეთანხმებით, რადგან ყოველივე გადაჭარბებული მავნეა და დამღუპველი. მაგრამ ამ შემთხვევაში გადაჭარბებას აკრძალვა იწვევს. ასე რომ, თქვენ თითქოს განზრახ უბიძგებთ კაცს დანაშაულისკენ: ადამიანი აკრძალულს ესწრაფვის. თუ ამ საქმისთვის გოგონებს არ სდევნიან, ვერ გამაგია, ბიჭებმა რაღა დაამავეს?

— გოგონებისთვის მასტურბაცია ნაკლებ საშიშია, რადგან ისინი მცირე რაოდენობით კარგავენ ნივთიერებას, რომელიც სხვა ორგანოში წარმოიქმნება, სიცოცხლის თესლი კი მამაკაცის ორგანიზმშია.

— ეგ აღარ ვიცი. ჩვენი ექიმები ამტკიცებენ, რომ გოგონების სიფერმკრთალე მასტურბაციის ბრალია.

ამ საუბრისა და სხვა ათასგვარი კამათის შემდეგ იუსუფ აღიმ გონიერად ადამიანად ჩამოვალა, თუმცა ჩვენი თეატრისაზრისი ხშირად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ერთხელაც გასაოცარი რამ შემომთავაზა:

— ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი მყავს, — მითხრა ისევ, — ვაჟების დარდი აღარა მაქვს, რადგან უკვე გამომყვანენ და დაბინავდნენ. ქალიშვილს თუ ვიტყვი, ჩემი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი, რაც მამადია, მას დარჩება, უნდა ვითხრა, ახლაც, ხანამ ცოცხალი ვარ, შემწევს უნარი იმ კაცის გაბედნიერებისა, ვინც მას ცოლად შეირთავს. ხუთი წლის წინათ ახალგაზრდა ქალი მოვიყვანე, ჩემგან შეილი არ ეყოლა და დარწმუნებული ვარ, არც ეყოლება, რადგან უკვე დავბერდი. ჩემს ქალიშვილს ზელში ჰქვია, თხუთმეტი წლისაა და ძალიან ლამაზია. თაფლისფერი თვალები და წაბლისფერი თმა აქვს. საცოდავი დედამისივით, ძალიან ტანისაა, კარგი აღნაგობა აქვს და მოსიყვარულე ბუნება. განათლება ისეთი მივეცი, სულთნის ცოლობის ღირსია. იცის ბერძნული და იტალიური, მღერის, არფაზე უკრავს, ხატავს, ქარგავს და მუდამ მხიარულ გუნებაზეა. ამ ქვეყანაზე კაცი ვერ დაიტრახება, მისი სახე მანახავსო, ძალიან ვუყვარვარ და ყველაფერში მენდობა. ეს გოგონა ნამდვილი განძია და ამ განძს შენ ჩაგაბარებ, თუ დამთანხმდები და ერთი წლით ადრიანოპოლს გაემგზავრები, ერთ ჩემს ნათესავთან, რათა ჩვენი ენა, სარწმუნოება და ადათები შეგასწავლოს. ერთი წლის შემდეგ დაბრუნდები და, როგორც კი მაჰმადიანობას მიიღებ, ჩემს ქალიშვილს შეგერთავ ცოლად. გექნება გაწყობილი სახლი, გეყოლება მორჩილი მონები და მიიღებ უზრუნველი ცხოვრებისათვის საკმარის რენტას. აი, ესაა, რაც უნდა

მეთქვა. ნურც დღეს, ნურც ხვალ, ან რომელიმე დათქმულ ვადაში ნუ მიპასუხებ, პასუხს მაშინ შემატყობინებ, როცა კეთილი სული ნებას დაკრთავს — ეს საჩუქარი მიიღო ჩემგან. გირჩევ, არ იფიქრო ამ წინადადებაზე, რადგან შენს სულში უკვე ჩავდე თესლი და ამიერიდან ვეღარ გაექცევი შენს ბედს, ვეღარც საკუთარი თავის უფალი იქნები. ნუ აჩქარდები, ნურც დააყენებ ნუ წახარ, და აღასრულებ ღვთის ნებას, ბედი შეუცდომელ განაჩენს გამოგიტანს. გიყურებ და ვფიქრობ, რომ სრული ბედნიერებისთვის მხოლოდ ზელში ვაკლია. და იმასაც გიწინასწარმეტყველებ, რომ ოტომანთა იმპერიის ერთ-ერთი ბურჯი გახდები.

სიტყვა დაამთავრა თუ არა, გულში ჩამიკრა და, რომ არაფერი შეპასუხა, წამსვე გამშორდა.

შინისკენ მიმავალს უამრავა ფიქრი მიტრიალებდა თავში. ვერც კი შევნიშნე, როგორ გამოვიარე გზა. ორივე ბალიომ მოწყენილობა შემამჩნია და მიზეზი მკითხეს. მაგრამ თავი შევიკავე და არაფერი მითქვამს, რადგან ვფიქრობდი, რომ იუსუფის სიტყვები, რაც განგებაზე თქვა, ჭეშმარიტი იყო. საქმე ისე მნიშვნელოვანი მეჩვენა, რომ გადაწყვიტე არავისთვის გამემხილა და თავადაც არ მეფიქრა ამ ამბავზე, ხანამ ჩემი სული სავსებით არ დამშვიდდებოდა. საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ უნდა გამომეტანა, თუ დავრწმუნდებოდი ჩემს სულიერ წინასწრობაში. მანამდე მთელ ჩემს გრძნობებს უნდა ეყუჩა. სრული უმოქმედობის შედეგად ყველაფერი სიმშვილეს უნდა გაეწინასწორებინა — სიფხიზლე და ცრურწმენა, საყვარული და პირადი ინტერესები.

მეორე დღით, როგორც კი გავიღვიძე, გუწინდელი საუბარი გამახსენდა. იმავე დასკვნამდე მივედი, ზედმეტი ფიქრი ხელს შემიძლიდა და გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდი. ყველაფერი ბუნდოვნად და უფიქრებლად უნდა მომხდარიყო ამ შემთხვევას კარგად მიესადაგებოდა სტოიკოსის სიტყვები: *sequere Deam!*

იუსუფი ოთხი დღე არ მინახავს. მეზუსტე დღეს რომ ვესტუმრე, მხიარულად ვისაუბრეთ და ერთხელაც არ შევხებივართ მტკივნეულ საკითხს, თუმცა შეუძლებელი იყო ამაზე არ გვეფიქრა. ორი კვირის განმავლობაში თითქმის ყოველდღე ეხუდებოდით ერთმანეთს, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დაგვცდენია იმაზე, რაც ორივეს ყველაფერზე მეტად გვაინტერესებდა. რაკი ჩვენი ღუმელი თვალთმაქცობისა ან გულწათხრობილობის შედეგი კი არა, პატივისცემისა და მეგობრობის გამომხატველი იყო, ერთ დღეს იუსუფმა მათხრა:

— ისეთი წიაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჩემი წინადადება ვიღაც ბრძენ ადამიანს გაუმხილე და მისგან გონიერულ რჩევას ელოდები.

ეჭვი გავუქარწყლე და ვუთხარი, რომ ჩვენი საქმე ძალიან სათუთო რამ იყო და სხვისი რჩევა არ გამომადგებოდა. მთლიანად ღმერთს მივეხდე და რადგან სრული რწმენა მაქვს მისი, მჯერა, რომ სწორ არჩევანს გავაკეთებ: ან შენი ვაჟიშვილი გავხდები, ან იგივე დაურჩები, რაცა ვარ-მეთქი. ჯერჯერობით, დილას და საღამოს, ფიქრები არ მასვენებენ, მაგრამ როგორც კი გადაწყვეტილებას მივიღებ, მხოლოდ შენ შეგატყობინებ და ვიცი, მამობრივ ზრუნვასა და დამოძღვრას არ მომაკლებ-ბეიქი.

ამ სიტყვების გაგონებაზე ღირსეულმა იუსუფმა ცრემლი ღვარა, მარცხენა

1 შენდღე ღმერთს! (ლათ).

ხელა თავზე დამადო, მარჯვენა ხალოკი და შუა თითი შებლზე შემახო და წარმოთქვა:

— ასე განაგრძე, ძვირფასო ჩემო შვილო, და დარწმუნებული იყავი არა-
სოდეს შეცდები.



— ხომ შეიძლება, ზელმის არ მოვეწონო?

— ეგ ნუ გაწუხებს. ჩემს გოგონას უყვარხარ. უკვე გნახა; ჩემი ცოლი, ქა-
ლიშვილი და მისი ვაღია ყოველთვის გვიყურებენ სადილობას დროს და ხაამოვ-
ნებით ისმენენ ჩვენს საუბარს.

— იცის, რომ საქმროდ ვინდივარ?

— იცის, რომ მიხდა სარწმუნოება გამოიცვალა, რათა მერე შენი ბედი მი-
სას დაუკავშირო.

— მიხარული ვარ, რომ თქვენში ნებადართული არ არის ქალის ნახვა,
თორემ მისი სილამაზე დამაბრძალებდა და ყველა სხვა მოსაზრებას სიყვარული
გადასწონიდა, მეც ვეღარ შევძლებდი დამშვიდებული სულით გამოძეტანა გა-
დაწყვეტილება.

ჩემგან ასეთ პასუხს რომ ისმენდა, იუსუფის სიხარულს საზღვარი არ
ჰქონდა.

არ ვთვალთმაქცობდი და გულახდილად ვამბობდი სათქმელს. იმის გაფი-
ქრებაც კი, რომ შეიძლება ზელმი მენახა, უკიდურეს მღელვარებას მგვრიდა.
მტკიცედ ვიცოდი, თუ შემიყვარებოდა, უყოყმანოდ გაემძაძმადიანდებოდა. ახ-
ლა კი, რადგან გულგრილი ვიყავ მისდამი, არასოდეს გადავდგამდი ასეთ ნა-
ბიჯს. რწმენის შეცვლა, ცხადია, სასახელო საქმედ არ მიმაჩნდა; ვიცოდი, გა-
მაძმადიანება უსიამო დაღს დაასვამდა ჩემს აწმყოსა და მოძაველს. სიმდიდრის
მოხვეჭა ყველგან, ევროპის ნებისმიერ წერტილში შემეძლო, თუ იღბალი არ
მიმატოვებდა. სამარცხვინო ღალატი დამაშორებდა იმ ადამიანებს, ვისი პა-
ტივისცემა ჩემთვის ძვირფასი იყო. არ შემეძლო უარი მეუქვა ერთ მშვენიერ
ოცნებაზე: გამორჩეული პიროვნება ვყოფილიყავი განათლებულ და კეთილშო-
ბილ საზოგადოებაში. ჩემთვის აუტანელი იყო აზრი, რომ ჩემი თანატოლები
მოიმკიდნენ იმ სახელსა და დიდებას, ჩემთვის რომ იყო განკუთვნილი. მაშინ
მეგონა და ახლაც მგონია ჩაღმას მხოლოდ იმედგაცრუებული ქრისტიანი მოიხვევს
თავზე. მე კი, მოგეხსენებათ, საბედნიეროდ, ამნაირთა რიცხვს არ ვეკუთვნიდი.
ყველაზე მეტად ჩემს წინააღმდეგობას ადრიანოპოლში ერთი წლით წასვლის
პერსპექტივა იწვევდა. სულაც არ მსურდა მესწავლა ეს ბარბაროსული ენა, რომელ-
იც არ მომწონდა და ამიტომ კარგად ვერც შევისწავლე. ამის გამო უარს ვერ ვიტყ-
ოდი პატივმოყვარულ სურვილზე — მჭევრმეტყველი კაცის სახელი მომეხვეჭა,
მით უმეტეს, რომ ამგვარი ნიჭი უკვე გამოვამჟღავნე. გარდა ამისა, ზოგჯერ
ამასაც ვფიქრობდა, იქნებ ზელმი, მამამისს ქვეყნიერების მერვე საოცრებად
რომ მიაჩნია, სულაც არ მომეწონოს-მეთქი. ეს საკმარისი იქნებოდა მოვლი სი-
ცოცხლე უბედური ვყოფილიყავი, იუსუფი ოც წელიწადს ალბათ კიდევ იცოცხ-
ლებდა. პატივს ვცემდი, მაღლიერად ვექცეოდი და სულაც არ მინდოდა ამ კე-
თილი მოხუცის ნაადრევი სიკვდილის მიზეზი გავმზადარიყავი. მოხუცი ვერ გა-
დაიტანდა, რომ მის ქალიშვილს ჩემგან სათანადო ყურადღება და სიყვარული არ
ჰქონოდა. ასეთი ფიქრები მიტრიალებდა თავში, იუსუფი კი ვერ ხვდებოდა ამას
და, უბრალოდ, აზრიც არ ჰქონდა, მისთვის ყველაფერი გაჟენდი.

რამდენიმე დღის შემდეგ სადილად ვაყავი ოსმან ფაშასთან და იქ ისმიალ

ეფენდი დამხედა. ერთობ მეგობრულად მომესალმა, მეც თავაზიანობა გამოვიჩინე და საყვედურის პასუხად შევპირდი, აუცილებლად გესტუმრებით მეთქი. ამჯერად ჭკუა ვიხმარე და თან ბატონი დე ბონვალი წავიყვანე სადილის შემდეგ ჩვენ პატივსაცემად მშვენიერი წარმოდგენა გაიმართა: ორივე სქესის ნაპოლეულმა მონებმა ჯერ პანტომიმა გაითამაშეს, მერე კი კალაბრიული ცეკვით დაგვატამბეს. ბატონმა დე ბონვალმა ვენეციური ცეკვა ფორლანა გაიხსენა. ისმაილი ძალიან დაინტერესდა და ბევრი რამ გამოძკითხა ამ უცხო ცეკვის შესახებ. ბილოს ვუთხარი, ცეკვის სიტყვით აღწერა შეუძლებელია, ამას ერთი ვენეციელი მოცეკვავე ქალი სჭირდება და ერთიც ეიოლინოზე დამკვრელი, ვინც მელოდია იცის მეთქი. ვთქვი ეს, ავიღე ეიოლინი და საცეკვაო დაუუკარი. ქალიც რომ გვემოკვია, ცეკვა მაინც არ გამოვიდოდა, რადგან ცეკვასა და ეიოლინოზე დაკვრას ერთდროულად ვერ შევძლებდი.

ისმაილი წამოდგა. ერთ-ერთი საჭურისი გვერდზე გაიხმო, რაღაც უთხრა და სილაც გაუშვა. ცოტა ხნის შემდეგ საჭურისი შემობრუნდა და ისმაილს რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ეფენდიმ მიუთხრა, მოცეკვავე ქალი მოფვანილიაო. მეც კუბასუზე, რომ ეიოლინოზე დამკვრელს ვიშოვნოდი, თუ ვენეციურ სასახლეში წერილს გავგზავნიდი შაკრიკის ხელით. ყველაფერი სწრაფად გაკეთდა. მე ბარათი დავწერე, ისმაილმა ჩემი ბარათი გავგზავნა და ერთ საათში ბალიი დაინახ მსახური გამოგვეცხადა ეიოლინოთი. მუსაკოსი მოემზადა თუ არა, კარი გაიღო და დარბაზში შემოვიდა მოხდენილი, ტანადა ქალი. სახეს შავი ხავერდის ნიღაბი უფარავდა; ამგვარ ნიღაბებს ვენეციაში მორეტას ეძახიან, ნიღბოსნის გამოჩენამ გააოკრა და აღაფრთოვანა სტუმრები: მშვენიერი შესახელი ქალი ვახლდათ: ნიღაბს ქვემოთ უნატიფესი ნიკაპი და ყელი მოუჩანდა; ჩამოქნილი წელი — უწერილესი, სხეულის აღნაგობა ვნებათააღმძვრელი ჰქონდა და მოძრაობა — მოხდენილი. ფერია საწყის მდგომარეობაში დადგა, მეც ჩემი ადგილი დავიკავე და ზედიზედ ექვსი ფორლანა შევასრულეთ.

გული ამოვარდნაზე მქონდა და ობშივარი ამდიოდა, რადგან ფორლანაზე სწრაფი და მგზნებარე ხალხური ცეკვა არ არსებობს. ქალს კი დაღლილობის ნიშანწყალი არ დასტყობია. თითქოს შეჯიბრში მიწვევდა. ამ ცეკვის ყველაზე დიდა ხირთულე ტრიალია, იგი ტრიალებდა კი არა თითქოს ფრენდა. გაოცებული ვიყავი, რადგან არ მახსოვს, ვინმეს უკეთ ეცეკვოს ფორლანა, თვით ვენეციაშიც კი. რამდენიმე წუთი შევისვენეთ. დარცხვენილი მივუახლოვდი და ვუთხარი: „Ancora sei, e poi basta, se non volete vedermi a morire“¹ ქალი უთუოდ მიპასუხებდა, რომ შეძლებოდა, მაგრამ ისეთი საშინელი ნიღაბი ეკეთა, სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, სხეულისთვის შეუმჩნევლად ხელიდა მომიჭირა ხელზე და სიტყვებზე უკეთ გამაგებინა ყოველივე. კიდევ ექვსიც ვიძევებო, მერე კი საჭურისმა კარი გააღო და მშვენიერი ქალი გაქრა.

ისმაილმა ათასი მადლობა გადამიხადა, პირიქით კი უნდა ყოფილიყო, რადგან ეს იყო პირველი დიდი სიამოვნება, რაც კონსტანტინოპოლში მივიღე. ვკითხე მასპინძელს, ეს ქალი ვენეციელი ხომ არ არის-მეთქი, მაგრამ არაფერი მიპასუხა და მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა. საღამო ხანს დავშორდით ერთმანეთს.

¹ კიდევ ექვსი და კმარა, თუ არ გინდათ მკვდარი მხილოთ (იტალი).

— ამ კეთილშობილმა ადამიანმა — თქვა ბატონმა დე ბონვალმა, როცა სასახლიდან გამოვედით — ხელგაშლილობისა და სტუმართმოყვარეობის ყველა ზღვარს გადააჭარბა. დარწმუნებული ვარ, ახლა უკვე ნახობს, რომ თავის უღამაზეს მონას თქვენთან ცეკვის ნება დართო! ეს საქციელი, ამ ქვეყნის ჩვეულებათა მიხედვით, მის დიდებას ამცირებს, რადგან წარმოუღგენელია, რომ მონას გოგონას სამრახი გრძნობა არ გასჩენოდა თქვენ მიმართ. გირჩევთ, გაფრთხილდეთ და თავდაცვის ზომები მიიღოთ. ახლა ეს ქალი ეცდება სასაყვარულო ხლართებში გაგხვიოთ. თავი მოარიდეთ, რადგან ამ ქვეყანაში ინტრიგები მეტად საშიში რამბაა.

სიტყვა მივეცი, რომ ერთ მცდარ ნაბიჯსაც არ გადავდგამდი, მაგრამ დაპირება ვერ შეუასრულე.

სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ერთი ბებრუხანა მონა-ქალი შემხვდა ქუჩაში და თამბაქოს ქისა შემომთავაზა. ქისა ოქროს სარმებით იყო გაწყობილი, დედაბერი კი სულ ერთ პიასტრად აფასებდა. ხელში რომ ჩამიღო, ვიგრძენი, შიგწერილი იყო. ისიც შევამჩნიე, ქალი ჩემ უკან მყოფ იახინარს ემალებოდა. მივეცი პიასტრი და გამშორდა. მე კი იუსუფის სახლისკენ განვაგრძე გზა. კეთილი თურქი შინ არ დამხვდა და სასეირნოდ ბაღში გავედი. მინდოდა მყუდრო ადგილი მეპოვა და წერილი წამეკითხა. დაბეჭდილი იყო და უმისამართო, დედაბერს შეიძლება ვინმეში შევშლოდი და ამან უფრო დამაინტერესა. ლუქი ავხსენი და წავიკითხე. სრულიად გამართული იტალიურით იყო დაწერილი.

„თუ გაგიჩნდათ სურვილი ნახოთ ქალი, ვინც თქვენთან ფორლანას ცეკვავდა, საღამო ხანს გაისეირნეთ ბაღში, წყალსაცავს უკან, და მებაღის მსახურ მოხუც ქალს ღიმონათი სთხოვეთ. მასთან შეხვედრა უსაფრთხოა თქვენთვის. თუნდაც შემთხვევით ისმაილს გადაეყაროთ. ეს ქალი ვენეციელია. გთხოვთ არავის უამბოთ ამ მოპატიჟების ამბავი. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს“.

— არც ასეთი სულელი ვარ, ძვირფასო თანამემამულევ! — წამოვიძახე, თითქოს იგი ჩემ გვერდით ყოფილიყო და მისმენდა.

წერილი ჯიბეში ჩავიდე. ამ დროს ბუჩქებიდან სათნო მოხუცი ქალი გამოვიდა, სახელით მომძართა და მკითხა, რამე ხომ არ გნებავოთ. სიცილით ვუბასუხე, რომ საკუთარ თავს ველაპარაკებოდი და არ მეგონა, თუ ვინმე მხედავდა. იგი დაუფარავად გამომიტყდა, რომ ძალიან ესიამოვნა ჩემთან გამოლაპარაკება, რომ წარმოშობით რომელი იყო და ზელების გადაა. გოგონას თურმე მან შეასწავლა სიმღერა. კარგი ხასიათი აქვსო, მითხრა და დასძინა, რომ უეჭველად შევიყვარებდი პირველივე დანახვაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ეს აკრძალულიაო. ზეღში ახლაც გვხედავს, — წამჩურჩულა, იმ მწვანე დარაბის უკან დგას და გვიყურებს; ყველას შეგვიყვარდით იმ წუთიდან, რაც იუსუფმა გამოგვიცხადა, რომ შეიძლება ზელმი ცოლად შეირთოთ.

— შემიძლია ვუამბო იუსუფს, რაც მითხარიო?

— არა, — მიპასუხა ქალმა.

ამ პასუხმა მაფიქრებინა, თუ ძალიან დავიჟინებდი თავის მომხიბვლელ აღზრდილს მაჩვენებდა და შეიძლება სწორედ ამ განზრახვით გაძიბა საუბარი. მაგრამ სულაც არ მინდოდა ჩემი საქციელის ოდნავ მაინც გამენაწყენებანა ძვირფასი მასპინძელი. ესეც რომ არა, უფრო იმ ლაბირინთში შესვლა მაშინებდა, სადაც ჩაღმის აჩრდილი კიაფობდა.

ოუსუფიც შემოგვესწრო. შევატყვე, არ სწყენია, გადიასთან მოსაუბრე რომ დამინახა, პირაქით, გულთადად მომიკითხა და მითხრა, თანამემამულესთან გამოლაპარაკება გესიამოვნებოდაო. შერე იომილოცა: ისმაილის პარანხის ერთ-ერთ ულაძაზეს ქალთან გიცეკვიაო.

— ნუთუ ამგვარი რამ ისე იშვიათად ხდება, რომ ყველა ~~ფრთხილად~~?

— დიახ, რადგან ჩვენში ცრურწმენაა გამუფებული: შურის ~~წმენა~~ ~~წმენა~~ ~~წმენა~~ დაანახო შენი განძი; თუმცა საკუთარ სახლში ყველას აქვს თავის ნებაზე მოქცევის უფლება. ისმაილი ფრად თავაზიანი და ჭკვიანი კაცია.

— იცნობს ვინმე იმ ქალს, მე რომ ვცეკვე?

— ოჰ, არა მგონია! ჯერ ერთი, მას ხომ ნიღაბი ეკეთა და მეორეც, ცნობილია, რომ ისმაილს ექვსი თუ შვიდი ულაძაზესი ქალი ჰყავს.

ის დღე მხიარულად გავატარეთ და შემდეგ იანიჩარს ისმაილთან მივაყვანი-ნე თავი. მსახურები მცნობდნენ და გამატარეს. პირდაპირ წერილში მინიშნებული ადგილისკენ გავემართე. საჭურისმა დამინახა და მომახსენა, ბატონი გასულა შანიდან, მაგრამ უთუოდ ძალიან ესიამოვნება, როცა შეიტყობს, რომ ზღში სეირნობთო. ვუპასუხე, ღიმონათის დალევა მინდა-მეთქი. ჯიხურთან მიმაცილა, სადაც ჩვენი ნაცნობი მოხუცი ქალი დავანახე, საამო სასმელი მომაწოდა და ფულს გადახდა არ დამანება. ერთად გავუყევით წყალსატევის ნაპირს. უცრად ჩვენგან მომავალი სამი ქალი დაინახა და მითხრა, უნდა დავბრუნდეთო. და დამატა: ხედავთ, აქეთ ქალები მოდიან და თავაზიანობა მოითხოვს, გზიდან გავეცალდეთო. მცირე ხნის შემდეგ საჭურისს ძაღლობა გადაუხადე პატივისცემისთვის, ვახოვე მოკითხვა გადაეცა ისმაილისთვის და, გასეირნებით კმაყოფილი, შინ დავბრუნდი. იმედი მქონდა, მეორედ ჩემი სეირნობა უფრო იღბლიანი იქნებოდა.

დილით ისმაილის ბარათი მივაღე. მეორე დღეს, საღამოხანს, სათქუბაოდ ჰუბატიყებოდა. მწერდა, მთელი დამე მოვარის შუქზე ვითევზავებთო. მეგონა — სურვლი აღისრულდა! ჩავთვალე, რომ თვით ისმაილი მიწვობდა ხელს ჩემს მშვენიერ თანამემამულესთან მზხვედრაში. სულაც არ ვწუხდი, რომ ისმაილი შეიძლება მესამე ყოფილიყო. კავალერ უნისეს ნებართვა ვთხოვე, დამეს სხვაგან გავათევ-მეთქი, რაზეც დიდი გაჭირვებით დავითანხმე. ეშინოდა, ჩემი თავქარიანობით რაიმე ხიფათს გადავეყრებოდი. აღბათ მიმიხედებათ, რომ მთელი მჭკვრძმეტყველება მოვიკრიბე, რათა დამერწმუნებინა, ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი, მაგრამ ყველაფერი ბოლომდე არ გამიმხელია, ვინაიდან ამჯერად გულახდილობა საჭიროდ არ ჩავთვალე.

დანიშნულ დროზე ადგილზე ვიყავი. ისმაილი ერთობ მეგობრულად შემხვდა. ნავში რომ ჩაესხედით, ჩემდა გასაკვირად, მარტონი დაურჩით. ორი მენახე და მესაჭე გვახლდა. დავიჭირეთ რამდენიმე თევზი და მივაშურეთ ჯიხურს, სადაც თევზი შეგვიწვეს, დიდებული მოვარიანა დამე იდგა. ასეთ სილაძაზეს თუ საკუთარი თვალთ არ ნახავ, იცნებაშიც ვერ წარმოიდგენ. ისმაილთან მარტო დარჩენილი თავს უსიამოდ ვგრძნობდი, რადგან მისი არაბუნებრივი მადრეკალება მშვენიურად მახსოვდა. ბატონი დე ბონევალის შეგონების მიუხედავად, მუშანოდა, რომ თურქს კვლავ არ დაუწყო მეგობრული გრძნობების გამჟღავნება, სიმშვიდე დავკარგე და დავიძაბე. შერე კი აი, რა მოხდა:

— ნელ-ნელა გავუყევთ ნაპირს, — მითხრა ისმაილმა, — რაღაც ხმაური შემომესმა და გული მიგრძნობს, კარგად გავერთობით.

ვინც გვახლდა, ყველა შინ გავგზავნა. მკლავში გამომდო ხელი და მითხრა:

— წავიდეთ. ახლა ერთ ფანჩატურში შევალთ. ბედზე, გასაღები თანა მაქვს, მაგრამ სიყრთხილეა საჭირო: ხმაური და ხმის ამოდება არ შეიძლება. ფანჩატურს ერთი სარკმელი აქვს და ეს სარკმელი წყალსაცავს გადაჭყურებს. დაწმუნებული ვარ, ჩემი ჰარამხანის ორი-სამი ქალი ახლა საბანაოდ მოემართება და მშვენიერი წარმოდგენის მოწმენი გავხდებით. ეჭვიც არა აქვს, რომ დაინახავთ, იციან, ჩემ გარდა აქ არავის აქვს შესვლის უფლება.

შევედით ფანჩატურში. მოვარის მოკიაფე შუქი წყალს ანათებდა და სამი ულამაზესი ფერია დავინახეთ. ქალები ხან დაცურავდნენ, ხან მარმარილოს კიბეზე სხდებოდნენ, ხან კი ფეხზე მდგომნი ატკობდნენ ჩვენს მზერას. ყოველი მათი მოძრაობა, ყოველი მდგომარეობა ქალის სხეულის მთელ ხორციელ სილამაზესა და მომხიბვლელობას გვაშლიდა თვალწინ. მკითხველო, უნდა აგარიდოთ ამ სურათის დაწვრილებით აღწერას, მაგრამ ბუნებამ მგზნებარე გულითა და მგრძნობიარობით თუ დაგაჯილდოვათ, უთუოდ მიხვდებით, ამ განუმეორებელი და მომაჯადოებელი წარმოდგენის საოცარმა ძალამ რა დღემიც ჩააგდო ჩემი უბედური სხეული.

უჩვეულო სპექტაკლში ჩემი მონაწილეობის შემდეგ რამდენიმე დღემ განვლო, როცა დილაადრიან იუსუფს ვესტუმრე. წვიმდა და ბაღში სეირნობის ნაცვლად ოთახში შევედი. აქ არავინ მეგულებოდა, მაგრამ შევედი თუ არა, მშვენიერი ტანადი ქალი წამოდგა ფეხზე და სქელი ჩადრი ჩამოიფარა. ჩადრი ფეხის ტერფამდე სწვდებოდა. ფანჯარასთან მონა ქალი იჯდა და რაღაცას ქარგავდა. ბოღში მოვიხადე და ასე დავიჭირე თავი, თითქოს წასვლა დავაპირე. ქალმა შემანერა, ტკბილი ხმით მითხრა, იუსუფი საქმეზე წავიდა და მე დამავალაო თქვენი დახვედრა. მთხოვა დაემჯდარიყავი და მდიდრულად ნაქარგ ბალიშზე მიმითითა. იმ ბალიშქვეშ კიდევ ორი ბალიში იდო. მორჩილად დავეკეცი, თვითონაც ჩემ პირდაპირ, ასეთივე ბალიშებზე ფეხმორთხმით მოიკალათა. მეგონა, ზელმის ვხედავდი. აღბათ იუსუფმა მოისურვა ეჩვენებინა ჩემთვის, რომ ისმადილზე ნაკლებად გულადი არ არის-მეთქი, ვიფიქრე. საქმის ამგვარმა შემოტრიალებამ სახტად დამტოვა, რადგან ეს საქციელი იუსუფის ნათქვამს ეწინააღმდეგებოდა, უკვე ჩემი თანხმობაც ნებაყოფლობითი აღარ იქნებოდა, რადგან ამ ხერხით თავის ქალიშვილს შემაყვარებდა. ასე იყო თუ ისე, დახვეწულა მაინც ვიყავი, რადგან ქალის სახეს ვერ ვხედავდი.

— მგონი, ვერა ხვდება, ვინა ვარ, — მითხრა მშვენიერმა ქალბატონმა.

— მართალი ბრძანდებით, ვერ გამოვიცანი.

— უკვე ხუთი წელიწადია, შენი მეგობრის ცოლი ვარ, წარმოშობით ქოსელი. ცამეტი წლისა ვიყავი, როცა შემირთო.

ძალიან გავოცდი, ნუთუ ჩემი ძაძმადიანი ფილოსოფოსი იმდენად გათავისუფლდა ცრურწმენისაგან, რომ ცოლს ჩემთან დალაპარაკების უფლება მისცა? უკეთ ვიგრძენი თავი და წარმოვიდგინე, რომ ამ შეხვედრას შეიძლება საინტერესო გავრძელება მოჰყოლოდა. ამისთვის საჭირო იყო ქალის სახე დამენახა. მშვენიერი სხეული, თუკი თავს ვერა ხედავ, მხოლოდ უხამს სურვილებს ბადებს. ვნებათა ცეცხლი თივაში ჩავდებულე ნაპერწკალივითაა. — წამში აბრიალდება და იქვე ჩაიფერფლება. ჩემ წინ მშვენიერი ზმანება იჯდა, მაგრამ, ვერ ვხედავდი მის სულს, რადგან ჩემი ხარბი მზერა, სახის ნაცვლად, ჩადრის სქელ ქსოვილს აწყდებოდა. ვხედავდი ქათქათა, უზადოდ მომრგვალებულ მკლავებს, ალკიონისებრ

¹ სიღაც არც კვანძები და არც ძარღვები არ ჩანს (იტალი).

ხელის მტევნებს, *dove ne nodo appar nevere ecede!*. და ჩემმა აღზნებულმა წარმოდგენამ ყოველივე პარმოხიულად დააბოლოვა: მარძაპის მძიმე ნაკეცი სრულყოფილი ტანის მოხაზულობას წარმოაჩენდა და ცოცხალი სხეულის ნახ კანს მალავდა მხოლოდ. ქალის თვალების ნახვე იყო საჭირო, რათა დარწმუნებით მცოდნოდა, რომ ჩემს წარმოდგენაში შექმნილ არსებებს სული ედგა და გრძნობის უნარი შესწევდა. აღმოსავლური ჩაცმულობა ფაიფურის ღარნაკზე წასმულ გამჭირვალე ლაქს ჰგავს, ყვავილების ფერებს შეხებისგან რომ იცავს, ხილვის სიამოვნებას კი არაფერს აკლებს. იუსუფის ცოლს ხონთქრის ცოლივით როდი ეცვა, ქიოსელის ეროვნული კაბა უმოსა და ფართო ქვედაწელი ჩემს მზერას არ უმაღავდა თხელ წვივებს, ბარძაყების სრულყოფილებას, ვნებააღმძვრელ ღრმულებს და მალალ თეძოებს, ზემოთ რომ ვიწროვდებოდნენ და მოქნილ, წვრილ წელს უერთდებოდნენ. წელზე სირმით ნაქარვი და ყვავილებით გაწყობილი ქამარი ეკეთა. წელს ზემოთ მოუჩანდა ორი სიმრგვალე, აქელესს აფროდიტეს მოდელისეულად რომ გამოადგებოდა. მათი ნელი, არათანაბარი ფეთქვა მანიშნებდა, რომ ეს მომხიბვლელი ბორცვები ცოცხალი იყო. მათი გამყოფი ვიწრო ღარი თითქოს ნექტრით იყო სავსე და ჩემს მზურვალე ბაგეს ერთი სული ჰქონდა წადილით დასწაფებოდა ამ სიტკბოებას, ისევე როგორც ღმერთთა საყანეში ნექტარის თასებს ეწაფებიან.

ისე ავლელდა, თავი ედარ შევიკავე, ჩემდა უნებურად ხელი გაეწიე და ჩადრის მოხსნა დაუპირე. ქალი მსუბუქად წამოიჭრა, ღამაზი ფეხების თითის წვერებზე შედგა და საყვედურით ამავსო. ხმა ისევე მედიდური ჰქონდა, როგორც გარეგნობა.

— განა ღირსი ხარ, — თქვა წყრომათ, — იუსუფის მეგობრობისა?! სტუმართმოყვარეობის წესს არღვევ და მის ცოლს შეურაცხყოფ!

— ქალბატონო, მომიტევეთ, რადგან თქვენი განრისხება ფიქრადაც არა მქონია. ჩვენი ადათის მიხედვით, უკანასკნელ გარეწარსაც კი შეუძლია დედოფალი იხილოს.

— დიახ, მაგრამ ძალით ხომ არ აგლეჯს საფარს, თუკი ჩამოფარებული აქვს?! იუსუფი შურს იძიებს ჩემი შეურაცხყოფისათვის!

მუქარა ისეთი კილოზე იყო ნათქვამი, მართლა შემეშინდა. ფეხებში ჩაკუვარდი და იმდენი ვუბოდიშე, რომ დამშვიდდა.

— დაჯექი, — მითხრა ბოლოს.

ფეხი მოირთხა და პირდაპირ დამიჯდა. ვიდრე კარგად მოკალათდებოდა, ისეთ რამეს მოვკარი თვალი, ნამდვილად გონებას დავკარგავდი, ეს ხილვა მეტხანს რომ გაგრძელებულიყო. ჩემი შეცდომა მაშინვე ვაღიარე, მაგრამ ვკვირდებოდი.

— ცეცხლი ვიკიდა, სიცხე ხომ არ გაქვს?

— აბა რა მექნება, — უუპასუხე, — როცა ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩამავდე! ჭკუა ვიხმარე და ხელზე ჩავჭიდე ხელი, მისი სახე უკვე აღარაფრად მედარდებოდა.

— აგერ, ჩემი ქმარიც მობრძანდა, — თქვა მშვიდად და იუსუფიკ შემოვიდა. ორივენი წამოვდექით. იუსუფი გადამეხვია. მივესალმე. მინა ქალმა ქარგვას თავი მიანება და ოთახიდან გავიდა. იუსუფმა ცოლს მადლობა გადაუხადა, სტუმარი რომ გემირთყო, მკლავში გაუყარა ხელი და თავისი ოთახისკენ წაიყვანა.

ხედ კარის ზღურბლზე ქალმა ჩადრი აიწია, ქმარს აკოცა და თავისი მშვენიერი სახე გამოაჩინა. ვითომ განზრახ გაეკეთებინოს, ისე გაემართა თავისი რთავისკენ. სანამ იუსუფი საძინებელ ოთახამდე მიაცილებდა, თვალი არ მომიშორებია. იუსუფი მობრუნდა და სიცილით მითხრა:

— ჩემმა ცოლმა ჩვენთან ერთად მოისურვა სადილობა. ერჩენული
ბიზნიუსეკა

— მეგონა, ზელმის ველაპარაკებოდი, — ვუთხარი.

— ჩვენი წეს-ჩვეულება ამის ნებას არ გვაძლევს. ახლა რაც გავაკეთე — წერილმანია... მაგრამ არა მგონია არსებობდეს პატაროსანი ადამიანი, ვინც თავის ქალიშვილს უცხოელს დაუსვამს წინ.

— მომეჩვენა, თითქოს შენი ცოლი ლამაზი ქალია. ზელმი უფრო ლამაზია თუ შენი ცოლი?

— ჩემი გოგონას სილამაზე მღამარია და სინახით აღბეჭდილი; სოფის კი მკვდიური და ამაყი გარეგნობა აქვს. ბედნიერებას იგი ჩემი სიკვდილის შემდეგ ნახავს. ცოლად ვინც წაიყვანს, არ წააგებს, — სოფი ქალწულია.

ჩემი თავდასასვალი ბატონ დე ბონვალს ვუამბე. განსაკუთრებით ჩავუპუქე ფერები და მოსალოდნელი საფრთხე გავამბაფრე, როცა ჩადრის მოგლეჯის ოცდობა გავიხსენე.

— მაგ ბერბენმა ქალმა, — მითხრა გრაფმა; — მასხრად აგივლოთ. თქვენ არავითარი საფრთხე არ გელოდათ. ქალი იმიტომ გაბრაზდა, რომ ახალბედას გადააწყდა. დაუჯერეთ ჩემს გამოცდილებას. თქვენ ფრანგული ყაიდის პატარა ფარსი გაითამაშეთ, საჭირო კი იყო პირდაპირი და გაბედული მოქმედება. რაში დავჭირდით მაინცდამაინც მისი ცხვირის ნახვა? ქალმა მშვენივრად იცოდა, რომ მისი სახის ხილვის შემდეგაც მამაკაცივით მაინც არ მოიქცეოდით, დაუყოვნებლივ უნდა გეზრუნათ მთავარი გამარჯვების მოპოვებაზე. ახალგაზრდა რომ ვიყო, შურს ვიძიებდი თქვენზე და ჩვენს მეგობარ იუსუფსაც დავსჯიდი: თქვენ იმ ქალს ცუდი შთაბეჭდილება შეუქმენით იტალიელებზე. ყველაზე მოკრძალებულ თურქ ქალს სირცხვილის გრძნობა სახის დამალვისთანავე უქრება: ჩადრს ჩამოიფარებს თუ არა, დარწმუნებულია რომ გაწითლების სხვა საბაბი აღარა აქვს. ასე მგონია, ეგ ქალი, როცა ბებერ ქმართან ერთობა, მაშინაც იფარავს სახეს.

— ძალიან საეჭვო ამბავია, ჩემო მეგობარო. მე კარგად ვიცნობ ქიოსელ ქალებს. თადლითები არიან. ათნაქმარევიც რომ იყოს, ისე მოგაჩვენებს თავს, უმანკო გეგონება.

იუსუფს თავში აღარ მოსვლია ხელმოკრედ თავაზიანობის გამოჩენა და სწორედ რომ მართალიც იყო.

რამდენამე დღის შემდეგ ერთი სომეხი ვაჭრის დუქანში შევედი. გამოფენილ საქონელს რომ ვათვალიერებდი, იუსუფიც შემოვიდა. გემოვნება შემიქო და არჩეული ნივთები მომიწონა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ვერაფერი ვიყიდე, რადგან ვაჭარმა დიდი ფასი დაადო საქონელს. იუსუფს ფასი არ ეძვირა და ყველაფერი იყიდა. ასე დავშორდით ერთმანეთს, მეორე დღით კი ნავაჭრი შინ მომივიდა. ასეთი იყო იუსუფის ხელგამლილობა. საჩუქარზე უარი რომ არ მეთქვა, თან წერილიც გამოაყოლა. მწერდა, რომ კორფუზე ჩასვლისას შემატყობინებდა, ვისთვის უნდა გადამეცა ეს ყველაფერი. აქ იყო დამასკოს პრიალა ქსოვილები, თქროსა და ვერცხლის ძაფით მოხიზმული; ქისები, საფულეები, ქაშრები, თავსაფრები, ცხვირსახოცები და ყალიონები, სულ ოთხასი-ხუთასი პიასტრის ღირ-

რეზულტების საქონელი. მოგვიანებით, როცა მადლობა გადაუხადე, იძულებული შეიქმნა გამომტყდარიყო, რომ საჩუქარი ჩვენი მეგობრობის სამახსოვროდ მომართვა.

ჩემი გამგზავრების წინა დღეს ეს კეთილი ადამიანი ცრემლად დაიღვარა და რამდენიმე საათი ჩემთან დაჰყო. არც ჩემი ცრემლი იყო ნაკლებად უხვი და გულწრფელი. იუსუფმა მათხრა, რომ დიდი პატივისცემა დავიმსახურე, რადგან შემოთავაზებული წინადადება უარვეყვი და მისი სიძეც რომ გაემხდარიყავი, ალბათ უფრო მეტად ვერ შემიყვარებდა. ბალიო ჟან დონასთან ერთად გემზე ავედი და კიდევ ერთი ყუთი აღმოუჩინე, რუსუფს რომ გამოეგზავნა თურმე საჩუქრად. ყუთში იდო ორასი გარვანქა უმაღლესი ხარისხის ყავა მოკა, ასი ლივრის სელნარევი თამბაქოს ფოთოლი და თამბაქოთი სავსე ორი ქილა: ერთში „ჩამპანდი“ იყო, მეორეში — „კამიუხა“. გარდა ამისა ჟანსმინის საუცხოო ჩიბუხიც ვნახე, ოქროთი ინკრუსტირებული, რომელიც კორფუზე ას ცეხინად გავყიდე. ამ გულუხვ თურქს მხოლოდ კორფუდან შევუთვალე მადლობა. ყველა მისი საჩუქარი გავყიდე, რითაც საკმაო თანხა დამიგროვდა.

ისმაილმა წერილი გამატანა კავალერ დე ლეზესთან, მაგრამ მისი დავალება ვერ შეეასრულე: წერილი გზაში დამეკარგა. ერთი კასრი თაფლუჭი მანუქა, — ისიც ფულად ვაქციე. ბატონმა დე ბონვალმა კარდინალ აკვაივასთან გასაგზავნი წერილი ვადმიცა. ჩემი მოგზაურობა ცალკე წერილში აღვწერე და ორივე წერილი რომში გავგზავნე, მაგრამ მისმა აღმატებულებამ საჭიროდ არ სცნო პასუხის გაცემა. ბატონმა დე ბონვალმა გზაში თორმეტობად ბოთლი რაგუზის „მალეუაზია“ და ამდენივე ნაღდი „სკოპოლი“ გამატანა. ღვინო კორფუზე ძალიან გამომაღგა, რადგან საჩუქრად მივუტანე ერთ საჭირო კაცს. ამის შესახებ შემდეგ ვიამბობთ.

ერთადერთი უცხოელი, ვისაც კონსტანტინოპოლში ვხვდებოდი, მოტლანდიის მარშალი მილორდი კეთი გახლდათ, რომელიც პრუსიის ხელმწიფის წარმომადგენელი იყო. მასთან ნაცნობობა ექვსი წლის შემდეგ ძალიან წამადგა პარიზში.

სექტემბრის დასაწყისში იმავე სამხედრო გემით კონსტანტინეპოლამდე რომ მიგვიყვანა, კორფუსკენ გავემგზავრეთ. დანიშნულების ადგილზე თხუთმეტ დღეში ჩავედით. ბატონი ბალიო დონა გემზე დარჩა: რვა რჩეული თურქული ცხენი მოჰყავდა. ორი მათგანი გორაციაში ვნახე 1773 წელს.

როგორც კი ჩემი ბარგითურთ ნაპირზე გადავედი და ერთობ ცუდად დაუბინავდი, გენერალ პროვედიტორთან, ბატონ ანდრე დოლფინთან გამოვეცხადდი. იგი შემპირდა, რომ პირველივე დათვალიერების შემდეგ ლეიტენანტის წოდებას მომანიჭებდა. გენერლისგან პირდაპირ ბატონ კომპორეზესთან, ჩემს კაპიტანთან მივედი. კაპიტანმა ძალიან კარგად მიმიღო, შესაძე ვიზიტით ბატონ დ. რ-ს ვეახლე, გალქასების მეთაურს მასთან ბატონმა დოლფინმა მიმაგზავნა. თავაზიანი მოკითხვის შემდეგ ბატონმა დ. რ.-მ მასთან ადიუტანტად სამსახური შემომთავაზა. ერთი წუთითაც არ დავფიქრებულვარ, ვუპასუხე, რომ ჩემთვის დიდი პატივი იყო მისი მზრუნველობა, სიამოვნებით ვემსახურებოდი და უყოყმანოდ შევასრულებდი ყოველ მის ბრძანებას. მაშინვე შემიყვანეს ჩემთვის გამოყოფილ ოთახში და მეორე დღესვე იქ გადავედი საცხოვრებლად. კაპიტანმა:

¹ აფრიანა და ნიჩბიანი გემი.

ერთი ფრანგი ჯარისკაცი მომამაგრა. მოწოდებით დალაქი იყო და ბუნებრივ ყბედით. ამან ძალიან გამახარა, რადგან, ჯერ ერთი, კარგად გამკრეჭდა და მეორეც, ფრანგულში გამავარჯიშებდა. ეს ჯარისკაცი, ნამდვილი არამზადყოფნა ქალების მუსუსი, წარმოშობით ჰიკარდიელი გლეხი იყო. წერტილები მის არ იცოდა, თუმცა მისი განათლება არაფერში მჭირდებოდა; ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ ენა უჭრიდა. ამ ბრიყვს მასხარაობა უყვარდა, უამრავი სასაცილო ამბავი, უწმალური გამოთქმა და ბინძური ლექსი იცოდა და სიამოვნებით აცინებდა ხალხს, თუკი ვინმე მის მოსმენას მოისურვებდა.

ყველაფერი, რაც კონსტანტინოპოლში მაჩუქეს, ღვინის გარდა, გავყიდე და ხელად ხუთასი ცეხინის მფლობელი გავხდი. ებრაელი მევახშეებისაგან გამოვისყიდე ყველაფერი, რაც დაგირავებული მქონდა, და ესეც ფულად ვაქციე. გადავწყვიტე, სულელურად აღარ მეთამაშა, ფხიზელი და გონიერი ახალგაზრდა კაცის უპირატესობა გამომეყენებინა, რათა თაღლითობა და ღირსების შებლაღვა არ დამჭირებოდა.

დადგა დრო, როცა მკითხველს კორფუს მოსახლეობის ყოფა უნდა გავაცნო. ადგილობრივ ღირსშესანიშნაობაზე აღარ შევჩერდები, რადგან ამაზე იმდენია დაწერილი, გამეორება აღარ ღირს.

მაშინდელ კორფუს გენერალ-პროვედიტორი მართავდა. მას უმაღლესი ხელისუფლება ეპყრა ხელთ და ფუფუნებაში ცხოვრობდა. ეს თანამდებობა ბატონ დოლოფინს ეჭირა. სამოცდაათი წლის მოხუცი იყო, მკაცრი, ჯიუტი და უვიცი. ქალები აღარ აინტერესებდა, მაგრამ უყვარდა, როცა თავს ევლებოდნენ და ყურადღებას არ აკლებდნენ. ყოველ საღამოს ოცდაოთხ კაცზე ჰქონდა გამლილი სუფრა და მუდამ სტუმრები ჰყავდა.

მის გარდა კორფუზე იყო სანიჩოსნო-საგალერო ფლოტის სამი უმაღლესი ოფიცერი და კიდევ სხვა სამი აფრიან გემებს განაგებდა. სანიჩოსნო ფლოტს უპირატესი ადგილი ეჭირა იალქნიანთან შედარებით, თითოეულ გალერას თავისი კაპიტანი ჰყავდა და მას *sopracomito*-ს ემახდნენ. ასეთი კაპიტანი სულ ათი იყო. აფრიანი გემების ფლოტილიას თავისი მეთაური ჰყავდა. აქაც ათი კაპიტანი იყო, სამი უმაღლესი ოფიცრის ჩათვლით. ეს ოფიცრები ოცი-ოცდახუთი წლის ვენეციელი აზნაურიშვილები იყვნენ, სამხედრო სამსახურს გემზე გადიოდნენ და საზღვაოსნო ხელობას სწავლობდნენ. ამათ გარდა, კორფუზე კიდევ ათამდე ვენეციელი აზნაური იყო; ისინი სამოქალაქო სამსახურში იდგნენ, პოლიციასა და მართლმსაჯულების სამსახურს განაგებდნენ. მათ საქვეითო ჯარის უმაღლესი წოდებები ჰქონდათ მინიჭებული. იმათ, ვისაც ლამაზი ცოლები ჰყავდა, შინ მრავლად დაუდიოდნენ სტუმრები, უმთავრესად თაყვანისმცემლები, მათი მეუღლეების კეთილგანწყობის მოპოვებას, რომ ცდილობდნენ. მაგრამ კუნძულზე ძლიერი ვნებები არ დუღდა. ალბათ ამიტომ იქაურობა სავსე იყო მეძავი ქალებით. მათი გაცვეთილი ხიბლი, ცხადია, ჩემნაირ კაცს ვერ მიიზიდავდა. აზარტული თამაშები ყველგან ნებადართული იყო, რაც ღირსეულ მეტოქეობას უწევდა სასიყვარულო გართობას.

მთელ საზოგადოებაში სინატიფისა და თავაზიანობით მაღამ ფ. ი. გამოირჩეოდა. მისი ქმარი, ერთ-ერთი გალერის მეთაური, შარშან ჩამოსულიყო კორფუზე. ამ ქალის სილამაზემ მთელი სარდლობა მოხიბლა. არჩევანი დიდი ჰქონდა და უპირატესობა ბატონ დ. რ.-ს მიანიჭა. ქმარს პირდაპირ მონასტრიდან მოუყვა-

ნია ცოლად, ჩვიდმეტი წლისა, იმავე დღეს ვალერაზე დაუსვამს და კორფუზე წამოუყვანია.

პირველსავე დღეს ბატონ დ. რ-სთან გამართულ სადილზე ვხვდები /და ვავ-
ვოცდი, ასე მეგონა, ზებუნებრივ არსებას ვხედავდი, იმდენად მსუბუქად
ჩემ მიერ აქამდე ნანახ ქალებს, რომ არც კი შემშინებია, ვაი, არა, შემშინებდა-
მეთქი. ვიგრძენი, განსხვავებული ჯიშისა იყო და ჩემზე იმდენად ამაღლებული,
რომ შეუძლებლად მიძინა მასთან გატოლება. თავი დაუარწმუნე, რომ მასა და
ბატონ დ. რ-ს შორის ძხოლოდ პლატონური მეგობრობა იყო და ამის გამო მის
ქმარსაც საეჭვოა არაფერი უნდა ჰქონოდა. დაესძენ იმასაც, რომ მუსიე ფ-ი,
მისი მეუღლე, მოთავებულა ყვეფნი იყო და სრულებით არ შეეფერებოდა ამის-
თანა ქალს.

აი, ასეთი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე პირველსავე დღეს ამ ქალბატონმა,
თუმცა აზრი ჩქარა შემეცვალა და ახლავე მოგახსენებთ ამის მიზეზს.

ადიუტანტის წოდება უფლებას მაძლევდა საერთო სუფრასთან ვძჯდარი-
ყავი. სულ ეს იყო და ეს. მეორე ადიუტანტი, ღვთისგან ზიბრიყვით დაჯილდო-
ებული, ჩემს ხვედრს იზიარებდა. სუფრასთან ჩვენ ორი ყველაზე უჩინონი ვი-
ყავით. ასე რომ, თავს არავინ გვიყადრებდა, არავინ გველაპარაკებოდა და ზედაც
არ გვიყურებდნენ. მოკლედ, სუფრის სრულუფლებიან წევრებად არ გვთვლიდნენ.
მე ვერ ვურიგდებოდი ამგვარ დამცირებას. ვიცოდი, ეს შეგნებული აბუჩად აგ-
დება არ იყო და მაინც მტკიცებულად განვიცდიდი უპატივცემულობას. ჩემც
აზრით, საზონინოს, ჩემს კოლეგას, სადაეო არაფერი ჰქონდა, რადგან დასრულე-
ბული შტერი იყო. ჩემთვის კი შეურაცხმყოფელი იყო, რომ მე და საზონინოს
ერთი საზომით გვიდგებოდნენ. რვა-ათი დღე გაუიდა და მაღამ ფ-მ ერთი გად-
მოხედვითაც არ გამაბედნიერა. ამიტომ, ნაწყენმა და დამცირებულმა, გული
აუიყარე მასზე. ჩემი მოუთმენლობა იმდენად დიდი იყო, რომ ფიქრადაც არ
გამივლია, ქალბატონი ამას განზრახ აკეთებს-მეთქი. ასე რომ ყოფილიყო, მისი
უყურადღებობა ძალიან გამაზარებდა. ჩქარა დავრწმუნდი, არაფრად მაგდებდა
და, რახან ვიცოდი, რომ მთლად გადასავლება კაცი არ ვიყავი,
გადაეწყვიტე ჩემი ღირსებები გამოძეჩინა. ბოლოს დადგა ისეთი წუთი, როცა
მაღამ ფ-ს რაღაც უნდა ეთქვა ჩემთვის და ამის გამო კიდევაც შემხედა.

ბატონმა დ. რ-მა ჩემ წინ დადებულ შემწვარ ინდაურს დაადგა თვალი და
მიბრძანა დამეჭრა. აღარ დავაყოვნე და შევუდექი საქმეს. თექვსმეტ ნაჭრად
დავჭერი ინდაური და მივხვდი, რომ ძალიან უხეიროდ ვირჯებოდი. მაღამ ფ-მ,
გაჭირვებაში მყოფი რომ მნახა, გადაიკისკისა და მითხრა, დაჭრა თუ არ იცო-
დით, ხელი რატომ მოკიდეთო. შერცხვენილმა და დაბნეულმა საკადრისი პასუხი
ვავეცი. ჩემს ადგილზე დავჯექი და გული ამ ქალისადმი სიძულვილით ამევსო.
სიძულვილის თავი ბოლომდე კიდევ ერთმა წვეთმა გაავსო. ეს მოხდა იმ დღეს,
როცა რაღაცის სათქმელად მომიბრუნდა და სახელი მკითხა. უკვე იხუთმეტი
დღე ვმსახურობდი კორფუზე, ეს ქალბატონი ყოველდღე მხედავდა და ერთხე-
ლაც არ დაინტერესებულა ჩემი ვინაობით. გარდა ამისა, იმხანად ბანქოში
მწყალობდა ბედი და მთელ კუნძულზე ცნობილი კაცი გახლდით. ყოველივე ამის
გამო ჩემმა სიძულვილმა მწვერვალს მიაღწია.

მთელი ფული ვინმე მაროლის ჩავაბარე. ეს მაროლი წოდებით მაიორი იყო,
მოწოდებით კი – მოთამაშე. მოგებას ტოლად ვიყოფდით. მაიორი რომ ბანქოს
არიგებდა, კრუპიელ ვედექი, და ისიც იგივე სამსახურს მიწევდა როცა

ვთამაშობდით. უფრო ხშირად თამაშს ჩემს თავზე ვიღებდი, რადგან მაიორი პარტნიორებს არ უყვარდათ. კარტი ისე ეჭირა ხოლმე, ყველას შიშის შარს სცემდა, მე კი სრულიად საპირისპიროდ ვიქცეოდი, თან ბუდი მწყალობდა, თან წაგებულს მხიარულად ვიძლეოდი და მოგებისას სიხარულს ვმაღავდი, ასეთი საქციელი პონტერებს მუდამ მოსწონთ.

სწორედ ეს მართალი იყო, სულ რომ გამფცქვანა კონსტანტინოპოლში წასვლამდე. ახლა, აზრზე მოსული რომ მნახა, ღირსად ჩამთვალა და რამდენიმე წესი მასწავლა, ურომლისოდაც აზარტული თამაში აუცილებლად დაღუპავს ბანქოს ტრფიალს. მიუხედავად კეთილგანწყობისა, ეს ოფიცერი დიდ ნდობას არ იწვევდა და ამიტომ მუდამ ფხიზლად ვიყავი მასთან. ყოველ ღამეს, თამაშის დამთავრების შემდეგ, ანგარიშს ვასწორებდით ხოლმე. თავნი მოლარესთან რჩებოდა, დანარჩენ მოგებულ ფულს თანაბრად ვიყოფდით და ჩვენ-ჩვენს სახლებში მიგვექონდა.

კარტში იღბალი მქონდა, ჯანმრთელი ვიყავი და მეგობრებს უყვარდით ამხანაგებს, გაჭირვებისა თუ ღზინის უამს, ჩემი იმედი ჰქონდათ. მეც ჩემი ხვედრით კმაყოფილი ვიქნებოდი, ბატონ დ. რ.-ს სუფრაზე მეტი ყურადღება რომ მქონოდა და ქალბატონი ფ. ი. ასე მედიდურად არ მომქცეოდა. შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს სიამოვნებას გვრიდა დროდადრო ჩემი უმიზეზოდ დამცირება. დათრგუნული პატივმოყვარეობა სიძულვილისკენ მიბიძგებდა, თუმცა მისი მშვენიერება მხიბლავდა. ისეთ სულიერ მდგომარეობაში ვიყავი, რომ ქალს აუტანელი ხასიათის გარდა სიბრყველაც ვაბრალებდი. მას სულ იოლად შეეძლო დაჰპატრონებოდა ჩემს გულს. თუნდაც არ ვყვარებოდი, მზად ვიყავი შემეყვარებინა, ოღონდ თავად არ გამოეწვია ჩემი სიძულვილი. ამქვეყნად სხვა არა მინდოდა რა. რას მოიგებდა ჩემი სიბულვილით? უბრალო კეთილგანწყობით კი სულ იოლად შემეყვარებდა თავს. მისი საქციელი სააშოკო ხრიკებს არ ჰგავდა, რადგან მეც არაფრით მიმინიშნებია, რომ მისი ღირსების დამფასებელი ვიყავი. ისიც გამორიცხული იყო, რომ ვინმე ჩემს დაკნინებას ცდილობდა მის თვალში. ჩანდა, რომ მას ბატონი დ. რ.-ი ნაკლებად აინტერესებდა, საკუთარ ქმარს კი სულაც არ აქცევდა ყურადღებას. მოკლედ, ეს მომხიბველი ქალი გახდა ჩემი სავალალო ყოფის მიზეზი. ყველაზე მეტად ის მაღიზიანებდა, რომ ვგრძნობდი, მხოლოდ მისივე საქციელით გამოწვეული სიძულვილი მაკარგვინებდა მოსვენებას. ჩემს ტანჯვას უფრო აუტანელს ისიც ხდიდა, რომ საკუთარ თავში სიძულვილის უნარი აღმოვაჩინე. აქამდე ეს არ ვიცოდი და ამ აღმოჩენამ ძალზე შემაცბუნა.

ერთხელ ერთმა კაცმა მომაკითხა და ოქროს მონეტების სვეტი მომიტანა. ბანქოში ჰქონდა წაგებული. სუფრიდან რომ წამოვიშალეთ, ქალბატონმა ფ.-მ მითხრა:

- ნეტა მოგებულ ფულს რას უშვრებით?
- ვინახავ, ქალბატონო, რომ წაგებისას ვალი არ დამედოს.
- სხვაზე თუ არაფერზე ხარჯავთ, სჯობს აღარ ითამაშოთ: გამოდის, რომ ტყუილად კარგავთ დროს.

— სიამოვნებაზე დახარჯული დრო დაკარგულად არ ჩაითვლება. ფუჭი დროსტარება მხოლოდ ერთი ვიცი: მოწყენილობა. მოწყენილ ყმაწვილს შეიძლება უბედურება დაატყდეს თავს: ვინმეს შეიყვარებს და თავს აბუჩად აავლებინებს.

- შეიძლება ასეც მოხდეს. მაგრამ როცა საკუთარი ფულის ხაზინადრობით ერთობით, თქვენსავე სიხარბეს ავლენთ, ძუნწი კაცი კი შეეკარებულზე საპატივსაცემო როდია. რატომ არ ყიდულობთ ხელთათმანს?

ამ სიტყვების გაგონებაზე სტუმრები ახარხარდნენ, მე კი დავრბენი, რადგან სიმართლე მის მხარეზე იყო. ადიუტანტის მოვალეობად ქალბატონის ქეტლამდე მიცილება ითვლებოდა. ჯერ მკლავში ხელი უნდა გაეყარა, მერე ქეტლამდე მიეყვანა და ჩაესვა, უხელთათმანოდ ამის გაკეთება არ იყო მიღებული. ქალის სიტყვებმა მომსპო, სიძუნწის ბრალდება კი საბოლოოდ გამიპო გული; ათასჯერ ძერჩია, ჩემი შეცდომა უზრდელობისათვის დაებრალებინა და არა სიძუნწისათვის, მიუხედავად ამისა, არ ვცდილვარ შეცდომა გამომესწორებინა და მიღებული წესის მიხედვით მოვექცეულიყავი, ხელთათმანი ჯიბრზე არ ვიყიდე, ვცდილობდი არსად გამოვჩენილიყავი და მოარშიყისა და ქალთა გამცილებლის მოვალეობა სანზონიოს დაუთმე. მას დიახაც ჰქონდა ხელთათმანიცა და ჭიანი კბილებიც, მუდამ ქოშინებდა, პარიკი ეკეთა, ხოლო დანაოჭებული სახის კანი დიდად არ ამშვენებდა მის გარეგნობას.

ამგვარ ტანჯვაში გადიოდა ჩემი დღეები ყველაზე სასაცილო ეს იყო, რომ უბედურად თავს ჩემივე სიძულვილის გამო ვგრძნობდი, თუმცა მოვლენების საღად შეფასებისას ვერაფერში ვაღანაშაულებდი ამ ახალგაზრდა ქალს, — მას არც ვძულდი და არც ვუყვარდი. ყველაფერი მარტივი როდი იყო. ამ ნორჩ არსებას, ბუნებრივია, ჰქონდა მასხრობის სურვალი და განტევეების ვაცი მე გაეზდი. დამცინოდა ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, უბოროტოდ, მაგრამ ჩემი გადაჭარბებული პატივმოყვარეობა ყოველივეს მუქ ფერებში წარმომიდგენდა. დიდი სურვილი მქონდა როგორმე დამესაჯა იგი, შეიძულებინა — მოენანიებია ყველა შეცდომა ჩემ წინაშე. რა არ ვოფიქრე, ჯერ გადავწყვიტე მთელი ფული და გონება მეხმარა მის მოხანადირებლად, მერე კი შური მეძია და მიმეტოვებინა. წუთის შემდეგ თვითონვე უარყოფდი ჩემს გეგმებს, რადგან მისი გულისკენ გზა კიდევ რომ მეპოვა, ამისთანა ქალის გვერდით პატივმოყვარეობაზე მაინც ვეღარ ვიფიქრებდი. მაგრამ იღბალმა არ მიმატოვა და ერთმა შემთხვევამ მოულოდნელად შეცვალ ჩემი მდგომარეობა.

ბატონმა დ. რ-მ დეპეშები ჩამაბარა და ბატონ დე კონდულმერთან, ვალეასების კაპიტანთან გამგზავნა. იქ შუალამემდე დაეყავი და რომ დავბრუნდი, ბატონი დ. რ-ი უკვე დაწოლილი დამხვდა. დილით, როგორც კი ავდექი, მაშინვე მასთან ავედი პატაკის ჩასაბარებლად. ერთი წუთის შემდეგ კამერდინერი შემოვიდა, ბარათი მიაწოდა და უთხრა, რომ ქალბატონ ფ-ს ადიუტანტი კართან ელოდებოდა პასუხს. ბატონმა დ. რ-მ კონვერტი გახსნა, წაიკითხა წერილი, ნაკუწებად დახია და გაცოფებულმა ნაკუწებს ფეხით დაუწყო თელვა. შემდეგ ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, დაწერა პასუხი, დაბეჭდა და შემოსულ ადიუტანტს მიაწოდა. შემდეგ ხაზგასმული სიმშვიდით შეუდგა ჩემ მიერ მოტანილი წერილის კითხვას. რომელიღაც საბუთის გადაწერა მიბრძანა. სწორედ ამ საქმეებით ვიყავით გართულნი, როცა კამერდინერი შემოვიდა და თქვა, რომ ქალბატონ ფ-ს ჩემთან საუბარი სურდა. ბატონმა დ. რ-მ გამათავისუფლა და ნება დამართო ქალბატონ ფ-სთან მივსულიყავი და გამეგო — რა უნდოდა ჩემგან. ოცი ნაბიჯიც არ მქონდა გაკლილი, რომ ისევ დამიძახა და გამაფრთხილა, არაფერი წამოგცდესო. ვუთხარი, კარგად მაქვს შეგნებული, როდისაა ღუმილი საჭირო-მეთქი.

ქალბატონ ფ-სთან მიუფრინავდი, ბალიან მაინტერესებდა — რამ ვაახსენა

ჩემი თავი, მასთან აღრეც ვყოფილვარ, მაგრამ მასი თხოვნით — არასოდეს, არ მალოდინა და შესვლისთანავე გაკვირვებულა დაერჩი, რადგან ხაწოღზე დამჯდარი დამხვდა, გაწითლებული და სვალვდასიებული. კვლავინდებურად მომხიბვლელი ძეჩვენა, თუმცა უდავო იყო, რომ ჩემს მისვლამდე არ ვიცი, რატომ, მაგრამ გულს ისეთი ბაგაბუგი გაუდიოდა, ლამის ამომვარდნოდა.

— დაბრძანდით, — მითხრა, — სალაპარაკო მაქვს თქვენთან.

— მაღამ! — მივუგე, — ასეთი პატივის ღარსი არა ვარ. ნება მიბოძეთ, ფეხზე ამდგარმა მოვისმინოთ.

აღარ დამაძალა, ალბათ გაახსენდა, რომ ჩემდამი არასოდეს ყოფილა ესოდენ თავაზიანი.

— ჩემმა ქმარმა, — დაიწყო მას შემდეგ, რაც ძალა მოიკრიბა, — გუშინ, საღამოს ორასი ცეხინი წაავი თქვენს სამორინეში. პატიოსანი სიტყვა აქვს მიცემული, რომ ფულს დღეს გადაიხდიდა, რადგან ეგონა, ეს თანხა მე მქონდა. ამგვარად, ორასი ცეხინი მე უნდა მიბეცა მისთვის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფული შემომეხარჯა და ძალიან შეწუხებული ვარ ამის გამო. ვიფიქრე, იქნებ უთხრათ მაროლის, რომ წაგებული თანხა უკვე ჩემგან გაქვთ მიღებული. აი, მკარფასი ბეჭედი, შეინახეთ და პირველ იანვარს დამიბრუნეთ, როცა ძთლიანად დაგიბრუნებთ ვალს. ახლა კი ხელწერილს დაგიწერთ.

— ხელწერილს გამოგარამევეთ, მაგრამ ბეჭედს — არა. მეტსაც ვეტყვიო: ბატონი ფ-ი უსათუოდ თავად უნდა მივიდეს სამორინეში და ფული ბანკირს ჩააბაროს, ან ვინმეს ხელით გადავხაუნოს. საჭირო თანხას კი ათ წუთში მოგართმევთ.

პასუხი აღარ ვაცალე. მაშინვე ამოფუტანე ორი ას-ას ღუკატიანი სვეტი და გადავეცი. სამაგიეროდ, ხელწერილი გამოვართვი, რომელიც უკვე გამხადებული მქონდა. ოთახიდან ვაპირებდი გასვლას, რომ ასეთი მკარფასი სიტყვები შემაწია:

— ახლა მკონია, მუსიე, რომ მცოდნოდა, ჩემდამი ასე კეთილგანწყობილი იყავით, გამბედაობა არ მეყოფოდა, თქვენთვის დახმარება შეთხოვა.

— ქალბატონო, მინდა სამომავლოდ იცოდეთ: არ არსებობს ქვეყნად მაზაკაცი, ვინც რამე თხოვნაზე შეძლებს უარი გითხრათ, თუ ინებებთ და პირადად თხოვთ.

— დიდად მადლობელი ვარ ქათინაურისთვის, მაგრამ იმედი მაქვს ცხოვრებაში აღარასოდეს ჩავეარდები ისეთ ძღვომარეობაში, რომ თქვენი ნათქვამის სიმაჩთლეში დავრწმუნდე.

მისი პასუხის დახვეწილობამ გამაოცა. მოველოდი, რომ პირდაპირ მეტყვოდა, ცდებითო, რაც ორჭოფულ ძღვომარეობაში ჩააგდებდა. მან ხომ მშვენივრად იცოდა, ბატონ დ. რ-სთან ვიმყოფებოდი, როცა აღიუტანტმა წერილი მოიტანა და აქედან გამომდინარე, მეცოდინებოდა, რომ თხოვნაზე უარი მიიღო. მაგრამ ჩემს თვალში თავის დამცირება არ მოიხურვა და წუწუნი არ დაიწყო. ღმერთო, როგორ გამეხარდა! კადევ უფრო შემიყვარდა. ბატონი დ. რ-ი რომ არ მოსწონდა, ნათლად ვხედავდი, თავის ძხრივ არც დ. რ-ი ჩანდა დიდად შეყვარებული. ეს აღმოჩენა ძალამოსავით დაედო ჩემს გულს. ამ წუთიდან ვაგიჟებით შემიყვარდა ქალბატონი ფ-ი და იმედი მომეცა, რომ მასაც შეიძლება რაღაც გრძნობა გაჰღვივებოდა ჩემდამი.

ითახში რომ შევედი, უპირველეს ყოვლისა, ხელწერილი ამოვიღე და მელნით წავეშალე ყველა სიტყვა, გარდა მისი ხელმოწერისა. შემდეგ ხელწერილი კონვერტში ჩავდე და ნოტარიუსთან წავიდე. ნოტარიუსს გამოვართვი ჩაბარების ქვითარი და წერილობითი ვაღდებულება, რომ დაბეჭდილ კონვერტში მხოლოდ პირადად ქალბატონ ფ-ს გადაეცემოდა მისი პირველი მხარისა-მებრ. სალამოს ბატონი ფ-ი ყავახანაში მოვიდა, ვალი გადაიხადა, ნაღდ ფულზე ითამაშა და ორმოცდაათამდე ლუკატი მოიგო. მთელ ამ ამბავში ყველაზე მეტად ბატონ დ. რ-ს უცვლელმა თავაზიანობამ გამაოცა ქალბატონი ფ-ის მიმართ. გასაკვირი იყო ისიც, რომ შეხვედრისას დ. რ-მ არ მკითხა, თუ რა საქმე ჰქონდა ჩემთან მისი გულის რჩეულს. ქალბატონ ფ-ს დამოკიდებულება ჩემდამი კი სრულიად შეიცვალა. სუფრასთან ჩემ პირდაპირ იჯდა და შემთხვევა არ გაუშვია, გამომლაპარაკებოდა. ხშირად მისი შეკითხვები მაიძულებდა, რომ მჭევრმეტყველების უნარი გამომეჩინა. პიკანტურ ამბებს ვყვებოდი და ხშირად გესლიან და სახუმარო კომენტარსაც ვურთავდი. იმხანად ხალხის გაცინების დიდი ნიჭი აღმომაჩნდა. თანაც ისე ვხუმრობდი, ღიმილიც კი არ გაკრთებოდა ჩემს ბაგეებზე. ეს ხერხი ბატონი მალიპიეროსგან შევისწავლე. „არხეინი ცხოვრების“ პირველი გაკვეთილები მან ჩამიტარა.

— თუ გინდა ვინმეს გული აუჩუყო, — მითხრა ამ ნიჭიერმა ადამიანმა, — თუითონ უნდა ატირდე. მაგრამ სხვისი გაცინება თუ გსურს, სერიოზულობა გმართებს.

ყველა ჩემს მოქმედებას და სიტყვას, ქალბატონი ფ-ს თანდასწრებით, ერთი მიზანი ჰქონდა: მინდოდა მოვწონებოდი. მაგრამ ერთხელაც არ შემიხედავს უშიზეზოდ; არც ის მიმინიშნებია, რომ თანაგრძნობას ვეძებდი. მინდოდა მისი ცნობისმოყვარეობა აღმეძრა, საგონებელში ჩამეგდო; მინდოდა თავად გამოეცნო ჩემი საიდუმლოება და არ გაყოფოჩებულიყო. აჩქარება არას მარგებდა. ამასობაში თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ფულით, ამ ჯადოსნური თილისმით, და უზადო მოქცევით, ისეთი პატივისცემა მოვიპოვე, როგორსაც სამსახურებრივი მდგომარეობით, ასაკითა და ნიჭით არ ვიმსახურებდი.

ნოემბრის შუა რიცხვებში ჩემს ფრანგ ჯარისკაცს ფილტვების ანთება შეეყარა. ეს ამბავი კაპიტანს მოვახსენე და მან დაუყოვნებლივ ჰოსპიტალში გადაიყვანა. მეოთხე დღეს კაპიტანმა მითხრა, ჯარისკაცი აღარ დაბრუნდება, უკვე ნაწიარები არისო. სალამოს, როცა კაპიტანთან ვიჯექი, მოვიდა მღვდელი და გვითხრა, რომ საბრალო გარდაიცვალა. კაპიტანს პატარა შეკვრა გადასცა, რომელიც სიკვდილის წინ ჯარისკაცმა ჩააბარა და მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ უნდა გაეხსნათ. შეკვრაში ჰერცოგის გერბიანი სპილენძის ბეჭედი, დაბადების მოწმობა და ფრანგულ ენაზე დაწერილი ბარათი აღმოჩნდა. კაპიტანმა კომპორეხემ მხოლოდ იტალიური იცოდა და ბარათის წაკითხვა მოხოვა. საშინელი ხელით იყო დაწერილი და შიგ უამრავ შეცდომა აღმოვაჩინე. აი, რა ეწერა:

„ესაა ჩემი უკანასკნელი ნება, ჩემს მიერ დაწერილი, ჩემი ხელმოწერილი. კაპიტანს უნდა გადაეცეს მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ, მანამ კი სულიერმა მამამ არავის აჩვენოს ეს საბუთი. ვანდობ მას, როგორც წმინდა აღსარების საიდუმლოს. კაპიტანსა ვთხოვ, დამმარხოს აკლდამაში, საიდანაც ჩემი გვამის გამოტანა შესაძლებელი გახდება, თუ მამაჩემი, ჰერცოგი, ამას მოისურვებს. კაპიტანს აგრეთვე ვთხოვ, გაუგზავნოს საფრანგეთის ელჩს ვენეციაში ჩემი დაბა-

— საქმე ისაა, მონსენიორ, რომ ბერი რამ ვიცი ლა რომეფუკოსა და დიუ პლესის საგვარეულოთა შესახებ და კიდევ ის, რომ ~~კარგად~~ ვიცნობდი აწ ვარდაცვლილს. არა, ვიცი არ ეთქმოდა, მაგრამ ნამდვილი მასხარა კი იყო. არასოდეს მინახავს, დაეწეროს რამე, თანაც ოცჯერ მაინც ეწვევებოდა ჩემთვის, არასოდეს მისწავლიათ.

— მისი წერილი საპირისპიროს ამტკიცებს. მის გერბზე მანტიაა გამოსახული! თქვენ ალბათ არ იცით, რომ ბატონო ლა რომეფუკო საფრანგეთის ჰერცოგი და პერია.

— ბოდიშს მოვითხოვ, მონსენიორ, მაგრამ ეს ყველაფერი ვიცი, მეტიც: შემიძლია დავამატო, რომ ფრანსუა VI-ს ცოლად ჰყავდა ვინმე მადმუაზელ დე ვივონი.

— თქვენ არაფერი იცით!

ამ ბრიყველი და უზრდელური შეგონების შემდეგ სხვა არაფერი დამრჩენოდა დადუმების გარდა. სიამოვნებით შევამჩნიე, რომ მამაკაცთა საზოგადოება ალაფრთოვანა ჩემი მისამართით ნათქვამმა შეურაცხყოფელმა სიტყვებმა. ერთმა ოფიცერმა განაცხადა, რომ განსვენებული ლამაზი კაცი იყო, კეთილშობილი, ჭკვიანი და ძალიან წინდახედული: განა ყველას შეეძლო ისე მოქცეულიყო, რომ ამდენი ხნის განმავლობაში თავისი ნამდვილი ვინაობა არ გამოემჟღავნებინათ, ერთმა ქალბატონმა კი მოგვახსენა, არ ვიცნობდი, თორემ უსათუოდ მივხვდებოდი, ვინც იყო. ერთმა მლიქვნელმა კი ასეთი რამ იკადრა: მუდამ მზიარული იყო, უბრალოებით გამორჩეული ამხანაგებში თავს არ იწონებდა და ხმაც ანგელოზივით ტკბილი ჰქონდა.

— ოცდახუთი წლისა ყოფილა, — თქვა ქალბატონმა სავრედომ და შემომხედა, — ამდენი ღირსება თუ ჰქონდა, თქვენ უთუოდ უნდა შეგემჩნიათ.

— შემიძლია აღვწერო, ქალბატონო, როგორიც მახსოვს: მზიარული იყო, ზედმეტად... ხშირად ყირაზე გადადიოდა, მღეროდა ქუჩურ სიმღერებს და ამხანაგებს ართობდა ზღაპრებითა და გამოგონილი ამბებით ჯალოქრებზე, სასწაულებსა და მოწვევებებზე. მისი მონათხრობი ერთობ ეწინააღმდეგებოდა საღ აზროვნებას და ამიტომ მსმენელთა სიცილ-ხარხარს იმსახურებდა. ჩამოვითვლით მის ნაკლსაც: ლოთი იყო, ბინძური, ქალების მუსუსი, მოჩხუბარი და ქურდობასაც არ თაკილობდა. მხოლოდ იმიტომ ვიტანდი, რომ გემოვნებით მვარცხნიდა, თანაც თავისი ყბედობით ისეთ ფრანგულს მასწავლიდა, რასაც წიგნებში ვერ ამოვიკითხავ, ყოველთვის გულახდილად მეუბნებოდა, ჰიკარდიელი გლეხის შვილი ვარ და დეზერტირიო, იმასაც ამბობდა, წერაკითხვა არ ვიციო, და დარწმუნებული ვარ, არ მატყუებდა.

სიტყვა დავამთავრე თუ არა, შემოვარდა აქომინებული კამპორეზე და გამოაცხადა, რომ პრინცი ჯერ კიდევ სუნთქავდა, ამის გამგონე გენერალმა ნიშნისმოგებით გადმომხედა და მითხრა, ძალიან გამეხარდება, თუ გადარჩება.

— მეც, მონსენიორ, — მშვიდად მივუკვი, — მაგრამ ამაღამ მღვდელი მის მოკვლას შეეცდება.

— რატომ გგონიათ?

— იმიტომ, რომ ამგვარად გადაურჩება ვალერას, სადაც თქვენი აღმატებულიება უთუოდ აღსარების საიდუმლოს გამხელისთვის გაგზავნის.

ყველას გაეცინა, მოხუცმა გენერალმა კი ხშირი წარბები შეკრა. საზოგადოება მალე დაიშალა. ეტლამდე მივაცილე ქალბატონი ფ-ი, რომელიც ბატონ

დ. რ-სთან მკლავგაყრილი მიბრძანდებოდა. მან ეტლში ასვლა შემომთავაზა, რადგან წვიმას აპირებდა. პირველად მომექცა ასე ხაზგასმული პატივისცემით.

— მეც თქვენსავით ვფიქრობ, — მითხრა, — მაგრამ მეტიმეტად გააბრძნეთ გენერალი.

— ძალიან ვნანობ, ქალბატონო, მაგრამ ერთი გამოუსწორებელი ფაქტი მჭირს: თვალთმაქცობა არ შემიძლია.

— შეგეძლოთ ასე სასტიკად არ გეხუმრათ. — მითხრა ბატონმა დ. რ-მ, ღოსწრებულად კი ბრძანეთ, მღვდელს თვითმარქვია პრინციის მოკვლა მართებსო, მაგრამ გენერლისთვის არ უნდა გეკადრებინათ.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ მეგონა, გენერალსაც გავაცინებდი, ისევე როგორც თქვენ და ქალბატონ ფ-ს. ის, ვინც კაცს აცინებს — უყვართ.

— მაგრამ ვისაც სიცილი არ უყვარს, გამცინებელს ვერ დააფასებს.

— ას ცეხინზე ვდებ სანაძლეოს, ის გადარეული გადარჩება და, რადგან გენერალი მხარს უჭერს, თავისი გამოგონების ნაყოფს მოიმკის. ერთი სული ჩაქვს ვნახო, რა პატივისცემა იქნება და თავად კი როგორ გაეარშიყება მაღამ საგრედოს.

ამ სიტყვებზე ქალბატონ ფ-ს, მაღამ საგრედო ჭირივით რომ სძულდა, თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა. ეტლიდან ჩამოვედიოთ თუ არა, ბატონმა დ. რ-მ შინ მიმიპატიჟა. ჩვეულებად ჰქონდათ, გენერალთან სადილის შემდეგ ნახევარი საათით ქალბატონ ფ-ს სახლში განმარტოვებულიყვნენ და ქალბატონის ქმარი არასოდეს არღვევდა მათ ძეგდროებას. პირველად იყო, რომ მათ დუეტს მესამე პიროვნება უნდა შეერთებოდა. ასეთი გამორჩევით ბედნიერი ვიყავი და ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ამგვარ დასაწყისს კარგი დასასრული უნდა ჰქონოდა. მოზღვაკებული სიხარულის დაფარვას ვცდილობდი და მიხდოდა შეძლებისდაგვარად გამეხალისებინა წამოწყებული საუბარი.

ჩვენი სასიამოვნო შეკრება ოთხ საათს გაგრძელდა და სასახლეში დამის 2 საათზე დავბრუნდი. ქალბატონმა ფ-მ და ბატონმა დ. რ-მ ამ დამეს პირველად გამიცნეს. ქალბატონმა უთხრა, ბატონ დ. რ-ს, ამდენი არასოდეს მიცინია და არც ვიცოდი, თუ უბრალო სიტყვებს შეუძლია ასე გაამხიარულოს საუბარიო. მეც, ჩემდათავად, ამდენი გონიერება და სახალისე დაეინახე მასში, რომ საბოლოოდ შევიყვარე. დასაძინებლად დავექეი, თან დარწმუნებული ვიყავი, რომ ამიერიდან მათ წინაშე გულგრილი აღამიანის როლს ვეღარ ვითამაშებდი.

მეორე დღეს, გავიღვიძე თუ არა, ჩემმა ჯარისკაცმა მომახსენა, პრინცი უკეთ გრძნობს თავსო; ექიმს უთქვამს, საფრთხე აღარ ემუქრებაო. სუფრასთან მხოლოდ ამაზე იყო საუბარი, მაგრამ მე ხმა არ ამომიღია. ერთი დღის შემდეგ „პრინცი“ გენერლის ბრძანებით სუფთა ოთახში გადაიყვანეს და მსახური მიუჩინეს. სუფთად ჩააცვეს და გულუბრყვილი გენერალ-პროვიდიტორმა მოინახულა კიდევ. დიდჩინოვანმა საზღვაო ოფიცრებმა თავი მოკალედ ჩათვალეს და მის მაგალითს მიბაძეს. ცნობისმოყვარეობამ თავისი ქნა — ყველას უნდოდა ახალგაომცხვარი პრინციის ნახვა. ამ ნაკადს ბატონი დ. რ-ი და მაღამ საგრედოც შეუერთდნენ. რაკილა ეს ქალბატონი ჩაება ფერხულში, მას მაღალი საზოგადოების სხვა ქალებიც მიჰყვნენ. მხოლოდ ქალბატონმა ფ-მ შეიკავა თავი, სიცილით მითხრა, რომ ფეხს არ მიადგამდა პრინციდან, ვიდრე მე თავაზიანობას არ გამოვიჩენდი და პირადად არ წარუდგენდი მის თავს. ვთხოვე, აერიდებინა ჩემ-

თვის ეს პატივი. ამ ბაცაცას „მის აღმატებულებას“ ეძახდნენ, თვით ცრუჭერცოვი კი მაღამ საგრედოს „თავის პრინცესას“ უწოდებდა. ბატონი დ. რ-ი შეეცადა დავეყოლებინე იქ მისვლაზე, მაგრამ ვუთხარი, უკვე ბევრი ვიღობოქე მასზე და არც იმდენი სიმდაბლე ან სიმაშაცე გამაჩნია, ნათქვამი გადაეტქვა-მეთქი. ვინმეს სამეფო აღმანახი რომ ჰქონოდა, სიცრუე ადვილად ვაძიებდებოდა, რადგან იქ ყველა სამეფო გვარის გენეოლოგია მოიძიება. მთავრად, ვიხსენებ, ეს წიგნი არავის აღმოაჩნდა, საფრანგეთის კონსული კი, ერთი რეგენი და უკმეხი კაცი (ახეთები მრავლად არიან სახელმწიფო სამსახურში), სრულიად უმეცარი გამოდგა ამ საკითხში. არანვეულებრივი გარდაქმნიდან ერთი კვირის თავზე ეს ვიყი საზოგადოებაში გამოჩნდა. გენერალთან სადილობდა და ვახშობდა, ყველა შეკრებას ესწრებოდა და ზომიანზე მეტს რომ დაღევდა, იქვე მიწვებოდა და იძინებდა. ამის მიუხედავად, ხალხს სჯეროდა, რომ იგი პრინცი იყო. ამ რწმენას ორა გარემოება უწყობდა ხელს: პირველი ის იყო, რომ თვითმარქვია ყოველ-გვარი შიშის გარეშე მოელოდა შეტყობინებას ვენეციიდან, სადაც გენერალ-პროვედატორს წერილი ჰქონდა გაგზავნილი, და მეორე, დაუინებით მოითხოვდა მღვდლის დასჯას, რომელმაც აღსარების საიდუმლო გასცა. უბედური მღვდელი ციხეში იჯდა და გენერალს მისი დაცვა აღარ შეეძლო. საზღვაო უფროსობა რიგრიგობით სადილებს უმართავდა ახალმოვლენილ ჰერცოგს. ბატონ დ. რ-ს ვერ გადაეწყვიტა მისი მოპატიჟების ამბავი, რადგან ქალბატონმა ფ-მ მტკიცედ განაცხადა, იმ დღეს შინ არ უისადილებო. მეც, ჩემი ძხრივ, თავაზიანად ვუთხარი, თუ პრინცს მოიპატიჟებდა, მე ნულა მომიწვევდა.

ერთხელ ძველი ციხე-სიმაგრეიდან მოვდიოდი და მოედნისკენ მიმავალ ხიდზე შეხვეყარა. ჯიქურ გამიჩერდა წინ და საყვედურით მომმართა, რატომ არა მნახეო. სიცილი ამიტყდა და ვურჩიე, თავის გადარჩენაზე ეფიქრა და სანამ ვენეციიდან პასუხი მოვიდოდა, აქედან გაპარულიყო. დახმარება შევთავაზე: ვუთხარი, ნავსადგურში მდგარი ჩეპოლის გემის კაპიტანს მოველაპარაკებო და დაგმალავს-მეთქი.

ეს ვაფი მაღამ საგრედოს ეამიკებოდა და ისიც წინააღმდეგობას არ უწევდა, რადგან ეამაყებოდა, რომ ფრანგმა პრინცმა ამდენ ქალში გამოარჩია. ჰოდა, ეს ქალბატონი ერთ დღეს დად ნადიმზე ბრძანდებოდა ბატონ დ. რ-სთან და რომ დაძინაზა, მისაყვედურა. გაქცევა რატომ ურჩიეთო ჰერცოგს.

— თვითონ მაამბო ყოველივე, — დაუმატა, — ძალიან გაკვირვებულია, რომ ასე ჯიუტად მიიჩნევთ თვითმარქვიად.

— მე მას კარგა რამ ურჩიე, რადგან კეთილი გული მაქვს და საღი გონება.

— მაშ, გამოდის, რომ ყველანი, გენერლის ხათვლით, სულელები ვართ?

— ეს დასკვნა, მაღამ, მართებული არ არის. ერთი ადამიანის საპირისპირო მოსაზრება სულაც არ ნიშნავს რომ განსხვავებული აზრის პატრონი სულელია. სულ ათიოდე დღეში შეიძლება გაირკვეს, რომ ვცდები. მაგრამ მაშინაც არ ვიფიქრებ, რომ სულელი ვარ. თქვენისთანა გამჭრიახი გონების ადამიანს არ გაუჭირდება პრინცი გლეხისაგან განასხვავოს, თუნდაც მისი ქცევის ან მიღებული აღზრდის მიხედვით. აღბათ კარგად ცეკვავს.

— არც ერთი მოძრაობა არ იცის, საერთოდ არ უყვარს ცეკვა. გამომიტყდა, განზრახ არ მოვისურვე ცეკვის სწავლაო.

— სუფრასთან ხომ იცის თავის დაჭერა?

— სრულიად უბრალოდ უჭირავს თავი. არ სურს თეფში შეუცვალონ.

თავის კოეზს საერთო ჭურჭელში ჰყოფს, ვერ იკავებს ბოყინს, ამოქნარებს. სუფრასთან ჯდომა რომ მოსწყინდება, დგება ხოლმე. აქ არაფერია გასაკვირი: ცუდადაა აღზრდილი.

— და, მიუხედავად ამისა, მაინც მეტად სასიამოვნო ადამიანი ჩანს, არბ? მის სისუფთავეზე რაღას იტყვიო?

— სისუფთავით ვერ დაიკვირნის, მაგრამ ჯერჯერობით ტანისამოსი აკლია.

— ასე ამბობენ, წვეთს არ სვამსო...

— თქვენ უთუოდ ხუმრობთ! დღეში ორჯერ სუფრიდან მოვრალი დგება. თვითონ ჩივის, ერთი ჭიქაც მყოფნისო. ჰუსარივით იგინება, ჩვენ კი ვიცინით, მაგრამ მას არასოდეს არაფერი არა სწყინს!

— ჭკვიანია?

— არაჩვეულებრივი მუხსიერება აქვს: ყოველდღე ახალ-ახალ ამბებს გვიყვება.

— თავის ოჯახზე ხომ არ გესაუბრებაო?

— ბევრს გვიყვება დედაზე, რომელიც უნაზესად უყვარდა, ხომ იცით, რომ იგი დიუ პლესია?

— კიდევ ცოცხალი თუა, დაახლოებით ას ორმოცდაათი წლისა უნდა იყოს.

— რა სისულელეა!

— დიახ, ასე უნდა იყოს, ქალბატონო, რადგან მარია მედიის დროსაა გათხოვილი.

— დაბადების მოწმობაში კი მისი გვარია მოხსენებული, მათი ვერბი კი...

— ნეტა თუ იცის, რა გერბია გამოსახული მის საგვარეულო ფარზე?

— მაშ, თქვენ ეჭვი გეპარებაო?

— ძალიანაც... უფრო სწორად, დარწმუნებული ვარ, ეს არ იცის.

საზოგადოება სუფრიდან წამოიშალა. წუთიც არ გასულა, რომ გამოაცხადეს, პრინცი მობრძანდაო. შემოვიდა თუ არა, ქალბატონმა საგრედომ მიახალა:

— ძვირფასო პრინცი, აი, კაზანოვა დარწმუნებულია, რომ თქვენ საკუთარი ვერბი არ იცით.

ეს რომ გაიგო, ღიმილით წამოვიდა ჩემკენ, ლაჩარი მიწოდა და ხელუკუდმა ისე ძლიერად გამარტდა სახეში, რომ პარიკი ვადამივარდა. ვაიცებულს, ნელა შევტრიალდი, გასასვლელისკენ გავემართე, ავიღე ჩემი ქუდი და ჯიხი და უკვე კიბეზე ჩავდიოდი, როცა ბატონ დ. რ-ს ყვირილი მომესმა: ეს გიჟი ფანჯრიდან გადაავდეთო.

სასახლიდან გავედი და მოედანზე დავედარაჯდი. თვალი მოვკარი თუ არა, მივეარდი და გამეტებით დავუწვეე ცემა. ორ კედელს შორის მოვაშწყვდიე და კინალამ მოვკალი ცემით. თავის გადასარჩენად, დაშნა რომ ეშიშვლა, მხდალს არც უფიქრია. ქვაფენილზე დაგდებული, დასისხლიანებული მივატოვე. სეირის მაცქერალი იმდენი მოგროვდა, ძლიეს გაყარღვიე ცოცხალი კედელი. ყავახანაში შევალწიე და ერთი ჭიქა უშაქრო ლიმონის წყალი დავლიე, რადგან სიბრაზისგან პირი მქონდა გამწარებული. მცარე ხნის შემდეგ გარნიზონის ახალგაზრდა ოფიცრები შემომერტყნენ გარს. ერთხმად შეუბნებოდნენ, უნდა მოგეკლათ. ბოლოს მომბეზრდა მათი ლაყობა. თუ არ მოვკალი, ჩემი ბრალი არ იყო; უსათუოდ გამოვასალმებდი კიდევ სიცოცხლეს, დაშნა რომ ამოედი.

ნახევარი საათი არ იქნებოდა გასული, ყავახანაში გენერლის ადიუტანტი შემოვიდა და მითხრა, რომ მისმა აღმატებულებამ ჩემი დაპატიმრება ბრძანა და ბასტარდაზე უნდა მივსულიყავი. ასე ეძახდნენ მთავარ გაღერეას. საღაც

პატიმრებს, მონებივით, ბორკილს ადებდნენ ფეხზე. სასჯელი მეტად მძიმე იყო და ვიგრძენი, არ შემეძლო დაეშორჩილებოდა ბრძანებას.

— გმადლობთ, — უთხარი ადიუტანტს, — ჩემთვის ყველაფერი გასაგებია.

ადიუტანტი წავიდა და ერთი წუთის შემდეგ მეც გამოვიხურე კავახანის კარი. გავუყევი ქუჩას და მოედნის ნაცვლად ზღვისკენ გავუყევი. თხუთმეტი წუთი ნაპირ-ნაპირ ვიარე და ცარიელ ხავს წავაწყდი. ნიბებიც ზედ ება. ჩავჯექი ნაყში და მთელი ძალით მოუხვი ექვსნიხნაანი ფელუკისაკენ, ქარის საპირისპიროდ რომ მიცურავდა. დავეწიე თუ არა, კაპიტანს ვთხოვე, იალქანი გაეშალა და დიდ თევზსაჭერ გემზე მიუყვანე, რომელიც ვადოს კლდისკენ მიემართებოდა. ნავი შუა ზღვაში მივატოვე და როცა ფელუკაში დიდი თანხა გადავიხადე, გემამდე გამიყვანეს. იქაც ვაჭრობა მომიხდა და ბოლოს სამი აფრა აუშვეს. კაპიტანმა მითხრა, სამ საათში კორფუს თხუთმეტი ძალით დაეშორდებოთ. ქარი უეცრად ჩადგა და მოვითხოვე ნიბების მოსმით წასულიყვნენ დინების საწინააღმდეგო მიმართულებით. შუალაშით მეზღვაურებმა გამომიცხადეს, თევზაობა ასეთ ამიხდში შეუძლებელია და ჩვენც გადავიღალეთო, დილაძდე დასვენება და ძილი შემომთავაზეს. უარი ვთქვი და მცირე საფასურად თავი უახლოეს ნაპირზე მივაყვანინე. არც მიკითხავს, სად ვიმყოფებოდით, რომ ეჭვი არავის აეღო.

ჩემთვის ისიც კმაროდა, რომ კორფუს ოცი ძილით დაეშორდი და თან ისეთ ადგილზე ვიყავი, არავის მოუყიდიოდა თავში აქ ჩემი მოძებნა. მოვარე კაშკაში იყო და ყველაფერს კარგად ვხედავდი. შორიახლოს ეკლესია დაეინახე, მიჯრით საცხოვრებელი სახლი იდგა. იქვე ჩალით გადახურული, ორმხრივ ღია გრძელი საბძელი ვაწელილიყო. იქათ ასიოდე ნაბიჯი სიგანის მღელი და მთები მოჩანდა. მეტი არაფერი. საბძელში შევედი, თივაში ჩავწექი და, თუმც ციოდა, დილაძდე გემრიელად მეძინა. პირველი დეკემბერი იყო და თბილი ჰავის მაუხელავად უფარავდი, მსუბუქ მუნდირში გამოწყობილს, გვარსანად შემცავდა.

ზარების რეკვა შემომესმა და ეკლესიისკენ გავწიე. გრძელწვერა მღვდელს ჩემი გამოჩენა გაუკვირდა. ბერძნულად მკითხა, რომელი თუ ხარო, რაც ბერძენს ნიშნავდა. მე ვუპასუხე, ფრაგიკო ვარ-მეთქი, ანუ იტალიელი. მღვდელმა წამსვე ზურგი მაქცია, ეკლესიაში შევიდა, კარი გამოიკეტა და ჩემთან საუბარი აღარ მოისურვა.

ისევ ზღვისკენ წავიდა და დაეინახე, რომ ტარტანიდან, ას ნაბაჯზე ღუჩა რომ ჩაუშვა, ნაპირისკენ ოთხნიხნაანი ნავი გამოემართა. შიგ ხალხი იჯდა. მიუუახლოვდი და სასიამოვნო გარეგნობის ბერძენი კაცი დაეინახე. ქალი და ათი-თორმეტი წლის ბიჭუნა ახლდა. ბერძენს ვკითხე, საით მიემართებით-მეთქი. იტალიურად მიპასუხა, რომ ცოლშვილითურთ კეფალიონიდან ვენეციას მიემგზავრებოდა. მაგრამ მანამდე კაზობის დეთისმშობლის ეკლესიაში წირვის მოსმენა და იმის გკება ეწადა, ცოცხალი იყო თუ არა მისი სამამრი, აგრეთვე ცილის მზიოთვის საკითხი უნდა გაერკვია.

— მაგას როგორ ვაივებთ? — ეკითხე.

— მაძა დედდომიპული მეტყვის: ზუსტად ვადმომცემს დეთისმშობლის წინასწარმეტყველებას.

¹ ერთანიხანი გემა.

თავჩაქინდრული წაყვევი ეკლესიისკენ. კაცი მღვდელს ესაუბრა და ფული მისცა. მღვდელმა წირვა მოითავა და Santa sanctorum¹-ში შევიდა, საიდანაც თხუთმეტ წუთში გამობრძანდა, ისევ საკურთხეველზე ავიდა, ჩვენკენ ქნა ბირო/ ღრმად ჩაუქრდა, გრძელი წვერი ჩამოიხსნა და ათი-თხუთმეტი სიტყვისგან შემდგარი წინასწარმეტყველება წარმოთქვა. კეთილნიელმა ბერძენმა, რომელიც ნაღდად არ გახლდათ ოდისვესი, ერთობ კმაყოფილი იერთო კიდეც ჩაუთვალა ფული იმ გაიბვერას და წავიდა. გაყვევი და გზად ვკითხე, კმაყოფილი იყო თუ არა წინასწარმეტყველებით.

— ო, ძალიან კმაყოფილი ვარ! გავიკე, სიამამრი ცოცხალია და მზითევს მომცემს, თუკი ჩემს ბიჭს დავუტოვებ. ძალიან უყვარს ჩემი შვილი და სურს მასთან იცხოვროს.

— მღვდელი გიცნობდათ?

— არა, ჩემი სახელიც არ იცის.

— გემზე კარგი საქონელი გაქვთ?

— დიან. წამობრძანდით, ერთად ვისაუზმოთ და ყველაფერს განახებთ.

— დიდი სიამოვნებით.

აღტაცებული იმით, რომ ამქვეყნად კიდეც არსებობენ წინასწარმეტყველნი, და დარწმუნებული, რომ კვლავაც იარსებებენ, ვიდრე არიან ბერძენი მღვდლები, გაყვევი ამ კეთილ ადამიანს. საგანგებო სუფრა გამიშალა. კეთილნიელის საქონელი კი ბამბის ქსოვილების, კორინთული ქიშმიშის, ზეთისა და საუცხოო ღვინისაგან შედგებოდა. ჰქონდა კიდეც წინლები, ბამბის ჩაჩება, აღმოსავლური ქუდები, ქოლგები და ჯარისკაცის ულუფისთვის განკუთვნილი ორცხობილა, რაც ძალიან მიყვარდა. იმხანად ოცდაათი კბილი მქონდა, იშუიათად ნახავდით უკეთესს... ვაგლახ! დღეს ორადორილა შეძრჩა. დანარჩენი ოცდარეკა კბილი, სხვა ძვირფასი და ერთობ გამოსადეგი იარაღის არ იყოს, გამიფუჭდა. მაგრამ dum vita auferest bene est² ყველაფერი ვიყიდე, ბამბის გარდა, რადგან ბამბა არ მჭირდებოდა. შეუვაჭრებლად გადავუხადე ოცდათხუთმეტი თუ ორმოცი ცეხინი, რაც დამიფასა. საჩუქრად ექვსი ქილა დაწურული ხიზილალა გამატანა.

ქსანთური ღვინო რომ შევუქე, რომელსაც იგი „ვენეროიდულს“ ეძახდა, ასე მითხრა: — ვენეროიდულ თუ გამომყვები, ყოველდღე თითო ბოთლს დაგალევიან. მარხვის დროსაც არ მოგაკლები ღვინოს.

ოდნეც ცრუმორწმუნე მუდამ ვიყავი და უკვე გავემზადე, რომ დასტური მეთქვა; ვიფიქრე, აღბათ ჩემი ბედისწერა იქით მიხმობს, რაკი ეს გადაწყვეტილება წინასწარ განუსჯელად იშვა-მეთქი. იმხანად ასეთი დაუდევარი გახლდით და, საუბედუროდ, დღეს სულ სხვაგვარი ვარ. ამბობენ, სიბერეში ადამიანი ბრძენდებაო. ვერ გამიგია, როგორ უნდა გაყვარდეს შედევი, როცა მიზეზი ასე საჩიხლარია.

უკვე უნდა დავთანხმებოდი, როცა ათ ცეხინად მშვენიერი თოფი შემომთავაზა და მითხრა, კორფუზე ამ იარაღში ულაპარაკოდ თორმეტს მოგვცემენო. სწორედ ამ სიტყვამ, „კორფუმ“ მთლად აშალა ჩემი გეგმები! ვირწმუნე, რომ განგების ხმა მესმა და ეს ხმა მავალეებდა უკან დაუბრუნებელიყავი. თოფი დათ-

1. წმინდათაწმინდა.

2. ცოცხალი თუ ხარ, სხვა არაფერია საჭირო. (ლათ.).

ქმულ ფასად ვიყიდე, ჩემი პატიოსნებით მოხიბლულმა მამაცმა კეფალონიელმა კი თურქული იახტაში მახუჭა, საფანტითა და ტყვიებით გატენილი ავიღე თოფი, რომელსაც მშვენიერი ბუდე ჰქონდა, ჩავაწვევ მთელი ნავაჭრი ტომარაში და ნაპირზე დავბრუნდი. თან მტკიცედ გადაუწვავიტე, რაღაც უნდა დამჯდომოდა, თაღლით მღვდელთან გაკწერებულისყავი. ბერძნულმა ღვინამ მსმინს უკვე შემმატა და ვირწმუნე, საწადელს მივაღწევ-მეთქი. ჯიბეში ოთხი-ხუთი ასეული ვენეციური სპილენძის ხურდა ფული მეყარა, თუმც მძიმე იყო, იძულებული ვიყავი ეს მონეტები შემეგროვებინა: შესაძლოა, ეს ფული კუნძულ კახოპოზე გამომდგომოდა.

ასე რომ, ტომარა საბძელში შევინახე, თოფი მხარზე გადავიკიდე და მღვდლის სახლისკენ გაეწიე. ეკლესია დაკეტილი დამხვდა. ახლა კი დროა მკითხველს ჭეშმარიტი წარმოდგენა შეეუქმნა ჩემს მაშინდელ მდგომარეობაზე. მშვიდმა სასოწარკვეთამ შემიპყრო. ქისაში სამასი თუ ოთხასი ცეხინი შევუღებოდა, მაგრამ ვიცოდი, ჩემი ბედი ბევრზე ეკიდა. დიდხანს აქ გაჩერება არ შეიძლებოდა, მალე ყველა შეიტყობდა ჩემს ადგილსამყოფელს და, რადგან განაჩენი ჩემს დაუსწრებლად უკვე გამომიტანეს, სასჯელიც საკადრისი მელოდა.

რაიმე გადაწყვეტილების ძალა აღარ შემწევდა: ესეც საკმარისია, რომ მუბისმიერი მდგომარეობა აუტანელი გახდეს. კორფუზე ჩემი ნებით თუ გამოცხადდებოდი, გიჟად ჩამოვლიდნენ, ან იტყოდნენ, შეშინდა და მიბრუნდაი, დეხერტირობას კი სულ ვერ გავბედავდი. ჩემი ზნეობრივი უძღურების მთავარი მიზეზი ის ათასი ცეხინა როდი იყო, ყავახანის ხაზინადართან რომ დავტოვე, არც უპატრონოდ მიტოვებული ჩემი ქონება, არც შიში, რომ სხვაგან სიღარიბეში მომიწევდა ცხოვრება, — არამედ ქალბატონი ფ-ი, ვისაც ვადმერთებდი და ვისთვისაც ხელზეც კი არ მიკოცნია, ამ სავალალო ყოფაში სხვა არაფერი დამრჩენოდა, თუ არა ყოველდღიურ წვრილძანზე ზრუნვა, იმწამს კი ყველაზე აუცილებელი ბინისა და საჭმლის შოვნა იყო.

ხმამაღლა ვაბრაზუნებ მღვდლის კარზე. იგი მოდი, სარკმელთან, სიტყვის თქმასაც არ მაცლის და ცხვირწინ მიკეტავს სარკმელს. კიდევ ვაბრაზუნებ, ვიგინები, ვცეცხლდები, მაგრამ არავინ მპასუხობს. ბრაზისგან გონებადაბნელებული თოფს შიგ თავში ვესვრი ცხვარს, ოცდიდ ნაბიჯზე სხვა ცხვრებთან ერთად ბალახს რომ წიწკნის. მწვემსა ვვირის. მღვდელი სარკმელთან მორბის და ღრიალებს. ქურდი დაიჭირეთო. იმწამსვე გაისმის განგამის ხარი. ერთდროულად სამი ხარი რეკს. ვგრძნობ მოახლოებულ საშიშროებას და, რადგან არ ვიცი, რა მომივა, ისევ თოფს ვტყენი.

რვა-ათი წუთის შემდეგ ეხვდავ მთიდან ჩამოხევევებულ ბრბოს. ზოგს თოფი აქვს, ზოგს — ფიწალი, ზოგს — გრძელი კეტი. საბძელს ვაფარებ თავს, მაგრამ შიშის გამო როდი ვიძალეები: არა მგონია, რომ ეს აღამიანები მე, მარტო კაცს, საქმის გამოურკვეველად მომკლავენ.

ყველაზე ადრე ათმა-თორმეტმა თოფიანმა ყმაწვილმა მოიბრინა. ერთ მუჭა სპილენძის მონეტებს ფეხქვეშ ვუყრა. გაკვირვებული ყმაწვილები ჩერდებიან და ფულის ბოჭვას იწყებენ. ახლა მოახლოებულ სხვა რაზმებს ვუყრი ხურდა ფულს. ბოლოს ფული ბელევა და არც აღარავინ მორბის. გაკვირვებისგან გაქვევებულმა გლეხუჭებმა აღარ იციან, რა უქნან მშვიდობიანი შესახედაობის ახალგაზრდა კაცს, სულ ტყუილუბრალოდ რომ ფანტავს თავის ქონებას. ხარის კამაყრუებელი გუგუნის შეწყვეტამდე ლაპარაკი შეუძლებელია. მწვემსა, მღვდე-

ლი და ეკლესიის დარაჯი არც მაცლიან სიტყვის თქმას, მით უმეტეს, რომ იტალიურად ვაპირებ ლაპარაკს. სამივე ერთდროულად მიმართავს ბრძას, მე კი ჩემს ტომარაზე ვჯდები და მშვიდად ვუგლებ ყურს.

ერთი მოხუცი და თითქოს გონიერი გლეხი მიახლოვდება და იტალიურად მეკითხება, ცხვარი რატომ მოკალით.



— იმიტომ, რომ მევიდა და შემეჭამა.

— მაგრამ მის უწმინდესობას უვლება აქვს ამ ცხვარში ერთი ცეხინი მოკთხოვით.

— აი, მისი ცეხინი!

მღვდელი მართმევს ფულს, გვიწოდება და აყალმაყალიც ამით მთავრდება. იტალიურის მცოდნე გლეხი მიყვება, რომ 1716 წლის ომის მონაწილეა და კორფუს იცავდა. ვაქებ და ვთხოვ, მიშოვნოს წესიერი საცხოვრებელი და კარგი მსახური, საჭმლის მომზადება რომ შეუძლია. მპასუხობს, მთელ სახლს დაგიბძობ, საჭმელს თავად მოგიმზადებ, ოღონდ მთაზე მოგვიწვევს ასვლაო. მე ყაბუღსა ვარ, ვდგებით და მიუღივართ. უკან ორი ზორბა ჯეელი მოგვეყვება, ერთს ჩემი ტომარა მოაქვს, მეორეს — ცხვარი. ვუბნები იმ კაცს, რომ მსურს სამხედრო სამსახურში ავიყვანო ოცდაათი ემაწვილი, ისეთები, როგორიც ეს ორნი არიან; ოც დღეში მათ ოც მონეტას გადაუხდო, შენ კი, როგორც ზემდეგს, — ორმოცს-მეთქი. მპასუხობს, რომ არჩევანში არ შეეძღარე არ და კმაყოფილი დაგჩნესი მის მიერ გაწვრთნილი გვარდით.

შეუღივართ საკმაოდ კარგად მოწყობილ სახლში. ვიკავებ პირველ სართულს, სამ ოთახს, სამზარეულოს და გრძელ საჯინაბოს, რომელსაც დაუყოვნებლივ საყარაულოდ ვაქცევ გლეხი მტოვებს, რათა თადარიგი დაიჭიროს და მონაზოს ქალი, ვინც პერანგებს შემიკერავს. იმ დღესვე ყველაფერი მოგვარდა: საწოლი, ავეჯი, კარგა სადილი, სამზარეულო ჭურჭელი, ოცდაათი ემაწვილი თავიანთი თოფებითურთ, მოხუცი მკერავი ქალი ხელქვეითი გოგონებითურთ, რომელთაც ჩემთვის პერანგები უნდა შეეკერათ. ყველანი და ყველაფერი ჩემს განკარგულებაში იყო. ვახშმის შემდეგ საუკეთესო გუნებაზე დავდექი: ჩემ გარშემო ოცდაათი ადამიანი შემოკრებილიყო, მეფესავით მექცეოდნენ და ვერ გაეგოთ, რამ მიმაცვანა მათ კუნძულზე. მხოლოდ ერთზე შეთანადრებოდა გული: ქალიშვილებმა იტალიური არ იცოდნენ, მე კი ბლივს ვაცოდვილებდი ბერძნულს, ასე რომ, გამიქრა ჩემი საუბრით მათი განათლების დონის ამაღლების იმედი.

დილით იარაღასხმული გვარდაა გამოძეცხადა. ღმერთო, რამდენი ვიცინე. ჩემი ღირსეული ჯარისკაცები მშვენიერი ვაჟკაცები იყვნენ, მაგრამ სამხედრო ნაწილი უზუნდიროდ და უმწყობროდ სხვა არაფერია, თუ არა ცხვრის ფარა. თუმცა, მათ საქებრად უნდა ითქვას, მალე ისწავლეს თოფით მხედრული მისაღმება და შეთაურთა ბრძანების შესრულება. სამი გუმაგი დავაყენე: ერთი საყარაულოსთან, ერთი ჩემს ოთახთან და მესამე — მთის ძირში, საიდანაც ზღვის ნაპირი ჩანდა. მას სამხედრო გემის გამოჩენისას უნდა გავეფრთხილებინე. პირველ ორ-სამ დღეს ყველაფერ ამას გართობად მივიჩნევდა, მერე კი მივხვდი, რომ შეიძლება მართლა დამჭარვებოდა იარაღის გამოყენება თავდაცვის მიზნით, და ხუმრობას თავი დავანებე. ისიც კი ვიფიქრე, ჯარისკაცებს ერთგულების ფიცა რომ არ დავადებინო-მეთქი, მაგრამ უფლარ გავბედე. ზემდეგი მარწყმუნებდა, სრული უფლება გაქვს ეს გააკეთო, ხელგამლიღობით მთელი კუნძულის სიყვარული დავიმსახურე. მზარეულ ქალს, მკერავები რომ მიშოვნა, იმედი ჰქონდა, რომელიმე

მათგანს შევიყვარებდი, მაგრამ არა ყველას ერთად... მის ყოველგვარ მოლოდინს გადაეჭარბე და დედაბერიც ნებას მაძლევდა, რათა დაემტკიცებინა ნებისმიერი ქალიშვილით, რომელსაც კი მოვისურვებდი. მეც ვაღწივარ ერთთან არ დაერჩენილვარ. ჭეშმარიტად ბედნიერად ვცხოვრობდი, რადგან ყველაფერი არანაკლებ უხვი მქონდა. კარგა შესუქებულ ბატკნებსა და გარეულ ქათმებს მძაბუბდნენ. იმ ქათმების სადარი ხორცი ოცდაორი წლის შემდეგ პეტერბურგში ვიგემუ-ესვაბდი მხოლოდ სკოპოლის დეინოს და საუკეთესო მუსკატებს მივიერთევედი არქიპელაგის კუნძულებისას. ჩემი ერთადერთი თანამესუფრე შემდეგი გახლდათ. მუდამ ამ შემდეგისა და ორი მეკვლას თანხლებით დავსეირნობდი. მათ ჩემი დაცვა ევლებოდათ რამდენიმე განრისხებული ვეფლისაგან, რომელნიც თვლიდნენ, თითქოს სატრფოებმა ისინი ჩემ გამო მიატოვეს. უფულოდ აქ ყოფნა ნამდვილად გამიჭირდებოდა, თუმცა უფულოდ ვერც კორფუდან გამოქცევას გავბედავდი.

გავიდა ერთი კვირა და აი, ერთხელ, ვახშობისას, შევადამეძლე სამი საათით აღრე, საყარაულოდან გუშაგას ხმა მიმესმა. ყვიროდა, ვინ მოდიხო. შემდეგ გავიდა, რამდენიმე წუთში დაბრუნდა და შემატყობინა, რომ ერთ კეთილ კაცს, იტალიურას მცოდნეს, ჩემთვის რაღაც მნიშვნელოვანის თქმა სურდა. ვბრძანე, შემოიყვანეთ-მეთქი. იმ კაცმა, შემდეგის თანდასწრებით, ჩემდა გასაკვირად, ფრიად სვედაინად გახაცხადა:

— ზევ კვირა დღეს, წმინდა მამა დედნიშობულო თქვენ წინააღმდეგ cataramonachia-ს წარმოთქვამს. რამეს თუ არ იღონებთ, ციებ-ცხელება ექვს კვირაში საიქიოს გავისტუმრებთ.

— ამგვარა წამლისა არაფერი გამოგია!

— ეს წამალი არ არის. შეჩვენებაა და, საიღუმლო ზიარებასთან ერთად, მას დიდი ძალა აქვს.

— რა რჯის მღვდელს, ამ ზერბათ რომ მიპირებს გასტუმრებას?

— თქვენ მის სამწყხროში მშვიდობასა და წესრიგს არღვევთ. თქვენ დაუფუ-ღეთ უამრავ ქალწულს და მათ ყოფილ სატრფოებს აღარა სურთ მათი ცოლად შერთვა.

ვბრძანე, დვინო მიერომთაათ სტუმრისათვის, მადლობა გადაეუხადე და მშვიდობიანი დამე ვესურვე. საქმე სახუმარო არ ჩანდა: ცხადაა, არაერთარი cataramonachia-სი არ მჯეროდა, მაგრამ საწამლაგის ძალაში სულაც არ მეპარებოდა ეჭვი. ის დამე მშვიდად მეძინა, მეორე დღეს კი, შაბათს, შემდეგისთვის არაფერი მათქვამს და გამოთენიასას მარტო მივედი ეკლესიაში. მოულოდნელობისგან დაბნეულ მღვდელს მკვახედ მივახალე:

— თუკი ციება შემეფრება, პირველივე შეტევას დროს თავს გავიჩეჩქავთ. ასე რომ, აირჩიეთ: ან სასიკვდილოდ შემაჩვენეთ, ან ანდერძი დაწერეთ. მშვიდობით!

ამგვარი გაფრობილების შემდეგ შინ დავბრუნდი. ორშაბათს, ადრიანი დილით, მღვდელი საპასუხო ვიზიტით გამომეცხადა. თავი მტკიოდა. ჩემი ჯანმრთელობა იკითხა და, როცა ვუთხარი, თავი მტკივა-მეთქი, ბევრი მაცინა, რადგან იმის მტკიცებას შეუდგა, ყველაფერში კუნძულ კაზიპოს მძიმე პერიოლ დამნაშავე.

მისი სტუმრობის შემდეგ სამი დღე გავიდა; სუფრასთან ვაპირებდი დაჯდომას, როცა ზღვის მხარეს დაყენებულმა გუშაგმა საგანგაშო ნიშანი მოგვცა.

ზემდეგი გავიდა და ოთხი წუთის შემდეგ დაბრუნებულმა მიიხრა, კუნძულთან შეიარაღებული ფელუკა მოცურდა და ნაპირზე ოფიცერი გადმოვიდა. ვივამ-ხადე ჩემი ჯარი, გარეთ ვავედი და ჩვენთან მოძავალი ოფიცერი დაგინახე, რომელსაც გლეხი მოჰყვებოდა. ქუდის ფარფლები ჩამოშვებული ჰქონდა და ხელჯოხით გულდასმით იშორებდა ბუჩქნარის ტოტებს, ვხას, რომ უღებოდა. მარტო იყო და ამგვარად არაუიყარო საფრთხე არ შემუქრებოდა.

შევედი ჩემს ოთახში და ზემდეგს ვუბრძანე, სამხედრო პატივი მიაგე და შინ მომგვარეთ-მეთქი. ჩამოვიკიდე დაშნა და ფეხზე მდგარი დაველოდე.

ჩემ წინ კვლავ ადიუტანტი მინოტი იდგა, ამას წინათ დაპატიმრების ბრძანება რომ გადმოძცა.

— თქვენ მარტო ხართ, — ვუთხარი, — და ჩანს, სამტროდ არ მოსულხართ, ნებ მიბოძეთ გადაგვხვით.

— სხვა რაღა დამრჩენია? სამტროდ რომ მოვსულიყავი, უთუოდ დაკმარცხდებოდი. ერთი ის მიიხარიათ, ხომ არ შესიზმრება ყოველთავე, რასაც ვხედავ?

— დაბრძანდით, სადილზე დამეწვიეთ, სუფრას კარგს ვპირდებით.

— სიამოვნებით. ნასადილევს კი ერთად გავემგზავროთ აქედან.

— წასვლას თუ ასურვებთ, მარტო წაბრძანდით. მე აქედან მხოლოდ მაშინ წავალ, თუ დარწმუნებული ვიქნები, არ დაპატიმრებენ და ჩემს მოთხოვნას დააკმაყოფილებენ. გენერალმა ის ვიყი ვალერებზე უნდა გაამწესოს.

— გონიერება გამოიჩინეთ და თქვენი ნებით წამომეყვით. ნაბრძანები მაქვს ძალით წავიყვანოთ, მაგრამ ძალა თქვენ მეტი გაქვთ. საკმარისია პატაკი წარვადგინო და თქვენს წასაყვანად ამდენ ჯარისკაცს გამოგზავნიან, იძულებული გახდებით დანებდეთ.

— არასოდეს დაგნებდებით, მვირფახო მეგობარო, ცოცხლად ვერავინ შემიპყრობს.

— ხომ არ გაგიყდით?! თქვენ მტყუანი ხართ, რადგან ბრძანება არ შეასრულეთ და პატიმრობას თავი აარიდეთ. მხოლოდ ესაა თქვენი დანაშაული. იცოდეთ, დანარჩენ ამბებში მართალი ბრძანდებით. ეს თვით გენერალმა განაცხადა.

— მაშ, გამოდის, საპატიმროში უნდა წავსულაყავი?

— ცხადია! ბრძანების შესრულება ჩვენი პირველი მოვალეობაა.

— მაშ, ჩემს ადგილზე თქვენ დამორჩილდებოდით?

— ძაგას ვერ გეტყვით, ვიცი მხოლოდ, ურჩობა დანაშაული იქნებოდა.

— გამოდის, რომ, თუ ჩაგბარდებით, ახლა უფრო დავისჯები, ვიდრე მაშინ, როცა უსამართლო ბრძანებას არ დავემორჩილე?

— არა მგონია. წავიდეთ და ყველაფერს თვითონ გაიგებთ.

— როგორ წამოვიდე, თუ არ მეცოდანება, რა მეღის? ამას ჩემგან ვერ მოესწრებით. ახლა ვისადილოთ. რახან ისეთი დამნაშავე ვარ, რომ ჩემ მიმართ ძალას იყენებენ, მეც მხოლოდ ძალით თუ დამიმორჩილებენ. უფრო მეტ დანაშაულს ველარაფერს ჩავიდენ, თუნდაც სისხლი დაიღვაროს.

— ცდებით, სისხლი თუ დაიღვარა, მეტად დაისჯებით. ვისადილოთ. იქნებ გემრიელმა საჭმელმა გონიერებისკენ გაბიძგოთ.

სადილს ვამთავრებდით, ხმაური რომ შემოგვესმა. ჩემი ზემდეგი შემოვიდა და მამცნო: თურმე სახლთან მოვლი ვლევხობა მოგროვდა ჩემს დახატავად, რადგან კუნძულზე ხმა დაირხა. თითქოს შეიარაღებული ფელუკა იმიტომ მო-

ვიდა, რომ კორფუზე წავეყვანე. ეთხოვე ზემდეგს, დაეწინარებინა ეს მამაცი ხალხი, ერთი ბარელი ღვინო გავუგზავნე და შევუთვალე, დაშლილიყვნენ გლეხებმა დამჯერეს. მაგრამ შინ წასვლამდე, ჩემდამი პატივისცემის ნიშნად თოფები კარეში დაცალეს.

— ეს ლამაზად გამოიყურება, — დამიღიოთ თქვა აღიშნულმა მაგრამ უთქვენოდ თუ მომიწია კორფუზე დაბრუნება, ჩემს პატაკში ყველაფერი საშაშ ელფერს მიიღებს, რადგან იძულებული ვარ, ნანახი მის აღმატებულებას მოეახსენო.

— გამოგყვებით, თუ მომცემთ პატიოსან სატყვას, რომ კორფუზე ფეხს დავდგამ? როგორც თავისუფალი ადამიანი.

— ნაბრძანები მაქვს, ციხეში მივგეაროთ ბატონ ფოსკარის.

— ამჯერად ბრძანებას არ შეასრულებთ.

— გენერლისთვის ღირსების საქმედ იქცა თქვენი დამორჩილება; დამიჯერეთ, იგი განონახავს ამის საშუალებას, მითხარით, გეთაყვა, რას გააკეთებთ, გენერალმა თავის შესაქცევად თქვენი ამ კუნძულზე დატოვება რომ გადაწყვიტოს? მაგრამ ეს არ მოხდება. მე პატაკს წარვადგენ და საქმე უსისხლოდ დამთავრდება.

— უსისხლოდ არა მგონია საქმე დამთავრდეს. აქაურ ხუთას კაცთან ერთად თქვენი სამი ათასი ჯარისკაცის არ მეშინია.

— ერთ კაცს მონახავენ და ისე მოგექცევიან, როგორც აჯანყების მოთავეს. ეს ერთგული ადამიანები ვერ დაგიცავენ ამ ერთადერთი კაცისგან, ვინც რამდენიმე ოქროს საფასურად შუბლს გავიხვრეტო. მეტსაც გეტყვით: ყველა ამ ბერძენ მამაკაცში, თავს რომ გახვევიან, არ არის ერთიც, ვინც ოც ცეხინად არ მოგკლავთ. დამიჯერეთ და წაიღიეთ აქედან. კორფუზე ტრიუმფის მაგვარი რამ გელოდებათ. ტაშითა და ხარ-ზეიმით შემოგებებიან, თქვენ თვითონ მოყვებით. რა სიგიჟე ჩაიდინეთ, ხალხი იციხებს, და თან აღფრთოვანდება თქვენი გონიერებით, ჩემი ჩამოსვლისთანავე რომ გამოიჩინეთ. ყველა პატივს მოგაგებთ. ბატონი დ. რ-ი უდიდესი პატივისცემით განიმსჭვალა თქვენდამა, აღფრთოვანებულია თქვენი ვაჟკაცობით, რამეთუ მასპინძლის სახელს გაუფრთხილდით და შუაზე არ გააპეთ ის ნაგიჟარი. თვით გენერალიც უნდა გაფასებდეთ, რადგან უთუოდ ახსოვს თქვენი ხათქეამი.

— იმ უბედურს რა ბედი ეწია?

— ოთხი დღის წინათ მაიორ სარდინას ფრეგატმა დეპეშეში ჩამოიტანა და გენერალმა, ჩანს, საჭირო ახსნა-განმარტება მიიღო, რადგან ვიფი პერცოვი მაშინვე გაქრა. არავინ იცის, სად არის, და ვერც ვინმე ბედავს ჰკითხოს გენერალს, რადგან მისი შეცდომა აშკარაა.

— ნეტა თუ გამოჩნდა საზოგადოებაში მას შემდეგ, რაც ჯოხით ვცემე?

— ფუჰ! როცა დავრწმუნდით, თან დაშნა ჰქონდა, ყველაფერი ცხადი გახდა. მისი დანახვა აღარავის სურდა. თურმე ლავიწი ჰქონდა გატეხილი და ყბა ჩამტვრეული, მაგრამ ერთი კვირაც არ იყო გასული, მისმა უდიდებულესობამ გააძევა, შეუძლოდ კი ბრძანდებოდა. ერთადერთი, რაც კორფუზე გაიკვირვეს, თქვენი გაქცევა იყო. სამი დღე ყველას ეგონა, ბატონ დ. რ-სთან იმალებოდით და დაუფარავად კიცხავდნენ ამის გამო, სანამ გენერლის სუფრასთან ყველას ვასაგონად განაცხადებდა, არ ვატი მისი ადვილსამყოფელიო. თვით მისი უდიდებულესობა მეტად დამწუხრებული იყო თქვენი გაქცევით; მხოლოდ გუშინ,

შუადღეს გაირკვა ყველაფერი. დეკანოზმა ბულგარიმ აქაური მღვდლისგან წერილი მიიღო, სადაც იგი ჩიოდა, ვინმე იტალიელმა ოფიცერმა აქაურ დღეა კუნძული დაიპყრო და ძალადობას სწადისო. მღვდელი ბრალსა ვდებთ, რომ ყველა აქაური ქალწული შეაცდინეთ და მასაც სიკვდილით ემსჯებოდნენ. თუკი cataramonachia-ს გამოგაცხადებდათ. ეს წერილი საზოგადოების თავდასწრებით წაიკითხეს. გენერალმა ბევრი იცინა, მაგრამ დღეს, დილით თორმეტი გრენადერი გამომაყოლა და აქ გამოძეზავენა.

— ყველაფერში ქალბატონი საგრედოა დამნაშავე.
— ნამდვილად; მტკივნეულად განიცდის მოძხდარს, ურიგო არ იქნება, თუ მე და თქვენ ხვალ დილით ვესტუმრებათ.

— ხვალ დარწმუნებული ხართ, რომ პატიმრობაში არ ვიქნები?

— დიას, დარწმუნებული ვარ, რადგან ვიცი, მისი უდიდებულესობა სიტყვის კაცია.

— ეგ მეც ვიცი. მაშ, ნება მიბოძეთ, გადაგესვიით. ნაშუადამევს აქედან ერთად წავიდეთ.

— უფრო ადრე რატომ ვერ წავალი?

— იმიტომ, რომ მაშინ ციხეში მომიწევს ღამის გათევა. მინდა დღის სინათლეზე ჩავიდეთ კორფუზე? მაშინ თქვენი წარმატებაც ბრწყინვალედ გამოჩნდება.

— მერედა, აქ რვა საათი რა ვაკეთოთ?

— უპირველეს ყოვლისა, აქაურ ფერიებს ვესტუმროთ — კორფუზე ასეთ გემრიელ ქალებს ვერა ნახავთ, მერე ერთი კარგად ვივახშმოთ.

ზემდგეს ეუბრძანე, ფელუკაზე გრენადერებისთვის საღილი ვაეგზავნა, ჩვენთვის კი საუკეთესო და ხეაზრიელი ვახშამი მოემზადებინა, რადგან შუაღამით უნდა წავსულიყავით.

სახოვაგე, რაც გამაჩნდა, მას ვაჩუქე. მგზავრობისთვის აუცილებელი მცირე ნაწილი კი გემზე დავატვირთინე. ჩემს ოცდაოთხ ჯარისკაცს ერთი კვირის ხელფასი წინასწარ მივეცი და ფელუკამდე იარაღასხმულნი წამომყვებენ. ამან ჩემი მეგობარი მოელი ღამე აცინა. დილის რვა საათზე ჩავედით კორფუზე და პარდაპირ ციხეს მივადექათ. მინოტომ დამაიმედა, რომ ჩემს ბარგს დაუყოვნებლივ გაუგზავნიდა დ. რ-ს, თავად კი პატაკით ეახლებოდა გენერალს.

ბატონი ფოსკარი, გაღერის მეთაური, ერთობ ცუდად შემხვდა. ოდნავ კეთილშობილი რომ ყოფილიყო, არ აჩქარდებოდა და მაშინვე არ დამადებდა ბორკილს. თხუთმეტი წუთი რომ დაეცადა და გამომსაუბრებოდა, ამ შეურაცხყოფას ავცდებოდი. თუმცა აქაური გაგებით ბორკილი სამარცხვინო არაა და გაღერეაზე დაბძულ კატორღელებს მეტ პატივსაც სცემენ, ვიდრე ჯარისკაცებს.

მარჯვენა ფეხზე უკვე ბორკილი მედო და ახლა მეორე ფეხსაცმელს მხდინენ, როცა ბატონ ფოსკართან მისი აღმატებულების ადიუტანტა გამოცხადდა და მოიტანა ბრძანება, რომ ჩემთვის დაშნა დაებრუნებინათ და გავეთავისუფლებინეთ. ვითხოვე ნებართვა — პატივისცემა გამომეცხადებინა კუნძულის კეთილშობილი გუბერნატორისთვის, მაგრამ ადიუტანტმა თქვა, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავო.

დაუყოვნებლივ ვავემგზავრე გენერალთან და უსიტყვოდ, მდაბლად დავუხარე თავი. დიდის ამბით მირჩია, მომავალში უფრო გონივრულად მოვექცეულიყავი და სამუდამოდ დამეხსომებინა, რომ ჩემი უპირველესი მოვალეობა არჩეულ ას-

პარეზზე — მორჩილება; მთავარი კი — გონიერება და თავმდაბლობა. ამ ორი სიტყვის აზრი გავითავისე და სათანადო დასკვნები გამოვიტანე.

ბატონ დ. რ.-სთან რომ მივედი, ყველა დამხვდურის სახეზე სიხარული დავინახე, სასიამოვნო წუთები ჩემთვის ყველა განსაცდელის განსაცდელი იყო. მუდამ, იმდენად, რომ მერე თვით განსაცდელის მიზეზსაც ვერასოდეს იგრძნობ სიამოვნებას, თუ მას გასაჭირი არ უძღვის წინ და სიამოვნების ოდენობა გადატანილი ტანჯვის სიდიდეზეა დამოკიდებული. გახარებულმა ბატონმა დ. რ.-მ კიდევაც გადამკოცნა, მერე ძვირფასი ბეჭედი მაჩუქა და მითხრა, რომ სავსებით სწორად მოვიქცეა, როცა არაყის გავუმხილე ჩემი თავშესაფრის ადგილი, თვით მასაც კი.

— ვერ დაიჯერებთ, როგორ განიჯდის თქვენს ამბავს ქალბატონი ფ.-ი, — განაგრძო ღირსეულად და გულწრფელად. — უდიდეს სიამოვნებას მოჰკვრიოთ, თუ დაუყოვნებლივ ეახლებათ.

სიხარულით მოვისმინე ეს რჩევა პირადად დ. რ.-სგან, მაგრამ სიტყვამ „დაუყოვნებლივ“ დამაღონა: დამე ფელუკაზე მქონდა ვატარებული და მეგონა, ჩემი შესახედაობით შევაშინებდი ქალბატონს, მაგრამ მისულა საჭირო იყო, ჩემი გარეგნობის მიზეზს აუუხსნიდი და ამ გარემოებას ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენებდი.

ამგვარად, მივედი მასთან. ვერ კიდევ ეძინა. მოახლე ქალმა მის საბინებლამდე მიმაცილა და აღმითქვა, ქალბატონი სადაცაა დარეკავს და ბედნიერი იქნება, თქვენი მოსვლის ამბავს რომ გაიგებსო. იმ ნახევარ საათში, რაც ამ ქალიშვილს ველაპარაკე, უამრავი საუბრის შინაარსი ვადმომცა და ყველა საუბარი ჩემს გაქცევას ეხებოდა. ნათქვამმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, რამეთუ დავრწმუნდი, მთელი საზოგადოება უკლებლივ მაწონებდა საქციელს.

მოახლე ქალბატონთან შევიდა და წუთიც არ გასულა, დამიძახა. შევედი. მან მიჩივდანი გადასწია და ჩემს თვალს თითქოსდა ცვრიანა ვარდების თაიგულში მწოლიარე აეროთა წარმოუდგა. უპირველეს ყოვლისა, მოუუბოდიშე: ბატონი დ. რ.-ს ბრძანება რომ არა, ამგვარად ჩაცმული ვერასოდეს გავბედავდი მოსვლას-მეთქი. ფ.-მ მიპასუხა, ბატონმა დ. რ.-მ იცის, როგორა განსაკუთრებული ყურადღებით ვაქცევით და თვით დ. რ.-იც უდიდეს პატივს გცემთო.

— არ ვიცი, ქალბატონო, რით დავიმსახურე ესოდენ დიდი ბედნიერება. მე მხოლოდ ჩვეულებრივ გულმოწყალებაზე შემქმლო მეოცნება.

— ყველანი აღტაცებულნი დავრჩით თქვენი თავდაჭერილობით; როგორ გამონახეთ ძალა და ის ვიფი იქვე არ განგმირეთ! გაქცევით რომ არ ეშველა თავისთვის, ფანჯრიდან გადააგდებდნენ.

— ეჭვი არ გქონდეთ, ქალბატონო: თქვენ იქ რომ არ ბრძანებულყავით, უსათუოდ მოვკლავდი.

— უდავოდ სასიამოვნო ქათინაური მიითხარით, მაგრამ ძნელია დავიჯერო — იმ უსიამოვნო წამს მე რომ გავახსენდით.

ეს თქვა თუ არა, თავი დაეხარე და შევბრუნდი. ბეჭედი დამინახა და როცა გაიგო, ბატონი დ. რ.-ს ნახუქარი იყო, შეაქო იგი და მიხოვა დაწვრილებით შეამბნა, როგორ ვცხოვრობდი გაქცევის შემდეგ. ყველაფერი ზუსტად ვუამბე, ოღონდ მკერავი ქალწულების ამბავი გამოვტოვე: მას ეს თავგადასავალი არ მოეწონებოდა და არც მე შემმატებდა ღირსებას. ადამიანებთან ურთიერთობისას მუდამ უნდა იცოდეს, როდის დაუდო ზღვარი გულახდილობას. მრავალნაირი

სიმართლე არსებობს, აქედან მოსაყოლად მხოლოდ კეთილშობიანი ნაწილი უნდა აირჩიოს, დანარჩენი კი მივაწყების ფსკერზე დატოვო და არაოდეს გაამხილო.

ქალბატონმა ფ.-მ ბევრი იცინა. ჩემი საქციელი დიასაც უცნაურად მაინც და მკითხა, შევძლებდი თუ არა ეს მშვენიერი მოთხრობა სიტყვების დატყვევებით შემეორებინა გენერალ-პროვედიტორისათვის. შევპირდი, რომ აღვასრულებდი ამას, თუ თვით გენერალი მოითხოვდა. მიბრძანა, მზად ვყოფილიყავი ამ საუბრისათვის.

— მინდა გენერალმა შეგაყვაროს და თქვენი მთავარი მფარველი გახდეს, რათა მოძავალში უსამართლობას აგარიდოს, — მითხრა მან, — მუნდუო.

წავუღიძვრე მაროლისთან, რათა ჩვენი ბანკის ამბავი გამეგო. მესიამოვნა, როცა შევიტყვე, რომ ჩემი გაქცევისთანავე წილიდან გამომიყვანა. ჩემი კუთვნილი თანხის ცეხინი ავიღე და მოველაპარაკე, საჭიროებისამებრ კვლავ შევად წილში-მეთქი.

სადამო ხანს კარგად გამოვიპრანჭე და მინოტოსთან გავწიე, რათა ერთად ესტუმრებოდით ქალბატონს საგრედოს. იგი გენერლის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა და ქალბატონი ფ.-ს შემდეგ კუნძულ კორფუსზე ყველაზე ღამაში ენეციელი ქალი გახლდათ. ჩემს სტუმრობას არ ელოდა, რადგან ჩემი გაქცევის მიზეზი თვითონ იყო, და ეგონა, ნაწყენი ვიყავი. გულწრფელად ვესაუბრე და გადავარწმუნე. თავადაც განსაკუთრებული თავაზიანობით მომექცა და მიხოვა, ზოგჯერ სადამოობით ესტუმრებოდი. თავი მდაბლად დაუკარი, მაგრამ დაპატივებაზე არც „პი“ მითქვამს და არც „არა“. როგორ შემემლო მადამ საგრედოსთან სტუმრობა, როცა ქალბატონ ფ.-ის დასახანავადაც კი სძულდა. ვარდა ამისა, ამ ქალბატონს ბანკის თამაში უყვარდა, მაგრამ მხოლოდ ის მოთამაშეები მოსწონდა, ვინც აგებდა და მოგებას უადვილებდა. მინოტო ბანკის არ თამაშობდა და ამ ქალბატონის კეთილგანწყობა მერკურის¹ როლით დაიმსახურა.

შინ დაბრუნებულს სასახლეში ქალბატონი ფ.-ი დამხვდა. მარტო ბრძანდებოდა, — ბატონი დ. რ.-ი რაღაც წერილს ჩასჯდომოდა. მოხოვა, კონსტანტინოპოლური თავგადასავალი შეამბნა და არა ენანობ, რომ ეს თხოვნა შევუსრულე. იუსუფის ცოლთან ჩემი შეხვედრის ამბავმა უზომოდ გაიტაცა, ისმიალთან გატარებულმა ღამემ კი, როცა მისი საყვარლების ბანაობას ეუთვალთვალებდით, ისე ძლიერ აღაგზნო, აშკარად დავინახე, როგორ გაელვამა ენება. რაც შემემლო მიკიბულ-მოკიბულად ვლაპარაკობდა, მაგრამ ხან ბუნდოვნად თვლიდა ჩემს ნათქვამს და მოითხოვდა — გასაგებად მეთქვა ყოველივე, ხან კი, როცა ბოლოს და ბოლოს ყველაფერს ავხსნიდი, ზედმეტა პირდაპირობის გამო მსაყვედურობდა. ეჭვი არ მეპარებოდა, ამ ვზით მის კეთილგანწყობას გამოვიწვევდი. ის, ვისაც სურვილის აღძერა შეუძლია, მის დაკმაყოფილებასაც შესძლებს: სწორედ ამ ჯილდოს მიღება მეწადა და იმედს არ ვკარგავდი, თუმცა ჯერ ერთობ ბუნდოვნად მესახებოდა გამარჯვება.

¹ რომაულ მითოლოგიაში: ვაქრობის ღმერთი, ვაქრობისა და მოგზაურთა მფარველი, ღმერთების შიკრიკი (ბერძნული მითოლოგიის ჰერმესი); აქ: ეშმაკობისა და მატყლარობის სიმბოლო.

იმ დღეს ისე მოხდა, რომ ბატონმა დ. რ-მ ვახშმად დიდი საზოგადოება დაპატიჟა. მეც თავისთავად გარჯა მომიხდა: დაწვრილებით მოვიყვანიე ჩემი თავგადასავალი. ციხის უფროსი, ბატონი ფოსკარი გვერდით შეჯდა. ჩემი ნაამბობი ყველას მოეწონა და გადაწყდა, რომ გენერალ-პროვედერს დაუტყობაროყო ყოველივე ამის მოსმენით. ვთქვა, კახოპოზე ბევრე-ოფიცარე-კავშირე-ოფიცარე სულ არ არის-მეთქი და ბატონმა დ. რ-მ მირჩია, ამ წინადადებით გენერალთან გამომეჩინა თავი, რაც მეორე დღითვე შევასრულე. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, დაუყოვნებლივ გაევზავნათ გაღერები კატორღელებითურთ, რათა ბაღახი მოეთიბათ და კორფუსე გადმოეტანათ.

სამი-ოთხი დღის შემდეგ, შებინდებისას, ადიუტანტმა მინოტომ ყავახანაში მოძაკითხა და გადმომცა, რომ გენერალს ჩემთან საუბარი სურდა. ამჯერად დაუყოვნებლივ შევასრულე მისი ბრძანება.

1745. კორფუ

თავი XV

წარმატება სიყვარულში. — საბედნიერო განაკაწრი.

ერთ დღეს ქალბატონმა ფ.-მ მოახლის პირით შემომითვალა, რომ ჩემთან საუბარი სურდა. თერთმეტი საათი აყო, დაუყოვნებლივ ვეახელი და სამსახური შევთავაზე.

— დაგიბარეთ, რათა ჩემი ვალი, ორასი ცეხინი დაგიბრუნოთ, ასე კეთილშობილურად რომ მასესხეთ გაჭირვების უამს, — მოთხრა მან, — აგერაა ეს თანხა, მიიღეთ. მე კი ხელწერილი დამიბრუნეთ.

— თქვენი ხელწერილი, ქალბატონო, ჩემს განმგებლობაში აღარ არის. დაბეჭდილ კონვერტში, ნოტარიუსთან ინახება. გაცემული ქვითრის თანახმად, ნოტარიუსს უფლება აქვს ეს ხელწერილი მხოლოდ თქვენ გადმოგცეთ პირადად.

— შინ რატომ არ შეინახეთ?

— შემეშინდა, არ მოუპარათ, ან არ დამკარგოდა. არ მინდოდა, ჩემი უეცარი სიკვდილის შემთხვევაში, თქვენ გარდა ვინმეს ხელთ ჩავარდნოდა ეს საბუთი.

— თქვენი მსჯელობა ძალიან შთამბეჭდავია, თუმცა ეჭვი გამჩინდა: თვითონ ხომ არ დაიტოვეთ უფლება — გამომტაცოთ იგი ხელიდან?

— ასეთი შესაძლებლობა გამორიყნულია.

— და მაინც ამ ქვეყანაზე ათასი რამ ხდება. ხომ შეიძლება ნოტარიუსს ვთხოვო და კონვერტი აქ გამოეკავახნინო?

— რასაკვირველია, ქალბატონო, სრული უფლება გაქვთ.

ნოტარიუსს შეატყობინეს, რომ კონვერტის გამოტანა სურდათ. იგი თვითონ ეახლა ქალბატონ ფ.-ს და ანაბარი გადასცა.

ამ მშვენიერმა არსებამ ნატიფი თითებით ახსნა კონვერტს ლუქი და შიგ შავი მელნით გადაჯდაბნილი ქალაღდი იპოვა. გარდა გვარისა და სახელისა, არაფრის წაკითხვა არ შეიძლებოდა. თუ მკითხველს ახსოვს, მისი ხელისმოწერა განზრახ არ წამიშლია.

— ეს ყველაფერი, — მოთხრა, — თქვენი საქციელის კეთილშობილებასა და დახვეწილობაზე მეტყველებს, მაგრამ აღიარეთ: რატომ უნდა დავიჯერო, რომ

ქალაქის ეს ნაკლეჯი ნამდვილად ჩემი ხელმოწერილია? აქ მხოლოდ ხელმოწერას ვხედავ.

— მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, და თუ იფიქრეთ, საბუთი ვაღიბაა, მაშინ ამქვეყნად ყველაზე ცოდვალა ადამიანი მე ვყოფილვარ.

— არა, არა, გენდობათ, უფრო ამიტომაც, რომ თავად მინდა ვიხსენებოდე და ძვეროდეს. ისე კი, დამეთანხმეთ, ხატზე დაფიცება რომ დამჭირვებოდა, ხომ ვერ დავიფიცებდი, ეს ხელწერილი ნამდვილად ჩემია-მეთქი?

— გეთანხმებით.

მომდევნო დღეებში იგი სრულიად გამოიცვალა ჩემ მიმართ. საცინებელ თაახში შესვლის ნებას აღარ მრთაყდა და კარგა ხანს, გულისგაწვრილებამდე მალოდინებდა, სანამ მოახლე ჩააცმევდა და გამომიძახებდა.

რამეს თუ ვუყვებოდი, თავს ისე დაიჭერდა, თითქოს ვერაფერს იგებდა. ჩემს ანგლობაზე ან ანეკდოტებზე არც კი გაიღიმებდა და ამით თითქოს ნიშნს მაგებდა. შეიძლება ითქვას, ზედაც არ მიფურებდა და მეც ლაპარაკის მაღარ ეკარგებოდა. თუკი ბატონი დ. რ.-ი ჩემს ნათქვამზე გაიცინებდა, გაკვირვებული ეკითხებოდა, რაზე იცინით, რა იყო სასაცილო. ბატონი დ. რ.-ი მოთმინებით გაუძეორებდა ყველაფერს და მაშინღა ორიოდ სიტყვით შეაფასებდა ხოლმე მოხაყოს: „რა უგემოვნობაა!“ ან „რა უხამსობაა!“ რომელიმე სამაჯური თუ შეეხსნებოდა, უმაღვე ვცდილობდი მის შეკვრას, ალელუებისაგან ხშირად ზამბარებს ვეღარ ვაგნებდი და ისიც მაშინვე სარგებლობდა ჩემი დაბნეულობით, ცდილობდა თავიდან მოვეცილებინე, მოახლეს ეძახდა და აკურუვინებდა. იუმორის გრძნობა რომ არ მაკლდა, ყველასთვის ცხადი იყო, მაგრამ იგი თითქოს ვერ ამჩნევდა ამას. ბატონი დ. რ.-ი ზოგჯერ მოხოვდა, გასართობი ამბავი მომეყოლა და, თუკი ოდნავ შევეყოვნებოდი, ქალბატონი მაშინვე შემეკითხებოდა, რას, ზღაპრის გულა დაგიმჩატდათო? თან სიცილით დაუმატებდა: „ვეონებ, თქვენი შესაბღებლობები უკვე ამოიწურა“. გული მეთანადრებოდა, მაგრამ პასუხად ღუმელს ვარჩევდი, ვიტანჯებოდი, ვერ გამეგო, რის გამო დამატყდა თავს ასეთი რისხვა, რად აიყარა ჩემზე გული, ვუნება ვგრერიგად რად შეეცვალა?! დარწმუნებული ვიყავი, ასეთა გაღიზიანებისთვის იოტისოდენა საბაბი არ მიმიცია. და გადავწყვიტე! ერთხელაც გადავწყვიტე, არ მოვრიდებოდი და ამკარად შეჩვენებინა, გაბრაზებული რომ ვიყავი, მაგრამ რამდენჯერაც შემთხვევა მომეცა — გამბედაობა არ მეყო.

ერთ საღამოს ბატონმა დ. რ.-მ მკითხა:

— შეყვარებული რამდენჯერ იყავით?

— სამჯერ, მონსენიორ, — ვუპასუხე.

— სამივე სიყვარულს ბედნიერი დასასრული ჰქონდა?

— პირიქით, მონსენიორ, სამივე უბედური გამოდგა. პირველი ჩემი სიყვარული უპასუხო დარჩა, რადგან მღვდელი გახლდით და გამხელა ვერ ვაკებდე. მეორედ სასტიკმა და მოულოდნელმა შემთხვევამ წყევარებულთან სწორედ მაშინ გამყარა, როცა ჩემს ოცნებას ხორცი უნდა შესხმოდა. მესამედ კი სათაყვანო არსებას ჩემ მიმართ ისეთი სიბრაღული ჩაუუნერგე, სულ იმის ცდაშია, როგორმე სიყვარულისაგან განმკურნოს, ნაცვლად იმისა, ბედნიერება და ნეტარება მომანიჭოს.

— რა ჰქნა ამისთანა?

— აუღცივი გახდა.

– მესმის. იგი გაწვალებთ, თქვენ კი ყველაფერს სიბრაღულს აბრალებთ. ცდებით, ჩემო კარგო, ცდებით.

– მართლაც, – თქვა ქალბატონმა, – მხოლოდ ის ებრალებათ, ვინც უყვართ. განა შეიძლება ადამიანი დატანჯო, გააუბედურო და ამგვარად განკურნო? არა, ამ ქალს არ ჰყვარებიხართ!

– არ მინდა დავიჯერო, ქალბატონო.

– მერედა, განიკურნეთ?

– თქვენ წარმოიდგინეთ, სრულიად განვიკურნე. ახლა, როცა მას ვიხსენებ, ცივი და უგრძნობელი ვრჩები. ეს კია, გამოჯანმრთელების დრო ცოტა გამოგრძელდა.

– ვფიქრობ, იქამდე, საჩამ სხვა შეგოყვარდებოდათ?

– როგორ ბრძანეთ, სხვათ? განა არ გათხარით, ეს სიყვარული უკანასკნელი იყო-მეთქი?

გავიდა სულ რამდენიმე დღე და ბატონი დ. რ-ი ასეთ რამეს მეუბნება: ქალბატონი ფ-ი უკუნებოდ არის; თვითონ დრო არა მაქვს, რომ დავუჯდე და გავართო, ამიტომ გთხოვი, თქვენ შემცვალოთ; ვიცი, თქვენა სტუმრობა ქალბატონს ესიამოვნებაო. წავედა და ქალბატონს გავუმეორე სიტყვასიტყვით მისი მეგობრის ნათქვამი.

ქალბატონი ფ-ი დივანზე წამოწოლილიყო. არც შემოუხედავს, ისე მიპასუხა:

– ვვინებ, სიცხე მაქვს. ჩემთან ყოფნას არ დაგაძალებთ, რადგან დარწმუნებული ვარ, მოგწყინდებათ.

– თქვენ გვერდით ყოფნა არასოდეს მომწყინდება, ქალბატონო. თანაც უფლება არა მაქვს, თუ უშუალოდ თქვენი ბრძანება არ იქნა, მიგატოვოთ. ასეთი ბრძანების შემთხვევაშიც წინკარში უნდა დაურჩე, რადგან ბატონმა დ. რ-მ დამიბარა, აქ დაველოდო.

– თუ ასეა, დაბრძანდით.

მისმა მშრალმა კილომ გაძანაწყენა, მაგრამ მიყვარდა, თანაც ასე ლამაზი არასოდეს მენახა. აღბათ სიცხის ბრალი იყო, ყირმიზი კანი ნაზად აფაკლიდა და სახე იმგვარად დამშვენებოდა, თვალს ეერ უუსწორებდი. თხუთმეტი წუთი ქანდაკივით გაშეშებული და ენაჩაერდნილი შეეცქეროდი. უცებ მოახლე გამოიძახა ზარით და მოხოვა, ცოტა ხანს დამტოვეთო. ისევ რომ დამიძახეს, მკითხა, რა იქნა ნეტა თქვენა მხიარული გუნებ-განწყობაო.

– თუ მხიარული აღარა ვარ, ქალბატონო, ეს მხოლოდ თქვენი ბრალია. დამიბრუნეთ სიხალისე და ნახავთ, ჩემს მხიარულებას სახლევარი არ ექნება.

– რა უნდა გავაკეთო ამასათვის?

– კახობიდან რომ ჩამოვედი, მაშინდელივით უნდა მომექცევთ. უკვე ოთხი თვეა, აღარ მოგწონვართ. მიზეზი არ ვიცო და ამან დამამწუხრა.

– სულ არ შევეცვლილვარ. რაში მეტყობა, რომ შევიცვალე?

– ღმერთო მაღალ! ყველაფერში, გარდა გარეგნობისა. ამას წინათ მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე.

– რა გადაწყვეტილება?

– ჩუმად უნდა დავიტანჯო. არ მინდა ერთი დაწვილებითაც კი დავამცირო გრძნობა, თქვენ რომ შთამბერეთ. საძაგალითო მორჩილებით უნდა დაგამარცხოთ. მზადა ვარ ერთგულების ახალ-ახალი საბუთები გავიმყდებოთ.

– დიდად მაღლობელი ვარ. არ ვიცოდა, ჩემი მიზეზით ჩუმად თუ იტან-

ჯებოდით. ყოველთვის მაინტერესებდა თქვენთან ურთიერთობა და სიამოვნებათ ვუსმენდი თქვენს საუბარს. დასამტკიცებლად გამოვიტყდებით: ძალიან მარტოა ამ სამი სასიყვარულო ამბის გაგონება.

სასწრაფოდ შევთხზე სამი გასართობი თავგადასავალი. უზადო გრძნობებსა და ნამდვილ სიყვარულზე გავამახვილე ყურადღება, ხოლო ხორციელ-ტყუარა და ფუქსავატი სიამტკბილობა ჩრდილში მოვაქციე და სქელი რიდე ჩამოვაფარე. გუმანით მივხვდი, ასეთ ამბავს მოელოდა და ასეთი მიჯნურობა ეწადა. ჩემს თხრობაში სიყვარულის დაკვირვებებს კეთილშობილება, ხანაც მოვალეობის გრძნობა და პატიოსნება ეღობებოდა წინ. ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ ბოლო ზღვარი ჭეშმარიტ შეყვარებულს ბედნიერების განმსაზღვრელ პირობად სულაც არ ესახება. ადვილად ვამჩნევდი, ერთი მხრივ, მისი წარმოადგენა ხშირად შორდებოდა მონაყოლის ფარგლებს, მეორე მხრივ კი — ჩემი თავშეკავებულობა მოსწონდა. იმდენად კარგად ვიცნობდი, რომ მიზნის მისაღწევად უტყუარი ვზამქონდა არჩეული. ყველაზე მეტად მესამე სიყვარულის ბედი აინტერესებდა, იმ ქალისა, ვისაც ვებრალებოდა და ჩემი სიყვარულისაგან განკურნება განეზრახა.

— თუკი უყვარხართ, — მითხრა, — იქნებ სულაც არ უფიქრია თქვენი განკურნება, ეგებ საკუთარი სიყვარულისგან თავის დაღწევას ცდილობდა.

ერთ დღეს კი აი, რა მითხრა:

— აჰ! გაიგებდით ალბათ, ჩვენი ადოლტანტი გარდაიცვალა. ახლა მისი შემცვლელი უნდა ვეძიოთ. ჩემს ქმარს, ბატონი დ. რ-სა არ იცოს, ძალიან უყვარხართ, ამიტომ, როცა ეს საკითხი წამოიჭრა, თქვენზე იფიქრა. დ. რ-მ თქვა, თვითონ გადაწყვიტოსო, ასიც მითხრა, პირადად თქვენ თუ სხვით, უარს არ ატყვისო. მართლა ასეა? ხომ არ ცდებოდა? თუ თანახმა ხართ, ახლავე განკურნებთ თქვენს ოთახს.

ეს ოთახი მისი საძინებლის პირდაპირ მდებარეობდა და ფანჯარასთან მისულაც არ იყო საჭირო, ხელისგულზე ჩანდა, რაც შიგ ხდებოდა.

დმერთო, რა არის სიყვარული?! ამ საკითხზე ანტიკურობის ბევრი ლათაია წამიკითხავს, თანამედროვეთა ტყუილ-მართალსაც გავცნობივარ, მაგრამ არც წაკითხული და არც ის, რაც თავად მიფიქრია ჯეელობისას თუ სიბერეში, ვერ დამარწმუნებს, რომ სიყვარული წვრილმანია და ამოიება. იგი სიგიჟის სახეობაა, დიახ, სიგიჟისა და ყოველი ჯურის ფილოსოფია უძღურია ამ სიგიჟესთან. იგი ავადმყოფობაა, რომელიც ადამიანს შიშობს ყოველ ასაკში შეყვაროს და მოურჩენელ სენად იქცევა, თუ მისი მსხვერპლი მოხუცია. სიყვარული ცოცხალი არსებაა, — გრძნობათა დაუშრობელი მორევი! ბუნების დმერთია! ტკბილი სიმწარეა, უღმობელი სიმწარე! სიყვარული! მომხიბვლელი ურჩხული! ვერავინ მოვაშთობს და ერთადერთი ხარ, ცხოვრებისეულ ათას გასაჭირში სიამოვნებასა და სიხარულს რომ თესავ! უშენოდ არსებობა და არარსებობა ერთმანეთში იქნებოდა გათქვეფილი!

ერთ დღეს მოახლე ქალი ქალბატონი ფ-ს გრძელი და ფაფუკი თმის ბოლოებს კვეცდა. იქ ვიყავი და ლამაზი კულულების შეგროვებით ვერთობოდი. ვაგროვებდი და ტუალეტის მაგიდაზე ვახვავებდი. ერთი კულული უჩუმრად ჯიბეში ჩავიდე, მკგონა, ვერავინ შეამჩნევდა. მარტონი დავრჩით თუ არა, ქალბატონმა ფ-მ სიმკაცრეგარეული ტკბილი ხმით მიბრძანა, ჯიბეში შენახული თმა ამომეღო. თავისთავად უსამართლო და უადგილო სიმკაცრეს აღარ დავუძე-

ბდი, უფრო სისასტიკემ და უღმობლობამ შემძრა. დავეძორხილე, მაგრამ შეურაცხყოფილმა და განაწყენებულმა თმა მაგიდაზე უხეშად მივეკვდე.

— ხომ არ გავიწყდებათ, ბატონო, სად იმყოფებით?

— არა, მაგრამ თქვენ, ქალბატონო, შეგეძლიათ არ შეგემჩნიათ ეს უცოდველი წვრილმანა ქურდობა.

— უნდა გრცხვენოდეთ თქვენი საქციელის.

მშვენიერი ბაგეები მომიახლოვა, ჩემსას დააწება და იქამდე არ მოუშორებია, სანამ სუნთქვა არ შემეკრა. მოხლეკვებული გრძნობებისა და მადლიერებისაგან თვალცრემლიანმა ვუთხარი, ყველაფერს ვადიარებ, თუ პირობას მომცემთ და დანაშაულს მაპატიებთ-მეთქი.

— რა დანაშაულს? განგებ მაშინებით? ვაპატიებთ, აუცილებლად ვაპატიებთ, ოღონდ ჩქარა მომიყვით, ყველაფერი!

— არაფერს დაგიძალავთ. ბრილის ლარნაკში ჩაყრილ დრაჟეში თქვენი დაფქული თმა იყო შერეული. შეხედეთ ამ სამაჯურს, ზედ ორივეს ანიციალები თქვენი თმითაა ამოქარგული და აი, კასერზე თასმა რომ შემომხვევია, ისიც თქვენი თმისგანაა დაწნული. ამ თასმით თავს დაეხრჩობ, როცა აღარ გეყვარებით. ესაა ჩემი დანაშაული და ღმერთია მოწამე, ამ ცოდვას არ დაუიღებდი, ვაგაფებამდე რომ არ მივევარდეთ!

გაიცინა, ფეხზე წამომაყენა და მითხრა, მართლაც ბოროტმოქმედი ყოფილხართო. ცრემლები შემომშრალა და დამარწმუნა, რომ თავის დახრჩობა არასოდეს დამჭირდებოდა.

ამ საუბრის შემდეგ ჩემი ღვთაება კოცნით მატკობდა. ბაგეთა მისთა ნექტარს ესვამდი და დიდი გაჭირვებით ვცდილობდი, არ გამემყლაუნებინა ჩემი საბრალოსი მდგომარეობა. აღვხსებულს რომ მხედავდა, თვითონაც ცეცხლი ეღებოდა, მე კი ხელ იმის ცდაში ვიყავი, არაფერი შეემჩნია.

— კი მაგრამ, როგორ შეგიძლიათ, — მკითხა ერთ დღეს, — ასე თავშეკავებულად იქცვოდეთ?

— იმ ნექტარი ამბორის შემდეგ, თქვენი ნებით რომ მომანიჭეთ, ყავრძენა, უნდა დაველოდო იმ წუთს, როდესაც გული გაბიძგებთ და ჩემთან სიახლოვეს მოგანდობებთ. ვერც წარმოიდგენთ, როგორ გამაბედნიერა იმ ერთმა კოცნამ!

— უმაღურო, ვითომ რატომ ვერ წარმოვიდგენ? ჩვენ ორში ვინ იყო მითავე ამ სიახლოვნებისა?

— არც თქვენ, არც მე, სათაყვანებლო ქალი! ეს ნაზი და ტკბილი ამბორი სიყვარულის პირში იყო.

— მართალია, ჩემი მეგობარო, და იცოდეთ, სიყვარულის სიგანძური უღვევია. ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, ჩვენი ბაგეები გააფთრებით დააცხრა ერთმანეთს. მკერდზე ისე ძლიერად მომეკრა, ხელი ვეღარ გავანძრიე, მეტი ნექტარებით რომ მესარგებლა. ამ მშვენიერი შეჭიდების შემდეგ ვკითხე, განა სიყვარული მხოლოდ ამბორით შემოიფარგლება-მეთქი?

— დიახ, ჩემო მეგობარო, მეტი არაფერია საჭირო. სიყვარული ისეთი ბავშვია, აღერსით რომ უნდა დაამშვიდო. გაძლიერებული კვება ავნებს და შეიძლება მოაკვდინოს კიდეც.

— ეს ყველაფერი თქვენზე უკეთ ვიცი... მას ძირითადი, არსებითი საკვები ესაჭიროება და, როცა უარს ეუბნებიან — ჩამოხმება. ნუ მომისპობთ სანუკვარ იმედს.



— თუკი ხელს გაძლევთ ეს იმედი, გქონდეთ, არ ვიშლით.

— აბა, რა უნდა ვქნა იმედის გარეშე?! მჯერა და ვიცი, გული გაქვს და უგულოდ არ მომექცევით.

— მართლა, გულზე მომაგონდა: გახსოვთ ის დღე, გაბრაზებულმა რომ ბრძანეთ თითქოს მხოლოდ გონებით ვხელმძღვანელობდე, და გვერდით დიდად შეურაცხყოფდით. ბევრი ვიცინე, როცა თქვენს ნათქვამს კარგად ჩავუკვირდი! დიახ, ჩემო მეგობარო, გული მაქვს და, რომ არ მქონოდა, ახლა ბედნიერიც არ ვიქნებოდი. შევინარჩუნეთ ჩვენი ახლანდელი ბედნიერება, ვეცადოთ დავტკბეთ იმით, რაც გვაქვს, და ზედმეტს ნუ მოვიწადინებთ.

ამ კანონს დავექვემდებარე და სიყვარულმა უფრო შემიბყრო. იმედი მქონდა, დროთა ვითარებაში ბუნება გაიმარჯვებდა, წინასწარი ვარაუდი გვერდზე დაგვრჩებოდა და ყოველივე ბედნიერად დასრულდებოდა. მაგრამ, ბუნების კანონებს ვარდა, ბედმაც გამიმარათლა. ამას კი ერთ საუაღლო შემთხვევას უნდა ვუმაღლოდე.

ერთ დღეს ჩემი ქალბატონი, ბატონი დ. რ.-ს მკლავს დაყრდნობილი, ბაღში სეირნობდა. უცებ ასკილის ბუჩქს გამოელა და ეკალმა ღრმად გაუკაწრა წვივა. ბატონი დ. რ.-ი ცხვირსახოცით ცდილობდა სისხლის შეჩერებას, მაგრამ ამაოდ, სისხლი ღვარად სდიოდა. იძულებული შეიქმნენ, ტახტრევანზე დაესვენებინათ და ისე შეეყვანათ შინ.

კორფუზე ჭრილობა საშიშია, რადგან კარგი მკურნალობა არაყინ იცის და ავადმყოფი უყურადღებოდაა მიტოვებული. ქალბატონი ფ.-ი ლოგინში უნდა წოლილიყო. ჩემი ბედნიერი სამსახური მაიძულებდა, მის ბრძანებებს დავლოდებოდი. ამგვარად, ყოველ წუთს ვხედავდი. პირველ სამ დღეს მოუთავებლად მოდიოდნენ მნახველები და მარტონი წუთითაც არ დავრჩენილვართ.

ერთ საღამოს, როცა ყველანი, და მათ შორის ქმარიც, მისი ოთახიდან გამოვიდნენ, ბატონი დ. რ.-ი კიდევ ერთი საათი დარჩა. უკვე თავაზიანობა მოითხოვდა, მეც გავსულიყავი, როცა ბატონი დ. რ.-ი წამოდგა და წაბრძანდა, ნაღველგარეული მხიარულებით ვუთხარი ქალს, რომ მის ავადმყოფობამდე მეც ბევრად უკეთ ვგრძნობდი თავს.

მეორე დღეს ბედნიერი წუთი მომანიჭა და მეც უბედურად აღარ მიგრძნია თავი.

ყოველ გამთენიას ერთი ბებრუხანა ექიმი აკათხავდა ხოლმე, რომ ჭრილობა შეეხვია. იმ დღეს მოახლემ მითხრა, რომ მეც უნდა დავსწრებოდი შეხვევას.

— შეხედეთ, გთხოვთ, — მითხრა ქალბატონმა. — სიწითლემ თუ იკლო?

— ამაზე პასუხს შეუძლებდი, ქალბატონო, თქვენი ჭრილობა გუშინ რომ შენახა.

— მართალი ხართ. ტკივილი მაწუხებს და წითელი ქარისა შემინია.

— ნუ გეშინიათ, ქალბატონო, — უთხრა ექიმმა, — ლოგინიდან ნუ აღვებით და აუცილებლად მოვარჩენთ.

ქარურგი ფანჯარასთან ცხელ საფენებს ამზადებდა, ხოლო მოახლე ოთახიდან გასულიყო. ვკითხე, კუნთი ხომ არ გაგიმაგრდათ და სიწითლე ზოლად ხომ არ ასულა-მეთქი. ბუნებრივია, ამ შეკითხვას ხელიცა და თვალიც მივაშველე. არც გამაგრება მქონია და არც სიწითლე და უცებ... მინახებულმა სწრაფად ჩამოწია ფარდა, გამიცინა და ნახად მაკოცა. მისი ამბორის სიტყბო უკვე ოთხი დღეა, არ მეგემა.

— როგორ გვინათ, ჩემს სულში დაბუღებულმა რა ბიროტეტამ ჩამადენინა ასეთი ბავშვური ქურდობა?

— ბიროტეტამ არა, მაგრამ სასიკეთოსაც ვერაფერს გამხსნევთ. ნება არა გაქვთ, ბრმა გრძნობებს აპყვეთ.

— ამ გრძნობებს, შეგიძლიათ, არ უპასუხოთ, ქალბატონმა მხოლოდ სიმძულვილისა და ამპარტოვნის გამო შეგიძლიათ სიყვარულზე ამიკრწალოთ. გული რომ გქონოდათ, ქედმღვობისა და ღვარძლის ტყვეობაში არ აღმოჩნდებოდით. მუდამ გონებით მოქმედებთ, თქვენი გონება კი ბიროტია, ვინაიდან ჩემს დამცურებას ისახავს მიზნად. ჩემი საიდუმლო იცით და სურვილსამებრ შეგიძლიათ გამოიყენოთ, მე კი სამაგიეროდ უკეთ ვაგვიცანით. დღეიდან შეცოდინება, კისთან მქონია სეჭმე და ეს ცოდნა გამხელავ საიდუმლოზე უფრო ძვირფასია, რადგან აღბათ, ქკუას მასწავლის.

ესა ვთქვა და ოთახიდან გავედარი. სადილად და ეახშმად არ გავსულვარ. ავადმყოფობა მოვიძინეზე.

თერთმეტი საათი იქნებოდა, ქალბატონი ფ-ი და მისი მეგობარი ბატონი დ. რ-ი ჩემს ოთახში რომ შემოვიდნენ. ქალბატონი საწოლთან მოვიდა და მითხრა:

— რა დაგეძართათ, ჩემო საბრალი კახანოვა.

— ძალთან მტკივა თავი, ქალბატონო, მაგრამ აღბათ ხვალამდე გამივლის.

— რად უნდა ველოდოთ ხვალინდელ დღეს? ახლავე უნდა ვიწამლოთ. თქვენთვის ბულიონი და ორი ახალი კვერცხი შევუკვეთე.

— გმადლობთ, ქალბატონო, ჭამა არ მინდა. მხოლოდ დიეტა თუ მიშველის.

— მართალია, — თქვა ბატონმა დ. რ-მ, — მეც მქონია ასეთი თავისტკივილი.

ბატონი დ. რ-ი კედელზე ჩამოკიდებულ გრაფიურას ათვალიერებდა. ქალბატონმა ფ-მ ხელი ჩამჭიდა და განაცხადა, ბედნიერი ვიქნები, ბულიონს თუ დალევით. როცა გამშორდა, ხელში რაღაც შეკვრა ჩამიტოვა. თვითონ ბატონ დ. რ-ს მიუახლოვდა და გრაფიურას შეაცქერდა.

გავხსენი შეკვრა და ო, ღმერთო ძალალო, შიგ თმის კულული იყო. სასწრაფოდ საბნის ქვეშ დაუძალე. სისხლმა ასე ძლიერად ამასხა ტვინში, რომ წამოვიძახე, წყალი მომიტანეთ-მეთქი. ერთად მოცვივდნენ და, ასე აღმოდებული რომ დამინახეს, შეეშინდათ, რადგან სულ ერთი წუთის წინათ ფერმკრთალი და ვაცრეცილი, უსივოცხლოდ ვხვებე ბაღამზე. ქალბატონმა ფ-მ წყალში კარმელების¹ ჩაყენი ჩაახსა და დამალეუნა. წუთსაც არ გაუვლია, საშინელი ღებინება დამეწყო, ცოტა ხნის შემდეგ კი უკეთესად გავხდა და საჭმელი მოვითხოვე, ქალბატონი ფ-ი ილიძებოდა. მოახლემ ბულიონი და კვერცხი შემოიტანა, შეეჭამე და მერე სტუმრებს პანდოლიფინის თაევგადასავალი მოვუყევი. ბატონმა დ.-მ სასწაულად მიიჩნია ჩემი უცაბედი გამოჯანმრთელება, მე კი სათაყვანებელი ქალის სახეზე სიყვარულის, მეგობრობის და მონანიების გრძნობას ვხედავდი.

გუშინდელი სიმუნწის გასაბათილებლად, როცა პაწაწინა კულული წამართვა, იმოდენა თმა მოექტრა, ვრთ ნაწნავს ეყოფოდა. ვფიქრობდი, რა უნდა მექ-

¹ კარმელების რელიგიური ორდენი. დაარსდა პალესტინაში მე-12 სუკენეში, საფრანგეთში ლუი IX-ის დროიდან არსებობს. კარმელებია ჩაყენს პანეურნალიოდ იყენებდნენ.

ნა ამ განძისთვის. ბოლოს ერთ ებრაელ მეშაქარლამესთან მივედი. ვიცოდი, მისი ქალიშვილი კარგად ქარგავდა. მწვანე ატლასის სამაჯური შევაკვრინე და ზედ ჩემი სატრფოს თმით ოთხი ასო, ორივეს ინიციალები, ამოვაქარგვინე. დანარჩენი თმით წვრილი თასმა დავაწვნიე. ერთი ბოლო მაგარი შავი ზონის დავაამაგრებინე და ბაფთად გავაკვრევეინე. თუ სიყვარული უიძულებოდა, ეს ზონარი თავის დასახრჩობად გამომადგებოდა. თმის თასმა კისერზე ძეწკვივით ჩამოვიკიდე. ქვირფასი საჩუქრის ერთი ღერიც არ მინდოდა დამეკარგა. თმის მონარჩენები ჯერ დავაფქვევეინე და შემდეგ კონდიტერს ვთხოვე, შაქარი, ვანილი, ლიმანჭელა, დაფხვილი ამბრი, ალკერშესის ნაყენი¹ დაემატებინა და საკანფეტე მასალა გაემზადებინა. დაველოდე, სანამ ნარევი შედედებოდა და დრაჟე გამაგრდებოდა. მეორე წყება ასეთივე დრაჟე გავაკეთებინე, ოღონდ უთმიოდ. პირველები მთის ბროლის მშვენიერ ღარნაკში მოვათავსე, მეორენი კი — სადაფის კოლოფში.

ჩემი ტკბილეული დიდი წარმატებით სარგებლობდა. ქალბატონ ფ-ს დრაჟე ძალიან მოსწონდა და საქვეყნოდ აცხადებდა, სამკურნალო თვისებები აქვსო. თუმცა მისი შემადგენლობის საიდუმლოს არ შეკითხებოდა. რაკილა თავი ავტორის სატრფოდ მიაჩნდა, იცოდა, როგორც კი მთისურებდა, სახუკვარი რეცეპტი ხელთ ექნებოდა. ერთხელაც შეამჩნია, რომ ჩართხს მხოლოდ სადაფის კოლოფიდან ვთავაზობდი ყველას, თვითონ კი — ბროლის ღარნაკიდან მივირთმევი. მიზეზი მკითხა. დაუფიქრებლად მივუგე, ჩემი დრაჟე თქვენდამი სიყვარულს მიასკვცებს-მეთქი.

— ეგეთი რამეების არ მჯერა. რასაც მე ვჭამ, მართლა განსხვავდება თქვენი დრაჟესაგან?

— თითქმის არა, მაგრამ ჩემსაში ერთი ისეთი განსხვავებული შემადგენლობაა, თქვენს სიყვარულს რომ მიძლიერებს.

- მითხარით, რა შემადგენლობაა ასეთი?
- ეს საიდუმლოა და გამხელა არ შემიძლია.
- აღარასოდეს შევჭამ თქვენს დრაჟეს.

წამოდგა, დრაჟეება თავისა ღარნაკიდან გადაყარა და შავ სათამაშო ეშმაკუნები ჩაყარა. გამებუტა და მომდუნო დღეებში ჩემთან მარტო დარჩენას ერიდებოდა. დაელონდი, დავდარდიანდი, მაგრამ მაინც ვერ გავბედე შეთქვა, რომ მის თმას ვჭამდი.

- ხუთი დღის შემდეგ უცებ მკითხა, უგუნებოდ რატომ ხართ?
- იმიტომ, რომ ჩემს დრაჟეს აღარ მიირთმევთ.
- თქვენ თქვენი საიდუმლოს პატრონი ხართ, მე კი, რასაც მინდა, იმას შევჭამ.

— აი, თურმე რა მოვიგე ჩემი გულახდილობით! — წამოვიძახე, ბროლის ღარნაკი გავხსენი და ყველა დრაჟე, ერთიანად, პირში ჩავიყარე. — ერთხელაც რომ ჩავყლაპო ასეთი დოზა, სიყვარულით გავიყებოდა თქვენ თვალწინ მოვკვდები. ასეთი ფასი ექნება ჩემს თავშეკაცებას, თქვენი შურისგების მოთხოვნა კი სრულად დაკმაყოფილდება!

მათხრა, გვერდით მომიჯექითო, და მოხოვა, აღარ ჩამდინა სისულელეები, მისთვის გული აღარ დამესევდიაანებანა. უნდა აცოდეთ, რომ მიყვარხართ.

¹ ალკერშესის ნაყენი — წითელი ფერის სასიამოვნო და ამგზნები სითხე.

მაგრამ ისიც უნდა გესმოდეთ, არ ბჯერა, თითქოს დრავეს რაღაც ჯადოსნური თვისებება ჰქონდესო. ჩემი სიყვარულის მოსაპოვებლად სხვისი დახმარება რად გჭირდებათ, ახლავე, ამწუთას დაგიმტკიცებთ, თუ როგორ ცდებითო.

ო, სიყვარულის გაშმაგებაჲ და მომხიბვლელი ნეტარებაჲ! ტუჩებიდან ჭრილობამდე ჩავკოცნე, იმ წუთში ღრმად მწამდა, რომ ჩემი ცოცხალი განკურნების საუკეთესო საშუალება იყო. არ დავცხრებოდი, მოახლე რომ არ შემოსულიყო.

მერე, მასთან მარტო დარჩენილმა და სურვილისგან დაფერულილმა, შევეძუდარე: ჩემს თვალს მაინც მაინიჭეთ-მეთქი ბედნიერება.

– შეურაცხყოფილი ვარ, – ვუთხარი, – როცა ვფიქრობ, რომ ბედნიერება, რომლითაც ვტკბები, უკვე სხვამ მოიპარა.

– იქნებ სცდები?

მეორე დღეს ისევ ვესწრებოდი შეხვევას. ქირურგი წავიდა თუ არა, მოხოვა, ბალიშები გამისწორეთ, რაც წამსვე შევასრულე. მან კი, თითქოს ამ სასიამოვნო საქმის გასაადვილებლად, საბანი ასწია, იდაყვს დაეყრდნო და ამგვარად დამანახა საოცრება, რამაც ჩემი თვალები დაატკბო. არ ვჩქარობდი საქმის დამთავრებას და არც მას უთქვამს, რა ნელა ირჯებიო.

ბალიშები რომ გავასწორე, მეტიც ატანა ველარ შევძელი და დამაბულობით ძალაგამოცლილი, საწოლთან მდგარ სავარძელში ჩავემხე. შევცქეროდი მომაჯადოებელ არსებას, დაუფარავი ხელოვნებით სულ ახალ-ახალ სიამოვნებას რომ მანიჭებდა, მაგრამ ბოლომდე არახიდეს მისულა.

– რაზე ფიქრობთ? – მკითხა.

– უმაღლეს ნეტარებაზე, ახლახან რომ შევიგრძენი.

– რა უმოწყალო კაცი ხართ!

– არა, არა ვარ უმოწყალო! თუ ვიყვარვართ, არ უნდა წითლდებოდეთ, როცა გულმოწყალებდ იტყვიან, ისიც უნდა გაითვალისწინოთ, თავდავიწყებით შესაყვარებლად სულაც არ არის საჭირო დავიჯერო, თითქოს შემთხვევით დავტკბი მშვენიერი სანახაობით. ეს თუ უნებლიეთ მოხდა, შემძლია დავასკვნა, რომ ჩემს ადვილზე ყველა მაბაკაცს იგივე ბედნიერება ხვდებოდა წილად. ეს ამ დილით გავიგე, როდეს ბედნიერი შეიძლება ვიყო თუხდაც ერთი შეგონების ორგანოს წყალობით. განა თქვენ ჩემს თვალებზე ხართ ნაწყენი?

– დიახ!

– ისინი თქვენ გეკუთვნით, ამომართეთ!

მომდევნო დილით, ექიმის წასვლის შემდეგ, ქალმა მოახლე საყიდლებზე გაგზავნა!

– თქმ! – წამოიძახა, რამდენიმე წუთი რომ გავიდა, – მოახლეს ჩემი პერანგის მოწოდება დაავიწყდა!

– რას იზამთ?! ახლა იმით უნდა დაკმაყოფილდეთ, რომ მე შევცვლი თქვენს მოახლეს!

– კარგი, მაგრამ იცოდეთ, შენს თვალებს არ ვაძლევ უფლებას, მინაწილეობა მიიღონ მოახლის საქმეში.

– თანახმა ვარ.

ზონრები შეიხსნა, კორსეტი და პერანგი გაიძრო და მოხოვა, დაუყოვნებლივ მიმეწოდებინა თუთრის პერანგი. არ ვიძროდი, რადგან სანახაობამ საოცრად გამიტაცა.

- რას უდგახარ? მომაწოდე! – მიბრბანა, – აგერ დევს, პატარა მაგიდაზე.
- სად?
- საწოლის ფეხთან. ახლავე თვითონ მივწვდები.



მაგიდისკენ გადაახარა და თითქმის მოღიახდ გამოაჩინა საწოდებელი მაგიდა. ხელა უკან გადმოიხსიჯა და პერანგი მომაწოდა. ისე ვცახცახებდნენ ჩემს სწრაფ კო გამოუართვი. შევებრაღე და ჩემმა ხელებმა თვალების ბედნიერება გაინაწილეს. მკლავებში ჩავუვარდი, ჩვენა ტუჩები შეერთდა. ავხორცი აღერსი ვერ აკმაყოფილებდა ხასიყვარულს სურვილს, მხოლოდ წუთიერად ატყუებდა მას.

ჩვეულებრივ, ასე ხდება ანდაგვარ ვითარებაში, ქალები უკეთ უღობენ ხოლმე საკუთარ თავს. ფ-მ ნება მომცა ტაძრის კარიბჭე გადამელახა, ხოლო სამსხვერპლოში შესასვლელი ჩემთვის დახურული აღმოჩნდა.

1745 წ.

კორუზა

თავი XVI

უბედურება თავს დამატყდა და დამტანჯა. მინავლებული სიყვარული. კორფუდან ვენეციას მივემგზავრები.

მადამ ფ-ს ჭრილობა მოუშუშდა, უკვე გრძნობდი იმ დროის მოახლოვებას, როცა საწოლიდან წამოდგებოდა და ძველ ჩვევებს გაიხსენებდა.

გალერების მეთაურმა გუინში გენერალური დათვალიერება დანიშნა და ბატონი ფ.-ი იქ წავადა, მე კი ბრძანება დამიტოვა – მეორე დღეს, დილაადრიან ფელუკით დავწყოდი. ასე რომ, ქალბატონ ფ.-სთან განმარტოებული ვვახშობდი, თან ვწუწუნებდი, ხვალ მთელი დღე ვერა ვნახავ-მეთქი.

– ხვალინდელი დღის შურა ამაღამ ვიძიოთ, – მოთხრა მან, – ვისაუბროთ. აიღეთ გასაღები და, როცა დაინახავთ, რომ მოახლე წავიდა, ჩემი ქმრის ოთახი გამოიარეთ და მიდით.

ისე მოვიქეცი, როგორც დამარიგა, და აი, ერთმანეთის პარისპირ აღმოჩნდით. წინ ხუთი საათი გვექონდა. ივნისის თვე იყო და საშინლად ცხელოდა. დაწოლილი დამხვდა. წამსვე მკლავებში მოვიმწყვდი და მანაც მკრეღზე მიმიკრა. საკუთარ თავს ზღუდავდა და ამიტომ მიანხდა, რომ მეც უდრტკინველად უნდა ამეტანა აკრძალვა. ჩემმა ხეწნა-მუდარამ შედეგი არ გამოიღო.

– საჭიროა, – თქვა მან, – სიყვარული სადავით დაიჭირო და თან მზიარულად გაატარო დრო. თუმცა გრძნობებს მკაცრი ზღვარი დაუდგომ, სურვილებს მაინც ვაკმაყოფილებთ.

ექსტაზის შემდეგ ერთდროულად ვავახილეთ თვალი. ერთმანეთს დაშორებულნი, სიამოვნებით ვხედავდით, როგორ გვიბრწყინავდა სახეები, როცა ერთმანეთს ვაკმაყოფილებდით.

ისევ აღვიგზენით, შემომხვდა და, ჩემი მდგომარეობა რომ დაინახა, ჯერ თითქოს გაწყრა, მერე კი მოიშორა ყველაფერი, რაც სიცხეს მატებდა, სიამოვნებას კი აკლებდა, და გაშიშვლებული მეცა სააღერსოდ.

იმაზე უფრო მეტის მოწმე გავხდი, რასაც გაშმაგებულ სიყვარულს ეძახიან.

თითქოს გაცოფდა და მეც მასთან ერთად გავინაწილე ეს ციებ-ცხელება. გაგი-
ყებით ვჭმუჭნიდი მის სხეულს და ბედნიერებამ ლამის გამოცამტვერა მაგრამ,
როცა მთავარი საჩუქარი უნდა მიმეღო, გადმომაგლო, წამოხტა და გაიქცა. მე-
რე დაბრუნდა და ნახი ხელით, მე რომ ყიხულად მეჩვენებოდა, გამაბედ-
ნიერა.

ბიზლიჩისეკა

— ჩემო უღმობელი მეგობარო! — აღმომხდა, — აღმოდებული ხარ და
იკრძალაე წამალს, რომელიც დაგამშვადებს. შენი ხელი უფრო კეთილია ვიდრე
შენა ხარ. შენ ვერ განაცადე ნეტარება, მე რომ შერგო. სიყვარული აორმაგებს
ჩემს არსებობას იმ იმედით, რომ კიდევ მოვკვდები ლამაზ ციხეში, საიდანაც
ბედნიერების წუთს გამოძევენე!

სიჩუმე ჩამოვარდა; ეს ბუნების საწინააღმდეგო ტკბობა იყო და ამიტომაც
არ იყო სრულყოფილი. ჩემი მდგომარეობა მადარდიანებდა და ამავე დროს ორ-
მაგად აღმაგზნებდა.

— რატომ წუწუნებ? — მეუბნებოდა მეზნებარედ, — იმიტომ, რომ დაუკმა-
ყოფილებლობას ვიხანგრძლივებთ? რამდენიმე წუთის წინათ მიყვარდი, ახლა
კი ასჯერ მეტად მიყვარხარ და შენც ასე კარგად არ მომეყვარებოდი, საწადე-
ლისთვის რომ მაგელწია!

— ო, რა დიდაა შენა შეცდომა, მშენიერი მეგობარო! შენ სიტყვებით
ტკბები და არაფრად აგდებ რეალობას. მხოლოდ ბუნებას შეუძლია ჭეშმარიტი
სიამოვნება მოგანაჭოს. სურვილა, უსასრულოდ რომ წარმოიშობა და არასო-
დეს ეღირსება დაკმაყოფილებას, ისეთივე მწარეა, როგორც ჯოჯოხეთის ტანჯვა.

— განა სურვილი, თუკი მას იმედი ახლავს, ბედნიერება არ არის?

— არა, რადგან იგი მუდმივად გაცრუებული იმედია, რაც უფრო დიდია
სურვილა, მით მეტია იმედგაცრუებული გულის გატეხვა.

— ჩემო მეგობარო! თუ ჯოჯოხეთში იმედი არ არსებობს, არც სურვილი
უნდა არსებობდეს, რადგან სურვილა იმედის გარეშე — ხისულელეა.

— მაშ, მაპასუხე: თუ მართლა განდა მოლიანად ჩემი გახდე და ამით
იმედს კვებავ, რატომ ხდება, წინ რომ ეღობები შენსავე იმედს? გეყოფა, ჩემო
ღვთაებრივო მეგობარო, შეწყვიტე საკუთარი თავის სიფისტური მსჯელობით
შთაგონება. ვაჟთ ბედნიერი იმდენად, როგორც ეს ბუნებას სურს. უნდა გვჯე-
როდეს, რეალური ბედნიერება გაზრდის ჩვენს სიყვარულს და სიყვარული ისევ
და ისევ დაიბადება ნეტარებისგან.

— გაყურებ და ერწმუნდები, ყველაფერი პირიქითაა: შენ ახლა ცოცხლობ
და, სურვილს რომ დაიკმაყოფილებ, უსიცოცხლო და უმოძრაო გახდები. სა-
სურველი ბედნიერების შემდეგ შენი ცხოვრება უანტერესო გახდებოდა.

— ო, ჩემო მშენიერი ქალბატონო! შენს გამოცდილებას შეცდომაში შეჭ-
ყავხარ. ნუ ენდობი მას. ვხედავ, არასოდეს არავინ კვარებია. ის, რაც სიყ-
ვარულის სამარედ მიგანჩია, — ტაძარია, სადაც სიყვარული იბადება, ცოცხ-
ლობს და უკვდავებას იძენს. შეისმინე ჩემი ვედრება და გაიგებ, რა სხვაობა-
ცაა სურვილის დაოკებასა და ვნებას შორის. ნახავ, უმანკოება კვდება, რათა
სიცოცხლე განიშოროს, ვნება კი, პირიქით, კვდება სიამოვნებისთვის და ხე-
ლახლა გაცოცხლებას ცდილობს, რათა არსებობით დატკბეს. გამოფხიზლდი და
ირწმუნე: კმაყოფილება აორმაგებს მოსიყვარულე გულის სინაზეს!

— მინდა დაგიჯერო, მაგრამ ნუ ვაჩქარებთ. მანამ კი ალერსით დავტკბეთ

და ვისარგებლოთ ყველა უფლებით, საწადელს წინ რომ უსწრებს. თუ ეს დამე მოკლუ გეჩვენა, გული ხვალ მოიხუე, მოძღვენო პაემანზე ვიზრუნო.

— ჩვენი ურთიერთობა თუ გამყლავნდა?

— განა რაძეს ვძალავთ? მთელ ქვეყანას შეუძლია ჩახოს, ერთმანეთი რომ გვიყვარს! სწორედ მათი უნდა გვეძახოდეს, ვისაც პკონია, ბედნიერება, ერთი ანო, ნუ ავიცილებთ ფათერაკს, რაც ჩვენს სიყვარულს შეიძლება მოჰყვეს... ზეცა და ბუნება ბოლოს ჩვენს მხარეს დადგება და დაიფარავს ჩვენს სიყვარულს; თუ ორ გულს ასე ნახად უყვარს ერთმანეთი, არ შეიძლება ეს დანაშაული იყოს. რაც თავს ვიცნობ, ღმერთად სიყვარული მიმანია. ყოველთვის, როცა მაშაკაცს ვხედავდი, მიხაროდა და, მეგონა — ჩემს ნახევარს ვუცქეროდი, მეგონა — მისთვის ვიყავი შექმნილი, ის კი ჩემთვის. სიყვარულზე წარმოდგენა არ მქონდა, მაგრამ მეგონა, იგი ბუნებრივად მომემადლებოდა გათხოვების შემდეგ. წარმოიღვინე ჩემი გაოცება, როცა ქმარმა მხოლოდ ტკივილი მომაყენა და სიამოვნებაზე არც კი მიმანიშნა! მონასტერში ცხოვრებისას ჩემი წარმოსახვა უკეთეს სურათებს მიხატავდა, ვიდრე სინამდვილემ მარგუნა. ბუნებრივია, მას შემდეგ კარგ მეგობრებად დაურჩით, ჩვენი ცოლქმრობა კი გაცივდა და ერთმანეთის მიმართ სულ გაგვიქრა ლტოლვა. ფ.-ი მუდამ კმაყოფილია ჩემით, რადგან უყოყმანოდ ვასრულებ მის ბრძანებებს, მაგრამ სიამოვნება უსაყვარულოდ არაფერია. ჩემს ქმარსაც აღბათ უგებური ეჩვენება ეს ყველაფერი და იშუაათად შემოდის ჩემთან.

რა წუთსაც შევამჩნიე, რომ გიყვარვარ, სიამოვნებით ავივსე და ყოველი შემთხვევით ვსარგებლობდი, რომ დღითი დღე უფრო შეგყვარებოდი, თანაც დარწმუნებული ვიყავი, თავად არ შემუქრებოდა საფრთხე. მაგრამ, როცა ვიგრძენი, რომ მეც შემიყვარდი, განგებ ცუდად გაქცეოდი; მინდოდა დამესაჯე ამ გრძნობისათვის. შენმა პოთმინებამ და სიმტკიცემ გამაოცა. პირველი კოცნას შემდეგ კი ჩემი თავის უფალი აღარ ვიყავი. დამაბნია იმ გრიგალმა, ამ უბრალო კოცნამ რომ გამოიწვია ჩემში. ვიგრძენი, მაშინ ვიქნებოდი ბედნიერი, როცა შენც გაგაბედნიერებდი. ამან გამათამაშა და გამახარა. ამ დამით კი საბოლოოდ შევიგრძენი, რომ ცალცალკე ბედნიერები ვერ ვიქნებით.

— სწორედ ეს არის, ჩემო ანგელოზო, სიყვარულის ფაქიზი გრძნობა. ჩემი ბედნიერება სრულყოფილი მაშინ იქნება, როცა ბუნების ყველა მოთხოვნას გაითვალისწინებ.

იმ დამემ ხვევნა-ალერსში ვაიარა. განთიადის პირველ სხივზე სინანულით მოვწყდი მის მკლავებს, რათა გუინში ვავძვგზავრებულიყავი.

ნეტარებით სავსე დამის შემდეგ თორმეტობდე დღე გავიდა. ვერ შევძელი ჩავვექრო ერთი ნაპერწკალიც კი იმ ცეცხლისა, უღმობლად რომ გვწვავდა. სწორედ მაშინ შემემთხვა საშინელი რამ.

ერთ საღამოს, ნავახმმევს, ბატონი დ. რ.-ს წახვლას შემდეგ, ბატონმა ფ.-მ, ჩემი თანდასწრებით, მოურიდებლად გამოუცხადა ცოლს, ამაღამ, როგორც კი იმ ორ წერილს დავწერ, გესტუმრებით. ეს წერილები მეორე დღეს, დილაადრიახად უნდა გაეგზავნა. გავიდა თუ არა ბატონი ფ.-ი, ჩვენ ერთმანეთს შევხედეთ და უეცრად ერთმანეთის მკლავებში აღმოვჩნდით. ნეტარების ნიაღვარმა წაგვლეკა. ჯერ გონზე არ ვიყავი მოსული, ყველაზე დიდი გამარჯვება უნდა მეზეიმა, რომ ხელი მკრა, მომშორდა და თავისი საწოლის გვერდით მღვარ სავარძელში ჩაესვენა. გაკვირვებული, თითქმის დარცხვენილი ვუყურებდი და

მცდილობდი გამომეცნო, რატომ მოიქცა ასე უცნაურად. მან კი სიყვარულით გაბრწყინებული თვალები შემომანათა და მითხრა:

— ჩემო ნახო მეგობარო, ჩვენ ერთმანეთს დაგვარგავთ.

— რაო? დაგვარგავთ? სასტიკო მეგობარო, ჩემი მოკვლა ვაგვიჩრახავთ. ვაკლახ, ვგრძნობ, რომ აღსასრულის დრო დამიდგა და შეიძლება ერთ-ერთ მინი-

ალტკინებული დავტოვე და გავემართე მოედნისკენ, რათა სუფთა ჰაერი ჩამეყლაპა. ვგრძნობდი — ვიხრჩობოდი. კაცი, ვინც ამგვარი ვითარების სიმძაფრე გამოსცადა, ადვილად წარმოიდგენს, თუ რა ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. მე კი ამის აღწერა არ ძალმიძს.

ადელვებული ვიყავი და საკუთარ განცდებში ჩაფლული, როცა ქალის ხმა გავიგონე. ფანჯრიდან მეძახდა. მეც საბედისწერო სურვილი დამებადა — ამ ხმას გავპასუხებოდი. მივუახლოვდი და მთვარის შუქით განათებულ აივანზე განთქმული მეძავი ქალი — მელულა დავინახე.

— ჰაერს ვისუნთქავ, ამოდით ერთი წუთით.

ეს მელულა ხატნის საყვარელი გახლდათ, უჩვეულოდ ლამაზი ქალი, და უკვე ოთხი თვე იყო, რაც კორფუს მუსუს მამაკაცებს ავიყებდა. ყველა, ვისაც ნანახი ჰყავდა, მის მომხიბვლელობას აქებდა, ყველა მასზე ლაპარაკობდა. მეც ბევრჯერ მინახავს. მართლაც ლამაზი იყო, მაგრამ ქალბატონ ფ.-ს არც შევადარებდი, კიდევ რომ არ მყვარებოდა. მაზსოვს, ერისხელ, 1790 წელს, დრეზდენში ვნახე დიდებული ქალი, რომელმაც მელულა გამახსენა.

დაუფიქრებლად ავედი. ვნებისაღმძვრელ ბუდუარში შემიყვანა და მისაყვედურა, ერთადერთი მამაკაცი ხარ, ვინც არ მსტუმრებია, თუმცა კი ყველას მირჩევნიხარო. სიმდაბლე ჩაიდიხე და დავრჩი. კაცთაგან ყველაზე ცოდვილი შევიქენი.

კმაყოფილმა მელულამ ფულზე უარი მითხრა და ორი საათის შემდეგ გამომაშვა.

შინ დაბრუნებულს სხვა მოთხოვნილება არ მქონდა, გარდა საკუთარი თავის ვინებისა; დიახ, უღირს პიროვნებად ვთვლიდი თავს და სინდისი მქენჯნიდა, რადგან საშინლად შეურაცხველი ყველაზე სათაყვანებელი არსება. დაეწევი და მთელი ის უღმობელი დამე ბილი არ მომკარებია. ჩემს აღმოდებულ ქუთუთოებს ერთი წუთითაც არ უგრძნია მოსვენება.

დილით დაუძლურებული და გატანჯული ავდექი და ჩავიცვი თუ არა, ბატონ ფ.-სთან გამოვცხადდი. დამიბარა, რათა რაღაც ბრძანება გადამეცა მეთაურისთვის. დაუბრუნდი, ანგარიში ჩავაბარე და შემდეგ ქალბატონთან შევედი. დილის ტუალეტით იყო გართული, სარკეში მივესალმე და მის მშვენიერ სახეზე ბედნიერების სიმშვიდე და სიხარული ამოვიკაიხე. მაგრამ უეცრად, როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა, დავინახე, როგორ შეეცვალა გამომეტყველება და სიხარული დაღონებამ დანიხლა. თვალები დახარა, თითქოს ფიქრებში ჩაიძირაო, შემდეგ ისევ ასწია თავი, თითქოს ჩემი სულის სიღრმეში სურდა ჩახედვა; მძიმე ღუმილი ოთახიდან მოახლის გასვლამდე არ დაურღვევია.

— ჩემო მეგობარო, — მითხრა უნაზესი ხმით, რომელსაც საზეიმო უღერადობა შევატყვე, — არც ჩემი და არც თქვენი მხრიდან ტყუილი არ უნდა ვიკადრო. გუშინ, თქვენ რომ წახვედით, შევწუხდი, — წარმოვიდგინე, რა ტკივილი მოგაყენეთ ჩემი საქციელით. თქვენნაირ ვნებიან კაცზე ამ სცენას შეეძლო

საშიშად ემოქმედა. გადაუწყვიტე, ამიერიდან აღარაფერი გავაკეთო სანახევროდ. ჰაერზე რომ გახვედით, გამეხარდა, — მოუხდება-მეთქი, ვიფიქრე ფანჯრიდან ვიცქირებოდი, მაგრამ თქვენს ოთახში კარგა ხანს არ ანთებულა სინათლე. ჩემი ქმარი მოვიდა და იძულებული ვიყავი დავწოლილიყავი, რომ გამეხარო გრძნობით, რომ შინ არ იყავით. ჩემს თავზე გაბრაზებულმა და თქვენს კბდევ მეთად შეეყვარებულმა, მოვლი ღამე თვალი ვერ მოუხვტე. ამ დილით ქმარმა უნტერ-ოფიცერს თქვენი გამოძახება დაავალა, მაგრამ მე ვთხოვე, აღარ შეეწუხებინეთ, რადგან გვიან მოხვედით შინ და ალბათ გეძინათ. არ ვეჭვიანობ, ჩემო მეგობარო, რადგან ვიცი — მხოლოდ მე გოყვარვართ. მაგრამ გული რაღაც უბედურებას მიგრძნობს. ამ დილით, როცა გელოდით, სიხარულმა ამიტაცა, ჩემი საქციელის მონანიება მინდოდა, მაგრამ ახლა რომ ვიცქერით, თითქოს სულ სხვა ადამიანს ვხედავ. ვიყურებთ და ჩემი სული კითხულობს თქვენს სახეზე, — რაღაც დანაშაული ჩაგიდენიათ, რაღაც შეურაცხყოფა მომაყენეთ. თამამად მითხარით, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ვცდები თუ არა? მითხარით ყველაფერი ალაღად და უეშმაკოდ. ნუ უღალატებთ სიყვარულსა და სიმართლეს. როცა თქვენი შეცდომის მიზეზს გამანდობთ, მიგიტევენთ, რადგან პატიება ჩემს გულსა და ჩემს არსებას სჩვევია.

ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მქონდა გარდაუვალი აუცილებლობა — სიცრუე მეთქვა ქალისთვის, ვინც მიყვარდა. მაგრამ ამ მდგომარეობაში, ასეთი გულახდილი და მგრძობიარე სიტყვების შემდეგ, განა შემძლო მეც გულახდილი არ ვყოფილიყავი? იმ წუთში ისე ძალაგამოცლილი ვიყავი, გული კი ისე მქონდა სიყვარულისა და სინდისის ქენჯნისგან დამძიმებული, რომ უბრალო სიტყვის წარმოთქმაც კი მიჭირდა. ვერაფერი ვთქვი. სანამ თვალზემომდგარი ცრემლები არ გამოვაფრქვიე.

— ჩემო ნაზო მეგობარო! ტირი? შენი ცრემლები გულსა მტკენს. ერთად როცა ვართ, მხოლოდ ბედნიერებასა და სიყვარულს უნდა ასხივებდე. მითხარი ჩქარა, სიყვარულო, რა ჩაიღინე, როგორ გააუბედურე ის, ვისაც სიკვდილი ურჩევნია შენს განრისხებას! დარდი ასე რომ გღრღნის, მოსიყვარულე და მონდობილი გულის ბრალია.

— ძვირფასო ანგელოზო, შურისძიებაზე არ მიფიქრია, რადგან ისევ ვაღმერთებ და ვერასოდეს გავივლებ გულში ვერაგულ ზრახვას. დანაშაული, საუბედუროდ, ჩემმა სულმოკლეობამ ჩამადენინა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შენი კეთილგანწყობის ღირსი აღარ ვიქნები.

— რამე უბედურებას გადაეყარე?

— დიახ, ორი საათი დამამცირებელ გარყენილებაში გავატარე. ჩემი სული აქ მხოლოდ იმისთვის იმყოფებოდა, ესაზა ჩემი სევდა, სინდისის ქენჯნა, ჩემი საშინელი უღირსობა.

— უბედური ხარ და სინდისი გქენჯნის! ო, ჩემო უბედურო მეგობარო! მე მჯერა შენი, ყოველივე ეს ჩემი ბრალია, უნდა დავისაჯო და იქით უნდა ვთხოვო პატიება.

იგი ჩემ გამო მღუღარედ აქვითინდა.

— სპეტაკო სულო! — ვუთხარი, — შენი სიტყვები ჩემს დანაშაულს აასკეცებს. არ დაგჭირდებოდა ყოველივე ამის თქმა, შენი სიყვარულის ღირსი რომ ვყოფილიყავი.

ბოლომდე ვგრძნობდი ჩემი სიტყვებას ჭეშმარიტებას.

დარჩენილი დრო მოხვედრით სიმშვილეში გავატარეთ, ჩვენი ნაღველი გულის სიღრმეში გვექონდა ჩაკეტილი. ქალბატონ ფ.-ს ჩემი სამარცხვინო თავგადასავლის ყველა წვრილმანი აინტერესებდა და მეც, დახამაულის/სახლაურად, საძაგელი სურათი დაუხატე. იგი სიკეთით იყო სავსე და მარწმუნებდა, ეს შემთხვევა ბედისწერას უნდა მივაწეროთ, ამგვარი საქმეები ხომ არ უნდა კი არ არის დაზღვეული; შესაბრალისი უფრო ხარ, ვიდრე დამნაშავე, და ნაკლებად არ მეყვარები, ვიდრე აქამდე მეყვარდიო. უკვე მზად ვიყავით პირველივე ხელსაყრელი შემთხვევით გვესარგებლა: მას სურდა, პატიების ნაღდი საბუთი შემოეთავაზებინა, მე კი ჩემი შეცდომის გამოსწორებაზე ვოცნებობდი. ჩვენი ნაზი გრძნობისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება გვსურდა, მაგრამ მაღალმა ზეცამ სხვაგვარად განსაჯა — სასტიკად დავისაჯე სამინელი გარყვნილებისთვის.

მესამე დღეს, ღოგინიდან რომ ვდგებოდი, მძაფრმა ჩხვლეტამ მამცნო სავალალო მდგომარეობა, რაშიც საცოდავმა როსკიპმა ჩამაგდო. ტვინი ამემღვრა, როცა დაუფიქრდი — რა უბედურების მიზეზი შეიძლება გაემხდარიყავი. კიდევ კარგი, ამ უკანასკნელ სამ დღეში ჩემმა ღვთაებრივმა მეგობარმა საყვარულის დასტური არ მოხოვა. ამის გაფიქრებამ კინაღამ გონი დამაკარგვინა. რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, სასუდამოდ რომ გამეუბედურებინა ჩემი სატრფო?! მკითხველი არ გამამტყუნებდა, თავი რომ მომეკლა, რათა სინდისის ქენჯნისაგან განვთავისუფლებულიყავი. ვინც უიმედობის გამო იკლავს თავს, დამსახურებულ სასჯელს მიიზღავს. ამგვარ ქმედებას არც პატიოსანია ფილოსოფოსა და არც შემწყნარებელი ქრისტიანი არ გაკიცხავს. ჩემთვის უეჭველი ეს იყო, უბედურებაში ფეხი რომ ჩამედგა, უცილობლად მოვიკლავდი თავს.

ამ აღმოჩენამ საგონებელში ჩამაგდო. გადავწყვიტე, ისეთივე რეჟიმი დამეცვა, როგორსაც წინა სამი შემთხვევისას ვიცავდი, როცა ჯანმრთელობას ექვსიოდე კვირაში ვიბრუნებდი. ყურავის უნდა შეემჩნია, ავად რომ ვიყავი. მელულამ ვენებში სიცოცხლის წყაროს მომსპობი შხამი შემიმხაპუნა. ერთ მოხუც ექიმს ვიცნობდი, ამ დარგში ფრიად გამოცდილი იყო, მასთან მივედი და გავესინჯე. მოთხრა, ორ თვეში გამოგაჯანსაღებო, და კიდევაც შეასრულა სიტყვა, — სექტემბრის ბილოს თავს უკვე კარგად ვგრძნობდი და ვენეციაში დაებრუნდი.

პირველი, რაც ავადმყოფობის დადგენისთანავე გადავწყვიტე, ქალბატონ ფ.-სთან აღსარება იყო. მიამიტურად მივანიშნე, რა სენიც მჭირდა, და ჩემი მდგომარეობა აღვწერე, თან სამინელ შედეგებზე ვფიქრობდი. როცა წარმოიდგინა, რა შეიძლება მოსვლიდა, მთლად აცახცახდა, ხოლო როცა განკურნადე, აუცილებლად თავს მოვიკლავდი-მეთქი, შიშისგან ფერი დაკარგა.

— არამზადა! — საზიზღარი მელულა! — წამოიძახა.

ეს სიტყვები მე შეკუთუნოდა, რადგან წამიერი სისუსტის გამო მშუენიერი მსხვერპლის შეწირვა მომიხდებოდა.

უბედურ მელულასთან ჩემი სტუმრობის ამბავი მთელმა კორფუმ გაიგო. ყველას უკვირდა, საღად რომ გამოვიყურებოდი. რადგან მელულას მსხვერპლთა რიცხვი დიდი იყო.

ავადმყოფობის გარდა სხვა საღარდებელიც გამიჩნდა: დაიწერა ბრძანება ჩემი ვენეციაში დაბრუნების შესახებ, თანაც იმავე წოდებას მიტოვებდნენ, რაც წამოსვლისას მქონდა. გენერალ-პროვედიტორმა პირობა არ შეასრულა და

ერთი რომელი ნაბიჯივარი მამჯობინა. იმ წუთიდან სამხედრო სამსახური შემ-
ძულდა და გადაწყვიტე, სულ დამეტოვებინა ეს სარბიელი. ჩემი უბედურება
კიდევ უფრო იმ გარემოებამ გაამძაფრა, რომ აღარც ბანქოში მწვადლობდა ბუ-
დი. მას შემდეგ, რაც ლელუასთან წავიწყმიდე თავი, ყველა გასაჭირი დამატ-
ყდა, რათა ბოლომდე გავეთელე. მაგრამ საბოლოო და გამანადგურებელ უბედუ-
რება მოგვიანებით ვიწვნიე. არმიის გამგზავრებამდე რვა-ათი წლის
ბატონმა დ. რ.-მ ისევ თავის სამსახურში ამიყვანა და ბატონ ფ.-ს ახალი აღი-
უტანტი უნდა ეშოვნა. ამასთან დაკავშირებით, ქალბატონმა ფ.-მ სინანულით
მიიხრა, რომ ვერცხიაში, მიზეზთა მრავალთა გამო, ველარ შევხვდებოდი ერთ-
მანეთს. ვთხოვე, აეხსნა ეს მიზეზები, თუმცა კარგად ვიცოდი: ყოველგვარი
ახსნა-განმარტება შეიძლება დამამცირებელი ყოფილიყო ჩემთვის. საუბრისას
ვიგრძეინი, ჩემი ღვთაება ყალბი აღმოჩნდა. ვიფიქრე, ხომ არ ვცდებოდი, როცა
მისი გულისთვის თავის მოკვლა დაეპირე-მეთქი. აღარ მახსოვს, რას მოა-
ყოლა და გამომიცხადა, მხოლოდ სიბრაღულს ვგრძნობ შენდამიო. მაშინ კი
ნათლად დავინახე, — აღარ ვუყვარდი, რადგან სიბრაღული დამამცირებელი
გრძნობაა და შეყვარებულ გულში არ ისადგურებს. სიბრაღულის გვერდით
მხოლოდ ზიზღი მეზობლობს. მაინც მიყვარდა, მაგრამ იმ წუთიდან ახლოს აღარ
გავკარებივარ. სახალხოდ შემეძლო შემერცხვინა, მაგრამ ასეთი სიმდაბლე
ვერ ვიკადრე.

ვერცხიაში ჩასვლისთანავე თავისი ბუდი ბატონ ფ. რ.-ს დაუკავშირა და
სიცოცხლის ბოლომდე იგი უყვარდა. ოცა წლის შემდეგ ფ.-ი დაბრძაფდა და
ვერცხე, ახლაც ცოცხალი უნდა იყოს.

კორფუზე ყოფნის ორმა უკანასკნელმა თვემ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი
დიდი გაკვეთილი მომცა; ხშირად ვიხსენებ ამ გაკვეთილს და საჭირო დასკვნე-
ბიც გამომაქვს.

1750 ♡.

ტომი II

თავი X

ფერარაში გაჩერება და სასაცილო თავგადასავალი. პარიზში ჩასვლა.
დღის სრულ თორმეტ საათზე ბნელი ტბის ხიდს პეოტიო¹ მივადექი. ეტ-
ლი სასწრაფოდ დავიქირავე და სასადილოდ ფერარაში გავეშურე, სადაც სენ-
მარკის სამიკიტნოში გაჩერდი. მსახურს ჩემი მოსახვეწებელი ოთახისკენ მივ-
ყვებოდი, როცა ერთ-ერთი დარბაზის შეღებული კარიდან მხიარული ხმაური
შემომესმა და ცნობისმოყვარეობა გამიღიზიანა. დარბაზში თავი შევეყავი და უხვ
სუფრასთან თორმეტიოდე ადამიანი დავინახე. ქალებიც იყვნენ და კაცებიც.
თავყრილობა ჩვეულებრივ ღრუობას ჰგავდა და დავაპირე კიდევ იქაურობას
გავცლოდი, რომ ქალის საამო ხმით წარმოთქმულმა სიტყვებმა: აგერ, ისიც! —
შემაჩერა. იმავედროულად მოხდენილი ქალბატონი წამოხტა, მკლავებგამოწვდი-
ლი ჩემკენ გამოექანა, ჩამეკონა, მავოცა და წამოიძახა: — ჩქარა, ჩემ გვერდით
ადგილი გაუთავისუფლეთ და ბარგი აი, იმ ოთახში შეუტანეთ!

¹ პეოტი — მსუბუქი კონდოლა.

ამასობაში ერთი ახალგაზრდა კაცი მოგვიახლოვდა და ქალმა ამ ყმაწვილს ასე მიმართა: — ხომ გეუბნებოდით, დღეს ან ხვალ აუცილებლად ჩამოვა-მეთქი.

ხელი მკლავში გამოძლო და მას შემდეგ, რაც სტუმრები ფეხზე წამოდგომით მომესალმნენ, გვერდით მომიხსვა.

— ჩემო ძვირფასო კუზენო, შორი გზიდან მოდიხარ და მომხიბვლებული იქნებით.

ეს სიტყვები დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ფეხზე ფეხი დამაჭირა.

— მინდა ჩემი საქმრო წარმოგიდგინოთ. ახლა ჩემი დედამთილი და მამამთილი გაიცანით. აქ ვისაც ხედავთ, ჩვენი ოჯახის მეგობრები არიან. ჩემო ძვირფასო კუზენო, დედაჩემი რატომ არ ჩამოვიდა თქვენთან ერთად? ხომ არაფერი მოხდა?

ჩემი პასუხის ჯერიც დადგა!

— დედათქვენი, ჩემო ძვირფასო კუზინა, სამ-ოთხ დღეში ან უფრო მოგვიანებით ჩამოვა.

ამ უცნაურ ქალს ნამდვილად არ ვიცნობდი, მაგრამ კარგად როცა დაუუკვირდი, გამახსენდა, რომ ცნობილი მოცეკვავე კატიხელა იყო, თუმცა დღემდე, სიტყვა რა არის, ისიც არ მქონდა მისთვის ნათქვამი. მშვენივრად მიუხვდი, საუცბათოდ შეთხზულ პიესაში რაღაც ისეთი როლი უნდა შეთამაშა, გამიზნული დასასრულისთვის რომ გამოადგებოდა.

უცნაური ინტრიგები ყოველთვის მზიბლავდა და, რადგანაც ჩემი კუზინა ლამაზი იყო, თამაშში სიამოვნებით ჩავერთე, თანაც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ კარგი ანაზღაურება მელოდა. მთავარი იყო — ჩემი როლი კარგად შემესრულებინა და სხვა მხრივაც არ შევრცხვენილიყავი. მიზეზად მოვიდე, მომშეებია-მეთქი, და ცხვირი თეფშში ჩავრგე. ამგვარად, ქალს დრო მივეცი ჩემთვის საქმის ვითარება გაეცნო და გაუთვალისწინებელი შეცდომებისაგან დავეღწიე. ისიც ყოველივეს მიმიხვდა. უბადლოდ გამოაბრწვინა თავისი ნიჭი და უნარი. ხან ერთთან, ხან მეორესთან საუბრის დროს გადაკრული სიტყვით ყველაფერი გამაგებინა. გამოირკვა, რომ დედამისის ჩამოსვლამდე დანიშნულები ვერ იქორწინებდნენ, რადგან ჩასაცმელი და სამკაულები სწორედ კატიხელას დედას უნდა ჩამოეტანა. ისიც შევიტყვე, თურმე ლოტბარი ვყოფილვარ და ტურიწში მივემგზავრები, სადაც სავოიის პერცოვის ქორწილისთვის საგანგებოდ დაწერილ ლიბრეტოზე საოპერო მუსიკა უნდა შევქმნა. ამ აღმოჩენამ ძალიან გამახარა, რადგან ქალაქიდან ჩემს ხვალინდელ გამგზავრებას არაფერი ემუქრებოდა. დაემშვიდდი და უდიდესი განცხრომით შევუდექი ჩემი როლის შესრულებას. ანაზღაურების იმედი რომ არ მქონოდა, ახალშექმნილ კუზინას ამ პატიოსან საზოგადოებაში გიჟად გამოვაცხადებდი, მაგრამ უკვე ოცდაათ წელს მიტანებული კატიხელა მაინც ისეთი ლამაზი იყო და ინტრიგების გორვალს ისე მომზიბლავდა ახვევდა, რომ არ შემექლო არ აველოდი.

კატიხელას დედამთილი პირდაპირ დამიჯდა და ჩემთვის რომ ესიამოვნებინა, ჩაი დამისხა. უკვე შევეთვისე ჩემს როლსა და ვადმოწოდებულ ფინჯანს იდაყვში მოხრილი ხელი შევაშველე.

— რა დაგმართნიათ, ბატონო? — მკითხა.

— ისეთი არაფერია, ძარღვი გამესკვნა. ხელს ცოტა ხანს თუ შევასვენებ, მალე გამივლის.

ამ სიტყვებზე კატიხელამ გემრიელად გადაიკისკისა.

— ძალიან გულდასაწყვეტი ამბავია, — განაცხადა, — რადგან კლავესინზე დაკვრას ვეღარ მოვისმენო.

— უცნაურად მენვენება, ძვირფასო კუზინა, ჩემმა ნატკენმა ხელმა ასე რომ გაგამხიარულათ.

— ვამეცინა, რადგან ორი წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა. მისივე ფეხი მელრძო-მეთქი, მოვიგონე და წარმოდეგნა ჩავშაღე.

ყავა დავლიეთ და დედამთილმა, რომელიც საზოგადოებაში მოქცევის წესებს უთუოდ განუხრელად იცავდა, გამოაცხადა, ალბათ მადმუაზელ კატიუნელას თავის კუზინთან ოჯახურ საქმეებზე სალაპარაკო ექნება და უმჯობესია მართლ დაუტოვოთო. სტუმრები წამოიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ.

კატიუნელა ჩემთვის განკუთვნილ ოთახში შემომყვა და პირდაპირ დივანზე დაემხო, რადგან თავშეუკავებელი სიცილისგან ფეხები მოეკვეთა. სული როცა მოითქვა მიიხრა: მართალია, თქვენა მხოლოდ სახელი ვიცი, მაგრამ უსახლურო ნდობით ვარ თქვენდამი გამსჭვალული. უკვე ორი თვეა, რაც ფული გამოძეღია. რამდენიმე კაბა შემომძრწა და რაღაც საცვლები... ყველაფერი უნდა გამეყიდა, საარსებოდ ერთი-ორი გროში რომ მქონოდა. ბედად, სასტუმროს პატრონის შვილს შევუყვარდი. დავაიმედე, ოცი ათასი ეკიუს საფასურა ბრილიანტები მაქვს ვენეციაში დატოვებული და, როცა ცოლად შემიერთავ, დედანემი ჩამომიტანს-მეთქი. საწყალი დედანემი ღარიბი ქალია და არაფერი იცის ამ მონაჭორისა. თავშიც არ მოუვა ვხეციიდან ფეხის გადადგმა.

— მშვენიერი ეშმაკუნა, მიიხარი, გეთაყვა, როგორი დასახრული ექნება ამ თაღლითობას? გული ცუდს მიგრძნობს, შეიძლება ყველაფერი ტრაგიკულად დამთავრდეს.

— ცდებით! ჩვენა პიესა სასაცილო და თავშესაქცევი ექნება. წუთიწუთზე მაინცის ელექტორის! ძმას, გრაფ პოლმტაინს ევლოდები, ფრანკფურტიდან მომწერა, მოვდივარო და, ჩემი გამთავლით, ახლა ვენეციაში უნდა იყოს. წამოვა და რეჯიოს ბაზრობაზე წამიყვანს. ჩემი საქმრო თუ გააბრაზებს, ჯერ მაგრად მიბეგვავს, მერე კი ჩემზე გაწეულ ხარჯებს აუნახლაურებს. მე თუ მკითხაეთ, ასეთი გართულების მომხრე არა ვარ. წასვლისას დანიშნულს ყურში ტკბილად ჩავწურჩულე, მალე დავბრუნდება-მეთქი, და ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება. იმედს ჩაუუსახავ და ერთადერთი დაპირებით გავაბედნიერებ: ჩამოვალ თუ არა, ცოლად გამოგყვები-მეთქი.

— დიდებულია! — წამოვიძახე, — ბრძენთა და ანგელოზთა სიბრძნე შეგიძენია, მაგრამ იცოდე, პირადად მე შესს დაბრუნებას ვერ დაველოდები. მე და შენ ახლავე უნდა შევერთდეო.

— რა სიგიჟეა! დამეს მაინც დაელოდე!

— არამც და არამც! მეჩვენება, თითქოს გრაფის ეტლის გრიალი უკვე ყურში ჩამესმის. თუ არ ჩამოვა, კიდევ ერთ დამეს მოვიგებო.

— შეგიყვარდი?

— სიგიჟემდე, აბა, რა გეგონა?! ეს გათამაშებული სპექტაკლი ხომ ერთ რამედ ღირს! შენი სილაპაზისა და ოსტატობის თაყვანისმცემელი ვარ და მოვალედ ვგრძნობ თავს—აღფრთოვანება საქმიან დაგიმტკიცო.

1. ელექტორი (ლათ.). — იგივეა, რაც კურფურსტი. — დიდგვაროვანი, ვინაც იმპერატორის არჩევისას ხმის უფლება მქონდა.

— მართალი ხარ. წარმოდგენაში შენა გამოჩენა ჩართული ეპიზოდი იყო, ხოლო მოულოდნელობა ყოველთვის მშვენიერია!

მახსოვს, ძალიან კმაყოფილი დავიქნა.

სადამოს მთელი საზოგადოება ჩვენ ხანაზავად ამოვიდა. კატინელის სასიერნიდ წავსულიყავით. ის-ის იყო ოთახიდან გასვლა და კატინელის უცრად ექვსცხენიანი საფოსტო ეტლის გრუხუნმა გაგვაყრუა. კატინელამ ფანჯრიდან გადაიხედა და ყველას გვთხოვა, მარტო დამტოვეთო, თანაც დაამატა, დარწმუნებული ვარ, ჩემთან ვალაქ პრინცი ჩამოვიდაო. სეირნობა ჩაიშალა. როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, კატინელამ ჩემს ოთახში შემავლო და ჩამკვტა. ბერლინი¹ მართლაც სამიკიტნოსთან გაჩერდა და იქიდან ჩემზე ოთხჯერ სქელი ვაჟბატონი გადმობრძანდა, სანამ გადმობრძანდებოდა. ოთხი მოსამსახურე მიემშველა, რადგან ეტლიდან მარტო გადმოსვლა ვერა და ვერ მოახერხა, ჩვენს სართულზე ამოვიდა და პირდაპირ ევრეთ წოდებულ პატარძალთან შევიდა. უნდა შეგახსენოთ, რომ ჩემი და კატინელას ოთახები ერთმანეთს ემიჯნებოდა და გასართობად სხვა არაფერი დამრჩენოდა, ბედის მიერ შემოთავაზებული შემთხვევით თავხედურად შესარგებლა და მთელი მათი საუბარი მომესმინა, ხოლო კარის ჭუჭრუტანაში ყველაფერი დამენახა, რასაც კატინელა ამ ჩაგოდრებულ კაცთან სჩადიოდა. ბოლოს ეს სულელური გასართობი მომბეზრდა, რადგან ხუთ საათს ვაგრძელებდი და ლამის გული შემიღონა. ხვევნი-კოცნის შემდეგ კატინელას ბარგის შეკვრა დაიწყეს, მერე ყველაფერი ეტლში ჩაალაგეს, ბოლოს ვახშამს შეუდგნენ და დიდი ჭიქებით დიდი რაოდენობის რაინის დიდებული ღვინო შესვეს. შუალამისას გრაფი ჰოლშტაინი ეტლში ჩაჯდა, იქაურობა დაუნახებლად დატოვა და სამიკიტნოს პატრონის ვაჟიშვილის ნაზი სიყვარულის საგანიც თან წაიყოლა.

სანამ კატინელა და გრაფი ჰოლშტაინი ერთმანეთს უხასრულოდ ესიყვარულებოდნენ, ჩემს ოთახთან არავის ჩაუვლია. დაძახება კი ვერ გავბედე, რადგან არ ვიცოდი, რას მომიქმედებდა გერმანელი პრინცი, როცა დამალულ მოწყმეს აღმოაჩენდა. არ შემიძლია აქვე არ შევნიშნო, რომ საარშიყო ღლაბუცის დროს ამ გაზულუქებული და გარუმბული კაცის სინაზე საცქერლად მეტად მძიმე რამ იყო, რამეთუ არც გრაფსა და არც მის საყვარელს იოტისოდენა ღირსებას არ მატებდა, მე კი, მათი შემხედვარეს, ადამიანთა მოდგმის არარაობაზე სევდიანი ფიქრები აღმიბრუნეს.

ჩვენი გმირების წასვლის შემდეგ სათვალთვალოდან გამასხარავებული სასიძო დაეინახე და დაფუძახე, კარი გამიღე-მეთქი. საწყალმა დოცლაპიამ მოტირალი ხმით მიპასუხა, გასაღები მადმუაზელს წაჭყვა და ალბათ კლიტის გატეხვა მოგვიხდებოდა. ძალიან მომშიებოდა და ვთხოვე, ჩქარა გამოვეშვი. განვთავისუფლდი თუ არა, საჭმელი მომიტანეს და საბრალო ყმაწვილი გვერდით მომიჯდა. მითხრა, მადმუაზელმა წასვლის წინ ყურში ჩამჩურჩულა, ექვს კვირაში დავბრუნდებიო. გამომშვიდობებებასას კატილენას ერთიორი კურცხალიც გადმოვარდნია, საქმროსთვის ნაზად უკოცნია და მის გულში იმედი ჩაუსახავს.

— პრინცმა ხომ არ ავინაზლაურათ თქვენ მიერ გაწეული ხარჯები?

— არა. ასეთი რამ კიდევ რომ შემოეთავაზებინა, ფულს არ ავიღებდი.

2. ბერლინი — ოთხბორბლიანი ეტლი. ამ ტიპის ეტლი პირველად ბერლინში იყო გაყვებული და სახელწოდებაც აქედან მომდინარეობს.

ჩემს საცოლეს ეწყინებოდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა კეთილშობილი ადამიანია.

— მამათქვენი რას ამბობს მისი წასვლის გამო?

— მამაჩემი ყველაფერში ცუდს ხედავს. არ დაბრუნდება, ეგონებოდა, დედაჩემიც კვერს უკრავს და მისი მხარე უჭირავს. თქვენ, ბატონო, მამათქვენი თქვენ რას ფიქრობთ?

— თუკი დაგპირდათ, აუცილებლად დაბრუნდება.

— დიახ. დაბრუნება რომ არ ეფიქრა, სულ არ მეტყოდა არაფერს.

— რასაკვირველია. თქვენ სწორად მსჯელობთ და გუმანი არ გატყუებთ.

ჩემი ვახშამი საკულინარიო ხელოვნების იმ მონარჩუნებისგან შედგებოდა, რაც გრაფის მზარეულს პატრონისთვის გაემზადებინა. ვახშამს რაინის მსუენიერი ღვინო დაეყოფილა. ეს ბოთლი კატინელამ მომავალი საქმროს გულის მოსაგებად გადაამალა, ხოლო ამ უბადრუკმა უკეთესი დანიშნულება უპოვა და მომავალი კუზენის მოსაქრთამავად გაიმეტა.

ნავახშმევს ეტლი დავიჭირავე და გზას გაუდექი. წასვლამდე გაუბედურებული სასიძო ვანუგეშე და შევპირდი, ყველა ღონეს ეახმარ ჩემი კუზინას დასაბრუნებლად-მეთქი. ფულის გადახდას რომ ვაპირებდი, არამც და არამც არ გამომართვა.

ბოლონიაში კატინელას ჩასვლიდან ოცი წუთიც არ იყო გასული, რომ მეც იგივე სამიკიტნოში გაჩერდი, სადაც იგი ცხოვრობდა. ერთხელ დავიმართობელე და გადავეყვი, რაც მისმა შეყვარებულმა დამაბარა. რეჯიოში მასზე აღრე ჩავედი, მაგრამ იქ ვეღარ მოვახერხე გამოლაპარაკება, რადგან წამითაც არ შორდებოდა თავის ყოვლად შემძლე და ყოვლად უძღურ საყვარელს.

ბაზრობის დასასრულს, სადაც არაფერი საინტერესო თავს არ გადამხდენია, ჩემს მეგობარ ბალეტისთან ერთად რეჯიო დავტოვე და ტურინში გავემგზავრე. ერთხელ ამ ქალაქში ცხენების შესაცვლელად შევჩერდი და ამიტომ დიდი სურვილი მქონდა ხელმეორედ ჩავსულსყავი.

ყველაფერი მშვენიერი მეჩვენა ტურინში: თვითონ ქალაქი, სამეფო კარი, თეატრი, ქალები — სავოიის ჰერცოგის მეუღლის თაოსნობით. მაგრამ სიცილი ვერ შევიკავე, როცა აქაური პოლიციის სანიშნო მუშაობა მიხსენეს, მე კი მათხოვრებით სავსე ქუჩებში მიხდებოდა გავლა. პოლიცია მეფის მთავარი საზრუნავი იყო. ისტორიამ ეს მონარქი გონიერ ხელისუფალთა რიცხვს მიაკუთვნა, მე კი ვალიარებ: ალბათ დიდი დოყლაპია და მიამიტი კაცი ვიყავი, ამ სასაცილო პიროვნებამ ასე რომ გამაოცა.

ჩემს ცხოვრებაში მეფე არასოდეს მენახა და ალბათ ამიტომ ერთი უცნაური აზრი ამეკვიატა: მეგონა, მეფეს რაღაც უჩვეულო სილამაზის სახე უნდა ჰქონოდა, ხოლო დიდებულებითა და სინატიფით ადამის მოდგმის დანარჩენი ნაგრამისგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. მოაზროვნე ახალგაზრდა რესპუბლიკელის კვალობაზე ეს წარმოდგენა მთლად სულელური არ იყო, მაგრამ ჩემი მოლოდინი ნატარტუტად იქცა, როგორც კი სარდინიის მეფე ვიხილე. მახინჯი კაცი იყო, კუზიანი, პირქუში; მდაბიური ქცევა და ბილწი გამომეტყველება ჰქონდა. მას შემდეგ დავრწმუნდი: თურმე შეიძლება საერთოდ არ იყო კაცი და მაინც ხელმწიფობდე.

სცენაზე ვნახე ასტრუა და გაფარული, ორი უბადლო მომღერალი; ვნახე

მოცეკვავე ქალი ფოფრუა, რომელიც ახლახან ერთ კეთილშობილ მოცეკვავეზე, ლოდენზე გათხოვდა.

ტურიანში ყოფნისას ჩემი სულიერი სიმშვიდე არც ერთ ხასიყვარულო ფათურაეს არ დაურღვევია, თუ არ ჩავთვლით მრეცხავის ქალიშვილის ერთ საარშიყო თავგადასავალს. ამ შეხვედრას მხოლოდ იმიტომ ვაგვიხსენებ, ცოდნა რომ გამომდიდრა ადამიანთა ორგანიზმის სხვადასხვა თვისებებზე.

ძალიან ლამაზი გოგონა იყო და თუმცა ვაგიჟებით შეყვარებული არ ვახლდით, მაინც მიხლოდა მისი კეთილგანწყობა მოძუპოვებინა. პაემანზე რამდენჯერმე უარა მითხრა და გადავწყვიტე, ერთხელ, როცა თეთრუელს ამომიტანდა, კიბეზე დავლოდებოდი, ძალა მეხმარა და დავკუფლებოდი. ეს შიდა კიბე ერთობ მოფარებულ ადვილას იყო მოთავსებული და სწორედ იქ ჩავუსაფრდი. გამოჩნდა თუ არა, მოულოდნელად ვტაცე ხელი. არ ვიცი, რამ გაჭრა, მოფერებამ თუ ჩემმა სიმკვირცხლემ, მაგრამ წუთიც არ გასულა, რომ გოგონა სამოქმედოდ ხელსაყრელ მდგომარეობაში მოვიგდე. პირველსავე იერიშზე ძლიერი ამოფრქვევის ხმამ შეარხია ჰაერი და ჩვენი შერწყმის მყუდროება დაარღვია. სირცხვილისგან აჭარხლებულმა გოგონამ სახეზე ხელები აიფარა და უნდა გამოვიტყდეთ, ამ მოულოდნელობამ ერთგვარად მიანავლა ჩემი ვნების ცეცხლი. ის-ის იყო ნაზი კოცნით დავამშვიდე და განვაახლე მცდელობა, რომ, ღმერთო დიდებულო! უფრო ძლიერმა ხმამ ყურთასმენა შეძიძრა და ჩემი ყნოსვის ორგანო ლამის მწყობრიდან გამოაყვანა. მაინც არ მოვეშვი: მესამედ და მეოთხედ იგივე მოხდა. ქრონომეტრის მსგავსად, მუსიკალური პიესის ზომას რომ აღნუსხავს, ქალის ორგანიზმი ყოველ ჩემს მოძრაობას შესაბამისი სიხშირის გამაყრუებელი ხმაურით ეხმიანებოდა.

ეს უცნაური მოკლენა, საბრალო გოგონას დაბნეულობა, კიბის საფეხურებზე ჩვენი ჯდომა-წოლა ისე სასაცილო ნომენცენა, რომ თავშეუკავებელი ხარხარი ამიტყდა. ხარხარმა ძალა გამომატალა და იძულებული შევიქენი უკან დამეხია. დარცხვენილი და გაოგნებული გოგონა ხელიდან გამოსხლტა და მისი მობრუნება აღარც მიცდია. იმ დღის მერე აღარც მომჩვენებია. მისი წასვლის შემდეგ ერთი ნახევარი საათი კიდევ ვიჯექი კიბის საფეხურზე და ამ უცნაურ შემთხვევაზე ვფიქრობდი. ახლაც, როცა ეს ამბავი გამახსენდა, მეცინება. იმ დასკვნამდეც ვი მივედი, სულაც ამ ნაკლის გამო იყო, საბრალო გოგონა ნამუსს რომ ინახავდა. ქალთა სქესისთვის ამგვარი ზადი ხშირი რომ ყოფილიყო, ალბათ ბევრად ნაკლები გარყვნილი ქალი იქნებოდა ამქვეყნად. იმავე შედეგს მივიღებდით, თუ მშვენიერ ნახევარს ჩვენი ორგანოების აგებულებაზე ასეთივე ეჭვი გაუჩნდებოდა, რადგან ღირს ვი წუთიერი ნუტარებისთვის ყნოსვისა და სმენის ესოდენ დიდი საზღაურის გაღება?!

ბაღეტი პარიზში წასვლას ესწრაფოდა, სადაც დიდი ზეიმისთვის ემზადებოდნენ. დღე-დღეზე დოფინის მეუღლეს ბურგუნდიის მეშვედრე უნდა ეშვა და ბაღეტიმაც ადვილად დამარწმუნა, რომ უპრიანი იქნებოდა ტურიანში მოგზაურობის ვადა შემომეკლებინა. გავემგზავრეთ და ხუთ დღეში უკვე ლიონში ვიყავით, სადაც ერთი კვირა დავრჩით.

ლიონი ძალიან ლამაზი ქალაქია, თუმცა აქვე უნდა დავძინო, რომ უცხოელებისთვის აქაურ დიდგვაროვანთა მხოლოდ სამი-ოთხი ოჯახის კარი თუ იყო ღია. სამაგიეროდ, ასამდე ვაჭრის, ფაბრიკანტის თუ კომისიონერის (ისინი ფაბრიკანტებზე ბევრად მდიდრები არიან) სახლებში მშვენიერი საზოგადოება

იკრიბებოდა. აქაურებმა დიდებული მასპინძლობა იცოან, გულდია და კარვად აღზრდილი ხალხია; უხეშობა და სულელური ქედმაღლობა, პროვინციულ ნაურობას რომ სჩვევია და ზოგჯერ კეთილშობილი ოჯახის წარმომადგენლებსაც შეიმჩნევა, გამოჩაკლისია და საერთო შთაბეჭდილებას არ აფუჭებს, მაგრამ თავაზიანობით მაინც პარიზი ჯობს. ყოველივე ამას მალე ეჩვევა ცხოვრების ზომიერი რიტმი გამშვიდება. იაფი ბაზარი და კარგი გემოვნება — ეს არის ლიონის სიმდიდრის საწინდარი, ხოლო კერპი, ეს ქალაქი თავის კეთილდღეობას რომ უნდა უძაღლოდეს — მოდაა. მოდა ყოველ წელს იცვლება; ქსოვილი, წლევანდელი მოთხოვნების გამო ოცდაათი ეკაუ რომ ღირს, გაისად, ოცად ან თხუთმეტად გაიყიდება. შემდეგ მოდიდან გამოსულ ქსოვილს უცხოეთში გზავნიან და როგორც ახალს, ისე ყიდიან.

ლიონელები აფასებენ კარგი გემოვნების მხატვრებს, მათ ნახელავში დიდძალი ფულის გადახდას არ იშურებენ და ამ მხრივ ასეთი გულუხვობა ჩვენთვის გაუგებარია. საერთოდ, სიიაფე კონკურენციის შედეგია, კონკურენცია — სიმდიდრისა და თავისუფლების წყალუხვი სათავე. ქვეყანამ, რომელსაც კომერციის განვითარება სურს, მეწარმეს მოქმედების სრული თავისუფლება უნდა მიანიჭოს. კანონმდებლებმა თავალი მხოლოდ იმას უნდა მიადევნონ შესაკუთრებ ასეთი ფანდი არ მოიგონოს, საერთო ინტერესს რომ ავნებს, თორემ სხვა აკრძალვა არ უნდა არსებობდეს. ხელისუფალს ხელში სასწორი უნდა ეჭიროს, მოქალაქეებმა კი თავიანთ გემოზე აავსონ ხელში ამ სასწორის პინები.

ლიონში ყველაზე სახელგანთქმული კურტიზანი ქალი შემხვდა. წარმოშობით ვენეციელი. ხმა იყო გაყარდნილი, ამ ქალის სილამაზე შეუდარებელიაო. ანხილა ერქვა. პირველი ნახვისთანავე ყველას მასთან ყოფნის სურვილი იპყრობდა და ისიც, კეთილი გულის გამო, ვერავის ეუბნებოდა უარს, კაცები თუ რიგრიგობით ეტრფოდნენ, მას ზოგადად მამაკაცი ანუ მამაკაცთა ერთობლიობა უყვარდა, რადგან უპასუხოდ არავის ტოვებდა. იმასაც არ დაეძებდა, ფულს გადაუხდიდნენ თუ არა.

ვენეციელი კურტიზანი ქალები უფრო სილამაზით იყვნენ ცნობილნი, ვიდრე ჭკუით. ჩემს დროს სახელი ანხილასა და სპინას ჰქონდათ გაყარდნილი. ორივეს გონდოლიერი მამა ჰყავდა, ერთიცა და მეორეც ახალგაზრდები დაიღუპნენ თავიანთი ხელობის გამო, რომელიც საკუთარი ღირსების საქმედ მიანდათ. ოცდაორი წლის ანხინელა მოცეკვავე გახდა, სპინას კი მომღერლობა უნდოდა. ანხილას მშვენიერა სხეულის შესაძლებლობანი ცნობილმა მოცეკვავემ, კამპიონიმ გამოაუვლინა, სახელი მოუხვეჭა და ცოლად შეირთო. სპინას კი მასწავლებლად ერთი კასტრატო ერგო, რომელმაც საშუალო მომღერლის ხვედრი უწილადა. რაკი სხვა ნიჭი არ აღმოაჩნდა, სპინა იძულებული შეიქნა სხვა კზით ეშოვნა პურა არსობისა.

ლიონში ანხილა ქმართან ერთად ვნახე. ინგლისიდან ახალჩამოსულები იყვნენ, სადაც ჰეი-მარკეტის თეატრში დიდი წარმატება ჰქონდათ. ლიონში დასასვენებლად და დროის გასატარებლად გაჩერდნენ. საზოგადოებაში მის პირველ გამოჩენისთანავე ქალაქის ბრწყინვალე ახალგაზრდობა ანხილას ფეხრთით დამხობილი აღმოჩნდა. რასაც მოიჭირვეულებდა, ყველაფერს უსრულებდნენ, ოღონდ კი ვინმე ფურადლებით დაეჯილდოებინა. დღისით გასართობი სეირნობა ეწყობოდა, საღამოს — ხვარაული ეახშმები, „დიდ ბანკში“ კი მთელი ღამის განმავლობაში არ წყდებოდა ფულზე ფარაონის თამაში. ამ ბანკის

მეპატრონე ეოხეფ მარატი გახლდათ. ესპანეთის არმიასი რომ ემსახურობდი, პეპე-უპტროსად ვიცნობდი, ცოტა ხნის შემდეგ კი აფლიზის დარქვა და თავისი დღენი ცუდად დაამთაურა. მისმა ბანკმა რამდენიმე დღეში სამი ათასი ფრანკი მოიგო. სამეფო კარზე ასეთი თანხა შეუმჩნეველად არჩებულა, მაგრამ ლიონივით საუაჭრო და ინდუსტრიულ ქალაქში ამ ამბავს ვეღარც შეამჩნებენ და მალაზიის მეპატრონეები ერთობ დაახალვლიანა. ჭრელმა იტალიურმა საზოგადოებამ ლიონიდან წასვლა დააპირა.

სწორედ ამ ქალაქში იყო, ერთმა ქველმა ადამიანმა (იგი ბატონ ღვ. როშეპარონთან გავიცანა) პატივი დამლო და ფრანკმასონების უმაღლეს კრებასთან შუამავლობა გამიწია. პარიზში ჩასვლისთანავე ამ ორდენში შევირდად მიმიღეს, რამდენიმე თვეში მეორე საფეხურს მივაღწიე, გამოხდა მცირე ხანი და ოსტატის წოდებაც მომცეს. ოსტატობა მართლაც უმაღლესი ხარისხია ფრანკმასონებში; ყველა დანარჩენი წოდება, შემდგომ რომ მოძენიჭა, მხოლოდ სასიამოვნო გამოჩაგონია და სამბოლოურ დატვიროვას შეიცავს, ოსტატის ღირსეულ სახელს კი ბევრს არაფერს მატებს.

ქვეყნად არავინ მეგულება, ყველაფერი იცოდეს, მაგრამ ყოველი ადამიანი, ვისაც ქმედების ნიჭი და უნარი შესწევს და ვინც მეტ-ნაკლებად ანგარიშს უწევს საკუთარი ზნეობის შესაძლებლობებს, უნდა ეცადოს რაც შეიძლება მეტი ცოდნა აქიანდეს. ყმაწვილ კაცს, მით უფრო ოჯახიშვილი თუა, ვისაც მოგზაურობა იტაცებს და ხურს კარგ წრეში, ანუ მაღალ საზოგადოებას რომ ვეცახით, იქ იტრიალოს, თუ უნდა თანატოლებზე დაბლა მდგომად ან მათგან გარიყულად არ ივრძნოს თავი, ვურჩევ, ფრანკმასონთა მოძრაობაში გაერთიანდეს, თუნდაც ზერეულ იცოდეს, რას წარმოადგენს ეს ორგანიზაცია. ფრანკმასონობა საქაელმოქმედო ინსტიტუტია, მაგრამ ზოგან და ზოგჯერ იგი დანაშაულებრივ ხრიკებსაც არ ერიდება და შეიძლება სახელმწიფო წყობილების დამხობის მიზნად იქცეს. მაგრამ, ღმერთო მაღალო! შეცდომასგან განა ვინმეა დაზღვეული? განა იეზუიტებმა რწმენის წმინდა დროშის სახელით იარაღი არ მისცეს ხელში ბრძა ენთუზიაზმით შეპყრობილ მკვლელებს მეფის მოსაკედიანებლად?! ყველა რჩეულ პიროვნებას, მე მინდა ვთქვა — ყველა იმ ადამიანს, ვისი სოციალური არსებობა დარსებით, ცოდნით ან იღბლიანობით არის განპირობებული, შეუძლია მასონი გახდეს და, უნდა მოგახსენოთ, მასონთა რიგებს უკვე მრავალი გამოჩენილი სახელი ამშუენებს. მხელი წარმოსადგენია, მაგრამ ამგვარ ერთობებში, „intra muros“¹ წესად აქვთ არ ილაპარაკონ პოლიტიკაზე, რელიგიაზე, ხელისუფლებაზე. მხოლოდ ზნეობრივ და წმინდა სამბოლოებზე საუბრობენ. განა დასაშვებია, გეკითხებით, რომ შეკრებაზე, რომელსაც შეიძლება მთავრობის წარმომადგენელი ესწრებოდეს, ისეთი საფრთხე წარმოიშვას და ისეთი პკრებელური რამ გადაწყდეს, რის გამოც ხელისუფალნი ამ ორდენის წევრებს დევნიან და ასახლებენ, რომის პაპები კი მათი ეკლესიიდან მოკვეთით ერთობიან?!²

ბოლოს და ბოლოს ეს ყველაფერი მიზანს ვერ აღწევს და უკუქმედებას იწვევს. პაპმა, თავისი შეუვალ-უდრეკი დამოკიდებულების მიუხედავად, ფრან-

¹ ფრანკმასონობა (ფრანგ. francmaçon — თავისუფალი კალატობი). რელიგიურ-ეთიკური მოძრაობა ევროპაში. აღმოცენდა XVIII ს. დასაწყისში, ინგლისში.

² იეზუიტა — კათოლიკური ეკლესიის ორდენი „იესოს საზოგადოებას“ წევრი. ორდენი დაარსდა იგნაციუს ლოიოლამ 1534 წ. პარიზში.

³ მის ეკლესიაში (ლით.).

კმასონებს ისეთი პოპულარობა და სარგებლობა მოუტანა, თვითონ ვერას-
დროს რომ ვერ მოიხვეჭდნენ. საიდუმლო ყოველი ჩვენგანის ბუნებაშია და
ყველაფერი, რასაც ადამიანს იღუმალების ნიღბით წარმოვუდგენთ, მის ცნო-
ბისწადილს აღძრავს, მის სწრაფვას მოჭარბებულად წარმართავს. მის ცნო-
ბის წინაშე თუმცა ზოგი იმაშიც რწმუნდება, რომ ფარდის მიღმა ხშირად ისტორიები
არაა.

ვაჯამებ სათქმელს და კურჩევ ყველა ოჯახიშვილს, ვისაც მაღალ საზოგადოებაში სურს ტრიალი, შევიდეს მასონთა ორდენში, მაგრამ სიფრთხილე აქაც მართებს: საგულდაგულად უნდა შეარჩიოს ლოჟა. წესით საეჭვო პირებს ლოჟებში არ ღებულობენ, მაგრამ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვინმე გარეწარი ჩარიცხული აღმოჩნდეს, ამიტომ კანდიდატი სახიფათო კავშირებს უნდა განერიდოს.

ხშირად ადამიანები იმიტომ შედიან მასონთა ორდენში, ორდენის საიდუმლო გაიგონ. მენდეთ, ამას სულ ტყუილად სჩადიან, რადგან კაცი შეიძლება მთელი სიცოცხლე კალატოზად დარჩეს და საწადელს ვერასოდეს მიაღწიოს. რასაკვირველია, საიდუმლო არსებობს, მაგრამ იმდენად მიულწვეველია, რომ მას არავინ წარმოთქვამს და არც არავის უმხელენ. ვინც მოვლენების ზედაპირზე შეჩერდება, ჰგონია, რომ იღუმალება სიტყვებში, ნიშნებში ან მინიშნებებში ძვეს, ხოლო უმთავრეს, საკრალურ სიტყვას უკანასკნელ საფეხურზე ეზიარებიან. ეს მცდარი მოსაზრებაა. ვინმე თუ ფრანკმასონთა საიდუმლოს ამოიცნობს (თუმცა არ არსებობს ცნობა, ასეთი რამ მომხდარიყო), ეს შეიძლება ლოჟაში მუდმივი ყოფნის, ბევრი ფიქრის, მოვლენათა შეჯერების, ანალიზისა და პირადული დასკვნის შედეგი იყოს. ასეთი პიროვნება მასონ მეგობარს არასოდეს გაანდობს ამ საიდუმლოს, რადგან იცის: თუ ადამიანმა თვითონ ვერ ამოიცნო იღუმალება, მას არც იმის უნარი შესწევს, გაითავისოს ის, რასაც ყურში ჩასჩურჩულებენ. საიდუმლოს მფლობელი ჩუმადაა და საიდუმლო საიდუმლოდვე რჩება.

ყველაფერი, რაც ლოჟაში ხდება, იმავე კედლებში უნდა დარჩეს. ვინც თავხედურად იქცევა და არ ერიდება იქაური ამბების გახმაურებას, მთავარი მას მაინც უთქმელი რჩება, რადგან არსებითა რაც არის, ასეთი მოღაყბეებისათვის შეუცნობელია. ცხადია, იღუმალებასთან მიახლოებულნი ორდენის წესსა და ადათს საღაყბოდ არასოდეს განდიან.

ამ სამყაროდან დაშორებულთ, ესე იგი, მათ, ვინც მასონი არ არის იგივე შეგრძნება ეუფლებათ, ოდესღაც ელევსინში¹ დემეტრეასადმი მიძღვნილ იღუმალ დღესასწაულთა მოხაწილეებს რომ იპყრობდა.

ელევსინის მისტერიები მთელ მაშინდელ საბერძნეთს აინტერესებდა. ამ რიტუალში მონაწილეობის მისაღებად წარჩინებული საზოგადოება მიისწრაფოდა, ფრანკმასონთა საძმო კი ღირსი და წარჩინებული ადამიანების გვერდით არამზადების ხროვასაც ამყოფებს. ეს არაკაცები ჩვენმა საძმომ კი არა, არც ერთმა საზოგადოებამ არ უნდა მიიკაროს, რადგან ზნეობრივი თვალსაზრისით ისინი ადამიანთა ჯიშის შემარცხვენელი არიან.

დემეტრას იღუმალება კარგა ხანს გაუმხელელი დარჩა, რადგან საკულტო

¹ ელევსინი — ქალაქი ატიკაში. სადღაც ელევსინონი — ნიჭათმოქმედების წილმერთ დემეტრას ტაძარი იყო აგებული.

თავანისცემას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებდა. ბოლოს რა გაამხილეს? სამად-სამი სიტყვა, რითაც ჰიეროფანტი¹ ხელდასმულებს მობღვრაჟდა. რა შედეგი გამოიღო ამან? არაუითარი! მკრეხელი საქვეყნოდ შერცხვენილი დარჩა, ხოლო მის მიერ გამხელალი ბარბაროსთა სიტყვებმა ქველასთვის მაინც გამოუცნობი და გაუგებარი აღმოჩნდა. მახსოვს, სადაღაც წაწაკითხე, თუ რას ნიშნავდა ელექსინის მისტერიის საკრალური სიტყვები: „იფხიზლეთ და ნუ იქმთ ბოროტებას“. სხვადასხვა მასონური საფეხურის იდუმალ სიტყვათა ამოხსნაც ასეთივე დანაშაულია.

საბმლოში ჩემი მიღება ცხრა დღეს გაგრძელდა. რიტუალი დიდებული იყო, ხოლო დამსწრენი — მეტად პატივსაცემი ხალხი. ერთხელ აღკიბიადეს² მთელი ქონება ჩამოართვეს და ეს მხოლოდ იმისთვის მიუსაჯეს, რომ გაბედა და თავის ოჯახში პოლიტონთან და თეოდორესთან ერთად უმაღლესი იდუმალეზანი სასაცილოდ აივდო, ხოლო ამით ევმლოპიდების³ კანონი შელახა, — გვაუწყებს პლატონი. ამ მკრეხელობის გამო ყველა ქურუმს უნდა დაეწვევლა, მაგრამ ქურუმთა სამსჯავრომ აღკიბიადე ვერ შეაჩვენა, რადგან ერთმა ქურუმმა ქალმა ასეთი სიტყვები წარმოთქვა:

— ქურუმის დანიშნულება დალოცვაა და არა დაწვევა.

დიდებული სიტყვებია! ზნეობისა და სიბრძნის დიდი გაკვეთილია, რომელსაც არაფრად აგლებს პაპი, თუმცა წმინდა სახარება ამასვე გვახსწავლის და ჩვენი მაცხოვარი ამასვე გვიქადაგებს,

დღესდღეობით ყველაფერს დაკარგული აქვს ახრი, წმინდა აღარაფერი არსებობს, განსაკუთრებით — მავანი და მავანი კოსმპოლიტიზთვის.

ბოტარელიმ ერთი პატარა წიგნი გამოსცა, სადაც მასონთა ცხოვრების წესი გამოამზეურა. ხალხი ამბობს, ადრეც ვიცოდით, არამზადა რომ იყო, — მასზე აუგის თქმით გული მოიფხანეს და ესე ამბავი ამგვარად დახრულდა.

ერთი ნეაპოლელი თავადი და ბატონი ჰამილტონი წმინდა იანუარის სასწაულებს თურმე შინ მართავენ და სიცილ-ხორხოცში ატარებენ დროს. მათთან ერთად ამ სანახაობით სხუებიც ერთობიან. ამასობაში მეფემ ვითომ არაფერი იცის და ყურს უყრუებს ამ უმსგავსობას. როგორ დავიჯერო, ასიც არ ახსოვს, საკუთარ მკერდზე წმინდა იანუარის გამოსახულებას და *In sanguine foedues*⁴ წარწერიან ორდენის ბაფთას რომ დაატარებს?! დღეს ბევრი რამ არათანამიმდევრულად ხდება და ბევრ რამეს მნიშვნელობა დაეკარგა. და მაინც შეუწყრებლად წინ უნდა ვიაროთ, რადგან გზაში გაჩერება უფრო დიდი უბედურებაა.

ლიონიდან დილიჯანსით გავემგზავრეთ და ხუთ დღეში პარიზში უნდა ჩავსულიყავით. ბალეტიმ თავის ოჯახს შეატყობინა, ლიონიდან ჩვენი გასვლას თარიღი და მიახლოებით გამოთვლილი ჰქონდათ ჩვენი ჩასვლის დრო.

დილიჯანსში რვანი აღმოეჩნდით და ყველანი უგეძურად ვისხედით. ეტლის კარკასი ოვალური ფორმისა იყო, ამიტომ კუთხის ადგილები საერთოდ არ არ-

¹ ჰიეროფანტი — უფროსი ქურუმი, ვინც მისტერიას ხელმძღვანელობდა.

² აღკიბიადე — ცნობილი ათეოლოგი სახელწოდებო მოლენე და მხედ. რთმთავარი (451—404 წ. წ-მდე).

³ ევმლოპიდები — ქურუმები.

⁴ სხვალით კავშირში (ლათ.).

სებობდა. ეს ეტლი თუ იმ ქვეყანაში გააკეთეს, სადაც ადამიანთა თანახმობას კანონი იცავს, მაშინ იგი ამ იდეის თავშესაქცევ მაგალითად გამოდგებოდა. მე, ჩემდათავად, მიმანია, რომ ეს ყოველად უგვანო გამოგონებაა, თუმცა კი ვიცი, რომ ბაზე, ბუნებრივია, არაფერი მითქვამს, რადგან უცხოელი გახდნის შემთხვევაში ვეთის მიწა-წყალზე იტალიელს ვინა კი მქონდა იმის უფლება, ყველაფერი ფრანგული არ მომწონებოდა?! ოვალური დილიჯანსი... თაყვანს ვცემდი მოდას და თანაც ვწყევლიდი, რადგან ამ ეტლის ყოველი ბიძგი აბოლოქრებულ ზღვაში ნაფოტეით მოტივტივე ხომალდის რყევას მაგონებდა. უნდა გამოგიტყდეთ, ეს ჯაყჯაყი ზღვის რწყეაზე მეტად მაწუხებდა.

სწრაფი სკლის გამო ჩვენს დილიჯანს თურმე გონდოლა შეარქვეს, მე კი ვითარცა ამ საქმეში ჩახედულმა კაცმა, მიახლოებითაც ვერ მივამსგავსე ვენეციურ გონდოლას. ჩვენს ნავეს ორი ბრვე მენისზე ისე სწრაფად მიაცურებს წყლის ზედაპირზე, ერთხელაც არ შეარყევინ ხოლმე.

ამ ჯაყჯაყს შედეგად ის მოჰყვა, რომ ყველაფერი, რაც სტომაქში მქონდა, ამოვადე, ამიტომ ცუდ მგზავრად ჩამთვალეს, თუმცა პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამთ: საფრანგეთში ვიყავი, ფრანგების საზოგადოებაში, მათ კი თავაზიანობის საკითხში არაფერი ეშლებათ. ერთი შენიშვნა მაკმარეს მხოლოდ: ნოყიერად გვიანშმიათი, — მითხრეს. პარიზელმა აბატმა კი ჩემს დასაცავად განაცხადა, რომ აღბათ სუსტი კუჭ-ნაწლავი მქონდა. ამ მოსაზრებამ კამათი გამოაწვია.

მოუთმენლად ჩავერიე:

— ბატონბო, ცდებით! კუჭიც საღი მაქვს და არც ნაკახშმები გახლავართ.

სიტყვა დამთავრებული არ მქონდა, ერთმა ხანდაზმულმა კაცმა, დამტკბარი ხმით მოსაუბრემ, მიმითითა: უმჯობესი იქნებოდა გეთქვათ: „მართალი არ ბრძანდებით“ და სიტყვა „ცდებით“ საერთოდ არ გეხმარათი. არ გახსოვთ, — გამახსენა, — ციცერონმა კატილინასა და სხვა შეთქმულთა სიკვდილის შემდეგ რომაელებს რომ გამოუცხადა, „მათ სიცოცხლე დაასრულესო?“!

— მერედა, ეს ხომ ერთი და იგივეა!

— ბოდიში მომითხოვია, ბატონო, ერთი ფორმა თავაზიანობას გამოხატავს მეორე კი — არა.

გრძელი საუბარი გამიბა ზრდილობისა და უზრდელობის საკითხებზე და ბოლოს სიცილით დააყოლა:

— თუ არ ვცდები, იტალიელი უნდა იყოთ...

— დიახ, გახლავართ. კადნიერებად ნუ ჩამითყლით და თუ შეიძლება მითხარით, რამ მიგანიშნათ ჩემს ეროვნებაზე?

— ყურადღებამ, ბატონო, თქვენმა ყურადღებამ! — მიპასუხა, — ჩემს ვაუთაკებულ ლაყობას ამდენ ხანს მოამინებით რომ უსმენდით.

ყველას სიცილი აუტყდა, მე კი ამ კაცის გონიერებით მოხიბლული ღაერნი და გადავწყვიტე, როგორმე მაღლიერება გამომეხატა.

ეს კაცი თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭუნას ახლდა, მისი გუვერნიორი იყო. მთელი მგზავრობის განმავლობაში ფრანგული თავაზიანობის წესებზე მესაუბრებოდა. გამომშვიდობებისას, ერთმანეთს რომ უნდა დავშორებოდით, მეგობ-

რულად გამინაპირა და შითხრა, ერთი პატარა საჩუქარი უნდა ვიძღვნათო.



— რა საჩუქარი?

— ახლავე მოგახსენებთ: დაივიწყეთ და თქვენი ლექსებიც დაივიწყეთ ნაწილაკი „არა“. შეგაძნეოთ, რომ ამ უარყოფას ხშირ-ხშირად იმეორებთ. დაიმახსოვრეთ, ეს ფრანგული სიტყვა არ არის. უხეში „არას“ ნაცვლად „მაპატიეთ“ — ასე თქვით ხოლმე. ახრი იგივეა და ნაწყენი არავინ დაგრჩებათ. სიტყვა „არა“ ნიშნავს, რომ ადამიანს ტყუილში ამხელთ დაივიწყეთ იგი და პარიზის დიდ ბრძოლის ველზე გამარჯვების მოსაპოვებლად მოემზადეთ.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, ჩემო ბატონო; თქვენ ძვირფასი საჩუქარი მიძღვენით და პირობას გაძღვეთ, აწ და მარადის აღარასოდეს წარმოუთქვა ეს სიტყვა.

პარიზში ჩემი ყოფნის პირველი ორი კვირის განმავლობაში მეგონა, ადამიანთა შორის ყველაზე დამნაშავე ვიყავი, რადგან ყველასგან წამდაუნწუმ პატიებას ვათხოვდი. ერთ საღამოს თეატრში გახლდით და უადგილო ადგილას მობოდიშებისათვის კინალამ ჩხუბში ვაკეები. ერთმა ახალგაზრდა პეტიმეტრმა¹ უნებლიეთ ფეხზე დამაბიჯა. არ დავახანუ და მაშინვე მივახალე:

— მაპატიეთ, ბატონო!

— პირიქით, ბატონო, თქვენ უნდა მაპატიოთ.

— არა, თქვენ.

— არა, თქვენ.

— რა გაუწყობა, ბატონო, მოდით, ასე შევთანხმდეთ: მე თქვენ ვაპატიებო, თქვენ კი — მე და ერთმანეთი გადავკოცნოთ.

ასეთი დაზავებით დამთავრდა ჩვენი კამათი.

ერთ დღეს აკადსახსენებელი გონდოლით სასეირნოთ გავემგზავრე და დაღლილს ვაუჯჯავში ჩამსინებოდა. უცებ ვიგრძენი, ვიღაცამ ხელზე მაგრად მომწია.

— ოჰ, ბატონო, შეხედეთ ამ სასახლეს! — მეუბნება ჩემი მეზობელი.

— ვუფურებ... მერე?

— ოჰ, გეთაყვა, არ მიგაჩნიათ, რომ..

— არაფრად მივიჩნევი, პარიზიდან მხოლოდ ორმოცი დღეს დაშორებით რომ არ ვიმყოფებოდეთ! მაგრამ აჰ! ოჰ! ვანა წარმოიდგენენ ჩემი ევეფრა თანამოქალაქენი, რომ დედაქალაქიდან სულ ორმოციოდე ღიეზე ასეთი დიდებული სასახლე დგას! რა უმეცარია ადამიანი, როცა არ მოგზაურობს!

— სრული ჭეშმარიტებაა.

ეს კაცი პარიზელი გახლდათ და სულით ხორცამდე ისეთივე დოყლაპია დარჩენილიყო, როგორც კეისრის დროინდელი ვალელი.¹

1. პეტიმეტრი — ელენგანტურა, ზედმეტად თავაზიანი კაცი.

¹ ვალიის, ევროპის ისტორიული ოლქის მცხოვრები.

თუკი ფრანგები დიდიდან დაღამებამდე ბუზებს ითვლიან და ათასი სისულელით ერთობიან, ჩემსავით უცხოელი წესით მათზე უსაქმურად უნდა ცხოვრობდეს.

აქაურებსა და ჩემ შორის განსხვავება აღმოვაჩინე: პირადად მე დაჩვეული ვიყავი — მოვლენები რეალურად აღმეკვა და სინამდვილეს ვალამაზებდი. გააცეხულმა შევამჩნიე, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერი თანაქონდა შენიღბული იყო, ხოლო ეს ნიღაბი მოვლენათა არსს მთლიანად ცვლიდა. ფრანგები გაკვირვებულნი მაშინ რჩებოდნენ, თუ მიანიშნებდით, რომ ნიღბის ქვეშ სულ სხვა რამ იმალებოდა.

პარიზში ჩასვლისას ყველაზე მეტად მშვენიერმა ქვაფენილმა მომხიბლა, რომელიც ლუა XV-ის დროს დაუგიათ; მომეწონა აგრეთვე სუფთა სამიკიტნოები, კარგი საჭმელი, სწრაფი მომსახურება, მშვენიერი ლოჯინები და მსახურთა მოკრძალება. როგორც წესი, სუფრასთან ოჯახის ყველაზე ღამაში ქალიშვილი გემსახურებოთ. მისი თავმდაბლობა, სუფთა ჩაცმულობა და თავაზიანი ქცევა სტუმრის სამარცხეინო ზრახვებს ჩასახვისთანავე აქრობს. დამისახელეთ თუნდაც ერთი იტალიელი. ვისაც სიამოვნებას ჰგვრიდეს ჩვენს სამიკიტნოებში მომსახურე ბიჭების უხეშობა და თავხედობა?! მაშინდელ საფრანგეთში არავინ ითხოვდა ზედმეტ საფასურს: ეს ქვეყანა ნამდვილად უცხოელებისთვის იყო შექმნილი! მართალია, მრავალგზის შეძრულნი დავრჩით უღეთო დესპოტიზმითა თუ ფარული დაპატიმრებებით და ა. შ. დიან, ამგვარ სიმკაცრეთა მომსწრენიც გავხდით, მაგრამ მაშინ ეს მეფის ხელისუფლების დესპოტიზმის ბრალი იყო. შემდეგ კი საფრანგეთი სახალხო დესპოტიზმმა შეიპყრო. ვანა ეს ნაკლებ სახარელი მოვლენაა?!

მე და ბალეტიმ ფინტენებლში ვისადილეთ (ფინტენებლო „მშვენიერ შადრევანს“ ნიშნავს). როცა უკან ვბრუნდებოდით, პარიზიდან ორი ლიეს დაშორებით ჩვენკენ მომავალი ბერლინი დავინახეთ. დავეპირისპირდა თუ არა, ჩემმა მეგობარმა იყვირა, დილიჟანსი გააჩერეთო. ეტლში დედამისი იჯდა და ისე შემხვდა, თითქოს დიდი ხნის მონატრებული მისი მეგობარი ყყოფილიყავი. ეს ქალი ცნობილი მსახიობი სილვია გახლდათ. გულთბილად გამიღიმა და მითხრა:

— ვიმედოვნებ, ბატონო, ჩემი შვილის მეგობარი უარს არ მეტყვით და ჩვენთან ერთად ივახშმებოთ ამ საღამოს.

მადლობა გადავუხადე და „კონდოლაში“ ავედი, ბალეტი კი დედამისთან, ბერლინში გადაჯდა და ჩვენ-ჩვენი გზა განვაგრძეთ.

პარიზში ჩასვლისთანავე სილვიას მსახური და ფიაკრი დამხვდა. მსახურმა თადარიგი დაიჭირა და ჩემთვის განკუთვნილ ბინაში მიმიყვანა. ბარგი ამოხიდა და ყველაფერი ჩინებულად დააბინავა. შემდეგ ბალეტისთან წავედით. ჩემი ახალი სამოსახლოდან ისინი ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე ცხოვრობდნენ.

ბალეტიმ მამამისი გამაცნო. მართლ ერქვა. ცოლ-ქმარი კომედიის თეატრში მოღვაწეობდა და მაყურებელი მათ სილვიასა და მარიოს სახელებით იცნობდა. ფრანგებს იმხანად ერთი ჩვეულება ჰქონდათ: იტალიელ მსახიობებს ხშირად ნათამაშევი სცენური გმირის სახელს შეარქმევდნენ ხოლმე. „გამარჯობათ, ბატონო არლეკინო; საღამო მშვიდიობისა, ბატონო პანტალონე“, — ასე ესალმებოდნენ მათ, ვინც ამ პერსონაჟებს განასახიერებდა.

თავი XI



თანდათან ვითვისებთ პარიზს. უცნაურებისა და
ათასი ვარიანტი. ზიზღიერება

შვილის ჩამოსვლის გამო სიღვიამ დიდებული ვახშამი გამართა და ახლობლები დაპატიჟა. იმ საღამოს ბედნიერება მომეცა ყველას გავცნობოდი. ბალეტის მამა, მარიო, სუფრასთან არ გამოსულა, ნაავადმყოფარი იყო და თავს სუსტად გრძობდა; სამაგიეროდ გავიცანი მისი უფროსი და, ქალბატონი ფლამინია. ეს მისი თეატრალური ფსევდონიმი იყო; სიტყვაკაზმულობის რესპუბლიკაში მან რამდენიმე თარგმანით გაათქვა სახელი. ამ ქალბატონის გაცნობა მთელ ატალიაში გახმაურებული ერთი ამბის გამო მსურდა. ხმა დაირხა, პარიზში სამი გამოჩენილი პიროვნება — კერძოდ, მარკიზი მაფეი, აბატი კონტი და პიერ-ჟაკ მარტელი — შეხვდა ერთმანეთს. ისინი მტრებად სწორედ მსახიობი ქალისადმი ტრფობამ აქცია, რადგან თითოეულ მათგანს ფლამინიას კეთილგანწყობის იმედი ჰქონდა. ვითარცა განსწავლულ ხალხს შეშვენიოდა, საბრძოლო იარაღად კალამი არჩიეს. მარტელიმ სატირა დაწერა მაფეიზე, სადაც ანაგრამა¹ გამოიყენა და „ფემია“ უწოდა.

ფლამინიასთან სიტყვაკაზმულობის რესპუბლიკის წევრობის კანდიდატად წარმადგინეს და ამ ქალბატონმაც პატივი დაძლია, თავისთან საუბრის ღირსად მიიქნა. თვითდაჯერებული ქალბატონი შეცდა, მეც რომ თავის თავიანისმცემელად ჩამთვალა, რადგან მისი სახე, საუბარი, ქცევა და ხმაღ ჯი ერთობ უსიამოვნო მეჩვენა. პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მაგრძობინა, რომ თავად ლიტერატურულ საზოგადოებაში ცნობილი პიროვნება ბრძანდება, მე კი მასთან შედარებით, პაწაწინა მწერი ვარ. თითქოს გაკვეთილს მიტარებდა, რადგან მიანხდა, რომ სამოც წელს გადაცალკეულ ქალს უფლება აქვს ჰქუა ასწავლოს ოცდახუთი წლის ლაწირაკს, ვის თხზულებებსაც ჯერ არც ერთი ბიბლიოთეკა არ გაუმდიდრებია. მისი გულის მოსაგებად აბატი კონტიზე წამოვიწყე საუბარი და სიტყვას ამ ბრძენი ადამიანის ორი ლექსიც მივაყოლე. თავაზიანად შემისწორა სიტყვა „severa“, რაც „განშორებულს“ ნიშნავს, და მიმიითთა „secura“ უნდა გეთქვათო, თან დაამატა:

- ნუ იწყენთ, ასეთი რამ პარიზში ჩამოსვლის პირველსავე დღეს რომ გაიგეთ. პარიზში ყოფნა თქვენს ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაკვეთი იქნება.
- ქალბატონო, მე სწავლა მინდა და არა შეცდომების გამეორება. ნება მომეცით შეგეკამათოთ და ვითხრათ, რომ სიტყვა „secura“, ასო „V“-ით წარმოითქმის და არა „H“-ით. რადგან იგი „severra“-დან მომდინარეობს.
- ჯერ კიდევ საკითხავია, ჩვენ ორში ვინაა მტყუანი!
- არიოსტოს თუ დავუჯერებთ, შემცდარი თქვენ ბრძანდებით, რადგან

¹ სიტყვაში ასოების გადაადგილებით სხვა სიტყვის წარმოქმნა; აქ: მაფეიფემია, ანუ მღედრო.

მას „sceura“ „persevra“-სთან აქვს გართიული, ხოლო „sceurd“, როგორც ხელავთ, აქ რითმად არ გამოდგება და თან იტალიურიც არ არის.

შეკამათებას აპირებდა; მაგრამ მისმა ოთხმოც წელს მიტანებულმა ქმარმა უთხრა, ცდებით, და ისიც გაჩერდა. მაგრამ მას შემდეგ ყველას, ვისაც მისი მოსმენა არ ეზარებოდა, უყვებოდა, რა მატყუარა ვარ.

ამ ქალბატონის ქმარი ლუი რიკობონი, მეტსახელად ლელიორ, სწორედ მის ლელიორ გახლდათ, 1766 წელს პერცოგ-რეგენტისთვის პარიზში იტალიური დასი რომ ჩამოიყვანა. ქველი და ღირსეული კაცი იყო. თავის დროზე ლამაზსა და წარმოსადევ ვაჟკაცს, ფრანგი მაყურებელი დამსახურებულ პატივს სცემდა. არა მარტო ნიჭიერების, არამედ მაღალი ზნეობის გამოც.

მთელი ვახშმის განმავლობაში გულდასმით ვაკვირდებოდი სილვიას. მას იმ დროს უდადესი აღიარება ჰქონდა მოპოვებული. ჩემს ცოცხალ შთაბეჭდილებას ადრე გაგონილსა და წაკითხულს ვუდარებდი და ახლებურად ვაფასებდი ამ ქალბატონს. ორმოცდაათი წლისა იქნებოდა. ახალგაზრდული, მოხდენილი სხეული და კეთილშობილური გარეგნობა ჰქონდა. ქვევა — თავისუფალი, ჩასიათი — მხიარული, საუბარი — გონივრული და დახვეწილი, მხოლოდ ასე შემიძლია დავახასიათო სილვია. სახე გამოცანასავით ჰქონდა; საერთო ყურადღებას იპყრობდა, ყველას ხიბლავდა, მაგრამ თუ დაუკვირდებოდი, აღმოაჩენდი, რომ არც ერთი ლამაზი ნაკეთი არ გააჩნდა. ვერავინ იტყოდა, ლამაზიაო, მაგრამ ვერც ის წამოსცდებოდა ვინმეს, უშნო ქალიაო. იმ ქალებსაც ვერ მიაკუთვნებდით, არც უშნონი რომ არიან და არც ლამაზნი, რადგან ჰქონდა ამ ქალს ის განუმეორებელი რაღაც, რისი სახელი მე არ ვიცი და რაც ერთი დანახვით მოგნუსხავდათ. მაინც რა ეთქმოდა ამ ქალს? ლამაზი! მისი სილამაზის იდუმალ კანონებს მხოლოდ ის გაიგებდა, ვინც უძლეველი სიყვარულით მოჯადოებული, ამ ქალისა და ამ კანონების შეცნობას გაბედავდა.

სილვია საფრანგეთის კერპი გახლდათ და მისი ხალასი ნიჭის გამო ბევრი დიდი მწერალი პირადად მისთვის წერდა კომედიებს, კერძოდ კი — მარივო. სილვია რომ არა, მარივოს კომედიებს შეიძლება არც ჰქონოდა მოძავალი. ავტორები და დამდგმელები ამ ქალის შემცვლელს ვერა და ვერ პოულობდნენ. რადგან შემცვლელს ურთულესი თეატრალური ხელოვნების ყველა შემადგენელი ნაწილი უნდა გაეერთიანებინა, რაც ასე უბადლოდ შეეძლო სილვიას. იგი ჰარმონიულად ითავსებდა მოძრაობას, ხმას, გონიერებას, გამომეტყველებას, თავის დაჭერასა და ადამიანთა ბუნების ბირეულ ცოდნას. ყველაფერს ბუნებრივად აკეთებდა და მძიმე შრომით მიღწეული მისი ოსტატობა თვალში არასოდეს გეცემოდათ.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სილვიას ერთი ისეთი თვისებაც ჰქონდა, რაც მეტ ღირსებასა და განსხვავებულ ელფერს სძენდა ყველა დანარჩენს; თუმცა სცენის დიდ მესვეურთა შორის ისედაც გამორჩეული იქნებოდა: ეს მისი შეუბღალავი პატიოსნება იყო. იგი ცდილობდა ჰყოლოდა მეგობრები და არა საყვარლები. დასცინოდა დროსტარებით მოპოვებულ უპირატესობას, რადგან ამ ფასად შეძენილი თავყვანისცემა საკუთარ თვალში დაამცირებდა. ასე და ამრიგად, წესიერი ქალის სახელი დაიმსახურა იმ ასაკში, როცა მისი მღვთმარეობასა და პროფესიის ადამიანისთვის ასეთი იარღიფი სასაცილო და უფრო მეტიც — შეურაცხმყოფელიც შეიძლება გამხდარიყო. სწორედ ამ მიზეზთა გამო მაღალი საზოგადოების ქალები კი არ მფარველობდნენ, არამედ ემეგობრებოდნენ მას.

განებიერებულ პარიზულ პარტერს არასოდეს გაუბედავს დაესტვინა სილვიას-
თვის, მაშინაც კი, როცა რომელიმე როლში არ მოსწონებოდა. ყველას ერთი
აზრი ჰქონდა: ეს ბრწყინვალე მსახიობი თავის წრეს ბევრად აღემატებოდა.

სილვიას არასოდეს უფიქრია, ცხოვრების მიხედვლ წესს ვინმე ღირსებად
თუ ჩაუთვლიდა, რადგან იცოდა, ამ პატიოსნების მიხედვით მისთვის პატივმოყვა-
რეობა იყო. ამიტომაც შეგობარ მსახიობ ქალებთან, რომლებიც, თავიანთი ნიჭის
ბრწყინვალეობითა და სილამაზით თავდაჯერებულნი, ზნეობას არაფრად დაგი-
ღევდნენ. არასოდეს გამოუჩენია ქედმაღლობა და პირად ღირსებას მათ არა-
სოდეს უპირისპირებდა. სილვიას უყვარდა ისინი და პასუხადაც ასეთივე, გულ-
წრფელ სიყვარულს იძუიდა. საჯაროდ ხოტბას ასხამდა მათ დამსახურებას,
იოტისოდენას არაფერს ჩამოაკლებდა ვინმეს, თუკი რამ სიკეთეს დაუნახავდა.
მათი ქებით თვითონ არაფერს კარგავდა, რადგან ნიჭით და ზნეობით ბევრად
აღემატებოდა ყველას და კერავინ მიაყენებდა ჩრდილს.

ამ გამორჩეულ ქალს ბუნებამ ათი წლის სიცოცხლე დააკლო, რადგან
ჩვენი გაცნობიდან ათი წლის შემდეგ, სამოცი წლისა რომ გახდა, მოლად
დაუძლურდა და მოტყდა. პარიზის ჰაერს ასეთ ოინს ხშირად უწყობს ხოლმე
იტალიელ მსახიობებს. სიკვდილამდე ორი წლით ადრე მარიკოს პიესაში,
მარიანას როლში ვნახე. შერყეული ჯანმრთელობისა და ხანდაზმულობის მი-
უხედავად, სცენაზე უჩვეულოდ ღამაზი და ახალგაზრდა, მოკლედ — ნამდვილი
მარიანა იყო. მასთან ვიყავი, როცა კვდებოდა. გარდაცვალებამდე ხუთი წუთით
ადრე თავისი ქალიშვილი გულში ჩაიკრა და უკანასკნელი დარიგება მისცა.
შესაფერი პატივით დაკრძალეს სენ-სოვერტში და ღირსეულ პასტორს არავა-
თარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, რადგან კეთილშობილი იყო და თავისი
მრავალი მოძმისგან განსხვავებით შირს გახლდათ ანტიქრისტიანული შეუწ-
ყნარებლობისგან. განაცხადა კიდევ, რომ კომიკოსობა ხელს არ უშლიდა განს-
ვენებულს ქრისტიანი ყოფილიყო, მიწა კი ყველასთვის ერთა, ისევე როგორც
უესო ქრისტე იყო ყველას მხსნელი.

ჩემო ძვრფასო მკითხველო! იმედი მაქვს, მაპატიებ, სილვიას დაკრძალვას
მის გარდაცვალებამდე მოელი ათი წლით ადრე რომ დაგასწარიო... სამაგიეროდ,
მისი სიკვდილის ფაში ქრინოლოგიურად რომ მოაღწევს, ამ ამბების მოყოლით
თავს აღარ შეგაწყენო.

სილვიას ერთადერთი ქალიშვილი და მისი უნაზესი სიყვარულის საგანი,
სუფრასთან დედის გვერდით იჯდა. იმჟამად ცხრა წლისა თუ იქნებოდა. მოელი
ყურადღება დედისკენ მქონდა მიმართული და ბავშვისთვის ზედაც არ შემიხე-
დავს. დრო გამოხდება და ყველაფერი სხვაგვარად წარიმართება, მაგრამ ეს
ბევრად გვიან მოხდება.

ვანშამი გაგვიგრძელდა და შინ, ქალბატონ კენსონთან, მოგვიანებით დავ-
ბრუნდი. ჩემს დიასახლისს გვარიანად გავუშინაურდი და თავს უკვე კარგად
ვგრძნობდი. დილით, გავიღვიძე თუ არა, ქალბატონმა კენსონმა მომახსენა, გა-
რეთ ვიღაც კაცი გელოდებოთ, მგონი, მსახურად სურს დაგიდგეთო. შემოვაშ-
ვებიან და რა ნახა ჩემნა თვალებმა?! ერთი ვუჯა ვინმე გამომეცხადა, რაც
იმთავითვე არ შეჭამნიკა და ჩვეული პირდაპირობით მოვახსენე კიდევ.

— ჩემს სიდაბლეს, ბატონო, დადებითი მხარე ისა აქვს, უკეთესი ბედის
სამებნელად როცა გავეშურები, გული საგულეს გექნებათ, რომ თქვენს ტანისა-
ლის ვერ ჩავიცვამ და ვერც ხელს გავაყოლებ.

- რა გქვიათ?
 - რასაც დამიძახებო.
 - რა? სახელს გეკითხებით, თქვენს სახელს!
 - გამოვიტყდებით და პირდაპირ გეტყვით: სახელი არა მაქვს, ჩემი პატრონები, ვისთანაც ვმსახურობდი, როგორც მოებრძანებოდათ, ისე მუშაობდნენ. ბატონ-პატრონები კი, იცოცხლეთ, ორმოცდაათამდე შევთვლია გამოცვლილი. ასე რომ, ის დამიძახეთ, რაც გაგახარდებათ.

- ბოლოს და ბოლოს ხათლობის სახელი ხომ გქონდათ? ოჯახში ხომ ვეძახდნენ რაღაცას?

- ჩემო ბატონო, ოჯახი არასოდეს მქონია. ჯეელობისას რაღაც სახელი კი მერქვა, მაგრამ უკვე ოცი წელია, რაც მსახურად ვმუშაობ და ყოველი ბატონის გამოცვლისას სახელსაც კიცვლიდი. ასე რომ, ყმაწვილობის სახელი აღარც კი მახსოვს.

- მაშ კარგი, გონიერას დაგიძახებო.

- დიდ პატივს დამდებო.

- აბა, ჩემო გონიერავ, წადით და ერთი ლუიდორი მიშოუეთ.

- აგერაა, იხებეთ, ბატონო!

- მდიდარი კაცი ყოფილხართ, გონიერავ!

- მიმსახურეთ, ჩემო ბატონო.

- თავდებად ვინ დაგიდგებათ?

- მუშა-მოსამსახურეთა დამქირავებელი კანტორა. და ბოლოს ჩემს პიროვნებაზე ქალბატონ კენსონსაც შეუძლია ვითხრათ ორიოდ სიტყვა. მთელი პარიზი მიცნობს.

- ვასაგებია და სავსებით საკმარისი. ასე შევთანხმდეთ: დღიურად ოცდაათ ბუს მიიღებო. თქვენი ჩაცმა-დახურვა მე არ მეკითხება. დასაძინებლად, საღაც გენებოთ, იქ წაბრძანდით და მოისვენეთ, ხოლო დილის შვიდ საათზე უკვე აქ უნდა იყოთ.

ბალეტში სანახავად შემომიარა და მოხოვა, ყოველდღე მასთან მესადილა და მევახშმა. თავი პალე-რუაიალში მივაყვანიე, გონიერა კი კართან დავტოვე. ძალიან მინდოდა ეს ადგილი შენახა და გულდასმით დამეთვალეებინა. დიდებულ, აუზებით დამშვეებულ ბაღს გარს მალალი შენობები ერტყა. ვეება ხეები საკმაოდ ღამაზ ხეავნებს ქმნიდნენ, ხოლო სამწვანეში ჩადგმულ 'კამებ'. თეთრად გაჰქონდათ ქაიქათი. კარგად გამოწყობილი პაძაკაცი და ქაღება ნება-ნება დასიერნობდნენ. აქა-იქ იყიდებოდა ახალი წიგნები, სურნელოვანი წყალი, კბილსაჩხრეკები და ათასგვარი წვრილმანი. წნულ სკამებს თითოს ერთ სედ აქირავებდნენ და მსურველი ბეერი იყო. გახეთის კითხვის მოყვარულებს ჩეროსთვის შეეფარებინათ თავი; მრავლად იყო მოსაუზმე კაცები და ქალები: ზოგი მარტო მიირთმევდა, ზოგი — ჯგუფებად შეკრებილიყვნენ. კაფეში მომსახურე ბიჭები გამალებით ადი-ჩადიოდნენ. წიფლის ხეივანს მოფარებულ კიბეზე პატარა მაგიდას მიუუჯექი. გარსონი უმაღ ჩემთან გაჩნდა და მკითხა, რა გნებავთო. შევუკვეთე წყალზე მომხადებული შოკოლადი. უღამაზესი მოოქრული ვერცხლის ფინჯნით რაღაც საზიზღრობა მომიტანა. კვითხე, კარგი ყავა თუ ვაქვთ-მეთქი.

- სანაქებო ყავა გვაქვს. საკუთარი ხელით მოვალულე წუხელ.

- წუხელ? წუხანდელი ყავა რად მიხდა?!

- სამაგიეროდ რძე, გვაქვს ახალი და მოუხდელი.
- რძეო? არასოდეს დამიღვევია. მომიდულეთ ერთი ჭიქა ყავა, წყლით იყოს.
- წყლით? წყლით მხოლოდ ნაშუადღევს ვაღუღებთ. ეგებ ბავშვიური სასმელი მიირთვათ, ან ერთი ღოქი ნუშის რძე?



ეროვნული

- კარგი, ნუშის რძე მომიტანეთ.
 ეს სასმელი უჩვეულოდ მეგემრია და გადავწყვიტე შეგაღწეოთ მესაუზმა. გარსონს ვკითხვ, ცხელ-ცხელი ამბები თუ იცი-მეთქი. მიპასუხა, დოფინის მეუღლეს პრინცი ეყოლაო. ერთი მღვდელი, მეზობელ მაგიდასთან რომ აჯდა, შეეპასუხა:

- ალაოდ ხომ არ ბრძანდებით?! პრინცი კი არა, პრინცესა შვა!
- უეცრად მესამე კაცი ჩაერთო საუბარში და დასძინა:
- ამ წუთას ვერსაღიდან მოვდივარ, დოფინის მეუღლეს ჯერ არც პრინცი შესძენია და არც პრინცესა.

მღვდელმა მითხრა, უცხოელს ჰგავხართო, და მეც დაუდასტურე: მართალია, აქაური არა ვარ, იტალიელი გახლავართ-მეთქი. ეს რომ შეიტყო, ბევრი რამ მიაბბო სამეფო კარზე, ქალაქზე, სექტაკლებზე და შემომთავაზა, თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ყველგან წაგიყვანთო. მადლობა გადავუხადე და ალაღბედზე ერთ ხეივანს გავუყევი. ახალგაცნობილი მღვდელი თან წამომყვა და სათითაოდ ყველა მოსიერზე ქალიშვილის გვარი და სახელი მამცნო.

გზად ერთი ახალგაზრდა შემოგვხვდა. მღვდელმა გადაკოცნა და ასე გამაცნო: ეს ყმაწვილი იტალიური ლიტერატურის დიდი მცოდნე არისო. იტალიურად გამოველაპარაკე. ახალგაზრდა კაცმა ენამოსწრებულად მიპასუხა, მაგრამ მის მეტყველებაზე გამეცანა. შევნიშნე, თქვენ ზუსტად ბოკაჩოს ენით ლაპარაკობთ-მეთქი. შენიშვნა ქათინაურად ჩამითვალა და დიდად ეამა. არ დაეყოვნებდა კმაყოფილება წამში გავუქარწყლე, რადგან უმტკივნეულოდ დავუმტკიცე. ჩვენს დროში ასე ლაპარაკი არც ღირს და არც შეიძლება-მეთქი, რაც სრულებით არ გამორიცხავს იმას, რომ ღირსეული წინაპრის ენა მართლაც ჩანებული და მშვენიერი იყო-მეთქი. გაცნობიდან ნახევარი საათიც არ იყო გასული და მეგობრები გაუხდით, რადგან ბევრი საერთო მიდრეკილება აღმოგვაჩნდა, ისიც პოეტი იყო და მეც. იგი იტალიური ლიტერატურით იყო გატაცებული, მე კი ფრანგული ლიტერატურა მზიბლავდა. მისამართები გავცკვალეთ და შევთანხმდით, რომ ახლო მომავალში ერთმანეთს მოვინახულებდით.

ერთ ადგილას შეჯგუფებული ხალხი დავინახე. ქალებიცა და კაცებიც გაუნძრევლად იდგნენ და სადღაც ზევით იცქირებოდნენ. ჩემს ახალშეცნულ მეგობარს ვკითხვ, რამე საინტერესო ხომ არ ხდება-მეთქი.

- ეს ხალხი ყურადღებით ადევნებს თვალს მზის საათს. ყველას. საათი უჭირავს ხელში და სრულ შუადღეს ელოდებიან, რათა დრო შეამოწმონ.
- განა მზის საათები ყველგან არა დგას?
- კი, მაგრამ, პალე-რუაიალის საათი ყველაზე ზუსტია. თავშეუკავებელი სიცილი წამსკდა.
- რატომ იციან?
- იმიტომ, რომ შეუძლებელია, ყველა მზის საათი ერთნაირი არ იყოს. ეს ხომ წმინდა წყლის დოცლაპიობაა!

ჩემი მეგობარი ერთ წუთს დაფიქრდა და შემდეგ გულიანად გადაიხარხარა.

ამერიდან ნებას კრთავთო, — ბრძანა დიმიტროვულმა, — გააკრიტიკოთ ჩვენი კეთილი პარიზელებო.

პალე-რუაილის დიდი ალაფაფის კრიდან გამოვედით და ხალხის მოხრადილი ჯგუფი დავინახეთ, რომელიც „ცივეტას“ დუქანიან ჩანქოლებდა.

— აქ რაღა ხდება?

— თქვენ უთუოდ ახლაც გაგვიცინებათ. ეს კეთილი ადამიანები ელოდებიან, ამ დუქანში ნაყიდი თუთუნით უნდა აივსონ სათუთუნეები.

— ვანა თუთუნის სხვაგან არ იყიდება?

— როგორ არა, ყველგან იყიდება, მაგრამ უკვე სამი კვირაა, რაც თუთუნს მხოლოდ „ცივეტაში“ ყიდულობენ.

— აქ აღბათ საუკეთესო თუთუნს ყიდიან?

— არც იმდენად, მაგრამ მას შემდეგ, რაც შარტრის ჰერცოგის მეუღლემ ეს მოდა შემოიღო, ხალხს მხოლოდ აქაური თუთუნია უნდა.

— კი მაგრამ, ასეთი მოდა როგორ შემოიღო?

— ორჯერ თუ სამჯერ გააჩერებინა აქ თავისი ეტლი და სათუთუნე აქ შეეკო. ჰერცოგის მეუღლემ საჯაროდ გამოუცხადა გამყიდველ ქალს, რომელიც სათუთუნეს უვსებდა, შენი თამბაქო საუკეთესოა პარიზშიო. დოცლაბიებმა, გარს რომ ეხეივნენ, ეს ამბავი სხვებს გადასცეს და ამგვარად ზოგელმა პარიზმა გაიგო თუ კარგი თამბაქოს ყიდვა ვინდა, „ცივეტაში“ უნდა მიხვიდე. ეს ქალი უთუოდ გამდიდრდება: დღეში ასი ეკაუს თამბაქოს ყიდის.

— ჰერცოგის მეუღლემ უთუოდ არ იცის, რა ბედი არგუნა ამ ქალს.

— პირიქით, ეს ამ ქალბატონის გამოგონებაა და ფრიად სტრატეგიული ხერხი გახლდათ. საერთოდ, ჰერცოგის მეუღლე ჭკუამახვილობითაა ცნობილი. უყვარდა ეს ყმაწვილი ქალი, რომელიც ახლახან გათხოვდა, ჰოდა, მოაფიქრა, როგორ დახმარებოდა, მახუ დაავიო და ფანდმა კიდევ გაჭრა. ვერ დაიჯერებთ, რა კარგი და მამაცი ხალხია პარიზელები. ქვეყანა, თქვენ რომ ჩამობრძანდით და ამჟამად იმყოფებით, ერთადერთია მსოფლიოში, სადაც ჭკუის ყოველ გამობრწყინებას დიდი სამოქმედო ასპარეზი აქვს: თუკი ვინმე ჭეშმარიტებას გვამცნობს, მას ჭკვიანი ადამიანები მიესალმებიან, და თუ შეცდება და საცრუს გზას დაადგება, ბრიყვნი დააფასებენ. სიბრიყვე — ჩვენი ერის დამახასათებელი თვისებაა და, რაც ყველაზე მეტადაა გასაკვირი, იგი ჭკუის დვიძლი ასულია, პარადოქსად ნუ ჩამითვლით, მაგრამ გამოდის, თითქოს ფრანგი ერი უფრო გონიერი იქნებოდა, ოდნავ ნაკლება ჭკუა რომ ჰქონოდა.

ჩვენში ორ ღმრეთს უთაყვანებიათ, თუმც მათთვის საკურთხეველი არ აუგიათ, — სიახლეს და მოდას. კაცი რომ გაიქცეს, სხვებიც გაეკიდებიან და იქამდე სდევნენ, ვიდრე აღმოჩნდება, რომ თურმე გადარეულთან ჰქონიათ საქმე. ზღვის კოუზით ამოხაპვა — უიმეროდ რთული ამოცანაა: რამდენი გყავს დაბადებითვე გიჟი, ვინც დღემდე ბრძენად ითვლება!

„ცივეტას“ თამბაქო სულ მცირე წარმოდგენას გვაძლევს ქალაქის აურზაურსა და ორომტრიალზე, იმ ბრბოზე, რომელსაც უმნიშვნელო ბიძგი უნდა, ერთ ადგილას რომ მოჯარდეს და მოქუჩდეს. ერთხელ ჩვენი ხელმწიფე სანადიროდ გაემგზავრა და ნეიის ხიდთან შეჩერდა ტკბილი არაყის დასალევად. ბედად, დუქნის პატრონს ერთი ბოთლი რატიფია აღმოაჩნდა. მეფემ დალია, ვამა, თანმხლებთ გადაულაპარაკა, ასეთი მშვენიერი სასმელი არსად დამილე-

ვით, და მეორე ჭიქა მოითხოვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მეღუქნე გაძლიერებულიყო. ერთი დღეც არ იყო გასული, რომ სამეფო კარმა და მთელმა ქალაქმა იცოდა: ჩეიური რატიფია ევროპაში საუკეთესო სახმელი იყო! აქ ორი აზრი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, — ხელმწიფემ ხომ ასე ბრძანა!

რატიფიის დასალევად უბრწყინვალესი საზოგადოება უწყვეტ ლაქად მიემგზავრებოდა. ლატაკი მეღუქნე უცებ გაძლიერდა, იმ ადვილად დადებული სახელი წამოჭიმა და ღირსშესანიშნავი წარწერით დაამშვენა: *ex ligidies solidum*¹. ეს სიბრძნე ალბათ რომელიმე ჩვენმა აკადემიკოსმა შეურჩია. მითხარით, რონელ კერპს უნდა უმაღლოდეს იღბლიანი მეღუქნე, ასე სწრაფად რომ გაძლიერდა?! სიბრიყვეს, ჩემო მეგობარო, ფუქსავატობასა და ხუმრობის სურვილს.

— ასე მგონია, — ეუბასუხე, — მეფისა და უფლისწულთა ყოველი გამონათქვამით ამგვარი აღტაცება მათდამი უზომო სიყვარულითა გამოწვეული. ეს სიყვარული იმდენად დიდია, რომ ერთგული ხალხი ამ ადამიანებს უნაკლო არსებებად მიიჩნევს.

— მართალი ბრძანდებით. უცხოელები, ჩვენს ყოფას თვალს რომ ადევნებენ, დარწმუნებულნი არიან, თითქოს ფრანგები აღმერთებენ თავიანთ ხელმწიფეს; მაგრამ ვისაც განსჯის უნარი არ დაუკარგავს, ხვდება, რომ მონარქისადმი ერის სიყვარული — თვალის მოტყუებაა და სხვა არაფერი. რისი აშენება შეიძლება იმ სიყვარულით, რომელსაც საფუძველი არ გააჩნია?! მეფის კარზე ეს მშვენივრად იციან და იქ ასეთი სისულელით თავს არავინ იტყუებს.

როცა მეფე პარიზში შედის, ყველა ყვირის: „გაუმარჯოს მეფეს!“ — მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმა უსაქმურმა ერთხელ ასე დაიყვირა. ეს მხიარულებით ან იქნებ შიშით გამოწვეული წამოძახილია; მერწმუნეთ, თვით ხელმწიფეს არ სჯერა მყვირალთა გულწრფელობისა. პარიზში იგი ცუდად გრძნობს თავს, ერთი სული აქვს ვერსალში დაბრუნდეს, სადაც ოცდახუთი ათასი ადამიანი საიმედოდ დაიცავს და შიში არ ექნება იმ ხალხის რისხვისა, რომელსაც თუ მოტკვიანდა, მაშინვე დაჭექს: „სიკვდილი მეფეს!“ ლუი XIV-მ ეს კარგად იცოდა. იმიტომაც დასაჯა სიკვდილით რამდენიმე სახელმწიფო მრჩეველი, ვინც გაბედა და თქვა, ეროვნული განსაცდელის ჟამს გენერალური შტატები მოვიწვიოთო. საფრანგეთში მეფეები არასოდეს უყვარდათ, თუ არ ჩავთვლით წმინდა ლუი XII-სა და ანრი IV, დიდსა და კეთილ მეფეს. და მაინც ერის სიყვარული უძლური აღმოჩნდა, ვერ დაიცვა იგი იეზუიტთა ხანჯლისაგან, ღვთით შერისხული და დაწყევლილი ხალხისგან, ვინც დემოსის შტერიცაა და მეფეებისაც. ახლანდელი მეფე სუსტი მმართველია და მინისტრები თავის ჭკუაზე დატერებენ. ერთხელ, ავადმყოფობის შემდეგ, მეფემ მიაშიტურად წარმოთქვა: „მიკვირს, ჩემი გამოჯანმრთელების გამოს ამ საერთო სიხარულსა და ზემს რომ ვხედავ, ვერაფრით გამიგია, რატომ ვიყვარვართ ასე?! ბევრ მეფეს შეეძლო გაემეორებინა ეს სიტყვები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მასების სიყვარული მათი კეთილი საქმეებით უნდა გაზომილიყო. მონარქის გულუბრყვილო გამონათქვამა აიტაცეს და ცამდე აიყვანეს. მაგრამ კარის ნებისმიერი ფალოსოფოსი ვალდებული იყო ეუბასუხა მეფისთვის, რომ ესოდენ იმიტომაც უყვარდათ, რაკი მეტსახელად „საყვარელი“ ერქვა.

¹ თხევადიდან — მკვრივი (ლათ.).

— მეტსახელია თუ სახუმარო სახელი?! ერთი ეს მოთხარით: თქვენს კარზე ფილოსოფოსნიც არიან?

— ფილოსოფოსი არა, რადგან შეუძლებელია კარის მსახური ფილოსოფოსი იყოს; ეს ისეთივე შეუთავსებელი რამ არის, როგორც სიბნელე და სიბნელი ნათლე, მაგრამ არიან ჭკვიანი ადამიანები, ვინც პირადი ამბიციების რიშების გამო ხმას არ იღებენ. ამას წინათ ერთ დაახლოებულ პირთან, მის სახელს ვერ გეტყვი, მეფე ქალბატონ მ.-თან გატარებული ღამით ტრაბახობდა და ამბობდა, ჩემი აზრით, მსოფლიოში არ არსებობს ქალი, ვისაც ამგვარი სიამოვნების მონიჭება შეუძლიაო. დაახლოებულმა პირმა უპასუხა, რომ მისი უდიდებულესობა აზრს შეიცვლიდა, თუკი ერთხელ მაინც მიაკითხავდა საროსკიპოს. ის კაცი წამსვე გააძევეს სასახლიდან.

— ჩემი აზრით, საფრანგეთის მეფეები არა ტყუიან, როცა გენერალური შტატების მოწვევაზე უარს ამბობენ. რადგან მაშინვე პაპის მდგომარეობაში აღმოჩნდებიან; პაპიც ხომ იძულებულია საეკლესიო კრება მოიწვიოს.

— მოლად ასე არაა, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. გენერალური შტატები მაშინ იქნება სახიფათო, ხალხს, ანუ მესამე წოდებას აზნაურობისა და სამღვდლოების წინააღმდეგ ხმების უმეტესობის მოპოვება რომ შეძლებოდა. მაგრამ ეს არასოდეს მოხდება — ძნელი წარმოსადგენია, რომ პოლიტიკა თავის მახვილს ბორჯნულ შემლილებს ჩააბარებს. ხალხს სურს ისეთივე გაფლენით სარგებლობდეს, როგორც ორი სხვა წოდება. მაგრამ არც ერთი მინისტრი არასოდეს მიანიჭებს მას ამგვარ უფლებას. რომელიმე მინისტრმა ეს რომ გააკეთოს, ან ვიფი იქნება ან მოლალატე.

ახალგაზრდას, ვინც თავისი მსჯელობით სწორი წარმოდგენა შემოქმნა ფრანგ ხალხზე, პარიზელებზე, მეფის კარსა და თვით მეფეზე, პატარა ერქვა. მე კიდევ მომეცემა საშუალება მის შესახებ მოგიოხროთ. საუბარ-საუბარში სილვიას კარამდე მიმაცილა და მომხლოცა, რომ ამ სახლში მიმესვლებოდა.

კეთილი მსახიობი ქალი სასიამოვნო სტუმრებთან ერთად დამხვდა. ყველას წარუდგინა ჩემი თავი და ყველანი გამაცნო. კრებიონის¹ სახელის გაგონებაზე სიხარულით ცას ვეწიე.

— ნუთუ, ბატონო ჩემო, ასე სწრაფად მეწია ბედნიერება! — წამოვიძახე, — რვა წელიწადია, თქვენი ტყვე ვარ! მორჩილად შეგოხვით, მომისმინოთ.

და წავუკითხე ულამაზესი სცენა „ზენობია და რადამისტიდან“, თუ რა ლექსად რომ მქონდა თარგმნილი. სილვია აღტაცებული იყო: თანამოცი წლის კრებიონი დიდი სიამოვნებით ისმენდა თავის თხზულებას, თარგმნილს იმ ენაზე, რომელსაც დიდებულად ფლობდა და მშობლიურივით უყვარდა. იგივე სცენა ფრანგულად წავუკითხა და თავაზიანად მიმითითა პასაჟებზე, მე რომ, მისი თქმით, შევალამაზე. მადლობა მოვახსენე და ამ შექებას არ მოვუტყუებივარ.

მაგიდას მივუსხედით. მკითხეს, რა შთაბეჭდილება დამრჩა პარიზზე, და მეც, რაც ნანახი და მოსმენილი მქონდა, ყველაფერი ვთქვი, მხოლოდ პოლიტიკაზე არ დამიძრავს კრინტი. სულ ცოტა, ორ საათს ვლაპარაკობდი და კრებიონმა ვინც სხვებზე კარგად მიხვდა, თუ რა გზით ვაპირებდი ფრანგი ხალხის გაცნობას, ასე მომძაროა:

¹ კრებიონი, პროსპერი — ფრანგი დრამატურგი (1674—1762).

შინვე თვალში მეცემოდა, მაგრამ თვითონ როცა ვწერდი, ვეღარ ვამჩნევდი უწყვეტ ნაკადად გადმოღვრილ იტალიანოზებს. დარწმუნებული ვარ, რაც უნდა ვიღონო, ამ ნაკადს თავს ვერ დავაღწევ, რადგან ასეთი რიგის შეცდომებს ვერ აღვიქვამ, ზუსტად ისევე, როგორც ვერა ვგრძნობ, თუ რისთვის უყიფობენ ტიტუს ლივიუსს „შებღღული ლათინურის“ თაობაზე.

ერთხელ რვატაეპიანი თავისუფალი ლექსა დაეწერე და კრებიონს გასასწორებლად მიუუტანე, გულდასმით წაიკითხა რვავე სტრიქონი და აი, რა მოთხრა: — თქვენი ენა სრულყოფილია. აზრი მშვენიერია და სავსებით პოეტური. ლექსი კარგია და ზედმიწევნით სწორი; და მაინც თქვენი თხზულება არაფრად არ ვარგა.

— ეგ როგორ?!

— თავადაც არ ვიცი. რაც ამ ლექსს აკლია, ასე შეიძლება გამოითქვას: „რა ვითხრათ, როცა ვერ გეუბნებით?!“ წარმოიდგინეთ, რომ თქვენ წინაშე მამაკაცი დგას; იგი ღამაზ კაცად მოგეჩვენათ: წარმოსადგეცაა, თავაზიანი, ენამახვილი. — მოკლედ, გულმოდგინე შესწავლის შემდეგ სრულქმნილ არსებად მიიჩნევთ. ამ დროს შემოგესწრებათ ვინმე ბანოვანი, შეხედავს ამ მამაკაცს, დააკვირდება და წასვლისას გამოგიცხადებთ, არ მომეწონათ.

„ქალბატონო, გამაგებინეთ, რა ნაკლი აღმოუჩინეთ?“

„არავითარი!“

„მაშ, რატომ არ მოგწონთ?“

— თვითონაც არ ვიცი!“

ისევე მიუბრუნდებით იმ კაცს, უფრო გულდასმით დააკვირდებით და ბოლოს აღმოაჩენთ, რომ საჭურისი ყოფილა. აჰ! — ამბობთ, — ახლა კი ვხვდები, გაუცნობიერებელმა აღლომ რატომ ათქმევინა იმ ქალს ასეთი სიტყვები.

ამ შედარებით კრებიონმა თითქმის აუხსნელი რამ ამიხსნა: როცა მოვლენა ჩვეულებრივი კანონებით შეფასებას არ ექვემდებარება, ყველაზე სწორად მას გემოვნება და შეგრძნება განსაზღვრავს.

სუფრასთან ბევრი ვისაუბრეთ ლუი XIV-ზე; კრებიონი მის კარზე თხუთმეტი წელი მსახურობდა და ჩვენთვის უცნობ უამრავ საინტერესო ამბავს გვაამბობდა. გვარწმუნებდა, სიამელი ელჩები ქალბატონ დე მენტენონის მიერ მოსყიდული თაღლითები იყვნენო. კიდევ მოგვახსენა, რომ თავი მიაწება ტრაგედია „კრომველზე“ მუშაობას, რადგან თვით შეფემ უბრძანა, — ეილაც გაიძვერაზე კალამს ნუ ცვეთო.

„კატალინაზე“ საუბრისას თქვა, რომ ამ ნაწარმოებს თავის ყველაზე სუსტ პიესად თვლიდა, მაგრამ მისი გამართვის სურვილი არა ჰქონდა, თუნდაც სცენაზე კეისრის გამოყვანა დასჭირებოდა. ახალგაზრდა კეისრის გამოჩენა პიესას გაახალისებდა და სასაცილოც იქნებოდა. განა მედია, თუ მას იაზონის გაცნობამდე აჩვენებდნენ, ასევე არ გააცინებდა მაყურებელს?! კრებიონმა ნიჭი შუქო ვოლტერს, მაგრამ ქურდობაში აშხილა სენატის სცენა მე მომპარათ. მაინც საკადრისი პატივით მოიხსენია და თქვა, ვოლტერი ჭეშმარიტი ისტორიკოსია, თუმცა ისტორიას ამახინჯებს და ზღაპრებით ავსებს, რათა თხზულებას ზიბლი შემატოსო. კრებიონი თვლიდა, რომ „რკინის ნიღბოსანი“ წმინდა წყლის გამოგონება იყო, რისი დასტურიც, მისივე თქმით, თვით ლუი XIV-გან მიიღო.

იტალიურ თეატრში იმ დღეს ქალბატონ დე გრაფინის პიესა „სენია“ გადიოდა. ადრე წავუდი, კარგი ადგილი რომ დამეკავებინა ამფითეატრში.

ბელეტაჟის ლოჟებში ბრილიანტებით დახუნძლული ქალბატონები გამოჩნდნენ და მათ დიდი ყურადღებით ეათვალიერებდი. ლამაზე ვერ ვხედავ, მაგრამ ჩემს ფრავს განიერა სახელოები ჰქონდა და თავადაც უბელეტაჟო ქალი: ბით იყო შვერული; ამის გამო ყველა ხვდებოდა, რომ უცხოელი ვიყავი: პარიზში ასე არავის ეცვა. მოკლედ, თეატრს წყალს ვასქევედა და ნაცნობებთან ელაყბობდი, როცა უეცრად, მდიდრულად ჩაცმული, ჩემზე სამჯერ სქელი მამაკაცი მომიახლოვდა და თავაზიანად მკითხა, უცხოელი ხომ არ ბრძანდებითო. დავუღესტურე, გახლავართ-მეთქი. მაშინვე დაინტერესდა, როგორ მომეწონა პარიზი. ვუპასუხე, დიდებული ქალაქია-მეთქი, და სწორედ ამ დროს დავინახე: ჩემგან მარცხენა ლოჟაში სამკაულებში ჩამჯდარი, უსაშველოდ სქელი ქალი შემოვივორდა.

— ეს ღირს ვინაა? — გადავულაპარაკე ახალ ნაცნობს.

— ამ სქელი ტანის ცოლი ვახლავთ, — მიპასუხა და მკერდზე მიიღო ხელი.

— ოჰ, ჩემო ბატონო! ათას ბოდიშს გიხდით!

მაგრამ ამ ვიემა კაცს ჩემი ნათქვამი სულაც არ სწყენია და ბოდიშებიც არაფრად დასჭირვებია: გაბრაზების ნაცვლად სიცილით კინალამ გაიგუდა. უბრალო და საყოველღეო ფილოსოფიის კეთილშობილური შედეგი ისაა, რომ ურანგება ამ ფილოსოფიას შესანიშნავად იყენებენ საკუთარი არსებობის გასახალისებლად, რასაც ხშირად მავანნი და მავანნი მათ ფუქსავატობაში უთვლიან. ისე შემრცხვა, არ ვიცოდი, სად გადაკარგულყავი. მიწა რომ გამსკდომოდა და შიგ ჩავეტანე, აღბათ მერჩია. ჩემი ნაცნობი სიცილს რომ მორჩა, ადგა, ამფითეატრიდან გავიდა და ერთი წუთის შემდეგ უკვე თავის ცოლს ელაპარაკებოდა. არ მივბრუნებულვარ, ისე გავაპარე თეალი მათი ლოჟისკენ და დავინახე: ცოლ-ქმარი ხმამაღლა ხარხარებდა. ამ მხიარულებამ უხერხულობა გამიორმაგა და უკვე თეატრიდან გაძურწვა დავაპირე, როცა იმ კაცის ხმა შემომესმა:

— მუსიე, მუსიე!

უპასუხოდ ვერ დავტოვე და ლოჟას მიუუახლოვედი. ამჯერად, სერიოზულად და ერთობ დარბაისლურად სიცილისთვის პატიება მოთხოვა და შემდეგ ასე მომმართა, — ეგებ პატივი დამდოთ და ამ საღამოსვე შინ ვახშმად მეწვიოთო. მადლობა გადაუხადე და ვუპასუხე, მაპატიეთ, მაგრამ სხვაგან ვარ მიპატიჟებული-მეთქი. მამაკაცმა დაჟინებით გაიმეორა თხოვნა, მას ქალბატონი შეუერთდა და უკმეხობა რომ არ დაეწამებინათ, განვაცხადე, სილვიასთან ვარ მიწვეული-მეთქი.

— დარწმუნებული ვარ, — მოთხრა კაცმა, — შევძლებ, თუ, რასაკვირველია, საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, თქვენი მიპატიჟება გავაუქმო. თავად ვთხოვ სილვიას, ამ დათმობაზე წავიდეს.

არ შევეწინააღმდეგე. წავიდა და ბალეტისთან ერთად დაბრუნდა. ბალეტიმ მოთხრა, დედაჩემი ბედნიერად თვლის თავს, ასეთი შესანიშნავი ნაცნობები რომ გაიჩინე, და ამიტომ სადილად შენი დღევანდელი მიპატიჟება ხვალისთვისაა გადატანილიო. მერე ხმადაბლა ამიხსნა, რომ ეს კაცი ბატონი დე ბოშანი ვახლდათ, გადასახადების მთავარი ამკრეფი.

მხატვრული თარგმანის არსი



მხატვრული თარგმანის არსი (ნაწევრი წიგნიდან „თარგმანის არსი“ თეორიები და სტილის ეტიმოლოგიის პრობლემა)

თარგმანის ფენომენის საიდუმლო ენისა და აზროვნების ურთიერთობაშია საძიებელი. რომ არ არსებობდეს ენისა და აზროვნების დიალექტიკური ერთიანობა, ენას რომ არ გააჩნდეს უნარი გარდასახოს ყოველი აზრი, თარგმანი ვერ იარსებებდა. მართალია, ორ ენას შორის არსებული განსხვავებანი: სხვადასხვა ენაში სიტყვის სხვადასხვაგვარი სემანტიკური ტევადობა, სიტყვების განსხვავებული კომბინატორული ცვლილებანი, სიტყვათშეკავშირების თავისებური კანონები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულების სხვადასხვა მეტასომიოტური საფუძველი თარგმანის გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს, მაგრამ მთარგმნელს დედნის ენის ცოდნის, ანუ „ენობრივი კომპეტენციის“ გარდა ეზმარება რეალური სიტუაციის, ანუ იმ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გაგების უნარი, რომელსაც ენა თუ ის ტექსტი ეურდნობა, ეს უნარი კი, თავის მხრივ, ობიექტური რეალობის ფაქტების ცოდნას ეყარება და კონკრეტულ სათარგმნ ნაწარმოებთან ერთად ნათელ, გასაგებ სურათს ქმნის.

გავიხსენოთ მრავალთაგან აღიარებული დებულება, რომ მხატვრული თარგმანი შემოქმედებაა, ოდნოდ მეცნიერულ შრომასთან შერწყმული შემოქმედება და თარგმანის არსში უკეთეს გარკვევის მიზნით გამოვყოთ რამდენიმე ასპექტი:

1. თარგმანის დამოკიდებულება სინამდვილესთან;
2. თარგმანის ამბივალენტურობა და სიზუსტის ცნება;
3. თარგმანზე მუშაობის შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები.

ისეთი საკითხები კი, როგორცაა თარგმანის შეფასების კრიტერიუმი, მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი და დედნის სტილის ერთგულების პრობლემა, ეროვნული კოლორიტის ცნება თარგმანში, ქართული თარგმანის განვითარების გზები და სხვა, კონკრეტულ საილუსტრაციო მასალას მოითხოვს და, ბუნებრივია, თარგმანის ზოგადთეორიული საკითხების წრეში ვერ შემოვა.

1. თარგმანის დამოკიდებულება სინამდვილესთან

ცნობილია, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მოცემული მხატვრული სიმართლე ცოცხალი სინამდვილის ზუსტი განმეორება არ არის. იგი ყოველთვის გულისხმობს სინამდვილის წვდომასა და გარდასახვას ხელოვნების ნაწარმოების ენაზე. მხატვრულ ნაწარმოებში თავისებურად აირეკლება სინამდვილის რეალური მიმართებანი, სინამდვილის ობიექტური ლოგიკა, მაგრამ ლიტერატურაში სინამდვილის ასახვა სარკისებურ არეკვლად არ უნდა მივიჩნიოთ, ღ. ფოიერბახის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელოვნება არ მოითხოვს მისი ნაწარმოები სინამდვილედ ვალიაროთ, იგი მხოლოდ სინამდვილის მსგავს შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს ადამიანზე.

რა შეიძლება ამ მხრივ ითქვას მხატვრულ თარგმანზე?

არსებობს განმარტება, რომ „მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, რომელშიაც დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც ორიგინალური შემოქმედებისათვის ცოცხალი სინამდვილე“. მაგრამ ამ განმარტებას, ჩემი აზრით, უნდა დაემატოს კიდევ ერთი მოსაზრება: თავისთავად, მხატვრულ ნაწარმოებში ასახული სინამდვილე მხოლოდ იმას კი არ გვიდასტურებს, რას წარმოადგენს ობიექტი, არამედ იმასაც, როგორ დამოკიდებულებაშია მასთან სუბიექტი, რას განიცდის იგი, როცა ობიექტზე ფიქრობს. (1).

ჩემი აზრით, ამ უკანასკნელ დებულებას უნდა ეურდნობოდეს არა მარტო თარგმანის განმარტება, არამედ თარგმანის მეთოდებსა და მთარგმნელის შემოქმედებით პოზიციაზე მსჯელობაც. მთარგმნელისათვის მთავარი უნდა იყოს, „რას ფიქრობს“ დედნის ავტორი სინამდვილეზე. მთარგმნელს ცოცხალ სინამდვილესთან არა აქვს პირდაპირი დამოკიდებულება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი არ ასახავს სინამდვილეს, მის შემეცნებაში არსებობს სინამდვილესთან რომელიმე მწერლის დამოკიდებულების შიდა, განსხეულებული კონკრეტუ-

ლი ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ერთიანობით. მთარგმნელის არჩევანი განპირობებულია იმით, რომ მას მოსწონს, ან აინტერესებს ეს მოდელი, ამასთან სავალდებულო არ არის იგი სავსებით ემთხვეოდეს ცოცხალ სინამდვილესთან მთარგმნელის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედის დამოკიდებულებას.*

მთარგმნელი კი არ ასახავს, არამედ გადმოცემს დედანში არსებულ სინამდვილეს, იგი სინამდვილეს სხვისი თვალით უცქერის, მის წინაშე დგას უკვე ასახული სინამდვილე, შემეცნებული და გარდამტყდარი ავტორის მსოფლმხედველობით პრიზმაში, განსხვავებული ავტორის მიერ მონახული მხატვრული საშუალებებით. მთარგმნელისათვის დედანში ასახული სინამდვილის წვდომა და გადმოცემა გართულებულია ამ სინამდვილის ამხანავი საშუალებების მთელი სისტემის არსებობით.

ამგვარად, სინამდვილე მთარგმნელს ეძლევა მხატვრული სინამდვილის სახით, როგორც ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ერთიანობა, როგორც მხატვრული ნაწარმოების ობიექტური და სუბიექტური მხარის, სახისა და განცდის, ტექსტისა და ქვეტექსტის ერთიანობა და მან უნდა გაიმეოროს ეს სინამდვილე ამავე ერთიანობის შენარჩუნების გზით, სადაც შინაარსი ავტორის მიერ კონკრეტულ დროულ-საფრცობრივ ფარგლებში მოქცეული სინამდვილის საფუძველზე შეიქმნება, ხოლო ფორმა ავტორისავე შერჩეული მხატვრული საშუალებების ეკვივალენტური საშუალებებით იქნება რეპროდუცირებული.

2. თარგმანის ამბივალენტურობა და სინაქსტის ცნება

მხატვრული თარგმანი რთული ესთეტიკური ფენომენია და თარგმანის პროცესი თარგმანის ასლის გადმოღებას არ ნიშნავს, თარგმანსა ერთმანეთს ხვდება არა მარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები ცნებების აღქმისა და მოვლენების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები, თუნდაც სათაკილოსა და მოსაწონის, საჩოთიროსა და მისა-

ღების, სამარცხვინოსა და საქებარის, სასაცილოსა და სატირალის განსხვავებული აღქმა სხვადასხვა ხალხის შემეცნებაში.

ყოველივე ამის გამო მრავალჯერ გამოთქმულა აზრი თარგმანის შეუძლებლობაზე. გერმანელი ენათმეცნიერი კრისტინე ჰანტიკური პოეზიის მთარგმნელი ბრუნო ვილამსონის ახლანდელი ანტიკური პოეზიის მთარგმნელსა და მკვლევარს ავგუსტ შლეგელს სწერდა: „ყოველი თარგმანი გადაუქრელი ამოცანის გადაკრის ამოც დღად წარმომიდგენია. მთარგმნელი აუცილებლად დაიმსხვრევა ორიდან ერთ-ერთ წყალქვეშა კლდეზე, მაშინაც, თუ თავისი ხალხისა და ენის გემოვნების ხარჯზე შედმიწევნით ზუსტად გაჰყვება დედანს და მაშინაც, თუ თავისი ხალხის თავისებურებებს უერთგულებს და დედანს გასწირავს. ამათ შორის რაღაც საშუალო არამცთუ ძნელი მისაღწევია, უბრალოდ, შეუძლებელიც არის“.

ასეთ კატეგორიულ გამოცხადებას, ცხადია, საფუძვლად უდევს უაღრესად გამკაცრებული სიზუსტის ცნება, უფრო სწორად, იგი სიზუსტის სხვა შინაარსს შეიცავს. თუ ვაღიარებთ იუჯინ ა. ნაიდას დებულებას, რომ დედანსა და თარგმანს შორის უნდა შეიქმნას არა ფორმალური, არამედ დინამიკური ეკვივალენტურობა, რომელიც ეფუძნება ეკვივალენტური ეფექტის პრინციპს, მაშინ თავისთავად გაფართოვდება სიზუსტის ცნება და მთარგმნელიც მაინცდამაინც ორიგინალისა და თარგმანის ინფორმაციების ურთიერთდამთხვევას კი არ შეეძლება, არამედ დედანისა და თარგმანის მკითხველს შორის დინამიკური კავშირის დამყარებას, რაც მისაღწევია კიდევ თარგმანში, თუკი მივიჩნევთ, რომ დედანსა და თარგმანს შორის მიღწეულია დინამიკური ეკვივალენტურობა, მაშინ მცირეოდენი გადახვევები, განპირობებული ჩვენი მშობლიური ენის, კულტურის, ან ლიტერატურული ტრადიციების თავისებურებებით დედანის ხელყოფად არ ჩაითვლება, მაშინ შექმნილია ის „რაღაც საშუალო“, რასაც ბუნოდები მიუღწევლად თვლას, ხოლო გოეთე „თარგმურ-აღმოსავლურ დივანში“ „რაღაც მისამეს“ უწოდებს და ფიქრობს, რომ „იმ შესამეძღე ჯერ უნდა ამაღლდეს მკითხველი მასების გემოვნება, რომელიც თავისი ეროვნული მსოფლშეგრძნებითაა შეზღუდული“.

ეს „რაღაც საშუალო“, ანუ „რაღაც მესამე“ არის თარგმანის ამბივალენტურობის გამოვლენის ფორმა, ურომლისოდაც არ შეიძლება არსებობდეს მხატვრული თარგმანი.

თარგმანის ამბივალენტურობის გამო ორიგინალური ნაწარმოებისაგან განსხვავებულ მიდგომასა და გადაკრას მოითხოვს ზოგიერთი საკი-

*. ამდენად გაუმართლებლად მიმაჩნია შეზღუდულება, თითქოს მთარგმნელიც ცოცხალ სინამდვილეს ასახავდეს და არა იმ მხატვრულ სინამდვილეს, რაც მწერალს აქვს ნაწარმოებში მოცემული. იხ. П. А. Яшвили, Сущность художественного перевода; Автореферат диссертации на соискание уч. ст. канд. фил. наук. Тб., 1984, стр. 13.

ისი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია თარგმანის ენის, როგორც სტილისტური ფუნქციის დამოკიდებულება საერთო-სახალხო ენასთან. ენას მხატვრულ ნაწარმოებებში კომუნიკაციურ ფუნქციასთან ერთად ეკისრება ესთეტიკური ფუნქციაც, რადგან იგი აზრის გამოხატვის გარდა მხატვრული სახეებისა და ხასიათების აგებასაც ემსახურება. მხატვრული ნაწარმოების ენა სალიტერატურო ენას ემყარება, ამასთან იგი ფართოდ იყენებს საერთო-სახალხო ენის სხვადასხვა ფუნქციურ სტილთა ელემენტებს, მაგრამ ამ დროს არ იქცევა წმინდა სახალხო, საკანცელარიო, ან სამეცნიერო ენად. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ სტილების ელემენტები მხატვრულ ტექსტში დამოუკიდებლად კი არ ცოცხლობენ, არამედ სრულიად ახალ მიმართებათა სისტემაში განაგრძობენ სიცოცხლეს, ექვემდებარებიან მხატვრულ სტილს. როგორც დაბალი მალაღს და იქცევიან გამომსახველობით საშუალებებად.

მხატვრული ნაწარმოების ენა შეიძლება დაესესხოს საერთო-სახალხო ენის ისეთ შრეებსა და ელემენტებსაც, რომლებიც სალიტერატურო ენის მიღმა დგანან (ეს არის დიალექტი, ტარგონი, არგო), აიყვანოს ის ენობრივი საშუალებები ესთეტიკურ ხარისხში და ერთსა და იმავე დროს შეასრულოს კომუნიკაციური, შემცენებითი და ესთეტიკური ფუნქცია. აი, „ამიტომ გვაქვს უფლება ვილაპარაკოთ მხატვრული ლიტერატურის სტილზე, არა როგორც სხვადასხვა სტილთა ეკლექტიკურ ნარევზე, არამედ როგორც დამოუკიდებელ, თვისობრივად განუმეორებელ კატეგორიაზე“ (2).

მხატვრული თარგმანი მხატვრული შემოქმედების ფორმაა, მხატვრული თარგმანის ენაც გვეძლევა, როგორც თვისობრივად განუმეორებელი კატეგორია, არც იგი შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა სტილთა ეკლექტიკურ ნარევს, ასევე უპირატესია მხატვრული თარგმანის ენისათვის ესთეტიკური ფუნქცია, მაგრამ მხატვრული თარგმანის ენა მაინც განსხვავდება ორიგინალის ენისაგან სალიტერატურო ენის სტილებსა და მით უმეტეს სალიტერატურო ენის მიღმა მდებარე სტილისტურ შრეებთან თავიანთი დამოკიდებულებით. კერძოდ, მხატვრული თარგმანის ენა თარგმანის სპეციფიკის, მისი ამბივალენტური, წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო, ორიგინალური ნაწარმოების ენასთან შედარებით შეზღუდულია. მხატვრულ თარგმანში ენობრივი რესურსების სრულად გამოყენებას ხელს უშლის თარგმანში გადმოცემულ უცხო შინაარსსა და მშობლიური ენობრივი საშუალებებით გამოხატულ ფორმას შორის არსებული დაძაბულობა, რომელიც

ყოველთვის შეიძლება წინააღმდეგობაში გადაიზარდოს*. მთარგმნელს უნდება ამ წინააღმდეგობის მორიგება, რათა არ წარმოიქმნას მკვეთრი კონფლიქტი მოქმედების ~~აღივსა~~ და მთარგმნელის მშობლიური ენის გამომსახველობით საშუალებებს შორის, ამ ~~აშუქვანს~~ ~~გვეძლი~~ საქრელად კი აუცილებელია ~~ერთად~~ ~~სრულად~~ თარგმანი უფრო მაასტრად უნდა მოიქცას სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გამომდინარეობს დასკვნა:

თარგმანი არ არის მონოლითური ნაწარმოები, იგი ამბივალენტურია თავისი ბუნებით თარგმანში ერთმანეთს ერწყმის ორი სხვადასხვა კულტურა, ამასთან იგი გვევლინება, როგორც ორი სხვადასხვა ენის პოტენციის რეალიზების ნაყოფი და ორი სხვადასხვა ინდივიდის შემოქმედებითი უნერგიის სხვადასხვა ენის ბაზაზე გამომჟღავნების შედეგი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანი არის ორი სტრუქტურის სინთეზი. სადაც უცხო და მშობლიური ერთ მხატვრულ თვისობრიობადაა ქცეული.

2. თარგმანზე აუზარის შეფასებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები

სინამდვილესთან თარგმანის დამოკიდებულებაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ მთარგმნელისათვის დედანი ასრულებს იმავე როლს, რასაც მწერლისათვის ცოცხალი სინამდვილე, ითქვა აგრეთვე, რა მხატვრული ამოცანა დგახდენის ავტორისა და მთარგმნელის წინაშე. მაგრამ მსჯელობის საგნად არ ქცეულა მწერლისა და მთარგმნელის შემოქმედების შემეცნებითი და ფსიქოლოგიური ასპექტები. ბუნებრივია, ამგვარ მსჯელობაში წამყვანი იყოს მთარგმნელის შემოქმედებითი დამოკიდებულება დედანთან, მწერლის სინამდვილესთან დამოკიდებულების ფსიქოლოგიური და შემეცნებითი ასპექტები კი შეიძლება მხოლოდ შედარების პლანში დაგვევიწყოთ.

თარგმანი ერთსა და იმავე დროს ანალიზური და სინთეზური შრომაა, სადაც ანალიზური მეცნიერულ კვლევას უახლოვდება, სინთეზური კი შემოქმედებით მომენტთანაა დაკავშირებული. ყოველ თარგმანში არის მეცნიერული და შემოქმედებითი შრომის წილი, ოღონდ ნაწარმოების უარისა და სტილის მიხედვით მათ შორის შეფარდება იცვლება. ასევე იცვლება ეს შეფარდება თარგმანზე მუშაობის სხვადას-

*. ეს დებულება ეკუთვნის ჩემ თეორეტიკოსს ირეი ლევის.

სვა ფაზაშიც. ამიტომ მართებული იქნება გამოყოფით თარგმანზე მუშაობის ფაზები და ზემოხსენებული პოზიციიდან დაეხასიათოთ თითოეული მათგანი. ეს ფაზებია: 1. სათარგმნი მასალის შერჩევა; 2. დედნის შესწავლა; 3. თარგმნის პროცესი.

საერთოდ, მთარგმნელის პროფესიონალიზმში ბევრი რამ იგულისხმება: უცხო და მშობლიური ენების საფუძვლიანი ცოდნა, გარდასახვის ნიჭი, ზოგადი განათლება, ლიტერატურული გემოვნება, მკითხველთან ინტერესის მოცულობის აღდგო, თავისი საქმისა და მკითხველის სიყვარული, ცოდნის სხვათვის გაზიარებისა და ამ გზით მისი ინტერესის დაკმაყოფილების, ან ინტელექტუალური დონის ამაღლების სურვილი და ბოლოს, საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების კრიტიკული შეფასების უნარიც. პროფესიონალიზმი თანაბრად მუდგანდება თარგმანზე მუშაობის სამივე ფაზაში, მაგრამ თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პირველსავე ფაზაში.

პირველ ფაზას, ანუ სათარგმნი მასალის შერჩევას, ორი მხარე აქვს: უპირველეს ყოვლისა, არის თუ არა რომელიმე უცხო ნაწარმოები თავისი მნიშვნელობითა და მხატვრული ღირებულებით შენი ერის კულტურული განვითარების მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანი და მეორე, შეგწევს თუ არა ძალა დედნის ტოლფასი მხატვრული მთელი შექმნა მშობლიურ ენაზე. ამ უკანასკნელ პირობაში „საკუთარი“ ლიტერატურული ენარის შეუმცდარად ამორჩევის თვითკრიტიკული ნიჭი იგულისხმება, უფრო მეტიც, თვით რომელიმე ენარის ფარგლებშიც კი მთარგმნელის შესაძლებლობების მიხედვით დიფერენცირებული არჩევანის უნარიც.

სათარგმნი მასალის შერჩევა ძირითადად შემეცნებითი ხამუშაობა, თუმცა მას აუცილებლად უძღვის წინ ფსიქოლოგიური მომენტი. მთარგმნელისათვის ესა თუ ის ნაწარმოები თავიდანვე მეცნიერული კვლევის სტანია არაა, მთარგმნელს კვალიფიციური მკითხველსაგან განსხვავებს მხოლოდ ის, რომ მას შეუძლია დედანში წაკითხოს მხატვრული ნაწარმოები, ამ ნაწარმოებისგან მიღებული ესთეტიკური და ემოციური შთაბეჭდილება არის ის პირველი ფსიქოლოგიური იმპულსი, რომელიც მას ბიძგს აძლევს წმინდა პროფესიული თვალთ შეაფასოს წაკითხული ნაწარმოები. მთარგმნელის ინტელექტუალურ არსენალში წინამძღვრის ხანით ძევს იმ ქვეყნის ფილოსოფიის, ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნა, რომლის ენასაცაა დაუფლებული, მაგრამ სათარგმნი მასალის შერჩევის პროცესში მას მაინც მოუხდება დედნის ავტორის მთელი შემოქმედების

შესწავლა, მის მსოფლმხედველობაში გარკვევა, სათარგმნი ნაწარმოების შექმნის ისტორიის მოძიება, ამ ნაწარმოების მიმართების დადგენა მწერლის მთელ შემოქმედებასთან და მისი მნიშვნელობისა და ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ლიტერატურის, ან თუნდაც მწერლის მშობლიური ქვეყნის ლიტერატურის კონტექსტში.

რაც შეეხება მთარგმნელის ლიტერატურულ გემოვნებას, იგი უაღიბდება მთარგმნელის ფილოლოგიური განსწავლის პერიოდში, მთარგმნელობითი საქმიანობის დაწყებამდე მას შექნილი აქვს საიმისო ცოდნა, გამოცდილება და ლიტერატურული გემოვნება, რომ სუროგატისგან გაარჩიოს ქვეშაობითა მხატვრული ნაწარმოები, მაგრამ სათარგმნი მასალის შერჩევის გზა მაინც შემეცნებითია და მხოლოდ ლიტერატურულ გემოვნებასა და ინტუიციას ვერ დაეშვარება.

თარგმანზე მუშაობის მემორე ფაზა, რასაც ნაწარმოების შესწავლა ვუწოდებთ, ანალიზური ხასიათისაა და მხატვრული ნაწარმოების ჩვეულებრივი წაკითხვისაგან განსხვავდება, უპირველეს ყოვლისა, ერთხელ უკვე წაკითხულის მიმართ გაჩენილი პროფესიული ინტერესით. ანალიზისას გაიზრება ნაწარმოებისაგან მიღებული მთლიანი შთაბეჭდილება, შემდეგ კი ხდება მისი დანაწევრება და ყოველ სტილურ კომპონენტს, ყოველ მხატვრულ ხერხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ხდება ჭერ მთლიანად ტექსტის, შემდეგ კი მისი ნაწილების ობიექტაფაცია, ე. ი. ტექსტი „დაკვირვების სუბიექტის, დამოუკიდებელ ობიექტად იქცევა“. (3) ამ ფსიქოლოგიური მომენტის გარკვევ შეუძლებელია ტექსტის შესწავლა, ანუ სათარგმნად მომზადება. ანალიზის პროცესში საბოლოოდ უაღიბდება მთარგმნელის განწყობა, მხატვრული ტექსტი მის წინაშე დგას, როგორც სათარგმნი მასალა და ანალიზი საბოლოო მიზანს — ამ ტექსტის მშობლიურ ენაზე ამეტყველებას ექვემდებარება.

თავის მხრივ მხატვრული ნაწარმოების სტილის ანალიზი ნიშნავს ნაწარმოების სტილისტურ სისტემაში ამა თუ იმ სტილისმიერი ელემენტის ფუნქციის გარკვევას, სტილის აბსტრაქტიზებული ნიშნების დადგენას, როგორცაა მაღალფარდოვნება თუ სისადავე, მოვლენებისა და პერსონაჟებისადმი დამოკიდებულება (ფილოსოფიური, თანამგრძნობი, ემოციური, იუმორისტული, ირონიული, გროტესკული და ა. შ.), მრავალსიტყვაობა თუ ლაკონიურობა, რიტმული სურათი (მდორე თუ აჩქარებული რიტმი), ექსპრესიულობა და მისთანანი,

რომელთა კვლევა უოველი ნაწარმოების მიმართ შეიძლება არც დაემორჩილოს წინასწარ შექმნილ ნორმებს და შემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ასპექტის დომინანტობის ნიშნით წარიმართოს.

მხატვრულ თარგმანთან მიმართებით ნაწარმოების სტილისტური ანალიზი დამატებითი ზოგადი იმ არსებითი ელემენტების გამოჩენას, რომელთა რეპროდუქცია თარგმანის ენის ბუნებრიობის შეუღლებად შესაძლებელია თარგმანში. სათარგმნი ნაწარმოების შექმნის პროცესშივე ისახება ამ ელემენტების, ზოგჯერ კი ცალკეული სიტყვების ფუნქციური ეკვივალენტების მოძიების გზები. რააც ზოგი ავტორი მოხდენილად უწოდებს თარგმნის სტრატეგიასა და ტაქტიკას.

სათარგმნი ნაწარმოების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ესაა მთარგმნელის ფსიქოლოგიური მზადყოფნა. მთარგმნელი უნდა განწყობს ტექსტზე სამუშაოდ, ფსიქოლოგიურად მოემზადოს თარგმნის პროცესისათვის, გაიფიქროს ნაწარმოების განწყობილებით, შეისისხლხორცოს მწერლის სიმპათია-ანტიპათია დედანში აღწერილი მოვლენებისა თუ პერსონაჟების მიმართ, განიმსკვალოს ნაწარმოების საერთო რიტმით, მელოდიკითა და ინტონაციით.

ფსიქოლოგიური მზადყოფნა არის ის ძალა, რომელიც თარგმნის პროცესში ქვეშეცნეულად მოქმედებს და მთარგმნელის ყველა ძიებას დედანთან თარგმანის მხატვრული შესაბამისობის მთავარ მიზანს უქვემდებარებს*.

თარგმანზე მუშაობის მშსამე ფაზა, უპირატესად სინთეზური, შემოქმედებითი შრომის პროცესია, მაგრამ უეჭველად აქტიური პროცესი, მთარგმნელის წინაშე ყოველთვის დგას კითხვა: ემთხვევა თუ არა მის მიერ შერჩეული ენობრივი საშუალებები მხატვრული ფუნქციითა და ღირებულებით მწერლის მიერ გამოყენებულ ენობრივ საშუალებებს? მწერალი ხშირად ქვეშეცნეულად კმნის მხატვრულ საშუალებათა სისტემას, მთარგმნელი კი ვალდებულია თარგმნისას ერთდროულად ამ სისტემის ანალიზიც მოახდინოს და სინთეზიც. მთარგმნელი განუწყვეტლივ იბრძვის ორი ენის შესაყარზე, არცერთ ენას არ უშვებს მხედველობის არედან, ერთმანეთს უპირისპირებს მათ კანონებს, ჩადის თითოეული ენის სპეციფიკის სიღრმეში, მაგრამ, ცხადია, თარგმნა არ არის ენობრივი შესატყვისების პრიმიტიული ძიების პროცესი. ენობრივი საშუალებების არ-

ჩევა იმ პირველი ანალიზის ბუნებრივი შედეგია, რასაც დედნის შესწავლა აძლევს მთარგმნელს, მთარგმნელი ენობრივ საშუალებებს ეძებს ნაწარმოების შესწავლის შედეგად შექმნილი კონცეფციისა და ფსიქოლოგიური მზადყოფნის საფუძველზე, კონცეფციის ძიება გზადაგზა არ უნდა ხდებოდეს. ვინაიდან ახალი მხატვრული მთელის შექმნა წინასწარ შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე ხდება, თარგმანში ორიგინალურ შემოქმედებასთან შედარებით მინც მეტია შემეცნებითი და არა ინტუიციური წვდომის ხვედრითი წილი. თარგმნისას იმას ვესწრათ, რომ „თარგმანის ენაზე ვაღმოდებელი ინფორმაცია რაც შეიძლება მეტად შეესატყვისებოდეს ორიგინალის ენაზე არსებულ ინფორმაციასა და მის ცალკეულ ელემენტებს. ხოლო ეს, კერძოდ, იმას ნიშნავს, რომ თარგმანის ენის კულტურულ ფონზე არსებული ინფორმაცია მუდმივად უნდა შეედაროს ორიგინალის ენის კულტურულ ფონზე არსებულ ინფორმაციას, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს სიზუსტისა და სისწორის კრიტერიუმები“. (4).

ამგვარად, მთარგმნელის გონებაში ზოგჯერ ელვის სისწრაფით (ზოგჯერ კი, სხვათა შორის, მეტიხმეტად მძიმედ), მაგრამ უპირატესად შეგნებულად მიმდინარეობს ორიგინალის ფორმის შესატყვისი გამომსახველობითი საშუალებების ძიება, სადაც არც ცალკეულ სიტყვასთან კიბილია ვამორაცნული**. ამგვარი მუშაობა სიტყვაზე, რა თქმა უნდა, ლინგვისტური ხასიათის არაა, თითქმის ყოველი სიტყვა პოლისემიურია, ყოველი მათგანი შეიძლება გამოვიყენოთ პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. თარგმანში სიტყვის სწორად შერჩევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება კონტექსტს. ზოგჯერ სიტყვის არჩევანისთვის მიკროკონტექსტიც უმარაა. ზოგჯერ კი სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა მაკროკონტექსტშია საძიებელი. მაკროკონტექსტი, თავის მხრივ, შეიძლება არც კი მოთავსდეს ერთი კონკრეტული ნაწარმოების ფარგლებში და სიტყვის გააზრებას მწე-

** ე. ვაშვილის ცნობით, ივ. მაზაბლის ნაქონი შექსპირის დედანი აღწერილი ყოფილია ინგლისური სატყვეებისა და გამოთქმების ქართული შესატყვისებით. ასევე მ. ლოზინსკის, გარდა იმისა, რომ საფუძვლიანად შეუღებელია დანტეს გენიალური პოემა და მის ირგვლივ არსებული მისაღები, ცალკე პქონია საჭაღალდე „სიტყვა“, სადაც თავმოყრილი ყოფილა დედნის ცალკეული განოთქმებისა და ენობრივი ფორმებისათვის მოძებნილი რუსული შესატყვისება.

* ე. ახრი, თავის მხრივ, დ. უზნაძის განწყობის თეორიას ეყრდნობა.

რლის მთელი შემოქმედების გათვალისწინება დასკირდეს, რაც ასევე შემეცნებით მომენტს უკავშირდება და სხვა.

თუ თარგმნის პროცესს ფსიქოლოგიური კუთხით მივუდგებით, აღმოჩნდება, რომ თარგმნისას იქმნება თავისებური კომუნიკაციური სიტუაცია, რომელშიც მონაწილეობს სამი წევრი: დედანი, მთარგმნელი და მკითხველი. ამ დროს მთარგმნელისა და მკითხველის როლი თითქოს ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. ის, რაც უცხო ენობრივ და კულტურულ სამყაროში გაშინაურებული მთარგმნელისათვის გასაგებია და ემოციის აღმძვრელი, თარგმანში მექანიკურად გადმოტანისას შეიძლება მკითხველისათვის ან გაუგებარი, ან ემოციის თვალსაზრისით უსულლო აღმოჩნდეს. მკითხველსა და თარგმანს შორის უნდა დამყარდეს დინამიკური კავშირი და საამისოდ მთარგმნელმა მკითხველს უნდა შესთავაზოს „მისი საკუთარი კულტურის კონტექსტისადმი რელევანტური ქცევის მოდუსი. ინფორმაციის აღსაქმელად მას არ მოეთხოვება ესმოდეს ორიგინალის ენის კულტურის კონტექსტი“ (5). ამიტომ არ არის მთარგმნელისათვის უცხო ინტერპრეტატორის როლიც. ეს ფუნქცია, ცხადია, გარკვეულწილად თარგმანზე დართულ კომენტარებსა და სქოლიოებსაც ეკისრება, მაგრამ კომენტარებისა და სქოლიოს სიჭარბე აბრკოლებს თარგმანის ესთეტიკურ აღქმას, შესაბამისად ანელებს მხატვრული ნაწარმოებისაგან მოსალოდნელ ემოციურ შთაბეჭდილებას და ხასურველია იგი მინიმუმამდე იქნას დაუვანელი.

თარგმანზე მუშაობის ფსიქოლოგიური მხარე მკიდროდ უკავშირდება დედანში ასახული სინამდვილის აღქმასა და მის გარდასახვას მშობლიურ ენაზე. თავისთავად ცხადია, რომ დედანზე ლაპარაკისას კეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები იგულისხმება და მთარგმნელშიც შემოქმედ მთარგმნელს ვგულისხმობთ. თუ მწერალი ვერ ხედავს სამოქმედო სიტუაციას, ვერ ხედავს თავის პერსონაჟებს, არ ესმის მათი ხმა, მაშინ ნაწარმოები სათანადო ემოციურ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს მკითხველზე. დაახლოებით ასეთივე ფსიქოლოგიური სიტუაცია იქმნება თარგმნისას: თუ მთარგმნე-

ლი იგივე გზა არ გაიარა, თუ ვერ „დაინახა“ აღწერილი პეიზაჟი, პერსონაჟების სამოქმედო გარემო, ვერ წარმოიდგინა პერსონაჟის გარეგნობა, მანერები, ვერ „გაიგონა“ მისი ხმა, სეკვოა მისმა თარგმნისმა ქედნის მსგავსი ემოციები აღძრას ტკბილში. ამიტომაც, რომ ზოგჯერ თარგმანს თითქოს წუნს ვერ დასდებ, თითქოს უველაფერი რიგზეა, მაგრამ მასში არ იგრძნობა შემოქმედებითი მუხტი და თარგმანს ემოციურ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მკითხველზე. აქედან გამომდინარე, დედანსა და მთარგმნელს შორის უნდა დამყარდეს დედანსა და მწერალს შორის წერის პროცესში წარმოქმნილი ფსიქოლოგიური კავშირი და შეიქმნას სათანადო კომუნიკაციური სიტუაცია. უამისოდ თარგმანი მოკლებული იქნება იმას, რაც თარგმანს ლიტერატურული ფაქტიდან შემოქმედებით ფაქტად აქცევს.



უოველივე შემოქმედული შეიძლება გავიაროთ თარგმანის ლინგვისტური თეორიის პოზიციიდან, კერძოდ, თარგმნისას შექმნილი კომუნიკაციური სიტუაცია აღწეროთ ლინგვისტურ თეორიაში ყველაზე უფრო გავრცელებული სქემის მიხედვით და თარგმნის პროცესის ჩვენს მიერ აღწერილი პერიპეტეები მოვაქციოთ თარგმნის ერთი ან რამდენიმე მოდელის ჩარჩოებში. მაშინ ჩვენი წარმოდგენა თარგმნის პროცესზე ყველაზე უფრო სიტუაციური და ტრანსფორმაციული მოდელის მონაცვლეობაზე, უფრო ხშირად კი მათ ერთობლივ ფუნქციონირებაზე აღმოჩნდება ორიენტარებული.

დამოწმებული ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, რეალისტური თარგმანის პრობლემა, თბ., 1959, გვ. 121.
2. Будагов Р. Л., Литературные языки и языковые стили. М., 1967, стр. 67.
3. უზნაძე დ., შრომები, ტ. VI, თბ., 1977, გვ. 139.
4. ნაიდა იუჯინ ა., თარგმნის ბელოვებისათვის, „ლიტ. საქართველო“, 10.09.1982.
5. იქვე.

მამა სერგეი გულგაიკოვი

თარგმანი 'კამოგან სარამში'



პეროიზმი და მოსაგრეობა

V

ინტელიგენციისეული პეროიზმის გამორჩეული ბუნება ჩვენთვის უფრო სრულად გაიხსნება, თუ მას საპირისპირო სულიერ ხატს — ქრისტიანულ გმირობას ან უფრო ზუსტად — ქრისტიანულ მოსაგრეობას* შევუდარებთ, რამეთუ ქრისტიანობაში გმირი მოსაგრეა, ძირითადი განსხვავება აქ იმდენად გარეგანი კი არ არის, რამდენადაც — შინაგანი, რელიგიური.

გმირი, რომელიც განგების როლში გამოდის, ამ სულიერი უზურპაციის წყალობით გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას მიიწერს, ვიდრე შეუძლია იტვირთოს და გაცილებით რთულ ამოცანებს ისახავს, ვიდრე ადამიანს შეუძლია გადაწყვიტოს. ქრისტიან მოსაგრეს სწამს ღმერთი გამგებელი, რომლის უნებურად თავიდან თმის ღერიც კი არ ჩამოვარდება. მის თვალში ისტორია და ერთეული ადამიანური ცხოვრება არის განხორციელება, თუმც კი ინდივიდუალურ წვრილმანებში გაუგებარი, ღვთაებრივი მშენებლობისა, რომლის წინაშეც იგი სარწმუნოებრივი გმირობით იდრეკს ქედს. ამის წყალობით იგი მაშინვე თავისუფლდება პეროიკული პოზისა და პრეტენზიისაგან, მისი ყურადღება მიმართულია უშუალოდ საქმისადმი, მისი ნამდვილი მოვალეობებისადმი და მათი მკაცრი, განუხრელი შესრულებისადმი. რა თქმა უნდა, ამ მოვალეობათა განსაზღვრაც და შესრულებაც ზოგჯერ თვალსაწიერისა და ცოდნის არანაკლებ სიფართოვეს მოითხოვს, ვიდრე ის, რაზეც ინტელიგენციისეული პეროიზმი აცხადებს პრეტენზიას. ოღონდ აქ ყურადღება გადატანილია პირადად მოვალეობისა და მისი შესრულების შეგნებაზე, თვითკონტროლზე. ყურადღების ცენტრის გადატანა თავის თავზე და საკუთარ მოვალეობებზე, სამყაროს ცრუ მხსნელის თვითჩაგონებისა და მასთან გარდუ-

ღალობით დაკავშირებული სიამაყისაგან განთავისუფლება აგანსადებს ხუთს, სძენს მას განსაღ ქრისტიანულ მორჩილებას. უმაღლესი სიწმინდის სახელით ამ სულიერი თვითაღკვეთისაკენ, გოროზი „მე“-ს მსხვერპლად შეწირვისაკენ მოუწოდებდა დოსტოევსკი რუს ინტელიგენციას თავის სიტყვაში პუშკინის შესახებ: „იყავ მორჩილი, ამაყო კაცო, და პირველ რიგში დადრიკე შენი სიამაყე, თუ დაამარცხებ თავს და იქნები თვინიერი, გახდები თავისუფალი, როგორც არასდროს შეგეძლო წარმოგედგინა თავი, დიდ საქმეს შეეჭიდები და სხვადაც გახდი თავისუფალს და განკურცტ ბედნიერებას, რამეთუ აღივსება ცხოვრება შენი...“

საინტერესო წრეში გორჩილებაზე უფრო არამომართული სიტყვა არ მოიპოვება. ცოტა მოიძებნება ცნება, რომელსაც წილად ხედომოდეს ასეთი დიდი გაუგებრობა და დამახინჯება და რომელზეც ასე ადვილად აელესა კბილები ინტელიგენციის დემაგოგიას, და ეს დიახაც რომ საუკეთესოდ წარმოაჩენს ინტელიგენციის სულიერ ბუნებას, ამხელს მის ამაყ, თვითგადმერთებაზე დამყარებულ პეროიზმს. ხოლო მორჩილება კი, როგორც ამას ერთხმად აღიარებს ეკლესია, არის პირველი და ძირითადი ქრისტიანული სათნოება, მაგრამ ქრისტიანობის გარეთაც მეტად ღირებული თვისება, ყოველ შემთხვევაში, სულიერი განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელი. ინტელიგენტსაც შეუძლია გაიგოს, რომ მაგალითად, ნამდვილი სწავლული თავისი ცოდნის გაღრმავებისა და გაფართოების შესაბამისად მხოლოდ უფრო მძაფრად აღიქვამს თავისი უცოდინარობის უფსკრულს, ასე რომ ცოდნის წარმატებებს თან ახლავს საკუთარი უცოდინარობის შეგნების გაფართოება, ინტელექტუალური მორჩილების ზრდა, როგორც — ამას მოწმობს დიდი სწავლულების ბიოგრაფიები, და პირიქით, თავდაჭერებული კმაყოფილება ან იშვდი იმისა, რომ საკუთარი ძალებით მიაღწევ სრულ დამაკმაყოფილებელ ცოდნას, არის უტყუარი და უცალობელი სიმპტომი მეცნიერული უწიფარობისა ან უბრალოდ ახალგაზრდობისა.

თავისი შემოქმედებით ღრმა დაუკმაყოფილებლობის იგივე გრძნობა, სილამაზის იდეა-

* კარლაილი თავის წიგნში „გმირები და პეროიკული ისტორია“ პეროიზმად აღწერს სულიერ წყობას, რომელიც ჩვენში მიღებული ტერმინოლოგიით უახლოვდება მოსაგრეობის ტიპს, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად განსხვავდება ათეისტური პეროიზმისგან.

ლებთან, ხელოვნების ამოცანებთან საკუთარი შემოქმედების შეუსაბამობა გამოარჩევს ქეშმარიტ ხელოვანსაც, რომლისთვისაც შრომა აუცილებლად იქცევა ტანჯვად, თუმცა მხოლოდ მასში ზედავეს ცხოვრების აზრს. თავისი ქმნილებებით ამ მარადიული დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გარეშე, რასაც შეიძლება სილამაზის წინაშე მორჩილება ეწოდოს, არ არსებობს ქეშმარიტი ხელოვანი.

გაფართოებული ამოცანების წინაშე ინდივიდუალურ ძალთა შეზღუდულობის იგივე გრძნობა მოიცავს სოლმე ფილოსოფიურად მოაზროვნესაც, სახელმწიფო მოღვაწესაც, სოციალურ პოლიტიკოსსაც და ა. შ.

მაგრამ თუ მორჩილების ბუნებრიობა და აუცილებლობა შედარებით იოლად გაიგება ადამიანის მოღვაწეობის ამ კერძო სფეროებში, მაშინ რატომღა ძნელდება მისი გაგება სულიერი ცხოვრების ცენტრალურ სფეროში, კერძოდ, ზნეობრივ-რელიგიური თვითშემოწმებისას? სწორედ აქ აშკარადდება პიროვნების იდეალის, ან ამა თუ იმ უმაღლესი კრიტერიუმის გადამწყვეტი მნიშვნელობა: სულ ერთია, ეს თვითშემოწმების კრიტერიუმში გვეძლევა სრულყოფილი, ღვთაებრივი, ქრისტეში განხორციელებული პიროვნებას ხანოთ თუ თვითგაღმერთებული ადამიანის, მისი ამა თუ იმ მიწიერა გარსით (კაცობრიობა, ხალხი, პროლეტარიატი, ჯედადამიანი), ან თუ, ბოლოს და ბოლოს, თავისივე საკუთარი „მე-ს“ სახით, საკუთარი თავისავე წინაშე შეროიკულ პოზაში რომ დამდგარა. მოსაგრის გაწეფული სულიერი მზერა შეზღუდულ, ცოდვითა და ვნებებით დამახინჯებულ ადამიანში და პირველ რიგში საკუთარ თავში სულ ახალ-და-ახალ ნაკლოვანებებს ამჩნევს, მისთვის სულ უფრო და უფრო იზრდება იდეალისგან დაშორების მანძილი, სხვა სიტყვებით, პიროვნების ზნეობრივი განვითარებას თან ახლავს საკუთარ ნაკლთა შეცნობის ზრდა ანუ ზნეობრივი განვითარება გამოიხატება ღვთის წინაშე მორჩილებით და სვლით „წინაშე ღვთისა“ (როგორც ეს გამუდმებით განიმარტება საეკლესიო პატრისტიკულ ლიტერატურაში) და ის განსხვავება შეროიკულსა და ქრისტიანულ თვითშეფასებაში სულს უვლავს ხვეულს, მის უოველ განწყობილებას აღწევს.

პიროვნების იდეალის არქონის უფრო ზუსტად, მისი გადაგვარების შედეგად — ყველაფერა, რაც პიროვნების რელიგიურ კულტურას მის გამომუშავებას, დისციპლინას ეხება, ინტელიგენციის მიერ აუცილებლად სრულიად უგულვებელყოფილია. მას არ გააჩნია ის აბსოლუტური ნორმები და ღირებულებანი,

რაც ამ კულტურისათვის აუცილებელია და რასაც მხოლოდ რელიგია იძლევა. უპირველეს ყოვლისა, მას არ გააჩნია ცოდვის ცნობიერება და ცოდვის გრძნობა იმდენად, რომ სიტყვა ცოდვა ინტელიგენტის უურისათვის ისეთივე გაუგებარი და უცხარეა, როგორც „მორჩილება“. ცოდვის ძალა, მისი მტანჯველი სიმძიმე ადამიანის ცხოვრებაზე მისი გავლენის უოველმხრიობა და სიღრმე, ერთი სიტყვით, ადამიანის ცოდვილი მდგომარეობის ტრაგედია, რომლისგანაც თავის დაღწევა მარადისობის წინაშე ღვთაებრივი გეგმის მიხედვით მხოლოდ გოლგოთას შეუძლია, ინტელიგენციის ცნობიერების ველის გარეშე რჩება, იმ ინტელიგენციისა, რომელიც თითქოს რელიგიურ ბავშვობაში იშუოფება, ცოდვაზე არ ამალღებულა, ვერ მიხვულა მის შეგნებამდე. რუსოსთან და მთელ განმანათლებლობასთან ერთად ინტელიგენციამ იწამა, რომ ზუნებრივი ადამიანი თავისი არხათ ეთილია, რომ პირველცოდვასა და ადამიანის ზუნების ძირეულ გადაგვარებაზე მოქდერება ცრურწმენაზე აგებული მითოსია, რომელსაც ზნეობრივ გამოცდილებაში არაფერი შეესაბამება. ამიტომ საერთოდ პიროვნების კულტურაზე (ასე მოსაბეზრებელ „თვითსრულყოფაზე“) განსაკუთრებული ზრუნვა საქარო არაა არც ახლა, არც მომავალში. სოლო მთელი ენერგია სრულად უნდა დაიხარჯოს გარემოს გასაუმჯობესებელ ბრძოლაზე. პიროვნებას, ერთის მხრივ აცხადებენ ამ გარემოს პროდუქტად, მეორეს მხრივ, ამავე პიროვნებას აქისრბენ ამავე გარემოს გაუმჯობესებას მზავესად ბარონი მიუნჰაუზენისა, რომელიც თმას იქანავს და ისე ამოჰყავს თავი ქაობიდან.

ცოდვის გრძნობისა და მის წინაშე უოველგვარი შიშის უქონლობით აიხსნება ინტელიგენციის სულიერი და ცხოვრებისეული წყობის ბევრი ნიშან-თვისება — და ვაი რომ — ბევრი სამწუბარო მხარე და მოვლენა ჩვენი რეგოლუციისა და მის კვალად გაბატონებული სულიერი მარაჰმისა. ჩვენი ინტელიგენცია დასავლური ცივილიზაციის სუფრიდან გვევებავდა და გვევებავს, პიკანტური კერძებით, იშლის ისედაც აშლილ კუქს. არ არის დრო, გავიხსენოთ მარტივი, უბრალო, მაგრამ უპირობოდ ჯანსაღი და მაწიერი საყვები — ძველი, მოსესეული ათი მცნება — და შემდეგ ახალ აღთქმამდე ჩავიდეთ?...

შეროიკული მაქსიმალიზმი მთლიანად გარეთ პროცედირდება გარეგან მიზანთა მიღწევაზე. კერძო ცხოვრებას რაც შეეხება, გამირული აქტისა და მასთან დაკავშირებული მხარეების გარეშე დარჩენილი შეროიკული მაქსიმალიზმი გვევლინება მინიმალიზმად და, უბრალოდ,

კერძო ცხოვრების უგულვებელყოფელად. აქედან გამომდინარე იგი უფარგისია მტკიცე, დისციპლინიანი, შრომისმოყვარე პიროვნების ჩამოსაყალიბებლად, რომელიც საკუთარ ფეხზე დგას და არა საზოგადოებრივი ისტერიის ტალღაზე, რომელსაც დაცემა მოსდევს. ინტელიგენციის ტიპი განისაზღვრება იმ მინიმალისა და მაქსიმალის შერწყმით, რომლის დროსაც მაქსიმალური პრეტენზიები წამოყენებულია პიროვნების მინიმალურად მომზადებისას. როგორც მეცნიერების, ისე ცხოვრებისეული გამოცდილებების და თვითდისციპლინის სფეროში, ასე რელიგიურად რომ გამოიბატონესი მოსწავლე ახალგაზრდობის არაბუნებრივ პეგემონიაში — სულიერ პედოკრატიაში.

სხვაგვარად აღიქვამს სამყაროს ქრისტიანული მოსაგრეობა. დიდხანს არ შეეჩერდება იმის გამორკვევაზე, თუ რა წარმოადგენს ათეისტურსა და ქრისტიანულ სარწმუნოებებში მსოფლიო და ისტორიული განვითარების მიზანს პირველში ბედნიერებაა ბოლო თაობებისა, რომელნიც ხარობენ წინაპართა ძელებსა და სისხლზე, მაგრამ თავადაც განგების ხელქვეშ იშუოფებთან (რომ არაფერი ვთქვათ სტიქიურ უბედურებათა შესახებ), მეორეში რწმენა საყოველთაო აღდგომისა, ახალა მიწისა და ცისა. როცა „ღმერთი იქნება ყველაფერი ყველაფერში“.

აშკარაა, ჭრავითური პოზიტიურ-ათეისტური მაქსიმალისმი რწმენაში ოდნავადაც ვერ მიუახლოვდება ქრისტიანულ მოძღვრებას, მაგრამ აქ საქმის ეს მხარე კი არ გვინტერესებს, არამედ — ის, თუ როგორ გადატყდება ერთიცა და მეორე მოძღვრებაც პიროვნების ცხოვრებასა და მის ფსიქოლოგიაში. ამ მიმართებაშიც საინტელიგენციო პეროიზმისა და სიამაყის საწინააღმდეგოდ ქრისტიანული მოსაგრეობა, უპირველეს ყოვლისა, არის მაქსიმალისმი პირად ცხოვრებაში და იმ მოთხოვნებში, რომელთაც საკუთარ თავს უყენებენ. აქ გარეგანი მაქსიმალისმის სიმძაფრე, პირიქით, სრულიად განქარდება. ქრისტიანი გმირი ან მოსაგრე (რატქმა უნდა, ჩვენი რამდენადმე პირობითი ტერმინოლოგიით) გადასაქრელად განგების ამოცანებს არ კისრულობს და, მაშახადამე, თავის ან ვინმეს ინდივიდუალურ ძალისხმევას არ უკავშირებს ისტორიას და კაცობრიობის ბედს. თავის მოღვაწეობაში, უპირველეს ყოვლისა, ზედავს ვალაის აღსრულებას ღმრთის წინაშე ღმრთის მცნებათა მიდევნებით. მცნება უნდა აღსრულოს, რაც შეიძლება, სრულიად, ამასთან, გამოავლინოს სათანადო ენერჯია და თაღვანწირულობა იმის გამორკვევისას, რაც მისი საქმე და მოვალეობაა. რადაცნაირად იგი

უნდა ესწრაფოდეს მოქმედებათა მაქსიმალისმს, მაგრამ სრულიად სხვა აზრით. მორჩილებასთან დაკავშირებით ერთი ყველაზე მეტად გვერცხვს ლეღული გაუგებრობათაგანია ის, რომ ქრისტიანული მორჩილება, თავითობასთან, კვიტონებთან, თავგადმერაებასთან ურინარი პრძოლის გმირობა ესმით როგორც გარეგანი პასურობა, ბოროტებასთან შერიგება, უმოკმედობა და პირმოთნეობაც კი ან გარეგნულად არაფრის კეთება, თანაც ქრისტიანულ მოსაგრეობას ურევენ მის, ერთერთ თუნცა მეტად წინშვნელოვან, ფორმასთან, სახელდობრ, მონაზვნობასთან. მაგრამ მოსაგრეობა, როგორც პიროვნების შანაგანი წყობა, შეთაფებადია ყოველგვარ გარეგან მოღვაწეობასთან, რამდენადაც ეს უკანასკნელი მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება.

ქრისტიანულ მორჩილებას განსაკუთრებული ხალისით უპირისპირებენ ხოლმე „რევოლუციურ“ განწყობილებას. ამ საკითხში ღრმად არ შევიტრები, მხოლოდ მიუუთითებ, რომ რევოლუცია ე. ი. გარკვეული პოლიტიკური მოქმედებანი თავისთავად ჰერ კიდევ ვერ წყვეტს საკითხს მისი შთამაგონებელი სულიკვეთებისა და იდეალების შესახებ, მაშა სერგის კურთხევით დამიტრი დონელის გამოსვლა თათართა წინააღმდეგ, პოლიტიკური აზრით, რევოლუციური მოქმედებაა, როგორც აქანეება კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ემავე დროს, მე მგონია, მონაწილეთა სულელებში ის ქრისტიანული მოსაგრეობის აქტს წარმოადგენდა, რაც განუყრელად არის დაკავშირებული მორჩილების გმირობასთან. პირიქით, უახლესი რევოლუცია, როგორც ათეისმზე დაფუძნებული, თავისი ბუნებით მეტად შორსა დგას არამართო ქრისტიანული მორჩილებისგან, არამედ — ზოგადად ქრისტიანობისგან. ამგვარადვე უზარმაზარი სულიერი განსხვავება არსებობს პურიტანულ ინგლასურსა და ათეისტურ ფრანგულ

* რა თქმა უნდა, ყველაფერი უშვებს ყალბისმქმსელობას და დანახინჯებას. მორჩილებას ასელოთ იბუქებოდა და იბუქებოდა ნიშან-თვისებანი, რომელთაც სინამდვილეში არაფერი აკავშირებთ მორჩილებასთან, კერძოდ, ლამირული და იდეალთმაქვეური პირმოთნეობა (ზუსტად იმე, როგორც საინტელიგენციო პეროიზმითა და რევოლუციურობით არც თუ იშვიოთოდ იბუქება ხოლმე თავაშვეებულობა და ბულოგნობა). რაც უფრო ამალლებულია სათნოება, მით უფრო მდარეა მისი კარიკატურები და დამახინჯებანი. მაგრამ მის არაზე ამის მიხედვით ხომ არ იმაჯელებ.

რევოლუციითა შორის, როგორც კრამელებსა და მარატს თუ რობესპიერს შორის. რილევს ან საერთოდ შორწმუნე დეკაბრიტებსა და რევოლუციის ბოლოკამანდელ მოღვაწეებს შორის.

სინანდელიწი, შესაბამის ისტორიულ ვითარებებში, რა თქმა უნდა, ცალკეული პერსონალად წოდებული ქმედებანი საესებით შეთავსებადია ქრისტიანული მოსაგრეობის ფსიქოლოგიასთან, მაგრამ ეს ქმედებანი სრულდება არა საკუთარი სახელით, არამედ ღმერთის სახელით, არა პერსონალად, არამედ მოსაგრის თაღდადებით და პერსონთან გარეგნული მსგავსების შემთხვევაშიც კი მათი რელიგიური ფსიქოლოგია განსხვავებული რჩება. „სულიერი სამეფო აიღება ძალით და ძალისხმევით ალაფროთვანებს მას“ (მათე, 11, 2). თითოეულს მოეთხოვება „ძალისხმევა“, ძალების მაქსიმალური დაძაბულობა სიკეთის განსახორციელებლად. მაგრამ ასეთი ძალისხმევაც არ იძლევა პერსონის თვითგანცდის, სულიერი სიამაყის უფლებას, რადგან ეს მხოლოდ მოვალეობის აღსრულებაა. „ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქვენდა, თქვეთ ვითარმედ: მონანი ვართ უკმარნი; რომელი თანა-გუედვა ყოფად, ყვათ“ (ლუკა, 17, 10).

ქრისტიანული მოსაგრეობა არის განუწყვეტელი თვითკონტროლი, ბრძოლა „მე-ს“ მდაბალ, ცოდვილ მხარეებთან, სულის ასკეზა. თუ პერსონისთვის დამახასიათებელია ატაკციალება, უღოდეს საქმეთა ძიება, აქ პირიქით, ნორმას წარმოადგენს მდინარეების სიღინჭე, „წომიერება“, გამძლეობა, შეუწყვეტელი თვითდისციპლინა, მოთმინება და ამტანობა, სწორედ ის თვისებები, ინტელიგენციას რომ არ გააჩნია, — თავისი მოვალეობის ერთგული აღსრულება, საკუთარი ჭერის ზიდვა, საკუთარი თავისთვის ზურგის შექცევა (არა მხოლოდ გარეგნული, არამედ უფრო მეტად — შინაგანი აზრით), სხვა ყოველივეს განგებისთვის მინდობა — აი, ქეშპარიტი მოსაგრეობის თვისებები. მონასტრულ სიტყვათმხარებაში არის ამ რელიგიურ-პრაქტიკული იდეის შესანიშნავი გამოხატულება: საკანონო ასე იწოდება ყოველგვარი საქმიანობა ბერისთვის დაწესებული. სულ ერთია, იქნება ეს სამეცნიერო შრომა თუ ყველაზე უბეში ფიზიკური სამუშაო, რაკი სრულდება რელიგიური ვალდებულების მიზნით. ეს ცნება შეიძლება გავრცელდეს მონასტრის კედლებს გარეთაც და მიეყენოს ნებისმიერ სამუშაოს. ექიმს და ინჟინერს, პროფესორს და პოლიტიკურ მოღვაწეს, ფაბრიკანტსა და მის მუშას ერთნაირად შეუძლიათ იხელმძღვანელონ არა პირადი, სულ ერთია, სულიერი

თუ მატერიალური ინტერესით, არამედ — სინდისით, მოვალეობის კარნახით, რათა აღასრულონ საკანონო. მორჩილებას ამ დისციპლინამ, „საერთო ასკეტიზმმა“ უზარმაზარი გავლენა იქონია პიროვნების ჩამოყალიბებაზე დასავლეთ ევროპაში შრომის სხვადასხვა სფეროებში და ეს გავლენა დღემდე იგრძნობა.

საინტელიგენციო მაქსიმალიზმის მეორე მხარეს წარმოადგენს ისტორიული სულსწრაფობა, ისტორიული სიფხიზლის ნაკლებობა, სოციალური სასწაულის გამოწვევის სწრაფვა, თეორიულად აღიარებული ევოლუციონიზმის პრაქტიკული უარყოფა. პირიქით, „საკანონოს“ დაცვილინამ ხელი უნდა შეუწყოს ისტორიული სიფხიზლის, თვითფლობის, გამძლეობის გამომუშავებას. იგი ასწავლის ისტორიული ბეგარის, ისტორიული საკანონოს უღლის ტარებას, იგი აღწრდის წარსულთან კავშირის გრძნობას და ამ წარსულისადმი პატივისცემას, რასაც მომავლეს გამო ამჟამად ასე იოლად ივიწყებენ. აღადგენს შეიღების ზნეობრივ მამებთან კავშირს...

პირიქით, ჰუმანიტური პროგრესი არის მამების აზურად ავდება, საკუთარი წარსულის ზიზღი და მისი სრული განკიცხვა, ისტორიული და არც თუ იშვიათად უბრალოდ პირადი უმადურობა, მამათა და შეილთა სულიერი კინკლაობის დაკანონება. გმირი ქმნის ისტორიას თავისი გეგმის მიხედვით, იგი თითქოს თავისი თავიდან იწყებს ისტორიას, განიხილავს რა არსებულს როგორც მასალას ან პასიურ ობიექტს სამოქმედოდ. ამასთან, გარდაუვალნიდება გრძნობასა და ნებაში ისტორიული კავშირის გაწყვეტა.

გატარებული პარალელი უფლებას გვაძლევს გავაკეთოთ ზოგადი დასკვნა პერსონისა და ქრისტიანული მოსაგრეობის მიმართების შესახებ. მიუხედავად მათ შორის რაღაცნაირი გარეგანი მსგავსებისა, არ არსებობს არავითარი შინაგანი მსგავსება, არავითარი ძირეული შენება. პერსონის ამოცანაა კაცობრიობის (უფრო ზუსტად, მისი მომავალი ნაწილის) გარეგნული ხსნა საკუთარი ძალებით თავისი გეგმის მიხედვით, „თავისი სახელით“; გმირი ისაა, ვინც ყველაზე მეტად შეასხამს ხორცს თავის იდეას, თუნდაც ამისთვის ცხოვრების დამსხვრევა მოუხდეს, იგია ღმერთკაცი. ქრისტიანული მოსაგრეობის ამოცანაა, თავისი ცხოვრება გადააქციოს უჩინარ თვითუარყოფად, მორჩილებად, აღასრულოს თავისი შრომა მთელი დაძაბულობით, თვითდისციპლინით, თავისი თავის ფლობით, მაგრამ თავის თავში ხედავდეს მხოლოდ განგების იარაღს. ქრისტიანი წმინდანი ისაა, ვინც უდიდესი ზომით თავისი პირადი

ნება და ექსპორტული პაროვენება უწყვეტი და შეუწყვეტელი გმირობით, რამდენადაც შე-
ძლო, ღმერთის ნების სრულ გაშვებულულობად
გადაქცია. სრული ხატია ღმერთკაცი, რომე-
ლიც მოვიდა „არა ქმნად ნებისა თვისისა, არა-
მედ წარმოგზავნისა მამისა“ და რომელიც
არის „მომავალი სახელითა ღმერთისათა“.

ახლა უფრო იმას ცდილობენ, დაამტკონ,
ციადრე განადიდონ განსხვავება ქრისტიანულ
კოფულ შემოსვებაში, მისი ეთიკური მოძღვრე-
ლის (ბრძე) და საინტელიგენციო პეროიზმს
შორის, რომელმაც ისტორიის მანძილზე ქრის-
ტიანობისაგან ისეხსნა ზოგიერთი უმთავრესი
დოგმატთაგანა, უპირველეს უკვლახა, ადუ-
რად მი.ნთა თანაბარღირებულუბანობისა, ადა-
მანის პიროვნების აბსოლუტური ღირსებისა,
თანასწორობისა და ძმობისა, ამას, პირველ
რგნი, ხელს უწყობს ის, რომ ინტელიგენცია
ერ ხედანს ნამდვილ უფსკრულს ათეიზმსა და
ქრისტიანობას შორის, რისი წყალობითაც არა-
ერაცყვის ნდელი თაღდაჭრებულობით „შეუხ-
წორებიათ“ ქრისტეს სახე, გაუთავისუფლები-
თ იგი „საეკლესიო დამაინკვებათაგან“, წარ-
მოუდგენიათ სოციალ-დემოკრატად ან სოცია-
ლ-სტრუქტურალუციონერად. ამის მაგალითი ჯერ
კიდევ რუსი ინტელიგენციის მამამ ბულისკომ
აჩვენა.* ეს უგემოვნო და რელიგიური გრანო-
ლისათვის აუტანელი თქერაცია არა ერთგვის
ჩაუტარებიათ. სხვათა შორის, თავად ინტელი-
გენცია ამ სიახლოვით სრულებით არ დაინ-
ტერესებულა, უპირატესად პოლიტიკური მი-
ზნებისათვის ანდაც „აგიტაციის“ მოხერხებუ-
ლობისათვის მოიშველიებს ხალხმე.

უფრო ღ ზვეწილი და მაცთუნებელი, არა-
ნაკლებ მკრეხელური ტუთილი, რომელმაც ბო-
ლო ხანებში სხვადასხვა ფორმით დაიწყო გა-
შეორება, სწორედ იმას ამტკიცებს, რომ ინ-
ტელიგენციისეული მაქსიმალ ზნი და რევოლუ-
ციონერობა, რომელთა სულიერ საფუძველს,
როგორც ვნახეთ, ათეიზმი წარმოადგენს, ქრი-
სტიანობისგან არსებითად მხოლოდ რელიგიური

გაუცნობიერებლობით განსხვავდება. ვითომ
აკპარისია, მარქსის ან მიხაილოვსკის სახელი
ქრისტეს სახელით შეიცვალოს, ხოლო „ვაპი-
ტალი“ — სახარებით, ან, კიდევ უკიდურესი,
ამოკალიასით (მისი ციტირების მოხერხებულუ-
ბის გამო) ანდა სულაც შეიქცევა „პირველი“
შეიცვალოს, ოღონდ საჭიროა მხოლოდ კიდევ
უფრო გაქლიერდეს ინტელიგენციის რევოლუ-
ციურობა და გაგრძელდეს საინტელიგენციო
რევოლუცია და მაშინ მისგან იშვება ახალი
რელიგიური ცნობიერება (თათქოს უკვე არ
უფიქრდეს ისტორიაში სავსაოდ გაგრძელე-
ბული საინტელიგენციო რევოლუცია ყველა მი-
სი სულიერი პოტენციის გამომწვადვებით, სა-
ხელდობრ, დიდი ფრანგული რევოლუცია). თუ
რევოლუციამდე ჯერ კიდევ იოლი იყო, ქრის-
ტიან წამებულში აგრეთდა ტანჯული და დემ-
ნილი ინტელიგენტი, რომლის მხრებზეც გადა-
დიოდა პეროიკული ბრძოლა ბიუროკრატულ
აბსოლუტიზმთან, რევოლუციის ხანაში ინტე-
ლიგენციის სულიერი განმწვადვების შექმნე-
ბს გაცრდებით ძნელი შეიქნა.

მინდინარე პერიოდში შეიძლება შევამჩნი-
თ აგრეთვე ჩვენი ეპოქისათვის განსაკუთრე-
ბით დამახ სითუბელი ინტელიგენციისეული გა-
ქალბება ქრისტიანობისა, ქრისტიანულ გამოთ-
ქმათა და ადუათი ათეისება საინტელიგენციო
პეროიზმის მთლიანი სულიერი სახის შენარჩუ-
ნებით. უოველი ჩვენგანი, ინტელიგენციიდან
გამოსხული ქრისტიანი, ამ სულიერ წყობას სა-
კუთარა თავის სიღრმეში პოულობს. საინტე-
ლ-გენციო პეროიზმს, ქრისტიანულ ტანასამო-
სში რომაა გადაცმული და თავის ინტელი-
გენტურ განცდება და ჩვეულ პეროიკულ პა-
თოსს ქრისტიანი წმინდანის რისხვად მიიჩნევს,
ყველაზე უფრო ეადვილება, თავი საეკლესიო
რევოლუციურობაში, ახალი წმინდანობის, ახა-
ლა რელიგიური ცნობიერების „ატორიული“
ეკლესიის სიკვლების მამართ დაპირისპირებაში
გ მოაშველენოს, ამგვარად, მოქრისტიანო ინტე-
ლიგენტი, რომელიც ზოგჯერ უძლურაა ნამდვი-
ლად დააკმაყოფილოს „ისტორიული ეკლე-
სიის“ წევრის საშუალო მოთხოვნები, სუფ-
იოლად წარმოადგენს თავს მარტინ ლუთერად
ან უფრო მეტიც — ახალი რელიგიური ცნო-
ბიერების წინასწარშეტყველად, რომელიც მო-
წოდებულისა არა მარტო განაახლოს საეკლესიო
ცხოვრება, არამედ შექმნას კიდევ მისი ახალი
ფორმები, ღამის ახალი რელიგია. სა-
ერო პოლიტიკის სფეროშიც ასევე სრუ-
ლიად ჩვეულებრივია საინტელიგენციო მა-
ქსიმალიზმი, რევოლუციურ პროგრამათა შინა-
არსს რომ შეადგენს. იგი უბრალოდ შეკაზ-
მულია ქრისტიანული ტერმინოლოგიით ან ტე-

* ბულისკო გოგოლისადმი მიწერილ თავის
ცნობილ წერილში, საინტელიგენციო განწყობი-
ლების ამ მგზნებარე და კლასიკურ გამოხატუ-
ლებაში, წერდა: „რა ნახეთ საერთო ქრისტიან-
და რომელინე, მით უმეტეს მართლმადიდებ-
ლურ ეკლესიას შორის? მან პირველმა აუწყა
ადამიანებს მოძღვრება თავისუფლებათზე, თანას-
წორობაზე, ძმობაზე და ტანჯვის დათმენით აღ-
ბეჭდა, განამტკიცა თავისი მოძღვრების ქვე-
მარტება. მაგრამ ქრისტეს მოძღვრების საზ-
რისი გახსნეს გასული საუკუნის ფილოსოფი-
ურმა მოძრაობებმა.“

ქსტებით და შემოთავაზებულია როგორც ქრისტიანობის პოლიტიკაში. საინტელიგენციო ქრისტიანობა, რომელიც ხელშეუხებელს ტოვებს იმას, რაც საინტელიგენციო პეროიზში ყველაზე მეტად ანტირელიგიურია, სახელდობრ, მის სულიერ წყობას, წარმოადგენს ურთიერთმებრძოლ საწყისთა დროებით და გარდამავალ კომპრომისს და მას დამოუკიდებელი სიცოცხლისუნარიანობა არ გააჩნია. იგი არა სჭირდება ნამდვილ საინტელიგენციო პეროიზს და შეუძლებელია ქრისტიანობისათვის. სხვათა შორის, როგორც ყველა რელიგია, ქრისტიანობაც ექვიანია. იგი ძლიერია ადამიანში მხოლოდ მაშინ, როცა მთლიანად იპყრობს მის სულს, გულს, ნებას. აზრი არა აქვს ამ კონტრასტის ან ჩამოქვების ან შერბილვას.

როგორც, პირველქრისტიანობასა და რევოლუციებს შორის არსებითად, არაერთარი შინაგანი მსგავსება არაა, მიუხედავად მათი გმირულობის გარეგნული იგივეობისა, ისევე არაა მსგავსება საინტელიგენციო პეროიზსა და ქრისტიანულ მოსაგრეობას შორის. მათი გამოვლენის გარეგნული მსგავსების დროსაც კი (რაც, სხვათა შორის, შეიძლება დავუშვათ ნაწილობრივ და პირობითად) რჩება უფსკრული და არ შეიძლება ერთდროულად მის ორივე მხარეზე დგომა. ერთი უნდა მოკვდეს, რომ მეორე დაიბადოს, რამდენადაც კვდება ერთი, იმდენად იზრდება, ძალას იკრებს მეორე. აი, როგორია ორ მსოფლმომართებას შორის ქრისტიანობის შესაბამისობა. საქიროა, „მონანიება“, ანუ გადასინჯვა, გადააზრება, განვლილი სულიერი ცხოვრების სიღრმეების, ზეუღებინ განჩხრეკა, რათა ადამიანი აღორძინდეს ახალი ცხოვრებისათვის. აი, რატომაა საზარებაში ქადაგების პირველი სიტყვა — მოწოდება მონანიებისკენ, — თვითშეშეცნებას და თვითშეფასებას რომ ეფუძნება: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფიველი ცათაი“ (მათე. 3, 2; 4, 17; მარკოვი, 1, 14—15). უნდა დაიბადოს ახალი სული, ახალი შინაგანი ადამიანი, რომელიც გაიზრდება, განვითარდება და განმტკიცდება ცხოვრებისეულ გმირობაში. ლაპარაკია არა პოლიტიკურ ან პარტიულ პროგრამათა შეცვლაზე (რის გარეშეც ინტელიგენციას, ჩვეულებრივ, ვერ გაუაზრებია განახლება), და საერთოდაც სულ არაა ლაპარაკი პროგრამებზე, არამედ გაცილებით აღმატებულზე — თავად ადამიანურ პიროვნებაზე. არა მოღვაწეობაზე, არამედ — მოღვაწეზე, ეს ხელახალი დაბადება ადამიანს სულში უჩი-

ნრად ხდება. მაგრამ, თუ უჩინარი აგენტები უძლიერესები აღმოჩნდებიან ფიზიკურ სამყაროშიც კი, მაშინ ზნეობრივ სამყაროში მათი ძლიერების უარყოფა არ შეიძლება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ იგი პროგრამათა განსაკუთრებული პარაგრაფებზე გათვალისწინებული არაა.

რუს ინტელიგენციას მოუწევს პიროვნების ხელახალი აღზრდის ნული და ძნელი გზის გაღვა, რომელზეც არაა ნახტომები, კატაკლიზმები და იმარჯეებს მხოლოდ შეუპოვარი თვითდისციპლინა. რუსეთს ესაჭიროება ახალი მოღვაწეები ცხოვრების ყველა ასპარეზზე: სასულიეროებრივზე — რეფორმათა განსახორციელებლად, ეკონომიურზე — სახალხო მეურნეობის წამოსაწევად, კულტურულზე — რუსული განათლების ასამაღლებლად, საეკლესიოზე — ეკლესიის გასამრავლებლად, მისი დასის და იერარქიის ძალთა განსამტკიცებლად ახალი ადამიანები, თუკი რუსეთს ისინი ეღირსა, რა თქმა უნდა, საკუთარი მსახურების აღსასრულებლად ახალ პრაქტიკულ გზებს გამოიხატონ არსებული პროგრამების გარეშეც და, მე მჭერა, რომ თავდაუზოგავი ძიება მათ ამ გზამდე გაიყვანს.*

* ინტელიგენციის სულიერი წყობის მკაცრ დანასიათების გამო (თავები III—IV) შეიძლება მისცევედურთონ, რომ თავგანწირულ, ტანჯულ, დევნილ ადამიანებს განვსჯი, ყოველ შემთხვევაში, თავად მე არა ერთხელ ჩავუფიქრებია ამ საკითხს, მაგრამ იმისგან დამოუკიდებლად რაინარი დაბალი აზრისაც არ უნდა ვიყო საკუთარ პიროვნებაზე, თავს მოვალედ ვცნობ (თუნდაც საზოგადოებრივი „საკანონოს“ სახით) ვთქვათ ყველაფერი, რასაც ვაედავ, რაც გულზე მაწევს, როგორც ინტელიგენციის მიმართ განცდილის, ნაგრძნობის, ნაფიქრალის შეგამება. ამას მკარნახობს პასუხისმგებლობის გრძნობა და მტანჯველი შემფოთება როგორც ინტელიგენციის, ისე რუსეთის განოც. მაგრამ ინტელიგენციის სულიერი ხატის და იდეალების პრიტიკასს მე სულაც არა მიქვს მხედველობაში ცალკეულ პიროვნებათა განკიცხვა, ისე როგორც საკუთარი იდეალის წამოკენებაში რომლის ქრისტიანობაშიც დარწმუნებული ვარ. — სულაც არა ვგულისხმობ იმას, რომ მას სხვებზე მეტად მივუაბლოვდი. ან ეს შეიძლება იგრძნო თავი აბსოლუტურ იდეალთან მიხლოვებულად? მაგრამ მიაკენ მოუწოდო, ვინც მას ვერ აედავს, მიუთითო იგი, არა თუ შეიძლება, არამედ აუცილებელიცაა.

* მე ამ საკითხებს ფსიქოლოგიურად ვაყენებ. მათ არსებრივ განხილვას განსუ ვტოვებ.

VI

ხალხისადმი მიმართებაში, რომლის მხახურე-
ბაშიც ხედავს თავის ამოცანას ინტელიგენ-
ცია, იგი გამოუდგებიან და გარდუვლად მერყეობს
ორ უკიდურესობას — ხალხთაყვანისმცემლო-
ბასა და სულიერ არისტოკრატიზმს შორის.
ხალხთაყვანისმცემლობის მოთხოვნილება ამა-
თუ იმ ფორმით (იქნება ეს ძველი ხალხოს-
ნობა, გერცენიდან რომ იღებდა სათავეს და
ემუარებოდა რუსი ხალხის სოციალისტური
სულის რწმენას თუ უახლესი მარქსიზმი, სადაც
შთელი ხალხის ნაცვლად ასეთივე თვისებები
შეწერება მის ერთ ნაწილს, სახელდობრ, „პრო-
ლეტარიატს“) გამომდინარეობს საინტელიგენ-
ციო რწმენის ძირებიდან, მაგრამ მისგანვე გა-
ომდინარეობს საპირისპიროც — ხალხისადმი
ქედმაღლური დამოკიდებულება, როგორც
მხსნელი ზემოქმედების ობიექტისადმი, რო-
გორც არასრულწლოვანისადმი, გადია რომ
ესაქიროება „შეგნებულობის“ აღსაზრდელად,
როგორც უვიცისადმი ამ სიტყვის საინტელი-
გენციო გაგებით.

ჩვენს ლიტერატურაში მრავალგზის უო-
ფადა მითითებული ჩვენი ინტელიგენციის ხა-
ლხისგან განდგომილობა. დოსტოევსკის აზრით,
იგი უკვე პუშკინის მიერ იყო ნაწინასწარმეტ-
ყველები ჭერ მუდმივი მოხეტიალე ალექსი,
მერე ევგენი ონეგინის სახით, რომლითაც
„ზედმეტ ადამიანთა“ მთელი სერია გახსნა,
და მართლაც, ღვიძლი ისტორიული კავშირის
გრძნობა, თანამგძნობი ინტერესი, საკუთარი ის-
ტორიის სიუვარული, მისი ესთეტიკური აღქმა ინ-
ტელიგენციას განმაცვიფრებლად კნინი აღ-
მოაჩნდა. მის პალიტრაზე კარბობს ორი სა-
ღებავი შავი — წარსულისათვის, ვარდისფე-
რი — მომავლისთვის (ამ ფონზე კიდევ უფ-
რო ცხადდ იკვეთება სულიერი სიმაღლე და
მშერის სიმახვილე ჩვენი დიდი მწერლებისა,
რომელნიც რუსული ისტორიის სიღრმეში იჭ-
რებოდნენ და იქიდან „ბორის გოდუნოვიც“,
„სიმღერა ვაქარ კალაშნიკოვზე“, „ომი და მშვი-
დობა“ ამოქონდათ). უფრო ხშირად ისტორია
წარმოადგენს მისაყენებელ მასალას თეორიუ-
ლი სქემებისათვის, რომლებიც მოცემულ ეპო-
ქაში ადამიანთა ცნობიერებაზე ბატონობენ (მა-
გალითად, კლასობრივი ბრძოლის თეორია) ან

* იმ თავისებურ და ავბედით გამოხატუ-
ლებაზე, რომელიც მან რუსეთ-იაპონიის ომის
დროს შეიძინა, სჯობია, გაგზუმდეთ, რათა გუ-
ნება არ მოვიშხამოთ იმ მწველი და მტკივნე-
ული მოგონებებით.

კიდევ იგი ემსახურება პუბლიცისტურ, აგიტა-
ციურ მიზნებს.

ცნობილია აგრეთვე რუსი ინტელიგენციის კას-
მოპოლიტიზმი.* განმანათლებლობის განუგნებულ
სქემებზე აღზრდილი ინტელიგენტი კველავ
უფრო ბუნებრივად იღებს მარქსის კლას-
მდგომარეობას და ეს სიცარიელის კონსმო-
ლიტიზმი, ჭანსალი ეროვნული გრძნობის უქ-
ონლობა, რაც ხელს უშლის ეროვნული თვით-
შეგნების გამომუშავებას, უკავშირდება ინტე-
ლიგენციის ხალხისადმი განდგომილობას.

ინტელიგენციამ ჭერ ვერ გაიაზრა ეროვნული
პრობლემა, რომელსაც შეპყრობილი მკადა
მხოლოდ სლავოფილები, იგი სჭერდება ხალ-
ხის წარმოშობის „ბუნებრივ“ ახსნას (მოყოლი-
ბული ჩერნიშევსკიდან. გულმოდგინედ რომ
ანადგურებდა ეროვნული პრობლემის დამო-
უკიდებელ მნიშვნელობას,* თანამედროვე მარ-
ქსისტებამდე, პრობლემას უნაშთოდ რომ
თქვეფენ კლასობრივ ბრძოლაში).

ეროვნული იდეა ეყრდნობა არა მხოლოდ
ეთნოგრაფიულსა და ისტორიულ, არამედ
უპირველეს ყოვლისა, რელიგიურ-კულტურულ
საფუძვლებს. იგი ეფუძნება რელიგიურ-კულ-
ტურულ მესიანიზმს, რომელშიც აუცილებლო-
ბით ჩაშობისმება ყოველთვისა შეგნებული
ეროვნული გრძნობა. ასე იყო რელიგიურ-მე-
სიანიტური იდეის უდიდეს მატარებელთან —
ძველ ისრაელთან, ასევე რჩება ყველა დიდ
ისტორიულ ხალხთან. სწრაფვა ეროვნული ავ-
ტონომიისკენ, ეროვნულობის შენარჩუნებისა
და დაღვისაკენ არის მხოლოდ ამ იდეის უარ-
ყოფითი გამოხატულება და ფასი აქვს მხო-
ლოდ ნაგულისხმევ დადებით შინაარსთან კავ-
შირში. სწორედ ასე ესმოდათ ეროვნული იდეა
ჩვენი ეროვნული თვითცნობიერების უდიდეს
გამომხატველებს — დოსტოევსკის, სლავოფი-
ლებს, ვლ. სოლოვიოვს, რომელნიც მან რუ-
სული ეკლესიის ან რუსული კულტურის
მხოფლიო ამოცანებს უკავშირებდნენ. ერ-
ოვნული იდეის ამგვარმა გაგებამ სულაც
არ უნდა მიგვიყვანოს ეროვნულ განსაკუთრე-
ბულობამდე, პირიქით, მხოლოდ იგი, აფუძნებს
დადებითად ხალხთა ქმობის იდეას და არა
უნახლო ტომებად დაცალკავებული „მოქა-
ლაქეები“ ან სამშობლოზე ხელადებული „ყვე-
ლა ქვეყნის პროლეტარიატი“. ამგვარად გა-
გებული ხალხურობის იდეა არის ცივილიზა-
ციის, პროგრესის ერთი აუცილებელი დადები-
თი პირობათაგანი. თავისი კოსმოპოლიტიზმის
გამო ჩვენი ინტელიგენცია, რა თქმა უნდა,

* დ. სტ. მილის „პოლიტიკური ეკონომიის
საფუძვლების“ შენიშვნები.

მრავალ სიბნელეს იცილებს თავიდან, ვარდუ-
ვალისით რომ წამოიჭრება ხოლმე ეროვნული
საკითხების* პრაქტიკულა დაშვებებისას,
მაგრამ ეს ძვირად უძღება — ხულის ერთი
მხარის მოკვდნების ფახად, ამასთან უშუალოდ
ხალხისაკენ მიმართული მხარისა და ამი-
ტომაც, სხვათა შორის, ახე იოლად ხდება
ქსელთაგან ამ კოსმოპოლიტიზმისა მებრ-
ძოლი შეცდომის ნაცონალიზმის წარმო-
მადგენელთა მიერ, რომელთაც ამის გამო
მონოპოლია გაანიათ პატრიოტიზმზე.

მაგრამ უფროსს უფსკრულს ინტელიგენცი-
ა და ხალხს შორის ეს კი არ ქმნის, რამეთუ
რეი მაინც წარმოეწეული განსხვავებაა. ძირეულ
განსხვავებად რჩება რელიგიისადმი მიმართება.
ხალხის მსოფლმხედველობა და სულიერი წეს-
ბა განისაზღვრება ქრისტიანული რწმენით, რაც
არ უნდა შორის იყოს მანძილი იდეა-
სა და ხინამდელიც შორის, რაც
არ უნდა ბნელა, გაუნათლებელი იყოს ჩვენი
ხალხი, მისი იდეალი მაინც ქრისტია და მისი
მოსაძვრება", ნორმა კი — ქრისტიანული მო-

* ამიტომ „ნეოსლავისმის ამგვამადელი მოძ-
რობა ჯერ კიდევ პრინციპულად დაუფუძნე-
ბელი რჩება.

** „დე, სენს ხალხში იყოს მხედობა და
კოლეა, მაგრამ რაც უნდა ველოდეთ ნაღვს, სწო-
რედ ისაა, რომ იგი ყოველ შემთხვევაში თავის
მთლიანობაში არასოდეს არ იღუბა და ინდო-
მისს თავისი კოლეა სიმართლის წილად მიი-
წიოს. ცოდვი წარმოდება, ხოლო — ქრისტი-
ანობადუღ* ხალხს ცოდვის და უბნისობას ჩად-
ყოველდღიურად. მაგრამ აქვეთვეს წუ-
თებში, არსებს წუთებში, იგი არ ცდება სი-
მართლურს, სწორედ ეს არის ნიშნულად, რაც
რა სწავს ხალხს თავის სიმართლედ, რაც გუ-
ლისხმობს მასში, როგორ წარმოუდგენია იგი,
რა არის მისი სიკეთეს სურვლი, რა უყვარს
რის უსიბოთხს ღმერთს, რაზე გოდებს ლოც-
ვაში, ხალხს იდეალს კი ქრისტია, ქრისტი-
ანი ერთად ი, რა თქმა უნდა, განათლება, თი-
რის უმაღლეს, საბოლოოწერს წუთებში ჩვენი
ხალხი კოლეათის წყვილს და წყვეტდა ყო-
ველდღიურ სურთს და სახალხო საქმეს ქრის-
ტიანულად* საინტერესოა, ხალხის სულის ამ
თავისს, რომელთაც დღის რაღაცა უდიდეს რღს
მოატვრებთან და მოპროფინებთან აზიარებს.
დაუწყნოთ გვერდით საინტელიგენციით მისაზ-
რება გამოსატოლო ბელისკის მიერ უნდა
ცატირებულ წერილში: „დააკვირდით უფრო
დახეიოებისა და ნახეთ, რომ ბუნებულ ეს

ნაგრეობა, თუ ეს მოხაგრეობა არა, ამა, რა
იყო ისტორია ჩვენი ხალხისა, რომელსაც
თრგუნავდა ჯერ თათრობა, მერე მოსკოვის და
პეტერბურკის სახელმწიფოებრიობა, ეს მრ-
ვალსაუკუნოვანი ბეგარა დაუცვა დასავლუ-
რი ცივილიზაცია ქრისტიანული მსოფლიოსაგან და
აზიის ქვიშეულისაგან დასავლეთის კლიმატის პი-
რობებში მუდმივი შამშილით, სიცოცხ-
ტანჯით. თუ ჩვენმა ხალხმა შეძლო უფელაფე-
რი ეს გადაეტანა და შეენახა სულიერი ძალი,
ღარჩენილყო ცოცხალი, თუმცა კი დასა-
ზირეული; ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას
სულიერი ძალის წყარო გაანდა თავის რწმენა-
ში და ქრისტიანული თავდადებულობის იდე-
ალებში, რაც იყო საფუძველი მისი ეროვნული
განმარტელობისა და სიცოცხლისუნარიანობისა.

კანდელთა მხგავსად, მოხაზონთა სავანეებს
რომ ანათებს, ხალხს საუკუნეთა განმადლობაში
თავს იყრიდა ხალხი, იძებდა რა ზნეობრივ
მზარდაქერას და დ მოძღვრას, რუსეთს ანათე-
ბდა ეს იდეალები, ნათელი ქრისტესი და,
რაცა ეს ნათელი გაანნია, ჩვენი ხალხი, — ვი-
ტყვი უფოქმანოდ, — მ უხედავად უწინურ-
ბისა, ჩვენს ინტელიგენციაზე უფრო განათლე-
ბულაა, მაგრამ სწორედ ამ ცენტრალურ პუნ-
ქტში, ყველაფერს, რაც ხალხის რწმენას ეხე-
ბა, ინტელიგენცია ეკადებოდა და ეკიდება
სრული გაუგებრობითა და ზიზღითაც კი.

ამიტომ ინტელიგენციის და ხალხის ურთი-
ერთობა, უიბრედებს ყოველისა, არის ორი
რწმენის, ორი რელიგიის შექალება და ინტე-
ლიგენციის ზეგადუნა პირველ რიგში გამოი-
ქატება იმით, რომ, ამხედრებს რა სახალხო რე-
ლუგას, ხრწნის ხალხის სულსაც, აცლის დღე-
მდე შურყვეთელ საფუძვლებს, მაგრამ რაც ამ-
დევს სამაგიეროდ? როგორ ესმის თავად სა-
ხალხო განათლების ამოცანები? იგი მას ესმის
განმანათლებლურად, ე. ი. უიბრედებს ყოველი-
სა, როგორც გონების განვითარება და ცოდ-
ნით განდიდრება. თუმცა, რაც თავად განმა-
ნათლებლებს აკლიათ დრო, უნარი და, რაც
კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, განათლება, ამ
მოცუნს ცალის მოღვემულ მომენტში მოცუ-
მულ პარტიაში დაბატონებულ მოძღვრებათა
დოგმატური გადმოღე* (რა თქმა უნდა, ყვე-

ღრმადი ათვისტურა ხალხისა, მამში კიდევ ბევრი
ცრერწმენა, მაგრამ რელიგიურობის კვალიც
არაა, მისტიკური ექსალტაცია მის ბუნებაში
არაა, საინისოფ მის საკმოდ გაანნია სული აზ-
რი, სიცხადე და დადგენილობა გონებაში. აი,
ამაშია ვინმელთ მისი მომავალი ისტორიული ბე-
ლის სიღვიძე.

ღაზე მკაცრი მეცნიერულობის ნიშნით) ან კიდევ სხვადასხვა სფეროებიდან დაქსაქსულ ცოდნათა ზერელე მიმოქილვანი. ამასთან გავლენას ახდენს მთელი ჩვენი საერთო უკულტურობა, სკოლათა, სახელმძღვანელოთა სიმწირე და, პირველ რიგში წერა-კითხვის უცოდინარობა, ყოველ შემთხვევაში, საინტელიგენციო აზრით, განათლების ამოცანა უფრო წინა დგას ვიდრე დაწყებითი სწავლება, ე. ი. უმარტავენი ცოდნის გადაცემა ან წერა-კითხვის ცოდნა, საინტელიგენციო განმანათლებელთათვის ეს ამოცანები მკიდროდ უკავშირდება პოლიტიკურსა და პარტიულ ამოცანებს, რომელთათვისაც ზედაპირული განათლება მხოლოდ აუცილებელი საშუალებაა.

ჩვენ უკვე ყველამ ვნახეთ, რანაირად შეიძრა ხალხის სულ, როცა ამ აზრით მას განათლება (მითითებული დოზით) შეუშნა უნეს. რა სავალალო იყო მისი რეაქცია ამ სულიერ სიცარიელეზე, რაც გამოიხატა დამნაშავეობის ზრდით ჯერ იდეური საბაბით, შერე კი უმსახაბოდაც. ცდება ინტელიგენცია, როცა ფაქრობს, რუსული განათლებულობა და რუსული კულტურა შეიძლება ათეიზმზე, როგორც სულიერ საფუძველზე. აშენდეს, პიროვნების რელიგიური კულტურა შეიძლება უფულებებელს და შეიცვალოს ცოდნის უბრალო მაწოდებით. ადამიანურა პიროვნება მხოლოდ ინტელექტი არაა, იგი პირველ რიგში ნებაა, ხასიათი და ამის არად ჩაგდება მკაცრად იღებს შერს. საუკუნოვანი რელიგიურ-ზნეობრივი ზურგების მოშლა მასში ათავისუფლებს ბნელ სტიქიებს, რაც ეგზომ ჭარბად არის რუსულ ისტორიაში, რომელიც ღრმადაა მოწამლული აგებებითი „ათათრობით“ და მომთაბარე დამპყრობელთა ინსტრუქციებით. რუსი ხალხის ისტორიულ სულში მუდამ ებრძოდა ერთმანეთს, ერთის მხრივ, შეგონებანი ღირსი ხერგის ხაჯანისა და, მეორეს მხრივ, ჯაპოროვიეს „სეჩის“ ან „ვოლნიცისა“, რომელიც ავითმარქვია რაზინისა და კუგაჩოვის პოლკებს ავსებდა. და ეს მრისხანი, არაორგანიზებული, სტიქიური ძალები თავის დამანგრეველ ნიშნულში მხოლოდ მოჩვენებითად უახლოვდება რევოლუციურ ინტელიგენციას, თუცა ამ უკანასკნელს ეს ძალები რევოლუციურად მიაჩნია საკუთარი გაგებით. სინამდვილეში ძალიან ძველი წარმოშობისაა, გაცილებით უფროსია თავად ინტელიგენციაზე. დიდი გაქარვებით ხდებოდა მათი გადალახვა რუსული სახელმწიფოებრიობის მიერ, რომელიც მათ გარეგან საზღვრებს უდებდა და ბოქავდა, მაგრამ მათი სრული დამარცხება არასოდეს მოხდარა. საინტელიგენციო განმანათლებლობა

თავისი გავლენის ერთი მხრიდან ამ მოვლემარე ინსტრუქციებს ადვილებს და რუსეთს მის კანც-გამოცლელ ქაოსურ მდგომარეობაში აბრუნებს. რაც ისტორიაში ასეთი სირთულეებითა და მსხვერპლით იყო გადალახული. ამგვარია ბოლო წლების გაკვეთილები, ხალხში რუსულ ციის მორალი.

აქედან ვასაგებია ძირითადი მიზეზები ღრმა სულიერი განხეთქილებისა, რაც უახლოეს დროს სტიქიის რუსეთს, თიშავს თითქოსდა ორ მიუერთებელ ნახევრად: შემარქვენე და შემარცხენე ბლოკად. შავრაშმელება და წითელ-რწმუნელება. პარტიებად დაყოფა, რაც ეფუძნება პოლიტიკურ შეხედულებათა, სოციალურ მდგომარეობათა, საკუთრებრივ ინტერესთა სწვადასხვაობას, არის ჩვეულებრივი და საზომადოდ გავრცელებული მოვლენა სახალხო წარმომადგენლობიან ქვეყნებში და გარკვეულ აზრით გარდუვალი ბოროტება, მაგრამ ეს დაყოფა არსად ისე ღრმად არ მიდის, ისეთი ხარისხით არ ანგრევს ერთს სულიერ და კულტურულ ერთიანობას, როგორც რუსეთში. დასაჯლ-თ ევროპის სოციალისტური პარტიებიც კი „სურველი საზოგადოების“ საერთო შემადგენლობიდან ყველაზე უფრო რომ გამოყოფენ თავს, სინამდვილეში, მის ორგანულ წევრებად რჩებიან, არ ანგრევენ კულტურის მთლიანობას. ხოლო ჩვენი დაყოფა შემარქვენედ და შემარცხენედ იმით გამოირჩევა, რომ თავის საცნაელ გაჩნია არა მარტო პოლიტიკურ იდეათა სხვაობა, არამედ უმეტეს შემთხვევებში მსოფლმშედეგილობითი ან სარწმუნოებრივი სხვაობა. უფრო ზუსტი ისტორიული პარალელი თუ გვიჩნდა დასავლეთ ევროპაში, მაშინ იგი თანამედროვე პოლიტიკურ პარტიებზე უფრო მეტად გვაგს კათოლიკებად და პროტესტანტებად დაყოფას, რასაც მოჰყვა რელიგიური ომები რეფორმაციის ეპოქაში. ამის დასაწახად საკმარისია, შემარქვენე და შემარცხენე ბლოკები ძირითად სულიერ ელემენტებად დაეშალოთ, რუსულ განმანათლებლობას. რომლის სამსახურადაც მოწოდებულია რუსი ინტელიგენცია, უხდებოდა ბრძოლა საუკუნო „ათათრობასთან“, ღრმად რომ ვასწოდოთ ჩვენი ცხოვრების სწვადასხვა მხარეს, ბიუროკრატიული აბსოლუტიზმის თვით ნებობასთან და მის სახელმწიფოებრივ უმარქინობასთან, უფრო ათრი — ბატონყმობასთან, სხუელბრივ დასაბათ ინსტიტუტთან, დღის კი — სოციალით დასვის ინსტიტუტთან, ზნე-ჩვეულებათა სიტლანქესთან, სიკრთოდ. — ბრძოლა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. ამაზე დაიყვანება იდეალური შინაარსი ე. წ. განმათვისებელი მოძრაობისა, რომ

მღის სიწმინდე და სიძვირე თავის მხრებზე იტყობა ინტელიგენციამ და ამ ბრძოლაში წამებულას მრავალი გვირგვინი მიიხვეჭა. მაგრამ რუსული ცხოვრების საუბედუროდ ეს ბრძოლა მან წყიდროდ დაუკავშირა თავის უარყოფელ მსოფლმხედველობას. ამიტომ, ვისთვისაც ძვირფასი იყო ხალხური რწმენის საგანძური და თავს მოვალედ მიიჩნევდა, დაეცვა იგი, უპირველეს ყოვლისა, საეკლესიო პირთათვის. — შეიქმნა ხალხზე ინტელიგენციის ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა რწმენის დახატვად. პოლიტიკურ და კულტურულ იდეალთა ბრძოლას შეერია რელიგიური განხეთქილება, რომლის სერიოზულობა და სახედილო მნიშვნელობა მომავალი რუსეთისათვის ჩვენს ინტელიგენციას აქნობამდე სათანადო საჩინსით ვერ შეუგნია. თითქმის უაღრესად ინტელიგენციის ვახვლას ეკლესიის და ამ კულტურულ იზოლირებას, რომელიც ამას წყალობით ეს უკანასკნელი აღმოჩნდა, რომელიც ისტორიული მდგომარეობის შემდგომი ვარაუდებია. თავისთავად ცხადია, რომ ჩისტვის, ენაც სწავს ეკლესიის მისტიკური ცხოვრება, ვადამწვეტა მნიშვნელობა არა აქვს მოცემულ ისტორიულ მომენტში მის ამა თუ ამ ემპირიულ გარსს რანაირიც არ უნდა იყოს ის, მას არ შეუძლია და არც უნდა შეეძლოს ეკლესიის საბოლოო გამარჯვებაში და ყველასათვის მის ამკარა გაშუქმებისარებაში. მაგრამ ემპირიის ნიხედვით თუ ვაშხელებით და რუსულ ადგილობრივ ეკლესიას განვიხილავთ: როგორც ისტორიული განვითარების ფაქტორს, არ შეიძლება უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ რუსული განათლებული კლასი თითქმის უკლებლივ ათეისტად გამწესდა. ასეთი სისწლის გამოშვება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ ასახულიყო ეკლესიის დანარჩენი მოღვაწეების კულტურულსა და გონებრივ დონეზე. ინტელიგენცთა შორის ჩვეულებრივ დვარძლიანად მოიხსენიებენ ხოლმე საეკლესიო ცხოვრების იმ მრავალრიცხოვან წყლულს, რომელთა არც შემცირება, არც უარყოფა ერთი ბეწოთაღ არ გვიწინდა (თღონდ ამასთან საეკლესიო ცხოვრების ყველა დადებითი მხარე ინტელიგენციისათვის გაუგებარი და უცნობი რჩება). მაგრამ გაჩნია კი ინტელიგენციას ნამდვილი უფლება საეკლესიო ცხოვრების ასეთი კრიტიკისა, ხანამ თავად რჩება უწინდებურად ინდიფერენტული ან რელიგიის პრინციპულად უარყოფელი, ხანამ რელიგიაში მხოლოდ სიბნელესა და იდიოტიზმს ხედავს?

საეკლესიო ინტელიგენცია, რომელიც ქვეშარით ქრისტიანობას კულტურულ და ისტორიულ

რიულ ამოცანათა განათლებულ და ცხად გაგებას შეუხამებდა (რაც ასე ხშირად აკლიათანამედროვე საეკლესიო მოღვაწეებს), ასეთი რომ ჩამოყალიბებულიყო, არსობრივ ისტორიულ და ეროვნულ აუცილებლობას უპასუხებდა. საეკლესიო ინტელიგენციისათვის რომ მოუწევდეს ისეთი დევნა და რბევა, როგორც დიონისე ინტელიგენციამ თავისი ათეისტური იდეალების გამო, ამას ექნებოდა უზარმაზარი ისტორიული რელიგიურ-ზნეობრივი მნიშვნელობა და ხალხის სულში განსაკუთრებულ გამოძახილს მოვებდა.

მაგრამ ხანამ ინტელიგენცია თავისი განათლებულობის მიერ ძაღებს ხალხის რწმენის ვანრწნას ხნაძს, ამ უკანასკნელის დაცვა სამწუხარო აუცილებლობით სულ უფრო მეტად იღებს არა მარტო ინტელიგენციის, არამედ განათლების წინააღმდეგ ბრძოლის ბასიანს, რადგან სინამდვილეში განათლება მხოლოდ ინტელიგენციის მეოხებით ვრცელდება — ობსკურანტიზმი რელიგიის დაცვის საშუალებად იქცევა. ორივე მხრისთვის არაბუნებრივი მდგომარეობა, ბოლო წლებში რომ ვამწვავდა, ჩვენს თანამედროვე ეთარებას განსაკუთრებულად შტანკველს ხდის. ამას ემატება კიდევ ის, რომ ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლას სახალხო რწმენის დახატვად, საბაზად იყენებენ რეაქციის ანგარებიანა მომხრეები, აფერისტები: აღორცულ წყალში თევზას დაშვრები და ეს ყოველივე ქმნის ერთ ისტორიულ და ფსიქოლოგიურ გორგალს, მუშავდება აზრის ჩვეული ხედები, ისტორიული ასოციაციები, რომელთაც მომხრეებოცა და მოწინააღმდეგენიც შინაგანად აუცილებლად და დაურღვევლად მიიჩნევენ ორივე მოღუესი სულ უფრო ძლიერად იმუბტება სხვადასხვა ელექტრობით. ამ მახინჯ მასშტაბის მიხედვით აღამიანები ფაქტიურად ეუფლებიან პანაკებად, იქმნება შესაბამისი ფსიქოლოგიური გარემო, კონსერვატული, დესპოტური. ერთი იზლიჩება ორად და უნაყოფო ბრძოლაში იფლანგება მისი საუკეთესო ძალები ასეთი მდგომარეობა განპირობა მთელმა ჩვენმა სულიერმა წარსულმა და დროის ამოცანა ისაა, გადალახოს ეს დაყოფა, ამადლდეს მასზე, გაიგოს რომ საფუძველში ძევს არა შინაგანი, იდეალური აუცილებლობა, არამედ — მხოლოდ ისტორიული ფაქტის ძალა. დროა, შევუდგეთ ჩენი ისტორიის ამ გორგალის კვანძს ვახხნას.

VII

ახვე როგორც მთელი რუსული ცხოვრება რუსი ინტელიგენციის სულაც წინააღმდეგობით არის ნაქსოვი. არ შეიძლება იგი არ გიყ

ვარდს და არ შეიძლება იგი არ გზარავდეს. უარყოფით ნიშან-თვისებათა გარდა უკუღმართობის, ისტორიული უმწიფარობის სიმპტომს რომ წარმოადგენს და ბედებს მისწრაფებას ინტელიგენციის დასაძლევად, მისი ტანჯული სახიდან ასხივებს ხულიერი სილაშაშის ნიშნები. რაც მას სრულიად თავისებურ, ძვირფას და ნაზ ყვავილს ამსგავსებს. ჩვენი მკაცრი ისტორიით გამოწვდილს, თითქოს თავად არის ის „შეწანილი ყვავილი“, ცრემლითა და სისხლით ნაკვები, რომელიც ეზმანებოდა ერთ-ერთ მის უკეთილშობილეს წარმომადგენელს დიდი გულს პატრონს გარშინს.

ინტიქრისტესული საწუისის გვერდით ამ ინტელიგენციაში იგრძნობა უმაღლესი რელიგიური მოტენციებიც, ახალი ისტორიული ხორცი, თავის განსულიერებას რომ ელოდება. ეს დაძაბული ძიება ღვთის საუფლოსი, ხწრაფვა ზევცის ანალოგიით მიწაზე ღვთის ნების განხორციელებისა, ღრმად განსხვავდება მეშჩანური კულტურის სწრაფვისაგან შეარი მიწიერი კეთილდღეობისაკენ. მახინჯი საინტელაგენციო საქსიმალიზში მასი პრაქტიკული გამოუსადეგარობით არის რელიგიური გადავარების შედეგები, მაგრამ მისი დამარცხება შესაძლებელია რელიგიური გაჯანსაღებით.

რუსი ინტელიგენციის ზუნება რელიგიურია. დოსტოევსკი „ეშმაკებში“ რუსეთს და პირველ რიგში მას ინტელიგენციას სახარებისეულ ეშმაკეულს აღარბდა, რომელიც მხოლოდ ქრისტემ განკურნა და რომელმაც ჯანმრთელობა, ძალთა აღდგენა პპოვა მხოლოდ მხსნელის ფერხით. ეს შედარება ამჟამადაც ძალაში რჩება. ეშმაკეულთა ლეგიონი რუსეთის გოგან-

ტურ სხეულშია შესული. აცახცახებს, აწვალებს და ასახიჩრებს მას. მხოლოდ რელიგიური უჩინარი, მაგრამ დიდი გმირობით, შესაძლოა მისი გამოჯანმრთელება, განთავისუფლება ამ ლეგიონისგან. ინტელიგენციამ უარყო ქრისტე, განუდგა მის სახეს, გულიდან ამოიჩვენა მისი ხატი. ცხოვრების შინაგანი ნათელი მოიკლო და თავის სამშობლოსთან ერთად ამ ლალატისთვის, ამ რელიგიური თვითმკვლელობისთვის საზღაურს იხდის. მაგრამ უცნარია, — მას არ შეუძლია დაივიწყოს ეს გულის კრილობა, აღიდგინოს ხულიერი წონასწორობა, დამშვიდდეს იმის შემდეგ, რაც თავი გამოიცარიელა. ქრისტეს დამგმობი მის ბეჭედს ატარებს თავის გულზე და ძრწის მასზე გაუცნობიერებელი ურჯით შეპყრობილა, ვერ მოუკლავს ხულიერი წუურვილი. და ეს მბორგავი შეშფოთება, ეს არააქაურა ოცნება არააქაურ სიმართლეზე თავის გამორჩეულ დაღს ამჩნევს, რაღაც უცნაურს ხდის, აღტკინებულს, გაუწონასწორებულს, თითქოს ატაცებულს. იგი მგავს მშვენიერ საქმროდაკარგულ ხულამიოს: დამე თავის სარეცელზე, ქურჩებსა და მოედნებზე რომ ეძებდა იმას, ვინც მისმა ხულმა შეიყვარა, და ეკითხებოდა ქალაქის მცველებს, ხომ არ გინახავო ჩემი სატრფო. მაგრამ ქალაქის მცველები მახუზის ნაცვლად მხოლოდ სცემდნენ და სხეულს უსერავდნენ (ქებათა ქება, მ,1—წ1.1,1). ამ დროს კი სატრფო, ის, ვისზეც იურვის მისი ხული, ახლოსაა. იგი დგას მისი გულის კართან და აკაკუნებს... ამაჟ, ურჩ ინტელიგენციისეულ გულის კარზე... გაიგონებენ კი ოდესმე ამ კაკუნს?..



ლეონარდ კოვრელი

ცივილიზაციის სამკედლო

ინგლისურიდან

თარგმნა მამია პაპაშვილმა



დასავლური ცივილიზაციის დასაწყისი

თქვენ წინაშე წარმტაცი ისტორია ძველი ცივილიზაციებისა, რომლებმაც ათასობით წლებს წინ დაიწყეს საარსებო გზის გაკაფვა და აყვავებას მიადწიეს იმ ნაყოფიერი მიწის ნახევარსფერულზე, სადაც აზია აფრიკას ხვდება.

ამ მომხიბლავ წიგნში შეუწყვლელი ინტერესით იკითხება ეგვიპტის ისტორია, ისტორია ქვეყნისა, სადაც გაბოიგონეს დამწერლობა, სადაც არქიტექტურამ დიდძალიშენელოვან წარმატებებს მიადწია, ტვეყნისა, რომელიც ძველი დროის ერთ-ერთ ყველაზე უმდიდრეს სახელმწიფოდ გვევლინება. მასში ცოცხლად არის წარმოდგენილი აგრეთვე ომება ტიგროსისა და ევფრატისა მიდანიონში მცხოვრებ ხალხებს შორის, იქვეა აღწერილი მათი უზარმაზარი სასაარსებო და დიდი ტარები — ნაქიერ ხელოვნებადგარათა მიერ დაგეგმილი, და, როგორც წესი, ომებში დატყვევებული მონების ხელონაგება. დაახლოებით ანავე პერიოდზე მოდის კრეტის აღზევებაც, სადაც უადრესად გაიფორმენა ლიტერატურა და ხელოვნება. პოლოს აღწერილია საბერძნეთის დიდებული ცივილიზაცია, რომელიც შეიქმნა რათა გამხდარიყო მშობელი მხატვართა, არქიტექტორთა, ფილოსოფოსთა, დრამატურგთა თუ პოეტთა, რომლებიც იმ უდიდესთა შორის არას, ვაც კი მსოფლიოს ოდესმე უნახავს.

ეს ფასეული და საინტერესოდ საკითხავი ნაშრომი შეიცავს ღირსსაძისოვარ ეპისოდებს იმ მეცნიერთა ცხოვრებიდან, რომელთაც მიწის საღუწნოვანი შრეებიდან გამოამხეურეთა ძველთაძველი ქვეყნების ისტორია; იგი მოგვითხრობს მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დინამიური პერიოდის შესახებ, იმ პერიოდისა, რომლის ხემაქმედებას დღესაც განიცდის ფილოსოფია, ხელოვნება, პოლიტიკა თუ რელიგია.

მთარგმნელი.

წინასიტყვაობა

წიგნის დასაწერად მრავალი მიზეზი არსებობს. ვარდა იმ აშკარა და არცთუ უფულებებულსაყოფი მიზეზისა, ხაარსებო სახსართა მოპოვების აუცილებლობა რომ ჰქვია. პოეტი და რომანისტი ნანახისა და განცდალისაგან თავიანთი წარმოსახვის საქსოვ დაზგაზე ახალ ხანებებსოკვენ. ბიოგრაფი და სამოგზაურო წიგნების მწერალი თავ-თავისი ხერხით ცდილობენ დაგვიხატონ ამა თუ იმ პიროვნების ან ადგილის მათი აზრით გამორჩეული თვისებები, ისტორიკოსი შეისწავლის წერილობით რეკლებს კაცობრიობის მიერ განვლილი გზის შესახებ. შესწავლის პროცესში იგი ამორჩევის, უარყოფის, ანალიზის, ფაქტების შეგამებისა და გადაკგუფების მეშვეობით მეცნიერულ წესრიგს აშკარებს იქ, სადაც მისი ჩარევის გარეშე ერთმანეთთან დაუკავშირებელი მახალა იქნებოდა დაგროვილი. ყოველი მათგანი მოდელისაკენ ისწრაფვის.

ამ წიგნსაც, რომელიც, იმედი მაქვს, საშიდან პირველი იქნება, — მოდელის ძიება უდევს საფუძვლად. იგი მხოლოდ და მხოლოდ ამ მნიშვნელობით შეიძლება ჩაითვალოს სუბიექტურ წიგნად. იგი შეეხება იმ ტერიტორიას დედამიწის ზედაპირზე, რომელსაც რამდენიმე ეწვეწვევარ და რომელიც ჩემთვის ამოუწურავი მომხიბლელობითა და ინტერესით აღსავსე გამოდდა. მსოფლიოს უდიდესი ოკეანეებისა და სმუდლის მახების მახშტაბებთან შედარებით ეს ადგილი არ არის დიდი. უხეშად რომ მოგვაზოთ, აღმოსავლეთიდან დასავლეთით იგი გადაჭიჭულია კორსიკიდან (რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს) ტიგროსისა და ევფრატის ველებამდე (ეს არის, დაახლოებით, მანძილი ლოს-ანჯელესსა და ჩარლსტონს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში), ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იგი უფრო

ვიწროც კია — ბალკანებიდან ეგვიპტის სამხრეთ საზღვრამდე (ეს, დაახლოებით, ის მანძილია, რომელსაც ნოვა სკოტიას კუნძულ იამაიკისაგან აშორებს). შთაბარის, ზღვისა და უდაბნოს მთელი ეს სივრცე საბჭოთა კავშირის ფართობის ნახევარზე ნაკლებია.

სწორედ ამ შემოსაზღვრულ არეში აღმოცენდა პირველად ცივილიზაცია ჩვენს პლანეტაზე. აქ გადაიქცა პირველად ადამიანი — მოხეტიალე მონადირე ადამიან-მოკალაქედ, განავითარა ხელოვნებისა და მრეწველობისათვის ხელსაყრილი პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილებანი, ჩატარა თავისი პირველი ცდები იმ სფეროში, რასაც ჩვენ ცივილიზაცია ეუწოდებოდა. ჩატარდა მთელი რიგი ასეთი ცდები: ეგვიპტური, კრეტული, შუმერული, ბაბილონური, ასურული, შიკანური, ენციკლური, ბერძნული, რომაული, უფრო მეტიც, თანამედროვე დასავლური სამყაროს კანონების, ინსტიტუტების, ენების, ხელოვნებათა და მრეწველობათა კარგა დადი ნაწილი პირველად ამ სამყაროში გამოიქცა და განა ვასაკვირია, რომ ქვეყნებმა, რომლებიც აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და მის აღმოსავლეთითა და სამხრეთით გადაშლილ უდაბნოებში მდებარეობენ, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა თუ უბრალო მოგზაურთა თაობები ნიშნადან?

უფრო ფრთხილად უნდა ვადიარო, რომ ხე ამთგან ზესამე კატეგორიას ეკუთვნის. — არც პროფესიონალი ისტორიკოსი ვარ და არც არქეოლოგი, თუმცა როგორც მწერალს ისტორია და არქეოლოგია მრავალი წელია მიტაცებს. უამრავი წიგნი დაწერა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მდებარე ქვეყნების შესახებ, დაწებული ვიწრო ასპექტის სპეციალური სამეცნიერო მონოგრაფიებით და დაშთავრებული პოპულარული მიმოხილვებით. რომლებიც უფრო ფართო სურათს გვიხატავენ, ორასი წლის განმავლობაში, — გიბონიდან მოყოლებული, მწერლები ამ სურათის ხანდიდ და ხან პატარ-პატარა ნაწილებს ავსებენ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი უიხვუდ რიდი იყო, რომელმაც 1872 წელს გამოაქვეყნა თავისი „წამება ადამიანისა“, — დიდებული და პირქუში პანორამა. მარქსისტებმაც, რასაკვირველია, განიხილეს ეს საკითხი, ზოლოძ. რ. უელსმა თავის „ისტორიულ ნარკვევში“ ძველი მსოფლიოს ისტორია პოლიტიკის რაშზე ამხედრებულმა მოიკირითა, ოღონდ მეცნიერული ნადავლის ხელში ჩაგდებას ხულაც არ ცდილა.

უფრო თანამედროვე პერიოდში ისეთმა გიგანტებმა, რომელთაგან მხოლოდ ერთი-ორის დასახელებაც იკმარება, — ახალი პერსპექტი-

ები გადაგვიშალეს: ბეტრიმ, ბრესტეტი და რეისნერმა — ეგვიპტისა, ვულიმ — შუმერისა. ევანსმა, უინსმა და სხვებმა კი წინაეღონური საბერძნეთისა და კრეტისა. სხვა მეცნიერებმა უფრო თვალნათლივ წარმოგვიდგინეს ადამიანის განვითარების სურათი ამ ტერიტორიებზე ასეთ ნაშრომებში, როგორც არის დე ბურგის „ძველი მსოფლიოს შემკვდრეობა“ და ჯორდონ ნაილდის „რა მოხდა ისტორიაში“, ერთმანეთს ერწყმის შესანიშნავი ერთდროცა და ადვილად ვასაგები ახსნა-განმარტებანი — ამით მათ დიდ დაჯალებული მკვით ათასობით მკითხველი, რომ არაფერი ეთქვათ წინამდებარე წიგნის ავტორზე.

საქვია, რომ ოდესმე მოხერხდეს ცივილიზაციის ზრდის შესახებ სავსებით ამომწურავი და დასრულებული ნაშრომის დაწერა. საგანი მეტიმეტად ფართოა და რადგანაც ახალი აღმოჩენების შედეგად ახალი გამოკვლევები იწერება, სურათი გამუდმებით იცვლება. არც ამ წიგნსა აქვს ასეთი აბსურდული პრეტენზია, სინამდვილეში ეს არის ძიება, ცდა იმისა, რომ გაერკვიო, რომელია უფრო მნიშვნელოვანი იმ მრავალ შთაბეჭდილებათაგან, რომლებიც ამ ძველი ქვეყნების შესახებ დავაგროვე მოგზაურობისას, არქეოლოგებთან საუბრისას და აუარებელი წიგნის არათანმიმდევრული კითხვისას. ჩვენს დროში, როცა გადაადგილების ასეთი ადვილი და სწრაფი საშუალებები არსებობს, ათასობით ახალ-ახალი მოგზაური ნახულობს პირველად საბერძნეთს, თურქეთს, ლიბანს, სირიას, ერაყს, იორდანასა და ეგვიპტეს. მოგზაურობა ცნობისწადილს ადვილებს, და როცა თეთონაც ვმოგზაურობდი, ჩემთვის ხშირად მოუშართავთ კითხვებით, და მიამიტად ელოდნენ, რომ მე მათ ნებისმიერ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემას შევძლებდი რაკი ცნობილი იყო ჩემი გატაცება ძველი მსოფლიოთი.

ხანდახან მართლაც შემეძლო დავხმარებოდი და რამე წიგნი მერჩია, მაგრამ ჩემი ცოდნის უშველებელი ხარვეზები მალე აშკარა ხდებოდა ჩემთვის. ეგვიპტეში საკმაოდ მყარ ნიადაგზე ვიდექი, საბერძნეთში და წმინდა მიწაზე კი არც ისე დარწმუნებულად ვგრძობდი თავს. სიძნელე წამოიქრა გაფანტული ცოდნის თავმოყრისას, სხვადასხვა კულტურების აღმოაღობისა თუ დაკნინების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის ამოცნობისას, იმის დადგენისას, თუ სად და როგორ ხდებოდნენ ისინი ერთმანეთს და რა ურთიერთგავლენას განიცდიდნენ. რა ხდებოდა ხეობის იმპერიაში, როცა ეგვიპტეს რამზეს III მართავდა? რა ხდებოდა საბერძნეთის მატერიკზე და მის კუნძულებზე, როცა ხმელთაშუაზღვისპირეთის სა-

ვაჭრო საქმეებს ფინიკიელი ვაჭრები იგდებენ ხელში? ვინ მეფობდა ეგვიპტეში, როცა ჯოშუამ იერიქონზე მიიტანა იერიში? ან როდის აღიშარა ენოსოსში მინოსის პირველი სასახლე? ამ შეკითხვებიდან რამდენიმეზე შეგვიძლია სწორი პასუხის გაცემა, ზოგზე სრულიად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ იმისთვის, რომ მე თვითონ გავრკვეულიყავი, გადავწყვიტე ასეთი ხერხი მესინჯა: ჯერ დამეხაზა ქრონოლოგიური ტაბულა ცნობილი თარიღების ურთიერთშეპირისპირებით, შემდეგ კი ხარვეზების შევსება მეცადა. ამის შედეგად მკრთალად გამოიკვეთა მოდელი, რომელიც შემდგომ ამ წიგნს დაედო საფუძვლად. წიგნის ძირითადი თემა არის ცივილიზაციათა ზრდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე — დაწებულ მათგან უველაზე ადრინდელის — ეგვიპტის ცივილიზაციით და დამთავრებული პერიოდეს დროინდელი ათენის დიდების ხანით. ეს არის დაახლოებით სამი ათასი წლის შემცველი პერიოდი. ამ დროის განმავლობაში წარმოიშვა სხვა ცივილიზაციები კრეტაზე და საბერძნეთის მატერიკზე, მცირე აზიაში და ლევანტის სანაპიროს გასწვრივ. აუცილებელი იყო გათვალისწინება იმ კულტურათა გავლენისაც, რომლებიც ხმელთაშუაზღვისპირეთის საზღვრებს გარეთ მდებარეობდნენ; მაგ., ასურეთისა და ბაბილონის გავლენა ქანაანსა და იუდეაზე და მათივე შედარებით მცირე გავლენა ეგვიპტეზე; გასათვალისწინებელი იყო ეგვიპტელთა მიერ იმ ადგილების დაპყრობა და კოლონიზაცია, სადაც დღეს ისრაელი, ლიბანი და იორდანია მდებარეობენ, გავლენა ხეთების იმპერიისა, რომელიც, როგორც ჩანს, არმენიის მთებში უნდა წარმოშობილიყო, მაგრამ შემდგომ სამხრეთით. — სირიაში შეიჭრა; მცირე აზიის ზოგიერთი ნაწილის კოლონიზაცია მიკენელთა მიერ, რომლებიც თავის მხრივ, წინამორბედნი იყვნენ კლასიკური ხანის ბერძნებისა, და ამ უკანასკნელთა გავლენა ეგვიპტეზე, ფინიკიასა და ხმელთაშუაზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარე სხვა ქვეყნებზე.

ამიტომაც აუცილებელი იყო ჩემი გამოკვლევების საზღვრები დამედგინა. ის ტერიტორია, რომელიც მე გამოკვავი და რომელსაც „საშუალო“ ვუწოდე, იმიტომ იქნა არჩეული, რომ მის საზღვრებს შორის წარმოშობილმა ცივილიზაციებმა დ საბამი მისცეს ჩვენი „დასავლური“ კულტურის სამ ძირითად შემადგენელ ნაწილს: ბერძნულ აზროვნებას, რომაულ სამართალსა და ქრისტიანულ სარწმუნოებას. მაგრამ საბერძნეთს ღრმა კვალი დაამჩნია ეგვიპტემ. ეგვიპტეს — სირიამ, ხოლო ამ შო-

რეული კულტურების კვალმა კი ჩვენს ცხოვრებასა და აზროვნებაზეც იმოქმედა. რასაკვირველია, არსებობდა სხვა ცივილიზაციებიც, მაგალითად მდ. ინდის ველზე და ჩინეთში, მაგრამ მათი გავლენა დასავლურ ხმელთაშუაზღვისპირეთში უმნიშვნელოა.

დიდი უმრავლესობა ევროპის ხალხებისა და მათი შთამომავლებისა, რომლებიც მთელს მსოფლიოში არიან გაფანტულნი, კულტურის თვალსაზრით ხმელთაშუა ზღვის შვილები არიან.

მართლაც რა დიდებულია ის ზღვა, შორს რომ გამოკრთის აღმოსავლეთის მთების გადასახედიდან, ანდა ძველი ბიბლოსის ტალღებით ნაბანი ნავსადგურიდან, სადაც ფინიკურ გალერებს ჰქონდათ ლუწები ჩაშვებული. ზღვა, რომელიც მოჩანს იდას ძლევამოსილი მწვერვალიდან, სადაც დაიბადა ზევსი, ზღვა, რომლის სიღრმეებისკენაც ნილოსი ნაყოფიერი ეგვიპტის ნოყიერ შლამს მიეზიდება; მომეროსის „ღვინოსავით მუქი ზღვა“, რომელსაც აგამემნონის ხომალდები ტროასაკენ, ოდისევსი პენელოპეს მკლავებისაკენ, წმინდა პავლე კი თავისი განსაცდელისაკენ მიჰყავდა. ხელოვნებათა დედა, ამდენ მწერალს რომ იტაცებს, — ავსა და კარგს; სულისჩამდგმელი ამდენი წიგნისა!

ის არის სულისჩამდგმელი ამ წიგნისაც, რომელიც ზოგმა შეიძლება მცირე ცოდნისა და დიდძალი მოხერხებულობის საეჭვო ნაშეიარად ჩათვალოს.

აღბათ მართლაც იქნებოდა. მაგრამ ავტორს თავის გამართლება იმით მაინც შეუძლია, რომ სხვა უკანონოდ შობილი შვილების მსგავსად ეს წიგნიც სიყვარულში ჩაისახა.

თავი პირველი
საწყისები

კაცობრიობის უველაზე ადრეული წერილობითი ძეგლები თარიღდება დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლით და აღმოჩენილია მსოფლიოს სამ ადგილას: მდ. ნილოსის ველზე, მესოპოტამიაში და მდ. ინდის ველზე. ამ სამი სახის დამწერლობიდან მხოლოდ პირველი ორის წაკითხვა ხერხდება; ხოლო ძვ. წ. 3000 წლის წინარე პერიოდში ადამიანის ცხოვრების ისტორიისათვის თვალის მიდევნება შეიძლება არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მახედვით. ესენია შრომის იარაღები და საჭურველი, საცხოვრებელი სახლების ცალკეული ნაშთები, სანოვაგის შესახანი ჭურჭელი, ნანადირევის ან მოშინაურებული ცხოველების

ცვლები, კაცის ან ქალის სამკაულები. არქეოლოგიური მასალის დათარიღება მხოლოდ მიხედვით არის შესაძლებელი იმ დონეთა მიხედვით, რომლებზეც ის იქნა ნაპოვნი. იმ ადგილებში, სადაც რამდენიმე ათასწლეული წლის მანძილზე მეტად თუ ნაკლებად მუდმივი მოსახლეობა იყო, ქვედა შრეებში ნაპოვნი ნივთები, რასაკვირველია, ზედა შრეებში ნაპოვნი ნივთებზე უფრო ძველია. ამგვარი ადგილები ბევრია შუა აღმოსავლეთში, განსაკუთრებით მესოპოტამიასა და სირიაში. ზოგიერთ ადგილას ნასახლარი ფენები იმ დონეზე გაცილებით უფრო დაბლა მდებარეობს, რომელზეც დამწერლობის უველაზე ადრეული ნიმუშებია ნაპოვნი, და, რადგან ცნობილია, რომ დამწერლობა დაახ. მესამე ათასწლეულის (ძვ. წ. 3000 წ.) დამდეგიდან არსებობს, აშკარაა, რომ ქვედა დონეები ამ პერიოდზე უფრო ადრეული იქნება.

ეს წიგნი არ ეხება კაცობრიობის შორეულ ისტორიას. მე უველაზე ადრეულ ზღვარს ვავლებ ძვ. წ. 4000 წელზე, ე. ი. ათასი წლით ადრე იმ მოვლენის დაწყებამდე, რომელსაც პროფესორმა ჩაილდმა უწოდა „საქალაქო რევოლუცია“, — მასში იგულისხმება დრო, როდესაც ადამიანებმა პირველად დაიწყეს ცხოვრება მობინადრე თემებად, — ანუ უადრესი ცივილიზაციების პერიოდი. „ეს ათასი წელი, უშუალოდ წინ რომ უხწრებს ძვ. წ. 3000 წელს“, — წერს იგი, — ალბათ უფრო ნაყოფიერი იყო სასარგებლო აღმოჩენებითა და გამოგონებებით, ვიდრე კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერი პერიოდი ახ. წ. XVI ს.-მდე. იმდროინდელმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა საზოგადოების ის ეკონომიკური რეორგანიზაცია, რომელსაც მე „საქალაქო რევოლუციას“ ვუწოდებ“ (ვ. გორდონ ჩაილდი, „რა მოხდა ისტორიაში“).

ამ მატერიალურ მიღწევათაგან აღსანიშნავია საშენი აგურის დამზადება, სამეთუნეო მორგვის, ბორბლიანი ტრანსპორტისა და იალქნიანი ხომალდის გამოგონება; შინაური ცხოველების უღელში შებმა და მათი გამოყენება გამწვევ ძალად და გადაადგილების საშუალებად. მაგრამ უველაზე მნიშვნელოვანი სპილენძისა და ბრინჯაოს დამუშავება იყო. ამ აღმოჩენამდე როგორც შრომის, ისე საომარ იარაღს ადამიანი ძირითადად ქვისაგან ამზადებდა. სწორედ აქედან მომდინარეობს უველასათვის კარგად ნაცნობი, მოსახერხებელი ტერმინები — „ძველი ქვის ხანა“ (პალეოლითი) და „ახალი ქვის ხანა“ (ნეოლითი). წინა აზიის პრეისტორიულ დასახლებებში გვხვდება კაჟისაგან დამზადებული დანები და შუბის ბუნიკები, ქვის

ცვლები და ა. შ. ქვის საომარ იარაღს იყენებდნენ სანადიროდ, საბრძოლველად, ცხოველის ხორცისა და ტყავის დასაქედებლად. ქვისგან ნაკეთ სამუშაო იარაღს მიწის დასამუშავებლად ხმარობდნენ, ხოლო ძვლის ნამკვდებს, რომლებშიც კაჟის კბილებს ამარტობდნენ, მარცვლეულის სამკაულად.¹

ლითონთა თვისებების აღმოჩენის შემდეგ ქვის იარაღებს კიდევ ათასწლეულთა მანძილზე ხმარობდნენ. მსოფლიოს ზოგიერთ ადგილას მათ ფაქტიურად დღესაც იყენებენ. მაგრამ რომელიმე პერიოდში, ძვ. წ. 4000-სა და 3000 წლებს შუა ადამიანმა შეიტყო, რომ მადნიდან შეიძლებოდა სპილენძის გამოყოფა. ვახურებით მისი დადნობა, შემდეგ ყალიბებში ჩამოსხმა და გამყარების მერე ისე დამუშავება, რომ მისი მკრელი პირი კაფიციტ მაგარი ყოფილიყო; ანდა შეიძლებოდა მისი ბრტყელ ფურცლებად გამოქედავა, გალუნვა და ფორმის მიცემა. კიდევ მეტიც, სპილენძისა და თუთიის შედნობით მიღებულ იქნა უფრო მაგარი ლითონი, ჩვენ რომ ბრინჯაოს ვეძახით.

ასეთი სამუშაო იარაღისა და საკურვლის მქონე ადამიანები თანდათან გაბატონდნენ ბუნებაზე, საომარ საქმეში კი უპირატესობა მოიპოვეს იმ ხალხებთან შედარებით, რომლებიც მათსავით არ იყვნენ აღჭურვილნი.

ჩვენ არ ვიცით, ვინ აღმოაჩინა სპილენძის თვისებები, ან ვინ განავითარა ლითონის მოპოვების, დნობის, ყალიბებში ჩამოსხმისა და სხვა ტექნოლოგია, რომელიც საჭირო იყო სპილენძისაგან საომარი და სამუშაო იარაღების წარმოებისათვის, მაგრამ ვიცით ის, რომ ძვ. წ. 3000 წლის წინარე პერიოდში ეს ტექნოლოგია ვრცელდებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადაჭიმულ სივრცეზე ეგეოსის ზღვასა და თურქესტანს შორის, ხოლო ათასი წლის შემდეგ ბრიტანეთსა და ჩინეთში შეაღწია. მაგრამ გარდა დასახელებული ადგილებისა და კიდევ ორი იზოლირებული ადგილისა პერუსა და მექსიკაში, გვიან ისტორიულ პერიოდამდე ეს ტექნოლოგია, ჩანს, მსოფლიოში სხვაგან არსად გამოიყენებოდა.

იგივე შეიძლება ითქვას სხვა მიღწევებზედაც: — იალქნიან ხომალდზე, სამეთუნეო მორგვეზე, ბორბლებიან საზიდრებზე; აგრეთვე ცხოველების გამწვევ ძალად გამოყენებაზე. ძვ. წ. 3000 წლის წინარე პერიოდში ეს უველაფერი

¹ ეგვიპტეში I დინასტიაზე ადრინდელი ქვის შრომის იარაღები ნაპოვნი არ არის. ნიადავის სირბილის გამო დინასტიამდელ ეგვიპტეში შრომის იარაღებს ხისაგან ამზადებდნენ.

ცნობილი იყო ზოგიერთ ადგილას ამ ტერიტორიაზე, რომელსაც მე „სამკედლო“ ვუწოდებდა მის აღმოსავლეთით თურქესტანის მთებამდე. — მაგრამ მეტი არსად მთელ მსოფლიოში, რატომ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება ვცადოთ ეგვიპტეში, პალესტინაში, სირიაში, მესოპოტამიასა და სხვა ადგილებში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომუშავე არქეოლოგთა აღმოჩენების შესწავლითა და შედარებით, თუცა ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება.

რომ გავიგოთ, თუ რატომ განვითარდა უადრესი ცივილიზაციები ამ რეგიონებში, საქიროა გადავინაცვლოთ შორეულ წარსულში. იმ დროში, რომელსაც გეოლოგები პოლიცენის პერიოდს უწოდებენ, — ე. ი. უკანასკნელი გამყინვარების ხანის შემდგომ პერიოდში. როცა ჩრდილოეთის ყინულოვანი საფარველი დადნა, ევროპის სტეპები ზომიერი სარტყლის ტყეებად იქცა; უფრო შორს, სამხრეთში ყინულის დადნობით გამოწვეულმა კლიმატურმა ცვლილებებმა ახლო აღმოსავლეთის პრერიები და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთი რეგიონი უდაბნოებად აქცია. სადაც ოაზისებს აქა-იქ თუ შეხვდებოდით.

ამ დრომდე ჩვენი წინაპარი, — პირველყოფილი ადამიანი, — მონადირე იყო. სანამ იგი ნადირობით ირჩენდა თავს, ბინადარი თემების შექმნა არ შეეძლო და ისულებული იყო მთათბარედ დარჩენილიყო. ჩრდილოეთ ევროპაში ასეთმა ვითარებამ დიდხანს გასტანა, ხოლო აქედან მოშორებით, სამხრეთისაკენ, — სახელდობრ ხმელთაშუა ზღვის აუზში და მის აღმოსავლეთითა და სამხრეთით ადამიანებმა (სავარაუდოა ქალებმა) აღმოაჩინეს, რომ თუ მიწას სარეველებსაგან გაწმენდდნენ და საქმელად გამოსადეგი ბალახის თესლს დასთესდნენ, ნანადირევის გარდა საკვებად კიდევ მარცვლეულიც ექნებოდათ, ასე გაჩნდა მიწათმოქმედება.

თავდაპირველად ალბათ „შერეული ეკონომიკა“ უნდა ჰქონოდათ: ნადირობასა და მიწათმოქმედებას ერთდროულად მისდევდნენ. გარდა ამისა, მოსავლის მოყვანა მხოლოდ იქ იყო შესაძლებელი, სადაც არსებობდა ხელსაყრელი პირობები — წყლის მუდმივი მარაგი ნალექების, მდინარისა თუ წყაროს წყლის სახით და მზის ხიბოლ მცენარეების დასამწიფებლად. ხოლო უძველესი დროიდან (შესაძლოა, ძვ. წ. 5000 წელზე ადრე) ასეთი პირობები ჩვენს მიერ აღწერილი ტერიტორიის გარკვეულ ადგილებში შეიქმნა. მაგალითად არქეოლოგებმა ისრაელში, კარმელის მთაზე აღმოაჩინეს გამო-

ქვაბულის ბინადართა კვალი, რომლებიც ნადირობასთან ერთად მარცვლეულის მოყვანასაც მისდევდნენ. ეს ქვას ხანს ადამიანები ეყვანენ; სმარობდნენ კენის დაწმენა და ქვის ცულებს; გარდა ამისა, კენის მატარა სატეხებს ამგვარდნენ ცხოველებს — აქლებში და ნებისა ნამგლებად ამგვარდნენ ადასტურებს „ნამგლის“ გაპრიალებული „პირები“. მაგრამ არ არის ცნობილი, როგორი სახის მარცვლეული მოჰყავდათ, — ველური თუ კულტივირებული.

დასავლეთ აზიის ამ ნაწილში, სადაც ნეოლითის ხანის ადამიანებს მარცვლეული, სორბალი და ქერი მოჰყავდათ, უნდა ყოფილიყვნენ აგრეთვე თხის, ღორის, ცხვრის და მხვიაღვება რქოსანი საქონლის ეარეული წინაპრებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ სანამ მამაკაცები ნადირობდნენ, ქალები მიწას ამუშაებდნენ და, შესაძლოა, გარეული ცხოველებისათვის ბზე და მარცვლეულის ჩენჩოები შეეთავაზებინათ: თანდათანობით ზოგი ცხოველი შეეჩვეოდათ; დროთა განმავლობაში ადამიანი მოიშინაურებდა მათ და გამოიყენებდა არა მხოლოდ საკვებად, არამედ „ცოცხალ საკუქნაოდ“ და „ტანსაცმლის ცოცხალ მარაგადაც“. შემდეგ საფეხური უნდა ყოფილიყო ძროხის, ცხვრისა და თხის მოშინაურება, რათა ადამიანებს მუდმივად ჰქონოდათ მათი რძე და ხელოვნური შერჩევით ხშირმატყლიანი ცხვრის ქიში გამოეყვანათ.

სხვათა შორის, ეს ფაქტები შეიძლება დაგვეხმაროს ეგვიპტის, მესოპოტამიისა და წინაეღონური საზღვრების განვითარებული ცივილიზაციების უკეთ გაგებაში, როცა მოგვიანებით მათზე გვექნება საუბარი. იქ ჩვენ შევხვდებით ცივილიზებულ თემებს, რომელთა შედარებით შეძლებული წევრები ჩვენზე მეტი თუ არა, ჩვენნაირი ფუფუნებით მაინც სარგებლობდნენ; ჰქონდათ მყუდრო, კარგად მოწყობილი სახლები. კარგი გზები: სახმელ-საქმელის ფართო არჩევანი; შესანიშნავი ტანსაცმლისა და სამკაულის; დახვეწილი გართობა-თამაშობები; საუცხოო მიღწევები ნატიფ ხელოვნებაში. და მაინც, ეს ხალხები — ეგვიპტელები, შუმერები, ბაბილონელები, მიკენელები — თავიანთ სიმდიდრეს მარცვლეულს, ზეთისა და ღვინის მარაგითა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ჯოგებით იოვლადნენ. — ამას ძნელად თუ წარმოიდგენენ სამრეწველო ცივილიზაციის შემკვიდრენი, რომლებისთვისაც სიმდიდრე ქარხნები, ნავთობის ჭები და მალაროებია. ამის გაგება უფრო გაგვიადვილდება, თუ გავიხსენებთ, რა ხდებოდა არა ამ ცივილიზაციათა შემდეგ, არამედ მანამდე. მიუხედავად იმისა, რომ ფარაონი მთელ ეგვიპტეს განაგებდა მეშვიხის

დიდებული სასახლიდან და მისი კიდევ უფრო დიდებული პირამიდა ამაყად გადაჰყურებდა უდაბნოს, იგი მაინც ისევე იყო დამოკიდებული თავისი მოსავლის სიუხვესა და ჯოგების სიმრავლეზე, როგორც მასი პირველყოფილი წინაპრები — ნილოსის პირას ღერწმითა და აღიზით აგებულ ქოხებში რომ ცხოვრობდნენ, ამიტომაც თავისი უზარმაზარი სამარხის ხათავსოებს იგი ხანოვავის შესანახი აურაცხელი ქურქლეულით ავსებდა.

თვით ძვირფასი თვლებით მოოქვილი ოქროს გვირგვინიც, რომელსაც ეგვიპტის დედოფალი ოსტატურად დაკულულებულ პარიკზე იდგამდა, შორეული გამოძახილია იმ უბრალო ნაქრის თავსაქრავისა, გლეხის ქალები უანის მკისას რომ ხმარობდნენ თმის დასამაგრებლად.

მაგრამ დინასტიურ ეგვიპტეშივე ჯერ კიდევ შორია. ამ პერიოდში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, — დაახ. ძვ. წ. 4000 წელს, — ჯერ არ არსებობდა ქალაქები, არც ხალხი ცხოვრობდა დიდ ჯგუფებად, რომლებიც მმართველობის ერთიანი სისტემით იქნებოდა გაერთიანებული. მაგრამ შუა აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში, არსებობდა ისეთი თემები, რომელთა წევრები თაობათა მანძილზე ცხოვრობდნენ ერთსა და იმავე ადგილას. სირიასა და ერაყში მგზავრობისას ხშირად შეხვდებით უზარმაზარ ბორცვებს, ე. წ. „თელებს“¹ აქ ათასწლოებით სახლობდა ხალხი, როცა თიხატკეპნილი (დატკეპნილი თიხით ნაგები), შემდგომ კი აღიზით აშენებული შენობები დაინგრეოდა ან დაანგრევდნენ, ახალ შენობებს მათ ადგილას აღმართავდნენ ხოლმე. ასე რომ, ბორცვი თაობიდან თაობამდე იზრდებოდა, დღეს ან ბორცვზე გაშენებული სოფელი უკანასკნელია იმ რიგიდან, რომლის პირველი დასახლება შეიძლება დამწერლობის წარმოშობამდე ორი ათასი წლით ადრე არსებობდა.

არქეოლოგებმა ამ ბორცვების გათხრისას ნახეს, რომ ე. წ. „ისტორიული პორიზონტი“, ანუ ის დონე, რომელზეც ნაპოვნი განათხარი მასალა დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლით თარიღდება, ხშირად საკმაოდ მაღლა მდებარეობს. შესაბამისად თარიღდება უფრო ზედა დონეებზე ნაპოვნი მასალაც და ამგვარად, არქეოლოგებს საშუალება ეძლევათ გამოიანგარიშონ საუკუნე-

თა განმავლობაში ბორცვის ზრდის საშუალო სიდიდე. ამით კი იქმნება შესაძლებლობა გამოვითვალოთ უველაზე ქვედა სოფლის არსებობის მიახლოებითი თარიღი, იგი ზოგჯერ ძვ. წ. 4500 წელზე ადრინდელი უნდა იყოს ხოლმე.

განვითარების ხელშეწყობა

კაცობრიობა იჭლებული რომ უფრო სულ მუდამ ამ პატარა ეკონომიკურად დამოუკიდებელ თემებად ეცხოვრა და იმდენი პროდუქცია ეწარმოებინა, რამდენიც მხოლოდ თემის წევრების გამოსაკვებად კმაროდა, ძველი მსოფლიოს უდიდესი ცივილიზაციები არ აღმოცენდებოდა. ეს ცივილიზაციები იმიტომ აღმოცენდა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში გარკვეულ ტერიტორიაზე გარემოებათა ერთობლიობამ ადამიანებს საშუალება მისცა უფრო დიდ სოციალურ ერთეულებად გაერთიანებულიყვნენ. ერთობლივი შრომით და ცოდნის, უნარის თუ მასალათა შეერთებით მათ შეძლეს კიდევ უფრო მეტად დაემორჩილებინათ ბუნება, დაეგროვებინათ სიმდიდრე, დაეცვათ თავი მტრებისაგან და ხანგრძლივად შქონოდათ მეტ-ნაკლებად მშვიდობიანი ცხოვრება.

ამ ერთობლივი შრომის შედეგებმა ადამიანს შეაძლებინა მეცნიერებასა და ტექნიკაში, ხელოვნებასა თუ პოლიტიკაში უფრო დიდი მატერიალური პროგრესისათვის მიუღწია შემდგომი ორი ათასწლეულის მანძილზე, ვიდრე წინასა ათასწლეულის განმავლობაში.

ამ განვითარების ხელშეწყობ ფაქტორებს შორის ზემოთაღწერილი გამოგონებები და აღმოჩენებიც იყო, მაგრამ „საქალაქო რევოლუცია“ მხოლოდ მათ არ გამოუწვევიათ. „საქალაქო რევოლუცია“ მოხდა იმიტომ, რომ სამ ადგილას დედამიწის ზედაპირზე ერთმანეთს დაემთხვა ისეთი პირობები, რომლებმაც უბიძგეს ნეოლითის ხანის ადამიანს — იმ დროს უკვე რველყოფილ მიწათმოქმედსა და მესაქონლეს. — ხალხმრავალი დასახლებები შეექმნა დიდ, მაგრამ გარკვევით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, ორი მათგანი — ნილოსის ველი და ტიგრისისა და ევფრატის ველები — „სამკედლოს“ შიგნით მდებარეობს, ხოლო მესამე, — ინდის ველი, — მის აღმოსავლეთით.

ავტორიტეტული სპეციალისტები სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ამ ტერიტორიების გეოგრაფიულმა და კლიმატურმა პირობებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ცივილიზაციის განვითარების საქმეში; მაგრამ არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ მხოლოდ ეს იყო საკმარისი, ცივილიზაციის წარმოშობის ახსნა არც ასე ადვილია. ნილოსისა და ტიგრ-

¹ „თელი“ არის ხელოვნურად შექმნილი ბორცვი შუა აღმოსავლეთში და სხვ., რომელიც წარმოიშვა უძველესი დასახლებების ნაშთების დაგროვებით (მომდინარეობს არაბ, „თაღლ“-იდან — ბორცვი, მთარგმნელის შენიშვნა).

ოს-ევფრატის ველებში უზრუნველყვეს მუდმივი დასახლებისათვის ხელშემწყობი პირობები: დიდი მდინარის ყოველწლიურ აღიდებას მათთვის ძღვენივით მოჰქონდა ნოყიერი შლამი, რომელზეც მარცვლეული მზამზარეულად იზრდებოდა; უხვი იყო ნანადირევიც — ძუძუმწოვარა გარეული ცხოველები და ფრინველები, ხოლო ირგვლივ გადაჭიმული მკაცრი უკიდგანო უდაბნოები მტრებისათვის გადაულახავ დაბრკოლებებს ქმნიდა. ალბათ ასევე მნიშვნელოვანი იყო ნათელი უღრუბლო ცა, რომელიც ადამიანებს ვარსკვლავთა მოძრაობაზე დაკვირვების და ამგვარად დროის გაზომვის საშუალებას აძლევდა. ასეთმა პირობებმა შეამზადეს ნიადაგი, რომელშიც ტექნიკურ აღმოჩენათა და გამოგონებათა თესლის ჩათესვის შედეგად შეიძლებაოდა აღმოცენებულიყო ცივილიზაცია.

ამ წიგნის ძირითადი ამბის თხრობა შემდეგი თავიდან იწყება. მაგრამ ვიდრე ფარდა აიხდება და ვიხილავთ კაცობრიობის ორ უძველეს ცივილიზაციას — ეგვიპტურსა და შუმერულს, მოდით თვალი შევავლოთ სცენის გამართვის პროცესს. იქ რაც ხდება, მხოლოდ ბუნდოვნად შეიძლება დავინახოთ, რადგან არქეოლოგიური მონაცემები ნათელი სურათის შესაქმნელად არ არის საკმარისი. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერებს განსხვავებული აზრი აქვთ მის შესახებ. მე მეგზურად პროფესორი ჩაილდი ავირჩიე, რადგან მისი თეორია ლოგიკურად და მისაღებად მიმაჩნია.

დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლის წინარე პერიოდში მრავლად გვხვდება დიდ ხივრცეზე გაფანტული შედარებით მცირე, ეკონომიკურად დამოუკიდებელი თემები. ბევრ მათგანში იციან მეთუნის, მებორბლისა და მჭედლის ხელობა, ამ თემების მცხოვრებლები სასაპალნე ცხოველებსაც იყენებენ — სახედრებს და ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ცხენებსაც — საზიდრებში შესაბამელად, ხარკამებს კი პრიმიტიული გუთნის გასაწევად. ამასთანავე, მათი ქალები ძაფს ართავენ და ქსოვენ. ასეთი ცხოვრების წესი ძვ. წ. 3000 წლის შემდგომ პერიოდშიც ბევრ საზოგადოებას შემორჩა. მაგრამ ორ ზემოთაღნიშნულ რეგიონში ადამიანები იწყებენ გაერთიანებას უფრო დიდ სოციალურ ერთეულებად, რომლებშიც შედიან არა მარტო მიწათმოქმედები და მესაქონლეები, არამედ სხვადასხვა ჯურის ხელოსნებიც: კალატოზები, მჭედლები, ხუროები, ხომალდების მშენებლები, მებორბლეები. კიდევ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ახალი ხელობის მცოდნეთა კლასის წარმოშობა, რომლებიც „არც მძიმე

წრომას ეწევიან და არც ართავენ“. ეხენი მწერლები არიან. ადამიანები, რომლებიც დაეუფლნენ მომავალში უკეთეს სხვაზე მეტად გამოსადეგი გამოგონების წერიის ახალ და რთულ ხელოვნებებს.

როგორ და რატომ შექმნიდა სხვახეული, რთული გადასვლა? ჩაილდი ფიქრობს, რომ ამას არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ტექნიკის განვითარებამ იმ ცხოველმყოფელი ათასწლეულის განმავლობაში, რომელიც წინ უსწრებს ძვ. წ. 3000 წელს, მოსახლეობის ზრდა გამოიწვია, ამას ადასტურებს გარკვეული „კულტურების“ გავრცელება ერაზმისა და აზიის ვრცელ ტერიტორიებზე. მაგრამ იმ მარტივ, ეკონომიკურად დამოუკიდებელ ნეოლითის დროინდელ თემებს ის გასაკვირი ადგათ, რომ მათ მხოლოდ გარკვეულ ზღვრამდე შეეძლოთ გაფართოება. თუ თემის წევრების რიცხვი რაღაც რაოდენობას გადააჭარბებდა, საკვების მარაგი და ნედლეული აღარ ეყოფათ და ჯარბ მოსახლეობას ერთადერთი გამოსავალი ისღა დარჩებოდა, რომ აყრილიყო, როგორმე სხვაგან მოეძებნა თავისუფალი ხაძოვრები და სათესი მიწები და ახალშენი დაეარსებინა. მაგრამ ვარჯისი მიწების რაოდენობა, სადაც ხელსაყრელი პირობები იქნებოდა, — მაგალითად, წყლის საკმაო მარაგი, — განუსაზღვრელი არ იყო და ხანდახან მიწის მფლობელთა და მიწის ხელში ჩაგდების მსურველთა შორის ბრძოლა ჩაღებოდა ხოლმე. იმ არაპირდაპირ შედეგთა შორის, რომლებიც მოსახლეობის იწულებით ხეტიალს მოჰყვა, არქეოლოგები ორს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას: (1) ამ მოვლენამ კულტურათა გავრცელება გამოიწვია — დამპყრობელ ტომს თან მოჰქონდა ისეთ ხელობათა და ოსტატობათა ცოდნა, რომელსაც დაპყრობილნი არ იცნობდნენ; (2) უკიდურესად მნიშვნელოვანი გახდა კაცის საკლავი იარაღი. ჩაილდი ამას საინტერესოდ ხსნის: იგი აღნიშნავს, რომ მას შემდეგაც კი, რაც სპილენძის დამუშავების საიდუმლოება იქნა აღმოჩენილი, მესოპოტამიის ხალხები ერთი ხანობა სპილენძს სრულიად არ იყენებდნენ. ჩაილდის ღრმა რწმენით, მათ სპილენძის გამოყენება მაშინ დაიწყეს, როცა მიხვდნენ, რომ სპილენძისაგან უფრო საიშედო და გამძლე საჭურველი გამოდიოდა, იგი აღნიშნავს, რომ ყველა ადრეულ სამარხში ნაპოვნი სპილენძის უძველესი ნივთები, როგორც მოსალოდნელი იყო, სამუშაო იარაღები კი არ გამოდგა, არამედ საბრძოლველი.

მაგრამ თუნდაც მოხეტიალე ტომს დასახლებლად ხელსაყრელი თავისუფალი ადგილისათვის მიეგნო ან დაკავებული მიწა ბრძო-

ლით ჩაეგდო ხელში, მაინც გარდაუვლად დადგებოდა დრო, როცა კვლავ იგივე ამბავი განმეორდებოდა. რადგან მოცემულ ადგილსაც მხოლოდ ხალხის განსაზღვრული რაოდენობის უზრუნველყოფა შეეძლო. მოსახლეობის ზრდასთან ერთად მათ ისევ ახალი საცხოვრებელი ადგილი უნდა მოეძებნათ ან დაღუპულიყვნენ. და ისევ, მცირე ერთეულის უნარი, — როგორც უზრუნველყოფის თავისი თავი, — მისი ავბედობის მიზეზიც ხდებოდა. ხანოვაცის მომარაგება კი შეიძლებოდა, მაგრამ მცირე რაოდენობით: ხანგრძლივ გვალვას, წყალდიდობას ან სხვა სტიქიურ უბედურებას შეეძლო მათი სრული განადგურება გამოეწვია. ამის ცნობილი მაგალითია იოსების ძმების ბიბლიური ამბავი, როცა მათ ქვეყანაში შიმშილის საშიშროება შეიქმნა. ისინი იძულებული გახდნენ ჰურის საყიდლად ეგვიპტეში წასულიყვნენ. აფრიკის, აზიისა და ლათინური ამერიკის მრავალ ადგილას დღესაც ასეთივე მდგომარეობაა.

ადამიანის ეს საშინელი უმწეობა ბუნების წინაშე რელიგიების წარმოშობის მთავარ საფუძვლად იქცა, რელიგიებისა, რომლებიც ასე თვალსაჩინო როლს ასრულებენ ცივილიზაციის ისტორიაში. რელიგიაზე ყურადღების გამახვილება არცერთი თვალსაზრისით არ იქნება გადაპარზებული, იმდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ძველი მსოფლიოსათვის. თუ არ შევეცდებით ჩავწვდეთ ადრეული ცივილიზაციების რელიგიებს, და რაც მთავარია, მათ საწყისებს, ამ ხალხებს ვერაზოდეს გავუგებთ. ჩვენთვის კი სწორედ ეს არის უველაზე ძნელი ორი მიზეზის გამო: ჯერ ერთი ის, რომ ღმერთები და მათდამი მორწმუნეთა დამოკიდებულება სრულიად განსხვავებულია ღმერთის ჩვენთვის კონცეფციისაგან, და, მეორეც ის, რომ დახვეწილ აზროვნებაში გამოწაფულ ჩვენს დასავლურ სამყაროში რელიგია უფრო და უფრო გამოეყო ყოველდღიურ ცხოვრებას და წარმოებასთან სრულიად აღარაფერი აქვს ხერხთო. მაგალითად, ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომ „ბეთლემის ფოლადის კორპორაციის“ დირექტორს თავის ქარხანაში შეიძლება აღმართული ჰქონდეს ფოლადისაგან გაკეთებული ღვთის ქანდაკება და კანტორაში შესვლამდე მსხვერპლს სწირავდეს მას. ეგვიპტელ და შუმერ ტექნოლოგებს, სპილენძის მჭედლებსა და ბრინჯაოს ოსტატებს კი ეს ამბავი სულაც არ ეუცხოებოდათ. ეს მათთვის რასაკვირველია, ბუნებრივად იქნებოდა და აუცილებელიც.

ასევე ძნელი გასაგებია თანამედროვე ადამიანის გონებისათვის, თუ რატომ ეთაყვანებოდნენ ძველი მსოფლიოს ხალხები ცხოველებს,

ან თუნდაც, ცხოველური ატრიბუტების მქონე ღვთაებებს — ხენმეტს — ქალის ტანისა და ძუ ლომის თავიან ქალღმერთს, ნიანგის ტანის სობეკს, ამონს — ეგვიპტის უველა ღვთაებათა მეუფეს, რომელიც ზოგჯერ ვერძის თავით „მოველინებოდა“ ხოლმე ადამიანებს. თუ შეებას მომცემთ, რომ ჩემი ერთ-ერთი წიგნიდან მოკლე ციტატა მოვიყვანო, ამისი ახსნა ასე შეიძლება:

„ვიდრე მეცნიერება შეისწავლიდა მცენარეთა და ცხოველთა სიცოცხლის მექანიზმს და ვიდრე ადამიანი დაადგენდა, რომ ცხოველები, ქვეწარმავლები და ფრინველები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომი, მაგრამ მაინც მისი მონათესავე სახეობანი არიან, მანამდე იგი მათ მხოლოდ საკუთარ თავთან მიმართებაში განიხილავდა; ადამიანს თან ცნობისმოყვარეობას და თან რაღაც იდუმალ შიშს აღუძრავდა ის ფაქტი, რომ ისინი ასე განსხვავდებოდნენ მისგან და ამავე დროს, ფლობდნენ ისეთ ძალასა და უნარს, რომლებიც თვითონ არ გააჩნდა. ჩიტს ფრენის ნიჭი ჰქონდა, ლომს — უზარმაზარი ძალა, ნიანგს — მდინარეში გაუურსვისა და უბის ერთი დატკაცუნებით ადამიანისათვის ფეხის მოქმის უნარი, გველს — იდუმალი, ჩუმი და ამოუცნობი ცხოვრება, ეპირს (იბისს) კი იმ ბრძენის გამომეტყველება, საკუთარ ღირსებაში რომ არის დარწმუნებული. იმ შორეულ დროს ადამიანი ცხოველებს არ იქებდა და შესწავლისა და დაკვირვების მიზნით ზოოპარკებში არ ამწყვდევდა. იგი მათ პატივს სცემდა და ეთაყვანებოდა, რადგან ისინი ადამიანისათვის მიუწვდომელ ძალებს ფლობდნენ, ამიტომაც, ხანი რომ გამოხდა, ცაში მოსაფარდე შევარდენი ხელმწიფური ღირსების სიმბოლოდ იქცა, ნიანგი — ჯოჯობეთის ურჩხულად. რომელიც დამნაშავეთა სულებს შთანთქავდა; ეპირი გადაიქცა თოთად — სიბრძნის (და დამწერლობის) ღმერთად, ლომი კი, ისევე როგორც სფინქსი, მეფურ სიდიადეს განაბასიერებდა“ (ლ. კოტრელი, „ცხოვრება ფარაონთა მმართველობისას“).

ჩემის რწმენით, რელიგია ნაწილობრივ მაგიადან აღმოცენდა; მაგიაში ვგულისხმობთ არა უბრალოდ შუა საუკუნეების ჯადოქართა და მათი თანამედროვე მიმბაძველების გრძელულებას, არამედ რაღაც უფრო სიღრმისეულს. ნეოლითის ხანის აზიური თემების მცხოვრებნი, ისევე როგორც პალეოლითის დროინდელი მათი წინაპრები — მოხეტიალე მონადირეები — მუდმივად გრძნობდნენ, რომ მათ გარეშე არსებობდა რაღაც ძალები, რომელთა მართვის უნარი მათ სრულიად არ შესწევდათ, — ქარები და ზღვის მოქცევები, წვიმები, წყალდი-

დობები და გვალვები, მიწის ნაკოფიერება. მსოფლიოს მიერუბულ კუთხეებში ჯერ კიდევ არსებობენ ისეთი რასები, რომლებიც ქვის ხანის არ გასცილებიან, — მაგალითად, აფრიკელი ბუშმენები და ავსტრალიელი აბორიგენები. მათი შესწავლას ანთროპოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ ისინი ამ უხილავ და დაუპირჩილებელ ძალებს ადამიანურ ძალებად მიაჩნევენ. თუ არქეოლოგიურ მონაცემებს გავითვალისწინებთ, ექვს გარეშეა, რომ ძვ. წ. 4000—3000 წლებში სტოვრები ხალხებიც მათსავით ფაქრობდნენ. როცა თქვენზე ბევრად უფრო ძლიერ ადამიანთან გიხდებათ ურთიერთობა და იმედი არა გაქვთ, რომ მას მოერევით, ძალაუნებურად იფაქრებთ, იქნებ ხატუქრებით მოვულობ გული და ამით ავირიდო მისი რისხვაო, გაცილებით უფრო ძნელია ქალის თავება, ჯიუტი, მოულოდნელი საქციელის განკვერტა და თქვენკენ შემობრუნება. თუკი ბედი გაგიღიმებთ, მის მბარდაქერას ხვეწნა-ვედრებით (ლოცვა), ხატუქრებით (შეწირულება) ან მამებლობით (თაყვანისცემა) ნოიპოვებთ. საყურადღებოა, რომ ღვთაებათა შორის უველაზე ადრინდელი მდებრობითი ღვთაებანი ჩანან. განა მართლაც ბუნებრივი არ არის, რომ ადამიანს თვით მიწაც მდებრად წარმოედგინა. — ისიც ხომ ქალივით სიცოცხლეს აძლევს დასაბამს! ანდა ეფიქრა, რომ მამრი ღმერთი ქექა-ქუხილის ღრუბელში ცხოვრობდა ან მზის ხან ცხოველმყოფელ და ხან დამლუპველ მცხუნვარებაში ვლინდებოდა? ესენი უმოაგრესი ღვთაებანი იყვნენ, სხვა სულები კი ყოველ ქალასა თუ ნაკადულში, წამოშვერილ კლდეა თუ უზარმაზარ ხეში განაბულიყვნენ. ამასთან დაკავშირებით პროფ. ფრანკფორტი წერს:

„ამით მართლდება კროლის გამონათქვამი: „პირველყოფილი ადამიანისთვის არსებობს აზროვნების მხოლოდ ერთი ხანობა, გამოსახვის მხოლოდ ერთი ხანობა, მეტყველების მხოლოდ ერთი ხანობა — პერსონიფიცირებული“. ეს იმას არ ნიშნავს (როგორც ხშირად ჰგონიათ), რითქოს პირველყოფილი ადამიანი ბუნების მოვლენების ასახსნელად უსულო სამყაროს ადამიანურ თვისებებს მიაწერდეს. პირველყოფილი ადამიანი უბრალოდ არ იცნობს უსულო სამყაროს.

ამის გამო იგი არც უსულო მოვლენებს „ასულიერებს“ და არც ცარიელ სამყაროს ავსებს მცვალებულთა სულებით, როგორც „ანიმიზმის“ თეორია გვარწმუნებს; პირველყოფილ ადამიანს სამყარო უსულოდ ან ცარიელად კი არ წარმოუდგება, არამედ მჩქეფარვ სიცოცხლით სავსედ; სიცოცხლეს კი თავისი ფორმა აქვს

ადამიანში, ცხოველსა თუ მცენარეში და უველა იმ მოვლენებში, რომლის პირისპირ შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი: იქნება ეს მზის გავარდნა თუ უეცარი თავსაბა, შუაგულ ტყეში მოულოდნელად მოშიშვლებული მინდორის გამოჩენა, თუ ქვა, რომელსაც ფეხს წაშლია, რაღაც ნადირობისას და დაშავდება. მუხისმიერი მოვლენა ნებისმიერ დროს შეიძლება შეხვდეს პირველყოფილ ადამიანს არა როგორც უსულო „ობი“ არამედ როგორც „შენ“ (კურსივი ჩემია, ლ. კ.) — (უ. ფრანკფორტი, „ფილოსოფიაში“).

მაგრამ ამ უხილავ ძალებთან, რომლებსაც ჩვენ „ბუნების ძალებს“ ვუწოდებთ, ხოლო პირველყოფილი ადამიანი პიროვნულ ძალებად მიაჩნევდა, თანდათან სხვანაირი დამოკიდებულება დამყარდა, — ადამიანი დაინტერესდა მათი მოქმედების მექანიზმით. ადამიანური არსების ერთი მხარე, — გონიერი, მოაზროვნე ელემენტი, — შეისწავლის მატერიის თვისებებს, ატარებს ცდებს, აკვირდება, გამოაქვს დასკვნები, შემდეგ კი ამ ცოდნას პრაქტიკული მიზნებისათვის იყენებს. სწორედ ამ დაკვირვებისა და განსჯის პროცესში ისწავლეს მამაკაცებმა ცეცხლის გაჩენა და გამოყენება, სპილენძის გამოდნობა; გამოიგონეს ბორბალი და იალქანი. „მამაკაცებმა“-მეთქი. ვამბობ, თორემ, შეიძლება ქალებმა აღმოაჩინეს პირველად, რომ ზოგიერთი ცხოველის მატყლისაგან ძაფის დართვა და მერე ქსოვილის მოქსოვა შეიძლებოდა; შეიძლება სწორედ ქალს მოეფიქრებინა და მოეშინაურებინა გარეუფი ცხოველები, რომლებიც ოაზისების გარშემო გროვდებოდნენ, მაშინ როცა მამაკაცებს მხოლოდ მათზე ნადირობა მოსდიოდათ აზრად.

მაგრამ ადამიანში არსებობს მეორე ელემენტიც. — უფრო ძლიერი, ემოციური, ირაციონალური, — რომელშიც შიში და გაოცება სკარბობს, ეს ჩადოქრების, ექიმბაშებისა და შამანების სამყაროა. ისინი ყოველთვის მატყუარები და შარლატანები როდი არიან, თუმცა მათ შორის ბევრი ასეთიც ურევია. უჩვეულო ძალების მქონე ქალები თუ მამაკაცები დახვეწილ და მაღალგანვითარებულ საზოგადოებებშიც კი გვხვდებიან. მეცხრამეტე საუკუნის რაციონალისტებს ეს სასაცილოდაც არ მქონდათ, მაგრამ მეოცე საუკუნე ვეღარ არის ასეთი კატეგორიული. მეცნიერული ცდებით დამტკიცდა, რომ ექსტრასენსური აღქმა ნამდვილად არსებობს, ჯ. უ. დანმა კი ბევრი დააეჭვა ფიზიკური დროის არსებობაში. ჩვენ მინცდადამინც არ გვეხალისება ხოლმე იმის აღიარება, რომ ზოგ ისეთ მოვლენას ვაწყდებით, რომლის ახსნა ბუნების კანონებით დღესდღეობით შეუძლებელია. ჩვენთვის ალბათ უფ-

რო ადვილია იმ ძალისა და გავლენას შესახებ ვილაპარაკოთ, რომლითაც პარველყოფილ საზოგადოებას იმორჩილებდნენ ის ადამიანები, ზებუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულნი რომ ჩანდნენ.

ამ წიგნის ავტორისათვის სთელია, რომ იმ საზოგადოებაში, რომელშიც შიში და უმეცრება ბატონობდა, საზოგადოებაში, რომელშიც არ არსებობდა არავითარი წარმოდგენა „ზუნებრივი მიზეზების“ შესახებ, ასეთი ძალების მქონე ადამიანები დღევანდელთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი ავტორიტეტით ისარგებლებდნენ. ბევრ მათგანს ალბათ მაღალი ინტელექტი ჰქონდა; ფაქტიურად, ეს ალბათ ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც შეიძინეს გარკვეული ცოდნა, ფლობდნენ რაღაც ტექნიკასა და ოსტატობას. მათი დახელოვნებულობა კი ხალხის უმეცარ მასებს ჩადოქრობად გრძენდობდა ქანის წარმოსადგენად საკმარისია ნახოთ, თუ რა ეფექტს იწვევს უბრალო ასანთის ანთება თანამედროვე ველურის წინაშე). ამ პირობებში კი სულ ადვილი იყო თვითონაც დარწმუნებულიყვნენ და სხვებიც დაერწმუნებინათ, რომ გააჩნდათ ბუნებაზე ზემოქმედების უნარი (მონიჭებული ბუნების გამგებელი ღმერთებისაგან), რაც თავისთავად სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. ძალა ძლიერი ნარკოტიკია.

რასაკვირველია, სწორედ ასეთი ადამიანები გახდებოდნენ ქურუმები — წმინდა საილუმოებათა მცველები, შუამდგომლები ღმერთებსა და ადამიანებს შორის.

არსებობდა ალბათ ღმერთის სახელი თუ სალოცავი, რომელშიც მხოლოდ ქურუმებს ჰქონდათ შესვლის უფლება. წინა აზრის „თელეების“ ყველაზე ქვედა შრეებშიც კი ვახდებდა ნაშთები სხვებთან შედარებით უფრო დიდი ნაგებობებისა, რომლებიც, ჩანს, ამ მიზანს ემსახურებოდნენ. მაგალითად, გავრამში (ერაყი), როცა ეს სალოცავები — როგორც ჩანს, ესენი სწორედ სალოცავები იყო, — დინგროდა, წათ კვლავ ძველ ადგილას აღმართავენ ბოლქე, მაშინაც კი, როცა მიწა ახალი მფლობელების ხელში გადადიოდა, რელიგიურ-მაგიური ტრადიციები მკაცრი იყო: გარკვეული ადგილები წმინდა ადგილებად შეირაცხებოდა.

ეს ჩადოსანი ქურუმები, მათი დღევანდელი ორეულებისა არ იყოს, აცხადებდნენ, რომ გააჩნდათ ძალა შელოცვებითა და რიტუალებით მოვლენათა წარმართვისა, თუ ნებას მომცემთ, საკუთარ მოგონებას შემოგთავაზებთ: 1919 წელს ჩემი თვალით ვუხურე, თუ როგორ ასრულებდა აფრიკელი ჯარა-ექიმი რიტუალს, რომელიც მიზნად ისახავდა ორი მოწინააღმდეგე ტომის შერიგებას და მათ შორის მშვი-

დობიანი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. ეს ამბავი კენიის შთის კალთაზე მოხდა, ერთი მათგანი ნეგროიდული კოლონიის იყო. მეორე კი სახელგანთ მეომართა — მასაელთა ქაშიტურის ტომი, — და, მასხადამე, ძველ ეგვიპტელთა მონათესავე, ეგვიპტელების მოქნილი და მშვენიერი, ვლუვქანის მასაელთა მეომრები შებებით ბელში განაბულიყვნენ და შეჰყურებდნენ, თუ როგორ დაბრილიყო ას წელს მიღწეული გამხმარი კოკუიუ ცეცხლზე და სის რკალში აქეთ-იქით ამოძრავებდა ჯოხს. შე და ჩენი თეთრკანიანი თანამგზავრები მოგვაჩადოვა სინბოლიზმის ამ ფროიდისეულმა ნიშნებმა. ტომთა შერიგება გამოიხატებოდა მოქმედებით, რომელიც სქესთა კავშირს განახლებდებოდა, მაგრამ არისტოკრატიული გარეგნობის მქონე მასაელებისა და სქელტურთა, ცხვირგაბრტყელებული კოკუიუებისათვის ეს იყო უწმინდესი რიტუალი. მათ სჯეროდათ, რომ ამ დაკორძეულ სხეულში ჩადებულ ძალას მათი ცხოვრების გარდაქმნა შეეძლო. მასსოვს, მაშინ გავიფაქრე; რომ ასეთი ვითარების შემსწრე კაცა უფრო ახლოა ძველა მსოფლიოს სულთან, ვიდრე კარნაკის დიად ტაძარში, რომელიც მოქმედებდა თავის ოდინდელ პატრონს.

ქურუმებზე უკვე საკმარისად ვილაპარაკეთ... არსებობდა ძალაუფლების მოპოვების კიდევ სხვა გზაც — ბრძოლაში სინამდვილის გამოჩენა. მაწინათეს ტომთა შორის ბრძოლებში ზოგი საშაკაცო წინამძღოლობის უნარითა და ვაუკაცობით გამოირჩეოდა. ეს ბუნებრივი წინამძღოლები შენდგომში ბელადები და ნოაერები ჯდებოდნენ. ზოგიერთ საზოგადოებაში მათი ვაყები მათგან უკვე მემკვიდრეობით ღებულობდნენ ძალაუფლებას ან ძალით ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას. მაგრამ აქ ერთ შეუთანხმებლობას ვაწყდებით: მეფისა და უმაღლესი ქურუმის უფუნქციები ზოგ საზოგადოებაში ერთმანეთს ერწყმოდა. ზოგში კი ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო.

არსებობს ამის ბევრი ისტორიული მაგალითი. აი ერთ-ერთი მათგანი: „ძველ აღთქმაში“ გარკვევით ჩანს, რომ იუდეველთა ზოგ მეფესა და წინახწარმეტყველს შორის აშკარა მეტოქეობა იყო. ეგვიპტეშიც ფარაონი და ქურუმები სშირად ერთმანეთს ეცილებოდნენ ძალაუფლებას და დროდადრო უმაღლესი ქურუმი თვითონვე

1 ვნათა ჯგუფი, რომლის დასახელებაც მომდინარეობს ბიბლიურ ძველ ქაშიდან (ნოეს ერთ-ერთ ვაჟს ერქვა). ამ ჯგუფს მიეკუთვნება ძვ. ეგვიპტურა, ბერბერებისა და ყუშატების ენები (მთარგმნ. წენიშენა).

ხდებოდა ფარაონი. მაგრამ ამ სფეროში საზღვრები უოველთვის მკვეთრად არ არის გამოკვეთილი, რადგან თვითონ მეფობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიურ რიტუალთან. ანთროპოლოგიური მონაცემები გვიჩვენებენ, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ზოგიერთ პირველყოფილ საზოგადოებაში მეფეებს თუ ბელადებს აიგივებდნენ იმ ხალხის კეთილდღეობასთან, რომელსაც ისინი მართავდნენ, და იმ ნიადაგის ნაყოფიერებასთან. რომელზედაც ისინი იყვნენ დამოკიდებულნი. დასტურდება, რომ როცა ბელადებს და მეფეებს სიმხნევე უშტყუნებდათ და ჯანი დაუსუსტდებოდათ, ისინი მსხვერპლად მიჰქონდათ, მათ ადგილას კი სხვას სვამდნენ მეფედ. ასეთ ცერემონიებს ადგილი ჰქონდა ალბათ პრეისტორიულ სამყაროში, ხოლო დროთა განმავლობაში მეფის „სიკვდილი“ წმინდა სიმბოლურ სახეს იღებდა და მისი სიცოცხლე რიტუალურად განახლდებოდა ხოლმე მაგიის მეშვეობით, როგორც ძველ ეგვიპტეში მიღებული „ჰებ-სედის“ ცერემონიის განხილვისას დავინახავთ.

უოველ შემთხვევაში, მეფე-ბელადი სასულიერო წრეს ეკუთვნოდა თუ თავისი (ან თავისი წინაპრების) სამხედრო ნიჭის წყალობით ფლობდა ძალაუფლებას. სასულიერო სამსახური მის ხელში იყო, როცა ებრაელებმა მეფე მოითხოვეს, დავითი საულის მიერ უნდა უოფილიყო მირონცხებული, ხოლო ეგვიპტეში ფარაონი, მხოლოდ მეფე კი არ იყო, იყო აგრეთვე ღვთაება ამონის მთავარი ქურუმიც. საბუთები ადასტურებენ, რომ ეს ფაქტები იმ ისტორიული ეპოქის სინამდვილეს შესაბამებოდა. და თუმცა ეს ამბები ჩვენს განსახილველ პერიოდზე გაცილებით უფრო გვიან მოხდა, მაინც უეჭველია, რომ ასეთი რწმენები და ჩვეულებები ბევრად უფრო ძველი დროიდან მომდინარეობს.

ერთი სიტყვით, მეოთხე ათასწლეულის ბოლოდან მთელ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე ვხვდებით ძალიან დიდი რაოდენობით გაფანტულ დამოუკიდებელ ტომობრივ გაერთიანებებს. ზოგმა მათგანმა (თუმცა არა ყველამ) ტექნიკის ისეთ დონეს მიაღწია, რომელმაც მათ გარემო სამყაროს კონტროლის გაცილებით უფრო დადი პოტენციური შესაძლებლობები მიაწვდინა, ვიდრე ათასი წლით ადრე მცხოვრებ მათ წინაპრებს ჰქონდათ. ზოგ ასეთ მოწინავე თემს ამ დროისთვის უკვე გააჩნდა საშეთუნეო მორგვი, ბორბლიანი საზიდრები, სასაპალნე ცხოველები, ხარბშებმული გუთანი. ბევრ მათგანში ცნობილია მეტალურგია და იყენებენ სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღს,

რომელსაც ამზადებს სპეციალისტების ახალი კლასი — ხელოსნები. ეს კლასი უკვე საკვებს თვითონ კი არ აწარმოებს, არამედ თემის ხარჯზე ცხოვრობს. ეს ხალხი გაერთიანებულია „საიდუმლო საზოგადოებებში“ — ესაზოგადოებები“, რომლებიც რელიგიური უფრო ფსევდორელიგიური რიტუალით წმინდად შერაცხულნი და ცალკე გამოყოფილნი არიან, თავგანწირვით იცავენ თავიანთ ხელობათა საიდუმლოებას და მათ მხოლოდ რჩეულ მოწაფეებს გადასცემენ. ზოგი ამთგანი თავისი გამორჩეული ინტელექტის, ოსტატობისა და ცოდნის წყალობით გახდა ის. რასაც ჩვენ „ქურუმს“ ვეძახით, — შუამავალი ჩვეულებრივ ადამიანებსა და იმ მოუხელოებელ ძალებს შორის, რომელთა შემოქმედებასაც ეს ადამიანები განიცდიან. ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მათ შეტოქეობას უწევენ მეომარი ბელადები — სამხედრო კლასის წარმომადგენლები, რომელთაც გასაჭირისა და შიშინანობის დროს მოსახლეობა თავის ბედს მიახდობს ხოლმე. ზოგჯერ ქურუმში და ბელადი ერთია, თუმცა არა უოველთვის .

მიუხედავად ამისა, აღნიშნულ საზოგადოებებს არ შეუძლიათ გარკვეულ საზღვრებს მიღმა გაფართოება. როგორც კი ისინი ამ საზღვრებს მიაღწევენ, მშობელ თემს პატარ-პატარა ჯგუფები გამოეყოფიან და ხადმე სხვაგან აარსებენ ახალშენებს, — ასე რომ, ეს კულტურები მუდმივად კი მონაცვლეობენ, ვრცელდებიან და ირევიან ერთმანეთში, მაგრამ დიდი მასშტაბის გაერთიანებების შექმნის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ არსებობს, გარდა სამი ადგილისა მსოფლიოში — ნილოსის ველზე, ტიგროსის, ევფრატისა და მათი შენაკადების ხეობებში, და უფრო შორს აღმოსავლეთით — ინდის ველზე. სადაც მრავლად არიან დამოუკიდებელი ტომები, რომლებიც იქ თაობიდან თაობამდე მოსახლეობენ .

აქ ყველა ხელსაყრელი პირობა არსებობდა მათი მუდმივი ცხოვრებისათვის: წყლის უხვი მარაგი სარწყავად და მიმოსვლისათვის; გარეული ცხოველების სიუხვე — საკვებად; ველური ნცენარეები, როგორც საკვების დამატებითი მარაგი; მიწის ძალის განმაახლებელი უოველწლიური წყალდიდობა, — ისე რომ, ნასვენ ნიადაგისა და სამოვრის სამეზნელად ხეტიალი საჭირო აღარ იყო, და ამას ერთვოდა უოველი მწრიდან გარშემორტყმული უდაბნოები, რომლებიც თითქოს საგანგებოდ მტრისგან მათ დასაცავად გაჩენილიყო.

1 შდრ. თანამედროვე ნასონები.

მაშ ასე, საშველოს გრდემლი მზად არის პირველი დარტყმის მისაღებად.

თავი მეორე
შპველისი ეპიპატა

„ერასოდეს ვიფიქრებდი თუ ასეთი იქნებოდა აქაურობა... როგორი ხრიოკი უოფილა...“ — რა ხშირად გაიგონებს ხოლმე ადამიანი ამ უკმაყოფილო სიტყვებს ხალხისაგან, რომელიც პირველად სწვევია გზამკვლევებში „ცივილიზაციის აკვნებად“ წოდებულ ქვეყნებს, და, მართლაც, არ შეიძლება არ თანაუგრძნოთ მათ. წაუყითხავს ბაბილონის დაკიდული ბაღების შესახებ, ხედავს კი მღვრიე მდინარის ახლოს დახვავებულ თიხის ნატეხებს; წაუყითხავს დიდებული თებეს შესახებ, ეგვიპტის დედაქალაქი რომ იყო მისი ძლიერების ხანაში, ხედავს კი ქვიშითა და ქვა-ლორღით გარშემორტყმულ ტაძრებსა და სამარხებს. ზაფხულში ტრიალი ციდან მომთუნთავი მცხუნვარება აქერს და ადამიანებს ჩრდილში ერეკება, შემოდგომაზე მდინარეები ყავისფერი შლამით ივსება; ზამთარში ქავეა სასიამოვნოც კია, მინდვრებს მსუყე სიმწვანე ფარავს და სარწყავ არხებში წყალი ლაპლაპებს, მაგრამ მათ გარს გულშიუვალი ხრიოკი უდაბნოები შემორტყმია და თითქოს რაღაც ავი წინათგრძნობის გამო. ადამიანის თვალი ისევ ამ უდაბნოებს დასტრიალებს.

„ეს არის ცივილიზაციის აკვანი“? — კოთხულობენ ისინი და საგონებელში ჩავარდნილი ახალი ინგლისის ველ-მინდვრების ნაზ სიმწვანესა და გლოსტერშირის წარმტაც ბორცვებს შეჩვეულ თვალებს აფახულებენ.

ათი წლის წინ ამ წიგნის ავტორი წითელი ზღვის მხრიდან ეგვიპტეში ჩაფრინდა და შთაბეჭდილებები, რომლებიც შეექმნა თვითმფრინავიდან ამ ქვეყნის პირველად ნახვისას, დღიურში ჩაიწერა. თუმცა ეს შენიშვნები ნაწყვეტ-ნაწყვეტია, მაინც შეიძლება მათი დახმარებით მცირედი წამოდგენა შევიქმნათ ამ ორი ქვეყნის — მესოპოტამიისა და ეგვიპტის გარეგნული მხარის შესახებ. დავიწყოთ არაბეთის უდაბნოთი, რომელიც ათასობით წლების წინ გადალახეს ნილოსის დაბლობის ყველაზე ადრინდელმა ახალმოსახლეებმა.

„...დასავლეთისკენ მივფრინავთ. გადავუვლით გვალვიან, მწირ უდაბნოს, გახუნებულ მოყავისფრო-მოთეთრო ქვიშას, დაფხავებულ ყავისფერ კლდეებს, რომლებიც მოყავისფრო-მეწამული წულუღების მსგავს ლაქებს დაუფარავთ. უდაბნოს თავზე, მიწიდან ათასობით ფუტ-ს სიმაღლეზე ქვიშის ნისლედი რიალებს.

მისლედს ზევით მეტისმეტად ბაცი ცისფერი, უღრუბლო ცაა. იგი პირქვე გადმობრუნებულ ცისფერფსკერიან თასს წააგავს. ნამირებისა, ცისფერი მოთეთრო-ყავისფერში გადადის, ხოლო იქიდან თვალისმომკრელი ელვარება გვეკრება. კორიზონტი არსად ჩანს.

„... წითელი ზღვა ფკან, აღმოსავლეთისკენ გვრჩება. ჩვენ კი უფრო და უფრო მივიწვევთ ქვეყნის სიღრმისაკენ, იქით, სადაც ლუქსორის ახლოს ნილოსთან შეხვედრა გველის. ახლა დაბალი, გვერდებდაღარული ყავისფერი გორების, ამოშვერილი ქიმებისა და ბასრთხემებიანი მთაგრეხილების თავზე მივფრინავთ. მარილივით თეთრი ქვიშის ზოლები ისე მიუყვებიან ველებს, თითქოს მდინარეები მიედინებოდეს გვეგონება, სამუდამოდ უნდა გავრქედდეს ეს მოხაწყენი, ხრიოკი და ერთფეროვანი ხედი. რსად ხე, არსად მწვანე მდელო...“

„... აი, ბოლოსდაბოლოს ნილოსიც. იგი აქედან დაახლოებით ოცდაათი მილის მოშორებით მუქი მწვანე ზოლის ფონზე ნაცრისფრად ელავს. ყავისფერი უდაბნო მკიდროდ ეტმასნება ნილოსს და მის გაღვლა სამხრეთითაც ბობოქრობს. ამ წვრილი მწვანე ზოლის ირგვლივ სრული უდაბურება და უნაყოფობა სუფევს...“

ჩრდილო-დასავლეთიდან ისრაელისა და იორდანის გავლით თუ მიფრინავთ ერავისაკენ. იქაც უმთავრესად უკიდურესი უდაბურების შთაბეჭდილება გექმნებათ.

„ახლა მკვდარ ზღვას ვუახლოვდებით. ვალწვევთ დასავლეთ სანაპიროს, მივფრინავთ თეთრი ლაქებით დაფარული ერთიანად ჩამოშლილი მურა გორების თავზე. წინ რუხი, ფიქლისფერი გრძელა და ვიწრო ზღვაა. — იგი თვითმფრინავიდან იმაზე დიდი არცა ჩანს, უესტმორლანდში რომ უინდერმიერის ტბაა, ...ახლა აღმოსავლეთ სანაპიროს თავზე ვართ. ქვიშა და სულ ქვიშა... იქით, ჩრდილოეთისკენ დაბლობზე პატარა მკრთალი მწვანე ლაქა ჩანს. ეს იერიქონია. ახლა კი მარჯვნივ ზემოთ შემობრუნდა თვალი ავაყოლო მდინარე იორდანის ხეობას, მწვანე ლაქად რომ მიიკლავნება ყავისფერ უდაბნოში. ჩრდილოეთით მოღურგო-მომწვანოდ მოჩანს მარილის კარიერები, მერე კი ისევ უდაბნოა.“

თუ მდინარე იორდანის გადაღმა სამხრეთ-აღმოსავლეთით ძველი ბაბილონეთისკენ აიღებთ გეზს, თვითმფრინავიდან გადაბრუკული უდაბნოს გარდა იქაც ვერაფერს დაინახავთ. მიუხედავად იმისა, რომ საათში სამასამდე მილს გადიხართ, საათი საათს ცვლის, პეიზაჟი კი თითქმის არ იცვლება.

„ახლა ხედი კიდევ უფრო უდაბურია. თვალს მიეფარა მოყავისფრო-მოოქროსფრო ქვიშე-

ბი. მიფერინავთ დანახშირებული სხფერი შიშველი ბორცვების თავზე, რომლებიც მდინარეთა დამშრალი კალაპოტების ბაცო ყავისფერი ძარღვებით არის დაქსედილია. მათ თავზე მტვრის ღრუბელი რიალებს და ყველაფერს თითქოს უხილავ ბურუსში ხვევს. ალაგ-ალაგ ბიტუმის შავი საბადოებით დამახინჯებული უდაბნო რაღაც საზარელი სენის გადადებულ ფოტოსურათს გვაგონებს.

„ნუთუნდღენდის გაუთავებელი ტყეები სამოთხედ მოგეჩვენებოდათ ამ გამოფიტულ, გამომწვარ, ქარის მოტანილი ქვიშით დაწიდულ საშინელვასთან შედარებით.“

ევფრათი კი პირველად ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს:

„შორს, მარცხნიდან წუთი წუთზე ახლოვდება შავი ზოლი. რომელიც გველასებურად კვეთს უდაბნოს. — ეს ევფრათია. ახლა უდაბნოში ალაგ-ალაგ მოჩანს დამტვერილი მწვანე ლაქები, რომლებსაც საყმაწვილოს პირველებივით მოსდებია ბიტუმის საბადოები. არსად მთები, არსად გორაკები. მხოლოდ მბრწყინავი ყვითელი ქვიშით დაფარული უსიციოებლო ბრტყელი დაბლობი, რომელიც ღრუბლების ჩრდილით აქრულდება. დაბლობის გარდიგარდმო მიშტუის ის მადეთამძლე მდინარე, რომლის ნაპირებზეც ბაბილონის მეფენი თავიანთ მაღალგალავნიან ქადაქებს აგებდნენ.“

როცა სამხრეთის მიმართულებით სპარსეთის ყურისკენ მიფერინავთ, იმ მიწას გადავლახავთ, რომელიც ევფრატის ცივილიზაციის სამშობლოობას ეცილება. ეს შუმერია, ბიბლიური „მდინარის მიწა“.

„ბაბილონი ნარქენივ მოვიტოვეთ. ახლა ის კალაპოტი გამოჩნდა, რომელშიც ბეროდოტეს სატყვიო, მდინარე გადაჰყავთ ალუის დროს. ჩავუარეთ ურს და ურუქსაც. აქ იპოვა არქეოლოგმა ელდიმ ნეშტები ქაღდველ მეფეთა ზარქებისა, რომელთაც თავი მსხვერპლად მიუტანიათ — მათ გვერდით საწამლაეიანი ფიალები ეყარა. მიიკლაკნება, უკან ბრუნდება და ორკეცდება ტიგროსი, — ქვიშისფერი მდინარე, რომლის ნაპირებსაც ალაგ-ალაგ თითქოს უანგაროსავით მწვანე საკერებლები აქვს დადებული. დამშრალ კალაპოტებში აქა-იქ ბედუინთა შავი კარები შეჭვუფულა. ახლა ქვიშას ენაცვლება უცნაური რუხი ნიადაგი. — დამწვარი ხას ფერფლის ფერი, — რომელიც ჰებირებით, გზებითა და წყლის არბებით არის დასერილია. მილიონობით ადამიანის სიცოცხლემ დატოვა თავისი მკრთალი ანაბეჭდი ამ დაბლობზე, — დაფასავით გაუთავებლად რომ იყენებენ და ხუკუნეთა პალიმფსესტად ქცეულა“.

ბოლოს, როცა თვითმფრინავი ბასრაში დასაჯლომად ეშხადება და ძირს დაშვებას იწყებს, გამოჩნდება შავი წყლის უწყვეტგანო სივრცე — ორი მდინარით დატბორილი უზარმაზარი დაბლობი, როცა შემოდინს ქვემოთ, მასი შედაპირის ნაწილი თქვენივე მწვანე ლექმით გვეგონებათ დაფარული, მაგრამ მიახლოებისას თანდათან ირკვევა, რომ ეს ნახევრად დატბორილი ხეებია. მდინარეთა შესართავი ათეულობით მილის სიგანის უშუალებელ გუბებსა ჰგავს. ზოგან მწვანე „ლექმის“ ნაწილი ძირითად მასას მოშორებია და განცალკევებით ტივტივებს ნახატი რებუსის ასაწყობი ნაწილებივით. დატბორილია მთელი დეშტა. ნახევრად ჩაძირული ათასობით პალმა სამეტრიულ რიგებად განლაგებულია წყალში, შედაპირს კი მხოლოდ მათი კენწეროებიღა არღვევს. ბასრას თეთრ საბურავებს გადაუქროლებთ და თვითმფრინავის კაბინაში სპარსეთის ყურის ორთქლისებური სიციხე იწყებს ეონვას. თქვენ ქვემოთ, ტბორის ფსკერზე არის ის ადგილი, სადაც ლეგენდარული ელემის პადი მდებარეობდა.

„ცივილიზაცია.. არის სანგრძლივად დაკვეთულ და დამუშავებულ მიწაზე სანგრძლივად გამოყენებულ შენობებში მცხოვრებ ადამიანთა დასახლება, რომელსაც აქვს საერთო მმართველობა და საერთო ქადაქი ან ციტადელი“.

ზოგ მეცნიერს მიაჩნია, რომ ამ განსაზღვრების შესატყვისი პირველი ცივილიზაცია მესოპოტამიის ცივილიზაციებზე წინ, სულ მცირე ხნით ადრე ნილოსის პირას წარმოიშვა. უდაბნოს ციკაბო ფლატეების ძირას ხშირად ვაწყდებით ქვის ხანის ადამიანების კვალს კეთის საბუშაო იარაღებისა და ხელხაწყობის სახით. შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა პროპორციებით შეიცავდა ის პირველყოფილი მოსახლეობა აფრიკულ, აზიურ, ან იქნებ ევროპულ ელემენტებსაც კი, მაგრამ ერთხელ რომ დასახლდნენ, ისინი განაგრძობდნენ ცხოვრებას იმ დიდი მდინარის ნოყიერ ნაპირებზე, სადაც სულ იოლი იყო თევზითა და ნანადირევით თავის რჩენა, არსებობდა წყლის მუდმივი მარაგი და თითქმის ყოველთვის ანათებდა მზე. აქ შინ შექმლით მოეუვანათ ადამიანისათვის საჭირო ყველა მარცვლელი და მოსტნეული კულტურა, ხოლო აღმოსავლეთით და დასავლეთით მოსალოდნელი მტრებისაგან მათ პირქუში უდაბნოები ეცავდნენ. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ალბათ ასობით პატარა დამოუკიდებელი დასახლება უნდა არსებულყო, რომლებსაც თავთავიანთი ბელადი და საკუთარი ღმერთები ეყოლებოდათ, მაგრამ ნილოსის დაბლობის მოხაზ-

13. 3. უელსი, „ისტორიის მოსახაზი“.

ღეობას ერთი დიდი უპირატესობა გააჩნდა დასავლეთ აზიის სტეპებში გაფანტულ თემებთან შედარებით, — რომლებზეც წინა თავში გვქონდა ლაპარაკი, — ეს იყო წულის გზა. რომელიც არა მარტო მიმოსვლის საშუალებას წარმოადგენდა, არამედ მათ მიწებსაც ანოუიერებდა. მდინარე იყო მათი დამაკავშირებელი, თუმცა თავდაპირველად მათი გამაერთიანებელი არ უოფილა. ასევე უდაბნოებიც, სადაც შეუძლებელი იყო ხანგრძლივად დასახლება (თუ არ ჩავთვლით მცირერიცხოვან ოაზისებს), აიძულებდნენ ნილოსის ხალხებს, მდინარესთან ახლოს ეცხოვრათ. ეგვიპტე, როგორც პეროდოტე ამბობს, „ნილოსის ძღვენია“.

გახსოვარია ის ფაქტი, რომ, როცა პირველად ვეცნობით ძველ ეგვიპტელებს I დინასტიის დასაწყისში (დაახ. ძვ. წ. 3200 წ.), — მათ უკვე მალაღგანვითარებული ცივილიზაცია აქვთ. მეფეებისა და უფლისწულების სამარხები დიდი ზომისაა; ისინი შეიცავენ საუცხოოდ ნაშენ ქვის საცავეებს, სპილენძისა და ბრინჯაოს ნივთებს, ზისა და ლითონის ნაკეთობებსა და საიუველირო ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებს. უკვე გამოგონილია დამწერლობა; წერილობით ძეგლებშიც უკვე გვხვდება ზოგი იმ ღმერთისა და ქალღმერთის სახელი, რომლებსაც უფრო გვიანდელი ეგვიპტური წარწერებიდან ვიცნობთ. ეგვიპტელთა სამარხების კონსტრუქციები, რომლებშიც ალიზის მასალითაა გადმოღებული მათი სადგომების ფორმები, უკვე იმდენად განვითარებულ არქიტექტურაზე მიგვანიშნებენ, რომ აღიქმებიან მომავალი აღმავლობის საწინდრად.

პროფესორმა უოლტერ ემერიმ, რომელმაც ამასწინათ საქარაში I დინასტიის მეფეთა რამდენიმე დიდი სამარხი გათხარა, ამ წიგნს ავტორთან საუბარში გამოთქვა აზრი, რომ პრაქტიკულად ყველა ელემენტს ძველი სამეფოსი (ძვ. წ. 2750—2100 წწ.), ანუ „პირამიდების პერიოდისა“, რომელსაც საზოგადოდ ძველა ეგვიპტის ოქროს ხანად მიიჩნევენ, უკვე არსებობდა I დინასტიის! (ძვ. წ. 3200 წ.) დროს. ეს მატერიალური მიღწევები ნათლად მოწმობს, რომ ამ თარიღს წინ უსწრებდა განვითარების ხანგრძლივი პერიოდი; მაგრამ მაინც, იმ ის-

ტორიულ პერიოდთან შედარებით, რომელიც მოიცავს დროის მონაკვეთს I დინასტიის პირველი მეფე მენესიდან ვიდრე უტოლესი პირამდე (ძვ. წ. 2325—20 წწ.), ამ წინასტორიული ანუ „დინასტიამდელი“ პერიოდის შესახებ წიგნის თიქმის არაფერია ცნობილი.

ისტორიულ „ძველ ეგვიპტელთა“ დინასტიამდელი წინაპრების სამარხები ნაპოვია უდაბნოს განაპირას რამდენიმე ადგილას. ისინი დაახ. ძვ. წ. 4000 წლით ან უფრო ადრინდელი პერიოდით თარიღდება (ან შეიძლება უფრო ადრინდელიც კი იყოს). განათხარი სამარხები რამდენიმე სხვადასხვა კულტურას მიეკუთვნება. მათ შორის ძირითადად მოხერხებულობისათვის პეტრიმ ბარადიული, ამრატიული და გერზეული უწოდა იმ ადგილების მიხედვით, სადაც პირველად იქნა აღმოჩენილი მათთვის დამახასიათებელი ნივთები.

პირველი ორი კულტურის წარმომადგენლები ძირითადად მონადირენი იყვნენ. თუმცა პრიმიტიულ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობასაც მისდევდნენ. ისინი თავიანთ მიცვალებულებს ქვიშის ზედაპირულ საფლავებში მარბვდნენ და შიგ ატანდნენ კოკებს სასმელსაკმელისათვის, საომარ იარაღსა და ტუალეტის საგნებს, ისეთებსაც კი, როგორც თვალების მწვანე საღებავის დასაფხენელი ფიქალის ფირფიტებია. იცნობდნენ სპილენძსა და ოქროს, მაგრამ განვითარების ამ სტადიაზე, ჩანს, ჯერ არ უნდა სცოდნოდათ, რომ შესაძლებელი იყო ამ ლითონების გამოღობა და ჩამოსხმა. სხეულები ამ პატარა საფლავებში ბალზამირების გარეშე ხშირად შესანიშნავად არის შენახული, ბევრ შემთხვევაში გვამებს თმები და კანიც კი აქვთ შერჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ ექვსი ათასი წლის წინათ არიან დასაფლავებულნი. განსხვავებით ისტორიული ეპოქის ეგვიპტური დასაფლავების წესისაგან. სადაც მიცვალებულებს გარბხულ მდგომარეობაში მარხავდ-

მ სიტყვა „კულტურა“ ხშირად გვხვდება სოლოქე არქეოლოგიურ ანგარიშებში ფართო გაგებით, იმ ხალხებს, რომლებიც ერთბა და იმავე წეს-ჩვეულებებს იცავენ და ერთმანეთის მსგავს საგნებს იყენებენ, მაგ., შრომისა და საომარ იარაღს, თიხის ნაკეთობებს, — ამბობენ, რომ იმისი ერთბა და იმავე კულტურის გასთვისაა, თუმცა სრულუბრუნად არ არის აღიარებული, რომ ყველა ისინი ერთა და იმავე რასის წარმომადგენლები იყვნენ.

მ ამ კულტურებიდან ბოლო ორს ახლა ჩვეულებრივ „ნაგადა I-სა“ და „ნაგადა II-ს“ უწოდებენ.

¹ ეგვიპტელი ისტორიკოსი მანეტონი, რომელიც დაახ. ძვ. წ. 325—285 წლებში მოღვაწეობდა, თავისივე ადრე მცხოვრებ ფარაონთა სახელებს 30 დინასტიად უოფა. მართალია, ეს სია ზუსტი არ არის. მანეტონის გამოტოვებული აქვს მთელი რიგი სახელები, მაგრამ როგორც ნიასტოლებითი გზამკვლევი, მისი სია ჯერ მაინც გამოსადეგია.

ნენ, ამ სამარხებში გვაქვს მოკრუნხული მარ-
ნია.

განვითარების უფრო გვიანდელ, გერმულ
სტადიაზე ნადირობა აღარ იყო ძველებურად
მნიშვნელოვანი და აქცენტი მიწათმოქმედებასა
და მეთევზეობაზე გადავიდა. ამ დროისათვის
ნილოსის ველზე მცხოვრებმა ხალხებმა (ან შე-
იძლება ზოგიერთმა მათგანმა) ისწავლეს სპი-
ლენძის გამოდნობის ხელოვნება. შემოქმედით
უცხოური ნაწარმი, მაგალითად, ლილაქვა აზი-
იდან, რამაც ზოგ არქეოლოგს აფიქრებინა, რომ
ზემო ეგვიპტეში ამ და სხვა აზიური წარმო-
შობის ნაწარმის არსებობა მათ ტერიტორიაზე
სემიტთა რასის შექრაზე ან შეღწევაზე მიგვა-
ნიშნებდეს.

ამ სამი წინაისტორიული კულტურის ნაშთები
აღმოჩენილ იქნა ზემო ეგვიპტეში, ე. ი. ქვეყ-
ნის სამხრეთ ნაწილში, დელტის ზემოთ. I დი-
ნასტიის მეფეებსაც თავიანთი სატახტო ქალაქი
ზემო ეგვიპტეში ჰქონდათ და თავიანთ უზარმა-
ზარ სამარხებსაც იქ აგებდნენ. ეგვიპტური
წარწერებიდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ნარ-
მერი ანუ მენესი, — პირველი მეფე, რომელმაც
მთელი ეგვიპტე თავის ძალაუფლებას დაუმორ-
ჩილა, ქვეყნის ამ მხრიდან იყო. და მაინც,
მიუხედავად ამისა, საოცარი ვანსხვაგვება იჩენს
თავს ერთის მხრივ, აბიდოსის უზარმაზარ სასა-
ფლაოზე დამარხული დინასტიების ეპოქის ად-
რეული მეფეების კულტურასა და მეორეს მხრივ,
იმ პირველყოფილ მიწათმოქმედთა და მეჭო-
გეთა დასახლებების კულტურათა შორის, ქვი-
შის ზედაპირულ საფლავეებში რომ დაუმარხავთ
და თან პატარა საცოდავი ქოთნები ჩაუყოლე-
ბიანო. დინასტიების ეპოქის ადრეული მეფეების
აღიწისაგან ნაგები და მრავალ დარბაზად თუ
საკუჭნაოდ დაყოფილი მათი უშველებელი სა-
მარხები, თავდაპირველად ალუბასტრის, დიორი-
ტისა თუ სხვა ქვისაგან გამოკვეთილი ქურჭ-
ლით, ნატიფი საიუველირო ნაკეთობებითა და
ოქროთი შემკული ავეჯით რომ იყო გამოვსე-
ბული, — შექმლო შექმნა მხოლოდ დახელოვ-
ნებულ ოსტატ სპეციალისტთა დიდ ჯგუფს, რომ-
ლის არსებობასაც მცირე ზომის პირველყო-
ფილი საზოგადოება ვერ უზრუნველყოფდა.

ამისდა მიუხედავად, მაინც ეჭვს გარეშეა რომ
პირველყოფილი ხალხები, — ბადარიელები
ამრატიელები და გერმელები, — იყვნენ ის-
ტორიული ეპოქის ძველ ეგვიპტელთა კულ-
ტურული წინაპრები.

როდესაც სერ ფლინდერს პეტრიმ ნაგადაში
(ზემო ეგვიპტე) პირველად აღმოაჩინა მათი

I ბადარიელთა ტერიტორიაზე ნაპოვნი იქნა
სპილენძის ნივთები და ქინძიანთავეები.

საფლავეები, იფიქრა, რომ ისინი შესაძლოა ეკ-
უთვნოდა რომელიღაც ნახევრადეულურ ხალხს,
რომელიც ისტორიულ ეპოქაში შეიქრა ნილოს-
ის ხეობაში და ცივილიზებული ეგვიპტელე-
ბისაგან ნებართვა მიიღო ბერძნის განაპირას
დასახლებულიყო. მარინუსი, ნიკონი ადრეულ
გამოცემებში პეტრიმ აღწერა რასას
უწოდებდა. მაგრამ პეტრი, ერთ-ერთი უდიდესი
არქეოლოგი ყველა არქეოლოგთა შორის, ისე
განაგრძობდა ნასახლარ შრეთა გათხრას, იქ
ნაპოვნ თიხის ნაკეთობათა ბეჭითი გამოკვლევიითა
და ერთმანეთთან შეპირისპირებით მან შესძლო
დაედგინა, თუ როგორი იყო განვითარების ქა-
ვი, ფაქტიურად პეტრიმ გამოიგონა სისტემა,
რომელსაც ჩვენ „თანმიმდევრულ დათარიღე-
ბას“ ვუწოდებთ და რომელიც არქეოლოგებს
საშუალებას აძლევს დაადგინონ ნასახლარი შრის
შედარებითი ასაკი იქ ნაპოვნი თიხის ნაკე-
თობების ტიპის მიხედვით მაშინაც კი, როდესაც
ეს შრე „ისტორიულ შორიზონტზე“ დაბლა
მდებარეობს („ისტორიული შორიზონტი“ ის
პერიოდია, რომლის შესაბამის შრეზეც ყვე-
ლაზე ადრეული წერილობითი ძეგლები მოიპო-
ვება). პეტრი დარწმუნდა, რომ ორმო-სამარ-
ხებში მოკრუნხულ პატარა ადამიანებსა და
პირამიდების მშენებლებს შორის ვარკვეული
მაკავშირებელი რგოლი არსებობდა. მაგალი-
თად, თიხის ნაკეთობებზე მან იპოვა ტლანქად
დახატული უბეში მოხაზულობის ნიშნები, რომ-
ლებიც გაცილებით უფრო გვიანდელ ეგვიპ-
ტურ წარწერებში გვხვდება. იქვე აღმოჩნდა
ერთად შეკრული პაპირუსის ღეროებისაგან
დამზადებული ისეთივე ნავეების გამოსახულე-
ბებიც, როგორებიც ათასობით წლების შემდეგ
როინდელ ეგვიპტურ სამარხებში არის შემონა-
ხული, ხოლო თვალების საღებავისათვის მალა-
ქიტის დასაფხვნელ ფიქლის ფირფიტებზე გა-
მოსატყლია სიმბოლოები, რომლებიც შეესა-
ბამება ისტორიული ეპოქის ეგვიპტელთა ზოგ
ღვთაებას. ამასთანავე, პიერაკონპოლისში ქ. ე.
ბუიბელმა იპოვა ფიქლის დიდი ფირფიტა, რო-
მელზეც აღბეჭდილია I დინასტიის პირველი
მეფის — ნარმერის სახელი და რომელიც ისე
დიდია, რომ მას მხოლოდ საწესჩვეულებო და
რიტუალური ფუნქცია შეიძლება ჰქონოდა.
მას ამკობს ქორისთავიანი ღვთაება პორუსის
სიმბოლო და ამოკვეთილი რელიეფი მეფისა,
მეფეს ხელთ კვერთხი უპურია და სწორედ იმ
პოზაში დგას, რომელშიც უფრო გვიანდელ
ეპოქის ფარაონებს აქანდაკებდნენ.

გარდა ამისა, პეტრიმ დაადგინა, რომ პრე-
დინასტიური პერიოდის (ძვ. წ. 3200 წელზე
ადრინდელი) ყველაზე გვიანდელ სამარხებში
ნაპოვნი თიხისა და ქვის ქურჭლის ტიპი აშ-

კარად მოგვაგონებს აბიდოსში ნაპოვნ ქურკ-
ლის ტიპს. განვითარების ჩაკეტი უკვე თვალნათ-
ლივი გახდა. მაგრამ მას მაინც რაღაც აკლდა.
განვითარების გზას შეიძლება თვალი მიადევ-
ნოთ თიხის ნაკეთობებისა და იარაღის ფორმისა
თუ სტილის თანდათანობითი ცვლის მიხედვით.
მაგრამ რომელია ის უკანასკნელი რგოლი, რომ-
ელიც ქვეშაში მოკრუნხულ ჩონჩხსა და
ვაჭის, უღიმუხა და ხასხემუის დიდებულ პა-
ლატებიან აკლდამებს აკავშირებს?

ამ კითხვის პასუხი ალბათ ღრმად მარბია
დედტის შლამში.

უძველესი წარწერები მოგვითხრობენ, რომ
ვიდრე ნარბერი მთელ ეგვიპტეს თავის ძალაუფ-
ლებას დაუმორჩილებდა, იგი ორ სამეფოდ ყო-
ფილა გაყოფილი — ქვემო ეგვიპტის სამეფოდ —
იგი მდინარის შესართავიდან დაახლოებით თა-
ნამედროვე კაირომდე ვრცელდებოდა, და
ზემო ეგვიპტის სამეფოდ, რომელიც მოიცავდა
ქვეყნის სამხრეთ ნაწილს ნუბიის (თანამედროვე
სუდანი) საზღვრამდე. ძველი ეგვიპტის გადარ-
ჩენულ სიძველეთა უდიდესი უპირაუღესობა ზემო
(სამხრეთ) ეგვიპტეშია შემონახული. ქვეყნის
უძველესი დაყოფა გვიან ისტორიულ პერი-
ოდამდე უცვლელი დარჩა. ფარაონის ერთ-ერთი
ტიტულა იყო „მეფე ზემო და ქვემო ეგვიპ-
ტისა“. მის გვირგვინს ამ ორი ქვეყნის წყვილი
ემბლემა ამკობდა: ქვემო ეგვიპტის სიმბოლო
გველი იყო, ზემო ეგვიპტისა კი — სვავი.
ძველი იყო საკულტო ნიშანი თუ რელიგიური
სიმბოლო დედტის ტერიტორიაზე ჭერ კიდევ
უხსოვარ დროს მცხოვრები ტომისა, რომლის
სატახტო ქალაქად ბუტო ითვლებოდა. ხოლო
ასევე ძველთაგან სვავი იყო საკულტო ნიშანი
ზემო ეგვიპტის ერთ-ერთი პროვინციისა, რომ-
ელსაც სატახტო ქალაქი ნებენში მქონდა. არ-
სებობდა კიდევ სხვა წყვილი ემბლემებიც:
ქვემო ეგვიპტის სიმბოლო ფუტკარი და ზემო
ეგვიპტისა მცენარე: ხელოვნებაში კი ზოგჯერ
ლოტოსისა და პაპირუსის შეწყვილებული დე-
როები გამოიყენებოდა ორი ქვეყნის კავშირის
აღსანიშნავად. ფაქტიურად ჩვენ ჭერ კიდევ
არაფერი ვიცით ქვემო ეგვიპტის იმ სამეფოს
შესახებ, რომელსაც უხვი და ნოყიერი დედტა
ეჭირა, და ხანგრძლივი დასახლებისათვის გა-
ცალებით უფრო მიმწიდველი ადგილი უნდა
ყოფილიყო, ვიდრე სამხრეთის ვიწრო ხეობა.
სალი აზრისა და ლოგიკის ყველა კანონის თა-
ნახმად, სწორედ დედტა უნდა ყოფილიყო ის
ადგილი, სადაც ყველაზე ადრე აღმოცენდა ეგ-
ვიპტური ცივილიზაცია. ადვილი ასახსნელია ის
ფაქტიც, რომ იქ ამ ცივილიზაციის თითქმის
არავითარი თვალნათელი კვალი არ დარჩენი-
ლა, — თუ ეს კვალი არსებობს, მას უოველწლი-

ური წყალდიდობის დროს ჩამოტანილი და
დალეკილი შლამი უნდა ფარავდეს. და მაინც,
ისტორიული პერიოდის ძველები ისევ არსებობს
ზოგ ისეთ ადგილას, როგორც არის. მაგალი-
თად, საისი, ხოლო ძველი წარწერებიდან ცნო-
ბილია, რომ ძალიან შორეულ წარსულში მცხოვ-
რები ქალაქებს დიდი მნიშვნელობა მქონდათ.
გარდა ამისა, არის კიდევ სხვა საბუთიც,
რომელიც გვიჩვენებს, რომ ეგვიპტის ყველაზე
ადრეული ცივილიზაციის სამშობლო უნდა
ყოფილიყო დედტა. და ეს საბუთი არც საწარ-
ხებია და არც მატერიალური ნაშთები, არამედ
მხოლოდ და მხოლოდ უმაქნის თიხის ნამტვრე-
ვებზე დახატული პაწაწუნა აჩხაბაჩხა ნიშნები.
სწორედ ამ მინიატურული აჩხაბაჩხა ნაკაწრე-
ბისა და გვიანდელი ეგვიპტური წარწერების
შესწავლის შედეგად ფილოლოგებმა რამდენიმე
შესანიშნავი დასკვნა გამოიტანეს. 1923 წელს
ცნობილმა ბრიტანელმა ეგვიპტოლოგმა, აწ
განსვენებულმა პროფესორმა პერსი ნიუბერიმ
მეცნიერული პროგრესის ბრიტანეთის ასოციაცია-
ციას ოფიციალურად გადასცა ადრესი, რომელ-
შიც აღნიშნავდა, რომ ზემო ეგვიპტეში ზედ-
მიწვენილ გამოკვლევებს მიუხედავად დინასტი-
ამდელი პერიოდის მრავალი სასაფლაოს არც
ერთი სამარხი არ შეიცავდა იეროგლიფური დამ-
წერლობის ერთ ფრაგმენტსაც კი.

„აქედან ერთადერთი დასკვნა შეგვიძლია გა-
მოვიტანოთ: ზემო ეგვიპტის მცხოვრებთათვის
იეროგლიფური დამწერლობა დინასტიურ ეპო-
ქამდე უცნობი, ან, ყოველ შემთხვევაში, გამო-
უყენებელი იყო, და, მეორეც, აღმოჩენებმა
ნაკადაში, პიერაკონპოლისსა და აბიდოსში (ეს-
ენი ყველა ზემო ეგვიპტეშია) ცხადყო, რომ
დამწერლობის ეგვიპტური სისტემისათვის და-
მახასიათებელი ყველა არსებითი ნიშანი I
დინასტიის დასაწყისისათვის უკვე მთლიანად
იყო ჩამოყალიბებული“.¹

მიუხედავად ამისა, ცხადია, რომ ასეთ სის-
ტემას განვითარების ხანგრძლივი პერიოდი უნდა
გაეწყო, ვიდრე იგი დინასტიათა ეპოქის პირ-
ველ მეფეთა (დაახ. ძვ. წ. 3000 წელი) სამარ-
ხებში გაჩნდებოდა. იქნებ შეიძლებოდა, იგი
ეგვიპტის გარეთ განვითარებულიყო და დამ-
წერლობა მიერ ყოფილიყო შემოტანილი? ნი-
უბერის აზრით, არა. ისე მოხდა, რომ
იგი არა მარტო ეგვიპტოლოგი, არამედ ბოტა-
ნიკოსიც იყო და, რადგან მრავალი ეგვიპტური
იეროგლიფი მცენარეთა და ცხოველთა ცხოვ-
რებიდან აღებული სურათებს ეფუძნება, ნიუ-
ბერის შეცდომ პროფესიული ცოდნა მათ შე-

¹ პროფ. პერსი ნიუბერი, ეგვიპტე, როგორც
არქეოლოგიური კვლევის ასპარეზი, 1923 წ.

სასწავლად გამოეყენებინა. დაწვრილებითი გამოკვლევის შედეგად მან დაადგინა, რომ იეროგლიფებში გამოსახული ფლორა და ფაუნა მთლიანად ისეთი იყო, როგორც შეიძლება იყოფილიყო იპდროინდელ ეგვიპტეში. ზოგი მცენარე, მაგალითად, პაპირუსი, რომელიც ოდესღაც უხვად იზრდებოდა ნილოსის ნაპირებზე, ეგვიპტეში ამჟამად აღარ მოიპოვება, მაგრამ სამხრეთით, სუდანში იგი კვლავ გვხვდება. სხვა მცენარეები ისევ ხარობენ ეგვიპტეში, ყველაფერი იმაზე მიანიშნებდა, რომ იეროგლიფები უცხოეთიდან შემოტანილი კი არა, ადგილობრივი წარმოშობისაა. და თუ ისინი შემო ეგვიპტეში არ წარმოშობილან და განვითარებულან, გამოდის, რომ ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლება ეს მომხდარიყო, არის დელტა.

ყოველივე ეს მსჯელობის დამაჯერებელი ნაწილი კი არის, მაგრამ დასაბუთებული თეორიის ახაგვად მაინც არ არის საკმარისი. უფრო შთაბეჭედავი საბუთები ამის შემდეგ მოდის: მაგალითად, ნიუბერი მიუთითებდა, რომ ისტორიულ ეპოქაში ეგვიპტური იეროგლიფი წვეთის ფორმის ლითონის ზოდით აღინიშნებოდა, რომელიც წმინდა ლატანზეა მოთავსებული და იგივე იყო აღმოსავლეთ დელტაში მცხოვრები კლანის თუ ტომის საკულტო საგანი. პრედინასტიულ ეპოქაში „დასავლეთის“ ნიშანი კი — სირაქლემის ფრთა იყო ნახევარწრიულ სადგამზე. — იგივე იყო საკულტო საგანი დასავლეთ დელტაში მცხოვრები ხალხისა.

ამასთანავე, დელტის წვერის სამხრეთით მდებარე ქვეყანა (თანამედროვე კაიროს ახლოს) ძველეგვიპტელთათვის ცნობილი იყო, როგორც „ტა შემა“ — „ლერწამთა მიწა“. თავის აღრესში ნიუბერი აღნიშნავდა რომ „სამხრეთის“ ნიშანი იყო ლერწამი; ეს იმ კლანის საკულტო საგანი იყო, რომელიც სახლობდა ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე, თანამედროვე სოფელ შარონას ზევით შუა ეგვიპტეში. ამიტომ როგორც ჩანს, ლერწამი „სამხრეთის“ აღხანიშნავად პირველად გამოიყენეს დელტის წვერის ჩრდილოეთით მდებარე რომელიმე პუნქტში. ასევე დელტის აღმოსავლეთით და დასავლეთით მცხოვრებ ტომთა საკულტო ნიშნები „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ აღხანიშნავად პირველად გამოიყენებულა უნდა ყოფილიყო სადაც დელტის შუაწელში.

ამ წიგნის ავტორის აზრით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომელიც ასევე ნიუბერიმ შენიშნა — „მარცენისა“ და „მარცხენის“ აღნიშვნელი იეროგლიფები იგივე იყო, რაც „დასავლეთისა“ და „აღმოსავლეთის“ აღნიშვნელი იეროგლიფები; სხვა სიტყვებით,

ვისაც არ უნდა გამოეგონა ეგვიპტური დამწერლობის ხისტემა, თვითონ იგი სამხრეთისაკენ პირმოქცეული ახდენდა ორიენტაციებას ისე, რომ მარჯვნივ დასავლეთი მკონდა, მარცხნივ კი აღმოსავლეთი. ეს კვლავ იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ეგვიპტური დამწერლობა დელტაში წარმოიშვა.

ტავი მისამო
მეუხე მრი მკეუნისა

მაშ თითქმის უკვე არავითარი ეჭვი აღარ არის, რომ ეგვიპტის ცივილიზაციას საფუძველი დელტის ხალხებმა ჩაუყარეს. მაგრამ ვინ იყვნენ ისინი და საიდან მოვიდნენ? — ზოგი, რატომ უნდა, ლიბიიდან, — დელტის დასავლეთით მდებარე მიწიდან; გაცილებით უფრო გვიანდელ პერიოდშიაც კი — ძვ. წ. V საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი პეროდოტე ადასტურებს, რომ დასავლეთ დელტის მცხოვრებნი თავიანთ თავს ლაბიელებს ეძახდნენ და ეგვიპტურ ენაზეც კი არ ლაპარაკობდნენ. ეტყობა, ეს ლიბიური ელემენტი წინაისტორიულ ხანაშიც არსებობდა ეგვიპტეში. არქეოლოგები, რომლებმაც გათხარეს პრედინასტიული სამარხები გიზასა (კაიროს მახლობლად) და სამხრეთში მდებარე კოსტამნებს შორის, ხშირად პოულობდნენ გარკვეული ტიპის დეკორატიულ კერამიკას. მისი ნიმუშები მოუხეშავი მოხაზულობის ნაბატებით იყო შემკული. მათზე გამოსახული ნავების ანძებს საკულტო საგნები ამშვენებდა. საკულტო ნიშნები იყო: „ბარჯი“, „გადაჯვარედინებული ისრები“, და „მთა“. ისტორიულ ეპოქაში „ბარჯი“ იყო მარიუტის ტბის რეგიონის საკულტო საგანი, ხოლო „მთა“ და „გადაჯვარედინებული ისრები“ ეკუთვნოდათ ხალხებს, რომლებიც ნილოსის იმ განშტოების მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობდნენ, სადაც ქალაქი კანობი (კანობოსი) მდებარეობდა. ერთიც და მეორეც დელტის რეგიონშია. ნიუბერი აცხადებს: „კაიროს სამხრეთით ნილოსის ქვედა წელის ხეობაში წარმოებული გათხრებისას სამარხებში ნაპოვნ ლარნაკებზე გამოსახულა 200 ნაწილიდან 222 მიეკუთვნება კულტებს, რომლებიც შეიძლება დელტის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იქნეს ლოკალიზებული“.

და მას კიდევ ძალიან საყურადღებო ფაქტაც მოჰყავს: „ისტორიული პერიოდის დასაწყისში ჩრდილო-დასავლეთ დელტაში მცხოვრები ხალხს საკულტო საგნებად ითვლებოდა: (1) ბარჯი, (2) ციფრი რვიანის ფორმის ფარი გადაჯვარედინებული ისრებით, (3) მთა, (4) ორ-

1 იგივე აზრი გამოთქვა ამისგან დამოუკიდებლად გერმანელმა მეცნიერმა კ. სეთემაც.

ლესული ცუდი და (5) მტრედი ან მერცხალი. ბარკის გამოკლებით ყველა ეს საკულტო საგანი ნაპოვნია აგრეთვე კრეტაზეც“ (კურსივი ჩემია, ტ. კ.).

ამის გახსენება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება მაშინ, როცა კრეტის ადრეული ცივილიზაციის განვითარების განხილვას დავეწყებთ. ლიბეღთა მოდგმის ვარდა ეგვიპტელებს მადროთ კავშირი უნდა ჰქონოდათ დასავლეთ აზიის ხალხებთანაც, — მაგ., სირიელებსა და ლიბანელებთანაც. ჩვენ უკვე მივუთითეთ ძველ-ეგვიპტურ ენაში არსებულ სემიტურ ელემენტებზე, რომელიც აზიურ ელემენტზე მიგვანიშნებს. მაგრამ ვარდა დაშფერლობისა, მოიპოვება აზიასთან კონტაქტების სხვა ნიშნებიც. ერთი მათგანი დაცემირებულია იმ ფაქტთან, რომ ძველ ეგვიპტეში ძალიან ადრეული პერიოდის დანერგულებდნენ ხე-ტყის მასალას, მაშინ, როცა დიდი ხნების განმავლობაში ქვეყნის მთელი არ უწყობს. დღეს, ისევე როგორც უხსოვარ დროს, ეგვიპტეში გავრცელებული ხის ძირითადი ჯიშებია ლეღვი და აკაცია. პირველ მათგანს ისეთი უბეშოქყოიანი შერქანი აქვს, რომ მასი სწორ ფიცრებად დაკრა არ ხერხდება. უკანასკნელი კი ისეთი მაგარია, რომ მისი დაღრმევა შეიძლება მხოლოდ მანამ, ვიდრე ხე მოწიფდებოდეს; მას არათანაბარი სტრუქტურა აქვს და ისეთი ხშირტოტიანია, რომ თუ ფუტზე მეთი სიგრძის ფიცრებად ვერ დაიჭრება, თავისი წიგნის მომაჯადოებელ თავებში ეგვიპტის შესახებ პეროდოტე მოგვითხრობს, რომ ეგვიპტელები თავიანთ ხანდინარო გემებს აგებდნენ მოკლე ფიცრებისაგან, რომლებსაც თოკებით აბამდნენ ერთმანეთზე. მაგრამ ჯერელ ელ-არაკში ნაპოვნ ცნობილ პრედინასტიულ დანის ტარზე არის გამოსახულება, რომელიც ნავსაყუდელში მდგარი იალქნებდაშვებული მალანძიანი ხომალდი უნდა იყოს. ვარდა ამისა, მეფე ნარმერის სახელგანთქმულ ფიქლის ფირფიტაზე მოიხსენიება დიდი ნავსადგური, რომელიც, როგორც ჩანს, დელტაში უნდა ყოფილიყო, ასეთი ნავსადგურისა და ასეთი ხომალდების არსებობა სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობას გულისხმობს. ისმის კითხვა: სად შოულობდნენ ეგვიპტელები ხე-ტყეს ანძების დასამზადებლად—ცხადია, არა ეგვიპტეში. — იმ მიზეზთა გამო, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ. ლიბანსა და სირიაში კი ფიქვიც, საროც და კედარიც უხვად იზრდებოდა. ვის არ ვაუგონია „ლიბანური კედარი“, რომელიც სინამდვილეში ალბათ კედარი კი არა, სულაც სარო (კვიპაროსი) იყო. ცნობილია, რომ ყველაზე უძველესი ეგვიპტური ხომალდები ერთმანეთზე ვადაბმული პაპირუ-

სის ღერების კონებისაგან მზადდებოდა. ასეთი ხომალდები მდინარეზე სანაოსნოდ მოხატვრებელი იქნებოდა. მაგრამ ზღვაზე სამოგზაუროდ ნამდვილად არ გამოდგებოდა. თუკი პრედინასტიულ ეპოქაში ეგვიპტელებს საზღვარ-ხომალდები ჰქონდათ, და, როგორც ჩანს, უნდა ჰქონოდათ კადეც, ისინი მხოლოდ ხე-ტყის მასალიდან შეიძლებოდა აგებულიყო, რომელიც, რასაკვირველია საზღვარგარეთ უნდა შეეძინათ. ის ხალხი, კი, რომელიც ყველაზე ახლო იყო ხე-ტყის მარაგის წყაროსთან, დელტის მოხალეობა უნდა ყოფილიყო.

ამ წიგნისთვის უფრო დიდი მოცულობის მიცემა რომ ყოფილიყო შესაძლებელი, ბევრ სხვა მავალითსაც მოვიყვანდით, აი, ერთ-ერთი მათგანი: პრედინასტიული სამეთუნეო ნაწარმი შემკულია ერთგვარი გამოსახულებებით. რომლებიც ტაძრებს მოგვაგონებს. მათ წინ აღმართულია მაღალი ბუნები, ბუნებზე კი აღმები ფრიალებს. დღეს კარნაკის ტაძრის წინა პილონებზე შეგიძლიათ ნახოთ ბუდეები ამ ბუნებისათვის, თუ ასეთი ტაძრები წერილობითი ისტორიას დასაწყისამდე არსებობდა, როგორც ეს თიხის ნამტვრევებიდან ჩანს, მაშინ სად იშოვნებდნენ მათი მშენებლები იმ მაღალ ბუნებს? — ცხადია, ეგვიპტეში ვერა. ალბათ, უფრო ლიბანში.

ვარდა ამისა, არის კადეც არქიტექტურა, პრედინასტიული ეპოქის არც ერთ საცხოვრებელ სახლს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ძველი ეგვიპტელები სამარხებში დიდის გულმოდგინებით იმორებდნენ თავიანთი საცხოვრებელი სახლების არქიტექტურულ ფორმებს ალიზით. მოკლინებით კი — ქვით. ამ ხუთიათასწლოვანი სამარხების შესწავლამ ორი არქიტექტურული სტილი გამოავლინა. პირველი მათგანი ეფუძნება წნულშელესილ კონსტრუქციას, რომელიც ადგილობრივ ეგვიპტურ სტილს წარმოადგენს. მეორე იყენებს ისეთი სიგრძის ხის მასალას, როგორც ადგილობრივ არ მოიპოვებოდა.

...ადრე, მეფე ჯეთის (პირველი დინ) ზეობის დროს ამ ტიპის სასახლეთა აგება წვნა-შელესიისა და ხის კომბინირებით დაიწყეს. ხოლო პირამიდების ეპოქის დასასრულისათვის ეს სტილი უკვე სრულიად ქრება, თუმცაღა მისი გამოძახილი სავრძნობია სამარხების ცრუ კარებსა და სტელებში. ეგვიპტის სასახლის სტილის ნაგებობათა მსგავსი აგურის შენობები ძველ ბაბილონშიაც აღმოჩნდა. ერთ დროს მიაჩნდათ, რომ ასეთი ნაგებობები შუშირული არქიტექტურისათვის არის სპეციფიკური. ბაბილონეთი, ისევე როგორც ეგვიპტე, ხე-ტყით ღარიბი იყო. არსებობს წერილობითი ძეგლები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ხე-ტყეს ზოგჯერ სირიის

სანაპიროებზე მოიპოვებდნენ. სხვათა შორის შე-
მიძლია შევნიშნო, რომ ეს „სახალხის სტილი“,
არის გარდამავალი ფორმა მომთაბარეთა კარ-
ვებსა და ბინადარი მოსახლეობის მუდმივ შე-
ნობებს შორის“ (პერსი ე. ნიუბერი. ციტირებული
ნაშრომი).

დრო დაუნდობლად მოექცა დელტაში მცხო-
ვრებ ხალხებს, აუარებელმა შლამმა, რომელიც
ხუთათასი წლის მანძილზე მოჰყვებოდა ნილოსის
ადიდებას, დაფარა მათი ქალაქების ნაშთები.
მაშინ როდესაც მათი სამხრეთული დამპყრობ-
ლების მიწამ გაცილებით ნაკლებად იზარალა.
თანამედროვე ტურისტები, დელტის გავლით რომ
მიემგზავრება ალექსანდრიიდან, უინტერესოდ
უყურებს მრავალი მილის მანძილზე გადაჭიმულ
ნაყოფიერი მინდვრებით დაფარულ დაბ-
ლობს, რომელიც თითქმის სრულიად მოკლე-
ბულია შთამბეჭდავ ისტორიულ ძეგლებს, და
ნოუთმენლად ესწრაფვის პირამიდების, ლუქსო-
რის ტაძრების, მეფეთა ვილისა და შუა და
ზემო ეგვიპტის სხვა ღირსშესანიშნაობათა ნახ-
ვას. მიუხედავად ამისა, მაინც თითქმის უეჭვე-
ლია, რომ ეგვიპტური ცივილიზაცია სწორედ
იმ ფართოდ გადაშლილ ნაყოფიერ დაბლობზე
აღმოცენდა. ტურისტები თავის გზამკვლევეში რომ
ჩაიხედავს, შეიტყობს, რომ ამ ცივილიზაციის
უველაზე ადრეული კვალი სწორედ შორეულ
სამხრეთშია აღმოჩენილი. და იგი დაახლოებით
ძვ. წ. 3500 წლით თარიღდება. მაგრამ ფაქ-
ტია, რომ, როცა სამხრეთელმა დამპყრობელმა
მენესმა მთელი ეს უკიდურესი მიწა თავის ქუხ-
ლქვეშ მოიქცია, მან შეითვინა ის ცივილიზა-
ციაც, რომელიც უკვე კარგად იყო განვითარე-
ბული მის დროზე გაცალეებით უფრო ადრე. ამ
ცივილიზაციის შედეგებმა: დამწერლობის, ის-
ტორიული ფაქტების აღნუსხვისა და ზომა-წო-
ნის ერთეულთა დადგინების მეცნიერებამ, სუ-
როთმოდვრებამ, ხერობამ და ლითონის და-
მუშაებამ, მათემატიკურმა ცოდნამ, ასტრონო-
მიამ, კალენდარმა, გეგმიანმა სოფლის მეურ-
ნობამ — უფრო შორეული სამხრეთის ტომებ-
შიც დაიწყო შეღწევა. მათთან ეს უველაფერი
ეგვიპტის მასულდგმულზელი ნაკადის — დიდი
მდინარის გზით მივიდა. მაგრამ სამხრეთის ხალ-
ხები ალბათ უფრო გამობრძმედილები იყვნენ.
საარსებო საშუალებები მათ ბრჭყალებით უნდა
გამოეგლიჯათ უდაბნოს ფრიალო კლდეებს შო-
რის მოქცეული ვიწრო ნოყიერი ზოლისათვის.
მათს არც ისე შორეულ წინაპრებს ხრიკი მი-
წების გადალახვა მოუხდათ, რათა აღმოსავლე-
თით, მდინარე ნილოსის პირას ეპოვათ თა-
ვიანთი ნავსაყუდელი. სწორედ ისევე, როგორც
ათასობით წლების შემდეგ იუდეველმა მომთა-
ბარებებმა ბოლოსდაბოლოს მიაღწიეს იუდეის

ქვეყანას და სცნეს იგი „მიწად, სადაც რძისა
და თაფლის მდინარეები მოედინება“. თავდა-
პირველად ალბათ დამოუკიდებელი ტომები ხე-
ობის გასწვრივ იყვნენ გაბნეულნი და უოველ
მათგანს საკუთარი ბელადი და ღვთაება ჰყავდა.
ამ ძველთაძველი ტომბრუნველყოფის კვალი
ისტორიულ ეპოქაში შემორჩენილია კი,
როცა ეგვიპტე დამოუკიდებელი სამეფო გახ-
და და მას ერთი მონარქი მართავდა, ქვეყანა
დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულე-
ბად—პროვინციებად. ამ პროვინციებს ბერძნები
„ნომებს“ ეძახდნენ; თითოეულ მათგანს თავისი
ოლქის მმართველი ჰყავდა, და მასთან ერთად
კიდევ მოსამსახურეთა შტატი, რომელნიც ჩვენ
სახელმწიფო წონეღეთა სახელით შეიძლება
მოვიხსენიოთ, ეს სამხრეთელი ტომები ეთნი-
კურად დაკავშირებული იყვნენ აღმოსავლეთ
აფრიკაში მცხოვრებ თანამედროვე გალასა და
სომალის რასებთან.

ისინი და მათი ჩრდილოელი მეზობლები
უშუალოდ ხეობაში ცხოვრობდნენ. მათი სად-
გომები ალბათ ნილოსის შლამით შეღვსილი
ღერწმის უბრალო ქოხები იყო. ისეთივე, რო-
გორებსაც დღეს თესვისა და მკის დროს სე-
ზონურად აშენებენ თანამედროვე ფელაქები.
სერ ფლინდერს პეტრი, რომლის „ძველი ეგვი-
პტის სოციალური ყოფა“ ინფორმაციის უვე-
ლაზე ღირებული წყაროა, ვარაუდობდა, რომ
პრედინასტიული ეპოქის ბელადებს თავდაპირ-
ველად უნდა ჰქონოდათ გადასატანი ხის სახ-
ლები, რომლებსაც ალბათ გაზაფხულზე ხეო-
ბაში ჩაიტანდნენ და მწვემსების ღერწმის ქო-
ხებს შორის ჩადგამდნენ. მირე კი, როცა
წყალი აღიდდებოდა, უდაბნოს პლატოზე აიტან-
დნენ. იგი წერს:

„დაახლოებით 12-დან 14-მდე დუიმის
სიგანისა და 8-დან 7-მდე ფუტის სიმაღლის
ფიცრები, ერთმანეთზე ისე გადადებული, რომ
ძანელებისგან ჩონჩხი გამოსულიყო. ვერტი-
კალურად იდგმებოდა. ამ ჩონჩხზე მკიდროდ
იყო დამაგრებული სახურავი, მაგრამ მას წინ
და უკან სრიალის საშუალება ჰქონდა, რადგან
ღამის ნესტისა და სიროკოსი გაუღენით ხე ხან
იკუმშებოდა და ხან ფართოვდებოდა. ამ
სახლებს უოველი კედლის გასწვრივ კარები
ჰქონდათ, რათა თბილ და წყნარ ამინდში შეგ
უნდად შესულიყო მკერი. ამ კარების შიგნით

1 სიროკო (იტალ. sirocco) — ცხელი ქარი,
რომელიც ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე მდუ-
პარე ქვეყნებში (ჩრდ. აფრიკაში, იტალიაში,
სიცილიაში და ა. შ.) ქრის და დამლუმველად
მოქნედებს ცხოველებსა და მცენარეებზე
(ნათარგმნელის შენიშვნა).

წინკარი იყო დაგეგმილი ისე, რომ ყოველ მათგანს შორის დატოვებული იყო დასაძინებელი ადგილები. სადაც ბელადის ამაღლას შეეძლო დარბაზის გარშემო დაცვა დაეყენებინა. ასეთი სახის სახლებსა შთააგონებს ეგვიპტელები, გარდაცვლილი ბელადის „საუკუნო სახლი“ გარედან პაპირისაგან გაკეთებული პანელებით მოეპირკეთებინათ. ეს იყო მოდელი, რომელიც ეგვიპტურ არქიტექტურას მეთვრამეტე დინასტიამდე (ძვ. წ. 1550—1350 წწ.) შემორჩა (კურსივი ჩემია, ლ. კ.).

ზოგი არქეოლოგი მაინც შეედავა პეტრის ამ მოსაზრებას. მაგალითად, დოქტორი ფრანკ-ფორტი ამტკიცებს, რომ ამის მსგავსი აგურის ნაგებობანი არსებობდა ჯემდეტ ნასრში (მუსოპოტამია), რომ აგრეთვე ეგვიპტური შენობებიც იმავე მუსოპოტამიური ტრადიციიდან მომდინარეობს, და რომ არ არსებობს დამაჯერებელი საბუთი იმისა, რომ ისინი სათავეს ხის ნაგებობებიდან იღებენ.

ასეთი სახლების სახურავები ალბათ ერთად შეკრული ლერწმის ღეროებისაგან გაკეთებულ ბოძებზე იყო დაყრდნობილი, ზოგ შემთხვევაში კი ლერწმის მაგივრად ველური მცენარეების სხვილ ღეროებს იყენებდნენ, ასეთი იყო მ.გალითად heracleum giganteum, რომელსაც რადარული ღერო ჰქონდა. (ამის გახსენება დაგვიჭირდება, როდესაც ეგვიპტეში პირველი ქვის ნაგებობების შესწავლას დავიწყებთ). უფრო მტკიცე შენობების ქერს პალმის მორებისაგან აკეთებდნენ. ქვით მშენებლობაში ამანც ჰპოვა ანაზვა ისტორიულ პერიოდში. საბოლოოდ შემოდებულ იქნა ანჯამებზე ჩამოკიდებული კარები, თუმცა ზოგი შენობის შესასვლელებში მხოლოდ და მხოლოდ ლერწმის ღეროებისაგან დაწნული კილოები ეკიდა. როგორებიც ზოგიერთ აღმოსავლურ სოფელში დღესაც გვხვდება. ეს კილოები, როცა აღარ სჭირდებოდათ, შეეძლოთ დაეხვიათ და მალა აეკეცათ. ყველა ეს ნაკლებად გამძლე მასალა, რასაკვირველია, განადგურდა; მათი ოდინდელი არსებობა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ უფრო მოგვიანო ხანის ეგვიპტურ სამარხებში შემონახული ქვითა და შორენკეცებით შესრულებული იმიტაციის მიხედვით.

ჩრდილოეთით, იმ ადგილს მიღმა, საიდანაც წყალმოკარბებული ნილოსი დელტად იშლება, სხვა უფრო მაღალგანვითარებული ხალხები ცხოვრობდნენ. სამხრეთელებს კონტაქტი ჰქონდათ დელტაში მცხოვრებ ამ ხალხთან. ისინი ხედავდნენ მათ გემებს, როგორც ნაოსნობისას, ისე ნავსადგურში სავაჭროდ შესულებს. არქეოლოგებმა ზემო ეგვიპტის ადრეპრედინასტიულ სამარხებშიაც კი იპოვეს თხის ნაწარმი,

რომელიც უხეშად იყო მოხატული დელტის პროვინციების მოფრიალე დროშებით დამზადებული გემების სურათებით—საიხის გადაჯვარედინებული ისრებით, მარიუტის ტბის ბარჯილა და სხვ. დროთა განმავლობაში ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხალხების კულტურა ერთმანეთს შეერია. ალბათ შეითვისეს ერთმანეთის ტექნიკა, მოხდა იდეების გაცვლა-გამოცვლა.

ზღვიდან რამდენიმე ასეული მილის დაშორებით ნილოსზე ნაოსნობა უდიდესი გემებითაც კი შეიძლებოდა. მაგრამ სწორედ კუნძულ ელეფანტინის (თანამედროვე ასუანთან) მიღმა პირველი ჩანჩქერი ღობავს გზას; მდინარე სწრაფად მიქუხს მაღალ ციცაბო კლდეებს შორის და შერე რიყის ქვებით ჩახერგილი ქორომებით ბრკოლდება. აქ იქმნება ბუნებრივი საზღვარი ეგვიპტესა და ნუბიას (სუდანს) შორის. ნუბია იყო ქვეყანა ნეგროიდული რასის ხალხებისა. რომლებსაც ეგვიპტელები თავიანთი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ხშირად ეომებოდნენ. ეს იყო საიდუმლოებით მოცული მიწა. იგი სწორედ ისევე მოუხმობდა სახიფათო თავგახავლების მაძიებლებს, როგორც ახ. წ. მთექვსმეტე საუკუნეში ატლანტის ოკეანე—ევროპელ მეზღვაურებს. ეს საკმაოდ ზუსტი პარალელია. ევროპელი ზღვაოსნები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ატლანტის ოკეანის იქით ქვეყნიერების დასასრული იყო. ეგვიპტის საზღვრებს გადაღმაც იგივე რისკი იყო მოსალოდნელი, — ვინ იცოდა, სადა ჰქონდა დიდ მდინარეს თავისი ქოჭოხეთისმიერი სათავე? მაგრამ, თუ რისკი დიდი იყო, საზღაური რისკს აღემატებოდა. დედოფალ ელიზაბეტის აღმირალებმა ამერიკიდან ოქრო ჩამოიტანეს; სენუსრეტი და თუთმოსი სპილოს ძვლით, შირაფებით, სირაქლეშებითა და მონებით დატვირთულნი დაბრუნდნენ. რომელიღაც ფარაონის მხედართუფროსმა თავისი ხელმწიფე ბატონის გასამხიარულებლად თან ერთი ჯუჯაც კი ჩამოიყვანა.

უამრავი საბუთი არსებობს იმისა, რომ ნუბიასთან ურთიერთობა პრეისტორიული ეპოქის ეგვიპტელებსაც კი ჰქონდათ. ისინი იქ სპილოს ძვლის შესაძენად მიდიოდნენ. ხოლო ელეფანტინის საკულტო საგანი პრედინასტიული ეპოქის სხვა ნიშნებთან ერთად გვხვდება კლდეებზე ასუანის ქვემოთ. ისინი სულ მცირე ხუთი ათასი წელია, უავისფერი პატინით არიან დაფარული.

დელტის ტერიტორიაზეც და სამხრეთ პროვინციებშიც უნდა ყოფილიყო ტომთაშორისი

1 პატინა — მწვანე აპტი, რომელიც ჩნდება სპილენძზე ან ბრინჯაოზე ნოტიო ჰაერის ხანგრძლივი შემოქნედებისაგან (ჰთარგმნელას შენიშვნა).

ომები. ზოგჯერ სხვებზე უფრო ძლიერი და გამკრიახი რომელიმე ბელადი მტრის დასაძლევად თავისი მეზობლების გაერთიანებას მოახერხებდა. გაერთიანებები თავდაპირველად საომარი თავდასხმის ან თავდაცვის მიზნით იქმნებოდა, მაგრამ ამას ალბათ მშვიდობიანობის პირობებში თავისი არაპირდაპირი შედეგებიც მოჰყვებოდა ვაჭრობის განვითარების ან რესურსების გაერთიანების სახით.

ამ ხალხების ცხოვრებაში არსებობდა ერთი მუდმივი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა ასეთ გაერთიანებას, — ეს გახლდათ ნილოსი, რომელზეც დამოკიდებული იყო ყოველი მათგანის არსებობა. ნილოსი წარმოადგენდა მათთვის მიმოსვლის მთავარ საშუალებას; მისი ყოველწლიური ადიდება ნიადაგს ანოყიერებდა და საშუალებას აძლევდა მათ წლითწლივით ეთესათ პურეული, მოემკათ მოსავალი და არ დასჭირვებოდათ ახალი მიწის ძებნა. მათს საზოგადოებაში გაჩნდა ისეთ ადამიანთა კლასი, რომელნიც თავისუფალნი იყვნენ ხელით შრომის მძიმე ტვირთისაგან, და რომელთაც, ამავე დროს, უზრუნველყოფდნენ იმ კარბი მარცვლეულით, ნიადაგის ნოყიერება რომ იძლეოდა. ესენი გახდნენ ქურუმები — ბრძენი ხალხი — ძველი მხოფლიოს მეცნიერები და ტიქნიკოსები, რასაკვირველია, ყოველთვის აუცილებელი იყო მომადლიერება ღმერთებისა, რომლებიც ადამიანთა სიცოცხლეს განაგებდნენ და ვის ნება-სურვილზეც იყო დამოკიდებული, „კარგი“ იქნებოდა ნილოსი და უხვ მოსავლს მოუტანდათ, თუ „ცუდი“ და შიმშილობას ან დამანგრეველ წყალდიდობებს მოუვლენდათ. თავიანთი ცემა, მსხვერპლშეწირვა, გულის მოგება ყოველთვის აუცილებელი იყო...

ცივილიზებულ საზოგადოებად ეგვიპტელები „ნილოსის ძღვენმა“ კი არ აქცია, არამედ იმ გარემოებამ, რომ ზოგჯერ იგი ამ ძღვენზე მათ უარს ეუბნებოდა. შეიძლება იმდენი არ იქნებოდა, რომ აბისინიის შორეული მთებიდან მდინარეს საკმაოდ ჩამოეტანა გამანოყიერებელი შლამი. მეორეს მხრივ, ხშირი წვიმა გამოიწვევდა წყალდიდობებს. რაც მდინარის დონეს ძალიან ასწევდა, წალექავდა სოფლებს და ადამიანებსა და პირუტყვს დაახრჩობდა.

„ნილოსის ყოველწლიური ადიდება“, — წერდა პროფესორი ვლენვილი, — არის გასაღები სოფლის მეურნეობის მარცხისა თუ წარმატებისა. უმეტესწილად ამ ფაქტიდან მომდინარეობს ყოველივეს ის, რაც ძველი ეგვიპტის ცივილიზაციისათვის არის დამახასიათებელი, — დაწყებული მთავრობის ცენტრალიზებული კონტროლიდან და გლეხის კონსერვატიული ხასიათით დამთავრებული“.

ბრძენი ადამიანები წლიდან წლამდე ზედმიწევნით თანმიმდევრულად შეისწავლიდნენ მდინარის ცვალებადობის მომხრავებელ ნიშნებს და ამ მოვლენის წინასწარგანტვირჭვას. მაგალითად, მათ შეამჩნიეს რომ წლის მატება ვარსკვლავთა გარკვეულ განლაგებას ემთხვეოდა. უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში მზე, მთვარე და ვარსკვლავები თუ ხშირად არა ჩანს, ეგვიპტეში ისინი თითქმის ყოველთვის ხილულნი; შესაძლებელი ხდებოდა პლანეტებისა და ვარსკვლავების მარადიულ და უცვლელ მოძრაობაზე დაკვირვება და მათი შესწავლა.

სწორედ ეს იყო ის მიზეზი, რამაც ეგვიპტური მეცნიერება მიიყვანა, შეიძლება ითქვას, მის უდადეს აღმოჩენამდე — მზის კალენდრის გამოგონებამდე.

ეს უძველესი ეგვიპტური კალენდარი რომში იფიქსირეს კეისრის მიერ იქნა შემოღებული. მან აწორად განსაჯა, რომ სახმარად ეს უველაზე პრაქტიკულია და მოხანერხებელი კალენდარი იყო, რომელიც საგანგებოდ ჩვენამდე რომ მოაღწია.

ქურუმ-სპეციალისტებს ბქონდათ უნარი წინასწარ შეეტყუათ ნილოსის ადიდების დრო, გამოეთვალათ მისი დონის აწევის სიდიდე და აქედან გამომდინარე, ეანგარიშათ, როგორი მოსავალი იყო მოსალოდნელი, რასაც ძალიან უნდა აემაღლებინა მათი ავტორიტეტი ხალხის თვალში, და რადგანაც ექვს გარეშეა, რომ თავიანთ საიდუმლოებებს ისინი გულმოდგინედ იცავდნენ, ალბათ ხელთ დიდი ძალაუფლება ეპყრათ. ეს მზარდი ინტელექტუალური კლასი, რომელიც მშრომელთა მძიმე შრომით საზრდოობდა, გარკვეულწილად შეიძლება პარაზიტული იყო, მაგრამ მან განაპირობა საინჟინრო ხელოვნებისა და მათემატიკის დიდი განვითარება, საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური ორგანიზება, რაზეც დაეფუძნა ძველი სამეფოს ცივილიზაცია. სწორედ ამ ადამიანებმა ასწავლეს ეგვიპტელებს, როგორ დაეგროვებინათ წყლის მარაგი ჭებირებისა და სარწყავი არხების საშუალებით, როგორ ესარგებლათ ზომა-წონის საზომ ერთეულთა სისტემით.—ქე. წ. 3000 წელს არსებობდა ათობიანი სისტემა. ისე რომ მათ შეეძლოთ ზუსტად გამოენგარიშებინათ თავიანთი ჯოგებისა და მარცვლეულის შემოსავლის რაოდენობა, კვლავ გაეზომათ და დაენაწილებინათ თავიანთი მიწა მას შემდეგ, რაც წყალდიდობა ხილულ მიწებს წალექავდა. ამგვარად, განვითარება გეომეტრიისა, რომელმაც საბოლოოდ შესაძლებელი გახდა პირამიდების, ტაძრებისა და სამარხების პროექტირება და აგება, საბოლოო ანგარიშით ისევ იმ ორი მუდმივი ფაქტორის — ეგვიპტის უღრუბლო ცისა და

ნილოსის ყოველწლიური აღიდების შედეგი იყო. ყველა ამ ხელოვნებასა და მეცნიერებას მკაცრად განსაზღვრული პრაქტიკული მიზანი ჰქონდა; იგივე ითქმის დამწერლობაზეც — ეგვიპტურ გამოგონებათაგან ყველაზე უდიდეს გამოგონებაზე. როდესაც ადამიანებმა პირველად მიაღწიეს ინფორმაციის და ნოგვიანებით, აზრთა გადაცემის საშუალებას პირადი კონტაქტის გარეშე, გადაიშალა ახალი თავი კაცობრიობის ისტორიისა. ეს წინ გადადგმული ნაბიჯები კი არა, ნახტომი იყო, რომელთანაც უმავთულო ტელეგრაფის გამოგონების გარდა არავითარი მავალითის შედარება არ შეიძლება დღეს, როცა ხუთი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანებმა წერა-კითხვის გამოყენება დაიწყეს, თითქმის შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სამყარო, რომელშიც გონებრივი ურთიერთობის ერთადერთი საშუალება ადამიანის ხმა იყო. და მაინც, ასეთი იყო ადამიანის მდგომარეობა ასეულ ათასობით წლების მანძილზე. დღეს (თუ მომიტევებთ ამ პატარა პირად ილუსტრაციას) ლონდონში ჰემსტედ პითზე მივდივართ და ეცდილობდი გონებაში დამგლაგებინა ის აზრები, რომლებიც წიგნის ამ თავში მინდოდა გადმოშეცა. ექვსიათასი წლის წინ მე შევძლებდი ისინი მეგობართა ჯგუფისათვის ან დიდი-დიდი რამდენიმე ასეული კაცის საკრებულოსათვის მეცნობებინა. იმ ხალხს შეეძლო ისინი სხვებისათვის გადაეცათ და მათ თავის მხრივ კიდევ სხვათათვის, მაგრამ მოკლე დროში ჩემი თავდაპირველი ჩანაფიქრი შეიძლებოდა ისე დამახინჯებულიყო, რომ სრულიად შეუძლებელი გამხდარიყო მისი ცნობა. ხოლო ქალაქის ფურცელზე წერისას სულ რაღაც ოცდაექვსი პატარა ნიშანს თუ გამოვიყენებ, მე შემიძლია საშუალება მივცე ჩემგან დროსა და სივრცეში უზარმაზარი მანძილით დაშორებულ სხვა ადამიანთა გონებებს, შემოვიდნენ უშუალო კონტაქტში ჩემს გონებასთან. ეს ჩემს შემთხვევაში უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ მას დიდმნიშვნელოვანი შედეგი

მოჰყვებოდა, თუკი ჩემს ადგილას გალილეო ან ნიუტონი იქნებოდა.

იმ ოცდაექვსი ნიშანს ჩვენ რომაელებს უნდა ვუმაღლოდეთ. მაგრამ მათ ისინი ბერძენებისაგან გადაიკეთეს, რომლებიც უფრო მეტი თავიანთი დამწერლობის სისტემისაკენ მივირთვინებდით, ფინიკელებს დაესესხნენ. ფინიკელებმა, ზოგი მეცნიერის აზრით, უფრო რთული ეგვიპტური დამწერლობა „დაამრგვალეს“ მარტივ ანბანად, რათა გაეადვილებინათ თავიანთი სავაჭრო გარიგებები. ამგვარად, ყოველდღე რომ ვკითხულობთ ჩვენს წიგნებსა და გაზეთებში, იმ ნიშნების შორეული წინაპრების პრიმიტიული პიქტოგრაფიული ნიშნები იყო, რომლებიც ნილოსის დელტის მცხოვრებლებმა დაახლოებით ექვსიათასი წლის წინათ გამოიგონეს. თუმცა ზოგიერთი ავტორიტეტი იმ აზრამდე მიდის, რომ შესაძლებელია, ანბანი პალესტინური გამოგონება იყო, რომელიც იეროგლიფებიდან წარმოიშვა.

იმის ასახსნელად, თუ როგორ და რატომ გამოიგონეს ანბანი, ამავე ზომის რამდენიმე წიგნი დაგვირდებოდა. დამწერლობის სხვა სისტემების მსგავსად ისიც „სურათოვანი წერის“ ფორმით დაიწყო, რომელიც საკმაოდ კარგად მიესადაგებოდა დამწერის წარმოსახვას. მაგრამ ამ ნაწერის წამკითხველს გაუჭირდებოდა სასურველი აზრის გაგება. თავის შესანიშნავ წიგნში „ძველ ეგვიპტელთა ლიტერატურა“ ადოლფ ერმანს ეს მარტივი ილუსტრაცია მოჰყავს: „თუ ორი ადამიანი შეთანხმდება, რომ ერთი მათგანი სეორეს სამი თვის ვადით ერთ ხარს ათხოვებს, მისი საზღაურიც მეორემ ხუთი ქოთანი თაფლით უნდა გადაუხადოს, მთვარის, ხარის, ფუტყრისა და ქოთნის სურათები ციფრების გამომხატველ პატარა ხაზებთან ერთად ორივესათვის სრულიად საკმარისია მათი გარიგების მისანიშნებლად, — მაგრამ ვინმე მესამე ვერასოდეს შესძლებდა დანამდვილებით აეხსნა ამ სურათების მნიშვნელობა. ამიტომაც უნდა განეცადა ამ თავდაპირველ მონახაზებს მნიშვნელოვანი განვითარება. ცალკეულმა ხალხებმა სიტყვებისა და მარცვლების ჩაწერის ათასწიური ხერხი გამოიგონეს, მაგრამ მხოლოდ ეგვიპტელებს ხვდათ წილად გამოემუშავებინათ შესანიშნავი მეთოდი, რომლის გამოყენებით მათ მიაღწიეს დამწერლობის უმაღლეს ფორმას — ანბანს“.

სურათოვანი დამწერლობა გამოდგებოდა მანამ, სანამ ეგვიპტელს მხოლოდ კონკრეტული ხაზების — მზის, ჩიტის, ხოჭოს, სახლის გამოსახვა უნდოდა. სიძნელე წამოიჭრა მაშინ, როდესაც მან ისეთი სიტყვების დაწერა მოინდომა, რომელთა დახატვა სიმბოლოთა სისტემის სირ-

1 ინგლისურ ალფაბეტში 26 ასოა.
 2 პიქტოგრაფია — (ლათ. piectus — სიღვრებით ნაწერი, დახატული — ბერძ. grapho — ეწერ) „სურათოვანი წერა“ — საგანთა, მოვლენათა და მოქმედებათა გამოსახვა პირობითი ნიშნების მეშვეობით, რომლებსაც ჯერ არ შეუღწეიათ მყარი, მუდმივი მნიშვნელობა. იგი დამწერლობის ერთ-ერთი წინა სახეობაა; დღემდე გავრცელებულია ანბანური დამწერლობის არმქონე ჩამორჩენილ ხალხებში (მთარგმნელის შენიშვნა).

გურები არიან და ორდენებსა და მედლებს ღებულობენ, ამათ იქნება პარალელების ძებნა მათსა და ძველი ეგვიპტის გამაერთიანებელ მეზრძოლ ბელადებს შორის. ამ პარალელების მოსაძებნად უნდა შევიხსნავლოთ განგსტერთა სამუარო—თანამედროვე საზოგადოების ანარქიული ქვედაფენა. სოპოხა და ჩიკაგოს პატარა მეფეები, რომლებმაც სამართებლითა და ავტომატით შეიქმნეს საკუთარი იმპერიები, არიან ნილოსის ველის ტომთა ბელადების სულიერი შთამომავალნი. მეტოქეებთან საბრძოლველად განგსტერი იყენებს თანამედროვე მეცნიერების შესაძლებლობებს: ცეცხლსასროლ იარაღს, ძლიერ ფეთქებად ნივთიერებებს, კანკვეშა ინექციებს, თუკი ის მოიპოვებს უზენაეს ძალაუფლებას ისე როგორც პიტლერმა მოიპოვა, მაშინ მეცნიერების უმაღლესი მიღწევები მის განკარგულებაში გადადის, ნილოსის ველის მეომარი მბრძანებლებიც ალბათ ასევე სრულად იყენებდნენ თავიანთ სწავლულთა ტექნიკურ გამოგონებებს. თანამედროვე ავაზაკს და მის დამქაშებს მთელი რაიონი მოკრძალებული შიშით შეშუპურებს, ისინი კი „მფარველობის ფულს“ სწოვენ მსდალ ვაჭრებს, რომელთაც უნდათ სწვიდობიანად წარმართონ თავიანთი ბიზნესი. დაიპურობდნენ რა მეზობლად მცხოვრებ ტომს, ეგვიპტელები მათ ხელშეუხებლობას აღუთქვამდნენ. სამავიეროდ კი სწოვდნენ ხარკს მარცვლეულსა და პირუტყვის ხაზით. მეტოქე განგსტერებს ტერიტორიის ერთპიროვნული კონტროლისათვის ბრძოლა ბოლოსდე მიჰყავთ. ასევე ებრძოდნენ ერთმანეთს ეგვიპტელი ბელადები ავლადიდების ერთპიროვნული ფლობისათვის.

ასეთი ადამიანები თავის გარშემო აუცილებლად შემოიკრებდნენ ხელქვეითებს, რომლებიც მათ დაემორჩილებოდნენ და მათ ბრძანებებს შეასრულებდნენ, ხოლო ტომების ურთიერთშეტაკებისას განვითარდებოდა საომარი ტექნიკა, გაუმჯობესდებოდა იარაღი და დაიხვეწებოდა ტაქტიკა. ძველ სამეფოში (ძვ. წ. 2780—2100 წწ.) ჭარბი უკვე ერთგვაროვანი იარაღით იყო აღჭურვილი. შემოღებული იყო მწყობრი ნაბიჯით სვლა. ველურებს არა აქვთ ასეთი საბრძოლო წესრიგი, — ცხადია. ვიდრე ამ დონემდე მივიდოდა, საომარ ხელოვნებას განვითარების ხანგრძლივი პერიოდი უნდა გაეცლო.

საბოლოოდ ორმა ბელადმა მიაღწია უპირატესობას — ესენი იყვნენ ჩრდილოეთისა და სამხრეთის გამგებლები. თითოეულ მათგანს ჰყავდა რიცხვმრავალი ხელქვეითი ტომის მმართველთა სახით. ამ უკანასკნელთ ევალდებოდათ ომის დროს მეფის თანადგომა, რის სანაცვლოდაც მინიჭებული ჰქონდათ უფ-

ლება ცალკეული პროვინციების მართვისა. მაგრამ უეჭველად უნდა დასდგარიყო ისეთი დრო, როცა ეს ორი სამეფო ერთმანეთს შეეჯახებოდა. ალბათ რამდენიმე ასეთი ომი მოხდა, სადამ სამხრეთის მეფემ საბოლოოდ იზეიმა გამარჯვება. ის ფაქტიურად გამარჯვება საბოლოოდ სამხრეთელებს დარჩათ, თავისთავად მეტად ნიშანდობლივია. ჩვენთვის ცნობილია, რომ ჩრდილოეთის ცივილიზაცია სამხრეთისაზე ვაცილებით უფრო ადრე განვითარდა; ისტორიის შემდგომი მაგალითები ნათელყოფენ, რომ მეტად ცივილიზებული ხალხი ხშირად თავისი ხეობა სეზობლების მსხვერპლი ხდება. ასეთი სიტუაცია კი ადვილად შეიძლება შექმნილიყო დელტაში, რომლის მცხოვრებთაც ფართოდ გაშლილი ნოყიერი მიწები ეკავათ, ნასუქი პირუტყვის უზარმაზარი ჯოგები ჰყავდათ და ბარაქიან მოსავალს ღებულობდნენ.

ზემო ეგვიპტის ხალხებისათვის, რომელთაც ვიწრო ხეობაში მომწყვდებული მოსახლეობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, ქვემო ეგვიპტის მიწა მარადიული ცთუნება უნდა უოფილიყო. როცა წერილობით ისტორიას აღწდება ფარდა, გამოჩნდება სამხრეთის ბელადი ნარმერი (ანუ ნენესი, როგორც მას გვიანი ბერძნები მოიხსენიებდნენ). იგი ტრიუმფალური სვლით მიემართება და ბოლოს საისში, დელტის დელტაქალაქში მოვა. იერაკონპოლისში ჯ. ე. ქუიბელმა აღმოაჩინა საზეიმო ცერემონიალის ამსახველი დიდი პალიტრა, რომელთაც ხოტბა ჰქონდა შესხმული ამ ტრიუმფს. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი კაცობრიობის ისტორიაში. მასზე გამოსახულია ძლევამოსილი მეფე, რომელიც ამარცხებს ჩრდილოეთის ბელადს; პალიტრის მეორე მხარეზე კი ვხედავთ დღესასწაულის სცენას დიდ ნავსადგურში. ეს ნავსადგური ალბათ ნილოსის იმ განშტოების ახლოს მდებარეობდა, რომელზედაც გაშენებული იყო ქალაქი კანოპი.

ამ დაპურობის მეორე დირსშესანიშნავი რელიქვია არის მენესის საბელგანთქმული კვერთხის თავი, რომელიც ახლა ოქსფორდის ეშმოულინის მუზეუმში¹ არის დაცული. პრაქტიკულად ყველაფერს, რაც კი ვიცით სამხედრო ბელადის შესახებ, რომლის წარმატებები კარლოს დიდის წარმატებებს შეიძლება გაუტოლდეს, მოგვითხრობენ სპილოს ძვლის ამ ნივთზე ამოკვეთილი სურათები. ჩვენ არაფერი ვიცით მის გარეგნობაზე, პიროვნებაზე, ბიოგრაფიაზე. ქურუმთა

¹ მუზეუმი ოქსფორდის უნივერსიტეტში, დაარსებული ანტიკვარო ელაის ეშმოულინის მიერ 1583 წელს (რედაქტორის შენიშვნა).

ჩანაწერები, რომელთა მიხედვითაც სამი ათასი წლის შემდეგ მანეთონმა მეფეთა სია შეადგინა, უბრალოდ გადმოგვცემს, რომ იგი იყო პირველი მეფე, რომელიც გაერთიანებულ ეგვიპტეს მართავდა და 1 დინასტია დააარსა. დანგრეული სამარხი აბიდოსში, რომელიც ხავარაუდია, რომ მისი იყო, გათხრილ იქნა ჯერ ამელინოს, მოგვიანებით კი პეტრის მიერ. რაც შეეხება დანარჩენს, არსებობს მხოლოდ ხსენებული საზეიმო პალიტრა და კვერთხის თავი, რომელზედაც გამოსახულია საისის წითელი გვირგვინით (დაპყრობილი ქვემო ეგვიპტის მფლობელობის სიმბოლო) თავშემკული მენესი. და რომლის წარწერაში უკვდავყოფილია ფაქტი, რომ მან ხელში ჩაიგდო 120.00 ტყვე 400.000 ხარი და 1.422.00 თხა.

„ხარებისა და თხების ეს უზარმაზარი რაოდენობა ნათლად მოწმობს“, — წერს ნიუბერი, — ჩრდილო-დასავლეთ დელტისა და მის დასავლეთით მდებარე რაიონის (ტეჰენუს მიწის) საზღვრებში მოქცეული უნდა ყოფილიყო ვრცელი საძოვრები“.

ფიქალის პალიტრა (იგი ახლა ქაიროს მუზეუმში ინახება) გადმოგვცემს, რომ მენესმა დაიპყრო ტეჰენუს მიწის ხალხი. ეს სახელწოდება „ზეთისხილის მიწას“ ნიშნავს, — უფრო ადრეულ, პრედინასტიულ პალიტრაზე გამოსახულია ზეთისხილის ხეების სურათი და გვერდით ეს სახელი უწერია.

კვერთხის თავზე ამოკვეთილ სხვა სურათებზე ჩანს მკვიდროდ მორგებულ გრძელ სამოსში გამოწყობილი დამპყრობელი. მას ცალ ხელში უჭირავს ე. წ. „საცხეველი“, — სამეფო ძალაუფლების ერთ-ერთი სიმბოლო ისტორიულ ეპოქაში.¹ მის უკან მოხელეთა ჯგუფი გამწკრივებულია. აქეთ-იქიდან კი ორი მარაოს დამნიავებული უდგას. წინ, ტახტრევეანში ზის მის მი-

ერ დაპყრობილი ქვეყნის მეფის ასული. მეფის ასულის უკან მოჩანს გაქცეული ადამიანების ფიგურები. ეს არის „ეგვიპტური სედის“ დღესასწაულის ყველაზე ადრინდელი გამოსახულება. „სედის“ დღესასწაული აღიწერა წარმოშობისა ჩანს და ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე ყველგან ფიგურირებს სამეფო წარწერებში. ამ დღესასწაულის დროს ეწყობოდა მეფის სახილცხლო ძალთა განახლების ცერემონიალი. თავდაპირველად ეს ზეიმი ყოველ ოცდაათ წელიწადში ერთხელ, ხოლო მოგვიანებით უფრო ხშირად ტარდებოდა ხოლმე.

მეფის ასულის ფიგურა შეიძლება საქორწინო დღესასწაულს აღნიშნავდეს. ჩვენ ვიცით, რომ გვიან პერიოდში ფარაონს შეეძლო ქვეყანა ემართა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ტახტის მემკვიდრე ქალზე დაქორწინდებოდა. შესაძლებელია ადრეულ პერიოდშიაც ასევე ყოფილიყო. იმავეთვე აღბათ დამპყრობელი თავისი დამარცხებული მეტოქის ასულზე იმისათვის დაქორწინდა, რომ ტახტზე თავისი უფლება დაემკვიდრებინა.

ზის ორი ქვეყნის ტახტზე მენესი, გამგებელი ვაერთიანებული სამეფოსი, წინამორბედი მეფეთა გრძელი რიგისა. აქედან მოყოლებული, სამეფო ტიტულის მატარებელი პირის სახელი ყოველთვის უნდა შეიცავდეს ფრაზას „მეუფე ორი ქვეყნისა“. მოდით, ახლა დავტოვოთ ეგვიპტე და თვალი გადავაკლოთ, თუ რა ხდებოდა იმავე პერიოდში ქვემო ევფრატის ნაპირებზე.

თავი მეოთხე

ორი მდინარე

„თქვა უფალმა: მიწის პირისაგან აღგვი აღამიანს, რომელიც შეეკმენი, ადამიანიდან დაწყებული პირუტყვამდე, ქვეწარმავლამდე, ცის ფრინველამდე, რადგან ვნანობ რომ გავაჩინე...“
„შვიდი დღის შემდეგ მოვიდა წარღვნა ქვეყნად“...

„ორმოც დღეს იყო წარღვნა ქვეყანაზე. აღიღდა წყალი და ახწია კიდობანი, მოექცა იგი მიწას ზემოთ“.

„გაძლიერდა წყალი და მეტისმეტად აღიღდა ქვეყნად. და გატურდა კიდობანი წყლის ზედაპირზე“.¹

¹ დაბადება VI, 7; VII, 10, 17, 18.

1. ეროვნულ ნიუბერამ ამ წიგნის ავტორს უთხრა რომ ე. წ. „საცხეველი“ ფაქტიურად იყო „ladanisterion“-წოდებული წვეული ღვედათ, რომელსაც ხმელთაშუაზღვის პირველი მწყემსები გარკვეული ჯიშის ფისოვანი ბუჩქნარიდან ფისის მოსაგროვებლად იყენებდნენ. მას ისიც შეეძინია, რომ ახერხს, რომლებიც ასეთ ადგილებში სოფენ, წვერი ამ ფისით ეთხუბნებოდათ. იგი იმ აზრამდე მივიდა, რომ ერთ-ერთი ტომი, რომელიც აღმოსავლეთ დელტაში სახლობდა, თხია მწყემსებისაგან შედგებოდა. მათი ღვეთაებმა ანუეტა ატარებს თავსარქმელს, რომელსაც წვეილრქიანი ფორმა აქვს და ნუხვი თხის სასქესო ორგანოს მოგვაგონებს. ფარაონთა „ხელთნური წვერი“ ისევ თხასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ახე მოგვითხრო „შესაქმის“ წიგნის ავტორმა ამბავი წარღვნისა და ნოესი, რომელმაც „ყოველი მადლი წინაშე უფლისა ღმრთისა“. აქვე უნდა ითქვას, რომ ისრაელისა და იუდეის ქველთაძველი მიწები მთიანი და მწირი იყო და იქ წყალი თითქმის არსად მოიპოვებოდა. მეკადრი ზღვის უნაყოფო აუზისა და მდვრიერუს—იორდანის გარდა. შორს კი, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ტიგროსისა და ეფრატის ქვემო მუხლების გასწვრივ, მდებარეობდა შუმერი.— ბიბლიურა „შინარის მიწა“, რომელიც ჯერ კიდევ იმ დრომდე მრავალი საუკუნით ადრე ამყობდა თავისი ცივილიზაციითა და ლიტერატურით, ვიდრე აბრამი წაუძღვებოდა თავის მომთაბარეთ და აღთქმულ მიწას მიადგებოდა. შუმერი პირწმინდად ვაკე, აღუვიური დაბლობი იყო, რომელიც დროდადრო დიდი მდინარის — ეფრატის და მისი ტყუპის ცალის—ტიგროსის გამანადგურებელი ადადების მსხვერპლი ხდებოდა. ზოგჯერ იგი აღბათ იმ მიწას დაემსგავსებოდა ხოლმე, რომელაც ახლა მის სამხრეთით მდებარეობს, სპარსეთის უფრის ზევით. — დატბორილი შავი წყლის უკაცრიელი სივრცე, მეორე თავში რომ აღწერეთ.

კარგა ხნის წინ არქეოლოგებმა გათხარეს ბორცვი, რომლის ქვეშაც დამარხული იყო შუმერის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი — ნიპური, იქ მათ იპოვეს თიხის ფირფიტა. მასზე შუმერულ ენაზე დაწერილი ეპიკური პოემის ფრაგმენტები აღმოჩნდა. მოგვყავს ამ პოემის ერთ-ერთი ნაწყვეტის თარგმანი:

„ჩვენს (ბრძანებით, პილვარი, წალეკს) სალოცავ ადგილებს
 რათა მოსპოს კაცობრიობია თესლი...
 არის გადაწყვეტილება, სიტყვა (უშერთთა) საკრებულსი,
 ანუ და ენლილის მიერ ააბრძანებთ სიტყვით მის მეფობას, მმართველობას მისას (აღსასრული დაუდგება)...
 ...ყველა ქარიშხალი, უკიდურესად ძლიერი,
 შეუტევს ერთბაშად,
 იმავე დროს ნიაღვარი გადალუკავს სალოცავ ადგილებს.
 შემდეგ, შვიდი დღე (და) შვიდი ღამე
 წარღვნას მიჰქონდა ქვეყანა
 (და) უზარმაზარ წავს აქეთ-იქით ახლიდა
 დიდ წყალთა ქარიშხალი.

წინ წარმოსდგა უტუ, რომელიც უგზავნის ნათელს ზეცაში და მიწას.
 ხელსუღრამ გახსნა სარკმელი უზარმაზარო წიგნისა.
 გვირგვინ უტუმ შეგზავნა თავის მტრისთვის...
 გოლიათ ნავსი, ბიბლიური
 ხელსუღრა, შეფე ივი
 ძირს ვანერთხა უტუს წინაშე...“



სამხრეთ მესოპოტამიას ტიგროსი და ეფრატის უოველწლიურად გალილებით უფრო სეტად ტბორავდა, ვიდრე ნილოსი ეგვიპტეს. მათი ადადების წინასწარგანკვერტა კი უფრო ანული იყო, ერთბაშად წამოსულ ნიაღვრებს წინ კლდეები არ ეღობებოდა; ამიტომ წყალი დაუბრკოლებლად იშლებოდა მრავალი მილის სიგრძეზე გადაქიშულ ვაკეზე; გარდა ამისა, იმ მდინარეებში წყლის მოდიდება ნილოსთან შედარებით უფრო არათანაბარი შეაღვდებით ხდებოდა და მაინც, პარობები ამ ორ, ერთ-ერთისაგან დიდად განსხვავებულ ქვეყანაში საკმაოდ მსგავსი იყო, ორივეგან მოიპოვებოდა წყლის მუდმივი მარაგი და უოველწლიური მდენი გამანოყიერებელი შლამისა. ორივეგან მოიპოვებოდა ფრინველი და ცხოველი, რომლებზეც შეიძლება ნადირობა; იყო თევზი, თითქმის განუწყვეტლივ ანათებდა მზე და დღისით თუ ღამით ცა მოკრიალებული იყო. აღბათ არ იქნებოდა ურიგო, რწყვის საქმე უკეთ უოფილიყო მოწყობილი, მაგრამ რწყვის არსებული სისტემაც შესაძლებლობას აძლევდა ადამიანებს დიდი რაოდენობით მუდმივად დასახლებულიყვნენ მდინარის ნაპირების გასწვრივ, მოეყვანათ მარცვლეული და გაემრავლებინათ რქოსანი საქონელი. ამასთანავე მდინარის საშუალებით გაადვილებული ურთიერთობის გამო დამოუკიდებელი ჩგუფების იზოლაცია თანდათან ისპობოდა. ამიტომაც არ არის გასაკვირველი, რომ შუმერი და მისი ჩრდილოელი მეზობელი აქადი არიან ტოლძალოვანი მეთოქენი ეგვიპტისა, როგორც ცივილიზაციის სამშობლოსი.

მაგრამ არსებობდა ნაკლოვანი მხარეებიც. „ორი მდინარის მიწა“ გარე სამყაროსგან უფრო ნაკლებად არის რაიმე ზღუდით დაცული. ვიდრე ნილოსის ხეობა. იგი უოველთვის მისაწვდომი იყო დამპყრობელთათვის — მას ხან არმენიის მთიელი ხალხები ესხმოდნენ თავს რე სტეპების მომთაბარენი ავიწროვებდნენ. შეიძლება ამ მიზეზის გამო იყო, რომ შუმერისა

1 პოემის ტექსტი ქართულად თარგმნილია დედანში მოცემული ინგლისური თარგმანიდან.

ჩრდილოეთიდან, და ხანაც მის გარშემო მდებარე აქადის ცივილიზაცია ეგვიპტის ცივილიზაციასთან შედარებით ერთგვარად გვიან განვითარდა. თუმცა, არქეოლოგებმა დაამტკიცეს, რომ იმ ათასობით წლების განმავლობაში, როდესაც ნილოსის ხალხები ორი ქვეყნის გაერთიანებისაკენ ისწრაფოდნენ. — ძვ. წ. 3000 წლის წინარე პერიოდში, სამხრეთ მესოპოტამიის მდინარეთა პირას მოსახლე ხალხებმაც დიდ განვითარებას მიაღწიეს.

პირველ თავში ჩვენ აღვწერთ, თუ როგორ ისწავლეს ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ნეოლითის ხანის თვითუზრუნველყოფელმა თემებმა ორთვალა ეტლისა და სახაპალნე ცხოველების გამოყენება. ხარშებშიული გუთნითა და სამეთუნეო მორგვით ხარგებლობა. რთვისა და ქსოვის ხელოვნება, სპილენძისაგან შრომის და ხაომარი იარაღის ჩამოსხმა. ამ ტექნიკამ მიაღწია აგრეთვე ტიგრისის და ევფრატის ქვემო წელთა სანაპიროების ვასწვრივ მცხოვრებ ხალხებამდე. ისევე როგორც ეგვიპტეში, აქაც, ამ ხალხისათვისაც ადვილი იყო ურთიერთობა, თანამშრომლობა და იდუაბა გაცვლა-გამოცვლა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იყო ის, რომ მიწის ნაყოფიერებამ (მუდმივად რომ ნოყიერდებოდა დიდი მდინარეების მიერ) მოსახლეობას შესაძლებლობა მისცა ეწარმოებინა საკვების ნამეტი, ე. ი. ისეთი რაოდენობა, რომელიც არათუ საკმარისი იყო სპეციალისტთა ინტელექტუალური კლასის — ტექნიკოსთა, ასტრონომ-მათემატიკოსთა, მეცნიერ-ქურუმთა სარჩენად, — არამედ კიდევ აღემატებოდა მას. ამ ადამიანებს ეძლეოდათ დრო ფიქრისათვის. გამოგონებისათვის, რისამე შექმნისა და დაგეგმვისათვის. სწორედ ამ სწავლულებმა, და არა მშრომელთა მასებმა, ჩაუყარეს საფუძველი შუმერისა და აქადის ცივილიზაციას; ამ სწავლულებმა და მეომარმა მეფეებმა, რომლებმაც დამოუკიდებელი კლანები საბოლოოდ აიძულეს გაერთიანებულიყვნენ.

ვინ იყვნენ შუმერები და აქადელები? ეს სახელები მხოლოდ და მხოლოდ მოსახერხებელი ფილოლოგიური იარაღებია.

აქადელები, რომლებიც ამ რეგიონის ჩრდილოეთ მხარეს სახლობდნენ, მიეკუთვნებოდნენ სემიტურ რასას, მათი ენა შორეულად ენათესავებოდა ებრაელთა და არაბთა ენებს. აქადელებს კავშირი უნდა ჰქონოდათ აგრეთვე შავგვრემან ხუტუქწვერიან ჩრდილოელ ასირიელებთანაც. რომლებიც მოგვიანებით ცნობილი გახდნენ თავიანთი დაუნდობელი სისასტიკათ.

შუმერები, — თუ ვიმსჯელებთ უთვალავი ქანდაკებებითა და სტატუეტებით, რომლებიც დაქუცილი თვალებით მოგვჩვენებენ ჩვენს ნაციონალურ მუზეუმებში, ადამიანთა ძალიან განსხვავებულ რასას უნდა მისჯეტუნსოთ. ზოგნი მხიარულ კატარა ოლდერმენებს ჰგავდნენ. — მათ მრგვალი ღიპები, გრძელი, სწორი ცხვირები, ამოხურცული მუხლები და წვრილი ტუჩები ჰქონდათ. მათი ქურუმები თმასაც იპარავდნენ და წვერსაც. უემოციო, ოლდერმენისათვის დამახსიათებელი გამოხედვა ჰქონდათ, — გამოხედვა ისეთი კაცებისა, რომელთანაც შეიძლებოდა გელაპარაკათ საქმეზე, მაგრამ არა ხელოვნებაზე. არავინ იცის, რა წარმომავლობისა იყვნენ; ისინი არ უნდა ენათესავებოდნენ დედამიწაზე ცნობილ არც ერთი რასის წარმომადგენლებს.

ამ ორმა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე რასამ, — სემიტურმა და შუმერულმა, განსხვავებულმა ნილოსის ხეობის ხალხებისაგან, რომლებსაც ერთი საერთო ენა ჰქონდათ, — ძვ. წ. 3000 წლის წინარე პერიოდში, ათასი წლის მანძილზე დიდ პროგრესს მიაღწია. ერეკში. — მათს ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში, შეიძლება თვალის მივადევნოთ განვითარების ხანგრძლივ „მატიანეს“ სპილენძის ხანის სოფლიდან ბრინჯაოს ხანის ქალაქამდე. აქ „თელი“ სამოცი ფუტის სიმაღლისაა. მის ძირში საკულტო ნაგებობებია, — რომელიცაც ღვთაების სალოცავები. ზომებით ისინი სოფლის ეკლესიას არ აღემატებიან. სულ შემოთ მდებარეობს უზარმაზარი ტაძარი ზომით 245 X 100 ფუტი. იგი აგებულია ალიზითა და მზეზე გამომშრალი აგურით და აქვს მნ ფუტის სიმაღლის კოშკი. კოშკში მოთავსებულია ვიწრო საკნები და საკულტო ოთახი. კარები საზღვარგარეთიდან შემოტანილი ფიჭვისაგან არის დამზადებული.

უქვევლია, იქნებოდნენ ქურუმები, რომლებიც ამ ტაძრებს ემსახურებოდნენ. პროფ. ჩაილდი ვარაუდობს, რომ ეს ღვთისმსახურნი შეიძლება წარმოშობილიყვნენ ისეთსავე ფარულ საზოგადოებებში, როგორებიც თანამედროვე ბარბაროსულ ტომებშიც არსებობს. იმ დროისათვის, როდესაც ჩნდება პირველი ისტორიული ჩანაწერები. შუმერი ქურუმები გაერთიანებულნი არიან მუდმივ საზოგადოებებში თუ კორპორაციებში. ისე რომ, თუ რომელიმე ქურუმი მოკვდებოდა, მისი სამსახური არ წყდებოდა და სრულდებოდა მეორის მიერ.

1 ოლდერმენი — მუნიციპალიტეტის წევრს ეწოდება (მთარგმნელის შენიშვნა).

მიწა ეკუთვნოდათ ღმერთებს. ხოლო ქურუმები მათი მსახურები იყვნენ, — მათ არცთუ წამგებიანი პროფესია ჰქონდათ. ქურუმები უნდა გახდოდნენ იმ საქმეს, რომელზეც ღმერთების მამულების ნაშეტი ქონება იხარჯებოდა.

თუმცა ეს ხალხები ერთმანეთისაგან განსხვავებულნი იყვნენ, მაგრამ ერთმანეთის გვერდგვერდ თითქმის ერთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მაგალითად, შუმერთა ღმერთები აქადელთა ღმერთებიც იყვნენ; ფაქტიურად ღმერთებს სემიტური სახის ნაკვთები აქვთ. ღმერთ ელლილის ადგილსამყოფელი შუმერთა ქალაქი ნიპური იყო. მაგრამ ეს ღმერთი თანაბრად სწამდათ შუმერთაც და აქადელთაც. სხვა ქალაქები — ლაგაში, ურუქი, ურიე, ერიდუ და ლარსა, — უფრო გვიან პერიოდში ორივე თემსათვის წმინდად ითვლებოდა, თითოეულ მათგანს მკვადა თავისი ღმერთები და ქურუმები.

მაგრამ შუმერთაგან ძველი ბაბილონელებიც სწავლობდნენ; მათგან ისწავლეს, მაგალითად, დამწერლობის ხელოვნება ეგვიპტელების მკვავსად (რომლებმაც გამოიგონეს იეროგლიფური ნახატებიანი დამწერლობა), ტფროსისა და ეფრატის ქვედა წელში მცხოვრებმა ხალხებმაც, ან, უფრო ზუსტად, მათმა ქურუმებმა. მიაკვლიეს წერილობითი საბუთების შედგენის ხერხს, მაგრამ მათ ტერიტორიაზე ჰვა ძნელად იშოვებოდა, ქალაქის დასამზადებლად გამოსადევი მცენარე — პაპირუსიც არ ხარობდა იქ. ამიტომ შუმერებმა ადგილობრივ მასალაზე — გამომწვარი თიხის ცილინდრებსა და ფირფიტებზე სოლის მოყვანილობის პაწაწინა ასოებით წერას მიჰყვეს ხელი. ჩვენ მას „ლურსმულს“ ვეძახით. ეს დამწერლობა წერის სტანდარტულ ფორმად დარჩა მესოპოტამიასა და უფრო შორს, ჩრდილოეთში, ათასეული წლების მანძილზე. ამ დამწერლობას იყენებდნენ ასირიელები და ბაბილონელები და უფრო დასავლეთით მცხოვრები ხალხებიც.

ეს საბუთები, რომლებიც პირველად დაახლოებით ძვ. წ. 3300 წელს ჩნდება, წარმოადგენს ქვითრებსა და ანგარიშებს, რელიგიურ ტექსტებს, ეპიკურ პოემებს, რომლებშიც აღწერილია პირველყოფილი ღმერთები და ღმერთების მსგავსი ადამიანები; აქვია ხაერო ლიტერატურა, საკანონმდებლო ძეგლები და სამედიცინო თუ მეცნიერული ტექსტები. მათ შორისაა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი პოემა „ამბავი გილგამეშისა“, რომელიც გამორეული სულით ჰომეროსის ნაწარმოებებს უახლოვდება. ასეთია კიდევ ზემოთმოყვანილი წარღვის ამბავი. გვხვდება აგრეთვე

უფრო პრაქტიკული ძეგლებიც — იმპოტენციის წამლის რეცეპტი, სწეულების ახარებებელი შელოცვისა და გრძნეულების ტექსტი, რომ აღარაფერი ვთქვათ საკანონმდებლო საბუთებსა და სავაჭრო გარიგებათა უბრალო ჩანაწერებს. პირველი ასეთი წერილობითი ძეგლი იპოვეს მენსოპოტამიაში ნაქალაქართა გათხრისას და ექვს გარეშეა, კიდევ მეტსაც იპოვნინ. ამ ჩანაწერიდან არის მიღებული იმ ცნობების უმეტესობა, რომლებიც გაგვაჩნია შუმერისა და აქადის რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური წყობილების შესახებ. მაგრამ, ისევე როგორც ეგვიპტესა და მიკენში, დამწერლობის უძველესი ნიმუშები აქაც ანგარიშები და ქონების აღწერებია.

როგორი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ შუმერთა და აქადელთა ქალაქები? მათი გარეგნული იერის აღდგენა უფრო ძნელია, ვიდრე ნილოსის ხეობაში მდებარე დასახლებებისა, ხედაც გარემო პირობები ნაკლებად არის შეცვლილი. შუმერთა და აქადელთა მიერ აგებული არხებისა და სანაოსნო გზების დახვეწილი სისტემა უკვე დიდი ხანია რაც დაინგრა. თუმცა თვითმფრინავიდან ჰერ კიდევ გაირჩევა მათი მოხაზულობები. მაგრამ მათი წარმოდგენა შეიძლება მატერიალური ძეგლების, დოკუმენტებისა და იმ მოგზაურთა (მაგ., პეროდოტეს) ჩანაწერების მიხედვით. რომლებმაც ისტორიულ პერიოდში მოინახულეს ბაბილონეთი.

პირველად დაინახავთ მდინარეთა მთელ გაყოლებაზე, მათს ორივე მხარეს ფართოდ გადაშლილ მტვრიან ვაკეს, რომლის ზედაპირზეც კიდურამდე თვალს არაფერი ელოდება. ფართო, მღერი მდინარეების ორივე ნაპირზე ბიბინებს ზორბლის, ქერისა და სხვა მარცვლეულთა მწვანე ყანები, რომლებიც არხებითა და თხრილებით არიან დაქსელილი. მოჩანს ფინიკის პალმები, ზეთისხილის ქალები, ლეღვის ხალები და ვენახები. ზოგან მიწა დათმობილი აქვს საქორეებს, სადაც დიდი რაოდენობით ცხვარს, თხას და რქოსან პირუტყვს ამოვებენ. პეიზაჟს მოწესრიგებული შესახედობა აქვს, მიწა მზროვნულად არის დაყოფილი და განაწილებული; მასი დიდი ნაწილი ეკუთვნის ღმერთს და ქურუმებს, რომლებიც ღმერთს ემსახურებიან. დანარჩენი კი მეფისა და მის მოხელეთა საკუთრებაა. მშრომელებს, რომლებიც მიწას ამუშავებენ და საქონლის ჯოგებს უვლიან, მიწა და საქონელი არ გააჩნიათ. მათ მხოლოდ ის უნდა იკმარონ, რაც მათს გამოსაკვებად არის საჭირო. დანარჩენის უმეტესი ნაწილი იხარჯება ღვთისმსახურებაზე და სახელმწიფოზე. თუმცა ზოგი მიწები კერძო

წვდომებულა ხელშია. მწერალთა და სახელმწიფო მოხელეთა არმია აკურატულად აღგენს მიწის უოველი ნაკეთის შემოსავლის ანგარიშებს. ნამეტ მარცვლელულს აგროვებენ და ინახავენ. არსებობს გადასახადების აკრეფის კარგად დაშუშავებული სისტემა და მის გასატარებლად საჭირო სახელმწიფო მოხელეთა შტატი, რომელსაც ძალაუფლების უმაღლესი სანქცია უმაგრებს ზურგს. ხალხის ძირითადი მასები ალბათ უფრო ნაკლებად თავისუფალნი და დამოუკიდებელნი არიან, ვიდრე მათი წინაპრები, მაგრამ მთლიანობაში თემა უფრო მდიდარია. ამ მოვლენას ცივილიზაცია ჰქვია სახელად.

რაში მდგომარეობს ამ ცივილიზაციის სიკეთე? ამის გასაგებად შეზობლად მდებარე ქალაქისაკენ უნდა გავიხედოთ, დაბლობზე რომ წარმომართულა. იქ ცამდის აწვდილა ღმერთისა თუ ქალღმერთის ტაძარი—კოშკი, რომელსაც სასულიერო სამსახურში მყოფი ქურუმები ემსახურებიან. დიადი, იარუსებიანი კოშკი ცისაკენ მიემართება; იგი ნაგებია ალიზით, რომელშიც უამრავი კერამიკული ნამტვრევია შეხედილი სიშავრახათვის. კიბის საქცევებს ზედა ნაწილსაკენ მიეყავართ, სადაც ასფალტის ბაქანია (უდაბნოში ბიტუმის ბევრი სახეა), მასზე კი თეთრად შეფეთილი ტაძარია აღმართული, რომელიც მრავალი ბნელი და ვიწრო სენაკისაგან შედგება. ერთ-ერთ ამათგანში დეოების საკულტო ქანდაკება დგას.—ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსაგან გაკეთებული. ამ ქანდაკების ნახვის უფლება მხოლოდ უმაღლეს ქურუმებსა და მის უახლოეს მიმდევრებს აქვთ. ხოლო ყანებში თავწაბრილმა კაცებმა და ქალებმა იციან რომ იმ ტაძარში დაღანებული ქმნილობის სურვილზეა დამოკიდებული როგორც მიწის სიუხვე და ნიადაგის ნაყოფიერება, ისევე არიდება წყალდრობისა, გვალვისა და ყველა სხვა კირისა, რომელთაც ჩვენ „სტიქიურ უბედურებას ვუწოდებთ“. ასე რომ, ხალხი ემყოფილია, რომ მათ მიერ შექმნილი პროდუქციის მათთვის რეგულარულად შედის ტაძრის კიშკარში. როგორც ღმერთისათვის განკუთვნილი შესაწირავი: თუმცა ხანდახან იქნებ წუწუნებენ კიდევ ამ მკვლევრობის გამო. და იქნებ შურიტაც უყურებენ რიცხვმრავალ ქურუმებს, რომლებსაც ხელში არახოდეს სქერიათ თოხი და არ დასჭირვებიან გუონის მიყოლა.

აქედან არც ისე შორს მეორე დიადი შენობა წამოკიშულა, — მეფისა და მისი ოჯახის სასახლე. მეფეს შორეული ქვეყნებიდან შემოტანილი ფერადი ქვებით შემკული ოქროს ვვირგვინი ადგას. დედოფალიც და მეფის

ხარკებიც ოქრო-ვერცხლის ძვირადღირებულ სამკაულებს ატარებენ, მათი ოთახები კი იშვიათი ნივთებით არის მოვრთული — თასებითა და მშვენივრად მოხატული თიხის ნაწარმით. უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი ხის ავეჯით, რომელიც ძვირფასი თიფუნით არის მოპირკეთებული. იმონებთან შესანიშნავი ნაქსოვი ტანისამოსით. ლბინის დროს უვავილენის სურნელით ავსილ პალატებში მათთვის მუსიკოსები უკრავენ, პოეტები კი სმენას უტკობენ ღმერთების თაყვანსაველებისა და მათი დიდებული წინაპრების გამარჯვებათა ამბების თბრობით. მეფე განუე კი არ დგას, არამედ თავისუფლად გარეულა თავის ხალხში. იგი არის ბელადი, მოსამართლე და ქურუმი.

სასახლისა და ტაძრების გარშემო მალაღვაღენიან ხალხმრავალ ქუჩებში ასობით ხელოვანი მუშაობს:—ხუროები, რვალის მჭედლები, მოქანდაკეები, ოქრომჭედლები და მხატვრები. მტვრიან, ვიწრო ქუჩებში მიდი-მოდიან ორთვალეები, საბრძოლო ეტლები და სასაძაღნე სახედრების ქარავნები, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან საქონელს ეზიდებიან. ქალაქებს შორის სწრაფად მიმოდიან ხომალდები. ვინც ახალგაზრდაა და ძალ-ღონე ერჩის, გარეულ ცხოველებზე სანადიროდ მიეღვწავრება ტრამალებში; მოხუცები და უსაქმურები ჩიტებით სავსე ბალებში სეირნობენ, საუბრობენ. მუსიკას უსმენენ ან სიყვარულს ეძლევიან და, მალაღვაღენით გარე სამყაროსაგან გამოეყოფილები, თავს არ იტკიებენ ცხოვრების უოფიით ღმაურით.

თუ ეს სურათი დაუცერებლად მოგვჩვენებათ, წაიკითხეთ ვულის „ქალღველოა ური“, რომელშიც იგი აღწერს შუმერ მეფეთა სამარხებში ნაპოვნ ნივთებს. — მათ შორის არა მარტო ავეჯს, ისინი რომ ხმარობდნენ, ან ტანისამოსსა და სამკაულს, ისინი რომ ატარებდნენ, არამ-დ იმ საკრავებსაც კი, რომლებზეც მათ განართობად უკრავდნენ მუსიკოსები ამ ოთხიათას ხუთასი წლის წინათ.

მიღებულია, რომ ურის მეფეთა სამარხები თარიღდება ძველი წელთაღრიცხვის 3000 წელზე რამდენიმე ასი წლით გვიანდელი პერიოდით, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ შესამე ათასწლეულის დასაწყისშიც არსებობდა ამ ტიპის, თუმცა უფრო მცირე ზომის ქალაქები და ტაძრები. მიუხედავად სიმცირისა, ისინი დამოუკიდებლები იყვნენ და თვითონ უზრუნველყოფდნენ თავიანთ თავს: შუანდინარეთის ქვეყნებს შორის ერთობა მხოლოდ ძვ. XXIV საუკუნეში დაშეარდა, ე. ი. მენესის მიერ ეგვიპტის ორი ქვეყნის გაერთიანებიდან 800 წლის შემდეგ.

შუმერისა და აქადის მატერიალური ძეგლები გაცილებით უფრო ნაკლებ შთამბეჭდავია, ვიდრე დინასტიური ეგვიპტის ძეგლები, სადაც უხვად იყო ქვა მონუმენტების ასაგებად. თუ ძველევგვიპტელთა სასახლეები და კერძო სადგომები ალიზისაგან იყო ნაშენები, მესამე ათასწლეულის დასაწყისისათვის მათ თავიანთი ტაძრებისა და პირამიდებისა და სამარხების აგება ქვისაგან დაიწეს, და ამ ძეგლთაგან მრავალმა ჩვენამდე მოაღწია. შუმერისა და აქადში ქვა იშვიათობა იყო; შორიდან უნდა მოეზიდათ, და ამიტომ მომჭირნედ იყენებდნენ. მათი ძეგლები — ტაძრები, სასახლეები და სახლებიც, — აგებული იყო ან ტყეანილი თიხით (ადრეულ სტადიებზე) ან მზეზე გამომშრალი აგურით. რომელთაგან ჩვეულებრივ მხოლოდ საძირკველი დარჩა, შემდგომში მინაყარი მიწის ფენის ქვეშ დამარხული. სადაც ხის მანალა იყო გამოყენებული, ის ნაწილები ძირითადად განადგურდა. მაგრამ მათი ფორმების ანაბეჭდები გამხმარმა თიხამ შემოინახა და ამით არქეოლოგებს რეკონსტრუქციის ჩატარების საშუალება მიეცათ.

მიუხედავად იმისა, რომ არქეოლოგებისათვის ნეტად ძნელია იმის დადგენა, თუ როგორ გამოიყურებოდა შუმერული და აქადური შენობები, მაინც უზუსტესად წარმოდებული გათხრებისა და გაზომვების შედეგად მათ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს რეკონსტრუქციის საქმეში.

შევაჯამოთ შედეგები: დაახლოებით ძვ. წ. 3000 წლისათვის პირველად დედამიწის ზურგზე ვხედავთ ადამიანთა მოდგმის ორ დიდ ჯგუფს, რომელთა შორის ცივილიზაციის ნიშნები ჩნდება. ისინი საკმაოდ მსგავს პირობებში ცხოვრობენ; ორივე მათგანი სახლობს მდინარეთა ხანაპიროებზე, რომლებიც ყოველწლიურად დიდდება და ტბორავს არემარეს, ამით მათი მიწა ყოველწლიურად ნოყიერდება. ორივე ფლობს გარკვეულ ცოდნასა და ტექნიკას, რაც აძლევთ საშუალებას თანდათან უფრო მეტად გაუწიონ კონტროლი გარემოს. თუმცა ამ მხრივ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: მაგ., ბორბლიანი საზიდრები ეგვიპტეში კიდევ 1500 წელიწადს ვერ შეადგენს, ხოლო შუმერში ეს-ეს არის წარმოიშვა დამწერლობის ხელოვნება. მაშინ, როცა ეგვიპტეში იგი უკვე კარგად არის განვითარებული.

გარკვეული თვალსაზრისით ეგვიპტე უფრო წინ არის წასული, ვიდრე ქვემო მესოპოტამია. ქვეყანას აქვს საერთო კანონი და ხალხი ერთ ენაზე ლაპარაკობს, მაშინ როცა შუამდინარეთის მიწა განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე ორ რასას უკავია, თუმცა წერა-კითხვი-

სათვის მათ საერთო ენა აქვთ. შუმერი და აქადი ჯერ კიდევ შორს არიან გაერთიანებისაგან; მათი ხალხები ცხოვრობენ დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებში, როგორცაა ური, ურუქი, ერიდუ, ლარსა. ყოველ მათგანს ადგილობრივი ღვთაება და მეფე ჰყავს. ეგვიპტეში — მსგავსებას ძველი ტომობრივი დაწესებულებებისა ეულ ტომს ჰყავს თავისი ტომის ღმერთი და მბრძანებელი, თუმცა ეს ტომთა მბრძანებლები ვალდებული არიან ერთ მეფეს უერთგულონ — შთამონავალს სამხრეთელი დამპყრობელი მენესისა, რომელმაც გააერთიანა ორი ქვეყანა.

ხალხთა ეს ორივე დაჯგუფება იხე განვითარდა, რომ თავისი თავის უზრუნველყოფას აღარ დასჯერდა. მათ ხელი მიჰყვეს ვაჭრობას. შუმერი იწყებს თავისი საფიქრო და საიუველირო ნაწარმისა და იარაღის გაცვლას ლ-თონის, ხის, ლილაქვისა და სხვა ძვირფასი ქვების შემოსატანად. ეგვიპტელები თავიანთ სამხრეთელ მეზობელ ნუბიასთან ვაჭრობენ ოქროსა და სპილოს ძეღის შეძინის მიზნით; სინაის უდაბნოებში ისინი სპილენძისა და მალაქიტის საბადოებს ამუშავებენ; კონტაქტს ამყარებენ მათს სამხრეთით მდებარი უდაბნოში მცხოვრებ ლიბიელ მეზობლებთან.

ხალხთა ორივე ჯგუფი, — ეგვიპტურიცა და შუმერულ-აქადურიც, — აწარმოებს საკვებისა და საარსებოდ აუცილებელი სხვა პროდუქციის ნამიტს, საკმარისს ქურუმ-ტექნიკოსების კლასის სარჩინად. რომელთა გაშორებული ცოდნის გამო მათი გავლენა და ძალაუფლება მატულობს და ისინი ღმერთთა და კაცთა შორის შუამავლობად ითვლებიან. მათი მთავარი მიტოქენი არიან ომის მიუფენი, რომლებიც ინტილიქტუალური კლასის ტექნიკურ გამოგონებებს თავიანთი საკუთარი ძალაუფლებისა და პატივმოყვრული მისწრაფებების სახარგიბლოდ იყენებენ. მაგრამ აქ სურათი ირევა, რადგან ზოგჯერ მეფე და ქურუმი ერთია, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეფე ღებულობს თავის ძალაუფლებას ნაწილობრივ ქურუმთა ხანკციით, როგორც ოდესღაც ღვთისაგან წარმოშობილი.

ორივე ტერიტორიაზე ხალხის მასა ამუშავებს და თესავს ყანებს, უვლის საქონლის ჯოგებს; ოჯახის წევრი ქალები კაცებს მოსავლის აღებაში ეხმარებიან, ართავენ ძაფს და ქსოვენ ქსოვილს; ხალხის მასები თავიანთი ბატონების ცოდნის ფარული იღუმალების მცველ ქურუმთა და მეფე-უფლისწულთა, ანუ „ბრძოლაში ძლიერთა“ ძალაუფლებას თითქმის უდრტვიწველად ღებულობენ.

თანვი მახუთა

ეგვიპტელთა სარწმუნოება

თუ თანამედროვე ეოფასთან შედარებას მივმართავთ, წიგნის მთელი წინა ნაწილი შეიძლება მივახსნავსოთ ავტომანქანის საჭესთან მჭდომი კაცის მცდელობას — როგორმე გააღწიოს დიდი ქალაქის ფარგლებს და ტრასაზე გავიდეს. მას აუოვნებენ შუქნიშნები, ქუჩების ცალმხრივი მოძრაობა აიძულებს არჩეული გზის შეცვალოს, ხვდება ხელისშემშლელი შეფერხებები, ზოგჯერ გზაც ეკარგება. ვისაც პირველი ოთხი თავის წაკითხვისას შიგადაშიგ ასეთი შთაბეჭდილება ექმნება, მე მათ სულითა და გულით თანავუგრძნობ, პრესტორიაში გზის გაგნებაც სწორედ ასე ხდება. მაგრამ, აი, ჩვენმა ავტომანქანამ უკვე იქამდე მიადწია, სადაც შემაფერხებელი წინააღმდეგობები შთაგრდება. წინ ფართო და თავისუფალი ტრასა იშლება, რომელიც მძღოლს თავისკენ უხმობს და მას შეუძლია ფეხი აქსელერატორს დააქიროს. ქალაქის საზღვართან ფირნიშზე წარწერილია — „დამწერლობის გამოგონება“. აქედან მოყოლებული, თუმცა აქა-იქ არის საგზაო მაჩვენებლებით მოუნიშნავი მონაკვეთები, მკითხველს და, საბედნიეროდ, მწერალსაც წერილობითი საბუთების ეპოქაში უხდება გადაადგილება.

ვუბრუნდებით ისევ ეგვიპტეს, დაახლოებით ძვ. წ. 2200 წელია და სამბრეტელი დამპყრობელი მენესი ანუ ნარმერი უკვე ორივე ქვეყანას მართავს. მისი მშობლიური ქალაქი იყო თისი (ანუ თინისი), რომელიც ზემო ეგვიპტეში აბიდოსის მახლობლად მდებარეობდა. ჩანს იმის გამო, რომ ხსენებული ქალაქი ასე შორს იყო ახლად დაპყრობილი ჩრდილოეთის სამფლობელოებიდან, ნარმერმა დედაქალაქი გადაიტანა მემფისში, რომელიც სწორედ იმ ადგილის ახლოს მდებარეობს, სადაც ნილოსი დღესაც იშლება. მთელი იმ პერიოდის მანძილზე, რომელ-

საც არქეოლოგები ძველ სამეფოს უწოდებენ (ძვ. წ.წ. 2780—2100 წწ.), მემფისი გაერთიანებული ეგვიპტის დედაქალაქად რჩებოდა. იგი ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე იყო გაშენებული. მოპირდაპირე სანაპიროზე კი მდებარეობდა საქარას დიდქრონის ადგილი, სადაც შემდგომში ეგვიპტის პირამდა უნდა აშენებულიყო, და სადაც ძველეგვიპტელ მეფეთა, უფლისწულთა და თანამდებობის პირთა თაობებია დაკრძალული.

ნარმერს შვიდი სხვა მეფე — ამა, ჭერი, ჭეთი, დენი, აჯიბი, სებერხეტი, ესიუ მოჰყვა. ჭერ ამელინომ და შემდგომ პეტრიმ აბიდოსში გათხარეს ალიზით ნაგები სამარხები, რომლებიც ამ მეფეთა სახელებს ატარებენ. აბიდოსის სამარხების აღმოჩენის შემდეგ კითხვით საქარაში გათხრილ იქნა სხვა დიდი მონუმენტები, რომლებიც ამ მეფეთა სახელებს ატარებს. მაგალითად პროფესორი ემერი ახლა, როცა ეს წიგნი იწერება, საქარაში იკვლევს სამარხს, რომელსაც იგი ჭეთს მიაკუთვნებს, ჭერ არ არის დადგენილი. საქარას მონუმენტი ამ მეფის ნამდვილი სამარხი იყო თუ მხოლოდ კენოტაფი? თუმცა ემერის (და მას მომხრეებიც მყავს) სჯერა, რომ პირველი დინასტიის ეს მეფეები საქარაში იყვნენ დაკრძალულნი და არა აბიდოსში, ხოლო აბიდოსის „სამარხებს“ რაღაც რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა.

რატომ იშვადებდნენ ეგვიპტელი მეფეები ორ-ორ სამარხს? ამის ახახსენლად საქიროა მოკლად განვიხილოთ ეგვიპტური სარწმუნოების საფუძვლები. ეგვიპტე ძალიან მშრალი ქვეყანაა, — იქ წვიმა თითქმის არ მოდის. პრედიანსტიული ეპოქის ადამიანების სხეულები ბალზამირების გარეშეც ექვსიათას წელზე მეტ ხანს შემოინახა, — ზოგ შემთხვევაში მათ თმა და კანიც ისევ ჩონჩხზე აკვთ მიკრული. უხსოვარი დროიდან ძველ ეგვიპტელებს სწამდათ, რომ თუ სხეული შეინახებოდა, მაშინ სული ანუ „კა“ განაგრძობდა არსებობას მომავალ საიქიო ცხოვრებაში. ამიტომ პრედიანსტიული ეპოქის ეგვიპტელთა ორმო — სამარხებიც კი ადქურვილია გარდაცვლილთათვის შეწირული საკვებით ხავსე ჭურჭლეულით და მარტივი შროპის იარაღებით, საჭურველითა და ხელხაწყოებით, რომლებიც განსვენებულებს მომავალ არსებობაში შეეძლოთ მოეხმარათ. საუკუნეთა

1. როცა ეგვიპტე ბერძნებსა და რომაელებს ეპირათ მისი ისტორიის უკანასკნელი პაშასი წლია განმავლობაში, ძველი ეგვიპტის მეფეებსა და ქალაქებს მათ ძალი სხეულები დაარქვეს. პო-ამონი, — XVIII დინასტიის დროინდელი ეგვიპტის დედაქალაქი თებულ იქცა, სენუსერტი — ეგსოსტრისად; მიუხედავად იმისა, რომ მანუთონი ეგვიპტელი იყო, თავის ისტორიას იგი ბერძნულად წერდა, ასევე მეფე ნარმერი მენესად იქცა (ეს ორი სახელი უთუოდ ერთსა და იმავე მეფეს უნდა აღნიშნავდეს).

2 კენოტაფი — (ბერძ. Kenos — ცარიელი — kapnos სამარხი) — სამარხი ან მონუმენტი, აღმართული ვინმე პირისთვის პატივსაცემად, რომლის სხეულიც სხვაგან მარხია.

განმავლობაში ეს გადაიზარდა დასაფლავების წესთა დეტალურად დამუშავებულ სისტემაში: მეფეები და მაღალი თანამდებობის პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ დიდებული, გონება-მახვილურად მოწყობილი სამარხებით, რომლებიც სინამდვილეში მათი სიკვდილის შემდგომი სადგომები იყო. (ამ სამარხებს ეგვიპტურად „მარადისობის სახლები“ ერქვათ.) ისინი გამიზნული იყო: (ა) სხეულის დასაცავად დროის შემოკმედებისაგან, (ბ) მძარცველთა ძალადობისაგან დასაფარავად და (გ) გარდაცვლილი კაცის თუ ქალის სულის მოხამარავებლად საკმარის სასმელ საკმედილთა და სხვა მატერიალური საჭიროებებით. რათა მისი გადარჩენა უზრუნველყოფოთ.

რადგან სიკვდილზე ხანმოკლეა, სიკვდილი კი — ხანგრძლივი, ძვილი ეგვიპტელები თავიანთი სამარხების შენებისას გაცილებით უფრო მეტ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდნენ, ვიდრე საცხოვრობელი სახლების მშენებლობისას. სამარხები სამარადისოდ უნდა დარჩენილიყო. სა"ღებო და სახალღეები კი შედარებით მცირე დროით ჰქონდათ დაკავებული. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ძველ ეგვიპტელთა ყოველდღიური საცხოვრობელი დაიღუპა, ხოლო მათი საფლავები ათასობით გადარჩა; გადარჩა ასევე მათი ტაძრები და რელიგიური მონუმენტებიც. ამ თაქტს ზნორად შეჰყავს შეცდომაში ეგვიპტის ხტურები — მათ ეგვიპტელები წარმოუდგენიათ პირველ მისტიკოსებად, რომ ლეგიონ სიკვდილის შიშით იყვნენ შეპყრობილნი. სინამდვილეში კი პირიქით უნდა იყოს. აურაცხელი ნახატებიდან, ნაქანდაკევი სცენებიდან და ნივთებიდან, რომლებიც მათ თავიანთ სამარხებში დატოვეს. ჩანს, რომ ეგვიპტელები ხალისიანი, სიკვდილის მოყვარული ადამიანები იყვნენ, რომელთაც არ შეეძლოთ საიქიო ცხოვრებაში იმაზე უკეთესი ბედი ენატრათ, ვიდრე ამქვეყნიურ სიამოვნებათა გაგრძელება.

ამასთანავე ისინი არსებითად მატერიალისტები იყვნენ: ცხოვრებისადმი მათს დამოკიდებულებაში არაფერი იყო მისტიკური. ნადიმებზე დათრობაც უყვარდათ — ეს მართლაც აუცილებელი იყო მაქსიმალური სიამოვნების მისაღებად. ასე რომ, ზოგიერთ სამარხში რელიგიურ-მაგიური წარწერების გვერდით ვხედავთ მხიარული საღამოს ამსახველ სურათებს, სადაც მონა გოგონებს სუფრაზე მოაქვთ ღვინო. ვხედავთ სტუმარ ქალს, რომელსაც შედმეტრ დაუღევია და აღებინებს მონის მიერ შეშველებულ თასში.

„სინამდვილეში მინდა ვხვა, სანამ არ დავთვრები“ — გაქვირის ერთი მაღალი წარმომოხბის ქალბატონი — „შიგნეულობა ჩაოასხვეით მაქვს გამოშრალი!“ — გარკვევით მოჩანს იეროგლიფებით ყველას დახანახად უკმეფუქული წარწერა იმ ქალბატონის სურათს უკმეფუქული საც ხელში ღვინის თასი უქირავს.

მეორე სამარხში ვხედავთ დიდ მიწათმფლობელს: იგი სიამაყითა და სიამოვნებით ათვალიერებს თავის საქონლის ჯოგებს, მწერალი კი ამ დროს ჩანაწერს აკეთებს: ხელკვეითნი მწკრივად მიდიან და მიართმევენ მას ხორცს, თევზს, ფრინველს, ლუდსა და ღვინოს. მეომარი თავისი ქარების თანხლებით არის, მეზღვაური — თავის გემებთან. ყველას წოდება გარკვევით არის მითითებული. სამარხის პატრონს სურს თქვენც უწყობდეთ, რომ მეფის კარზე მას მაღალი თანამდებობა ექირა; ის იყო „მისი უდიდებულესობის მარაოს დამნიავებელი მარკვენა მხრიდან“ ან „მწერალთა უფროსი“.

„დიდია სამუშაო, რომელიც მე იქ შევასრულე“, — ტრაბახობს ისენი. — თუთმოს I-ის სურათმოდვართუხუცესი, რომელიც ნელმძღვანელობდა მეფის სამარხის მშენებლობას. — „ამუამად არავინ ხედავს, არავინ იცის. ჩემი სიბრძნისათვის ქებას მომავალში დავიმსახურებ... მე ვიყავი ოსტატთა ოსტატი, — ვანაგრძობს იგი, — და წარუმატებლობა არასოდეს მზღდომია წილად... და არასოდეს მოვქცევდვარ მკრეხელურად მას, რაიც წმინდაა“. რქს ენგელბახმა, შეუპოვარმა. ბრიტანელმა არქეოლოგმა, რომელსაც დიდხანს ექირა მაღალი თანამდებობა „სიძველეთა უწყებაში“, ამ წარწერას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „თუკი იგი ორმოცი წლის განმავლობაში ისე ხელმძღვანელობდა აღმოსავლურ სამუშაოებს, რომ მკრეხელობა არ ჩაუდენია, ეს მის სხვა მიღწევებზე ნაკლები როდია“.

ძველეგვიპტური წარწერებიდან იმდენი საყუარელი, შიამიტი ადამიანურობა გამოსჰვივის, რომ მნელია თავი შეიკავო და თემას არ გადაუხვიო, მაგრამ ახლა ეგვიპტური რელიგიის საკითხს უნდა დავუბრუნდეთ.

პრედიანსტიული ეპოქის ეგვიპტელები უამრავ ღმერთს ეთაყვანებოდნენ, რაშიც 750 მილის სიგრძის მდინარის გასწვრივ მცხოვრებ ყოველ ადვილობრივ ტომს თავისი წილი მიუძღოდა. ამ ღმერთებიდან ზოგნი გაღმერთებული ბელადები იყვნენ, ზოგნი — გაღმერთებული ცხოველები, ზოგნი კი ტოტემები, მავალითად, ხეები, კლდეები და სვეტები. დავასახელოთ თუნდაც ერთი-ორი მათგანი: ამეტი — ქალღმერთი ჰიპოპოტამი. უბახტი — ბუბახტის

კატა — ქალღმერთი, ცეცვისა და მუსიკის პატარა მსუქანი ღმერთი ბესი, მეშფისის ძელომისთავა ქალღმერთი სეხმეტი. ამ პირველყოფილ ღმერთთაგან ორიათასამდეა აღნუსხული, მაგრამ, უეჭველია, მეტიც იქნებოდა.

ზოგმა ღმერთმა და ქალღმერთმა უაღრესად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ასეთები არიან რა (რე) — მეფე-მზე, რომლის თაყვანისცემის მთავარი ცენტრი პელიოპოლისში იყო, შევარდნისთავიანი ღმერთი ჰორუსი, თებეს მთავარი ღმერთი ამონი (ამონი), რომელიც შემდგომში რას შეუერთდა და ღმერთ ამონ-რად იქცა, სულ ზემოთ კი იდგა მიცვალებულთა ღმერთი ოზირისი და მისი და და ცოლი იზიდა. კიდევ იყო სეთი, ბოროტი ღმერთი, რომელიც დელტაში უნდა იყოს წარმოსახილი. საინტერესოა, თუ როგორ და რატომ მოიპოვეს ამ ღვთაებებმა უპირატესობა სხვა ღმერთებთან შედარებით. თუ კვლავ მომცემთ ნებას, ჩემი პირადი ილუსტრაცია მოვიყვანო, შემოძლია წარმოგიდგინოთ არც თუ ისე დიდი ხნის წინანდელი შენახვევა, რომელიც შუქს ჰყენს ეგვიპტური აზროვნების თავისებურებას.

ათიოდე წლის წინათ ერთმა ეგვიპტელმა არქეოლოგმა დელტაში მდებარე სოფელ ტანტას შესახებ შეტად საგულისხმო რამ მოამბო. თავდაპირველად ეს საკმაოდ მცირე თემი იყო და თითქმის ყველა ეგვიპტური სოფლის მსგავსად ჰყავდა თავისი ადგილობრივი მუსლიმი წმინდანი ანუ წმინდა კაცი, რომელიც რაღაც 100 წლის წინ მომკვდარიყო და რომლის სამარხი — სალოცავი თაყვანისცემის მთავარ ობიექტად ითვლებოდა ამ სოფელში. ამ კაცს საიდი ერქვა. რამდენიმე წლის წინ ეგვიპტის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ტანტაში მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი გაეხსნა და სოფელი დიდ ქალაქად იქცა. ჩემი ეგვიპტური მეგობრის თქმით, ამ ფერისცვალების შემდეგ ტანტას მოსახლეობამ ზმა გააფრცოვლა — ის ყველაფერი საიდის წყალობით მოხდა. საიდის ავტორიტეტი ხალხის თვალში ძალიან ამაღლდა და სხვა სოფლების წმინდანთა ავტორიტეტს დიდად გადააჭარბა.

თითქმის უეჭველია, რომ ღმერთები ჰორუსი და ოზირისი, ამონი და რა მსგავსი დამოხვევებს წყალობით არიან აღწევებულნი სხვა ღმერთებზე, რომელიც მათ ნელ-ნელა დაჩრდილეს. მაგალითად, მენესის დროს მისი სამხრეთ ნომის ანუ სამფლობელოს ემბლემი შევარდნი იყო, — ღმერთ ჰორუსის გამომსახველი ნიშანი. როცა ჩრდილოეთის დაპყრობის შედეგად მენესს უმაღლესი ძალაუფლება

შეენიჭა, მისი ღმერთის ძალაუფლებაც გაიზარდა, და ეგვიპტის ისტორიის მთელ მანძილზე ჰორუსი ერთ-ერთ ყველაზე უმაღლეს ღვთაებად გვევლინება. ჰორუსს არ გამოუდევნია სხვა ღმერთთა თაყვანისცემა. ამ ღმერთებმა თავიანთი ადგილი კი შეინარჩუნეს, მაგრამ ჰორუსისადმი დაქვემდებარებულნი აღმოჩნდნენ ისევე, როგორც ადგილობრივი ბელადები, რომელთაც თვით მენესი აძლევდა ნებას შეინარჩუნებინათ თავიანთი ძალაუფლება, თუკი თავს მის ხელქვეითებად აღიარებდნენ. მსგავს მაგალითებს ჩვენ მოგვიანებითაც შევხვდებით, — ასეთია რა, პელიოპოლისის მზე-ღმერთი. იგი მთავარი ღმერთი მაშინ გახდა, როდესაც ეგვიპტეს მართავდნენ მეფეები იქვე ახლოს მდებარე მეშფისიდან. ან კიდევ თებეს ვერძისთავიანი ღმერთი ამონი, — თავდაპირველად უბრალო პროვინციელი ღვთაება რომ იყო. მან უმაღლესი ძალაუფლება მაშინ მოიპოვა, როცა თებელმა უფლისწულებმა ეგვიპტის მართვის უფლება ჩაიგდეს ხელში. შემდგომ იგი თავის მთავარ შეტოქეს — რას შეუერთდება ამონ-რას სახელით.

მაგრამ ჩვენ აქამდე არ განვიმარტავს, თუ რატომ ჰქონდათ ძველი სამეფოს მეფეებს ორი სამარხი, ერთი ზემო და ერთიც ქვემო ეგვიპტეში. ამ ტრადიციის წარმოსახვა შეიძლება სათავეს იღებდეს კიდევ ერთი ძველმოსილი ეგვიპტელი ღმერთის — ოზირისის თაყვანისცემიდან. ამ უცნაური ქვეყნის ყველა ღმერთებიდან და ქალღმერთებიდან ოზირისმა, მისმა ცოლმა იზიდა და მათმა ძემ ჰორუსმა ყველაზე მეტად დაიპყრეს ხალხის წარმოდგენა. არ არის გარკვეული, საიდან იყო ოზირისი წარმოსახილი, თუმცა მეოთხე თავში ჩვენ შევნიშნავდით, რომ არსებობდა დელტელი ღმერთი ანზეტი — მას მამაკაცის სხეული აქვს, დედალი თხის სასქესო ორგანოს მოყვანილობის თავსაბურველი ახურავს და ატარებს ღვედებზემულ წყებას. ამ უკბლას ჩვეულებრივ აღწერენ როგორც საცეხველს, თუმცა ნიუბერის მიაჩნდა, რომ ეს „ladanisteriu“ უნდა ყოფილიყო (იხ. შენიშვნა თავი III, გვ. 271). რაც შეეხება ოზირისს, იგი უოფელთვის გამოისახება როგორც ამ ემბლემის, ზოგჯერ კი ეგვიპტის სახელმწიფო ხელისუფლების ორივე ემბლემის — კავისა და „საცეხველის“ მატარებელი მუმიფიცირებული ფიგურა. თითქმის უდავოა, რომ თავდაპირველად ოზირისი ლიბიელთა ღვთაება ანზეტი იყო. შუა სამეფოს (ძვ. წ. 2100—1700 წწ.) პერიოდში კი გადაიქცა ოზირისად — მიცვალებულთა ღმერთად და სულთა მსაუფლად — რელიგიური მითის ცენტრალურ ფიგურად. მისი

აკულტო ცენტრი ზემო ევროპეში, აბიდოსში მდებარეობდა. ამ მითის მიხედვით ოზირისი იყო ღმერთების — გებისა და ნუთის ოთხი შვილიდან ერთ-ერთი. გები იყო დედამიწა, ნუთი კი ზეცა. მათი დანარჩენი შვილები იყვნენ იზიდა (რომელიც ოზირისის ცოლი გახდა), ნეფთისი — კიდევ ერთი ქალღმერთი, და სეთი.

„მამის ტახტი მემკვიდრეობით ოზირისმა მიიღო და სამყაროს ბრძნულად და სამართლიანად განაგებდა. მას ეხმარებოდა თავისი და და ცოლი იზიდაც. სეთს მშის ძლიერება შეეშურდა. მან ოზირისის დასაღუპად შეთქმულება მოაწყო და ბოლოს თავისას მიაღწია; შემდეგ ოზირისას სხეული ნაკუწებად აქცია და ეგვიპტეში სხვადასხვა ადგილას დაფლა. თავი კი დამარხა აბიდოსში. — ზემო ეგვიპტეში ერთდულში იზიდამ მოაგროვებდა თავისი ქმრის დაფრთხული ნაწილები და რურა-ღმერთ ანუბისის დახმარებით, რომელიც შემდგომ ბალზამირების ღმერთად იქცა, გააცოცხლა იგი. მაგრამ რადგან ოზირისს არ შეეძლო დაბრუნებოდა თავის ცხოვრებას დედამიწაზე, იგი ქვესკნელში გარდავიდა, სადაც მიცვალებულთა ღმერთად, შემდეგ კი სულთა მსაჯულად იქცა. იზიდას შეეძინა ვაჟი — ჰორუსი; მან შური იძია თავის ბიძა სეთზე, ბრძოლაში დაამარცხა უზურპატორი და დააბრუნა მამამისის ტახტი“.

ეს ლეგენდა მისი სრულყოფილი სახით მიეკუთვნება დაახლოებით ათასი წლის შემდგომ ხანას იმ პერიოდის შემდეგ, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ. მაგრამ უქველია, ბევრად უფრო მეტი ახაყისა უნდა იყოს. აბიდოსი ხომ უხსოვარი დროიდან იყო წმინდა ადგილი. როგორც ვნახეთ, I და II დინასტიის მეფეებს თავიანთი სამარხები (თუ კენოტაფები) მაშინაც კი აბიდოსში აკონდათ, როცა მათი დედაქალაქი მემფისი უკვე ჩრდილოეთში მდებარეობდა, აბიდოსიდან 400 მილის სიშორეზე. მენესის წინაპრები ზემო ეგვიპტიდან იყვნენ და მათი თავდაპირველი დედაქალაქი აბიდოსის მახლობლად მდებარეობდა. ძველი სამეფოს ტიპებში გვხვდება ცნობები, რომ აბიდოსში ღმერთ ოზირისის საფლავზე, იქ, სადაც მისი თავი იყო დაკრძალული, ეგვიპტელები წმინდა ადგილის მოსალოცავად დადიოდნენ. იქნებ სწორედ ამის გამო ესწრაფვოდნენ მეფეები და ზოგ შემთხვევაში სახანლის დიდებულებიც აბიდოსში დასაფლავებას. ამით შეიძლება აიხსნას ის ამბავი, რომ ეგვიპტელ მეფეებს ორ-ორი სამარხი აკონდათ, — ერთი თავიანთ დედაქალაქ მემფისთან, მეორე კი თავიანთი წინაპრების მიწაზე, მეფე-ღმერთის აკლდამის ახლოს, რომლის შუამავლობით მიცვალებულ-

თათვის შესაძლებელი ხდებოდა კურთხეულ სულთა ქვეყანაში მოხვედრა. ზოგი არქეოლოგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ერთ-ერთი ნაწილი რომელიც ძველი სამეფოს მეფეების პირამიდა-სამარხების გვერდით იმარხებოდა, გამაწესული იყო აბიდოსში სალოცავად სწავლულ როდ, სხვები კი უნდა გამოეყენებინათ მწუღმერთ რასთან ერთად ცაზე უოველდღიური მოგზაურობისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და მისი დამტკიცება ჩვენ არ შეგვიძლია.

ქველევგვიპტელთათვის ორ-ორი სამარხის ქონა პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. გარდაცვლილი მეფის სული დასრულდებოდა იმ სამარხში, რომელშიც მოესურვებოდა, სწორედ ისევე როგორც სიცოცხლეში. იმოგზაურებდა ერთი საჩანლიდან მეორეში.

ამ წიგნში ჩვენ არ შევეცდებით ეგვიპტური რელიგიის სირთულეთა ამოცნობას, ისინი, ავტორის აზრით, ძველევგვიპტელთა მასისათვისაც ისეთივე თავგზისაშენვეი უნდა ყოფილიყო, როგორც დღეს არის ჩვენთვის. არ არის ძნელი ისეთი რელიგიების წარმოშობისა და განვითარების გაგება, როგორებიც არის ქრისტიანთა და მუჰამედის სარწმუნოებები. ორივე მათგანი მონოთეისტურია, მათ თითო დამაარსებელი ჰყავთ და თითო რამ სწამთ. ძველევგვიპტური რელიგია კი შეიძლება შევადაროთ იმ სახლის საკუჭნაოს. რომლის მფლობელებსაც არაერთი ემეტებათ გადასაყრელად. ძველევგვიპტურა პანთეონის უთვალავი ღმერთი, ნილოსის ხეობის პირველყოფილ მცხოვრებთა აზროვნებაში წარმოშობილი ველური წარმოდგენები, რომლებსაც ნაკლებად კონსერვატორი ხალხი ოაგიდან მოიშორებდა, ეგვიპტეში ბოლომდე შემორჩა. ისტორია მითში აირია — მაგალითად, ჰორუსისა და სეთის პროტოტიპები მშვენივრად შეიძლება უოფილიყვნენ ჩრდილოელი და სამხრეთელი მეტოქე ბელადები (სეთი დელტის ღმერთი იყო, ჰორუსი — სამხრეთ ეგვიპტისა). ოზირისი თავდაპირველად შეიძლება მიწიერი მეფე ყოფილიყო. მასისათვის შურისმაძიებელი ვაჟიშვილის სახე არც სხვა ძველ ხალხთა მითებისათვის არის უცნობი. გავიხსენოთ მაგალითად, ბერძნული ლეგენდის გამორები ორესტი და აგამემნონი. მაშინ, როცა სხვა ხალხებმა საბოლოოდ დაივიწყეს თავიანთი ძველი რწმენები, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათ ისე ღებულდნენ, როგორც ზღაპრებს, ეგვიპტელები ბოლომდე ებღაუჭებოდნენ მათ.

ნოშების ადგილობრივი ღმერთები არასოდეს კარგავდნენ თავიანთ მიმზიდველობას, მაშინაც კი, როცა სახელმწიფო რელიგია რას, ამონისა და ოზირისის თაყვანისცემას შოითხოვდა. დროდადრო სასულიერო პირები ცდილობდნენ ეს

მრავალი ღმერთი ერთიან თეოლოგიურ სისტემად გაერთიანებინათ. მაგრამ ეს ამოცანა მათს ძალებს აღემატებოდა. და, შე ნგონია, ეს ჩვენს ძალებსაც აღემატება.

თავი მეექვსე

ეგვიპტე შუა სათავეს კარიკულაში

პერიოდი I დინასტიის პირველ მეფეს, მენესსა და IV დინასტიის უდიდეს მეფეს — ხეოფსს (ხუფუს) შორის დახლოებით 500 წელს მოიცავს. ტექნიკური პროგრესის თვალსაზრისით ამ პერიოდთან კაცობრიობის მთელ ისტორიაში მხოლოდ ერთადერთი — უკანასკნელი ორასი წლის ისტორიის შედარება შეიძლება. და ეს შედარებაც არ არის მაინცდამაინც საპართლიანი, რადგან მაშინ, როცა ახ. წ. 1750 წელს ჩვენ დავიწყეთ გამოგონება მანქანებისა, რომელთაც მრავალი ადამიანის სამუშაოს შესრულება შეეძლოთ, ძველეგვიპტელები მთელი თავიანთი სანგრძლივი ისტორიის მანძილზე ლითონის მხოლოდ რამდენიმე იარაღს ფლობდნენ. დანარჩენს მათ გონებრივი შესაძლებლობებითა და კუნთების ძალის ბრწყინვალე ორგანიზაციით ჰიაღწიეს.

ამ პერიოდის დასაწყისში არც ეგვიპტელებს და არც მსოფლიოს სხვა რომელიმე ხალხს ქვით შენება ჯერ კიდევ არ შეეძლოთ. ამ პერიოდის დასასრულს კი ეგვიპტელებმა აღმართეს უზარმაზარი პირამიდა, აგებული თითქმის 2,5 მილიონი ქვის ბლოკისაგან. რომელთაგან თითოეული დაახლოებით ორნახევარ ტონას იწონიდა, მოკრილი და დალაგებული იყო უმცირესი საზომი ერთეულის წილადური სიზუსტით და ორიენტირებული იხეთი სიხორით, რომ მასზე კომპასის ცთომილების გასწორებაც კი შეიძლებოდა. 4500 წლის განმავლობაში, ახ. წ. 113 ხაუკუნის დასაწყისამდე, იგი იყო უგვილაზე მაღალი შენობა დედამიწის ზურგზე. მის აგებას ოციოდე წელიწადი დასჭირდა. მშენებლობის დროს ბერკეტის, გორგოლაქისა და დახრილი სიბრტყის გარდა არავითარი მექანიკური მოწყობილობა არ ეოფილა გამოყენებული. არ გამოუყენებიათ არც ამწეები, არც კოკონაქები, უმარტივესი მექანიზმებიც კი. იმ დროს ჯერ ბორბალიც კი არ იყო გამოგონებული.

მაშინვე იზადება ორი კითხვა: როგორ მოახერხეს და რისთვის დასჭირდათ მათ ამის ვაკეთება? პირველი კითხვის პასუხი შეიძლება ერთი ფრაზით გადმოიცეს — ძალის ცენტრალიზებული კონტროლით. სანამ მენესი ორ ქვეყანას გააერთიანებდა, ტექნიკური რესურ-

სების უშეტესობა (თუმცა არა ყველა) ეგვიპტელთათვის უკვე ხელმისაწვდომი იყო, ოღონდ ჯერ არ იყო ორგანიზებული და მოწყობილი. მაგრამ როგორც კი ერთმე კაცმა იგდო ხელთ უმაღლესი კონტროლუნ უკანასკნელი იგი ხელისუფლებების მართვით, — ხელისუფლებისა, რომლის მოხელენიც მოზიდულნი იყვნენ წერა-კითხვის მცოდნე ინტელექტუალური ფენებიდან, — უოველივე დანარჩენი ამას ბუნებრივად მოჰყვა. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო სოფლის მეურნეობის სისტემა, რომელსაც ნილოსის უოველწლიური აღიდეგა განაპირობებდა. უკვე არსებობდა საკვების ნაშეტი, სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ ტექნიკური დარგების სპეციალისტები და ხელოსნები შეენახათ, მაგრამ პირამიდის ასაგებად საჭირო მუშახელის სარჩენად ეს არ იკმარებდა. თუმცა უოველწლიური სამთვიანი წყალდაღობის დროს მიწათმოქმედებაში ჩაბმული ხალხი უსაქმოდ რჩებოდა. თუ დროის ამ მონაკვეთში მათ ორგანიზებულ ჯგუფებად გააერთიანებდნენ, ისინი იქცეოდნენ სამუშაო ძალად. რომლის გამოყენება შეიძლებოდა ქვის სამშენებლოებიდან მშენებლობის ადგილამდე ქვის გადასაზიდად და უზარმაზარი ბლოკების ნაგებობაში ჩასაწყობებად. ქვის მოპოვებისა და მისთვის სამშენებლო ბლოკების ზუსტი ფორმის მიცემის კვალიფიციური სამუშაო, რასაკვირველია, სპეციალისტ-ხელოსანთა უფრო მომჭრო ჯგუფის მიერ უნდა შესრულებულიყო.

მეორე კითხვის პასუხს, — რისთვის დასჭირდათ მათ ამის გაკეთება, — შეიძლება მივაკვლიოთ ეგვიპტური რელიგიური რწმენების შესწავლას, — ისინი ჩვენ უკანასკნელ თავში მიმოვიხილეთ. მენესის დროს ეს რწმენები სისტემად ჩამოყალიბდა. იმ შორეულ დროს როგორც ჩანს, მიაჩნდათ, რომ მეფის კეთილდღეობასა და იმ ხალხის კეთილდღეობას შორის, რომელსაც იგი განაგებდა, მკიდრო კავშირი უნდა ეოფილიყო. ჩვენ უკვე მოვიხსენიებთ კებ-ხედის ცერემონიალი. რომლისადმი მიძღვნილი დღესასწაული ნარმერის კვერთხის სახელურზეა გამოსახული. შეიძლება ისიც სჯეროდოთ, რომ მეფე საიქო ცხოვრებიდანაც ადვენებდა თვალ-ყურს თავის ხალხს, — ამიტომ მისი სხეულის შენახვა, რაზეც მისი სულის გადარჩენა იყო დამოკიდებული, მნიშვნელოვანი იყო არა მარტო მეფისთვის, არამედ მისი ხალხისთვისაც. მენესი და მისი მომდევნო მეფეები ჯერი, ჯითი, სემერსეტი და ა. შ. დაკრძალულ იქნენ აღიზნით ნაგებ მართკუთხედის ფორმის დიდ სამარხებში. რომლებიც ოსტატურად იყო ნაშენები და შეიცავდა ცენტრალურ დარბაზს მეფის ნეშტი-

სათვის და მრავალრიცხოვან დამატებით ოთახებს, სადაც თავდაპირველად მოთავსებული იყო ივეჯი, ხანძარი, საბრძოლო და შრომის იარაღი: ამხთანავე მას მქონდა დიდი საწყოები მარცხელის, ზეთის, ღვინის, ლუდისა და სხვა ხარაგისათვის. ეს ყველაფერი კი ინახებოდა შენაღებულად ნაკვეთ სხვადასხვანაირ ქვის ქუროქელში. დიორიტის, ალუბასტრისა და სხვა ქვებისაგან დამზადებული ვაზები, ფიალები და თასები ხელოსნობის განსაკვირებელ ნიმუშებს წარმოგვიდგენენ. ეგვიპტეში არასოდეს არაფერი შექმნილა იმაზე უფრო მშვენიერი, ვიდრე ადრედინასტიული ანუ „არქაული“ პერიოდის ეს ნაწარმოებებია. ხაზის დახვეწილობა, ნატიფი უორნამენტო ფორმები, მასალის რატატური გამოყენება. — ყველაფერი ქვაზე წუშობის ხანგრძლივ გამოცდილებაზე მეტყველებს. და მაინც. სამშენებლო მიზნებისათვის ამ პერიოდში ქვა ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა. II დინასტიის უკანასკნელი მეფის — ხასხემუის სამარხი ერთადერთია, სადაც ქვით მოპირკეთებული განსასვენებელი დარბაზია, ხოლო დამატებითი ოთახები მის წინამორბედთა სამარხების მსგავსად ალიზისაა.

მარტივი სამარხები, რომელთაც მასტაბებს უწოდებენ, მდებარეობს საქარაში, უძველესი დედაქალაქის — მემფისის პირდაპირ. — მემფისში გადასახლდნენ მენესი და მისი მემკვიდრენი ქვემო ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ. მასტაბებიც ალიზით არის ნაგები.

შემდეგ, საკმაოდ მოულოდნელად, და, როგორც ჩანს, წინასწარი მომზადების გარეშე ეგვიპტელებმა მონუმენტურ მშენებლობას მიჰყვეს ხელი. მასალად ისინი თლილ ქვას ხმარობდნენ, გარდაქმნა პირდაპირ გასაოცარია. ხასხემუიმ სამარხი ზუსტად თავისი წინაპრების მსგავსად ალიზისაგან აიშენა. ხოლო მისი მემკვიდრე ჯოსერის ანუ ნეტერ-ხეტი, III დინასტიის პირველი მეფე (ძვ. წ. 2780—2720) დაკრძალულ იქნა ქვის წყობით ნაგებ უზარმაზარ პირამიდაში, რომლის ფართობი დაახლოებით 400 კვ. ფუტია, სიმაღლე კი 250 ფუტზე მეტი. მის ქვეშ ჯოსერის მშენებლებმა გათხარეს ოთხმოცი ფუტის სიღრმის მალარო, რომლის ძირშიც გრანიტით მოპირკეთებული განსასვენებელი დარბაზი მდებარეობდა (გრანიტი ასუანიდან ჩამოუტანიათ მდინარით, დაახლოებით 700 მილის სიშორიდან). ამ მთასავით წარმომართული ქვის ნაგებობის გარშემო ნაგებობათა კომპლექსი იყო განლაგებული, ისიც ასევე ქვისა, გარს კი ქვისავე მაღალი ვალავანი ერტყა. ვალავანიც, ისევე, როგორც პირამიდა, თავდაპირველად მოპირკეთებული იყო მშვენიერი თეთრი ქვიშაქვით და მოიცავდა ასქერ უფრო მეტ ფართობს,

ვიდრე დიდი სამარხი ნაგადაში. რომელიც მენესის სახელს უკავშირდება.

მრავალი წლის განმავლობაში ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ ეს პირამიდა, რომელსაც ეგვიპტეში ბადალი არ გააჩნია, უარესად ხურებად არის ნაგები (აქედან მომდინარეობს „საფეხურებიანი პირამიდა“). — უფრო გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე ზეოფის მიერ გიზაში აგებული უფრო სახელგანთქმული სწორგვერდებიანი დიდი პირამიდაა. ისინი აცდუნა იმ ფაქტმა, რომ საისის მცხოვრებლებმა მას ძვ. წ. VII საუკუნეში დამატებითი ნაგებობანი მოაშენეს. მაგრამ ახლა ჩვენთვის ცნობილია, რომ ჯოსერის მონუმენტი ზეოფისის პირამიდამდე სამოცდაათზე მეტი წლით ადრე იქნა აგებული. იგი, ფაქტურად, პირველი პირამიდა და მხოლოდში უძველესი ქვის დიდი ნაგებობაა.

როგორ იქნა მიღწეული ეს სასწაული? — ამის პასუხი ალბათ ის არის, რომ ახლაც, როგორც კაცობრიობის ისტორიის გარდატეხის სხვა პერიოდებში, ეპოქამ დიდი პიროვნება წამოსწია წინ. ლეგენდათა ბურუსში და ნაწიწვეტ-ნაწვეტ ცნობებში, იმ შორეული წარსულადან ჩვენამდე რომ აღწევს, ერთი კაცის სახე იკვეთება. ჩვენ ვიცით, რომ მისი სახელია იმპოტეპი. ვიცით, ისიც, რომ იგი მეფე ჯოსერის ხუროთმოძღვარი იყო. იმპოტეპის სიკვდილიდან ოცდახუთი საუკუნის შემდეგ ისტორიკოსმა მანეტონმა, რომელმაც გულისყურით წაიკითხა ქურუმთა მათიანე, იქიდან ამოკრიბა და გადმოგვცა ერთი მტანჯველი ცნობა:

„მისი (ჯოსერის) მეფობისას ცხოვრობდა იმუთესი (იმპოტეპი). რომელმაც თავისი საეკიმო რატატობის გამო ესკულაპისი რეპუტაცია მოიპოვა. მან გამოიგონა თლილი ქვით შენების ხელოვნებაც. იგი დამწერლობასაც უამობდა ყურადღებას (კურსივი ჩემია, ლ. კ.)“.

სულ ეს არის და ეს: ისტორიის მხოლოდ და მხოლოდ ოთხი თუ ხუთი ბწყარი, რამდენიმე გვიანდელი ლეგენდა (რომლებშიც იმპოტეპი ჩადოქრად და ღმერთად ქცეულა); რამდენიმე წარწერა და კედელზე ნაკაწრილა შემოგვრჩა წერილობით საბუთებად ამ დიდი ადამიანის არსებობის შესახებ. იგი ქვეშაობად დიდი ადამიანი უნდა ყოფილიყო. უნდა ყოფილიყო გენიოსი, რომელიც ღირსეულად დაუშვენიებდა მხარს გვიანდელი ისტორიის გოლიათ მოაზროვნეებს. მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, იგი ვერ შესძლებდა საფეხურებიანი პირამიდის აგებას. ხელშემწყობი პირობები რომ არ მქონოდა. ჯერ ერთი, მენესის

1. ესკულაპი — მედიცინის ღმერთი.

შთამომავლებმა საბოლოოდ შემოიმტკიცეს დაპურობილი მიწები და დაასრულეს ეგვიპტის გაერთიანება. მთელი სამეფოს რესურსები სიმდიდრისა თუ სამუშაო ძალის სახით, მეფისა და მისი მინისტრების განკარგულებაში იყო.

მაგრამ შეიძლება ასეთი კითხვა დაგვებადოს: რატომ დაიწიეს უცარად ეგვიპტელებმა ქვის გამოყენება, როცა ამდენი ხნის განმავლობაში ალიზითა და ბეტონით სარგებლობდნენ? ცნობილმა ამერიკელმა არქეოლოგმა ჯორჯ რეისნერმა თავისებური პასუხი შემოგვთავაზა:

„ამ ცვლილების მიზეზი, — თვლიდა იგი. — იყო ის, რომ ახალი დედაქალაქის — მეშფის მახლობლად მოიპოვებოდა უხვი მარაგი კარგი ხარისხის კირქვისა; მისი დამუშავება ადვილი იყო. თანაც საბადო ხელმისაწვდომ ადგილას მდებარეობდა, — კირქვის კლდეები მდინარის ორივე მხარეს არის და მისი დამუშავება ათასობით წლების მანძილზე არ შეწყვეტილა. იმ დროს ქვის კურჭლის შექმნის ხელობასაც უკვე დიდი ხნის ტრადიცია ჰქონდა. ახლა ეგვიპტელები სწავლობდნენ ქვიშაქვისაგან ბლოკების სოჭრას, თლას და მ.თ. გამოყენებას მშენებლობაში ზუსტად ისევე, როგორც ალიზს იყენებდნენ. დადგადრო, ამბობს რეისნერი, როდესაც ეგვიპტელი ხელოსნები იმ ზომამდე დაუფლნენ კირქვის ბლოკების კეთას, რომ მათ შეეძლოთ დაემუშავებინათ ქვიშაქვის ნებისმიერი ზომის ბლოკები და მეფის ნოთხოვნის მიხედვით კლდეში ამოეკვეთათ დიდი ორბოები და ხაროები (ან კიბეები)“.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ამაღლებველი არქეოლოგიურ უბანთაგანი არის საქარა, სადაც ახლაც დგას საფეხურებიანი პირამიდა. — აქ შესაძლებელია შევისწავლოთ ქვის არქიტექტურის ყველაზე ადრინდელი საწყისები. წინა თავებში ჩვენ შევნიშნავდით, რომ ადრედინასტიული პერიოდის მეფეები და დიდებულები თავიანთი სამარხების ნიმუშებად ალიზითა და ხით ნაგებ თავისსავე საცხოვრებელ სახლებს იღებდნენ. ეს საფეხურებიან პირამიდაში და მის გარშემო მდგომ ნაგებობებშიც შეიმჩნევა, მაგრამ აქ უკვე გარკვეული ნაბიჯია წინ გადადგმული. ძველი ფორმები ისევ დაცულია, ოღონდ ამგვარად შვპში. ასე და ამგვარად, ჯოსერის პირამიდის ეზოსაკენ მიგვიძღვება შესასვლელი კოლონადა, ყოველი კოლონადას ბოლოში ქვის კარია აღმართული. ისინი ზუსტი ასლები უნდა იყოს იმ ხის კარებისა, რომლებიც, უეჭველად, დიდი ხნის წინ გამქრალ სასახლეში იქნებოდა გამოყენებული. იქ არის ანკამებიც და კრილიც

კარის საკეთისათვის, მაგრამ კარები უძრავია, ისინი ნამდვილი არ არის, ამისავე მსგავსად თვითონ გაღავანი შედგება ნასტიონი რივისაგან, რომელთა პანელები ხეზე კრფს იმიტაციას წარმოადგენენ. ხუფის კურჭლის სვეტები დადარულია და ლეჩუმს [ლქ] [ქ] [ქ] მოგვაგონებს, რომლებზეც პირველყოფილი ეგვიპტელები თავიანთი ალიზის სადგომების სახურავებს აყრდნობდნენ. ამ სვეტებს უპირავთ ნახევარწრიული ქვის ბლოკებისაგან გაკეთებული სახურავი. — ეს ბლოკები პალმის შორებს წარმოსახვენ.

კლდე უფრო მომზიბლავია კლდეში ამოკვეთილ პატარა სენაკთა კომპლექსი, რომელიც პირამიდის გაღავანშიცა კერატორის ქვეშ ოთხმოცი ფუტის სიღრმეზე მდებარეობს. სენაკების ორი ასეთი რიგი არსებობს. — ერთი თვით პირამიდის ქვეშ. მეორე კი, — უკეთ დაცული, — გაღავნის სამხრეთ ბოლოში. მ. ცან-ფილიმ ლაუერი, რომელმაც თავისი სიკოცხლის უმეტესი ნაწილი იმპოტების მოსუენტის დაცვასა და აღდგენას მოახმარა, ოსტატურად აღწერს ამ სენაკებს, როგორც „კას პატარა ბინას“.

ამ ახლად აღმოჩენილი პირამიდის არქიტექტურის გათვალისწინებით, რომელსაც ჯოსერის პირამიდის მსგავსად, დიდი გაღავანი ერტვა, ქუუასთან ახლოს ჩანს. ვიგულისხმობ, რომ სეხემ—ხეტი მართლაც ჯოსერის მომდევნო მეფე იყო.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს ოთახები იმ სამეფო სასახლის ნაწილს წარმოსახავს, რომელშიც ხუთიათასი წლის წინათ ცხოვრობდა ჯოსერი. კედლები შემკულია მოლურჯო-მომწვანო ქაშანურის შორენკეცების ნიმუშებით, — ისინი ანსახიერებენ იმ ლერწმის კილოფებს, პრედინასტიული და ადრედინასტიული ეპოქების ხალხები თავიანთ სახლებში რომ ხმარობდნენ, იმავე შორენკეცებით საგულდაგულოდ არის გამოსახული ზევით ასაგრავნი კილოფებიც, რომლებსაც კარების ზღურბლებზე კიდებდნენ. ქვაში ნაკვეთი დერეფანი წარმოადგენს სასახლის გარეთა გზას; ერთი კედელი ბრტყელია, მეორე კი წარმოსახავს სასახლის ფასადს თავისი სადარბაზო შესასვლელით. ერთ-ერთი ასეთი შესავლელი ღიაა და ოთახებში შესვლის საშუალებას იძლევა. სხვები კი ქვის სტელებით არის ამოკოლილი. სტელებზე შესანიშნავად არის ნაკვეთი თვითონ ჯოსერის სკულპტურული რელიეფები, რომელთა თავზეც იეროგლიფებით წერია მასი სახელი. ერთ რელი-

1 ივულისნება მეფის სულს „კა“.

ეფზე მას ქვემო ეგვიპტის გვირგვინი აქვს. მეორეზე — ზემო ეგვიპტისა. განსაკუთრებით გულში ჩამწვდომია ერთი დეტალი: ზოგიერთ იეროგლიფს ადამიანის პაწაწინა ხელები ახვია და ამ ხელებით უჭირავთ სირაქლემას ფრთების მარაოები, რომლებიც მოწიწებით დაუხრიათ მეფის წინაშე.

ღია კარს მიღმა ოთახების ანფილადა მოჩანს. მათგან ერთ-ერთი აღბათ საწოლი ოთახი იქნებოდა. სხვები — საზეიმო დარბაზები, მათ შემდეგ კი სახელმწიფო ბედლები. როცა სამარხი პირველად აიგო, შეიძლება ოთახები ავეჯით უოფილიყო გაწყობილი, — ჩვენ ეს არ ვიცით. მაგრამ როდესაც ოთხმოცოც ფუტის სიღრმეზე მშენებლებმა ისინი ღორღის წყობით ამოკოლეს, მას შემდეგ არცერთ ადამიანს, გარდა უძველესი საფლავთმძარცველებისა, აღარ უნახავს ისინი. ვიდრე ეს ოთახები კვლავ არ გაადეს მეცხრამეტე საუკუნის არქეოლოგებმა. მეფის „კას“ შეეძლო, თუკი იწებებდა. გამოსულიყო სხეულიდან. თავის გრანიტის განსასვენებელ პალატში შემობრძანებულყო და ოთახები დაეკაფებინა. ან, თუ ისინი მობეზრდებოდა, შეეძლო სახლის ეზო გადაეჭრა და მეორე სამეფო აპარტანენტებში გადასულიყო, რომლებიც თვით პირამიდის ქვეშ მდებარეობდა. ზოგი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ერთი და იმავე გალავნის შიგნით მოთავსებული ეს ორ-ორი სამარხი, — ერთი ჩრდილოეთით, ხოლო მეორე — სამხრეთით, — შეიძლება სიმბოლურად წარმოსახავდეს იმ ორ სავალდებულო აკლდამას, რომლებიც უფრო აღრინდელ შეფეებს უნდა აქონოდათ ზემო და ქვემო ეგვიპტეში.

ჩვენ ასე თუ ისე დაწვრილებით შევჩერდით III დინასტიის პირველი მეფის — ჯოსერის საფლავებთან პირამიდაზე, რადგან იგი კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეპოქას — ქვის ხუროთმოძღვრების დასაწყისს ასახავს. შეიძლება აგრეთვე ითქვას, რომ იგი ტიპური მაჩვენებელია ეგვიპტური რელიგიური რწმენებისა. კლდეში ღრმად ნაკვეთი განსასვენებელი პალატით. მეფის „კასთვის“ განკუთვნილ ოთახთა ანფილადით, მიწისქვეშა საწყობების ლაბირინთებით, რომლებშიც ქერს სწვდება ერთმანეთზე დაწყობილი ქვის ქურჭელი. ჯოსერის პირამიდა — სამარხი წარმოადგენს ეგვიპტური დასაფლავების წესებს ყველაზე დახვეწილი სახით.

მანეთონი III დინასტიის ჯოსერის მომდევნო სხვა მეფეთა სახელებსაც ვაწვდის — ხანახტს, ხაბას, ნეფერ-კას, ანუს (თუ პუნის), — მაგრამ ისინი მხოლოდ სახელებად რჩებიან.

თუმცა, ამ ცოტა ხნის წინათ ეგვიპტელმა არქეოლოგმა ზაქარია გონეიმმა აღმოაჩინა უფრო ქვემოთა წყობა III დინასტიის აქამდე უცნობი პირამიდისა, რომელიც ჯოსერის მონუმენტიდან ოდნავ უფრო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. კლდოვანი მასივი პირამიდის ქვეშ დაცხრილული იყო უამრავი მიწისქვეშა გალერეებისა და საწყობი ოთახების ლაბირინთით, რომელთაგან უმეტესობა ცარიელი იყო. მიუხედავად ამისა, დიდი რაოდენობით იქნა ნაპოვნი ქვის ქურჭელი და III დინასტიის ოქრომჭედლობის საინტერესო ნიმუშები — ოქროს სამაჭურების კომპლექტი, რომელიც აღბათ მეფის ასულს ეკუთვნოდა. ზოგიერთი ქურჭლის ლუქზე გონეიმმა იპოვა მეფის დიდებული სახელი — „სეხემსეტი“, რაც ნიშნავს „ძლიერად აღნაგს“. ჯოსერის ერთ-ერთი სახელი (ფარაონები რამდენიმე სახელს ატარებდნენ) „ნეტერ-ხეტი“ იყო; ამ მსგავსების გამო შეგვეძლო გვგვარაუდა, რომ სეხემ-ხეტი შეიძლება იმავე ოჯახის წარმომადგენელი უოფილიყო, რომელსაც ჯოსერი ეკუთვნოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი სახელი მანეთონის შეფეთა სიაში არა ჩანს. მაგრამ 1955 წელს გონეიმმა იპოვა სპილოს ძვლის წარწერებიანი ფირფიტა კიდევ ერთი სხვა სამეფო სახელით — „ჯესერტი-ანხ“ (ჯესერი და ჯოსერი ერთი და იგივეა), ეს სახელი კი გვხვდება მანეთონის III დინასტიის მეფეთა სიაში, სადაც დადასტურებულია, რომ იგი ჯოსერის მომდევნო მეფეა.

როდესაც ამ წიგნის ავტორი უკანასკნელად იყო საქარაში, გონეიმმა მას თეთრი ქვიშაქვის კედელზე წითელი ოხრით შესრულებული გახუნებული წარწერა აჩვენა, რომელიც 500 წლის განმავლობაში პირველად მაშინ იქნა აღმოჩენილი. იგი ასე იკითხებოდა: „იმპოტეპი“, სხვა ძლივს გასარჩევ ნიშნებთან ერთად, რომლებიც უნდა იკითხებოდეს როგორც „ყოველდღე“. იქვე ახლოს იმავე კედელს გასდევს წვრილი წითელი ხაზი, ისეთი ხასხასა, თითქოს მშენებელმა ახლახან გაავლოო წითელ საღებავში ამოვლებული კანაფით კედლის ზედაპირზე. ეს თარაზულა: „იმპოტეპი... (ზედამხედველობას უწევდა ამ მონუმენტს?)... ყოველ დღე.“ შესაძლოა დიდი ხუროთმოძღვარი მუშაობდა ამ პირამიდაზეც, რომელიც მისი ბატონის მომდევნო მეფისთვის, იქნებ მისი ვაჟისთვისაც კი, — შენდებოდა. ამ წითელ ხაზში 50 საუკუნე გაშდნარიყო და იქნებ არც გაგვირგებოდათ, კუთხის იქიდან უცებ იმპოტეპი რომ გამოჩენილიყო, თეთრ სამოსიანი, მბრძანებ-

ღური იერის შუბლმალაღი კაცი თავისი ხელ-
ქვეითების თანხლებით.

„...ფრთხილად... ისევ აქ არის...“ — ერთმა-
ნეთს გადაუჩურჩულებდნენ მწკრივის გაყო-
ლებაზე და მუქკანიანი ასი მუშაკაცი უცბათ
მართლაც ძალიან საქმიანი გახდებოდა.

იმპოტეპი იყო უმაღლესი გამოვლინება ქუ-
რუმ-ტექნიკოსთა ინტელექტუალური კლასისა.
საქალაქო რევოლუციამ შედაპირზე რომ ამო-
ატივტივა. იგი წარმოგვიდგება ლევონარდო და
ვისჩის დარ უნივერსალურ გენიოსად, რომელიც
მრავალ ხელოვნებას ფლობდა. მანეთონი ამ-
ბობს, რომ „თავისი სამკურნალო ხელოვნების
გამო მას ესკულაპის რეპუტაცია ჰქონდა.“ და
რომ „იგი ყურადღებას უთმობდა აგრეთვე და-
მწერლობასაც“. რამდენადაც ვიცით... საი-
ღუმლო კოდით დაწერილი უკანასკნელი ფრაზა
შეიძლება ნიშნავდეს, რომ იმპოტეპმა შეუცვალა
მოხაზულობა და სრულყო ეგვიპტური დას-
წერლობის მთელი სისტემა. რომელიც ამ პერი-
ოდისათვის, — ამბობს სერ ალან გარდინერი, —
„პირდაპირ ჩვენს თვალწინ განიცდის განვი-
თარებას“. მან ისეთი დიდი ხანელი დაიმკვიდრა.
რომ გარდაცვალებიდან ორიათასი წლის შემ-
დეგაც ეგვიპტელი მწერლები მუშაობის და-
წყების წინ, როგორც ღვთაებას, შედაშეს სწი-
რავდნენ.

იმპოტეპის სამარხი დღემდე ვერ იქნა ნა-
პოვნო.

თავიდანვე არ დაუგეგმიათ, რომ ჯოსერის
პირამიდა საფეხურებიანი ყოფილიყო. მისი
შენება დაიწყო ქვის ჩვეულებრივი მასტაბა-
სავით, რომლის ზომას თანდათან ზრდიდნენ,
ვიდრე ვილაცხას, — ალბათ იმპოტეპს, — აზ-
რად არ მოუვიდა მის თავზე უფრო პატარა
მასტაბების რიგი აღემატა, რის შედეგადაც
მიღებულ იქნა საფეხურებიანი ფორმა. შემ-
დეგმა მეფეებმა უარი გამოაცხადეს საფეხურ-
ებზე და ააგეს სწორგვერდებიანი პირამი-
დები. უფრო დიდი ზომისაც კი. მუნიმ, III
დინასტიის ერთ-ერთმა უკანასკნელმა მეფეთა-
განმა, მეიდუმში უზარმაზარი პირამიდის მშე-
ნებლობა წამოიწყო. იგი მისმა შემკვიდრემ —
სნოფრუმ დაასრულა. ხოლო სნოფრუს ვაჟ-
მა — ხეოფსმა, IV დინასტიის დამაარსებელმა
(ძვ. წ. 2720—2560) კი ყველაზე დიდი პირამი-
და ააგო, — სახელგანთქმული „გიზას დიდი
პირამიდა“, რომელიც საქარადან დაახლოებით

თორმეტი მილით არის დაშორებული. მსოფ-
ლიოს შვიდ ხაოცრებათაგან ეს ერთადერთი
გადარჩა. მისი ფუძე ^{კვადრატული} რომლის
თითოეული სიგრძე 755 ფუტია, სწრაფე პი-
რამიდისა 131 ფუტს შეადგენს. უმცირესი სენა-
კების გარდა მთელი ^{სწრაფე} კორ-
ნახევარი მილიონი კირქვის ბლოკისაგან. მაგრამ
ამ პირამიდაში სიდიდეზე უფრო ღირსშესანიშ-
ნავია. სიზუსტე, რომლითაც იგია აშენებული.
პეტრიმ ორა წელიწადი მოახმარა. მის აზომ-
ვასა და შესწავლას. მას მოჰყავს ციფრები (გი-
ზას პირამიდებისა და ტაძრებისა), რომლებიც
ადასტურებენ, რომ მოსაპირკეთებელი ქვების
(რომელთაგან ზოგიერთი 16 ტ. იწონის) მოქ-
რისას სწორი ხაზის გამრუდების საშუალო
ცოთშილება 1/100 დიუმს არ აღემატება.

ქვის წყობის შიგნითა შრე ადგილობრივ
მოპოვებული ქვით იყო ნაგები. მოპირკეთები-
ნათვის საჭირო კირქვის მშენიერ ბლოკებს
კი (რომლებიც აღარ შემორჩენილა) ნილოსის
მოპირდაპირე ნაპირზე მოპოვებდნენ და კარ-
ჭაპებით გადმოჰქონდათ, — ალბათ წყალდიდო-
ბების სეზონში, როცა მდინარე ყველაზე მე-
ტად ფართოვდებოდა. ზოგ ასეთ კარჭას ათა-
სი ტონის ზიდვაც კი შეეძლო. სწრაფი დი-
ნების მქონე ნაკადზე ამ კარჭაპებით ოსტატური
მანევრირება თავისთავად უკვე დიდ მიღწე-
ვას ნიშნავდა. ბლოკები ხელუხლები კლდე-
ბიდან სპილენძის იარაღით იყო გამოკვეთილი.
ბლოკს ჯერ სამი მხრიდან მოჭრიდნენ, მერე
კი ნაპრალებში სოლებს ჩაარჭობდნენ და
ისე ტახავდნენ. პირამიდის ხანშენებლო მოე-
დანზე ბლოკებს მარხილებით ეზიდებოდნენ.
მარხილებს ადამიანები მიათრევდნენ (პორბალს
მაშინ ეგვიპტელები არ იცნობდნენ). ბლოკე-
ბის საჭირო ადგილას დაწყობაც მხოლოდ მუ-
შახელის ძალით შეეძლოთ. ამწევი მოწყობი-
ლობები ჯერ კიდევ არ იყო გამოგონილი.

როგორც ამ თავში უკვე აღვნიშნეთ, ეს
„დიდი პირამიდა“ დაახლოებით ხუთიათასი
წლის მანძილზე მსოფლიოში უმაღლესი შე-
ნობა იყო. და თანაც მის აგებამდე ასიოდე
წლით ადრე მსოფლიოში არსად არ იყო ქვის
ნაგებობები. ეგვიპტელებიც კი, — ყველაზე
მოწინავე ხალხი, მშენებლობისას ჯერ კიდევ
აღიზს იყენებდნენ.

ხანდახან კაცობრიობას სწრაფად შეუძლია
წინსვლა — ამ ჭეშმარიტებით შეგვიძლია და-
ვიმშვიდოთ თავი ჩვენს ახლანდელ კრიტი-
კულ მდგომარეობაში.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მექა-
ნიზებულ საუკუნეზე უფრო დიდ შთაბეჭდი-

1 დიუნგი — 2,5 სმ.

1 ენ-ფილიპ ლოაფე, სიძველეთა დეპარტამენ-
ტის არქიტექტორი და ჯოსერის პირამიდის
რესტავრაციის პასუხისმგებელი პირი თავის თავს
უწოდებს „გვირ იმპოტეპის უკანასკნელ თანა-
შემწეს“.

ლებას ეგვიპტელთა ტექნიკური მიღწევები ახდენს, მაინც დიდი შეცდომა იქნებოდა, ისინი უბრალოდ სიკვდილის იდეით შეპყრობილ ინიერებად წარმოგვედგინა. საქმე ისაა, რომ დღემდე მხოლოდ მათი დასაკრძალავი მონუმენტები შემორჩა. ხოლო სასაბლევები, — შენაიშნავი დიდი ხაზლები, თუ მოკრძალებული სადგომები, სახელოსნოები თუ კანტორები, საქონლის საწუობები, ნავისადგომები, ჯვები და ფორტები ალღავა პირისაგან მიწისა. ამას ხაკმაოდ უბრალო ნიშანი აქვს: შენობები აგებული იყო მალეფუჭებადი მასალებით — ალიზით, ხით და თიხით შეღესილი ლასტით. თავისი აუჯავების ხანაში სატახტო ქალაქი მემფისი ნილოსის დასავლეთ ხანაპიროზე რამდენიმე ათეული მილის მანძილზე იყო გადაქიმული იმ უდაბური ზეგანის პირდაპირ, სადაც მისი ღმერთი—მეფეების სამარადისო განსახვენებლები თავისი წვეტებით დღესაც აწვდიან უდაბნოს ცაში. მაგრამ მემფისი წარსულს ჩაბარდა. პირამიდები და მათი თანმხლები მასტაბები — დიდებულთა და თანამდებობის პირთა სამარხები კი გადარჩა. ამიტომაც მცირედი წარმოდგენა მაინც რომ შევიქმნათ ამ ადამიანთა ცხოვრების შესახებ, — თუ როგორ გამოიყურებოდნენ, რა ტანსაცმელი ეცვათ, როგორი ავეჯი ჰქონდათ, რა საქმიანობას ეწეოდნენ, რითი ერთობოდნენ და მხიარულობდნენ. — ჩვენ უნდა შევადწიოთ მათს ხაზარს ხენაკებში, რომელთა კედლებზეც სამარადისოდ დატოვეს თავიანთი ცხოვრების აღმსუსხველი ქვაზე ამოკვეთილი მატრიანები. სწორედ ამის გამოა, რომ ჩვენ უფრო მეტის გაგება შეგვიძლია სუთიათასი წლის წინათ არსებული ძველი სამეფოს დროინდელი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, ვიდრე ჩვენი საკუთარი ანგლო-საქსონელი წინაპრების შესახებ, რომლებიც ჩვენგან ასე მცირე დროით არიან დაშორებულნი.

დიდი პირამიდის აღმშენებლის — ხუფუტ (ხეოფსის) დროს სამეფო ძალაუფლება აბსოლუტური იყო. სახელმწიფო სადავეები მეფეს ეპურა ხელთ, ხოლო მისი მოხელეები უშეტესწილად სამეფო გვარის წარმომადგენლები ჩანან. მეფე მთელ ქვეყანას პროვინციათა გამგებლების მეშვეობით მართავდა (ისინი ხშირად მისი ოჯახის წევრები იყვნენ). მას ჰყავდა აგრეთვე მრავალი უმცროსი მოხელე — სამღვდელთა კლასის წარმომადგენლები — წიგნიერი ადამიანები, — რომლებიც გადასახადების კარგად შემუშავებულ სისტემას ახორციელებდნენ. გადასახადებს ნატურით კრეფდნენ. თავიანთი ისტორიის ძალიან გვიანდელ პერიოდამდე ეგვიპტელები ფულს არ კრიდნენ. მე-

ფეს არჰია ჰყავდა და იგი დროდადრო აწარმოებდა საოხარ მოქმედებას სამხრეთელი ნუბიელებს, ჩრდილო-აღმოსავლელი აზიელებსა და დასავლელი ლიბიელების წინააღმდეგ. მეფის გამარჯვებათა ხტენები ამ ხაზლებზე (რომლებშიც აზიელები წვეროსნადსამხარებად არიან გამოსახულნი, ნუბიელები კი ხანგეზად) მისი თანაბედროვე და უფრო გვიანდელი ეგვიპტური პერიოდების მონუმენტებზეც გვხვდება. მაგრამ ძველი სამეფოს დროს ეგვიპტეს იმპერია არა ჰქონია. იგი გაცილებით უფრო გვიან შეიქმნა.

I—IV დინასტიის მეფეები სინაის ნახევარკუნძულზე სპილენძისა და მალაქიტის მოსაპოვებლად, ნუბიაში კი ოქროსა და მონებისათვის ექსპედიციებს გზავნიდნენ. მონობა ასალი ცნება იყო კაცობრიობის განვითარებაში; მტერს, ნაცვლად ისისა, რომ მოგეკლათ, აიძულებდით თქვენთვის ეწეშავა, — ადამიანიც იხვევ შეიძლებოდა მოშინაურებულიყო, როგორც ცხოველი.

პროვინციების მრავალრიცხოვანი ღმერთები — სასაფლაოთა მცველი ტურა—ღმერთი ანუბისი, ნიანგი—ღმერთი თუერისი, სიუვარულის ქალღმერთი ჰატ-ჰორი, თოთი—უაჯირისთავიანი დამწერლობის ღმერთი (სხვათა შორის იგი დელტიდან მოდის, რაც ნიშანდობლივი შეიძლება იყოს), აზიდა, ოზირისი და პორუსი თანდათანობით ერთიან სისტემაში მოექცნენ. მაგრამ ღმერთთა მბრძანებლად დარჩა რა — მზე-ღმერთი მემფისის მახლობლად მდებარე ჰელიოპოლისისა, ზოგ არქეოლოგს მიაჩნია, რომ თვით პირამიდის ფორმა შეიძლება იყოს ღრუბლებში გამოსხლეტილი მზის დაღმავალი სხივების ქვაში გამოსახვა. სხვები იმ აზრამდე მდიან, რომ საფხურებიან პირამიდის პირველწყარო შეიძლება იყოს არა ჩვეულებრივი მასტაბას ევოლუცია, არამედ ქვაში გამოსახული ზეციური კიბე, რომლითაც გარდაცვლილი მეფე შეცად ამადლდებოდა.

ეგვიპტეში, სადაც მუდამ მზიანი დარია, თავისთავად ცხადია, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი უნდა გამზდარიყო ღვთაება, რომელიც ცხოველყოფელ მზეში სახლობს, ხედავდნენ, რომ რა ყოველ დღით აღმოსავლეთიდან აღმობრწყინდებოდა, ზეცას გადაკვეთდა და დასავლეთით ჩაეხვეწებოდა. მაგრამ ეგვიპტელებს, რომლებსაც მუდამ პრაქტიკული აზროვნება ჰქონდათ, არ შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ მზე ამ დიად მსუღეულობას რაიმე ტრანსპორტის გარეშე განახორციელებდა. ხოლო რადგანაც ტრანსპორტის ყველაზე გავრცელებული სახეობა ნავი იყო, რას სამოგზაუროდ ზეციური ხომალდი უბოძეს. თვით მეფეს, რომელიც

იმ დროს ღვთის შთამომავლად („ძე რასი“) ითვლებოდა, სწამდა, რომ იმქვეყნიური ცხოვრებისას იგი თავისი ნავით მზე-ღმერთ რას თანმხლები იქნებოდა. ამით შეიძლება აიხსნას ის ამბავი, რომ ზოგჯერ ასეთი ნავეები პირამიდის გვერდით არის დამარხული.

რას ქურუმები ალბათ უსაზღვროდ უფლებამოსილები გახდებოდნენ. ერთი ხანობა, — V დინასტიის დროს (ძვ. წ. 2560—2420) შეფეები თავიანთ სახელს ამ ღმერთის სახელს ურთავდნენ მაგ., საპუ-რა, ნეფერირა-რა, ნიუსერ-რა. ამ შეფეებმა რას „მზის ტაძრებიც“ აუშენეს აბუსირში. — საქარასა და გიზას შორის. ამ ტაძრების მთავარი დამაზანაოებელი ნიშანი ობელისკი იყო. აქვე უნდა დავძინოთ, რომ შენაძლებელია, პირამიდის ფორმას რაღაც რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა.

დიდ პირამიდაში მხოლოდ მეფის დაკრძალვა შეიძლებოდა; მის ღედოფლებს ზოგჯერ უფრო მომცრო პირამიდებში კრძალავდნენ, ხოლო დიდებულები, — თუნდაც აღწევებულნი, ალიზის ან ქვისგან ნაგებ მასტაბებს უნდა დასჯერებოდნენ. ასობით ასეთი მართკუთხა შენობა იყო მწკრივებად ჩარიგებული საბუფო სამარხის ჩრდილში ისე, რომ მათ მფლობელებს შესძლებოდათ როგორც ამქვეყნიური ცხოვრებისას, საიქიოშიც თან ხლებოდნენ მეფეს. სწორედ ამ სამარხების შიდა კედლების წარწერებიდან და ქანდაკებებიდან გვაქვს უმეტესობა იმ ცნობებისა, რომლებიც გაგვანჩნია ძველი სამეფოს შესახებ. თვით პირამიდებს არა ჰქონდათ წარწერები V დინასტიის ბოლომდე, როდესაც ჩნდება ე. წ. პირამიდების ტექსტები. მაგრამ ესენი უბრალოდ სვეტები იყო რელიგიური ტექსტებისა, რომლებიც, ეტუობა, პირამიდებზე გაცილებით უფრო ადრეული პერიოდით უნდა დათარიღდეს. პირამიდები არ შეიცავს უოველდღიური ცხოვრების ამსახველ ნაქანდაკე სცენებს, როგორებიცაა თანამდებობის პირთა მასტაბებია მორთული. ეს შესანიშნავად ნაქანდაკევი სცენები ეგვიპტის უოველ სტუმარზე ახდენს შთაბეჭდილებას. იგი, მცხუნვარე მზეზე კლდე-ღრეში სიარულით დაქანცული, სამარხის გრილ წიაღში ჩადის, იქ კი კედლებზე სრულიად მოულოდნელად ძველთაძველი ადამიანები ცოცხლდებიან. აქ არის თვითონ თანამდებობის პირი. — „მისი უდიდებულესობის მთავარი მწერალი“ ან „ვეზირი“ (მეფის პრემიერ-მინისტრი), რომელიც ოფიციალური მოხელის სკამზე ზის ტილოს თეთრ ქვედაკაბაში გამოწყობილი და თვალს ადევნებს მსახურთა რიგებს. რომელთაც მისთვის ძღვნად ხორცი, პური, ლუდი და ღვინო მოაქვთ. მეორე

სურათზე მამაკაცები ნილოსისპირა კაობებში გარეულ ფრინველებს კაკანათებს უდგამენ. სხვები ბარჯით იჭერენ თევზს ან კიდევ ფრინველებს პუტავენ. მსახური ქალები პურეულს მკიან ან ქვის ხელსაფქვავებით ხორბალს ფქვავენ. ყასბები დაკლული მსაქონტებს ვაჭო-ასო კნიან. სხვებს ამ საქონტებს ზრმდენსმე ბარკალი თავიანთ ბატონებთან მოაქვთ. იქვე ერთი კაცი საპალნეაკიდებული სახედრების ჯოგს მიერეკება. მაგრამ მოქანდაკემ, ტრადიციული სცენებით გაბეზრებულმა, რომლებიც მას უოველ სამარხში უნდა გამოესახა, როგორც ზელოვანმა, მრავალფეროვნება შესძინა ამ სურათებს: ერთი სახედარი უეცრად გაჩითებულაორი კაცი შებშია პატარა თავნება ცხოველს, რომელსაც ეშმაკუნები უბტიან თვალეში. ერთ-ერთი წინა ფეხში ჩაფრენია, მეორეს აღვირისთვის ჩაუვლია ხელი და ექაჩება. ერთი წამით ჩვენს თვალწინ იშლება ამ ორმოცდაათი საუკუნის წინათ გარდაცვლილი პიროვნების იუმორისტული თვალით დანახული სურათი და ჩვენც მასთან ერთად გველიშება.

ზევით ვიუურებით და იქ უკვე სხვა სცენას ვხედავთ: თანამდებობის პირის მოხდენილ ცოლს კენარ ტანზე გამქვირვალე ტილოს დამაზი კაბა შემოტმასნია. ხელებს და კისერს კი ძვირფასი სამკაული უშშვენებს. იგი სუფრის თავში დაბრძანებულა თავის ქმართან ერთად. სტუმრები სკამებზე სხედან ან ბალიშებზე გადაწოლილან, მათ ღვინითა და ტკბილეულობით უმასპინძლდებიან შიშველი მონა გოგონები. მუსიკოსთა გუნდი სტუმრებისათვის უკრავს. ერთ მოცეკვავე ასულს თეძოების რხევა აუყოლებია რიტმული ტაშისა, დაირის ხმისა და ბარბითების ქლარუნისათვის. ერთ კუთხეში მოცეკვავე ასულთა გუნდი ჩამწკრივებულა და ისე არაჩვეულებრივად შეწყობილად ისვრიან ფეხებს მავრში, რომ ნიუ-იორკის „Rocket-ებიც“ კი არ ითაკილებდნენ ასე ცეკვას. ამგვარი სცენა შეიძლება შეგხვდეთ საქარაში, მამუს სამარხში და სხვა ადგილებშიც.

თუ ცოტა შორს გაადევნებთ თვალს კედელს, შეგიძლიათ დატკბეთ სურათით, სადაც ასახულია კაობში ფრინველებზე ნადირობა, რომელშიც მონაწილეობენ მაღალი რანგის მოხელე, მისი ცოლი და ქალიშვილი. პაპირუსის ღეროთა კონებისაგან გაკეთებული მსუბუქი ნავი ღერწმებს შორის მისრიალებს. მარეკებს გარეული ფრინველები დაუფროთხიათ და ისინი ჩვენს თავზე ჰკრავენ კამარას. ამ სამარხის მფლობელი თანამდებობის პირი ფრინველებს სანადირო კეტს სტუორცნის. კეტი ფრინველებს შორის ბზრიალებს. ამ დროს სამარხის მფლობელის ასული მას მუზღებზე ებლაუჭება,

რომ მამამისი წყალში არ ჩავარდეს. ცოლს ხელში ისე უჭირავს. მსახურები ძირს ჩამოყრილი ფრინველების ასაკრეფად მიდიან. უველა ეს სცენა გულდასმით არის აღწერილი ნაქანდაკევი რელიეფების თავზე ან მათ ქვეშ მოთავსებულ იეროგლიფურ ტექსტებში.

აქ ჩვენს თვალწინ წარმოსდგება დახვეწილი და ცხოვრების დაგეგმვებაში გამოწაფული ხალხი, რომელიც ერთობოდა ნადირობით, ფლოზდა ჩაცმის, მუსიკისა და გართობის ხელოვნებას, აფასებდა გემრიელ საჭმელებსა და კარგ ღვინოს, და რომელსაც ეჭვს გარეშეა, უნდა ჰქონოდა ლიტერატურაც. რადგან ამ დროსასაფრის დამწერლობის ხელოვნება დიდად გასცდა უბრალო აღნუსხვათა ეტაპს. მართალია, ჩვენ არ ვაგვაჩნია ძველი სამეფოს დროს დაწერილი არც ერთი პაპირუსი, მაგრამ უფრო გვიანი პერიოდის მწერლები პაპირუსებზე იწერდნენ მოთხრობებს, რომელთა პირველწყაროები ეგვიპტური ცივილიზაციის ამ პირველი აუვაეების ხანას განეკუთვნება.

ესენი უმთავრესად ზღაპრები, მოთხრობები და ჯადოხსური თავგადასავლებია.

მეფე სნოფრუ, ხუფუს (ხეოფსის) — „დიდი პირამიდის“ ამშენებლის მამა მოწყენილია და სთხოვს ჯადოქარ ზაზამონსს, რაზე გასართობი ურჩიოს, ჯადოქარი უბასუხებს:

„თუ თქვენი უდიდებულესობა წაბრძანდება დიდი სახლის (ე. ი. სასახლის) ტბაზე, ნავის მენიჩბეზად კი სასახლის შიდა აპარტამენტებში ცხოვრებ უველა მშვენიერ ქალწულს დასვამდა. მაშინ გაირთობდა თქვენი უდიდებულესობა გულს, როცა დაინახავდა, როგორ უსვამენ ისინი აქეთ-იქით ნიჩბებს“.

მეფე გადაწყვეტს, სრულყოფს ეს ედეა და ბრძანებს, რომ მიჰგვარონ ოცი ქალწული —

„ისინი, ვისაც უველაზე მშვენიერი კიდურები, ლამაზი მკერდი და დაწნული დალაღები აქვს, ისეთები, რომელთაც ჯერ არ უშეიათ შვილი; და გარდა ამისა, მთართვან მას ოცი ბადე, რათა მისცეს ეს ბადეები ამ ქალებს სამოსის ნაცვლად“ და უველაფერი ისე იქნა შესრულებული, როგორც მის უდიდებულესობას ჰქონდა ნაბრძანები, და კმაყოფილებით აღივსო მისი უდიდებულესობის გული, როცა იხილა, თუ როგორ უსვამდნენ ისინი ნიჩბებს.

მაგრამ შემდეგ უსიამოვნება ხდება: ერთ-ერთი ქალწული, რომელიც თავისი „დაწნული დალაღებიდან“ მათში გახლართულ ნიჩაბს იძრობს, წყალში კარგავს თმის სამკაულს — მალაქიტის თევზს.

„მაშინ იგი დადუმდა და შეწყვიტა ნიჩბის მოხმა, და მისი მხარეც (ნავში მის მხარეს

მხედომი ქალიშვილები) დადუმდა და უველამ შეწყვიტა ნიჩბების მოხმა.“

მეფე ქალიშვილს დაკარგულის ნაცვლად ახალ უელსაბამს სთავაზობს, მაგრამ იგი პასუხობს, რაც ხავსებით ზუნებრივია: „მე უნდა ჩემი ქოთნის ძირამდე ჩავიდე.“ უდიდებულესობა, რომ მას უნდა, თავისი უფლებები ბოლომდე გამოიყენოს. უეკველია, ეს ფრაზა ანდაზა იქნებოდა ასე რომ, საქმეში ჯადოქრობა უნდა ჩარეულიყო და ჯადოქარიც მინიატურული სახით წარმოგვიდგენს სასწაულს, რომელიც შოიმოქმედა სოსემ, როცა წითელი ზღვის წყლები უკუაქცია. ზაზამონსი მიეცავეს ტბის წყალს ქსოვილივით, ფსკერს გამოაჩენს და ასე შეაძლებინებს გულდაწყვეტილ ქალბატონს, დაიბრუნოს თავისი სამკაული, რის შემდეგაც, როგორც ჩანს, მეფის დროსტარება გრძელდება.

ძველი სამეფოს რელიეფების, წარწერებისა და ლიტერატურის შესწავლისას თვალწინ წარმოგვიდგება არც თუ მაინცდამაინც სასტიკი აღმოსავლური დესპოტიის სურათი, თავში მოქცეულია მცირერიცხოვანი დახვეწილი არისტოკრატიული საზოგადოება, რომლის ცხოვრების მაღალ მატერიალურ დონეს ქმნის მილიონობით გლეხის შრომა. აღამიანთა ეს უსახელო მასები ანუშავებენ მიწას და მკიან ყანებს, მსახურობენ ფარაონის კარებში, წუწუნებენ გადასახადების ამკრეფებზე და ქმნიან ხელოვნებისა და ხელოსნობის შეაანიშნავ ნიმუშებს, რომლებიც დღეს მათი ერთადერთი სახსოვარია. ისინი ნილოსის პირას ცხოვრობენ ალიზის უბრალო სადგომებში, რომლებიც ძალიან მგავს მათი თანამედროვე შთამომავლების სადგომებს. მათ არა აქვთ დახვეწილი ოსტატობით ნაშენები სამარხები, მათ მხოლოდ ქვიშაში გათხრილი უსახელო საფლავები ზვდებათ წილადა. მაგრამ მათ არაფერი სჭირთ ჩვენი შესაცოდებელი. ისინი ნამდვილად არ არიან უუფლებო მონები, რომელთაც სავალდებულო სამუშაოზე ერუკებიან სასტიკი ზედამხედველები.

რელიგიით, რომლის საიდუმლოებებსაც წიგნიერი ფენა იცავდა, ხალხის ცხოვრება იმ ზომადე იყო განსკვალული, რომ ჩვენთვის ძნელიც კია ამის მოლიანად გაცნობიერება. მათთვის ფარაონი მართლა დმერთი იყო, მათი ბედ-იღბლის მცველი და მფარველი, რომლის კეთილდღეობაზეც იყო დამოკიდებული შთელი სამეფოს კეთილდღეობა — მარცვლულისა და მსხვილფეხა საქონლის სიუზვე, აღიდება დიდი მდინარისა, რომელზეც ისინი იყვნენ დამოკიდებულნი. ნიქიერებით გამორჩეული ადამიანების მცირე ნაწილს შეეძლო შესულიყო ქურუმთა სასწავლებლებში, ესწავლა დამწერლობას წმინდათაწმინდა ხელოვნება და

თვითონ გამხდარიყო ქურუმი და, ამრიგად, მა-
ლალი მდგომარეობისათვის მიედწია. მაგრამ
უდიდეს უმრავლესობას მარტავე მოთხოვნილე-
ბები ჰქონდა, — პური, ლუდი და დროდადრო
ხორცი. თავზე ქერი არცათუ მკაცრ ზამთარში
და ცეცხლისათვის — ხაწვავი; ცოლები, რო-
გორც თანამოსარეცლენი და თანამოსაქმენი;
ბავშვები, როგორც სიბერეში მათი მარჩენლები.
და მუდამ, განუყრელად იყო მწე, რომელიც
თანახლორად უნათებდა მდიდარსა თუ ღარიბს.

დაახლოებით ხუთასი წლის შემდეგ ძველი
სამეფოს უაღრესად ცენტრალიზებული თვით-
მპყრობელობა საბოლოოდ დაემხო და ანარქიამ
დაისადგურა. ხუფუს შემდეგ მეფეებს აღარა-
სოდეს ჰქონიათ ასეთი აბსოლუტური ძალაუფ-
ლება. მისი შთამომავლების — ხეფრენის (ხეფ-
რე) და მიკერინუსის (მენკაურის) პირამი-
დები უფრო მომცრო იყო, V და VI დინას-
ტიების მეფეთა პირამიდები საქარაში იმდენ-
ნად მოქრძალებული ნაგებობებია, რომ მათ
ხუფუ ზედაც კი არ შეხედავდა, ისევე, როგორც
შუა საუკუნეების ევროპაში, მეფეს ძალაუფ-
ლებას ეცილებოდნენ პროვინციათა მმართვე-
ლები, ანუ, როგორც მათ უწოდებდნენ, — ნო-
მარქები. საბოლოოდ დადგა დრო, როდესაც
ცენტრალიზებული კონტროლი უკვე აღარ
იყო შესაძლებელი. და დაახლოებით ას სამოც-
დაათი წლის შუალედი ეგვიპტეში აღინიშნება
VII—X დინასტიების სუსტი მეფეების მმართვე-
ლობით. არქეოლოგები მოხერხებულობისათვის
ამ დროს „პირველ შუალედურ პერიოდს“ ეძა-
ხიან.

დაახლოებით ძვ. წ. 2100 წლის შემდეგ წარ-
მოიშვა ახალი ძლევამოსილი XI, XII და
XIII დინასტიები, რომლებიც მართავდნენ ეგ-
ვიპტეს ძვ. წ. „შუა სამეფოს“ (ძვ. წ. 2100 —
1700 წწ.) პერიოდში. XII დინასტიის დამაარსე-
ბლები პროვინციული დიდებულები იყვნენ ზე-
მო-ეგვიპტურ ქალაქ ნო-ამონიდან, ანუ თებე-
დან, რომელიც იმ დროს არაფრით გამოირჩე-
ოდა, მაგრამ სოფიანებით, — ახალი სამეფოს
დროს, მას ეგვიპტის დედაქალაქად გახდომა
ენწერა.

— „შუა სამეფოს“ უწოდეს ეგვიპტის ფეოდა-
ლური ხანა. ამ პერიოდის ფარაონებს, — ამე-
ნემხეტს, სენუსრეტ II-ს, სენუსრეტ III-ს,
თუმცა მათ ბოლოს და ბოლოს განიმტკიცეს
ხელისუფლება, მაინც აღარასოდეს მიუღწე-
ვიათ ისეთი აბსოლუტური ძალაუფლებისათვის,
მეფისეული მეფეები რომ ფლობდნენ. მეფეს
სახელმწიფო უნდა ემართა ნომარქების მეშვე-
ობით და გამუდმებით ედევნებინა თვალუური,
ნომარქებს დიდი ძალაუფლება რომ არ ჩაეგ-
დოთ ხელში. ახლა იგი პროფესიონალ ჯარის-

კაცებს ჰქონდა, რომელთაც „მისი უდიდესუ-
ლესობის მომხრეები“ ერქვათ; ეს წესი შემო-
იღო, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილ თავისი
ვასალებისათვის მოეხმო, რათა მათ ხალხი და
იარაღი შეეგროვებინათ ეგვიპტის მთელი მპყრობე-
ლისათვის. ასეთი ლაშქრობები უკვე ხშირად
ენწყობოდა. შუა სამეფოს ფარაონებმა ეგვიპტე-
ლების საზღვარი ნუბიაში უფრო სამხრეთით
გადასწიეს. ამენემხეტის შემკვიდრემ — სენუს-
რეტ I იმი მეორე ქორომის ზევით აწარმოვა.
ამენემხეტ II კვლავ გახსნა სინაის ოქროს
საბადოები ჩრდილო-აღმოსავლეთში, ხოლო
სენუსრეტ III თავის ინიერებს 260 ფუტის
სიგრძისა და 81 ფუტის სიგანის არხი გააქრე-
ვიანა პირველი ქორომის გრანიტის კლდეებში,
რათა მის საომარ ხომალდებს მდინარის ზე-
მო წელზე უფრო დიდ მანძილზე შესძლე-
ბოდა ნაოსნობა, პირველხანობას მან სირიაც
დაიპყრო. ეს იყო უცხო ქვეყნების დაპყრო-
ბებისა და სავაჭრო ექსპანსიის პერიოდი.

მაგრამ შუა სამეფოს უდიდესი მიღწევა
ახლათ ფაიუმში მოერისის ხელოვნური ტბის
შექმნა იყო დაშურის სამხრეთით მდებარე უდ-
ახნოს კლდეებიდან დასავლეთისკენ გადაშლილ
ტაფობში. ეგვიპტელმა ინიერებმა კლდეებში
უზარმაზარი არხი გაჭრეს და ამგვარად ნი-
ლოსს საშუალება მისცეს დაეტბორა და გაენო-
ყიერებინა მიწის დიდი სივრცე. ჰეროდოტემ
რომელმაც ძვ. წ. V საუკუნეში (როცა და-
ახლოებით თექვსმეტი ასწლეული იყო გასული
ამენემხეტის შემდეგ) ეს ტბა ნახა, იგი ამენე-
მხეტ III მიაწერა.

რადგან ნილოსი არ იწარჩუნებდა ადიდებისას
გარკვეულ საზღვრებს და ქვეყნის ნაყოფიერე-
ბა კი მდინარის ადიდების რეგულარულობაზე
იყო დამოკიდებული, მეფემ გაათხრევინა ტბა,
რათა მოემარაგებინა ზედმეტი წყალი, რომ
მდინარეს არც მეტისმეტად დაეტბორა მიწა
თავისი ძლიერი ნაკადით და ჭაობები და ჭან-
ქრობები არ წარმოექმნა, და არც ხელსაყრელ
დონეზე ნაკლებად ადიდების გამო წყლის უკ-
მარისობით ვნება მიეყენებინა ნათესებისათვის.
მდინარესა და ტბას შორის მან გააქრევიანა არ-
ხი, 80 სტადიონის სიგრძისა და 800 პუსის²
სიგანისა. ამ არხის საშუალებით მდინარიდან
დროდადრო გამოუშვებდნენ ხოლმე წყალს,
სხვა დროს კი გადაკეტავდნენ, ამგვარად ხდე-
ბოდა საქროების დროს მიწათმოქმედთა წყლით
მომარაგება — წყლის მიმწოდებელი გონება-
მახვილური მოწყობილობის დახურვითა და

1 ძველბერძნული სიგრძის საზომი ერთეუ-
ლი, უდრის დაახ. 600 პუსს — 185 მეტრს.
2 ბერძ. პუსი (ტერფა) უდრის დაახ. 30 სმ-ს.

გახსნათ და მაღალი გადასახადის საფასურად (პეროდოტე).

მიუხედავად ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ პეროდოტეს მიერ მოწოდებული ფაქტები ზუსტია. ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი უძველესი მოწინავე მკვლევარის მისტერ ი. ე. ს. ედუარდსის აზრით, ამ ტბის არსებობა თითქმის უეჭველია ამენემხეტ III დრომდე. მაგრამ შესაძლოა ხსენებულმა მეფემ მართლაც განაზოცოდა მიწის რწყვის ან ამოშრობის რაიმე პროგრამა ტბის მიდამოებში.

მაგრამ ვინც არ უნდა ყოფილიყო ამ საქმის მომკვლელი, ეს მაინც ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად უნდა ჩეთვალოს ძველ ეგვიპტელებს, რომელთა ოსტატობამ ძველი მსოფლიოს ნებისმიერი სხვა ხალხის ოსტატობას გადააქარბა მადროსაინჟინრო ხელოვნებაში.

რელიგიაში უმაღლეს ღვთაებად ისევ მზე — ღმერთი რა ჩნებოდა. მაგრამ ძველი სამეფო მოწმე გახდა ოზირისის კულტის აღზევებისა, რაზედაც წინა თავში ნივთიიყებდით. ამ ღმერთს ძველი ეგვიპტურ ხალხურ მითზე უფრო დიდი პოპულარობა მოიხვეჭა ალბათ თავისი ზუზანური საწყისის გამო, სადაც ოზირისი გვევლინება ერთგული მამის, იზიდა — თავდადებული ცოლის, ხოლო პორუსი კი მამისთვის შურისმაძიებელი მოყვარული ვაჟის განსახიერებად. მაგრამ ეგვიპტელებს სხვა ღმერთები და ქალღმერთებიც შემორჩათ. მათ შორის გამოარჩევდნენ ბატ-შორს, სიუვარულის ქალღმერთს, ჩვეულებრივ მას ძროხის ვარგნობით წარმოსახავდნენ, მაგრამ იგი გვევლინება ოდნავ უფრო მიმზიდველ ასპექტშიც — როგორც სამკაული იმ სარკეებისა, რომელთა წინაც XII დინასტიის ქალბატონები იკაზმებოდნენ. ამ სარკეებზე მას ქალის სახე აქვს. მაგრამ მის გენტიკურ წარმოშობაზე ძროხის უფროები მიგვანაშნებს.

სკულპტურამ, რელიეფურმაც და მრგვალმაც, მიაღწია სტანდარტს, რომელსაც ოდნავ თუ აღემატებოდა ძველი საეფოს დროინდელი სტანდარტები. ამ წიგნის ავტორის აზრით, არც ერთ მხატვარს, რომლის შესახებაც წერილობითი ძეგლები გაგვაჩნია, — ბერძნებსაც კი, არ მიუღწევიათ ისეთი დიდი წარმატებებისათვის, როგორსაც მიაღწიეს ძველი და შუა სამეფოს მოქანდაკეებმა ადამიანის მშვენიერი სხეულისთვის ნიშანდობლივი არსისმიერი კეთილშობილების გადმოცემისას. ამ ქალებისა და მამაკაცების ფიგურები, რომელთა მშვიდი სახეები თითქოს უკვე უძველესი მიწიერ საგანთა მიღმა არსებობის მდგომარეობას, ქეშმარიტად ღვთა-

ებრივია. ადამიანის აგებულების პროპორციებაშიღე დაყვანითა და დახვეწით და ზედმეტი დეტალების ჩამოშორებით ეს არარეალისტური ხელოვანი თითქოს ათეოსტულუბენ ადამიანის სულს მისა შემოკვეთს. ხორციანებაში სახიერდება მამრის უკიდურესი ცხოველური სატლანკის გარეშე, რომ შეუძლებელია უფრო ქალური ქალების წარმოდგენა. მაგრამ მათი ნაზი თვალები, უღრტინველი პროფილი და ნათივი კიდურები ისეთ მშვენიერებაზე მიგვანიშნებს, რომელიც ფიზიკურს სცილდება. — ეს არის ხილვა, რომელიც პიეტებსა და მხატვრებს სწვევიათ თაობიდან თაობამდე და, უეჭველია, კიდევ ბევრჯერ შთააგონებს მათ ეამოა აღსასრულამდე.

ებრაელებს, რომელთაც პოეტთა და წინასწარმეტყველთა ნიქი პქონდათ, არ შეხვედრათ ხილული ხატის შექმნის უნარი. მათს მკაცრ წინასწარმეტყველებს სძულდ-თ ნაკვეთი გამოსახულებები და თავიანთ ხალხს მოუწოდებდნენ გაენადგურებინათ ისინი. თუმცა ებრაელი იყო ის მწერალიც, რომელმაც თქვა „ღმერთმა ხატად თავისად შექმნა ადამიანი.“ ამ წიგნის ავტორის აზრით, ეგვიპტულ მხატვრებს ის ინსტიტუტურად ესმოდათ. და ხწორედ მათი ნამუშევრების მეშვეობით ვუახლოვდებით უფრო მეტად ეგვიპტური სარწმუნოების სულს, ვიდრე მათი ქურუმების აზღაუბდით.

ამ პერიოდის განმავლობაში, — ძვ. წ. 3200 წლიდან 1700 წლამდე ქვემო შესოპოტამიის ხალხები თავიანთ დამახასიათებელ ცივილიზაციას აწვითარებდნენ, იქაც იგებოდა დიდი ქალაქები, მეფენი მოიპოვებდნენ და კარგავდნენ ძალაუფლებას, ყვაოდა მეცნიერება და ხელოვნება. მაგრამ ამ ორ ხალხს შორის ჯერ კიდევ არ იყო საომარი კონფლიქტი: სავაჭრო კოჭტაქტები მცირე იყო; შეიძლება ერთ-ორ მოგზაურს მოეტანა ამბავი მეორე დიდი სამეფოს შესახებ, რომელიც შორს, უდაბნოს ცარილი სივრცეების მიღმა მდებარეობდა, და შესაძლოა არც დაეჭვებინათ მათთვის. ეგვიპტელებს პქონდათ არც მთლად ახლო ურთიერთობა სხვა ცივილიზაციასთან შორეულ ხმელთაშუა ზღვაში. ეს იყო კრიტის ცივილიზაცია. შიმდგომში ჩვენ მერს გავიგებთ ამ კუნძული-სახელმწიფოს შესახებ, მანამდე კი, მოდიოდა ვუბრუნდით ერთფეროვან ალუოურ დაბლობს ორი მდინარის შესართავთა მახლობლად, — შუმერის მიწას, და ვნახოთ, რას მიაღწია მისმა ხალხმა იმ ხნის განმავლობაში, როცა ხელო თავის დიდ პიარაზიდან აშენებდა. ხოლო ამენემხეტ III მოერისის დიდ ტბას ქმნიდა.

პირჯინია ვულფი

ორი ესე

ინგლისურიდან
თარგმნა ინგბ პაპავამ



პირჯინია ვულფი თვალსაჩინო ფიგურაა XX საუკუნის ინგლისურ ლიტერატურაში. „ბლუმსბერია“ ლიტერატურული წრის მამოძღვრელი და ცხოვრების სკანდინავიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ვ. ვულფის რომანებია: „ჯეფერსონის თამაში“, „შექურისაკენ“, „მისის დელაუერი“, „ტალღებზე“, „მოქმედებებს შორის“, „წლები“ და სხ. მასვე ეკუთვნის რამდენიმე კრებული შესანიშნავი ესეებისა.

წინანდებარე ესე „ბატონი ბენეტი და ქალბატონი ბრაუნი“ ვ. ვულფმა დაწერა პაუხიდ ბატონ ბენეტის სტატიისა „რომანი კვლევა“.

არნოლდ ბენეტი (1887-1931) იყო ინგლისელი რეალისტი მწერალი. მისი რომანებია „კაცი ჩრდილოეთიდან“, „კლეიპენგერი“ და სხვ. სტატიანი ა. ბენეტი აკრიტიკებდა ახალგაზრდა თაობას.

ვ. ვულფი განიხილავს ა. ბენეტის თვალსაზრისს და წინა თაობის მწერალთა ლიტერატურულ კრედიტს. ესენი არიან მეფე ედუარდის (1841-1919) დროინდელი ანუ ედუარდული მწერლები: არნოლდ ბენეტი, ჯონ გოლსუორთი, ჰერბერტ უელსი, მეორე მხრივ ვ. ვულფი მსჯელობს თავის თანამედროვეებზე, მეფე ჯორჯ V ებოქის (1865-1936) ანუ ჯორჯელებს შემოქმედებებზე. ესენი არიან ჯეიმზ ჯოისი, დევიდ ლორენსი, ტომას ს. ელიოტი, მორგან ფორსტერი, ლიტონ სტრეჩი.

მთარგმნელი

ბატონი ბენეტი და ქალბატონი ბრაუნი

სისულელე დამეზარტა და რომანი დავწერე, უოველ შემთხვევაში, ვცადე დამეწერა. მგონი ვერც დავწერე; იქნებ ამ ოთახში მყოფთაგან მხოლოდ მე ვეცადე ამაოდ: ნეტავ, ასეც იყოს. თქვენ რომ მომიწვიეთ თანამედროვე ლიტერატურაზე სასაუბროდ, ხომ უნდა შეგვიტოხოდა ჩემს თავს—რა ეშმაკმა ჩამჩურჩულა ყურში და ჩემს ბედისწერას შეშყარა-მეთქი: როგორც კი ვიკითხე, ერთი ფიგურა, არ ვაცო, ქალისა თუ კაცის, აჩეტუზა წან და წამაქეზა: „მე ბრაუნი ვარ, აბა, დამიჯირე“.

თითქმის ყველა მწერალს გამოუცდია ეს ცინიკი ბრაუნი, ხშირად ან ჯოუნში გამოგეცხადება და მომზაბლავი ხმით გაცდუნებს: „აბა, მოდი, დამაჯირე“. ასე, მოჩვენების ათინათით წატყუებულნი, წიგნს წიგნზე თხზავენ, სიცოცხლის საუკეთესო წლებს მოლანდებებს მიხდევენ და, სამაგიეროდ, უმეტესობა მცირე განამრჯელოს თუ იღებს. ცოტანი იტყვენ ლანდს, მეტი წილი იშირაც კმაყოფილდება მისი კაბის კალთას ან თმის ბუღულს თუ წაეპოტინა.

ბატონი ბენეტიც მიდახტურებს, რომ მამა-

კაცები და ქალები წერენ რომანებს, რადგან მათ ცდუნება ეუფლებათ შექმნას მათთვის საინტერესო ხასიათები. მოვიტან ციტატს ბატონ არნოლდ ბენეტის წერილიდან. იგი ამბობს: „კარგი რომანი რომ დაწერო. მთავარია შექმნა ხასიათები, მეტი არაფერი... სტილიც მნიშვნელოვანია, ფაბულაც, ორიგინალური მსოფლმხედველობაც; მაგრამ რა ფაზი აქვს რომელაზე მათგანს, თუ ხასიათები არაა დამაჯერებელი. როდესაც რომანში ხასიათები ცხოვრებისეულია, მას წარმატება ექნება, თუ არა და, დავიწყებას მიეცემა...“ აქედან გამომდინარე ბატონი ბენეტი დაასკვნის, რომ ღღეს ახალგაზრდებს შორის არ გვევანან დიდი მწერლები, რადგან მათ უნარი არ შესწევთ შექმნას ცხოვრებისეული, მართალი და დამაჯერებელი ხასიათები.

ამ სადამოს მსურს თამამად ვილაპარაკო რამდენიმე საკითხზე, არავის მოვერიდები. მინდა გავარკვიო: რას ვგულისხმობ, როდესაც ლიტერატურულ „ხასიათზე“ ვლაპარაკობ; მინდა ორიოდ სიტყვით ვთქვა, როგორ ესმის რეალობა ბატონ ბენეტს: განვიხილავ რამდენიმე მიზეზს, რატომ ფიქრობს, ახალგაზრდა რომანისტებს

უნარი არ შესწევთ ხასიათები შექმნანო, ექნებ მათ მართლა არ შესწევთ უნარი, როგორც ამას ბატონი ბენეტი ამტკიცებს. კარგად მესმის, რომ მსჯელობა ზოგჯერ განზოგადებულად და ბუნდოვნად მოგეჩვენებათ. საქმე ისაა, რომ ძალიან რთული საკითხია. კარგად გვესმის, რა არის „ხასიათი“? კარგად გვესმის, რა არის ხელოვნება? მსურს, ამთავითვე განვმარტო, რომ ედუარდლებს და ჯორჯლებს ორ ბანაკად ვყოფთ; ბატონებს — ბენეტს და გოლზუორთის შე ვუწოდებ ედუარდლებს, ბატონებს ფოსტერს, ლორენს, სტრეჩის, ჯოისს და ელიოტს — ჯორჯლებს. თუ პირველ პირში ვილაპარაკებ — რაც საშინელი უგოიზშია. — გთხოვთ, მამაკითხეთ. არ მინდა, სხვების მოსაზრებად ჩაითვალოს ის, რასაც ფიქრობს ერთი მარტოხელა, უვითი და იმედგაცრუებული ადამიანი.

ჩემს პირველ მტკიცებას ალბათ დაეთანხმებით — ამ ოთახში უველას ეხმის რა არის „ხასიათი“. წელიწადი როგორ გავა, „ხასიათის“ გამოცნობა არ დაგვირდეს ცხოვრებაში, კარგად დახელოვნებული ვართ ამ საქმეში. ჩვენ ვქორწინდებით, ვიძენთ მეგობრებს — უველაფერი დამოკიდებულია ამ უნარზე; ისიც, თუ როგორ გავუძღვებით საქმეს. ცხოვრებაში ხშირად წამოიჭრება საკითხები, რომელთაც მხოლოდ ამ უნარით გადაწყვეტს კაცი. ახლა ჩემი მეორე მტკიცება მსურს, გაგაცნოთ. ის ალბათ უფრო სადავოა: სადღაც 1910 წლის დეკემბერში ადამიანის ბუნება შეიცვალა!

იმას კი არ ვამბობ, რომ, დავუშვათ, ერთ ღამეს ადამიანი სახლიდან ბაღში გამოვიდა და დაინახა, რომ ვარდი აყვავებულია, ან ქათამს კვერცხები დაუდევს, არა, ასეთი მოულოდნელი და კონკრეტული ცვლილება არ მომხდარა და

მაინც — იგრძნობოდა, რომ უველგან იყო, რაღაც სიახლე და რადგან უველაფერს შეიძლება ვქონდეს დასაბამი, ვთქვათ, რომ ეს მოხდა 1910 წელს. ცვლილების პირველი ნიშნები დაეტყო ჯერ კიდევ სემიუელ ბატლერის წიგნებს, განსაკუთრებით, მის რომანს *[[[The Quest for the Holy Grail]]]* ხორცისა“. შემდგომი ცვლილებები აისახა ბერნარდ შოუს პიესებში. ოჯახურ მეტაფორას თუ მოვიშველიებთ, ცვლილება აირყვია ჩვენს მზარეულში. დედოფალ ვიქტორიას ეპოქის მზარეული ცხოვრობდა ვით ლევიათანის ქუჩა-ღმულებში — საშინელი, უტყვი, ტლუ; მეფე ჯორჯის ეპოქის მზარეული კი მზისა და სუფთა ჰაერის შვილია; ხან სასტუმრო ოთახში შეირბენს, ხან „დეილი ჰერალდს“ ითხოვს², ან რჩევას ჰკითხავს სხვებს ქუდის თაობაზე. ამაზე მეტი საბუთი რა გნებავთ, ადამიანის ბუნება ნაღდად შეიცვალა. წაიკითხეთ „გამემწონი“³ და თავად ნახაით, რომ თქვენი სიმპატიები თანდათან კლიტემნესტრასკენ გადაიხრება. ან თვალთ გადაავლეთ კარლაილების⁴ ოჯახურ ცხოვრებას. ნახეთ, რა უნაკოფოდ გაფანტეს დრო, ქმარმაც და ცოლმაც, საშინაო ტრადიციების ტყვეობაში; აშკარად დიდი ნიჭით დაწილდობული ქალი იძულებული იყო ტარაკნებისთვის მიეხედნა, ქვაბები ეხეხა, წიგნს კი ვერ წერდა. ადამიანთა შორის უოველგვარი ურთიერთობა შეიცვალა: ბატონებისა და მხახურების, ქმრებისა და ცოლების, მშობლებისა და შვილების. და როდესაც ადამიანებს შორის ურთიერთობა იცვლება, იმავე დროს ბევრი რამ იცვლება რელიგიაში, ქცევაში, პოლიტიკასა და ლიტერატურაში. შევთანხმდეთ, რომ ერთ-ერთი ამგვარი ცვლილება დაიწყო 1910 წელს.

წემოთაც ვთქვი, რომ თუ ადამიანს სურს თავიდან აიცილოს უბედურება, კარგად უნდა ისწავლოს ხასიათის გამოცნობა, ერთ წელსაც

1 1910 წლის დეკემბერში ლონდონში გაიხსნა პოსტ-იმპრესიონისტების (ვან-გოგი, გოგენი, სეზანი, მატისი, პისარო) გამოფენა, რომელიც მოამზადა „ბლუმსბერის წრის“ ერთ-ერთმა წევრმა, ბელგენებათმცოდნე როჯერ დრაიმ. გამოსვენებ დიდი აგიოტაჟი გამოიწვია. კლასიკურ მხატვრობაზე აღზრდილი გემოვნებისათვის ფიქრო იყო მოსტიმპრესიონიზშია ესაუბრეს, რომელიც ფერისა და ფორმის თავისებურად გამოცემას უფრო მიესწრაფვოდა, ვიდრე სავნის ზუსტ ასახვას; განწყობის დიფერთა უცნაურ ფეოქვას გადმოგვეცემა და არა „შეუდარ ბუნებას“. ეს იყო პერიოდი, როცა ინგლისელი ახალგაზრდობა ეძებდა რაღაც ახალს ფილოსოფიაში, ლიტერატურაში, ხელოვნებაში, ამ თაობას ხშირად „1914 წლის ადამიანებს“ ან „დეკარტულ თაობას“ უწოდებენ.

¹ ლევიათანი — ბიბლიურად გამოცემით, ზღვის უზარმაზარი ერჩხული.

² ლეიბორისტული პარტიის ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა 1919—1964 წწ.

³ ესქილეს ტრაგედია — კლიტემნესტრამ შეიზიზღა ქმარი მან შენდევ, რაც ქმარმა მათი ქალიშვილი იფიგენია ღმერთს შესწირა ტროას ომის წინ.

⁴ ტომას კარლაილი (1795—1882) ინგლისელი წერალო, ფილოსოფოსი. მისი მეუღლე ექვს წელში ნიჭიერი ქალი ყოფილა, დატოვა მხოლოდ წერილები. ავადმყოფ ქმარს უვლიდა, ეს იყო მისი ძირითადი საქმე. ცოლას სიკვდილის შემდეგ კარლაილს აღარც შეუქმნია რაიმე.

ვერ გახდლებს ისე. მაგრამ ეს ახალგაზრდების ხელოვნებაა. შუახნის და ხანშიშესული ადამიანები სხვათა ხასიათის გამოცნობაში ისეთი გავარჩიებული არიან, იშვიათად თუ სკირდებთ ხასიათის გამოცნობა დასამეგობრებლად, სხვა შემთხვევებისა თუ ექსპერიმენტებისათვის. მაგრამ მწერლები განსხვავდებიან სხვებისაგან. უოველთვის აინტერესებთ ხასიათები, მას შემდეგაც, რაც საკმაოდ დახელოვნდებიან და პრაქტიკული მიზნებისათვის კარგად ერკვევიან ხასიათებში. ისინი უფრო წინ დგავენ ნაბიჯს, გრძნობენ, რომ ხასიათში არის რაღაც, რაც უოველთვის საინტერესოა. ცხოვრებაში. პრაქტიკულ საქმიანობაში მათ არაფერი სჭირდებათ. მაგრამ ადამიანებში არის რაღაც, რაც მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ეს არაფერს მათებს მათ ქონებრივად, არც უფრო აბედნიერებს და არც უკეთეს პირობებს უქმნის. მათ ეუფლებათ წყურვილი, შეისწავლონ, განაზოგადონ ხასიათი. მიჭირს ახსნა: რას გულისხმობენ მწერლები, როდესაც „ხასიათზე“ ელაპარაკებიან; რა იმპულსი უბიძგებთ, დრო და დრო ასე მძლავრად გადმოსცენ თავიანთი შეხედულებები წერილობით.

ახლა, თუ ნებას მომცემთ, არ მოუყვები ანალიზსა და აბსტრაქტულ მსჯელობას: მინდა ვიამბოთ ერთი უბრალო ამბავი, იქნებ უაზროც, მაგრამ იგი დავიხატავთ მართალ სურათს, როგორ ვიმგზავრე რიჩმონდიდან¹ უოტერლომდე² იმედა მაქვს ამ ეპიზოდით ვინ ვენებთ, რას გულისხმობ „ხასიათის“ სხვადასხვა თვისებაში და რა ხაზინელა საფრთხე გეშუქრებათ, როდესაც ცდილობთ სიტყვებით აღწეროთ ეს თვისებები.

რამდენიმე კვირის წინ საღამოს მატარებელზე მაგვიანდებოდა და შევანტი პირველსავე ვაგონს, რომელსაც დავეწიე. დავიკავე ადგილი და მაშინვე რაღაც უცნაური და უსიამო გრძნობა დამეუფლა: იქ მსხდომ ორ მგზავრს ხელს ვუშლიდი. არც ახალგაზრდა იყვნენ და არც ბედნიერი ჩანდნენ. არაფერი მგდაგვარი. ორთავე ხანშიშესული ჩანდა. ქალი სამოცს იქნებოდა გადაცილებული, კაცი ორმოცს. პირისპირ ეხსდნენ. კაცი წინ წამოწეულიყო, სახე წამოწითლებოდა და ისე იქცეოდა. აშკარად რაღაცას უმტკიუნებდა ქალს, ჩემს მისვლაზე გახწორდა და დადუმდა, ჩემმა მოხვლამ შეაწუხა და გაადიზიანა. ხნიერმა ქალმა კი, რომელსაც ქალბატონ ბრაუნის სახელით მოვიხ-

სენიებ, შევბა იგრძნო. შეგხვდებოთ ხოლმე ასეთი კოპწია მოხუცი ქალი, რომა ღამაზად გადავარცხნილი, უველაფერი დაუბნელი და ვაპრიალეზული, რაშიც მეტად გამოსკვივის სიღარიბე, ვიდრე მუხუციანი ქონდები, რომ სცმოდა. რაღაცნაირად დარაგებული ჩანდა — ტანჭულის გამომეტყველება მქონდა თითქოს რაღაც უბედურების წინათგრძნობა დაუფლებიო. ტანდაც ერთი ციციქნა იყო. პატარა, სუფთა, ფეხსაცმელი ეცვა და წვერებით ვერც კი სწვდებოდა იატაკს. ვიგრძენი, არავინ ჰყავდა ღამნმარე, თავად უნდა მიეღო რაღაც გადაწყვეტილება. ქმარმა მიატოვა ან დიდი ხნის წინათ დაქვრივდა, და მას მერე ცხოვრებაში ბევრი ნერვიულობა და ტანჯვა იგემა. ერთი ვაყი ვაზარდა, რომელიც ახლა, როგორც ჩანს, ცუდ გზას ადგა. ამ აზრებმა გამოიწვია თავში, როდესაც დავჯექი და თავი უხერხულად ვიგრძენი, რაც მგზავრობაში ხშირად ხდება, ვიდრე ასე თუ ისე შეეჩვევი შენს მეზობლებს.

შემდეგ მამაკაცს შევხედე. ქალბატონ ბრაუნის ნათესავს არ ჩამოგვავდა; სხვაგვარი ადამიანი იყო — უფრო დიდი ზომის. მოდლადნილი, უხეში, საქმოსანი ჩანდა, შეიძლება მარცვლულით ვაქრობდა ჩრდილოეთში, ძვირფასი ტანსაცმელი ეცვა, ჰყავდა და აბრეშუმის ცხვირსახოცი მქონდა ხელთ, დიდი ტყავის ჩემოდანიც იქვე იდგა. აშკარად უსიამო საქმეს აგვარებდა ქალბატონ ბრაუნთან, რაღაც საიდუმლო, იქნებ ბინიურ საქმესაც. რაზეც ჩემი თანდასწრებით არ სურდათ ელაპარაკათ:

„მართლაც მოხაზსაჭურეებში ბედი არ სწყალობთ კროფტებს“, ვითომ დაინტერესებით თქვა ბატონმა სმიტმა (ასე მოვიხსენიებ კაცს), ჩანს უხერხულულობის გასაფანტად წინანდელ თემას მიუბრუნდა.

„საწყლები, — თქვა ქალბატონმა ბრაუნმა ცოტა ქედმაღლურად, — ბებიაჩემს ჰყავდა მსახური გოგო, მასთან იყო თბუთმეტიდან ოთხმოც წლამდე“, — იგრძნობოდა, რაღაცაზე გული სტკიოდა და ნაზგახმული სიამაყით სურდა ორივეზე მოეხდინა შთაბეჭდილება.

„ასეთი რამ ახლა იშვიათად ხდება“, — გამოეპასუხა ბატონი სმიტი მშვიდობიანი ტონით.

შემდეგ ორივე გაჩუმდა.

„გასაკვირია, გოგონის კლუბს რატომ არ დააარსებენ აქ. მეგონა ვინმე ახალგაზრდა წამოიწყებდა“, — თქვა ბატონმა სმიტმა, უხერხულულობის გასაფანტად.

ქალბატონ ბრაუნს არც უცლია სიჩუმე დავრდვია.

„რამდენი რამ შეუცვლიათ ამ მხარეში“, თქვა

¹ რიჩმონდი — ლონდონის გარეუბანი.
² უოტერლო — სარკინიგზო სადგური ლონდონში.

ბატონმა სმითმა, თან ფანჯარაში იყურებოდა და ქურდულად მეც გამომბედავდა ხოლმე.

ქალბატონი ბრაუნი კვლავაც დუმდა და ბატონი სმითი იმდენად მოჩვენებითი თავაზიანობით ლაპარაკობდა, რომ ნათელი იყო, კაცს რაღაც გავლენა ჰქონდა ქალზე და უხინდისოდ იყენებდა თავის უპირატესობას. იქნებ ვატიშვილმა ჩაიღინა დანაშაული, ან წარსულ ცხოვრებაში რაიმე საჩოთირო ეპაზოდი ჰქონდა ქალს ან მის ქალიშვილს. შეიძლება, ლონდონში მიემგზავრებოდა, რომ საბუთებზე ხელი მოეწერა და უარი ეთქვა რაღაც ქონებაზე. აშკარა იყო, ქალი რაღაცაში გამოქერილი მყავდა ბატონ სმითს. ქალის საცოდაობა სიბრაღულით მავსებდა და უცებ, სრულიად უადგილოდ, მან იკითხა: „თუ იცით, მუხის ხე კვდება, თუ ორ წელიწადს შედიწედ ფოთლები მუხლუხა ქიამ შეუქამა?“

რაღაც ხალისიანად იკითხა, გარკვევით გამოთქვანდა სიტყვებს, დახვეწილი მეტყველება ჰქონდა და ხმაში იგრძნობოდა, აინტერესებდა, რაც იკითხა.

ბატონი სმითი ჯერ შეცბა, შემდეგ მიხვდა, ამ თემაზე მშვიდობიანი საუბრის გაბმა შეიძლებოდა და შვება იგრძნო. მოჰყვა ლაპარაკს მწერების დაავადებაზე, სწრაფად მეტყველებდა, კიდევ, ძმა მყავს, კენტში ბალი აქვსო, თქვა, და ა. შ. კაცი რომ ლაპარაკობდა. უცნაური რამ მოხდა: ქალბატონმა ბრაუნმა ამოიღო პატარა თეთრი ცხვირსახოცი და თვალებს იწმენდა. ქალი ტიროდა, თან მონდომებით უსმენდა კაცს და კაციც ლაპარაკობდა, ხმას აუწია, ცოტა ბრაზიც გაერია ხმაში. თითქოს წინათაც ხშირად ენახოს მტირალი ქალი, თითქოს ქალს ასეთი უზნეობა სჭირდა, ბოლოს ნერვები მოეშალა, უცებ შეწყვიტა ლაპარაკი, გაიხედა ფანჯარაში, შემდეგ ქალისკენ გადაიხარა ისე, როგორც ჩემი მოსტლასას და მუქარაგარეული ხმით მიმართა:

„აბა, როგორც მოვილაპარაკეთ ჩვენს საქმეზე, თანახმა ხართ, მოვა გორჯი სამშაბათს?“

„არ დავიგვიანებთ“, თქვა ქალბატონმა ბრაუნმა, რაც შეეძლო, ძალა მოიკრიბა, რომ ღირსეულად სტეროდა თავი.

ბატონმა სმითმა არაფერი უპასუხა, ადგა, შეიკრა ღილები, აიღო ჩემოდანი და ჩახტა ვაგონიდან მანამდე, ვიდრე მატარებელი გაჩერდებოდა კლენპემის საკვანძო სადგურში. კაცმა დაითანხმა ქალი, მაგრამ საკუთარი თავის სცხვენოდა; ერთი სული ჰქონდა, გასცლოდა მოხუცს.

ქალბატონი ბრაუნი და მე მარტო დავრჩით. იჭდა პირდაპირ კუთხეში, ძალიან სუფთა, ძალიან პატარა, ძალიან უცნაური და გატანჯული.

მისი საცოდაობით გული მოგიკვდებოდათ. რაღაც გრძნობა, ცეცხლას ალივით მწველი, შემოენთო სულს. რა გრძნობა იყო, ან რამ დანუფულა? უთვალავი აზრი, უცნაური და შეუხაბაპო, თავს მოგებევა ახეთ დროს; და ყველა სიტუაციაში თვალწინ ვერცხვს ვაძიანი, ამჭერად ქალბატონი ბრაუნი. იგი კვლავ ხილვის ცენტრშია. ზღვისპირა სახლში მახზე ევიქრობდი, იგი მეჩვენებოდა ორნამენტების უცნაურ ხლართებში; ზღვის ზღარბში, მინის კოლოფში, გემის მოდელების გამოფენაზე. მეჩვენებოდა, რომ ქმრის მედელები ბუხარზე გამოუწყვია, თავად იჭუიტება ოთახში და გაქრება. ჩამოსკუპდება სკამის კიდეზე და ახეზის დიდხანს, უსიტყვოდ. ამ მოჩვენებებს ხან [უხლუხა ქია ემატება, და ხან მუხის ხეები. ფანტასტიურ და ლარიბულ ხილვებში შემოიქრება ხოლმე ბატონი სმითი. ერთ ჯარიან დღეს, მომეჩვენა, როგორ შემოვარდა ბატონი სმითი, რაღაცაზე დააბრაზუნა, რაღაც მიაჯახუნა. ქოლგიდან ჩამოწურულმა წვეთებმა გუბე დააყენა შემოსასვლელში. ქალი და კაცი განმარტოებით კამათობდნენ.

და აი, ქალბატონი ბრაუნი მიხვდა, რა საშინელება ხდებოდა. ქალმა მამაცური გადაწყვეტილება მიიღო. აღრე დილით, გამთენიისას ჩანთა ჩაალაგა და თავად წაათრია სადგურამდე. არ სურდა, სმითს ხელი ეხლო ბარგისთვის, მას თავმოყვარეობა შეეღაბა, ამიტომ დუზა აუშვა; ქალი კეთილშობილი ოჯახიდან იყო, მათ მსახურებიც მყავდათ — მაგრამ, დეტალების დრო აღარაა. ახლა მთავარია გავაცნობიეროთ მისი ხასიათი, მისი ყოფის ატმოსფერო გავითავისოთ, ვგრძნობდი, ამ ქალში იყო რაღაც ტრაგიკული, მამაცური, იმავ დროს დაუქერებელი და ფანტასტიკური, მაგრამ დრო აღარ იყო, გამეჩვია, რამ გამიჩინა ეს შეგრძნება, მატარებელი გაჩერდა და შევყურებდი, როგორ გაუჩინარდა ქალი ჩანთით ხელში უზარმაზარ განახჩახებულ სადგურში. წავიდა ქალი — ტანად პატარა, სულით ძლიერი. გარეგნობით სუსტი, მაგრამ ვაეკაცური. მეტად აღარ მინახავს, ვერც იმას გავიგებ, რა ბედი ეწია.

დამთავრდა ამბავი, წერტილი კი ვერ დავუსვი. ამბავი მოგიყევით, მაგრამ იმისთვის არ ვიდწვოდდი, მეჩვენებინა, რა ნიჭიერი ვარ-მეთქი; არც იმისთვის გავისარჩე, აღმეწერა, როგორი სასიამოვნოა რიჩმონდიდან უოტერლომდე მგზავრობა-მეთქი. ჩემი მიზანი იყო შემდეგი: ქალბატონი ბრაუნი არის ხასიათი და იგი ჩვენთანაა. ქალბატონ ბრაუნის ხასიათი ვილაციან ძალაუნებურად დააწერინებს რომანს, დარწმუნებული ვარ. ყველა რომანი ასე იწყება —

მოხუცი ქალი მიმჯდარა პირდაპირ კუთხეში. მტკიცედ მჯერა, რომ ყველა რომანი ხასიათს ასახავს და რომანმა სწორედაც უნდა ასახოს ხასიათი — თეორიებს კი არ ქადაგებდეს, ვი-
დაცას კი არ უმღერდეს, ან ბრიტანეთის იმ-
პერიას ქებათა-ქებას კი არ ასხამდეს; რომანი ფორმით მოუქნელი, სიტყვამრავალი, და
არადრამატული იყო, ახლა უფრო მდიდარი, მოქნილი და ცოცხალი გახდა. როგორც უკვე ვთქვი, მთავარია რომანში აისახოს ხასიათები: თქვენ გაიფიქრებთ, რომ ამ სიტყვებს შეიძლება მიეცეს მრავალმხრივი ინტერპრეტაცია. მაგალი-
თად, ქალბატონ ბრაუნის ხასიათმა შეიძლება სხვადასხვა კუთხით დაგაინტერესოთ, იმისდა მიხედვით თუ რა ასაკის ბრძანდებით და რომელ ქვეყანაში დაიბადეთ. სრულიად ადვილად წარმოსადგენია სამგვარი ვარიანტი, თუ ზემოთ ნახსენებ მატარებლის ეპიზოდს აღწერს ინგლისელი, ფრანგი და რუსი. ინგლისელი ავტორი დახატავს მოხუც ქალს, როგორც ხასიათს: აღწერს, რა უცნაურობანი ახასიათებს, როგორ იქცევა, როგორ აქვს შეკრული ღილები და როგორ დაუღარავს სახე ნაოქებს. მის ხასიათს მიუძღვნის წიგნის უმეტეს ნაწილს. ფრანგი მწერალი ყველაფერ ამას გადაშლის: მას არ აინტერესებს ქალბატონი ბრაუნი, როგორც ინდივიდი, ზოგადი ადამიანური ბუნება მისთვის უფრო მნიშვნელოვანია; და ის შექმნის უფრო განზოგადებულ, პრობორციულ და პარმონიულ მთლიანობას; რუსი მწერალი გარეგნობას არად დაგიღვევთ, სულს გამოამჟღავნებს — მხოლოდ სულს. შემდეგ დაუყვება უოტერლო როუდს, ცხოვრებას დაუსვამს ფალოსოფიურ კითხვებს. რომლებიც წიგნის დამთავრების შემდეგაც არაერთხელ ჩავვსვამის ქურში. ასაკისა და ქვეყნის გარდა, მხედველობაში მიხალდება მწერლის ტემპერამენტი, თქვენ ასე ხედავთ ხასიათს, მე — ისე. თქვენ ამბობთ, ეს ამას და ამას ნიშნავსო, მე სხვაგვარად მესმის. და როდესაც იწუებენ წერას, თითოეული ავტორი თავისებურ არჩევანს აკეთებს. ამგვარად, ქალბატონ ბრაუნის სახე შეიძლება მრავალგვარად დახატონ სხვადასხვა ასაკის, წარმომავლობის და ტემპერამენტის ავტორებმა.

ახლა გავიხსენოთ, რას ამბობს ბატონი ბენეტი. იგი ამტკიცებს, რომ რომანს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება წარმატება, თუ ხასიათები რეალურია. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უნდა მოკვდეს. თავს ვეკითხები, რა არის რეალობა? ვინ განსაზღვრავს, რა არის რეალობა? ხასიათი, რომელიც ბატონ ბენეტს რეალობად მიანანია, ჩემთვის შეიძლება სრულიად არარეალური იყოს. მაგალითად, თავის სტატიაში ბატონი ბენეტი აღნიშნავს, რომ ექიმი უოთსონი „შერ-

ლოკ ჰოლმსში“ მისთვის რეალურია; ჩემთვის უოთსონის სახე ერთი თვით დატენილი ტომარაა, თოჯინა, უცნაური ვინმე და ასეთი მრავალი ხასიათი შეიძლება დავასახელოთ ხან ერთი, ხან მეორე წიგნიდან. ადამიანები ყველაზე მეტად სწორედ ამ საკითხში განხვევდებიან — როგორ ესმით „რეალური ხასიათი“, განსაკუთრებით თანამედროვე წიგნებში. უფრო განზოგადებულად თუ შევხედავთ საკითხს, ვფიქრობ, ბატონი ბენეტი სრულიად სწორი ბრძანდება. თუ გულისხმობთ რომანებს, რომლებიც, თქვენი აზრით, დიდი წიგნებია, მაგალითად, „ომი და მშვიდობა“, „ამაოების ბაზარი“, „ტრისტამ შენდი“, „ქალბატონი ბოვარი“, „სიამაყე და წინასწარგანწყობა“ „კასტრბრიჯის შერი“ — ვიმეორებ, თუ ამ წიგნებს გულისხმობთ, მაშინვე წარმოიდგენთ რომელიმე ხასიათს, რომელიც ფრიად რეალურად გესახებათ. მე არ ვამბობ, ცხოვრებისეულია-მეთქი, იმდენად, რომ როცა მათ იხსენებთ, წარმოგიდგებათ არა მხოლოდ მათი ხატი, არამედ უამრავი სხვა რამ. რასაც მათი თვლით ხედავთ — რელიგიას, სიყვარულს, მზის ჩასვლას, მთვარის ამოსვლას, სულის უკვდავებას. ჩემი აზრით, ადამიანის ცხოვრების არც ერთი სფერო არ დარჩა, რომ არ იყოს ასახული რომანში „ომი და მშვიდობა“. ამ რომანებში დიდმა მწერლებმა დაგვანახეს ის, რაც უნდოდათ დაენახვებინათ ჩვენთვის ხასიათების საშუალებით. სხვაგვარად ისინი არც იქნებოდნენ მწერლები, მაშინ ისინი იქნებოდნენ ან პოეტები, ან ისტორიკოსები, ან პამფლეტისტები.

ვნახოთ, კიდევ რა თქვა ბატონმა ბენეტმა — მან თქვა, რომ ჯორჯელ მწერალთა შორის არაა არც ერთი დიდი რომანისტი, რადგან ისინი მართლ, რეალურ და დამაჯერებელ ხასიათებს ვერ ქმნიანო. ამას კი ვერ დავეთანხმები. შეიძლება დავასახელოთ გარკვეული მიზეზები, გავამართლოთ, მოვხაზოთ შესაძლებლობები და სულ სხვა ელფერი მიეცემა საკითხს. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია: მაგრამ ისიც კარგად მესმის, რომ იქნებ, სუბიექტური, ზედმეტად ოპტიმისტური და ბეცი ვარ. შემოგთავაზებთ ჩემს შეხედულებას. ვიმედოვნებ, თქვენ ობიექტურად, ზომიერად და გონივრულად განსჯით. რატომაა, რომ დღევანდელ მწერლებს უკირთ. შექმნან ხასიათი, რომელიც რეალური იქნება არა მხოლოდ ბატონ ბენეტისათვის, არამედ საერთოდ ყველასთვის? რატომაა, რომ ოქტომბერი მოვა და გამომცემლები ერთ დიდ ნაწარმოებს ვერ შემოგვთავაზებენ?

ერთი მიზეზი იმისა, რომ დახლოებით 1910 წლიდან მოღვაწე მწერლებს ქალი იქნება თუ კაცი, შეეშალათ ხელი, გახლავთ ის, რომ

მათ გვერდით აღარ იყო ცოცხალი ინგლისე-
ლი მწერალი. ეხგანაც ისინი ხელობას ისწავ-
ლიდნენ. ბატონი კონრადი პოლონელია, მაინც
ცალკე დგას და, რაც უნდა გვხიბლავდეს, ჩვენს
გაქირვებას ვერ უშველის. ბატონ მარდის აღარ
დაუწერია რომანი 1895 წლიდან. ასე რომ,
1910 წლისათვის ყველაზე გამოჩენილი და პო-
პულარული რომანისტები, ჩემი აზრით, იყვნენ
ბატონები უელზი, ბენეტი და გოლზუორთი.
რა აზრი აქვს, მათ ვთხოვოთ, გვასწავლონ. რო-
გორ დავწეროთ, როგორ შევქმნათ რეალური
ხასიათები — თუნდ მათთვის მივიმართავს
და თუნდ შექვანისთვის გითხოვნია, საათი შე-
ნიკეთეთ. ისე სუ გამოგებთ, თითქოს არ
მოწონდეს მათი წიგნები ან სიამოვნებით არ
ვკითხულობდეთ მათ. ეს წიგნები ძვირფასია
ჩვენთვის, ისინი აღვიღებელია ჩვენთვის. ყვე-
ლაფერს თავისი დრო აქვს — ზოგჯერ მექვანის
შეკრილი ფესხაცმელი უფრო საჭიროა, ვიდ-
რე საათი. მეტაფორას რომ თავი დავანებოთ,
მინდა გითხრათ, რომ დღემდე ვიქტორიას
გოგონის შემდეგ აღვიღებელი იყო, არა მხო-
ლოდ ლიტერატურისათვის, საზოგადოების
ცხოვრებისთვისაც, რომ ვიღაცას დაეწერა ის
წიგნები, რაც შექმნეს ბატონებმა უელზმა, ბე-
ნეტმა და გოლზუორთმა. ისე კი, რა უცნაური
წიგნები შექმნეს! ხანდახან ექვი გეპარება, სწო-
რი თუ ვართ, წაგნებს რომ ვუწოდებთ. წაი-
კითხავთ და უცნაური შეგრძნება გუფლდებათ.
დაუშთაერებლობის და დაუკმაყოფილებლო-
ბის შეგრძნება. თითქოს რაღაც უნდა გააკე-
თოთ, რომ მათ დასრულებული სახე მიეცეთ:
ვთქვათ, რაღაც საზოგადოებას შეუერთდეთ ან,
უფრო თავაამოდებით თუ მოქცევით, გამო-
წეროთ თანხა. გააკეთებთ და დაწყნარდებით,
წიგნიც დასრულებულია. შეიძლება თართზე
შემოვდოთ და წასაკითხად აღარასოდეს მოვიკი-
დოთ ხელი. სხვა და სხვა წიგნებით აღძრული
შეგრძნებანი განსხვავებულია. „ტრისტამ შენიდი“
და „სიამაყე და წინახწარგანწყობა“ შინაგანად
დასრულებული წიგნებია, არაფერი აკლიათ.
თქვინი ვასაკეთებელი აღარაფერია, ისდა დაკ-
რჩენიათ, კიდევ ერთხელ წაიკითხოთ წიგნი
და უკეთ გაერკვეთ მასში. შემოდასახელებულ
ავტორთაგან განსხვავებით ორთავებს, სტერნს
და ჩეინ ოსტინს, აინტერესებთ თავად საგნები.
თავად ხასიათები, თავად წიგნი. ამიტომ ყვე-
ლაფერი წიგნშია, არაფერი რჩება გარეთ, ედუ-
არდულებს კი არასოდეს აინტერესებდათ თავად
ხასიათი, ან თავად წიგნი, მათ აინტერესებდათ,
რაც იყო გარეთ. ამიტომ მათი წიგნები დაუხ-
რულებელია, როგორც წიგნები და ისინი მკი-
თხველმა უნდა დაასრულოს.

უფრო გასაგები რომ გახდეს, რას ვგულის-

ხმოვ, მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ ბატონებ-
ლის ვაგონში თავი მოუყრია არც ისე მრავალ-
რიცხოვან საზოგადოებას — უელზი, გოლზუ-
ორთი და ბენეტი მიემგზავრებოდა უოტერლო-
საკენ ქალბატონ ბრაუნთან ერთად. როგორც
მოგასხენეთ, ქალბატონი ბრაუნის უბრალო
პატარა ქალი და ეცვა ძველმა დანებებულმა.
შეწუხებული ჩანდა, შეშინებულიც კი. განათ-
ლებული ქალიაო, ალბათ. მასზე ვერ იტყოდით.
ასე, რამდენიმე სიტყვით, რაც, ჩემი აზრით,
სულ არ არის საკმარისი, დახატავდა ბატონი
ბენეტი რომანის გამორს; გვაგრძნობინებდა, რა
უბადრუკია ჩვენი დაწყებითი განათლებაო და
საჩქაროდ მწერას გადაიტანდა ფანჯრის რაფა-
ზე, იმ უკეთეს, უფრო მხიარულ, ბედნიერ და
თავაზიან სამყაროზე. რომელიც ფან რიდან
შემოჭრიდა ჩვენთან, სადაც ნიავი უბერავს და
ცხოვრება თავგადასავლებითაა სავსე; აქ არ
არსებობენ ობმოკიდებული ვაგონები და
გადახრებული ბებრუხანები; საუცხოო გემები
მოზიდავენ ტროპიკულ ხილს კემბერუელში
დილის რვა საათზე, აქვეა საზოგადოებრივი სა-
ბავშვო სახლები, ბაღები, ორგანიზაციები, ბიბ-
ლიოთეკები, სასადილოები, სასტუმროები, აქ
თითოეული მოქალაქე არის გულუბვი და გულ-
წრფელი, ვაჟაკური და დიდებული. როგორც
თავად ბატონი უელზი, მაგრამ აქ არავინა ჰგავს
ქალბატონ ბრაუნს, ბრაუნების ადგილი არაა
უტოპიურ ქვეყანაში. დარწმუნებული ვარ, ბა-
ტონი უელზი ერთი ბეწოთიც კი არ ეცდებო-
ბოდა, დაეხატა ქალბატონი ბრაუნი, როგორც
ის არის სინამდვილეში; მთელ თავის ფანტა-
ზიას მოუხმობდა იმის დასახატავად. როგორც
მას წარმოედგინა ქალბატონი ბრაუნი ახლა,
რას დაინახავდა ბატონი გოლზუორთი? ხომ არ
გეპარებათ ექვი, რომ მის ყურადღებას მიიპ-
ყრობდა დალტონის ფაბრიკის კედლები? ყო-
ველდღიურად ამ ფაბრიკის მუშა ქალები ათო-
ბით თიხის ქოთნებს ძერწავენ. მაილ ენდ რო-
ულზე მცხოვრები დედები იმაზე არიან დამო-
კიდებული, რამდენ ფარდინგს იშოვნიან აქ მათი
შვილები. სერეში კი მათი დამპირავებლები
ცხოვრობენ, ისინი დღესაც ძვირფას სივარას
ეწევიან. მათ ახლოს ბუღბუღები გალობენ.
ბატონი გოლზუორთი საშინლად აღშფოთებუ-
ლია, ინფორმაციით თავმოებურებული, წყევლა-
კრულვას უთვლის ცივილიზაციას და ქალბა-
ტონ ბრაუნში ხედავს ქოთანს. რომელიც
ბორბლებზე მიაშტვრიეს და კუთხეში მოის-
როდეს.

ამ დროის მწერლებიდან მხოლოდ ბატონ ბე-
ნეტის ყურადღება არ გახცდებოდა ვაგონს, იგი
თითოეულ წვრილმანს მიაპყრობდა მწერას.
აი, განცხადებებია გაკრული; აგერ სუონიჩის

და პორტუგალიის სურათები ჰკიდია; ღილსა და ღილს შუა ბაღში ამოხურცულა; ქალბატონ ბრაუნს რომ საბნევი უკეთია, უიტუორთის ბაზრობაზე ღირს სამი შილინგი და ცამეტი პენი; ქალს ორივე ხელთათმანი დაუკემსავს — მარცხენა ხელთათმანზე ცერის სათითო ადარც აქვს. და ბოლოს იმასაც აღნიშნავდა, რომ ეს იყო მატარებელი, რომელიც უინძორიდან გადიოდა და ჩადიოდა რიჩმონდში და საშუალო შეძლების მგზავრებისთვის ფრიად ხელსაყრელი იყო, რადგან თეატრში შესვლას ასწრებდნენ, მათ კი ჯერ ვერ შეეძინათ მანქანა, თუმცა, ისიც მართალია, რომ ზოგჯერ (და დაასახელებს, რა შემთხვევაში) ისინი ქირაობენ მანქანას. რომელიმე კომპანიისაგან (დაასახელებს, სახელდობრ რომლისგან) და ასე ნელ-ნელა მიუბრუნდება ქალბატონ ბრაუნს, მოგვიტბრობს, რომ დეკრეტი მემკვიდრეობის უფლებით დარჩა ქონება, რომელსაც თავისუფლად ვერ მოიხმარს, რადგან გარკვეული პირობით დაუტოვეს; და რომელიც მისმა ვეჟილმა ბატონმა ზანგიმ გირაოთი აიღო — თუმცა, რატომ ვიგონებ; რას იტყოდა ბატონი ბენეტი? განა ბატონი ბენეტი თავად არ წერს რომანებს? გადავშლი მის პირველსავე წიგნს რაც ხელში მომხვდება — აი, პილდა ლესჟეი, მოდი, ენახოთ, როგორ გვარწმუნებს, რომ პილდა არის რეალური, ნამდვილი და დამაჯერებელი, როგორც ეს შეეფერება რომანის დამწერს. პილდამ ნელა მიხურა კარი, ცდილობდა, კარს არ გაეჭრიალა — ეს გვიჩვენებს, რომ მას დამაბული დამოკიდებულება აქვს დედასთან. პილდას უყვარდა „მოდის“ კითხვა; იგი უღრესად მგრძნობიარე არსება იყო, ჯერ-ჯერობით ყველაფერი კარგად მიდის; დინჯი, დარბაისლური თბრობით ბატონი ბენეტი ცდილობს, წიგნის პირველ ფურცლებზე გაგვაცნოს, — აქ უკველი ნიუანსი მნიშვნელოვანია — როგორი გოგოა პილდა.

მაგრამ შემდგომ ბატონი ბენეტი პილდა ლესჟეის კი არ გვიხატავს, არამედ მისი საწოლი ოთახის ფანჯრიდან გადაშლილ შიდაშოს იმ მიზეზით, რომ ბატონი სკელტონი, გადასახადების ამკრეფი, მოდის ამ გზით. ბატონი ბენეტი წერს:

„მის უკან ტერნჰილის მხარე გადაშლილიყო; ზუთი ქალაქის ჩაბნელებული კვარტლები სამხრეთში განფენილიყო, და ტერნჰილს უკიდურესი ჩრდილო ნაწილი ეკავა. ჩეტერის ტუის პირას მდინარე ფართე მუხლით უზვევდა და ქვემოთ, შეჩირის დაბლობებისა და ზღვისკენ მიედინებოდა. მდინარის პირას, სწორედ პილდას ფანჯრის პირდაპირ საფქვაავი ფაბრიკა იდგა და ხანდახან ისეთ კვამლს ამოუშვებდა როგორც ბევრი სხვა საკვამლეც, რომ, ირგვლივ

ვერაფერს გავრჩევდით. საფქვაავი ფაბრიკიდან აფურით მოკირწყლული ბილიკი მიდიოდა პირდაპირ ლესჟეის სტრიტამდე; ბილიკის ცალმხარეს ბევრი ახალი ვოტეჯი სამწკრივებინათ, მეორე მხარეს კი მათი ბაღები იყო. ამ ბილიკით უნდა მოხულიყო სკელტონი სკელტონი, რადგან იგი ხუთ ბოლო კოტეჯებიდან ერთ-ერთში ცხოვრობდა“.

ქობდა, გვირის შინაგან სამყაროზე ერთი წინადადება მაინც თქმულიყო ასეთ მრავალსიტყვიან აღწერას; დაფუშვით, რომანის ავტორს ზოგჯერ სჭირდება ამგვარი გულისგამაწვრილებელი შრომა. ახლა, ენახოთ, სადაა პილდა, ღმერთო ჩემო, პილდა ჯერ კიდევ იუზრება ფანჯარაში, და, თუმცა პილდა გრძნობამორეული და აფორიაქებულია, მაინც თვალი სახლებისკენ გაუბრუნდა და ბებერ ბატონ სკელტონს ზეპირად ადარებს ვილებს, რომლებიც ფანჯრებიდან ჩანს. ამიტომ ვილებიც უნდა აღწეროს ავტორმა. ბატონი ბენეტი წერს:

„ამ მწკრივს ერქვა“ „სრულუფლებიანთა ქუჩა“ — ეამაყებოდათ ეს სახელი, რადგან მათ მხარეში მიწის დიდი ნაწილი შეხლუდული უფლებით გადაეცემოდა ადამიანებს, ანუ მიწა ვინმესთვის რომ მიეყიდათ, „ჯარიმა“ უნდა გადაეხადათ და კიდევ, მიეცათ თანხა იმ მხარის მფლობელის აგენტისათვის, ვინც განაგებდა მხარის საქმეებს. სახლებში უმეტესად მათივე მფლობელები ცხოვრობდნენ, თითოეული იყო თავისი მიწის აბსოლუტური გამგებელი. საღამოს სიბნელეშიც ჩხირკედელაობდნენ თავიანთ ბაღში, სადაც გასაშრობად გაკიდებულ პერანგებსა და პირსახოცებს ქარი აფრიალებდა. „სრულუფლებიანთა ქუჩა“ ადასტურებდა, რომ დედოფალ ვიქტორიას ეპოქის ეკონომიკამ გაიმარჯვა, ხელმომპირნე და მუყაითმა მშრომელმა თავისას მიადწია. შეიძლება ითქვას, რომ ახლა მშენებელთა საზოგადოების კომიტეტის ოცნება სამოთხეზე, მართლაც, ეს იყო ნამდვილი მიღწევა. პილდა კი გაუთვითცნობიერებელი ზიზღით იყო ხავსე, არ სურდა ეს ელიარებინა.

მადლობა ღმერთს! წამოვიძახებთ ჩვენ, ძლივს არ დაეუბრუნდით პილდას, მაგრამ ნუ ჩქარობთ. პილდამ შეიძლება ხან ამაზე იფიქროს, ხან იმაზე, ხანაც კიდევ რაღაც სხვაზე; პილდა არა მხოლოდ უყურებდა სახლებს, იგი არა მხოლოდ ფიქრობდა სახლებზე; პილდა ცხოვრობდა კიდევ ერთ-ერთ სახლში, როგორ სახლში ცხოვრობდა პილდა? ბატონი ბენეტი განაგრძობს: „ტერასაზე გამოდიოდა ოთხი სახლი, ორი შუა სახლიდან ერთ-ერთში ცხოვრობდა პილდა. ეს სახლები მის ბაბუას, ბატონ ლესჟეის აუშენებია, მას ჩაადნების წარმოება მქონდა; სახლი, რომელიც პილდას ეკავა, ძი-

რითადი უნდა ყოფილიყო იმ ოთხთაგან და, ალბათ, ტერასის მფლობელს ეკუთვნოდა. ერთ-ერთ განაპირა სახლში მოთავსებული იყო სასურსათო მაღაზია. და სახლის მიმდებარე ბაღის დიდი ნაწილი ისე ჩამოუქრიათ, რომ ძირითადი მეპატრონის ბაღი სხვებთან შედარებით დიდი გამოსულიყო. ტერასაზე არ იდგა ცალკე კოტეჯები, აქ იყო სახლები, რომელთაც აქირავებდნენ ასე ოცდაექვსიდან ოცდათექვსმეტ გირვანქამდე წელიწადში, რისი სახსარიც ხელოსნებს, დაზღვევის აგენტებს გადასახადების სპეციალურ ღირებულებას ადამიანებს. არ გაჩნდათ კიდევ ის, რომ ეს სახლები კარგად იყო ნაგები, მკვიდრად, ვერ იტყოდით, არქიტექტურულად უზადოაო, მაგრამ რაღაცით მაინც ჩამოგავდა მეფე ჯორჯის ეპოქის დიდებულ სტილს. თქმა არ უნდა, ეს სახლები საუკეთესო იყო ქალაქის ახალ უბანში. ბატონი სკელორნი „სრულუფლებიანთა“ ქუჩიდან რომ წამოვიდოდა ამ სახლების მწკრივისკენ, მას უთუოდ დაეუფლებოდა შეგრძნება, რომ უახლოვდებოდა რაღაც დიდებულს, ფართოს, თავისუფალი შემოქმედების ნაყოფს. უცებ ჰილდას მოესმა დედამისის ხმა...

ჩვენ კი არ გვესმის დედამისის ხმა, არც ჰილდასი: ჩვენ მხოლოდ ბატონ ბენეტის ხმა გვესმის: გვიუვება გადასახადებზე, სრულუფლებიან და შეზღუდულუფლებიან მფლობელობასა და ჯარიმებზე, რა სურს ბატონ ბენეტს? ჩემებურად მესმის, რა სურს ბატონ ბენეტს. ცდილობს, წარმოგვიდგინოს, რასაც არ გვიხატავს სურს, ჩვენს წარმოსახვაზე იმოქმედოს და რადგან სახლს აღწერს, გვაფაქრებინოს. შიგვილაც ცხოვრობსო, რაოდენ დეტალურია მისი დაკვირვებები, რამდენი თანაგრძნობაა და ადამიანურობაა მის თხრობაში, მაგრამ ბატონ ბენეტს ერთხელაც არ გაუხედავს კუთხეში მიუყუთული ქალბატონ ბრაუნისაკენ. აი, ზის ქალი ვაგონის კუთხეში, ვაგონი კი რიჩმონდიდან ვატერლოსკენ მიდის. ინგლისელ ლიტერატორთა ყოველი თაობისთვის ქალბატონი ბრაუნი არის ადამიანური არსება, რადგან იგი არის მარადიული, ის მხოლოდ შედაპირულად იცვლება, მწერლები შედიან ვაგონში და გამოდიან, ის კი ზის შიგ და ედუარდელ მწერალთაგან არცერთს არ შეუხედავს მისთვის. მათ შესანიშნავად აღწერეს ყველაფერი, ყველაფერს მისწვდა მათი მწერა, ყველას ერგო მათი ყურადღება — ფანჯრის გადაღმა აკვირდებოდნენ ქარხნებს, წარმოსახვაში არსებულ სამყაროს, ვაგონის მორთულობას და კედლების მონატულობას, მაგრამ ქალის ცხოვრებას, ადამიანის ბუნებას არასოდეს დაჰკვირვებიათ. შესაბამისად, მათ დაამუშავეს რომანის წერის ტექნიკა, რაც მათ მიზანს მიე-

სადაგებოდა; მათ შექმნეს იარაღი და დაამკვიდრეს პირობითობა, რაც გამოადგებოდა თავიანთი მიზნისთვის. ეს არაა ჩვენი იარაღი, რადგან ეს არაა ჩვენი საქმე. ~~მწერლები~~ მწერლობა უაზროა, მათი იარაღი ~~მწერლებს~~ მწერ-თვის.

შეიძლება, მოთხრათ, ბუნდოვნად მსჯელობთ; შეიძლება, მკითხოთ, რას ნიშნავს „პირობითობა“ ან „იარაღი“, და რისი თქმა მსურს, როცა ვაცხადებ, ბატონების ბენეტის, უელზის და გოლზუორთის პირობითობა მიუღებელია ჯორჯელ მწერალთათვის-მეთქი? რთული საკითხია, მაგრამ ვეცდები, მოკლედ ჩამოვაყალიბო. წერის პირობითობა დიდად არ განსხვავდება ქცევის პირობითობისაგან. ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც საჭიროა ერთი და იგივე: ერთი მხრივ, მასპინძელს უნდა შეეძლოს დამაკავშირებელი ხიდი გადოს უცნობ სტუმართან, მეორე მხრივ, მწერალმა უნდა შეძლოს დამაკავშირებელი ხიდი გადოს უცნობ მკითხველთან. მასპინძელი ამინდზე ჩამოგდებს ხოლმე ლაპარაკს, რადგან ვიცით, თაობიდან თაობაზე ასე ყოფილა — ამ თემაზე იოლად საუბრობენ, მასპინძელი იწყებს: რა საშინელი მაისი დაგვიდგაო, ამ სიტყვებით პირველად რომ შეეხშიანება სტუმარს, შემდეგ უფრო საინტერესო საკითხზე გადადის. ასეა ლიტერატურაშიც. მწერალი თავიდანვე უნდა შეეხშიანოს მკითხველს ისეთ თემაზე, რაც მკითხველისთვის ნაცნობია და რაც უბიძგებს, მის ფანტაზიას და გაუღვიძებს სურვილს, უფრო ახლოს ითანამშრომლოს ავტორთან, რაც ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული. ფრიად მნიშვნელოვანია, ავტორი და მკითხველი ერთმანეთს შეხვდნენ ძალდაუტანებლად, თითქმის ინსტინქტურად, სიბნელეში თვალდახუჭული. შემოთ რომ მოგაწოდეთ მონაკვეთი ბატონ ბენეტის ნაწარმოებიდან, სწორედ შეხვედრის ადგილი გახლავთ. ავტორს მიზნად დაუსახავს, დაგვარწმუნო, რომ ჰილდა ლესუეი რეალური სახეა. როგორც ედუარდელმა მწერალმა დაიწყო იმით, რომ დაწვრილებით და მთელი სიზუსტით აგვიწერა ჰილდას სახლი და სხვა სახლები, რომელთაც ჰილდა ხედავს ფანჯრიდან. სახლის აღწერით იწყებდა ყველა ედუარდელი მწერალი და ამ გზით უახლოვდებოდა მკითხველს. შეიძლება, ჩვენ ვერ დავინახოთ უშუალო კავშირი გმირსა და სახლს შორის, მაგრამ მაშინ ეს პირობითობა მიღებული იყო და ათასობით ჰილდა ლესუეი ამგვარად იწყებდა ცხოვრებას. იმ ეპოქისა და თაობისათვის მისადები იყო ეს პირობითობა.

ახლა კი, თუ ნებას მომცენთ, ჩემს მოთხრობილ ამბავს გადავხედავ და დავანახებთ, რომ ვერა და ვერ მივაგენი პირობითობას; დავანა-

ხვდით, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ერთი თაობის იარაღი უმაქნისია მეორე თაობისათვის. ამ ეპიზოდმა დიდად იმოქმედა ჩემზე. მაგრამ როგორ ვადმოძევა თქვენთვის? ისღა დამრჩენოდა, ვამემეორებინა, რა თქვენს, დეტალურად აღმეწერა, როგორ ეცვა, სულმოუთქმელად მომეთხრო სხვადასხვა ეპიზოდი, ხან ერთი, ხან მეორე, — რაც უთავბოლოდ წარმომიდგა თვალწინ, და შემდეგ შეთქვა: ეს ცოცხალი, დიდი შთაბეჭდილება ორპირ ქარს ან დამწერის სუნს მაგონებს-შეთქი. სიმართლე, გითხრათ ცოტუნებამ კინაღამ დამძლია, დამეწერა ტრილოგია მოხუცი ქალის ვაჟზე: რა გადახდა ატლანტიკის ოკეანის გადაღმა, ვინ იყო მოხუცის ქალიშვილი, როგორ ვაქრობდა ქუდების მაღაზიაში უესტმინსტერში, რა გადახდენოდა თავად ბატონ სპიტს, როგორი სახლი მქონდა შეფილდში... მაგრამ ამგვარი თხრობა ჩემის აზრით, მოსაბეზრებელი, უმაქნისი და უაზროა. ასე რომ მოვქცეულიყავი, აღარ დამჭირდებოდა წვალემა და ახსნა, რას ვგულისხმობ-შეთქი. და მიზნისთვის რომ მიმედწია, სულ უკან და უკან უნდა დამეხია, ხან ეს მეცადა, ხან ის, ხან ერთი წინადადება შემედგინა, ხან მეორე და რომ თითოეული სიტყვა, შეძლებისდაგვარად, მისადაგებოდა ჩემს ხილვას, უნდა მომეძებნა ჩვენი შეხვედრის ადგილი, რაიმე პირობითობა, რაც თქვენთვის არ იქნებოდა უცნაური, რეალობას დაშორებული და დაუჭერებელი. ვაღიარებ, რომ თავი ავარიდე ამგვარ მცდელობას. ქალბატონი ბრაუნი ხელიდან გამისხლტა. ვერაფერი მოგიტხრეთ მასზე. ნაწილობრივ, ბრაუნი მიუძღვით ედუარდელ მწერლებს. ისინი ხომ უფროსი და უკეთესნი არიან, მეც მათ ვკითხე — როგორ დავიწყო-შეთქი ქალის დახასიათება. მითხრეს: „ჩერ მოუევი, რომ მამამისს მქონდა მაღაზია პეროგეიტში. დააზუსტე, რა გადასახადები იყო. დააზუსტე, 1878 წელს როგორ ხელფასს იღებდნენ გამყიდველები. მოიფიქრე, რითი მოუკვდა დედა, აღწერე, რომ კიბოთი მოუკვდა. აღწერე მისი ჩითის კაბა. აღწერე — „მაშინ კი დავიუვირე“ შეწყვიტეთ. შეწყვიტეთ!“ და ვწუხვარ, მაგრამ — ეს უშნო, მოუქნელი, ბლაგვი და უმაქნისი იარაღი ფანჯარაში მოვისროლე, რადგან ვიცოდი, თუ მოვყვებოდი და აღვწერდი კიბოს და ჩითის კაბას, ქალბატონი ბრაუნის ხილვა, რომლის ვადმოცემასაც ვცდილობდი, თუმც არ ვიცოდი, როგორ ვადმოძევა. — დაკარგავდა ხიბლს, გაფერმკრთალდებოდა და ხამუდამოდ ვაქრობოდა.

ამას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ედუარდელთა იარაღი ჩვენ არ გამოგვადგება. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მასალის

აღწერას. ისინი სახლს გვიჩვენებენ იმის იმედით, რომ წარმოდგენას გვიქმნიან ადამიანზე, ვინც ექცხოვრობს. მაგრამ თუ ეპიზოდით აზრს, რომ რომანი პირველ რიგში ადამიანებზეა და სახლები, სადაც ისინი ცხოვრობენ, მხოლოდ მათ შემდეგ შეიძლება გვანტერესებდეს, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მათი მეთოდი მცდარია. აქედან, თქვენთვის ნათელია, რომ მეფე ჰორჯელი მწერალი იძულებული იყო, ჯერ თავიდან მოეცილებინა იმ დროს გავრცელებული წერის მეთოდი. ასე დარჩა მწერალ-მარტოდმარტო, მეთოდი არ გააჩნდა, რომ ქალბატონ ბრაუნის სახე მკითხველამდე მიეტანა. მთლად სწორი არ ვარ. მწერალი არასოდეს არის მარტო. ხალხი ყოველთვის მასთანაა — თუ იმავე სკამზე მჯდომი არა, გვერდით, ოთახში მაინც. ხალხი უცნაური თანამგზავრია. ინგლისში ხალხი ფრიად მორჩილია — იოლად დააქერებ: ერთი თუ აგყვა, კარგა ხანს ვეღარ გადააქერებ იმას, რაც მანამდე შთაუნერგე. თუ ხალხს დააქერე: ყველა ქალს კუდი აქვს და ყველა კაცს კუზიო, მართლა მოეჩვენებათ კუდიანი ქალები და კუზიანი კაცები. აღარ დაიჭერებენ თქვენს ნათქვამს — სისულელეა, მაიშუნებს აქვთ კუდები და აქლემებს აქვთ კუზი, კაცებს და ქალებს აქვთ ტვინი და გული, ისინი ფიქრობენ და გრძნობენ — ხალხი ამ სიტყვებს უკბილო ხუმრობად ჩათვლის და არ დაგიჭერებენ.

მაგრამ დავუბრუნდეთ სათქმელს. აი, ბრიტანელები სხედან მწერლის გარშემო და ხმამაღლა, ერთხმად ამბობენ: მოხუცებს აქვთ სახლი. მათ ჰყავთ მამა. მათ აქვთ შემოსავლი. მათ ჰყავთ მსახური. მათ აქვთ ბოთლი ცხელი წყლით. ასეთ მოხუცს ჩვენ ვიცნობთ. ბატონები ბენეტი, უელზი და გოლზუორთი ყოველთვის გვასწავლიდნენ, რომ ასე შეიძლება მივხვდეთ, რომ მოხუცი ქალებზე ვლაპარაკობთ. ახლა, იმის მიხედვით, როგორც თქვენ ქალბატონი ბრაუნი დახატეთ, როგორ ვირწმუნოთ, რომ ნამდვილია? ისიც კი არ ვიცით, მის ვილას აღბერტი ერქვა თუ ბალმორალი; რა გადაიხდა ხელთათმანში; დედამისი კიბოთი გარდაიცვალა თუ კლდეკით; რითი ვირწმუნოთ რომ ცოცხალი არსებობს? არა, ის მხოლოდ თქვენი ფანტაზიის ნაყოფია. მაშ, მოხუცზე იმით შეიძლება მსჯელობა. საკუთრების სრულუფლებიანი მფლობელია, თუ რაიმე პირობითაა შეზღუდული და მას არ ქმნის ფანტაზია. ამიტომ ჯორჯელმა მწერალმა აღარ იცოდა, რა ექნა. აქეთ ქალბატონი ბრაუნი ასავსავებდა ხელებს — მე სულ სხვანაირი, სულ სხვანაირი ვარო, ესენი როგორ მხატვანო! მწერალს თავისკენ იხმობდა, იტყუებდა, მომყვითო, მისი ხილვა გამოკრთებოდა და აჩრდილის უსწრაფესად ჩა-

იქროლებდა. იქით ეღუარდელი მწერლები ისეთ იარაღს სთავაზობდნენ, იმით სახლს თუ ააშენებდი და დაანგრევდი; აქეთ კიდეც ბრიტანელები მოითხოვდნენ, ჭერ მოხუცი ქალის თბილი ბოთლი დაგვანახეო. ამასობაში მატარებელი მიექანებოდა სადგურისაკენ, სადაც ყველანი უნდა გადმოვსულიყავით.

ამგვარი სიძნელეები დახვდათ ჯორჯელ მწერლებს 1910 წლისათვის. მრავალმა მათგანმა, განსაკუთრებით, ვგულისხმობ ბატონებს ფორსტერს¹ და ლორენსს², ასე ვთქვათ, ხელი გაიფუჭეს, თავიანთ ადრინდელ ნაწარმოებებში გამოიყენეს მათი იარაღი იმის მაგიერ, რომ შორს მოესროლაო. მათ სცადეს საშუალო გზა მოეძებნათ, მათ უკონდათ შეგრძნება ხასიათის თავისებურებისა და ინდივიდუალობისა, სცადეს დაეხატათ ეს ხასიათი; იქვე დატვირთეს ნაწარმოები ინფორმაციით, როგორც მანამდე ბატონი გოლზუორთი მსჯელობდა საქარხნო აქციებზე³ და ბატონი ბენეტი მიმოიხილა ვადა ზუთი ქალაქის პრობლემებს. მათ სცადეს კომპრომისული გზა მოეძებნათ. მაგრამ ისინი ღრმად გრძნობდნენ, ვინ იყო მისის ბრაუნის, ქალის ინდივიდუალობას შეეპურო ისინი, როგორც მწერლები და დიდხანს ვეღარ შეეგუებოდნენ კომპრომისს. რაღაც უნდა ეღონათ. იქნებ სიცოცხლის ფასადაც დასჯდომოდათ, იქნებ ხელფებიც მიემტვრიათ, ან რაღაც მატერიალური ზარალი ენახათ — რაღაც უნდა დასჯდომოდათ, უნდა გამოსდევნებოდნენ ქალბატონ ბრაუნს, დაეხატათ მისი ხასიათი და გადმოეცათ, რა დამოკიდებულებაში იყო იგი ირგვლივ ქვეყანასთან; უნდა მოესწროთ, ვიდრე მატარებელი არ გაჩერებულიყო და ქალიც სამუდამოდ არ გამქრალიყო. შოდა, გაისმა ყველაფრის მსხვრევისა და მტვრევის ხმა. ეს ხმა გვესმის ჩვენს ირგვლივ. პოემებში, რომანებსა და ბიოგრაფიებში, საგაზეთო სტატიებსა და ესეებშიც კი გვესმის, რომ ძველი იმტვრევა და ინგრევა, იმსხვრევა და ილეწება. მეფე ჯორჯის ხანაში

ამგვარი ხმები გაისმის ყველგან — მეტანქოლია გეუფლება, რომ იხსენებ, რა მელოდურები იყო წარსულს დღეები, როდესაც იხსენებ შექსპირს, მილტონს და კიტს, ან თუნდაც ჭეინოსტინს, თეკერის და დიკენსს, უკონდაც კი იხსენებ, რა ენა გვაბადია და რა სტამბლებს შექმნება მიაღწიოს მწერალმა. თუ განთავისუფლდა, ხედავ კი, რომ იგი — არწივი, დაუტყვევებით, მაგრამ მამაცურად ირგება და ყვის.

ამგვარი ხმები მიწივის ყურში და ამგვარი აზრები მიტრიალებს თავში, მაგრამ სულაც არ ვაპირებ უარყო, რომ ბატონი ბენეტი უმიზეზოდ არ ჩივის — ჯორჯელი მწერლები ვერ გვარწმუნებენ, რომ მათი გამრები რეალური არიანო. მეც უნდა ვაღიარო, რომ ყოველ შემოდგომაზე ეს მწერლები ვერ წარმოადგენენ სამ უკვდავ ქმნილებას, როგორც ეს შეეძლოთ ექტორიანელ მწერლებს. მაგრამ გუნება რატომ უნდა წამიხდეს, მაინც იმედიანად ვარ. ვფიქრობ, ასეც უნდა იყოს, როდესაც კაცისთვის ჭაღარა სიბერისა თუ უღინდლო ახალგაზრდობის ასაკში პირობითობა აღარაა მწერალსა და მკითხველს შორის ურთიერთობის საშუალება, პირიქით, დაბრკოლებად ქცეულა და ხელს უშლის ამ ურთიერთობას. დღესდღეობით ჩვენთვის ის კი არაა სამწუხარო, თუ ლიტერატურა დაცემის გზაზეა, — არა, სამწუხაროა, რომ არ ვიცით, რაგვარი პირობითობით დავიწყეთ მწერლისა და მკითხველის პირველი შეხვედრა, რომ ისინი დამეგობრდნენ და განაგრძონ ურთიერთობა უფრო საინტერესო სიტუაციაში. დროის ლიტერატურული პირობითობა ფრიად ხელოვნურია — იძულებული ხარ ილაპარაკო ამინდზე, მხოლოდ ამინდზე, რა ხანსაც უნდა იყო სტუმრად — თუ წერა მაინც და მაინც არ გეხერხება, ვერ გაუძლებ. თუ ქალამი გიქრის, იძულებული ხარ დაარღვიო ყველა წესი და ტრადიცია, რაც მიღებული იყო ლიტერატურულ საზოგადოებაში. რღვევის ნიშნები ყველგან იგრძნობა. გრამატიკულ წესებს არავინ დაგიღვევთ: სინტაქსი დაიშალა; ასეთი სცენა მახსენდება — შაბათ-კვირას ბიჭს დატოვებენ მამიდასთან, აღარ იცის, უსაქმურობისაგან, რა ქნას, ყვავილების ქვალზე წამოკოტრიალდება, სურს, ყველას დაანახოს, უსაქმურობა როგორი ზეიშია მისთვის. ხანდაზმული მწერლები, რასაკვირველია, ამგვარად ვერ გამოფენენ თავიანთ განწყობას. ახალგაზრდები უაღრესად გულწრფელნი და თამამნი არიან; ესაა მხოლოდ, ვერ გარკვეულან, ჩანგალი იხმარონ, თუ თითებით წიირთვან. ამგვარად, თუ წაიკითხავთ ბატონ ჯონის და ბატონ ელიოტს, თვალში გეცემათ: პირველი ბილწია, მეორე კი ბუნდოვანი. მიმაჩნია, რომ რომანში „ულისე“ ბატონი ჯონისა შეგნებულად ბილწსიტყვაობს, განზრახ, ასე

1 ეღუარდ მორგან ფორსტერი (1879—1970)— ავტორი რომანებისა „სადაც ანგელოზთაც ემინათ დააბიჯონ“, „ყველაზე დიდი მოგზაურობა“, „ოთახი ხელით“.

2 დევიდ ჰერბერტ ლორენსი (1885—1930)— ავტორი რომანებისა „თეთრი ფარშევანგი“, „ვაჟიშვილები და საყვარლები“...

3. მიანიშნებს, რომ ჯონ გოლზუორთიმ მიიღო იურიდიული განთლება ოქსფორდის უნივერსიტეტში და თავის რომანში პროფეაიულად მსჯელობდა საქარხნო აქციებზე, რომლებიც გამოდიოდა ინგლისში 1802— წლიდან მრეწველთა უფლებების დასაკანონებლად.

გეგონება. კაცი გამოუვალ მდგომარეობაშია. გრძნობს: თუ ფანჯრები არ ჩაამსხვრია, დი- ლუთება. ზოგჯერ, ფანჯარას როცა ჩაამტვრევს, დიდებული მწერალია. მაგრამ რამოდენა ენერ- გიას ხარჯავს! ესეც არ იყოს, ბილწსიტყვაობას არ შეაქვს სიცოცხლე, როდესაც მას იმიტომ არ მიმართავს მწერალი, რომ უწარმაწარმა ენერგიამ არტახები დაამსხვრიოს და პირველ- ყოფილმა გაშმაგებამ გადმოხეთქოს: როცა მხოლოდ იმიტომ ბილწსიტყვაობს მწერალი, რომ წინასწარ მოუფიქრებია და მასის საა- მებლად წერს, ამით სურს რეალობას მიუახ- ლოვდეს ახლა, რაც შეეხება ბატონ ელიოტის ბუნდოვანებას, ვფიქრობ, ბატონ ელიოტს ეკუთვნის რამდენიმე საუკეთესო პოეტური სტრი- ქონი თანამედროვე პოეზიაში. იგი სრულად ემიჯნება ლექსიკის ძველებურ ხმარებას და საზოგადოებაში მიღებულ ეთიკას — სუსტს მხარში ამოუდგებოდნენ, გუნებაწაშხდარს თანა- გრძნობით ეკიდებოდნენ, მწესავით მივეფიცებ- ბი ხოლმე მის რომელიმე სტრიქონს — ძლი- ერსა და მომაჯადოებელს: მაგრამ გამახსენდება, რომ უნდა გავაკეთო თავბრუდამსხვევი და სახი- ფათო ნახტომი შემდეგ ამგვარ სტრიქონამდე, და ასე სტრიქონ-სტრიქონ ვიხტუნო, როგორც მუშაობა, ვაღიარებ, რომ მაშინ კი მომენატ- რება ძველებური გარემო და მშურს ჩემი წინა- პრების: პაერში მალაყებით ამოტრიალებს ნა- ცვლად, წიგნით ხელში მშვიდად თვლემდნენ ჩრდილს შეფარებულნი. გავიხსენოთ ბატონ სტრეჩის წიგნებიც. მაგალითად, „დედოფალი ვიქტორია და მისი ეპოქის ცნობილი ადამიანე- ბი“, მასში ჩანს, რომ ავტორი ცდილობს, და- ლას არ იშურებს, მაგრამ იგრძნობა, რომ წერს საკუთარი სურვილის და ეპოქის საწინააღმდე- გოდ. ამას აშკარად კი ვერ იგრძნობთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბატონი სტრეჩი წერს ჯი- უტ ფაქტებზე, მეორეც. მან ძირითადად მეთვ- რამეტე საუკუნის სტილში ჩამოაყალიბა თბრო- ბის საკუთარი, თავდაქერილი მანერა, რაც სა- შუალებას აძლევს, მიუჭდეს ამქვეყნად ყველა- ზე მაღალ მაგიდას და ამ ნატიფ საფარველ- ქვეშ თქვას ისეთი რამ, რაც შიშვლად რომ წარმოეჩინა, მამაკაცი მსახურები ოთახიდან მოიხროდნენ. და მაინც, „გამოჩენილ ადამიანე- ბებს...“ თუ შევადარებთ ლორდ მელოკის ეს- ეებს, შეიძლება ითქვას: თუმცა გრძნობ, რომ ლორდ მელოკი ყოველთვის ცდება და ბატონი სტრეჩი ყოველთვის მართალია, იმასაც გრძნობ რომ ბატონ მელოკის ესეები „ხორციანია, ფა- რთე პორიზონტი აქვთ, მდიდარია“, რაც მი- გვანიშნებს, რომ მის ზურგს უკან იდგა მისი ეპოქა; ავტორმა მთელი ენერგია ჩააქსოვა თა- ვის ნაშრომში, არც რაიმეს მისაჩქმალად სჭი-

რდებოდა ძალისხმევა და არც რაიმეს გარდა- საქმნელად. ბატონ სტრეჩის კი ჯერ თვალში უნდა აეხილა ჩვენთვის, ვიდრე რაიმეს დაგ- ვანახვებდა; იგი იძულებული იყო, გამოეკვეთა და ჩამოექნა მეტყველების სტატუსი მანერა: ამდენ მცდელობაში, თუმცა მწვენივრად ჩქმალავს, რომ ამგვარი ძალისხმევა სჭირ- დება, — მის ნაწარმოებს დააკლდა ენერგია, რაც მასში უნდა ჩაექსოვა ავტორს. ასე შეიზ- ლუდა ნაწარმოების პორიზონტი.

მაშ, ამ მიზეზითაა, რომ დღეს უნდა შევე- გუოთ — ზოგი წიგნი ალაგ-ალაგ ვარგა, ზოგი მთლად უვარგისია, იმაზე უნდა დავფიქრდეთ, თუ ამდენ ენერგიას ვხარჯავთ, როგორ ვთქვათ სიმართლე; თავად სიმართლე ჩვენამდე უთუ- რდ, არეულ-ღარეული და ქანცგაწყვეტილი აღწევს. უღისე, დედოფალი ვიქტორია. ბატონი პრუფროკი — ბოლო დროს სხვადასხვა სახე- ლით გახდა ცნობილი ქალბატონ ბრაუნის და ვიდრე მას მდევარი მისწვდება, თმაგაჩილი ქალბატონი ბრაუნის გაფერპკრთაღდება. ჩვენი მწერლების ნაჯახი გამოსცემს ხმას, ჩვენ რომ გვესმის. მეც ჩამესმის ყურში მოუხეშავი ხმა, რაღაც-სკენ რომ გვიბიძგებს — თუკი, რასა- კვარცვლია, ძილი არ გერევათ. და ადამიანე- ბის მოდგმასზე ზრუნვით, ღვთის ნებით, მწე- რალთა მთელი გუნდი მოგვევლინა, ვისაც დი- დი სურვილი აქვს და უნარიც შესწევს, აღწე- როს, რაც ჩვენ გვქირდება.

იქნებ მოსაბეზრებელიც იყო ჩემი მსჯელობა, მაგრამ ვცადე, პასუხი გამეცა რამდენიმე შე- კითხვაზე, რომლებიც თავში დავსვი. დავასა- ხელე, ჩემი აზრით, რა სიძნელეები ხვდება მეფე ჯორჯის ეპოქის მწერლებს მოღვაწეობის უველა სფეროში, მინდოდა, გამამართლებელი მიზეზები მომეძებნა. თუ ნებას მომცემთ, ჩემს ნაშრომს დავამთავრებ იმით, რომ შეგახსე- ნებთ, რა მოვალეობა და პასუხისმგებლობა გა- კისრიათ წიგნის შექმნის პროცესში თქვენ, რო- გორც მწერლის პარტნიორებს, როგორც თანა- მუშავრთ მატარებლის ვაგონში, როგორც ადა- მიანებს, ვინც ქალბატონ ბრაუნთან ერთად მუშავრობთ? რადგან ქალბატონი ბრაუნის ესე- ვე ხილულია თქვენთვის, ვინც უტყვად ხართ, როგორც ჩვენთვის, ვინც მასზე ვწერთ, გასულ კვირას თქვენს ყოველდღიურ ცხოვრე- ბაში იქნებ ბევრად უცნაური და უფრო საინ- ტერესო რამ შეგემთხვათ, ვიდრე მე ავიწყრეთ. აღბათ, ყური მოჰკარით სხვისი საუბრის ნაგ- ლეჯს და განცვიფრებული დარჩით. იქნებ, ღამით რომ დაწეკით, გიყდებოდით, წინააღმდე- გობრივი გრძნობები გეუფლებოდათ. ერთი დღის განმავლობაში ათასობით აზრმა გაგიელ- ვათ თავში; ათასგვარი გრძნობა დაგეუფლათ,

ჯეინ ოსტინი



ურთიერთს შეეჯახა თქვენს პიროვნებაში და, აწეწილ-დაწეწილი, აქეთ-იქით გაიფანტა. ყოველივე ამის მიუხედავად, თქვენ ნებას აძლევთ მწერალს, თავს მოგახვიოთ იმავე ამბების თავისი ვარიანტი ქალბატონ ბრაუნის ხაზით, რომელიც არაფრით ჰგავს ქალბატონ ბრაუნის საოცარ ხახვს. თქვენ თავმდაბლად ფიქრობთ, რომ მწერლები სხვა სისხლისა და ხორცისანი არიან, რომ მათ თქვენზე მეტი იციან ქალბატონ ბრაუნზე. ესაა თქვენი უდიდესი შეცდომა. ხწორედ ამგვარმა დაუოფამ მკითხველებად და მწერლებად, თქვენმა თავმდაბლობამ და ჩვენმა გადაპრანჭულობამ გააფუქა, და გამოფიტა წიგნები, რომლებიც ჩვენი და თქვენი ურთიერთკავშირის ჯანსაღი ნაყოფი უნდა იყოს. ასე ჩნდება ის გაპრიალებული რომანები, ის გაყალბებული და უცნაურობებით სავსე ბიოგრაფიები, ის წყალწყალა კრიტიკული წერილები, ის ვარდებიანი და დატკბილული პოემები, ცხოვრების ხიწმინდეს რომ უმღერის — და ყველაფერ ამას დღეს ტაშს უკრავენ, როგორც ნამდვილ ლიტერატურას.

თქვენ დაბეჭითებით უნდა მოითხოვოთ, რომ მწერლები გადმოზრძანდნენ კვარცხლბეგიდან და პიედესტალიდან და აღწერონ ცხოვრება ლამაზად, თუ ეს შესაძლებელია; ის მაინც ქნან, რომ დახატონ ნამდვილა სახე ქალბატონ ბრაუნისა. თქვენ დაბეჭითებით უნდა ვანაცხადოთ, რომ ამ მოხუცი ქალის შესაძლებლობები უსაზღვროა, იგი მრავალსახოდაა; შეუძლია, ნებისმიერ ადვილას გაჩნდეს; შეუძლია, ნებისმიერი კამა ჩაიტყვას; შეუძლია ხან ეს თქვას, ხან ის და, ღმერთმა უწყის, კიდევ რა შეუძლია მოიმოქმედოს. მაგრამ რასაც იტყვის და რასაც გააკეთებს, მისი გამოხედვა და მისი ცხვირი მისი მეტყველება და მისი სიჩუმე ჩვენთვის ენით აუწერელი მშვენიერებაა, რადგან ის, ცხადია, არის ხული, რაც სიცოცხლეს გვანიჭებს, ის თავად საცოცხლეა.

მაგრამ ნუ მოვლით, რომ დღესვე შეძლებენ ყოველმხრივ სრულყოფილად აღწერონ ქალბატონი ბრაუნი. მოითმინეთ, თუ ის ზოგჯერ მოკრუნჩხული იქნება, ზოგჯერ ბუნდოვანი, ზოგჯერ ფრაგმენტული, ზოგჯერ კი არარაობა. მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ კეთილ საქმეში. ახლა მსურს გავაკეთო საბოლოო და უაღრესად მნიშვნელოვანი განცხადება: ჩვენ ვდგავართ ინგლისური ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ეპოქის ზღურბლზე და აქეთ-იქით ვჯანაობთ. ამ ზღურბლს გადავაბიჭებთ, თუ მტკიცედ გადავწყვეტთ, რომ არასოდეს არ მივატოვებთ ქალბატონ ბრაუნს.

ვირჯინია ვულფმა წინამდებარე წიგნის შესახებ ინგლისელ რომანისტს ჯეინ ოსტინს

შეიძლება, ასეც მოხდეს, მაგრამ ეს კასანდრა ოსტინს ბოლომდე უნდა შეეფერებოდეს, რაც სურდა, ჯეინ ოსტინის რომანები კი დაგვრჩება, მაგრამ არაფერი გვეცოდინებოდა მათ ავტორზე. მხოლოდ უფროს დას წერდა წერილებს, მხოლოდ მას უმედავენებდა სულის ლტოლვას და, თუ ჰორებს დაეუჭერებთ, ცხოვრებაში ერთი დიდი გულისტკივილი რომ შეხვედრია. დისთვის შეუწივლია; ჯეინი სახელგანთქმული მწერალი გახდა, მის კასანდრა ოსტინი კი მოხუცდა და იფიქრა, დადგება დრო, ჩვენს წერილებს უცხო პირები დაუწყებენ ქექვას, ნეცნიერთა განხვის ს:გნად იქცევაო და, თუმცა ძალიან უმძიშდა, დაწვა ყველა ბარათი, რომელიც რაიმე ცნობისწადილს აღუძრავდა მკვლევარებს და შემოინახა სხვათათვის არაფრის მთქმელი წერილები.

სოტა ჰორები, რამდენიმე წერილი და მისი წიგნები — ამით ვიცით, რაც ვიცით ჯეინ ოსტინზე. აქაოდა, ჰორია, ზიზლით რად მოვიშორით. თუკი დღემდე ცოცხლობს ეს ჰორი? გადააადგილებ, გადამოაადგილებ ამბებს, კარგად განიოყენებ და სათქმელს გამოაწყობ, მაგალითად, პატარა ფილადელფია ოსტინს უთქვამს ჯეინზე: „ვერ იტყვი, ჯეინი ლამაზიაო... რომ არ მოვლი თორმეტი წლის გოგოსაგან, ისე თვითდაჭერებულად იქცევა. პირვეული და პრანქიაა“. ცნობილია, მისის მიტფორდის სიტყვები, ვინც დებ ოსტინებს ბავშვობაში იცნობდა: „საქმროებზე მონადირე პეპლებს შორის ჯეინი ყველაზე ლამაზი, ყველაზე სულელი, ყველაზე პრანქია პეპელააო“; და კიდევ, მისის მიტფორდის ანონიმი მეგობარი ვინც ხშირად ყოფილა ჯეინთან სტუმრად, ამბობს: „ძნელად თუ მოიძებნება ქალი, კენტად ყოფნისგან ასეთი კერპი, კუშტი და გამოზომილი ქცევის გამხდარიყოს, და ვიდრე „სიამაყე და წინასწარგანწყობა“ არ გამოქვეყნდა, ვინ რა იცოდა, როგორი ღირსება იფარებოდა ამ გარეგნულად კუშტი ბუნების ადამიანში; სა-

1 ჯეინ ოსტინის ეფროსი და, მან დაწვა დის 1000-მდე წერილადან უმეტესი ნაწილი და შეინახა მხოლოდ 150 ბარათი.
 2 ჯეინ ოსტინის ბიძაშვილი.
 3 ინგლისელი მწერალი (1780—1855) მეარი რასელ მიტფორდი.

ზოგადობაც მას იმაზე მეტ პატივს არ მიაგებდა, ვიდრე ნაცრის საჩხრეკს ან საცეცხლურს... ახლა საქმე სხვაგვარადაა, განაგრძობს კეთილშობილი ქალბატონი, თუმც მას მაინც უყურებენ, როგორც ნაცრის საჩხრეკს, მაგრამ ისეთს, რომელსაც უველა ერიდება. „თავზარდამცემია გონება, განმსაზღვრელი ადამიანისა, შით უფრო თუ კაცი უტყვია. მეორე მხრივ, რასაკვირველია, ცხოვრობდნენ თავად ოსტინები, რომელთაც ასე სჩვევიათ თავის ქება და, მიუხედავად ამისა, ამბობენ, ძმებს! „დიდი სიყვარული ჰქონდათ ჭეინის და ამყობდნენ დით“. ძმები აფასებდნენ, რომ ჭეინი ნიკიერი, სათნო, გულთბილი იყო და შემდგომ თავიანთ ქალიშვილებსა თუ ძმისშვილებში ეძებდნენ მსგავსებას ძვირფას დასთან, თუმც თელიდნენ, რომ მისებრ სრულყოფილი სხვა ვერ იქნებოდა. „მომხიბვლელი და უცხოთათვის შიშისმომგვრელი, ენამწარე და გულათ კეთილი“ — ამგვარი კონტრასტები ჰგუობენ ერთმანეთს და როდესაც მივუბრუნდებით რომანებს, ბორძიკით თუ გადავლახავთ, იმდენ სიბრტულეს გადავაწყდებით. ჭერ ერთი, ეს პატარა, ჭირვეული და პრანჭია გოგო, ფილადელფიას თქმით, ისე იქცეოდა. ვერ იფიქრებდათ, თორმეტი წლის არისო. თურმე სულ მოკლე დროში დაწერა ხაოცარი ნაწარმოები „სიყვარული და მეგობრობა“. რომანი სულაც არ იყო ბავშვური და თითქმის დაუჭერებელია, რომ თხუთმეტი წლის გოგომ შექმნა. ალბათ, სკოლაში მეგობრებს უკითხავდა გასართობად: ერთი მოთხრობა ძმას მიუძღვნა ნახევრად იუმორული, ნახევრად საზეიმო ეპიგრამათ; მეორე მოთხრობა ჭეინის დას ფაქიზად დაუსურათებია აკვარელით. კითხულობ და გრძნობ, ოჯახური იუმორია წიგნში; სატირული ეპიზოდებიც უამრავია. მსგავსი სცენები ხშირად იყო მათ სახლში — პატარა ოსტინები გამოაჯავრებდნენ მშვენიერ ქალბატონებს. „ტახტზე მისვენებული რომ ოხრავდნენ და გული უწუხდათ“.

ჭეინი რომ ბოლომდე ჩაიკითხავდა და გამასხარავებდა, რაც და-ძმებს ისედაც ეზიზღებოდათ, ალბათ, ხითხითით იკლებდნენ იქაურობას. „ვევდები ვით მოწამე მწუხარებით, რადგან დაჯვარგე ავგუსტუსი, სიცოცხლის ფასად დამიქდა. ერთხელ რომ გული შემიღონდა. ძვირფასო ლაურა, გაფრთხილდი, გული არაფერზე შეგიღონდეს... რამდენჭერაც ვსურდეს, მოიგიჟიანე თავი, მაგრამ იქამდე ნუ მიხვალ, რომ გული შეგიღონდეს...“ და გამალეებით წერდა რამდენადაც სწრაფად შეეძლო ეწერა, და

უფრო სწრაფად, ვიდრე კითხულობდა. რომ გადმოეცა განსაცვიფრებელი თავგადასავლები ლაურასა და სოფიასი, ფილანდორისა და გუსტავუსის. ყოველ დღე დაძვებოდა ეკიპაჟს ედინბურგსა და სტერლინგს შორის, რომ აღეწერა, როგორ მოიპარეს უჭრაზე შენახული განძეული; რომ მოეთხრო ამბავი დედებისა, ვინც შიმშილით სულს ლევდნენ, და შვილებისა, ვინც მაკბეთის ცოდვას იმეორებდნენ. დარწმუნებული ვარ, ამ ამბებს რომ ისმენდნენ საქლასო ოთახში, ალბათ, სიცილით იხოცებოდნენ. მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ ეს თხუთმეტიოდე წლის გოგონა თავისთვის იქდა სასტუმრო ოთახის მყუდრო კუთხეში და წერდა, არა იმისთვის, რომ და-ძმა გაერთო და შინაურების საკითხავი წიგნი შეექმნა. ის წერდა უველასთვის, არავისთვის, ჩვენთვის, თავისი ეპოქისთვის: სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭეინ ოსტინი წერდა ნაწარმოებს. უფრო მიუგდეთ მისი წინადადების რიტმს, როგორ ამოქნის აზრს და გაუშვიადებლად ამბობს სათქმელს:

„She was nothing more than a mere good-tempered, civil, and obliging young woman; as much we could scarcely dislike her she was only an object of contempt“.

ასეთ წინადადებას საშობაო არდადეგების პერეც ვერ დაივიწყებ. რაღა არაა „სიყვარულსა და მეგობრობაში?“ მისი გმირი არის ცოცხალი, მეგობრული, მხიარული, თითქმის, ზედშეტად თავისუფალიც; კიდევ რაღაც ისმის მთელ წიგნში. რაც სხვა თვისებაში არ ჩაიკარგა — ესაა სიცილი. თხუთმეტი წლის გოგო შეუუფულა კუთხეში და იცინის ამ ქვეყნის შემყურე.

თხუთმეტი წლის გოგოებს სასაცილო არ გამოეღევათ. ბატონი ბინი² შაქრის ნაცვლად მარჩის ჩაიყრის და იცინიან. მოხუცი ქალბატონი ტომკინში³ კი წინ დაჭდება და სიცილით იხოცებიან. თუმცა, გავა ერთი წუთი და ტირილს იწყებენ. მათ არ იციან, რა არის სასაცილო ადაზიანის ბუნებაში, რაც ყოველთვის იწვევს სიცილს, ის რაღაც თვისება ქალსა და კაცში, რომელიც ყოველთვის კმნის სატირულ განწყობას. მათ არ იციან, რომ ქალბატონი გრევილი¹, ვინც ზემოდან დასცქერის და საცოდავი მარია⁴, ვისაც ზემოდან დასცქერიან, ორივე მოიძებნება ნებისმიერ საცეკვაო დარბაზში. ჭეინმა ეს იცოდა დაბადებიდანვე. გოგო დაიბადა თუ არა, ერთ-ერთმა ფერიამ, აკვანზე რომ იცოდა

¹ „ის იყო ერთი კარგი ხასიათის ქალი, თავაზიანი, დაუზარელი: სწორედ ასეთი რომ იყო, არ მოსწონდათ კი არა — ეჭაერებოდათ.“

², ³, ⁴ პერსონაჟები რომანისა „სიყვარული და მეგობრობა“.

¹ ჯ. ოსტინს უყავდა ექვსი ძმა.

ჩამოსკუპება, ალბათ, ფრენა-ფრენით მოატარა ქვეყნიერება. აკვანში ხელახლა რომ ჩააწვინეს, ჭეინი უკვე კარგად იცნობდა ამ ქვეყანას, და თავისი კუთვნილი საუფლოც შერჩეული ჰქონდა. შეთანხმებულიყვნენ: თუ ამ საუფლოს დაუთმობდნენ, სხვისი არაფერი შეშურდებოდა. მოდა, თხუთმეტის რომ შეიქნა, კარგად იცოდა სხვები რას წარმოადგენდნენ, თავის თავზეც არაფერი ეშლებოდა. რასაც წერს სრულყოფილია. გარკვეული, უნივერსალური და არაა შემთხვევითი. ცალკეულ პიროვნებას არ მიხედვს, ვერ ჩასწვდება, როგორ წერს, როდესაც მწერალი ვინ ოსტინი ჩაიწერს შესანიშნავ სტენას— ქალბატონ გრევილის დიალოგს, იოსტისოდენად არ იგრძნობა ის ტკივილი, ერთხელ რომ გახუცდია ცხოვრებაში, როცა აგრძნობინეს, შენ არაფერს წარმოადგენო. ოსტინი პირდაპირ მიადგება სათქმელს და ჩვენ ვიცით, სად არის ეს სათქმელი ადამიანის ბუნების რუკაზე. ვიცით, რადგან ჭეინ ოსტინი ყოველთვის ეტევა თავის საუფლოში და არასოდეს გადადის ზღვარს. არასოდეს, თხუთმეტი წლის ასაკშიც კი, როცა გრძნობა ჰარბობს გონებას, არ დაუბრია თავი მორცხვად; დრო და დრო თანაგრძნობა თუ მოერეოდა, საკაში არ შეურბილდება. რომანტიკული მრავლსიტყვიანობის ბურუსში არ ჩაძირულა. ალბათ, ჭეინი ჯობს გაიშეერდა და იტყოდა: ყოველგვარი გადახრა, თანაგრძნობა იქნება თუ ენაწულიანობა, აი, იქ მთავრდებაო. ჩვენც გარკვევით ვხედავთ სახაზღვრო ზოლს, მეორე მხრივ, ჭეინი არ უარყოფს, რომ არსებობს მთვარე, მთები, ციხეები, თავადაც დაწერა რომანტიკული ნაწარმოები შოტლანდიის დედოფალზე.¹ ჭეინი აღფრთოვანებულია დედოფლით: „ეს მომაჯადოებელი პიროვნება უპირველესია ადამიანთა შორის ამ ქვეყანაზე. — წერდა ჭეინი, — მისი ერთადერთი მეგობარი გახლდათ ნორფოლკის პერცოვი.² ახლა კი მის მეგობრად შეგულებიან ბატონი უიტეიკერი, ქალბატონი ლეფროი,³ ქალბატონი ნაითი⁴ და მე“. ამ სიტყვებით ფაქიზად შემოსწერს თავისი გრძნობების რკალს და სიცილით მოათავებს

სათქმელს. შესადარებლად საინტერესოა გავიხსენოთ, როგორ წერდნენ იქ. ჩრდილოეთში, თავიანთ სამრევლო სახლში, არც ისე დიდი ხნის შემდეგ, ახალგაზრდა დები ბრონტების უფლის-ჯონის პერცოვიზე.⁵ თავდაქრებული პატრონი უფრო გაიხარდა „საქმრობზე მონადირე პეპლებს შორის ყველაზე ლამაზი, ყველაზე სუფელი. ყველაზე პრანცია პეპელა“, როგორც კი ქალბატონ მიტუორდს ოდესმე უნახავს, და სხვათაშორის გახდა ავტორი რომანისა „სიამავე და წინასწარ განწყობა“, რომელსაც უჩუმრად წერდა კარის ეპიკრიკლებს შორის და რომელიც მრავალ წელს არ გამოუქვეყნებია.⁶ გასულა მცირე ხანი და მას დაუწყია მეორე რომანი „უოთსონები“, მაგრამ რაღაცით უკმაყოფილოს აღარ დაუშთავრებია. ღირს წაიკითხოთ დიდი მწერლის მეორეხარისხოვანი ნაწარმოებიც, რადგან მათი ეაცნობა გაძლევთ საშუალებას, კრიტიკულად შეაფასოთ ავტორის საუკეთესო ნაწარმოები. ამ რომანში უფრო ნათლად ჩანს, რა სიტყვებს აწყდებოდა ავტორი და ნაკლებად შეფარულია, როგორ ცდილობდა ეს სიტყვები გადაეღობა. თავდაპირველად შევატყვე: დასაწყისი თავები ენობრივად მარტივია და მიშველ ფაქტებს გადმოგვცემენ; აქედან ჩანს, რომ ოსტინი იმ მწერალთაგანია, ვინც თამამად დაალაგებს ფაქტებს და შემდეგ არაერთხელ მიუბრუნდება, რომ ზორცი შეახხას და განწყობა შექმნას. არაფერს ვიტყუით, როგორ განახორციელებს ამას — რას აკლებს, რას ამოკლებს, რა მხატვრულ საშუალებებს იყენებს. მთავარია, სასწაული ხდება: საოჯახო ცხოვრების თოთბმეტი უნიათო წელი გარდაიქმნება, ნატოფი და ბუნებრივი ცხოვრების სურათები ცულის რეალობას; ჩვენ წარმოადგენაც არ გვაქვს. რა კატორღული წრომა გადაიტანა ჭეინ ოსტინის კალამმა გვერდების ჩასწორებისას, ვიდრე საბოლოო ვარიანტს დაამუშავებდა. ასე თუ შევისწავლით, ჩავწვდებით, რომ იგი სულაც არ იყო გენიოსი. ისევე როგორც სხვა მწერლებს, მასაც უნდა შეექმნა განწყობა, რომ მის თავისებურ გენიას ნაყოფი გამოედღ. ახლა

1 შოტლანდიის დედოფალი მარია სტიუარტი (1542—1587), რომელსაც ინგლისის დედოფალმა ელიზაბეთ I ეშაფოტზე მოჰკვეთა თავი.
 2 მარია სტიუარტის ფავორიტი, მეთათრობდა შეთქმულებას, რომლის მიზანი იყო გაენთავისუფლებინა შოტლანდიის დედოფალი მარია სტიუარტი. ნორფოლკის პერცოვს თავი მოჰკვეთეს 1572 წელს.
 3 ოსტინებს ოჯახის მეგობარი და მეზობელი.
 4 ნაითების ოჯახში იშვილა ჭეინის ძმა ედუარდი.

5 შარლოტ, ემილი და ენ ბრონტები.
 6 ინგლისელი ფელდმარშალი, რომელსაც ბრონტები აღმერთებდნენ და მიუძღვნეს რამდენიმე პოეტური ნაწარმოები.
 7 რომანი დაიწყო 1796 წელს და თავდაპირველად ეწოდებოდა „პირველი შთაბეჭდილებები“. რომანი გამოქვეყნდა 1813 წელს.
 8 რომანი დაიწყო 1803 წელს, მაგრამ გაურკვეველი მიზეზით ნიატოვა წერა. დაუთმავრებელი რომანი გამოქვეყნდა 1871 წელს.

კი ვერ გადაუწყვეტია, გვალოდინებს: უცებ მოიფიქრებს; ახლა შეიძლება მოქმედება განვიტარდეს, როგორც მას სურს. ეღუარდებიანსი ოჯახი მიდის მეჭლისზე. ჩატვლით თომლინსონების ეტლი: გვიყვება, რომ ჩარლზს ხელთათმანები ჩააცვენ და უთბრეს, არ გაიძროს; თომ მასგრევივი შორეულ კუთხეში მიყუყულა, ხამანწყებს სანსლავს და მშვენივრად გრძნობს თავს. გენია ავტორისა ლალია და აქტიური. ჩვენი შეგრძნებები გამოცოცხლებულია; გვეუფლება მძაფრი განცდა, რომელიც მხოლოდ ქალბატონ ოსტინს შეეძლო გადმოეცა ჩვენთვის. მაგრამ, რამ გავვიძიებრა შეგრძნება? რამდენინე წყვილი ზვდება ერთმანეთს სასტუმრო ოთახში და ხელს ართმევენ; ცოტას ქამენ; ცოტას სვამენ; და, აი უბედურება — ერთი ქალიშვილი შეურაცხყოფს ერთ ვაჟს, მაგრამ მეორე ქალიშვილი კეთილად ექცევა არც ტრაგედია და არც გმირობა. შეიძლება ვერც გავცნობიეროთ, რატომაა, რომ ეს პატარა სცენა ამ სურათის საზეიმო სიტუაციას არღვევს და ყველაზე მეტად მოგზვდებათ გულზე. ავტორმა ჩვენ დაგვანახა, რომ იუ ემა¹ ამგვარად იქცევა მეჭლისზე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორი დაკვირვებული, ნაზი, გულთბილი იქნება ის ცხოვრების უფრო მძიმე სიტუაციებში; ჩვენი წინათგრძნობით კი ამგვარი დღეები გარდუვალაია. მაშ, ჭენ ოსტინს ბევრად უფრო ღრმა შინაგანი სამყარო აქვს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. **ავტორი გვიბიძგებს, დაგინახოს** ის, რაც ჭერ არ აღუწერია: რასაც გვთავაზობს, თითქოს, უმნიშვნელოა, მაგრამ ამ უმნიშვნელობაში შერწყმულია რაღაც, რაც მკითხველის გონებას გადაეცემა და გარეგნულად უბრალო სცენები გვაგრძნობინებს, რომ მართლაც ასე ხდება ცხოვრებაში. მწერალი ძირითად ყურადღებას უთმობს ხასიათებს. ცნობისწადილი გვეუფლება: რას იზამს ემა, როდესაც ლორდ ოსბორნი² და თომ მასგრევივი³ გამოჩნდებიან სამ საათმდე ხუთი წუთით ადრე, სწორედ მაშინ, როცა შეარის შემოაქვს ლანგარი და დანაჩანგლის ყუთი? უფრო უხერხული სიტუაცია ძნელი წარმოსადგენია. ყმაწვილები დაჩვეული არიან მეტად დახვეწილ ქცევას. ვაი-თუ ემაზე დარჩეთ შთაბეჭდილება, ცუდად გაზრდილი, ვულგარული პიროვნება და არარაობააო. საუბარი ხან ამაზეა, ხან იმაზე და ვართ დაძაბული, აბა, რა იქნება ბოლოს. ესეც გვინტერესებს, რაზეც ახლა ლაპარაკობენ, ისიც გვინდა ვიცოდეთ, რა მოჰყვება საუბარს და ბოლოს, როცა

ემას ქცევა ჩვენს ყველაზე დიდ იმედსაც გადააქარბებს, გვიხარია, თითქოს, მარტიან მნიშვნელოვანი ამბავი მომხდარიყოს. ეს რომანი დაუშთავრებელიცაა და სხვებზე ნაკლებიც. მაგრამ მასშია ყველაფერი, რაიცაა ჭენ ოსტინი დიდი მწერალია. ესაა ნამდვილი ლიტერატურა. ნუ შიაკცევთ ყურადღებას, რომ მოქმედ პირთა საქმიანობა ზერეღედაა გადმოცემული, მთავარია, ცხოვრების ახლია თუ არა ესა თუ ის სცენა და რა გვჩება: მნიშვნელოვანია, რომ მშვენივრად არის გადმოცემული ადამიანური ღირებულებანი, რისი აღქმაც ბევრად მეტ სიამოვნებას გვანიჭებს. ესეც ამოიგდეთ თავიდან და გულისყური მიაპყარით უფრო ზოგად ოსტატობას, რაც სულ უფრო მეტ სიამოვნებას მოგანიჭებთ. მაგალითად, ეპიზოდი საცეკვაო დარბაზში: ისეთი მრავალფეროვნებაა ემოციებისა და სცენების, რომ მათგან მიღებული სიამოვნება შეიძლება შევადაროთ პოეზიით ტკობას. ეს არაა მხოლოდ შინაარსის ქარგა, ამბავი, ხან ასე რომ განვითარდება და ხან ისე.

კორი დაღის, რომ ჭენ ოსტინი იყო ხისტი, გამოზომილი. კუშტი ბუნების: „ნაცრის საჩხრეკს შგავდა, ვისიც ყველას ეშინოდაო“. ამის კვალიც ჩანს. ხანდახან საკმაოდ დაუნდობელია: ჩვენს ლიტერატურაში ის ერთ-ერთია, ვისაც სატირული კალამი არასოდეს უბლაგვდებია. „უოთხონების“ საწყისი თავები, რომლებიც დაუშუშავებელია, იმას ადასტურებს, რომ მისი გენია იოლად არ ქმნიდა; ემილი ბრონტის⁴ შეეძლო აეწერა, როგორ გაიღო კარი და გრძნობთ, როგორი მწერალია ის. ჭენ ოსტინის გენია სხვაგვარია. მხიარული განწყობით, ვითომ არაფერიო: აგროვებს იგი ნამტვრევ ღეროებს და ბუმბულს, რისგანაც ბუდე უნდა შეაკოწიწოს და ფაქიზად აწყობს ერთმანეთზე. ღეროები და ბუმბული მშრალია. ზედ მტვერი დაბჟრია, ზოგი დიდი სახლია, ზოგიც — პატარა; ზოგს ჩაიზე ჰყავს სტუმრები, ზოგს სადილი, და ზოგიც ხანდახან ქალაქგარეთ გადის გასართობათ. ცხოვრება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად სასარგებლო ნაცნობები გყავს და, შესაბამისად, საკმაოდ შემოსავალიც გაქვს; ტალახიანი გზებიც ცხოვრება, დასველებული ფეხებიც; ქალები მალე რომ იღლებიან, ესეც ცხოვრებაა; დიდი პრინციპები არაა საჭირო ცხოვრებაში, არც თავად ცხოვრებაა მნიშვნელოვანი ამბებით სავსე; და კიდევ ერთი, სოფლად მცხოვრები საშუალო კლასის საზოგადოებას ერთი მიდრეკილება ჰქონდა — ყველას სურდა, განათლება მიეღო. მის რომა-

1, 2, 3, 4 პერსონაჟები ჭენ ოსტინის რომანისა „უოთხონები“.

1 ინგლისელი მწერალი, ავტორი რომანისა „ქარიშხლიანი სიმაღლეები“.

ნებში ვერ შეხვდებოდით ცოდვებს, თავგადა-
 ხაველებს, ძლიერ ვნებებს. უველაფერი პროზა-
 ულია, უველაფერი უმნიშვნელოა, მაგრამ ავ-
 ტორს არაფერი გამოორჩება, არაფერს მიმოიხი-
 ლავს ზერელად. აუჩქარებლად და ზედმიწევნით
 მოგვითხრობს, რომ „არსად შეჩერებულან, სანამ
 ნიუბერის მიაღწევდნენ. დღის სიამოვნება იმით
 დაგვირგვინდა, რომ იქ კარგად მიირთვეს, სა-
 დალიც და ვახშამიც ერთად, და დაღლილობაც
 ხალაყ გაქრა“. პირობითობას რაც შეეხება
 უბრალოდ კი არ მისდევს, თავად იცავს, და
 იცავს რწმენით. როდესაც ის აღწერს მღვდელს
 მაგალითად, ედმუნდ ბერტრამს¹, ან განსაკუთ-
 რებით ვინმე შეზღვაურს, მათ საქმიანობაში
 ვერ ხედავს რაიმე სიწმინდეს, მაგრამ რატომ-
 ლაც ვერ იუენებს თავის უმთავრეს იარაღს —
 გენიას. შექმნას კომიკური ხასიათი და საფრთხე
 ჩნდება, უალბ ქება-დიდებაში არ გადავარდეს ან
 ცხოვრება მშრალად არ აღწეროს. მაგრამ იშ-
 ვიათად ხდება ასეთი რამ: უმეტესწილად ესაა:
 მწერალი, რომელზეც ზედგამოჭრილია სიტყვე-
 ბი, ერთმა ქალბატონმა რომ ბრძანა: თავზარდამ-
 ცემია გონება, ნებისმიერი კაცისა, მით უფრო თუ
 კაცი დუმს“. არც იმას გაჰყვიროს, რეფორმა
 არისო საჭირო, და არც იმას ამბობს, რა მოხდაო:
 ის დუმს და ესაა თავზარდამცემი. ასე და ამ-
 გვარად, ქმნის ერთმანეთის მიყოლებით ხასი-
 ათებს—ზოგი სულელია, ზოგი ზედმეტად პუნ-
 კტუალური, ზოგიც კარგად მორგებია ამ ქვე-
 უანას. ესენი არიან ბატონი კოლინზები, სერ
 უოლტერ ელიოტები, ქალბატონი ბენეტები².
 მათრახივით ფრაზას მოიქნევს. წრეში მოიმწყვ-
 დევს ხასიათებს. შოლტის ტყლაშუნიტ გარს
 უკლის და საშუდამოდ გამოაქანდაკებს მათ სი-
 ლუფტებს. იქვე არიან, არც პატიებას ეღიროსე-
 ბიან და არც თანაგრძნობას მიიღებენ. ქულია
 და მარია ბერტრამებისაგან³ არაფერი რჩება
 მას შემდეგ, რაც კარგად გაშოლტავენ მათ;
 ქალბატონ ბერტრამს ისლა დარჩენია, „იქდეს
 და ექანოს თავის ძაღლს და ეცადოს, მოაშოროს
 ძაღლი უვაილებს კვალს.“ ღვთის სამართალი
 აღსრულდა: დოქტორ გრანტს⁴, მანამდე ბატს
 რომ ვერ გაიმეტებდა საქმელად, დამბლა და-
 ცემია და სიკვდილი მოეღოს, რადგან ერთი
 კვირის განმავლობაში სამჭერ მიაძღა რელიგიურ
 დღესასწაულებზე გაშლილ სუფრას. ხანდახან
 კაცი იფიქრებს, ეს ხასიათები იმიტომ დაიბად-
 ნენ, ჭეინ ოსტინს მიეღო უწენაესი სიამოვნება,
 მათ სათითაოდ რომ წააგლეჭდა თავს. ახლა ის
 დაკმაყოფილებულია; ახლა უკვე დამცბრალია;
 ერთ ღერ თმას არ შეარხევს ვინმეს თავზე,
 ერთ აგურს არ შეანძრევს. ერთ ღერ ბალახსაც
 კი არ ახლებს ხელს ამ ქვეყანაზე, სადაც ამდენი
 სიამე იგემა.

არც ჩვენ განგვიზრახავს, რაიმე შევცვალოთ,
 თუნდ გვაზრახოდეს იმის შეგრძნება, რამდენად
 ამაოა ყოველივე, ან აღგვაშფოთოს იმამ, რომ
 დაეცა ზნეობა და ამაღ გვიბიძგოს, უცვადლოთ,
 გავაკეთოლშობილოთ ქვეყანა, ტყვეობაგონებს
 სიძულვილი, სიმდაბლე და სიბრყველი მატრამ
 არავის შესწევს საკმარისი ძალა, ასეთი არიან
 ადამიანები. თხუთვეტი წლის გოგომ უკვე იც-
 ოდა ეს ქემშარიტება. მოწიფულობაშიც დაადას-
 ტურა. ამ წუთს ვილაყ ქალბატონი ბერტრამი
 ცდილობს, თავისი ძაღლი პავი მოაცი-
 ლოს უვაილებს კვლებს: ცოტა ხნის შემდეგ
 იგი აგზავნის ჩემენს მის ფენის⁵ დასახმარებ-
 ლად. ისეთი დაკვირვებული თვლით აღწერს,
 ისეთი ცხოვრებისეულია სატირა, რომ თუმც
 არა ერთი და ორია ასეთი სცენა, ვერც კი
 ვამჩნევთ ამ თვისებებს. აქ არც სიმდაბლეა,
 არც სიძულვილის გრძნობა ჭარბობს. სიხარუ-
 ლის განცდა უცნაურად შეერწყმის სიამოვნე-
 ბას. მშვენიერება აცისკროვნებს ამ მარტივ ხა-
 სიათებს.

მართლაც, შეუმჩნეველი რჩება, ასეთ მარტივ
 ხასიათებს, ზშირად ფრიად განსხვავებულთ,
 როგორ გამოძერწავს ავტორი, რაც მხოლოდ
 მისი ნიქის თავისებურებით აიხსნება. ჭეინ
 ოსტინის ნიქს ახლავს ნატიფი გემოვნება. მისი
 სულელი სულელია, სნობიც — სნობია: მისი
 გმირი სცილდება რიგითი და გონიერი ადამია-
 ნის მოდელს, რაც გონებაში შეიძლება გექონ-
 დეს, და ზუსტად გადმოგვცემს ცხოვრებისეულ
 ხასიათს, მაშინაც როცა სიცილს გვგვრის. არც
 ერთი სხვა მწერლის ნაწარმოებებში არ გვხვდება
 იმდენი უცოდველი გრძნობა, რაც ადამიანის
 ღირსებას წარმოადგენს. შეუმცდარი გული,
 უტყუარი გემოვნება, მაღალი ზნეობა — ამ
 თვისებების საპირისპიროდ ავტორი გვიხატავს,
 როგორ დალატობენ სიკეთეს, სიშართლეს და
 გულწრფელობას, — ყოველივეს, რასაც ინგ-
 ლისური ლიტერატურა ლოტბას ახხამდა. ასეთია,
 მაგალითად, ვინმე მეარი კროფორდი⁶, მის ბუ-
 ნებაშია კარგიც და ცუდიც. ქალი ხან აგინებს
 ხამღვედლოებას და აქებს კეთილშობილთა წრეს;
 ასე გრძელდება დიდხანს, მთელ გულსა და
 სულს აქსოვს ლაპარაკში; ხან ავტორი ჩაურთავს

1. პერსონაჟი ჯ. ოსტინის რომანისა „მენსფილდის
 პარტი“.
 2. ჯ. ოსტინის რომანების სატირული პერსონა-
 ჟები.
 3, 4. ჯ. ოსტინის რომანის „მენსფილდის პა-
 რტი“ პერსონაჟები.
 5, 6. ჯ. ოსტინის რომანის „მენსფილდის პარ-
 ტის“ პერსონაჟები.

თავისებულ ფრაზას, სრულიად უწყინარ სიტყვებს, მაგრამ მომენტის შესაფერს და თუმცა მთელი გულისხმობით ვუსმენთ მგარი კროფორდის უაზრო ლაქლაქს. ვგრძნობთ, რატომაც ეს სიტყვები აზრიანი, მშვენიერი, სრულყოფილი. ამგვარი კონტრასტები ქმნის მშვენიერებას, ზეაწეულობის განწყობასაც კი. და ეს თავისებები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მისი გონიერება; უფრო მეტიც, ეს თავისებები მისი გონებადამხვილობის ნაწილია. ჯერ კიდევ „უოთხონში“ იცენებს ამ უნარს: საოცარია, როგორ ახერხებს ავტორი, რომ ერთი ჩვეულებრივი სიკეთე იქნეს დიდ მნიშვნელობას. ეს დიდი ნიჭი კიდევ უფრო უკეთ გამოიყენა ავტორმა თავის შედეგებში. არაფერია ზედმეტი: შუადღეა ნორთემპტონში; ერთი დუნე ახალგაზრდა კაცი ესაუბრება სუსტი აღნაგობის ქალს; კიბეებზე საუბრობენ და თან აღიან, რომ სადილისათვის გამოიყვალონ. გამორჩეულია მხარული გოგონები; სიტუაცია ხელ უბრალთა, არაფრით გამოირჩევა, ამიტომაც მათი სიტყვები მნიშვნელობას იძენს. ეს წუთი ორთავეს დამახსოვრდება მთელ სიცოცხლეში. ეს არაა უბრალო სცენა, ის გასხვოსნებულია, ის ბრწყინავს, თვალწინ გვაქვს, ერთ წუთს გრძელდება ეს მნიშვნელოვანი სცენა, თქვენს თვალწინ თრთის, გამპირვალვია: უცებ მსახური გოგო ჩაივლის და მათი სიცოცხლის უბედნიერესი წამი ჩაქრება. ჩვეულებრივი ცხოვრების დინებას გაჰყვება.

და როდესაც გვიხმის, რომ ამგვარ უბრალო სცენას ასეთ დიდ შინაგან ძალას ანიჭებს ჯენსონი, ვანა ბუნებრივი არაა, რომ იგი არჩევდა აქწერა ყოველდღიური ცხოვრება, წვეულებები, გართობა ქალაქგარეთ და ცეკვები სოფელში? მან ვერ აცდუნებდა პრინც რეგენტის თუ ბატონ კლარკის რჩევა — „შეცვალე წერის სტილი: ვერც სასიყვარულო ამბები, ვერც რაიმე თავგადასავლი, ვერც პოლიტიკა ან რაიმე ინტრიგა მოახდენდა გავლენას ჯენსონის-

ზე, რომ ცხოვრება სხვაგვარად დაენახა და არა ისე, როგორც ხედავდა თავისი სოფლის სახლის კიბეებზე ჩამომჯდარი. პრინც რეგენტი და მისი მდივანი, მართლაც, გადაულახავ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მათ სცადეს მოესხიდათ შეურყვნელი სინდისი, გზა დაეხატათ საღი კეთილგონიერებისათვის. ჯერ კიდევ თუთუშეტი წლის გოგომ მშვენიერად ჩამოქნა წინადადება და შემდგომაც აღარ შეშლია რაიმე. იგი არასოდეს წერდა პრინც-რეგენტისა და მისი მდივნისათვის, ის საერთოდ წერდა მთელი ქვეყნისთვის. კარგად იცოდა, რისი უნარიც ჰქონდა, რა მასალა შეეძლო დაეშუშავებინა ისე, როგორც ამას უნდა აქეთებდეს ნამდვილი მწერალი. ცხოვრებაში ისეთი შთაბეჭდილებებიც ჰქონდა, რომ არ გამოადგებოდა; ისეთი განცდებიც, მისი ცნობიერება და ოსტატობა რომ ვერ გამოიყენებდა შესაფერისად, რათა ხელოვნების ფაქტად ექცია. ვთქვათ ხაკელესიო აღმები და სამლოცველოები — ამაზე აღფრთოვანებით ვერ ილაპარაკებდა ვერც სასიყვარულო ეპიზოდს აღწერდა გულიანად. არაერთ მწერლურ გზას მონახვდა, რომ ვნებიანი სცენა თავიდან აეშორებინა; ბუნებასა და მის მშვენიერებასაც რაღაც თავისებურად აღიქვამდა. დიდებულ ღამეს აღწერდა ისე, რომ ერთხელაც არ ახსენებდა მთვარეს. აი, გადაიკითხათ რამდენიმე მარტივ ფრაზას, ვთქვათ: „რა დიდებულთა უღრუბლო ღამე, როგორი შექირდილება დაბურულ ტყეში“ და ჩვენს თვალწინ უკვე დაიხატა თითქმის „საზვიამო, მშვიდი და ღამაში ღამე“, რომელსაც ავტორი ასე სადად აღწერს.

ერთგვარად ნიჭიერი ჩანს ავტორი ვველგან დასრულებული რომანებიდან არც ერთი არაა ცუდად დაწერილი. თავებს თუ გადავხედავთ, მხოლოდ რამდენიმეზე თუ შეიძლება ითქვას ხუბტიაო. ისიც არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ორმოცდაორის გარდაიცვალა. გარდაიცვალა, როცა დაოსტატდა. შესაძლებელია, მის შემოქმედებას კიდევ განეცადა ცვლილებები. მწერლის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი ზოგჯერ შეეღაზე საინტერესოა. მკვირცხლი, დაუღალავი ნიჭიერი, სიცოცხლის მოყვარული — ასეთი იყო ჯენსონი და ეტვი არაა, რომ ეცრცხლა, კიდევ შექმნიდა, იქნებ სხვაგვარ ნაწარმოებებსაც. მან თავისი სამყარო შემოხაზა მთვარეები, მთები და ციხე-სიმაგრეები ამ სამყაროს მიღმა დარჩა, ნუთუ წადილი არ აცდუნებდა, ხალხით სავსეს და კეთილგანწყობილს, ამ სამყაროშიც შეეპყობა?

ავიღოთ „მარწამსი“, მისი უკანასკნელი დასრულებული რომანი და ამ წიგნით განვსაზღვროთ, რას დაწერდა, ჯ. ოსტინს კიდევ რომ ეცოცხლა, რომანი „მარწამსი“ თავისებურად

1 პრინც-რეგენტმა (შემოგომ მეფე ჟორჯ I-ის) 1814 წელს თავისი მდივნის საშუალებით შესთავაზა ჯ. ოსტინს, რომ მასთვის შეეძინა ნაწარმოები ასეთი თემის ფრაზად ძუნწი, მამღვამით გამოვიდა რომანი „ცმა.“ შემდეგ ავტორისაგან მოთხოვნა, რომ დაეწერა მხატვრული ნაწარმოები — ქება სამეფო დინასტიისა და უმაღლესი სამღვდელთების ოსტინს უარი მიუცა იმ მოტივით, რომ „კომიკური ხასიათების შექმნა უსერხებოდა და არა კეთილი, განათლებული და დადებითი პიროვნებებისა, რომ ამისათვის მას არც სიყმარისი ოსტატობა ეყოფოდა და არც განათლება.“

მშვენიერიც არის და მოსაწყენიც. ნებისმიერი მწერლის ერთი პერიოდიდან მეორეში გარდამავალი ხანის ნაწარმოები ხშირად მოსაწყენია მწერალი უკმაყოფილოა. თავის ძველ სამყაროს ზედმეტად შეჭვებია; გრძნობს, რომ მობეზრდა, მისი კომიჭმი ტლანქია, ეტყობა, აღარ იზიდავს მის ელიოტის: სნობიჭმი და სერ უოლტერის¹ კუდაბზიკობა. სატარა ხორკლიანია, კომედია — ვულგარული. უოველდლიურ ცხოვრებაში ვეღარ მპოვებს პოეტურ სამყაროს. გონება სხვაგან გაუბრის, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ ჭეინ ოსტინმა აღწერა ეს სამყარო წინა ნაწარმოებებში, და აღწერა უკეთესად. ეტყობა, ამჟერად იგი ცდილობს, სხვა რამ თქვას, რაც აქამდე არ უთქვამს. არის რაღაც ახალი რომანში „მრწამსი“, რამაც დოქტორ უიველი² აღანთო და ათქმევინა, რომ „მრწამსი“ არის ავტორის საუკეთესო ნაწარმოები. კერძოდ, მასში ჩანს, რომ ჭეინ ოსტინმა ახლა უფრო ფართო სამყარო აღიქვა, საიდუმლოებით მოცული და უფრო რომანტიკული, ვიდრე მანამდე დაწერილ რომანებში. თითქოს, თავის თავზე ამბობს, როცა ენზე გვეუბნება: „თავიდანვე ისე აღზარდეს, რომ გონიერება წარმართავდა მის ცხოვრებას; წლები მოემატა და რომანტიკული ვანწყობა მოეძალა — ბუნებრივი ცვლილება მოჰყვა არაბუნებრივ დასაწყისს“. ხშირად ამბობს, რა ლამაზია ბუნება, და ნადვლიანიცო. შემოდგომით უბრუნდება ხოლმე იმ ადგილებს, სადაც გაზაფხულზეც ჩაევლო. აი, რას წერს ჯ. ოსტინი: „შემოდგომით ისეთი ლამაზი და თან სევდიანიაო სოფელი“, ან კიდევ, „ფოთლები ჩაყვითლებულა და ცოცხალი დობეები დამქცნარა“, ან კიდევ, „აღაშიანს ნაკლებად არ გიუვარს ადგილი, სადაც ტანჯვა გადაიტანე“. მაგრამ მთავარი ცვლილება მხოლოდ ის არაა, რომ იგი ახლებურად აღიქვამს ბუნებას. შეცვლილა მისი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. წიგნის უმეტეს ნაწილს გადმოგვცემს ქალი. თავად უბედური, ვინც მთელი გულით პყვება სხვათა ბედნიერებას და უბედურებას და ვინც იძულებულია, ცხოვრობის ბოლომდე ხმაგაკმენდილმა თანაუგრძნობ მათ, აწიტომია სხვა რომანებისაგან განსხვავებით, აქ გრძნობებს აკვირდება და არა ამბებს. დიდი გრძნობებია კონცერტის სცენაში და იმ მნიშვნელოვან ეპიზოდში, როდესაც საუბრობენ: რა არის ქალის ერთგულება, რაც მხოლოდ ბიოგრაფიულ

ფაქტს კი არ ადასტურებს — ჭეინ ოსტინს რომ უყვარდა, ეს არის ესთეტიკური ფაქტიც: აღარ ეშინია, ამგვარი აზრი გამოთქვას. ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ღრმად უნდა ჩაბრუნულიყო მის ცნობიერებაში, ღროის დანახვას და მხოლოდ შემდეგ მისცა აზრის ნებისმიერი რაში გამოყენებისა. ახლა, 1817 წელს მწერალი უკვე შზად იყო ამისათვის. მის გარშემო არსებული სიტუაციაც აშკარად შეცვლილი იქნებოდა. მისი სახელი თითქმის არავისთვის იყო ცნობილი. „ჩემი აზრით, წერდა ბატონი ოსტინ ლი,² ვერ დაასახელებთ ვერც ერთ მნიშვნელოვან მწერალს, ვისი სახელიც ამდენად უცნობი უკმაყოფილოს საზოგადოებისათვის“. კიდევ რამდენიმე წელს რომ ეცოცხლა, სულ სხვაგვარად იქნებოდა საქმე. ჭეინ ოსტინი ალბათ ერთხანს ღონდონში იცხოვრებდა, სადილსა და ლანჩზე სტუმრად ივლიდა, შეხვდებოდა საზოგადოებას. მეგობრებს შეიძენდა, იმოგზაურებდა და თავის მყუდრო სოფლას სახლში დაბრუნებული, თან ჩამოიტანდა უზომო შთაბეჭდილებებს, რომ მოხვედრების უამს მოგონებებს მისცემოდა.

ამგვარ გამოცდილებას გავლენა ხომ ექნებოდა დანარჩენ ექვს რომანზე, რომლებიც ჭეინ ოსტინს არ დაუწერია; ის არ აღწერდა ბოროტმოქმედებას, ვნებებს ან თავგადასავლებს, იქნებ, არც გამომცემლები მოაბეზრებდნენ თავს, აუცილებლად დაწერიო, და არც მეგობრები შეასხამდნენ ხოტბას მლიქვნელურად, მოუხეშავად და არაგულწრფელად. მაგრამ მას მეტი ეცოდინებოდა. მის ნაწერს აღარ დაეტყობოდა, რომ ავტორი შეზღუდულად ცხოვრობდა; კომიჭმი აღარ იქნებოდა იმდენად სახაცილო, ხასიათებს ნაკლებად გახსნიდა დიალოგში (რაც უკეთ გამოაკვეთა „მრწამსში“), ავტორისეული მსჯელობა მეტ მნიშვნელობას შეიძენდა. სულ რაღაც ერთ წუთს თუ გრძელდება გმირების ბაასი, მაგრამ ამ მშვენიერ მოკლე დიალოგში ავტორი ვეუბნება ყველაფერს, რაც სურს, გავიგოთ ვინმე ადმირალ კროუტზე ან ვინმე

1, 2. ზერსონაევი, ჯ. ოსტინის რომანისა „მრწამსი“.
3. უილიამ ეიველი (1794—1866) ინგლისელი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე.

1 რადგან კასანდრა ოსტინმა ჭეინ ოსტინის წერილების უმეტესობა გაანადგურა, მხოლოდ ვერაუდით ამბობენ, რომ ჭეინს უყვარდა მოგეტ უ. უოდსუორთის ძმა, იგი მსახურობდა ფლოტში და დაიღუპა 1805 წელს.
2 ჭეინის ძმიშვილი, დაწერა „მოგონებები ჭეინ ოსტინზე“, 1870.

ქალბატონ მასგროუვზე. ამ გზით ან გაიგებთ, რისი თქმა სურს ავტორს ან არა, თუმცა ეს მეთოდი მოკლედ გვამცნობს იმას, რასაც ანალიზისა და ფსიქოლოგიური კვლევის მთელი თავები დასჯერდებოდა. მაგრამ იგი იმდენად ღრმად აღიქვამდა რთულ ადამიანურ ბუნებას, რომ მხოლოდ დიალოგი ვეღარ დაიტევდა სათქმელს. ჯეინ ოსტინი მოძებნიდა ახალ, ნათელ გზას და კვლავ შექმნიდა ხასიათებს, როგორც მანამდეც შექმნა, მაგრამ უფრო ღრმას, და ჩვენ აღვიქვამდით უთქმელს ისევე. როგორც ნათქვამს; ჩვენ აღვიქვამდით არა ხასიათებს, არმედ ცხოვრების აღწერას. ისიც უფრო შორიდან შეწვდებოდა თავის პერსონაჟებს.

1 „მარშალის“ პერსონაჟები.

როგორც ადამიანების ჯგუფს და არა როგორც ცალკეულ პიროვნებებს. იქნებ სატირული ინტონაციებიც იკლებდა მის პრაქტიკაში. მაგრამ უფრო მომწესხავი და ნასტიკიც იქნებოდა. მაშინ შეგვეძლებოდა, გვეთქვა: ჯეინ ოსტინი გახლავთ პენრი ჯეიმზის ამ ნაშრომის წინამორბედი — კმარა. მთელი ჩვენს მსჯელობა ამისა. ქალთა შორის ყველაზე დიდი ხელოვანი, აქტორი უკუდავი წიგნებისა, გარდაიცვალა სწორედ მაშინ, როდესაც პირველად ირწმუნა, რომ წარმატებას მიაღწევდა.

1. პენრი ჯეიმზი (1843—1916) — ამერიკელი მწერალი, ფსიქოლოგიური რომანების ავტორი. მასვე ეკუთვნის კრიტიკული წერილები, ლიტერატურული გამოკვლევები.
2. მარსელ ბრუატი (1871—1922) — ფრანგი მწერალი, ფსიქოლოგიური რომანების ავტორი.

□

